ბ. კ. ქუკოვი
საბჭოთა კავშირის მარშალი
საბჭოთა კავშირის ოთხგზის გმირი

მოგონებები და ფიქრები

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი 1978

355 C
9 906

1—12—2

70 ৩৫৪.

ᲕᲣᲫᲦᲕᲜᲘ ᲡᲐᲒᲔᲮᲝᲗᲐ
ᲫᲐᲠᲘᲡᲫᲐᲪᲡ

ᲐᲕᲢᲝᲠᲘ

წინასიტყვაობის მაგიერ

არაერთ წელს ვმუშაობდი წიგნზე „მოგონებები და ფიქრები". მინდოდა ვრცელი ცხოვრებისეული მასალისაგან, უამრავ ამბავთაგან და შეხვედრათაგან შემერჩია ყველაზე არსებითი და მნიშვნელოვანი, რაც ღირსეულად გამოაჩენდა ჩვენი ხალხის საქმეთა სიდიადეს.

მართალია, აღწერილი ამბების შემდეგ უკვე მრავალი წელი გავიდა, მაგრამ, ალბათ, დღესაც ვერ ვიტყვით ზუსტად, განცდილისა და ნანახისაგან, სახელდობრ, რა გადაურჩება მარადიული დროის დინებას...

დაე, მაპატიონ ჩემმა თანამოიარაღე ამხანაგებმა. თუ ვერ შევძელი ჯეროვნად მიმეგო მათთვის კუთვნილი სამებრ. დრო კიდევ წინ არის, მათზე კვლავ დაწერს და მოგვითხრობს ბევრი. მე კი მადლიერი დავრჩები თითოეულისა, ვინც გამიზიარებს თავის შენიშვნებსა და მოსაზრებებს, რომლებიც შესაძლო იქნება გავითვალისწინოთ წიგნზე შემდგომი მუშაობის დროს.

ამ გამოცემის მომზადებაში მრავალი ამხანაგი დამეხმარა. მინდა მადლობა გადავუხადო საბჭოთა შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-სამეცნიერო სამმართველოსა და სამხედრო ისტორიის ინსტიტუტის გენერლებსა და ოფიცრებს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირის თავდაცვის სამინისტროს განყოფილებათა უფროსებს პოლკოვნიკ ნიკიტა ექვთიმეს ძე ტერეშჩენკოსა და პეტრე იაკობის ძე დობრო-

ვოლსკის, აგრეთვე ბეჭდვითი სიტყვის ახალი ამბების საა-
გენტოს გამომცემლობის რედაქტორებს ანა დავითის
ასულ მირკინას, ვიქტორ ალექსანდრეს ძე ეროხინსა და
ყველა იმათ, ვინც ჩემი ხელნაწერი მოამზადა დასაბეჭ-
დად.

განსაკუთრებით მადლობა მინდა მოვახსენო ვადიმ გე-
რასიმეს ძე კომოლოვს ამ წიგნის შექმნაში გაწეული დი-
დი შემოქმედებითი დახმარებისათვის.

გ. ფუკოვი.

1969 წ. 10 თებერვალი.

თავი პირველი

ბავშვობა და სიჭაბუკე

ცხოვრების თავდაღმართზე ძნელია გაიხსენო ყოველივე, რაც თავს გადაგხდომია. წლებმა, საქმიანობამ და მოვლენებმა ხსოვნიდან გააქარვეს ბევრი რამ, განსაკუთრებით, რაც ბავშვობასა და სიჭაბუკეს ეხება. დამამახსოვრდა მხოლოდ ის, რისი დავიწყებაც არ შეიძლება.

ჩვენი სახლი, კალუგის გუბერნიის სოფელ სტრელკოვკაში, სადაც დავიბადე 1896 წლის 19 ნოემბერს (ძველი სტილით), სოფლის შუაში იდგა. სიძველისაგან გვერდზე იყო წაფერდებული. ეამთასვლისაგან კედლები და სახურავი ხავსითა და ბალახით ჰქონდა დაფარული. მთელი შენობა ორფანჯრიან ერთ ოთახს შეადგენდა.

დედამ და მამამ არ იცოდნენ, როდის და ვის მიერ იყო აშენებული ჩვენი სახლი. ძველ მკვიდრთა გადმოცემით, ამ სახლში ოდესღაც ცხოვრობდა უშვილო ქვრივი ქალი ანუშკა ეუკოვა. მარტოხელა ქალს სანუგეშოდ ბავშვთა თავშესაფარიდან გამოუყვანია ორი წლის ბიჭუნა—მამაჩემი. ვინ იყვნენ მისი ნამდვილი მშობლები, არავინ იცოდა, და თვითონ მამასაც არც შემდეგ უცდია გაეგო თავისი წარმოშობის ამბავი. ცნობილია მხოლოდ, რომ სამი თვის ბიჭუნა ობოლთა სახლის ზღურბლზე დაუტოვებია ვიღაც ქალს ბარათით: „შვილს ჩემსას უწოდეთ კონსტანტინე“. რამ აიძულა საბრალო ქალი მიეტოვებინა ბავშვი თავშესაფარის კართან — ამის თქმა შეუძლებელია. საეჭვოა, რომ ეს დედობრივი გრძნობის უქონლობის გამო ჩაედინა. ყველაზე მეტად, ალბათ, ამის მიზეზი მისი უაღრესად მძიმე და გამოუვალი მდგომარეობა იყო.

დედობილის გარდაცვალების შემდეგ, როცა მამაჩემი რვა წლისა ყოფილა, შეგირდად დამდგარა მეჩექმესთან დიდ სოფელ უგოდსკი ზავოდში. იგი მერე გვიამბობდა, ჩემი სწავლა უმთავრესად საოჯახო საქმიანობა იყოო. მას უხდებოდა ოსტატის ბავშვების მოვლაცა და პირუტყვის მწყემსვაც. სამი წლის მანძილზე ამგვარად „სწავლის“ შემდეგ მამა სხვა ადგილის საძებნელად წასულა. ფეხით ჩააღწია მოსკოვს, სა-

დაც ბოლოს და ბოლოს, ვაისის ფეხსაცმლის სახელოსნოში მოეწყო. ვაისს მოდელის ფეხსაცმლის საკუთარი მაღაზიაც ჰქონდა

დაწვრილებით არ ვიცი, მაგრამ მამა გვეუბნებოდა, 1905 წლის ამბების შემდეგ მეც სხვა მუშებთან ერთად სამუშაოდან დამითხოვეს და მოსკოვიდან გამასახლეს დემონსტრაციებში მონაწილეობისათვისო. იმ დროიდან მოყოლებული თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე (1921 წ.) მამა მუდმივად დამკვიდრდა სოფელში და მეჩექმეობითა და გლეხური შრომით არჩენდა ოჯახს.

დედაჩემი, უსტინია არტემის ასული, დაიბადა და გაიზარდა მეზობელ სოფელში, ჩორნაია გრიაზში, უკიდურესად ღარიბ ოჯახში.

როცა მამა და დედა დაქორწინდნენ, დედა ოცდათხუთმეტი წლისა ყოფილა, ხოლო მამა — ორმოცდაათისა. ორივესათვის ეს მეორე ქორწინება იყო. პირველი ქორწინების შემდეგ ორივე ადრე დაქვრივებულა.

დედა ჯანღონით სავსე ქალი გახლდათ. იგი ადვილად ერეოდა ხორბლით სავსე ხუთფუთიან ტომრებს და საკმაოდ დიდ მანძილზე გადაჰქონდა. ამბობდნენ, ფიზიკური ძალა მემკვიდრეობით მოსდგამსო მამისაგან, არტემისაგან, რომელიც თურმე ზურგით სწევდა ცხენს, ანდა კუდში დააკვლებდა ხელს და ერთი მოქაჩვით გავით დასვამდა.

მძიმე გაჭირვება, მეჩექმეობით ნაშოვნი ბამაჩემის მცირე შემოსავალი, დედაჩემს იძულებულს ხდიდა, მცირე საფასურად მტვირთავად ემუშავა. გაზაფხულზე, ზაფხულსა და ადრე შემოდგომაზე იგი მინდვრის სამუშაოს ასრულებდა, ხოლო გვიან შემოდგომაზე სამაზრო ქალაქ მალოიაროსლავეცში მიდიოდა უგოდსკი ზავოდელი ეაკრებისათვის საბაყლო საქონლის მოსაზიდად. ერთ გზობაზე იგი მანეთს, ზოგჯერ მანეთსა და ოც კაპიკს შოულობდა. აბა, ეს რა დიდი ბედენა იყო? თუ გამოვაკლებთ იმ ხარჯებს, რაც ცხენების საკვებს, ქალაქში ღამის გათევას, ჭამას, ფეხსაცმლის შეკეთებასა და სხვა წვრილმანს სჭირდებოდა, დედას ძალიან ცოტა რჩებოდა. ვფიქრობ, მათხოვრები ამ ხნობაში უფრო მეტს მოაგროვებდნენ.

მაგრამ რა უნდა ექნათ, ასეთი იყო მაშინ ღარიბი კაცის ხვედრი და დედაც უდრტვინველად შრომობდა. ჩვენსოფელი ქალების უმრავლესობაც ამ დღეში იყო. გაუვალ ტალახსა და სიცივეში მოჰქონდათ მათ ტვირთი მალოიაროსლავეციდან, სერპუხოვოდან და სხვა ადგილებიდან, ხოლო თავიანთ მცირეწლოვან ბავშვებს დაჩაჩანაკებულ ბებიებსა და ბაბუებს უტოვებდნენ მოსავლელად.

ჩვენი სოფლების გლეხთა უმრავლესობა ღარიბულად ცხოვრობდა. მიწა ცოტა ჰქონდათ, და რაც ჰქონდათ, ისიც მოუსავლიანი იყო. მინდვრებში უმეტესად ქალები, მოხუცები და ბავშვები მუშაობდნენ. მამაკაცები საშოვარზე დადიოდნენ მოსკოვში, პეტერბურგსა და სხვა ქალა-

ქებში. ისინი ძალზე ცოტას შოულობდნენ, იშვიათად თუ მობრუნდებოდა სოფელში გლეხი სავსე ქისით.

რასაკვირველია, სოფლებში იყვნენ ჰდიდარი-ბობოლა გლეხები. ისინი კარგად ცხოვრობდნენ: ედგათ მუუდროდ მოწყობილი დიდი ნათელი სახლები, ეზოებში ჰყავდათ ბევრი საქონელი და ფრინველი, ხოლო ბეღლები აესებული ჰქონდათ მარცვლისა და ფქვილის მარაგით. მათი შვილები კარგად იცვამდნენ. კარგად ჭამდნენ და სწავლობდნენ საუკეთესო სკოლებში. ამ ხალხისთვის მათხოვრულ საფასურად მუშაობდნენ უმთავრესად სოფლის ღარიბები — ვინ პურისათვის, ვინ საჭმლისათვის, ვინ სათესლესათვის.

ჩვენ, ღარიბთა შვილები, ვხედავდით, როგორ უჭირდათ ჩვენს დედებს და მწარედ განვიცდიდით მათ ცრემლებს. და რარიგად გვიხაროდა, როცა მალოიაროსლავეცოდან ჩამოგვიტანდნენ თითო-თითო ბლითს ან თაფლაკვერს. ბოლოს, თუკი მშობლები მოახერხებდნენ ცოტაოდენი ფულის დაგროვებას საშობაოდ ან საალდგომოდ ღვეზელის გამოსაცხობად, მაშინ ჩვენს აღტაცებას საზღვარი არ ქონდა.

როცა ხუთი წელი შემისრულდა, ხოლო ჩემი და უკვე მეშვიდე წელში იყო გადამდგარი, დედას კიდევ ეყოლა ბიჭი, რომელსაც ალექსი დაარქვეს. იგი ძალიან სუსტი დაიბადა და ყველა შიშობდა, ვერ იცოცხლებსო. დედა ტიროდა და ამბობდა:

— აბა, რითი იქნება ბავშვი ჯანმრთელი? წყლითა და პურით?

მშობიარობიდან რამდენიმე თვის შემდეგ მან გადაწყვიტა, ისევ წასულიყო ქალაქში საშოვარზე. მეზობლები უშლიდნენ, ურჩევდნენ, მოფრთხილებოდა ბავშვს, რომელიც ჯერ კიდევ ძალზე სუსტი იყო და დედის რძეს საჭიროებდა. მაგრამ ოჯახის შიმშილის საშიშროებამ აიძულა დედა, წასულიყო. და ალიოშა ჩვენს ამარა დარჩა. მას ერთ წელსაც არ უცოცხლია. შემოდგომაზე დავასაფლავეთ უგოდსკი ზავოდში. მე და ჩემი და, დედმამაზე რომ არაფერი ვთქვათ, ძალიან განვიცდიდით ალიოშას სიკვდილს და ხშირად დავდიოდით მის საფლავზე.

იმავე წელს თავს დაგვატყდა მეორე უბედურება. სიძველის გამო სახლის სახურავი ჩამოგვენგრა.

— უნდა ავიბარგოთ აქედან, თორემ ყველანი გავისრისებით, — თქვა მამამ. — სანამ თბილა, ვიცხოვროთ ფარდულში, მერე კი ვნახოთ. იქნება ვინმემ შეგვიშვას აბანოში ან საცეხველში.

მახსოვს, აცრემლებული დედა გვეუბნებოდა:

— აბა, რა ვქნათ, საშველი არ არის, გადაიტანეთ, ბავშვებო, მთელი ხარა-ხურა სახლიდან ფარდულში.

მამამ გააკეთა პატარა ღუმელი საჭმელის მოსამზადებლად და მოვეწყვეთ ფარდულში შეძლებისამებრ.

„ახალბინადრობაზე" მამასთან მისი მეგობრები მოვიდნენ და გაეხუმრნენ:

— რაო, კოსტიუხა, ამბობენ, თითქოს შენ და ავი სული ერთმანეთში ვერ მორიგდით. გამოგაგდო სახლიდან?

— როგორ თუ ვერ მოვრიგდით? რომ ვერ მოვრიგებულიყავით, ხომ უთუოდ გაგვსრესდა ყველას, — თქვა მამამ.

— რას აპირებ ახლა? — ჰკითხა ნაზარიჩმა, მეზობელმა და მამაჩემის მეგობარმა.

— მართალი გითხრა, არ ვიცი...

— რა არის აქ საფიქრალი, — ჩაერია ლაპარაკში დედა, — ძროხას უნდა ჩავავლოთ ხელი რქებში და წავიყვანოთ ბაზარში. გავყიდით მას და ძელურას შევიძენთ. უკან მოხედვას ვერ მოასწრებ, ისე გაიცლის ზაფხული, ზამთარში კი აბა რისი აშენება შეიძლება?

— მართალს ამბობს უსტინია, — აყაყანდნენ გლეხები.

— მართალს ამბობს, მაგრამ მარტო ძროხის ფული არ იკმარებს,— თქვა მამამ, — ჩვენ კი მის გარდა მსოლოდ ბებერი ცხენი გვყავს.

მამაჩემის ამ სიტყვებს არავინ გამოხმაურებია, თუმცა ყველა ნათლად გრძნობდა, რომ წინ უფრო დიდი გასაჭირი გველოდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ მამამ სადღაც მოახერხა ხელსაყრელ ფასში, და ისიც ნისიად, პატარა ძელურის ყიდვა. მეზობლები დაგვეხმარნენ მის გადმოტანაში, და ნოემბრისათვის უკვე მზად იყო. ძელურა ჩალით დახურეს.

— არა უშავს, ვიცხოვრებთ ამაშიც, როცა გავმდიდრდებით, უკეთესს ავაშენებთ, — თქვა დედამ.

გარედან ჩვენი სახლი სხვებთან შედარებით უფრო შეუხედავი ჩანდა- ძველი ფიცრებისაგან იყო გაკეთებული, ფანჯრებში მინის ნატეხები ჰქონდა ჩასმული. მაგრამ მაინც ყველას გვიხაროდა, რომ ზამთრისათვის საკუთარი თბილი კუთხე გვქონდა, ხოლო რაც შეეხება სივიწროვეს, ნათქვამია, მოსიყვარულე ცოლ-ქმარი ცულის ტარზეც დაეტევაო.

1902 წლის ზამთარში მეშვიდე წელში გადავდექი. ეს ზამთარი ჩვენი ოჯახისათვის ძალიან მძიმე აღმოჩნდა: ძოესავლიანი წელი იყო და საკუთარი პური მხოლოდ დეკემბრის შუა რიცხვამდე გვეყო. მამისა და დედის ნაშოვარი ფული პურში, ძარილსა და ვალებში მიდიოდა. მადლობა მეზობლებს, ისინი ზოგჯერ გვაძლევდნენ ხან წვნიანს, ხან ფაფას. ასეთი ურთიერთდახმარება სოფლებში შემთხვევითი არ იყო, ეს უფრო უკიდურეს გაჭირვებაში მცხოვრები რუსი ხალხის მეგობრობისა და სოლიდარობის ტრადიციის გამოვლინება გახლდათ.

გაზაფხულის მოსვლასთან ერთად საქმე ცოტა იოლდებოდა. უფრო ადვილი ხდებოდა თევზაობა მდინარეებში — ოგუბლიანკასა და

პროტეაში. ოგუბლიანკა პატარა მეჩხერი და მეტად შლამიანი მდინარეა. სოფელ კონსტინკის ზემოთ. სოფელ ბოლოტსკის ახლოს. სადაც მდინარე პატარა ღელეებთან იღებდა სათავეს, ლრმა ადგილები იყო და სწორედ იქ იცოდა დიდრონი თევზები. ოგუბლიანკაში, განსაკუთრებით ჩვენი და მეზობელი სოფლის — ოგუბის მიდამოებში, ძალიან ბევრი იყო ნაოოტა, ქორჭილა და ჭანარი, რომლებსაც უმეტესად ფაცერით ვიჭერდით. ძალზე იღბლიან დღეებში, როცა თევზს უხვად ვიჭერდი, ნანადირევს მეზობლებსაც ვუზიარებდი ჩვენთვის მოცემული შჩისა და ფაფისათვის.

ჩვენ ბიჭებს, თევზის ჭერა ყველაზე უფრო პროტეაში გვიყვარდა, მიხაილოვის მთების რაიონში. იქ მისასვლელი გზა გადიოდა ხშირი ცაცხვისა და არყის ხის მშვენიერ ჭალებში, სადაც ცოტა როდი იყო მარწყვი და მინდვრის ხენდრო. ხოლო ზაფხულის ბოლოს ეამრაეი სოკო იცოდა. არყის ხის ჭალაში ყველა მახლობელი სოფლიდან მოდიოდნენ გლეხები და ხეებს აძრობდნენ ქერქს, რომლისგან ჭალამნებს ყრაედნენ. ჩვენში მას „საგარეო ბადურა ფეხსაცმელს“ ეძახდნენ.

ახლა ის ჭალები აღარ არის. ისინი გერმანელმა ოკუპანტებმა გაჩეხეს, ხოლო საშამულო ომის შემდეგ კოლმეურნეობამ იგი საყანედ გადახნა.

ერთხელ ზაფხულში მამამ მითხრა:

— აბა, ეგორ, შენ უკვე დიდი ხარ. ცალე რვა წლისა გახდები, დროა საქმეს მოჰკიდო ხელი. შენს ასაკში მე დიდივით ვმუშაობდი. აიღე ფოცხი, ხვალ სათიბად წავალთ, შენ და შენი და გაშლით, გააშრობთ და დაზვინავთ თივას.

მე მომწონდა თიბვა, სადაც ხშირად მიეყავდი უფროსებს. მაგრამ მხოლოდ ახლა ვხვდებოდი, რომ იქ თავის შესაქცევად აღარ მივდიოდი, როგორც ეს ხდებოდა უწინ. მე ვამაყობდი იმით, რომ ახლა თვითონაც ვღებულობდი მონაწილეობას შრომაში და ვხდებოდი ოჯახის სასარგებლო წევრი. სხვა საზიდებზეც დაეინახე ჩემი ტოლ-მეგობრები, რომელთაც ჩემებრ ფოცხი ეკავათ ხელში.

ვმუშაობდი დიდი მონდომებით და მსიამოვნებდა უფროსებისაგან შექება. მაგრამ, მგონი, მეტი მომივიდა: ხელისგულებზე კოჟრები გამიჩნდა. შემრცხვა ამის გამხელა, და სანამ შემეძლო, ვითმენდი. მაგრამ ბოლოს და ბოლოს კოჟრებიც დამისკდა და აღარ შემეძლო ფოცხვა.

— არაფერია, გაიელის! — თქვა მამამ, და ჩვრით შემიხვია ხელისგულები.

რამდენიმე დღე ვეღარ ვმუშაობდი ფოცხით და მხოლოდ ვეხმარებოდი დას თივის მიტანასა და დაზვინვაში. ბიჭები ჩუმ-ჩუმად დამცინოდნენ. მაგრამ რამდენიმე დღის მერე ისევ ჩავდექი მწყობრში და მათზე ნაკლებ არ ვმუშაობდი.

როცა პურის აღების დღე მოახლოვდა, დედამ მითხრა:

— დროა, შვილო, მკა ისწავლო. ქალაქში ახალი ნამგალი გიყიდე. ხვალ დილას ჭვავის მოსამკელად წავალთ.

მკამ კარგად ჩაიარა, მაგრამ მალე ისევ მარცხი მომივიდა. მინდოდა თავი გამომეჩინა წარმატებით, ვიჩქარე და ნამგლით მარცხენა ხელზე ნეკი წავითალე. შეშინდა დედაჩემი. შეეშინდი მეც. მეზობელმა, პრასკოვიამ, რომელიც იქვე ახლოს აღმოჩნდა, თითზე მრავალძარღვას ფოთოლი დამადო და მაგრად შემიხვია ჭინჭით.

მრავალმა წელმა განვლო მას შემდეგ, მაგრამ მარცხენა ნეკზე ნაიარევი დღემდე შემომრჩა და იგი ჩემს პირველ მარცხს მაგონებს სასოფლო-სამეურნეო ფრონტზე...

სწრაფად გავიდა შრომით აღსავსე ზაფხული. მე უკვე მივიღე მიხდვრის სამუშაოების გამოცდილება და ფიზიკურადაც მოვმაგრდი.

ახლოვდებოდა 1903 წლის შემოდგომა და ჩემთვისაც დგებოდა პასუხსაგები დრო. ჩემი ტოლი ბიჭები ემზადებოდნენ სკოლაში წასასვლელად. ვემზადებოდი მეც. დის ანბანის წიგნით ვცდილობდი ნაბეჭდი ასოების შესწავლას. ჩემს გარდა ამ შემოდგომაზე ჩვენი სოფლიდან სკოლაში უნდა წასულიყო კიდევ ხუთი ბიჭი, მათ შორის ჩემი ყველაზე საუკეთესო მეგობარი ლიოშკა კოლოტირნი. „კოლოტირნი" მისი ზედმეტი სახელი იყო, ნამდვილი გვარი კი — ჟუკოვი.

ჩვენს სოფელში ხუთი კომლი ჟუკოვები ცხოვრობდნენ. მოგვარეებს ერთიმეორისაგან დედათა სახელების მიხედვით არჩევდნენ. ჩვენ უსტინიას შვილებს გვეძახდნენ, სხვებს —ავდოტიას შვილებს, ტატიანას შვილებს და ა შ.

ჩვენ უნდა გვესწავლა საეკლესიო სამრევლო სკოლაში, რომელიც სოფელ ველიჩკოვოში, ჩვენგან კილომეტრნახევრის მოშორებით იმყოფებოდა. იქ სწავლობდნენ გარშემო მდებარე ოთხი სოფლის — ლიკოვოელი, ველიჩკოვოელი, სტრელკოვოელი და ოგუბელი ბავშვები.

ზოგიერთ ბავშვებს მშობლებმა ზურგჩანთები უყიდეს და ისინი ამაყობდნენ ამით. მე და ლიოშკას ზურგჩანთების ნაცვლად ტილოს ჩანთები შეგვიკერეს დედას განვუცხადე, ჩანთებს მხოლოდ მათხოვრები ატარებენ და ამით სკოლაში არ ვიელი- მეთქი.

— როცა მე და მამაშენი ფულს ვიშოვნით, აუცილებლად გიყიდით უკეთესს, მანამდე კი ამ ჩანთით იარე, — მითხრა დედამ.

სკოლაში ჩემმა დამ მაშამ წამიყვანა. იგი უკვე მეორე კლასში სწავლობდა. ჩვენს კლასში თხუთმეტმა ბიჭმა და ცამეტმა გოგონამ მოიყარა თავი.

მასწავლებელმა ჩვენთან გაცნობის შემდეგ ყველას თავისი მერხი შიუჩინა. გოგონები მარცხენა მხარეს მოათავსა, ბიჭები — მარჯვენა მხარეს. ძალიან მინდოდა კოლოტირნის გვერდით მოხვედრა, მაგრამ

მასწავლებელმა მითხრა, თქვენი ერთად დაჯდომა არ შეიძლება, რადგან ლიოშამ არც ერთი ასო არ იცის და თან ტანითაც პატარა არისო. იგი წინა მერხზე დასვეს, მე კი — სულ უკანასკნელზე. ლიოშკამ მითხრა, ვეცდები, რაც შეიძლება მალე შევისწავლო ყველა ასო, რომ აუცილებლად ერთად დაგესვანო. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ლიოშა მუდამ ჩამორჩენილი იყო. მას გაკვეთილის უცოდინარობის გამო ხშირად ტოვებდნენ კლასში მეცადინეობის შემდეგ, მაგრამ იგი რაღაც უჩვეულოდ ხმაამოუღებელი ბიჭი იყო და გული არ მოსდიოდა მასწავლებლებზე.

ჩვენ გვასწავლიდა სერგეი ნიკოლოზის ძე რემიზოვი, გამოცდილი პედაგოგი და კარგი ადამიანი. იგი ტყუილუბრალოდ არავის არ დასჯიდა და არც არასოდეს დაუყვირებდა მოწაფეებს. მოსწავლეები მას პატივს სცემდნენ და უყვარებდნენ. სერგეი ნიკოლოზის ძის მამა, წყნარი და კეთილი მოხუცი, მღვდელი იყო და „სამღვთო რჯულს" ასწავლიდა ჩვენსაავე სკოლაში.

სერგეი ნიკოლოზის ძეს, ისევე როგორც მის ძმას, ექიმს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს, ღმერთი არ სწამდა და ეკლესიაში მხოლოდ ზრდილობისათვის დადიოდა. ორივე ძმა საეკლესიო გუნდში მღეროდა. მე და ლიოშა კოლოტირნის კარგი ხმა გექონდა და ორივე ჩაგვრიცხეს სკოლის გუნდში.

ჩვენი სოფლის ბიჭები მეორე კლასში კარგი ნიშნებით გადავიდნენ, და მხოლოდ ლიოშა, მიუხედავად ჩვენი კოლექტიური დახმარებისა. არ გადაიყვანეს, ვინაიდან მას „სამღვთო რჯულში" ორიანი ჰყავდა.

ჩემი დაც ცუდად სწავლობდა და დარჩა მეორე კლასში. დედამ და მამამ გადაწყვიტეს, გამოეყვანათ სკოლიდან და ოჯახში დაესაქმათ. მაშა გულსაწვავად ტიროდა და ამტკიცებდა, მე არა ვარ დამნაშავე და კლასში მხოლოდ იმიტომ დავრჩი, რომ ბევრი გაკვეთილი გავაცდინე, როცა ალიოშას ვუვლიდი და დედა საშოვარზე მიდიოდა ქალაქშიო. დას მეც გამოვექომაგე და ვთქვი: სხვა მშობლებიც მუშაობენ, სხვებიც დადიან საშოვარზე, მაგრამ თავიანთი შვილები არ გამოჰყავთ სკოლიდან და ჩემი დის ამხანაგები ჩვეულებრივ განაგრძობენ სწავლას-მეთქი. ბოლოს და ბოლოს დედა დამეთანხმა. მაშა ძალიან კმაყოფილი დარჩა და მეც მახარებდა მისი სიხარული.

გვეცოდებოდა დედა. მე და ჩემს დას ჩვენი ბავშვური ჭკუით გვესმოდა, რომ მას ძალიან უჭირდა. ამასთან ერთად მამაც სულ უფრო იშვიათად და სულ უფრო ცოტა ფულს გვიგზავნიდა მოსკოვიდან. ადრე, ორი-სამი მანეთი მაინც მოსდიოდა დედაჩემს თვეში, ხოლო უკანასკნელ ხანებში ხან მანეთს გამოგზავნიდა მამა, ხან კიდევ ნაკლებს. მეზობლები გვეუბნებოდნენ, მარტო მამათქვენი კი არა, ყველა მოსკოველი მუშა ასეთ დღეშიაო.

მახსოვს, 1904 წლის მიწურულს მამა სოფელში ჩამოვიდა. მე და

ჩემს დას ძალიან გაგვიხარდა და ერთი სული გვქონდა, როდის მოგვცემდა რაიმე მოსკოვურ საჩუქარს.

მაგრამ მამამ გვითხრა, ამჯერად ვერაფერი ჩამოგიტანეთო. იგი ჩამოვიდა პირდაპირ საავადმყოფოდან, სადაც ბრმანაწლავის ოპერაციის შემდეგ ოცი დღე წოლილა, და ბილეთის ფულიც კი ამხანაგებისაგან უსესხებია.

მამაჩემს სოფელში პატივს სცემდნენ, ანგარიშს უწევდნენ მის აზრს. შეკრებებზე უკანასკნელი სიტყვა ჩვეულებრივად მას ეკუთვნოდა. მე ძალიან მიყვარდა მამა და ისიც მანებივრებდა. იყო შემთხვევები, როცა სასტიკად მსჯიდა რაიმე დანაშაულისათვის და მცემდა კიდეც სახარაზო ღვედით, მაიძულებდა, პატიება მეთხოვა. მაგრამ ჯიუტი ვიყავი, და რამდენიც არ უნდა ეცემა, ვითმენდი, პატიებას მაინც არ ვთხოვდი.

ერთხელ ისე მაგრად გამწკეპლა, რომ სახლიდან გავიქეცი და სამი დღე-ღამე მეზობლის ფარდულში ვიმალებოდი. დის მეტმა არავინ იცოდა ჩემი ადგილსამყოფელი. ჩვენ შევთანხმდით, რომ იგი არ გამცემდა და საჭმელს მომიტანდა. სად არ მეძებდნენ, მაგრამ კარგად ვიყავი შენიღბული. ჩემს თავშესაფარში შემთხვევით მიპოვა მეზობელმა ქალმა და შინ წამიყვანა. მამამ კიდეგ დამიმატა, ოღონდ მერე შემიცოდა და მაპატია.

მახსოვს, მამა როგორღაც კარგ ხასიათზე იყო და ტრაქტირში წამიყვანა ჩაის დასალევად. ტრაქტირი მეზობელ სოფელში — ოგუბში იყო. მისი პატრონი, სოფლის შეძლებული კაცი ნიკიფორე კულაგინი, სხვადასხვა საბაყლო საქონლით ვაჭრობდა. მამაკაცებსა და ახალგაზრდებს უყვარდათ თავის მოყრა ტრაქტირში, სადაც შეიძლებოდა ახალი ამბების მოსმენა, ლოტოსა და ბანქოს თამაში, დალევა რაიმე საბაბის გამო, ანდა სრულიად უსაბაბოდ.

მე მომეწონა ჩაის სმა ტრაქტირში უფროსებთან ერთად, რომლებიც ჭკვიანურ ამბებს ჰყვებოდნენ მოსკოვსა და პეტერბურგზე. მამას ვუთხარი, ყოველთვის ვივლი შენთან ერთად, რომ მოვისმინო, დიდები რას ლაპარაკობენ-მეთქი.

ტრაქტირში ხელზე მოსამსახურედ მუშაობდა ჩემი ნათლიდედის ღვიძლი ძმა პროხორი. მას ფეხი ჰქონდა დაზიანებული და ყველა კოკლ პროშკას ეძახდა. მიუხედავად სიკოკლისა, პროხორი გატაცებული მონადირე გახლდათ. ზაფხულობით იხვებზე ნადირობდა, ხოლო ზამთარში კურდღელზე, რომელიც მაშინ უამრავი იყო ჩვენში, განსაკუთრებით ნაცარა კურდღელი.

პროხორს ხშირად დავყავდი თან. ნადირობა უდიდეს კმაყოფილებას მგვრიდა. განსაკუთრებით მიხაროდა, როცა იგი ჩემს მიერ გამოგდებულ კურდღელს მოკლავდა. იხვებზე სანადიროდ მდინარე ოგუბლიანკაზე ან ტბაზე დავდიოდით. პროხორი ჩვეულებრივ, აუცდენლად

ისროდა. ჩემს მოვალეობას შეადგენდა, მოკლული იხვი წყლიდან გამომეტანა.

მე დღემდე გატაცებით მიყვარს ნადირობა. შესაძლოა, ეს სიყვარული ბავშვობის წლებში ჩამინერგა პროხორმა.

მამა მალე ისევ მოსკოვში წავიდა. გამგზავრების წინ მან დედას უთხრა, სულ უფრო ხშირდება მოსკოვსა და პეტერბურგში უმუშეურობითა და სასტიკი ექსპლოატაციით სასოწარკვეთილებამდე მისული მუშების გაფიცვებიო.

— შეხ, ოჯახის უფროსო, ნუ ჩაერევი სხვის საქმეში, თორემ ჟანდარმები ისეთ ადგილას გიკრავენ თავს, რომ ყველაფერი უკან დაგრჩება, — აფრთხილებდა დედა.

— მუშის საქმე ასეთია, სადაც სხვები — იქაც შენ, — უპასუხებდა მამა.

მამის წასვლის შემდეგ დიდხანს არაფერი ვიცოდით მის შესახებ და ძალიან ვწუხდით.

მალე გავიგეთ, რომ პიტერში 1905 წლის 9 იანვარს მეფის ჯარებმა და პოლიციამ დახვრიტეს მუშების მშვიდობიანი დემონსტრაცია, რომელიც პეტიციით მიდიოდა მეფესთან ცხოვრების პირობების გაუმჯობესების სათხოვნელად.

იმავე წლის გაზაფხულზე სოფლებში სულ უფრო ხშირად ჩამოდიოდნენ უცნობი პირები, აგიტატორები, რომლებიც მოუწოდებდნენ ხალხს მემამულეებისა და მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ჩვენთან სოფელში საქმე არ მისულა გლეხების აქტიურ გამოსვლებამდე, მღელვარება კი მათ შორის დიდი იყო. გლეხებმა იცოდნენ პოლიტიკური გაფიცვების, ბარიკადული ბრძოლებისა და მოსკოვში დეკემბრის აჯანყების ამბები. იცოდნენ ისიც, რომ აჯანყება მოსკოვსა და რუსეთის სხვა ქალაქებში სასტიკად ჩაახშო მეფის მთავრობამ და მუშათა კლასის სათავეში მდგომი ბევრი რევოლუციონერი მხეცურად გაანადგურა, ციხეებში გამოამწყვდია ან კატორღაში გაგზავნა. სოფელშიც გაიგეს ამბავი ლენინისა, მუშებისა და გლეხების ინტერესების გამომხატველი ბოლშევიკური პარტიის ბელადისა, იმ პარტიისა, რომელიც იბრძოდა მემამულეების, კაპიტალისტების, მეფის უღლისაგან მშრომელთა განთავისუფლებისათვის.

ყველა ეს ცნობა ჩამოჰქონდათ ჩვენს თანასოფლელებს, რომლებიც მოსკოვსა, პეტერბურგსა და რუსეთის სხვა ქალაქებში მუშაობდნენ.

1906 წელს მამა დაბრუნდა სოფელში. მან გვითხრა, მოსკოვში ვეღარ წავალ, ვინაიდან პოლიციამ ამიკრძალა ქალაქში ცხოვრება და მხოლოდ მშობლიურ სოფელში ყოფნის ნება დამრთესო. მე კმაყოფილი დავრჩი იმით, რომ მამა სამუდამოდ დაბრუნდა.

იმავე წელს დავამთავრე საეკლესიო სამრევლო სკოლა. ყველა კლასში „ფრიადზე“ ვსწავლობდი და მივიღე ქების ფურცელი. ოჯახში კმაყოფილნი იყვნენ ჩემი წარმატებებით, და მეც მიხაროდა. სკოლის წარჩინებით დამთავრების გამო დედამ ახალი ხალათი მაჩუქა, ხოლო მამამ თვითონ შემიკერა ჩექმები.

— აი, ახლა უკვე წერა-კითხვის მცოდნე ხარ, შეიძლება შენი წაყვანა მოსკოვში ხელობის შესასწავლად, — მითხრა მამამ.

— ერთი წელი კიდევ დარჩეს აქ, მერე კი წავიყვანოთ ქალაქში, დაე, ცოტა კიდევ წამოიზარდოს... — შენიშნა დედამ.

შემოდგომაზე მეთერთმეტე წელში გადავდექი. ვიცოდი, ეს ჩემი უკანასკნელი შემოდგომა იყო მშობლიურ სახლში. გავიდოდა ზამთარი, და მე ხალხში უნდა გავსულიყავი. ძალიან დატვირთული ვიყავი საოჯახო საქმეებით. დედა ხშირად დადიოდა ქალაქში ტვირთის საზიდად, ხოლო მამა გამთენიიდან გვიან ღამემდე ხარაზობდა. მას მეტად მცირე შემოსავალი ჰქონდა, რადგან თანასოფლელებს გაჭირვების გამო იშვიათად თუ შეეძლოთ მისთვის საფასურის გადახდა. დედა ხშირად ლანძღავდა მამას, თითქმის მუქთად მუშაობო.

როცა მამა ნახელავში რიგიანად მიიღებდა, მაშინ უგოდსკი ზავოდიდან ჩვეულებრივ ნასვამი ბრუნდებოდა. მე და ჩემი და მას სახლის წინ ვხვდებოდით, და იგი გვაძლევდა საჩუქარს — ბლითს ან კამფეტს.

ზამთარში, საოჯახო საქმეებიდან თავისუფალ დროს, მე უფრო ხშირად სათევზაოდ დავდიოდი, თვითნაკეთი ციგურებით დავსრიალებდი ოგუბლიანკაზე ან თხილამურებით ვეშვებოდი მიხალიოვის მთებიდან.

ახლოვდებოდა ზაფხული. გულს მიკლავდა ფიქრი იმაზე, რომ მალე უნდა დამეტოვებია სახლი, მშობლები, მეგობრები და წავსულიყავი მოსკოვში. მესმოდა, რომ არსებითად მთავრდებოდა ჩემი ბავშვობა. მართალია, გასული წლები მხოლოდ პირობითად თუ შეიძლებოდა ბავშვობის წლებად ჩამეთვალა, მაგრამ უკეთესის იმედი მე არც მქონდა.

მახსოვს, როგორ შეიკრიბნენ მეზობლები ერთ-ერთ საღამოს ჩვენს მიწაყრილზე. ლაპარაკი ჩამოვარდა ბიჭების გაგზავნაზე მოსკოვში. ზოგი თავისი შვილის წაყვანას უახლოეს დღეებში აპირებდა, სხვებს კი უნდოდათ კიდევ დაეცადათ ერთი-ორი წელი. დედამ თქვა, რომ მე წამიყვანდა ბაზრობის შემდეგ, რომელიც იმართებოდა ჩვენთან სამების დღესასწაულის კვირაძალს. ლიოშა კოლოტირნი უკვე მიბარებული იყო შეგირდად ჩვენს სოფლელთან მდიდარ მურაშკინთან, სადურგლო სახელოსნოში.

მამამ მკითხა, რა ხელობა გინდა შეისწავლოო. მე ვუპასუხე, სტამბაში მუშაობა მინდა-მეთქი. მამამ თქვა, რომ ჩვენ არა გვყავს ისეთი ნაცნობი, რომ დაგვეხმაროს სტამბაში შენს მოწყობაზეო. მაშინ დედამ გადაწყვიტა, ეთხოვა თავის ძმის მიხეილისათვის, აკეთებინე შეგირდად ქურქის

სამკერვალოში. მამაჩემი დათანხმდა, რადგან ქურქჩები კარგად შოულობდნენ ფულს. თვითონ მე კი მზად ვიყავი ყოველგვარი სამუშაოსათვის, ოღონდ რაიმეთი დავხმარებოდი ოჯახს.

1907 წლის ივნისში, მეზობელ სოფელ ჩორნაია გრიაზში ჩამოვიდა დედაჩემის ძმა მიხეილ არტემის ძე პილიხინი. მასზე ღირს რამდენიმე სიტყვის თქმა.

მიხეილ პილიხინი დედაჩემივით სიღარიბეში გაიზარდა. თერთმეტი წლის ბიჭი ხელობის შესასწავლად ქურქის სამკერვალოში მიაბარეს. ოთხნახევარი წლის შემდეგ იგი ოსტატი გახდა. მიხეილი ძალიან ხელმომჭირნე ყმაწვილი იყო და რამდენიმე წელიწადში შეაგროვა ფული, რითაც საკუთარი პატარა სახელოსნო გახსნა. მან, როგორც კარგმა ოსტატმა-ქურქჩამ, მრავალი მდიდარი შემკვეთი შეიძინა, რომლებსაც უმოწყალოდ აძრობდა ტყავს.

პილიხინმა თანდათან გააფართოვა სახელოსნო, მუშა-ქურქჩების რიცხვი რვა კაცამდე აიყვანა და იმათ გარდა მუდმივად ჰყავდა ოთხი ბიჭი-შეგირდი. როგორც მუშებს, აგრეთვე შეგირდებსაც, პილიხინი დღედაღამ ამუშავებდა. ასე დააგროვა მან დაახლოებით ორმოცდაათი ათასი მანეთი ოქროთი.

აი, ამ ჩემს ბიძას სთხოვა დედამ, აეყვანე შეგირდად. იგი წავიდა მასთან სოფელ ჩორნაია გრიაზში, სადაც მიხეილი ზაფხულს ატარებდა. იქიდან მობრუნებულმა დედამ მითხრა, ჩემ ძმას უნდა შენი ნახვა და გაცნობაო. მამამ იკითხა, როგორი პირობები წამოაყენა პილიხინმაო.

— ხომ იცი, — უპასუხა დედამ. —ოთხნახევარი წელიწადი უნდა იყოს შეგირდად, მერე კი ოსტატი იქნება.

— რას იზამ, რახან ასეა, — თქვა მამამ, — უნდა წავიყვანო ეგორკა მიხეილთან.

ორი დღის შემდეგ მე და მამაჩემი ჩორნაია გრიაზში წავედით. პილიხინის სახლთან შიახლოებისას მამამ დამარიგა:

— შეხედე, აი იქ, პარმალზე, ზის შენი მომავალი პატრონი. როცა მიუახლოვდები, თავი დაუკარი და თქვი, „გამარჯობათ, მიხეილ არტემის ძე!"

— არა, მე ვიტყვი: „გამარჯობათ, „ძია მიშა!" — შევეპასუხე მე.

— დაივიწყე, რომ იგი ბიძად გეკუთვნის, ის შენი მომავალი პატრონია, მდიდრებს კი არ უყვართ ღარიბი ნათესავები. ეს კარგად დაიმახსოვრე.

როცა მივუახლოვდით პარმალს, სადაც ძია მიშა მოწნულ სავარძელში გაშხლართულიყო, მამა მიესალმა და მერე მე წამიბიძგა. პილიხინმა არ უპასუხა მამაჩემს არც მისალმებაზე და არც ხელი გაუწოდა, ისე შემობრუნდა ჩემსკენ. მე თავი დავუკარი და წარმოვთქვი:

— გამარჯობათ, მიხეილ არტემის ძე!

— გაგიმარჯოს, ვაქკაცო! რაო, ქურქჩი გინდა გამოხვიდე?

მე გავჩუმდი.

— დაე, ასე იყოს, ოღონდ იცოდე, ქურქჩობა კარგი ხელობაა, მაგრამ ძნელი.

— მას სიძნელეების არ უნდა შეეშინდეს, შრომას შეჩვეულია პატარაობიდანვე, — უთხრა მამამ.

— წერა-კითხვა იცის?

მამამ უჩვენა ჩემი ქების ფურცელი.

— ყოჩაღ! — მითხრა ბიძამ, მერე კი თავი კარისაკენ მიაბრუნა და დაიყვირა: — ჰეი, თქვენ, შტერებო, მოდით აქ!

ოთახიდან კარგად ჩაცმული და ჩასუქებული მისი ბიჭები ალექსანდრე და ნიკოლოზი გამოვიდნენ, ბოლოს თვით დიასახლისიც გამოჩნდა.

— აი, შეხედეთ, დამთხვეულებო, როგორ უნდა სწავლა, — უთხრა ბიძამ და უჩვენა მათ ჩემი ქების ფურცელი, — თქვენ კი სულ სამცხენათი მიჩანჩალებთ.

დაბოლოს მიუბრუნდა მამაჩემს და უთხრა:

— მაშ ასე, ავიყვან შეგირდად შენს ვაჟს. იგი ღონიერი ბიჭია და ვფიქრობ, არც ბრიყვი იქნება. აქ რამდენიმე დღე დავრჩები. მერე მოსკოვში წავალ, მაგრამ ჯერ-ჯერობით მას თან ვერ წავიყვან. ერთი კვირის შემდეგ მოსკოვში მოდის ჩემი ცოლისძმა სერგეი. აი, ის ჩამოიყვანს შენს ვაჟს ჩემთან.

ამ გადაწყვეტილებით დავშორდით ერთმანეთს.

მე ძალიან გამეხარდა, რომ ერთ კვირას კიდევ ვიქნებოდი სოფელში.

— როგორ შეგხვდათ ჩემი ძამიკო? — იკითხა დედამ.

— ხომ იცი, როგორ ხვდებიან ჩემისთანებს მდიდარი მეპატრონეები, — უპასუხა მამამ.

— ჩაიზე არ მიგიპატიჟათ?

— გზაზე დაღლილებს დაჯდომაც კი არ შემოგვთავაზა. თვითონ იჯდა, ჩვენ კი ჯარისკაცებივით ფეხზე ვიდექით. — და გაბრაზებულმა დაუმატა: — აბა, რად გვინდოდა იმის ჩაი, მე და ჩემი ვაჟი ახლავე ტრაქტირში წავალთ და საკუთარი შრომით ნაშოვნი გროშებით დავლევთ ჩაის.

დედამ ხელში ბლითი შემომაჩეჩა, და, ჩვენც ტრაქტირისაკენ გავეშართენით.

მოსკოვში გამგზავრების სამზადისს ბევრი დრო არ დასჭირებია. დედამ შემიხვია წყვილი საცვალი, წყვილი ფეხსახვევი და პირსახოცი. საგზლად ხუთიოდე კვერცხი და რამდენიმე კვერი გამატანა. ლოცვის

წარმოთქმის შემდეგ, ძველი რუსული ადათის მიხედვით, მერხზე ჩამოესხედით.

—აბა, შვილო, ღმერთმა ხელი მოგიმართოს. — მითხრა დედამ და, მწარედ აქვითინებულმა, გულში ჩამიკრა. შევნიშნე, რომ მამასაც თვალები გაწითლებოდა და ლოყებზე ცრემლი ჩამოუგორდა. მეც კინაღამ ავღრიალდი, მაგრამ თავი შევიმაგრე.

ჩორნაია გრიაზამდე მე და დედამ ფეხით ვიარეთ. ამ გზით დავდიოდი წინათ სკოლაში. ამავე გზით დავდიოდი ტყეში კენკრასა და სოკოზე. .

— გახსოვს, დედა, აი, იმ ნაკვეთზე, სამი მუხის ახლოს, მკისას ნეკი რომ წავითალე?

— მახსოვს, შვილო. დედებს ყოველთვის ახსოვთ, რაც შეემთხვევათ შვილებს. ცუდად იქცევიან შვილები, როცა ივიწყებენ თავიანთ დედებს.

— არა, დედა, მე არასოდეს არ დაგივიწყებ! — მტკიცედ ვუთხარი მე.

როცა მე და ძია სერგეი მატარებელში ჩავჯექით, კოკისპირულმა წვიმამ დაუშვა. ვაგონში ჩამობნელდა. ერთი ქონის სანთელი ძლივს ანათებდა მესამე კლასის ვაგონის ვიწრო გასასვლელს. დაიძრა მატარებელი. ფანჯრის მიღმა ტყეების მუქმა ზოლმა და შორეული სოფლების ციმციმა სინათლეებმა გაიელვა.

მანამდე არ მემგზავრა მატარებლით და არც რკინიგზა მენახა. ამიტომ ამ მგზავრობამ ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. გავიარეთ სადგური ბალაბანოვო. ეცებ შორს რაღაცნაირი, გაკაშკაშებული მრავალსართულიანი შენობები გამოჩნდა.

— ძია, ეს რა ქალაქია? — შევეკითხე ვაგონის ფანჯარასთან მდგარ ხნიერ კაცს.

—ეს ქალაქი არ არის, ყმაწვილო. ნაროფომინსკის საქსოვი ფაბრიკაა სავა მოროზოვისა. ამ ფაბრიკაში 15 წელიწადი ვიმუშავე, ახლა კი აღარ ვმუშაობ, — ნაღვლიანად შენიშნა მან.

— რატომ? — ვკითხე მას.

— ეს გრძელი ამბავია... აქ დავმარხე ცოლი და ქალიშვილი.

დავინახე, როგორ გაფითრდა იგი და ერთი წუთით თვალები დახუჭა.

— რამდენჯერაც არ უნდა გავიარო ამ დაწყევლილი ფაბრიკის ახლოს, არ შემიძლია მშვიდად შევხედო ამ საშინელებას, რომელმაც შთანთქა ჩემი საყვარელი ადამიანები...

იგი უცებ მოსცილდა ფანჯარას, ვაგონის ბნელ კუთხეში მიიყუჟა და გაბოლა, მე კი განვაგრძობდი ცქერას იმ „საშინელებისაკენ", რო-

მელიც „ნოქავდა" ადამიანებს, მხოლოდ ვერ გავბედე მეკითხა, როგორ მოხდა ეს.

მოსკოვში გათენებისას ჩავედით. ვაგზალმა განმაცვიფრა. ყველანი მიიჩქარიოდნენ გასასვლელისაკენ, ერთმანეთს ეჯახებოდნენ იდაყვებით, კალათებით, ჩანთებით, სკივრებით. მე არ მესმოდა, ასე რატომ ჩქარობდა ყველა.

— პირს ნუ დააღებ, აქ სოფელი არ გეგონოს, ფრთხილად იყავი,— მითხრა ჩემმა მეგზურმა.

დაბოლოს გამოვაღწიეთ ვაგზლის მოედანზე.

ტრაქტირის ახლოს, მიუხედავად ადრიანი დილისა, გაცხოველებული ვაჭრობა გაეჩაღებინათ. ჰყიდდნენ თაფლუქს, კვერს, ჯიგრის ღვეზელს, შიგნეულსა და სხვა საჭმელს, რითაც ჩამოსულებს იაფად შეეძლოთ დანაყრება. ბიძაჩემთან წასვლა ჯერ კიდევ ადრე იყო, ამიტომ გადავწყვიტეთ. ტრაქტირში შეგვეევლო. ტრაქტირთან წყლისა და ტალახის გუბეები იდგა, ტროტუარსა და ზედ მიწაზე მთვრალი მაწანწალები მოკალათებულიყვნენ. სამიკიტნოში ხმამაღლა უკრავდა მუსიკა. მე ვიცანი მელოდია ნაცნობი სიმღერისა «Шумел, горел пожар Московский». ზოგიერთს უკვე მოესწრო შეზარხოშება და არეულ-დარეულად აყოლებდა ხმას მუსიკას.

ტრაქტირიდან ბოლშოი დოროგომილოვის ქუჩისაკენ გავემართეთ და იქ დაველოდეთ კონკას. მაშინ ამ ქუჩაზე ტრამვაი არ დადიოდა, საერთოდ, იგი ის-ის იყო, გამოჩნდა მოსკოვში. კონკაში ჩაჯდომისას, სიჩქარესა და ფაციფუცში, ჩემ წინ კიბეზე ამავალმა ვიღაც მამაკაცმა შემთხვევით მაგრად მომარტყა ცხვირში ქუსლი. ცხვირიდან სისხლი წამსკდა.

— ხომ გეუბნებოდი, ფრთხილად იყავი-მეთქი! — გაჯავრებით დამიცაცხანა სერგეიმ. უცნობმა ძიამ კი ჩვრის ნაჭერი მომცა და მკითხა:

— სოფლიდან ხომ არა ხარ? მოსკოვში ცხვირს ზემოთ უნდა იყურო, — დაუმატა მან.

ვაგზლის მოედანსა და მის ახლო მდებარე ქუჩებს არ მოუხდენია ჩემზე რაიმე განსაკუთრებული შთაბეჭდილება: აქ პატარა, გაქუცულნი ხის სახლები იდგა. დოროგომილოვის ქუჩა ტალახიანი იყო, ქვაფენილს დიდი ღრანტეები გასჩენოდა, გვხვდებოდა ბევრი მთვრალი, ხალხის უმრაველესობას ცუდად ეცვა.

მაგრამ, რამდენადაც ვუახლოვდებოდით ცენტრს, ქალაქი სულ უფრო იცვლებოდა: გამოჩნდა დიდი სახლები, ლამაზად მორთული მაღაზიები, მარდად მონავარდე ცხენები. მეგონა, ბურუსში ვიმყოფებოდი, ცუდად ვაზროვნებდი და რაღაც დაჩაგრულად ვგრძნობდი თავს. არასოდეს არ მენახა ორსართულიანზე უფრო მაღალი სახლები, მოკირწყლული ქუჩები, ეტლები გაბერილი სალტეებითა და კოხტა მეეტლე-

ებით, ანუ, როგორც მათ უწოდებდნენ—„ლიხაჩები". ისინი დიდი სისწრაფით დააქროლებდნენ ლაჟვაზ ორლოვეურ ცხენებს. არასოდეს შენახა ამდენი ხალხი ქუჩებში. ყველაფერი ეს ჩემს გაოცებას იწვევდა, ხმას ვერ ვიღებდი, დაბნეულად ვუსმენდი ჩემს გამყოლს.

ჩვენ ბოლშაია დიმიტროვკისაკენ (ახლა პუშკინის ქუჩა) შევუხვიეთ და კონკიდან კამერჰერის შესახვევის (ახლა სამხატვრო თეატრის გასასვლელი) კუთხეში ჩამოვედით.

— აი სახლი, სადაც შენ იცხოვრებ, ეზოში კი სახელოსნოა, იქ იმუშავებ, — ჩითხრა სერგეიმ. — წინა შესასვლელი ბინაში კამერჰერის შესახვევიდანაა, მაგრამ ოსტატები და შეგირდები მხოლოდ უკანა კარიდან, ეზოდან შედიან. — კარგად დაიმახსოვრე, — განაგრძო მან. — აი, კუზნეცკი მოსტი, აქ მოსკოვის ყველაზე საუკეთესო მაღაზიებია. ხოლო ეს ზიმინის თეატრია, მაგრამ იქ მუშები არ დადიან. იქით და მარჯვნივ ოხოტნი რიადია, სადაც ჰყიდიან მწვანილეულობას, გარეულ ფრინველს, ხორცსა და თევზს. დიასახლისის დავალებით იქ ივლი საყიდლებზე.

დიდი ეზოს გავლის შემდეგ მივედით იქ მომუშავე ადამიანებთან, მივესალმეთ ოსტატებს, რომლებსაც სერგეი პატივისცემის ნიშნად სახელითა და მამის სახელით მიმართავდა.

— აი, ხელობის შესასწავლად სოფლიდან ახალი შეგირდი ჩამოგიყვანეთ.

— ბიჭი ძალიან პატარაა, კარგი იქნებოდა, ცოტა კიდევ წამოზრდილიყო, — შენიშნა ვიღაცამ.

— რამდენი წლისა ხარ, ბიჭო? — მკითხა მაღალმა ძიაკაცმა, — მართალია, ტანად პატარაა, მაგრამ სამაგიეროდ ჩაფსკვნილია.

— არა უშავს, კარგი ქურქჩი გამოვა, — ალერსიანად თქვა მოხუცმა ოსტატმა.

ეს იყო თედორე ივანეს ძე კოლესოვი, როგორც მერე დავრწმუნდი, ყველაზე სამართლიანი, გამოცდილი და ავტორიტეტიანი კაცი ოსტატებს შორის.

სერგეიმ განზე გამიხმო, თითოეული ოსტატისა და შეგირდის სახელი მითხრა და გამაცნო ისინი.

კარგად დამამახსოვრდა ძმები მიშინები.

— უფროსი ძმა კარგი ოსტატია, მხოლოდ ბევრს სვამს, — მითხრა სერგეიმ, — აი ის, უმცროსი, ფულის ხარბია, ამბობენ, საუზმეზე, სადილსა და ვახშამზე ათ კაპიკზე მეტს არ ხარჯავსო. ყოველი მათგანი საკუთარ საქმეზე ოცნებობს. აგერ ის, მიხაილო, ხშირად გაბმით ლოთობს. ფულის მიღების შემდეგ ორი-სამი დღე გამოუფხიზლებლად სვამს. შეუძლია უკანასკნელი ნიფხავ-პერანგი არაყში მისცეს, მაგრამ როგორც ოსტატს, ოქროს ხელი აქვს. იქ რომ დგას, — სერგეიმ ხელით მიჩვენა

მაღალ ბიუზე. — იგი თავი შეგირდია, შენი უშუალო უფროსი. მას კუზმას ეძახიან. ერთი წლის შემდეგ ოსტატი იქნება. ხომ ხედავ იმ ხუჭუჭთმიანს, იგი გრიგოლ მატვეევია, სოფელ ტრუბინოდან, შენ შორეულ ნათესავად გერგება.

ჩაბნელებული და ჭუჭყიანი კიბით მეორე სართულზე ავედით და სახელოსნოს მივადექით.

დიასახლისი გამოვიდა, მოგვესალმა და გვითხრა, პატრონი ახლა შინ არ არის, მაგრამ მალე მოვაო.

— წამოდი, ბინას დაგათვალიერებინებ, მერე კი სამზარეულოში ისადილებ.

დიასახლისმა დაწვრილებით ამიხსნა ჩემი მომავალი მოვალეობა, — ყველაზე უმცროსი შეგირდის მოვალეობა: ოთახების დალაგება, მეპატრონისა და მისი შვილების ფეხსაცმელების გაწმენდა, მიჩვენა, სად და როგორი კანდელები იდგა ხატებთან, როდის და როგორ უნდა ამენთო ისინი და ა. შ.

— დანარჩენს კუზმა და უფროსი ოსტატი ქალი მატრიოშა აგიხსნის. — დაუმატა მან.

მერე თავმა შეგირდმა კუზმამ მიმიხმო სამზარეულოში სადილზე. ძალზე მშიერი ვიყავი და მადიანად შევუდექი ჭამას. მაგრამ აქ გაუთვალისწინებელი ამბავი შემემთხვა. მე არ ვიცოდი არსებული წესი, რომლის მიხედვითაც თურმე დიდი ლანგარიდან პირველად შეექცეოდნენ მხოლოდ წვენს, ხოლო ბოლოს, როცა უფროსი ოსტატი მატრიოშა ლანგარზე დააკაკუნებდა, შეიძლებოდა ხორცის ნაჭრის აღება. მე მაშინვე დავითრიე ორი ნაჭერი ხორცი, კმაყოფილებით შევსანსლე და უკვე დავაპირე მესამის ამოღება, რომ მოულოდნელად კოვზი მხეთქეს შუბლში. დარტყმა ისეთი ძლიერი იყო, რომ იმ წამსვე კოპი დამაჯდა.

შემრცხვა იმისა, რომ მოსკოვში ჯერ მხოლოდ ნახევარი დღის ჩამოსული ვიყავი და უკვე ორჯერ გამლახეს.

თავი შეგირდი კუზმა ძალიან კარგი ბიჭი გამოდგა.

— ეს არაფერია, გულს ნუ გაიტეხ, როცა გცემენ. ერთ გალახულში ორ გაულახავს იძლევიან, — მითხრა მან სადილის შემდეგ.

იმავე დღეს კუზმამ წამიყვანა უახლოეს დუქნებში, სადაც შემდგომ მომიხდებოდა თამბაქოსა და არაყის ყიდვა ოსტატებისათვის. მზარეულმა ქალმა (იგივე უფროსმა ოსტატმა) მატრიოშამ მიჩვენა, როგორ გამერეცხა და გამესუფთავებინა ჭურჭელი სამზარეულოში, როგორ გამეჩაღებინა სამოვარი.

მეორე დღეს დილიდანვე დამსვეს სახელოსნოს კუთხეში და მითხრეს, პირველ რიგში შეისწავლე ბეწვეულის კერვაო. თავმა ოსტატმა მომცა ნემსი, ძაფი და სათითე. მან ამიხსნა კერვის ტექნიკა და მითხრა:

— თუ რაიმე არ გამოგივიდეს, მოდი ჩემთან და გასწავლი, როგორ უნდა შეკერო.

ბეჯითად შეუდექი ჩემს პირველ შრომით გაკვეთილებს.

ოსტატები მუშაობას იწყებდნენ დილის სრულ შვიდ საათზე და ამთავრებდნენ საღამოს შვიდ საათზე. ერთ საათს სადილობისას ისვენებდნენ. მაშასადამე სამუშაო დღე ორმეტ საათს გრძელდებოდა, ხოლო როცა ბევრი სამუშაო იყო, ოსტატები ღამის ათ-თერთმეტ საათამდე რჩებოდნენ. ასეთ შემთხვევაში სამუშაო დღე თხუთმეტ საათს აღწევდა დღე-ღამეში. საზეგანაკვეთო მუშაობისათვის ისინი დამატებითს სანარდო გასამრჯელოს იღებდნენ.

შეგირდები ყოველთვის დილის ექვს საათზე ვდგებოდით, სწრაფად დავიბანდით, მოვამზადებდით სამუშაო ადგილზე ყველაფერს, რაც ესაჭიროებოდათ ოსტატებს მუშაობისათვის. ვწვებოდით საღამოს თერთმეტ საათზე, ოღონდ წინასწარ უნდა მიგველაგებინა ყველაფერი და მოგვემზადებინა მეორე დღისათვის. გვეძინა იქვე, სახელოსნოში, იატაკზე, ხოლო თუ ძალზე ცივდა, უკანა კარის შემოსასვლელში ფიცარნაგზე ვეყარეთ.

თავდაპირველად ძალიან ვიღლებოდი. ვერ შევეჩვიე გვიან დაწოლას. სოფლად ყველანი, ჩვეულებრივ, ადრე ვიძინებდით. დროთა განმავლობაში ყველაფერს შევეგუე და შეუპოვრად ვიტანდი მძიმე სამუშაო დღეს.

პირველ ხანებში ძალიან მენატრებოდა სოფელი და სახლი. მაგონდებოდა ჩვენი ლამაზი ჭალები, სადაც ასე მიყვარდა პროხორთან ხეტიალი ნადირობისას, დასთან ერთად წასვლა კენკრისა და სოკოს მოსაკრეფად, ფიჩხის მოსატანად. გული მეკუმშებოდა და ცრემლი ყელში მებჯინებოდა. ვფიქრობდი, რომ ვერასოდეს ვერ ვნახავდი დედას, მამას, დასა და ამხანაგებს. შეგირდებს მშობლების სანახავად შინ მხოლოდ სამი წლის შემდეგ უშვებდნენ და მეგონა, ეს ჟამი არასოდეს დადგებოდა.

შაბათობით კუზმას ეკლესიაში დავყავდით მწუხრის ლოცვაზე, ხოლო კვირაობით ცისკრის ლოცვასა და წირვაზე. დიდი დღესასწაულებისას მეპატრონეს თან მივყავდით კრემლში, მიძინების ტაძარში, ზოგჯერ კი მაცხოვრის საყდარში. ჩვენ არ გვიყვარდა ეკლესიებში სიარული და რაიმე საბაბით ყოველთვის ვცდილობდით იქიდან თავის დაღწევას. მიძინების ტაძარში კი სიამოვნებით მივდიოდით, რომ მოგვესმინა სინოდის დიდებული გუნდის გალობა. მაცხოვრის საყდარში სიამოვნებით ვუსმენდით მთავარდიაკონ როზოვს, რომელსაც იერიქონის საყვირივით ხმა ჰქონდა.

გავიდა ერთი წელი. მე კარგად შევითვისე ქურქჩობის დაწყებითი კურსი, თუმცა ამის მიღწევა ადვილი როდი იყო. პატრონი სულ უბრალო შეცდომისათვის უმოწყალოდ კვცემდა. ხელი კი ძალიან მწარე

ჰქონდა. გვცემდნენ ოსტატები, ოსტატი ქალები, მათ არ ჩამორჩებოდა დიასახლისიც. როცა მეპატრონე ცუდ ხასიათზე იყო, სჯობდა თვალში არ მოხვედროდი. იგი უმიზეზოდაც ისე გვცემდა, რომ მთელი დღე ყურები გვიწოდა.

მეპატრონე ზოგჯერ უბრძანებდა, რაიმე დანაშაულის ჩამდენ ორ შეგირდს ეცემათ ერთიმეორისათვის სირვაშლათი (მცენარეა, რომლის წნელებითაც ბეწვეულს ბერტყავდნენ), თან აქეზებდა: „დასცხეთ უფრო მაგრად, უფრო მაგრად!“ ჩვენ ყველაფერს უსიტყვოდ ვითმენდით.

ვიცოდით, რომ მეპატრონეები ყველგან სცემდნენ შეგირდებს. ასეთი იყო კანონი და წესი. მეპატრონე ფიქრობდა, შეგირდების სრული ბატონ-პატრონი მე ვარო და არავინ არასდროს მოსთხოვდა პასუხს ცემისათვის, მცირეწლოვანებისადმი არაადამიანური მოპყრობისათვის. საერთოდ, არც აინტერესებდა ვინმეს, როგორ ემუშაობდით, რას გვაჭმევდნენ, რა პირობებში ვცხოვრობდით. ჩვენი უზენაესი მსაჯული მეპატრონე იყო. აი, ასე ვეწოდით მძიმე უღელს, რომელსაც ზოგჯერ მოწიფული ვაჟკაციც ვერ უძლებდა.

დრო მიდიოდა. ცამეტი წელი შემისრულდა და უკვე ბევრი რამ ვიცოდი, ბევრი რამ შევისწავლე სახელოსნოში. მიუხედავად დიდი დატვირთვისა, მაინც ვპოულობდი კითხვისათვის დროს. მე მუდამ მადლობით ვიხსენიებ ჩემს მასწავლებელს სერგეი ნიკოლოზის ძე რემიზოვს, რომელმაც ჩამინერგა წიგნებისადმი სიყვარული. სწავლაში მეპატრონის უფროსი ვაჟი ალექსანდრე მეხმარებოდა. ჩვენ ტოლები ვიყავით და იგი სხვებზე უკეთესად მეპყრობოდა.

მისი დახმარებით თავდაპირველად წავიკითხე რომანი „მედიცინის და“ წარმტაცი ამბები ნატ პინკერტონზე, კონან დოილის „შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი“ და იაფფასიანი ბიბლიოთეკის სერიით გამოცემული სხვა სათავგადასავლო წიგნები. ყველაფერი ეს საინტერესო იყო, მხოლოდ არც იმდენად ჭკუის სასწავლი. მე კი მინდოდა მესწავლა სერიოზულად. მაგრამ როგორ? მივმართე ალექსანდრეს. მან მოიწონა ჩემი განზრახვა და მითხრა, დაგეხმარებიო.

ჩვენ დავიწყეთ რუსული ენის, მათემატიკის, გეოგრაფიის შემდგომი შესწავლა და სამეცნიერო-პოპულარული წიგნების კითხვა. ჩვეულებრივ, ორივენი ერთად ვმეცადინეობდით, უმეტესად, როცა მეპატრონე არ იყო შინ, და კვირაობით. როგორ არ ვემალებოდით მეპატრონეს, მაგრამ მან მაინც გაიგო ჩვენი მეცადინეობის ამბავი. ვიფიქრე, გამაგდებს ან მაგრად დამსჯის-მეთქი. მაგრამ სრულიად მოულოდნელად ორივე შეგვაქო გონივრული საქციელისათვის.

ამგვარად ერთ წელზე მეტხანს კარგად ვმეცადინეობდი დამოუკიდებლად და შევედი საღამოს ზოგადსაგანმანათლებლო კურსებზე, რომელიც იძლეოდა განათლებას საქალაქო სასწავლებლის ფარგლებში.

სახელოსნოში მემადლიერებოდნენ. კმაყოფილი იყო მეპატრონეც, თუმცა პანღურს მაინც ამომკრავდა ხოლმე ან სილასაც გამაწნავდა. პირველ ხანებში მას არ უნდოდა საღამოობით ჩემი გაშვება კურსებზე, მაგრამ შვილებმა დაიყოლიეს და ისიც დათანხმდა. მე ძალიან მიხაროდა. მართალია, გაკვეთილების მომზადება მიხდებოდა ღამით ფიცარნაგზე, საპირფარეშოს ახლოს, სადაც ძლივს ბეუტავდა ოცსანთლიანი ღამის ნათურა.

გამოსაშვებ გამოცდებამდე ერთი თვით ადრე, კვირა დღეს, როცა მეპატრონე თავის ძმაკაცებთან წავიდა, ჩვენ ბანქოს სათამაშოდ დავსხედით. როგორც მახსოვს, ვთამაშობდით ოცდაერთს. ვერ შევამჩნიეთ მეპატრონის დაბრუნება და მისი შემოსვლა სამზარეულოში. მე მებარკე ვიყავი, იმ დღეს ბედი მწყალობდა. უცებ ვიღაცამ მაგრად გამარტყა, მოვიხედე და, ოი, საშინელებავ! მეპატრონე! თაკზარდაცემულმა ენა ველარ დავძარი. ბიქები აქეთ-იქით გაიფანტნენ.

— აი, თურმე. რისთვის გჭირდება სწავლა! ქულები გინდა ითვალო? დღეიდან ვერსად ველარ წახვალ, და საშკამაც აღარ გაბედოს შენთან ერთად მეცადინეობა!

რამდენიმე დღის შემდეგ წავედი კურსებზე, რომელიც მოთავსებული იყო ტვერის ქუჩაზე, და მოვყევი, რაც შემემთხვა. სწავლის დამთავრებამდე სულ ერთ თვეზე მეტი მრჩებოდა. ჩემს ამბავზე იქ ბევრი იცინეს და გამოცდების ჩაბარების ნება დამრთეს. საქალაქო სასწავლებლის მთელი კურსის გამოცდები წარმატებით ჩავაბარე.

იწურებოდა 1910 წელი. უკვე სამი წელი ვიმუშავე სახელოსნოში და უფროს შეგირდად გადამიყვანეს. ახლა მეც მყავდა ხელქვეითი სამი შეგირდი. კარგად ვიცნობდი მოსკოვს, ვინაიდან ყველაზე ხშირად მიხდებოდა შეკვეთების მიტანა ქალაქის სხვადასხვა რაიონში. სწავლის გაგრძელება მინდოდა, მაგრამ საამისოდ არავითარი სახსარი არ მქონდა. ოღონდ წიგნების კითხვას მაინც ვახერხებდი.

ოსტატი კოლესოვი გაზეთებს რომ წაიკითხავდა, მერე მე გამოვართმევდი ხოლმე. იგი პოლიტიკურად ყველაზე გათვითცნობიერებული კაცი იყო. ჟურნალებს ალექსანდრე მაძლევდა, წიგნებს კი თვითონ ვყიდულობდი დაზოგილი „ტრამვაის ფულით". მაგალითად, ხანდახან მეპატრონე ბეწვეულს გამატანდა რომელიმე შემკვეთთან მარინა როშჩაში ან ზამოსკოვორეჩიეში, მომცემდა შაურს ან ათ კაპიკს კონკისთვის, მე კი ბეწვეულიან ტომარას მოვიკიდებდი ზურგზე და გავუტეევდი ფეხით, ხოლო ფულს კი ვიზოგავდი.

სწავლების მეოთხე წელს. როგორც ფიზიკურად უფრო ლონიერი შეგირდი, ნიჟნი ნოვგოროდში წამიყვანეს (ახლანდელი ქ. გორკი), სახელგანთქმულ ბაზრობაზე, სადაც ჩვენმა მეპატრონემ დუქანი დაიქირავა ბეწვეულის საბითუმო ვაჭრობისათვის. ამ დროისათვის იგი ძა-

ლიან გამდიდრდა. მტკიცედ დაუკავშირდა მსხვილ ვაჭრებს და კიდევ უფრო ხარბი გახდა.

ბაზრობაზე ჩემს მოვალეობაში უმთავრესად შედიოდა გაყიდული საქონლის შეფუთვა და მისი გაგზავნა დანიშნულებისამებრ ქალაქის ნავსადგურიდან ვოლგაზე, ციმბირის ნავსადგურიდან ოკაზე, ანდა რკინიგზის სატვირთო კანტორიდან.

ჩაშინ პირველად ვნახე ვოლგა და განმაცვიფრა მისმა სიდიადემ და სილამაზემ. მანამდე პროტვასა და მდინარე მოსკოვზე უფრო ფართო და წყალუხვი მდინარე არსად მეგულებოდა. ადრიანი დილა იყო და ვოლგა სულ ბრწყინავდა ამომავალ მზის სხივებში. შევცქეროდი მდინარეს და ვეღარ ვიცილებდი აღფრთოვანებულ თვალებს.

„ახლა კი გასაგებია, — გავიფიქრე მე, — რატომ უმღერიან ვოლგას და რატომ უწოდებენ დედას“.

ნიჟნი ნოვგოროდის ბაზრობაზე რუსეთის ყველა კუთხიდან ჩამოდიოდნენ ვაჭრები და მყიდველები. იქ თავისი საქონელი ჩამოჰქონდათ სხვა სახელმწიფოებიდანაც. თვით ბაზრობა ეწყობოდა ქალაქგარეთ, კანავინოსა და ქალაქს შორის, დაბლობზე, რომელიც გაზაფხულის წყალდიდობისას მთლიანად იფარებოდა წყლით.

ნიჟნი ნოვგოროდის ბაზრობაზე ვაჭრების გარდა თავს იყრიდა ყოველი ჯურის ხალხი. ყველას უნდოდა ეშოვნა რაიმე: ვის პატიოსანი შრომით, ვის კიდევ გაიძვერობით. იქ ყველა-ყორნებივით თავს იყრიდნენ ქურდები, როსკიპები. ყალთაბანდები და სხვა ჯურის აფერისტები.

ნიჟნი ნოვგოროდის ბაზრობის შემდეგ იმავე წელს გამაგზავნეს მეორე ბაზრობაზე ურიუპინოში, დონის ვოისკოვი ოლქში. თვითონ მეპატრონე იქ არ წავიდა და გააგზავნა თავისი ნოქარი ვასილი დანილოვი. ურიუპინოს ბაზრობაზე არ შემომრჩა ისეთი ნათელი მოგონება, როგორც ნიჟნი ნოვგოროდსა და ვოლგაზე. ურიუპინო საკმაოდ ჭუჭყიან ქალაქს წარმოადგენდა და იქაური ბაზრობაც თავისი მასშტაბით ბევრად პატარა იყო.

ნოქარი ვასილი დანილოვი ულმობელი და ბოროტი კაცი იყო. დღემდე ვერ გამიგია, რატომ სცემდა იგი ასეთი სადისტური გახელებით თოთხმეტი წლის ბიჭს სულ უბრალო მიზეზის გამო. ერთხელ ვერ მოვითმინე, ავიღე მუხის ჯოხი (რასაც შესაფუთავად ვხმარობდი) და მთელი ძალით ვხეთქე თავში. იგი იქვე წაიქცა და გონება დაკარგა. მე შემეშინდა, მეგონა, მოვკალი-მეთქი, და დუქნიდან გავიქეცი, მაგრამ ყველაფერი კეთილად დამთავრდა.

როცა მოსკოვში დავბრუნდით, მან მეპატრონესთან დამასმინა. მან არც კი მოისურვა საქმის გამორკვევა და სასტიკად მცემა.

1911 წელს ბედმა გამიღიმა და ათდღიანი შვებულება მომცეს სოფელში წასასვლელად. იმ დროს იქ იწყებოდა თიბვა, რაც მინდვრის სა-

მუშაოებიდან ყველაზე მიმზიდველია. თიბვისას ქალაქიდან ჩამოდიოდნენ მამაკაცები და ახალგაზრდები, რათა დახმარებოდნენ ქალებს თივის სწრაფად აღებასა და ზამთრის საკვების დამზადებაში.

სოფლიდან თითქმის ბავშვი წავედი, შვებულებაში კი მოზრდილი ჭაბუკი ჩამოვედი. მე უკვე მეთხუთმეტე წელში ვიყავი გადამდგარი, შეგირდობის მეოთხე წელი მეწყებოდა. ამ ხნის განმავლობაში სოფელს ბევრი გამოკლებოდა — ვინ მომკვდარიყო, ვინ სასწავლებლად გაეგზავნათ, ვინ კიდევ საშოვარზე წასულიყო. ზოგი თვითონ ველარ ვიცანი, ზოგიც მე ვერ მცნობდა. ზოგი ცხოვრების სიმძიმეს, უდროო სიბერეს მოედრიკა, სხვები კი ამ ხნის მანძილზე გაზრდილიყვნენ, დიდები გამხდარიყვნენ.

სოფელში ძალოიაროსლავეცის სააგარაკო მატარებლით წამოვედი. მთელი გზა მოსკოვიდან პატარა სადგურ პროტვამდე (მოსკოვიდან ასმეხუთე კილომეტრი) ვაგონის ღია სარკმელთან ვიდექი. როცა ოთხი წლის წინათ მოსკოვში მივდიოდი, ღამე იყო და ვერ შევაღწიე თვალი რკინიგზის გასწვრივ მდებარე ადგილებს. ახლა ინტერესით ვათვალიერებდი სადგურების ნაგებობებს, მოსკოვის მახლობლად გადაშლილ ვანსაცვიფრებელი სილამაზის ტყეებსა და ჭალებს.

სადგურ ნაროფომინსკის ახლოს გავლისას, ვიღაცა კაცმა უთხრა თავის მეზობელს:

— ცხრაას ხუთ წლამდე აქ ხშირად დავდიოდი... ხომ ხედავ წითელი აგურებით აშენებულ კორპუსებს, აი, ის არის სავა მოროზოვის ფაბრიკა.

— ამბობენ, იგი დემოკრატიაო, — უთხრა მეორემ.

— ბურჟუაზიული დემოკრატია. მაგრამ, მითხრეს, კარგად ეპყრობაო მუშებს. სამაგიეროდ მისი ადმინისტრაცია ავი ქოფაკია.

— მთელი ხროვაა! — გაბრაზებით წარმოთქვა მეზობელმა.

მგზავრებმა შემამჩნიეს, რომ ინტერესით ეუსმენდი მათ (მომაგონდა რამდენიმე წლის წინათ ვაგონში მოსმენილი საუბარი ამავე ფაბრიკის შესახებ), და გაჩუმდნენ.

პატარა სადგურ პროტვაში დედა დამხვდა. ამ ოთხი წლის განმავლობაში იგი ძალიან გამოცვლილიყო და მოხუცებულიყო. ყელში ბოღმა მომაწვა, ძლივს შევიმაგრე თავი, რომ არ აექვითინებულიყავი.

დედამ ბევრი იტირა, გულში ჩამიკრა თავისი ბორკლიანი, დაკოჟრილი ხელებით და რამდენიმეჯერ გაიმეორა:

— საყვარელო ჩემო შვილო! მეგონა, ისე მოვკვდებოდი, როგ ველარ განახავდი.

— რას ამბობ, დედა, ხომ ხედავ, როგორ გავიზარდე, აწი უკეთესად იქნები.

— ღმერთმა ქნას, შვილო!

დაბნელებისას მივედით შინ. მამაჩემი, დასთან ერთად მიწაყრილთან გველოდებოდა.

ჩემი და გაზრდილიყო და ნამდვილი გასათხოვარი ქალიშვილი გამხდარიყო, მამა მოხუცებულიყო და წელში უფრო მოხრილიყო. იგი უკვე სამოცდამეათე წელში იდგა. მამა რაღაც თავისებურად შემხვდა. გადავკოცნეთ ერთმანეთი. მერე თითქოს საკუთარ ფიქრებში წასულმა მითხრა:

— კარგია, რომ ამას მოვესწარი. — ვხედავ, ახლა დიდი და ღონიერი ბიჭი ხარ.

ჩემი მოხუცები და დაიკო მალე რომ გამეხარებინა, კალათი გავხსენი და თითოეულ მათგანს საჩუქარი გადავეცი, ხოლო დედას საჩუქრის გარდა სამი მანეთი ჩამოვუტანე ფულად, ორი გირვანქა შაქარი, ნახევარი გირვანქა ჩაი და ერთი გირვანქა კამფეტი.

— აი, გმადლობ, შვილო, — გაუხარდა დედას. — ჩვენ უკვე რა ხანია არ დაგვილევია ნამდვილი შაქრიანი ჩაი.

მამას ცალკე მივეცი მანეთი ტრაქტირში სახარჯოდ.

— მას ოცი კაპიკიც ეყოფოდა, — შენიშნა დედამ.

მამამ უთხრა:

— ოთხი წელიწადი ველოდებოდი შვილს, ნუ გააფუჭებ ჩვენ შეხვედრას გაჭირვებაზე ლაპარაკით.

მეორე დღეს დედასა და დასთან ერთად სათიბად წავედი. გამეხარდა ამხანაგების, განსაკუთრებით ლიოშა კოლოტირნის დანახვა. ბიჭები ყველანი ძალიან გაზრდილიყვნენ. თიბვის დასაწყისში მუშაობა ჩვეულებრივ არ გამომდიოდა. მალე დავიღალე, გავოფლიანდი, ეტყობა, ოთხ წელიწადში გადავჩვეოდი ამ სამუშაოს. შემდეგ კი ყველაფერი კარგად წავიდა, ვთიბავდი სუფთად, სხვებს არ ჩამოვრჩენილვარ, მაგრამ ხახა სულ გამიშრა და ძლივს გავძელი შესვენებამდე.

— რაო, ეგორუშკა, ძნელია გლეხის შრომა? — მკითხა ძია ნაზარმა და სველ მხრებზე მომეხვია.

—კი, ძნელია, — დავეთანხმე მე.

— აი, ინგლისელები ბალახს მანქანებით თიბავენ, — შენიშნა ჩვენთან მოსულმა ახალგაზრდა გლეხმა, რომელსაც წინათ არ ვიცნობდი.

— ასეა, — თქვა ნაზარმა, — ჩვენ მხოლოდ ძველი კავისა და ნამგლის იმედით ვცხოვრობთ. აბა, ჰე!..

ბიჭებს ვკითხე, ვინ არის ის კაცი, მანქანებზე რომ ლაპარაკობდა-მეთქი.

— ნიკოლოზია, მამასახლისის ვაჟი. მოსკოვიდან გაასახლეს ცხრაას ხუთი წლის ამბებში მონაწილეობისათვის. ძალიან მწარე ენა აქვს, მეფესაც კი აგინებს.

— ეს არაფერია, — წარმოთქვა ლიოშამ, — პირს უკან მეფის გი-

ნებაც შეიძლება, ოღონდ ისე, რომ პოლიციამ და ჯაშუშებმა არ გაგიგონ.

შესვენება დამთავრდა. მზემ დააცხუნა. თიბვას თავი დავანებე და დავიწყეთ მოთიბული ბალახის გაშრობა. შუადღისას მე და ჩემმა დაჰ თივა საზიდარზე დავტვირთეთ, მერე თივაზე წამოვსკუპდით და სახლისაკენ გავწიეთ. იქ გველოდა შემწეარი კარტოფილი კარაქით და შაქრიანი ჩაი. ყველაფერი ეს მაშინ ძალზე გემრიელი რამ იყო!..

საღამოობით ახალგაზრდები ვიყიწყებდით დღიურ დაღლილობას, თავს ვიყრიდით ბელელთან და ვმხიარულობდით. ვმღეროდით სულსა და გულში ჩამწვდომ სიმღერებს. ქალიშვილები ძლიერი ხმით იმღეროდნენ ნაზ მელოდიებს, ბიჭები ვცდილობდით, ავყოლოდით ახალგაზრდული ბარიტონითა და ჯერ კიდევ მოუმაგრებელი ბოხი ხმით. მერე ქანცის გაწყვეტამდე ვცეკვავდით. გამთენიისას ვიშლებოდით და ხეირიანად გამოძინებასაც ვერ ვასწრებდით, რომ გაგვაღვიძებდნენ და ისევ მივეშურებოდით სათიბად. საღამოს ყველაფერი თავიდან იწყებოდა. ძნელი სათქმელია, როდის გვეძინა.

დიახ, ახალგაზრდობას, ეტყობა, ყველაფერი შეუძლია! რა კარგია, როცა ახალგაზრდა ხარ!

შვებულების დღეები ძალიან სწრაფად მიიწურა. მოაწია მოსკოვში დაბრუნების დრომ. სახლში ჩემი ყოფნის უკანასკნელი დღის წინა ღამეს მეზობელ სოფელ კოსტინკაში ხანძარი გაჩნდა. ძლიერი ქარი ქროდა. ხანძარმა შუა სოფელში იფეთქა და სწრაფად მოედო მეზობელ სახლებს, ფარდულებსა და ბეღლებს. ჩვენ ისევ დროს ვატარებდით, როცა კოსტინკის მხარეზე სქელი კვამლი შევამჩნიეთ.

ვიღაცამ დაიყვირა:

— ხანძარია!

ყველამ ერთად მივაშურეთ სახანძრო ფარდულს, სწრაფად გამოვაგორეთ კასრი და ხელდახელ წავიღეთ კოსტინკაში. შემთხვევის ადგილას ჩვენ პირველნი მივედით დასახმარებლად. თვითონ კოსტინკის სახანძრო რაზმიც კი უფრო მოგვიანებით გამოჩნდა.

ხანძარი ძალიან ძლიერი იყო და მიუხედავად მეზობელ სოფლებში შეკრებილი სახანძრო რაზმების თავგანწირული ცდისა — ჩაექროთ ცეცხლი, ნახევარი სოფელი მაინც გადაიწვა.

როცა წყლით სავსე ვედროთი ერთი სახლის ახლოს მივრბოდი, ყვირილი შემომესმა:

— გვიშველეთ, ვიწვით!

მაშინვე შევევარდი იმ სახლში; საიდახაც ყვირილი მოისმოდა და გამოვიყვანე შიშისაგან აცახცახებული ბავშვები და ავადმყოფი მოხუცი ქალი.

როგორც იქნა, ცეცხლი ჩააქრეს. ნახანძრალზე მოთქვამდნენ ქალე-

ბი, ტიროდნენ ბავშვები, ბევრს დაეწვა სახლ-კარი და მთელი ქონება, ხოლო ზოგიერთს ლუკმა-პურიც აღარ შერჩა.

დილით ჩემს ახალ პიჯაკზე, რომელიც შვებულების წინ მეპატრონემ მაჩუქა (ასეთი იყო წესი), შაურიანის ოდენა ორი გამომწვარი ნახვრეტი აღმოვაჩინე.

— ამისათვის მეპატრონე თავზე ხელს არ გადაგისვამს, — მითხრა დედამ.

—რა უნდა ვქნა, — ვუპასუხე მე, — თვითონვე განსაჯოს, რომელი უფრო მნიშვნელოვანია, პიჯაკზე დაჩნეული ნახვრეტები თუ გადარჩენილი ბავშვების სიცოცხლე.

დამძიმებული გულით ვტოვებდი სოფელს. განსაკუთრებით გული დაგეწვებოდათ ნახანძრალის შემხედვარეს, სადაც გაუბედურებული ადამიანები იქექებოდნენ. საბრალონი ეძებდნენ, ხომ არ დარჩა რამეო. მე თანავუგრძნობდი მათ მწუხარებას, რადგან ვიცოდი, რას ნიშნავდა უსახლკაროდ ყოფნა

მოსკოვში დილით ადრე ჩავედი.

სახელოსნოში მისვლისას პატრონს მივესალმე. მოვუყევი სოფელში მომხდარი ხანძრის ამბავი და ვაჩვენე გამომწვარი პიჯაკი. ჩემდა გასაოცრად, მან ერამც თუ გამლახა, უხეში სიტყვაც არ მითხრა, და ამისთვის მისი მადლობელი დავრჩი.

შემდეგ აღმოჩნდა, რომ მე უბრალოდ ბედმა გამიღიმა. ჩემს ჩამოსვლამდე მეპატრონეს, თურმე, ბეწვეულის მთელი პარტია ხელსაყრელ ფასებში გაეყიდა და დიდი ფული მოეგო.

— ეს რომ არა, — მითხრა თედორე ივანეს ძემ, — იმდენს გირტყამდა, ვერც კი დაითვლიდი.

1911 წლის ბოლოს დამთავრდა ჩემი შეგირდობა. მე ახალგაზრდა ოსტატი (ქარგალი) გავხდი. პატრონმა მკითხა: როგორ აპირებ ამიერიდან ცხოვრებას, აქვე დარჩები, თუ კერძო ბინაზე გადახვალო.

— საცხოვრებლად თუ აქ დარჩები და საჭმელს წინანდებურად სამზარეულოში შეჭამ შეგირდებთან ერთად, მაშინ ათ მანეთს მიიღებ, ხოლო თუ კერძო ბინაში გადახვალ, მაშინ თვრამეტ მანეთს მოგცემ.

ცხოვრების გამოცდილება ცოტა მქონდა და მე ვუთხარი, სახელოსნოში ვიცხოვრებ-მეთქი. ეტყობა, ეს მეპატრონეს სავსებით აძლევდა ხელს, ვინაიდან ოსტატები, საქმეს რომ მორჩებოდნენ და წავიდოდნენ, იგი ყოველთვის გამომინახავდა ხოლმე რაიმე სასწრაფო და უფასო სამუშაოს.

გავიდა ცოტა ხანი და გადავწყვიტე: „არა, ასე არ ივარგებს, გადავალ კერძო ბინაში, საღამოობით კი უკეთესია წიგნებს ჩავუჯდემეთქი“.

საშობაოდ ისევ ჩავედი სოფელში, როგორც დამოუკიდებელი კა-

ცი. მე უკვე მეთექვსმეტე წელში ვიყავი, მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ ახლა ოსტატის წოდება მქონდა და მთელ ათ მანეთს ვიღებდი, რაც მაშინ ბევრისათვის მიუწვდომელი იყო.

მეპატრონე, ეტყობა, დარწმუნდა ჩემს პატიოსნებაში და მენდობოდა. იგი ხშირად მაგზავნიდა ბანკში ქვითრით ფულის მისაღებად ან მის ანგარიშზე თანხის შესატანად. იგი მე მაფასებდა, როგორც თვინიერ მუშაკსაც, ხშირად მივყავდი თავის მაღაზიაში, სადაც ქურქჩის სამუშაოს გარდა, მავალებდა ტვირთის შეფუთვასა და მათ გაგზავნას სავაჭრო კანტორაში.

ასეთი სამუშაო უფრო მომწონდა, ვიდრე სატკეცთან დგომა სახელოსნოში, სადაც ოსტატებისაგან ერთმანეთის გინების მეტს ვერაფერს გაიგონებდა კაცი. სულ სხვა იყო მაღაზიაში. აქ ასე თუ ისე ინტელიგენტ ხალხში ვტრიალებდი, მესმოდა მათი ლაპარაკი მიმდინარე ამბებზე.

ოსტატები იშვიათად კითხულობდნენ გაზეთებს და კოლესოვის გარდა ჩვენს სახელოსნოში ვერავინ ვერ ერკვეოდა პოლიტიკურ საკითხებში. მგონი, ასევე იყო საქმე ქურქის სხვა სამკერვალო სახელოსნოებშიც. ქურქჩების არავითარი პროფკავშირი მაშინ არ არსებობდა და თითოეული მათგანი საკუთარ თავზე იყო მიჯდობილი. შედარებით უფრო გვიან ჩამოყალიბდა მეტყავეთა კავშირი, რომელშიც ქურქჩებიც შევიდნენ.

იმ ხანებში ქურქჩები გამოირჩეოდნენ თავიანთი აპოლიტიკურობით. გამონაკლისს ერთეულები შეადგენდნენ. ქურქჩი-ოსტატი საკუთარი ინტერესებით ცხოვრობდა, თითოეულს თავისი ნამცეცა სამყარო ჰქონდა. ზოგიერთი ყველა ღონისძიებით ცდილობდა, შეეგროვებინა ცოტაოდენი თანხა და საკუთარი საქმე გაეჩინა. ქურქჩები, მკერავები და წვრილი კუსტარული სახელოსნოების სხვა მუშები თვალსაჩინოდ განსხვავდებოდნენ ფაბრიკა-ქარხნების მუშებისაგან, ნამდვილი პროლეტარებისაგან თავისი იდეოლოგიითა და პროლეტარული სოლიდარობის უქონლობით.

ქარხნის მუშებს ოცნებაც კი არ შეეძლოთ საკუთარ საქმეზე. ამისათვის მრავალი ათასი მანეთი იყო საჭირო. ისინი კი გროშებს ღებულობდნენ, რაც ძლივს ჰყოფნიდათ თავის გამოსაკვებად. შრომის მძიმე პირობები, უმუშევრობის მუდმივი შიში აერთიანებდა მუშებს ექსპლოატატორების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკური მუშაობა მაშინ მიმართული იყო სამრეწველო პროლეტარიატზე. კუსტარული სახელოსნოების მუშებს შორის მოღვაწეობდნენ მენშევიკები, ესერები და სხვა ცრურევოლუციონერები. შემთხვევითი როდია, რომ 1905 წელს და დიდი ოქტომბრის რევოლუციის პერიოდში აჯანყებული პროლეტარიატის რიგებში ცოტანი იყვნენ შინამრეწველები.

1910-1912 წლებში რევოლუციური განწყობილება შესამჩნე
გაძლიერდა. სულ უფრო და უფრო ხშირად ეწყობოდა გაფიცვები ხ
კოვში, პეტერბურგსა და სხვა სამრეწველო რაიონებში. გახშირდა ს
დენტთა გამოსვლები და გაფიცვები. 1911 წლის შიმშილობის შედეგ
გაჭირვებამ სოფლად უკიდურესობამდე მიაღწია.

რა უმნიშვნელოც არ უნდა ყოფილიყო ქურქჩ-ოსტატთა პოლიტ
კური შეგნება, ჩვენ მაინც ვიცოდით ლენინის საბადოებზე მუშათა და
რეტისა და მთელ რუსეთში რევოლუციური მღელვარების ზრდის ამ
ვი. თედორე ივანეს ძე კოლესოვი ახერხებდა ბოლშევიკური გაზეთებ
„ზვეზდისა" და „პრავდის" შოვნას, რომლებიც უბრალო და გასაგებ
ენით უხსნიდნენ მშრომელებს, თუ რატომ არსებობდა შეურიგებელი
წინააღმდეგობა მუშებსა და კაპიტალისტებს შორის, მემამულეებს, კუ-
ლაკებსა და გლეხებს შორის; განამტკიცებდა მუშებისა და სოფლის
ღარიბების ინტერესთა ერთობას.

იმ დროს სუსტად ვერკვეოდი პოლიტიკურ საკითხებში, მაგრამ
ჩემთვის ნათელი იყო, რომ ეს გაზეთები გამოხატავდნენ მუშებისა და
გლეხების ინტერესებს, ხოლო გაზეთები „რუსკოე სლოვო" და „მოს-
კოვსკიე ვედომოსტი" — მეფის რუსეთის ბატონ-პატრონების — კაპი-
ტალისტების ინტერესებს. როცა სოფელში ჩავდიოდი, მე უკვე თვითონ
შემეძლო ზოგი რამ მეამბნა და ამეხსნა ჩემი ამხანაგებისა და იქაური
გლეხებისათვის.

პირველი მსოფლიო ომის დასაწყისი მე მოსკოვში უცხოელთა მა-
ღაზიების დარბევით დამამახსოვრდა. ოხრანკის აგენტებმა და შავრაზ-
მელებმა პატრიოტული ლოზუნგების საფარით მოაწყვეს გერმანული
და ავსტრიული ფირმების დარბევა. მასში ბევრი ხალხი ჩაითრიეს. მათ
უბრალოდ უნდოდათ რაიმე ხეირი ენახათ. ამ ადამიანებმა არ იცოდნენ
არც ერთი უცხო ენა, ამიტომ მტრული ქვეყნების ფირმებთან ერთად
არბევდნენ მოკავშირე ფრანგულ-ინგლისურ ფირმებსაც.

პროპაგანდის გავლენით, პატრიოტული გრძნობებით აღტყინებული
შეძლებულთა წრიდან გამოსული მრავალი ახალგაზრდა მოხალისედ მი-
დიოდა ომში. ალექსანდრე პილიხინმაც გადაწყვიტა გაქცევა ფრონტზე.
მეც სულ ამას ჩამჩიჩინებდა.

პირველად მომეწონა მის- წინადადება, მაგრამ მაინც გადავწყვიტე,
რჩევა-დარიგება მეკითხა თედორე ივანეს ძისათვის, რომელიც ჩემთვის
ყველაზე ავტორიტეტული კაცი იყო. მან მომისმინა და მითხრა:

— ჩემთვის გასაგებია ალექსანდრეს სურვილი, მისი ბამა მდიდა-
რია, მან იცის, რისთვისაც უნდა იომოს. შენ კი, სულელს, აბა რა გაქვს
საომარი? იქნებ ის, რომ მამაშენი მოსკოვიდან გაასახლეს? ანდა იქნებ
ის, რომ დედაშენი შიმშილისაგან სიკვდილია?.. დაბრუნდები ხეიბარი და
ყველასათვის უმაქნისი.

მე დამარწმუნა მისმა სიტყვებმა და საშას განვუცხადე, ომში არ წამოვალ-მეთქი. მან გამომლანძღა და საღამოს გაიპარა სახლიდან ფრონტზე. ხოლო ორი თვის შემდეგ იგი მძიმედ დაჭრილი ჩამოიყვანეს მოსკოვში.

იმ დროს წინანდებურად ვმუშაობდი სახელოსნოში, ოღონდ ახლა კერძო ბინაზე ვცხოვრობდი — „ოხოტნი რიადზე", ახლანდელი სასტუმრო მოსკოვის პირდაპირ. თვეში სამ მანეთად დავიქირავე ლოგინი ქვრივი ქალის მალიშევას სახლში. მე შემიყვარდა მისი ქალიშვილი მარია და ჩვენ ვემზადებოდით დასაქორწინებლად. მაგრამ ომმა, როგორც ეს ყოველთვის ხდება, ჩაშალა ყველა ჩვენი იმედი და განზრახვა. 1915 წლის მაისში ფრონტზე განცდილი დიდი დანაკლისის გამო ჯარში ვადამდე გაიწვიეს 1895 წელს დაბადებული ახალგაზრდები. ომში მიდიოდნენ ჭაბუკები, რომლებსაც ჯერ კიდევ არ შესრულებოდათ ოცი წელი. ახლოვდებოდა ჩემი რიგიც.

ამ ამბავს ჩემში განსაკუთრებული ენთუზიაზმი არ გამოუწვევია, ვინაიდან მოსკოვში ყოველ ნაბიჯზე ვხვდებოდი ფრონტიდან დაბრუნებულ საბრალო დასახიჩრებულთ, ამავე დროს იქვე, გვერდზე, ვხედავდი, რომ წინანდებურად ხელგაშლილად, ლაღად ცხოვრობდნენ მდიდართა შვილები. ისინი ჩინებული ეტლებით დასეირნობდნენ მოსკოვის ქუჩებში, ფულებს ატრიალებდნენ მარუსასა და დოღებზე, აწყობდნენ ღამის ორგიებს რესტორან „იარში". მიუხედავად ამისა, მე მაინც ვიმაჩნდა, რომ თუ ჯარში წამიყვანდნენ, პატიოსნად უნდა მებრძოლა რუსეთისათვის.

1915 წლის ივლისში გამოცხადდა ჩემი ასაკის ახალგაზრდების ვადამდე გაწვევა ჯარში. მეპატრონისაგან ავიღე სოფელში წასვლის ნებართვა, რათა გამოვთხოვებოდი მშობლებს და თანაც დავხმარებოდი მათ მოსავლის აღებაში.

თავი მეორე

ჯარისკაცის სამსახური

ჯარში გამიწვიეს 1915 წლის 7 აგვისტოს კალუგის გუბერნიის ჩემს სამაზრო ქალაქ მალოიაროსლავეცში. პირველი მსოფლიო ომი უკვე კარგა ხნის გაჩაღებული იყო.

კავალერიაში ჩამრიცხეს და ძლიერ მიხაროდა, რომ ცხენოსანთა ნაწილში მომიწევდა სამსახური. მე ყოველთვის მხიბლავდა ჯარის ეს რომანტიკული სახეობა. ყველა ჩემი ამხანაგი ქვეით ჯარში მოხვდა, და ბევრს შურდა ჩემი ბედი.

ერთი კვირის შემდეგ ყველა გაწვეული შემკრებ პუნქტში გამოგვიძახეს. იქ გაგვანაწილეს რაზმებში, და დავშორდი ჩემს ტოლ თანასოფლელებს. გარშემო ჩემსავით პირტიტველა და ჩემთვის უცნობი ბიჭები იყვნენ.

საღამო ხანს სატვირთო ვაგონებში ჩაგვსვეს და წაგვიყვანეს დანიშნულების ადგილას — კალუგაში. მთელი ხნის განმავლობაში პირველად ვიგრძენი ასე მწარედ სევდა და მარტოობა. გათავდა ჩემი სიჭაბუკე. მზად კი ვარ, მოვიხადო ჯარისკაცის ძველი სამსახური, და თუკი საჭირო იქნა ვიბრძოლო კიდეც? — ვეკითხებოდი ჩემს თავს. განვლილმა ცხოვრებამ გამაკაჟა და ჯარისკაცის მოვალეობას, ვფიქრობდი, ღირსეულად შევასრულებდი.

სატვირთო ვაგონები, სადაც ჩვენ მოგვათავსეს ორმოც-ორმოცი კაცი თითოეულში, არ იყო მოწყობილი ხალხის გადასაყვანად, ამიტომ მთელ გზაზე ფეხზე ყურყუტი ან პირდაპირ ჭუჭყიან იატაკზე ჯდომა გვიხდებოდა. ვინ მღეროდა, ვინ ბანქოს თამაშობდა, ვინ კიდევ ტიროდა და თავის გულის ტკივილს მეზობელს უზიარებდა. ზოგი დამუნჯებული იჯდა და გაშეშებული მიშტერებოდა ერთ წერტილს, თავის მომავალ ჯარისკაცურ ბედ-იღბალზე ჩაფიქრებული.

კალუგაში ღამით ჩავედით. ვაგონებიდან სატვირთო მანქანაზე გადმოგვსხეს, რომელიღაც ჩიხში. გაისმა ბრძანება: „დაეწყვეთ!“ „სწორ-

დით!“ და ჩვენ ნაბიჯით გავემართეთ ქალაქის მოპირდაპირე მიმართულებით. ვიღაცამ ჰკითხა ეფრეიტორს, სად მივდივართო. იგი, ეტყობა, კარგი კაცი იყო და გულწრფელად გვითხრა:

— აი, რა, ბიჭებო, ნურასოდეს ნუ მისცემთ ასეთ შეკითხვებს უფროსებს. ჯარისკაცმა უსიტყვოდ უნდა შეასრულოს ბრძანება, ხოლო სად წაიყვანონ ჯარისკაცი, ეს უფროსებმა იციან.

თითქოს მისი სიტყვების დასტურად, კოლონის თავში გაისმა რაზმის უფროსის ომახიანი ხმა:

— შეწყვიტეთ ლაპარაკი მწყობრში!

კოლია სივცოვმა, ჩემმა ახალმა მეგობარმა, იდაყვი გამკრა და ჩაიჩურჩულა:

— აი, იწყება ჯარისკაცის სამსახური!

სამი საათი ვიარეთ და, უკვე საკმაოდ მოქანცულები, შევჩერდით ხანმოკლე შესვენებაზე. გარიჟრაჟი ახლოვდებოდა, ძალიან გვეძინებოდა, და როგორც კი დავსხედით მიწაზე, მაშინვე ყველა მხრიდან ხვრინვა მოისმა.

მაგრამ მალე ისევ გაისმა ბრძანება: „დაეწყვეთ!“ ჩვენ კვლავ წინ გავწიეთ და ერთი საათის შემდეგ მივედით სამხედრო ბანაკში. მოგვათავსეს ბარაკში, ცარიელ ნარებზე. გვითხრეს, შეგიძლიათ დაისვენოთ დილის შვიდ საათამდეო. აქ უკვე დაახლოებით ასი კაცი იმყოფებოდა. უამრავ ჭუჭრუტანასა და ჩამტვრეულ ფანჯრებში ქარი უბერავდა. მაგრამ საქმეს ეს „ვენტილიაციაც“ ვერ შველოდა. ბარაკში მძიმე სუნი იდგა.

საუზმის შემდეგ მწყობრში ჩაგვაყენეს და გამოგვიცხადეს: თქვენ იმყოფებით 189-ე სათადარიგო ქვეითთა ბატალიონში. აქ ჩამოყალიბდება მე-5 სათადარიგო საკავალერიო პოლკის რაზმი. დანიშნულების ადგილას გაგზავნამდე შეისწავლით ქვეითად მწყობრში დგომასო.

ჩვენ მოგვცეს ქვეითი ჯარის სასწავლო შაშხანები. ათეულის მეთაურმა ეფრეიტორმა შახეოროსტოვმა გაგვაცნო შინაგანაწესი და ჩვენი მოვალეობა. მან სასტიკად გაგვაფრთხილა, „საჭიროების“ გარდა არსად არ გაქვთ უფლება წახვიდეთ, თუ არ გინდათ მოხვდეთ დისციპლინარულ ბატალიონშიო... იგი ნაწყვეტ-ნაწყვეტად, მკვახედ ლაპარაკობდა და ყოველ სიტყვაზე მუშტს იქნევდა. მის ეიწრო თვალებში ისეთი სიანჩხლე გამოსჭვიოდა, თითქოს ჩვენ იმისი მოსისხლე მტრები ვყოფილიყავით.

— ეჰ, — ამბობდნენ ჯარისკაცები, — ეგ ისეთი ვინმე ჩანს, მაგისგან კარგს ნურაფერს ელით!..

მერე მწყობრთან უფროსი უნტერ-ოფიცერი მოვიდა. ჩვენმა ეფრეიტორმა ბრძანა: „სმენა!“

— მე თქვენი ოცეულის მეთაური მალიავკო ვარ, — გვითხრა უფ-

როსმა უნტერ-ოფიცერმა. — იმედი მაქვს, კარგად გაიგეთ, რაც აგიხსნათ ათეულის მეთაურმა, ამიტომ ერთგულად უნდა ემსახუროთ მეფესა და სამშობლოს. თვითნებობას არ მოვითმენ!

დაიწყო სამწყობრო მეცადინეობის პირველი დღე. თითოეული ჩვენთაგანი ცდილობდა, კარგად შეესრულებინა ბრძანება, ესა თუ ის ილეთი ან მოქმედება იარაღით. მაგრამ უფროსების გულის მოგება ძნელი იყო, მით უმეტეს წახალისების მიღება. ოცეულის უფროსმა ის მოიმიზეზა, რომ ერთ-ერთ ბიჭს ფეხი შეეშალა, და ყველანი დამატებით მეცადინეობაზე დაგვტოვა. ვახშმად სულ ბოლოს მივედით და გვაკმეს დარჩენილი ცივი წვნიანი.

მძიმე იყო პირველი დღის შთაბეჭდილება. ყველას გვეჩქარებოდა დაწოლა და დაძინება. მაგრამ ოცეულის მეთაურმა თითქოს მიგვიხვდაო განზრახვას, გვიბრძანა მწყობრში ჩადგომა და გამოგვიცხადა: ხვალ უნდა გაგიყვანოთ საღამოს საერთო ამოძახებაზე, ამიტომ საჭიროა დღეს შეისწავლოთ სახელმწიფო ჰიმნი „ღმერთო ჰფარვიდე მეფეს!“ ამის შესწავლა. და ხმების შეწყობა გვიან ღამემდე გაგრძელდა. გამთენიის 6 საათზე უკვე ფეხზე ვიყავით, დილის ვარჯიშზე.

ერთიმეორეს წაება ერთფეროვანი, ორი წვეთი წყალივით ერთმანეთის მსგავსი დღეები. მოახლოვდა პირველი კვირადღე. ეფიქრობდით დასვენებას, დაბანვას, მაგრამ გაგვიყვანეს პლიცისა და ბანაკის დასასუფთავებლად. ასე გაგრძელდა სადილობამდე. „მკვდარი საათის“ შემდეგ კი გავწმინდეთ იარაღი, შევაკეთეთ ჯარისკაცის ამუნიცია და დავწერეთ წერილები მშობლებთან გასაგზავნად. ეფრეიტორმა გაგვაფრთხილა, წერილებში რაიმეზე წუწუნი არ დაიწყოთ, სულ ერთია, ცენზურა არ გაუშვებსო.

სამსახურის შეჩვევა ადვილი როდი იყო, მაგრამ ცხოვრების მიერ ჩვენ მანამდეც არ ვიყავით განებივრებული და ორი კვირის შემდეგ შევეგუეთ არმიულ წესებს.

მეორე კვირის ბოლოს ჩვენი ოცეული შესამოწმებლად წარუდგინეს ასეულის მეთაურს შტაბს-კაპიტან ვოლოდინს. ამბობდნენ, იგი ბევრს სვამს და, როცა მთვრალია, სჯობს თვალში არ მოხვდეო. გარეგნულად არაფრით არ განსხვავდებოდა სხვა ოფიცრებისაგან, მაგრამ ეტყობოდა, რომ ყოველგვარი ინტერესის გარეშე ამოწმებდა ჩვენს საბრძოლო მომზადებას. შემოწმების ბოლოს გვითხრა, უფრო მეტად ეცადეთ, ვინაიდან „ღვთისადმი ლოცვა, მეფისადმი სამსახური არ დაიკარგებაო“.

ვიდრე მე-5 სათადარიგო საკავალერიო პოლკში გაგვგზავნიდნენ, ჩვენი ასეულის მეთაური კიდევ ორჯერ ვნახეთ და, მგონი, ორჯერვე შეზარხოშებული იყო. რაც შეეხება 189-ე სათადარიგო ათასეულის მე-

თაურს, იგი ჩვენი სწავლების მთელი ხნის განმავლობაში ერთხელაც არ გვინახავს.

1915 წლის სექტემბერში გაგვგზავნეს უკრაინაში მე-5 სათადარიგო საკავალერიო პოლკში. იგი დაბანაკებული იყო ხარკოვის გუბერნიის ქალაქ ბალაკლეაში. გავცდით ბალაკლეას, ჩვენი ეშელონი გადმოვიდა სადგურ სავინცში, სადაც ამზადებდნენ შემვსებ ნაწილებს მე-10 საკავალერიო დივიზიისათვის. პლატფორმაზე შეგვხვდნენ წელში გამართული, ჰუსართა, ულანთა და დრაგუნთა ფორმაში კოხტად გამოწყობილი ცხენოსანთა უნტერ-ოფიცრები და ვახმისტრები.

განაწილების შემდეგ ჩვენ, მალოიაროსლავეცელები, მოსკოველები და ვორონეჟის გუბერნიელი რამდენიმე ახალგაზრდა დრაგუნთა ესკადრონში ჩაგვრიცხეს.

გვეწყინა, რომ ჰუსართა შორის ვერ მოვხვდით და, რა თქმა უნდა, მარტო იმიტომ კი არა, რომ ჰუსარებს უფრო ლამაზი ფორმა ეცვათ. გვითხრეს, იქ უკეთესი და, რაც მთავარია, უფრო ადამიანური უნტერ-ოფიცრები არიანო. მეფის ჯარში კი მთლიანად უნტერ-ოფიცერზე იყო დამოკიდებული ჯარისკაცის ბედი.

მეორე დღეს დაგვირიგეს კავალერისტთა მუნდირები, ცხენის აღკაზმულობა და თითოეულს მოგვამაგრეს ცხენი. მე ძალიან ჭირვეული, მუქი-ნაცრისფერი ფაშატი შემხვდა, სახელად „ჩაშეჩნაია“.

ქვეით ჯართან შედარებით ცხენოსანთა ნაწილში სამსახური გაცილებით საინტერესო აღმოჩნდა, ოღონდ უფრო ძნელი. საერთო მეცადინეობის გარდა, მოგვემატა საცხენოსნო საქმისა და ცივი იარაღის ხმარების შესწავლა, ცხენის სამჯერ დაურვება დღეში. ახლა 6 საათზე კი არა, როგორც ეს ქვეით ჯარში იყო, არამედ 5 საათზე ვდგებოდით და ასევე ერთი საათით გვიან ვწვებოდით.

ყველაზე მეტად გაგვიჭირდა ცხენოსნობის შესწავლა, ესე იგი, ცხენზე ჯდომა, ცხენით სვლა, ვოლტიჟირება და ცივი იარაღის — შუბისა და ხმლის ხმარება. ცხენზე ჯდომისას ბევრს ბარძაყები გადაეყვლიფა, მაგრამ ჩივილი არ შეიძლებოდა. ჩვენ მხოლოდ ერთ რამეს ჩაგვჩიჩინებდნენ: „გაუძელ, კაზაკო, ატამანი გახდები“ და ჩვენც ვუძლებდით, ვიდრე კარგად არ შევისწავლეთ უნაგირზე ჯდომა.

ჩვენი ოცეულის მეთაური, უფროსი უნტერ-ოფიცერი დურაკოვი, თავისი გვარის საწინააღმდეგოდ, ჭკვიანი და კარგი ადამიანი აღმოჩნდა. როგორც უფროსი, იგი ძალიან მონთხოვნი იყო, მაგრამ ჯარისკაცს არასდროს არ შეურაცხყოფდა და ყოველთვის თავდაჭერილი იყო. სამაგიეროდ სულ სხვანაირი „კაცი“ გახლდათ მეორე მეთაური — უმცროსი უნტერ-ოფიცერი ბოროდავკო, მყვირალა, ნერვიული და ცემა-ტყეპის დიდად მოყვარული. ძველი ჯარისკაცები ამბობდნენ, მას არა ერთი ჯარისკაცისათვის ჩაუმტვრევია კბილებიო.

იგი განსაკუთრებით ულმობელი იყო, როცა ცხენზე ჯდომის სწავლებას ხელმძღვანელობდა. ეს კარგად ვიგრძენით ჩვენი ოცეულის მეთაურის ხანმოკლე შვებულებაში ყოფნის დროს. დარჩა თუ არა მის მაგიერ, ბოროდავკომ მთლად აიშვა თავი. რას არ სჩადიოდა იგი ჯარისკაცების აბუჩად ასაგდებად! დღისით მეცადინეობაზე ფეხების დაწყვეტამდე გვარბენინებდა. განსაკუთრებით დასცინოდა იმათ, ვინც ჯარში გაწვევამდე მოსკოვში ცხოვრობდა, რადგან ფიქრობდა, ისინი განათლებულნი და ზედმეტად ჭკვიანები არიანო. ღამით კი რამდენჯერმე ამოწმებდა შინა მორიგეებს, წაასწრებდა ჩაძინებულთ და სცემდა მათ. მისმა ქცევამ ჯარისკაცები უკიდურესობამდე მიიყვანა.

ერთხელ მოვილაპარაკეთ და დავუდარაჯდით ბნელ კუთხეში, თავზე კარავ-ლაბადა ჩამოვაცვით და იმდენი ვურტყით, სანამ გრძნობა არ დაკარგა. ვერც ერთი ვერ ავცდებოდით სამხედრო საველე სასამართლოს, მაგრამ ამ დროს დაბრუნდა ჩვენი ოცეულის მეთაური, რომელმაც ყველაფერი მოაგვარა, ხოლო შემდეგ მოახერხა ბოროდავკოს გადაყვანა სხვა ესკადრონში.

1916 წლის გაზაფხულისათვის ძირითადად უკვე მომზადებული კავალერისტები ვიყავით. ჩვენ გვაცნობეს, რომ ჩამოყალიბებული იქნება სამარშო ესკადრონი და ფრონტზე გაგზავნამდე მეცადინეობას ძირითადად საველე პროგრამის მიხედვით განაგრძობთო. ჩვენ ადგილს იკავებდნენ 1897 წელს დაბადებული ახალწვეულები, ხოლო თვითონ სოფელ ლაგერში გადასაყვანად გვამზადებდნენ.

ყველაზე მომზადებული ჯარისკაცებისაგან 30 კაცი შეარჩიეს, რათა მათგან მოემზადებინათ უნტერ-ოფიცრები. მათ შორის მეც მოვხვდი. არ მინდოდა სასწავლო რაზმში წასვლა, მაგრამ ოცეულის მეთაურმა, რომელსაც გულწრფელად ვცემდი პატივს როგორც ჭკვიანს, წესიერსა და ჯარისკაცების მოყვარულ პიროვნებას, — დამიყოლია.

— ფრონტზე შენ ისედაც მოხვდები, მეგობარო, მაგრამ წინასწარ უფრო ღრმად შეისწავლე სამხედრო საქმე, იგი გამოგადგება. დარწმუნებული ვარ, შენგან კარგი უნტერ-ოფიცერი დადგებაო, — მითხრა მან.

მერე ოდნავ დაფიქრდა და დაუმატა:

— აი, მე არ ვჩქარობ ხელახლა ფრონტზე წასვლას. ერთ წელიწადს წინა პოზიციებზე ვიყავი და კარგად გავიგე, რას წარმოადგენს იგი, და ბევრ რამესაც მივხვდი... დასანანია, ძალიან დასანანი, რომ ასე სულელურად იღუპება ჩვენი ხალხი, და მერე ნეტავ რისთვის?..

ამის მეტი მას არაფერი უთქვამს, მაგრამ იგრძნობოდა, რომ ამ კაცის გულში ღვივოდა და უკვე გარეთ გამოსვლას ლამობდა ჯარისკაცის მოვალეობასა და მოქალაქე-ადამიანს შორის შინაგანი ჭიდილი. მადლობა გადავუხადე მას რჩევისათვის და დავთანხმდი სასწავლო რაზმში

წასვლაზე, რომელიც ხარკოვის გუბერნიის ქალაქ იზიუმში იმყოფებოდა. სხვადასხვა ნაწილიდან დაახლოებით 240 კაცი ჩავედით.

ყველანი მოგვათავსეს კერძო ბინებში, და მალე მეცადინეობაც დაიწყო. უფროსების მხრივ ბედი არ გვწყალობდა. ჩვენი აქაური უფროსი უნტერ-ოფიცერი ბოროდავკოზე უარესი აღმოჩნდა. არ მახსოვს მისი გვარი, მაგონდება მხოლოდ, რომ ჯარისკაცებმა მას „ოთხნახევარა“ შეარქვეს. ეს მეტსახელი მას იმიტომ დაანათლეს, რომ მარჯვენა ხელზე საჩვენებელი თითი ნახევრად მოკლე ჰქონდა. მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა, მუშტის ერთი დარტყმით ჯარისკაცი მიწაზე გაეშხლართა. მე ყველაზე მეტად ვეჯავრებოდი. ოღონდ რატომღაც ჩემს ცემას ერიდებოდა. სამაგიეროდ თავს მაბეზრებდა სულ ოდნავი შეცდომისათვის, ზოგჯერ კიდევ უბრალოდ რაიმე მიზეზს გამომიძებნიდა და ყოველნაირად მსჯიდა.

ჩემსავით დიდხანს არავინ მდგარა „ხმლითა და სრული საბრძოლო აღჭურვილობით“, არავის არ გადაუტანია ჩემდენი ქვიშით სავსე ტომრები საჯინიბოებიდან ბანაკის კარვებამდე, არავინ იმდენჯერ არ ყოფილა მორიგედ დღესასწაულებზე, რამდენჯერაც მე. ჩემთვის გასაგები გახლდათ, რომ ეს იყო უაღრესად გონებაჩლუნგი და ბოროტი ადამიანის ღვარძლი. სამაგიეროდ მიხაროდა, რომ იგი ვერაფრით ვერ აბერხებდა ჩემთვის რაიმე შარის მოდებას მეცადინეობაზე.

როცა დარწმუნდა, შეუძლებელი იყო ჩემი მოთვინიერება, გადაწყვიტა, შეეცვალა ტაქტიკა, ან შეიძლება, უბრალოდ, უნდოდა ჩამოვრჩენილიყავი საბრძოლო მომზადებას, რაშიც ყველას ვჯობნიდი.

ერთ-ერთ კვირა დღეს მან გამომიძახა კარავში და მითხრა:

— აი რა, ვხედავ, მტკიცე ხასიათისა და მცოდნე ბიჭი ხარ, ადვილად ითვისებ სამხედრო საქმეს, მაგრამ შენ, მოსკოველ მუშას, რად გინდა, რომ ყოველდღე ოფლი ღვარო მეცადინეობაზე? შენ იქნები ჩემი შტატგარეშე გადამწერი, შეავსებ განწესების ფურცლებს, აწარმოებ მეცადინეობის აღრიცხვას და შეასრულებ სხვა დავალებებს.

— მე სასწავლო რაზმში იმიტომ კი არ წავედი, რომ ყოველგვარი დავალების შემსრულებელი გავხდე, არამედ ზედმიწევნით შევისწავლო სამხედრო საქმე და უნტერ-ოფიცერი გავხდე, — ვუპასუხე მე. იგი გაჯავრდა და დამემუქრა:

— კარგი, ერთი ვნახოთ, როგორ გახდები უნტერ-ოფიცერი!

ივნისში თავდებოდა ჩვენი სწავლება და გამოცდები უნდა დაწყებულიყო. არსებული წესის მიხედვით სასწავლო რაზმში ყველაზე უკეთესი გამოშვებისას უმცროსი უნტერ-ოფიცრის წოდებას ღებულობდა, ხოლო დანარჩენები ვიცე-უნტერ-ოფიცრისას, ესე იგი, უნტერ-ოფიცრის წოდების კანდიდატობას. ჩემს ამხანაგებს ეშვი არ ეპარებოდათ, რომ მე პირველთაგანი ვიქნებოდი და გამოშვებისას აუცილებლად მი-

ვიღებდი უმცროსი უნტერ-ოფიცრის ხარისხს, შემდეგ კი ათეულის მეთაურის თანისუფალ ადგილს.

რა მოულოდნელი იყო ყველასათვის, როცა გამოშვებამდე ორი კვირით ადრე მწყობრის წინაშე გამომიცხადეს, გარიცხული ხარ რაზმიდან უდისციპლინობისა და უშუალო უფროსისადმი არალოიალური დამოკიდებულებისათვისო. ყველა მიხვდა, რომ „ოთხნახევარამ" გადაწყვიტა ჩემთან ანგარიში გაესწორებინა, მაგრამ არაფრის გაკეთება არ შეეძლოთ.

დახმარება სრულიად მოულოდნელად მოვიდა. ჩვენს სოფელში მომზადებას გადიოდა ჯარში ნებით განწესებული სკორინო, ძმა იმ ესკადრონის მეთაურის მოადგილისა, რომელშიც გავდიოდი სამსახურს სასწავლო რაზმში ჩარიცხვამდე.

ეს ნებით განწესებული ძალიან ცუდად სწავლობდა და არ უყვარდა სამხედრო საქმე, მაგრამ სასიამოვნო და გულახდილი კაცი იყო, მისი ეშინოდა ჩვენს „ოთხნახევარას". სკორინო მაშინვე წავიდა სასწავლო რაზმის უფროსთან და მოახსენა ჩემდამი უსამართლო მოქცევის შესახებ.

რაზმის უფროსმა ბრძანა მასთან გამოვცხადებულიყავი. ძალიან შევშინდი, ვინაიდან ოფიცრებთან აქამდე არასოდეს არ მილაპარაკია. „ახლა კი დავიღუპე! ეტყობა, დისციპლინარული ბატალიონი არ ამცდება", — გავიფიქრე მე.

რაზმის უფროსს ნაკლებად ვიცნობდით. გაგებული გვქონდა, რომ მას ოფიცრის ხარისხი მამაცობისათვის ჰქონდა მიღებული და დაჯილდოებული იყო წმინდა გიორგის თითქმის ყველა ჯვრითა და მედლით. ომამდე სადღაც ულანთა პოლკში ყოფილა ზეკადიან სამსახურში, ვახმისტრად. ჩვენ მას იშვიათად, მხოლოდ საღამოს ამოკითხვისას თუ ვხვდებოდით. ამბობდნენ, ფრონტზე მძიმედ დაჭრის შემდეგ ავადმყოფობა დასჩემდაო.

ჩემდა გასაკვირად, მე დავინახე ლმობიერი, შეიძლება ითქვას, გულთბილი გამომეტყველებისა და ალალი სახის ადამიანი.

— რაო, ჯარისკაცო, სამსახურში ბედი არ გწყალობს? — მკითხა მან და სკამზე მიმითითა. მე ვიდექი და მეშინოდა დავმჯდარიყავი. — დაჯექი, დაჯექი, ნუ გეშინია!.. შენ, მგონი, მოსკოველი ხარ, არა?

— დიახ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, — ვუპასუხე მე, თან შევეცადე თვითეული სიტყვა წარმომეთქვა რაც შეიძლება ხმამაღლა და გარკვეულად.

— მეც მოსკოველი ვარ, ჯარში წაყვანამდე მარინა როშჩაში ვმუშაობდი, სპეციალობით მეავეჯე ვიყავი. აი, ჩავრჩი სამხედრო სამსახურში და ახლა, ეტყობა, ბოლომდე უნდა მივყვე სამხედრო საქმეს, — თბილად მითხრა მან.

— აი რა, ჯარისკაცო, შენზე ცუდი დახასიათება შემოვიდა. წერენ, სწავლების ოთხი თვის მანძილზე ათამდე სასჯელი აქვს დადებული და ჯარისკაცებში თავისი ოცეულის უფროსს ტუტუცს და სხვა უხიაგ სიტყვებს უწოდებსო. ასეა?

— მართალია, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, მხოლოდ ერთი რამ უნდა მოგახსენოთ, ჩემს ადგილას ყველა ასე მოიქცეოდა, — ვუპასუხე მე და ყველაფერი დაწერილებით ვუამბე.

მან ყურადღებით მომისმინა და მითხრა:

— წადი ოცეულში. მოემზადე გამოცდებისათვის.

კმაყოფილი დავრჩი, რომ ყველაფერი ასე კარგად დამთავრდა. ოღონდ გამოშვებისას მაინც არ მომცეს პირველი ადგილი. იგი მიიღო ჯარში ნებით განწესებულმა სკორინომ. ხოლო მე სასწავლო რაზმიდან სხვებთან ერთად გამომიშვეს ვიცე-უნტერ-ოფიცრის წოდებით.

ახლა, როცა ძველი ჯარის სასწავლო რაზმს ვაფასებ, უნდა ვთქვა, რომ საერთოდ იქ კარგად ასწავლიდნენ. განსაკუთრებით ეს ითქმის სამწყობრო მომზადებაზე, თითოეული გამოსაშვები სრულყოფილად ფლობდა საცხენოსნო საქმეს, იარაღსა და მეომრის მომზადების მეთოდს. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ძველი ჯარის ბევრი უნტერ-ოფიცერი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ წითელი არმიის კვალიფიციური მხედართუფროსი გახდა.

რაც შეეხებოდა აღმზრდელობით მუშაობას, მას საფუძვლად ედო სამხედრო წესთნა. მომავალ უნტერ-ოფიცრებს არ უნერგავდნენ ჯარისკაცისადმი ადამიანური მოპყრობის ჩვევებს, არ ასწავლიდნენ მათ ჯარისკაცის გულში ჩაწვდომას. ისახავდნენ მხოლოდ ერთ მიზანს: ჯარისკაცი ყოფილიყო მორჩილი ავტომატი. დისციპლინური პრაქტიკა შენდებოდა სისასტიკეზე. წესდება არ ითვალისწინებდა ცემას, მაგრამ სინამდვილეში მას ფართოდ იყენებდნენ.

რუსეთის არმიაზე ბევრი რამ დაწერილა, ამიტომ არ მიმაჩნია საჭიროდ მისი განმეორება. შევეხები მხოლოდ ზოგიერთ მომენტს, რომლებიც ჩემის აზრით, საინტერესოა.

რა იყო ყველაზე მეტად დამახასიათებელი ძველი მეფის არმიისათვის? პირველ ყოვლისა ერთიანობის უქონლობა ჯარისკაცთა მასასა და უმაღლეს ოფიცერთა შემადგენლობას შორის.

ომის მსვლელობაში, განსაკუთრებით 1916 წელსა და 1917 წლის დასაწყისში, როცა დიდი დანაკლისის გამო ოფიცერთა კორპუსის შევსება მშრომელი ინტელიგენციის წარმომადგენლების, წერა-კითხვის მცოდნე მუშებისა და გლეხების, აგრეთვე მამაცი ჯარისკაცებისა და უნტერ-ოფიცრების ხარჯზე ხდებოდა, ეს გათიშვა ქვეგანაყოფებში (ბატალიონის ან დივიზიონის ჩათვლით) რამდენადმე შენელდა, მაგრამ იგი მთლიანად დარჩა შენაერთებსა და ბაერთიანებებში. ოფიცრები და

გენერლები, რომლებიც არავითარ სიახლოვეს არ გრძნობდნენ ჯარისკაცთა მასებთან, არ იცოდნენ, რით ცხოვრობდა და სუნთქავდა ჯარისკაცი, უცხონი იყვნენ ჯარისკაცისათვის.

ამ მდგომარეობამ, და აგრეთვე უმაღლეს ოფიცერთა და გენერალთა შემადგენლობაში ფართოდ გავრცელებულმა ოპერატიულ-ტაქტიკურმა უცოდინარობამ საქმე მიიყვანა იქამდე, რომ ეს მეთაურები ერთეულებს გარდა, არ სარგებლობდნენ ავტორიტეტით ჯარისკაცის თვალში. ხოლო ოფიცერთა შემადგენლობის საშუალო რგოლიდან პირიქით, ომის დასასრულს, ბევრი ოფიცერი ახლო იდგა სულიერად ჯარისკაცთან. ასეთი მეთაურები ჯარისკაცებს უყვარდათ, ენდობოდნენ და მიჰყვებოდნენ ცეცხლსა და წყალში.

ძირითადი საფუძველი, რასაც ეყრდნობოდა ძველი ჯარი, იყო უნტერ-ოფიცერთა შემადგენლობა, რომელიც ასწავლიდა, ზრდიდა და ამჭიდროებდა ჯარისკაცთა მასას. უნტერ-ოფიცრებისათვის კანდიდატებს გულდასმით არჩევდნენ. შერჩეულები გადიოდნენ სწავლებას სპეციალურ სასწავლო რაზმებში, სადაც, როგორც წესი, სანიმუშოდ იყო დაყენებული საბრძოლო მომზადება. ამასთან ერთად, როგორც ეკვე ვთქვი, სულ მცირე დანაშაულს მაშინვე მოსდევდა დისციპლინარული სასჯელი, რაც დაკავშირებული იყო ფიზიკურ და მორალურ შეურაცხყოფასთან. ამგვარად, მომავალ უნტერ-ოფიცრებს სასწავლო რაზმიდან გამოსვლის შემდეგ კარგი საბრძოლო მომზადება ჰქონდათ და ამავე დროს ფლობდნენ ხელქვეითებზე ზემოქმედების „პრაქტიკას" მეფის სამხედრო რეჟიმის მოთხოვნათა შესაბამისად.

უნდა ითქვას, ქვეგანაყოფების ოფიცრები სავსებით ენდობოდნენ უნტერ-ოფიცრებს, ჯარისკაცთა მომზადებასა და აღზრდაში. ასეთი ნდობა, უეჭველად, ხელს უწყობდა უნტერ-ოფიცრებში დამოუკიდებლობის, ინიციატივის, პასუხისმგებლობის გრძნობისა და მტკიცე ნებისყოფის გამომუშავებას. საბრძოლო ვითარებაში უნტერ-ოფიცრები, განსაკუთრებით კი კადრის უნტერ-ოფიცრები, უმეტესად კარგი მეთაურები იყვნენ.

ჩემმა მრავალი წლის პრაქტიკამ დამარწმუნა, რომ იქ, სადაც არ არის ნდობა უმცროს მეთაურებისადმი, სადაც მათზე არსებობს უფროს ოფიცერთა მუდმივი მეურვეობა, იქ არასოდეს არ იქნება ნამდვილი უმცროსი სამეთაურო შემადგენლობა, მაშასადამე, არ იქნება კარგი ქვეგანაყოფები.

აგვისტოს პირველ რიცხვებში პოლკიდან მოვიდა ბრძანება, სასწავლო რაზმის გამოშვებულნი გაეგზავნათ სამარშო ესკადრონებში. ჯგუფი, 15 კაცის შემადგენლობით, ბრძანების თანახმად, უნდა წასულიყო პირდაპირ ფრონტზე — მე-10 საკავალერიო დივიზიაში. ამ 15

კაცის სიაში მეორე მე ვიყავი და ეს სრულებით არ გამკვირვებია, ვინაიდან კარგად ვიცოდი, ვისი ხელი ერია ამაში.

როცა სიას კითხულობდნენ გუნდის მწყობრის წინ, „ოთხნახევარა“ იღიმებოდა, და ამით გვაგრძნობინებდა, რომ მასზე იყო დამოკიდებული თითოეული ჩვენთაგანის ბედ-იღბალი. შემდეგ სადღესასწაულო სადილი გვაჭამეს და გვიბრძანეს, გასამგზავრებლად მოვმზადებულიყავით. ყველამ ავიღეთ სანიეთე ჩანთები და წავედით საფრონტო რაზმის შეკრების ადგილას, ხოლო რამდენიმე საათის შემდეგ ჩვენი ეშელონი გაემგზავრა ხარკოვის მიმართულებით.

გზაში დიდხანს დავყავით, საათობით გვაჩერებდნენ ასაქცევებზე, რადგან ფრონტზე გადაჰყავდათ რომელიღაც ქვეითი დივიზია. ფრონტიდან მოჰყავდათ მძიმედ დაჭრილები, მაგრამ სანიტარული მატარებლები იდგნენ, რადგან გზას უთმობდნენ ფრონტზე მიმავალ ეშელონებს. დაჭრილებისაგან ბევრი რამ გავიგეთ, და პირველ რიგში ის, რომ ჩვენი ჯარები ძალიან ცუდად იყვნენ შეიარაღებულნი და მომარაგებულნი საბრძოლო მასალებით; რომ უფროს მეთაურთა შემადგენლობა ცუდი რეპუტაციით სარგებლობს, და ჯარისკაცებს შორის ფართოდ გავრცელებულია აზრი, რომ უმაღლეს სარდლობაში სხედან გერმანელების მიერ მოსყიდული მოღალატეები. ჯარისკაცებს ცუდად კვებავენ. ფრონტიდან მოსულმა ასეთმა ცნობებმა დაგვაღონა და ხმაამოუღებლივ წავედით ჩვენ-ჩვენს ვაგონებში.

მეორე დღეს გარიჟრაჟზე გადმოგვსხეს კამენეც-პოდოლსკის რაიონში. ერთდროულად გადმოსხეს მე-10 ინგერმანლანდის ჰუსართა პოლკის შემვსები ნაწილიც და ასამდე ცხენი თავისი ამუნიციით ჩვენი მე-10 ნოვგოროდის დრაგუნთა პოლკისათვის. როდესაც გადმოტვირთვა მთავრდებოდა, გაისმა საჰაერო განგაშის სასიგნალო ხმა. ყველა მიიმალა, ვისაც სად შეეძლო. მოწინააღმდეგის მზვერავმა თვითმფრინავმა ერთხანს ჩვენს ზევით იტრიალა, რამდენიმე მომცრო უუმბარა გადმოაგდო და დასავლეთისაკენ წავიდა. დაბომბვის შედეგად ერთი ჯარისკაცი მოკვდა და 5 ცხენი დაიჭრა.

ეს იყო ჩვენი პირველი საბრძოლო ნათლობა. გადმოსხმის რაიონიდან მთელი შემვსები ნაწილი სალაშქრო წესით გაიგზავნა მდინარე დნესტრის ნაპირას, სადაც იმ დროს ჩვენი დივიზია სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის რეზერვში იდგა.

ნაწილში მისვლისას გავიგეთ, რომ რუმინეთს ომი გამოეცხადებინა გერმანიისათვის და რუსების მხარეზე იბრძოლებდა გერმანელების წინააღმდეგ. ხმები დადიოდა, რომ მალე ჩვენი დივიზია წავიდოდა პირდაპირ ფრონტზე, მხოლოდ არავინ არ იცოდა, სახელდობრ, რომელ უბანზე.

სექტემბრის დამდეგს დივიზია, სალაშქრო მარშის შემდეგ, შეჯ-

გუფდა ბისტრიცის მთა-ტყიან რაიონში, სადაც მიიღო უშუალო მონაწილეობა ბრძოლებში, უმთავრესად ქვეითად, ვინაიდან ადგილის პირობების გამო შეუძლებელი იყო იერიშების მიტანა ცხენოსანი ნაწილებით.

სულ უფრო ხშირად მოდიოდა შემაშფოთებელი ცნობები, ჩვენი ჯარები დიდ დანაკლისს განიცდიანო. შეტევამ არსებითად ძალა დაკარგა, და ფრონტი შეჩერდა. ცუდად მიდიოდა საქმეები რუმინეთის ჯარების ფრონტზეც. რომლებიც ჩაებნენ ომში სუსტად მომზადებულნი, არასაკმაოდ შეიარაღებულნი და გერმანიისა და ავსტრიის ჯარებთან პირველსავე შეტაკებაში დიდი დანაკლისი განიცადეს.

ჯარისკაცებში იზრდებოდა უკმაყოფილება, განსაკუთრებით, როცა სახლიდან ღებულობდნენ წერილებს; რომლებიც იტყობინებოდნენ შიმშილისა და საშინელი რღვევის შესახებ. ამასვე მეტყველებდა თვით ის სურათიც, რასაც ჩვენ თვითონ ვხედავდით ფრონტის ახლო მდებარე სოფლებში უკრაინაში, ბუკოვინასა და მოლდავეთში. როგორ გაჩანაგდნენ გლეხები მეფის უღელქვეშ, რომლის უგუნურობის გამო უკვე მესამე წელია იღვრებოდა მუშათა და გლეხთა სისხლი! ჯარისკაცებს უკვე ესმოდათ, რომ ისინი სახიჩრდებოდნენ და იღუპებოდნენ არა საკუთარი ინტერესებისათვის, არამედ „ამა ქვეყნის ძლიერთა" გულისათვის, იმათთვის, ვინც მათ, როგორც იტყვიან, უკანასკნელ ტყავს აძრობდა.

1916 წლის ოქტომბერში ბედმა მიმტყუნა: საიე-რეგენის მისადგომებთან დაზვერვაში ყოფნისას ჩემს ორ ამხანაგთან ერთად ნაღმს წავაწყდი. ჩემი ამხანაგები მძიმედ დაიჭრნენ, ხოლო მე აფეთქების ტალღამ უნაგირიდან გადმომაგდო. გონს მხოლოდ ერთი დღე-ღამის შემდეგ მოვედი ჰოსპიტალში. მძიმე კონტუზიის გამო გამგზავნეს ხარკოვში, სადაც სამკურნალოდ ვიმყოფებოდი დეკემბრამდე.

ჰოსპიტლიდან გამოსვლის შემდეგ კიდევ დიდხანს ვგრძნობდი თავს შეუძლოდ, და, რაც მთავარია, ცუდად მესმოდა. სამედიცინო კომისიამ გამგზავნა შემვსებ ესკადრონში, სოფელ ლაგერში, სადაც იმყოფებოდნენ ჩემი მეგობრები ახალწვეულთა ესკადრონიდან. რა თქმა უნდა, ძალიან გამეხარდა მათი ნახვა.

ახალგაზრდა ჯარისკაცი ესკადრონიდან სასწავლო რაზმში მოვხვდი, ხოლო უკან დავბრუნდი უნტერ-ოფიცრის ნიშნებით, ფრონტული გამოცდილებით, და მკერდზე წმინდა გიორგის ორი ჯვრით, რითაც დამაჯილდოვეს გერმანელი ოფიცრის ტყვედ წამოყვანისათვის და მძიმე ჭრილობის მიღების გამო.

ჯარისკაცებთან საუბარმა დამარწმუნა, რომ ისინი დიდად არ ცდილობდნენ „ეყნოსათ დენთის სუნი", მათ არ უნდოდათ ომი. ჯარისკაცებს უკვე სხვა ფიქრები აწუხებდათ — მეფის წინაშე დადებული ერთგულების ფიცის მაგიერ, ისინი ფიქრობდნენ მიწაზე, ზავზე, ახლო-

ბელ ადამიანებზე. 1916 წლის ბოლოს ჯარისკაცებს შორის ფართოდ გავრცელდა ხმები მუშათა გაფიცვებზე პეტროგრადში, მოსკოვსა და სხვა ქალაქებში. ლაპარაკობდნენ ბოლშევიკებზე, რომლებიც იბრძვიან მეფის წინააღმდეგ, იბრძვიან ზავისათვის, მიწისათვის, მშრომელი ხალხის თავისუფლებისათვის. ახლა უკვე თვითონ ჯარისკაცები მოითხოვდნენ დაჟინებით ომის შეწყვეტას.

მიუხედავად იმისა, რომ უნტერ-ოფიცერი ვიყავი, ჯარისკაცები მენდობოდნენ და ხშირად მესაუბრებოდნენ სერიოზულ თემაზე. ცხადია, მაშინ სუსტად ვერკვეოდი პოლიტიკურ საკითხებში, ოღონდ მიმაჩნდა, რომ ზავის, მიწისა და თავისუფლების მიცემა რუსეთის ხალხებისათვის შეეძლოთ მხოლოდ ბოლშევიკებს და სხვას არავის. სწორედ ამას შთავაგონებდი, როგორც შემეძლო ჯარისკაცებს, რაც სათანადოდ დამიფასეს კიდეც.

აი, როგორ მოხდა ეს.

1917 წლის 27 თებერვალს დილით ადრე სოფელ ლაგერში დაბანაკებული ესკადრონი განგაშით წამოაყენეს. ჩავმწკრივდით ესკადრონის მეთაურის როტმისტრ ბარონ ფონ დერ ჰოლცის ბინის ახლოს. რა თქმა უნდა, არც ერთმა ჩვენთაგანმა არაფერი არ იცოდა. ჩვენი ოცეულის ოფიცერი იყო პორუჩიკი კიევსკი.

— თქვენო კეთილშობილებავ, სად მივყავართ? — შეეკითხე მას.

ჩემს შეკითხვაზე მან შეკითხვითვე მიპასუხა:

— თქვენ როგორ ფიქრობთ?

მე ვუთხარი, რომ ჯარისკაცებმა უნდა იცოდნენ, სად მიჰყავთ ისინი, მით უმეტეს, რომ საბრძოლო ვაზნები დაგვირიგეს-მეთქი.

— მერე რა, ვაზნები შეიძლება გამოგვადგეს.

ლაპარაკი როტმისტრ ბარონ ფონ დერ ჰოლცის გამოჩენამ შეგვაწყვეტინა.

იგი მებრძოლი როტმისტრი იყო. მას მიღებული ჰქონდა ოქროს იარალი, წმინდა გიორგის ჯარისკაცის ჯვარი და ბევრი სხვა საბრძოლო ორდენი. მაგრამ, როგორც ადამიანი, საზიზღარი იყო, მუდამ ღვარძლიანად ელაპარაკებოდა ჯარისკაცებს, რომლებსაც არ უყვარდათ და ეშინოდათ მისი.

ბრძანება „სმენის" შემდეგ როტმისტრი მიესალმა ესკადრონს.

ბარონ ფონ დერ ჰოლცმა კოლონა სამ მწკრივად დააყენა და ბრძანა „ჩორთით" დაძრულიყვნენ. ესკადრონი გაემართა ქალაქ ბალაკლეასკენ, სადაც იდგა მე-5 ცხენოსანთა სათადარიგო პოლკის შტაბი. პოლკის პლაცთან მიახლოებისას დავინახეთ, რომ იქ მწყობრში გაშლილიყვნენ კიეველთა დრაგუნები და ინგერმანლანდის ჰუსარები. ჩვენი ესკადრონიც განლაგდა გაშლილი ფრონტით. ჩორთით მოვიდნენ ცხენოსანთა სხვა ნაწილებიც. არავინ არ იცოდა, რა ხდებოდა...

მალე ეველაფერი გამოირკვა. საიდანღაც, კუთხის მიღმა, გამოჩნდნენ დემონსტრანტები წითელი დროშებით ხელში. ჩვენი ესკადრონის მეთაურმა ლეზი ჰკრა ცხენს და გაეშვა პოლკის შტაბისაკენ. სხვა ესკადრონების მეთაურებიც მას მიჰყვნენ. ამ დროს შტაბიდან გამოვიდა სამხედრო პირებისა და მუშების ჯგუფი.

მალალმა სამხედრო პირმა ხმამაღლა მიმართა ჯარისკაცებს. მან თქვა, რომ ჩვენი სამშობლოს მუშები, გლეხები და ჯარისკაცები დღეიდან აღარ სცნობენ მეფე ნიკოლოზ მეორეს, არ სცნობენ კაპიტალისტებსა და მემამულეებს. რუს ხალხს არ სურს სისხლისმღვრელი იმპერიალისტური ომის გაგრძელება, მას სჭირდება ზავი, მიწა და თავისუფლება. სამხედრო პირმა თავისი მოკლე სიტყვა დაამთავრა ლოზუნგებით: „ძირს მეფე! ძირს ომი! გაუმარჯოს მშვიდობას ხალხთა შორის! გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოებს! ვაშა!".

ჯარისკაცებისათვის არავის არ გაუცია ბრძანება. ისინი თვითონ მიხვდნენ, რაც უნდა გაეკეთებინათ. ყველა მხრიდან გაისმა შეძახილები „ვაშა! ვაშა!" ჯარისკაცები შეუერთდნენ დემონსტრანტებს...

რამდენიმე ხნის შემდეგ გავიგეთ, რომ ჩვენი როტმისტრი ბარონ ფონ დერ ჰოლცი და მთელი რიგი სხვა ოფიცრები დააპატიმრა იატაკქვეშეთიდან გამოსულმა ჯარისკაცთა კომიტეტმა და დაიწყო თავისი ლეგალური მოღვაწეობა იმათი დაპატიმრებით, ვისაც შეეძლო ხელი შეეშალა რევოლუციის საქმისათვის.

ჯარებს იქვე უბრძანეს, დაბრუნებულიყვნენ თავთავიანთ ადგილებზე და დალოდებოდნენ ჯარისკაცთა კომიტეტის განკარგულებას. პოლკის კომიტეტის სათავეში იდგა ბოლშევიკი იაკოვლევი (სამწუხაროდ, არ მახსოვს მისი სახელი და მამის სახელი). მეორე დილას მისგან გამოგზავნილი ვიღაც ოფიცერი მოვიდა. მან გვიბრძანა, შეეკრებილიყავით მთელი ესკადრონი, რათა აგვერჩია დელეგატები პოლკის საბჭოში და იმავდროულად — ესკადრონის ჯარისკაცთა კომიტეტიც. ჯარისკაცთა კომიტეტის თავმჯდომარედ ერთხმად ამირჩიეს მე. დელეგატებად პოლკის საბჭოში აირჩიეს პორუჩიკი კიევსკი, მე და კიდევ ერთი ჯარისკაცი პირველი ოცეულიდან, რომლის გვარი, სამწუხაროდ, დამავიწყდა.

მარტის დამდეგს ბალაკლეაში შედგა ჯარისკაცთა დეპუტატების პოლკის საბჭოს საერთო კრება. იაკოვლევმა მაშინ ძალიან კარგად და გასაგებად ილაპარაკა საბჭოს ამოცანებზე, მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა ერთიანობის განმტკიცების საჭიროებაზე რევოლუციის განგრძობისათვის. ჩვენ მთელი სულითა და გულით მივესალმეთ მის გამოსვლას.

ხოლო შემდეგ გამოვიდა ვიღაც პრაპორშჩიკი. ის ჯერ ლამაზად ლაპარაკობდა და თითქოს რევოლუციას ემხრობოდა, მაგრამ ბოლოს მხარი დაუჭირა დროებით მთავრობას და მოუწოდა ჯარებს, გაეგრძე-

ლებინათ ომი მტრის წინააღმდეგ. ჯარისკაცები აღშფოთებით შეხვდნენ მის სიტყვებს. და როცა დადგა პოლკის საბჭოს შემადგენლობის არჩევის საკითხი, ხმა მისცეს მხოლოდ იმათ, ვინც ბოლშევიკების მომხრე იყო.

ამგვარად, ჩვენი პოლკის საბჭო ბოლშევიკური გახდა.

მაისში ამხანაგი იაკოვლევი სადღაც წავიდა. მისი წასვლის შემდეგ საბჭო გაცილებით უფრო ცუდად მუშაობდა, ხოლო მალე იქ მთელი საქმიანობის ავან-ჩავანნი გახდნენ ესერები და მენშევიკები, რომლებიც ცდილობდნენ მხარი დაეჭირათ დროებითი მთავრობისათვის. ეს ამბავი იმით დამთავრდა, რომ შემოდგომის დამდეგს ზოგიერთი ქვეგანაყოფი პეტლიურას მხარეზე გადავიდა.

ჩვენი ესკადრონი, რომლის შემადგენლობაშიც უმთავრესად მოსკოველები და კალუგელები შედიოდნენ, სახლებში გაუშვა ჯარისკაცთა საესკადრონო კომიტეტმა. ჩვენ დავურიგეთ ჯარისკაცებს ცნობები, რომლებიც ადასტურებდნენ სამსახურიდან დათხოვნის ნამდვილობას, და ვურჩიეთ მათ თან წაეღოთ კარაბინები და საომარი ვაზნები. როგორც შემდეგ გამოირკვა, ხარკოვის რაიონში ჰაიდამაკთა გადამღობმა რაზმმა იარაღი ჩამოართვა ჯარისკაცთა უმრავლესობას. მე მომიხდა რამდენიმე კვირას დავმალულიყავი ბალაკლეასა და სოფელ ლაგერში, ვინაიდან დამეძებდნენ უკრაინელ ნაციონალისტთა სამსახურში გადასული ოფიცრები.

1917 წლის 30 ნოემბერს საბოლოოდ დავბრუნდი მოსკოვს, სადაც ოქტომბერში ძალაუფლება გადავიდა საიმედო ხელში — ბოლშევიკების, მუშების, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების ხელში.

1917 წლის დეკემბერი და 1918 წლის იანვარი დავყავი სოფელში ჩემს დედამასთან და დასვენების შემდეგ გადაეწყვიტე წითელი გვარდიის რიგებში შესვლა. მაგრამ თებერვლის დამდეგს მძიმედ გავხდა ავად პარატიფიანი ტიფით, ხოლო აპრილში — შებრუნებითი ტიფით. ჩემი სურვილის განხორციელება კი — მებრძოლა წითელი არმიის რიგებში, მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ შევძელი, როცა 1918 წლის აგვისტოში მოხალისედ შევედი მოსკოვის პირველი საკავალერიო დივიზიის მე-4 ცხენოსანთა პოლკში.

იმ ხანებში კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო შეუდგნენ მნიშვნელოვან და ძნელ ამოცანათა გადაწყვეტას — ძველი არმიის დემობილიზაციასა და ახალი არმიის, მუშათა და გლეხთა არმიის შექმნას. იმავდროულად მიმდინარეობდა არმიის დემოკრატიზაციის ფართო პროცესი. ძალაუფლება ჯარებში გადადიოდა ჯარისკაცთა კომიტეტებისა და საბჭოების ხელში, ყველა სამხედრო მოსამსახურის უფლებები თანაბარი ხდებოდა, მეთაურთა შემადგენლობას, პოლკის რგოლის ჩათვლით, საერთო კრებებზე ირჩევდნენ. ამის შედეგად ჯარის-

კაცთა და მატროსთაგან, და აგრეთვე იმ ოფიცერთაგან, რომელთაც სცნეს საბჭოთა ხელისუფლება, დაწინაურდა არმიის მრავალი ნიჭიერი ორგანიზატორი.

„თუკი ოდესმე იქნება შესაძლებლობა რევოლუციის ეპოქაში ჩვენი არმიის მდგომარეობის მიუდგომელი შესწავლისა, — აღნიშნავდა ერთ-ერთ თავის ანგარიშში სრულიად საკავშირო ცაკის სამხედრო განყოფილება, — მაშინ ყველასათვის ნათელი გახდება, რომ მხოლოდ და მხოლოდ არმიის სრულმა დემოკრატიზაციამ, ჯარისკაცთა ფართო მასების მიერ არჩეული არმიული ორგანიზაციებისაგან ხელისუფლების ცნობამ და მშვიდობიანობის იმ პოლიტიკამ, რომელსაც ატარებდა სახალხო კომისართა საბჭო, შესაძლებელი გახადა 1918 წელს შუა ზამთრამდე შეეჩერებინათ ფრონტებზე არმიები და გადაერჩინათ ჩვენი ქვეყანა ზურგში არმიების გარდაუვალი თვითნებური და სტიქიური უკან დახევისაგან“[1].

1918 წლის იანვარში შემდგარმა საბჭოების სრულიად რუსეთის III ყრილობამ ერთსულოვნად გამოთქვა აზრი, რომ შექმნილიყო ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალები. ყრილობაზე მიღებულ იქნა ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი „მშრომელი და ექსპლუატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაცია“, სადაც, კერძოდ, ნათქვამია: „მშრომელი მასებისათვის მთელი ძალაუფლების უზრუნველსაყოფად და ექსპლოატატორთა ხელისუფლების აღდგენის ყოველგვარი შესაძლებლობის მოსასპობად, ცხადდება მშრომელთა შეიარაღება, მუშათა და გლეხთა სოციალისტური წითელი არმიის შექმნა და შეძლებული კლასების სრული განიარაღება“[2].

წითელი არმიის პირველი შენაერთის ჩამოყალიბება დაიწყო მაშინვე, 1918 წლის იანვარში, პეტროგრადში, წითელგვარდიელთა მრავალი ასეულისაგან[3], პეტროგრადის გარნიზონის სათადარიგო პოლკთა ჯარისკაცებისაგან. ეს იყო **მუშურ-გლეხური წითელი არმიის I კორპუსი.** სწორედ მაშინ პეტროგრადიდან დასავლეთ ფრონტზე გაგზავნილ იქნა სოციალისტური არმიის, წითელგვარდიელთაგან შემდგარი ათასკაციანი პირველი რაზმი.

---

[1] ЦГАОР, ф. 1235, оп. 79, д. 12, л. 4.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ. თხზ., მე-4 გამოც., ტ. 26, გვ. 496.

[3] 1917 წელს წითელ გვარდიას ყველგან უწოდებდნენ რევოლუციის საქმის ერთგულ შეიარაღებულ მუშათა რაზმებს. ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების წინ ბოლშევიკებმა გაიაღეს წითელი გვარდიის სამხედრო სწავლება. ბოლშევიკების გავლენა სწრაფად იზრდებოდა ფრონტებსა და ზერგის მნიშვნელოვან გარნიზონებში, ბალტიის ფლოტში. წითელი გვარდიის, ჯარისკაცთა და მატროსთა მასების საქმიანობას თვით რევოლუციის პერიოდში და უმალ მის შემდეგ უშუალოდ ხელმძღვანელობდა და წარმართავდა რსდმპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სამხედრო ორგანიზაცია.

რაზმის საზეიმო გაცილებისას სიტყვით გამოვიდა ვ. ი. ლენინი. მან თქვა: „თქვენი სახით მივესალმები სოციალისტური არმიის იმ პირველ გმირ მოხალისეებს, რომელნიც შექმნიან ძლიერ რევოლუციურ არმიას"[1].

წითელ არმიაში მოხალისეთა მიღების წესი შემდეგნაირი იყო. თითოეულ მოხალისეს უნდა წარმოედგინა რეკომენდაცია სამხედრო კომიტეტების, პარტიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა, რომლებიც მხარს უჭერდნენ საბჭოთა ხელისუფლებას, ხოლო თუკი მთელ ჯგუფებად შემოვიდოდნენ, მაშინ საჭირო იყო კოლექტიური თავდებობა. ძუშერ-გლეხური წითელი არმიის ჯარისკაცები სავსებით უზრუნველყოფილნი იყვნენ სახელმწიფოს მიერ და, გარდა ამისა, თავდაპირველად ღებულობდნენ 50 მანეთს თვეში, ხოლო შემდეგ, 1918 წლის შუა რიცხვებიდან, მარტოხელა ჯარისკაცები — 150 მანეთს, ოჯახის პატრონები — 250 მანეთს. 1918 წლის გაზაფხულზე წითელ არმიაში უკვე ითვლებოდა დაახლოებით 200 ათასამდე მებრძოლი, მაგრამ შემდეგ მოხალისეთა ნაკადმა შემცირება იწყო.

რა თქმა უნდა, ნებაყოფლობითს საფუძველზე არმიათა დაკომპლექტებას ჰქონდა თავისი ნაკლოვანებები. არ არსებობდა საბრძოლო რეზერვები, არ იყო შევსებათა მომზადების სისტემა, პირად შემადგენლობას არ შეეძლო დიდ საომარ ოპერაციათა ჩატარების უზრუნველყოფა, იგი სუსტად იყო გაწვრთნილი და დისციპლინირებული.

ხედავდა რა ამას, სრულიად საკავშირო ცაკმა ჩვენს ქვეყანაში სპეციალური დეკრეტით შემოიღო მშრომელთა საყოველთაო სამხედრო სწავლება (ვსევობუჩი). 18-დან 40-მდე ასაკის ყოველ მშრომელს, ძირითადი სამუშაოდან მოუწყვეტლად, 96 საათის განმავლობაში უნდა გაეელო სამხედრო სწავლების კურსი, აყვანილიყო აღრიცხვაზე, როგორც სამხედრო ვალდებული და საბჭოთა მთავრობის პირველსავე მოწოდებაზე შესულიყო წითელი არმიის რიგებში.

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი ავალდებულებდა პარტიის წევრებს დაუყოვნებლივ შესდგომოდნენ სამხედრო საქმის შესწავლას. უქმდებოდა მეთაურთა არჩევითობა, შემოღებულ იქნა მეთაურთა შემადგენლობის დანიშვნის სისტემა, რომელსაც ამტკიცებდნენ სამხედრო უწყებათა ორგანოები იმ პირთაგან, რომელთაც ჰქონდათ სამხედრო მომზადება ანდა დიდად ისახელეს თავი ბრძოლებში. საბჭოების სრულიად რუსეთის V ყრილობამ მიიღო დადგენილება „წითელი არმიის მშენებლობის შესახებ", რომელმაც მოიწონა პარტიისა და მთავრობის ღონისძიებები რეგულარული არმიის შექმნის თაობაზე. ამასთან ხაზ-

---

[1] В. И Ленин. Полн. собр. соч., т. 35, стр. 216.

გასმით აღინიშნა არმიის ცენტრალიზებული მართვის აუცილებლობა და ჯარებში რევოლუციური რკინისებური დისციპლინის მნიშვნელობა.

ყრილობამ კანონმდებლურად განამტკიცა სამხედრო კომისართა ინსტიტუტი, რომელსაც დასაბამი დაედო ჯერ კიდევ 1917 წლის ოქტომბერში, როცა ძველი არმიის მრავალ ნაწილსა და მთელ რიგ სამხედრო დაწესებულებაში გაგზავნილ იქნენ სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის კომისრები. ახლა სამხედრო კომისრები, პარტიულ უჯრედებზე დაყრდნობით, ზრდიდნენ ჯარისკაცებს, კონტროლს უწევდნენ სამხედრო სპეციალისტთა მოქმედებას და იმავდროულად წითელარმიელთა მასებს უნერგავდნენ პატიოსანი და ერთგული სპეციალისტებისადმი ნდობას. კომისრების შესახებ შემდეგში ვილაპარაკებთ, ოღონდ წინასწარ აღვნიშნავ, რომ, როგორც წესი, ისინი იყვნენ უმწიკვლო ადამიანები, კრისტალურად პატიოსანნი და თავდადებული კომუნისტები.

საბჭოების ყრილობამ მოითხოვა ჩამოყალიბებულიყო წითელი არმია სამხედრო ქეცნიერების საფუძველზე, ძველი სამხედრო პირების გამოცდილებათა გამოყენებით და იმავდროულად ფართოდ მოემზადებინათ მეთაურთა კადრები მუშებისა და გლეხებისაგან. საბჭოების V ყრილობისა და სრულიად საკავშირო ცაკის დადგენილებებს ცხოვრებაში ატარებდნენ პარტიული ორგანიზაციები, ღარიბთა კომიტეტები, შეგნებულ მუშათა და გლეხთა მასები. ყოველივე ამის შედეგად წითელ არმიაში ჩემი შესვლის დროს იქ უკვე იყო ნახევარ მილიონზე მეტი კაცი. ამ მძიმე წელს პარტიამ სამხედრო საკითხის გამო მრავალი გადაწყვეტილებითა და უდიდესი პრაქტიკული მუშაობით საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს, შეამჭიდროვა წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის პროლეტარული, პოლიტიკურად შეგნებული ბირთვი, რასაც ეყრდნობოდა იგი შემდგომ სამხედრო მშენებლობაში.

თავი მესამე

მონაწილეობა სამოქალაქო ომში

მეფის მთავრობამ სრულ განადგურებამდე მიიყვანა ქვეყანა. მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელ მეამბოხეთა ჯარების მიერ მთელი რიგი მნიშვნელოვანი ეკონომიური რაიონების დაპყრობამ.

ინტერვენტთა და თეთრგვარდიელთა არმიების ცეცხლის რკალში მოქცეული ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა დაძაბულ ბრძოლას ეწეოდა. ყველას, ვინც ცხოვრობდა, მუშაობდა და იარაღით ხელში იბრძოდა დიდი ოქტომბრის იდეებისათვის, კარგად ახსოვს, თუ რარიგ მძიმე იყო ეს დრო საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში.

1918 წლის გაზაფხულზე ჩრდილოეთსა და შორეულ აღმოსავლეთში გადმოსხდნენ ანტანტის ჯარები. მაისში ინგლის-საფრანგეთის სამსახურში ჩამდგარმა ჩეხოსლოვაკელთა კორპუსმა გააჩაღა მოქმედება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ურალზე, ციმბირსა და ვოლგისპირეთში. გერმანელთა ჯარებმა დაიკავეს უკრაინისა და ბალტიისპირეთის მნიშვნელოვანი ნაწილი.

1918 წლის მეორე ნახევრისთვის იმპერიალისტთა და თეთრგვარდიელთა ძალები რუსეთში ითვლიდნენ თანამედროვე წესით გაწვრთნილ და შეიარაღებულ ერთ მილიონამდე ჯარისკაცსა და ოფიცერს.

ხალხისათვის შექმნილი მდგომარეობის მთელი სიმძიმეების განმარტებისას ვ. ი. ლენინმა მოუწოდა გაეძლიერებიათ პარტიისა და ყველა მშრომელის შესაძლებლობანი ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად. 1918 წლის სექტემბერში სრულიად საკავშირო ცაკმა გამოსცა დეკრეტი რესპუბლიკის ერთიან სამხედრო ბანაკად გარდაქმნის შესახებ. ნოემბერში ვ. ი. ლენინის თავმჯდომარეობით შეიქმნა მუშათა და გლეხთა თავდაცვის საბჭო. თავდაცვის საბჭომ გააერთიანა სამხედრო და თავდაცვის სხვა უახლოეს უწყებათა, წითელი არმიის მომარაგების საგანგებო კომისიის საქმიანობა, წყვეტდა და აგვარებდა

ჯარების ჩამოყალიბებისა და ყოველივე აუცილებელით მათი უზრუნველყოფის პრობლემებს. კერძოდ, ღებულობდა ზომებს ძველი არმიიდან დარჩენილი საჭურველისა და საომარი მასალების გამოსაყენებად და შესაკრებად. ცდილობდა გამოეყენებინა მრეწველობის ყველა შესაძლებლობა, ამჭიდროებდა ფრონტსა და ზურგს. რესპუბლიკის თავდაცვის საბჭო და რევოლუციური სამხედრო საბჭო ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რათა განეხორციელებიათ მასობრივი რეგულარული არმიის შექმნის ლენინური გეგმა.

1919 წლის დამდეგისათვის წითელ არმიაში იყო შაშხანებითა და „მაქსიმის" სისტემის ტყვიამფრქვევებით, რევოლვერებითა და ხელყუმბარებით შეიარაღებული 42 მსროლელი დივიზია. კავალერია ითვლიდა 40 ათას ხმალს, მოქმედ არმიაში ირიცხებოდა 1700 ქვემეხი. ფართოვდებოდა ჯავშნოსანთა ძალები, მათში შედიოდნენ: რუსთა არმიის ჯავშნოსანი მატარებელი (იგი შეიცავდა ერთ ჯავშნიან ორთქლმავალს, ორ ჯავშნიან ბაქანს და ორ-სამ საკონტროლო პლატფორმას), და აგრეთვე 50 ჯავშნიანი მანქანისაგან შემდგარი ავტოჯავშნიანი რაზმები. სამხედრო ავიაციას ჰქონდა 450 თვითმფრინავი, მოქმედ ფლოტში (სამდინარო და ტბის ფლოტილიათა გარდა) ირიცხებოდა 2 სახაზო გემი, 2 კრეისერი, 24 საესკადრო ნაღმოსანი, 6 წყალქვეშა ნავი, 8 სანაღმო გადამღობი, 11 სატრანსპორტო და სხვა ხომალდები.

პეტროგრადში იქმნება საჰაერო თავდაცვის შტაბი, ყალიბდება პირველი საზენიტო ბატარეები, უმჯობესდება არმიის ზურგის ორგანიზაცია, გვარდება სამედიცინო სამსახური, ფართოვდება მეთაურთა კადრების მოსამზადებელი კურსების ქსელი.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს საკმაოდ უმნიშვნელო შეიარაღებულ ძალებს წარმოადგენდა, ხოლო თუ როგორ ამარცხებდა წითელი არმია შეიარაღების მხრივ ჩვეულებრივ უპირატესობის მქონე მოწინააღმდეგეს, ამის გაგება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ გავითვალისწინებთ ახალი სოციალისტური სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დამცველ მუშათა და გლეხთა ჯარების უდიდეს პატრიოტიზმს, მათს განსაკუთრებულ მორალურ და პოლიტიკურ თვისებებს.

1919 წლის გაზაფხულზე იმპერიალისტები აწყობენ ერთობლივ ლაშქრობას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

იმ დროს ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთში იდგა კოლჩაკის არმია, რომელსაც ეკავა ფრონტი პერმ-ორსკის ხაზზე. ურალის თეთრკაზაკთა არმია დაბანაკდა ურალსკთან და დაიკავა გურიევი. დენიკინის თეთრი არმიები სრული მზადყოფნით იდგნენ მდინარე თერგზე და ეპირათ ნოვოჩერკასკი, დონის როსტოვი, იუზოვკა და დონბასის სხვა პუნქტები. ანტანტისა და უკრაინის კონტრრევოლუციური მთავრობის (ეგრეთ წოდებული დირექტორიის) ჯარებმა დაიპყრეს უკრაინა და გამაგრდნენ

ხერსონ—ნიკოლაევ—ჟიტომირ—კოროსტენის ხაზზე. თეთრლატვიელები იმყოფებოდნენ შავლი—მიტავას ზღუდესთან, იუდენიჩი და თეთრესტონელები — ვოლმარ — ნარვას ხაზზე და თავიანთი დარტყმით ემუქრებოდნენ პეტროგრადს. თეთრფინელებს, ინტერვენტებსა და თეთრგვარდიელებს ეჭირათ ჩვენი ქვეყნის ჩრდილო რაიონები და თავიანთ დარტყმას პეტროგრადს, ვოლოგდას, კოტლასსა და კრასნოვოდსკს უმიზნებდნენ. ბათუმში, ნოვოროსიისკში, სევასტოპოლსა და ოდესაში აგრეთვე ინტერვენტები პარპაშებდნენ.

იმპერიალისტურმა მთავრობებმა მიზნად დაისახეს საბჭოთა ხელისუფლების მოსპობა და შეუთანხმდნენ ერთმანეთს ჩვენი ქვეყნის დანაწევრების თაობაზე. მათ გათვალისწინებული ჰქონდათ უკრაინის, ბელორუსიის, ბალტიისპირეთის, კავკასიის, ჩრდილოეთის ნაწილისა და სხვა მნიშვნელოვან რაიონთა მოწყვეტა.

ანტანტის მიერ კოლჩაკი აღიარებულ იქნა „უზენაეს მმართველად". 1919 წლის გაზაფხულისთვის მარტო მის არმიაში იყო 300 ათასი კარგად შეიარაღებული ჯარისკაცი, მასში უმთავრესად შედიოდა იმპერიბაიკალელი და ციმბირელი შეძლებული გლეხკაცობა, კონტრრევოლუციური კაზაკობა და აგრეთვე ორენბურგელი და ურალელი თეთრკაზაკობა.

გარდა ამისა, კოლჩაკელთა ჯარების ზურგში თავმოყრილი იყო ინტერვენტთა — აშშ-ს, საფრანგეთის, ინგლისის, იაპონიისა და იტალიის 150 ათასამდე ჯარისკაცი, ჩეხოსლოვაკელთა მეამბოხე კორპუსი და სხვა სახელმწიფოთა სამხედრო ნაწილები.

დასავლეთის სახელმწიფოები გაძლიერებით ამარაგებდნენ დენიკინის არმიას. თვითონ მას ანტანტამ „უზენაესის მოადგილის" ხარისხი უბოძა. ამ აქტით წინასწარ განისაზღვრა როგორც მისი ჯარების სამხედრო მნიშვნელობა, ისე დენიკინის პირადი როლიც.

1919 წლის გაზაფხულისათვის წითელი არმია მნიშვნელოვნად გაიზარდა. მისი რაოდენობა 1800 ათას კაცამდე ავიდა, რომელთაგან დაახლოებით 400 ათასი კარგად შეიარაღებული ჯარისკაცი უშუალოდ ფრონტებზე იმყოფებოდა. ამ ნაწილებმა უკვე მიიღეს შეიარაღებული ბრძოლის მეომრული წრთობა. წითელი არმიის მეომრებს მშვენივრად ესმოდათ, თუ რა იდეებისათვის ებრძოდნენ ისინი ინტერვენტებსა და თეთრთა არმიებს, თუ რისთვის ომობდნენ და რა მიზნებისათვის იღვწოდნენ მათი მტრები.

რასაკვირველია, კოლჩაკელები, დენიკინელები და სხვა თეთრი არმიების ჯარისკაცები წითელარმიელებზე უკეთ იყვნენ მომარაგებულნი. მათ ჰქონდათ კარგი ტანისამოსი და საჭურველი, ისინი ეყრდნობოდნენ სურსათ-სახოვაგის მარაგით მდიდარ ზურგს, ანტანტიდან უხვად ღებულობდნენ იარაღს, საომარ მასალას, სამხედრო აღჭურვილობასა და სხვა მატერიალურ სახსრებს.

თუმცა საბჭოთა რესპუბლიკის საშინაო მდგომარეობა რამდენადმე განმტკიცდა, მაგრამ მთლიანად კვლავ მაინც ძძიმე გარემოცვა რჩებოდა.

ოთხწლიანმა იმპერიალისტურმა ომმა გააღატაკა სუსტად განვითარებული მრეწველობის მქონე აგრარული ქვეყანა. მუშახელისა და ნედლეულის ნაკლებობის გამო მრავალი ფაბრიკა და ქარხანა ჯერ კიდევ ცარიზმის დროს დაიხურა. რკინის მადნეულის, ქვანახშირის, ნავთობისა და ბამბის დიდ რაოდენობას, თუჯის, ფოლადისა და შაქრის თითქმის სამ მეოთხედს და პურის უდიდეს ნაწილს ჩვენი ქვეყნის სწორედ ის რაიონები აწარმოებდნენ, რომლებიც ინტერვენტებმა და თეთრგვარდიელებმა დაიპყრეს. მხოლოდ პარტიისა და ხალხის ჭეშმარიტად გმირულმა და შეერთებულმა ძალღონემ უზრუნველყო და ხელი შეუწყო წითელი არმიის მომარაგების ორგანიზაციას. ამასთან მუდმივად საჭირო ხდებოდა ძალზე მცირე მატერიალურ-ტექნიკური სახსრებითა და საშუალებებით მანევრირება, მათი წარმართვა იქითკენ, სადაც ამა თუ იმ მომენტში წყდებოდა ქვეყნის ბედი. ძნელად იშოვებოდა ყველაზე საჭირო და აუცილებელი — ლითონი, სათბობი მასალა, ტანსაცმელი, პური.

მაგონდება სადგურ ერშოვზე ჩვენი პოლკის გადმოსხმის მომენტი. მოსკოვში — დამშეული ჯარისკაცები პირდაპირ ვაგონებიდან შეესია ბაზრებს, იყიდეს იქ პურის კვერები და იქვე იწყეს მათი გადაყლაპვა ისე, რომ ბევრი მათგანი ავადაც გახდა. ისინი ხომ მეოთხედ გირვანქა უვარგის პურსა და ცხენის ხორცის ანდა ნაფოტა თევზის შჩის ღებულობდნენ საჭმელად მოსკოვში.

ჩვენ ხომ ვიცოდით, თუ როგორ შიმშილობდა მოსკოვის, პეტროგრადისა და სხვა ქალაქების მშრომელი ხალხი, როგორ ცუდად იყო მომარაგებული წითელი არმია, ამიტომაც მწვავედ განვიცდიდით კლასობრივი სიძულვილის გრძნობას კულაკების, კონტრრევოლუციური კაზაკობისა და ინტერვენტების მიმართ. ეს გარემოება დაგვეხმარა შთაგვენერგა წითელი არმიის მებრძოლებისთვის მტრისადმი გააფთრება, გადამწყვეტი ბრძოლებისათვის მოგვემზადებინა ისინი.

ანტანტის პირველი ერთობლივი ლაშქრობა ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ დაიწყო 1919 წლის მარტში აღმოსავლეთ ფრონტზე კოლჩაკელთა ჯარების შემოტევით. აქ ჩვენ გვყავდა სულ დიდი ასი ათას ჯარისკაცამდე, ამასთან ისინი მეტისმეტად ფართო ფრონტზე იყვნენ გაჭიმული. კოლჩაკის ციმბირული არმია დიდი გაჭირვებით უმკლავდებოდა ჩვენი მე-2 და მე-3 არმიების მედგარ წინააღმდეგობას. კოლჩაკმა ვერ შეძლო დასახული ამოცანის განხორციელება და თვენახევრის მანძილზე მხოლოდ 80-130 კილომეტრით წამოიწია წინ, აიღო სარაპული და ეოტკინსკი.

კოლჩაკის დასავლეთის არმიამ ციმბირის არმიის დარტყმის შემდეგ

დაიწყო შემოტევა. განსაკუთრებულად ძლიერი ბრძოლები გაჩაღდა უფის მიმართულებით, სადაც გმირულად იბრძოდნენ ჩვენი აღმოსავლეთის ფრონტის მე-5 არმიის 26-ე და 27-ე მსროლელი დივიზიები. და მაინც 14 მარტს უფა აიღეს კოლჩაკელებმა. ქალაქის მისადგომებთან გამართულ სასტიკ ბრძოლებში ჩვენმა მე-5 არმიამ განიცადა დიდი ზარალი, რაც დაჭრილ-დახოცილთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სახით 50 პროცენტს აღწევდა. მე-5 არმიას მაშინ სარდლობდა ვ. კ. ბლიუმბერგი, ხოლო აპრილის პირველი რიცხვებიდან იგი ჩაიბარა მ. ნ. ტუხაჩევსკიმ.

მდგომარეობა აღმოსავლეთ ფრონტზე მკვეთრად რთულდებოდა ესერების მიერ მომზადებული კულაკური აჯანყებებით. აჯანყებამ იფეთქა სამარის, სიზრანის, სენგილეევსკის. სტავროპოლისა და მელეკესკის მაზრებში. სამარაში აჯანყდა 175-ე პოლკი და ხელთ იგდო საჭურველი და საომარი მასალა. პოლკის შფოთის მოთავეებმა თავიანთი მოქმედება შეათანხმეს კოლჩაკელებთან. ეს აჯანყებები და ამბოხი ჩაბშობილ იქნა, მაგრამ მათ სერიოზული გავლენა იქონიეს ვითარებაზე და თავიანთკენ მიიზიდეს ჩვენი ჯარების მნიშვნელოვანი ნაწილის ყურადღება.

მძიმე ზარალის მიუხედავად, მე-5 არმია რკინიგზელთა და მუშათა შეიარაღებული რაზმების დახმარებითა და მხარდაჭერით განაგრძობდა მტრის შეჩერებას. 1 აპრილამდე კოლჩაკელთა დასავლეთის არმიამ ვერ შეძლო წარმატების მოპოვება და დიდი ზარალი განიცადა. აპრილის დამდეგს დუტოვის ორენბურგის თეთრკაზაკთა არმიამ გადაჭრა ორენბურგ—ტაშკენტის რკინიგზა და ხელთ იგდო აქტიუბინსკი, რის შედეგად თურქმენეთი კვლავ მოწყვეტილი აღმოჩნდა საბჭოთა ოესეთისაგან. ორენბურგის რაიონთან თეთრების მოახლოებისას მდინარე ურალზე მდებარე კაზაკთა სტანიცებში დაიწყო კულაკური ჯანყი.

აპრილის შუა რიცხვებში თეთრები უკვე 85 კილომეტრზე იძყოფებოდნენ ყაზანსა და სამარიდან და ას კილომეტრზე — სიმბირსკიდან. ვოლგის გადმოღმა ჩვენი ჯარების შემდგომ უკანდახევას მოჰყვებოდა კოლჩაკისა და დენიკინის არმიების შეერთება. ამ შემთხვევაში შეიძლებოდა შექმნილიყო ერთი მთლიანი ფრონტი მოსკოვზე დასარტყმელად. მდგომარეობა იმითაც რთულდებოდა, რომ იმავდროულად თეთრებისა და ინტერვენტების ჯარები აქტიურად მოქმედებდნენ ყველა სხვა სტრატეგიული მიმართულებითაც.

ამ მძიმე და სასტიკ დროს რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ვ. ი. ლენინის მეთაურობით მოუწოდა პარტიასა და საბჭოთა ხალხს მთელი ძალ-ღონე დაეძაბათ მტრის გასანადგურებლად, და პირველ რიგში კი— კოლჩაკის არმიის შესამუსრავად.

პარტია, მუშათა კლასი და ყველა მოწინავე ადამიანი უმალ გამოეხმაურნენ ამ მოწოდებას.

11 აპრილს პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგბიურომ დაამტკიცა ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი „რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის თეზისები აღმოსავლეთ ფრონტზე მდგომარეობასთან დაკავშირებით". რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 13 აპრილის პლენუმსა და პოლიტბიუროს 23 და 29 აპრილის სხდომებზე განიხილავდნენ აღმოსავლეთის ფრონტისათვის დახმარების ორგანიზაციის საკითხებს. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რათა ჩატარებულიყო ახალი პარტიული მობილიზაცია და პარტიის რიგებიდან ფრონტზე გაეგზავნათ ყველაზე მამაცი და გამობრძმედილი მუშაკები. 13 მაისს თავდაცვის საბჭოს სხდომაზე საომარი მასალების საკითხზე მოხსენებით გამოდის ვ. ი. ლენინი. ხოლო ჯერ კიდევ მანამდე მისი წინადადებით მნიშვნელოვანი სამხედრო ქარხნების 81 ათასი მუშა გადაყვანილ იქნა წითელარმიულ ულუფაზე, თავდაცვითი ქარხნების მუშები გაათავისუფლეს არმიაში გაწვევისაგან. მასების უდიდესი რევოლუციური აღმავლობისა და პარტიის უზარმაზარი ორგანიზატორული მუშაობის შედეგად თანდათანობით წესრიგდება სამხედრო წარმოების საქმე.

მთელი ჩვენი ქვეყნის ძალ-ღონისა და საშუალებათა მობილიზაციამ შესაძლებელი გახადა აღმოსავლეთის ფრონტის ქანცგაწყვეტილი არმიების საფუძვლიანი განმტკიცება. ფრონტის არმიაში მარტო კომუნისტები 15 ათასზე მეტი კაცი მოვიდა, თანაც უმთავრესად მოქმედი არმიის რიგითი მებრძოლები. ეს იყო გადამწყვეტი პოლიტიკური ძალა, რომელიც ამჭიდროებდა ჯარისკაცებს და მოუწოდებდა მათ მტერთან საბრძოლველად.

შემდგომ წითელი არმიის მთავარსარდლობისა და აღმოსავლეთის ფრონტის სარდლობის ღონისძიებათა და გეგმათა შესწავლისას ძნელი როდი იყო იმაში დარწმუნება, რომ ნაკლებად იცნობდნენ თეთრების ჯარების ნამდვილ დაჯგუფებას, რომ ვერ შეძლეს მოწინააღმდეგის განზრახვათა გამოაშკარავება და მტრისათვის ენერგიული წინააღმდეგობის გაწევა.

აღმოსავლეთის ფრონტზე მდგომარეობა შეიცვალა მას შემდეგ, რაც იქ ჩავიდა მ. ვ. ფრუნზე, რომელმაც მიიღო ფრონტის ჯარების სამხრეთის ჯგუფის სარდლობა. მ. ვ. ფრუნზემ სწორად განსაზღვრა, რომ იმ მძიმე ვითარებაში საჭირო იყო რაც შეიძლება სწრაფად გამოეგლიჯათ თეთრების ხელთაგან სტრატეგიული ინიციატივა, შეერყიათ მისი მორალური მდგომარეობა და განემტკიცებინათ ჩვენს ჯარებში თეთრებზე გამარჯვების რწმენა.

მისთვის ჩვეული დიდი მასშტაბის მხედართმთავრული გამჭრიახობით მ. ვ. ფრუნზე კარგად მიხვდა, რომ მტრის წარმატებითი მოქმე-

ლების შედეგადაც კი თეთრებისათვის შეიქმნა ზოგიერთი უარყოფითი მომენტიც, რაც თუკი სწორად გამოვიყენებდით, კოლჩაკელთა აღსასრულის დასაწყისს მოასწავებდა.

ის ფიქრობდა, რომ ფრონტზე კოლჩაკის არმიის შეკავებით, საჭირო იყო კოლჩაკის ფრონტის გაჭიმულ მარცხენა ფრთაზე დაუყოვნებლივი და გადამწყვეტი იერიშის მიტანა თურქმენეთის პირველი და ნაწილობრივ მე-4 არმიების ძალებით, შემდგომში კი ეს კონტრდარტყმა უნდა გადაქცეულიყო ურალისა და ციმბირის გათავისუფლების მიზნით მთელი ჩვენი აღმოსავლეთის ფრონტის მძლავრ კონტრშეტევად..

მ. ვ. ფრუნზემ გაითვალისწინა კოლჩაკის ფრონტის მარცხენა ფრთის ჯარების სისუსტე და ისიც, რომ კოლჩაკი ვერ შეძლებდა მანევრის სწრაფ განხორციელებას თავისი მთავარი ძალებით, რომლებიც ჩაბმული იყვნენ ბრძოლებში ფრონტის ცენტრში ყაზანის, სიმბირსკისა და სამარის მიმართულებით და ცდილობდნენ ვოლგაზე გაჭრას.

მ. ვ. ფრუნზეს წინადადება მოიწონა ვ. ი. ლენინმა. რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და რევოლუციურმა სამხედრო საბჭომ დაამტკიცეს ეს გეგმა.

მ. ვ. ფრუნზეს არ ეშინოდა არავითარი პასუხისმგებლობისა და ქედს არ იხრიდა არავითარი სიძნელეების წინაშე თუკი საქმე ეხებოდა სამშობლოს ბედს. მან ძალზე მცირე დროში შეძლო და მოახერხა გადაეჯგუფებია და საბოლოოდ დაეკომპლექტებინა მისთვის მინდობილი ჯარების სამხრეთის ჯგუფი. ეს საქმე ძალზე ძნელი გასაკეთებელი იყო იმ დროს — საყოველთაო რღვევისა და რკინიგზათა თითქმის სრული უმოქმედობის პირობებში.

ინტერესს მოკლებული არ იქნება, გავიხსენოთ, თუ რას წერდა მ. ვ. ფრუნზე შემდგომში აღმოსავლეთის ფრონტზე შექმნილი ვითარების გამო:

„კოლჩაკის ჯარები უკვე ახლოს მოიწევდნენ ვოლგისკენ; ჩვენ ძლივს ვინარჩუნებდით სამივე მხრიდან გარშემორტყმულ ორენბურგს; მისი დამცველი არმია სულ უკან დახევას ლამობდა; სამარის სამხრეთით ურალელმა კაზაკებმა გაარღვიეს ფრონტი და მოიწევდნენ ჩრდილოეთისკენ, თან ემუქრებოდნენ სამარასა და სამარა-ორენბურგის რკინიგზას. თითქმის ყველგან ჩვენ უკან ვიხევდით, მაგრამ არ შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ უფრო სუსტ მხარედ მიგვაჩნდა საკუთარი თავი, მაგრამ რადგანაც ინიციატივა თეთრების ხელში იყო და ვინაიდან ხან ერთი, ხან მეორე მიმართულებით მძლავრი დარტყმებით გვიბორკავდნენ ხელ-ფეხს, ამიტომ თავს არც ისე სახარბიელო მდგომარეობაში ვგრძნობდით. და საჭირო იყო მარტოოდენ კოლოსალური ნებისყოფა კი არა, არამედ იმის აშკარად დაჯერება, რომ მხოლოდ და მხოლოდ იერიშზე გადასვლა შეცვლიდა მდგომარეობას. და მართლაც, უნდა და-

გვეწყო ასეთი შეტევა. იმ მომენტში მოგვიხდა ანგარიში გაგვეწია არა თუ მარტო ნაწილების უკან დახევით გამოწვეული განწყობილებისთვის, არამედ ზემოდან ზეგავლენისთვისაც მთავარი სარდლობის მხრიდან, რაც მაშინ ამბ. ვაცეტისის ხელში გახლდათ. იგი უკან დახევის მომხრე იყო... მიუხედავად ყოელისა, ჩვენ გადავედით შეტევაზე და დავიწყეთ ბრწყინვალე ოპერაცია, რასაც მოჰყვა კოლჩაკის სრული განადგურება"[1].

ბუგულმასა და ბელებეისთან თეთრების დამარცხებისა და უფასთან კოლჩაკის განადგურების შემდეგ მკვეთრად გაიზარდა დეზერტირობა თეთრების ჯართა რიგებში, გაძლიერდა პარტიზანული მოძრაობა. აი, რა ჩაწერა 1919 წლის მაისში კოლჩაკის სამხედრო სამინისტროს მმართველმა თავის დღიურში:

„...უეჭველია, რომ დასავლეთის არმიის ფრონტზე ინიციატივა წითლების ხელში გადავიდა. ჩვენს შეტევას ძალა გამოელია, არმია უკანვე მიჩანჩალებს და აღარ აქვს უნარი რაიმეს ჩაებღაუჭოს... უკან დახევისას ადგილობრივი მობილიზებულნი თავთავიანთ სახლებში მიდიან, თან მიაქვთ ტანსაცმელი, აღჭურვილობა, ხოლო ზოგჯერ იარაღიც... წითლებს უდიდესი უპირატესობა აქვთ იმ მხრივ, რომ მათ არ ეშინიათ შესავსებად მიიღონ ძველი ჯარისკაცები, რომელთაც არ სჭირდებათ წვრთნა და სწავლება, ჩვენ კი საშინლად გვეშინია ამისი და იძულებულნი ვართ ჯარში გავიწვიოთ მხოლოდ გამოუცდელი, 18-19 წლის პირტიტველა ახალგაზრდობა..."

და შემდეგ: „ფრონტი იფუშება და უკან-უკან მოედინება; უკვე საჭირო ხდება იმაზე ფიქრი, შეეძლებთ თუ არა ურალის შენარჩუნებას..."[2]

აღმოსავლეთის ფრონტის წარმატებითი კონტრშეტევისა და კოლჩაკის ჯარების უკანდახევის მსვლელობისას შეიქმნა მძიმე ვითარება ურალსკთან, სადაც თეთრმა კაზაკებმა ალყა შემოარტყეს ქალაქს და მოსწყვიტეს სამხრეთის ჯგუფის ჯარებს. ალყაშემორტყმულნი მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ და ურალსკს არ უთმობდნენ მტერს, მაგრამ გარნიზონის მდგომარეობა თანდათან მძიმე ხდებოდა. ვ. ი. ლენინმა, რომელიც უურადღებით ადევნებდა თვალყურს აღმოსავლეთის ფრონტის ამბებს, 16 ივნისს მ. ვ. ფრუნზეს გაუგზავნა დეპეშა:

„გთხოვ გადასცე ურალელ ამხანაგებს ჩემი მხურვალე სალამი, ალყაშემორტყმული ურალსკის ორმოცდაათდღიანი დაცვის გმირებს გადაეცი თხოვნა, ნუ დაეცემიან სულით, გაუძლონ კიდევ რამდენიმე

---

[1] М. В. Фрунзе. Избранные произведения, т. II, Воениздат, 1957, стр. 48.

[2] Будберг Алексей, барон. Дневник белогвардейца (Колчаковская эпопея), Л., «Прибой», 1929.

კვირა. ურალსკის დაცვის გმირული საქმე წარმატებით დაგვირგვინდება"[1].

ვ. ვ. ფრუნზემ დაუყოვნებლივ გასცა ბრძანება ალყაშემორტყმული ურალსკის რაიონში ჩაპაევის 25-ე დივიზიის გადასროლის შესახებ. სახელგანთქმული დივიზია ლეგენდარული ვ. ი. ჩაპაევის მეთაურობით გაემართა ურალელთა დასახმარებლად.

ჩვენი მოსკოვის 1-ლი საკავალერიო დივიზია, სადაც მაშინ ვმსახურობდი, მ. ვ ფრუნზეს განკარგულებაში იმყოფებოდა. სადგურ შიპოვოს რაიონში გასვლისას გავიგეთ, ჩაპაეველები უკვე ურალსკს მიადგნენო. ჩვენი მებრძოლები ხალისიან გუნებაზე მოვიდნენ. ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ, ურალელი თეთრი კაზაკები განადგურებულნი იქნებიანო.

მოწინააღმდეგესთან პირველი ბრძოლა ჩვენმა პოლკმა გამართა სადგურ შიპოვოს მისადგომებთან. მტერი მედგარ წინააღმდეგობას გვიწევდა, პოზიციები ხელიდან ხელში გადადიოდა. ჯარის სიმრავლით თეთრები გვეარბობდნენ. მახსოვს ხელჩართული ბრძოლა თვით სადგურის სანახებში.

ჩვენზე იერიში მოიტანეს კაზაკებმა, დაახლოებით 800 მხედარი მაინც იქნებოდა. როცა ძალზე მოახლოვდნენ, გორაკის გადაღმიდან ქვემეხით გამოიჭრა იქ ჩასაფრებული ჩვენი ესკადრონი. მკვირცხლმა და მარჯვე ბიჭებმა — არტილერისტებმა ცხენდაცხენ ჭენებით შემოატრიალეს ქვემეხი და ფლანგიდან დაუშინეს თეთრებს. კაზაკები საშინლად აირ-დაირივნენ. არტილერისტები აუცდენლად განაგრძობდნენ მტრისათვის დიდი ზარალის მიყენებას. ბოლოს და ბოლოს თეთრებმა ვეღარ გაუძლეს და უკანვე მოცოცხეს. კაზაკებთან წარმატებით ჩატარებულმა შეტაკებამ ძალზე გაამხნევა მებრძოლი კავალერისტების გული.

განსაკუთრებით სასტიკი ბრძოლები გაჩაღდა ივნისის პირველ რიცხვებში, ჩვენი დივიზიის ნაწილები მამაცურად იბრძოდნენ, მაგრამ ძალზე ნელა მიიწევდნენ წინ ურალსკისკენ.

ამ დროს ერთი სასიხარულო ამბავი მოედო მთელ ჯარებს: ჩაპაეველებმა გაანადგურეს თეთრები, აიღეს ქალაქი და ურალსკის გმირულ გარნიზონს შეუერთდნენო.

ურალსკისათვის ბრძოლების დროს ბედნიერება მქონდა მენახა მიხეილ ვასილის.ძე ფრუნზე. იგი მაშინ პირადად ხელმძღვანელობდა მთელ ოპერაციას.

მ. ვ. ფრუნზე ვ ვ. კუიბიშევთან ერთად მიდიოდა ჩაპაევის 25-ე დივიზიაში. იგი შეჩერდა ველზე და გამოელაპარაკა ჩვენი პოლკის მებრძოლებს, დაინტერესდა მათი გუნება-განწყობილებით, კვებისა და

---

[1] В. И. Ленин. Полн. собр. соч., т. 50, стр. 351.

შეიარაღების საკითხით, თან ეკითხებოდა, თუ რას იწერებოდნენ ნათესავები სოფლებიდან, ან რა სურვილები ჰქონდათ მებრძოლებს. მისმა უბრალოებამ და მომხიბვლელობამ, სასიამოვნო გარეგნობამ მოინადირა მებრძოლთა გული.

მიხეილ ვასილის ძე განსაკუთრებული გულთბილობითა და სიყვარულით გვესაუბრებოდა ვ. ი. ლენინზე, ლაპარაკობდა იმაზე, თუ რა დიდი საზრუნავი გაუჩნდა მას ურალის ოლქის რაიონში შექმნილი მდგომარეობის გამო.

— მაშ ასე, ახლა ჩვენი საქმე ცუდად აღარ მიდის, — გვითხრა მ. ვ. ფრუნზემ, — ურალელი თეთრი კაზაკები გავანადგურეთ და აუცილებლად მალე მოვუღებთ ბოლოს დანარჩენ კონტრრევოლუციასაც. მოვსპობთ კოლჩაკს. გავათავისუფლებთ ურალს, ციმბირსა და სხვა რაიონებს ინტერვენტებისა და თეთრებისაგან. მაშინ შეუუდგებით ჩვენი სამშობლოს აღდგენას!

შემდეგ ხშირად ვიგონებდით ამ შეხვედრას...

1919 წლის მარტამდე მე ვირიცხებოდი თანამგრძნობთა ჯგუფში და ვემზადებოდი რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) წევრად შესვლისათვის. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო დაწესებული საკანდიდატო სტაჟი პარტიაში შესასვლელად. აქამდე მადლიერებით ვიგონებ პოლკის პარტიული ბიუროს მდივანს ტროფიმოვსა და კომისარ ვოლკოვს (სამწუხაროდ, მათი სახელები აღარ მახსოვს), რომლებიც დამეხმარნენ უფრო ღრმად ჩავწვდომოდი და გამეგო კომუნისტური პარტიის წესდება და პროგრამა, მოვმზადებულიყავი რკ(ბ) რიგებში შესასვლელად.

ესკადრონის თანამგრძნობთა ჯგუფში სულ ხუთი კაცი იყო, და, მიუხედავად მისი მცირერიცხოვნობისა, ამხანაგები ტროფიმოვი და ვოლკოვი კვირაში სულ ცოტა ორჯერ მაინც მოდიოდნენ ჩვენთან, რათა ესაუბრათ საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობაზე, გაეცნოთ ჩვენთვის პარტიის ღონისძიებები ფრონტებზე ბრძოლის შესახებ. ეს საუბრები კარგა ხანს გრძელდებოდა და ძალზე საინტერესო იყო, განსაკუთრებით მაშინ, როცა ლაპარაკი შეეხებოდა ბოლშევიკების ბრძოლას ცარიზმთან და ცხარე შეტაკებებს ოქტომბრის დღეებში პეტროგრადსა, მოსკოვსა და ჩვენი ქვეყნის სხვა სამრეწველო ქალაქებში.

იმ ხანებში ის ის იყო, ყალიბდებოდა წითელი არმიის პარტიულ-პოლიტიკური აპარატი. არმიასა და ფლოტში უკვე მუშაობდა 7 ათასზე მეტი კომისარი. ისინი ეყრდნობოდნენ პარტიულ უჯრედებს, რომლებშიც 50 ათასზე მეტი კომუნისტი იყო გაერთიანებული. მაგრამ საჭირო იყო კიდევ ბევრის გაკეთება: კომისართა ფუნქციების დაზუსტება, არმიაში ერთსახოვნობის მინიჭება პარტიის ორგანოებისათვის, რომლებიც მოწოდებულნი იყვნენ ეხელმძღვანელათ პარტიულ-პოლიტიკური მუ-

შაობისათვის, მოეხდინათ არმიისათვის მთელი ამ განსაკუთრებულად სასარგებლო და საჭირო საქმიანობის ცენტრალიზება. 1918 წლის მიწურულში რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო სპეციალური დადგენილება „არმიაში პარტიული მუშაობის შესახებ“, რომელშიც მოუწოდებდა კომუნისტებს — დაენერგათ ჯარებში რკინისებური დისციპლინა, გამბედაობა და მამაცობა მტერთან ბრძოლებში. ამავე დადგენილებით პარტიული ორგანიზაციები თავისუფლდებოდნენ არმიის მთელი ცხოვრების მიმართ კონტროლის ფუნქციებისაგან, რაც მინიჭებული ჰქონდათ მათ თავიდანვე შეიარაღებულ ძალთა მშენებლობის საწყის პერიოდში.

პარტია თავის პოლიტიკას არმიაში ატარებდა სამხედრო კომისართა მეშვეობით, ფლოტისა და არმიების რევოლუციურ სამხედრო საბჭოების პოლიტგანყოფილებების მეშვეობით, რომლებიც იმავდროულად იყო სამხედრო სარდლობას დაქვემდებარებული სამხედრო-ადმინისტრაციული აპარატი, და პარტიული ორგანოც, რომელიც ემორჩილებოდა პარტიას და აერთიანებდა არმიელ კომუნისტებს.

1919 წლის 1 მარტს მიმიღეს რკპ(ბ) წევრად. მას შემდეგ ბევრი რამ მიეცა დავიწყებას. მაგრამ ის დღე, ჩემთვის მარად დაუვიწყარი იქნება. მას შემდეგ ვცდილობდი პარტიის წევრის მოვალეობისათვის დამექვემდებარებინა მთელი ჩემი ფიქრი, მისწრაფება და მოქმედება, ხოლო როცა საქმე სამშობლოს მტერთან შეტაკებამდე მივიდოდა, მე, როგორც კომუნისტს, მუდამ მახსოვდა ჩვენი პარტიის მოთხოვნა ვყოფილიყავი მაგალითი ჩემი ხალხისადმი უანგარო და ერთგული მსახურისა.

მალე ჩვენი დივიზიის ნაწილები სადგურ შიპოვოს რაიონიდან თეთრების ბანდათა სალიკვიდაციოდ ქალაქ ნიკოლაევის შორიახლო გადაისროლეს. ხოლო 1919 წლის აგვისტოში ჩვენი ცხენოსანთა მეოთხე პოლკი გადაყვანილ იქნა სადგურ ვლადიმიროვკაში. დივიზია უშუალო საომარ მოქმედებებში ჯერ კიდევ არ იყო ჩაბმული და მხოლოდ საბრძოლო მომზადებას გადიოდა.

აქ გავიცანი დივიზიის კომისარი, ჩემი მოგვარე, გიორგი ვასილის ძე ეუკოვი. ეს მოხდა შემდეგ ვითარებაში: ერთხელ დილაადრიან, როცა ღია მანეჟის გვერდით ჩავიარე, დავინახე, რომ ვიღაცა ცხენს „ხედნიდა“. მივუახლოვდი და, ვხედავ, ეს თვით დივიზიის კომისარი იყო. ცხენზე ჯდომისა და მისი გახედნის საქმე კარგად გამეგებოდა. ამიტომ მოვიწადინე დამენახა. თუ რას იზამდა კომისარი.

იგი ყურადღებას არ მაქცევდა და ოფლში გაწურული ცდილობდა მარცხენა ფეხით ცხენის დაოთხებას. მაგრამ რამდენსაც არ წვალობდა, ცხენი მაინც სულ ურევდა და მარცხენა ფეხის ნაცვლად დროგამოშვებით მარჯვენა ფეხს იშვერდა. ვეღარ მოვითმინე და გავძახე:

— მარცხენა სადავე დაუმოკლე!

კომისარმა სიტყვის უთქმელად ცხენი ნაბიჯით სვლაზე გადაიყვანა, მომიახლოვდა, ჩამოხტა და მითხრა:

— აბა, ახლა ერთი შენ სინჯე!

მეტი რაღა ჩარა იყო, უზანგში ფეხი შევდგი და უნაგირს მოვახტი. ცხენის გასაცნობად რამდენიმე წრე დავუარე, აღვირი მოვწიე და მარცხენა ფეხით დავძარი. დავარტყი ერთი წრე — კარგად გამოვიდა. დავარტყი მეორე — კვლავ გვარიანი იყო. მერე მარჯვნივ მივაბრუნე — ამასაც არა უშავდა რა. ისევ მარცხენა ფეხით მოვწყვიტე ადგილს, — ლამაზად იწყო ნავარდი.

— სვლის დროს ცხენს უფრო მაგრად უნდა მოუჭიროთ შეხკელი, — დამრიგებლურად შევნიშნე მე.

კომისარმა გაიცინა.

— რამდენი წელიწადია, ცხენზე რომ ზიხარ?

— ოთხი წელი. მერე რა?

—არაფერი, ისე! გვარიანად გცოდნია ჯდომა.

მუსაიფი გავაბით. კომისარი შემეკითხა, სამსახური სად დაიწყეო, სად იბრძოდი, როდის მოხვედი დივიზიაში, პარტიაში როდის შეხვედიო. თავის თავზე თქვა, კავალერიაში უკვე ათი წელიწადია ემსახურობო, 1917 წლიდან პარტიის წევრი ვარო. ძველი არმიიდან წითელ არმიაში საკავალერიო პოლკის საკმაოდ დიდი ნაწილი მოვიყვანეო. ყველაფრიდან ჩანდა, ნამდვილი მეთაური რომ იყო...

სიტყვამ მოიტანა, და კომისართა ფუნქციების განმსაზღვრელი ერთ-ერთი ინსტრუქცია დამუშავებულ იქნა ჩვენი ჯარების სამხრეთის ჯგუფის პოლიტგანყოფილების მიერ, რომელსაც სარდლობდა მ. ვ. ფრუნზე. მასში აღნიშნული იყო: სამხედრო კომისრები, რომლებიც მუშურ-გლეხური მთავრობის წარმომადგენლები არიან, ატარებენ არმიაში საბჭოთა ხელისუფლეების იდეებს, იფარავენ და იცავენ მუშათა და გლეხთა მასების ინტერესებს მათდამი მტრულად განწყობილი ელემენტების შესაძლო ხელყოფისაგან, ხელს უწყობენ რევოლუციურ დისციპლინასა, თვალყურს ადევნებენ საბრძოლო ბრძანებათა სიტყვაშეუბრუნებლად შესრულებასო.

კომისრის მუშაობა მარტოოდენ აგიტაციასა და პროპაგანდას როდი მოიცავს, არამედ, უპირველეს ყოვლისა, იგი არის პირადი საბრძოლო მაგალითის, მოქმედებისა და ყოფაქცევის მაჩვენებელი. კომისარი ვალდებულია იცნობდეს ყველა ოპერატიულ განკარგულებას, მონაწილეობა მიიღოს ბრძანებათა შემუშავებაში. (გადამწყვეტი სიტყვა მეთაურს ეკუთვნოდა ოპერატიული ხასიათის საკითხებში), გულდასმით შეისწავლოს სამხედრო საქმე. ჩვეულებრივად კომისრები ბრძოლის წინ შეკრებდნენ პოლიტმუშაკებსა და რიგითს კომუნისტებს, განუმარტავდნენ და უხსნიდნენ მათ მეთაურის მიერ დასახულ და წამოჭრილ ამოცანებს,

და თვითონვე მიდიოდნენ ბრძოლის ყველაზე უფრო სახიფათო და გადამწყვეტ უბნებზე. სამოქალაქო ომის დროის სამხედრო კომისრის წოდება და სახე ღირსეულადაა გარემოსილი ლეგენდარული შარავანდედით.

შემდეგაც მრავალჯერ შევხვედრივარ კომისარ გ. ვ. ეუკოვს. გვისაუბრია ერთმანეთთან ფრონტებისა და ჩვენი ქვეყნის მდგომარეობაზე. ერთხელ შემომთავაზა პოლიტსამუშაოზე გადმოდიო. მადლობა ვუთხარი, მაგრამ განვუცხადე, სამწყობრო სამსახური მირჩევნია-მეთქი. მაშინ წითელ მეთაურთა კურსებზე სასწავლებლად წასელა მირჩია. სიამოვნებით დავთანხმდი. ოღონდ ამ საქმის განხორციელება ვეღარ მოვახერხე.

ჩვენთან ახლოს მდებარე სოფელი ზაპლავნოე მოულოდნელად ხელთ იგდეს თეთრებმა, რომლებმაც გადმოლახეს ვოლგა სადღაც ჩორნი იარსა და ცარიცინს შორის.

დაიწყო ბრძოლები. ახლა სწავლისთვის ვიღას სცხელოდა.

კოლჩაკის განადგურებისა და მისი არმიის ნარჩენთა ციმბირში გადასვლის შემდეგ ანტანტამ როდი აიღო ხელი საბჭოთა რესპუბლიკასთან ბრძოლაზე. ახლა მთელ იმედებს დენიკინზე ამყარებდნენ. დასავლეთიდან განუწყვეტელ ნაკადად მოედინებოდა მისი ლაშქრისათვის საჭურველი, აღჭურვილობა და სურსათ-სანოვაგე.

საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობებმა ლტოლვილ თეთრგვარდიელ ოფიცერთა და გერმანელთა ბანაკებში მყოფ რუს სამხედრო ტყვე ჯარისკაცთაგან ჩამოაყალიბეს რამდენიმე რაზმი. გერმანიის ხელისუფალნი სამშობლოში რუს სამხედრო მოსამსახურეთა დაბრუნების აუცილებელ პირობად აყენებდნენ წითელ არმიასთან საბრძოლველად მოხალისეთა რაზმებში შესვლას.

მაგრამ ამ განზრახვიდან სერიოზული არა გამოვიდა რა. ასეთ „მოხალისეთა“ უმრავლესობა პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში ჩვენს მხარეზე გადმოდიოდა. გვებრძოდნენ მხოლოდ ისინი, ვისაც სძულდა საბჭოთა ხელისუფლება და მის წინააღმდეგ ბრძოლა თავიანთ სასიცოცხლო საქმედ მიაჩნდა. მაგრამ ასეთი გულბოროტი ანტისაბჭოთა ელემენტები ძალზე ცოტანი იყვნენ.

1919 წლის გაზაფხულზე დენიკინის არმიები დიდსა და საშიშარ ძალას წარმოადგენდნენ. ზოგიერთი ნაწილი ერთთავად სულ ოფიცრებისაგან შედგებოდა. ანტანტა მთავარ იმედს დენიკინზე ამყარებდა და თანაც ილუზიებს ქმნიდა კოლჩაკის არმიების მიმართ, ცდილობდა მის ფეხზე დაყენებას და შესაფერ მომენტში აღმოსავლეთიდან მათ გადმოსროლას წითელი არმიის საწინააღმდეგოდ. ჩრდილოეთში ახალი ლაშქრობებისათვის ემზადებოდა მილერის თეთრთა არმია. მასაც აგრეთვე აწვდიდნენ უამრავ საომარ ტვირთს. უკან მიბრუნებისას კი ანტან-

ტის ქვეყნებში ხომალდები იგზავნებოდა ბეწვეულით, თევზით, ხე-ტყითა და ჩვენი ჩრდილოეთის სხვა სიმდიდრით დატვირთული.

ჩრდილო-დასავლეთით პეტროგრადის წინააღმდეგ შეტევისათვის ემზადებოდნენ თეთრფინელები და იუდენიჩის არმია. ანტანტა იმედოვნებდა, რომ ახალ ანტისაბჭოთა ლაშქრობაში ჩაება საბჭოთა ქვეყნის მოსაზღვრე ყველა პატარ-პატარა ბურჟუაზიული სახელმწიფო.

მენშევიკების, ესერების, ბურჟუაზიულ ნაციონალისტთა და კულაკთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციების მეშვეობით ჩვენი ქვეყნის ზურგში ეწყობოდა აჯანყებები, ამბოხებანი, დივერსიები და საბოტაჟი. იფუშებოდა ფრონტებისათვის ჯარების რეკონიგზით გადაყვანა, სურსათ-სანოვაგის, საჭურველისა და ჩვენი ქვეყნის ფრონტისა და ზურგისათვის აუცილებელი სხვა დიდმნიშვნელოვანი ტვირთის გადაზიდვა.

ანტისაბჭოთა აგენტურა სიცრუითა და ცილისწამებით ცდილობდა, დაეკარგა ხალხისათვის ნდობა პარტიისა და მთავრობისადმი, წითელი არმიის ჯარების სარდლობისადმი. და, სამწუხაროდ, პირველ ხანებში ზოგჯერ ახერხებდა კიდეც ამას. განსაკუთრებით იქ, სადაც უკიდურესობამდე მისულ დაშლასა და საბჭოთა კანონების უხეშ დარღვევებს წონასწორობიდან გამოჰყავდა მოსახლეობის ნაკლებად მტკიცე ნაწილი.

აქ მინდა გავიხსენო ცარიცინთან მიღებული ჩემი ბავშვობის მეგობრის პავლე ალექსანდრეს ძე ჟუკოვის წერილი, რომელიც შემომრჩა იმ ხანებიდან.

„ძვირფასო მეგობარო გიორგი! წითელ არმიაში შენი წასვლის შემდეგ თითქმის ყველა შენი მეგობარი და ნაცნობი არმიაში გაგვიწვიეს. კვლავ არ გამიღიმა ბედმა. მოქმედი არმიის ნაცვლად გამგზავნეს ვოროონეჟის გუბერნიაში სურსათ-სანოვაგის ამკრეფ რაზმთან ერთად კულაკებისათვის პურის ჩამოსართმევად. რა თქმა უნდა, ეს საქმეც საჭიროა, მაგრამ მე ჯარისკაცი ვარ. შემიძლია ვიომო და ვფიქრობ, რომ აქ ჩემს ნაცვლად ამას ისიც გააკეთებდა, ვისაც კარგი სამხედრო სკოლა არ გაუვლია. მაგრამ ახლა ამის მოწერა როდი მინდა.

შენ გახსოვს ჩვენი დავა და უთანხმოება ესერების გამო. ოდესღაც ისინი ხალხის მეგობრებად მიმაჩნდა, რომლებიც იბრძოდნენ ცარიზმის წინააღმდეგ ხალხის ინტერესებისათვის, მათ შორის გლეხთა ინტერესებისათვისაც. ახლა შენ გეთანხმები. ისინი არამზადები ყოფილან! ისინი ხალხის მეგობრები როდი არიან, არამედ კულაკების მეგობრები და ყველა ანტისაბჭოური და ბანდიტურ მოქმედებათა ორგანიზატორები.

იმ დღეებში ადგილობრივი კულაკები, მიმალული ესერის ხელმძღვანელობით, თავს დაესხნენ ჩვენი სურსათ-სანოვაგის ამკრეფი რაზმის დაცვას, რომელიც თან ახლდა პურით დატვირთულ ცხენთა საზიდრებს და მხეცურად გაუსწორდნენ. მათ მოკლეს ჩემი საუკეთესო მეგობარი კოლია გავრილოვი. იგი მალოიაროსლავეცის ახლო სოფლიდან იყო.

მეორე ჩემს მეგობარს, სემიონ ივანიშინს თვალები ამოკუჭეს, მარჯვენა ხელის მტევანი წარკვეთეს და გზაზე დააგდეს. იგი ახლა ძალზე ცუდადაა, განგრენა აქვს, უთუოდ მოკვდება. ნეცოდება საბრალო ბიჭი, მერე და რა ლამაზი იყო და რა მარდი მოცეკვავე. რაზმეულში გადავწყვიტეთ, ერთი რიგიან-პირიანად გავუსწორდეთ ამ ბილწებს და სამაგიერო მივუზღოთ. და მერე ისე, რომ მთელ სიცოცხლეში არ დაავიწყდეთ. შენი მეგობარი პავლე".

ამ წერილის შემდეგ დიდხანს არაფერი ვიცოდი, თუ რა დაემართა პავლე ჟუკოვს. და მხოლოდ 1922 წელს გავიგე, სადღაც ტამბოვის გუბერნიაში კულაკებმა მოკლესო...

ვ. ი. ლენინმა, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მთავრობამ გაითვალისწინეს სამხრეთიდან კარს მომდგარი ახალი სერიოზული საფრთხე და მიიღეს მთელი რიგი დიდად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი.

1919 წლის 3-4 იენისს შედგა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც მთავარი ყურადღება დაუთმო ჩვენი ქვეყნის თავდაცვისა და სამხრეთის ფრონტის მდგომარეობის საკითხებს, რომელიც რესპუბლიკის მთავარ ფრონტად იქნა გამოცხადებული. სრულიად საკავშირო ცაკის, საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოსა და მოსკოვის საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე ფრონტების მდგომარეობისა და დენიკინის შემოტევის ლიკვიდაციის ამოცანათა შესახებ მოხსენებით გამოვიდა ვ. ი. ლენინი. სწორედ მაშინ კვლავ დაისვა საკითხი წითელ არმიაში ძველი სამხედრო სპეციალისტების მოზიდვისა და მათდამი უფრო მეტი მზრუნველობით მოპყრობის შესახებ.

„ჩვენ გვღალატობენ და კვლავაც გვიღალატებენ ასეული და ასეული სამხედრო სპეციალისტები... — ნათქვამი იყო რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წერილში, — მაგრამ ჩვენთან სისტემატურად და დიდი ხნობით მუშაობენ ათასობით და ათი ათასობით სამხედრო სპეციალისტები, ურომლებისოდაც ვერ შეიქმნებოდა ის წითელი არმია, რომელიც წარმოიშვა ავად მოსაგონებელი პარტიზანობიდან და რომელმაც შესძლო ბრწყინვალე გამარჯვება მოეპოვებინა აღმოსავლეთში. გამოცდილი და ჩვენი სამხედრო უწყების სათავეში მდგომი ადამიანები სამართლიანად აღნიშნავენ, რომ იქ, სადაც ყველაზე მტკიცედაა გატარებული პარტიული პოლიტიკა სამხედრო სპეციალისტების მიმართ და პარტიზანობის აღმოსაფხვრელად, იქ, სადაც ყველაზე მაგარია დისციპლინა, სადაც ყველაზე მეტი მზრუნველობით ტარდება პოლიტმუშაობა ჯარში და კომისართა მუშაობა, — ...იქ ყველაზე ნაკლები შესაძლებლობა აქვთ ასეთ მსურველებს განახორციელონ თავიანთი ზრახვები, იქ აო არის

მოდუნებულობა არმიაში. იქ უკეთესია მისი წყობა და სულისკვეთება, იქ მეტია გამარჯვებები".[1]

ძველი არმიის ოფიცრებთან ერთობლივი მუშაობის მოგონებისას უნდა ვთქვა, რომ უმრავლესი მათგანი იყო პატიოსანი, კეთილსინდისიერი და სამშობლოსადმი თაყვანისმცემელი შვილი ჩვენი ხალხისა. როცა საჭირო ხდებოდა მტრის წინააღმდეგ ბრძოლებში თავგანწირვა, ისინი იღუპებოდნენ შეუდრეკლად, ღირსეულად და სახელოვნად. მხოლოდ ერთი რამ აკლდათ — მებრძოლებისადმი გულისხმიერი მიდგომა. რაღაც განცალკევებით ეჭირათ თავი, წითელარმიულ მასასთან ვერ პოულობდნენ საერთო ენას, და მათგან მხოლოდ ძალიან ცოტა ახერხებდა ყოფილიყო ჯარისკაცის მეთაური, უფროსი და იმავე დროს უხუცესი ამხანაგიც.

მახსოვს, არაერთხელ ვლაპარაკობდით პარტორგანიზაციაში ყოფილ ოფიცრებთან კავშირურთიერთობის შესახებ და ყოველნაირად ვცდილობდით დიდი ნდობით მოვპყრობოდით სამხედრო სპეციალისტებს. რასაკვირველია, კომუნისტებშიც მოიპოვებოდნენ მყვირალები, რომლებიც ფიქრობდნენ, მართალი იყო „სამხედრო ოპოზიცია", როცა ამბობდა, ყოფილი ოფიცრობა — ერთთავად თეთრგვარდიელები არიანო, მას არ შესწევს საბჭოთა წყობილებასთან დაახლოების უნარი, ხოლო მტკიცე საწესდებო წესსა და დისციპლინას ეს აღამიანები ბატონყმურ წესრიგთან აიგივებენო. მაგრამ, როგორც ცნობილია, პარტიის VIII ყრილობამ ხმაია დიდი უმრავლესობით უარყო „სამხედრო ოპოზიციის" თვალსაზრისი.

სამხედრო სპეციალისტები, რომლებიც ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს პარტიის VIII ყრილობის მუშაობას, მიხვდნენ, რომ პარტია ენდობოდა მათ, აფასებდა და ზრუნავდა მათთვის. ისინი უფრო დაუახლოვდნენ წითელარმიულ მასას და პარტიულ ორგანიზაციებს. მეთაურთა შემადგენლობა ყოფილი მეფის არმიის ოფიცერთაგან უფრო აქტიური და მომთხოვნი გახდა ჯარების დისციპლინისა და სამსახურის საკითხებში. ყოველივე ამან სასიკეთო ზეგავლენა იქონია მათს საერთო საბრძოლო მზადყოფნასა და ბრძოლისუნარიანობაზე. ძველი ოფიცრების მიმართ ნდობის დაკარგვის ცდებს გადაჭრით აღკვეთდნენ კომისრები, პარტიულ-პოლიტიკური მუშაკები და თვითონ წითელარმიელებიც.

რკპ(ბ) VIII ყრილობამ (1919 წლის მარტი) საერთოდ დიდი ყურადღება დაუთმო წითელ არმიას. პარტიის სამხედრო პოლიტიკის დედაარსი მდგომარეობდა იმაში, რომ რაც შეიძლება მალე და სწრაფად დამთავრებულიყო მოხალისური და ნახევრად პარტიზანული არმიიდან სრული და საბოლოო გადასვლა რეგულარული კადრის არმიაზე, რომე-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., მე-4 გამოც., ტ. 29, გვ. 523.

ლიც შედუღაბებული იქნებოდა რკინისებურ სამხედრო დისციპლინით, დაკომპლექტების ორგანიზაციისა და მმართველობის ერთიანი სისტემით. პარტიის ეს ფუძემდებლური მოსაზრებანი გამოთქმულია ვ. ი. ლენინის მოხსენებებსა და გამოსვლებში, ყრილობაზე მიღებულ პარტიის ახალ პროგრამასა და რეზოლუციაში სამხედრო საკითხის გამო.

ცხოვრებამ დაადასტურა წითელი არმიის რიგების განმტკიცებისათვის VIII ყრილობის გადაწყვეტილებათა და პარტიის ყველა შემდგომი ღონისძიების სისწორე. მათ უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ, ვინაიდან მტერი ყოველ ძალ-ღონეს მიმართავდა საბჭოთა სახელმწიფოს ჩასახრჩობად.

დენიკინის არმიების მიერ ცარიცინის, ბორისოგლებსკის, ბალაშოვის, კრასნოგრადისა და სხვა უმნიშვნელოვანესი პუნქტების აღების შემდეგ ანტანტამ დააჩქარა დენიკინი მოსკოზე ლაშქრობისათვის. დენიკინმა თავისი აგენტურის მეშვეობით გაიგო კონტრშეტევისათვის წითელი არმიის მომზადების ამბავი და მის ჩასაშლელად შეეცადა პირველს მოეყენებინა ჩვენთვის მთელი რიგი მძლავრი დარტყმები და ხელთ ეგდო ინიციატივა.

1919 წლის აგვისტოში მამონტოვის ცხენოსანთა კორპუსმა ნოვოხოპერსკის რაიონში გაარღვია მე-8 არმიის ფრონტი, გაიჭრა ჩვენი სამხრეთის ფრონტის ზურგში და გაემართა ტამბოვისაკენ, სადაც განლაგებული იყო მნიშვნელოვანი ბაზები. სწორედ მაშინ დენიკინმა მე-13 და მე-14 არმიების საპირაპიროდ გადმოისროლა კუტიეპოვის 1-ლი არმიული კორპუსი, რომელმაც იწყო ჩვენი ნაწილების შევიწროება კურსკისა და ვოროეჟისაკენ.

მაგრამ დენიკინმა ვერ მოახერხა ჩვენი კონტრშეტევის ჩაფუშვა.

სექტემბერში გაჩაღდა გააფთრებული ბრძოლები ცარიცინისათვის.

ბახტიაროვკისა და ზაპლავნოეს რაიონში მოწინააღმდეგის კავკასიური არმიის ნაწილებთან ბრძოლების წარმოებისას ჩვენ ძალიან გვესმოდა განუწყვეტელი საარტილერიო კანონადა ცარიცინის რაიონში და მის მისადგომებთან კამიშინოს მხრიდან. ცარიცინისათვის ბრძოლებში მტრის კავკასიური არმია განიცდიდა დიდ ზარალს, მაგრამ ჩვენი ჯარებიც სისხლისაგან იცლებოდნენ.

სექტემბრის პირველი ნახევარი გააფთრებულ შეტაკებებში მიმდინარეობდა და გამოირჩეოდა ვითარების დიდი დინამიკურობითა და მკვეთრი ცვლილებებით.

ცარიცინის მისადგომებთან, სადაც იმყოფებოდა ჩვენი საკავალერიო მე-4 პოლკი, ოქტომბერში წარმოებდა ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები, და ჩვენ მხოლოდ ზოგადად ვიცოდით დიდი ამბების შესახებ, რაც მწიფდებოდა მოსკოვის მიმართულებით.

ზაპლავნოესა და ახტუბს შორის ბრძოლაში თეთრყალმუხთა ნაწი-

ლებთან ხელჩართული შეტაკების დროს დავიჭერი ხელყუმბარით. ნამსხვრევები ღრმად შემერჭო მარცხენა ფეხსა და მარცხენა გვერდში, და ევაკუირებული ვიქენი ლაზარეთში. ძალზე დასუსტებული გამოვედი ლაზარეთიდან და ჯანმრთელობის აღსადგენად ერთი თვის შვებულება მივიღე.

წავედი სოფელში მშობლებთან. სოფელში ხალხი მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგრამ გულს არ იტეხდა. ღარიბთა კომიტეტებში — ღარიბკომებში — გაერთიანებული ღარიბ-ღატაკთა ნაწილი გლეხობისა აქტიურ მონაწილეობას იღებდა კულაკებისაგან პურის ჩამორთმევაში. საშუალო გლეხობა, მიუხედავად სიძნელეებისა და ფრონტებზე მძიმე ვითარებისა, სულ უფრო და უფრო იხრებოდა საბჭოთა ხელისუფლების მსარეს, და მათგან მხოლოდ ძალზე ცოტანი თუ ეკიდებოდნენ ფარყოფითად პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებს. ესენი უმთავრესად იყვნენ კულაკთა დამჭაშები, რომლებიც თავიანთი ქონებრივი მდგომარეობით კულაკებისკენ იხრებოდნენ.

შვებულება ძალიან მალე დამთავრდა, გამოვცხადდი სამხედრო კომისარიატში და ვითხოვე მოქმედ არმიაში გამგზავნეთ-მეთქი. მაგრამ ფიზიკურად ჯერ ისევ სუსტად ვიყავი და ტვერს გამგზავნეს სათადარიგო ბატალიონში წითელ მეთაურთა კურსებზე შემდგომი მიმართულებით.

რიაზანის პირველი საკავალერიო კურსები, სადაც მიმავლინეს 1920 წლის იანვარში, მოთავსებული იყო რიაზანის გუბერნიის სტაროჟილოვში ერთი ყოფილი მემამულის კარ-მიდამოში.

კურსებს აკომპლექტებდნენ უმთავრესად ბრძოლებში თავგამოჩენილი კავალერისტებით: მე შემომთავაზეს კურსანტის — 1-ლი ესკადრონის ზემდეგის თანამდებობა. ამ საქმეს კარგად ვიცნობდი ჯერ კიდევ ძველი არმიის დროიდან. კურსანტთა ესკადრონის მეთაურმა ვ. დ. ხლამცოვმა დამავალა აგრეთვე კურსანტებთან მეცადინეობა ცივი იარაღით (შუბი, ხმალი), ხიშტით ბრძოლის სწავლება, სამწყობრო და ფიზიკური მომზადება.

ვ. დ. ხლამცოვი, წარსულში მეფის არმიის ოფიცერი, მუდამ კოხტად იყო გამოწკეპილი და მაგალითის მიმცემი იყო კურსანტებისთვის. სამწყობრო სწავლების გამგე გ. ს. დესნიცკიც თავის ადგილზე იმყოფებოდა. მწყობრის მეთაურთა კადრები უმთავრესად შედგებოდა ძველი სამხედრო სპეციალისტებისაგან — ოფიცრებისაგან. ისინი კეთილსინდისიერად მუშაობდნენ, მაგრამ რამდენადმე ფორმალურად — „ამ დროიდან იმ დრომდე“. აღმზრდელობითს მუშაობას ეწეოდნენ კურსების პარტორგანიზაციები და პოლიტაპარატი, ზოგადსაგანმანათლებლო მომზადებას — გასამხედროებული პედაგოგები. პოლიტიკურ-ეკონომიურ დისციპლინებს უძღვებოდნენ სახელდახელოდ მომზადებული

მასწავლებლები. რომლებიც ძლიერ ხშირად ჩვენზე, ცოდვილებზე, უფრო „ცურავდნენ" ამ საკითხებში.

კურსანტთა ძირითადი მასების ზოგადსაგანმანათლებლო მომზადება არ იყო საკმარისი. მათ ხომ გლეხებისა და მეშებისაგან კრებდნენ, რომლებიც რევოლუციამდე მცირემცოდნენი იყვნენ. მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ გულდასმით სწავლობდნენ, რადგან შეგნებული ჰქონდათ — სწავლების ვადა ხანმოკლე რომ იყო, სასწავლი კი — ბევრი, რათა ღირსეული წითელი მეთაურები გამხდარიყვნენ.

ივლისის შუა რიცხვებში კურსანტები სასწრაფოდ ჩასხეს ეშელონებში. არავინ ვიცოდით, თუ საითკენ ვიგვამგზავრებდნენ. მხოლოდ იმას ვხედავდით, რომ მოსკოვია მიარეს მივდიოდით. მოსკოვში კურსები ლეფორტის ყაზარმებში დაბინავეს, სადაც, უკვე ჩასახლებულნი იყვნენ ტვერელი და მოსკოველი კურსანტები. გამოგვიცხადეს, კურსები შეუერთდება ნაკრებ ბრიგადას და ერანგელის ფრონტზე გაემართებაო. მივიღეთ ყოველივე აუცილებელი და საჭირო საბრძოლო აღკაზმულობა და საჭურველი. ეკიპირება და ცხენთა ამუნიცია სულ ახალთახალი იყო და გარეგნულად ჩვენც საუცხოოდ გამოვიყურებოდით.

მოსკოვში ბევრი მეგობარი და ნაცნობი მყავდა. ფრონტზე გამგზავრებამდე მინდოდა მათი ნახვა, განსაკუთრებით იმისი, ვისთვისაც ძგერდა ნორჩი გული. მაგრამ, სამწუხაროდ, მაინც ვერ შევძელი ვინმეს მონახულება. ესკადრონის მეთაურები, რომელთაც სხვადასხვა გარემოების გამო ხშირად უხდებოდათ წასვლა-წამოსვლა, როგორც ზემდეგს, ჩვეულებრივ მე მტოვებდნენ უფროსად. დავკმაყოფილდი ნაცნობებისადმი მარტოოდენ წერილების მიწერით. არ ვიცი, ამიტომ, თუ სხვა რაიმე მიზეზის გამო, მაგრამ ჩვენ შორის შავმა კატამ გაირბინა; მალე გავიგე, მარია გათხოვდაო, და მას შემდეგ აღარასოდეს შევხვედრივარ.

აგვისტოში ჩვენი ნაკრები კურსანტების პოლკი განლაგდა კრასნოდარში, საიდანაც გაილაშქრა ერანგელის ჯარების წინააღმდეგ.

1920 წლის ზაფხულზე აშკარა გახდა, რომ, მიუხედავად დროებითი წარმატებებისა. ბურჟუაზიულ-მემამულურ პოლონეთს ძნელად თუ შეეძლო საბჭოთა კავშირთან ომის განგრძობა. იმ დროისათვის წითელი არმიის რაოდენობა ბევრად აღემატებოდა 3 მილიონ კაცს. ამიტომაც ანტანტის მმართველები შეეთანხმდნენ ერთმანეთს, მოეწყოთ კიდევ ერთი — მესამე ანტისაბჭოური ლაშქრობა. ბურჟუაზიული პოლონეთის შეიარაღებულ ძალთა გარდა ისინი ეყრდნობოდნენ ყირიმში ჩამოყალიბებულ ბარონ ერანგელის ჯარებს.

ერანგელს დაჰპირდნენ განუსაზღვრელ დახმარებას. მან, თავის მხრივ, იკისრა ოფიციალური ვალდებულება, აენაზღაურებინა ანტანტის ყველა დანახარჯი, მთლიანად გადაეხადა მეფის ვალები.

1920 წლის მაისისათვის ერანგელის არმიაში ითვლებოდა დაახ-

ლოებით 130 ათასი ხიშტიანი და 4,5 ათასი ხმლიანი ჯარისკაცი, თუმცა ეს საკმარისი როდი იყო საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ფართო მოქმედებათა გასაახლებლად. ყირიმის ტერიტორიაზე ვრანგელს არავითარი შევსების მიღება არ შეეძლო, და მან გადაწყვიტა შეჭრილიყო ჩრდილოეთ თავრეთში. მაგრამ აქ ვრანგელს ბედმა უმტყუნა: ვერ მოახერხა დონბასსა და დონზე გაღწევა.

„არმიის შევსების ერთადერთი წყარო, — წერდა თავის მემუარებში ვრანგელი, — შესაძლოა, ყოფილიყო კაზაკთა მიწაწყალი... გენერალ დენიკინის არმიის დაშლისას ათიათასობით კაზაკი თავის სახლებს დაუბრუნდა ცხენებიანად, საჭურველითა და აღკაზმულობით. უამრავი საომარი მასალა დატოვებულ იქნა ჩრდილო კავკასიასა და დონზე... ეს მხარეები მდიდარი იყო კიდევ ადგილობრივი რესურსებითაც. ყოველივე ეს გვაიძულებდა ჩვენი ბრძოლა კაზაკთა სტანიცებში გადაგვეტანა“.

ვრანგელს ეგონა, ყუბანში გაიშალა თეთრბანდიტური მოძრაობაო, და იმედებს ამყარებდა ეგრეთ წოდებულ „რუსეთის აღდგენის არმიაზე“, რომელსაც გენერალი ფოსტიკოვი სარდლობდა. მაგრამ აშკარაა, ვრანგელი გადაჭარბებით აფასებდა ამ ძალებს. მისთვის სასურველი და სანატრელი ამბავი სინამდვილედ ეჩვენებოდა და ცდებოდა, როცა ყუბანის კულაკური მღელვარება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ სახალხო მოძრაობად მიაჩნდა.

ამ დროისათვის ყუბანის კაზაკობის მნიშვნელოვანი ნაწილი გარკვევით მიხვდა, თუ რა მოჰქონდათ მათთვის თეთრგვარდიელობასა და ანტანტის მიერ სუბსიდირებულ „უზენაეს მთავრობას“.

ჩვენი მეთაურები, კომისრები და წითელარმიელები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რათა ყუბანელთა შეგნებამდე დაეყვანათ ჩვენი ბრძოლის ნამდვილი მიზნები და ანტისაბჭოთა ბანდების სწრაფი ლიკვიდაციის აუცილებლობა.

ამავე დროს დიდ და ყოველმხრივ დახმარებას უწევდნენ უღარიბეს კაზაკობასა და წითელარმიელთა ოჯახებს. მოსახლეობას შორის მუშაობის ეს უბანი მეტად მნიშვნელოვანი იყო, ვინაიდან, წითელი არმიის ნაწილების მოსვლამდე თეთრები ავიწროებდნენ ღარიბ-ღატაკებს, ხშირად უკანასკნელ ლუკმა-პურს ართმევდნენ და ყოველმხრივ აბუჩად იგდებდნენ მათ.

მახსოვს, ერთ საღამოს ჩვენს ესკადრონში მოვიდა პოლკის კომისარი და შემოგვთავაზა რამდენიმე დღე გვემუშავნა ღარიბ-ღატაკთა და წითელარმიელთა ოჯახების ბინების, საკარმიდამო ნაგებობათა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შესაკეთებლად. ყველანი ხალისით დავეთანხმეთ.

ჩვენმა კომისარმა ხელი მოჰკიდა ყველაზე ძნელ საქმეს — უნდა გაეწმინდა თეთრგვარდიელთა მიერ სხვადასხვა ხარახურით ამოვსებუ-

ლი საერთო ჭა. და როცა ჭის ფსკერზე ჩავიდა, კინაღამ გაიგუდა. კომისარი ცოცხალ-მკვდარი ამოიყვანეს ზევით, მაგრამ როგორც კი სული მოითქვა, ბრძანა, ჭაში ჩამიშვითო, რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ მოგვიხდა მისი ამოყვანა და ასე გაგრძელდა, სანამ ჭა არ გაიწმინდა. საღამოს მთელი სოფელი მარტო კომისრის შამაცობაზე ლაპარაკობდა.

როცა ყველა სამუშაო დამთავრდა, კაზაკებმა ყველანი ამხანაგურ სადილზე მიგვიპატიჟეს. სადილობისას გაიმართა ხანგრძლივი გულითადი საუბარი. გვემადლიერებოდნენ დახმარებისათვის. ყველაფერი უკურიოზოდ მაინც არ დამთავრდა. აღმოჩნდა, რომ კურსანტთა ჯგუფს, რომელსაც დაევალა ერთი ქვრივი კაზაკი ქალის ფარდულისა და ცხენის აკაზმულობის შეკეთება. ყოველივე ეს იმ ქალის თანამოგვარე კულაკური ოჯახისთვის მოგვარებინათ. ამ ამბავმა ყველა გააცინა, მაგრამ „დამნაშავენი" აშკარად შეწუხებულნი იყვნენ.

აგვისტოში ჩვენი ნაკრები კურსანტების პოლკი გადაისროლეს ჯერ ვრანგელის გენერალ ულაგაის დესანტის წინააღმდეგ, შემდეგ კი მოქმედებდა ფოსტიკოვისა და კრეკანოვსკის ბანდების წინააღმდეგ. მალე ეს ბანდები განადგურებულ იქნენ. მათმა ლტოლვილმა ნარჩენებმა საქართველოს მენშევიკურ მთავრობას შეაფარეს თავი.

ჩვენ ალარ მოგვისდა ყირიმში ვრანგელის საბოლოო განადგურებაში მონაწილეობის მიღება. რადგან ყველაზე უფრო მომზადებული კურსანტები ვადაზე ადრე იქნენ გამოშვებულნი და გაიგზავნენ ცხენოსანი ჯარის იმ ნაწილთა დასაკომპლექტებლად. რომლებმაც ვრანგელელებთან ბრძოლებში დაკარგეს მეთაურთა კადრების დიდი რაოდენობა.

გამოშვება მოხდა ქალაქ არმავირში, სადაც იმ ხანებში იდგა მე-9 არმიის საველე შტაბი. კურსანტთა დანარჩენი ნაწილი, ნაკრები პოლკის შემადგენლობით, გადასროლილ იქნა კავკასიონის მთებში ლტოლვილ ბანდების სადევნად. რამდენიმე ხნის შემდეგ გავიგეთ, რომ ჩვენი კურსანტების პოლკი სადღაც მთებში წააწყდა ჩასაფრებულ მტერს და დიდი ზარალი განიცადა. ბევრი მეთაური და მებრძოლი მხეცურად აწამეს ბანდიტებმა. დაიღუპა ჩვენი კომისარიც. რომელიც ყველას ძალიან გვიყვარდა.

კურსანტების მნიშვნელოვანი ნაწილი გაიგზავნა მე-14 ცალკე საკავალერიო დივიზიაში. რომელიც მაშინ სტანიცა ნოვოკერელიევსკაიას რაიონში იდგა და განაგრძობდა ოპერაციებს ლელიანში ულაგაელთა ნარჩენებისა და ადგილობრივ ბანდათა სალიკვიდაციოდ. მე გამგზავნეს 1-ლ საკავალერიო პოლკში, რომელსაც მეთაურობდა ძველი მებრძოლი დონელი კაზაკი ანდრეევი, როგორც ამბობდნენ, ვაჟკაცი. და კარგი მორკინალი. ამავე პოლკში დანიშნეს ჩემი მეგობარი კურსანტები: გორელოვი, მიხაილოვი და უხაჩ-ოგოროვიჩი (სამწუხაროდ, მათი სახელები ალარ მახსოვს).

შტაბში გამოვცხადდით და საბუთები ჩავაბარეთ. ჩვენ მიგვიღო პოლკის მეთაურმა. როცა ჩვენს წითელ შარვლებს მოჰკრა თვალი, ათვალწუნებით შენიშნა:

— ჩემს მებრძოლებს არ უყვართ წითელშარვლიანი მეთაურები.

რა უნდა გვქნა? ეს ერთადერთი იყო, რაც გაგვაჩნდა, სხვანაირებს კურსანტებს არ გვაძლევდნენ. მეთაური თითქოს არ გვიჯერებსო, განაგრძობდა:

— ჩვენთან სულ ძველი, ნაცადი მებრძოლები არიან, გამოუცდელებსა და ბრძოლაგამოუვლელთ არა ვწყალობთ.

პირდაპირ უნდა ითქვას, ამ არც თუ ისე ალერსიანი შესავლის შემდეგ. ის შეუდგა გამოკითხვას: ვინ ვიყავით, საიდან მოვედით, რომელ პარტიას ვეკუთვნოდით. თუ გვიბრძოლია, როდის და სად და ა. შ. როცა გაიგო, რომ ჩვენს შორის იყვნენ არა თუ ბრძოლაგამოვლილი მეომრები, არამედ პირველი მსოფლიო ომის მონაწილენიც, ის ვგონებ, დაშვიდდა.

ესკადრონში გამოცხადებისას წარვუდექით ესკადრონის მეთაურს ვიშნევსკის. პირველი შეხედვისთანავე არ მოგვეწონა. ვიშნევსკი ჰგავდა ისეთ კაცს, რომელსაც ნაკლებად აინტერესებს თავისი ნაწილის საქმეები, თავაუღებლად კითხულობდა წიგნს, არცკი დაინტერესებულა, თუ ვინ ვიყავით ჩვენ და რისი უნარი შეგვწევდა, კრინტი არ დაუძრავს იმაზე, თუ რას წარმოადგენდნენ ის ადამიანები, რომლებთანაც უნდა გვემუშავა, ანდა, შესაძლოა, მალე ბრძოლაშიც გავძღოლოდით. მან რაღაც უგუნებოდ გვიბრძანა:

— თქვენ, ჟუკოვ, წადით და აგაპოვისაგან ჩაიბარეთ მეორე ოცეული, ხოლო თქვენ, უხაჩ-ოგოროვიჩო, მიიღეთ მე-4 ოცეულის მეთაურობა.

მე ვიპოვე მე-2 ოცეული, ვეწვიე ოცეულის მეთაურის მოვალეობის დროებით შემსრულებელ აგაპოვს. ეს იყო უკვე ხნიერი კაცი, წინათ ძველი არმიის რიგითი კავალერისტი, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. უკვე პირველი გაცნობისთანავე განვიმსჭვალე ამ უბრალო და კეთილმოსურნე ადამიანისადმი სიმპათიით.

აგაპოვმა ჯიბიდან ამოიღო სია ოცეულისა, რომელშიც 30 კაცი ირიცხებოდა, და მითხრა:

— ოცეულში მყოფნი, სამი-ოთხი კაცის გარდა, ყველანი ძველი მებრძოლები არიან. ჩინებული მებრძოლებია, მაგრამ, რა თქმა უნდა, მათ შორისაც არიან ჯიუტი და თავნება ბიჭები, მათ მოხერხებულად უნდა მოვკიდოთ ხელი და მოვუაროთ.

და დაწვრილებით მესაუბრა ყოველ მათგანზე.

— გორშაკოვი — კარგი მორკინალია, პარტიზანი — ამ სიტყვის ცუდი მნიშვნელობით, მაგრამ შეტევისას — პირველია. მას ხმა არ უნდა

აუმაღლო, ფხუკიანია, ხშირად უნდა შეაქო და ამხანაგურად მიუთითო მცდარ საქციელზე, თანაც აუცილებლად პირისპირ, მარტოკას, — მშვიდად მიხსნიდა აგაპოვი. — კასიანოვი მეტყვიამფრქვევეა, ვორონეჟელი ხოხოლი, კარგი მებრძოლი. ბრძოლის დროს არ სჭირდება ამოცანის ახსნა, თვითონაც კარგად ესმის, თუ რომელი სამიზნო უნდა ჩაახშოს პირველ რიგში. სამი განუყრელი მეგობარი კაზაკევიჩი, კოვალიოვი, საპრიკინი კარგი მებრძოლები არიან, მაგრამ დროსტარება უყვართ. მწყობრის წინ შეიძლება და საჭიროც არის მათი დატუქსვა, უნდა დაემუქრო პოლკის კომისართან გაგზავნით. ჩვენი კომისარი მკაცრი კაცია და არ უყვარს, ვინც არ უფრთხილდება წითელარმიელის სახელს.

და აგაპოვმა ასე მომითხრო თითოეული მებრძოლის ამბავი. ფრიად მადლიერი დავეტრჩი ამ საუბრის გამო.

შემდეგ ვუბრძანე შეეკრიბათ მებრძოლები ცხენოსანთა მწყობრში, რათა გავცნობოდი მათ.

მივესალმე ოცეულს და ვუთხარი:

— აი რა გითხრათ, ამხანაგებო! მე თქვენს მეთაურად დამნიშნეს. კარგი მეთაური ვარ თუ ცუდი, თქვენც კარგი მებრძოლები ხართ თუ ცუდი, ამას მომავალში დავინახავთ, ახლა კი მინდა ვნახო თქვენი ცხენები, საბრძოლო აღჭურვილობა და თვითეულს პირადად გაგეცნოთ.

დათვალიერების დროს ზოგიერთი მებრძოლი დემონსტრაციულად ათვალიერებდა ჩემს წითელ შარვალს. შევნიშნე ეს და წარმოვთქვი:

— უკვე გამაფრთხილა პოლკის მეთაურმა ანდრეევმა, რომ თქვენ არ გიყვართ წითელი შარვალი. იცით რა, მე ამის გარდა სხვა არ გამაჩნია. ვატარებ იმას, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ მიწყალობა, და ჯერჯერობით საბჭოთა ხელისუფლების მოვალე ვარ. რაც შეეხება წითელ ფერს საერთოდ, ეს, როგორც ცნობილია, რევოლუციური ფერია, და იგი სიმბოლურად გამოხატავს მშრომელი ხალხის ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის...

მეორე დღეს ჩემთან ხატაში შეეკრიბე ოცეული და ვთხოვე მებრძოლებს მოეთხროთ თავიანთი ამბავი. საუბარი დიდხანს ვერ აეწყო. ჰეტყვიამფრქვევე კასიანოვმა შენიშნა:

— აბა რა უნდა გიამბოთ? ოცეულის სიაში მოიპოვება ყველა ცნობა: ვინ საიდანაა და თუ რა ხალხი ვართ.

მაშინ მე ვუამბე მათ ყველაფერი, რაც ვიცოდი ჩრდილო თავრეთში თეთრპოლონელებთან და ვრანგელთან ბრძოლებზე. მებრძოლები ყურადღებით მისმენდნენ. განსაკუთრებით აინტერესებდათ, გადმოსხამდა თუ არა ანტანტა ჯარებს. მე ეუპასუხე, ანტანტის მთავრობებს კი სურთ თავიანთი ჯარების გადმოსხმა, მაგრამ ანტანტის ქვეყნების ხალხსა და არმიას არ უნდათ ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლა-მეთქი.

რამდენიმე დღის შემდეგ ბანდათა ნარჩენებისაგან ზღვისპირეთის

რაიონის გამწმენდი ოპერაციის დროს ოცეულს მოუხდა ბრძოლის წარმოება ჩემი მეთაურობით. ბრძოლა ჩვენს სასარგებლოდ დამთავრდა. ბანდიტები ვაეანადგურეთ და ნაწილობრივ ტყვედ წამოვასხით, და, რაც უფრო მნიშვნელოვანია. ჩვენს ოცეულს ამ ბრძოლაში არავითარი ზარალი არ ჰოსვლია. ბრძოლის შემდეგ არც ერთ მებრძოლს აღარ შეუხსენებია ჩემთვის ჩემი წითელი შარვალი.

მალე დამნიშნეს 1-ლი საკავალერიო პოლკის მეორე ესკადრონის მეთაურად.

1920 წლის დეკემბრის ბოლოს მთელი ბრიგადა გადასროლილ იქნა ეორონეჟის გუბერნიაში კულაკური აჯანყებისა და კოლესნიკოვის ბანდის სალიკვიდაციოდ. ეს ბანდა მალე განადგურდა. მისი ნარჩენები გარბოდნენ ტამბოვის გუბერნიაში ანტონოვის კულაკურ-ესერულ ბანდებთან შესაერთებლად.

რამდენიმე სიტყვა ესერულ-კულაკური ამბოხების მეთაურ ანტონოვზე.

ანტონოვი წარმოშობით ტამბოვის გუბერნიის ქალაქ კირსანოვის მეშჩანთა წრიდან იყო. სწავლობდა რეალურ სასწავლებელში, მაგრამ ცუდი ყოფაქცევისა და ხულიგნური ოინებისთვის გარიცხეს. მან დატოვა კირსანოვი, მიეტმასნა სისხლის სამართლის დამნაშავეთა ბრბოს და ხელი მიჰყო ძარცვა-გლეჯას, რასაც ხშირად თან ახლდა მკვლელობანიც. 1906 წელს ანტონოვი შევიდა ესერთა პარტიაში. შემდგომში სისხლის სამართლის დანაშაულისათვის გაგზავნეს ციმბირის კატორღაში. ტამბოვის გუბერნიაში ანტონოვი კვლავ გამოჩნდა 1917 წელს, თებერვლის რევოლუციის პერიოდში. მალე დაიკავა კირსანოვის მაზრის მილიციის უფროსის თანამდებობა. ანტონოვი ყველგან თავის კაცებს აყენებდა. მისი მთავარი თანამოღვაწენი იყვნენ ცნობილი ესერები ბაჟენოვი, მახნევიჩი, ზოვევი და ლოშჩინინი.

1920 წლის აგვისტოსათვის ანტონოვს ჰყავდა დიდი დარაზმული ბანდა. როცა ანტონოველები რომელიმე მნიშვნელოვან დასახლებულ პუნქტს დაიკავებდნენ, მაშინვე შეუდგებოდნენ ახალი რაზმის შექმნას. ეს რაზმები თანდათანობით იქცეოდა ათას კაციან პოლკებად. ანტონოვის მთავარი დამკვრელი ძალა იყო ცხენოსანთა პოლკები 1,5 ათასიდან 5 ათას კაცამდე საერთო რაოდენობით.

1920 წლის მიწურულში ანტონოვის ბანდები „არმიად" გაერთიანდნენ. ამ „არმიიდან" ოპერშტაბში შევიდნენ ძველი ესერები: ბოგუსლავსკი. გუსაროვი, ტოკმაკოვი და მიტროფანოვიჩი. სარდლად აირჩიეს ტოკმაკოვი, ხოლო ანტონოვი — შტაბის უფროსად მალე შეიქმნა „ანტონოვის მეორე არმიაც". მთელი სამხედრო ძალაუფლება წინანდებურად ანტონოვის ხელში იყო თავმოყრილი. ნაწილები შეიარაღებულნი იყვნენ ტყვიამფრქვევებით, შაშხანებით, რევოლვერებითა და ხმლებით.

ესერულ-კულაკური აჯანყების პოლიტიკურ ორგანიზაციას მეთაურობდა ესერთა ცენტრალური კომიტეტი. ის თავის მთავარ ამოცანად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას.

ანტონოველთა უახლოესი ამოცანები მდგომარეობდა შემდგომში:

— სასურსათო გაწერისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაწესებულ სხვა ბეგარათა შესრულების ჩაშლა;

— რკპ(ბ) და საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელთა მოსპობა;

— წითელი არმიის მცირე რაზმებზე თავდასხმა მათი განიარაღების მიზნით;

— რკინიგზათა გაფუჭება, საწყობებისა და ბაზების განადგურება.

ამ მიზნით, ანტონოველები მიმართავდნენ შემდეგ ტაქტიკას: 1. თავი აერიდებინათ წითელი არმიის დიდ ნაწილებთან ბრძოლისათვის; 2. ჩაბმულიყვნენ ბრძოლაში, როცა საესებით დარწმუნებული იქნებოდნენ გამარჯვებაში და აუცილებლად ჰარბი ძალებით; 3. საჭიროების შემთხვევაში — თავი დაეღწიათ ბედუკულმართად წარმართული საბრძოლო გარემოცვიდან და მომცრო ჯგუფებად მიმოფანტულიყვნენ სხვადასხვა მხარეს — წინასწარდათქმულ ადგილზე შემდგომ შესაკრებად.

1920 წლის დეკემბერში საბჭოთა მთავრობამ ბანდიტიზმის სალიკვიდაციოდ შექმნა ტამბოვის გუბერნიის ჯარების შტაბი. 1921 წლის 1-ლი მარტისთვის ტამბოვის სარდლობის ძალები აღწევდა 32,5 ათას ჯარისკაცს, 7948 მხედარს, 463 ტყვიამფრქვევსა და 63 ქვემეხს. 1-ლი მაისისათვის ეს ძალები კიდევ გაიზარდა 5 ათასამდე ჯარისკაცითა და 2 ათასამდე მხედრით. მაგრამ ტამბოვის სამხედრო სარდლობამ არაორგანიზებულობისა და გაუბედაობის გამო ვერ შეძლო ანტონოვის ბანდის ლიკვიდირება.

გათავხედებული ანტონოვი თვითონ აწყობდა თავდასხმებს წითელი არმიის ნაწილთა გარნიზონებზე. ასე მოხდა 1921 წლის აპრილის დამდეგს. როცა ანტონოველთა 5-ათასიანმა რაზმმა გაანადგურა რასკაზოვოში ჩამდგარი გარნიზონი. მასთან, მთელი ჩვენი ბატალიონი ტყვედ წაიყვანეს.

მალე ანტონოველებთან საბრძოლველად ჯარების სარდლად დაინიშნა მ. ნ. ტუხაჩევსკი, ყოფილი პორუჩიკი, რომელიც 1918 წლის აპრილში გახდა რკპ(ბ) წევრი.

მიხეილ ნიკოლოზის ძე ტუხაჩევსკიზე ბევრი კარგი გვსმენოდა, განსაკუთრებით ცნობილი იყო ჩვენთვის მისი ოპერატიულ-სტრატეგიული უნარი და ნიჭიერება, და მებრძოლებს უხაროდათ, ასეთი ნიჭიერი სარდალი გვიხელმძღვანელებსო.

მ. ნ. ტუხაჩევსკი ვნახე ტამბოვის გუბერნიის სადგურ ჟერდიოვკაში, როცა იგი ეწვია ჩვენი მე-14 ცალკე საკავალერიო ბრიგადის შტაბს.

მე მომიხდა დავსწრებოდი მის საუბარს ბრიგადის მეთაურთან. მ. ნ. ტუ-ხაჩევსკის მსჯელობაში იგრძნობოდა დიდი მასშტაბის ოპერაციათა ხელ-მძღვანელობის დიდი ცოდნა და უნარი.

ბრიგადის შემდგომ მომავალ მოქმედებათა განხილვისას მიხეილ ნი-კოლოზის ძე ესაუბრა მებრძოლებსა და მეთაურებს. მას აინტერესებდა, თუ ვინ სად იბრძოდა, როგორი იყო განწყობილება ნაწილებსა და მო-სახლეობაში, რა სასარგებლო საქმიანობას ეწეოდით ადგილობრივ მცხოვრებლებში.

წასვლის წინ გვითხრა:

— ვლადიმერ ილიას ძე ლენინს საჭიროდ და აუცილებლად მიაჩ-ნია, რაც შეიძლება მალე მოეღოს ბოლო კულაკურ აჯანყებებს და მათს შეიარაღებულ ბანდებს. თქვენ გაკისრიათ საპასუხისმგებლო ამოცანა. ყველაფერი უნდა გააკეთოთ იმისათვის, რათა, რაც შეიძლება სწრაფად და უკეთ შეასრულოთ ეს საქმე.

განა შემეძლო მაშინ მეფიქრა, რომ სულ რაღაც რამდენიმე წლის შემდეგ მომიხდებოდა მიხეილ ნიკოლოზის ძესთან შეხვედრა თავღაცვის სახალხო კომისარიატში საბჭოთა ჯარების ტაქტიკური ხელოვნების თე-ორიულ საფუძველთა განხილვისას!..

მ. ნ. ტუხაჩევსკისა და ვ. ა. ანტონოვ-ოვსეენკოს დანიშვნით ბანდი-ტებთან ბრძოლა კარგად მოფიქრებული გეგმით წარიმართა. მ. ნ. ტუ-ხაჩევსკის მოადგილე იყო ი. პ. უბორევიჩი, რომელიც იმავდროულად ხელმძღვანელობდა ნაკრები საკავალერიო ჯგუფის მოქმედებებს და თვითონ მონაწილეობდა ანტონოველებთან ბრძოლებში, სადაც დიდი პირადი ვაჟკაცობა გამოიჩინა.

ანტონოველთა ნაწილების გასანადგურებლად განსაკუთრებით ძლიერი ბრძოლები გაჩაღდა 1921 წლის მაისში მდინარე ვორონის რაი-ონში. — ეს იყო დასახლებული პუნქტები: სემიონოვკა, ნიკოლსკოე, პუშჩინო, ნიკოლსკოე-პერევოზი, ტრივკი, კლიუჩკი, ეკატერინოვკა, მდინარე ხოპერი. აქ საუცხოოდ მოქმედებდნენ გ. ი. კოტოვსკის საკა-ვალერიო ბრიგადა და ჩვენი მე-14 ცალკე საკავალერიო ბრიგადა. მაგ-რამ ბანდის მთლიანად განადგურება იმ ხანებში მაინც ვერ მოვახერხეთ.

ანტონოველებს დამარცხება ძირითადად ვაგემეთ სერდობსკის, ბა-კურისა და ელანის რაიონში, სადაც სპბრძოლო მოქმედებებს ხელმძღ-ვანელობდა ი. პ. უბორევიჩი. გახადგურებული ბანდის ხარჩენები მი-მოიფანტნენ პენზის საერთო მიმართულებით. სარატოვის გუბერნიაში ისინი თითქმის მთლიანად იქნენ ლიკვიდირებულნი ბანდიტთა მოძულე გლეხკაცობის დახმარებით.

1921 წლის ზაფხულის მანძილზე ჩვენმა ნაწილებმა ი. პ. უბორევი-ჩის მეთაურობითა და ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერით ხო-ეოხოპერსკთან გაანადგურეს ვასკა კარასისა და ბოგუსლავსკის ბანდები.

ანტონოველებთან მრავალი ძნელი ბრძოლის გადატანა მოგვიხდა. განსაკუთრებით დამამახსოვრდა ბრძოლა 1921 წლის გაზაფხულზე სოფელ ვიაზოვაია პოჩტასთან, სადგურ ჟერდიიოვკის ახლოს. ადრიან დილით ბრიგადის შემადგენლობიდან საბრძოლო განგაშით ფეხზე დააყენეს ჩვენი პოლკი. დაზვერვის ცნობების მიხედვით სოფლიდან 10-15 კილომეტრზე აღმოაჩინეს თავმოყრილ ანტონოველთა სამ ათასამდე მხედარი. ჩვენი 1-ლი საკავალერიო პოლკი მიემართებოდა ვიაზოვაია პოჩტიდან მარცხენა კოლონაში, მარჯვნივ, 4-5 კილომეტრზე მოდიოდა ბრიგადის მე-2 პოლკი. 4 დაზგის ტყვიამფრქვევითა და ერთი ქვემეხით შეიარაღებულ ჩემს ესკადრონს ნაბრძანები ჰქონდა მოწინავე რაზმის სახით დაძრულიყო შარაგზაზე.

ესკადრონმა განვლო სულ ცოტა ხუთი კილომეტრი და შეეჩეხა ანტონოველთა დაახლოებით 250 მხედარს. მიუხედავად მტრის რიცხობრივი უპირატესობისა, მოვაბრუნეთ ქვემეხი და ტყვიამფრქვევები, გავშალეთ ესკადრონი და გადავეშვით იერიშზე. ანტონოველებმა ვერ გაუძლეს მედგარ შეტევას და დიდი ზარალით უკან დაიხიეს.

ხელჩართული შეტაკების დროს ერთ-ერთმა ანტონოველმა მოკლედ გადაჭრილი შაშხანით ცხენი მომიკლა. ცხენი დაეცა და ქვეშ მომიქცია. ის ანტონოველი აუცილებლად ამკუწავდა, მაგრამ პოლიტხელმა ნოჩიოვკამ სულზე მომისწრო და გადაშარჩინა. ხმლის ძლიერი შემოკვრით ბანდიტს ბოლო მოუღო, მის ცხენს აღვირში ხელი სტაცა და უნაგირზე შეჯდომაში დამეხმარა.

მალე შევნიშნეთ მოწინააღმდეგის ცხენოსანთა კოლონა, რომელიც ცდილობდა შემოეველო ესკადრონის ფლანგისათვის. მის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ ავამოქმედეთ ყველა საცეცხლე საშუალება და პოლკის მეთაურს ეაცნობეთ შექმნილი ვითარება. 20-30 წუთის შემდეგ ჩვენი პოლკი დაიძრა წინ და მტერს სროლა აუტეხა.

ბრიგადის მე-2 პოლკი შეეტაკა რიცხობრივად ჭარბ მოწინააღმდეგეს და იძულებული გახდა უკან დაეხია. ანტონოველთა რაზმმა ისარგებლა ამით და ფლანგიდან შემოგვიტია. პოლკის მეთაურმა გადაწყვიტა ვიაზოვაია პოჩტაში მობრუნება, რათა შეგვეტყუებია მტერი მისთვის არახელსაყრელ ადგილას. მე ნაბრძანები მქონდა, დამეცვა პოლკი ბრძოლიდან გასვლისას.

ანტონოველებმა შენიშნეს ჩვენი მანევრი და მთელი ძალებით ეკვეთნენ ჩემს ესკადრონს, რომელიც მოქმედებდა უკვე როგორც პოლკის არიერგარდი.

ეს ბრძოლა ჩვენთვის ძალზე მძიმე და ძნელი იყო. მტერი ხედავდა, რომ ჩვენ მნიშვნელოვნად მცირერიცხოვანნი ვიყავით და დარწმუნებული იყო. გადაგვთელავდა. მაგრამ ამის განხორციელება არც ისე იოლი აღმოჩნდა. ჩვენ გადაგვარჩინა იმან, რომ ესკადრონს, როგორც უკვე

აღვნიშნეთ, ჰქონდა 4 დაზგის ტყვიამფრქეევი ვაზნების დიდი მარაგით და ერთი 76-მილიმეტრიანი ქვემეხი.

ესკადრონი მანევრირებდა ტყვიამფრქვევებითა და ქვემეხებით და თითქმის მიბრჯენით ხვრეტდა მოწინააღმდეგის მოიერიშე რიგებს. ვხედავდით, თუ როგორ იფარებოდა ბრძოლის ველი მტრის გვამებით და ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ, ბრძოლით ვიხევდით უკან. ჩემს თვალწინ ცხენიდან ჩამოვარდა მძიმედ დაჭრილი ოცეულის მეთაური, ჩემი ამხანაგი უხაჩ-ოგოროვიჩი.

ეს იყო ნიჭიერი და უნარიანი მეთაური, საუცხოოდ აღზრდილი ადამიანი. მამამისი, ძველი არმიის პოლკოვნიკი, პირველი დღეებიდანვე გადმოვიდა საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე და იყო ჩვენი რიაზანელ მეთაურთა კურსების ერთ-ერთი მოწინავე მასწავლებელი.

სანამ გონებას დაკარგავდა, წამჩურჩულა:

— დედაჩემს მისწერე, ნუ დამტოვებ ამ ბანდიტების ხელში.

ყველა დაჭრილი და მოკლული თანვე მიგვყავდა ტყვიამფრქვევის მარხილებითა და ქვემეხთა ლაფეტებით, რათა ბანდიტებს არ შეძლებოდათ მათი დამცირება და აბუჩად აგდება.

პოლკის მიერ ნაკარაულევი და განზრახული კონტრიერიში ჩაიფუშა. ვერ გაგვიძლო გაზაფხულის ყინულმა მდინარეზე, რომელიც უნდა გადაგველახა, და მოგვიხდა თვით ვიაზოვაია პოჩტამდე უკანდახევა.

უკვე თვით სოფელში, დატოვებული ტყვიამფრქვევის გადარჩენისას, შევეჯახე ბანდიტთა ჯგუფს. შაშხანის გასროლით იმ დღეს მეორედ მომიკლეს ცხენი. რევოლვერით ვიგერიებდი ბანდიტებს, რომლებიც შემომეჯარნენ და ლამობდნენ ხელში ცოცხლად ჩემს ჩაგდებას. კვლავ პოლიტხელმა ნოჩიოვკამ გადამარჩინა. ისა და მებრძოლები — ბრისკინი, გორშკოვი და კოვალიოვი ვაჟკაცურად ეძგერნენ მტერს.

ამ ბრძოლაში ჩემმა ესკადრონმა დაკარგა 10 მოკლული და 15 დაჭრილი. სამი მათგანი მეორე დღეს გარდაიცვალა, მათ შორის — უხაჩ-ოგოროვიჩიც.

1921 წლის ზაფხულის მიწურულში შევუდექით ტამბოვის გუბერნიაში გაფანტული წვრილ-წვრილი ბანდების საბოლოო მოსპობას. რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაგვენადგურებინა ისინი. ჩემს ესკადრონს მიზნად დაუსახეს — მოგვესპო ზვერიოვის ბანდა, რომელიც 150 მხედარს ითვლიდა. ბანდა მალე აღმოვაჩინეთ. დაიწყო მისი დევნა. ბანდიტებს თანდათან ელეოდათ ძალ-ღონე. ტყის პირას დავეწიეთ მათ და იერიში მივიტანეთ.

ერთ საათში ყველაფერი დამთავრდა, მაგრამ ხუთი ბანდიტი, ზვერიოვის მეთაურობით, მაინც გაგვისხლტა ხელიდან, მათ ისარგებლეს უკვე ჩამოწოლილი ბინდბუნდით და ტყეს შეაფარეს თავი, ოღონდ ამ-

ჯერად ვეღარაფერი უშველიდათ: ანტონოველთა ბანდების ლიკვიდაცია ტამბოვის მიწა-წყალზე დამთავრებულ იქნა.

როცა ამ ეპიზოდს ვიგონებ, შეუძლებელია არ გავიხსენო ერთი კურიოზული ამბავი, ჩვენ რომ შეგვემთხვა.

ბანდის გამოდევნებისას მოულოდნელად შევეჩეხეთ მეზობლად მდებარე სოფლიდან გამოვარდნილ ორ ჯავშნიან მანქანას. ვიცოდით, ბანდას არ ჰქონდა ჯავშნიანი მანქანები. ამიტომ სროლა აღარ ავუტეხეთ. მაგრამ მათ ხელსაყრელი პოზიცია დაიკავეს და ჩვენსკენ მომართეს ტყვიამფრქვევები. რაღაც დაუჯერებელი რამ იყო! გავგზავნეთ მეკავშირეები. აღმოჩნდა, რომ ისინი ჩვენები იყვნენ და მოწინავე მანქანაში თვით ი. პ. უბორევიჩი იჯდა. როცა ტყის მიმართულებით ბანდის გაქცევის ამბავი გაეგო, გადაეწყვიტა. გზა მოეჭრა მისთვის და გაენადგურებია. კიდევ კარგი, რომ მალე მივხვდით ყველაფერს, თორემ შავი დღე დაგვადგებოდა.

ამრიგად, პირველად გავიცანი ი. პ. უბორევიჩი. მოგვიანებით, 1932-1937 წლებში ჩვენ ხშირ-ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. მაშინ ის იყო სარდალი ბელორუსიის სამხედრო ოლქის ჯარებისა, სადაც მე მომიხდა საკავალერიო დივიზიის მეთაურობა.

* * *

...გავიდა მრავალი წელი. დავიწყებას მიეცა სამოქალაქო ომის სიძნელეები, რის დაძლევაც უხდებოდა ჩვენს ხალხს. მაგრამ მეხსიერებიდან არასოდეს ამოიშლება ის ამბავი, რომ თითოეული ჩვენთაგანი ხელმძღვანელობდა იმ იდეათა სამართლიანობის მტკიცე რწმენით, რომლებიც გამოაცხადა ლენინურმა პარტიამ ოქტომბრის დღეებში.

ინგლისელი გენერალი ნოქსი იმ ხანებში სწერდა თავის მთავრობას იმის გამო, რომ შესაძლებელია ბოლშევიკთა მილიონიანი არმიის განადგურება, მაგრამ როცა 150 მილიონ რუსს სურს წითლები და არა თეთრები, მაშინ უმიზნოა და ფუჭი თეთრებისათვის ყოველგვარი დახმარების გაწევაო.

წარსული ომების გამოცდილება, მათ შორის პირველი მსოფლიო ომის გამოცდილება, მთელი რიგი მიზეზის გამო არ შეიძლებოდა მთლიანად მიეღო მაშინ წითელ არმიას. ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოსათვის მტრებთან საბრძოლველად საჭირო იყო საკუთარი, მკაფიოდ გამოვლენილი კლასობრივი სამხედრო ორგანიზაციის შექმნა, მისი შეიარაღება ბრძოლის არსისა და საშუალებების მიმართ ახალი თვალსაზრისით.

„ყოველი რევოლუცია მხოლოდ მაშინ არის ღირებული, თუ მას

შესწევს თავდაცვის უნარი...“[1] — აბობდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინი. და პარტიამ, მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა, პირადად ვ. ი. ლენინმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს საბოქალაქო ომის წლებში სამშობლოს დაცვის ორგანიზაციის საქმეში ფრონტისა და ზურგის ყველა ძალების გასაერთიანებლად, მუშების, წითელარმიელებისა და გლეხთა მასების დასარაზმავად ინტერვენტებთან და კონტრრევოლუციასთან საბრძოლველად. მათ ცხოვრებაში გაატარეს ასობით და ათასობით ღონისძიება, რამაც უზრუნველყო მტერზე გამარჯვება.

ისტორიკოსებმა დაადგინეს, რომ 1918 წლის 1-ლი დეკემბრიდან 1920 წლის 27 თებერვალამდე შედგა თავდაცვის საბჭოს 101 სხდომა, რომლებზედაც განიხილეს 2300 საკითხი ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციისათვის, წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის საომარი ტექნიკით, შეიარაღებით, საჭურვლითა და სურსათ-სანოვაგით ულრუნველსაყოფად. ორის გარდა, ყველა სხდომას თავმჯდომარეობდა ვ. ი. ლენინი.

სამამულო ომის პერიოდის დოკუმენტთა შესწავლა მოწმობს იმას, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პოლიტბიუროს დადგენილებები და დირექტივები, ვ. ი. ლენინის მითითებები წარმოადგენდნენ იმ საფუძველს, რომლითაც წითელი არმიის მთავარსარდლობა და ფრონტების რევოლუციური სამხედრო საბჭოები ამუშავებდნენ სამხედრო ოპერაციათა კონკრეტულ გეგმებს. ყველა უმნიშვნელოვანეს სამხედრო კამპანიათა სტრატეგიულ გეგმებს ყოველმხრივ განიხილავდნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებსა და სხდომებზე.

ვ. ი. ლენინი პირადად იყო დაკავშირებული სამხედრო სარდლობასთან, ფრონტებსა და არმიებთან, ახლოს იცნობდა ბევრ მეთაურსა და პოლიტმუშაკს. მათთან ჰქონდა დიდი სამხედრო მიწერ-მოწერა. სამოქალაქო ომის პერიოდში, არასრული ცნობების მიხედვით, ვ. ი. ლენინის ხელმოწერით გაგზავნილია დაახლოებით 600 წერილი და დეპეშა საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვის საკითხებზე[2].

იმავე დროს ვ. ი. ლენინი და პარტიის ცენტრალური კომიტეტი როდი ცვლიდნენ მთავარსარდლობასა და რევოლუციურ სამხედრო საბჭოს ფრონტებისა და არმიათა ოპერატიული ხელმძღვანელობისას, ჯარების საომარი მოქმედებების დროს.

როცა ვ. ი. ლენინმა გაიგო, რომ ზოგიერთ სამხედრო მუშაკს ეჭვი შეეპარა მთავარსარდალ ს. ს. კამენევის მიერ შემუშავებულ დენიკინთან საბრძოლველი გეგმის სისწორეში, მან პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სახელით მისწერა ტროცკის: „პოლიტბიურო

---

[1] В. И. Ленин. Полн. собр. соч., т. 37. стр. 122.

[2] იხ. «КПСС и строительство Советских Вооруженных Сил». Воениздат. 1967, стр. 44, 69, 98.

საესებით აღიარებს მთავარსარდლის ოპერატიულ ავტორიტეტს და გთხოვს თქვენ სათანადო განმარტება მისცეთ ყველა პასუხისმგებელ მუშაკს"[1]. მთავარსარდალმა ს. ს. კამენევმა სთხოვა ვ. ი. ლენინს, რათა ოპერატიული სამხედრო საკითხების შემცველი მთავრობის ყველა დირექტივის პროექტები წინასწარ ეჩვენებინათ მთავარსარდლობისათვის. ს. ს. კამენევის მოხსენებით ბარათზე, რომელიც გაგზავნილი იყო პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ყველა წევრისადმი, ვ. ი. ლენინმა დააწერა: „ჩემი აზრით, შუამდგომლობას ანგარიში უნდა გაეწიოს და დადგენილ იქნას: ან პირადად იქნას გამოძახებული მთავარსარდალი, ანდა დირექტივათა პროექტები გადაეცეს მას სასწრაფო დასკვნისათვის"[2].

რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭო და ფრონტებისა და არმიების სამხედრო საბჭოები საერთოდ მუშაობდნენ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა საფუძველზე. საპასუხისმგებლო პოსტებზე სარდლებისა და კომისრების დანიშვნა, რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება ხორციელდებოდა ცენტრალური კომიტეტის მითითებათა შესაბამისად. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „სამხედრო უწყების მუშაობის შესახებ", რომელიც მიღებულ იქნა ვ. ი. ლენინის წინადადებით 1918 წელს, ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ პასუხისმგებლობა სამხედრო უწყების პოლიტიკისათვის მთლიანად ეკისრებოდა პარტიას, რომელიც თავისი გაელენით მოიცავდა სამხედრო მშენებლობისა და საბჭოთა შეიარაღებული ძალების საბრძოლო მოქმედებათა ყველა მხარეს.

კომუნისტები წარმოადგენდნენ შემადგენლობებელ ძალას წითელ არმიაში. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი არაერთგზის ატარებდა პარტიულ მობილიზაციებს და კომუნისტებით განამტკიცებდა ფრონტის ყველა გადამწყვეტ უბანს. 1918 წლის ოქტომბერში არმიაში იყო 35 ათასი კომუნისტი. ერთი წლის შემდეგ მათი რიცხვი უკვე დაახლოებით 120 ათასს კაცს აღწევდა, ხოლო 1920 წლის აგვისტოში — 300 ათასს. ესე იგი იმ დროის რკპ(ბ) წევრთა თითქმის ნახევარს. წითელი არმიის ყველას მიერ აღიარებული მორალურ-პოლიტიკური უპირატესობა, რამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა სამოქალაქო ომში, შეპირობებული იყო არმიელი კომუნისტების, კომისრების, პოლიტგანყოფილებებისა და პარტუჯრედთა საბრძოლო პატრიოტული საქმიანობით.

იმ წლებში. არმიაში პარტიულ-პოლიტიკური აპარატის როლის შეფასებისას, მ. ვ. ფრუნზე წერდა:

„აბა ვის შეჰქონდა წესრიგისა და დისციპლინის ელემენტები ქვე-

---

[1] В. И. Ленин. Полн. собр. соч., 51, стр. 22.
[2] იქვე, გვ. 69

მეხთა გასროლის გრიალ-გუგუნში შექმნილი ჩვენი ახალგაზრდა წითელი პოლკების რიგებში? წარუმატებლობისა და დამარცხების ჟამს ვინ უნერგავდა სიმამაცესა და მხნეობას მებრძოლებს და ვინ მატებდა ენერგიას შემდგომ რიგებს? ვინ აწესრიგებდა ზურგის საქმიანობას, ვინ განამტკიცებდა იქ საბჭოთა ხელისუფლებას, ქმნიდა საბჭოთა წესრიგს და ამით უზრუნველყოფდა ჩვენი არმიების სწრაფსა და წარმატებითს წინსვლას? თავისი მედგარი და შეუპოვარი მუშაობით ვინ ხრწნიდა მტრის რიგებს, ვინ არღვევდა და შლიდა ზურგს და ამით ამზადებდა მომავალ წარმატებებს?

ამას აკეთებდნენ არმიის პოლიტიკური ორგანოები. და უნდა ითქვას, ბრწყინვალედაც აკეთებდნენ. უდიდესი მნიშვნელობის მქონეა მათი დამსახურებანი წარსულში"[1].

მე ისევ დამრჩენია, ათასჯერ მოვაწერო ხელი ამ შესანიშნავ სიტყვებს და ერთხელ კიდევ დავადასტურო მათი ჭეშმარიტება.

სამოქალაქო ომის წლებში პარ[illegible]ტ და ხალხმა არა თუ დაამარცხეს მტერი, არამედ მასთან ბრძოლით საძირკველი ჩაუყარეს მასობრივ რეგულარულ არმიას, რომელიც ყალიბდებოდა მშრომელთა სამხედრო ვალდებულების საფუძველზე. შეიქმნა სამხედრო მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი აპარატები, დამუშავდა პირველი წესდებები და რჩევა-დარიგებანი, შემოღებულ იქნა ნაწილებისა და შენაერთების ერთიანი ორგანიზაცია. 1920 წლის ბოლოსათვის ჩვენი არმია უკვე 5,5 მილიონ კაცს ითვლიდა, თუმცა მან დაკარგა 800 ათასამდე კაცი მოკლულთა, დაჭრილთა და უგზოუკვლოდ დაკარგულთა სახით და აგრეთვე 1400 ათასი დაღუპული კვების ნაკლებობით, მედიკამენტებისა და სამედიცინო მომსახურების, აუცილებელი ტანსაცმლის უქონლობით გამოწვეულ მძიმე დაავადებათა გამო.

სამოქალაქო ომის ეპოქის უდიდესი სამხედრო გამოცდილებისა და თეორიული განზოგადებიდან, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე საფუძვლად დაედო საბჭოთა შეიარაღებული ძალების მშენებლობას, მინდა რამდენიმე სიტყვით აღვნიშნო შემდეგი.

ჯერ ერთი, არმიისა და ხალხის ერთიანობის შესახებ. სამოქალაქო ომმა განსაკუთრებული სიძლიერით გამოავლინა ფრონტისა და ზურგის მთლიანობა, ერთიან სამხედრო ბანაკად გადაქცეული ჩვენი ქვეყნის უაღრესი სამხედრო უპირატესობანი. ამ ერთიანობას თავის ობიექტურ საფუძვლად ჰქონდა საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი, ხოლო სუბიექტურ საფუძვლად — მთელი არმიისა და ხალხის ერთობა. ამის შედეგად წარ-

---

[1] М. В. Фрунзе. Избранные произведения, т. 2, Воениздат, 1957, стр. 121.

მოიშვებოდა ძალა, რაც მრავალგზის ადიდებდა იარაღის სიძლიერეს. ამ ძლიერების წყაროს ვ. ი. ლენინი ხედავდა იმაში, რომ მსოფლიოში პირველად შეიქმნა არმია, რომელმაც იცოდა, თუ რისთვის ომობდა იგი, რომ პირველად მსოფლიოში მუშებმა და გლეხებმა, რომელთაც გადაიტანეს არნახული სიძნელეები, ცხადად შეიგნეს, რომ ისინი იცავდნენ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას, მუშებისა და გლეხების ხელისუფლებას.

მეორეც, საკუთრივ სამხედრო საკითხებში პარტიის ხელმძღვანელი როლისა და პარტიულ-პოლიტიკური აპარატის მეშვეობით არმიაში მისი ზეგავლენის შესახებ.

სამხედრო თვალსაზრისით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ როლს, ახვა ყველაფრის გარდა, ენიჭება კოლოსალური მნიშვნელობა იმიტომ, რომ იგი წარმოადგენს მმართველ პარტიას ჩვენს ქვეყანაში, სადაც საზოგადოებრივი საკუთრება მბრძანებლობს წარმოების საშუალებებზე. ამის მეოხებით უზრუნველყოფილი ხდება მთელი სახალხო მეურნეობის შესაძლებლობათა და საშუალებათა არნახული კონცენტრაცია უმნიშვნელოვანესი სამხედრო მიმართულებებით. იქმნება განსაკუთრებული შესაძლებლობა უდიდესი მატერიალური და ადამიანთა რესურსებით მანევრირებისა, ერთიანი სამხედრო პოლიტიკის გატარებისა, ყველასა და თვითეულისათვის სამხედრო საკითხთა დირექტივების საეალდებულოდ გახდომის მისაღწევად.

რაც შეეხება პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას, მისი მეოხებით რევოლუციის საქმისათვის შეგნებული და ერთგული ძალები არმიასა და ფლოტში მიისწრაფვიან ერთი მიზნისაკენ, მრაველდებიან და იქცევიან მასობრივი გმირობის წყაროდ.

„და მხოლოდ იმის მეოხებით, რომ პარტია იდგა საგუშაგოზე, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — რომ პარტია უმკაცრესად იყო დისციპლინირებული, და იმის გამო, რომ პარტიის ავტორიტეტი აერთიანებდა ყველა უწყებასა და დაწესებულებას, და როგორც ერთი კაცი ასობით, ათასობითა და საბოლოო ჯამში მილიონობით ადამიანი მიყვებოდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწოდებულ ლოზუნგს, და მხოლოდ ამიტომ მოხდა სასწაული, რომელიც უნდა მომხდარიყო. მხოლოდ ამიტომ, მიუხედავად ანტანტის იმპერიალისტთა და მთელი მსოფლიოს იმპერიალისტთა ორგზისი, სამგზისი, ოთხგზისი ლაშქრობისა, ჩვენ შევძელით გამარჯვება მოგვეპოვებინა“[1].

მესამეც, მინდოდა მეთქვა კიდევ ჩვენი შეიარაღებული ძალების მშენებლობის ერთი პრინციპის შესახებ — უმკაცრესი ცენტრალიზაციის ერთმმართველობისა და რკინისებური დისციპლინის შესახებ. მით

---

[1] В. И. Ленин. Полн. собр. соч., т. 40, стр. 240.

უმეტეს, რომ სხვადასხვა ჯურის ოპოზიციონერები არაერთხელ ესხმოდნენ თავს ამ პრინციპს.

ერთმმართველობის უქონლობას სამხედრო საქმეში, — მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, „ხშირად გარდუვალად მოსდევს კატასტროფა, ქაოსი, პანიკა, მრავალხელისუფლებიანობა, დამარცხება“[1]. ცენტრალური კომიტეტის ყრილობებისა და პლენუმების მიერ მიღებულ მრავალ ფუძემდებლურ დოკუმენტში, პრაქტიკულ მუშაობაში ბოლშევიკები დაუღალავად ეწეოდნენ ბრძოლას იმ ცდების წინააღმდეგ, რომ ორგანიზაციის პარტიზანული ფორმები (რაც ყოველთვის შეიძლება იყოს თავდაპირველად) დაეპირისპირებინათ რეგულარული არმიის მშენებლობისათვის (რაც შეიძლება იყოს მბრძანებლური), ესე იგი ცენტრალიზებული და ერთტიპობრივი მმართველობისათვის არმიის ყველა რგოლში, სუბორდინაციისა და დისციპლინის მკაცრად დაცვისათვის.

რა თქმა უნდა, ერთმმართველობა საჭირო იყო შემოგვეღო კონკრეტულ ისტორიულ პირობებთან მკაცრი შესაბამისობით, მეთაურთა კადრების კლასობრივი შემადგენლობის, მათი პოლიტიკური მოწიფულობისა და სამხედრო მომზადების გათვალისწინებით, და აგრეთვე მხედველობაში უნდა მიგვეღო მმართველობის ამა თუ იმ ფორმისთვის მასების მზადყოფნაც. ამიტომ, ბუნებრივია, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში შეუძლებელი იყო ერთმმართველობის შემოღება.

მაგრამ ერთმმართველობის ლენინური პრინციპი, როგორც ხელმძღვანელობის ტიპობრივი, ძირითადი პრინციპი საბჭოთა არმიაში პოლიტორგანოებისა და პარტორგანიზაციათა როლის ამაღლების შესაბამისად, თანდათანობით გაბატონებული ხდება. რკინისებურ დისციპლინასთან ერთად, რაც ემყარებოდა სამშობლოს დაცვისათვის მეომრების მიერ თავიანთი მოვალეობის შეგნებულ შესრულებას, მეთაურის ერთმმართველობა ხდება ის ღერძი, რომლის გარშემო თავს იყრის და მჭიდროდება ჯარების ნებისყოფა, ცოდნა და მიზანსწრაფვა.

ჩვენი ქვეყნის განვითარების თითოეულ პერიოდს საბჭოთა შეიარაღებული ძალების მშენებლობაში შეჰქონდა ახალი ნიშანთვისებები, ანმტკიცებდა და ამზადებდა მათ აგრესიისაგან დასაცავად. ვ. ი. ლენინის პირადი მონაწილეობით სამოქალაქო ომის ქარცეცხლში ნაწრთობმა სამხედრო საქმის გამოცდილებამ და პრინციპებმა, კერძოდ იმ მომენტებმა, რომელთა შესახებ ცალკე ვილაპარაკეთ, თავიანთი შემდგომი განვითარება ჰპოვეს ოცდაათიან და ორმოციან წლებში და გახდნენ შემადგენელი ნაწილი იმ არმიის ძლიერებისა, რომელმაც გაანადგურა ფაშიზმი დიდ სამამულო ომში.

---

[1] В. И. Ленин. Полн. собр. соч., т. 39, стр. 46.

თავი მეოთხე

პოლკისა და გრიგადის მეთაურად

როცა სამოქალაქო ომში გმირული გამარჯვების შემდეგ საბჭოთა ხალხი შეუდგა მშვიდობიან მშენებლობას, იგი პირისპირ შეეჯახა დანგრეული და განადგურებული სახალხო მეურნეობის აღდგენის კოლოსალურ სიძნელეებს. თითქმის ყველა დარგი ჩამორჩენილი და დაქვეითებული იყო. მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის კრიტიკული მდგომარეობა მოითხოვდა სამეურნეო ფრონტზე ჩვენი ქვეყნის ყველა ძალების თავმოყრას. აუცილებელი იყო აღდგენითს სამუშაოებზე რამდენიმე მილიონი დემობილიზებული მუშისა და გლეხის გაგზავნა, არმიათა შესანახი ხარჯების შემცირება და იმავე დროს საჭირო იყო ჩვენი ქვეყნის თავდაცვის შენარჩუნება და განმტკიცება. „ახლა მთელი რიგი მძლავრი სახელმწიფოები გადავაჩვიეთ ჩვენთან ომს, მაგრამ დიდი ხნით თუ არა, ამის თავდები ვერ ვიქნებით“[1] — ამბობდა ლენინი.

უკვე 1920 და 1921 წლებში დაიწყო შრომითს მდგომარეობაზე მთლიანი ანდა ნაწილობრივი გადაყვანა არმიებისა, რომელთაც უშუალოდ მონაწილეობა არ მიუღიათ საომარ ოპერაციებში. ამ მიზნით შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან შეიქმნა კომისია, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ მ. ი. კალინინი და ფ. ე. ძერჟინსკი. შრომითმა არმიებმა ბევრი რამ გააკეთეს სათბობი მასალისა და ნედლეულის მოპოვების გასაღიდებლად, სოფლის მეურნეობის აღმავლობისთვის.

მთლიანად დემობილიზაციის შედეგად 1924 წლის ბოლოსთვის შეიარაღებული ძალების რაოდენობა 5,5 მილიონიდან 562 ათას კაცამდე შემცირდა.

რასაკვირველია, დემობილიზაცია უპასუხებდა ჯარისკაცთა მილიონების ინტერესებს. მათ გული მიუწევდათ კავისკენ, დაზგისკენ, სურდათ ოჯახში, შინ დაბრუნება. არმიაში კადრის ჯარისკაცთა შენარჩუნე-

---

[1] В. И. Ленин. Полн. собр. соч., т. 42, стр. 136.

ბა ძალზე ძნელი იყო, მით უმეტეს, რომ მათ შორის უმრავლესობას გლეხობა შეადგენდა. ამ პროცესს, შესაძლოა, ცუდი შედეგი მოჰყოლოდა, „დაეშალა“ არმიის ბირთვი. 1921 წლის თებერვალში რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს გადაწყვეტილებით არმიიდან კომუნისტთა დემობილიზაცია შეწყვეტილ იქნა[1]. ოტათი ადრე რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიმართა ყველა პარტორგანიზაციას ცირკულარული წერილით „წითელი არმიის შესახებ“, რომელშიც გადაჭრით გააფრთხილა ყველა პარტიული ორგანიზაცია არ დაეშვათ წითელი არმიისადმი მზრუნველობის შესუსტება. საერთოდ კი არმიაში ძირითადად რჩებოდნენ ისინი, ვინც მისწრაფებისა და უნარის შესაბამისად მთელი ცხოვრების მთავარ საქმედ სამხედრო მუშაობა გაიხადა.

იმ დროის მშვიდობიანი მშენებლობის პირობებში საჭირო იყო ერთიანი სამხედრო დოქტრინის შემუშავება, რეგულარული წითელი არმიის განმტკიცება, ორგანიზაციული მშენებლობის ახალი რთული საკითხების გადაწყვეტა, სამხედრო და პოლიტიკური კადრების მომზადების მოწესრიგება. უკვე მაშინ განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სპეციალური ტექნიკური ნაწილების (სატყვიამფრქვევო, საარტილერიო, ავტოჯავშნიანი, საავიაციო და სხვ.) განმტკიცების საჭიროებას, მათ უზრუნველყოფას ყოველივე აუცილებელით.

ამ პრობლემებს დაწვრილებით განიხილავდნენ რკპ(ბ) X, XI, XII ყრილობებზე. საქმე ცხარე კამათისა და დავის გარეშე როდი დამთავრდა. პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით მ. ვ. ფრუნზემ და ს. ი. გუსევმა მოამზადეს „წითელი არმიის რეორგანიზაციის“ თეზისები, რომელშიც იცავდნენ კადრის არმიის შენარჩუნების საკითხს და ისახავდნენ სამილიციო ფორმირებაზე თანდათანობით გადასვლას, იბრძოდნენ საბჭოთა სამხედრო მეცნიერების განვითარებისათვის. სხვები ამტკიცებდნენ, საჭიროა არმიის ჩამოყალიბების სამილიციო სისტემაზე დაუყოვნებლივ გადასვლაო. რკპ(ბ) X ყრილობამ მიიღო მშვიდობიან დროს სამხედრო მშენებლობის ლენინური კურსი. ყრილობის დადგენილებაში პირდაპირ იყო ჩაწერილი:

„მიმდინარე მომენტისათვის არასწორი და პრაქტიკულად საშიშია ზოგიერთი ამხანაგის აგიტაცია ახლანდელი წითელი არმიის ფაქტიური ლიკვიდაციისა და მილიციაზე დაუყოვნებლივ გადასვლის შესახებ“[2].

მიუხედავად ყველა ღონისძიებისა, რომელსაც მიმართავდა პარტია არმიის განსამტკიცებლად, იგრძნობოდა, რომ საჭირო იყო რაღაც უფრო მეტად რადიკალური ზომების მიღება, და რაც უფრო მალე მოხდებოდა ეს, მით უფრო უკეთესი იქნებოდა.

---

[1] ЦПАИМЛ. ф. 17. оп. 8. ед. хр. 133/1, л. 225.
[2] «КПСС в резолюциях...» Часть I, стр. 570.

1922 წლის ივნისიდან 1923 წლის მარტამდე მეჭირა 39-ე საკავალერიო პოლკის ესკადრონის მეთაურის თანამდებობა, შემდეგ კი კიევი სამარის მე-7 საკავალერიო დივიზიის მე-40 საკავალერიო პოლკის მეთაურის თანაშემწე. ამ პოლკების სათავეში იდგნენ გამოცდილი მეთაურები. და მე ბევრი რამ ვისწავლე მათგან. პოლკების მეთაურთა შემადგენლობა, პარტიული ორგანიზაცია და პოლიტიკური აპარატი შეადგენდნენ კარგსა და შრომისუნარიან კოლექტივს.

წითელი არმიის ნაწილთა უმრავლესობას მაშინ ჯერ კიდევ არ გააჩნდა კეთილმოწყობილი ყაზარმები, უფროსთა შემადგენლობის სახლები, სასადილოები, კლუბები და სამხედრო ადამიანის ნორმალური ცხოვრებისათვის საჭირო და აუცილებელი სხვა ობიექტები. ჩვენ ვცხოვრობდით გაფანტულად სოფლებში, გლეხთა ბინებში ჩასახლებულნი, საჭმელს ვიმზადებდით სალაშქრო სამზარეულოებში, ცხენებს ვაბინავებდით ეზოებში ცხოვრების ასეთი პირობები ყველას ნორმალურად მიგვაჩნდა, რადგან ჩვენი ქვეყანა განსაკუთრებულ სიძნელეებს განიცდიდა.

არმიის უფროსთა შემადგენლობაში იყვნენ უმთავრესად ახალგაზრდა და ჯანღონით სავსე ადამიანები. რომლებიც დიდი ენერგიითა და ამტანიანობით გამოირჩეოდნენ. თანაც მათი უმრავლესობა უცოლშვილო იყო და სამსახურის გარდა, არავითარი სხვა საზრუნავი არ გააჩნდათ ვმუშაობდით სულით და გულით, დღეღამეში მას 15-16 საათს ვანდომებდით. და მაინც ეს დრო არ გვყოფნიდა, რათა ყველგან და ყველაფერი მოგვესწრო.

1923 წლის გაზაფხულზე დივიზიის შტაბიდან ტელეფონოგრამით დივიზიის მეთაურთან გამომიძახეს. პიზეზი არ ეიცოდი და უნდა ვაღიარო. ცოტათი ვღელავდი: ნეტავი ხომ არაფერი ჩავიდინე-მეთქი?

დივიზიის მეთაურმა ნ. დ. კაშირინმა ძალზე კარგად მიმიღო, გამიმასპინძლდა ჩაით და დიდხანს მეკითხებოდა ჩვენი პოლკის საბრძოლო და ტაქტიკური მზადყოფნის ამბავს. ხოლო შემდეგ უცბად შემეკითხა:

— როგორ ფიქრობთ, წესიერად წერთნიან თუ არა ჩვენში ცხენოსან ჯარს ომამავალი ომისათვის და როგორ წარმოგიდგენიათ ომამავლის ომი?

შეკითხვა რთულად მომეჩვენა. გავწითლდი და უცბად ვერ მოვახერხე პასუხის გაცემა. დივიზიის მეთაურმა, ალბათ, შენიშნა ჩემი დაბნეულობა, მოთმინებით მიცდიდა. სანამ ძალაა მოვიკრებდი.

—საჭირო ცოდნა და გამოცდილება თანამედროვე ვითარების მიხედვით ჯარების გასაწვრთნელად. ჩვენ. მეთაურებს. ჯერ კიდევ საკმაოდ არ გაგვაჩნია. — ვუთხარი მე. — ხელქვეითებს ისე ვასწავლით, როგორადაც ძველ არმიაში ჩვენ გვასწავლიდნენ. ჯარების სრულფასოვანი

მომზადებისათვის საჭიროა სამხედრო საქმის თანადროული გაგებით უფროსთა შემადგენლობის შეიარაღება.

— ეს სწორია, — დამეთანხმა დივიზიის მეთაური, — ჩვენც ვცდილობთ, რათა ჩვენმა მეთაურებმა განვლონ სამხედრო-პოლიტიკური კურსები და აკადემიები. მაგრამ ეს ხანგრძლივი პროცესია, ხოლო ჩვენში ჯერ კიდევ ცოტაა სასწავლებლები. პირველ ხანებში მოგვიხდება თვითონ ჩვენ ვისწავლოთ ყველაფერი.

მან ბოლთა დაარტყა კაბინეტში და მოულოდნელად გამომიცხადა, გადაწყვეტილია ბუზულუკის 39-ე საკავალერიო პოლკის მეთაურად შენი დანიშვნაო.

—მე თქვენ ძალიან კარგად არ გიცნობთ, მაგრამ ამხანაგები, რომლებსაც მოველაპარაკე, მირჩევენ თქვენს თავს ამ თანამდებობაზე. თუ საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ — მიბრძანდით შტაბში და მიიღეთ დანიშნულების მიწერილობა. დანიშვნის ბრძანება უკვე ხელმოწერილია.

როცა დივიზიის მეთაურს გამოვეთხოვე, ძალზე აღელვებული ვიყავი. ახალი თანამდებობა ფრიად საპატიო და საპასუხისმგებლო იყო. პოლკის მეთაურობა ყოველთვის ითვლებოდა სამხედრო ხელოვნების დაუფლების უმნიშვნელოვანეს საფეხურად.

პოლკი ეს არის ძირითადი საბრძოლო ნაწილი, სადაც ბრძოლისათვის ხდება ჯარების ყველა სახმელეთო, და ზოგჯერ არა მარტოოდენ სახმელეთო, სახეობათა ურთიერთმოქმედების ორგანიზაცია. პოლკის მეთაური კარგად უნდა იცნობდეს თავის ქვეგანაყოფებს, და აგრეთვე იმ საშუალებებს, რომლებსაც მის საბრძოლო ვითარებაში ჩვეულებრივად დაუმატებენ ხოლმე გასაძლიერებლად. მას მოეთხოვება ჰქონდეს უნარი შეარჩიოს მთავარი მიმართულება ბრძოლაში და ამ მიმართულებაზე მიმართოს ძირითადი ღონისძიებები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს მტრის ძალებისა და საშუალებების აშკარა უპირატესობის პირობებში.

ნაწილის მეთაური, რომელმაც კარგად აითვისა პოლკის მმართველობის სისტემა და რომელსაც შესწევს უნარი უზრუნველყოს მისი მუდმივი საბრძოლო მზადყოფნა, ყოველთვის იქნება ჭოწინავე მხედართუფროსი. სარდლობის ყველა მომდევნო საფეხურზე როგორც მშვიდობიან, ისე ომიანობის დროსაც.

სწორედ სამოქალაქო ომის ბოლოს არმიაში ითვლებოდა 200-ზე მეტი კურსები და სკოლა, რომლებიც ამზადებდნენ კადრებს ჯარების ყველა სახეობისთვის. 1920 წელს მეთაურთა კურსებმა უკვე გამოუშვა 26 ათასი წითელი მეთაური. თანდათანობით იქმნებოდა კურსების, სკოლების, აკადემიათა ფართო ქსელი, ყალიბდებოდა პროლეტარული მეთაურებისა და პოლიტიკური შემადგენლობის სწავლებისა და აღზრდის მთლიანი სისტემა. უმცროს მეთაურთა შემადგენლობას თავდაპირ-

ველად ამზადებდნენ პოლკის სკოლებში შვიდი-ათი თვის მანძილზე. საშუალო მეთაურთა შემადგენლობას სამხედრო სკოლებსა და სამხედრო-საზღვაო სასწავლებლებში. ხოლო უფროსთა შემადგენლობას — სამხედრო აკადემიებში. რესპუბლიკებში ხსნიდნენ ეროვნულ სამხედრო სკოლებს. შემდეგ დიდი მნიშვნელობა მიეცა მეთაურთა შემადგენლობის დახელოვნების კურსებს. ასეთ კურსებზე ვსწავლობდი აგრეთვე მეც. ამაზე შემდგომ გვექნება ლაპარაკი.

ამქამად მსურდა აღმენიშნა, რომ, ჩემი აზრით, კვალიფიციურ მეთაურთა შემადგენლობის, განსაკუთრებით უმცროსი და საშუალო რგოლის მომზადებაში არანაკლებ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, ასე ვთქვათ, წარმოებიდან მოუწყვეტლად — უშუალოდ საბანაკო პირობებში ჩატარებულმა სწავლებამ და თვითგანვითარებამ. ათობითა და ასობით ათასი სამხედრო პირი ამნაირად ივსებდა თავის ცოდნას, სრულყოფდა საომარ წრთობას, რომელსაც კიდევ უფრო ხვეწდა სწავლების, მანევრებისა და ლაშქრობების დროს. და მან, ვინც ამა თუ იმ მიზეზის გამო ვერ შეძლო სასწავლებელში წასვლა, ბეჯითად მოკიდა ხელი თვითდაოსტატებას უშუალოდ ნაწილებში.

რასაკვირველია, იყვნენ მაშინ მეთაურები, რომლებმაც სამოქალაქო ომის წარმატებით დამთავრების შემდეგ თავი ოსტატებად წარმოიდგინეს, და ეგონათ, რომ მათ, სწორედ რომ ვთქვათ, აღარაფერი ჰქონდათ სასწავლი ზოგიერთი მათგანი შემდგომში მიხვდა თავის შეცდომას და აზრი შეიცვალა. სხვები კი ისევე დარჩნენ ძველი აელადიდებით და, ბუნებრივია, ისინი უკვე აღარ შეეფერებოდნენ გაზრდილ მოთხოვნილებებს და იძულებული გახდნენ თადარიგში წასულიყვნენ.

როდესაც 1923 წლის აპრილის ჰიწერულს პოლკის მეთაურობას შევუდექი, იგი ბანაკში გასასვლელად ემზადებოდა. ეს იყო ცხენოსანი ნაწილების პირველი გასვლა საბანაკო სწავლებაზე სამოქალაქო ომია შემდეგ, და ბევრ მეთაურს ნაფული წარმოდგენა არ ჰქონდა ახალ პირობებში მეშაობაზე. პოლკის გადმობარებისას საბრძოლო მომზადებაში თავი იჩინა ნაკლოვანებებმა. განსაკუთრებით ცუდად იყო დაყენებული საქმე საცეცხლე და ტაქტიკური მოქმედების მხრივ, ამიტომ ქვეგანაყოფების მეშაობა ბანაკში გამახვილებულ იქნა სასწავლო-მატერიალური ბაზის მოწყობაზე.

მაისის შუა რიცხვებში ბანაკი ძირითადად მზად იყო. პოლკმა მიიღო კარგად მოწყობილი კარვების ქალაქი, მშვენიერი საზაფხულო სასადილო და კლუბი. ცხენებისათვის გამართეს ჩარდახები და საბმურები. პოლკის სიამაყეს წარმოადგენდა სასროლი მოედანი, რომელიც განკუთვნილი იყო ყველა სახეობის იარაღით საცეცხლე მომზადებისათვის.

პირველი ივნისიდან დაიწყო დაძაბული საბრძოლო და პოლიტი-

კური სწავლება. ჩვენ ყველანი კმაყოფილი ვიყავით, რომ ბანაკის მოსამზადებლად გაწეულმა შრომამ და სახსრებმა ფუჭად არ ჩაიარა. ერთსულოვნად და ინიციატივიანად მუშაობდნენ ესკადრონის მეთაურები და პოლიტხელები. კომუნისტთა შემოქმედებითი ენერგია და ინიციატივა ყოველგვარ საქმესა და წამოწყებაში იგრძნობოდა

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ჩვენი კომისარი ანტონ ჰიტროფანეს ძე იანინი. ეს იყო მტკიცე ბოლშევიკი, მშვენიერი ადამიანი. იცნობდა ჯარისკაცის სულს, კარგად იცოდა, ვის როგორ მისდგომოდა და ვისგან რა მოეთხოვა. იგი უყვარდათ, პატივს სცემდნენ მეთაურები, პოლიტხელები და წითელარმიელები. დასანანია, რომ ეს გამოჩენილი კომისარი დღეს ჩვენ შორის აღარ არის. იგი დაიღუპა მამაცთა სიკვდილით 1942 წელს ფაშისტებთან შეტაკებისას კავკასიის ფრონტზე. დაიღუპა თავის ვაჟიშვილთან ერთად, რომელიც სამშობლოს მამაც დამცველად აღზარდა.

შუა ზაფხულში დივიზიის მეთაურობა დაეკალა სამოქალაქო ომის გმირს გ. დ. გაის.

რე სიამოვნებით ვიგონებ დივიზიის მეთაურთან — გ. დ. გაისთან ერთად მუშაობას. პირველად ჩვენი შეხვედრა მოხდა მის საბანაკო კარავში, სადაც თათბირზე გამოძახებულნი იყვნენ ნაწილების მეთაურები და კომისრები. ოფიციალური წარდგენის შემდეგ გ. დ. გაიმ თავის სამუშაო მაგიდასთან მიგვიწვია. მე დავინახე სამხედრო ყაიდის მოხდენილი მამაკაცი. თვალები კეთილად უბრწყინავდა, ხოლო მშვიდი, თანაბარი ხმა მის დინჯ, თავდაჯერებულ ხასიათზე მეტყველებდა. მე ბევრი რამ გამეგონა გ. დ. გაის გმირულ საქმეებზე და ინტერესით ვაკვირდებოდი. მინდოდა ჩავწედომოდი სულში, შემეცნო იგი როგორც ადამიანი და მეთაური.

საუბარმა დიდ ხანს გასტანა, მაგრამ დაღლა არავის უგრძვნია. დავიშალენით. თვითეულ ჩვენგანზე შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა დივიზიის მეთაურთან პირველმა შეხვედრამ. დამშვიდობებისას მან მითხრა, რამდენიმე დღის შემდეგ მინდა შევამოწმო საცხენოსნო-სამწყობრო და ტაქტიკური მომზადებაო. მე მესიამოვნა პოლკისადმი ასეთი ყურადღება და გამოვუტყდი, რომ ჯერ კიდევ ბევრი გვქონდა ნაკლი.

— ერთად აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი, — ღიმილით მითხრა გ. დ. გაიმ, და დასძინა: — ეს კარგია, რომ ცდილობთ, თავი არ შეირცხვინოთ.

სამი დღის შემდეგ, დივიზიის შტაბის განკარგულებით, პოლკი სრული შემადგენლობით გამოიყვანეს დათვალიერებაზე... თავის შავრა, ფეხკავშა ცხენზე ამხედრებული დივიზიის მეთაური გორაკზე ავიდა და ყურადღებით ადევნებდა თვალს პოლკის მეცადინეობას. დივი-

ზიის მეთაურის ცხენი ძალზე ფიცხი ჩანდა, მაგრამ მხედარი მას მტკიცე ხელით და ლაგამით ერთბაშად იოკებდა.

სწავლების დროს ბრძანებებს თავდაპირველად ხმით იძლეოდნენ, შემდეგ — ხმლის მოძრაობით (ეგრეთ წოდებული „მუნჯური სწავლება"), ბოლოს კი ნაღარის სიგნალებით. წყობის შეცვლა. მოძრაობები, შემოვლა, მიბრუნება, მობრუნება, შემოტრიალება, შეჩერება, სწორება უფრო ზუსტად სრულდებოდა, ვიდრე მოველოდი. დასასრულ პოლკი „ლავისებურად" გავშალე (შეტევის ძველკაზაკური ხერხია) და ჰისი ცენტრი სამხედრო წესრიგით დავაყარი მაღლობისაკენ, სადაც დივიზიის მეთაური იდგა. პოლკი შევამჭიდროვე ცენტრის გარშემო, გავასწორე და ცხენდაცხენ ჭენებით მივედი დივიზიის მეთაურთან, რათა მეპატაკა დათვალიერების დამთავრების შესახებ. დივიზიის მეთაურმა არ დამაცალა პატაკი, ხელები ასწია და დაიყვირა:

— გნებდები, გნებდები, გნებდები! — შემდეგ კი იგი ჩემთან მოვიდა და ალერსიანად მითხრა: — გმადლობთ. დიდად გმადლობთ!

დივიზიის მეთაური გაუსწორდა პოლკის ცენტრს, ალიმართა უზანგებზე და მიესალმა მებრძოლებს:

— მე ძველი კავალერისტი ვარ და კარგად ვერკვევი ცხენოსანთა საბრძოლო მომზადებაში. დღეს თქვენ აჩვენეთ, რომ კეთილსინდისიერად ასრულებთ წითელარმიულ ვალს სამშობლოს წინაშე, ძალღონეს არ იშურებთ. ასეც უნდა იყოს. კარგი საბრძოლო მომზადება, საკუთარი მოვალეობის მაღალი შეგნება ხალხის წინაშე ჩვენი გმირული წითელი არმიის უძლეველობის საწინდარია. გმადლობთ, თქვენ გამახარეთ დღეს.

დივიზიის მეთაური მომიბრუნდა, ხელი ჩამომართვა, გამიღიმა და მითხრა:

— სწავლების მეორე ნაწილს სხვა დროს ვნახავთ. დაე, პოლკმა დაისვენოს. ჩვენ კი დავათვალიეროთ, როგორ არის მოწყობილი ბანაკი.

ორ საათზე მეტხანს დადიოდა იგი ბანაკში, აკვირდებოდა ყოველ წვრილმანს, კარგახანს დარჩა მებრძოლებთან. გ. დ. გაიმ სამოქალაქო ომის მრავალი ეპიზოდი გვიამბო. მხოლოდ მაშინ, როცა მორიგე მენალარემ სადილზე გვიხმო, იგი წამოდგა და დაგვეშვიდობა.

გავაცილეთ დივიზიის მეთაური თუ არა, მე და კომისარმა ა. მ. იანინმა იქვე ვიმსჯელეთ, რა გაგვეკეთებინა, რომ „თავბრუ არ დაგვხვეოდა" წარმატებებისა და შექებისაგან.

პირადი შემადგენლობის სასიქადულოდ უნდა ითქვას: დივიზიის მეთაურის შექებამ ყველას ფრთები შეასხა, და ეს ჩანდა საბანაკო სწავლების შედეგებიდან. ჩვენთვის, მეთაურებისათვის, მისი უბრალო, ამხანაგური დამოკიდებულება წითელარმიელებისადმი ნამდვილი

მისაბაძი მაგალითი იყო. წინასწარ უნდა ითქვას, რომ გ. დ. გაი შემდეგშიც ხშირად მოდიოდა პოლკში, დიდხანს ესაუბრებოდა მეთაურებსა და ჯარისკაცებს. იგი ყოველთვის იყო არა მარტო ჩვენი მოთავე, არამედ ძვირფასი უფროსი ამხანაგი — კომუნისტი.

საბანაკო სწავლება კარგი შეფასებით დავამთავრეთ და სექტემბრის ბოლოს ჩვენი მე-7 სამარის საკავალერო დივიზია გამოვიდა ორშის რაიონში საოლქო მანევრებში მონაწილეობის მისაღებად. ეს მანევრები ისევე, როგორც საბანაკო სწავლება, სამოქალაქო ომის შემდეგ პირველად ეწყობოდა.

მანევრები თავისი მასშტაბით არ იყო დიდი, იგი ტარდებოდა, ასე ვთქვათ, გზადაგზა, ბანაკებიდან ნაწილების უკან დაბრუნებისას. ჩვენს დივიზიას მაინც საკმაოდ მძიმე ამოცანის შესრულება მოუხდა. მას უნდა განეხორციელებინა სწრაფი სამარშო გადასვლა ორშის რაიონში... ჩემი პოლკი დივიზიის მეთაურმა დივიზიის მთავარი ძალების ავანგარდში გამოჰყო. ეს იმას ნიშნავდა, რომ ჩვენ არა მარტო დიდი მანძილი უნდა გაგვევლო უმოკლეს დროში, არამედ შეგვესრულებინა სალაშქრო თავდაცვის ამოცანა, ვყოფილიყავით მუდმივ მზადყოფნაში, რათა სწრაფად გავშლილიყავით „მოწინააღმდეგესთან“ საბრძოლველად და რაც შეიძლება ხელსაყრელი პირობები შეგვექმნა ბრძოლაში დივიზიის მთავარი ძალების ჩაბმისათვის.

დივიზიის სამარშო გადასვლა 30 საათში დამთავრდა. ჩვენ 100 კილომეტრზე მეტი გავიარეთ და ორი ხუთსაათიანი შესვენება მოვაწყვეთ. ეს ცხენოსანთა შემადგენლობის მძიმე გამოცდა იყო გამძლეობაში. ხოლო კავალერისტებს შესვენებისას უნდა ეჭმიათ და დაეწყურებინათ კიდეც ცხენები, წესრიგში მოეყვანათ მთელი ამუნიცია და აღჭურვილობა. მიუხედავად დაღლილობისა, ყველა კარგ ხასიათზე დადგა, როდესაც ცნობილი გახდა, რომ მანევრების დამთავრების შემდეგ მთელი მე-7 საკავალერო დივიზია მინსკში უნდა დაბინავებულიყო.

განთიადისას წინასწარ გაგზავნილმა დაზვერვამ მაცნობა, რომ მოსკოვ—ორშის სარკინიგზო ხაზის მიღმა, ორშის სადგურის მიმართულებით, მიიწევდა „მოწინააღმდეგის“ ჯარი. ორშია მისადგომებთან გაიმართა „ბრძოლა“ იმ ნაწილებთან, რომლებიც სარკინიგზო მისასვლელებს იცავდნენ.

როგორც ეს ყოველთვის ხდება მანევრებზე, პოლკისკენ ყოველი მხრიდან დაიძრნენ თეთრსამკლავურიანი შუამავლები. ესენი არიან მეთაურები, რომლებიც ეხმარებიან ხელმძღვანელობას სწავლების ჩატარებაში.

— რა ცნობები მოგეპოვებათ „მოწინააღმდეგეზე“?

— როგორია თქვენი გადაწყვეტილება? — დამაყარეს კითხვები.

მე ვუპასუხე, რომ ახლავე გავეშურები მეწინავე რაზმისაკენ, მოვახდენ პირად რეკოგნოსცირებას და იქ მივიღებ გადაწყვეტილებას. ცხენს დეზი ვკარი და რამდენიმე წუთში გავჩნდი მეწინავე რაზმში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ძალზე ენერგიული, ინიციატივიანი ესკადრონის მეთაური ტიუპინი.

მან მომახსენა, რომ „მოწინააღმდეგის“ ორ პოლკამდე ქვეითი ჯარი წინასაბრძოლო წესით გაიშალა და მიიწევს რკინიგზის ხაზის მიღმა, საერთო მიმართულებით წინ მდებარე მაღლობისაკენ. იქ მიმდინარეობს „ბრძოლა“ ჩვენს ფეხოსნებთან. „მოწინააღმდეგის“ ქვეითმა ჯარმა, ეტყობა, არ იცის, რომ ჩვენი ნაწილები შემოვიდნენ ამ რაიონში, რადგან არსად შეეხვედრივართ არც დამცველ რაზმს და არც „მოწინააღმდეგის“ დაზვერვასო.

მეწინავე რაზმის მეთაურს ჯერ კიდევ არ დაემთავრებინა პატაკი, რომ გამოჩნდა მხედრების ჯგუფი, რომელიც გვიახლოვდებოდა. შავრა, ფეხკავშა ცხენით შორიდანვე ვიცანით დივიზიის მეთაური გ. დ. გაი. მე მოკლედ გავიმეორე ვითარების მონაცემები და მოვახსენე დივიზიის მეთაურს, რომ „მოწინააღმდეგეზე“ უეცარი თავდასხმისათვის მეტად ხელსაყრელი შემთხვევა გვეძლეოდა და გადაწყვეტილი მქონდა, დაუყოვნებლივ გამეშალა პოლკი საბრძოლო წესით, მიმეტანა იერიში ფლანგზე, მით უმეტეს, რომ შეტევისათვის ადგილმდებარეობაც ხელსაყრელი იყო.

დივიზიის მეთაურმა ბინოკლში გახედა და თქვა:

— იშვიათი შემთხვევაა, იმოქმედეთ გაბედულად, შეტევა დაიწყეთ არტილერიისა და ტყვიამფრქვევების მთელი საცეცხლე საშუალებებით. დივიზიის მთავარი ძალები ოც-ოცდაათ წუთში ჩოაღწევენ. მათ დარტყმას წარვმართავთ ამ დაჯგუფების ზურგში, რათა საბოლოო დამარცხება ვაგემოთ „მოწინააღმდეგეს“.

ერთ საათში მთელი „ბრძოლის“ ველი კვამლითა და მტვრით დაიფარა. მე-7 დივიზიის საკავალერიო პოლკები, საბრძოლო წესით გაშლილნი, „ეაშას“ ხმამაღალი ძახილით ეკვეთნენ „მტერს“. სურათი ჭეშმარიტად დიდებული და წარმტაცი იყო: მებრძოლებს, როგორც ნამდვილ ომში, სახე წამოგზნებოდათ, მზერა წინ მიეპყროთ. შემდგომი „ბრძოლა“ ნაღარის ხმამ შეწყვიტა. ამ ეპიზოდით დასრულდა მანევრებიც. საერთო განხილვა არ ყოფილა.

გავიგეთ, რომ „ომის“ მსვლელობას თვალს ადევნებდა მ. ნ. ტუხაჩევსკი, რომელმაც ძალიან კარგი შეფასება მისცა ჩვენს ნაწილებს. მაგრამ განსაკუთრებით შეაქო მე-7 საკავალერიო დივიზია ფორსირებული სამარშო გადასვლისა და ელვისებური იერიშისათვის. ხოლო ქვეითებმა მოწონება იმით დაიმსახურეს, რომ შესძლეს სწრაფად გაშ-

ლილიუვნენ ფლანგთან, საიდანაც მათ უტევდნენ მე-7 საკავალერიო დივიზიის ნაწილები.

ჩვენ კმაყოფილნი ვიყავით მ. ნ. ტუხაჩევსკის შექებით და გვიხაროდა, რომ ჩვენმა „მოწინააღმდეგემაც" ასევე მადლობა დაიმსახურა კარგი მანევრირებისათვის.

რამდენიმე დღით შესვენების შემდეგ ღავიძარით სალაშქროდ მინსკისაკენ, დივიზიის ნაწილების მუდმივ ადგილზე დასაბინავებლად.

ათასობით მინსკელი გამოვიდა ქალაქის ქუჩებში. „ვაშას" შეძახილებით მიგვაცილებდა ზღვა ხალხი. საერთოდ, ვფიქრობ, რომ არც ერთ სხვა ქვეყანაში არ სარგებლობს არმია ხალხის ისეთი სიმპათიითა და საყოველთაო სიყვარულით, როგორც ჩვენი საბჭოთა არმია.

ახლაც მღელვარებით ვიგონებ, როგორ გვხვდებოდნენ ჩვენი დივიზიის ყოფილი მებრძოლები — ცარიცინის, ყიზლარის, ასტრახანის, პუგაჩევსკის, ბუზულუკის და სხვა რაიონის სასახელო ლაშქრობებისა და ბრძოლების მონაწილენი. ისინი სიცოცხლის დაუზოგავად იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის თეთრგვარდიელთა ნაწილებისა და კონტრრევოლუციის წინააღმდეგ. მათი მეგობრული, მთელი გულით ნათქვამი სიტყვები სასიხარულო მღელვარებით ავსებდა ჩვენს გულს... მე-7 სამარის საკავალერო დივიზიის მრავალმა მებრძოლმა გადაიტანა მძიმე განსაცდელი სამოქალაქო ომის ფრონტებზე, ყოველი მათგანისათვის გასაგები და ახლობელი იყო საბრძოლო ცხოვრების მოგონებანი.

ჩვენი პოლკისათვის გამოყოფილი ყაზარმები მე-4 მსროლელთა დივიზიის მიერ დაკავებული აღმოჩნდა. მას ვერ მოესწრო ახალ ადგილზე განლაგება.

დროებით მოგვიხდა ქალაქის გარეუბანში კერძო სახლებში დაბინავება. პირადი შემადგენლობიდან სამ-სამი, ოთხ-ოთხი კაცი კერძო ბინებში მოვათავსეთ, როგორც წესი, ნაკლებად ვარგის სადგომებში. მდგომარეობას ისიც ამწვავებდა, რომ დაიწყო შემოდგომის კოკისპირული წვიმები, რასაც გაუვალი ტალახი მოჰყვა. ასეთ ვითარებაში საჭირო იყო გვეხსნა ცხენები, აგვეგო თავლები, შეგვეკეთებინა ყაზარმები და სამეურნეო ნაგებობანი, მოგვემზადებინა სასწავლო-მატერიალური ბაზა საზამთრო სწავლებისათვის.

შეიკრიბა პარტორგანიზაცია, შემდეგ კი მთელი პოლკი, განვუმარტეთ შექმნილი ვითარება.

ახლა, როცა ვიგონებ იმ შორეულ წლებს, მინდა აღვნიშნო: ხალხი მზად იყო გაეღო ყოველგვარი მსხვერპლი, გადაეტანა ყოველგვარი გასაჭირი უკეთესი მომავლისათვის. რასაკვირველია, ჩვენს რიგებშიც იყვნენ მოწუწუნე ადამიანები, მაგრამ მათ მაშინვე მიუჩენდა თა-

ვის ადგილს წითელარმიული საზოგადოებრიობა. რაოდენ დიდია ძალა ჯანსაღი წითელარმიული კოლექტივისა! იქ, სადაც მოქმედებს ენერგიული საზოგადოებრივი აქტივი, ყოველთვის იქნება ნამდვილი კოლექტიური მეგობრობა, რაც ნაწილის საბრძოლო მზადყოფნის, შემოქმედებითი ენთუზიაზმისა და წარმატებათა საწინდარია.

ნოემბრის ბოლოს, როცა უკვე წამოთოვა, შეეძელით კაზარმებში გადასვლა, ხოლო ცხენები თავლებში მოვათავსეთ მართალია, კეთილმოწყობისათვის ჯერ კიდევ ბევრი ჯაფა გველოდა, მაგრამ მთავარი უკვე გაკეთებული იყო.

ჩვენს წინაშე იდგა შემდეგი ამოცანა: სწორად მოგვეწყო საბრძოლო და პოლიტიკური მომზადება ახალ პირობებში.

ამჟამად ეს ყველაფერი ებრალოდ მეჩვენება. ხოლო მაშინ, 26 წლის კაცს, საკავალერიო პოლკის მეთაურს, ცხოვრების რა გამოცდილება უნდა მქონოდა? მეფის ძველ არმიაში გაეიარე მომზადება ენტერ-ოფიცერთა სასწავლო რაზმში. წითელ არმიაში კი დავამთავრე წითელ მეთაურთა საკავალერიო კურსები. ეს იყო და ეს. თუმცა: სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ გაძლიერებით დავეწაფე ყოველგვარ სამხედრო ლიტერატურას, განსაკუთრებით ტაქტიკის საკითხებზე დაწერილ წიგნებს.

მაშინ პრაქტიკულ საქმიანობაში უფრო ძლიერად ვგრძნობდი თავს, ვიდრე თეორიის საკითხებში. რადგან პირველ მსოფლიო ომში ურიგო მომზადება როდი მივიღე. კარგად ვიცოდი საბრძოლო მომზადების მეთოდიკა და გატაცებული ვიყავი ამ საქმით. თეორიის დარგში კი ვგრძნობდი, ჩამოვრჩებოდი იმ მოთხოვნებს, რომელსაც თვით ცხოვრება უყენებდა პოლკის მეთაურს. ამაზე ფიქრმა ბიბიუკანა დასკვნამდე: დრო აღარ დამეკარგა და მეასწავლა შეუპოვრად. მაგრამ ხომ ვერ მივატოვებდი პოლკს. რომელსაც დღე-ღამეში თორმეტ საათს ვუთმობდი, რათა ყველგან და ყველაფერი მომეასწრო? რჩებოდა ერთი გამოსავალი: საერთო სამუშაო დღის განრიგისათვის კიდევ მიმემატებინა სამი-ოთხი საათი დამოუკიდებელი მეცადინეობისათვის. ხოლო რაც შეეხებოდა ძილსა და დასვენებას, არა უშავდა რა, შემდეგშიც მოვასწრებდი, როცა ცოდნას დავაგროვებდი.

მარტო მე როდი ვფიქრობდი ასე. ამგვარადვე ფიქრობდა მეთაურთა უმეტესობა, რომლებიც აღიზარდნენ სამოქალაქო ომის წლებში წითელარმიელთაგან, ძველი არმიის ჯარისკაცებისა და ყოფილი უნტერ-ოფიცრებისაგან.

იმ ხანებში არმიის კადრების ბირთვი მნიშვნელოვნად გაძლიერდა, მაგრამ პირადი შემადგენლობის თვითდინება ჯერ კიდევ არ იყო დაძლეული. სერიოზულად მოიკოჭლებდა მომარაგება, არასაკმარის სიმაღლეზე იდგა ჯარის სამობილიზაციო მზადყოფნა. მუშაობაში დიდი

ნაკლოვანებები გააჩნდა სამხედრო უწყებას, რომელსაც მაშინ სათავეში ტროცკი ედგა. 1925 წელს, ზაფხულში, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა გადაწყვიტა ჩაეტარებინა სამხედრო უწყების საქმიანობის შემოწმება, რომელიც დაევალა ცენტრალური კომიტეტის კომისიას ჯერ ვ. ვ. კუიბიშევის, ხოლო შემდეგ ს. ი. გუსევის ხელმძღვანელობით. არმიაში მდგომარეობის შესახებ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისათვის მასალების მომზადებაში მონაწილეობდნენ მ. ვ. ფრუნზე, კ. ე. ვოროშილოვი, ა. ს. ბუბნოვი, გ. კ. ორჯონიკიძე, ა. ა. ანდრეევი, ი. ს. უნშლიხტი, ნ. მ. შვერნიკი და სხვები. შეკრებილი ფაქტების ანალიზიდან გამომდინარე საერთო დასკვნები მწვავე და არასახარბიელო იყო. ნათელი გახდა, რომ ქვეყნის შეიარაღებული ძალების განმტკიცების ამოცანები მოითხოვდა ძირეულ სამხედრო რეფორმას. კომისიის წინადადება, დამტკიცებული რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ, საფუძვლად დაედო სამხედრო რეფორმას.

რეფორმის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგ და წითელი არმიის დაკომპლექტების ტერიტორიული პრინციპის მემოღება საკადროსთან შეთავსებით.

ტერიტორიული პრინციპი ვრცელდებოდა მსროლელ და ცხენოსანთა დივიზიებზე. ამ პრინციპის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ მიეცა აუცილებელი სამხედრო მომზადება მშრომელთა მაქსიმალური ოდენობისათვის მათი წარმოებისაგან მინიმალური მოწყვეტით. დივიზიებში შტატების 16-20 პროცენტს შეადგენდნენ კადრის მეთაურები, პოლიტხელები და წითელარმიელები, ხოლო დანარჩენი შემადგენლობა დროებითი იყო. ყოველწლიურად გაწვეულნი (ხუთი წლის მანძილზე) შეკრებებზე პირველ წელიწადს რჩებოდნენ სამი თვით, შემდეგ კი თითო თვით. დანარჩენ დროს მებრძოლები მუშაობდნენ მრეწველობაში და სოფლის მეურნეობაში.

ასეთმა სისტემამ განაპირობა აუცილებლობის შემთხვევაში დივიზიის კადრის ბირთვის ირგვლივ საკმაოდ მომზადებული საბრძოლო შემადგენლობის სწრაფად გარდაქმნის შესაძლებლობა. თანაც ერთი მებრძოლის სწავლება ტერიტორიულ ნაწილში, ხუთი წლის მანძილზე, გაცილებით ნაკლები ჯდებოდა, ვიდრე საკადრო ნაწილში ორი წლის მანძილზე. რასაკვირველია, სჯობდა მხოლოდ კადრის არმია გვყოლოდა, მაგრამ მაშინდელ პირობებში ეს პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

სამხედრო რეფორმის ღონისძიებანი განმტკიცებულ იქნა 1925 წლის სექტემბერში სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახკომსაბჭოს მიერ მიღებული კანონით სამხედრო სამსახურის შესახებ. ეს იყო პირველი სრულიად საკავშირო კანონი ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქისათვის სავალდებულო სამხედრო სამსახუ-

რის შემოღების თაობაზე, რომელიც ამავე დროს განსაზღვრავდა შეიარაღებული ძალების საორგანიზაციო სტრუქტურას.

რეფორმის მსვლელობაში განხორციელდა სამხედრო სამმართველოს ცენტრალური და ადგილობრივი აპარატების რეორგანიზაცია. მუშურ-გლეხური წითელი არმიის ახალი შტაბი ფრუნზეს ხელმძღვანელობით (თანაშემწეები მ. ნ. ტუხაჩევსკი და ბ. მ. შაპოშნიკოვი) გადაიქცა წითელი არმიის ნამდვილ ტვინად. მმართველობა გამარტივდა, ამაღლდა ოპერატიულობა და პასუხისმგებლობა მუშაობაში. შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობის ახალი საორგანიზაციო სისტემა პარტიამ ზემოდან განაჭკიცა. 1925 წლის იანვარში სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრად და სსრ კავშირის რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა გამოჩენილი ბოლშევიკი და მხედართმთავარი მიხეილ ვასილის ძე ფრუნზე.

ერთხელ ჩვენს პოლკს ეწვია სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირი ვ. კ. ბლიუხერი. რევოლუციამდე იგი მიტიშჩინსკის ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშა იყო, მერე მეფის არმიაში ოფიცერი გახდა. ვ. კ. ბლიუხერი ბოლშევიკურ პარტიაში 1916 წელს შევიდა. მე მასზე ძალზე ბევრი რამ მსმენოდა, მაგრამ პირადად აქამდე არ მენახა. ვ. კ. ბლიუხერთან შეხვედრა ყველა მებრძოლისა და მეთაურისათვის დიდი მოვლენა იყო. ჩვენთან იგი მოიწვია დივიზიის მეთაურმა გ. დ. გაიმ სასწაველო-აღმზრდელობითი მუშაობის დასათვალიერებლად. რასაკვირველია, პოლკისათვის ეს დიდი პატივი იყო. უპირველეს ყოვლისა ვ. კ. ბლიუხერი გულდასმით გაეცნო თუ როგორ იყო მოწყობილი პირადი შემადგენლობის კვების საქმე, და კმაყოფილი დარჩა კერძების მომზადებით. სამზარეულოდან გამოსვლისას მან ყველა მზარეულს მაგრად ჩამოართვა ხელი. უნდა გენახათ იმათი სახეები! შემდეგ შეიარა პოლკის ყველა საერთო საცხოვრებელი და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება, ხოლო როცა დათვალიერებას მორჩა, იკითხა:

— როგორა გაქვთ საქმე საბრძოლო მომზადებაში? თქვენ ხომ საზღვართან ახლოს დგახართ!

მე ვუპასუხე, რომ პოლკის პირად შემადგენლობას კარგად ესმის თავისი ამოცანა და მუდამ მზად არის მოიხადოს სამშობლოს წინაშე მეომრული ვალი.

— რა თქმა უნდა, ეს მოსაწონია, მიეცით პოლკს „განგაშის" სიგნალი.

მე, გულახდილად რომ ვთქვა, ამას არ მოველოდი, მაგრამ არ დავბნეულვარ. მივუბრუნდი პოლკის მორიგეს და ვუბრძანე:

— მიეცით „საბრძოლო განგაშის" სიგნალი.

ერთ საათში პოლკი განლაგების რაიონში შეიკრიბა. ვ. კ. ბლიუ-

ხერმა დიდი ყურადღებით შეამოწმა მხედართა საპალნეები, მათი შეიარაღება, აღჭურვილობა და საერთო საბრძოლო მზადყოფნა. განსაკუთრებული გულმოდგინებით შეამოწმა მეტყვიამფრქვეველთა ესკადრონი და საკმაოდ მკაცრი შენიშვნა მისცა ტყვიამფრქვევის ერთ ჯგუფეულს, რომელსაც, საგანგაშო წესისამებრ, წყალი არ ჰქონდა ჩასხმული ტყვიამფრქვევში და არც წყლის მარაგი გააჩნდა.

— იცით, რა შეიძლება მოჰყვეს ასეთ დაუდეგრობას ომში? — შეეკითხა ვ. კ. ბლიუხერი.

მებრძოლები სდუმდნენ და სირცხვილისაგან იწვოდნენ.

— მხედველობაში მიიღეთ ეს შეცდომა, ამხანაგებო.

საბრძოლო მზადყოფნის დათვალიერების შემდეგ ვ. კ. ბლიუხერმა დაგვიხატა წინასწარი ტაქტიკური მდგომარეობა: პირობითი „მოწინააღმდეგე" იმყოფება მეტად მნიშვნელოვანი ტაქტიკური მიჯნის მისადგომებთან, მიისწრაფვის დაუყოვნებლივ მის ხელში ჩასაგდებად. მანძილი „მოწინააღმდეგის" ადგილსამყოფელიდან მიჯნამდე 12 კილომეტრია, მანძილი პოლკსა და მოწინააღმდეგეს შორის — დაახლოებით 25 კილომეტრი. ესე იგი, ტაქტიკურად ხელსაყრელი მიჯნა ერთსა და იმავე მანძილზე იმყოფება როგორც პოლკისაგან, ასევე „მოწინააღმდეგისაგან".

მეთაურთა შემადგენლობისათვის ვითარების გაცნობისა და საბრძოლო ამოცანის ახსნისათვის დროის დაკარგვა უაზრო იქნებოდა. მაშინ „მოწინააღმდეგე" მიჯნასთან ჩვენზე ადრე მოვიდოდა. მივიღე გადაწყვეტილება: I ესკადრონი ოთხი დაზგის ტყვიამფრქვევით და ერთი ქვემეხით, მეწინავე რაზმის სახით, ჩემთან ერთად უნდა დაძრულიყო ჩორთით და საბრძოლო ამოცანა გზადაგზა დაგვესახა. ბრძოლის მისაღებად მზად მყოფი პოლკის მთავარი ძალები, ჩემი მოადგილის მეთაურობით, მეწინავე რაზმს კვალდაკვალ, სამი კილომეტრის დაშორებით გამოჰყვებოდა.

მეწინავე რაზმმა, რომელიც ხან ალურით მიიწევდა და ხან ოთხით, შესძლო „მოწინააღმდეგეზე" ადრე დაუფლებოდა ტაქტიკურად ხელსაყრელ მიჯნას და მოეწესრიგებინა ცეცხლი მის დასახვედრად.

გასაყარი ნაღარის შემდეგ ვ. კ. ბლიუხერმა პოლკს მიმართა:

— გმადლობთ, ამხანაგო მებრძოლებო და მეთაურებო, კეთილსინდისიერი ჯარისკაცური შრომისათვის. ყოველივე ის, რაც თქვენმა პოლკმა გვაჩვენა დღეს, შექების ღირსია. მე მოგიწოდებთ, მეგობრებო, წმინდად დაიცვათ და ამრავლოთ საბრძოლო ტრადიციები, სახელოვანი სამარის საკავალერიო დივიზიისა, რომელიც ჩინებულად ებრძოდა თეთრგვარდიელებსა და ინტერვენტებს. იყავით მუდამ მზად ჩვენი დიადი სამშობლოს საბრძოლო ბრძანების შესრულებისათვის!

პასუხად „ვაშამ“ იქუხა. ეტყობა, ვ. კ. ბლიუხერის თბილი სიტყვები გულზე მოხვდათ მებრძოლებს და ააღელვა ისინი.

მოხიბლული დავრჩი ამ ადამიანის გულითადობით. საბჭოთა რესპუბლიკების მტრებთან ბრძოლაში უშიშარი მებრძოლი, პოპულარული გმირი ვ. კ. ბლიუხერი მრავალთათვის იდეალს წარმოადგენდა. გამოგიტყდებით, მეც მუდამ ვოცნებობდი, მიმებაძა ამ შესანიშნავი ბოლშევიკის, საუცხოო ადამიანისა და ნიჭიერი სარდლისათვის.

1924 წლის ივლისის ბოლოს დივიზიის მეთაურმა გ. დ. გაიმ გამომიძახა და მკითხა, თუ როგორ ვმუშაობდი საკუთარი ცოდნის სრულყოფისათვის. მე ვუპასუხე, რომ ბევრს ვკითხულობდი და ვმეცადინეობდი. პირველი მსოფლიო ომის ოპერაციების განხილვაზე ბევრი მასალა მოვამზადე მეცადინეობისათვის, რომელსაც პოლკის მეთაურთა შემადგენლობისათვის ვატარებდი.

— ეს ყველაფერი კარგია და შესაქები, — მითხრა გ. დ. გაიმ. — მაგრამ დღეისათვის ცოტაა. სამხედრო პრობლემათა დასაძლევად უფრო მეტი კაპიტალური სწავლება გვესაჭიროება. ვფიქრობ, შემოდგომაზე გაგგზავნოთ ლენინგრადის უმაღლეს საკავალერიო სასწავლებელში. ეს ფრიად სასარგებლო იქნება თქვენი მომავალი მოღვაწეობისათვის.

მე მადლობა მოვახსენე და ვუთხარი, რომ ყოველნაირად შევეცდებოდი, გამემართლებინა ნდობა.

პოლკში დაბრუნებისთანავე ჩავუჯექი სახელმძღვანელოებს, წესდებებსა და ინსტრუქციებს. დავიწყე შესასვლელი გამოცდებისათვის მზადება. გამოცდები იოლი გამოდგა, უფრო სწორედ, ფორმალური, და მე ჩავირიცხე პირველ ჯგუფში. იმავე ხანებში კურსებზე შეეფიდნენ კ. კ. როკოსოვსკი, ი. ხ. ბაგრამიანი, ა. ი. ერიომენკო და სხვა პოლკის მეთაურები.

ლენინგრადში მე, ისევე, როგორც დანარჩენ მსმენელთა უმრავლესობა, პირველად ვიყავი. ჩვენ დიდი ინტერესით ვეცნობოდით ქალაქის ღირსშესანიშნაობებს, 1917 წლის ოქტომბრის ისტორიული ბრძოლების ადგილებს. როგორ წარმოვიდგენდი, თუ 17 წლის შემდეგ მე მომიხდებოდა სარდლობა ლენინგრადის ფრონტის ჯარებისა, რომლებიც იცავდნენ ლენინის ქალაქს ფაშისტთა ურდოებისაგან.

უმაღლეს საკავალერიო სასწავლებელს განაგებდა ვ. მ. პრიმაკოვი, სახელგანთქმული ჩერვონის კაზაკთა მე-8 საკავალერიო დივიზიის ლეგენდარული მეთაური, რომელიც სამოქალაქო ომის წლებში შიშის ზარს სცემდა თეთრგვარდიელთა ჯარებს. იგი ჩაფსკვნილი, საშუალო სიმაღლის მამაკაცი გახლდათ. სასიამოვნო სახეს ჭკვიანი თვალები და ლამაზი წვერი უმშვენებდა. ვ. მ. პრიმაკოვმა მალე მოიპოვა მსმე-

ნელთა სიმპათია. იგი ფართოდ განათლებული ადამიანი იყო, ლაპარაკობდა მოკლედ, მკაფიოდ გამოთქვამდა თავის აზრებს.

რამდენიმე ხნის შემდეგ ვ. მ. პრიმაკოვმა ჰიიღო დანიშნა კაზაკთა კორპუსის მეთაურის თანამდებობაზე უკრაინაში, ხოლო მის ადგილზე დაინიშნა მ. ა. ბატორსკი, საცხენოსნო საქმის ცნობილი თეორეტიკოსი. ჩვენ ყველა გაგვახარა ვ. მ. პრიმაკოვის დაწინაურებამ და დარწმუნებული ვიყავით, რომ თავისი ნიჭისა და უნარის შემწეობით იგი დიდი მასშტაბის მხედართუფროსი გახდებოდა.

მალე ჩვენი უმაღლესი საკავალერიო სკოლა ცხენოსანთა ჯარის მეთაურთა შემადგენლობის დახელოვნების საკავალერიო კურსებად გადაკეთდა და სწავლების ვადა ორი წლიდან ერთ წლამდე შემცირდა.

ძალზე დიდი იყო სასწავლო დატვირთვა. ლექციების შემდეგ ბევრს ვმეცადინეობდით დამოუკიდებლად. ახლა, სიბერის ჟამს, ზოგჯერ მიკვირს კიდეც მაშინდელი ამტანობა და ფანატიკური შეუპოვრობა, რასაც სამხედრო ცოდნის ათვისებაში ვიჩენდით.

მაგონდება ერთი შემთხვევა: მე დამავალეს, სამხედრო სამეცნიერო საზოგადოებაში გამეკეთებინა მოხსენება თემაზე: „ძირითადი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს სამხედრო ხელოვნების თეორიაზე". ამჟამად ამ თემის დაძლევა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, მაგრამ მაშინ, უბრალოდ არ ვიცოდი, საკითხს რომელი მხრიდან მივდგომოდი, რით დამეწყო და რით დამემთავრებინა. მე დამეხმარნენ ამხანაგები ჩვენი პარტიული ორგანიზაციიდან. მოხსენება ბიულეტენშიც კი დაიბეჭდა, რომელიც ცხენოსანთა ჯარის მეთაურთა შემადგენლობის დახელოვნების საკავალერიო კურსების მსმენელთათვის გამოდიოდა.

კარგად დამამახსოვრდა ის დიდი მეგობრული ურთიერთდახმარება. რომელსაც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაში გვიწევდნენ ლენინგრადისა და ჩვენი კურსების პარტიული ორგანიზაციები. ჩვენი ხშირი სტუმრები იყვნენ დიდი ოქტომბრის ამბების მონაწილე ლენინგრადის ფაბრიკებისა და ქარხნების მუშები. ხარბად ვისმენდით მათ ნაამბობს ვლადიმერ ილიას ძე ლენინთან შეხვედრებზე ზამთრის სასახლის იერიშზე. ჩვენც გამოვდიოდით საწარმოებში მუშების წინაშე. ვყვებოდით უცხოელი ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელების წინააღმდეგ ბრძოლის ამბებს საშოქალაქო ომის ფრონტებზე. ბევრი ჩვენთაგანი ახლო წარსულში თვითონ იყო მუშა, ამ რომ, ერთმანეთს ადვილად ვუგებდით, ჩვენი მეგობრობა ურღვევი იყო.

ჩვენთან ხშირად იმართებოდა საცხენოსნო-სპორტული შეჯიბრებები, რომელსაც მრავალი ლენინგრადელი ესწრებოდა. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ჩვენი ფიგურული სვლა, კონკურ-იპიკი, ცივი იარაღით ვარჯიში, ხოლო ზაფხულობით თავი-

სუფალი დოღი და სტიპლ-ჩეზი. ყველა ამ შეჯიბრებაში მუდამ ვმონაწილეობდით მე, კ. კ. როკოსოვსკი, მ. ი. საველიევი, ი. ხ. ბაგრამიანი და ცხენოსანი ჯარის მეთაურთა შემადგენლობის დახელოვნების საკავალერიო კურსების სპორტსმენები.

შემოდგომასა და ზამთარში მეცადინეობა უმთავრესად გვიხდებოდა სამხედრო თეორიის საფუძვლების დაუფლებასა და პოლიტიკურ მომზადებაში. ხშირად ვაწყობდით თეორიულ მეცადინეობას სილით სავსე ყუთებზე, ვვარჯიშობდით რუკებსა და გეგმებზე. ბევრ დროს ვანდომებდით საცხენოსნო საქმეს — ცხენით სიარულს და გადასვლებს, რაც იმ დროს შენაერთის მეთაურებს უნაკლოდ უნდა სცოდნოდათ. დიდ ყურადღებას ვუთმობდით ხმლითა და ესპადრონით ფარიკაობას, მაგრამ ეს უკვე თვითმოქმედების წესით, პირადი დროის ანგარიშში უნდა გაგვეკეთებინა.

1925 წლის ზაფხულში ჩვენ უმთავრესად დაკავებული ვიყავით საველე ტაქტიკური მოსამზადებელი სწავლებით, რომელიც კურსების უფროსის მიხეილ ალექსანდრეს ძე ბატორსკის უშუალო ხელმძღვანელობით ტარდებოდა. მან ძალზე ბევრი ცოდნა და გამოცდილება გაგვიზიარა.

კურსებზე სწავლება მთავრდებოდა მდინარე ვოლხოვზე ფორსირებული მარშით. აქ ჩვენ ვსწავლობდით ცხენდაცხენ ცურვას და წყლის დაბრკოლებათა გადალახვას.

ცხენთან ერთად მდინარის გადაცურვა საკმაოდ რთული საქმეა. ცოტაა იცოდე ტანსაცმლიანად ცურვა, საჭიროა აგრეთვე ისწავლო მცურავი ცხენის მართვა. ცხენოსნების მომზადებაში ამ ჩვევების დაუფლებას დიდი ყურადღება ეთმობოდა. მაგონდება მდინარე ვოლხოვზე სწავლებისას მომხდარი ერთი სასეირო შემთხვევა.

როცა მეცადინეობა დამთავრდა, ჩვენი განყოფილების მსმენელმა მიშა საველიევმა, რომელსაც სურდა ცხენოსნობით თავი გამოეჩინა, შემოგვთავაზა, უნაგირზე შემდგარი გიჩვენებთ მდინარეზე გადასვლის ტექნიკას ისე, რომ არ დაველოდებ ტანსაცმელსა და აღჭურვილობასო.

ხელმძღვანელობა დათანხმდა, მაგრამ მიუთითეს, ყოველი შემთხვევისათვის მდინარეზე მზად ჰყოლოდათ ორი მაშველი ნავი. მიშამ უნაგირზე აიკრიფა უზანგები და გაბედულად გადაეშვა მდინარეში. ცხენმა განვლო მეჩეჩი და გასცურა. მხედარს ხელთ ჩაებღუჯა სადაენე და მტკიცედ იდგა უნაგირზე. თავდაპირველად ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ როცა ცხენმა მდინარის შუაგულს მიაღწია, ეტყობა, დაიღალა და დაფრთხა. რანაირად არ ეცადა მხედარი, შეენარჩუნებინა წონასწორობა, მაგრამ მაინც თავდაყირა გადაეშვა წყალში და ჩაყვინთა. მაშველ ნავებს რომ არ მიესწროთ, ებედურება დატრიალდებოდა. ცხენმა მარტო გამოსცურა ნაპირზე, ხოლო ნავმა ცოტა ხნის

შემდეგ მიშაც გამოიყვანა, რომელსაც წყალი ღვარად ჩამოსდიოდა. მართალია, მიშას ხმამაღალი სიცილითა და ხუმრობით შეხვდნენ, მაგრამ მას სულაც არ ეხუმრებოდა — მდინარეზე გადასვლისას თავი მოეჭრა, თანაც წყალში ჩექმები დაკარგა. ჩექმები გადაცურვის დროს კისერზე ჰქონდა ჩამოკიდებული. ამგვარად, წინდების ამარა მოუხდა მგზავრობა ყაზარმამდე...

კურსების დამთავრების შემდეგ 42-ე საკავალერიო პოლკის მეთაურმა მ. საველიევმა, 37-ე ასტრახანის პოლკის ესკადრონის მეთაურმა ნ. რიბალკინმა და მე გადავწყვიტეთ, მინსკში. სამსახურის ადგილას, მატარებლით კი არა, ცხენებით დავბრუნებულიყავით. 963 კილომეტრი გვქონდა მინდორ-მინდორ გასავლელი.

დასახული გადასარბენი მარშრუტი ვიტებსკზე, ორშასა და ბორისოვზე გადიოდა.

წარვუდგინეთ ჩვენი გეგმა კურსების სარდლობას. გადარბენის ნება დაგვრთეს, მაგრამ, სამწუხაროდ, გზაში საკონტროლო პუნქტების, მომსახურებისა და კვების ორგანიზაცია ვერ მოგვიგვარეს გადაწყვეტილება მაინც არ შეგვიცვლია, თუმცა წინასწარ ვიცოდით, მრავალ დაბრკოლებას წავაწყდებოდით, მით უმეტეს, რომ უკვე იწყებოდა წვიმიანი და ცივი შემოდგომა. გადავწყვიტეთ, 963 კილომეტრი მანძილი 7 დღე-ღამეში დაგვეფარა. ასეთი სპორტული ექსპერიმენტი მანამდე არავის უცდია არც საბჭოთა კავშირში და არც სხვა ქვეყანაში. ვვარაუდობდით, თუ პირობებიც ხელს შეგვიწყობდა, დაგვემყარებინა მსოფლიო რეკორდი ჯგუფურ ცხენოსნურ გადარბენაში.

ამ ექსპერიმენტის მთავარ მიზანს შეადგენდა, შეგვემოწმებინა სამარულო გაწვრთნილობის ეარგისიანობა ფორსირებული გადასვლებისას შორეულ მანძილზე.

1925 წლის შემოდგომის ერთ ადრიან დილას ლენინგრადში, ჰოსკოვის კარიბჭესთან შეიკრიბნენ ჩვენი მეგობრები და კურსების სარდლობის წარმომადგენლები, რათა ჩვენთვის კეთილი მგზავრობა ესურვებინათ.

გავუდექით გზას, გადავწყვიტეთ, ცვალებადი ალურით, ესე იგი, ჩორთით გვევლო და რაც შეიძლება ნაკლებად გამოგვეყენებინა ოთხით სვლა. პირველ დღეს წინასწარ გათვალისწინებულ მანძილზე 10 კილომეტრით ნაკლები გავიარეთ, რადგან ცხენები დაიღალნენ, თანაც ჩემმა „დირამ“ კოჭლობა დაიწყო. ეს წმინდა სისხლის ფაშატი უკვე 12 წლისა გახლდათ, ხოლო ცხენისათვის ეს ასაკი ხანდაზმულად ითვლება.

ჩვენც საკმაოდ დავიღალეთ. დასვენება გვინდოდა. გლეხები გულთბილად შეგვხვდნენ, ცხენებს მოუარეს, გაგვიმასპინძლდნენ როგორც წესი და რიგია.

დილა ჩემთვის უსიამოვნებით დაიწყო — ცხენი კვლავ კოჭლობდა. ნაჩხვლეტი ფლოქვი გამდნარი სანთლით ამოვუგლისე, შევუხვიე და გადავწყვიტე, „დირა“ სადავით მეტარებინა. ჩემდა საბედნიეროდ, ცხენმა კოჭლობა შეწყვიტა. მოვაჯექი ზურგზე. არა უშავდა რა, არ კოჭლობდა. ჩორთით წავიყვანე. — კარგია! რათა შემემცირებინა მტკივან მარჯვენა ფეხზე დაწოლა, გადავწყვიტე, მარტო ნაბიჯითა და ოთხაღებით მევლო ისე, რომ ცხენი უფრო მარცხენა ფეხს დაყრდნობოდა.

ჩემი ამხანაგები შედარებით არხეინად ვიაჯირითებდნენ ჯანმრთელ ცხენებს. ხშირად დაექვეითდებოდი. ცხენი უმეტესად სადავით მიმყავდა და. რასაკვირველია, მეც ძალზე ვიღლებოდი ფიზიკურად. სამაგიეროდ შესვენებისას შეგობრები ცხენების მოვლასა და საკვების შოვნაზე ზრუნავდნენ.

გადარბენის მეშვიდე დღეს ბორისოვო უკან მოვიტოვეთ და მინსკს მივეახლოვდით. ქალაქის განაპირას დავინახეთ უამრავი ხალხი, რომელთაც წითელი დროშები და ტრანსპარანტები ეკავათ. თურმე ჩვენს შესახვედრად თავი მოეყარათ თანაპოლკელებსა და ადგილობრივ მცხოვრებლ ცხენებს. დეზი ვკარით და საველე ჩორთით ტრიბუნისკენ გავაქროლ . გარნიზონის უფროსს და ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეს გადარბენის მშვიდობიანად დამთავრება ვუპატაკეთ. ხალხმა ოვაციები გაგვიმართა.

ორი დღის შემდეგ შედგა საკონტროლო ორკილომეტრიანი დოღი დაბრკოლებათა გადალახვით, დათვალიერება და აწონვა. შედეგები კარგი იყო. ჩვენმა გადარბენამ დადებითი შეფასება მიიღო. ცხენებმა შვიდ დღე-ღამეში 8-12 კილოგრამი დაიკლეს, ხოლო მხედრებმა 5-6 კილოგრამი.

დაგვაჯილდოვეს მთავრობის პრემიებით, სარდლობამ მადლობა გამოგვიცხადა, მოგვცეს ხანმოკლე შვებულება. მე სოფელში წავედი დედისა და დის სანახავად.

დედაჩემი შესამჩნევად მოტეხილიყო, მაგრამ ძველებურად ბევრს შრომობდა. დას უკვე ორი ბავშვი ჰყავდა. მასაც დასტყობოდა ხანი. ჩანდა, ომისშემდგომ სიძნელეებსა და 1921-22 წლების შიმშილიანობას მათთვისაც დაესვა დაღი.

ჩემს პატარა დისშვილებთან მალე გამოვნახე საერთო ენა. ისინი მოურიდებლად აღებდნენ ჩემს ჩემოდანს და მიჰქონდათ ყველაფერი, რაც კი მოესურვებოდათ.

სოფელს უჭირდა. ხალხი დაკონკილი დადიოდა. მსხვილფეხა პირუტყვის სულადობა მკვეთრად შემცირებულიყო, ხოლო ბევრს, მოუსავლიანი 1921 წლის შემდეგ, საერთოდ სულ აღარ ჰყავდა პირუტყვი.

მაგრამ გასაოცარი ის იყო, რომ გარდა იშვიათი გამონაკლისისა, არავინ წუწუნებდა. ხალხს სწორად გაეგო ომისშემდგომი სიძნელეები.

კულაკებს და ვაჭრებს თავი განდგომილად ეჭირათ. ეტყობოდა, ჯერ კიდევ ჰქონდათ იმედი წარსულის შემობრუნებისა, განსაკუთრებით ახალი ეკონომიური პოლიტიკის გამოცხადების შემდეგ. რაიონულ ცენტრში, უგოდის ქარხანაში, კვლავ გაიხსნა ტრაქტირები და აერძო მაღაზიები. ახლად აღმოცენებული კოოპერატიული სისტემა ცდილობდა მათთვის კონკურენცია გაეწია.

დივიზიაში დაბრუნებისას შევიტყვე, რომ იგი ახალ შტატებზე გადადიოდა. ექვსი საკავალერიო პოლკის ნაცვლად უნდა ჩამოყალიბებულიყო ოთხი. 39-ე ბუზულუკის საკავალერიო პოლკი, რომელსაც მე ვსარდლობდი, მე-40 პოლკს უერთდებოდა, ხოლო 41-ე და 42-ე საკავალერიო პოლკები 39-ე მელეკესკო-პუგაჩოვსკის ახალ საკავალერიო პოლკად ყალიბდებოდა.

ჩემთვის და მ. ი. საველიევისათვის— 42-ე საკავალერიო პოლკის მეთაურისათვის, ამას პირადი მნიშვნელობა ჰქონდა. ერთ-ერთ ჩვენთაგანს უნდა მიეღო 39-ე პოლკი, ხოლო მეორეს სხვა შენაერთის მეთაურობა მოუწევდა. თითოეულ ჩვენგანს უნდოდა დარჩენა თავ-თავის დივიზიაში, რომელსაც საკუთარი ოჯახივით ვიყავით შეჩვეულნი.

უფროსობამ არჩევანი ჩემზე შეაჩერა, მ. ი. საველიევმა კი სხვაგან მიიღო დანიშვნა. მე მესმოდა მისი გულისტკივილი. მაგრამ მაინც ახლობლებივით დავშორდით და შემდეგშიც ისევე ვხვდებოდით ერთმანეთს, როგორც ძველი მეგობრები.

ადრინდელი დივიზიის საკავალერიო პოლკები ოთხი ესკადრონისაგან შედგებოდა, ხოლო ახალი სამხედრო რეფორმის შესაბამისად, გადაჯგუფების შემდეგ, ექვსი ესკადრონისაგან უნდა ჩამოყალიბებულიყო. ყოველი ორი ესკადრონი ერთიანდებოდა საკავალერიო დივიზიონში. ამას გარდა პოლკში შედიოდა: ტყვიამფრქვევის ესკადრონი 16 სატყვიამფრქვევო შემადგენლობით, პოლკის ბატარეა, მეკავშირეთა ცალკე ოცეული, მესანგრეთა ცალკე ოცეული, ქიმიური ცალკე ოცეული და უმცროს მეთაურთა შემადგენლობის მოსამზადებელი ცალკე სკოლა.

მე და პოლკის მთელ კოლექტივს გახურებული მუშაობის დრო დაგვიდგა.

სამხედრო რეფორმის მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენდა ერთმმართველობის პრაქტიკული შემოღება საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში. იგი ხორციელდებოდა ორი ძირითადი ფორმით. იმ შემთხვევაში, როდესაც მეთაური კომუნისტი იყო, იგი ჩვეულებრივ, ამავე დროს კომისარიც ხდებოდა. იგი თავის ხელში აერთიანებდა სამხედ-

რო მომზადების, ადმინისტრაციულ-სამეურნეო მოღვაწეობისა და მთელი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ხელმძღვანელობას.

მას ჰყავდა მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში. არმიაში დისციპლინისა და საბრძოლო მზადყოფნის განმტკიცების ასეთი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიების განხორციელება იმ წლებში უკვე სავსებით შესაძლებელი იყო, რადგან მეთაურთა შემადგენლობა საგრძნობლად გაუმჯობესდა.

თუ მეთაური უპარტიო იყო, იგი პასუხს აგებდა მარტო საბრძოლო მომზადებისა და ადმინისტრაციულ-სამეურნეო ფუნქციებისათვის, ხოლო პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას უძღვებოდა კომისარი, რომელიც მეთაურთან ერთად პასუხისმგებელი იყო ნაწილის მორალური და საბრძოლო მზადყოფნისათვის.

იმდროინდელ რევოლუციურ სამხედრო საბჭოს ერთ-ერთ ბრძანებაში ამის თაობაზე ნათქვამი იყო: „მუდამ გვახსოვდეს, რომ სამხედრო მშენებლობის დარგში საბჭოთა ხელისუფლების ამოცანას შეადგენს სარდლობის ერთმმართველობის დაფუძნება. კომისარი მოვალეა, ერთი მხრივ, მეთაური, ვისთანაც დაკავშირებულია, ყოველმხრივ ჩაბას კომუნისტური იდეების სფეროში. ხოლო, მეორე მხრივ, ვალდებულია თვითონ გულდასმით შეისწავლოს სამხედრო საქმე, რათა დროთა განმავლობაში დაიპიროს მეთაურს ან ადმინისტრაციული თანამდებობა"[1].

მახსოვს, 1925 წლის გაზაფხულზე მივიღეთ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სადირექტივო წერილი „წითელ არმიაში ერთმმართველობის შესახებ", რომელიც მიმართული იყო ყველა პარტიული ორგანიზაციისადმი. მასში განმარტებული იყო, რომ პარტიისა და სამხედრო ორგანოების აქამდე გაწეული მუშაობის შედეგად მთელი წითელი არმიისა და ნაწილობრივ მისი სამეთაურო კადრების გასაძლიერებლად შექმნილია სრულიად ხელსაყრელი პირობები ცხოვრებაში ერთმმართველობის პრინციპის გასატარებლად.

მაშინ ზოგიერთ ამხანაგს მიაჩნდა, რომ ერთმმართველობამ შეიძლება შეასუსტოს პარტიის გავლენა არმიაში. მაგრამ ერთპიროვნულ მეთაურად ხომ კომუნისტი უნდა ყოფილიყო. ამრიგად, პარტიის როლი არა თუ სუსტდებოდა, პირიქით, ძლიერდებოდა. გაიზრდებოდა მეთაურის პასუხისმგებლობა პარტიის წინაშე არმიაში ცხოვრების ყველა მხარისადმი. ამასთანავე მნიშვნელოვნად განმტკიცდებოდა დისციპლინა და ამაღლდებოდა ჩვენი შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნა.

მეთაურის და კომისრის, პოლიტმუშაკის ურთიერთობა სულ უფ-

---

[1] Архив МО СССР, ф. 32, оп. 65582, д. 42, л. 394.

რო მტკიცდებოდა და სრულყოფილი ხდებოდა. წინასწარ შეგახსენებთ, რომ 1928 წელს პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითების საფუძველზე, რევოლუციური სამხედრო საბჭოს ბრძანებით, შემოღებულ იქნა დებულება კომისრებზე, ერთმმართველ მეთაურებზე და მათ მოადგილეებზე პოლიტიკურ ნაწილში. ეს დებულება აძლიერებდა კომისართა პარტიულ და პოლიტიკურ ხელმძღვანელობას და პასუხისმგებლობას ნაწილის (შენაერთის) მორალურ-პოლიტიკური მდგომარეობისათვის, მთლიანად ათავისუფლებდა მას საკონტროლო ფუნქციებისაგან.

ცხენოსანთა ჯარის მეთაურთა შემადგენლობის დახელოვნების კურსების დამთავრების შემდეგ მუშაობა გამიადვილდა. საბრძოლო და პოლიტიკური საკითხების მომზადებასა და პოლკის მართვაში სიმტკიცესა და დამოუკიდებლობას ვგრძნობდი.

იმ ხანებში ჩვენს პოლკში საქმეები არც თუ ისე ცუდად მიდიოდა. 1926 წლის ზამთარში გამომიძახა მე-2 საკავალერიო კორპუსის კომისარმა ა. პ. კოხმალმა და კორპუსის მეთაურმა ს. კ. ტიმოშენკომ, რომელიც იმავე წლის ზაფხულში ჩაუდგა სათავეში კორპუსს.

კაბინეტში შესვლისას დავინახე, რომ იმათ გარდა იქ იყვნენ ჩვენი დივიზიის მეთაური კ. დ. სტეპნოი-სპიჟარნი, დივიზიის კომისარი გ. მ. შტერნი და პოლიტგანყოფილების უფროსი ლ. ი ბოჩაროვი.

— ჩვენ იმისათვის გამოგიძახეთ, რომ გთხოვოთ, ერთდროულად იტვირთოთ პოლკის მეთაურისა და კომისრის მოვალეობა, ესე იგი, იყოთ ერთმმართველი, — მითხრა ს. კ. ტიმოშენკომ. — დივიზიის სარდლობას და პოლიტგანყოფილებას მიაჩნია, რომ საამისოდ მომზადებული ხართ. რას ფიქრობთ ამის თაობაზე?

პასუხი დავაყოვნე. მგონი, საკმაოდ დიდ ხანსაც, შემდეგ ვუპასუხე, — დივიზიის სარდლობისა და პოლიტგანყოფილების სათანადო დახმარებით, ვიმედოვნებ, თავი გავართვა დაკისრებულ ახალ მოვალეობას-მეთქი.

რამდენიმე დღის შემდეგ დამნიშნეს ერთმმართველად. მე-7 საკავალერიო დივიზიაში ასეთი ცდა პირველი იყო და ეს ბევრს მავალებდა. ორგანიზაციულ და იდეოლოგიურ მუშაობაში დახმარებას მიწევდნენ პარტბიუროს მდივანი და ჩემი მოადგილე პოლიტნაწილში. ისინი, როცა საჭირო იყო, მოურიდებლად მაძლევდნენ პარტიულ შენიშვნებს და კეთილ რჩევას. ახალ სამუშაოზე არ გამაჩნდა გამოცდილება და პირველ ხანებში, სავსებით ბუნებრივია, რომ შეცდომებს ვუშვებდი, ასეთ შესწორებათა შედეგად კი საქმე მხოლოდ იგებდა.

პოლიტიკური აღზრდის სწორი ხელმძღვანელობისათვის საჭირო იყო ამ დარგში უფროსები ბევრად განათლებულნი ყოფილიყვნენ თავიანთ ხელქვეითებთან შედარებით. იმ სამახსოვრო წლებში ჩვენ, სამ-

წყობრო მეთაურები, უფრო სწრაფად ვიზრდებოდით და ძლიერად ვგრძნობდით თავს საბრძოლო მომზადების საკითხებში, ვიდრე მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების თეორიის დაუფლებაში.

ერთი მხრივ, ეს ხდებოდა იმიტომ, რომ თითოეული ჩვენგანი გადატვირთული იყო ადმინისტრაციული მუშაობით, საბრძოლო მომზადებით და სამხედრო თვითგანვითარებით, ხოლო მეორეს მხრივ, ბევრი სათანადოდ ვერ აფასებდა მარქსისტულ-ლენინური თეორიის ღრმად შესწავლის აუცილებლობას და ორგანიზაციულ პარტიულ მუშაობას არმიაში. რასაკვირველია, ამ მხრივ პოლიტმუშაკები ჩვენზე, სამწყობრო მეთაურებზე, უკეთ იყვნენ მომზადებულნი.

მალე დივიზიის მეთაურის კ. დ. სტეპნოი-სპიჟარნის ნაცვლად დივიზიას სათავეში ჩაუდგა დ. ა. შმიდტი, რომელიც უკრაინიდან ჩამოვიდა. თავისი ხასიათით, გამოცდილებით, მუშაობის სტილით იგი მკვეთრად განსხვავდებოდა კ. დ. სტეპნოი-სპიჟარნისაგან. სტეპნოი-სპიჟარნი ფუსფუსა კაცი იყო, უყვარდა ზედმეტი ლაპარაკი, და შეიძლება ითქვას, უბედობაც. დ. ა. შმიდტი კი — ჭკვიანი, საკუთარ აზრებს მოკლედ გამოთქვამდა, მაგრამ, სამწუხაროდ, არ უყვარდა ბეჯითი მუშაობა.

1926 წლის ზაფხულში დივიზია ბანაკად გავიდა. ჩვენ ქდანოვიჩების რაიონში, მინსკიდან დაახლოებით 20 კილომეტრის დაშორებით, თვალწარმტაცი ადგილი გამოგვიყვეს. ახლა იმ ადგილებში დიდი ტბაა.

ბანაკებში დაძაბული საბრძოლო მომზადება მიმდინარეობდა. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ქვეგანაყოფების, მეთაურთა შემადგენლობის, შტაბისა და მთელი ნაწილის საველე ტაქტიკურ მომზადებას. უნდა ითქვას, რომ სამხედრო დისციპლინებიდან ყველაზე მეტად ტაქტიკა მიყვარდა და განსაკუთრებული სიამოვნებით ვეკიდებოდი მის შესწავლას.

როგორც ცნობილია, არმია — ეს ომის ინსტრუმენტია, იგი იქმნება საომრობლის მტრებთან შეიარაღებული ბრძოლისათვის. ამისათვის იგი უპირველესად მომზადებული უნდა იქნეს ტაქტიკურად. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული გახდება ბრძოლების მსელელობაში სრულყოს სწავლება, რასაც დიდი დანაკლისი მოჰყვება.

ტაქტიკურ შეხედულებათა გამოსამუშავებლად ჩვენს პოლკში მრავალი საჩვენებელი და საინსტრუქციო-მეთოდური მეცადინეობა ტარდებოდა დაზვერვის, ბრძოლის ორგანიზაციისა და საბრძოლო ტექნიკურ საშუალებათა ურთიერთმოქმედების შესწავლისათვის.

როგორც ცნობილია, ნაწილებისათვის მთელი ტაქტიკური მომზადების გვირგვინს მანევრები წარმოადგენს. 1925 წლიდან მანევრები

ყოველწლიურად ტარდებოდა ბელორუსიის სამხედრო ოლქში, საბანაკო პერიოდის დამთავრების შემდეგ.

ამ მანევრებში მე-7 საკავალერიო დივიზიაც მონაწილეობდა და არ მახსოვს, რომ ოდესმე მას ხელმძღვანელობისაგან უარყოფითი შეფასება მიეღო ტაქტიკურ ძომზადებაში. ეს უმთავრესად ტაქტიკური სწავლებისადმი ჩვენი მეთაურების დამოკიდებულებით განისაზღვრებოდა. უნდა ითქვას, რომ ჩვენი დივიზიის ყველა პოლკის მეთაური შესანიშნავად იყო განსწავლული ტაქტიკაში და დიდი გატაცებით ატარებდა მეცადინეობას.

37-ე საკავალერიო პოლკს იმ ხანად ვ. ტ. ვოლსკი მეთაურობდა. ეს სწორედ ის ვოლსკია, რომელიც 1942 წელს სტალინგრადის ფრონტზე ჰექანიზებულ კორპუსს მეთაურობდა და 51-ე, 64-ე არმიების მხარდამხარ საერთო მიმართულებით აწარმოებდა შეტევას კალაჩზე, სადაც შეუერთდა სამხრეთ დასავლეთის ფრონტის ნაწილებს. 38-ე საკავალერიო პოლკს სათავეში ედგა ვ. ა. გაიდუკოვი. დიდ სამამულო ომში იგი კორპუსსა და სხვა შენაერთებს სარდლობდა. გამოცდილი მეთაურები ჰყავდათ დივიზიის სხვა პოლკებსა და ნაწილებსაც.

დიდ ყურადღებას ვუთმობდით სპორტულ და ფიზიკურ მომზადებას. ჩვენ ყველამ, ყოფილმა ჯარისკაცებმა, სხვაზე უკეთესად ვიცოდით, რომ მხოლოდ გამობრძმედილ, ჯან-ღონით სავსე მეომარს შეუძლია გადაიტანოს ომის სიძნელენი. თითოეული მებრძოლის მომზადებაზეა დამოკიდებული მთელი ნაწილის წარმატება. ომმა, როგორც ცნობილია, არ იცის ამინდის, დღისა და ღამის გარჩევა, მებრძოლებს უხდებათ გზებზე და უგზოდ დაძაბული, როგორც ფორსირებული, ისე სამარშო გადასვლები, გზადაგზა საბრძოლო წესით გაშლა მტერზე ელვისებური იერიშისათვის და ხშირად, ბრძოლის შემდეგ, უნდა სდიო სრულ განადგურებამდე. ბრძოლაში ჰარცხის შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბრძოლიდან სწრაფად გაცლას და ახალ გადაჯგუფებას. ყოველივე ეს შეუძლია მხოლოდ ფიზიკურად მომზადებულ ნაწილებს. სხვაგვარად მას მალე გამოეცლება ძალა და ყველგან და ყოველთვის დაიგვიანებს. დიდი დანაკარგი ექნება და შესაძლოა, უბრალოდ, თავისი მოუმზადებლობის მსხვერპლი შეიქნეს.

უნდა ითქვას, რომ 39-ე საკავალერიო პოლკი ბელორუსიის სამხედრო ოლქის საუკეთესო ცხენოსანთა ნაწილებს შორის მთავარი კონკურენტი იყო საცხენოსნო სპორტის ყველა სახეობაში. პოლკში ჩვენ შევძელით ჩამოგვეყალიბებინა სპორტსმენთა აქტიური ჯგუფი, რომელშიც ბევრი მეთაური შედიოდა. პირადად მეც გამუდმებით ვვარჯიშობდი საცხენოსნო სპორტის ყველა სახეობაში.

რამდენადმე არადამაკმაყოფილებლად გვქონდა საქმე ყველა სახეობის იარაღიდან სროლის საქმეში. აქ ჩვენ ყოველთვის გვჯობნიდ-

ნენ მე-40 პოლკის სნაიპერული რაზმები ხოლო საცხენოსნო სპორტში, პირიქით. ყოველთვის ჩამოგვრჩებოდა მე-40 პოლკი.

ეტყობოდა. ჩვენს მეტოქეებს ეს ძალიან ხვდებოდა გულში და ცდილობდნენ, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, „გაესწროთ" ჩვენთვის, ჰიმართავდნენ ათასნაირ ეშმაკობასა და დაუშვებელ ხერხებსაც კი.

ერთხელ საოლქო საცხენოსნო შეჯიბრებაზე მე-6 დივიზიის ერთ-ერთმა მეთაურმა მოიწადინა თავი გამოეჩინა ოსტატობით და ეჩვენებინა ცხენის განსაკუთრებული ფიზიკური ამტანობა. მან გადასარბენის შუა გზაზე, ტყეში, წინასწარ დამალა მეორე ცხენი, რომელიც გარეგნულად ძალიან წააგავდა იმ ცხენს, რომლითაც სტარტი აიღო. გადასარბენის პირველი ნახევარი მან უდიდესი სიჩქარით გაიარა. გაქნილმა მოჯირითემ ნახევრად ქანცგაწყვეტილი ცხენი თავის ორდინარეცს გადასცა. თვითონ კი დამალულ ცხენს მოახტა და კვლავ მარჯვედ დაამთავრა დისტანცია. მას გულშემატკივართა საყოველთაო საზეიმო ვითარებაში გადასცეს პირველი საოლქო პრიზი. მაგრამ ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდა. ეს ორნი მალე გამოაშკარავდა და დამნაშავე სათანადოდ დაისაჯა. ჩვენი მე-6 დივიზიელი მეტოქეები მაინც არ ცხრებოდნენ. ხან აშკარა კონკურენტს გასაქანს არ აძლევდნენ დოღზე, ხან თავიანთ სპორტსმენებს ნედლ წნელებს უდგამდნენ ჩეხვის დროს, ჩვენსას კი ხმელს, რათა ჩეხვა გაძნელებოდათ და ა. შ.

მახსოვს, პოლკში სიმონ მიხეილის ძე ბუდიონი გეესტუმრა. ადრე იგი არ მენახა. მაგრამ კარგად ვიცოდი მისი დამსახურება სამშობლოს წინაშე თეთრგვარდიელებისა და ინტერვენტების წინააღმდეგ ბრძოლაში, და მე ძალიან მინდოდა გავცნობოდი პირველი ცხენოსანი არმიის ლეგენდარულ მეთაურს.

ერთხელ დილით ტელეფონის ზარის ხმა გაისმა (ეს იყო 1927 წლის შემოდგომაზე). რეკავდა დივიზიის მეთაური დიმიტრი არკადის ძე შმიდტი.

— თქვენთან, პოლკში, ალბათ, სიმონ მიხეილის ძე ბუდიონი მეგმოიკლის. შეეგებეთ.

— როდის და რანაირად შეეხვდეთ? — შეეკითხე მე.

— როდის, ზუსტად არ ვიცი. პირველად 37-ე პოლკში მივა. შემდეგ 38-ში, ბოლოს თქვენს 39-ე პოლკს ესტუმრება. თუ როგორ უნდა შეხვდეთ. ეს თვითონ გადაწყვიტეთ. მეთაური ხომ თქვენა ხართ.

მე ასე გავიგე: დივიზიის მეთაურს მხედველობაში არ ჰქონდა რაიმე განსაკუთრებული საზეიმო ცერემონიალი და სერგეი მიხეილის ძე ბუდიონს უნდა შეეხვედროდით ჩვეულებრივ, როგორც წესდებითაა გათვალისწინებული ზემდგომ უფროსთან შეხვედრა.

დღისით დამირეკა 38-ე პოლკის მეთაურმა ვ. ა. გაიდუკოვმა:

— შეეგებე სტუმრებს, თქვენსკენ წამოვიდნენ.

ლაპარაკის დრო აღარ იყო. შევკრიბე ჩემი უახლოესი თანაშემწეები: ჩემი მოადგილე პოლიტნაწილში ფროლოკოვი, პოლკის პარტბიუროს მდივანი ა. ვ. შჩელაკოვსკი, შტაბის უფროსი, პოლკის სამეურნეო ნაწილის გამგე ა. გ. მალიშევი. ყველანი ერთად გამოვედით საპარადო მისასვლელთან და დაველოდეთ. ხუთი წუთის შემდეგ ალაყაფში ორი მანქანა შემოვიდა. პირველი მანქანიდან გადმოვიდნენ ს. მ. ბუდიონი და ს. კ. ტიმოშენკო. როგორც წესდებით იყო გათვალისწინებული, მე ვუპატაკე და წარვუდგინე თანაშემწენი. ს. მ. ბუდიონი ყველას მიესალმა.

მე მივმართე ს. მ. ბუდიონს:

— რა მითითებას მომცემთ?

— თვითონ რას შემოგვთავაზებდით? — თავის მხრივ შემეკითხა სიმონ მიხეილის ძე.

— სასურველი იქნებოდა, გენახათ, როგორ ცხოვრობენ და მუშაობენ ჩვენი მებრძოლები და მეთაურები.

— კარგი, ოღონდ უპირველესად მინდა ენახო, როგორ კვებავთ ჯარისკაცებს.

სასადილოში და სამზარეულოში სიმონ მიხეილის ძე დაწვრილებით დაინტერესდა პროდუქტების ხარისხით, მათი დამუშავებითა და მომზადებით, ჩაწერა სასადილოს წიგნში თავისი მოსაზრებანი, მადლობა გადაუხადა მზარეულებს, პოლკის სასურსათო სამსახურის უფროსს. მერე საბრძოლო მზადების მსვლელობა შეამოწმა და სიმონ მიხეილის ძემ მითხრა: „ახლა კი მაჩვენეთ პოლკის ცხენები“.

მივეცი პოლკს ნიშანი: „გამოიყვანეთ“. ათ წუთში ჩამწკრივდნენ ესკადრონები. დაიწყო ცხენების გამოყვანა. პოლკის საცხენოსნო შემადგენლობა კარგ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ცხენები შესანიშნავად იყვნენ დაჭედილნი.

სიმონ მიხეილის ძემ მადლობა გადაუხადა წითელარმიელებს ცხენების ჩინებული მოვლისათვის და გაემგზავრა ჩონგარის მე-6 დივიზიაში.

ჩვენთან პოლკში ბელორუსიის სამხედრო ოლქის სარდალი ალექსანდრე ილიას ძე ეგოროვიც ჩამოდიოდა. მასთან ნამსახური ამხანაგების გადმოცემით ვიცოდი, რომ იგი გლეხის ოჯახიდან იყო, მუშაობდა მჭედელ-უროსმცემლად. განათლება დიდი გაჭირვებით მიიღო, შემდეგ, როცა მეფის არმიაში გაიწვიეს, სამხედრო სასწავლებელში შევიდა და ოფიცრის ჩინს მიაღწია, ძველ არმიაში ყოფნისას, უკანასკნელ ხანებში, პოლკოვნიკის ჩინით მსახურობდა. 1918 წლის ივლისში ა. ი. ეგოროვი ბოლშევიკურ პარტიაში შევიდა და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იყო პარტიის ერთგული და მტკიცე წევრი.

სამოქალაქო ომის წლებში ა. ი. ეგოროვმა თავი გამოიჩინა, რო-

გორც ნიჟიერმა სარდალმა, იგი სათავეში ედგა სამხრეთის ფრონტს დენიკინის თეთრგვარდიული არმიის სრულ განადგურებამდე, მერე კი თეთრპოლონელთა წინააღმდეგ მოქმედ სამხრეთ-დასავლეთის ფრონტს სარდლობდა.

სამოქალაქო ომის წარმატებით დამთავრების შემდეგ სახელგანთქმული სარდალი, ოთხი წითელი დროშის ორდენისა და საპატიო რევოლუციური იარაღის კავალერი ა. ი. ეგოროვი მთელ რიგ სამხედრო ოლქებს მეთაურობდა. 1931 წელს დაინიშნა წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსად. 1935 წელს მას მიენიჭა საბჭოთა კავშირის მარშლის წოდება.

ჩვენს პოლკში ა. ი. ეგოროვი მოულოდნელად ჩამოვიდა. ეს იყო 1927 წელს ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შემდეგ, რომელშიც იგი მონაწილეობდა.

მე მორიგ ტაქტიკურ მეცადინეობას ვატარებდი, როდესაც სარდლის ჩამოსვლა მომახსენეს.

ა. ი. ეგოროვმა მოისურვა მეცადინეობაზე დასწრება. რომლის თემა იყო „საკავალერიო პოლკის ფარული გასვლა მოწინააღმდეგის ფლანგსა და ზურგში და მტერზე სწრაფი შეტევა".

ყველაფერი საკმაოდ შეუფერხებლად მიდიოდა, ქვეგანაყოფთა მეთაურების გადაწყვეტილება გაბედული და ინიციატივიანი იყო. სარდალი კარგ ხასიათზე დადგა, ბევრს ხუმრობდა. ეს კი ხელს უწყობდა დამსწრეთა ლაღ განწყობილებას. ჩემი დასკვნითი სიტყვის შემდეგ ა. ი. ეგოროვმა რიგი შენიშვნები და სურვილები გამოთქვა. განსაკუთრებით დამამახსოვრდა მისი მითითება იმის შესახებ, რომ არ კმარა შეასწავლო მეთაურებს ტაქტიკა. აუცილებელია, ისინი ოპერატიულ ხელმძღვანელობაშიც ერკვეოდნენ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ თუ ჩვენი სამშობლოს მტრები ომს გააჩაღებდნენ, ეს ბევრ ჩვენგანს მოსთხოვდა ოპერატიული ხელოვნების ცოდნას.

მეცადინეობის შემდეგ სარდალმა მკითხა:

— როგორა გაქვთ შემუშავებული პოლკის სამობილიზაციო გეგმა?

— პოლკის სამობილიზაციო გეგმაზე ბევრი ვიმუშავეთ, მაგრამ წამოიჭრა ზოგიერთი საკითხი, რომელზედაც უმაღლესმა სარდლობამ პასუხი არ მოგვცა, — ვუპასუხე მე.

— რა გაეწყობა, მოდით, ვნახოთ პოლკის სამობილიზაციო გეგმა და თქვენი შეკითხვები, — მითხრა ა. ი. ეგოროვმა.

შტაბის უფროსთან ერთად დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში მოვახსენებდი სარდალს სამობილიზაციო გეგმის თაობაზე და ვუპასუხებდი მის შეკითხვებს. შემდეგ ა. ი. ეგოროვმა თქვა:

— კეთილი, კეთილი, რა არ არის თქვენთვის ნათელი?

— ჩვენი მდგომარეობის სირთულე ის არის, რომ ახლოს ვართ სა-

ხელმწიფო საზღვართან. განგაშის დროს ჩვენ იძულებული ვიქნებით გამოვიდეთ საკმაოდ დაუკომპლექტებლად. გარდა ამისა პოლკმა კიდევ უნდა გამოჰყოს ჯარის არსებული შემადგენლობიდან მეორე ეშელონების ჩამოსაყალიბებელი კადრი. შესუსტებული შემადგენლობით მტერთან პირველ ბრძოლაში ჩაბმამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს პირადი შემადგენლობის ჰორალურ მდგომარეობაზე, — დავასკვენი მე.

— ეს მართალია, — თქვა ა. ი. ეგოროვმა, — მაგრამ სხვა გამოსავალი არა გვაქვს. ხოლო ნაწილების მეორე ეშელონის ჩამოყალიბება აუცილებელია. არ შეიძლება მტრის შეუფასებლობა. ომისათვის საჭიროა სერიოზული მომზადება, მზად უნდა ვიყოთ ჭკვიან, დახელოვნებულ და ძლიერ მტერთან საბრძოლველად. ხოლო, თუ მტერი სინამდვილეში ნაკლებად ძლიერი და არასაკმაოდ ჭკვიანი აღმოჩნდება, ეს მხოლოდ ჩვენი უპირატესობა იქნება.

ა. ი. ეგოროვი ბევრი რამით დაინტერესდა: ხელუხლებელი მარაგის მდგომარეობით, ჯარისკაცების საერთო საცხოვრებლებით, აგრეთვე იმით, თუ როგორ იყო მოწყობილი უფროსთა შემადგენლობა. ჩვენ მოვახსენეთ, რომ მეთაურთა შემადგენლობა ძირითადად ცხოვრობს კერძო ბინებში, როგორც წესი, თითოეულ ოჯახს ერთი ოთახი უკავია.

იმ დროს, მახსოვს, ჩვენ ნებაყოფლობით ვაბარებდით ზედმეტ პირად ძვირფას ნივთებს ქვეყნის ოქროს ფონდში ფაბრიკებისა და ქარხნების ასაშენებლად. ა. ი. ეგოროვი ამითაც დაინტერესდა.

— აბა, რა ჩაბარა თვითონ პოლკის მეთაურმა? — იკითხა მან.

— საცხენოსნო სპორტულ შეჯიბრებაში მიღებული ოთხი საპრიზო ვერცხლის პორტსიგარი, ოქროს ბეჭედი და ცოლის საყურეები.

სიმართლე რომ ვთქვა, ასე იქცეოდა ყველა.

სარდალმა შეგვათვალიერა და გვითხრა: „ძალიან კარგია, ამხანაგებო, სხვაგვარად არც შეიძლება!“

დივიზიაში საქმე ერთბაშად გამოცოცხლდა, როცა დივიზიის მეთაური დ. ა. შმიდტი შეცვალა სერბმა დანილო სერდიჩმა, პირველი ცხენოსანი არმიის სახელგანთქმულმა მეთაურმა. დ. სერდიჩმა თავისი ენერგიული მოღვაწეობით შესძლო ნაწილის მეთაურებს შორის ავტორიტეტის მოპოვება. მე იგი განსაკუთრებით იმის გამო მომწონდა, რომ გვიყენებდა მაღალ მომთხოვნელობას, მუდამ დაუცხრომლად ზრუნავდა საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ამაღლებისათვის. დ. სერდიჩი აქტიურად წვდებოდა პარტიული ცხოვრების ყველა საკითხს და უნაკლო ერთმმართველი იყო, ხოლო პირად ცხოვრებაში — უაღრესად მოკრძალებული ადამიანი.

დივიზიის ყოველგვარი საველე სწავლება და საოლქო მანევრებში

მონაწილეობა დ. სერდიჩის დროს ჭკუის სასწავლებელი იყო და ამას მე-7 სამარის დივიზიისათვის მუდამ მოჰქონდა დამსახურებული დიდება. ჩვენ ყველანი ვგრძნობდით პირად ოპერატიულ-ტაქტიკურ ზრდას და ვიცოდით, რომ ამაში ჩვენი დივიზიის მეთაურს დიდი ღვაწლი მიუძღოდა. ერთი სიტყვით, იგი ღირსეული მეთაური, უნარიანი აღმზრდელი იყო.

1929 წელს მე-7 სამარის საკავალერიო დივიზიის მეთაურად დაინიშნა კ. კ. როკოსოვსკი, ხოლო დივიზიის მეთაური დ. სერდიჩი ს. კ. ტიმოშენკოს ნაცვლად კორპუსის მეთაური გახდა. უფრო მოგვიანებით, 1930 წლის მაისში მე დამნიშნეს მე-7 სამარის საკავალერიო დივიზიის მე-2 ცხენოსანთა ბრიგადის მეთაურად.

კონსტანტინე კონსტანტინეს ძე როკოსოვსკი, როგორც უკვე აღვნიშნე, ჩემთან ერთად სწავლობდა 1924-25 წლებში ლენინგრადის ცხენოსანი ჯარის მეთაურთა შემადგენლობის დახელოვნების კურსებზე და კარგად ვიცნობდით ერთმანეთს. მე იგი დიდი ტაქტით მეპყრობოდა. ჩემ მხრივ, დიდად ეაფასებდი მის სამხედრო ერუდიციას, პირადი შემადგენლობის საბრძოლო მომზადებისა და აღზრდის ხელმძღვანელობაში დიდ გამოცდილებას. ჩემთვის მისასალმებელი იყო მისი დანიშვნა და დარწმუნებული ვიყავი, კ. კ. როკოსოვსკი გააგრძელებდა დ. სერდიჩის ტრადიციებს დივიზიაში. ეს ასეც მოხდა.

39-ე საკავალერიო პოლკს მე თითქმის შვიდი წლის მანძილზე ვმეთაურობდი.

ეს იყო კარგი სკოლა. მდიდარი პრაქტიკის გარდა ამ პერიოდში მივიღე მნიშვნელოვანი თეორიული და ოპერატიულ-ტაქტიკური მომზადება საოლქო მანევრებში. დივიზიისა და კორპუსის სწავლებასა და სამხედრო თამაშობებში ჰონაწილეობისას. როგორც ერთმმართველმა მეთაურმა, მე უფრო ღრმად შევიგნე ჩვენი პარტიის ხელმძღვანელი და ორგანიზაციული როლი წითელი არმიის მშენებლობასა და მის ყოველდღიურ საქმიანობაში.

რასაკვირველია, ყოველივე ეს იოლად როდი გვეძლეოდა. მუშაობაში შეცდომებიც გვქონდა. აბა, ვის არ მოსდის შეცდომა? ალბათ იმას, ვინც მხოლოდ ზემოდან მიღებული მითითებებით მუშაობს და არავითარ ინიციატივას არ იჩენს. საერთოდ უნდა ითქვას, ჩემი აზრით, საქმე იმდენად შეცდომა კი არ არის, არამედ თუ რამდენად სწრაფად შევნიშნავთ და აღმოვფხვრით მას.

მე მისაყვედურებდნენ ზედმეტ მომთხოვნელობას, რაც მეთაურობლშევიკის აუცილებელ თვისებად მიმაჩნია. ახლა, როცა წარსულს გადავავლებ ხოლმე თვალს, ვფიქრობ, რომ ხანდახან ნამდვილად გადაჭარბებულად მოვთხოვნი ვიყავი. ზოგჯერ თავშეუკავებელი და მოუთმენელი ხელქვეითთა დანაშაულის მიმართ. წონასწორობიდან გა-

მოვყავდი ამა თუ იმ სამხედრო მოსამსახურის არაკეთილსინდისიერ მუშაობასა და საქციელს. ბევრს ეს არ ესმოდა, მე კი ჩემდა თავად, ეტყობა, არასაკმაო შემწყნარებლობას ვიჩენდი ადამიანური სისუსტისადმი.

რასაკვირველია, ეს შეცდომები ახლა უფრო ცხადია ჩვენთვის. ცხოვრების გამოცდილება ბევრს ასწავლის ადამიანს. თუმცა ახლაც მიმაჩნია, რომ არაფის არ უნდა ჰქონდეს უფლება დატკბეს ცხოვრებით სხვისი შრომის ხარჯზე. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შეიგნოს სამხედრო პირმა, რომელმაც სიცოცხლის დაუზოგავად პირველმა უნდა დაიცვას სამშობლო ბრძოლის ველზე.

მე-2 ბრიგადა, რომელსაც მე ემეთაურობდი, ორი — 39-ე და მე-40 საკავალერიო პოლკისაგან შედგებოდა. გულდასმით უნდა შემესწავლა საქმის ვითარება მე-40 საკავალერიო პოლკში, რომელსაც მაშინ მეფის არმიის ყოფილი ოფიცერი ივლეევი მეთაურობდა. იგი სიტყვაძვირი კაცი იყო, საცხენოსნო საქმე არ უყვარდა. სამაგიეროდ საცეცხლე მომზადება კარგად იცოდა და დიდ ყურადღებას აქცევდა მას. ამ მხრივ მისი პოლკი ყოველთვის მოწინავე იყო.

შესაძლოა, მრავალი წლის შერჩევის გამო 39-ე საკავალერიო პოლკი, თავისი ადამიანებით, რომლებიც ჩემიანებად მიმაჩნდა, საბრძოლო საქმეში უფრო მომზადებულად და ორგანიზებულად მეჩვენებოდა. მაგრამ მე მესმოდა, რომ თუ 39-ე საკავალერიო პოლკს სამაგალითოდ დავსახავდი, შეიძლებოდა ამას მტკივნეულად ემოქმედა მე-40 საკავალერიო პოლკის მეთაურებსა და პოლიტმუშაკებზე.

ყოველივე კარგი, რაც მათ გააჩნდათ, თვით წვრილმანიც კი, ვცდილობდი აღმენიშნა და სხვა ნაწილებისათვის სამაგალითოდ გამეხადა. ხშირად ვაწყობდით ორივე პოლკის საჩვენებელ მეცადინეობებს ტაქტიკურ, საცეცხლე, საცხენოსნო მომზადებაში, აგრეთვე პოლიტიკურ მომზადებასა და აღმზრდელობით მუშაობაში. ამ მეთოდმა სულ მალე მოგვცა დადებითი შედეგი. მე-2 ბრიგადამ მე-7 სამარის საკავალერიო დივიზიაში წამყვანი ადგილი დაიკავა, რაც არა ერთხელ აღნიშნეს, და ეს ჩვენ ყველას გვახარებდა.

მოკლედ რომ ვთქვათ, ყველანი ერთსულოვნად, გატაცებით ვმუშაობდით. მეთაურები თავიანთ მუშაობაში მოხერხებულად ეყრდნობოდნენ პარტიულ ორგანიზაციებს, მთელი პირადი შემადგენლობის აქტივობასა და ენერგიას წარმართავდნენ მუდმივი საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის.

შეიძლებოდა მოგვეყვანა ამის მრავალი მაგალითი, მაგრამ, ვფიქრობ, ეს აუცილებელი არ არის. დავკმაყოფილდები მხოლოდ იმით, რაც კარგად დამამახსოვრდა.

ერთხელ ჩემთან მოვიდა 39-ე პოლკის პარტბიუროს მდივანი და

შემოიტანა წინადადება, ფართოდ დაგვენერგა პოლკების მუშაობის გამოცდილება მთელი ბრიგადის მასშტაბით.

პოლკების გაერთიანებულ პარტბიუროს სხდომაზე გადაწყდა, ჩაგვეტარებინა მეთოდური მეცადინეობა მებრძოლების ჯგუფთან, სადაც უნდა გვეჩვენებინა, თუ როგორ განგვემარტა პარტიის ხაზის რთული საკითხები შედარებით ჩამორჩენილი წითელარმიელებისათვის.

პირველი მეცადინეობა ჩაატარა 39-ე პოლკის ესკადრონის მეთაურის თანაშემწემ ბორის ათანასეს ძე ემუროვმა და ჯეროვნადაც უნდა მიეზღოს. მან ბრწყინვალედ გაართვა თავი ამოცანას.

შემდეგ, მე-40 პოლკის პოლიტმუშაკთა ინიციატივით, თავი მოუყარეს ყველაზე უდისციპლინო წითელარმიელებს, რათა გულახდილ საუბარში გამოერკვიათ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის მიზეზები. გამოირკვა, რომ დარღვევები მეტწილად გამოწვეული იყო არა იმდენად თვითონ წითელარმიელთა დანაშაულით, არამედ იმით, რომ მეთაურები და პოლიტმუშაკები არ იცნობდნენ თავიანთი მებრძოლების ხასიათსა და ინდივიდუალურ თვისებებს, ყოველთვის ვერ აფასებდნენ სამართლიანად მათ საქციელს, ამის შედეგად ჰკარგავდნენ საკუთარ ავტორიტეტს და წითელარმიელებიც ხშირად ასეთი უფროსების ჯიბრზე ცუდად იქცეოდნენ.

უნდა ითქვას, რომ მსგავსი გულახდილი საუბრები ძალიან საჭიროებელი იყო წითელარმიელებისა და მათი უფროსებისათვის.

1929 წლის მიწურულს მე მიმავლინეს მოსკოვში უფროს მეთაურთა შემადგენლობის მოსამზადებელ კურსებზე. დაგვაბინავეს წითელარმიის ცენტრალური სახლის სასტუმროში. მეცადინეობა მიმდინარეობდა ფრუნზეს ქუჩაზე, თავდაცვის სახალხო კომისარიატის შენობაში, სადაც მოთავსებული იყო სასწავლო კლასები და კაბინეტები. უფროს მეთაურთა შემადგენლობის დახელოვნების კურსებზე სწავლება ფრიად მაღალ დონეზე ტარდებოდა. ჩვენი ჯგუფის ხელმძღვანელი იყო მარშალ ვ. კ. ბლიუხერის მოადგილე, კორპუსის მეთაური მიხეილ ვლადიმერის ძე სანგურსკი, ღრმად განსწავლული ადამიანი. ყოველი ლექცია და მოხსენება, რომელიც წაგვიკითხა სამხედრო მეცნიერების საკითხებზე, კარგად იყო არგუმენტებული პირველი მსოფლიო და სამოქალაქო ომებიდან აღებული მაგალითებით. სხვა დანარჩენი მასწავლებლებიც დიდი სპეციალისტები იყვნენ როგორც ტაქტიკის, ასევე ოპერატიული ხელოვნების დარგში.

კურსებზე გატაცებული ვიყავით სამხედრო თეორიით, გაფაციცებით ვეძებდით ყოველ წიგნურ სიახლეს, ვეგროვებდით ყველაფერს, რაც კი ხელმისაწვდომი იყო სამხედრო საკითხებზე არსებული ლიტერატურიდან, რათა თან წაგვეღო ნაწილში. იმავე ხანებში ყალიბდებო-

და საბჭოთა სამხედრო მეცნიერება მათ შორის პირველი ადგილი სამართლიანად ჰქონდა მიკუთვნებული მ. ვ. ფრუნზეს შრომებს.

მის თხზულებათა კრებულში. რომელიც 1929 წელს გამოჩნდა, გაშუქებული იყო ადამიანისა და ტექნიკის თანაფარდობა მომავალ ომში, ამ ომის ხასიათი, ყველა სახეობის შეიარაღებული ძალების ჰარმონიული განვითარება. ფრონტისა და ზურგის როლი. ვ. მ. ფრუნზე იცავდა ერთიანი სამხედრო დოქტრინის შექმნის აუცილებლობას, რომელიც დაადგენდა შეიარაღებული ძალების აშენებლობის ხასიათს, ჯარის საბრძოლო მომზადების მეთოდებს, სახელმწიფოში გაბატონებულ შეხედულებათა საფუძველზე მათ გაძღოლას — სამხედრო ამოცანების გადაჭრის ხასიათისა და საშუალებების მიხედვით. მ. ვ. ფრუნზე ღრმად განაზოგადებდა სამოქალაქო ომის გამოცდილებას, განავითარებდა დებულებას, რომელიც შემდეგ საფუძვლად დაედო წესდებათა და დარიგებათა სისტემას, ურომლისოდაც აბალი ტიპის არმიის — საბჭოთა წითელი არმიის არსებობა შეუძლებელი იყო.

20-იანი წლების ბოლოს გამოვიდა ბ. მ. შაპოშნიკოვის სერიოზული ნაშრომი „არმიის ტვინი", რომელშიც ავტორმა ანალიზი გაუკეთა დიდ ისტორიულ მასალას, ყოველმხრივ დაგვიხატა გენერალური შტაბის როლი, დაამუშავა სამხედრო სტრატეგიის ზოგიერთი მნიშვნელოვანი დებულება. მან დაწერა ისეთი მნიშვნელოვანი შრომები, როგორიცაა „ცხენოსანი ჯარი", „ვისლაზე".

რამდენიმე დიდტანიანი სამხედრო-ისტორიული ნაწარმოები, მათ შორის „დენიკინის განადგურება", ა. ი. ეგოროვის კალამს ეკუთვნის.

ამავე ხანებში ქვეყნდება ჩვენი ერთ-ერთი ნიჭიერი სამხედრო თეორეტიკოსის მ. ნ. ტუხაჩევსკის ნაშრომები. მას ეკუთვნის მრავალი შორსმჭვრეტელური აზრი მომავალი ომის ხასიათზე. მ. ნ. ტუხაჩევსკიმ ღრმად დაამუშავა თეორიის. ტაქტიკის. სტრატეგიის, ოპერატიული ხელოვნების ახალი დებულებები, გვიჩვენა განუყრელი კავშირი სამხედრო მშენებლობის პრინციპებსა და პრაქტიკასთან, ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ წყობასა და საწარმოო ბაზასთან.

გაცხოველებული მსჯელობა გამოიწვია ჩვენში მუშურ-გლეხური წითელი არმიის შტაბის უფროსის მოადგილის ვ. კ. ტრიანდაფილოვის წიგნმა „თანამედროვე არმიების ოპერაციების ხასიათი", რომელმაც ერთბაშად მოიპოვა ფართო პოპულარობა. ავტორი წიგნში გამოთქვამდა გაბედულ და ღრმა მოსაზრებებს იმდროინდელი არმიების მდგომარეობასა და განვითარების პერსპექტივებზე, სახავდა მათი ტექნიკურად აღჭურვისა და ორგანიზაციის ძირითად გზებს. მომავალ ომში ტანკების როლის შესახებ ვ. კ. ტრიანდაფილოვი წერდა:

„მომავალ ომში ტანკების დიდ ტაქტიკურ მნიშვნელობაზე ახლა არავის ეპარება ეჭვი ქვეითთა ჯარში მოცემული დროისათვის არსებული

ავტომატური იარაღის ზრდა, ამ იარაღის შემდგომი ზრდის ტენდენცია და ხარისხობრივი გაუმჯობესება, თავდაცვაში ხელოვნურ დაბრკოლებათა ფართო გავრცელება და დათრგუნვის საშუალებათა (არტილერიის) ჩამორჩენილობა თავდაცვის საშუალებებთან შედარებით — მომავალ ომში ტანკებს წინ სწევს, როგორც თავდასხმის ერთ-ერთ ძლევამოსილ საშუალებას[1].

ვ. კ. ტრიანდაფილოვი შრომის მეორე ნაწილში იკვლევს ოპერატიული ხელოვნების პრობლემებს, დივიზიის, კორპუსის, არმიის, არმიათა ჯგუფის შეტევითი და მოგერიებითი შესაძლებლობის მონაცემებს, განიხილავს ბრძოლის ველის მისადგომებს, ოპერაციების ხანგრძლივობასა და სიღრმეს, შეტევითი ფრონტის სიფართოვეს, თავდაცვითი პოზიციების საკითხებს და ა. შ. სამწუხაროდ, ვ. კ. ტრიანდაფილოვი ტრაგიკულად დაიღუპა 1931 წელს საავიაციო კატასტროფის დროს და ვეღარ შესძლო დაემთავრებინა მომავალი ომის, საბჭოთა სამხედრო სტრატეგიისა და ოპერატიული ხელოვნების მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებული თავისი ძიებანი.

თითოეული პროფესიული სამხედრო პირისათვის ბევრ ძვირფასსა და ნამდვილად საინტერესოს შეიცავდა ს. ს. კამენევის, ა. ი. კორკის, ი. ჰ. უბორევიჩის, ი. ე. იაკირისა და ჩვენი სხვა ცნობილი მხედართუფროსებისა და თეორეტიკოსების შრომები. ერთი სიტყვით, გონებისათვის საზრდო საკმარისი იყო, ოღონდ ვერ ვასწრებდით მის ათვისებას.

უფროს მეთაურთა შემადგენლობის დახელოვნების კურსებზე ნამდვილი შემოქმედებითი ატმოსფერო მეფობდა. ბშირად იმართებოდა კამათი. მახსოვს, ყველაზე მეტად ალექსანდრე ვასილის ძე გორბატოვს ვედავებოდით ხოლმე. იმ დროს იგი მე-2 საკავალერიო კორპუსის ბრიგადას მეთაურობდა. ა. ვ. გორბატოვი კარგად მომზადებული და დიდი ერუდიციის პეთაური გახლდათ, მასთან კამათი საინტერესო იყო.

აქ. უფროს მეთაურთა შემადგენლობის დახელოვნების კურსებზე, მსმენელებმა ძირფესვიანად დაამუშავეს მთელი რიგი მნიშვნელოვანი ოპერატიულ-ტაქტიკური და სპეციალური თემები, გაეცნენ ახალი ტექნიკისა და შეიარაღების სახეობებს, რომლებსაც წითელი არმიის ნაწილები იღებდნენ.

როგორ იყო იმ დროს ტექნიკურად აღჭურვილი წითელი არმია? 1920-25 წლებში ჩვენ ძირითადად უნდა დავკმაყოფილებულიყავით იმ შეიარაღებით, რომელიც დაგვრჩა ამ მხრივ სუსტი და ჩამორჩენილი მეფის ძველი არმიისაგან. მრეწველობას ჯერ კიდევ არ შეეძლო თანამედროვე საბრძოლო ტექნიკით წითელი არმიის მომარაგება, მაგრამ

[1] В. К. Триандафилов. Характер операций современных армий. М.-Л., Госиздат, 1929, стр. 19.

ტარდებოდა ყოველგვარი ღონისძიება არმიისა და ფლოტის ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

საბჭოების სრულიად საკავშირო III ყრილობაზე სპეციალურად განიხილეს საკითხი სსრ კავშირის თავდაცვის მტკიცე ეკონომიური ბაზის შექმნისა და წითელი არმიის ახალი სამხედრო ტექნიკით უზრუნველყოფის შესახებ. პარტიის მითითებით, მაშინვე დაიწყო მსროლელი, საარტილერიო და საავიაციო ძველი სისტემის შეიარაღების გადასინჯვა იმისათვის, რომ შეგვერჩია უკეთესი და სრულგვეყო იგი. გადიდდა ასიგნობანი არმიის ტექნიკური აღჭურვილობისათვის, აღდგენილ იქნა ლითონდამმუშავებელი მრეწველობის საწარმოები, მათ შორის თავდაცვითი წარმოებებიც.

პარტიამ იმთავითვე შეძლო სამამულო ავიაციისა და ფლოტის შექმნა გადაექცია საყოველთაო-სახალხო საქმედ. ჯერ კიდევ 1921 წელს შრომისა და თავდაცვის საბჭომ მიიღო სპეციალური დადგენილება საჰაერო ფლოტის მშენებლობაში პროგრამა-მინიმუმის შემუშავების შესახებ. მისი განვითარებისათვის გაღებულ იქნა ათობით მილიონი ოქროს მანეთი. 1923 წლის გაზაფხულზე შეიქმნა საჰაერო ფლოტის მეგობართა ნებაყოფლობითი საზოგადოება, რომელმაც ორ წელიწადში ექვსი მილიონი მანეთი შეაგროვა ოქროთი. ამ სახსრებით ააგეს 300-ზე მეტი საბრძოლო თვითმფრინავი. ამის შედეგად უკვე 1925 წელს შეწყდა საზღვარგარეთ თვითმფრინავების შესყიდვა.

1922 წლიდან კომკავშირი სამხედრო-საზღვაო ფლოტის შეფია. მოხალისეთა სამჯერ გაწვევის შედეგად ფლოტში 8 ათასმა კომკავშირელმა მოიყარა თავი. მიმდინარეობდა აღდგენა და ორგანიზაციული განმტკიცება სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძალებისა, რომელიც მაშინ ბალტიისა და შავი ზღვის ფლოტებისაგან, ბარენცის, კასპიისა და თეთრი ზღვების გემთაგან, აგრეთვე რამდენიმე ტბისა და მდინარის ფლოტილიებისაგან შედგებოდა. ბალტიკაზე კაპიტალური რემონტი და მოდერნიზება გაიარა სახაზო გემმა „ოქტიაბრსკაია რევოლუციამ" (ყოფილი „განგუტი"), აგრეთვე შვიდმა ნაღმოსანმა. დამთავრდა კრეისერ „პროფინტერნის" მშენებლობა, შავ ზღვაზე მწყობრში ჩადგა კრეისერი „ჩერვონა უკრაინა", 60-მდე შეკეთებული ხომალდი და დამხმარე გემი. სამხედრო-საზღვაო ფლოტის გემების სრული აღდგენა და მოდერნიზება ძირითადად მთავრდება 1928 წელს.

სამამულო სამხედრო ტექნიკის შესაქმნელად, ახალი თანამედროვე შეიარაღების სახეობათა შესამუშავებლად აუცილებელი იყო შემოქმედებითი საკონსტრუქტორო აზრის ამაღლება. 1924 წელს საბჭოთა კავშირის რევოლუციური სამხედრო საბჭო ამტკიცებს დებულებას სამხედრო გამოგონებათა კომისიისა და კომისიის შემადგენლობის შესახებ. ამ კომისიაში შევიდნენ ს. ს. კაძენევი, მ. ნ. ტუხაჩევსკი, ი. ს.

უნშლიხტი და სხვები. შეიქმნა მთელი რიგი სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციები. საგანგებო საარტილერიო გამოცდილების კომისიას კონსულტაციას უწევდნენ ისეთი გამოჩენილი მეცნიერები, როგორიც იყვნენ ა. პ. კრილოვი და ს. ა. ჩაპლიგინი, ორგანიზებულ იქნა თვითმფრინავებისა და საავიაციო ძრავების ახალი სამამულო ნიმუშების საცდელი მშენებლობა სახელგანთქმულ ცენტრალურ აეროჰიდროდინამიკურ ინსტიტუტში. აქ ნ. ნ. პოლიკარპოვი, ა. ნ ტუპოლევი და სხვები აკონსტრუირებენ ავია-გამანადგურებლებისა და ბომბდამშენების საცდელ ნიმუშებს, მათ შორის — ТБ-1-ს რომელიც საფრენი-ტექნიკური მონაცემებით სჯობდა ასეთივე ტიპის საზღვარგარეთულ თვითმფრინავებს

კ. ე ციოლკოვსკიმ და ფ. ა. ცანდერმა თავიანთი თვალსაჩინო შრომებით გაამდიდრეს საბჭოთა მეცნიერება რეაქტიული ძრავისა და კოსმოსური ფრენის დარგში, ყოველმხრივ მხარდაჭერას პოულობენ ნ. ი. ტიხომიროვის, ფ. ე. ტოკარევისა და სხვათა გამოგონებანი. 1927 წელს ვ. ა.

სწრაფად ხორციელდებოდა ჯარების მოტორიზაცია. ერთი სიტყვით, ჩვენი არც თუ ისე შორეული (და პოტენციური) მოწინააღმდეგენი პირველ მსოფლიო ომთან შედარებით შორს წავიდნენ შეიარაღების დარგში.

როდესაც ამ მონაცემებს ადარებ, კიდევ და კიდევ ფიქრობ: ისტორიის მიერ ობიექტურად განსაზღვრული რაოდენ განსხვავებული პოზიციებიდან დავიწყეთ კაპიტალისტურ ქვეყნებთან შეჯიბრება! და ბუნებრივად გიპყრობს უდიდესი პატრიოტული სიამაყის გრძნობა იმ საზოგადოებრივი წყობილებისადმი, რომლის მეოხებითაც შევძელით სამხედრო მიმართებით დავწეოდით და გაგვესწრო, თანაც უმოკლეს დროში, მსოფლიოს ყველაზე განვითარებული სახელმწიფოებისათვის, იმ ხალხისა და არმიისადმი, რომელმაც შესძლო გაენადგურებინა ყველაზე ძლიერი იმპერიალისტური მოწინააღმდეგე.

ამრიგად, ცხადი იყო— მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში განვითარებული მრეწველობის შექმნას შეეძლო მოეცა წითელი არმიისა და ფლოტისათვის თანამედროვე შეიარაღება. მხოლოდ ინდუსტრიალიზაციას შეეძლო უზრუნველეყო საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობა. ტექნიკას უნდა გადაეწყვიტა ყველაფერი. მაშინდელი ჩვენი სამხედრო ხელმძღვანელები ამ ვარაუდში არ მოტყუებულან. მათ სწორად ჰქონდათ წარმოდგენილი მომავალი ომის ხასიათი და სპეციფიკა.

ჯერ კიდევ 1925 წელს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე თავის მოხსენებაში მ. ვ. ფრუნზე სამხედრო რეფორმის შედეგების შესახებ ამბობდა: „ბევრი ჩვენი ამხანაგთაგანი, და, ვფიქრობ, განსაკუთრებით ისინი, ვინც სამოქალაქო ომის ფრონტებზე ყოფილა, ალბათ, ცხოვრობენ იმ განწყობილებით, რომელიც სამოქალაქო ომმა შეუქმნათ. მე ვამტკიცებ, რომ ეს განწყობილება ძალიან საშიშია, რადგან ომი, რომელიც მომავალში გაჩაღდება, არ ემგვანება სამოქალაქო ომს. რასაკვირველია, მას ექნება კლასობრივი სამოქალაქო ომის ხასიათი, იმ გაგებით, რომ მოწინააღმდეგის მხარეზე თეთრგვარდიელები იქნებიან, და პირიქით, მტრის ბანაკში მოკავშირეები გვეყოლება. მაგრამ ტექნიკისა და ომის წარმოების მეთოდების თვალსაზრისით ეს არ იქნება ჩვენი სამოქალაქო ომის მსგავსი. საქმე გვექნება ყოველგვარი უახლესი სრულყოფილი ტექნიკით შეიარაღებულ ჩინებულ არმიასთან. და თუ ჩვენს არმიაში არ გვექნება ეს გაუმჯობესებანი, მაშინ ჩვენთვის პერსპექტივები მეტისმეტად არახელსაყრელი აღმოჩნდება. ეს უნდა გავითვალისწინოთ, როდესაც გადავწყვეტთ საკითხს ქვეყნის თავდაცვის საერთო მომზადების შესახებ“[1].

...1930 წლის გაზაფხულზე, უფროს მეთაურთა შემადგენლობის

---

[1] М. В. Фрунзе. Собрание сочинений. т. I, М.-Л., Госиздат, 1929, стр. 211.

დახელოვნების კურსების დამთავრების შემდეგ, დავბრუნდით ჩვენს საწილებში.

მე-2 საკავალერიო ბრიგადას მე ერთ წელზე მეტხანს ვმეთაურობდი და უნდა ითქვას, ამ მუშაობამ ბევრი რამ მომცა ახალი და მნიშვნელოვნად შეავსო ჩემი თეორიული და პრაქტიკული მარაგი.

1930 წლის დამლევს გავიგე, რომ ჩემი კანდიდატურა წამოაყენეს მეშურ-გლეხური წითელი არმიის ცხენოსანთა ჯარის ინსპექტორის თანაშემწის თანამდებობაზე. იმ ხანებში ინსპექციის ოფლაწეობას დიდად აფასებდნენ ცხენოსანთა ჯარის ნაწილებში. მაგრამ, გამოგიტყდებით, ამ ამბავმა არც თუ ისე გამახარა. მე ძალზე შევეჩვიე ჩემს დივიზიას და თავი სამარელთა ერთსულოვანი ოჯახის განუყოელ წევრად მიმაჩნდა.

მაგრამ საკითხი გადაწყვეტილი იყო და მოსკოვში გამგზავრების თადარიგს უნდა შევდგომოდი. მართალი რომ გითხრათ, მოსამზადებელი მცოლოდ მაზარა და რამდენიმე ხელი თეთრეული მქონდა. მთელი ჩვენი საოჯახო ბარგიბარხანა თავისუფლად ჩაეტეოდა ერთ ჩემოდანში. სხვა რაიმე ქონება რომელიმე ჩვენგანს მაშინ არც გააჩნდა და ეს სრულიად ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა.

ერთხელ საღამოს კონსტანტინე კონსტანტინეს ძე როკოსოვსკიმ დამირეკა და მითხრა, მივიღეთ ბრძანება თქვენი ახალ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებო.

— რამდენი ხანი დაგჭირდებათ მოსამზადებლად? — მკითხა მან.

— ორი საათი, — ვუპასუხე მე.

— ასე ვერ გაგიშვებთ, — მითხრა კ. კ. როკოსოვსკიმ. — თქვენ ხომ მე-7 დივიზიის ვეტერანი ხართ, უნდა გაგაცილოთ, როგორც წესი და რიგია. ასეთია მეორე ბრიგადის მეთაურთა და პოლიტმუშაკთა შემადგენლობის საერთო სურვილი.

მე, რა თქმა უნდა, ამ ამბავმა გული ამიჩუყა.

რამდენიმე დღის შემდეგ 39-ე და მე-40 პოლკების მეთაურებისა და პოლიტმუშაკების მთელი შემადგენლობით გაიმართა სადილი, რომელსაც დივიზიის სარდლობაც დაესწრო. ბევრი კარგი და თბილი სიტყვა ითქვა ჩემი მისამართით. ეს გულითადი სიტყვები მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე დამამახსოვრდა.

მეორე დღეს, დილით, მზად ვიყავი გასამგზავრებლად. ერთხელ კიდევ შევიარე ქვეგანაყოფებში, დავემშვიდობე მებრძოლებსა და მეთაურებს.

შინ ჭიმავალმა, გზად მინსკში შევიარე, ეს ქალაქი მე ძალიან მიყვარდა. აქ რვა წელი დავყავი, ახლოს გავიცანი გულკეთილი, შრომისმოყვარე ბელორუსი ხალხი. ბელორუსია ჩემ თვალწინ წარმატებით იშუშებდა ორი ომის ჭრილობებს.

საღამოს მეუღლისა და ჩემი ორი წლის ქალიშვილის ერას თანხლებით მოსკოვს გავემგზავრე.

თავი მეხუთე

მუშურ-გლეხური წითელი არმიის ინსპექციაში, მე-4 საკავალერიო დივიზიის სარდლად

კავალერიის ინსპექციას იმ წლებში სათავეში ედგა სიმონ მიხეილის ძე ბუდიონი.

გამოვცხადდი ჩემი ახალი დანიშნულების ადგილზე და გავეშურე მომავალი ხელმძღვანელების წინაშე წარსადგომად. ს. მ. ბუდიონი ინსპექციაში არ დამიხვდა, მისმა პირადმა მდივანმა პ. ა. ბელოვმა (ეს ის ბელოვია, რომელმაც თავი ისახელა დიდ სამამულო ომში) მითხრა, სიმონ მიხეილის ძე ამჟამად პრაქტიკულად არ განაგებს ინსპექციას და აკადემიის საგანგებო ჯგუფში სწავლობს, ყოველგვარ საქმეს მისი პირველი მოადგილე კორპუსის მეთაური ი. დ. კოსოგოვი უძღვებაო.

მე წარვუდექი ი. დ. კოსოგოვს, მერე კავალერიის ინსპექტორის თანაშემწეები: ბ. კ. ვერხოვსკი, ფ. რ. ჟემაიტისი, პ. პ. საბენიკოვი, ი. ვ. ტიულენევი და ა. ი. ტრეიმანი გავიცანი. ესენი იყვნენ თავიანთი საქმის შესანიშნავად მცოდნე მეთაურები.

წინასწარი გაცნობის შემდეგ ი. დ. კოსოგოვმა მითხრა, რომ ჩემთვის უმჯობესი იქნებოდა ცხენოსანი ჯარის საბრძოლო მომზადებისთვის მომეკიდა ხელი, რამდენადაც ამ დარგში მე საკმაო პრაქტიკა მქონდა.

დაახლოებით ერთ თვეში მთლიანად შევედი ახალი მუშაობის საქმის კურსში.

სამი თვის შემდეგ შედგა მაშინდელი სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის[1] ყველა ინსპექციისა და საბრძოლო მომ-

---

[1] რამდენადაც შემდეგში ტექსტში ნახსენები იქნება საბჭოთა სამხედრო ხელმძღვანელობის სხვადასხვა ინსტანცია, მოვაკავშირებ შემდეგი ცნობა.

1925 წელს მიხეილ ვასილის ძე ფრუნზეს სიკვდილის (40 წლის ასაკში) შემდეგ სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრის პოსტზე და იმავდროულად სსრკ რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარედ (სსრკ რევოლუციური სამხედრო

ზადების სამმართველოს საერთო პარტიული კრება. ამ კრებაზე მე პარტიული ბიუროს მდივნად ამირჩიეს, ხოლო მდივნის მოადგილედ ივანე ვლადიმერის ძე ტიულენევი.

ჩვენი პარტორგანიზაციის კომუნისტები დიდ ძალასა და დროს ანდომებდნენ თავიანთ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას, მაგრამ არც საზოგადოებრივ საქმეს ივიწყებდნენ. ძალიან გავრცელებული იყო ფაბრიკებსა, ქარხნებსა და სხვა სამოქალაქო ორგანიზაცია-დაწესებულებებში მოხსენებებით გამოსვლა. მუშები და მოსამსახურეები გულთბილად ღებულობდნენ სამხედრო კომუნისტებს და სიამოვნებით უსმენდნენ მათ, განსაკუთრებით როცა საუბარი საერთაშორისო მდგომარეობასა და პარტიისა და მთავრობის უახლოეს გადაწყვეტილებებს ეხებოდა.

ოცდანი წლების ბოლოს და ოცდაათიან წლების დასაწყისში მწვავდება საერთაშორისო ვითარება. უფრო მკაფიოდ გამოისახა იმპერიალისტური ქვეყნების ჯგუფი — უპირველეს ყოვლისა გერმანია, იაპონია, იტალია, — რომელთა მთავრობები ასრულებდნენ რა მონოპოლისტური წრეების ნებას, ეკონომიური კრიზისისაგან თავის დასაღწევად სულ უფრო აქტიურად ემზადებოდნენ მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისათვის. 1931 წელს იაპონიის ჯარები ომის გამოუცხადებლად შეიჭრნენ ჩინეთში და მანჯურია დაიპყრეს. რასაკვირველია, იაპონელ აგრესორთა გეგმებში ისიც შედიოდა, რომ შეექმნათ საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის პლაცდარმი.

საბჭო მოქმედებდა სახალხო კომისარიატის კოლეგიის უფლებებით) დაინიშნა კ. ე. ვოროშილოვი.

სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებობდა თავდაცვის მუდმივი კომისია ვ. მ. მოლოტოვის მეთაურობით. კომისია წინასწარ სწავლობდა და ამუშავებდა სსრ კავშირის თავდაცვის გეგმებისა და შეიარაღებული ძალების მშენებლობის ძირითად პრინციპულ საკითხებს, რომლებიც კანონმდებლობის წესით განსახილველად და დასამტკიცებლად შეაქონდა შრომისა და თავდაცვის საბჭოში.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ თავდაცვის კომისია და სსრკ რევოლუციური სამხედრო საბჭო ერთმანეთს ენაცვლებოდა. ამიტომ 1934 წელს რევოლუციური სამხედრო საბჭო გაუქმდა, ხოლო სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატი გადაეცა თავდაცვის სახალხო კომისარიატად. იმავდროულად სახალხო კომისარიატთან, სათათბირო ორგანოს სახით, შეიქმნა სამხედრო საბჭო, რომლის გადაწყვეტილებებს სახალხო კომისარი ამტკიცებდა და ცხოვრებაშიც მისივე ბრძანებით ტარდებოდა.

1937 წელს სახალხო კომისართა საბჭომ გაუქმა შრომისა და თავდაცვის საბჭო და თავდაცვის კომისია, რომელიც სსრკ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებობდა და გარდაქმნა თავდაცვის კომიტეტად. თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარედ დარჩა ვ. მ. მოლოტოვი, წევრებად: ი. ბ. სტალინი, კ. ე. ვოროშილოვი და სხვები. იმავე დროს შეიქმნა სსრკ სამხედრო-საზღვაო ფლოტის სრულიად-საკავშირო სახალხო კომისარიატი. სახალხო კომისრად დაინიშნა ჰ. ა. სმირნოვი.

1933 წლის იანვარში გერმანიაში ხელისუფლების სათავეში მოექცა ფაშიზმი, რომელმაც თავიდანვე აიღო მსოფლიოზე გაბატონების კურსი. ძნელი სათქმელია, რომ მაშინ ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის ხალხებს არ ესმოდათ, თუ რაოდენ ცუდ სამსახურს უწევდნენ მათ ამ ქვეყნების იმპერიალისტური ძალები, როცა აქტიურად ეხმარებოდნენ გერმანიას მძიმე მრეწველობის აღდგენაში. ყველა სახის გრძელვადიან კრედიტთა შორის, რომელიც გერმანელთა მონოპოლიებს მისცეს, 70 პროცენტი ამერიკის შეერთებულ შტატებზე მოდიოდა. უცხოეთის ფინანსურმა ნაკადმა სულ უფრო იმატა ჰიტლერის ხელისუფლების სათავეში ჩადგომის შემდეგ.

გერმანიას, იაპონიას, იტალიას თავისი ეკონომიკა სამხედრო რელსებზე გადაჰყავდათ. სამხედრო ბიუჯეტები უკიდურესად გადიდდა. მიღწეულ იქნა ისეთი გაქანება, რომელიც შემდეგ, 30-იანი წლების მეორე ნახევარში, ევროპის აგრესიულ სახელმწიფოებს საშუალებას მისცემდა პრაქტიკულად მზად ყოფილიყვნენ დიდი ომისათვის. გერმანიის შეიარაღებული ძალების რაოდენობამ მილიონს გადააჭარბა, ფაშისტური გასამხედროებული ორგანიზაციები ორ მილიონამდე კაცს აერთიანებდა. ომის შემთხვევაში ფაშისტური გერმანიის არმიას შეეძლო 5-6-ჯერ გაზრდილიყო. იტალიაში მშვიდობიან დროს ჯარში გაწვეული იყო 400 ათასი კაცი, მაგრამ ომის დროს იგი ადვილად გაიზრდებოდა 5-ჯერ.

რასაკვირველია, მსგავს ვითარებაში აუცილებელი იყო გადამჭრელი ზომების მიღება ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ძლიერების გასადიდებლად. ამავე დროს საქმე ეხებოდა არა მხოლოდ და არა იმდენად რიცხობრივ მხარეს. ჩვენი შეიარაღებული ძალები უნდა ასულიყვნენ ახალ ხარისხობრივ საფეხურზე. მიღებულ იქნა მრავალი ღონისძიება, არმიისა და ფლოტის განვითარებისათვის. მთავარ რგოლს წარმოადგენდა ტექნიკა. საბჭოთა შეიარაღებული ძალების თანამედროვე ტექნიკით მთლიანად, ყოველმხრივ აღჭურვა — ეს იყო გრანდიოზულ

1938 წელს თავდაცვის სახალხო კომისარიატთან შეიქმნა მუშურ-გლეხური წითელი არმიის მთავარი სამხედრო საბჭო. საბჭოში შედიოდნენ: კ. ე. ვოროშილოვი (თავმჯდომარე), ვ. კ. ბლიუხერი, ს. მ. ბუდიონი, გ. ი. კულიკი, ლ. ზ. მეხლისი, ი. ბ. სტალინი, ი. ფ. ფედკო, ბ. მ. შაპოშნიკოვი, ე. ა. შჩადენკო. იმავდროულად შეიქმნა სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი სამხედრო საბჭო პ. ა. სმირნოვის (თავმჯდომარე), ლ. მ. გალერის, ა. ა. ედანოვის, ი. ს. ისაკოვის, ნ. გ. კუზნეცოვის, გ. ი. ლევჩენკოს და სხვათა შემადგენლობით. ორივე სახალხო კომისარიატის მთავარ სამხედრო საბჭოებზე განიხილებოდა სსრ კავშირის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისა და არმიისა და ფლოტის მშენებლობის ძირითადი საკითხები.

სამხედრო საბჭოები შეიქმნა ოლქებში, ფლოტებში. არმიებში ისინი უშუალოდ ემორჩილებოდნენ სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარს.

ამოცანა, რომლის განხორციელება შეიძლებოდა მხოლოდ ინდუსტრიალიზაციის გზით.

კურსი სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისაკენ — მძიმე ინდუსტრიის განვითარება ელექტრიფიკაციის საფუძველზე, მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის ხელახალი ტექნიკური შეიარაღება და რეკონსტრუქცია — პარტიამ აიღო 1925 წლის ბოლოს XIV ყრილობაზე. ორი წლის შემდეგ პარტიის XV ყრილობამ თავის დირექტივებში — პირველი ხუთწლიანი გეგმის შესამუშავებლად, — პირდაპირ ჩაწერა:

„ითვალისწინებს რა კაპიტალისტური ქვეყნების მხრივ სამხედრო თავდასხმის შესაძლებლობას პროლეტარულ სახელმწიფოზე, ხუთწლიანი გეგმის შემუშავებისას აუცილებელია მაქსიმალური ყურადღება მიექცეს სახალხო მეურნეობის იმ დარგების უსწრაფეს განვითარებას საერთოდ, და კერძოდ მრეწველობას. რომელსაც მთავარი როლი აკისრია თავდაცვის უზრუნველყოფის საქმეში და ქვეყნის სამეურნეო განმტკიცებაში ომის დროს"[1]. გახურდა მუშაობა...

აქ მინდა ოდნავ გადავუხვიო. დღეს მსოფლიო ხალხების მიერ საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ევროპა ფაშისტური შავი ჭირისაგან უპირველეს ყოვლისა იხსნეს საბჭოთა ჯარისკაცებმა, საბჭოთა იარაღმა, რომ ჰიტლერული გერმანიის განადგურება საბჭოთა ხალხის უდიდესი ისტორიული გმირობაა. მე ვფიქრობ. ეს გმირობა, ეს გამარჯვება დაიწყო იმ დროიდან, როცა საბჭოთა ხალხმა პარტიის მოწოდებისთანავე თავისი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას მოკიდა ხელი.

ხელთ არა მაქვს აუცილებელი მონაცემები და არც შეადგენს ჩემს ამოცანას, რომ ყოველმხრივ გავაშუქო ინდუსტრიალიზაციის მნიშვნელობა სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის, ხალხთა კეთილდღეობის ამაღლებისათვის, საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებისათვის და ა. შ. რაც შეეხება შეიარაღებული ძალების ბედ-იღბალს და დიდ სამამულო ომში ჩვენი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გამარჯვებით დაგვირგვინებას, ყოველივე ეს უშუალოდ დამოკიდებული იყო ინდუსტრიალიზაციის ტემპებზე, აქტივობაზე, რომლითაც იგი ტარდებოდა ცხოვრებაში.

განა არ შეიძლებოდა ხუთი-შვიდი წლით გადაგვედო მძიმე ინდუსტრიის ასეთი მკვეთრი აღმავლობა და ხალხისათვის. რომელმაც ეს ასგზის დაიმსახურა, უფრო სწრაფად და უხვად მიგვეცა ფართო მოხმარების საგნები, მსუბუქი მრეწველობის ნაწარმი. განა ეს მაცდუნებელი არ იყო? მაგრამ ასე რომ მოექცეულიყავით, ვინ იცის, როგორ დამთავრდებოდა ეს მძიმე პერიოდი, რომელსაც ჩვენ ომის დასაწყის პე-

---

[1] «КПСС в резолюциях...», ч. II, стр. 452.

რიოდს ვუწოდებთ. სად, რომელ ქალაქთან ან რომელ მდინარეზე შევაჩერებდით ფაშისტთა ჯარებს?

პარტიის ხაზის სიბრძნემ და შორსმჭვრეტელობამ, რომელსაც საბოლოო და უმაღლესი შეფასება თვით ისტორიამ მისცა, ქვეყნის განვითარების სწორმა წარმართვამ და ხალხის შრომითმა გმირობამ იმ წლებში, საფუძველი ჩაუყარა დიდ სამამულო ომში გამარჯვებას.

პარტიის XVI და XVII ყრილობებმა გადაჭრით მოითხოვა ხალხის ყურადღების გამახვილება წითელი არმიისა და ფლოტის ძლიერების განმტკიცებაზე, მიუთითებდა რა ახალი ომის სულ უფრო მზარდ მუქარაზე, მოგვცა პირდაპირი დირექტივა მრეწველობის, განსაკუთრებით მეტალურგიის განვითარების ტემპების დაჩქარების, სახელმწიფო რეზერვების დაგროვების, ტრანსპორტის ძირფესვიანი რეკონსტრუქციის შესახებ. დასახა ამოცანა მთელი სახალხო მეურნეობის სამობილიზაციო შესაძლებლობათა გაფართოებისა, სამრეწველო ობიექტების მშენებლობისა და მათი იმგვარად განლაგებისა, რომ თავდასხმის შემთხვევაში შესაძლებელი ყოფილიყო მრეწველობის სამხედრო რელსებზე გადაყვანა და მობილიზაციის გაშლის სწრაფი უზრუნველყოფა.

ჩვენს პარტიულ ორგანიზაციაში კავალერიის ინსპექციის კომუნისტებს გარდა შედიოდნენ მსროლელთა ჯარებისა და საცეცხლე მომზადების, არტილერიის, კავშირგაბმულობის ჯარების, საინჟინრო ჯარების, მუშურ-გლეხური წითელ• არმიისა და სახალხო კომისარიატის სხვა ქვეგანაყოფთა ინსპექციის კომუნისტები. ჩვენ ვცდილობდით მოგვეხდინა სამმართველოებისა და ინსპექციების პირადი შემადგენლობის მობილიზება პარტიის, მთავრობისა და სახალხო კომისარიატის მიერ დასახულ მოთხოვნათა შესასრულებლად. მრავალ დიდმნიშვნელოვან საქმეს ჩაუყარა საფუძველი სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატმა, მისმა ხელმძღვანელმა პარტიულმა ბირთვმა. აი, იმ დროის რამდენიმე პრობლემა:

დასრულდა არმიისა და ფლოტის სამხედრო რეფორმა, შეიარაღებული ძალების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. გაუმჯობესდა ჯარების აღზრდისა და სწავლების მთელი პროცესი, ამაღლდა დისციპლინა, ჯარების მართვას თავიდან ბოლომდე საფუძვლად დაედო ერთმმართველობის პრინციპი. შეიქმნა სამხედრო კადრების დახელოვნების პირობები. შესაძლებელიც და საჭიროც იყო შემდგომი წინსვლა.

1929 წელს პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „ქვეყნის თავდაცვის მდგომარეობის შესახებ“, რომელშიც მოცემული იყო არმიის, ავიაციისა და ფლოტის ძირეული ტექნიკური რეკონსტრუქციის ხაზი. სსრკ რევოლუციურ სამხედრო საბჭოს და სამ-

ხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატს წინადადება მიეცა, არსებული შეიარაღების მოდერნიზებასთან ერთად უახლოეს დროში მიეღო ახალი საცდელი ნიმუშები, შემდეგ კი არმიაში მასობრივად დაენერგა არტილერიის თანამედროვე ტემპები, ქიმიური თავდაცვის საშუალებანი. თანამედროვე ყველა ტიპის ტანკი და ჯავშნიანი მანქანა, განახორციელებინა ახალი ტიპის თვითმფრინავებისა და ძრავების სერიული გამოშვება.

ეს დადგენილება საფუძვლად დაედო სამხედრო მშენებლობის პირველ ხუთწლიან გეგმას. რომელიც ამასთან ერთად ითვალისწინებდა ჯარების ახალ ტექნიკურ სახეობათა შექმნას, ძველი სახეობის ჯარების მოტორიზებას და ორგანიზაციულ გადაჯგუფებას. ტექნიკური კადრების მასობრივ მომზადებასა და მთელი პირადი შემადგენლობის მიერ ახალი ტექნიკის ათვისებას. 1931 წლის იანვარში სსრკ რევოლუციურმა სამხედრო საბჭომ დააზუსტა მუშურ-გლეხური წითელი არმიის მშენებლობის 1931-1933 წლების კალენდარული გეგმა, რითაც დამთავრდა სამხედრო მშენებლობის[1] პირველი ხუთწლიანი გეგმის მეცნიერული დაჟუშავება.

ახალ ამოცანებთან დაკავშირებით ცენტრალურ სამხედრო აპარატში შეტანილ იქნა ზოგიერთი მნიშვნელოვანი ცვლილებანი. დიდი როლი ითამაშა, კერძოდ, მუშურ-გლეხური წითელი არმიის შეიარაღების უფროსის თანამდებობის დაწესებამ, რომელსაც ეკისრებოდა არმიის ხელახალი ტექნიკური შეიარაღების საკითხთა მთელი ხელმძღვანელობა. 1931 წლამდე ეს თანამდებობა ეკავა ი. პ. უბორევიჩს, ხოლო შემდეგ მ. ნ. ტუხაჩევსკის. 1929 წელს სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის სისტემაში შეიქმნა მუშურ-გლეხური წითელი არმიის მექანიზაციისა და მოტორიზაციის სამმართველო. ამ სამმართველოს წლების მანძილზე ხელმძღვანელობდნენ ტანკების შექმნის დიდი მცოდნენი, ენთუზიასტები ი. ა. ხალეპსკი და კ. ბ. კალინოვსკი. სამხედრო ოლქებში ჩამოყალიბდა ჯავშანსატანკო ჯარების განყოფილებები.

პრაქტიკულად 1929 წლამდე ჩვენ არ გაგვაჩნდა სატანკო მრეწველობა, არ გვყავდა კონსტრუქტორებისა და ტანკმშენებელთა აუცილებელი კადრები. ამავე დროს პარტიასა და მთავრობას კარგად ჰქონდა შეგნებული ტანკების როლი მომავალ ომში. სამხედრო უწყებების წინაშე დაისახა სათანადო ამოცანები: სსრკ რევოლუციური სამხედრო საბჭოს სპეციალური დადგენილებით გათვალისწინებულ იქნა საომარი მანქანების შემდეგი ტიპები: ტანკები, საშუალო, დიდი (მძიმე) და სა-

---

[1] ამ გეგმის შესრულებამ ბევრი მისცა არმიასა და ფლოტს. მაგრამ ძირითადი ტექნიკური რეკონსტრუქცია ჯერ წინ იყო. ამისათვის საჭირო გახლდათ დიდი მატერიალური რესურსები და ქვეყნის საწარმოო შესაძლებლობანი.

ხიდე ტანკები, განისაზღვრა მათი ტაქტიკურ-ტექნიკური დახასიათებებიც. უმოკლეს ხანში კონსტრუქტორებმა შექმნეს სამამულო წარმოების ტანკების ახალი ნიმუშები. წითელი არმიის შესაიარაღებლად 1931-1935 წწ. მიღებულ იქნა ტანკეტი T-27, მსუბუქი ტანკები T-24 და T-26, სწრაფმავალი ბორბლიან-მუხლუხა ტანკი БТ, საშუალო ტანკი T-28, შემდეგ მძიმე ტანკი T-35 და მცურავი ტანკიT-38, აი უკვე პირველ ხუთწლედში დაახლოებით 10 ათასამდე ტანკი, ტანკეტი და ჯავშნიანი მანქანა გამოუშვა მრეწველობამ.

საბჭოთა სამხედრო ხელმძღვანელობამ აქტიურად მოჰკიდა ხელი მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო მშენებლობის ახალი გეგმის შემუშავებას. 1930 წლის დასაწყისში სსრკ რევოლუციური სამხედრო საბჭო ამტკიცებს პროგრამას სხვადასხვა სახეობის სახმელეთო და საზღვაო თვითმფრინავების, აეროსტატების, აეროფოტოაპარატებისა და ხელსაწყოების შესაქმნელად. თანაც მთავარი ყურადღება ეთმობა ბომბდამშენ და გამანადგურებელ ავიაციას. ორი წლის შემდეგ შესასრულებლად მიიღეს მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების ორგანიზაციის დებულება, სადაც სტრატეგიული და ოპერატიულ-ტაქტიკური საკითხები თავდასხმის შემთხვევაში ქვეყნის თავდაცვის თვალსაზრისით იყო განხილული. შორეული ბომბდამშენი ავიაცია დაყვანილ იქნა ჭსხეილ შენაერთებად, რომელსაც შესწევდა უნარი, დამოუკიდებლად გადაეწყვიტა ოპერატიული ამოცანები. ერთი წლის შემდეგ მძიმე ბომბდამშენი ავიარაზმები ერთიანდებიან კორპუსში.

მუშურ-გლეხური წითელი არმიის კავალერიის ინსპექციას მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა წითელი არმიის საბრძოლო მომზადების სამმართველოსთან. იქ პირველად გავიცანი ალექსანდრე მიხეილის ძე ვასილევსკი, რომელთანაც, როგორც უმაღლესი მთავარსარდლობის წარმომადგენელთან, ერთად მიხდებოდა ფრონტზე მუშაობა დიდი სამამულო ომის წლებში. ჯერ კიდევ მაშინ ალექსანდრე მიხეილის ძემ დიდებულად იცოდა თავისი საქმე, რადგან დიდ ხანს მეთაურობდა პოლკს და დაწვრილებით ჰქონდა შესწავლილი საბრძოლო მომზადების სპეციფიკა. სამმართველოში მას დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ. კარგადაა ცნობილი ამ სამმართველოს ხელმძღვანელის მე-2 რანგის არმიის სარდლის ა. ი. ლაპინის ნაყოფიერი მოღვაწეობა, შემდეგ კი მისი შემცვლელის მეორე რანგის არმიის სარდლის ა. ი. სედიაკინის მუშაობა.

1931 წლის პირველი ნახევრის დასასრულს საკ. კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურთა და პოლიტმუშაკთა შემადგენლობის შესახებ“, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო სამხედრო კადრების საბრძოლო მომზადებასა და აღზრდაში ძირითადი წარმატებები და ნაკლოვანებანი.

დადგენილებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ტექნიკური მომზადების მოცულობის გაფართოებას, საინჟინრო-ტექნიკური კადრების უფროსი რგოლის რიცხვის გაზრდას, არმიაში პოლიტიკური აღზრდის გაუმჯობესებას. იმ ხანებში ჩამოყალიბდა ძირითადად მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურთა შემადგენლობის მომზადების საერთო სისტემა.

რაც შეეხება ნორმალურ სამხედრო სკოლებს, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საავიაციო ჯავშნოსატანკო, საარტილერიო და ტექნიკურ სკოლებს. 1924 წელთან შედარებით კურსანტების რიცხვი (მაშინ მათი ოდენობა დაახლოებით 25 ათასს შეადგენდა) 2-ჯერ გადიდდა. უფროს მეთაურთა შემადგენლობის მომზადების გაფართოების მიზნით გადაწყდა, სამხედრო-ტექნიკური აკადემიის ფაკულტეტების ბაზაზე შეექმნათ მექანიზაციისა და მოტორიზაციის სამხედრო აკადემია, საარტილერიო, სამხედრო-ქიმიური, სამხედრო-ელექტროტექნიკური, სამხედრო-საინჟინრო აკადემიები, ჩამოყალიბებულიყო ახალი სამხედრო-სატრანსპორტო აკადემია. მნიშვნელოვნად უნდა გაზრდილიყო მ. ვ. ფრუნზეს სამხედრო აკადემიასა და სამხედრო პოლიტიკურ აკადემიებში მიღება. ამრიგად, უმაღლეს სამხედრო სასწავლებელთა რაოდენობა თითქმის ორჯერ გადიდდა, ხოლო მსმენელთა რიცხვი 1928 წელთან შედარებით 1932 წელს 3200 კაციდან 16 ათას ხუთასამდე გაიზარდა.

საბრძოლო მომზადების სამმართველო თავის მოღვაწეობაში ეყრდნობოდა პარტიის უახლოეს მითითებებს და ნათლად ჰქონდა შეგნებული, რომ არმიის უშიშროების განმტკიცება უპირველეს ყოვლისა დამოკიდებული იყო ტექნიკისა და თანამედროვე ბრძოლის რთული ფორმების დაუფლებაზე. ამასთანავე შემუშავდა და ცხოვრებაში გატარდა ათობით ღონისძიება, რომელიც ეხებოდა არა მარტო კადრების მომზადებას სამხედრო-სასწავლო დაწესებულებებსა და დაბელოვნების სხვადასხვა კურსებზე, არამედ უშუალოდ ჯარებში დაძაბულ საბრძოლო სწავლებასაც.

იმ დროისათვის მეთაურების თითქმის ასმა პროცენტმა მიიღო სპეციალური სამხედრო განათლება. ნაცვლად 1929 წელს არსებული თვეში 6-8 საათისა, ახლა მეთაურთა მომზადებისათვის უკვე განკუთვნილი იყო 42 საათი, ტაქტიკურ და საცეცხლე მომზადებასთან ერთად თანდათან მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ტექნიკური მომზადება, რომელიც სავალდებულო ტექნიკური მინიმუმის პროგრამის მიხედვით ტარდებოდა ყველა სახეობის ჯარებისა და ყველა კატეგორიის მეთაურთა შემადგენლობისათვის. თადარიგის მეთაურ-უფროსთა შემადგენლობის შეკრებებზე შემოიღეს ახალი ტექნიკისა და იარაღის შესწავლა.

ძალიან დიდ მუშაობას ეწეოდა არტილერიის ინსპექციის კოლეკ-

ტივი, რომელსაც სათავეში ედგა არტილერიის ინსპექტორი ნ. მ. როგოვსკი მან კარგად იცოდა საარტილერიო საქმე და ჯარებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. ოლქის ჯარების სარდლები, შენაერთთა მეთაურები, საარტილერიო სამსახურის ინჟინრები ნ. მ. როგოვსკის აზრს დიდ ანგარიშს უწევდნენ.

ვინც მაშინ არტილერიის საკითხებზე მუშაობდა, რთული ამოცანების გადაჭრა უხდებოდა. არტილერიის მატერიალური ნაწილი ძლიერ გაცვდა. მნიშვნელოვნად იყო შოძველებული მისი ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემებიც. ყველაფერი ეს ძირითადად წარმოადგენდა იმას, რაც ძველი არმიისგან შევიღეთ მემკვიდრეობით.

მაგრამ უკვე 1929 წელს სსრკ რევოლუციურმა სამხედრო საბჭომ შეიმუშავა სისტემა მუშურ-გლეხური წითელი არმიის ხელახალი საარტილერიო შეიარაღებისა, რომელიც ნაკარაუდევი იყო ხუთი წლისათვის და ითვალისწინებდა ქვემეხის საცეცხლე ძლიერების, შორსსროლის, სწრაფსროლის, მიზანში მოხვედრების სიზუსტეთა გაუმჯობესებას, მსხვილი საარტილერიო საკონსტრუქტორო ბიუროების შექმნას. საფუძველი ჩაეყარა საარტილერიო ქარხნებს, რომლებმაც შემდეგში საშუალება მოგვცა შეგვექმნა ახალი და მოდერნიზებული საარტილერიო სისტემისა და საბრძოლო მასალების წარმოება. მიღებულ იქნა ზომები კვალიფიციური ინჟინრებისა და ტექნიკოსების მოსამზადებლად. 1928 წლიდან 1933 წლამდე საარტილერიო ქარხნების სიმძლავრე 6-ჯერ გაიზარდა, ხოლო მცირე კალიბრის ქვემეხებისა — 35-ჯერ.

თავდაცვის სახალხო კომისარიატის აპარატში ჩემი მაშინდელი მუშაობის დასასრულს, შეეუდექით მუშურ-გლეხური წითელი არმიის მშენებლობის მეორე ხუთწლიანი გეგმის შემუშავებას 1934-38 წლებისათვის. პარტიის ძირითადი მითითებანი იმაში მდგომარეობდა, რომ დაგვემთავრებინა ჯარების დაწყებული ტექნიკური რეკონსტრუქცია და ხელახალი შეიარაღება თანამედროვე საბრძოლო ტექნიკის, ბრძოლის გადამწყვეტი საშუალებების — ავიაციის, ტანკების, არტილერიის ფართო დანერგვით, უზრუნველგვეყო წითელი არმია აგრესიის მოგერიების შესაძლებლობებით. ამ ხაზის განხორციელებისათვის შრომისა და თავდაცვის საბჭომ მიიღო დადგენილებები, „სამხედრო-საზღვაო მშენებლობის პროგრამის შესახებ 1933-1938 წწ.", „მუშურ-გლეხური წითელი არმიის საარტილერიო შეიარაღების სისტემის შესახებ მეორე ხუთწლედში", დამტკიცდა 1935-1937 წლებში სამხედრო-საჰაერო ძალების განვითარების გეგმა.

როდესაც ელაპარაკობ 30-იანი წლების დასაწყისის თავდაცვის სახალხო კომისარიატზე, არ შემიძლია არ აღვნიშნო სახალხო კომისარიატის ცენტრალური პარტიული ბიუროს მოღვაწეობა, რომელიც მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდა და შემოქმედებითად ხელმძღვანე-

ლობდა ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებს. სახალხო კომისარიატისა და წითელი არმიის ინსპექციის მთელი ცენტრალური სამმართველო აქტიურად და შემოქმედებითად მუშაობდა, ცხოვრობდა სისხლსავსე ცხოვრებით. კარგად იყო დაყენებული მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლა, ზოგადსაგანმანათლებლო და კულტურულ-მასობრივი მუშაობა. პარტიული კრებები აქტიურად და თვითკრიტიკულად ტარდებოდა.

იმ პერიოდში ბუშურ-გლეხური წითელი არმიის კავალერიის ინსპექცია უაღრესად ავტორიტეტული იყო ცხენოსანთა ნაწილებში. გარდა ინსპექტირებისა, იგი აწყობდა საყურადღებო საკომანდო-სამტაბო თამაშობებს, საველე სწავლებას. სხვადასხვა შეკრებებსა და მეცადინეობებს ჯარის საბრძოლო მომზადების, მოწინავე გამოცდილების გასაზიარებლად.

საერთოდ იმ დროს მუშურ-გლეხური წითელი არმიის საკავალერიო ნაწილები თავიანთი საბრძოლო მომზადებით მეწინავეთა რიგებში იდგნენ და სულაც არ იყო შემთხვევითი, რომ ახლად შექმნილ სახეობის ჯარებში, განსაკუთრებით სატანკო და მექანიზებულ ჯარებში, ცხენოსანთა ჯარის მეთაურთა შემადგენლობის საუკეთესო კადრები იგზავნებოდნენ.

ინსპექციაში მთელ რიგ მოვალეობათა შესრულებისას ვმონაწილეობდი სხვადასხვა სახეობისა და სამსახურის ჯარების წესდებისა და ინსტრუქციების შემუშავებაში.

უნდა ითქვას, რომ წესდებათა შინაარსს მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში სერიოზული მნიშვნელობა ენიჭებოდა. მათში ყოველთვის მტკიცედ ინერგებოდა სამხედრო მეცნიერების მიღწევები, ისინი დაფუძნებული იყო თანამედროვე ტექნიკის დონეზე, ითვალისწინებდნენ სამხედრო ოპერაციების ხასიათში მომხდარ ცვლილებებს. წესდებების პირველი ჯგუფი, რომელიც განაზოგადებდა მსოფლიო და სამოქალაქო ომების გამოცდილებებს. აგრეთვე სამხედრო რეფორმების შემდეგ მომხდარ გარდაქმნებს, ჯარებმა 1924-1925 წლებში მიიღეს. უპირატესად ეს იყო დროებითი წესდებები — შინაგანი სამსახურისა, საგარნიზონო სამსახურისა, დისციპლინარული და მსროლელთა ჯარების წესდება, გემზე სამსახურის წესდება, მუშურ-გლეხური წითელი არმიის კავალერიის, არტილერიის, ჯავშნოსანი ნაწილების საბრძოლო წესდებები.

ამ წესდებათა ძირითადი ხაზი, რომელმაც ყველაზე სრული ასახვა ჰპოვა მუშურ-გლეხური წითელი არმიის დროებით საველი წესდებაში (1929 წ.), ნაწილი II (დივიზია, კორპუსი), წამოყენებული იყო მოთხოვნა, რომ ომი განხილულიყო, როგორც საერთო საჯარისო ხარისხში, რომლის წარმატება ემყარებოდა ჯარების ყველა სახეობის

ურთიერთმოქმედებას. წესდებაში უკვე იყო ლაპარაკი ტანკების გამოყენების წესზე, ტანკსაწინააღმდეგო, ჰაერსაწინააღმდეგო და ქიმსაწინააღმდეგო თავდაცვაზე, ავიაციისა და საინჟინერო ჯარების გამოყენებაზე.

ახლა უკვე სამოქმედოდ იღებდნენ მთელ რიგ ახალ წესდებებსა და დარიგებებს, რომლებიც ცვლიდნენ და ავსებდნენ 1924-1925 წლების წესდებებს. ეს იყო მუშურ-გლეხური წითელი არმიის დროებითი დარიგება საჯარისო შენილბვაზე, მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების საბრძოლო წესდება, დარიგებანი სატელეფონო-სატელეგრაფო საქმის, წყალქვეშა დანაღმვის შესახებ და სხვ.

რათა მეტად აღარ დავუბრუნდე ამ თემას, შევნიშნავ, რომ საყოველთაო აღიარებით, მაღალი შეფასება დაიმსახურა 1936 წლის დროებითმა საველე დებულებამ, რომელშიც დამუშავებული და დასაბუთებული იყო თანამედროვე ომის წარმოების მნიშვნელოვანი საკითხები. მთლიანად წითელ არმიას 30-იანი წლების პირველ ნახევარში ჰქონდა მოწინავე და საფუძვლიანი სამხედრო თეორია, რომელიც განმტკიცებული იყო კვალიფიციურ წესდებათა და დარიგებათა სისტემაში.

1931 წელს მუშურ-გლეხური წითელი არმიის შტაბს სათავეში ჩაუდგა ა. ი. ეგოროვი. კავალერიის ინსპექციას თავისი მოღვაწეობის თავისებურების გამო ნაკლებად ჰქონდა საქმე მუშურ-გლეხური წითელი არმიის შტაბთან, მაგრამ ჩვენ კარგად ვიცოდით, რომ მუშაკების უმრავლესობა კმაყოფილებით შეხვდა გენერალური შტაბის უფროსად ა. ი. ეგოროვის დანიშვნას.

ჩვენ მივიჩნევდით, რომ მ. ნ. ტუხაჩევსკი, რომელსაც სახალხო კომისრის პირველი მოადგილის პოსტი ეჭირა, მუშურ-გლეხური წითელი არმიის შტაბის უფროსი ა. ი. ეგოროვი და ისეთი ნიჭიერი სამხედრო თეორეტიკოსი, როგორიც იყო შტაბის უფროსის მოადგილე ვ. კ. ტრიანდაფილოვი, სახალხო კომისარს კ. ე. ვოროშილოვს კარგ დახმარებას გაუწევდნენ.

კავალერიის ინსპექციაში მუშაობის პერიოდში ბედნიერება მქონდა უფრო ახლოს გავცნობოდი მიხეილ ნიკოლოზის ძე ტუხაჩევსკის.

როგორც უკვე აღვნიშნე, მიხეილ ნიკოლოზის ძეს პირველად შევხვდი ჯერ კიდევ 1921 წელს ანტონოვის კულაკური აჯანყების ლიკვიდაციის დროს. ამ ათლეტური აღნაგობის მამაკაცს შთამბეჭდავი გარეგნობა ჰქონდა. ჩვენ ჯერ კიდევ მაშინ აღვნიშნავდით, რომ ეს ადამიანი არ მიეკუთვნებოდა მხდალთა კატეგორიას: იმ რაიონებში, სადაც ბანდიტები იმალებოდნენ, იგი მეტად მცირე დაცვით დადიოდა.

ახლა კი თავდაცვის სახალხო კომისრის პირველი მოადგილის პოსტზე მიხეილ ნიკოლოზის ძე ტუხაჩევსკი დიდ ორგანიზაციულ, შემოქმედებით და მეცნიერულ მუშაობას ეწეოდა. მასთან შეხვედრის დროს მატყვევებდა სამხედრო მეცნიერების საკითხებში მისი მრავალმხრივი განსწავლულობა. იგი ჭკვიანი, ღრმად განვითარებული პროფესიული სამხედრო პიროვნება იყო და შესანიშნავად ერკვეოდა როგორც ტაქტიკის, ასევე სტრატეგიის საკითხებში. მ. ნ. ტუხაჩევსკის კარგად ესმოდა თანამედროვე ომებში ჩვენი შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სახეობის შენაერთთა როლი და ყველა პრობლემას შემოქმედებითად განიხილავდა.

მიხეილ ნიკოლოზის ძე სტრატეგიისა და ტაქტიკის სფეროში ყველა თავის პრინციპულ დასკვნას აფუძნებდა ჩვენში და საზღვარგარეთ მეცნიერებისა და ტექნიკის მძლავრ განვითარებაზე. ყოველთვის ხაზს უსვამდა, რომ ეს გარემოება გადამწყვეტ გავლენას მოახდენს შეიარაღებული ძალების ორგანიზაციასა და მომავალი ომის წარმოების ხერხებზეო.

ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში მ. ნ. ტუხაჩევსკი გვაფრთხილებდა, რომ ჩვენი უპირველესი მტერი გერმანიაა, რომ იგი გაძლიერებით ემზადება დიდი ომისათვის და. უეჭველია, პირველ რიგში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. უფრო გვიან, დაბეჭდილ შრომებში იგი არაერთხელ მიუთითებდა, რომ გერმანია ამზადებს ძლიერ, დამპყრობლურ არმიას, რომელიც შედგება მძლავრი საჰაერო, სადესანტო და სწრაფმავალი ნაწილებისაგან, ძირითადად მექანიზებული და ჯავშანსატანკო ნაწილებისაგან. იგი მიუთითებდა გერმანიის შესამჩნევად გაზრდილ სამხედრო-სამრეწველო პოტენციალზე, საბრძოლო ავიაციისა და ტანკების მასობრივად გამოშვების მის შესაძლებლობაზე.

1931 წლის ზაფხულში, I საკავალერიო კორპუსის ბანაკში ყოფნისას, ცხენოსანთა პოლკის მეთაურის ნიკოლოზ ივანეს ძე გუსევისა და I საკავალერიო დივიზიაში მომსახურე სხვა ამხანაგების მონაწილეობით ვამუშავებდი მეშურ-გლეხური წითელი არმიის ცხენოსანთა ჯარის საბრძოლო წესდების პროექტს (პირველი ნაწილი და მეორე ნაწილი). შემოდგომაზე ინსპექციაში განხილვის შემდეგ პროექტი მ ნ. ტუხაჩევსკის გადაეცა.

ინსპექტორის მოადგილესთან, კორპუსის მეთაურ ი. დ. კოსოგოვთან ერთად მრავალჯერ მომიხდა წესდებების ამა თუ იმ დებულების დაცვა. მაგრამ ვალიარებ, რომ ხშირად ფარ-ხმალს ვყრიდით მ. ნ. ტუხაჩევსკის საფუძვლიანი და ლოგიკური შენიშვნების წინაშე და მისი მადლიერი ვიყავით იმ შესანიშნავ დებულებათა გამო, რომლითაც მან გაამდიდრა ჩვენი წესდებების პროექტები.

მ. ნ. ტუხაჩევსკის შესწორებების შემდეგ წესდებანი გამოიცა

და ცხენოსანთა ნაწილებმა საბრძოლო მომზადების კარგი სახელმძღვანელო მიიღეს.

უკანასკნელად მ. ნ. ტუხაჩევსკი ვნახე 1931 წელს გამართულ პარტიულ აქტივზე, როცა მან მოხსენება წაიკითხა საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. იგი დარწმუნებით ლაპარაკობდა ჩვენი სახელმწიფოს მზარდ ძლიერებაზე, სოციალისტური ეკონომიკის, მეცნიერების, ტექნიკის დიდ პერსპექტივებსა და კულტურის გაფურჩქვნაზე. როცა ახალი სახელმწიფოსა და არმიის მშენებლობაში ბოლშევიკური პარტიის როლს შეეხო, მიხეილ ნიკოლოზის ძემ გულთბილად მოიგონა ვ. ი. ლენინი, რომელსაც მრავალჯერ შეხვედრია და რომელთანაც ერთად უმუშავნია.

მიხეილ ნიკოლოზის ძემ ამ აქტივის კრებაზე გაგვიზიარა თავისი მოსაზრებანი, ჩამოყალიბებული თავის მონოგრაფიაში, რომელზეც ამჯანად მუშაობდა. მათი არსი შეეხებოდა ომის ახალ პრობლემებს. მაშინ სამხედრო მეცნიერების საკითხებში ნაკლებად განსწავლულები ვიყავით და ორატორს მოჯადოებულებივით ვუსმენდით. იგრძნობოდა, რომ მ. ნ. ტუხაჩევსკი იყო სამხედრო აზრის გიგანტი, წარმოსაჩენი ვარსკვლავი ჩვენი სამშობლოს სამხედროთა პლეადაში.

უფრო გვიან, 1936 წელს, როცა იგი სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიაზე გამოვიდა, დამსწრეთა ყურადღება კვლავ მიაპყრო ფაშისტური გერმანიისაგან მოსალოდნელ სერიოზულ საფრთხეს. მისი ნათელი, პატრიოტული სიტყვა გერმანიის შეიარაღებისა და მისი აგრესიული მისწრაფებების შესახებ სერიოზულ ანალიზსა და ციფრებს ეყრდნობოდა.

კავალერიის ინსპექციამ დიდი მუშაობა ჩაატარა ცხენოსანთა ნაწილებისა და შენაერთების ორგანიზაციის, მათი შეიარაღების სისტემისა და ომების წარმოების ხერხების გადასინჯვისათვის.

ინსპექციაში გამართული ხანგრძლივი კამათისა და ცხენოსანთა შენაერთების მეთაურებთან ერთად საკითხების დეტალურად განხილვის შემდეგ გადაწყდა, რომ დივიზიის შემადგენლობაში უნდა ყოფილიყო ოთხი საკავალერიო, ერთი მექანიზებული და ერთი საარტილერიო პოლკი. საკავალერიო პოლკი უნდა შედგებოდეს მხედართა ოთხი, მეტყვიამფრქვევეთა ერთი ესკადრონისაგან, საპოლკო ბატარეისაგან, საჰაერო თავდაცვის ცალკე ოცეულისაგან, მოკავშირეთა ცალკე ოცეულისაგან, მენალმეთა ცალკე ოცეულისაგან, ქიმიური ცალკე ოცეულისა და შესაბამისი სამეურნეო ორგანოებისაგან. საარტილერიო პოლკს თავის შემადგენლობაში უნდა ჰყოლოდა 122-მილიმეტრიანი ქვემეხების დივიზიონი და 76-მილიმეტრიანი ზარბაზნების დივიზიონი. მექანიზებული პოლკი БТ-5 ტანკებით იარაღდებოდა.

ამრიგად, წითელი არმიის ცხენოსანთა ჯარი იარაღდებოდა ისეთი

ტექნიკური და სასროლი საშუალებებით, რომლებიც მნიშვნელოვნად ცვლიდნენ მისი ორგანიზაციის ხასიათს და ომის წარმოების ხერხებს. ახლა მას შეეძლო საკუთარი სასროლი საშუალებებით, ტანკების დარტყმით გაეკაფა გზა და შეემუსრა პირისპირ მდგომი მეტოქე.

ახალი საბრძოლო წესდებები და კავალერიის ინსპექციის მიერ შემუშავებული მთელი რიგი ინსტრუქციები გამომდინარეობდნენ ღრმა ოპერაციისა და ღრმა ბრძოლის წარმოების ძირითადი დებულებებიდან.

ღრმა შეტევითი ოპერაციის თეორიის დაფუძნება ჩვენი სამხედრო ხელოვნების სერიოზული მიღწევა გახლდათ. საერთოდ ეს ოპერაცია ითვალისწინებდა ტანკების, ავიაციის, არტილერიისა და საჰაერო დესანტის მასობრივ გამოყენებას და შეეფარდებოდა თანამედროვე, ტექნიკურად აღჭურვილი არმიების საბრძოლო მოქმედებას. ღრმა ოპერაციის არსი კი შემდეგში მდგომარეობდა. მისი პირველი ამოცანა იყო მთელ ტაქტიკურ სიღრმეზე ერთდროული დარტყმების შედეგად მოწინააღმდეგის ფრონტის გარღვევა, მეორე — იერიშში დაუყოვნებლივ შეყვანა ჰექანიზებული ნაწილებისა, რომლებსაც ავიაციასთან შეთანხმებული მოქმედებით შეტევა უნდა ეწარმოებინათ ოპერატიულ თავდაცვის მთელ სიღრმეზე მეტოქის ყველა დაჯგუფების განადგურებამდე.

ამასთან გათვალისწინებული იყო, რომ მრავალმილიონიან არმიებს ომი მოუხდებოდათ უდიდეს სივრცეებზე. ღრმა ოპერაციის წარმატებას კი უზრუნველყოფდა ავიაციითა და არტილერიით თავდაცვის მთელს სიღრმეზე მეტოქის დამარცხება, პლუს გაბედული მოქმედება მტრის დაჯგუფების ფლანგებსა და ზურგში მოწინააღმდეგის გარშემორტყმისა და შემუსვრის მიზნით.

სამხედრო მეცნიერება, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ წითელი არმიის მეთაურთა შემადგენლობის კადრები სახეს იცვლიდა ახალი ტექნიკის, ახალი იარაღის, ჩვენი ქვეყნის ახალ შესაძლებლობათა ბაზაზე, და, რა თქმა უნდა, საეარაუდო მეტოქის ბრძოლისუნარიანობის გათვალისწინებითაც.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი არმიას აიარაღებდა თანამედროვე საბრძოლო საშუალებებით, ხოლო სამხედრო ხელმძღვანელობას ეხმარებოდა — უფრო ღრმად გაეაზრებინა სამხედრო მეცნიერებაში მომხდარი ცვლილებები. ამ მიზნით პოლიტბიუროსა და მთავარ სამხედრო საბჭოზე სისტემატურად განიხილავდნენ სამხედრო სტრატეგიის, ოპერატიული ოსტატობის, არმიისა და ფლოტის ხელახალი შეიარაღების პრობლემურ საკითხებს. ამ თათბირებს, როგორც წესი, ესწრებოდნენ სამხედრო ოლქების, ფლოტის, სამხედრო-საჰაერო ძალთა სარდლები. თათბირების შედეგებსა და გადაწყვეტილებებს ეცნო-

ბოდა არმიის, ფლოტისა და სამხედრო-საჰაერო ძალთა მთელი ხელმძღვანელი შემადგენლობა.

ჩვენთვის, ინსპექციაში მომუშავეებისათვის, ცხენოსანთა ხელახალ შეიარაღებას და ნაწილების მიერ ახალი ორგანიზაციისა და საბრძოლო წესდებების ათვისებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან შენაერთთა უმრავლესობა მაშინ განლაგებული იყო უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ მიმართულებებზე, სახელმწიფო საზღვრების აბლოს, ხოლო ეს გარემოება კავალერიის განსაკუთრებულ საბრძოლო მზადყოფნას მოითხოვდა.

ერთხელ გამომიძახა კავალერიის ინსპექტორის პირველმა მოადგილემ ი. დ. კოსოგოვმა და მაცნობა, რომ ჩემი კანდიდატურა წარედგინება კ. ე. ვოროშილოვს მე-4 საკავალერიო დივიზიის მეთაურის თანამდებობაზე დანიშვნისათვის.

ი. დ. კოსოგოვმა მკითხა, როგორ უყურებ ამ მოსალოდნელ დანიშვნას და გაწყობს თუ არა ბელორუსიის სამხედრო ოლქში მუშაობაო. მე ვუპასუხე, რომ ასეთი სახელგანთქმული დივიზიის მეთაურობას მივიჩნევდი, როგორც განსაკუთრებულ დაფასებას. ბელორუსიის სამხედრო ოლქს კარგად ვიცნობ, მის შემადგენლობაში ათი წელი ვიმსახურე. ჩემი ნაცნობია მე-6 კორპუსის მეთაური ე. ი. გორიაჩოვი, კავალერიის უაღრესად გამოცდილი უფროსი-მეთქი.

ი. დ. კოსოგოვთან საუბარი ამით ამოიწურა. გამომშვიდობებისას მითხრა, რომ გამესაუბრება აგრეთვე ს. მ. ბუდიონი.

ეს საუბარი გაიმართა რამდენიმე დღის შემდეგ, როცა ჩემი დანიშვნის ბრძანებაზე სახალხო კომისარს უკვე მოწერილი ჰქონდა ხელი. გამომშვიდობებისას ს. მ. ბუდიონიმ აღელვებით თქვა:

— მე-4 დივიზია ცხენოსანთა შორის ყოველთვის საუკეთესო იყო და იგი უნდა იყოს კიდეც საუკეთესო!

კმაყოფილებით აღვნიშნავ, რომ სემიონ მიხეილის ძის ეს სურვილები ასრულდა. მაგრამ სანამ დივიზია კვლავ პირველ რიგებში ჩადგებოდა, ყველას, განსაკუთრებით კი მეთაურთა, პოლიტიკურ შემადგენლობას და პარტიულ ორგანიზაციებს, ბევრი შრომის დახარჯვა მოუხდათ.

ს. მ. ბუდიონი წიგნში „განვლილი გზა" საკმაოდ დაწვრილებით აღწერს მე-4 საკავალერიო დივიზიის ბრწყინვალე გამარჯვებებს. მე მსურს შემოვიფარგლო ზოგიერთი მოგონებით, რომელიც ამ სახელგანთქმული დივიზიის მეთაურად ჩემი ყოფნის პერიოდს განეკუთვნება.

კ. ე. ვოროშილოვის სახელობის მე-4 საკავალერიო დივიზია ცხენოსანთა ლეგენდარული პირველი არმიის ბირთვი იყო. სამოქალაქო

ომის მრისხანე ბრძოლებში მან მამაცობისა და მასობრივი გმირობის სასწაულები გვიჩვენა.

1931 წლამდე დივიზია განლაგებული იყო ლენინგრადის სამხედრო ოლქში და ბინადრობდა იმ ქალაქებში, სადაც ადრე, მეფის ხელისუფლების დროს, ცხენოსანთა გვარდიული ნაწილები იდგნენ (გატჩინა, პეტერგოფი, დეტსკოე სელო). სამოქალაქო ომის წლებიდან მოყოლებული მე-4 დივიზია ერთ-ერთი საუკეთესო იყო ჩვენს კავალერიაში. დივიზიის პირადი შემადგენლობა უფრთხილდებოდა სახელოვან საბრძოლო ტრადიციებს, ახალგაზრდა მხედრებს უნერგავდა მაღალი პასუხისმგებლობისა და სამხედრო მოვალეობის გრძნობებს.

1932 წელს დივიზია სასწრაფოდ გადაიყვანეს ბელორუსიის სამხედრო ოლქში, ქალაქ სლუცკში. როგორც ჩვენთვის შემდეგ ცნობილი გახდა, ამ გადაადგილებას განსაკუთრებული ოპერატიული მოსაზრებებით ხსნიდნენ. მაგრამ იმ პერიოდში სავსებით მოუმზადებელ ბაზაზე დივიზიის სასწრაფოდ გადაყვანის არავითარი საჭიროება არ არსებობდა. ამის ხაზგასმა მნიშვნელოვანია, რადგან წელიწადნახევრის განმავლობაში დივიზია იძულებული გახდა თვითონ ეშენებინა ყაზარმები, თავლები, შტაბები, საცხოვრებელი ბინები, საწყობები და მთელი სასწავლო ბაზა. ამის შედეგად ბრწყინვალედ მომზადებული დივიზია გადაიქცა ცუდად მომუშავე სამხედრო ნაწილად. სამშენებლო მასალების ნაკლებობა, წვიმიანი ამინდები და სხვა არახელსაყრელი პირობები ზამთრისათვის დროული მომზადების საშუალებას არ იძლოდა. ამან ძალზე ცუდად იმოქმედა დივიზიის საერთო მდგომარეობასა და მის საბრძოლო მზადყოფნაზე. დაეცა დისციპლინა, გახშირდა ცხენების ავადმყოფობა.

კორპუსის ხელმძღვანელობას არაფრით შეეძლო დახმარება, რადგან მე-6 კაზაკთა კორპუსის ასევე სასწრაფოდ და ამავე ბაზაში გადმოყვანილი სხვა ნაწილებიც ანალოგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ.

1933 წლის გაზაფხულზე ბელორუსიის სამხედრო ოლქის სარდალმა, პირველი რანგის არმიის სარდალმა ი. პ. უბორევიჩმა დივიზიის ნაწილების მოკლე ინსპექტირების შემდეგ ამჯერად უკვე დონის კაზაკთა მე-4 დივიზიად წოდებული ნაწილი დაჩაჩანაკებულ მდგომარეობაში იხილა. უნდა აღინიშნოს, რომ არმიის სარდალმა თავის დროზე საჭირო დახმარება არ გაუწია დივიზიას მშენებლობის საქმეში, იგი ყურადღებას არ აქცევდა, თუ რა პირობებში იმყოფებოდნენ ნაწილები. ახლა მან აჩქარებით დაასკვნა, რომ ამ მდგომარეობისათვის მთავარი ბრალი მიუძღვის დივიზიის მეთაურს გ. პ. კლეტკინსო.

უეჭველია, დივიზიისათვის პასუხს აგებს მეთაური, ამიტომაა ის ერთმმართველი. მაგრამ უფრო მაღალი რანგის მეთაურს თავისი

სამსახურებრივი მოვალეობის გამო, და აგრეთვე როგორც უფროს ამხანაგს, მოეთხვება ობიექტურობა. ი. პ. უბორევიჩმა კი მისთვის დამახასიათებელი სიფიცხით თავდაცვის სახალხო კომისარს კ. ე. ვოროშილოვს მოახსენა მე-4 დივიზიის მდგომარეობა და მოითხოვა დივიზიის მეთაურის გ. პ. კლეტკინის დაუყოვნებლივ მოხსნა. რა თქმა უნდა, დივიზიას ჰქონდა ნაკლოვანებები, მაგრამ ი. პ. უბორევიჩმა უფრო გაამუქა საღებავები, ამტკიცებდა, თითქოს დივიზიამ დაკარგა ყველა კარგი ტრადიცია და ბრძოლის უნარს მოკლებულიაო.

კ. ე. ვოროშილოვისათვის ეს ძალზე არასასიამოვნო ცნობა გახლდათ: დივიზია მის სახელს ატარებდა, იგი წლების განმავლობაში სისხლ-ხორცეულად იყო დაკავშირებული მასთან, მის რიგებში მყოფს არა ერთხელ გაულაშქრია მტერზე. დივიზიამ აღზარდა ნიჭიერ ქეთაურთა და პოლიტმუშაკთა მთელი პლეადა კავალერიის ინსპექტორისათვის, ს. მ. ბუდიონისათვის მე-4 დივიზია ასევე შვილივით საყვარელი იყო. თავის დროზე მან ჩამოაყალიბა იგი და ბრძოლებში წარუძღვა.

კ. ე. ვოროშილოვმა ს. მ. ბუდიონის გააცნო, თუ რა მოახსენა ი. პ. უბორევიჩმა და წინადადება მისცა, გამოეძებნა ახალი მეთაური.

და, აი, დადგა დღე, როცა მეუღლესა და ქალიშვილთან ერთად ჩავჯექი მატარებელში, რომელმაც კვლავ წაგვიყვანა ნაცნობი ადგილებისაკენ, ბელორუსიისაკენ. მე ვიცნობდი და მიყვარდა ბელორუსია, ბელორუსიის ბუნება, რომელიც მდიდარია დიდებული ტყეებით, ტბებით, მდინარეებით და, როგორც მონადირესა და მებადურს, მიხაროდა, რომ კვლავ ვიხილავდი ამ თვალწარმტაც მიდამოებს. ბელორუსიაში მუშაობის დროს შევისწავლე მისი ადგილმდებარეობის ხასიათი — ჩრდილოეთიდან სამხრეთ საზღვრებამდე. როგორ გამომადგა ეს შემდეგში! მთავარი კი ისაა, რომ ბელორუსიის სამხედრო ოლქში მეგულებოდა მრავალი მეგობარი, ამხანაგი — განსაკუთრებით ცხენოსანთა ნაწილებსა და შენაერთებში.

სიმართლე გითხრათ, მე-4 დივიზიას თითქმის არ ვიცნობდი. აქ მხოლოდ ერთხელ ვიყავი 1931 წელს და მაშინაც ძალზე მოკლე ხნით. დივიზიის ადამიანებს თითქმის არ ვიცნობდი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მეთაურს გ. პ. კლეტკინს, მის მოადგილეს პოლიტნაწილში ნ. ა. იუნგს, დივიზიის შტაბის უფროსს ა. ი. ვერტროგრადსკის, მექანიზებული პოლკის უფროსს ვ. ვ. ნოვიკოვსა და რამდენიმე სხვა მეთაურს. ხოლო ადამიანების, მათი სუსტი და ძლიერი მხარეების ცოდნის გარეშე, მეთაურთა შემადგენლობის უნარის ცოდნის ვარეშე შეუძლებელია წარმატებით უხელმძღვანელო ჯარის ნაწილებს, განსაკუთრებით მეომართა დიდ კოლექტივს.

სლუცკში ჩავედით გაზაფხულის უგზოობის პერიოდში. სადგურ-

ში გაუვალი ტალახი იდგა და სანამ ეკიპაჟს მივაღწევდით. შეუღლეს რამდენჯერმე ტალახში ჩარჩა კალოში. ერთმა, რომელიც მხრებზე მესვა, მკითხა:

— რატომ არაა აქ ტროტუარი, როგორც ეს სოკოლნიკებშია?

მე ვუპასუხე:

— აქაც იქნება ტროტუარი და ლამაზი მოედანი, მაგრამ მოგვიანებით...

ოჯახთან ერთად დროებით შევიხიზნე დივიზიის ქიმსამსახურის უფროსის ვ. მ. დვორცოვის ბინის 8-მეტრიან ოთახში. მასპინძელი იმდენად თავაზიანი გამოდგა, რომ თვითონ ოჯახით უფრო ნაკლები მოცულობის ოთახში გადაბარგდა. ყველას გვესმოდა, რომ ბინებზე გაჭირვება იყო, არავის ჰქონდა პრეტენზია უკეთესზე, სანამ ამ „უკეთესს" თვითონ არ ავაგებდით.

ნახევარი საათის შემდეგ უკვე დივიზიის შტაბში ვიყავი, რომელიც იქვე ეზოში იყო მოთავსებული. დივიზიის მეთაური გ. პ. კლეტკინი შტაბში არ დამხვდა. მან შემომითვალა: შეუძლოდა ვარ და ვერ მიგიღებო. რა თქმა უნდა. ჩემთვის გასაგები იყო მისი სულიერი მდგომარეობა და დაჟინებით არც მომითხოვია დაუყოვნებლივ შევხვედროდი.

დივიზიის საქმეები დაწვრილებით გამაცნეს დივიზიონის კომისარმა ნიკოლოზ ალბერტის ძე იუნგმა და დივიზიის შტაბის უფროსმა ალექსანდრე ივანეს ძე ვეტროგრადსკიმ. მათი მადლიერი დავრჩი, რადგან ყველაფერი სწრაფად და საფუძვლიანად განმიმარტეს. მთავარი მაინც მე მრჩებოდა: თვითონ ძირფესვიანად უნდა შემესწავლა უშუალოდ ნაწილებსა და ქვეგანაყოფებში არსებული ვითარება, განმესაზღვრა ნაკლოვანებები, მეპოვა მათი გამომწვევი მიზეზები და მეთაურებსა და პოლიტმუშაკებთან ერთად დამესახა ამ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციის გზები.

იმავე დღეს გავემგზავრე მანიჩის კაზაკთა მე-19 პოლკში — დივიზიის მეწინავე. უძველეს პოლკში, რომელსაც მეთაურობდა ჩვენი ცხენოსანი არმიის ერთ-ერთი პირველი მეომართაგანი თედორე იაკოვლევის ძე კოსტენკო. პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ ბევრი მსმენოდა ამ კეთილსინდისიერ მეთაურზე, საკავალერიო საქმის დიდ ენთუზიასტსა და კავალერიაში მაშინ ფართოდ გავრცელებულ ცხენოსანთა ყველა სპორტული შეჯიბრების მუდმივ მონაწილეზე.

დიდმა სამამულო ომმა თ. ი. კოსტენკოს მაშინ მოუსწრო, როცა იგი უკრაინაში სახელმწიფო საზღვრის დამცველ 26-ე არმიას სარდლობდა. ამ არმიის ნაწილები და შენაერთები მისი მეთაურობით ძნელ შეუპოვრად იბრძოდნენ, რომ კოლოსალური მსხვერპლის გაღების ფიუხედავად, ფაშისტთა ჯარებმა პირველ დღეებში ვერ შეძლეს უკ-

რაინის სიღრმისაკენ გაჭრა. დიდად სამწუხაროა, რომ თედორე იაკობის ძე კოსტენკოს წილად არ ხვდა ბედნიერება, ეცოცხლა ჩვენს დღეებამდე. იგი გმირთა სიკვდილით დაეცა ხარკოვის მიმართულებით გაშლილ გააფთრებულ ბრძოლებში, როცა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის სარდლის მოადგილის თანამდებობა ეჭირა. მასთან ერთად დაიღუპა მისი, განსაკუთრებით საყვარელი უფროსი ვაჟი — პეტრე. მართლაცდა, არ შეიძლებოდა არ შეგყვარებოდათ პეტრე კოსტენკო. ნახსოვს, მთლად ბავშვი იყო პეტრე, როცა სამხედრო საქმეს სწავლობდა, განსაკუთრებით იტაცებდა ცხენოსნობა და ჩეხვა. თედორე იაკობის ძე ძალზე კმაყოფილი იყო ბავშვის წარმატებებით და იმედოვნებდა, რომ მისგან კავალერიის ღირსეული მეთაური დადგებოდა, და არც შემცდარა.

მანიჩის მე-19 პოლკის შემდეგ დაწერილებით გავეცანი კაზაკთა მე-20, 21-ე, 23-ე პოლკებს, მე-4 საცხენოსნო-საარტილერიო და მე-4 მექანიზებულ პოლკებს, ბოლოს — დივიზიის ცალკეულ ესკადრონებს. ყველაზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა მე-20 საკავალერიო პოლკი, რომელიც სლუცკიდან ოცი კილომეტრის დაშორებით სოფელ კონიუხში იდგა. პოლკს მეთაურობდა ვლადიმერ ვიქტორის ძე კრიუკოვი, სწორედ ის კრიუკოვი, სამამულო ომში საკავალერიო კორპუსს რომ წინამძღოლობდა. ეს კორპუსი არა ერთხელ იყო მოხსენებული უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებებში. პოლკი სახელმწიფო საზღვრის ახლოს იდგა და თითქმის დივიზიის ავანგარდს წარმოადგენდა.

მძიმე პირობების მიუხედავად, შენაერთის მთელი პირადი შემადგენლობის განწყობლება ხალისიანი იყო. ოფიცრების შეუღლეებსაც კი, რომლებმაც ლენინგრადის ახლოს კარგი ბინები დატოვეს, ცხვირპირი როდი ჩამოსტიროდათ. მხოლოდ ერთ რამეზე წუხდნენ: სად ესწავლათ ბავშვებს, არ იყო სკოლები.

კაზაკთა 21-ე პოლკს მეთაურობდა ივანე ნიკოლოზის ძე მუზიჩენკო. მას ვიცნობდი მე-14 საკავალერიო ცალკე ბრიგადიდან, სადაც იგი სამოქალაქო ომის პერიოდში პოლკის სამხედრო კომისრის თანაშემწე იყო. სამამულო ომმა მოუსწრო უკრაინაში, აქ სარდლობდა მე-6 არმიას, რომელსაც შტაბი ლვოვში ჰქონდა. მთელ რიგ გარემოებათა გამო ომის დასაწყისშივე ი. ნ. მუზიჩენკოს არ გაუმართლა. მტრის გაცილებით ჭარბი ძალების მოწოლის შედეგად იძულებული გახდა უკან დაეხია უკრაინის სიღრმეში, შემდეგ მძიმედ დაჭრილი ტყვედ ჩავარდა და მთელი ომის განმავლობაში გერმანიის სამხედრო ტყვეთა ბანაკებში იტანჯებოდა.

კაზაკთა 21-ე პოლკმა თავისი ორგანიზებულობით, სამსახურის მდგომარეობითა და საერთო წესრიგით რამდენადმე უკეთესი შთა-

ბეჭდილება დატოვა. იგრძნობოდა მეთაურთა და პოლიტმუშაკთა შემადგენლობის კარგი ორგანიზაციული საქმიანობა.

მე-4 მექანიზებულ პოლკს მეთაურობდა ვასილ ვასილის ძე ნოვიკოვი. დიდი სამამულო ომის პერიოდში ვ. ვ. ნოვიკოვი მექანიზებულ კოლონასა და არმიას წინამძღოლობდა და არაერთხელ იყო მოხსენებული უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებებში. ცხენოსანთა არმიის ვეტერანი ე. ე. ნოვიკოვი დიდხანს მუშაობდა მე-4 საკავალერიო დივიზიის ოპერატიული განყოფილების უფროსად. პოლკის კომისარი იყო შესანიშნავი ბოლშევიკი არტემ სერგეის ძე ზინჩენკო, ცხენოსანთა ჯარის უხუცესი წარმომადგენელი, რომელიც პირველი საცხენოსნო არმიის შექმნის პირველი დღეებიდანვე ამ არმიის დროშის ქვეშ იბრძოდა. სამამულო ომის წლებში არტემ სერგეის ძე მრავალი დიდი საფრონტო ჰოსპიტლის კომისრად მუშაობდა.

მე-4 მექანიზებული პოლკის რიგებში აღიზარდა ბევრი შესანიშნავი მეთაური და პოლიტმუშაკი, რომლებსაც ახლა პასუხსაგები თანამდებობები უჭირავთ გენერალურ შტაბში, თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ სამმართველოებსა და ჯარის ნაწილებში. ადრე ისინი მუშა ან გლეხი ბიჭები იყვნენ, შემდეგ კი სამხედრო საქმის დიდი სპეციალისტები, უფროსი ოფიცრები და გენერლები გახდნენ.

რამდენადაც მექანიზებულმა ნაწილებმა, განსაკუთრებით კორპუსისა, დიდი სამამულო ომის წლებში თვალსაჩინო როლი შეასრულეს, ხოლო ომის წინ მექანიზებულ კორპუსთა ჩამოყალიბება გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, მინდა ორიოდე სიტყვით შევეხო მექანიზებულ კორპუსთა შექმნის ისტორიას, ხაზი გავუსვა ამ საქმეში ჩვენი არმიის პრიორიტეტს.

1929 წელს სსრ კავშირის რევოლუციური სამხედრო საბჭო ამტკიცებს დადგენილებას (ვ. კ. ტრიანდაფილოვის მოხსენების მიხედვით), რომელშიც ნათქვამია: „იღებს რა მხედველობაში იმ გარემოებას, რომ შეიარაღების ახალი სახეობა — ჯავშნიანი საბრძოლო ძალები — არასაკმაოდაა შესწავლილი როგორც ტაქტიკური გამოყენების მხრივ (როგორც დამოუკიდებლად, ისე ქვეით ჯართან და ცხენოსანთა ნაწილებთან ურთიერთმოქმედების დროს), ისე იმ თვალსაზრისითაც — წარმოადგენს თუ არა იგი უველაზე სასარგებლო ორგანიზაციულ ფორმას. აუცილებლად ჩაითვალოს 1929—1930 წლებში მუდმივი საცდელი მექანიზებული ნაწილის შექმნა“.

ამ დადგენილების შესრულების მიზნით იმავე წელს ჩამოყალიბდა საცდელი მექანიზებული პოლკი. ეს პოლკი უკვე 1929 წელს მონაწილეობდა ბელორუსიის სამხედრო ოლქის საყოველთაო არმიულ სწავლებაში. სწავლებას ხელმძღვანელობდნენ კ. ე. ვოროშილოვი, ბ. მ. შაპოშნიკოვი და ვ. კ. ტრიანდაფილოვი.

1930 წელს პოლკი გარდაიქმნა მექანიზებულ ბრიგადად და ერთბაშად ჩაება საოლქო სწავლებაში. 1932 წელს ამ ბრიგადის ბაზაზე ყალიბდება მსოფლიოში პირველი მექანიზებული კორპუსი, რომელშიც შედის ორი მექანიზებული, ერთი მსროლელ-მეტყვიამფრქვეველთა ბრიგადა და ცალკე საზენიტო-საარტილერიო დივიზიონი. კორპუსს ჰქონდა 500 ტანკსა და 200 ავტომობილზე მეტი. 1936 წლის დასაწყისისათვის შეიქმნა 4 მექანიზებული კორპუსი, 6 ცალკე მექანიზებული ბრიგადა და ამდენივე ცალკე სატანკო პოლკი, 15 საკავალერიო დივიზიის მექანიზებული პოლკი, მსროლელი დივიზიების 80-ზე მეტი სატანკო ბატალიონი და ასეული.

ჩვენი პირველი მექანიზებული შენაერთების შექმნასა და მათს პრაქტიკულ გამოცდას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მექანიზებული ჯარების ფართო გამოყენების თეორიის შემდგომი განვითარებისათვის.

მე-4 მექანიზებული პოლკის შემოწმება დავიწყეთ საბრძოლო განგაშის გამოცხადებით. ამას, ბუნებრივია, არ მოელოდა ხელმძღვანელობა, რადგან პოლკს სულ ახალი დამთავრებული ჰქონდა ლენინგრადის სამხედრო ოლქიდან ბოლო ეშელონების გადმოყვანა. პირველი გაცნობისთანავე მომიხდა ქვეგანყოფილების უფროსებისათვის განმეორება, რომ მექანიზებული პოლკისათვის მთავარია რიგების სწრაფი გაშლა, მატერიალური ნაწილების ზედმიწევნით კარგი ცოდნა, ჯავშანსატანკო იარაღიდან სროლის განსაკუთრებული ოსტატობის დაუფლება. რა თქმა უნდა, როგორც მოსალოდნელი იყო, წვიმიანი ღამით ჩატარებულმა საბრძოლო განგაშმა მრავალი ნაკლი გამოავლინა, განსაკუთრებით ეს ეხებოდა უცნობ ადგილებში მანქანების ტარებასა და სროლას.

ნაწილებში ვითარების შესწავლის დროს მოვასწარი საფუძვლიანად გავცნობოდი დივიზიის შტაბს, ხელმძღვანელ მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს.

შტაბსა და პოლიტგანყოფილებას ცოტა ნაკლი როდი ჰქონდა დივიზიის ნაწილების პრაქტიკული ხელმძღვანელობის თვალსაზრისით. კერძოდ, საბრძოლო მომზადების მიმდინარეობას ცუდად უწევდნენ კონტროლს, საჭირო მომთხოვნელობა აკლდა ბრძანებათა შესრულებას. განსაკუთრებით ჩამორჩებოდა მოწინავე საბრძოლო მომზადების შესწავლის, განზოგადებისა და გავრცელების საქმე. თითოეული ნაწილი „საკუთარ წვენში იხარშებოდა" და იყო შემთხვევები. როცა ერთი ნაწილი რის ვაი-ვაგლახით „აღმოაჩენდა" ხოლმე სწავლების ამა თუ იმ სახეობის ახალ, უფრო სრულყოფილ მეთოდებს, როცა სხვა ნაწილი მათ კარგახანია იყენებდა.

როგორც აღვნიშნე, დივიზიის შტაბს განაგებდა სამხედრო საქმეში ყოველმხრივ განსწავლული, მეფის არმიის ყოფილი ოფიცე-

რი ალექსანდრე ივანეს ძე ვერტოგრადსკი. დივიზიის პოლიტგანყოფილებას ხელმძღვანელობდა უაღრესად უნარიანი პოლიტმუშაკი ნ. ა. იუნგი. მალე იგი დააწინაურეს მე-3 საცხენოსნო კორპუსის მეთაურის მოადგილედ პოლიტნაწილში და მინსკს გაემგზავრა.

შედეგების შეჯამებისა და დივიზიის ხელმძღვანელ შემადგენლობასთან ერთად მათი განხილვის შემდეგ გადავწყვიტეთ თავდაპირველად მოგვეწვია პარტიული აქტივის კრება და კომუნისტებთან მოგველაპარაკა დივიზიის ცხოვრების ყველა დადებითსა და უარყოფით მხარეზე. განზრახული გვქონდა შემდეგ მეთაურთა მთელი შემადგენლობის ფართო თათბირი, რომელზეც უნდა მოგვეწვია ქვეგანყოფილების ზემდეგები, რადგან შინაგანი სამსახურის მოწყობაში მათ განსაკუთრებით დიდი როლი ენიჭებოდათ.

პარტიული აქტივი ძალზე კარგად ჩატარდა. კომუნისტების გამოსვლებში იგრძნობოდა არსებული ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობა, გადაჭრით გმობდნენ იმათ მოსაზრებებს, რომლებიც ცდილობდნენ დაბალი დისციპლინა და სუსტი მომზადება ობიექტური მიზეზებით აეხსნათ.

აქტივის შემდეგ ნათელი გახდა, რომ დივიზიის საერთო მდგომარეობის დაქვეითება გამოიწვია არასაკმაო პოლიტიკურმა მუშაობამ და საბრძოლო მომზადების შესუსტებამ. მეცადინეობა თითქმის მთლიანად შეეწყვიტათ და მთელი ძალები მშენებლობებზე გადაეყვანათ. მაშასადამე, საჭირო იყო დაუყოვნებლივ მოგვეწყო გეგმიური საბრძოლო მომზადება, მთელი შესაძლებლობით გაგვეშალა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, ხოლო მშენებლობისა და სამეურნეო-საყოფაცხოვრებო საქმეებისათვის გეგმით სპეციალურად გათვალისწინებულ დღეებში მიგვეხედა. ამასთან ერთად ვიმედოვნებდით, რომ მივაღწევდით, ოლქის სარდლობას გაცილებით მეტი დახმარება გაეწია, ვიდრე ეს აქამდე ხდებოდა.

პარტიული აქტივის მოსაზრებებს და დივიზიის ხელმძღვანელთა წინადადებებს კარგად შეხვდა და მხარი დაუჭირა მეთაურთა და პოლიტმუშაკთა შემადგენლობის მთელმა თათბირმა.

საბრძოლო მომზადების მხრივ მთავარი ყურადღება უნდა დაგვეთმო მეთაურთა შემადგენლობის ყველა რგოლის მეთოდური მომზადებისათვის. ტაქტიკურ მომზადებაში საჩვენებელ მეცადინეობათა ჩატარება ჩვენ ვითავეთ. სასროლო მომზადებაში საჩვენებელ მეცადინეობას ატარებდა 21-ე პოლკი, ცხენოსნობაში — მე-19 პოლკი და პერსონალურად ამ საქმის საუკეთესო მცოდნე თ. ი. კოსტენკო. სამწყობრო და ფიზიკურ მომზადებაში ასეთ მეცადინეობას ატარებდა ვ. ვ. კრიეკოვი. 23-ე პოლკს ებრძანა, ჩაეტარებინა საინსტრუქციო-მეთოდური მეცადინეობები უმცროს მეთაურთა შემადგენლობისათ-

ვის, ხოლო საცხენოსნო-საარტილერიო და მე-4 მექანიზებულ პოლკებს დაევალათ, მოეწყოთ მეცადინეობა შეტევით ბრძოლაში არტილერიის, ჯავშანსატანკო ტექნიკისა და ცხენოსანთა ნაწილების უერთიერთქმედების თემაზე.

უაღრესად დიდი საორგანიზაციო და მეთოდური მუშაობა გველოდა, რადგან დადებითი შედეგის იმედი მხოლოდ მაშინ გვექნებოდა, როცა მეცადინეობა უმაღლეს დონეზე წარიმართებოდა და შთაბეჭდილებას მოახდენდა ყველაზე, ვისაც ვუჩვენებდით.

ტაქტიკურ მომზადებაში მთავარი საზრუნავი იყო მეთაურთა შემადგენლობის საშუალო და უფროსი რგოლის პირადი მომზადება. გამოცდილება, მრავალწლიანი პრაქტიკა მარწმუნებდა, რომ მხოლოდ ტაქტიკაში განსწავლულ მეთაურებს შეეძლოთ მშვიდობიან დროს კარგი საბრძოლო ნაწილის მომზადება, ხოლო ომის დროს გამარჯვების მოპოვება — უმცირესი მსხვერპლით.

კვლავ მინდა აღვნიშნო, რომ პირადად მე ყოველთვის მიზიდავდა ტაქტიკური მომზადება, როგორც ჯარების საერთო მომზადების უმნიშვნელოვანესი დარგი. გაძლიერებით ვმეცადინეობდი მასში მთელი ჩემი 43-წლიანი სამხედრო სამსახურის განმავლობაში ჯარისკაცობიდან დაწყებული თავდაცვის მინისტრობით დამთავრებული.

სასწავლო დროის უმეტეს ნაწილს დივიზია ველზე ატარებდა და დეტალურად ეუფლებოდა რთულ პირობებში ბრძოლის ორგანიზაციასა და წარმართვას. ხელმძღვანელთა შემადგენლობა ინტერესით ითვისებდა საწყის მდგომარეობაზე სწრაფ სამარშო გადასვლებს, შექმნილი ვითარების მწვავე მომენტებს. მეთაურებისა და პოლიტმუშაკებისაგან გადაჭრით მოვითხოვდით დაუფლებოდნენ ბრძოლაში ნაწილების ზუსტი მართვის ხელოვნებას. უამისოდ შეუძლებელია განახორციელო მეტოქის განადგურება მეტად დინამიურ თანამედროვე ომებში.

ცხენოსანთა ნაწილი მაშინ სახმელეთო ჯარების ყველაზე სწრაფმავალ, მასობრივ სახეობას წარმოადგენდა. მისი დანიშნულება იყო მტრის ფლანგებისა და ზურგის სწრაფი შემოვლა, გარშემორტყმა და დარტყმების განხორციელება. შემხვედრი ბრძოლის ვითარებაში მისგან მოითხოვდნენ საბრძოლო რიგების სწრაფ განლაგებას, მეტოქისადმი ცეცხლის უმალ გახსნას, შეტევის საწყის რაიონში მთავარი ძალების გაბედულ გადასროლასა და უკუქცეული მტრის დაკინებით დევნას.

ცხენოსანთა ჯარის ჯავშანსატანკო საშუალებებით გაძლიერება, საცხენოსნო-საარტილერიო პოლკების საქვემეხო არტილერიით შეიარაღება არა მარტო იმის საშუალებას იძლეოდა, რომ წარმატებით

დაგვეთრგუნა მოწინააღმდეგის წინააღმდეგობა, არამედ გადაგვეკრა შეტევითი ბრძოლისა და ეფექტური თავდაცვის ამოცანებიც.

რა თქმა უნდა, ახალი ტექნიკის ათვისება განსაკუთრებით კი ოპერაციებში მისი გამოყენება, ყოველთვის როდი იყო უმტკივნეულო. ხელს გვიშლიდა ბევრი ჯარისკაცისა და მეთაურის ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის არც თუ ისე მაღალი დონე. ხშირად ხდებოდა ავარიები, ტექნიკური უწესივრობანი, ყველას როდი ესმოდა ტექნიკური ცოდნის მნიშვნელობა, გვაკლდა ტექნიკოსთა კადრები. უნდა გადაგვეკეთებინა ჯარის ძველი გვარეობანი, შეგვექმნა ახალი შენაერთები, საჭიროება მოითხოვდა, ქვეითი და ცხენოსანი ჯარების მეთაურებისათვის შეგვესწავლებინა ავიაცია და ტანკები და ამავე დროს შეგვენარჩუნებინა არმიის საბრძოლო მზადყოფნა, რაც გაწოგვადგებოდა აგრესიის შემთხვევაში. ამის პარალელურად ხორციელდებოდა ჯარების ორგანიზაციული წყობის გარდაქმნა.

მეორეს მხრივ, ახალი ტექნიკა თავისკენ გვიხმობდა, გვიზიდავდა ახალი შესაძლებლობებით, ინტერესს აღძრავდა არმიის მასებში. სამხედრო-ტექნიკურ ცოდნას ფართო პროპაგანდას უწევდნენ პრესა, რადიო, კინო. წითელარმიელები და მეთაურები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით გატაცებით მეცადინეობდნენ უთვალავ სამხედრო-ტექნიკურ წრეებში (1932 წელს ჩვენს ოლქში ასეთ წრეებსა და კურსებზე სწავლობდა მთელი შემადგენლობის დაახლოებით 80 პროცენტი, საერთოდ კი არმიასა და ფლოტში მაშინ 5 ათასამდე სამხედრო-ტექნიკური წრე იყო ჩამოყალიბებული), ისმენდნენ ლექციებსა და მოხსენებებს სამხედრო-ტექნიკურ თემებზე, მონაწილეობდნენ ტექნიკისა და იარაღების საუკეთესო მცოდნეთა კონკურსებსა და შეჯიბრებებში.

ნაწილებში ყველგან ნახავდით არმიელი კომკავშირელების მიერ ტექნიკური ცოდნის პოპულარიზაციის მიზნით მოწყობილ ფარებსა და ფოტოგამოფენებს, ტარდებოდა სახელდახელო მიტინგები და კრებები ტექნიკისადმი ფრთხილი მოპყრობის საკითხებზე, სამხედრო-ტექნიკური წიგნისადმი მიძღვნილი ბიბლიოგრაფიული საღამოები, ტექნიკის დათვალიერება, ჩაღდებოდა მასობრივი კამპანია წარჩინებული მსროლელის ნორმების ჩასაბარებლად.

საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და სხვადასხვა ნებაყოფლობითი თავდაცვითი საზოგადოებების დახმარებით არმიაში გასაწვევი ასაკის ახალგაზრდობა სამხედრო ტექნიკის ათვისებას ეწაფებოდა. მაგალითად, 1934-1935 წლებში მილიონნახევარზე მეტმა ქალიშვილმა და ჭაბუკმა ჩააბარა ძრავის შესწავლის ნორმები, ხოლო ერთმა მილიონმა — საჰაერო და ქიმიური თავდაცვის ნორმები.

ერთი სიტყვით, პარტიის მოწოდება „დავეუფლოთ ტექნიკას!“

წარმოადგენდა მთავარს არმიის პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა მოღვაწეობაში. ამასთან ჯარისკაცები და მეთაურები ტექნიკის ათვისებით კი არ კმაყოფილდებოდნენ, არამედ ცდილობდნენ გაეუმჯობესებინათ იგი. 1933 წელს მარტო ჩვენს სამხედრო ოლქში დაინერგა 4 ათასი წინადადება, რომელიც ხელს უწყობდა ტექნიკის გაუმჯობესებას. ბუნებრივია, ყველაფერი კეთდებოდა ამ პროცესის წახალისებისათვის.

მეთაურთა შემადგენლობისა და შტაბების მომზადებაში ერთ-ერთ მთავარ ამოცანად მიგვაჩნდა შემხვედრი, ანაზდეული მოქმედების პირობებში მართვის ხელოვნების დაუფლება. ეს მოითხოვდა უარი გვეთქვა მართვის ჩვეულ ფორმებზე, როგორიც იყო წერილობითი ბრძანებები, ტელეფონით დაკავშირება და ყველაფერი ის, რაც მავთულის ხაზით კავშირს გულისხმობდა. გაბედულად უნდა გადავსულიყავით რადიომართვაზე, მოკლე საბრძოლო განკარგულებების სისტემაზე — „უნაგირიდან მართვაზე", როგორც შაშინ ჰხედრებს უყვარდათ თქმა.

დივიზიისა და პოლკების მეთაურთა შემადგენლობის ყველა რგოლის ტაქტიკური სწავლების დროს ჩვენ მივისწრაფოდით მეთაურებისათვის გამოგვემუშავებინა უნარი ნაწილებისა და ქვეგანაყოფების მოქმედების ზედმიწევნით შენიღბვისა, რათა უზრუნველგვეყო მეტოქის წინააღმდეგ მოულოდნელი დარტყმები.

დღემდე არ დამვიწყებია 1933 წელს ჩატარებული ერთი საინტერესო ორმხრივი სწავლება.

თავდამცველად გამოდიოდა კაზაკთა 21-ე გაძლიერებული პოლკი ი. ნ. მუზიჩენკოს მეთაურობით. მან შემტევ მე-20 პოლკს მინდვრად ორი დღე-ღამით გაასწრო და ამ ხნის განმავლობაში მთელს ტაქტიკურ სიღრმეზე რეალურად ამაგრებდა თავდაცვას. მე-20 საკავალერიო პოლკმა არაფერი არ იცოდა მომავალი მეცადინეობის შესახებ და იმაზე, რომ 21-ე საკავალერიო პოლკი სადღაც მინდვრად იყო და თავდაცვისათვის ემზადებოდა. განგაშის გამოცხადებისთანავე პოლკი ფეხზე დადგა.

თავშეყრის რაიონში მე-20 პოლკს შეუერთდა გამაძლიერებელი ძალები: სატანკო ესკადრონი და საპაუბიცო საცხენოსნო-საარტილერიო დივიზიონი. აქვე პოლკის ხელმძღვანელობას აუხსენით ტაქტიკური ვითარება, რომელიც დაუყოვნებლივ მოქმედებას მოითხოვდა. პოლკი დივიზიის მეწინავე რაზმის როლში გამოდიოდა და ბარშით უნდა გაევლო 46 კილომეტრი, რათა ხელში ჩაეგდო პლაცდარმი, 21-ე საკავალერიო პოლკის თავდაცვის ზღუდე.

დღის მიწურულს მე-20 საკავალერიო პოლკის ქვედანაყოფები 21-ე საკავალერიო პოლკის საბრძოლო დაცვის ნაწილებს წააწყდნენ.

ბნელდებოდა. პოლკის მეთაურმა ვ. ვ. კრიუკოვმა ვერ მოასწრო ღღისით დაეზვერა „მოწინააღმდეგე“ და ამიტომ გადაწყვიტა, ღამით გაეკეთებინა ეს, ხოლო გამთენიისას იერიში მიეტანა კიდეც. რა თქმა უნდა, სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღება არც შეიძლებოდა

ისტორია გვიჩვენებს, რომ ბრძოლის შედეგები საბოლოო ჯამში დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მიზანდასახულად, ორგანიზებულად და ყურადღებით ამზადებენ მეთაური და შტაბი შეტევას. მთელს ამ რთულ სამუშაოში დაზვერვას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს მოწინააღმდეგის განლაგების, მისი ძალებისა და საშუალებების, აგრეთვე მეტოქის სადგომი ადგილმდებარეობის დამახასიათებელ თავისებურებათა გამორკვევის შემთხვევაში, შესაძლებელია ზუსტად განსაზღვრო მისი მოქმედების ხერხები.

პრაქტიკიდან ვიცი, როგორ მნიშვნელოვანია დაზვერვის საფუძვლიანად ჩატარება. განსაკუთრებით ეს აუცილებელია, როცა მოწინააღმდეგის თავდაცვაზე იერიში გამთენიისას მიგაქვს, რადგან ღამის განმავლობაში მას იოლად შეუძლია ისარგებლოს სიბნელით და შეცვალოს საბრძოლო რიგების განლაგება. ასეთი დაზვერვა მით უფრო აუცილებელია იმ შემთხვევებში, როცა გამოცდილი მტრის წინააღმდეგ მოქმედებ.

მე-20 საკავალერიო პოლკის მეთაურმა ვ. ვ. კრიუკოვმა, რა თქმა უნდა, ყოველივე ეს თეორიულად იცოდა, მაგრამ მიუტევებელი დაუდევრობა გამოიჩინა და არ გაითვალისწინა, რომ „მოწინააღმდეგესაც“ ჰქონდა თავისი საბრძოლო დავალება: არ დაეშვა „მოწინააღმდეგის“ შემოვრა, ხოლო ხელსაყრელ პირობებში შეემუსრა იგი.

21-ე საკავალერიო პოლკის მეთაურმა ი. ნ. მუზიჩენკომ გადაწყვიტა:

1. ცეცხლს გახსნიდა მეწინავე ხაზი და არტილერიის დახმარებით აღკვეთდა „მოწინააღმდეგის“ ცდას დაბნელებამდე გაერღვია თავდაცვა და სოლისებურად შეეჭრილიყო პირველ პოზიციაში.

2. ბრძოლის ხმაურში, შენიღბვის ყველა საშუალებათა გამოყენებით დაბნელებისთანავე დაეწყო პოლკის საბრძოლო რიგების გადაყვანა ადრეე გათვალისწინებულ მეორე თავდაცვითს პოზიციაზე, რომელიც შესაფერისად იყო მომზადებული.

3. „მოწინააღმდეგეს“ რომ არ გამოეცნო ეს მანევრი, პოლკის თავდაცვის წინა ხაზის პირველ სანგრებზე განლაგებული საბრძოლო რიგები ადგილიდან დაეძრა ზუსტად გამთენიისას და „მოწინააღმდეგისათვის“ თვალყურის სადევნებლად მხოლოდ მზვერავები დაეტოვებინა.

დაბნელების შემდეგ მე-20 პოლკის უფროსმა გაძლიერებულ

მზვერაეთა ჯგუფი თავდაცვის მოწინავე ხაზისაკენ გაგზავნა. როცა მათ დაუშინეს, მაეთულხლართების წინ ჩაწვნენ და თვალთვალს შეუდგნენ. მთელი ღამის განმავლობაში მე-20 პოლკის მეთაური რეგულარულად იღებდა ცნობებს იმის შესახებ, რომ „მოწინააღმდეგე" ძველებურად პირველ სანგრებშია და იმასაც კი ცდილობს, რომ ტყვეები ჩაიგდოს ხელთ. ვ. ვ. კრიუკოვი დარწმუნებული იყო, რომ სანგრებში ჩამალული „მოწინააღმდეგე" სწორედ ამ პოზიციაში დაიჭერდა თავდაცვას.

გამთენიისას, საარტილერიო მომზადების შემდეგ, გამარჯვებით წინასწარ დამტკბარმა პოლკის მეთაურმა რაკეტებით შეტევის დაწყების ნიშანი მისცა. არტილერიამ ცეცხლი გააძლიერა და ენერგიული შეტევაც დაიწყო, აი, სწრაფადმტროლმა ტანკებმა პირველი სანგრები გადათელეს და მეორეში შეიჭრნენ. პირველი სანგრები აღებულია. მაგრამ ეს რა არის? რატომ შეჩერდნენ ტანკები?

— ამხანაგო დივიზიის მეთაურო, — მიმართა მე-20 პოლკის მეთაურმა მეცადინეობის ხელმძღვანელს, — ნება მომეცით წინ წავიდე და პირადად დავადგინო, რატომ შეჩერდნენ მოიერიშენი.

— თქვენი ნებაა, საკუთარი თვალი უფრო ჭრის, ნახეთ, გაერკვიეთ.

მეორე სანგართან ვ. ვ. კრიუკოვს შეხვდა მე-2 ესკადრონის მეთაური ე. მ. ბუში.

— რაშია საქმე? რატომ შეჩერდით?

— ამხანაგო პოლკის მეთაურო, სატანკო ესკადრონის მეთაურს ვეთათბირებით, თუ რა გზას დავადგეთ.

— როგორ თუ რა გზას? მუსრი გაავლეთ „მოწინააღმდეგეს"!

— კი, მაგრამ იგი აქ არაა.

— როგორ თუ არაა? სად წავიდა? დაზვერვა მთელი ღამე გვაცნობებდა, რომ „მოწინააღმდეგე" თავდაცვის ზღუდეზეაო.

— ნება მომეცით, მოგახსენოთ! — მიმართა პოლკის უფროსს შუამავალმა-ტანკისტმა. — აი, აქ სანგარში ჯოხზე ეკიდა ეს ქაღალდის ნახევი, იქნებ რაიმე გვამცნოს?

პოლკის მეთაურმა ქაღალდი ხელში დაიჭირა და ხმამაღლა წაიკითხა: „სალამი ბედოვლათებს, ეძებეთ ქარი მინდორში, გირჩევთ მომავალში უფრო ფხიზლად იყოთ".

უნდა გენახათ გარშემო მყოფთა დაბნეული სახეები და ის უხერხულობა, რაც გამოიწვია 21-ე საკავალერიო პოლკის მოჩვენებითმა მანევრმა, ამის შედეგად მოიერიშეებმა საბრძოლო ჭურვების კომპლექსი ჰაერში უბრალო სროლისათვის დახარჯეს. ხოლო რაც მთავარია, არავინ იცოდა, — საით წავიდა „მოწინააღმდეგე".

— ეს თავლაფდასხმა, ივანე ნიკოლოზის ძემ, სიავით მოგიწყოთ

თქვენ, ვლადიმერ ვიქტორის ძეო, — ირონიულად შენიშნა მე-20 საკავალერიო პოლკის უფროსმა შუამავალმა თ. ი. კოსტენკომ.

— უარესიც ხდება, — სმამალლა ფიქრობდა ვ. ვ. კრიუკოვი, თანაც ხან რუკას დასცქეროდა, ხან წინ გადაშლილ მინდვრებს ათვალიერებდა. და თითქოს ამ სიტყვების დადასტურებაო. შუამავლებმა აფეთქებებით აღნიშნეს, რომ 21-ე პოლკის არტილერიამ შეჩერებულ მე-20 პოლკის საბრძოლო რიგებს დაუშინა.

ეს სრული კონფუზი გახლდათ.

მეცადინეობის გარჩევისას გაირკვა ორივე მხარის მოქმედების ყველა დეტალი, განსაკუთრებით გაანალიზდა მე-20 საკავალერიო პოლკის შეცდომები, რომლებიც ძირითადად გამოიხატა „მოწინააღმდეგის“ დაზვერვის მიუტევებლად პასიურ ჩატარებაში. რაც შეეხება 21-ე პოლკის მოქმედებას, იგი მიჩნეულ იქნა მოჩვენებითი მოქმედების სასწავლო ნიმუშად.

ეს მეცადინეობა დიდხანს დაამახსოვრდათ მონაწილეებს და შემდეგ განმეორებით შეგვხვდა სხვადასხვა ვარიანტით.

ნაწილების მომზადებასა და აღზრდაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა რთულ პირობებში მიზნებისა და ამოცანების გარკვევის უნარს. რა კეთდებოდა ამისათვის?

მეცადინეობის ჩანაფიქრს ჩვეულებრივ მკაცრი საიდუმლოებით ვინახავდი. საწვრთნელად მიმავალი პოლკი განგაშზე წამოიშლებოდა და ბეომრებს თავშეყრის რაიონს ვუსახელებდით. ამ რაიონში მეთაურობას ვაცნობდით ტაქტიკურ ვითარებას, საბრძოლო ბრძანებას, რომელიც ითვალისწინებდა ძნელად გასავლელი, დაჭაობებული ან ტყიანი ადგილების მარშ-მანევრით გადალახვას. ვირჩევდით ისეთ მარშრუტს, რომელიც ბევრ შეშაობას მოითხოვდა გზის გაწმენდისა და გაყვანისათვის, სახელდახელო მასალებისაგან ფიჩხყრილისა და გადასასვლელის გაკეთებისათვის. ამასთან, გასაძლიერებელ საინჟინრო საშუალებებს ჩვეულებრივ არ ვაძლევდით, რითა ყველა რანგის მეთაურობა მიჩვეოდა მძიმე მდგომარეობიდან საკუთარი ძალებითა და ადგილობრივი საშუალებებით გამოსავლის პოვნას.

ფიზიკური თვალსაზრისით ასეთი მეცადინეობა ძალზე მძიმე იყო. ზოგჯერ ადამიანები ფეხზე ძლივს იდგნენ, რადგან ზედიზედ რამდენიმე დღე-ღამე უძილონი იყვნენ და არ ჰქონდათ ნორმალური კვება. მაგრამ როგორი სიხარული იპყრობდათ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს, როცა მათი ნაწილი უძნელეს ამოცანას შეასრულებდა, დასახულ მიზანს მიაღწევდა! ამგვარ რთულ ვითარებაში მეორეჯერ მოხვედრილებს ეჭვი აღარ ეპარებოდათ, რომ თავისას გაიტანდნენ. მეთაურობა, შტაბები, მთელი პირადი შემადგენლობა ყოველგვარი ძნელი მდგომარეობიდან თავის დაღწევის პრაქტიკულ ჩვევებს იძენდნენ.

ჯარისკაცებისა და ოფიცრების ზნეობრივი აღზრდისათვის დიდი სარგებლობა მოჰქონდა მეცადინეობების შემდეგ პოლიტმუშაკების მიერ მოწყობილ ამხანაგურ საღამოებს. „ბრძოლების“ მონაწილენი ერთმანეთს უზიარებდნენ შთაბეჭდილებებს, ამხელდნენ ნაკლოვანებებს, მეგობრულად დასცინოდნენ მათ, რომლებიც ფარ-ხმალს ყრიდნენ სიძნელეთა წინაშე ან თავიანთი დაუდევრობითა და უღიმღამობით დამატებით სიძნელეებს ქმნიდნენ.

დივიზიის მთელი პირადი შემადგენლობის მუყაითობის წყალობით 1935 წელს დამთავრდა მშენებლობა: ყველა ნაწილმა მიიღო კარგი ბინები. სასწავლო-მატერიალური ბაზა, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა დივიზიის ცხენთა შემადგენლობა.

ამ დროისათვის ცუდი შედეგები როდი მოეიპოვეთ პოლიტიკური და საბრძოლო მომზადების ყველა სახეობაში. ცალკეულ ნაწილებსა და ქვეგანაყოფებს მაღალი მაჩვენებლები ჰქონდათ დისციპლინაში, სამსახურსა და საერთო ორგანიზებულობაში.

1935 წელი ჩვენთვის დიდი მოვლენებით აღინიშნა, ჯერ ერთი, დივიზიის ყველა ნაწილმა მაღალი შეფასება დაიმსახურა საინსპექტორო დათვალიერებაზე, მათ შორის ცხენოსანი ჯარის საბრძოლო მომზადების ყველაზე რთულ სახეობაში — სასროლო მომზადებაში. მეორეც — სწავლაში მოპოვებული წარმატებებისათვის დივიზია მთავრობის უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით დაჯილდოვდა.

მრავალმა ოფიცერმა, სერჟანტმა და ჯარისკაცმა ორდენები და მედლები მიიღო. მე ლენინის ორდენით დამაჯილდოვეს. ყოველივე ეს ღრმად მაღელვებდა. როცა დაჯილდოების ბრძანებულებას ვკითხულობდი, მთელი არსებით ვეფიქრობდი, როგორ გაგვეუმჯობესებინა დივიზიის საბრძოლო მომზადება და საერთო მდგომარეობა.

ჩვენ, სამხედროებს, ის წელი დაგვამახსოვრდა კიდევ ერთი ღონისძიებით, რომელიც პარტიამ მეთაურთა კადრების ავტორიტეტის ამაღლების მიზნით განახორციელა. ეს გახლდათ პერსონალური სამხედრო წოდებების დაწესება. საბჭოთა კავშირის პირველი მარშლები გახდნენ ვ. კ. ბლიუხერი, ს. მ. ბუდიონი, კ. ე. ვოროშილოვი, ა. ი. ეგოროვი, მ. ნ. ტუხაჩევსკი.

ჩვენი დივიზიისათვის დიდი მოვლენა იყო ს. მ. ბუდიონის სტუმრობა. სემიონ მიხეილის ძე საფუძვლიანად გაეცნო დივიზიის საბრძოლო მომზადებას, განსაკუთრებით საცხენოსნო, სამწყობრო და ტაქტიკურ მომზადებას. ყველა საჩვენებელი სწავლება ბრწყინვალედ ჩატარდა, რამაც ერთხელ კიდევ ცხადყო პარადი შემადგენლობის ჩინებული განსწავლულობა.

ლენინის ორდენის გადაცემისათვის დივიზია ქალაქის ერთ-ერთ

მოედანზე საცხენოსნო ჭყობრით ?ოვიდა. მთელი პირადი შემადგენლობა ხალისიან განწყობილებაზეა. თვითეული ბაჭილის ფლანგებზე ფრიალებს საბრძოლო დროშები, რომლებიც დივიზიის ძველ მეომრებს ხელთ ეპყრათ თეთრგვარდიელებისა და თეთრპოლონელების წინააღმდეგ ბრძოლებში.

საზეიმო სიჩუმეა, შესახვედრი მარშისა და პატაკის შემდეგ ს. მ. ბუდიონი ტრიბუნაზე ადის. მის ნიშანზე ასისტენტებთან ერთად ვუახლოვდები, ხელში გვიჭირავს დივიზიის საბრძოლო დროშა. ს. მ. ბუდიონი დროშას ლენინის ორდენს აბნევს და ჩვენც მწყობრის წინ დროშაალმართულნი საველე ოთხით მოვნაკარდობთ.

მრავალათასიან „ვამა"-ს და ძლიერ საარტილერიო სალუტში გაისმა დივიზიის მთელი პირადი შემადგენლობის უაღრესად გულთბილი მისალმება პარტიისა და მთავრობისადმი, რომლებმაც მშვიდობიანობის დროს ჯარისკაცების, სერჟანტებისა და ოფიცრების წარმატებანი სწავლასა და საბრძოლო მომზადებაში მაღალი ჯილდოთი აღნიშნეს.

რიგების შემოვლის შემდეგ სემიონ მიხეილის ძემ დივიზიას მოკლე სიტყვით მიმართა. შესამჩნევი იყო მისი მღელვარება. ანდა, როგორ არ უნდა აღელვებულიყო! მისმა გამოზრდილმა დივიზიამ უმაღლესი ჯილდო დაიმსახურა. უნდა ითქვას, რომ მხედარი-მეომრები და განსაკუთრებით ისინი, რომლებმაც ს. მ. ბუდიონთან ერთად განელეს სამოქალაქო ომის მძიმე გზა, სტუმარს დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ.

ს. მ. ბუდიონის კარგი, გულთბილი სიტყვის შემდეგ მე გამოვედი და ყველა მეომრის სახელით ვთხოვე სემიონ მიხეილის ძეს, პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობისათვის გადაეცა, რომ მე-4 დივიზია წმინდად ინახავს და აძრაელებს საბრძოლო ტრადიციებს, ყოველთვის მზად იქნება შეასრულოს სამშობლოს ყოველი ბრძანება.

ბოლოს მოეწყო ნაწილების საზეიმო სვლა.

პარადის შემდეგ დივიზიის მეთაურმა გამართა სადილი. სემიონ მიხეილის ძე და ძველი მხედარი-მეომრები იგონებდნენ სამოქალაქო ომის ეპიზოდებს, ლაშქრობებსა და ვამაც მეომრებს, რომლებმაც ვერ მოაღწიეს ჩვენს დღეებამდე. ამჯერადაც საუკეთესო მთხრობელი იყო დივიზიის ვეტერანი ვასილ ვასილის ძე ნოვიკოვი, მე-4 მექანიზებული პოლკის მეთაური. მის საოცარ მეხსიერებას საბრძოლო ცხოვრების უმცირესი დეტალებიც კი შემოენახა.

ჩემი მეთაურობის მომდევნო წლებში სემიონ მიხეილის ძე სამჯერ ეწვია დივიზიას და ყოველი მისი სტუმრობა განსაკუთრებით სასიამოვნო იყო დივიზიის მთელი პირადი შემადგენლობისათვის. უნდა ითქვას, რომ სემიონ მიხეილის ძეს ეხერხებოდა კარგი საუბარი მებრძოლებსა და მეთაურებთან. რა თქმა უნდა, იგი არ ხელმძღვანელობდა

მეცადინეობას, სწავლებას ან პირადი შემადგენლობის საშტაბო თამაშებს, მაგრამ ამისათვის მას არავინ ამტყუნებდა.

დივიზიას რამდენჯერმე ეწვია აგრეთვე ბელორუსიის სამხედრო ოლქის სარდალი ი. პ. უბორევიჩი. ეს იყო ჭეშმარიტი საბჭოთა მხედართმთავარი, რომელიც სრულყოფილად ფლობდა ოპერატიულ-ტაქტიკურ ხელოვნებას. დივიზიაში იგი სრულიად მოულოდნელად გამოჩნდებოდა ხოლმე. ჩვეულებრივ, ყოველი მისი მოსვლა იწყებოდა საბრძოლო განგაშით, ნაწილების ფეხზე წამოშლით და მთავრდებოდა ტაქტიკური მეცადინეობით ან მეთაურთა სწავლებით.

პირველად ი. პ. უბორევიჩი ჯერ კიდევ 1934 წელს გვესტუმრა. იგი ჰომესალმა და მითხრა, მაინტერესებს, თუ როგორ მიმდინარეობს დივიზიის სწავლებაო. მე ვუპასუხე, რომ ძალზე მოხარული ვარ-მეთქი, თუმცა, მართალი გითხრათ, ძალზე ვღელავდი.

— თქვენს განკარგულებაშია ოთხი საათი, — თქვა ი. პ. უბორევიჩმა. ველზე გამოიყვანეთ 21-ე საკავალერიო პოლკი და გვიჩვენეთ, რას მიაღწია დივიზიამ. თემა თვითონვე შეარჩიეთ. თქვენს ადიუტანტს მსროლელთა მე-4 დივიზიის შტაბში დაველოდები.

— ეს დრო ცოტაა ტაქტიკური სწავლების მოწყობისათვის, — ვცადე შეპასუხება, — შუამავლებისათვის ინსტრუქტაჟის ჩატარებასა და „მოწინააღმდეგის" შერჩევასაც კი ვერ მოვასწრებთ.

— დიახ, დრო ცოტაა, — დამეთანხმა ი. პ. უბორევიჩი, მაგრამ საბრძოლო ცხოვრებაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

ჩემთვის გასაგები გახდა შემდგომი შეპასუხების უაზრობა, საჭირო იყო მოქმედება.

21-ე საკავალერიო პოლკის მეთაურს ი. ნ. მუზიჩენკოს ტელეფონით გადავეცი სასწავლო განგაშის პაროლები, მივუთითე საწყისი მდგომარეობის ადგილი და რუკის მიხედვით ვუკარნახე მოკლე ტაქტიკური დავალება. სანამ დავალებას გადაბეჭდავდნენ, დივიზიის შტაბის უფროსმა და მისმა მოადგილემ სწრაფად შეადგინეს დავალებათა რუკები და თვითონვე წაიღეს 21-ე პოლკის მეთაურთა შემადგენლობისათვის გასაცნობად. დათქმული დროისათვის ყველაფერი მზად იყო.

ზუსტად 4 საათის შემდეგ ჩემს მიერ გაგზავნილ ადიუტანტთან ერთად მინდორში, საწყისი მდგომარეობის ადგილზე მოვიდა ი. პ. უბორევიჩი.

იგი მიესალმა 21-ე პოლკის მეთაურს და უბრძანა მოეხსენებინა ვითარება, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

ი. ნ. მუზიჩენკომ კარგად მოახსენა სარდალს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. ი. პ. უბორევიჩს ღიმილზე შევატყვე, რომ მეცადინეობის დასაწყისი მოეწონა.

— მაშ ასე, შევსხდეთ ცხენებზე და ვნახოთ პოლკი მოქმედებაში, — თქვა მან.

სწავლება 5 საათი გაგრძელდა. ამ დროის განმავლობაში სარდალმა შემოიარა ყველა ქვედანაყოფი პოლკისა, რომელიც „დივიზიის მეწინავე რაზმის" როლში გამოდიოდა. მან 80 კილომეტრზე მეტი გაიარა, ეტყობა, დაიღალა და „ბრძოლის" შეწყვეტა ბრძანა.

ჩემი გარჩევის შემდეგ, რაც მაშინვე პოლკის მწყობრის წინ ცხენიდან ჩამოუხტომლად გავაკეთე, ი. პ. უბორევიჩმა მადლობა გამოუცხადა სწავლების ყველა მონაწილეს, შემდეგ დივიზიის ხელმძღვანელობასთან გამომშვიდობებისას თქვა:

— ასწავლეთ ნაწილებს თანამედროვეობის მოთხოვნათა შესაბამისად. გისურვებთ წარმატებებს. არ შემიძლია დავრჩე, სახელმწიფო საზღვრისაკენ მივიჩქარი, მაგრამ მანევრების წინ კვლავ გეწვევით.

ყველა კმაყოფილი იყო სწავლების შედეგით და, გულახდილად რომ ვთქვათ, იმითაც, რომ ი. პ. უბორევიჩს არ ჰქონდა დივიზიაში მეტხანს დარჩენის დრო.

საოლქო მანევრებში არაერთხელ ვმონაწილეობდი, მაგრამ განსაკუთრებით ძვირფასი ოპერატიულ-ტაქტიკური გამოცდილება შევიძინე დიდ საოლქო მანევრებში. საკადრისი უნდა მივუზღოთ ი. პ. უბორევიჩს, ოლქის შტაბის უფროსს ბ. ი. ბობროვს, ოლქის საბრძოლო მომზადების განყოფილების უფროსს ნ. ა. შუმოვიჩსა და მთელ საოლქო აპარატს — ისინი საყურადღებო მანევრებს ატარებდნენ, ოსტატურად წარმართავდნენ მხარეთა მოქმედების გათამაშებას, საფუძვლიანად აჯამებდნენ შედეგებს.

განსაკუთრებით დამამახსოვრდა 1935 წელს გამართული მანევრები, კერძოდ, ბერეზინას გადალახვა, იმ მდინარისა, რომელთანაც 1812 წელს რუსეთიდან უკუქცეულმა ნაპოლეონმა დაღუპა თავისი არმიის შემორჩენილი ნაწილები.

ჩვენ შევიტყვეთ, რომ მანევრების სანახავად გვეწვივნენ თავდაცვის სახალხო კომისარი კ. ე. ვოროშილოვი და სხვა მხედართმთავრები. თითოეული ნაწილი, თითოეული შენაერთი ელოდა კ. ე. ვოროშილოვის სტუმრობას, ხოლო ჩვენ, დონელ კაზაკთა მე-4 დივიზიის მუშაკებს, დივიზიისა, რომელიც კ. ე. ვოროშილოვის სახელს ატარებდა, ბუნებრივად მიგვაჩნდა, რომ სახალხო კომისარი აუცილებლად გვეწვეოდა. მაგრამ როდის? გვინდოდა ეს მომხდარიყო კარგ ამინდში, როცა ყველას ხალისიანი და მიმზიდველი იერი გვექნებოდა. სამწუხაროდ, როგორც ეს ხშირად შემოდგომით ხდება, გადაუღებლად წვიმდა.

მას შემდეგ, რაც გადასასვლელის რაიონში დამთავრდა ჯარის ნაწილების თავმოყრა და ისინი ტყის მასივებში მდინარიდან 4—5 კი-

ლომეტრის დაცილებით კარგად შეინიღბნენ, საკომანდო პუნქტში გამოვიძახეთ მეთაურები, რათა ზეპირი მითითება მიგვეცა მდინარის გადალახვის შემდეგ მეზობელი ნაწილების ტაქტიკური ურთიერთმოქმედების თაობაზე. რუკის გაშლაც ვერ მოვასწარით, რომ საკომანდო პუნქტს მანქანების მწკრივი მოადგა. წინა მანქანიდან გადმოვიდნენ კ. ე. ვოროშილოვი, ა. ი. ეგოროვი და ი. პ. უბორევიჩი. მე წარედექი თავდაცვის სახალხო კომისრის წინაშე და მოკლედ მოვახსენე, რომ მე-4 დივიზია მზადაა მდინარის გადასალახავად, ხოლო მეთაურები შევკრიბეთ ბოლო მითითებების მისაღებად-მეთქი.

— კარგი, — თქვა სახალხო კომისარმა, —მოეუსმენთ თქვენს მითითებებს.

კლიმენტ ეფრემის ძე ძალზე დაწვრილებით დაინტერესდა ტანკებით მდინარის გადალახვის ტექნიკით, რადგან წყლის სიღრმე აღემატებოდა БТ-5 ტანკის სიმაღლეს. მექანიზებული პოლკის მეთაურის დეტალური მოხსენების შემდეგ სახალხო კომისარი გაესაუბრა ნაცნობებს ცხენოსანთა არმიიდან — ნაწილების მეთაურებსა და კომისრებს.

— როგორ შეიცვალა ჩვენი ცხენოსანთა ჯარი! — თქვა მან, — სამოქალაქო ომის წლებში მე და ბუდიონის ცხენოსანთა მთელი არმიისათვის რამდენიმე პრიმიტიული ჯავშნოსანი გექონდა, ახლა კი ყოველ საკავალერიო დივიზიას ემსახურება მთელი პოლკი დიდებულ ტანკებისა, რომელთაც რთული სამდინარო დაბრკოლების გადალახვა შეუძლიათ. აბა, რა აზრისა ხართ, ძველო მეგობარო, ტანკებზე, — მიმართა სახალხო კომისარმა თედორე იაკოვლევის ძე კოსტენკოს, — ხომ არ გვიმტყუნებენ ისინი? იქნებ ცხენი უფრო საიმედოა?

— არა, — კლიმენტ ეფრემის ძევ, — უპასუხა თ. ი. კოსტენკომ, — ცხენს, ხმალსა და შუბს ჯერჯერობით ვერ შეველევით. ვფიქრობ, ჯერ კიდევ ადრეა ცხენოსანთა ჯარის დასამარება, იგი კვლავ გაუწევს სამშობლოს სამსახურს, მაგრამ ტანკებს სერიოზულ ყურადღებას ვუთმობთ, ეს არმიის ახალი სწრაფმოძრავი გვარეობაა.

— აბა, რას ფიქრობს კომისარი? — ჰკითხა სახალხო კომისარმა ცხენოსანთა პირველი არმიიდან ასევე ნაცნობს ა. ს. ზინჩენკოს.

— მე მიმაჩნია, რომ თედორე იაკოვლევის ძემ სწორად მოგახსენათ, კლიმენტ ეფრემის ძევ. — უპასუხა და დაუმატა: მექანიზებული პოლკის ცუდი, უფრო სწორად, ყოვლად უვარგისი კომისარი ვიქნებოდი, ეპვი რომ მეპარებოდეს ჯავშანსატანკო ტექნიკის დიდ მომავალში. ჩემი აზრით, გაბედულად უნდა განვავითაროთ მექანიზებული ნაწილები, განსაკუთრებით სატანკო შენაერთები, რომლებიც ჩვენ ცოტა გვყავს.

— მაშ ასე, ალექსანდრ ილიას ძეო. — მიმართა კ. ე. ვოროშილოვმა გენერალური შტაბის უფროსს, — ხელს ნუ შეუშლით დივიზიის ხელმძღვანელობას. ყველას წარმატებას ვისურვებთ, ჩვენ კვლავ შევხვდებით და წავისაუბრებთ.

ნათელი გახდა, რომ სახალხო კომისარი პირადად დაესწრებოდა და თვალყურს ადევნებდა მდინარის გადალახვას, რადგან მანქანების მთელი კოლონა ჩვენი დივიზიის სამოქმედო რაიონისაკენ გაემართა. 30-წუთიანი საარტილერიო ბომბადების შემდეგ დივიზიის ნაწილების მეწინავე რაზმები ფართო ფრონტით მდინარეს მიადგნენ. მდინარის გაყოლებით დაბლა წამოსულმა თვითმფრინავების რგოლმა კვამლის ფარდა „ჩამოჭიდა" და „მოწინააღმდეგეს" მოხერხებულად დაუფარა პირველი სადესანტო ეშელონის მოქმედება. როცა კვამლმა გაფანტვა იწყო, მეწინავე ქვედანაყოფებმა უკვე საპირისპირო ნაპირზე მოიკიდეს ფეხი. აქა-იქ გაისმოდა „ეაშას" ძახილი, ხშირი სროლა და ზარბაზნების გრიალი. ხოლო კვამლი საესებით რომ გაიფანტა, კარგად გამოჩნდა: მექანიზებული პოლკის 15 ტანკი გუგუნით შეიჭრა „მოწინააღმდეგის" სანაპიროზე, წინ მიიწევდა და ისროდა, სწრაფად უახლოვდებოდა ქვედანაყოფებს, რომლებიც დაპყრობილი პლაცდარმიდან უტევდნენ. მალე მთელი დივიზია მეორე სანაპიროზე გადავიდა, უკუაგდო „მოწინააღმდეგე" და წარმატებით გასწია წინ.

მანევრების გარჩევისას სახალხო კომისარმა ჩვენს დივიზიას მაღალი შეფასება მისცა, შეგვაქო მდინარის გადალახვის კარგი ორგანიზაციისათვის, ტანკისტთა ნოვატორობისათვის. რომლებმაც რისკი გასწიეს თავისი სვლით გადაელახათ ისეთი ღრმა მდინარე, როგორიც ბერეზინაა.

პოლკის კრებებზე ჯარისკაცებს, სერჟანტებსა და მეთაურებს მოვუთხრობდით ყოველივე ამის შესახებ. ისინი არ ჩქარობდნენ შინ წასვლას, გატაცებით უზიარებდნენ ერთმანეთს ჩატარებული მანევრების დროს მიღებულ შთაბეჭდილებებს.

მეორე დღეს, დილით, გაიმართა დიდი პარადი. ჩინებული ამინდი იდგა, მზე თითქოს განსაკუთრებით გვითბობდა გულებს. საოლქო მანევრების მონაწილე ჯარებმა დაამთავრეს დაწყობა და ელოდნენ ბრძანებას — „სმენა", რათა შეხვედროდნენ თავდაცვის სახალხო კომისარს.

ოლქის სარდლის ი. პ. უბორევიჩის მოკლე პატაკის მიღების შემდეგ სახალხო კომისარი ჯარებისაკენ გაემართა. მსროლელთა ჯარების შემოვლა დამთავრდა. დივიზიის ორკესტრმა შესახვედრი მარში დაუკრა ელალ ცხენზე მჯდომი სახალხო კომისარი საველე ოთხით ჩვენი დივიზიისკენ წამოვიდა. პირველად შეჩერდა მანიჩის მე-19 სა-

კავალერიო პოლკთან, რომლის რიგებში მყოფს არაერთხელ მიუტანია იერიში თეთრგვარდიელებისა და თეთრპოლონელთა წინააღმდეგ.

— გამარჯობათ, ამხანაგებო! რაღაც განსაკუთრებული სითბოთი წარმოთქვა კ. ე. ეოროშილოვმა და მებრძოლები შეათვალიერა.

მე-4 დივიზიის შემოვლის შემდეგ სახალხო კომისარი ისეთივე ალურით ჩონგარის კაზაკთა მე-6 დივიზიისაკენ გაემართა. ამ დივიზიამ არანაკლებ გაითქვა სახელი სამოქალაქო ომის წლებში. იგი ცხენოსანთა პირველი არმიის დროშით კარგად იბრძოდა ჩვენს დივიზიასთან ერთად.

შემდეგ კ. ე. ეოროშილოვი ავიდა ტრიბუნაზე და წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც მოკლედ აღნიშნა სოციალიზმის მშენებლობაში პარტიის პოლიტიკის, მის მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ, ილაპარაკა საერთაშორისო მდგომარეობაზე, ჩვენი ქვეყნის თავდაცვის განმტკიცების აუცილებლობაზე და მეომრებს მიულოცა საშემოდგომო მანევრების წარმატებით დამთავრება. ორკესტრის მძლავრ გრიალში მოზომილი, მტკიცე ნაბიჯებით დაიძრა ქვეითი ჯარი. ქვეითს მიჰყვა ცხენოსანთა ჯარი.

პარადზე ჩვეულებრივ მხედრები ჩორთით მიემართებიან ხოლმე, ამჯერად სარდალთან შეთანხმებით სამანეჟო ოთხით უნდა გაგვეელო. მაგრამ მოხდა ისე, რომ სახალხო კომისრის ტრიბუნასთან ჩავლისას სამანეჟო ოთხით სვლამ საველე ოთხის სახე მიიღო, ხოლო ალურით მოახლოებულმა სატყვიამფრქვევო ოთხთვალებმა სისწრაფეს უმატეს და ჭენებით ჩაიქროლეს. კორპუსის მეთაური ს. კ. ტიმოშენკო შეშფოთდა და ჩემსკენ დაიწყო ცქერა, მაგრამ მე აღარაფრის გაკეთება აღარ შემეძლო. ოთხთვალები ისარივით მიჰქროდნენ. მხოლოდ ერთი რამისა გვეშინოდა: ბორბალი არ მოსძრობოდა რომელიმე ოთხთვალას, როგორც ზოგჯერ მოსკოვში გამართულ პარადებზეც კი ხდებოდა. სახალხო კომისარს გადავხედე და გულზე მომეშვა. იგი მთელი გულით იღიმებოდა და დივიზიის გულად მეტყვიამფრქვეველებს მისალმების ნიშნად ხელს უქნევდა.

მომდევნო წლებში დონის კაზაკთა მე-4 დივიზია მუდმივად მონაწილეობდა საოლქო მანევრებში, კარგ მომზადებას უჩვენებდა და ყოველთვის იმსახურებდა უმაღლესი სარდლობის მადლობას.

მინდა გავიხსენო ერთ-ერთი მანევრებისწინა მეცადინეობა, რომელიც ი. პ. უბორევიჩისა და მისი მოადგილის ს. კ. ტიმოშენკოს ხელმძღვანელობით ქალაქ სლუცკის მიდამოებში ჩატარდა.

სწავლების თემა იყო: „მსროლელთა დივიზიის შემხვედრი ბრძოლა საკავალერიო დივიზიასთან“.

იმ დროისათვის მსროლელთა დივიზია კარგად აღჭურვილი საბრ-

ძოლო შენაერთი გახლდათ. თუ ათი წლის წინ მსროლელთა დივიზიას 12 800 საშტატო ჯარისკაცზე ჰქონდა 54 ქვემეხი, 189 დაზგისა და 61 ხელის ტყვიამფრქვევი, არ გააჩნდა ტანკები და საზენიტო საშუალებანი, 1935 წელს მსროლელთა დივიზიის დაახლოებით ამავე რაოდენობის მეომარს ემსახურებოდა 57 ტანკი, ასამდე ქვემეხი, 180 დაზგისა და 350-ზე მეტი ხელის, 18 საზენიტო ტყვიამფრქვევი.

სწავლება სექტემბრის ერთ-ერთ დღეს დილაადრიან დაიწყო. კარგი ამინდი იდგა. შემოდგომის სიგრილე ამხნევებდა მეომრებს, ყველას ხალისიანი განწყობილება დაუფლებოდა. პირადი შემადგენლობა ტაქტიკურ დავალებას საღამოს გაეცნო და დივიზიის ნაწილები მთელი ღამის განმავლობაში გამოსვლისათვის ემზადებოდნენ. პირველ ეტაპზე უნდა აგვეღო და გადაგველახა ეიწრო ხეობა.

ამ მანევრს საერთოდ და განსაკუთრებით მეწინავე ნაწილებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ჭაობიანი მასივის მიღმა მდებარეობდა სიმაღლეთა ტაქტიკურად მნიშვნელოვანი ზღუდე, რომლიდანაც მიდამოების კარგი ხედი იშლებოდა. თვითონ ადგილმდებარეობა დივიზიის ფართო ფრონტით განლაგების საშუალებას იძლეოდა, რაც ყოველთვის მნიშვნელოვანია შემხვედრი ბრძოლების ვითარებაში. საკავალერიო დივიზიის მეწინავე რაზმის როლში გამოდიოდა მე-4 მექანიზებული პოლკის ძალების ნაწილი მსუბუქი ტანკების, ჯავშნიანი მანქანების, მოტორიზებული ქვეითებისა და არტილერიის შემადგენლობით. ასეთი რაზმი თავისი მოძრავუნარიანობის წყალობით უზრუნველყოფდა ხეობის სწრაფ აღება-გადალახვასა და უმნიშვნელოვანეს ზღუდეებზე თანმიმდევრულად გასვლას, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე: ჩვენთვის აუცილებელი იყო „მოწინაღმდეგეს" რაც შეიძლება სწრაფად შევყოლოდით.

უმოკლესი მანძილითა და მოძრაობის მიმართულებიდან გადახვევით, იქით, საიდანაც ცუდად ჩანდა მიდამოები, ცალკეული საკავალერიო პატრულები გაემართნენ. როგორც კი მეწინავე რაზმიდან მივიღეთ რადიოსიგნალი ხეობის გავლისა და მეწინავე ქვედანაყოფების მიერ პირველი ზღუდის დაკავების შესახებ, მთავარ ძალებს რადიოსიგნალითვე შევატყობინეთ: დაუყოვნებლივ დაეწყოთ ეშელონირებული გადაადგილება ხეობის გავლით, რათა გასულიყვნენ ძირითადი ზღუდის ხელში ჩაგდებისათვის გამიზნულ საწყის რაიონებში.

მთავარმა ძალებმა ორი საათის შემდეგ ჭაობიანი სივრცე გადალახეს და თავიანთი მიმართულებით აიღეს გეზი. დივიზიის შტაბი და ხელმძღვანელობა ამ დროისათვის ამ ძალების ცენტრში იმყოფებოდნენ. მეწინავე რაზმისა და მისი სადაზვერვო ორგანოების ცნობებიდან შევიტყვეთ, რომ ჩვენკენ — ძირითადი მიმართულებით გამოე-

მართა კოლონა ორი პოლკის შემადგენლობითა და არტილერიით შეიარაღებული, ცალკე კოლონად — არტილერიით გაძლიერებული მსროლელთა ერთი პოლკი. „მოწინააღმდეგის“ სადაზვერვო ორგანოები ავანგარდის წინ იყვნენ 6—8 კილომეტრის დაცილებით. ამას ისიც ემატებოდა, რომ სადაზვერვო ავიაცია არ ჩანდა, ხოლო ყოველივე ეს გვარწმუნებდა: „მოწინააღმდეგეს“ ჩვენი სამარშო დაჯგუფება ვერ აღმოეჩინა.

როგორც ყოველთვის, შტაბში მოულოდნელად მოვიდა I რანგის არმიის სარდალი ი. პ. უბორევიჩი, რომელსაც ს. კ. ტიმოშენკო ახლდა.

— რა იცით „მოწინააღმდეგის“ შესახებ? სადაა თქვენი დივიზიის ნაწილები? — იკითხა მან.

ჩემს რუკაზე ვუჩვენე „მოწინააღმდეგის“ განლაგება, სად და რომელ დაჯგუფებაში მოქმედებს ჩვენი დივიზია, აგრეთვე ვუჩვენე ჩემ მიერ მიღებული გადაწყვეტილება. ი. პ. უბორევიჩმა მთხოვა მეჩვენებინა და მის რუკაზე აღმენიშნა რაიონი, სად ვაპირებდით „მოწინააღმდეგეზე“ იერიშის მიტანას, როგორი იქნებოდა პოლკების დარტყმების მიმართულება.

— ეს წინასწარი გადაწყვეტილებაა და ძალაში დარჩება, თუ, რა თქმა უნდა, ვითარება სერიოზულად არ შეიცვალა, — ვთქვი მე.

ს. კ. ტიმოშენკოს გამომეტყველებით მივხვდი, რომ წერტილში ზუსტად მოვარტყი. ამან გაბედულება შემმატა.

— პოლკებს როგორ გადასცემთ ბრძანებას და თქვენ თვითონ სად იქნებით „მოწინააღმდეგესთან“ მიახლოებისა და ბრძოლების დაწყების პერიოდში? — მკითხა ი. პ. უბორევიჩმა.

მე ვუპასუხე:

— მე-20 საკავალერიო პოლკის მარჯვენა კოლონაში, რომელსაც „მოწინააღმდეგის“ შებოჭვა აქვს დავალებული, მსროლელთა პოლკის შემადგენლობაში გაემგზავრება ოპერატიული განყოფილების უფროსი არხიპოვი. საარტილერიო დივიზიონითა და ტანკების ესკადრონით გაძლიერებული მე-19 საკავალერიო პოლკი „მოწინააღმდეგის“ მთავარი ძალების წინააღმდეგ პირდაპირი ფრონტით იმოქმედებს. მათ ბრძანებას გადასცემს ჩემი მოადგილე, ბრიგადის მეთაური დრეიერი. დივიზიის მთავარ ძალებს, რომლებმაც „მოწინააღმდეგის“ დაჯგუფებას ფლანგებიდან უნდა შემოუარონ და ზურგში დაარტყან, ბრძანებას თვითონ გადავცემ. იქვე დავრჩები ბრძოლის დასასრულამდე. ახლა ნაწილებში მიმავალ დელეგატთა გამგზავრებისთანავე რადიოთი მოკლე ბრძანებებს გადავცემთ.

— წარმატებას გისურვებ — თქვა ი. პ. უბორევიჩმა, შემდეგ

ს. კ. ტიმოშენკოსთან ერთად მანქანაში ჩაჯდა და „მოწინააღმდეგის“ მიმართულებით გაეშურა.

როგორც ვვარაუდობდით, მე-19 და მე-20 საკავალერიო პოლკებმა მოახლოებულ „მოწინააღმდეგეს“ ცხარე ფრონტალური ბრძოლა გაუმართეს, რამაც ჩვენს მთავარ ძალებს ვითარებაში გარკვევა გაუადვილა.

მაგრამ როგორი დაუდევარი აღმოჩნდა „მოწინააღმდეგე“! მთავარი ძალებით ისე შემოვუარეთ ფლანგებიდან და გავეშალეთ ზურგში, რომ ვერავინ შეგვამჩნია. ერთ-ერთ მაღლობზე შეჩერებულნი ვხედავთ: ფრონტით დასავლეთისაკენ პირშექცეული „მოწინააღმდეგის“ მსროლელთა ერთი პოლკი ებრძვის ჩვენს მე-19 საკავალერიო პოლკს, რომელსაც ჩინებული საცეცხლე ზღუდე უჭირავს. მეორეს ქვეითებისათვის შემოვლა უნდა, ეტყობა, მე-19 საკავალერიო პოლკის ფლანგზე გასვლის მიზნით, „მოწინააღმდეგემ“ ეს პოლკი ჩვენს მთავარ ძალებად მიიჩნია.

ამ დროს ოლედან საბრძოლო მწყობრით განლაგებული ჩვენი ტანკები დაიძრნენ, მათ მიჰყვნენ წინასაბრძოლო რიგში გამწკრივებული ჩვენი მთავარი ძალები. ტანკებმა და არტილერიამ მძაფრი ცეცხლი გახსნეს. შემდეგ გაისმა ხმამაღალი, მრავალათასიანი „ვაშა“. ჩვეულებრივ. როგორც ეს შემხვედრ ბრძოლებში ხდება, ძნელი გასარკვევი იყო შემდგომი მოქმედება.

მაინც რა მოხდა? რომელი მხარე მანევრირებდა უკეთესად, კინ ეფრო სწრაფად განლაგდა და მარჯვედ ურტყამდა? ეს მხოლოდ გარჩევისას შევიტყვეთ, რაც მაშინვე გაიმართა ველზე. გარჩევა პირადად სარდალმა ი. პ. უბორევიჩმა ჩაატარა.

ი. პ. უბორევიჩმა მიუთითა მსროლელთა მე-4 დივიზიის მოქმედების მთელ რიგ სერიოზულ შეცდომებზე და დასძინა, რომ მე-4 საკავალერიო დივიზიამ მასზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

ჩვენ, კავალერისტებს, გვსიამოვნებდა სარდლის შექება, მაგრამ ამავე დროს გულწრფელად ვწუხდით მსროლელთა მე-4 დივიზიის წარუმატებლობაზე, დივიზიისა, რომელთანაც ერთად ვცხოვრობდით გარნიზონში და ახლო მეგობრობა გვაკავშირებდა.

მსროლელთა მე-4 დივიზიის ხელმძღვანელობას მანევრებზეც არ გაუმართლა. დივიზია სხვებთან ერთად ტროსტიანეცის რაიონში (მინსკის ახლოს) გარემოცვაში მოხვდა. მაგრამ ეს ნაკლები უბედურება იყო, მთავარი ისაა, რომ დივიზია ძალზე მოუხერხებლად ცდილობდა გარემოცვიდან გამოსვლას. როგორც სლუცკის რაიონში გამართული სწავლების დროს, ამჯერადაც მისი მთავარი „მოწინააღმდეგე“ ჩვენი— მე-4 საკავალერიო დივიზია იყო.

შეიძლება ითქვას, რომ გარემოცვის გარღვევა საბრძოლო მოქ-

მედების ყველაზე ძნელი და რთული სახეობაა. მეთაურობას მოწინააღმდეგის ფრონტის გარღვევისათვის მოეთხოვება მაღალი ოსტატობა, დიდი ნებისყოფა, ორგანიზებულობა, ჯარების ზედმიწევნით ზუსტი მართვა.

წარმატებითი გარღვევისა და ნაწილების გარემოცვიდან თავდაღწევის საწინდარია გარღვევის რაიონში ნაწილების ფარული გადაჯგუფება, უძლიერესი ცეცხლი და საავიაციო თავდასხმა, ძოწინააღმდეგის საბრძოლო რიგებზე მძაფრი იერიშის მიტანა, კვამლის სვეტების „ჩამოკიდებით" მეტოქის საარტილერიო დაკვირვების მოშლა. სამწუხაროდ, დივიზიის სარდლობამ ვერ შეძლო ასეთი მოქმედების უზრუნველყოფა.

ი. პ. უბორევიჩმა უკანასკნელად ჩვენი დივიზია 1936 წელს შეამოწმა.

მთელი პირადი შემადგენლობის მონდომების წყალობით დივიზია ბრწყინვალედ გამოიყურებოდა. მისი პოლიტიკური მომზადება, დისციპლინა, საერთო ორგანიზებულობა, მუდმივი საბრძოლო მზადყოფნა მხოლოდ „კარგ" და „ფრიად" შეფასებას იმსახურებდა. შექებისას ყოველთვის სიტყვაძვირმა სარდალმა პირად შემადგენლობას გულთბილი მადლობა გადაუხადა და ბევრი ფასიანი საჩუქრითაც დააჯილდოვა.

1937 წელს ბელორუსიის სამხედრო ოლქის სარდლად ი. პ. ბელოვი დანიშნეს.

წარსულის გახსენებისას უნდა ვთქვა, რომ პირველი რანგის ჯარების სარდალი ი. პ. უბორევიჩი ოლქის საუკეთესო სარდალი იყო. შენაერთების მეთაურებისა და შტაბების ოპერატიულ-ტაქტიკურ მომზადებაში არავის იმდენი არ გაუკეთებია, რამდენიც ი. პ. უბორევიჩსა და ოლქის შტაბს მისი ხელმძღვანელობით.

დივიზიას ოთხი წელი ვმეთაურობდი და მთელი ამ ხნის მანძილზე ერთი მისწრაფებით ვსულდგმულობდი: ჩემთვის ჩაბარებული დივიზია საუკეთესო, ყველაზე მოწინავე ყოფილიყო წითელი არმიის რიგებში. დიდი ძალები, ენერგია და შრომა დაიხარჯა დივიზიის მომზადებისათვის, იმისათვის, რომ თავი დაგვეღწია ჩამორჩენისათვის, მეთაურთა კადრებისა და შტაბებისათვის გვესწავლებინა თანამედროვე ტაქტიკის საფუძვლები, ქვედანაყოფების, ნაწილებისა და დივიზიის მართვის ორგანიზაცია და მეთოდები.

არ მინდა ვამტკიცო, რომ ჩვენ მაშინ თითქოს ყველაფერი გავაკეთეთ. გვქონდა შეცდომები, ჩავარდნები და უზუსტობანი, მაგრამ დამშვიდებული სინდისით შემიძლია ვთქვა: მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს მაშინ მეტის გაკეთება არ შეეძლოთ, ხოლო რის უნარიც ჰქონდათ, უკან არ იხევდნენ.

საერთოდ 1929—1936 წლებში არმიის ცხოვრება უპირველეს ყოვლისა უკავშირდებოდა სოციალიზმის მშენებლობის ლენინური გეგმის განხორციელებას. ქვეყნის ეკონომიური აღმავლობის, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების წყალობით ხდებოდა არმიის, ავიაციისა და ფლოტის ახალი იარაღით აღჭურვა, იხვეწებოდა ჯარების ორგანიზაციული სტრუქტურა, ფართოდ გაშალა კადრების ტექნიკური მომზადება. არმიის პატრიოტულ აღზრდაზე კეთილმყოფელ გავლენას ახდენდა სოციალიზმის გამარჯვებასთან დაკავშირებული ხალხის სოციალურ-პოლიტიკური და იდეური ერთიანობის მნიშვნელოვანი განმტკიცება, სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობა, ძატერიალისტური მსოფლმხედველობის გაბატონება.

წინა თავებში შემოხვევით როდი შევჩერდი სხვადასხვა სწავლებასა და მეცადინეობებზე. საქმე ისაა, რომ იმ წლებში არმიის მიერ ახალი ტექნიკის, სამხედრო საქმის საკმაოდ რთული ფორმების ათვისების ხაზს გაბატონებული მდგომარეობა ეკავა.

სსრ კავშირის რევოლუციური სამხედრო საბჭო, თავდაცვის სახალხო კომისარიატის ცენტრალური და საოლქო აპარატები, მეთაურთა უფროსი, საშუალო და უმცროსი შემადგენლობა, პოლიტორგანოები, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები, ყველა გვარეობის ჯარების მებრძოლები შეუპოვრად და, მე ვიტყოდი, თავგამოდებით, ენთუზიაზმით წყვეტდნენ საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დასახულ ამოცანებს, რომლებიც ითვალისწინებდნენ ახალი ტექნიკის ათვისებასა და ამასთან დაკავშირებით ტაქტიკის სრულყოფას. ბევრმა მფრინავმა ბრწყინვალედ აითვისა საავიაციო საქმე, სახმელეთო ჯარში აღზარდა საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ათასობით ფრიადოსანი.

რა თქმა უნდა, ყველგან ერთნაირად კარგად როდი მიდიოდა საქმე. პირადი შემადგენლობის საბრძოლო გაწვრთნილობა რიგ შემთხვევებში არასაკმაო იყო რთულ პირობებში მოქმედებისათვის, ბევრ ნაწილში ვერ დაეუფლნენ ნაწილების მართვის ხელოვნებას. შტაბებმა ჯერ კიდევ ვერ აითვისეს სხვადასხვა გვარეობის ჯარების სწრაფი და ზუსტი საბრძოლო ურთიერთმოქმედების ორგანიზაცია. მაგრამ საერთოდ კადრებთან გულმოდგინე მუშაობის შედეგად ბოლო დროს გარდატეხა მოხდა მეთაურების, შტაბებისა და ჯარების მიერ სამხედრო ხელოვნების დაუფლების საქმეში.

ამ თვალსაზრისით ფრიად დამახასიათებელი იყო ჩვენს — ბელორუსიის სამხედრო ოლქში 1936 წელს ჩატარებული საშემოდგომო მანევრები, რომელიც მიზნად ისახავდა ჯარების საზაფხულო საბრძოლო მომზადების შემოწმებას. მასში მონაწილეობდნენ ტექნიკით აღჭურვილი დიდი შენაერთები. მთლიანად მეთაურებმა და ჯარებმა გა-

მოავლინეს სწრაფცვლად ვითარებაში ყველა გვარეობის შენაერთთა საბრძოლო ურთიერთმოქმედების მართვის უნარი. ეს და ბევრი სხვა ამგვარი სწავლება, აგრეთვე მანევრები მოწმობდნენ, რომ წითელი არმია ძლიერდებოდა და იგი პირველი კლასის არმიად ხდებოდა.

ახალ თანამდებობაზე ჩემი დანიშვნის შემდეგ დივიზია მიიღო 21-ე საკავალერიო პოლკის მეთაურმა ივანე ნიკოლოზის ძე მუზიჩენკომ.

მას შემდეგ 30 წელზე მეტი გავიდა, მაგრამ დონის კაზაკთა მე-4 საკავალერიო დივიზიის რიგებში მომსახურე მეთაურებზე, პოლიტმუშაკებსა და მებრძოლებზე დღემდე ვინახავ ყველაზე საუკეთესო მოგონებებს.

თავი მეექვსე

მე-3 საკავალერიო და მე-6 კაზაკთა კორპუსების სარდლად

1937 წელი იყო. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ოცმა წელმა, მძიმე ბრძოლებისა და სახელოვანი გამარჯვებების ოცმა წელმა, ეკონომიკისა და კულტურის განვითარებამ, სოციალიზმის მშენებლობის ყველა სფეროში მიღწეულმა წარმატებებმა ცხადყვეს ოქტომბრის რევოლუციის იდეების სიდიადე.

ასე მოკლე ისტორიულ მონაკვეთებში ბევრი, გაუგონრად ბევრი რამ გაკეთდა. ინდუსტრიალიზაციის დაწყებამდე ჩვენი ქვეყნის ტექნიკური განვითარების დონე ოთხჯერ ჩამორჩებოდა ინგლისის, ხუთჯერ — გერმანიის, ათჯერ — ამერიკის შეერთებული შტატების დონეს. პირველი (1929—1932) და მეორე (1933—1937) ხუთწლედების განმავლობაში შეიქმნა მრეწველობის ბევრი ახალი დარგი, დიდი ნაბიჯი გადადგა წინ შავმა და ფერადმა მეტალურგიამ, ქიმიამ, ენერგეტიკამ, მანქანათმშენებლობამ. სსრ კავშირის მთელი მრეწველობის სასაქონლო პროდუქცია 1937 წლისათვის თითქმის ოთხჯერ გაიზარდა 1929 წელთან შედარებით, ხოლო თუ შევადარებთ 1913 წლისა და ომისწინა წლის მაჩვენებლებს, მანქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებაში სასაქონლო პროდუქციის გამოშვებამ 35-ჯერ იმატა. ომამდელ ხუთწლედებში დაახლოებით 9 ათასი მსხვილი სამრეწველო საწარმო აიგო, აღმოსავლეთში შეიქმნა მძლავრი ინდუსტრიული ბაზა, რომელიც ესოდენ გამოგვადგა დიდ სამამულო ომში. საერთოდ სამრეწველო წარმოების მოცულობისა და ახალგაბულ საწარმოთა ტექნიკური აღჭურვის მხრივ სსრ კავშირი ევროპაში პირველ, ხოლო მსოფლიოში მეორე ადგილზე გამოვიდა.

როცა დღეს ამგვარ თემებზე ახალგაზრდებს ესაუბრები, არ იგრძნობა, რომ ეს ციფრები და მონაცემები მათ განსაკუთრებით აღელვებდეთ. იქნებ, ეს გარკვეული აზრით ბუნებრივიცაა: დროც სხვაა, მასშტაბებიც ახალი, შეიცვალა საზრუნავი, ინტერესები. ბევ-

რი რამ უკვე გაკეთებულია, მზამზარეულია, კიბის პირველი საფეხურები, რომლებსაც ჩვენ ზემოთ მივუყვებოდით, აღარ ჩანს. მაგრამ მათთვის, ვინც დღეს 50-ისა არის, მით უმეტეს ჩვენთვის, რევოლუციამდე დაბადებულთათვის, ეს ციფრები ბევრს ღაღადებენ. ჩვენ მათ ვსწავლობდით, ზეპირად ვიცოდით, ამ ციფრებით ვამაყობდით ალბათ, უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ მათში ჩავაქსოვეთ ჩვენი სიცოცხლე და შრომა, ზოგჯერ ყოველგვარ პირადულ სიკეთეზე უარს ვამბობდით და მტკიცედ გვწამდა, რომ თვითეულის გარჯაზე იყო დამოკიდებული საყოველთაო კეთილდღეობა...

შორსა ვარ მისწრაფებისაგან, ვიქადაგო მორალი, ვიწუწუნო თანამედროვე ახალგაზრდებზე, თუნდაც იმიტომ, რომ ეს ახლა ერთობ მოდურია. მხოლოდ ერთის თქმა მსურს: დაე, ახალგაზრდა თაობამ გარდასულ დროებას თვალი გაუსწოროს და ჩვენსავით თუნდაც გულით კი ნუ განიცდის, არამედ გონებით მისწვდეს, რომ ომამდელი განვითარების ტემპები ჩვენი წყობილების პროგრესულობის მკაფიო დადასტურებაა, რომ ამ ეპოქას კვლავ მრავალჯერ დაუბრუნდებიან ისტორიკოსები, სოციოლოგები, ფილოსოფოსები, პუბლიცისტები, რათა აღწერონ და შეისწავლონ ახალი საზოგადოებრივი ფორმაციის ესოდენ სწრაფი წინსვლის საიდუმლოებები და მამოძრავებელი ძალები.

მაშ ასე, ქვეყნის თავდაცვის მძლავრი ბაზა შეიქმნა. როგორღა გამოიყურებოდა ჩვენი არმია ომისწინანდელ ხუთწლედებში ჩატარებული ტექნიკური რეკონსტრუქციის შემდეგ?

საერთოდ იგი ტექნიკურად ჩამორჩენილიდან გარდაიქმნა მოწინავე, თანამედროვე არმიად. ჯარების სახეობებისა და გვარეობების, ორგანიზაციული სტრუქტურისა და ტექნიკური აღჭურვის მიხედვით მან მიაღწია განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების არმიების დონეს.

აიგო ათობით და ასობით თავდაცვის საწარმოები. ხომ ფაქტია, რომ სამოქალაქო ომის შემდგომ პერიოდში არ გვქონდა ტანკების, თვითმფრინავების, საავიაციო ძრავების, მძლავრი საარტილერიო სისტემის, რადიოკავშირის საშუალებათა და სხვა თანამედროვე საბრძოლო ტექნიკის დამამზადებელი სპეციალური ქარხნები. თითქმის ყველაფერს ცარიელი ადგილიდან ვიწყებდით. საერთაშორისო ვითარების სირთულესა და იმპერიალისტური სახელმწიფოების მხრივ მოსალოდნელი აგრესიის ზრდასთან დაკავშირებით პარტია პირველ და მეორე ხუთწლედებში სახავდა თავდაცვითი ინდუსტრიის განვითარების უფრო მაღალ ტემპებს მრეწველობის სხვა დარგებთან შედარებით.

მეცნიერებს, ინჟინრებს, გამომგონებლებს ამოცანად დაუსახეს, შეექმნათ სამხედრო ტექნიკისა და იარაღების ისეთი ნიმუშები, რომლებიც არაფრით ჩამოუვარდებოდნენ საზღვარგარეთულს, დაჯაბნიდნენ კიდეც საბრძოლო თვისებებით. შეიარაღებული ძალების თითო-

ეული სახეობისა და გვარეობის ჯარების მიხედვით პრაქტიკულად იქმნება მსხვილი სამხედრო-საკონსტრუქტორო ბიუროები, ლაბორატორიები და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები. გაჩნდა კონსტრუქტორთა ათობით ნიჭიერი კოლექტივი, რომლებმაც მტკიცედ მოჰკიდეს ხელი საქმეს.

. სასროლი იარაღის გაუმჯობესების მთავარი მიმართულება იყო მისი მოწყობილობის გამარტივება, წონის შემცირება და საბრძოლო სწრაფსროლის გადიდება. რუსეთის არმიის კაპიტნის მოსინის მიერ გამოგონებული ცნობილი რუსული სამხაზიანი შაშხანა გათანადროულდა. დაიწყო სერიული წარმოება ს. გ. სიმონოვის ავტომატური შაშხანისა (1936 წლის ნიმუში), კარაბინისა (1938 წლის ნიმუში), ვ. ა. დეგტიაროვის ხელის ტყვიამფრქვევისა და მის საფუძველზე სატანკო, საზენიტო და საავიაციო ტყვიამფრქვევებისა.

1938 წელს შეიარაღებაში შედის პირველი სამამულო დეგტიაროვ-შპაგინის სისტემის მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევი, რომელიც საბრძოლო თვისებებით გამოირჩეოდა. 1939 წელს არმიამ მიიღო ვ. ა. დეგტიაროვის სისტემის ახალი დაზგის ტყვიამფრქვევი. არმიამ კარგი შეფასება მისცა პისტოლეტ-ტყვიამფრქვევს (ППД) ვ. ა. დეგტიაროვის საპისტოლეტე ვაზნებით და განსაკუთრებით გ. ს. შპაგინის კონსტრუქციის ახალ ნიმუშს (ППШ). 1930-1931 წლებიდან 1938 წლამდე შაშხანების გამოშვება 174 ათასიდან 4 174 ათასამდე გაიზარდა, ხოლო ტყვიამფრქვევებისა — დაახლოებით 41 ათასიდან 74,5 ათასამდე. ხელისა და დაზგის ტყვიამფრქვევებით მომარაგებისა და აგრეთვე ერთ მებრძოლზე ერთ წუთში დამზადებული ტყვიის მიხედვით წითელი არმია მეორე ხუთწლედის ბოლოს გამოირჩეოდა იმდროინდელი კაპიტალისტური არმიების ფონზე[1].

სწრაფად იზრდებოდა ტანკების გამოშვება. პირველ ხუთწლედში დამზადდა 5 ათასი, ხოლო მეორე ხუთწლედის ბოლოს არმიას ემსახურებოდა 15 ათასი ტანკი (მათგან დაახლოებით 12 ათასი ძირითადი ნიმუშებისა). ეს მანქანები გამოირჩეოდნენ მაღალი სასროლი ძალით, სწრაფსვლით. ჩვენს სავარაუდო მოწინააღმდეგეებს მაშინ არ ჰქონდათ ამავე ტიპის ასეთივე მაღალი თვისებების მანქანები, თუმცა ეს ტანკები მოუხეშავად მანევრირებდნენ და საარტილერიო ცეცხლისათვისაც იოლად მისაწვდომი იყვნენ. მათი ტექნიკური და საბრძოლო თვისებები კვლავ დაბალი იყო, ძალზე სწრაფად გამოდიოდნენ მწყობრიდან. ტანკები ბენზინით „იკვებებოდნენ“ და, მაშასადამე, ადვილად ფეთქდებოდნენ, ჯავშანიც არ ერტყათ საკმაო სიმტკიცისა.

---

[1] Архив МО СССР. ф. 7, оп. 21536, д. 75, лл. 54-55, ф. 1, оп. 1762, д. 66, лл. 192-199.

ტანკების ყოველწლიური გამოშვება 1930—1931 წლებში შეადგენდა 740-ს, 1938 წელს ამ ციფრმა 2271-ს მიაღწია.

ტანკებით გატაცებამ გარკვეული აზრით გამოიწვია არტილერიის შეუფასებლობა. ზოგი სამხედრო მოღვაწე იმასაც კი ფიქრობდა, რომ მთელი საზარბაზნე არტილერია უნივერსალური და ნახევარუნივერსალური ქვემეხების წარმოებით ამოგვეწურა. საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიუთითა ამგვარი ტენდენციის მცდარობაზე და დაადგინა საზარბაზნე და საჰაუბიცო არტილერიის წარმოების სწორი შეფარდების საზღვრები. 1937 წლის ბოლოდან რამდენიმე მსხვილი მანქანათსაშენი ქარხანა ახალი საარტილერიო ტექნიკის წარმოებაზე გადავიდა, ხოლო მოქმედ საწარმოთა სიმძლავრე მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1930—1931 წლებში ყოველწლიურად 2 ათასი ზარბაზანი მზადდებოდა, ხოლო 1938 წელს — 12,5 ათასზე მეტი. 1937 წელს შეიქმნა 152 მილიმეტრიანი ჰაუბიც-ქვემეხი და გაუმჯობესდა 122 მილიმეტრიანი ქვემეხი, 1938 წელს არმიამ მიიღო 122 მილიმეტრიანი ჰაუბიცი.

ყველა ეს იარაღიც კარგი იყო. მაგალითად, 1937 წლის ნიმუშის 45 მილიმეტრიან ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხს შეეძლო გაეხვრიტა კაპიტალისტური სახელმწიფოების მაშინდელი შეიარაღებაში არსებული ყველა ტიპის მანქანის ჯავშანი.

თუ 1934 წელს არმიაში ქვემეხთა რიცხვი 17 ათასს აღწევდა, 1939 წლისათვის ეს ციფრი თითქმის 56 ათასამდე გაიზარდა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგი მოძველებული საარტილერიო სისტემა ძალზე დიდხანს რჩებოდა შეიარაღებაში და არტილერიით მომარაგების მთელი რიგი ამოცანების გადაჭრაც ფერხდებოდა.

მეორე ხუთწლედში მსროლელმა ჯარმა მიიღო 50 მილიმეტრიანი კალიბრის ნაღმსატყორცნი. უაღრესად ნიჭიერმა კონსტრუქტორმა ბ. ი. შავირინმა ომამდე კარგახნით ადრე შექმნა 82 და 120 მილიმეტრიანი ყალიბის ნაღმსატყორცნები. ნაღმსატყორცნი იარაღებით არმიის სრულყოფილად აღჭურვა ეფრო გვიან განხორციელდა.

ტექნიკურმა რეკონსტრუქციამ გარდაქმნა ჩვენი სამხედრო-საჰაერო ძალები. საავიაციო მრეწველობამ აითვისა სხვადასხვა სამამულო ტიპის თვითმფრინავების მასობრივი წარმოება. სამხედრო მფრინავებმა მიიღეს ორმოტორიანი მჩქარობლური ბომბდამშენი СБ, მძიმე ბომბდამშენი ТБ-3, შორი მოქმედების ბომბდამშენი, ჩქაროსნული სამანევრო გამანადგურებელი И-15 და И-16.

ვის არ ახსოვს მ. გრომოვის, ვ. ჩკალოვის, ვ. კოკინაკის ლეგენდარული გადაფრენები? ისინი ხომ სამამულო წარმოების თვითმფრინავებს მართავდნენ. 1937 წელს ჩვენმა მფრინავებმა შორს, მაღლა და სწრაფი ფრენის დაახლოებით 30 საერთაშორისო რეკორდი დაამყარეს. იმ წლებში საბჭოთა ავიაციის ტექნიკური დონე არც ჩამოუ-

ვარდებოდა საზღვარგარეთისას. სამწუხაროდ, ეკონომიური შესაძლებლობა არ გექონდა იმისა, რომ მასობრივად გვეწარმოებინა ამ შესანიშნავი ნიმუშების თვითმფრინავები. რაც შეეხება რაოდენობას, დროის მხარდამხარ მდგომმა ჩვენმა საავიაციო მრეწველობამ 1938 წელს გამოუშვა თითქმის 5,5 ათასი თვითმფრინავი, მაშინ როდესაც 1930 წელს 860 დამზადდა.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის მიღწევებმა საშუალება მოგვცა აგვემაღლებინა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ტექნიკური დონე, მისი ბრძოლისუნარიანობა. 1929 წლიდან 1937 წლამდე აიგო სხვადასხვა კლასის 500 ახალი საბრძოლო და დამხმარე გემი. პარტიის ცენტრალური კომიტეტის თაოსნობით 1932 წელს შეიქმნა წყნარი ოკეანის ფლოტი, 1933 წელს — ჩრდილოეთის სამხედრო ფლოტილია. ძლიერდებოდა კასპიის, ამურის, დნეპრის ფლოტილიები. გაიშალა საოკეანო ფლოტის დიდი გემების მშენებლობა, სერიული წარმოება K, Л, Ш და C ტიპის წყალქვეშა ნავებისა და ტორპედიანი კატარღებისა, საესკადრო ნაღმსნებისა, „კიროვის“, „ჩაპაევის“ ტიპის მსუბუქი კრეისერებისა, იქმნება სანაპირო არტილერიის ბატარეები, ძლიერდება საზღვაო ავიაცია. 1937 წლის მიწურულს ყალიბდება გემსაშენი მრეწველობის სახალხო კომისარიატი, მუშავდება ახალ ხუთწლედში დიდი ფლოტის მშენებლობის გეგმა.

არმიისა და ფლოტის ხელახალი ტექნიკური შეიარაღების კვალდაკვალ ბუნებრივი და ლოგიკური იყო შერეული ტერიტორიულ-საკადრო სისტემიდან გადავსულიყავით ჩვენი შეიარაღებული ძალების მშენებლობის ერთიან საკადრო პრინციპზე. ახალმა სამხედრო ტექნიკამ ძირფესვიანად შეცვალა ომის წარმოების ხერხები, სხვადასხვა სახეობისა და გვარეობის ჯარების საბრძოლო გამოყენების, მათი საბრძოლო ურთიერთქმედების თავისებური და რთული ამოცანები დასახა. ახლა საკმაო აღარ იყო ხანმოკლე შეკრება, საჭირო გახლდათ ხანგრძლივი დრო, თანმიმდევრული და სისტემატური სამხედრო წვრთნა. ქვეყნის ეკონომიური ძლიერება (საკადრო არმიის შენახვა გაცილებით გაიაფდა) ამგვარი გარდაქმნის საშუალებას იძლეოდა.

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ და მთავრობამ მოიწონეს და დაამტკიცეს სსრ კავშირის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წინადადებანი საკადრო დივიზიების რიცხვის მნიშვნელოვანი გაზრდისა და დარჩენილ ტერიტორიულ დივიზიებში საკადრო ბირთვის გაძლიერების შესახებ. ამ პროცესს თან ახლდა წითელი არმიის შეომართა რაოდენობის ზრდა. 1933 წელს მასში მსახურობდა 885 ათასი კაცი, ხოლო 1937 წლის ბოლოს — ერთნახევარ მილიონზე მეტი. საკადრო დივიზიების რიცხვი 10-ჯერ გადიდდა, არმიის დაკომპლექტებისა და ორგანიზაციის საკადრო სისტემაზე გადასვლა 1939

წელს დამთავრდა. 1938 წლის ბოლოს სასაზღვრო ოლქების მსროლელთა დივიზიები თითქმის მთლიანად საკადრო სისტემაზე გადავიდნენ.

ჩვენ აუცილებლად მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში უნდა ვყოფილიყავით. ძირითადი იმპერიალისტური სახელმწიფოები შეუდგნენ არმიების მასობრივად გადიდებას, თანდათან მეტ სახსრებს აბანდებდნენ ახალი ომის მზადებისათვის. იაპონიის ბიუჯეტში სამხედრო გასავლის ხარჯები 1934 წლის 43 პროცენტიდან 1938 წელს 70 პროცენტამდე გადიდდა, იტალიის ბიუჯეტში — 20-დან 52 პროცენტამდე, გერმანიისა — თითქმის სამჯერ, 21-დან 61 პროცენტამდე.

1935 წელს ფაშისტურმა იტალიამ აბისინია დაიპყრო, 1936 წელს გერმანიამ და იტალიამ ინტერვენცია მოაწყვეს ესპანეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ. უკვე გაჩაღდა ბრძოლები და შეტაკებები არა მარტო და არა უბრალოდ ამა თუ იმ ქვეყნებს შორის, არამედ უფრო ფართო ასპარეზით — რეაქციისა და ფაშიზმის ძალები დაუპირისპირდნენ დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალებს.

ვინც ორმოცდაათს გადააბიჯა, კარგად ეხსომება, როგორ ვიხდიდით ინტერნაციონალურ მოვალეობას და ვეხმარებოდით ესპანეთის რესპუბლიკის კანონიერ მთავრობასა და ხალხს. ვეხმარებოდით, რითაც შეგვეძლო — შეიარაღებით, სურსათით, მედიკამენტებით. ესპანეთში მიემგზავრებოდნენ რომანტიკული, რევოლუციური სულისკვეთებით აღსავსე ჩვენი მოხალისეები: მფრინავები, ტანკისტები, არტილერისტები, უბრალო ჯარისკაცები, ცნობილი მხედართმთავრები.

საერთოდ იმ დროისათვის დამახასიათებელი იყო დიდი შინაგანი აღმავლობა. თუ ვილაპარაკებთ მთლიანად ჩვენს ქვეყანაზე, მძლავრად ეთარდებოდა ქვეყნის ეკონომიკა და კულტურა, შესამჩნევად უმჯობესდებოდა ცხოვრების პირობები, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში ათასობით ენთუზიასტი შრომითს რეკორდებს ამყარებდა, გვახსოვს, როგორ ქუხდა მათი სახელი მთელს ქვეყანაში.

დიდ ხალხს ყოველთვის სჭირდება დიდი იდეები და დიდი სახელები, რაიმე უნდა გწამდეს და ვინმეს უნდა მიჰყვებოდე.

არმიაში გაბატონებული იყო სწავლისადმი მისწრაფება, ყველა ცდილობდა კარგად დაუფლებოდა საქმეს. ჯარების მორალურ-პოლიტიკური მომზადება მაღალ შეფასებას იმსახურებდა. ასეთი ატმოსფეროს განმტკიცებას ხელს უწყობდა პარტიის მიერ ჩატარებული დიდი მუშაობა წითელარმიელთა მასების ზოგადი კულტურის ამაღლებისათვის, განსაკუთრებით მაღალგანვითარებული სწავლების სისტემა, თვითონ ჯარების საკადრო შემადგენლობის შეცვლა.

1937 წლისათვის წითელ არმიაში ყველა წერა-კითხვის მცოდნე იყო. მისი რიგები შეივსო ახალგაზრდებით, რომლებსაც ჰქონდათ

ტრაქტორისტის, კომბაინერის, მძღოლისა და სხვა პროფესიები. კულტურულ-საგანმანათლებლო საშუშაოებისათვის დიდი სახსრები გამოიყო — წლიურად 200 მილიონი მანეთი. არმიის ბიბლიოთეკის წიგნადმა ფონდმა თითქმის 25 მილიონამდე ეგზემპლარს მიაღწია, პირადი შემადგენლობა იწერდა მილიონობით ცალ პერიოდულ გამოცემას. მნიშვნელოვნად გაიზარდა წითელი არმიის სახლების, რადიოკვანძების, კინოდანადგარების, მოძრავი კინოდანადგარების, კლუბების რაოდენობა. არმია აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

75 სამხედრო სასწავლებელსა და სკოლაში სწავლობდა ახალგაზრდობა, რომელთაგან თვითეულს შვიდწლიანი განათლება მაინც ჰქონდა. კომკავშირმა, რომელიც ამ დროს სამხედრო-საჰაერო ძალებსაც შეფობდა, ფლოტისა და ავიაციისაკენ გზა დაულოცა ათასობით ღირსეულ ჭაბუკს, ისინი შემდეგ შესანიშნავი მფრინავები, მეთაურები და პოლიტმუშაკები გახდნენ. განუწყვეტლივ იხვეწებოდა სასწავლო პროცესი, სასწავლო პროგრამა მოიცავდა თეორიულ დისციპლინებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებს. რომლებიც ბრძოლაში ახალი ტექნიკის მოხერხებული გამოყენების სწავლებას ითვალისწინებდა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ახალი, სწრაფად მზარდი, ჯარების გვარეობებისა და შეიარაღებული ძალების სახეობებისათვის კადრების მომზადებას. პარტიის ცენტრალური კომიტეტი ყოველივე ამასთან დაკავშირებით ჩვეულებრივ იღებდა სპეციალურ დადგენილებას. ფართოვდებოდა უმაღლესი სამხედრო სკოლა. მეორე ხუთწლედის ბოლოსათვის არსებობდა 13 სამხედრო აკადემია, ერთი სამხედრო ინსტიტუტი და 5 სამხედრო ფაკულტეტი ჩვეულებრივ უმაღლეს სასწავლებლებში.

სასიკეთო ცვლილებები მოხდა არმიის კლასობრივ შემადგენლობაში. ძველი სამხედრო სპეციალისტებიდან დარჩნენ მხოლოდ ისინი, რომლებმაც ცხოვრების შემოწმება გაიარეს, საბჭოთა ხელისუფლების ერთგულება დაამტკიცეს, ხოლო სპეციალისტთა ახალი კადრები მეშებისა და გლეხებისაგან შედგებოდა, მათ ან სამოქალაქო ომის სკოლა ჰქონდათ გავლილი ანდა სამხედრო სასწავლებლებში მიიღეს ტექნიკური ცოდნა და პოლიტიკური აღზრდა. 1937 წლისთავის მეთაურთა შემადგენლობის 70 პროცენტზე მეტს მუშების და გლეხების წარმომადგენლები შეადგენდნენ, მეთაურთა ნახევარზე მეტი კომუნისტი ან კომკავშირელი იყო.

ერთი სიტყვით, საქმეები კარგად მიდიოდა, მართალია, საბჭოთა კავშირი ახალ სამყაროს მარტოდმარტო აშენებდა, მტრულ, კაპიტალისტურ გარემოცვაში იმყოფებოდა, საზღვარგარეთის დაზვერვა ძალებსა და საშუალებებს არ ზოგავდა, რათა ხელი შეეშალა საბჭოთა ხალხი-

სათვის. მაგრამ ქვეყანა და არმია წლიდან წლამდე სწრაფად ძლიერდებოდა, ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების გზები ყველასათვის ნათელი, ყველას მიერ მიღებული და მოწონებული იყო, მასებში შრომითი ენთუზიაზმი მეფობდა.

მით უმეტეს არაბუნებრივი ჩანდა, სრულებით არ შეესატყვისებოდა არც წყობილების არსებას და არც 1937 წლისათვის ქვეყნად არსებულ კონკრეტულ ვითარებას ის უსაფუძვლო დაპერები, რომლებსაც ამ წელს ადგილი ჰქონდა არმიაში.

დააპატიმრეს ცნობილი სამხედრო პირები, რასაც არ შეეძლო გარკვეული უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა ჩვენი შეიარაღებული ძალების განვითარებაზე.

1937 წელს თავდაცვის სახალხო კომისრის ბრძანებით დამნიშნეს ცხენოსანთა მე-3 კორპუსის მეთაურად. ამ თანამდებობაზე დავყავი შვიდი თვე. კაზაკთა მე-6 დივიზიის უფროსის ე. ი. გორიაჩოვის კიევის განსაკუთრებული ოლქის სარდლის მოადგილედ დანიშვნასთან დაკავშირებით შემომთავაზეს ამ კორპუსის მეთაურობა. მე დავთანხმდი ამ წინადადებას. მე-6 კორპუსი მომზადებითა და საერთო მდგომარეობით მაღლა იდგა მე-3 კორპუსზე და, რაც მთავარია, მის შემადგენლობაში შედიოდა დონის კაზაკთა მე-4 დივიზია. ამ დივიზიას 4 წელზე მეტ ხანს ვხელმძღვანელობდი და სავსებით ბუნებრივია, რომ განსაკუთრებით მიზიდავდა იგი.

ცხენოსანთა მე-3 კორპუსის მეთაურად ჩემს მაგიერ დაინიშნა ცხენოსანი არმიის ძველი და გამოცდილი მხედართუფროსი ი. ტ. ჩერევიჩენკო.

მე-6 კორპუსში დიდი ოპერატიული სამუშაოების ჩატარება მომიხდა. განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობდით ცხენოსან-მექანიზებულ არმიაში მხედრების საბრძოლო გამოყენებას. მაშინ ეს დიდი, საპრობლემო საკითხი იყო. ჩვენ ვვარაუდობდით, რომ ცხენოსანთა მექანიზებული არმიას 3—4 საკავალერიო დივიზიის, 2—3 სატანკო ბრიგადის, მსროლელთა მოტორიზებული დივიზიის შემადგენლობით და აგრეთვე ბომბდამშენი და გამანადგურებელი ავიაციის დახმარებით, შემდეგ კი საავიაციო დესანტის ნაწილების დახმარებით შეეძლო გადაეჭრა ფრონტის ოპერატიული ამოცანები, ხელი შეეწყო სტრატეგიული ჩანაფიქრის წარმატებით განხორციელებისათვის.

ჩვენ გვესმოდა, რომ მომაკალი მნიშვნელოვანწილად ეკუთვნოდათ ტანკებსა და მექანიზებულ შენაერთებს, ამიტომ დეტალურად ვეუფლებოდით სატანკო ჯარებთან ურთიერთმოქმედების საკითხებს, ტანკსაწინააღმდეგო დაცვის მოწყობას როგორც ბრძოლაში, ასევე ოპერაციის დროს.

როცა მე-3 და მე-6 კორპუსებს ვმეთაურობდი და პრაქტიკულ

საველე სწავლებასა და მანევრებს ემართავდით, საქმე გვქონდა 21-ე ცალკე სატანკო ბრიგადასთან (ბრიგადის მეთაური მ. ი. პოტაპოვი) ან მე-3 ცალკე სატანკო ბრიგადასთან (ბრიგადის მეთაური ვ. ვ. ნოვიკოვი). ორივე მათგანი წარსულში ჩემი თანამშრომლები იყვნენ და ჩვენც „საბრძოლო ვითარებაში" ერთმანეთისა, რიგორც იტყვიან, უსიტყვოდ გვესმოდა.

კაზაკთა მე-6 კორპუსი თავისი მომზადებით გაცილებით ჯობნიდა სხვა ნაწილებს. დონის მე-4 დივიზიის გარდა გამოირჩეოდა ჩონგარის მე-6 დივიზია, რომელიც ასევე კარგად იყო მომზადებული, განსაკუთრებით ტაქტიკაში, საცხენოსნო საქმესა და სროლაში. საკადრისი უნდა მივუზღოთ მის ყოფილ მეთაურს ლ. ი. ვაინერს, რომელმაც ბევრი ძალა და ენერგია შეალია დივიზიის მაღალ საბრძოლო მომზადებას.

რამდენადმე სუსტად გამოიყურებოდა 29-ე საკავალერიო დივიზია, რომელიც ქალაქ ოსიპოვიჩში იყო დაბანაკებული. დივიზიას მეთაურობდა ბრიგადის მეთაური კ. ვ. პავლოვსკი, ადამიანი რომელსაც ხასიათით და ტემპერამენტით არაფერი ჰქონდა საერთო მხედრობასთან. სხვათა შორის, იგი ჩამოუვარდებოდა სხვა მეთაურებს საერთო მომზადებითაც.

იმ პერიოდში ოლქის ჯარებს სარდლობდა არმიის I რანგის სარდალი ი. პ. ბელოვი. 1937 წლის შემოდგომაზე მან კარგად ჩაატარა საოლქო მანევრები, რომელსაც სტუმრების სახით ესწრებოდნენ გერმანიის არმიის გენერალური შტაბის გენერლები და ოფიცრები. მანევრებს თვალყურს ადევნებდნენ თავდაცვის სახალხო კომისარი კ. ე. ვოროშილოვი და გენერალური შტაბის უფროსი ბ. მ. შაპოშნიკოვი.

ი. პ. ბელოვის შემდეგ ოლქის ჯარებს სარდლობდა არმიის მე-2 რანგის სარდალი მ. პ. კოვალიოვი.

მიხეილ პროკოფის ძე კოვალიოვს სამოქალაქო ომის პერიოდიდან ვიცნობდი. ოლქის ჯარების სარდლად იგი დააწინაურეს, თუ არ ვცდები, ოლქის ჯარების სარდლის მოადგილის თანამდებობიდან. იგი ძალზე გულთბილი ადამიანი იყო, ოპერატიულ-სტრატეგიულ საკითხებში ცუდად არ ერკვეოდა, მაგრამ განსაკუთრებით ძლიერად გრძნობდა თავს ტაქტიკაში, რომელიც კარგად აითვისა როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად. იგი ცოტათი ჩამოუვარდებოდა ი. პ. ბელოვს, რომელმაც მთელი რიგი ოლქების ჯარების სარდლად ყოფნის დროს ოპერატიულ საკითხებში. როგორც იტყვიან, ხელი გაიწაფა.

ოლქის ჯარებში მოდიოდნენ ახალი ადამიანები, რომელთაც ჯერ კიდევ არ ჰქონდათ საკმაო ცოდნა და შეთაურის გამოცდილება. მათ თავიანთ თავზე დიდი მუშაობა უხდებოდათ, რათა ღირსეული მხედართმთავრები და მეომრების კარგი აღმზრდელები გამხდარიყვნენ.

არ შემიძლია არ მოვიგონო ი. ს. კუტიაკოვი, რომელსაც ადრი-

დანვე ვმეგობრობდი. ივანე სტეფანეს ძეს ოცზე მეტ წელს ვიცნობდი და ყოველთვის აღფრთოვანებული ვიყავი მისი როგორც მეთაურობის უნარით, ასევე ადამიანური სიძლიერითა და ნებისყოფით. ი. ს. კუტიაკოვი მეფის არმიის ჯარისკაცი იყო. თავის პოლკში დიდი ავტორიტეტი ჰქონდა და რევოლუციის პირველ დღეებში ჯარისკაცებმა პოლკის მეთაურად აირჩიეს. დიდი ღირსებაა ფრონტელმა ჯარისკაცებმა თავიანთ რჩეულად ჩაგთვალონ. ამისათვის საჭიროა დიდ ღირსებებს ატარებდე, ყველგან და ყოველთვის ამხანაგებს მაგალითს უჩვენებდე, საჭიროა გქონდეს ნათელი გონება, მხურვალე გული, კარგად იცნობდე და გიყვარდეს ადამიანები, ჩაწვდე მათს ფიქრებსა და მისწრაფებებს.

სამოქალაქო ომის წლებში ი. ს. კუტიაკოვი მეთაურობდა 25-ე ჩაპაევის დივიზიის მსროლელთა ბრიგადას. ვასილ ივანეს ძე ჩაპაევის დაღუპვის შემდეგ ი. ს. კუტიაკოვი დანიშნეს ამ დივიზიის მეთაურად. თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ ბრძოლაში ნაწილის კარგი მეთაურობისათვის იგი დაჯილდოვდა სამი წითელი დროშის ორდენით და ხორეზმის რესპუბლიკის წითელი დროშის ორდენით. 1937 წელს ი. ს. კუტიაკოვი დააწინაურეს ვოლგისპირეთის სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილედ.

მე-6 კორპუსის მეთაურობის დროს ბევრს ვმუშაობდი ოპერატიულ-სტრატეგიულ საკითხებზე, რადგან მიმაჩნდა, რომ ამ დარგში ბევრი რამ მაკლდა. შეგნებული მქონდა, რომ თანამედროვე კორპუსის მეთაურს ესაჭიროებოდა ძალზე ბევრი ცოდნა და მეც შეუპოვრად ვმუშაობდი სამხედრო მეცნიერების ათვისებისათვის.

წარსული ომების ისტორიული მასალების, სამხედრო ხელოვნების საკითხებზე კლასიკური შრომებისა და სხვადასხვა მემუარული ლიტერატურის კითხვის დროს ვცდილობდი გამეკეთებინა დასკვნები თანამედროვე ომის ხასიათზე, თანამედროვე ოპერაციებსა და ბრძოლებზე. განსაკუთრებით ბევრი მომცა იმან, რომ პირადად ვამუშავებდი სადივიზიო და საკორპუსო გუნდური თამაშების, სამეთაურო-საშტაბო სწავლების, ჯარების მეცადინეობებისა და სხვა ამგვარი ღონისძიებების ოპერატიულ-ტაქტიკურ გეგმებს.

თითოეული ასეთი მეცადინეობის შემდეგ ვგრძნობდი, რომ მემატებოდა ცოდნა და გამოცდილება. ხოლო ეს აუცილებელია არა მარტო პირადი ზრდისათვის. არამედ ხელქვეითი ახალგაზრდა კადრებისათვისაც. მსიამოვნებდა, როცა მეცადინეობასა თუ წვრთნას ნაწილისათვის, შტაბისა ან ოფიცერთა ჯგუფისათვის საგრძნობი სარგებლობა მოჰქონდა. ეს გაწეული ღვაწლის ყველაზე დიდ ჯილდოდ მიმაჩნდა. როცა მეცადინეობა არაფერს ახალს იძლევა, როცა ვერაფერს ისწავლი უფროსი მეთაურისაგან, ასეთი მეცადინეობა, ჩემი აზრით, მძიმედ

აწევება მეთაურის სინდისს, ხაზს უსვამს მის ნაკლოვანებებს. ცოდვა გამხელილი ჯობს: ცოტა როდი გვყავდა ისეთი მეთაური, რომელიც ცოდნით ვერ ჯობნიდა მისადმი დაქვემდებარებულებს.

თუ სამხედრო საქმეს ძირფესვიანად და თანმიმდევრულად, ნაბიჯ-ნაბიჯ ვეუფლებოდი როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად, მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლისათვის შემთხვევიდან შემთხვევამდე ემეცადინეობდი, ხშირად ყოველგვარი სისტემის გარეშე, ცალკეული საკითხების მიხედვით.

ასე ჩემს გარდა ბევრ სხვა მეთაურსაც მოსდიოდა. თუმცა, პარტია ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ აემაღლებინა წითელი არმიის სამწყობრო სამეთაურო შემადგენლობის იდეოლოგიური მომზადების დონე. ყველა უმაღლეს სასწავლებელში მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების პროგრამა საკმაოდ მდიდარი გახლდათ, მაგრამ, საფიქრებელია, რომ ჩვენგან ამ მხრივ გაცილებით მეტის გაკეთება იყო საჭირო. თავის დროზე ბევრს როდი ხედა წილად ბედნიერება გაეცალა ტოლმაჩოვის სახელობის პოლიტიკური აკადემიის კურსები.

კორპუსის მეთაურობის დროს კარგად ვესმოდა პარტიულ-პოლიტიკური საკითხების სერიოზული შესწავლის აუცილებლობა და ხშირად გამიტეხია ღამე მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებების კითხვისას. უნდა აღვნიშნო, რომ მათ იოლად როდი ვითვისებდი, განსაკუთრებით კ. მარქსის „კაპიტალს“ და ვ. ი. ლენინის ფილოსოფიურ ნაშრომებს. მაგრამ პასუხისმგებლობის გრძნობა მაიძულებდა დავუფლებოდი მასალას. შემდგომში კმაყოფილებას მგვრიდა ის, რომ არ შევუშინდი სიძნელეებს და, როგორც იტყვიან, ძალა მეყო სწავლის განგრძობისათვის. ეს დამეხმარა კარგად გავრკვეულიყავი ჩვენი შეიარაღებული ძალების ორგანიზაციის, ჩვენი პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებში.

თვითონაც ვმუშაობდი და ჩემდამი დამქვემდებარებლებისგანაც მოვითხოვდი სისტემატურად შეესწავლათ ლენინური სტრატეგია და ტაქტიკა, ურომლისოდაც შეუძლებელია წარმატებით უხელმძღვანელო ჯარებს, ასწავლო და აღზარდო ისინი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში საშობლოს დასაცავად წარუძღვე.

1937 წლის ბოლოს ოლქის ყველა შენაერთის მეთაურები გამოგვიძახეს თათბირზე, რომელიც იხილავდა ჯარების საბრძოლო მომზადების შედეგებსა და ამოცანებს.

გამოვიდნენ ოლქის ჯარების სარდალი მ. პ. კოვალიოვი და სამხედრო საბჭოს წევრი ი. ზ. სუსაიკოვი. მ. პ. კოვალიოვის გამოსვლას კარგად შეხვდნენ. იგი ლაპარაკობდა ღირსეულად და საქმის ცოდნით, მაგრამ ყველასათვის ნათელი იყო, რომ კოვალიოვი არ იყო უბორველი და ბელოვიც კი. იგრძნობოდა, რომ მას დასჭირდებოდა ძალზე

ბევრი ემუშავა, რათა გამხდარიყო სრულყოფილი სარდალი ისეთი დიდი ოლქისა, როგორიც მაშინ ბელორუსიის სამხედრო ოლქი იყო.

თათბირი დამთავრდა სამხედრო საბჭოს ზოგადი მითითებებით. ეს სრულებითაც არ იყო იმგვარად, როგორც უბორიჩევის დროს ხდებოდა. მაშინ ყოველგვარი თათბირის შემდეგ უჩვენებდნენ ახალ ტექნიკას, სახმელეთო და სამხედრო-საჰაერო ძალების საცდელ-საჩვენებელ მეცადინეობებს, ოპერატიულ თამაშებს, ისმენდნენ მოხსენებებს სხვადასხვა ისტორიულ თემებზე და ა. შ.

1938 წელს ჯარების საბრძოლო მომზადება ჩვენთან ძირითადად ნორმალურად მიმდინარეობდა და წლის ბოლოს მე-6 კაზაკთა კორპუსის ნაწილებს კარგი მაჩვენებელი ჰქონდათ.

1938 წლის ბოლოს შემომთავაზეს ახალი — ბელორუსიის სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილის თანამდებობა. სარდლის პირველ მოადგილედ მაშინ დანიშნეს კორპუსის მეთაური ფ. ი. კუზნეცოვი (სწორედ ის კუზნეცოვი, რომელიც ომის პირველ პერიოდში სარდლობდა ჩრდილო-დასავლეთ ფრონტს). მე მნიშნავდნენ ი. რ. აპანასენკოს ნაცვლად, რომელიც კიევის სამხედრო ოლქში ს. კ. ტიმოშენკოს მოადგილედ გადაიყვანეს.

მშვიდობიან დროს ჩემი ფუნქცია იქნებოდა მეხელმძღვანელა ოლქის ცხენოსანთა ნაწილებისა და ცალკე სატანკო ბრიგადების საბრძოლო მომზადებისათვის, ოპერატიული სამობილიზაციო გეგმის მიხედვით ამ ბრიგადებს ცხენოსანთა ნაწილებთან ერთად უნდა ემოქმედათ. ომის შემთხვევაში მეთაურობას გავუწევდი ცხენოსან-მექანიზებულ ჯგუფს, რომლის შემადგენლობაში იქნებოდა ცხენოსანთა 4—5 დივიზია, 3—4 ცალკე სატანკო ბრიგადა და სხვა გამაძლიერებელი ნაწილები.

არ მინდოდა დამეტოვებინა კორპუსი, რომელსაც მივეჩვიე. მაგრამ დიდ ოპერატიულ გაერთიანებასთან მუშაობის პერსპექტივა მაცდუნებელი ჩანდა და დავთანხმდი შემოთავაზებულ წინადადებას.

ჩემს მაგიერ მე-6 კაზაკთა კორპუსის ხელმძღვანელად დანიშნეს ბრიგადის მეთაური ა. ი. ერიომენკო.

კორპუსის დივიზიების და ნაწილების მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს დავემშვიდობე და გავემგზავრე სმოლენსკს, სადაც მაშინ იდგა ბელორუსიის სამხედრო ოლქის შტაბი. ჯარების სარდალი მ. პ. კოვალიოვი ძალზე გულთბილად შემხვდა.

მე-3 და მე-6 ცხენოსანთა კორპუსებში მუშაობამ ბევრი ცოდნა და გამოცდილება შემძინა და სამუდამოდ პატივს ვცემ მათ, ვინც მეხმარებოდა, ვინც პატიოსნად ემსახურებოდა ჩვენი ქვეყნის თავდაცვის დიდ საქმეს.

თავი მეშვიდე

გამოუცხადებელი ომი ხალხინ-გოლზე

1939 წლის მაისის ბოლოს, როცა ბელორუსიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის მოადგილე ვიყავი, ჩემს თანაშემწეებთან ერთად საველე საკომანდო-საშტაბო წვრთნას ვატარებდი მინსკის რაიონში. წვრთნაში ოლქის ცხენოსანთა შენაერთებისა და ზოგიერთი სატანკო შენაერთის მეთაურები, შტაბების უფროსები და ოპერატიული მუშაკები მონაწილეობდნენ.

საშტაბო წვრთნა უკვე დაგამთავრეთ და 1-ლ ივნისს მისი გარჩევა გვქონდა მინსკში, მე-3 ცხენოსანთა კორპუსის შტაბში. მოულოდნელად ოლქის სამხედრო საბჭოს წევრმა — დივიზიის კომისარმა ი. ზ. სუსაიკოვმა მაცნობა: ეს-ეს არის, დარეკეს მოსკოვიდან, ნაბრძანებია, დაუყოვნებლივ გაემგზავროთ და ხვალ თავდაცვის სახკომთან გამოცხადდეთო.

პირველივე ჩამომვლელი მატარებლით წავედი მოსკოვში, დილით კი, 2 ივნისს, უკვე კ. ე. ვოროშილოვის მისაღებში ვიყავი.

აქ დამხვდა სახკომის საგანგებო დავალებათა აღმასრულებელი რ. ჰ. ხმელნიცკი და მითხრა, კ. ე. ვოროშილოვი უკვე გელოდებათო.

— შედით, მე კი ახლავე ვუბრძანებ, ჩემოდანი მოგიმზადონ შორეული მგზავრობისათვის.

— რომელი შორეული მგზავრობისათვის?

— სახკომთან შედით, ის გეტყვით ყველაფერს, რაც საჭიროა.

კაბინეტში რომ შევედი, სახკომს ჩემი ჩამოსვლა ვუპატაკე. კ. ე. ვოროშილოვმა ჯანმრთელობა მომიკითხა და მითხრა:

— იაპონიის ჯარები უეცრად შემოიჭრნენ ჩვენი მეგობარი მონღოლეთის ფარგლებში, საბჭოთა მთავრობას კი 1936 წლის 12 მარტის ხელშეკრულებით ნაკისრი აქვს ვალდებულება — ყოველგვარი გარეშე აგრესიისაგან დაიცვას მონღოლეთი. აი, შემოჭრის რაიონის რუკა, აქ აღნიშნულია ვითარება 30 მაისისათვის.

რუკასთან მივედი.

—აი აქ, — მიმითითა სახკომმა, — იაპონელები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ახორციელებდნენ მცირე პროვოკაციულ თავდასხმებს მონღოლ მესაზღვრეებზე, აი აქ კი იაპონელთა ჯარები, ხაილარის გარნიზონის ჯარების ჯგუფის შემადგენლობით, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოიჭრნენ და თავს დაესხნენ მონღოლთა სასაზღვრო ნაწილებს, რომლებიც მდინარე ხალხინ-გოლის აღმოსავლეთით მდებარე უბანს იცავდნენ.

— ვფიქრობ, — განაგრძობდა სახკომი, — სერიოზული სამხედრო ავანტიურაა წამოწყებული. ყოველ შემთხვევაში, ამით არ დასრულდება ეს ამბავი... შეგიძლიათ თუ არა დაუყოვნებლივ გაფრინდეთ იქ და, თუ საჭირო შეიქნა, ჯარების სარდლობა იკისროთ?

— ეზად ვარ ახლავე გავფრინდე.

— ძალიან კარგი, — თქვა სახკომმა. — თვითმფრინავი მზად დაგხვდებათ ცენტრალურ აეროდრომზე 16 საათისათვის. მანამდე კი ი. ვ. სმოროდინოვთან შეიარეთ, თქვენთვის აუცილებელი მასალები მიიღეთ და გენშტაბთან კავშირის თაობაზე მოელაპარაკეთ. თვითმფრინავთან თქვენს განკარგულებაში მოვა სპეციალისტ-ოფიცერთა მცირე ჯგუფი. ნახვამდის, წარმატებას გისურვებთ!

სახკომს რომ დავემშვიდობე, გენერალურ შტაბში გავეშურე, გენერალური შტაბის უფროსის მოადგილის თანამღებობის აღმსრულებელ ივანე ვასილის ძე სმოროდინოვთან, რომელსაც ადრევე ვიცნობდი. მის მაგიდაზეც ისეთივე რუკა იყო გაშლილი, როგორიც სახკომთან. ივანე ვასილის ძემ მითხრა, ვერაფერს დავუმატებ იმ ვითარებას, რომელიც სახკომმა გაგაცნოთ. ამიტომ საუბარი მხოლოდ თქვენთან კავშირის თაობაზე გვექნებაო.

— მე გთხოვთ, — თქვა ი. ვ. სმოროდინოვმა, — ადგილზე ჩასვლისთანავე გაერკვიოთ, რა ხდება იქ, და გულახდილად მოგვახსენოთ თქვენი აზრი.

ამით დავემშვიდობეთ ერთმანეთს მე და ი. ვ. სმოროდინოვი.

მალე ჩვენი თვითმფრინავი უკვე ჰაერში იყო და მონღოლეთისაკენ აიღო კურსი. უკანასკნელად ვიდრე ქვეყნის ფარგლებს გავცდებოდით, ჩიტაში შევისვენეთ. იქ ოლქის სამხედრო საბჭოში მიგვიწვიეს ინფორმაციის გადმოსაცემად. შტაბში ოლქის სარდალი ვ. ფ. იაკოელევი და სამხედრო საბჭოს წევრი დ. ა. გაპანოვიჩი დაგვხვდნენ. მათ ბოლო დღეების ამბები შეგვატყობინეს: ახალი ის იყო, რომ იაპონელთა ავიაცია თურმე ღრმად იჭრებოდა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე და ჩვენს მანქანებზე ნადირობდა, ტყვიამფრქვევებით ცხრილავდა მათ.

5 ივნისს, დილით, ტამცაკ-ბულაყში, 57-ე განსაკუთრებული კორ-

პუსის შტაბში ჩავედით. იქ შევხვდით დივიზიის მეთაურ ნ. ვ. ფეკლენკოს — კორპუსის სარდალს, პოლკის კომისარ მ. ს. ნიკიშევს — კორპუსის კომისარს, ბრიგადის მეთაურ ა. მ. კუშჩევს — შტაბის უფროსს, და სხვებს.

ვითარებას რომ მოგვახსენებდა, ა. მ. კუშჩევმა იმთავითვე შენიშნა, ჯერ არ არის იგი სათანადოდ შესწავლილიო.

მოხსენებიდან ნათელი იყო, რომ კორპუსის სარდლობამ არ იცოდა ნამდვილი ვითარება. ნ. ვ. ფეკლენკოს ეკითხე, როგორ ფიქრობთ, შეუძლია თუ არა ბრძოლის ასპარეზიდან 120 კილომეტრზე მყოფ სარდლობას ჯარების მართვა-მეთქი?

— რაღა თქმა უნდა, საკმაოდ შორს ვზივართ აქ, — მიპასუხა მან, — მაგრამ სხვა რა გზაა, როცა ოპერატიული მხრით არა გვაქვს ეომზადებული მოვლენათა რაიონი. ჩვენ წინ არც ერთი კილომეტრი სატელეფონო-სატელეგრაფო ხაზი არ არის, არც წინასწარ მომზადებული საკომანდო პუნქტია, არც დასაფრენი მოედნები.

— მერე რა კეთდება იმისათვის, რომ ყოველივე ეს მოგვარდეს?

— ვფიქრობთ, ხალხი გაგზავნოთ ხე-ტყის მასალისათვის და საკომანდო პუნქტის მოწყობას შევუდგეთ.

აღმოჩნდა, რომ კორპუსის სარდლობიდან, გარდა პოლკის კომისარ მ. ს. ნიკიშევისა, არავინ ჩასულა მოქმედების რაიონში. კორპუსის მეთაურს შევთავაზე, დაუყოვნებლივ წავიდეთ წინა ხაზზე და იქ დაწვრილებით გავერკვეთ ვითარებაში-მეთქი. ნ. ვ. ფეკლენკომ მოსკოვი მოიმიზეზა, არ ვიცი, რა წუთში მიხმობენ აპარატთანო, და ამბანაგ ჰ. ს. ნიკიშევს შესთავაზა ჩემთან წამოსვლა.

გზაში კომისარი დაწვრილებით მესაუბრა კორპუსის მდგომარეობაზე, მის ბრძოლისუნარიანობაზე, შტაბზე, ცალკეულ მეთაურებსა და პოლიტიკურ მუშაკებზე. მ. ს. ნიკიშევმა ერთობ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ის გარკვეული იყო თავის საქმეში, იცნობდა ხალხს, მათს ავსა და კარგს.

მოვლენათა რაიონში ადგილმდებარეობის დეტალურმა გაცნობამ, ჩვენი ჯარებისა და მონღოლეთის არმიის ნაწილების მეთაურებთან და კომისრებთან, აგრეთვე შტაბების მუშაკებთან გასაუბრებამ საშუალება მოგვცა, უფრო ნათლად გაგვეგო იქაური ამბების ხასიათი და მასშტაბი და იაპონელთა ჯარების ბრძოლისუნარიანობა. იქვე დაეინახეთ ნაკლოვანებებიც ჩვენი და მონღოლეთის ჯარების მოქმედებაში. ერთ-ერთი მთავარი ნაკლი მოწინააღმდეგის საგულდაგულო დაზვერვის უქონლობა აღმოჩნდა.

ყველაფერი იმაზე მეტყველებდა, რომ ეს არ იყო სასაზღვრო კონფლიქტი, რომ იაპონელებს ხელი არ აუღიათ საბჭოთა შორეული აღმოსავლეთისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ თა-

ვიანთ აგრესიულ მიზნებზე და რომ უახლოეს ხანში უფრო ფართო მასშტაბის მოქმედების მოლოდინი უნდა გვქონოდა

ავწონ-დავწონეთ საერთო ვითარება და მივედით იმ დასკვნამდე, რომ იმ ძალებით, რომლებიც ჩვენს 57-ე განსაკუთრებულ კორპუსს გააჩნდა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში, შეუძლებელი იქნებოდა იაპონიის სამხედრო ავანტიურის აღკვეთა, განსაკუთრებით მაშინ, თუ ერთდროულად დაიწყებოდა აქტიური მოქმედება სხვა რაიონებშიც და სხვა მიმართულებებიდანაც.

როცა საკომანდო პუნქტზე დავბრუნდით, კორპუსის სარდლობასაც მოვეთათბირეთ და შეტყობინება გავუგზავნეთ თავდაცვის სახკომს. მასში მოკლედ ჩამოვაყალიბეთ საბჭოთა და მონღოლეთის ჯარების მოქმედების გეგმა: მტკიცედ შეგვენარჩუნებინა პლაცდარმი ხალხინ-ოლის მარჯვენა ნაპირზე და ერთდროულად მოგვემზადებინა კონტრდარტყმა სიღრმიდან. მეორე დღეს პასუხი მივიღეთ. სახკომი სავსებით მართებულად მიიჩნევდა ჩვენს მიერ ვითარების შეფასებას და იწონებდა მოქმედების დასახულ გეგმას. იმავე დღეს მოვიდა სახკომის ბრძანებაც 57-ე განსაკუთრებული კორპუსის მეთაურობისაგან დივიზიის მეთაურ ნ. ვ. ფეკლენკოს განთავისუფლებისა და ამ კორპუსის მეთაურად ჩემი დანიშვნის თაობაზე.

მესმოდა რა მთელი სირთულე ვითარებისა, თხოვნით მივმართე თავდაცვის სახკომს — გაეძლიერებინათ ჩვენი საავიაციო ნაწილები, აგრეთვე წამოეწიათ საბრძოლო მოქმედების რაიონისაკენ არანაკლებ სამი მსროლელი დივიზია და ერთი სატანკო ბრიგადა და მნიშვნელოვნად განემტკიცებინათ არტილერია, რის გარეშეც, ჩვენი აზრით, შეუძლებელი იყო გამარჯვების მიღწევა.

ერთი დღის შემდეგ გენშტაბიდან გვაცნობეს, თქვენი წინადადებები მიღებულიაო. ჩვენთან გზავნიდნენ დამატებით ავიაციას და, გარდა ამისა, მფრინავთა ჯგუფს, საბჭოთა კავშირის გმირებს, სულ ოცდაერთ კაცს, სახელგანთქმული ი. ვ. სმუშკევიჩის მეთაურობით, რომელსაც კარგად ვიცნობდი ბელორუსიის სამხედრო ოლქიდან. ამავე დროს მოგვცეს გაუმჯობესებული მატერიალური ნაწილი ავიაციისა — მოდერნიზებული И-16 და „ჩაიკა“.

მფრინავებმა — საბჭოთა კავშირის გმირებმა — დიდი სასწავლ-აღმზრდელობითი მუშაობა გასწიეს ჩვენთან და თავისი საბრძოლო გამოცდილება გადასცეს ახალგაზრდა მფრინავებს, რომლებითაც ის-ის იყო შეივსო ჩვენი საავიაციო ნაწილები. შედეგებმა უახლოეს ხანშივე იჩინა თავი.

22 ივნისს ჩვენმა 95-მა გამანადგურებელმა გააფთრებული საჰაერო ბრძოლა გაუმართა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოჭრილ იაპონელთა 120 თვითმფრინავს. ამ საჰაერო

ბრძოლაში ბევრი საბჭოთა კავშირის გმირი მონაწილეობდა და იაპონელმა მფრინავებმა ჰკუისსასწავლი გაკვეთილი მიიღეს მათგან. 24 ივნისს იაპონელთა ავიაციამ კვლავ გაიმეორა თავისი მასირებული დარტყმა და კვლავ მწარე მუშტები იგემა. რაკი დაინახა, მარცხს განვიცდითო, იაპონელთა სარდლობამ ერთობ არაორგანიზებულად დაიწყო მანქანების გაყვანა ბრძოლიდან.

26 ივნისს ბუირ-ნურის ტბასთან, „მონღოლთევზის" რაიონში, იაპონელთა 60-მდე თვითმფრინავი გამოჩნდა. ჩვენი გამანადგურებლები სასტიკ, ცხარე ბრძოლაში შეებნენ მოწინააღმდეგეს. ყველა ნიშნით, ამჯერად მასში უფრო გამოცდილი იაპონელი მფრინავები მონაწილეობდნენ, მაგრამ ვერც მათ შეძლეს გამარჯვების მოპოვება. როგორც მერე დადგინდა, იაპონელთა სარდლობამ თურმე ჩინეთში მოქმედი თავისი ყველა საავიაციო ნაწილის საუკეთესო ძალები გადმოისროლა ამ უბანზე.

სულ საჰაერო ბრძოლებში 22-დან 26 ივნისამდე ჩათვლით მოწინააღმდეგემ 64 თვითმფრინავი დაკარგა.

საჰაერო ბრძოლები, თუმცაღა ნაკლები დაძაბულობით, 1-ლ ივლისამდე გრძელდებოდა თითქმის ყოველდღიურად. ამ ბრძოლებში ჩვენი მფრინავები ოსტატობას სრულყოფდნენ და თავის ნებისყოფას აწრთობდნენ გამარჯვების მოსაპოვებლად.

ხშირად ვიგონებ ჯარისკაცული მადლიერებით შესანიშნავ მფრინავებს, ამხანაგებს: ს. ი. გრიცევეცს, გ. პ. კრავჩენკოს, ვ. მ. ზაბალუევს, ს. პ. დენისოვს, ვ. გ. რახოვს, ვ. ფ. სკობარიხინს, ლ. ა. ორლოვს, ვ. პ. კუსტოვს, ნ. ს. გერასიმოვს და ბევრსა და ბევრ სხვას. ამ ჯგუფის მეთაური ი. ვ. სმუშკევიჩი ჩინებული ორგანიზატორი იყო, რომელიც მშვენივრად იცნობდა საბრძოლო საფრენოსნო ტექნიკას და სრულყოფილად ფლობდა საფრენოსნო ოსტატობას. ი. ვ. სმუშკევიჩი უაღრესად თავმდაბალი ადამიანი, საუცხოო უფროსი და პრინციპული კომუნისტი იყო. იგი გულწრფელად უყვარდა ყველა მფრინავს.

მოწინააღმდეგის ავიაციის მეტისმეტი აქტივობა შემთხვევითი არ იყო. ჩვენ მიგვაჩნდა, რომ იაპონელებს მიზნად ჰქონდათ სერიოზული დამარცხება მიეყენებინათ ჩვენი ავიაციისათვის და ჰაერში ბატონობა მოეპოვებინათ თავიანთი ჯარების მომავალი დიდი შეტევითი ოპერაციის ინტერესებისათვის.

როგორც მოგვიანებით გამოირკვა, ივნისის განმავლობაში იაპონელები მართლაც თავს უყრიდნენ თავიანთ ჯარებს ხალხინ-გოლის რაიონში და საიმისოდ ამზადებდნენ, რომ განეხორციელებინათ „ნამონხანის ინციდენტის მეორე პერიოდის" სახელწოდებით ცნობილი ოპერაცია, რომელიც მათი სამხედრო აგრესიის გეგმიდან გამომდინარეობდა. იაპონიის ჯარების ოპერაციის მიზანი იყო:

— მდინარე ხალხინ-გოლის აღმოსავლეთით განლაგებული საბჭოთა და მონღოლეთის ჯარების მთელი დაჯგუფების გარემოცვა და განადგურება;

— მდინარე ხალხინ-გოლის გადმოლახვა და მის დასავლეთ ნაპირზე გამოსვლა ჩვენი რეზერვების განადგურების მიზნით;

— ხალხინ-გოლის დასავლეთით პლაცდარმის დაპყრობა და გაფართოება შემდგომი მოქმედების უზრუნველსაყოფად.

ამ ოპერაციის განსახორციელებლად მოწინააღმდეგემ უკვე გაშლის პროცესში მყოფი თავისი მე-6 არმიის შემადგენლობაში სამოქმედოდ დამატებით გადმოისროლა ჯარები ხაილარის რაიონიდან.

იაპონელთა სარდლობა იმედოვნებდა, რომ მომავალ შეტევით ოპერაციას ივლისის პირველ ნახევარში დაამთავრებდა, იმ ვარაუდით, რომ შემოდგომის დადგომამდე მორჩენილიყო მთელ საომარ მოქმედებას მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ფარგლებში. მას იმდენად სჯეროდა თავისი გამარჯვება, რომ საბრძოლო მოქმედების რაიონში ზოგიერთი საზღვარგარეთელი კორესპონდენტი და სამხედრო ატაშეც კი მოიწვია, რათა ეხილათ იაპონიის ჯარების მომავალი ძლევამოსილი მოქმედება. სხვებთან ერთად ჰიტლერული გერმანიისა და ფაშისტური იტალიის კორესპონდენტები და სამხედრო ატაშეებიც ჰყავდათ მოწვეული.

3 ივლისს, განთიადის წინ, მონღოლეთის არმიის უფროსი მრჩეველი პოლკოვნიკი ი. მ. აფონინი ბაინ-ცაგანის მთაზე წავიდა მონღოლეთის მე-6 ცხენოსანთა დივიზიის თავდაცვის შესამოწმებლად და სრულიად მოულოდნელად წააწყდა იქ იაპონელთა ჯარებს. მოწინააღმდეგეს თურმე მალულად გადმოელახა ღამის საფარქვეშ მდინარე ხალხინ-გოლი და იერიში მიეტანა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მე-6 ცხენოსანთა დივიზიის ქვეგანაყოფებზე. ესარგებლა რა ძალების უპირატესობით, 3 ივლისს, განთიადის წინ, ხელთ ეგდო ბაინ-ცაგანის მთა და მისი მოსაზღვრე უბნები. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მე-6 ცხენოსანთა დივიზიას ბაინ-ცაგანის მთის ჩრდილო-დასავლეთ უბნებზე დაეხია.

როცა პოლკოვნიკმა ივანე მიხეილის ძე აფონინმა ახალი სიტუაციის საშიშროება შეაფასა, დაუყოვნებლივ მოაშორა საბჭოთა ჯარების სარდლის საკომანდო პუნქტს (სულ მალე, 15 ივლისისათვის, 57-ე კორპუსი 1-ლ საარმიო ჯგუფად გაიშალა) და ბაინ-ცაგანის მთაზე შექმნილი ვითარება მოგვაბსენა. ცხადი იყო, ამ რაიონში ვერავინ გადაუდგებოდა გზაზე იაპონელთა დაჯგუფებას — ფლანგსა და ზურგში დაერტყა ჩვენი ჯარების ძირითადი დაჯგუფებისათვის.

ვითარების გართულების გამო დაუყოვნებლივ ავტეხეთ საბრძოლო განგაში, ფეხზე დაეყენეთ მთელი ჩვენი რეზერვი და დავუსახეთ ამო-

ცანა — უმალვე დაძრულიყვნენ ბაინ-ცაგანის მთის საერთო მიმართულებით და იერიში მიეტანათ მოწინააღმდეგეზე. მე-11 სატანკო ბრიგადამ, რომელსაც ბრიგადის მეთაური მ. პ. იაკოვლევი უძღოდა, ბრძანება მიიღო შეუჩერებლივ შეეტია მოწინააღმდეგისათვის. პოდპოლკოვნიკ ი. ი. ფედიუნინსკის 24-ე მოტომსროლელთა პოლკს, რომელიც არტილერიის დივიზიონით იყო გაძლიერებული, ებრძანა მე-11 სატანკო ბრიგადასთან თანამოქმედებით მიეტანა იერიში მოწინააღმდეგეზე. მე-7 მოტოჯავშნოსანთა ბრიგადა პოლკოვნიკ ა. ლ. ლესოვოის მეთაურობით სამხრეთიდან დარტყმისათვის იქნა გამიზნული. აქეთკენვე უნდა გადასულიყო მონღოლეთის მე-8 ცხენოსანთა დივიზიის ჯავშნოსანი დივიზიონი.

დილით ადრე, 3 ივლისს, საბჭოთა სარდლობა ბაინ-ცაგანის მთის რაიონში ჩავიდა. 185-ე საარტილერიო პოლკის მძიმე საარტილერიო დივიზიონს ებრძანა დაზვერვა გადაესროლა ბაინ-ცაგანის მთისკენ და ცეცხლი დაეშინა იაპონელთა დაჯგუფებისათვის. ამავე დროს მდინარე ხალხინ-გოლის გაღმა მხარეს განლაგებულმა არტილერიამაც (რომელიც მე-9 მოტოჯავშნოსანთა ბრიგადის მხარდამჭერი იყო) მიიღო ბრძანება თავისი ცეცხლი ბაინ-ცაგანის მთაზე შეჭრილ მოწინააღმდეგეზე გადაეტანა. საბრძოლო განგაშით წამოვაფრინეთ მთელი ჩვენი ავიაციაც.

დილის 7 საათზე ჩვენი ბომბდამშენი და გამანადგურებელი ავიაციის პირველი ჯგუფებიც გამოჩნდნენ და ბაინ-ცაგანის მთის დაბომბვა და იერიში დაიწყეს. ჩვენთვის ერთობ მნიშვნელოვანი იყო ავიაციის დარტყმითა და არტილერიის ცეცხლით შეგვეგოჭა და შეგვეყოვნებინა მოწინააღმდეგე ბაინ-ცაგანზე, რათა ამასობაში რეზერვი წამოგვეშველებოდა და კონტრდარტყმა გაგვეხორციელებინა.

მთის რაიონში მოწინააღმდეგის ძალების შემდგომი გადმოსხმა და თავმოყრა რომ დაგვემუხრუჭებინა, ბრძანება გავეცით — ავიაციას გაძლიერებით დაებომბა, ხოლო არტილერიას განუწყვეტელი ცეცხლი დაეშინა მდინარე ხალხინ-გოლზე გამოსასვლელისათვის.

დაახლოებით დილის 9 საათისათვის უკვე მე-11 სატანკო ბრიგადის ავანგარდის ბატალიონის მეწინავე ქვეგანაყოფებმაც მოაღწიეს ჩვენამდე.

უშუალოდ ბაინ-ცაგანის რაიონში ასეთი ძალთა თანაფარდობა იქმნებოდა:

მოწინააღმდეგემ ათი ათასზე მეტი მებრძოლის თავმოყრა მოასწრო ბაინ-ცაგანის მთაზე; საბჭოთა ჯარებს შესაძლებლობა ჰქონდათ თავი მოეყარათ ათასზე მეტი ხიშტისათვის; იაპონელთა ჯარებს დაახლოებით 100 ქვემეხი და 60-მდე ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი ჰქონდათ;

ჩვენ — 50 ქვემეხზე ცოტა მეტი, მდინარე ხალხინ-გოლის აღმოსავლეთ ნაპირიდან ზხარდამჭერთა ჩათვლით.

სამაგიეროდ, ჩვენს რიგებში იბრძოდა გმირული მე-11 სატანკო ბრიგადა, რომელსაც 150 ტანკი ჰქონდა, მე-7 მოტო-ჯავშნოსანთა ბრიგადა 154 ჯავშნოსანი მანქანით, და მონღოლების მე-6 ჯავშნოსანთა დივიზიონი, რომელიც 45-მილიმეტრიანი ქვემეხებით იყო შეიარაღებული.

ამრიგად, ჩვენი მთავარი იმედი ჯავშანსატანკო შენაერთები იყო, და ჩვენც გადავწყვიტეთ დაუყოვნებლივ გვესარგებლნა ამით, შეუჩერებლივ გადავსულიყავით იერიშზე და გაგვენადგურებინა ეს-ეს არის მდინარეზე გადმოსული იაპონელთა ჯარები მანამ, ვიდრე მიწაში ჩასანგრებას და ტანკსაწინააღმდეგო თავდაცვის მოწყობას მოასწრებდნენ. კონტრდარტყმის დაყოვნება ისედაც აღარ შეიძლებოდა, რადგან მოწინააღმდეგემ შენიშნა ჩვენი სატანკო ნაწილების მოახლოება და სასწრაფოდ შეუდგა თავდაცვითი ღონისძიებების მიღებას, თანაც ჩვენი ტანკების კოლონების დაბომბვა დაიწყო. საფარში დგომა კი ტანკებს არსად შეეძლოთ — ასეულობით კილომეტრზე ის არემარე ხელისგულივით მოტიტვლებული იყო, ბუჩქიც არ მოიძებნებოდა სადმე.

9 საათსა და 15 წუთზე შევხვდით მე-11 სატანკო ბრიგადის მეთაურს მ. პ. იაკოლევს, რომელიც ავანგარდის ბატალიონის მთავარ ძალებთან იმყოფებოდა და მის მოქმედებას ხელმძღვანელობდა. ვითარება რომ განვიხილეთ, გადავწყვიტეთ მთელი ავიაცია გამოგვეწვია, ტანკებისა და არტილერიის მოძრაობა დაგვეჩქარებინა და არა უგვიანეს 10 საათისა და 45 წუთისა დავძრულიყავით მოწინააღმდეგის საიერიშოდ. 10 საათსა და 45 წუთზე მე-11 სატანკო ბრიგადამ მთავარი ძალები გაშალა და შეუჩერებლივ მიიტანა იერიში იაპონელთა ჯარებზე.

აი რა ჩაწერა ამ ამბების თაობაზე იაპონელმა ჯარისკაცმა ნაკამურამ თავის დღიურში 3 ივლისს:

„ჩვენს ნაწილებს უეცრად თავს დაესხა რამდენიმე ათეული ტანკი. საშინლად ავირ-დავირიეთ, ცხენები აჭიხვინდნენ და თქარათქურით მიმოიფანტნენ. თან ქვემეხთა ორთვალები აითრიეს; ავტომანქანები უთავბოლოდ გაქროლდნენ ყოველი მიმართულებით. ჩვენი 2 თვითმფრინავი ჩამოაგდეს. მთელი პირადი შემადგენლობა სულით დაეცა. იაპონელი ჯარისკაცების ლექსიკონში სულ უფრო გახშირდა სიტყვები: „საშინელ დღეში ვართ“, „სამწუხარო ამბავია“, „სულით დაეეცით“, „შიში გვზარავს“.

ბრძოლამ 4 ივლისს მთელ დღე და ღამეს გასტანა და მხოლოდ 5 ივლისის დილის 3 საათისათვის გავტეხეთ საბოლოოდ მოწინააღმდეგე. იაპონელთა ჯარებმა სასწრაფოდ დაიწყეს მდინარეზე გადასასვლელისაკენ უკან დახევა, მაგრამ იგი მათსავე მესანგრეებს აეფეთქებინათ

იმის შიშით, რომ ჩვენი ტანკები არ გაჭრილიყვნენ. იაპონელი ოფიცრები სრული აღფერვილობით ცვივოდნენ პირდაპირ მდინარეში და უმალ იძირებოდნენ, ზედ ჩვენი ტანკისტების თვალწინ.

იაპონიის ჯარების ნარჩენები, რომლებსაც ეკავათ ბაინ-ცაგანის მთა, მთლიანად იქნა მოსპობილი მთის აღმოსავლეთ ფერდობებზე მდინარე ხალხინ-გოლის წყალკლების რაიონში. ბაინ-ცაგანის მთა ათასობით გვამით, აუარება დახოცილი ცხენით, უამრავი გადათქერილი და დამსხვრეული ქვემეხით, ნაღმსატყორცნით, ტყვიამფრქვევითა და მანქანით იყო სულერთიანად მოფენილი. საჰაერო ბრძოლებში იმ დღეებში ჩამოგდებულ იქნა იაპონელთა 45 თვითმფრინავი, მათ რიცხვში 20 მოპიკრე თვითმფრინავი.

იაპონიის ჯარების მე-6 არმიის სარდალმა გენერალმა კამაცუბარამ (სწორედ იმან, რომელიც თავის დროზე სამხედრო ატაშედ იყო საბჭოთა კავშირში), რაკი დაინახა, საითაც ვითარდებოდა მოვლენები, ჯერ კიდევ 4 ივლისის განთიადამდე თავისი ოპერჯგუფით გაღმა ნაპირზე დაიხია. იაპონელთა სარდლისა და მისი აბალის გასვლა ბრძოლის ასპარეზიდან ასე აღწერა თავის დღიურში მისი შტაბის უფროსმა უნტერ-ოფიცერმა ოტანიმ:

„ნელა და ფრთხილად მიდის გენერალ კამაცუბარას მანქანა. დაბლობს მთვარე დაჰყურებს, არე-მარე დღესავითაა განათებული. ღამე ისევე მდუმარე და დაძაბულია. როგორც ჩვენ თვითონ. ხალხინი მთვარის შუქში ლივლივებს და მის ზედაპირზე მკაფიოდ მოჩანს მოწინააღმდეგის სანათი ბომბების ცეცხლის ანარეკლები. საშინელი სურათია. ბოლოს როგორც იქნა მოეძებნეთ ხიდი და უფათერაკოდ გამთვალწიეთ უკანვე. ამბობენ, ჩვენი ნაწილები მოწინააღმდეგის მრავალი ტანკის გარემოცვაში იმყოფებიან და სრული განადგურების წინაშე დგანანო. ფხიზლად უნდა ვიყოთ".

5 ივლისს, დილით, ბაინ-ცაგანის მთასა და მდინარე ხალხინ-გოლის დასავლეთ ნაპირზე ყველაფერი მიწყნარდა. ბრძოლა იაპონიის ჯარების მთავარი დაჯგუფების განადგურებით დამთავრდა. ეს იყო წითელი არმიის ჯარების აქტიური თავდაცვის კლასიკური ოპერაცია, რომლის შემდეგაც იაპონიის ჯარებს აღარც უცდიათ მდინარე ხალხინ-გოლის დასავლეთ ნაპირზე გადმოსვლა.

თუმცა მდინარე ხალხინ-გოლის აღმოსავლეთ ნაპირზე კვლავ ადრინდელი ძალით მძვინვარებდა ბრძოლა. ბაინ-ცაგანის მთაზე განადგურებულმა ძოწინააღმდეგემ მაინც შეძლო აღმოსავლეთ ნაპირზე თავისი ჯარების ნარჩენების გაყვანა და სცადა დახმარებოდა იასუოკას შემბოჭავ ჯგუფს, რომელმაც. დიდი ზარალისდა მიუხედავად, აგრეთვე ვერ მიაღწია წარმატებას.

იაპონელთა მსხვილი დაჯგუფების განადგურება ბაინ-ცაგანის მთა-

ზე და თავდაცვის შენარჩუნება მდინარე ხალხინ-გოლის აღმოსავლეთ ნაპირზე ჩვენი ჯარებისა და მონღოლთა ნაწილების პოლიტიკურ-მორალური მდგომარეობის ამაღლების დიდი სტიმული შეიქმნა. მებრძოლები, ოფიცრები, ნაწილების მეთაურები გულწრფელად და მბურვალედ ულოცავდნენ გამარჯვებას თავიანთ მეზობლებსა და თავიანთ მეგობრებს.

ბაინ-ცაგანის ხოცვა-ჟლეტაში ძირითადი როლი მე-11 სატანკო ბრიგადამ, მე-7 მოტოჯავშნოსანთა ბრიგადამ, მონღოლეთის მე-8 ჯავშნოსანთა დივიზიონმა და მათთან თანამოქმედმა არტილერიამ და სამხედრო-საჰაერო ძალებმა შეასრულეს. ბაინ-ცაგანის რაიონში ბრძოლის გამოცდილებამ დაგვანახა, რომ ავიაციასა და მოძრავ არტილერიასთან უნარიანად თანამოქმედი სატანკო და მოტომექანიზებული ჯარების სახით ჩვენ გადამწყვეტი საშუალება გაგვაჩნია გაბედული მიზნით წამოწყებული სწრაფი ოპერაციების განსახორციელებლად.

ახლა მოწინააღმდეგე სადაზვერვო საბრძოლო მოქმედებით იფარგლებოდა. თუმცა 12 აგვისტოს მისმა ქვეითმა პოლკმა, რომელიც არტილერიით, ჯავშნოსანი მანქანებითა და ნაწილობრივ ტანკებით იყო გაძლიერებული, 22 ბომბდამშენის მხარდაჭერით იერიში მიიტანა მონღოლეთის 22-ე ცხენოსანთა პოლკზე და ფრონტის სამხრეთ უბანზე სიმაღლე „ბოლშიე პესკი“ დაიკავა.

მოწინააღმდეგე აქტიურად ქმნიდა თავდაცვას მთელ ფრონტზე: ეზიდებოდა ხე-ტყის მასალას, თხრიდა მიწას, აგებდა ბლინდაჟებს, ზრუნავდა თავდაცვის საინჟინრო გაძლიერებაზე. მისი ავიაცია, რომელმაც სერიოზული ზარალი ნახა (23 ივლისიდან 4 აგვისტომდე 116 თვითმფრინავი იქნა ჩამოგდებული), სადაზვერვო გაფრენებითა და ცენტრალური გადასასვლელის, საარტილერიო პოზიციებისა და რეზერვების მცირე დაბომბვით იფარგლებოდა.

საბჭოთა და მონღოლეთის ჯარების სარდლობა საგულდაგულოდ ემზადებოდა არა უგვიანეს 20 აგვისტოსათვის გენერალური შეტევითი ოპერაციის ჩასატარებლად, რათა საბოლოოდ გაგვენადგურებია მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ფარგლებში შემოჭრილი ჯარები.

ამისათვის სამხედრო საბჭოს თხოვნით ჯარების 1-ლი საარმიო ჯგუფი სასწრაფოდ ძლიერდებოდა საბჭოთა კავშირიდან გადმოსროლილი ახალი ძალებითა და საშუალებებით, აგრეთვე მატერიალურ-ტექნიკური მარაგებით. ჩვენთან დამატებით გადმოჰყავდათ ორი მსროლელთა დივიზია, სატანკო ბრიგადა, ორი საარტილერიო პოლკი და სხვა ნაწილები. ძლიერდებოდა ბომბდამშენი და გამანადგურებელი ავიაცია.

მომავალი, ერთობ რთული ოპერაციის ჩასატარებლად ჩვენ ყამირგზებით უნდა გადმოგვეზიდა მომარაგების სადგურიდან მდინარე ხალხინ-გოლამდე, 650 კილომეტრ მანძილზე, შემდეგი:

— საარტილერიო საბრძოლო მასალა	— 18 000 ტონა,
— საბრძოლო მასალა ავიაციისათვის	— 6500 ტონა,
— სხვადასხვა საწვავ-საზეთი მასალა	— 15 000 ტონა,
— ყველა სახის სურსათ-სანოვაგე	— 4000 ტონა,
— სათბობი	— 7500 ტონა,
— დანარჩენი ტვირთები	— 4000 ტონა.

ყველა ამ ტვირთის გადმოსაზიდად ოპერაციის დასაწყისისათვის საჭირო იყო 3500 სატვირთო და 1400 ცისტერნიანი მანქანა, მაშინ როცა საარმიო ჯგუფის განკარგულებაში იყო მხოლოდ 1724 სატვირთო და 912 ცისტერნიანი მანქანა. 14 აგვისტოს შემდეგ გადაზიდვის საშუალებებს დაემატა საბჭოთა კავშირიდან მოსული კიდევ 1250 სატვირთო მანქანა და 375 ავტოცისტერნა. გვაკლდა ასობით სატვირთო და ცისტერნიანი მანქანა.

გადაზიდვათა ძირითადი სიმძიმე აწევებოდა საჯარისო საავტომობილო ტრანსპორტსა და მწყობრის მანქანებს, საარტილერიო საწევრების ჩათვლით. ჩვენ გადავწყვიტეთ ამ უკიდურესი ნაბიჯის გადადგმა, რადგან, ჯერ ერთი, სხვა გამოსავალი არ გექონდა და, მეორე, იმიტომ, რომ საკმარისად მყარად მიგვაჩნდა ჩვენი ჯარების თავდაცვა.

ჩვენი დივიზიონები — მძღოლები პრაქტიკულად შეუძლებელს აკეთებდნენ. გაგანია სიცხის, გამომფიტველი ქარების პირობებში ტრანსპორტი მხოლოდ ხუთ დღეს ანდომებდა 1200-1300 კილომეტრიან მისვლა-მოსვლას!

ზურგის მოწყობაში, გადმოზიდვების ორგანიზაციაში ძალიან დაგვეხმარა იმიერბაიკალის სამხედრო ოლქი. უამისოდ ჩვენ, ალბათ, თავს ვერ გავართმევდით ოპერაციისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური მარაგის უმოკლეს დროში შექმნის ამოცანას.

მომავალი ოპერაციის წარმატების გადამწყვეტ ფაქტორად ჩვენ მიგვაჩნდა ოპერატიულ-ტაქტიკური უეცრობა, რომელსაც ისეთ მდგომარეობაში უნდა ჩაეყენებინა მოწინააღმდეგე, რომ ჩვენი გამანადგურებელი დარტყმისათვის წინააღმდეგობის გაწევისა და კონტრმანევრის წამოწყების შესაძლებლობა აღარ ჰქონოდა. განსაკუთრებით ვითვალისწინებდით იმას, რომ იაპონელთა მხარე, რომელსაც არ ჰყავდა კარგი სატანკო შენაერთები და მოტომექანიზებული ჯარები, ვერ შეძლებდა სწრაფად გადმოესროლა მეორეხარისხოვანი უბნებიდან და სიღრმიდან თავისი ნაწილები და დაეპირისპირებინა ჩვენი დამკვრელი დაჯგუფებებისათვის, რომლებიც მოწინააღმდეგის თავდაცვის ფლანგებზე მოქმედებდნენ იაპონელთა მე-6 არმიის გარემოცვის მიზნით.

ჩვენი ღონისძიებების შენიღბვისა და უმკაცრესი გასაიდუმლოების უზრუნველსაყოფად საარმიო ჯგუფის სამხედრო საბჭომ მომავალ

ოპერაციის გეგმასთან ერთად შეიმუშავა მოწინააღმდეგის ოპერატიულ-ტაქტიკური თვალისახვევის გეგმაც, რომლითაც გათვალისწინებული იყო:

— საარმიო ჯგუფის გასაძლიერებლად საბჭოთა კავშირიდან მომავალი ჯარების მოძრაობისა და თავმოყრის მალულად წარმოება;
— მდინარე ხალხინ-გოლის გაღმა მხარეს თავდაცვაში მყოფი ძალებისა და საშუალებების მალული გადაჯგუფებები;
— მდინარე ხალხინ-გოლის გაღმა მხარეს ჯარების გადაყვანისა და მატერიალური მარაგის გადატანის მალულად განხორციელება;
— ჯარების სამოქმედო ამოსავალი რაიონების, უბნებისა და მიმართულებების რეკოგნოსცირების წარმოება;
— მომავალ ოპერაციაში მონაწილე ყველა გვარეობის ჯარების ამოცანათა განსაკუთრებული საიდუმლოებით დამუშავება;
— ყველა სახეობისა და გვარეობის ჯარების მიერ მალული წინასწარი დაზვერვის წარმოება;
— მოწინააღმდეგის დეზინფორმირება და მოტყუება იმ მიზნით, რათა მცდარი აზრი შექმნოდა ჩვენი განზრახვების თაობაზე.

ამ ღონისძიებებით ვფიქრობდით შთაგვეგონებინა მოწინააღმდეგისათვის, რომ ჩვენს მხარეზე შეტევითი ხასიათის არავითარი მოსამზადებელი ღონისძიება არ ხორციელდებოდა, გვეჩვენებია მისთვის, რომ ფართოდ გვქონდა გაშლილი მუშაობა თავდაცვისათვის და მხოლოდ თავდაცვისათვის. ამიტომაც გადავწყვიტეთ ყველა გადანაცვლება, თავმოყრა, გადაჯგუფება მხოლოდ ღამით გვეწარმოებინა, როცა მოწინააღმდეგის ავიადაზვერვის მოქმედება და ვიზუალური თვალთვალი უკიდურესად შეზღუდულია.

17-18 აგვისტომდე კატეგორიულად ავკრძალეთ ჯარების შეყვანა იმ რაიონებში, საიდანაც გადამწყვეტი დარტყმების მიყენებას და მოწინააღმდეგის მთელი დაჯგუფების ფლანგებსა და ზურგში გასვლას ვაპირებდით. ადგილმდებარეობის რეკოგნ ცირების მოსახდენად მიმავალ მეთაურთა შემადგენლობას წითელარმიელთა ფორმა უნდა სცმოდა და მხოლოდ სატვირთო მანქანები გამოეყენებინა.

ჩვენ ვიცოდით, რომ მოწინააღმდეგე რადიოდაზვერვას აწარმოებდა და ყურს უგდებდა ჩვენს სატელეფონო საუბრებს. ამიტომ მისი დეზინფორმირების მიზნით რადიო და სატელეფონო კავშირის მთელი პროგრამა შევიმუშავეთ. ტელეფონით მხოლოდ თავდაცვის მშენებლობასა და შემოდგომა-ზამთრის კამპანიისათვის მის მომზადებაზე ვლაპარაკობდით. რადიომოტყუება უმთავრესად აგებული იყო კოდზე. რომელიც ოლად იშიფრებოდა.

თავდაცვაში მყოფი მებრძოლის მრავალი ათასი ფურცელი და რამდენიმე სამახსოვრო გამოვეცით. ეს ფურცლები და სამახსოვროები მოწინააღმდეგეს შევატყობინეთ იმ ვარაუდით, რომ დაენახა, თუ რა მიმართულებით წარმოებდა საბჭოთა და მონღოლეთის ჯარების პოლიტიკური მომზადება.

ჯარების — საფლანგო დამკვრელი დაჯგუფებების — თავმოყრა და შეტევის ამოსავალ რაიონებში შეყვანა გათვალისწინებული იყო ღამით 19-20 აგვისტოსათვის. განთიადისას ყველანი მდინარისპირა ბარდების გაყოლებით საგანგებოდ მომზადებულ საფარებში უნდა ყოფილიყვნენ ჩამალულნი. არტილერიის მატერიალურ ნაწილს, ნაღმსატყორცნებს, წევის საშუალებებსა და სხვადასხვა ტექნიკას საგულდაგულოდ უნდა დაფარებოდა ადგილობრივი საბელდაბელო მასალისგან დამზადებული სანიღბავი ბადეები. სატანკო ნაწილები პატარ-პატარა ჯგუფებად და სხვადასხვა მიმართულებებიდან უნდა გასულიყვნენ ამოსავალ რაიონებში უშუალოდ საარტილერიო და საავიაციო მომზადების დაწყების წინ. მათი სიჩქარე ამის საშუალებას იძლეოდა.

ღამ-ღამობით ყოველ გადაადგილებას ვნიღბავდით ხმაურით, რომელსაც თვითმფრინავების ფრენა, არტილერიის ზალპი, ნაღმსატყორცნების, ტყვიამფრქვევებისა და თოფების სროლა იწვევდა. სათანადო ნაწილები ჯარების მოძრაობასთან შეხამებული გრაფიკის ზუსტი შესატყვისობით სტეხდნენ საჭირო ხმაურს.

მოძრაობის შესანიღბავად გამოვიყენეთ აგრეთვე ბგერითი დანადგარებიც, რომლებიც პალოების ჩარჭობის, თვითმფრინაეების ფრენის, ტანკების მოძრაობისა და ა. შ. ხმაურის კარგ იმიტაციას აბდენდნენ. ჯერ ისევ ვქმნიდით ჩვენს დამკვრელ დაჯგუფებებს და კიდევ 12-15 დღე რჩებოდა მათ ამოძრავებამდე, რომ უკვე ავამოქმედეთ ეს დანადგარები, რათა მოწინააღმდეგე თანდათან შეჩვეოდა იმიტირებულ ხმაურს. პირველ ხანებში იაპონელები მართლაც ჯარების მოქმედებად მიიჩნევდნენ ამ იმიტაციას და ცეცხლს უშენდნენ იმ რაიონებს, საიდანაც ესა თუ ის ხმაური ესმოდათ. მერე კი, არ ვიცი, შეეჩვივნენ, თუ მიხვდნენ, რაშიც იყო საქმე, სულაც აღარ აქცევდნენ ყურადღებას საერთოდ არავითარ ხმაურს, რაც ერთობ მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის ნამდვილი გადაჯგუფებებისა და თავმოყრის პერიოდში.

იმისათვის, რათა მოწინააღმდეგემდე არ გაეღწია ცნობებს შეტევითი ოპერაციის თაობაზე, გენერალური შეტევის გეგმას საარმიო ჯგუფის შტაბში ადგენდნენ და აზუსტებდნენ პირადად სარდალი, სამხედრო საბჭოს წევრი, პოლიტგანყოფილების უფროსი, შტაბის უფროსი და ოპერატიული განყოფილების უფროსი. ცალკეულ გვარეობათა ჯარების სარდლები და უფროსები, და ზურგის უფროსი მხოლოდ სპეციალურ საკითხებზე მუშაობდნენ, სარდლის მიერ დამტკიცებული

გეგმით. ოპერაციის გეგმის, ბრძანებების, საბრძოლო განკარგულებებისა და დანარჩენი ოპერატიული დოკუმენტაციის საბეჭდად დაშვებულ იქნა მხოლოდ ერთი მემანქანე ქალი.

ვადის მოახლოების კვალობაზე მეთაურთა შემადგენლობას კატეგორიებისდა მიხედვით თანამიმდევრობით გავაცანით ოპერაციის გეგმა: მეთაურთა შემადგენლობისათვის გეგმის გაცნობას შევუდექით საბრძოლო მოქმედების გაშლამდე ოთხი დღე-ღამით ადრე და მოვრჩით, როცა მის დაწყებამდე ერთი დღე-ღამე რჩებოდა. ჯარისკაცებსა და სერჟანტებს შეტევის დაწყებამდე სამი საათით ადრე დავუსახეთ საბრძოლო ამოცანები.

შემდგომმა მოვლენებმა და ჩვენი შეტევითი ოპერაციის მთელმა მსვლელობამ დაგვანახა, რომ დეზინფორმაციისა და შენიღბვისათვის მიღებულმა საგანგებო ზომებმა, აგრეთვე უეცარი ოპერაციის მოსამზადებლად განხორციელებულმა სხვა ღონისძიებებმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს, და მოწინააღმდეგე მართლაც სახტად დატოვა ჩვენმა მოულოდნელმა შეტევამ.

აგვისტოს ოპერაციის მომზადებაში განსაკუთრებული ყურადღება ღაეთმო მოწინააღმდეგის საგულდაგულო დაზვერვის ორგანიზაციას. ბევრმა მეთაურმა, შტაბმა და სადაზვერვო ორგანომ საბრძოლო მოქმედების პირველ ხანებში საკმარისი გამოცდილება ვერ გამოამჟღავნა. დაზვერვას უამრავ ამოცანას უსახავდნენ, თანაც ეს ამოცანები ხშირ შემთხვევებში პრაქტიკულად განუხორციელებელი და პრინციპულად უმნიშვნელო იყო. ამის შედეგად სადაზვერვო ორგანოების ძალები მთავარი სადაზვერვო მიზნების საზიანოდ იქსაქსებოდა. ხშირად თვითონ მზვერავებსაც შეჰყავდათ შეცდომაში სარდლობა თავიანთი ნაუცბათევი დასკვნებით, რომლებიც მხოლოდ ამა თუ იმ ნიშნებსა და ვარაუდებს ემყარებოდა.

რა თქმა უნდა, ომების, ბრძოლებისა და ოპერაციების ისტორიაში ყოფილა შემთხვევები, როცა ამგვარი ვარაუდი მართლაც სწორი გამომდგარა, მაგრამ ჩვენ არ შეგვეძლო სერიოზული ოპერაცია საჭოჭმანო მონაცემებზე აგვეგო. მომავალი ოპერაციის დროს, რომლითაც მოწინააღმდეგის არმიის გარემოცვასა და განადგურებას ვისახავდით მიზნად, ჩვენ უმთავრესად მისი ზუსტი განლაგება და რაოდენობა გვაინტერესებდა.

მოწინააღმდეგის შესახებ ცნობების მოპოვების სირთულეს აღრმავებდა ის გარემოება, რომ მოქმედების რაიონში არ იყო სამოქალაქო მოსახლეობა, რომლისგანაც ზოგიერთი ცნობების მიღება შეუძლია დაზვერვას. იაპონელთა მხრიდან ჩვენთან არავინ გადმორბოდა. ხოლო იქიდან გამოქცეულმა ბარგუტებმა, როგორც წესი, არაფერი იცოდნენ იაპონელთა ნაწილებისა და შენაერთების განლაგებასა და რაოდენო-

ბაზე. ყველაზე სარწმუნო ცნობებს დაზვერვითი ბრძოლებით ვღებულობდით. მაგრამ ეს მონაცემები მხოლოდ წინა ხაზსა და არტილერიისა და ნაღმსატყორცნების უახლოეს საცეცხლე პოზიციებს მოიცავდნენ.

ჩვენი სადაზვერვო ავიაცია თავდაცვის სიღრმის კარგ ავიასურათებს გვაძლეედა. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ მოწინააღმდეგე ჩვეულებრივ ფართოდ იყენებდა მაკეტების ქსელს და სხვა ცრუ მოქმედებას, დიდი სიფრთხილე უნდა გამოგვეჩინა დასკვნების გამოტანისას და არაერთი შემოწმებიო დაგვედგინა, რა იყო ნამდვილი ამ სურათებზე და რა კიდევ — მოჩვენებითი.

მოწინააღმდეგის თავდაცვის სიღრმეში მცირე სადაზვერვო ჯგუფები იშვიათად ახერხებდნენ გაღწევას, რადგან იაპონელებს ძალზე კარგად ჰქონდათ გამოთოფილი ადგილმდებარეობა თავისი ჯარების განლაგების რაიონში.

მაგრამ, მიუხედავად ყველა ამ არახელსაყრელი გარემოებისა, ჩვენ მაინც შევძელით დაზვერვის მოწყობა და მისგან რიგი ძვირფასი ცნობების მიღება.

კარგად მუშაობდა დაზვერვა 149-ე მოტორიზებულ მსროლელთა პოლკში. აქ მის მოწყობას უშუალოდ ხელმძღვანელობდა პოლკის მეთაური — საბჭოთა კავშირის გმირი მაიორი ი. მ. რემიზოვი, რომელიც შესანიშნავად იცნობდა დაზვერვის სპეციფიკას. მე მინახავს მაიორი ი. მ. რემიზოვი საწვრთნელი მეცადინეობისას. ის მზვერავებს უჩვენებდა, როგორ შეეპაროთ ტყვე საფარიდან, როგორ გაეღწიათ მოწინააღმდეგის საბრძოლო დაცვაში ღამით. მაიორი სადაზვერვო თავსატეხების დიდი ოსტატი იყო და ჭზვერავ ჯარისკაცებს ძალზე სიამოვნებდათ, რომ თვითონ პოლკის მეთაური ამეცადინებდათ, მათი საყვარელი და პატივსაცემი პიროვნება.

ჩვენ მიგვაჩნდა, რომ იაპონელთა დაჯგუფების მთავარი სისუსტე იყო თავდაცვის ფლანგები და მოძრავი რეზერვების უკიდურესი სიმცირე. ხოლო რაც შეეხება ადგილმდებარეობას, ის შემტევი ჯარებისათვის ყველგან მძიმე იყო.

ოპერაციის პარტიულ-პოლიტიკური უზრუნველყოფის გეგმაც კონკრეტულ ამოცანებზე დაყრდნობით შევიმუშავეთ. იგი ორ ეტაპს მოიცავდა: მოსამზადებელსა და შესასრულებელს.

მოსამზადებელ ეტაპზე უმთავრესად გათვალისწინებული იყო მომავალი ოპერაციისათვის ძალებისა და საშუალებების თავმოსაყრელად საარმიო ჯგუფის სამხედრო საბჭოს მიერ დასახულ ღონისძიებათა უზრუნველყოფა, ქვეყნის სიღრმიდან გადმოყვანილ ჯარებში მუშაობა, მათთვის საბრძოლო გამოცდილების გადაცემა. ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის შესრულება ყველა კომუნისტის, პოლიტმუშაკისა და მეთაუ-

რისაგან მოითხოვდა გაეძლიერებინათ აქტივობა უშუალოდ ათეულებში, ოცეულებსა და ასეულებში. საჭირო იყო მეტი ყურადღება დაგვეთმო ზურგის ორგანოებისათვის, რომელთაგანაც ბევრად იყო დამოკიდებული ოპერაციის დროული მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა.

საბჭოთა ჯარებმა იცოდნენ, რომ ჩვენი პროლეტარული, ინტერნაციონალური ვალი იყო, არ მიეგვეტოვებინა მოძმე მონღოლი ხალხი მძიმე განსაცდელის ჟამს.

დიდ პოლიტიკურ მუშაობას ეწეოდა გაზეთი „გეროიჩესკაია კრასნოარმეისკაია". ყოველ ნომერში ის პოპულარიზაციას უწევდა მებრძოლების, სერჟანტებისა და მეთაურების, საარმიო ჯგუფის საბრძოლო საქმეებსა და წითელი არმიის საბრძოლო ტრადიციებს.

ამ გაზეთში აქტიურად თანამშრომლობდნენ მწერლები ვლ. სტავსკი, კ. სიმონოვი, ლ. სლავინი, ბ. ლაპინი, ზ. ხაცრევინი და დაუდეგარი ფოტოკორესპონდენტები მ. ბერნშტეინი და ვ. ტიომინი. განსაკუთრებით მინდა მოვიხსენიო ვლადიმერ სტავსკი. ეს შესანიშნავი ლიტერატორი და პროპაგანდისტი ახლოს იდგა ჯარისკაცებთან, მათი ცხოვრების მოზიარე იყო. ვფიქრობ, ის დიდებული საფრონტო კორესპონდენტი იყო, დიდად დასანანია, რომ ეს ჭეშმარიტი მწერალი-ბატალისტი დაიღუპა, დაიღუპა როგორც ჯარისკაცი 1943 წელს, ველიკიე ლუკთან ბრძოლაში. გაზეთის რედაქტორი იყო დ. ორტენბერგი, ნიჭიერი და ოპერატიული მუშაკი. მას უნარი შესწევდა დაერაზმა თანამშრომელთა კოლექტივი და გაზეთში აქტიური მონაწილეობისათვის მიეზიდა ბევრი მებრძოლი, მეთაური, პარტიულ-პოლიტიკური მუშაკი.

ოპერაციის დაწყების დღიდან გაზეთის რედაქციის უმთავრესი საზრუნავი უნდა ყოფილიყო ფურცლების გამოცემა და სწრაფად გავრცელება, რათა მებრძოლებს, სერჟანტებსა და მეთაურებს შეუფერხებლად მიეღოთ ინფორმაცია.

1939 წლის 20 აგვისტოს საბჭოთა კავშირისა და მონღოლეთის ჯარებმა დაიწყეს გენერალური შეტევითი ოპერაცია იაპონიის ჯარების ალყაში მოქცევისა და განადგურების მიზნით.

კვირა დღე იყო. თბილი, წყნარი ამინდი იდგა. იაპონელთა სარდლობამ, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ საბჭოთა და მონღოლეთის ჯარები არ ფიქრობდნენ შეტევაზე და არც ემზადებოდნენ საამისოდ, საკვირაო შვებულებაში გაუშვა გენერლები და უფროსი ოფიცრები. ბევრი მათგანი იმ დღეს თავისი ჯარებისაგან შორს იმყოფებოდა: ვინ ხაილარში, ვინ განჯურში, ვინ ჯინ-ჯინ-სუმში. ჩვენ გავითვალისწინეთ ეს არცთუ უმნიშვნელო გარემოება, როცა სწორედ კვირა დღით გადავწყვიტეთ ოპერაციის დაწყება.

1-ლი საარმიო ჯგუფის სარდლის გადაწყვეტილება
1939 წ. აგვისტოში ძალებითი ოპერაციის ჩასატარებლად



საბრძოლო მოქმედება ხალხინ-გოლზე
(1939 წ. 20-დან 31 აგვისტოამდე)



5 საათსა და 45 წუთზე ჩვენმა არტილერიამ უეცარი მძლავრი ცეცხლი დაუშინა მოწინააღმდეგის საზენიტო არტილერიასა და საზენიტო ტყვიამფრქვევებს. ცალკეულმა ქვემეხებმა საკვამლებელი ყუმბარები დაუშინეს მიზნებს, რომლებიც ჩვენს ბომბდამშენ ავიაციას უნდა დაებომბა.

მდინარე ხალხინ-გოლის რაიონში სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა მოახლოებული ავიაციის მოტორების გუგუნი. 150 ბომბდამშენი და 100-მდე გამანადგურებელი აიჭრა ჰაერში. მათი დარტყმები საშინლად მძლავრი იყო და მხნეობას უათკეცებდა მებრძოლებსა და მეთაურებს.

8 საათსა და 15 წუთზე ყველა ყალიბის არტილერიამ და ნაღმსატყორცნებმა მოწინააღმდეგის მიზნებზე გადაიტანეს ცეცხლი და ზღვრულ ტექნიკურ შესაძლებლობებამდე გააძლიერეს სროლა. 8 საათსა და 30 წუთზე კვლავ გამოჩნდა ჩვენი ავიაცია. ყველა სატელეფონო ხაზმა და რადიოსადგურმა დადგენილი კოდით გადასცა კომანდა, რომ 15 წუთის შემდეგ საერთო შეტევა დაიწყოთ.

ზუსტად 8 საათსა და 45 წუთზე, როცა ჩვენი ავიაცია ჰაერიდან ცელავდა მოწინააღმდეგეს, ბომბავდა მის არტილერიას, ჰაერში ავარდა წითელი რაკეტები — ჯარების შეტევაზე გადასვლის ნიშანი. შემტევი ნაწილები, რომლებსაც საარტილერიო ცეცხლი იცავდა, სწრაფად დაიძრნენ მოწინააღმდეგისაკენ.

ჩვენი ავიაციისა და არტილერიის დარტყმა იმდენად მძლავრი და მარჯვე იყო, რომ მოწინააღმდეგე მორალურად და ფიზიკურად დაითრგუნა და პირველი საათნახევრის განმავლობაში საპასუხო საარტილერიო ცეცხლის გახსნასაც ვერ ახერხებდა. იაპონელთა არტილერიის სათვალთვალო პუნქტები, კავშირგაბმულობა და საცეცხლე პოზიციები განადგურებული იყო.

შეტევა ოპერაციის გეგმისა და ბრძოლის გეგმების ზუსტი შესატყვისობით ვითარდებოდა, და მხოლოდ მე-6 სატანკო ბრიგადამ ვერ შეძლო სრული შემადგენლობით გადასულიყო მდინარე ხალხინ-გოლზე, რის გამოც 20 აგვისტოს ბრძოლებში მისი ძალების მცირე ნაწილი მონაწილეობდა. მთელი ბრიგადის გადასვლა და თავმოყრა დღის ბოლოსათვის დამთავრდა.

21-სა და 22-ში მედგარი ბრძოლები მიმდინარეობდა, განსაკუთრებით ბოლშიე პესკის რაიონში, სადაც იაპონელებმა უფრო სერიოზული წინააღმდეგობა გაგვიწიეს, ვიდრე ჩვენ მოველოდით. დაშვებული შეცდომა რომ გამოგვესწორებინა, დამატებით შევიყვანეთ ბრძოლაში ჩვენი რეზერვის მე-9 მოტოჯავშნოსანთა ბრიგადა და გავაძლიერეთ არტილერია.

ჩვენმა ჯავშანსატანკო და მექანიზებულმა ნაწილებმა, გაანადგუ-

რეს რა მოწინააღმდეგის საფლანგო დაჯგუფებები, 26 აგვისტოს დღის ბოლოსათვის დაამთავრეს იაპონიის მთელი მე-6 არმიის გარემოცვა. ამ დღიდან დავიწყეთ მტრის აღყაშემორტყმული დაჯგუფების დაქუცმაცება-დანაწევრება და ნაწილ-ნაწილ განადგურება.

ბრძოლას ართულებდა ფხვიერ ქვიშრობში მოქმედება, ღრმა ქვაბულებისა და ბარქანების სიმრავლე.

იაპონელთა ნაწილები უკანასკნელ კაცამდე იბრძოდნენ. მაგრამ თანდათანობით ჯარისკაცებისათვის ნათელი ხდებოდა უსაფუძვლობა ოფიციალური პროპაგანდისა საიმპერატორო არმიის უძლეველობის შესახებ, რადგან მან, ამ არმიამ, წარმოუდგენლად დიდი ზარალი განიცადა და ომის 4 თვის განმავლობაში ვერც ერთი ბრძოლა ვერ მოიგო.

საინტერესოა ზოგიერთი იაპონელი ჯარისკაცისა და ოფიცრის ჩანაწერები, რომლებიც კარგად გვიხასიათებენ მათს მაშინდელ განცდებს.

აი ფაკუტას დღიური:

„1939 წლის 20 აგვისტო.

დილიდანვე კარგი ამინდი დადგა. ჰაერში ჯგუფ-ჯგუფად გამოჩნდნენ მოწინააღმდეგის გამანადგურებლები და ბომბდამშენები, ალბ 50-მდე მანქანა. 6.30-ზე მოწინააღმდეგის არტილერია მთელი ძალით აქუხდა. თავზე საარტილერიო უუმბარები დაგვწვიეიან.

ჩვენს სიახლოვეს საარტილერიო უუმბარების სეტყვა მოცვივა. შიში გვზარავს. მოთვალთვალენი ყველა ღონეს ხმარობენ, რომ მოწინააღმდეგის არტილერია დაზვერონ. მაგრამ ვერაფერს ახერხებენ, რადგან ბომბდამშენები ბომბავენ, გამანადგურებლები კი ტყვიამფრქვეველებით ცელავენ ჩვენს ჯარებს. მოწინააღმდეგე მთელ ფრონტზე ზეიმობს.

7 ს. 45 წ.

შიში გვზარავს. ზუილ-წივილი და აფეთქებები ჯოჯოხეთს მოგვაგონებენ. ძალზე მძიმე ვითარება შეიქმნა. ცუდ დღეში ჩავცვივდით, გარშემორტყმული ვართ. თუ ბნელი ღამე იქნა, ტრანშეებში დგომა მოგვიწევს ყველას, ერთმანეთის მხარდამხარ ჩარიგებულნ... ჯარისკაცს გული უკვეხსის, სევდა ერევა... ჩვენი მდგომარეობა არასახარბიელო, რთული. გაურკვეველია.

8 ს. 30 წ.

მოწინააღმდეგის არტილერია მოსვენებას არ აძლევს ჩვენს ნაწილებს. სადაც არ უნდა შერგო თავი, საშველი არსად არის, ყველგან უუმბარები ეცემა, ჩვენი საშველი მხოლოდ ბდისატვშია.

14.40

ულმობელი ბრძოლაა გაჩაღებული, რამდენი მოკლული და დაჭრილი გვყავს — არც ვიცით... საარტილერიო ცეცხლი არ წყდება.

21 აგვისტო.

საბჭოთა და მონღოლეთის ავიაციის უამრავი თვითმფრინავი ბომ-

ბავს ჩვენს პოზიციებს, არტილერიაც არ გვაძლევს საშველს. დაბომბვისა და საარტილერიო ცეცხლის შემდეგ მოწინააღმდეგის ქვეითები გადმოდიან შეტევაზე. მოკლულთა რიცხვი სულ უფრო და უფრო მატულობს. ღამით მოწინააღმდეგის ავიაციამ ჩვენი ზურგი დაბომბა.

22 აგვისტო — 9.30

მოწინააღმდეგის ქვეითმა ჯარმა შეტევა დაიწყო, მოწინააღმდეგის ტყვიამფრქვევებმა ძლიერი ცეცხლი გააჩაღეს. დიდ განსაცდელში ვიყავით და საშინლად შევშინდით. ხასიათი შესამჩნევად გაგვიფუჭდა. როცა ყველა ოფიცერი მოკლეს, მე დამნიშნეს ასეულის მეთაურად. ამან საშინლად ამაღელვა, და მთელი ღამე არ მიძინია".

აქ შეწყდა ფაკუტას სიცოცხლე და დღიური.

მაშინდელი იაპონიის არმიაში დიდ ყურადღებას უთმობდნენ იმ ჯარისკაცთა იდეოლოგიურ დამუშავებას, რომლებსაც წითელი არმიის წინააღმდეგ გზავნიდნენ. ჩვენს არმიას ტექნიკურად ჩამორჩენილ არმიად წარმოსახავდნენ, ხოლო საბრძოლო თვალსაზრისით 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომისდროინდელ ძველ მეფის არმიასთან აიგივებდნენ. ამიტომაც ის, რაც იაპონელმა ჯარისკაცებმა მდინარე ხალხინ-გოლზე ბრძოლებში იხილეს, როცა ტანკების, ავიაციის, არტილერიისა და კარგად ორგანიზებული მსროლელთა ჯარების მძლავრი დარტყმები იგემეს, მთლად მოულოდნელი იყო მათთვის.

იაპონელ ჯარისკაცს შთააგონებდნენ, ტყვედ თუ ჩავარდი, სულ ერთია, მაინც დაგხვრეტენ, მანამდე კი წამებით მიგასიკვდილებენო. და, უნდა ითქვას, იაპონელ ჯარისკაცზე ამგვარი ზემოქმედება იმ პერიოდში თავის მიზანს აღწევდა.

მაგრამ სინამდვილემ გააბათილა ეს შეგონებები. მახსოვს, ერთხელ აგვისტოში, განთიადისას, ტყვე იაპონელი ჯარისკაცი მომიყვანეს სათვალთვალო პუნქტზე. იგი ი. ი. ფედიუნინსკის პოლკის მზვერავებს შეეპყროთ ლელიანში და ისე უმოწყალოდ დაეკბინათ კოღოებს, რომ საზარელი შესახედავი იყო.

ჩემს შეკითხვაზე, თუ სად და ვინ ჩაგდო ამ ყოფაში, ასეთი რამ გვიამბო: თურმე მეორე ჯარისკაცთან ერთად გუშინ საღამოს ლელიანში ჩაუსაფრებიათ რუსების მოქმედების სათვალთვალოდ, კოღოებისაგან თავდასაცავი პირბადე კი არ მიუციათ. ასეულის მეთაურს უბრძანებია არ განძრეულიყვნენ, რათა მოწინააღმდეგეს არ აღმოეჩინა მათი იქ ყოფნა. ღამით ჯარისკაცებს კოღოები დასევიან, მაგრამ მათ უდრტვინველად უთმენიათ საშინელი კბენა და დილამდე მჯდარან გაუნძრეველად, რომ თავი არ გაემჟღავნებინათ.

— ხოლო როცა რუსებმა რაღაც დაიყვირეს და შაშხანები მოი-

მარჯვეს, — გვიამბობდა ტყვე, — მე ხელები ავწიე, რადგან უკვე აღარ შემეძლო ამ წამების ატანა.

ჩვენ ცნობები გვეჭიროებოდა იმ უბანზე განლაგებულ მოწინააღმდეგის ჯარებზე, სადაც ეს იაპონელი შეიპყრეს. ტყვე რომ ლაპარაკის გუნებაზე მოსულიყო, ვბრძანე — ნახევარი ჭიქა არაყი მიეცათ მისთვის. მაგრამ როგორ გავეოცდი, როცა მან ჭიქას გახედა და თქვა:

— გთხოვთ, ცოტა მოსვათ, მეშინია საწამლავი არ იყოს. მამაჩემს ერთი შვილი ვყავარ, იმას კი საგალანტერეო მაღაზია აქვს, ასე რომ, მე ვარ მისი ერთადერთი მემკვიდრე.

ჩვენმა მთარგმნელმა შენიშნა, რომ იმ სამახსოვროს თანახმად, რომელიც თავიანთმა უფროსებმა მისცეს იაპონელ ჯარისკაცებს, ისინი უშიშრად უნდა შეეგებონ სიკვდილს ბაგეზე სიტყვა „ბანზაით". ტყვემ ჩაიცინა და უპასუხა:

— მამაჩემმა დამაბარა ცოცხალი თავით დამიბრუნდი, მკვდარი არ მინდიხარო.

1939 წლის 30 აგვისტოს იაპონიის მე-6 არმია, რომელიც მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ფარგლებში შემოიჭრა, მთლიანად იქნა განადგურებული. ამხანაგი ხ. ჩოიბალსანი, რომელმაც ჩვენი ჯარების ნაწილები ჩამოიარა, გულითად მადლობას ეუბნებოდა მეომრებს იმისათვის, რომ საბჭოთა ადამიანებმა თავიანთი სისხლით დაადასტურეს ნაკისრი ვალდებულებებისადმი ერთგულება. საბჭოთა და მონღოლეთის ჯარების შემმუსვრელმა საპასუხო დარტყმამ, იაპონელთა მთელი არმიის რჩეული ძალების გაუგონარმა განადგურებამ იაპონიის მაშინდელი მმართველი წრეები აიძულა გადაესინჯათ თავიანთი შეხედულებები საბჭოთა შეიარაღებული ძალების ძლიერებასა და ბრძოლისუნარიანობაზე, განსაკუთრებით საბჭოთა მეომრების მორალურ სიმტკიცეზე.

თავდაცვის სახკომი კ. ე. ვოროშილოვი 1939 წლის 7 ნოემბრის ბრძანებაში წერდა: „ჭეშმარიტი დიდება მოიხვეჭეს მდინარე ხალხინ-გოლის რაიონში გამართული ბრძოლების მონაწილე ჯარისკაცებმა და მეთაურებმა. სიმამაცისა და გმირობისათვის, საბრძოლო ბრძანებათა ბრწყინვალედ შესრულებისათვის მდინარე ხალხინ-გოლის რაიონში მებრძოლმა ჯარებმა უდიდესი მადლობა დაიმსახურეს".

ჩვენი მეომრების გმირული მოქმედების სულისჩამდგმელი იყო კომუნისტური პარტია და მისი საფრონტო რაზმი — არმიის პარტიული ორგანიზაცია. კომუნისტები თავიანთი ვაჟკაცური მაგალითით აღაფრთოვანებდნენ მეომრებს საბრძოლო გმირობისათვის.

მინდა აღვნიშნო ის მეთაურები და პოლიტმუშაკები, რომლებმაც თავიანთი ორგანიზატორული საქმიანობით, პარტიულ-პოლიტიკური

ლონისძიებებით, უნარიანი მეთაურობით დააჩქარეს იაპონიის ჯარების განადგურება, ასახელეს საბჭოთა იარაღი.

დიდი გულთბილობით ვიგონებ დივიზიის კომისარ მ. ს. ნიკიშევს. იგი უნარიანი ხელმძღვანელი, უაღრესად პრინციპული პარტიელი იყო და შეძლო ისე დაეყენებია სამხედრო საბჭოს მუშაობა, რომ ჩვენს შორის, მიუხედავად ვითარების მთელი სირთულისა და დაძაბულობისა, ერთხელაც არ წარმოშობილა რაიმე გაუგებრობა ან უთანხმოება. და ყველა ჩვენგანი, ხალხინგოლელი, ღრმად დაამწუხრა ძისმა დაღუპვამ სამამულო ომის დასაწყისში, უკრაინაში, სადაც იგი სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მე-5 არმიის სამხედრო საბჭოს წევრის თანამდებობას ასრულებდა.

არ შეიძლება მფრინავების ი. ვ. სმუშკევიჩის, ს. ი. გრიცევეცის, ვ. მ. ზაბალუევის, გ. პ. კრავჩენკოს, ვ. ფ. სკობარიხინის, ვ. გ. რახოვისა და სხვების გმირულ საქმეთა დავიწყება. მათ სიმამაცისა და ვაჟკაცობის მაგალითები გვიჩვენეს.

ერთხელ, როცა იაპონელთა თვითმფრინავების ჯგუფს დევნიდნენ, მფრინავმა-გამანადგურებელმა ორგზის საბჭოთა კავშირის გმირმა ს. ი. გრიცევეცმა შენიშნა, რომ მწყობრში არ ჩანდა მისი მეთაურის — საბჭოთა კავშირის გმირის ვ. მ. ზაბალუევის თვითმფრინავი. ს. ი. გრიცევეცმა ერთი-ორი ჯერი კიდევ დაადევნა გაქცეულ მოწინააღმდეგეს, მერე დევნას თავი მიანება და დაკარგული თვითმფრინავის ძებნა დაიწყო. მან უკანასკნელი იერიშის რაიონს შემოუფრინა და შენიშნა, რომ თვითმფრინავი ველზე იჯდა, იაპონელთა ჯარების ტერიტორიაზე.

ს. ი. გრიცევეცი მცელავი ფრენის სიმაღლეზე დაეშვა და ღაინახა, რომ ვ. მ. ზაბალუევი თვითმფრინავის გვერდით იდგა. ეტყობა, ავარია შემთხვევია. რა ექნა? მიუხედავად იმისა, რომ უაღრესად საროსკო იყო მტრის ზურგში დაჯდომა, ს. ი. გრიცევეცი უყოყმანოდ ღებულობს გადაწყვეტილებას: რადაც არ უნდა დაუჯდეს, გადაარჩინოს თავისი მეთაური. როგორც მიღებულია ჩვენში ჯერ კიდევ სუვოროვის დროიდან — „თავი გასწირე, მაგრამ ამხანაგი გადაარჩინე!".

მამაცმა მფრინავმა, რომელიც დიდი სიმშვიდით გამოირჩეოდა მუდამ, ოსტატურად დასვა თავისი თვითმფრინავი უუმბარებით გადათხრილ მოედანზე და სწრაფად მიაყენა მანქანა ვ. მ. ზაბალუევთან. მან პირდაპირ ჩაჩურთა თავისი მეთაური ერთადგილიანი თვითმფრინავის კაბინაში, მერე მოწინააღმდეგის სახტად დარჩენილი ჯარისკაცების თვალწინ შემოაბრუნა ორმაგად გადატვირთული თვითმფრინავი ქარის პირისპირ, მარჯვედ აიჭრა ჰაერში და მშვიდობით დაბრუნდა თავის ეროდრომზე.

იაპონელებთან ერთ-ერთი სადაზვერვო ბრძოლის დროს მაიორ ი. ლ. კასპეროვიჩის რაზმში მოწინააღმდეგემ ავტომანქანა „გაზი" დაა-

ზიანა. მძღოლი, რიგითი ტიმოხინი, არ მოშორდა მანქანას, იგი ბრძოლის ველზე დარჩა, ნეიტრალურ ზოლში, და მის შეკეთებას შეეცადა. იაპონელებმა შენიშნეს ჩვენი მებრძოლის გაბედული მოქმედება და გადაწყვიტეს, ცოცხლად შეეპყროთ საბჭოთა ჯარისკაცი. ტიმოხინი ისე იგერიებდა მათ, როგორც ნამდვილ საბჭოთა მებრძოლს შეეფერის. იგი მძიმედ დაიჭრა, მაგრამ მაინც განაგრძობდა წინააღმდეგობას.

ამ დროს მაიორმა ი. ლ. კაპეროვიჩმა. რაზმის მეთაურმა, მძიმე ვითარების მიუხედავად, სარისკო გადაწყვეტილება მიიღო — გადაერჩინა თავისი მებრძოლი. არტილერიას უბრძანა პირდაპირი დამიზნებით დაეშინა ყუმბარები მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტებისათვის, ხოლო ასეული სწრაფად გაშალა და შეტევაზე გადაყვანა, თვითონ კი სრული სვლით გააქროლა ჯავშნოსანი, ტიმოხინის ავტომობილთან მიიჭრა და ბუქსირზე აიყვანა ის. როცა ტიმოხინი ჩვენს განლაგებაში გამოიყვანეს, იგი თვალცრემლიანი ეუბნებოდა მადლობას მეთაურსა და ამხანაგებს, რომლებმაც საკუთარი თავის გაწირვით იხსნეს უეჭველი სიკვდილისაგან.

— ეჭვი არ მეპარებოდა, რომ არ დამივიწყებდით, არ მიმატოვებდით განსაცდელში, — ამბობდა ის ჰოსპიტალში გაგზავნის წინ, — როგორც კი გამოვჯანსაღდები, კვლავ თქვენთან ერთად ვიქნები, ჩემი ძვირფასო მეგობრებო.

მფრინავი, საბჭოთა კავშირის გმირი, უფროსი ლეიტენანტი ვ. ფ. სკობარიხინი, უთანასწორო ბრძოლის დროს განსაცდელში ჩავარდნილი თავისი ამხანაგი უფროსი ლეიტენანტი ვ. ნ. ეესი რომ გადაერჩინა, უშიშრად ეკვეთა იაპონელთა გამანადგურებელს, გატარნა იგი, და კიდევ ორ სხვა თვითმფრინავს შეება. იაპონელმა მფრინაველებმა, რაკი დაინახეს, ვისთანაც ჰქონდათ საქმე, გაცლა ამჯობინეს და თავ-თავიანთ აეროდრომებს მიაშურეს. მიუხედავად დაზიანებისა, ვ. ფ. სკობარიხინმა იმდენი იმარჯვა, მშვიდობით მოაღწია თავის აეროდრომამდე. დაფრენის შემდეგ მისი თვითმფრინავის ფრთაზე იაპონელთა გამანადგურებლის გარსაცმის ნაფლეთები იპოვეს.

საჰაერო ბრძოლებში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი უფროსმა ლეიტენანტმა საბჭოთა კავშირის გმირმა ვ. გ. რახოვმა. 29 ივლისს იგი ერთობ გამოცდილ იაპონელ ასს შეეყარა ჰაერში. ვ. გ. რახოვმა მანევრირება დაიწყო და ბრძოლაში შეება მოწინააღმდეგეს. ბრძოლის მსვლელობაში იაპონელმა მფრინავმა ტაკეომ მთელი თავისი ოსტატობა გამოავლინა, მაგრამ ვ. გ. რახოვმა მაინც შეძლო ცეცხლი წაეკიდებინა ტაკეოს თვითმფრინავისათვის. იაპონელი პარაშუტით გადმოხტა, ხოლო როცა ძირს დაეშვა, დაინახა, რომ მონღოლეთის ტერიტორიაზე იმყოფებოდა და თავის მოკვლა დააპირა, მაგრამ ტყვედ შეიპყრეს.

მღელვარებამ რომ გაუარა და წითელი არმიის მეთაურთა წესიერი

მოპყრობაც დაინახა. ტაკეომ ითხოვა, ის მფრინავი დამანახეთ, რომელმაც ასე ოსტატურად წარმართა ბრძოლა და ჩემი თვითმფრინავი ჩამოაგდოო. როცა ვ. გ. რახოვი გამოჩნდა, იაპონელმა უმდაბლესი სალამი უძღვნა მას და ამით სცა პატივი გამარჯვებულს.

მადლობის გრძნობით ვიხსენებ ბევრ მეთაურს, რომლებთანაც იმ ხანებში ვმუშაობდი. მდინარე ხალხინ-გოლის რაიონში საბრძოლო მოქმედების დასაწყისში ი. ი. ფედიუნინსკი პოლკის მეთაურის თანაშემწე იყო სამეურნეო ნაწილში. როცა 24-ე მოტორიზებული პოლკისათვის მეთაური დაგვჭირდა, პირველ კანდიდატურად ი. ი. ფედიუნინსკის გვარი იქნა დასახელებული. და არც შევმცდარვართ. რთულ შემთხვევებში ი. ი. ფედიუნინსკი ყოველთვის პოულობდა სწორ გადაწყვეტილებებს, ხოლო როცა ჩვენი ჯარების გენერალური შეტევა დაიწყო, პოლკი მისი მეთაურობით ძლევამოსილად იბრძოდა.

მდინარე ხალხინ-გოლზე საომარი მოქმედების დამთავრების შემდეგ ი. ი. ფედიუნინსკი 82-ე დივიზიის მეთაურად დაინიშნა. სამამულო ომის პირველ პერიოდში ეს დივიზია განსაკუთრებული შეუპოვრობით იბრძოდა მოჟაისკის მიმართულებით, ხოლო მისი ყოფილი მეთაური ი. ი. ფედიუნინსკი წარმატებით მეთაურობდა მსროლელთა კორპუსს სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე.

ბრიგადის მეთაური მიხეილ ივანეს ძე პოტაპოვი ჩემი მოადგილე იყო. მას ტვირთად აწვა ჯარების შენაერთებისა და გვარეობების თანამოქმედების უზრუნველყოფის დიდი სამუშაო, ხოლო როცა გენერალური შეტევა დავიწყეთ, მიხეილ ივანეს ძეს ფრონტის მარჯვენა ფრთაზე მთავარი დაჯგუფების ხელმძღვანელობა დაეკისრა. მ. ი. პოტაპოვი სიდინჯით გამოირჩეოდა. არავითარ ძალას არ შეეძლო წონასწორობიდან გამოეყვანა იგი. ყველაზე რთულ და საგანგაშო ვითარებაშიც კი აბსოლუტურ სიმშვიდეს ინარჩუნებდა, და ეს სასიკეთოდ მოქმედებდა ჯარებზე. ასეთი იყო ის სამამულო ომშიც, როცა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მე-5 არმიას სარდლობდა.

ბრძოლასა და ოპერაციებში გადამწყვეტ როლს ასრულებს კავშირგაბმულობა. ამიტომაც მინდა კეთილი სიტყვა ვთქვა პოლკოვნიკ ალექსი ივანეს ძე ლეონოვზე, რომელიც ყოველგვარ პირობებში უზრუნველყოფდა ჯარების მართვას შეუფერხებელი კავშირგაბმულობით.

მე უკვე შევეხე ჩვენს ნაწილებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ორგანიზაციას. პარტიულმა ორგანიზაციებმა უდიდესი წვლილი შეიტანეს საბრძოლო ამოცანების გადაწყვეტაში. წინა რიგებში იყვნენ საარმიო ჯგუფის პოლიტიკური განყოფილების უფროსი დივიზიის კომისარი პეტრე ივანეს ძე გორეხოვი, პოლკის კომისარი რომან პავლეს ძე ბაბიჩუკი, განსაკუთრებული კორპუსის პარტკომისიის მდივანი

ალექსი მიხეილის ძე პომოგაილო, კომისარი ივანე ვასილის ძე ზაკოვოროტნი.

შენაერთების პოლიტიკურ მუშაკებს შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა პოლკის კომისარი ვასილ ანდრიას ძე სიჩოვი — მე-9 მოტოჯავშნოსანთა ბრიგადის კომისარი, წარსულში ურალელი მუშა-მეტალურგი. ვასილ ანდრიას ძე კარგად ეხმარებოდა თავისი ბრიგადის მეთაურს და რთულ ვითარებაში არცთუ იშვიათად უდგებოდა სათავეში თავის ნაწილებს და პირადი ვაჟკაცობით შთააგონებდა მათ საბრძოლო გმირობისათვის. სამამულო ომის წლებშიც, როცა უკვე არმიის სამხედრო საბჭოს წევრი იყო, იგი ასევე მამაცურად ახორციელებდა მასზე დაკისრებულ ამოცანებს.

დღე და ღამ დაძაბულად შრომობდნენ რთულ საველე პირობებში სამედიცინო მუშაკები, რომლებიც სიცოცხლეს და ჯანმრთელობას უნარჩუნებდნენ ჩვენს ჯარისკაცებსა და მეთაურებს, და გაწა მარტო ჩვენებს. უდიდესი ჰუმანურობით ეპყრობოდნენ ისინი დაჭრილ ტყვე იაპონელებსაც.

კარგად მახსოვს პროფესორ მ. ნ. ახუტინთან შეხვედრები. ერთხელ ასეთი რამ მომახსენეს: პროფესორმა მ. ნ. ახუტინმა, რომელიც ძალზე გადაღლილია მრავალი ოპერაციით და ფეხზე ძლივსა დგას, გვიბრძანა — ჩემი სისხლი გადაუსხით დაჭრილ მეთაურსო. მე დავურეკე პროფესორს და ვურჩიე უფრო ახალგაზრდა ექიმისაგან აეღო სისხლი. მ. ნ. ახუტინმა კი მოკლედ მომიჭრა:

— ახლა იმის დრო არ არის, შესაფერისი ჯგუფი ვეძიოო, — ეს რომ მითხრა, მთხოვა ნულარ მომაცდენთო, და მაშინვე მისცა დაჭრილს თავისი სისხლი. პროფესორმა მ. ნ. ახუტინმა შეიმუშავა და კარგად განახორციელა დაჭრილების ეტაპობრივი მკურნალობის ერთიანი სისტემა. იგი დიდ დახმარებას უწევდა ჩვენი მოძმე მონღოლეთის არმიის სამედიცინო მუშაკებსაც. მ. ნ. ახუტინი დღე-ღამეში 15-18 საათს მუშაობდა. ამასთან დიდ ყურადღებას უთმობდა ექიმი-ქირურგების მომზადებასა და დოსტატებას და, ვფიქრობ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ იმათ, ვინც პროფესორ მ. ნ. ახუტინთან მუშაობდა და სწავლობდა, ბევრი რამ აითვისეს ქირურგიის ხელოვნებაში.

მისი ხელმძღვანელობით გადადგა პირველი ნაბიჯები ახალგაზრდა ნიჭიერმა ქირურგმა ა. ა. ვიშნევსკიმ, ამჟამად აკადემიკოსმა, რომელიც დიდი და საესებით დამსახურებული სახელით სარგებლობს ჩვენს ქვეყანაშიც და საზღვარგარეთაც.

მდინარე ხალხინ-გოლის რაიონში მებრძოლი მონღოლეთის ჯარები კარგად თანამოქმედებდნენ საბჭოთა ჯარებთან. მე ჩემი თვალით მინახია მონღოლი ცირიკებისა და მათი მეთაურების მასობრივი საბრძოლო მამაცობა. მინდა გავიხსენო იმათი სახელები, ვინც განსაკუთრებით

გამოიჩინა თავი. ესენი არიან — რიგითი ცირიკი ოლზვოი, ჯავშნიანი მანქანის მძღოლი ხაიანხირვა, საზენიტო ქვემეხების მემიზნეები ჩულტემა, გამბოსურენა, ცხენოსანი ხერლოო. დიდ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა მონღოლეთის სახალხო რევოლუციური არმიის შტაბი, რომელსაც მონღოლეთის სახალხო რევოლუციური არმიის მთავარსარდლის მოადგილე კორპუსის კომისარი ჟ. ლხოგვასურენი ხელმძღვანელობდა.

ხალხინ-გოლთან დაცემულ გმირებს დადგმული აქვთ ძეგლი, რომელზედაც ჭეშმარიტად სამართლიანი სიტყვებია ამოკვეთილი:

„სამარადისო დიდება საბჭოთა არმიის გმირ მებრძოლებსა და მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური არმიის მამაც ცირიკებს, რომლებიც მშვიდობისმოყვარე მონღოლი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისა და ხალხთა უშიშროებისათვის, იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ იაპონელ დამპყრობლებთან ბრძოლებში დაეცნენ მდინარე ხალხინ-გოლის რაიონში".

საბჭოთა მეომრების განსაკუთრებით დიდი დამსახურების აღსანიშნავად საბჭოთა მთავრობამ სამოცდაათ ხალხინგოლელს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭა. საბჭოთა კავშირის გმირის მეორე ოქროს მედლით დაჯილდოვებულ იქნენ მფრინავები ს. ი. გრიცევეცი, ი. ვ. სმუშკევიჩი, გ. პ. კრავჩენკო.

მდინარე ხალხინ-გოლზე საბრძოლო მოქმედების დამთავრების შემდეგ (1939 წლის ოქტომბრის ბოლოს) საარმიო ჯგუფის სარდლობა და შტაბი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქში — ულან-ბატორში დაბრუნდა. მანამდე მხოლოდ წიგნებითა და გაზეთებით ვიცნობდი მონღოლეთს. ახლა შესაძლებლობა მომეცა ახლოს გავცნობოდი ამ ქვეყანას.

განსაკუთრებით სასიამოვნო მოსაგონარია მონღოლი ხალხის უშუალობა და უბრალოება, მისი კეთილგანწყობილება და საბჭოთა კავშირისადმი გულწრფელი რწმენა. სადაც არ უნდა ვყოფილიყავი — იურტებში თუ სახლებში, დაწესებულებებში თუ სამხედრო ნაწილებში — ყველგან და ყველასთან ეხედაედი საპატიო ადგილას ვ. ი. ლენინის პორტრეტს. თვითეული მონღოლი გულწრფელი სითბოთი და სიყვარულით ლაპარაკობდა ვ. ი. ლენინზე.

ჩვენი მებრძოლები ხშირი სტუმრები იყვნენ მონღოლი მეგობრებისა, თავის მხრივ, მონღოლი ამხანაგებიც მოდიოდნენ ხოლმე ჩვენთან საბრძოლო ვარჯიშებზე, მეცადინეობებზე და სპორტულ შეჯიბრებებზე, სადაც ჩვენ ვცდილობდით განვლილ ბრძოლებში მიღებული გამოცდილება გადაგვეცა მათთვის.

მონღოლ ხალხს დიდი პატივისცემა და სიყვარული ჰქონდა ხორლოგინ ჩოიბალსანისა. მე ახლოს დავუმეგობრდი ჩოიბალსანს, როცა აგვისტოში ხამარ-დაბას მთაზე ჩემს საკომანდო პუნქტში მოვიდა ეს იყო არაჩვეულებრივი, საოცრად გულთბილი ადამიანი, საბჭოთა კავშირის ერთგული მეგობარი. ხორლოგინ ჩოიბალსანი იყო ნამდვილი ინტერნაციონალისტი, რომელმაც იმპერიალიზმთან და ფაშიზმთან ბრძოლას შეალია თავისი სიცოცხლე. უკანასკნელად დიდი სამამულო ომის დროს ვნახე ის, როცა მონღოლი ხალხის საჩუქრები ჩამოუტანა ფრონტზე წითელი არმიის მებრძოლებს.

ჩვენ ვხედავდით, რომ ხალხში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი იუმჟაგინ ცედენბალი. დიდად განათლებული და ჭკვიანი ადამიანი, ის მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა ხ. ჩოიბალსანთან და პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხვა წევრებთან ერთად. ხ. ჩოიბალსანის სიკვდილის შემდეგ ი. ცედენბალი წლების განმავლობაში სათავეში უდგას პარტიას და სახელმწიფოს, რომელიც წარმატებით ახორციელებს სოციალიზმის მშენებლობას.

წინასწარ მინდა ხაზი გავუსვა იმ დახმარებას, რომელიც, თავის მხრივ, მონღოლმა ხალხმა აღმოუჩინა საბჭოთა კავშირს ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ სამამულო ომის დროს.

მარტო 1941 წელს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკიდან მიღებულ იქნა 140 ვაგონი სხვადასხვა საჩუქარი საბჭოთა მეომრებისათვის 65 მილიონი ტუგრიკის საერთო ღირებულებით. საგარეო ბანკში შემოვიდა 2 მილიონ 500 ათასი ტუგრიკი და 100 მილიონი ამერიკული დოლარი, 300 კილოგრამი ოქრო. ამ სახსრებით აგებულ იქნა 53 ტანკი, მათგან 32 T-34, რომლებსაც სუხე-ბატორისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სხვა გმირთა სახელოვანი გვარები ეწერათ. ბევრი მათგანი წარმატებით იბრძოდა გერმანელთა ჯარებთან და თვით ბერლინამდე მივიდა 1-ლი გვარდიული სატანკო არმიის 112-ე სატანკო ბრიგადის შემადგენლობაში.

გარდა ტანკებისა, საბჭოთა სამხედრო-საჰაერო ძალებს გადაეცა საავიაციო ესკადრილია „მონღოლი არატი". იგი მე-2 ორშის გვარდიული საავიაციო პოლკის შემადგენლობაში შევიდა. „მონღოლმა არატმა" თავისი გამარჯვებების საბრძოლო გზა კენიგსბერგის რაიონში დაასრულა ბელორუსიის მე-3 ფრონტის შემადგენლობაში.

1941-1942 წლებში წითელმა არმიამ საჩუქრად მიიღო 35 ათასი ცხენი, რომლებიც საბჭოთა ცხენოსანი ნაწილების დასაკომპლექტებლად იქნა გამოყენებული.

მთელი სამამულო ომის განმავლობაში მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელები, ხ. ჩოიბალსანის, ი. ცედენბალისა და სხვა

სახელმწიფო მოღვაწეთა მეთაურობით, ხშირი სტუმრები იყვნენ ჩვენი სახელოვანი მეომრებისა. მათი ყოველი ჩამოსვლა კიდევ უფრო განამტკიცებდა საბჭოთა და მონღოლი ხალხების ძმურ მეგობრობას.

ხალხინ-გოლზე საბრძოლო მოქმედების პერიოდში დიდ მუშაობას ეწეოდა საბჭოთა ელჩი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში ი. ა. ივანოვი. მისი ზრუნვის მეოხებით ჩვენს ჯარებს არასოდეს განუცდიათ სიძნელეები პროდუქტებით მომარაგებაში. ი. ა. ივანოვი მონღოლი ხალხის, სახელმწიფო და პარტიული ხელმძღვანელების დიდი პატივისცემით სარგებლობდა, ცდილობდა სიტყვითა და საქმით დახმარებოდა მათ.

საზამთრო ბინებში დაბრუნების შემდეგ ჩვენი ჯარები საბრძოლო საქმეთა შედეგებს აჯამებდნენ. სასიამოვნო იყო იმის დანახვა, თუ რამდენად გაიზარდა ჯარისკაცებისა და მეთაურების ცოდნა. იმ ნაწილებში, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობდნენ ბრძოლებში, საუკეთესო მებრძოლებსა და მეთაურებს ვგზავნიდით, რათა იაპონელთა ჯარებთან ბრძოლაში მიღებული გამოცდილება გადაეცათ მათთვის. გადაჭრით ვახორციელებდით ჯარების საბრძოლო მომზადების პოლიტიკური უზრუნველყოფის გარდაქმნას.

ყოველივე ამან საერთო ჯამში ფრიად ეფექტურად იმოქმედა ჯარების მომზადებასა და საბრძოლო მზადყოფნაზე. და სულაც არ ყოფილა შემთხვევითი ის ამბავი, რომ 1939-1940 წლებში მონღოლეთში მყოფმა შენაერთებმა, როცა ისინი 1941 წელს მოსკოვთან გადმოისროლეს, გერმანელთა ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაში ენით უთქმელი ქება დაიმსახურეს.

1940 წლის მაისის დასაწყისში მოსკოვიდან მივიღე ბრძანება — გამოვცხადებულიყავი სახალხო კომისარიატში სხვა თანამდებობაზე დასანიშნავად.

იმ დროისათვის, როცა მოსკოვში ჩამოვედი, უკვე გამოქვეყნებული იყო მთავრობის დადგენილება წითელი არმიის უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობისათვის გენერალთა წოდების მინიჭების თაობაზე. სამ ამხანაგს, და მათ შორის მეც, არმიის გენერლის წოდება მოგვენიჭა.

რამდენიმე დღის შემდეგ პირადად ი. ბ. სტალინმა მიმიღო და კიევის განსაკუთრებული სამხედრო ოლქის სარდლის თანამდებობაზე დამნიშნეს.

ი. ბ. სტალინს მანამდე არასოდეს შევხვედროდი და ძლიერ ვღელავდი მასთან მიმავალი.

გარდა ი. ბ. სტალინისა, კაბინეტში მ. ი. კალინინი, ვ. მ. მოლოტოვი და პოლიტბიუროს სხვა წევრები იყვნენ.

ი. ბ. სტალინი მომესალმა, მერე ჩიბუხს მოუკიდა და ერთბაშად მკითხა:

— როგორ აფასებთ იაპონიის არმიას?

— იაპონელი ჯარისკაცი, რომელიც ხალხინ-გოლზე გვებრძოდა, კარგად არის მომზადებული, განსაკუთრებით პირისპირ ბრძოლისათვის, — ვუპასუხე მე. — დისციპლინებულია, გამგონე და ბრძოლაში შეუპოვარი, განსაკუთრებით თავდაცვითს ბრძოლაში. უმცროს მეთაურთა შემადგენლობა ერთობ კარგად არის მომზადებული და ფანატიკური შეუპოვრობით იბრძვის. როგორც წესი, უმცროსი მეთაურები ტყვედ არ ნებდებიან და არც „ხარაკირისა" ეშინიათ. ოფიცერთა შემადგენლობა, განსაკუთრებით უფროსი და უმაღლესი ოფიცრობა, სუსტად არის მომზადებული, ნაკლებ ინიციატივიანია და ამჯობინებს იმოქმედოს შაბლონურად.

რაც შეეხება იაპონიის არმიის ტექნიკურ მდგომარეობას, იგი ჩამორჩენილად მიმაჩნია. იაპონელთა ტანკები ჩვენი MC-1 ტანკების ტიპისაა და აშკარად მოძველებულია. მათ ცუდი შეიარაღება და სელის მცირე მარაგი აქვთ. უნდა ვთქვა აგრეთვე, რომ კამპანიის დასაწყისში იაპონელთა ავიაცია სჯობნიდა ჩვენს ავიაციას. მათი თვითმფრინავები სჯობნიდნენ ჩვენსას იმ დრომდე, ვიდრე გაუმჯობესებული „ჩაიკა" და И-16 არ მივიღეთ. ხოლო, როცა ჩვენთან ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის გმირი მფრინავების ჯგუფი ი. ვ. სმუშკევიჩის მეთაურობით, მაშინ კი ჰაერში ჩვენი ბატონობა აშკარა შეიქნა.

ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ჩვენს წინააღმდეგ იაპონიის არმიის რჩეული, ეგრეთ წოდებული საიმპერატორო ნაწილები იყო გადმოსროლილი.

ი. ბ. სტალინმა დიდი ყურადღებით მომისმინა, შემდეგ კი მკითხა:

— როგორ მოქმედებდნენ ჩვენი ჯარები?

— ჩვენი კადრის ჯარები კარგად იბრძოდნენ. განსაკუთრებით კარგად მოქმედებდნენ 36-ე მოტოდივიზია პეტროვის სარდლობით და იმიერბაიკალიდან მოსული 57-ე მსროლელთა დივიზია მ. ვ. გალანინის სარდლობით. 82-ე მსროლელთა დივიზია, რომელიც ურალიდან მოვიდა, პირველ ხანებში ცუდად იბრძოდა. მის შემადგენლობაში ნაკლებგაწვრთნილი მებრძოლები და მეთაურები იყვნენ. დივიზია მონღოლეთში გამოგზავნამდე ცოტა ხნით ადრე გაშალეს და შეავსეს მიწერილი შემადგენლობით.

ძალიან კარგად იბრძოდნენ სატანკო ბრიგადები, განსაკუთრებით მე-11, რომელსაც ბრიგადის მეთაური საბჭოთა კავშირის გმირი იაკოვლევი უძღვოდა, მაგრამ БТ-5 და БТ-7 ტანკები ერთობ ცეცხლსაშიშარნი არიან. ჩემს განკარგულებაში რომ არ ყოფილიყო ორი სატანკო და სამი მოტოჯავშნოსანთა ბრიგადა, ჩვენ ნამდვილად ვერ შევძლებდით იაპონელთა მე-6 არმიის ასე სწრაფად გარშემორტყმასა და განადგურებას. მიმაჩნია, რომ მკვეთრად უნდა გავადიდოთ ჩვენი შეია-

რაღებული ძალების შემადგენლობაში ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარები.

ჩვენი არტილერია ყოველმხრივ სჯობდა იაპონელებისას, განსაკუთრებით სროლაში. მთლიანად კი ჩვენი ჯარები იაპონელთა ჯარებზე გაცილებით მაღლა დგანან.

მიიღეს რა გამოცდილება, წრთობა და წითელი არმიის ნაწილების მხარდაჭერა, კარგად იბრძოდნენ მონღოლეთის ჯარებიც. განსაკუთრებით კარგად იბრძოდა ბაინ-ცაგანის მთაზე მათი ჯავშნოსანთა დივიზიონი. უნდა ითქვას, რომ მონღოლების ცხენოსანთა ჯარი გრძნობიერი იყო ავიაციის თავდასხმებისა და საარტილერიო ცეცხლისადმი და დიდ ზარალს განიცდიდა.

— როგორ გეხმარებოდნენ კულიკი, პავლოვი და ვორონოვი? — კვლავ მკითხა ი. ბ. სტალინმა.

— ვორონოვი კარგად დაგვეხმარა საარტილერიო ცეცხლის დაგეგმვასა და საბრძოლო მასალების მოზიდვის ორგანიზაციაში. რაც შეეხება კულიკს, მე არ შემიძლია აღვნიშნო მისი რაიმე სასარგებლო მუშაობა. პავლოვი დაეხმარა ჩვენს ტანკისტებს ესპანეთში მიღებული გამოცდილების გაზიარებით.

მე თვალს არ ვაშორებდი ი. ბ. სტალინს და მეჩვენებოდა, რომ ინტერესით მისმენდა. მე განვაგრძობდი:

— მთელი ჩვენი ჯარებისათვის, შენაერთების მეთაურებისათვის, ნაწილების მეთაურებისა და პირადად ჩემთვის ბრძოლები ხალხინ-გოლზე საომარი გამოცდილების დიდი სკოლა იყო. ვფიქრობ, რომ ახლა იაპონელთა მხარეც უფრო სწორ დასკვნებს გააკეთებს წითელი არმიის ძალისა და უნარის შესახებ.

— გვითხარით, რა სიძნელეებს წააწყდნენ ჩვენი ჯარები ხალხინ-გოლზე? — ჩაერია საუბარში მ. ი. კალინინი.

— მთავარი სიძნელეები, — ვთქვი მე, — ჯარების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებთან იყო დაკავშირებული. ჩვენ 650-700 კილომეტრიდან ვეზიდებოდით ყველაფერს, რაც ბრძოლისა და ჯარების ცხოვრებისათვის არის საჭირო. უახლოესი მომარაგების სადგურები იმიერბაიკალის საბჭედრო ოლქის ტერიტორიაზე იყო გაშლაგებული. საჭმლის გასაკეთებლად საჭირო შეშასაც კი 600 კილომეტრიდან ვეზიდებოდით. მანქანების წრიული ბრუნვა 1300-1400 კილომეტრს შეადგენდა, რის გამოც კოლოსალური რაოდენობით ვხარჯავდით ბენზინს, რომელიც ასევე საბჭოთა კავშირიდან უნდა მოგვეზიდა.

ამ სიძნელეთა გადალახვაში კარგად დაგვეხმარა იმიერბაიკალის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭო და გენერალ-პოლკოვნიკი შტერნი თავისი აპარატით. დიდ უსიამოვნებას აყენებდნენ ჩვენს ჯარებს კოღოები, რომლებიც უთვალავი რაოდენობით დაბზუიან ხალხინ-

გოლზე. საღამოობით მათ ლამის ცოცხლად შეეჭამეთ. იაპონელები სპეციალური კოღოს საწინააღმდეგო პირბადით შველიდნენ თავს. ჩვენ კი არ გვქონდა ასეთი პირბადეები და დიდი დაგვიანებით დაკამზადეთ.

— თქვენი აზრით, რა ძირითად მიზანს ისახავდა იაპონიის მთავრობა, ამ შემოკრას რომ აწყობდა? — მკითხა მ. ი. კალინინმა.

— უახლოესი მიზანი იყო — მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის იმ ტერიტორიის დაპყრობა, რომელიც მდინარე ხალხინ-გოლის გაღმით მდებარეობს, მერე კი გამაგრებული ზღუდის აგება მდინარე ხალხინ-გოლზე, რათა დაეცვათ სტრატეგიული დანიშნულების მეორე რკინიგზა, რომლის მშენებლობასაც ახლა აპროექტებენ და რომელმაც ჩვენი იმპერიალის საზღვართან უნდა გაიაროს, ჩინეთის აღმოსავლეთ რკინიგზის დასავლეთით.

— ახლა თქვენ საბრძოლო გამოცდილება გაქვთ, — თქვა ი. ბ. სტალინმა. — ჩაიბარეთ კიევის ოლქი და თქვენი გამოცდილება ჯარების მომზადებაში გამოიყენეთ.

სანამ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში ვიმყოფებოდი, შესაძლებლობა არ მქონდა დეტალურად შემესწავლა გერმანიასა და ინგლის-საფრანგეთის ბლოკს შორის საბრძოლო მოქმედების მიმდინარეობა. შემთხვევით ვისარგებლე და ვიკითხე:

— რით აიხსნება დასავლეთში მიმდინარე ომის უაღრესად პასიური ხასიათი და რა ვიფიქროთ, როგორ განვითარდება შემდგომში საბრძოლო მოვლენები?

ი. ბ. სტალინმა ჩაიცინა და თქვა:

-- საფრანგეთის მთავრობას დალადიეს მეთაურობით და ინგლისისას — ჩემბერლინის მეთაურობით არ სურთ სერიოზულად შესტოპონ ჰიტლერთან ომში. ისინი ჯერაც ისევ იმედოვნებენ საბჭოთა კავშირთან ომისათვის შეაგულიანონ ჰიტლერი. როცა 1939 წელს მათ ღარი თქვეს ჩვენთან ერთად ანტიჰიტლერული ბლოკის შექმნაზე, ამით არ ისურვეს ხელ-ფეხი შეეკრათ ჰიტლერისათვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მის აგრესიაში. მაგრამ აქედან არაფერი გამოუვათ. მათ თვითონვე მოუხდებათ მძიმე საზღაურის გაღება თავიანთი წინდაუხედავი პოლიტიკისათვის.

სასტუმრო „მოსკოვში“ რომ დავბრუნდი, დიდხანს აღარ მომკარებია ძილი, პოლიტბიუროს წევრებთან საუბრის შთაბეჭდილებით ვიყავი მოცული.

ი. ბ. სტალინის გარეგნობამ, მისმა დინჯმა ხმამ, მსჯელობის კონკრეტულობამ და სიღრმემ, სამხედრო საკითხებში ჩახედულობამ, ყურადღებამ, რომლითაც მოხსენებას ისმენდა, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე.

თავი მეორე

კიევის განსაკუთრებული სამხედრო ოლქის სარდლად

ყველაზე დიდი სამხედრო ოლქის სარდლად დანიშვნა განსაკუთრებულ პატივად მიმაჩნდა და ყველაფერს ვაკეთებდი, რათა გამემართლებინა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის მაღალი ნდობა.

კიევის განსაკუთრებული სამხედრო ოლქი ერთ-ერთი მოწინავე სამხედრო ოლქი იყო. 1922-1939 წლებში ბელორუსიის სამხედრო ოლქში მუშაობისას ჩვენ, „ბელორუსები", დიდი პატივისცემით ვეპყრობოდით კიევის ოლქის ჯარებს, მაღალ შეფასებას ვაძლევდით მათს საბრძოლო მომზადებას და შტაბებისა და სარდლობის ხელმძღვანელი შემადგენლობის ოპერატიულ-ტაქტიკურ სიმწიფეს.

მახარებდა ისიც, რომ ოლქში მუშაობა მომიწევდა გამოცდილ ხელმძღვანელ მხედართუფროსებთან და პოლიტმუშაკებთან. ბევრ მათგანს პირადად ვიცნობდი, ბევრის შესახებ სხვა ოფიცრებისა და გენერლებისაგან მსმენოდა, ზოგიერთ ამხანაგთან წლების მანძილზე ვმუშაობდი.

კიევის განსაკუთრებული სამხედრო ოლქის სარდალი იმ დროს იყო გენერალ-ლეიტენანტი მ. ა. პურკაევი. მ. ა. პურკაევთან ერთად ვმუშაობდი ბელორუსიის სამხედრო ოლქში, სადაც იგი მაშინ ოლქის შტაბის უფროსად მსახურობდა. ის იყო გამოცდილი და თავისი საქმის ღრმად მცოდნე გენერალი, მაღალი კულტურის ადამიანი, დიდი მასშტაბის შტაბისტი.

ოლქის არტილერიის სარდალი იყო გენერალი ნ. დ. იაკოვლევი, დიდი სპეციალისტი ტექნიკისა და არტილერიის საბრძოლო გამოყენების დარგში. ორ არმიას სარდლობდნენ გენერლები ი. ნ. მუზიჩენკო და თ. ი. კოსტენკო, რომლებთანაც დიდხანს მომიხდა მუშაობა დონის მე-4 კაზაკთა დივიზიაში. ოლქის შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსი იყო პოლკოვნიკი პ. ნ. რუბცოვი, რომელსაც თავდაცვის სა-

ხალხო კომისარიატის ცენტრალური აპარატიდან ვიცნობდი. პ. ნ. რუბ-ცოვი მალე პოლკოვნიკმა ივანე ქრისტეფორეს ძე ბაგრამიანმა შეცვა-ლა. ივანე ქრისტეფორეს ძეს ვიცნობდი როგორც ძალიან დაკვირვებულ, მშვიდ, შრომისმოყვარე, ოპერატიულად განსწავლულ მუშაკს. ოლქის მომარაგების უფროსი აღმოჩნდა ჩემი ძველი მეგობარი ვ. ე. ბელოკოსკოვი.

მინდა კეთილი სიტყვით მოვიხსენიო ოლქის სამხედრო-საჰაერო ძალების უფროსი გენერალი ე. ს. პტუხინიც — ბრწყინვალე მფრინავი და მეთაური, ჩვენი პარტიის ერთგული შვილი და გულისხმიერი ამხანაგი.

მოკლე ხანში ახლოს გავიცანი ოლქის დანარჩენი ხელმძღვანელები. ისინი იყვნენ საქმიანი და განათლებული მეთაურები და ყოველ სამსახურებრივ დავალებას საქმის ცოდნით, პუნქტუალობითა და შემოქმედებითი ენერგიით ასრულებდნენ.

ოლქის მდგომარეობას რომ გავეცანი, ჩემს მოვალეობად ჩავთვალე, გამოვცხადებულიყავი უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებთან. ვუამბე, როგორ მოქმედებდნენ ჩვენი ჯარები ხალხინ-გოლზე იაპონიის მე-6 არმიის გასანადგურებლად, გავუზიარე ჩემი პირველი შთაბეჭდილებანი ოლქის შესახებ და ვთხოვე დამხმარებოდნენ ოლქის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფაში. უაღრესად კეთილმოსურნედ შემხვდნენ და მოხარული ვიყავი, რომ ყველაფერი კარგად გვარდებოდა.

1940 წლის ივნისის განმავლობაში თითქმის ყველა ნაწილსა და შენაერთში ვიყავი. შემდეგ ოლქის შტაბთან ერთად კავშირგაბმულობის საშუალებებით მოვაწყვე დიდი სამეთაურო-საშტაბო საველე მოგზაურობა ტერნოპოლის, ლვოვის, ვლადიმირ-ვოლინსკის, დუბნოს რაიონში — იქ, სადაც ერთი წლის შემდეგ, 1941 წელს გერმანელებმა „ბარბაროსას“ გეგმით თავიანთი მთავარი დარტყმის სიმძიმე გადაიტანეს უკრაინაზე.

წვრთნამ გვიჩვენა, რომ არმიებს, შენაერთებსა და მათს შტაბებს სათავეში ედგნენ უნარიანი ახალგაზრდა ოფიცრები და გენერლები. მართალია, მათ სპირდებოდათ სერიოზული ოპერატიულ-ტაქტიკური მომზადება, რადგან სულ ახლახან იყვნენ დაწინაურებული ნაკლებ მნიშვნელოვანი თანამდებობებიდან. ამ საკითხზე გაამახვილა ყურადღება ხელმძღვანელმა შემადგენლობამ.

1940 წლის ზაფხულში და შემოდგომაზე კიევის განსაკუთრებული სამხედრო ოლქის ჯარებში დაძაბული საბრძოლო მზადება მიმდინარეობდა. ითვისებდნენ ტაქტიკურ გამოცდილებას, რაც წითელმა არმიამ ფინეთთან ომში და მდინარე ხალხინ-გოლის რაიონში იაპონელებთან წარმოებულ ბრძოლებში მიიღო. ამასთან ერთად, ვითვალისწინებდით

ევროპის მთელი რიგი სახელმწიფოების მიმართ ფაშისტური გერმანიის ჯარების საბრძოლო მოქმედების გამოცდილებას.

ამ დროისათვის მეორე მსოფლიო ომი უკვე გაჩაღებული იყო. ჯერ კიდევ 1936 წლის ბოლოს გერმანიამ და იტალიამ დადეს შეთანხმება, რომლითაც შექმნეს ყბადაღებული „ბერლინ-რომის ღერძი", ხოლო გერმანიამ და იაპონიამ — „ანტიკომინტერნული პაქტი", რომელიც თითქოსდა კომუნისტური ინტერნაციონალის წინააღმდეგ იყო მიმართული, სინამდვილეში კი აერთიანებდა აგრესორებს მათს ბრძოლაში მსოფლიო ბატონობისათვის. 1937 წელს ამ პაქტს შეუერთდა იტალია. ამავე ხანებში იაპონიამ განაახლა ომი მთელი ჩინეთის დაპყრობის მიზნით. 1938 წელს ლიკვიდირებულ იქნა ავსტრია როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. ამავე დროს მწიფდებოდა შეიარაღებული თავდასხმა ჩეხოსლოვაკიაზე. „ხვალ შეიძლება უკვე გვიან იყოს, — მიმართავდა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებს საბჭოთა მთავრობა, — მაგრამ დღეს ჯერ კიდევ არის საამისო დრო, თუ ყველა სახელმწიფო, განსაკუთრებით კი დიდი სახელმწიფოები, დაიკავებენ მტკიცე, არაორაზროვან პოზიციას მსოფლიოს კოლექტიური გადარჩენის პრობლემების მიმართ".

სსრ კავშირის წინადადებები არ იქნა მიღებული.

საბოლოოდ, ცნობილ მიუნხენის 1938 წლის 29-30 სექტემბრის კონფერენციაზე ინგლისი და საფრანგეთი დათანხმდნენ გერმანიისათვის გადაეცათ სუდეტის ოლქი, „ეხსნათ მსოფლიო უკანასკნელ წუთს" ჩეხოსლოვაკიის დელეგაცია დაკეტილ კართან ელოდა, თუ როგორ გადაწყდებოდა მისი ქვეყნის ბედი. სსრ კავშირი ჩამოაშორეს მოლაპარაკებას. ჩვენ მზად ვიყავით დავხმარებოდით ჩეხოსლოვაკიას, ავიაცია და ტანკები საბრძოლო მზადყოფნაში იყო: დასავლეთის საზღვრების მომიჯნავე რაიონებში თავი მოეყარა 40-მდე დივიზიას, მაგრამ ჩეხოსლოვაკიის მაშინდელმა მმართველმა წრეებმა უარი თქვეს ამ დახმარებაზე და ამჯობინეს საშარცხეინო კაპიტულაცია. 1939 წლის 15 მარტს გერმანიამ მოახდინა პრაღის ოკუპაცია. ჰიტლერის „დაშოშმინებას" თავისი ბუნებრივი შედეგი მოჰყვა.

საქმის ასეთმა ვითარებამ, რომელსაც არა ერთხელ წინასწარმეტყველებდა საბჭოთა კავშირი, ინგლისისა და საფრანგეთის წინაშე დასვა საკითხი: რა იქნება, ჰიტლერი, რომელსაც ისინი აღმოსავლეთისკენ უბიძგებდნენ, უცებ დასავლეთისკენ რომ შემობრუნდეს? დაიწყო მოლაპარაკებების, შეხვედრების, თათბირების ახალი ტური იმ მიზნით, რომ შეეშინებინათ ჰიტლერი სსრ კავშირთან სამხედრო კავშირის შესაძლებლობით. მოითხოვდნენ რა საბჭოთა კავშირისაგან დახმარებას გერმანიის მხრივ აგრესიის შემთხვევაში, დალადიეს და ჩემბერლენს ამასთან ერთად არ სურდათ ეკისრათ რაიმე სერიოზული ვალდე-

ბულებანი. 1939 წლის მოლაპარაკებანი, მათ შორის სამი ქვეყნის სამხედრო მისიათა მოლაპარაკება, ჩიხში მოექცა. სხვათა შორის, ამ მოლაპარაკებებს ახლა დავუბრუნდებით.

ერთი სიტყვით, თუ ვილაპარაკებთ ევროპაზე — იქ ბატონობდა ჰიტლერის დაწოლა და ინგლისისა და საფრანგეთის პასიურობა. სსრ კავშირის მრავალრიცხოვანი ღონისძიებები და წინადადებები, მიმართული კოლექტიური უშიშროების ეფექტური სისტემის შექმნისაკენ, ვერ პოულობდა კაპიტალისტური სახელმწიფოების ლიდერთა მხარდაჭერას. ეს ბუნებრივიც იყო. სიტუაციის მთელ სირთულეს, წინააღმდეგობრიობას და ტრაგიკულობას წარმოშობდა ინგლისისა და საფრანგეთის მმართველი წრეების სურვილი — ერთმანეთისათვის შეეჯახებინათ გერმანია და სსრ კავშირი.

ვიდრე ბომბები არ აფეთქდა მათს საკუთარ სახლში, ძველი მოკავშირეები პირველი სოციალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში, კლასობრივ ინტერესებს მიჰყავდა ერთი გზით — ისინი უკან იხევდნენ ჰიტლერის წინაშე. დალადიეს და ჩემბერლენს ეგონათ, რომ შეძლებდნენ ყველასთვის ეჯობნათ ეშმაკობით, დროზე დაიძვრენდნენ თავს უკვე წაფერდებული და წასაქცევად დამზადებული მიხაკისფერი ფაშისტური კედლისაგან და უკანასკნელ წუთს ხელსაც ჰკრავდნენ მას საბჭოთა კავშირზე გადასანგრევად. მაშინაც კი, როცა 1 სექტემბერს გერმანია თავს დაესხა პოლონეთს, მისი მოკავშირეები ინგლისი და საფრანგეთი, თუმცა ომი ჰქონდათ გამოცხადებული გერმანიისათვის, პრაქტიკულად ადგილიდან არ დაძრულან.

„თუ ჯერ კიდევ 1939 წელს არ დავმარცხდით, — აღიარა ნიურნბერგის პროცესზე გერმანიის უმაღლესი სარდლობის ოპერატიული ხელმძღვანელობის შტაბის უფროსმა იოდლმა, — ეს მხოლოდ იმიტომ, რომ პოლონეთთან ჩვენი ომის დროს დასავლეთში გერმანიის 23 დივიზიის წინააღმდეგ მდგარი დაახლოებით 110 ფრანგული და ინგლისური დივიზია სრულიად უმოქმედოდ იდგა.

პანური პოლონეთის მთავრობამ უარი თქვა საბჭოთა კავშირის დახმარებაზე. მან „შორსმჭვრეტელურად“ ააგო თავდაცვითი ხაზები და სიმაგრეები აღმოსავლეთში, ემზადებოდა საბჭოთა კავშირთან ომისათვის, ამასობაში კი ჰიტლერთა ჯარები შევიდნენ დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან და სწრაფად ჩაიგდეს ხელში იარაღის საწყობები. მიუხედავად პოლონელ პატრიოტთა გმირული ბრძოლისა, გერმანელთა ურდოებმა პოლონეთის არმია უზარმაზარ „ქვაბში“ მოაქციეს. მეორე მსოფლიო ომი სულ უფრო ფართოვდებოდა.

რას წარმოადგენდა იმ მშფოთვარე ჟამს ჩვენი წითელი არმია?

პარტიის XVIII ყრილობას (1939 წლის მარტი) თავდაცვის სახალ-

ხო კომისარმა საბჭოთა კავშირის მარშალმა კ. ე. ვოროშილოვმა მოახსენა, რომ 1934 წელთან შედარებით არმიის პირადი შემადგენლობის რიცხვი გაიზარდა ორჯერ და უფრო მეტად, ხოლო არმიის მოტორიზაცია — 260 პროცენტით. მან მოიყვანა შეჯამებული მონაცემები ჩვენი მსროლელი კორპუსების საცეცხლე ძლიერებაზე, რომელიც არ ჩამოუვარდებოდა გერმანიისა თუ საფრანგეთის საბრძოლო შესაძლებლობას. ერთნახევარჯერ გაიზარდა ცხენოსანი ჯარი, რომელიც მნიშვნელოვნად (საშუალოდ 35 პროცენტით) გაძლიერებულ იქნა არტილერიით, ხელისა და დაზგის ტყვიამფრქვევებითა და ტანკებით. თვით სატანკო პარკი გაიზარდა თითქმის ორჯერ, მისი საცეცხლე სიმძლავრე — თითქმის ოთხჯერ. გადიდდა არტილერიის შორსმსროლელობა, საარტილერიო სისტემების, განსაკუთრებით ტანკსაწინააღმდეგო და სატანკო ზარბაზნების სწრაფმსროლელობა. თუ 1934 წელს მთელ საჰაერო ფლოტს შეეძლო ერთ აფრენაზე აეტანა 2000 ტონა ავიაბომბი, ახლა მას უკვე აჰქონდა 208 პროცენტით მეტი. არა მარტო გამანადგურებლები, არამედ ბომბდამშენებიც ავითარებდნენ საათში 500 კილომეტრზე მეტს.

პარტიის XVIII ყრილობისადმი საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ი. ბ. სტალინი, ახასიათებდა რა ახალი იმპერიალისტური ომის საფრთხეს, ამბობდა, რომ ჩვენი ქვეყანა განუხრელად ახორციელებს მშვიდობის შენარჩუნების პოლიტიკას. ამასთან ერთად მან გააჩაღა უაღრესად სერიოზული მუშაობა ჩვენი წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის საბრძოლო მზადყოფნის გაძლიერებლად. ეს ასეც იყო სინამდვილეში.

სხვათა შორის, ისტორიულ-კვლევითი სფეროდან ჩვენში საკმაოდ ხშირად იკარგება მეტად დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტები იმასთან დაკავშირებით, თუ ვის და სად უთქვამს ან გამოუქვეყნებია ისინი. ზოგჯერ ნამდვილად ჭეშმარიტად ეღვრს არაპირდაპირი მონაცემებიდან და დამატებითი კვლევითი შრომებიდან აღებული აზრები და მსჯელობები ომამდელი წლების თაობაზე, თუმცა იგივე აზრები და მით უმეტეს ფაქტები არის წიგნებში, რომლებიც სულ ადვილად შეიძლება ავიღოთ ბიბლიოთეკის თაროდან.

კერძოდ, იმ წლების პარტიული ყრილობების მასალები შეიცავენ უმდიდრეს ისტორიულ მასალას, ასახავენ იმ უდიდეს მუშაობას, რომელიც პარტიამ და ხალხმა გასწიეს ცხოვრების ყველა დარგში. სიტყვამ მოიტანა და, საერთოდ ასეთ დოკუმენტებს ამზადებენ არა ცალკეული პირები, არამედ ასობით, ათასობით კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც უზარმაზარ ფაქტოლოგიურ მასალას ამუშავებენ, ვიდრე ერთ ციფრს მისცემენ საპასუხისმგებლო მოხსენებისათვის.

რა თქმა უნდა, პარტიის XVIII ყრილობაზე რომ გამოდიოდა, თავ-

დაცვის სახალხო კომისარს არ შეეძლო მოეცა საბჭოთა არმიის ძლიერების დამახასიათებელი აბსოლუტური ციფრები. მაგრამ აი, სსრ კავშირის, ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო მისიების 1939 წლის აგვისტოს მოლაპარაკებაზე, რომელიც, ბუნებრივია, საიდუმლო იყო, მოჰყავდათ კონკრეტული მონაცემები.

ეს მოლაპარაკება ძალიან საინტერესოა. მასში ნათლად არის ასახული ის სერიოზულობა და პასუხისმგებლობა, რომლითაც საბჭოთა მთავრობა ისწრაფვოდა შეექმნა კოლექტიური უშიშროება ევროპაში, ჩვენი საქმიანი, რეალური მზადყოფნა — ამისათვის ბევრ დათმობაზე წავსულიყავით. საბჭოთა მთავრობამ პირდაპირ დაავალა თავის სამხედრო დელეგატებს, „ხელი მოეწერათ სამხედრო კონფერენციისათვის ევროპაში აგრესიის წინააღმდეგ ინგლისის, საფრანგეთისა და სსრ კავშირის სამხედრო თავდაცვის მოწყობის საკითხებზე".

მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ინგლისმა და საფრანგეთმა მოლაპარაკებაზე გამოგზავნეს მეორეხარისხოვანი მოღვაწეები, თანაც „მოსინჯვისათვის", „ზონდაჟისათვის". ისინი გულწრფელად არ იყვნენ დაინტერესებული სამხედრო თანამშრომლობის წარმატებით. ინგლისის მისიის საიდუმლო ინსტრუქცია გულახდილად მიუთითებდა, რომ ინგლისის მთავრობას „არ სურს იკისროს რაიმე გარკვეული ვალდებულებანი", რომლებმაც შეიძლება „ხელები შეუკრას მას". მისიას ევალებოდა მოლაპარაკება ეწარმოებინა „მეტად ნელა", რუსებს „მოპყრობოდა თავდაჭერილად", „ცდილიყო შემოფარგლულიყო, რამდენადაც შესაძლებელია, ზოგადი ფორმულირებებით".

აი, ნაწყვეტები იმდროინდელი ოქმებიდან. ისინი ახასიათებენ საბრძოლო შესაძლებლობას წითელი არმიისა, რომელიც მზად იყო გაშლილიყო ჩვენი ქვეყნის დასავლეთ საზღვრებზე.

სსრ კავშირის, ინგლისისა და საფრანგეთის
სამხედრო მისიების 1939 წლის 15 აგვისტოს
სხდომის ჩანაწერი

სხდომა დაიწყო 10 საათსა და 07 წუთზე
დამთავრდა 13 საათსა და 20 წუთზე

...არმიის სარდალი ბ. მ. შაპოშნიკოვი. სამხედრო მისიების წინა სხდომებზე მოვისმინეთ დასავლეთში საფრანგეთის არმიის განლაგების გეგმა. ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო მისიების თხოვნის თანახმად გადმოგცემთ სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა გაშლის გეგმას მის დასავლეთ საზღვრებზე.

ევროპაში აგრესიის წინააღმდეგ წითელი არმია სსრ კავშირის ევროპულ ნაწილში გაშლის და ფრონტებზე გამოიყვანს:

120 ქვეითს დივიზიას, 16 საკავალერიო დივიზიას, 5 ათას მძიმე ქვემეხს (აქ შედის ზარბაზნებიც კი ჰაუბიცებიც), 9-10 ათას ტანკს. 5-დან 5,5 ათასამდე საბრძოლო თვითმფრინავს (დამხმარე ავიაციის გარეშე), ესე იგი ბომბდამშენებსა და გამანადგურებლებს.

ამ რიცხვში არ შედიან გამაგრებული რაიონების საჯარისო ნაწილები, საჰაერო თავდაცვის ნაწილები, სანაპირო თავდაცვის ნაწილები, შევსების დამმუშავებელი სათადარიგო ნაწილები (დეპოები) და ზურგის ნაწილები.

წითელი არმიის ორგანიზაციაზე წვრილმანებს არ გამოვედევნები და მოკლედ ვიტყვი: მსროლელი ქვეითი დივიზია შედგება 3 მსროლელი პოლკისა და 2 საარტილერიო პოლკისაგან. ომის დროის დივიზიის რაოდენობაა 19 ათასი კაცი.

კორპუსი შედგება 3 დივიზიისაგან, აქვს თავისი არტილერია — 2 პოლკი (ადმირალი დრაქსი გენერალ ჰეიუდთან საუბარში დაინტერესდა, იწერს თუ არა რომელიმე ოფიცერი არმიის გენერალ ბ. მ. შაპოშნიკოვის ცნობას, და იღებს დადებითს პასუხს).

არმიებს სხვადასხვა შემადგენლობის კორპუსებით — 5-დან 8 კორპუსამდე — აქვთ თავიანთი არტილერია, ავიაცია და ტანკები.

გამაგრებული რაიონების საბრძოლო მზადყოფნა 4-დან 6 საათამდეა საბრძოლო განგაშის მიხედვით.

სსრ კავშირს გამაგრებული რაიონები აქვს მთელი თავისი დასავლეთი საზღვრის გაყოლებაზე ყინულოვანი ოკეანიდან შავ ზღვამდე.

არმიის თავმოყრა ხდება 8-დან 20 დღის ვადაში. რკინიგზების ქსელი საშუალებას გვაძლევს არა მარტო თავი მოვუყაროთ არმიას საზღვართან აღნიშნულ ვადებში, არამედ მანევრებიც ვაწარმოოთ ფრონტის გასწვრივ. დასავლეთი საზღვრის გაყოლებით გვაქვს 3-დან 5 როკადამდე 300 კილომეტრის სიღრმეზე.

ჩვენ ახლა გვაქვს საკმაო რაოდენობით მძლავრი დიდი ორთქლმავლები და სატვირთო ვაგონები. ისინი ორჯერ უფრო დიდია იმაზე, რომლებიც გვქონდა წინათ. ჩვენი მატარებლის შემადგენლობები დადიან ორჯერ მეტი წონით, ვიდრე წინათ. გაზრდილია მატარებლების მოძრაობის სიჩქარე.

ჩვენ გვაქვს მნიშვნელოვანი რაოდენობის ავტოტრანსპორტი და როკადა-გზატკეცილები, რაც საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ ავტოტრანსპორტის თავმოყრა ფრონტის გასწვრივ...

...ახლა გადმოგცემთ ევროპაში აგრესიის შემთხვევაში ინგლისის, საფრანგეთისა და სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა შესაძლო ერ-

თობლივი მოქმედების სამ ვარიანტს, რომლებიც მოიწონა სსრ კავშირის სამხედრო მისიამ.

პირველი ვარიანტი — როცა აგრესორების ბლოკი თავს ესხმის ინგლისსა და საფრანგეთს. ამ შემთხვევაში სსრ კავშირს გამოჰყავს იმ შეიარაღებული ძალების 70 პროცენტი, რომლებსაც ინგლისი და საფრანგეთი უშუალოდ გაგზავნიან მთავარი აგრესორის — გერმანიის წინააღმდეგ. განვმარტავ. მაგალითად, თუ საფრანგეთი და ინგლისი უშუალოდ გერმანიის წინააღმდეგ გამოიყვანდნენ 90 ქვეითს დივიზიას, მაშინ სსრ კავშირი გამოიყვანდა 63 ქვეითს დივიზიას, 6 საკავალერიო დივიზიას არტილერიის, ტანკების, თვითმფრინავების შესაბამისი რაოდენობით, საერთო რიცხვით დაახლოებით 2 მილიონამდე კაცს...

...სსრ კავშირის ჩრდილოეთის ფლოტი აწარმოებს საკრეისერო ოპერაციებს ფინეთისა და ნორვეგიის ნაპირებთან, მათი ტერიტორიული წყლების გარეთ, ინგლის-საფრანგეთის ესკადრასთან ერთად... სსრ კავშირის ბალტიის ფლოტს შეუძლია გაშალოს თავისი საკრეისერო ოპერაციები, წყალქვეშა ნავების მოქმედება და განახორციელოს ნაღმების ჩაწყობა აღმოსავლეთ პრუსიისა და პომერანიის ნაპირებთან. სსრ კავშირის ბალტიის ფლოტის წყალქვეშა ნავები ხელს შეუშლიან სამრეწველო ნედლეულის მოზიდვას მთავარი აგრესიისათვის შვეციიდან.

(არმიის სარდალ ბ. მ. შაპოშნიკოვის მიერ მოქმედების გეგმის გადმოცემის კვალობაზე ადმირალი დრაქსი და გენერალი ჰეიუდი თავიანთ კროკებზე აკეთებენ ვითარების მონახაზს).

საომარი მოქმედების მეორე ვარიანტი — როცა აგრესია მიმართული იქნება პოლონეთსა და რუმინეთზე...

სსრ კავშირის მონაწილეობა ომში შეიძლება (განხორციელდეს) მხოლოდ მაშინ, როცა საფრანგეთი და ინგლისი მოელაპარაკებიან პოლონეთს და შეძლებისდაგვარად ლიტვას, აგრეთვე რუმინეთსაც ვილნის კორიდორზე, გალიციაზე ჩვენი ჯარების გაშვებისა და მოქმედების შესახებ.

ამ შემთხვევაში სსრ კავშირს გამოჰყავს იმ შეიარაღებული ძალების 100 პროცენტი, რომლებსაც ინგლისი და საფრანგეთი გამოიყვანენ უშუალოდ გერმანიის წინააღმდეგ. მაგალითად, თუ საფრანგეთი და ინგლისი გერმანიის წინააღმდეგ გამოიყვანენ 90 ქვეით დივიზიას, მაშინ სსრ კავშირიც გამოიყვანს 90 ქვეით დივიზიას, 12 საკავალერიო დივიზიას შესაბამისი არტილერიით, ავიაციითა და ტანკებით.

ინგლისისა და საფრანგეთის საზღვაო ფლოტების ამოცანა იგივე რჩება, რაც პირველ ვარიანტშია მითითებული...

...სამხრეთით სსრ კავშირის შავი ზღვის ფლოტი დუნაის შესართავში გზას უღობავს აგრესორის წყალქვეშა ნავებისა და სხვა შესაძლებელი საზღვაო ძალების შეღწევას, კეტავს ბოსფორს და შავ ზღვაში

მტრის წყალზეითა ესკადრებისა და მათი წყალქვეშა ნავების შეღწევისაგან.

მესამე ვარიანტი. ეს ვარიანტი ითვალისწინებს იმ შემთხვევას, როცა მთავარი აგრესორი გამოიყენებს ფინეთის, ესტონეთისა და ლატვიის ტერიტორიას და თავის აგრესიას წარმართავს სსრ კავშირის წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში საფრანგეთმა და ინგლისმა დაუყოვნებლივ უნდა დაუწყონ ომი აგრესორს ან აგრესორების ბლოკს.

პოლონეთი, რომელიც დაკავშირებულია ხელშეკრულებებით ინგლისთან და საფრანგეთთან, აუცილებლად უნდა ჩაებას ომში გერმანიის წინააღმდეგ, და პოლონეთის მთავრობასთან ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობების ხელშეკრულების თანახმად ჩვენი ჯარები გაატაროს ვილნოს კორიდორზე და გალიციაზე.

ზემოთ მითითებული იყო, რომ სსრ კავშირი განალაგებს 120 ქვეით დივიზიას, 16 საკავალერიო დივიზიას, 5 ათას მძიმე ქვემეხს, 9-დან 10 ათასამდე ტანკს, 5-დან 5,5 ათასამდე თვითმფრინავს. საფრანგეთმა და ინგლისმა ამ შემთხვევაში უნდა გამოიყენონ სსრ კავშირის ამ ძალების 70 პროცენტი და დაუყოვნებლივ დაიწყოს აქტიური მოქმედება მთავარი აგრესორის წინააღმდეგ.

ინგლის-საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მოქმედება უნდა წარმოებდეს ისე, როგორც მითითებულია პირველ ვარიანტში...

სსრ კავშირის, ინგლისის, საფრანგეთის
სამხედრო მისიების 1939 წლის 17 აგვისტოს
სხდომის ჩანაწერი

სხდომა დაიწყო 10 საათსა და 07 წუთზე
დამთავრდა 13 საათსა და 43 წუთზე

მარშალი კ. ე. ვოროშილოვი (თავმჯდომარე). სამხედრო მისიების სხდომას გახსნილად ვაცხადებ.

დღევანდელ სხდომაზე მოვისმენთ ცნობას საბჭოთა კავშირის საავიაციო ძალების შესახებ. თუ არ არის არავითარი შეკითხვები, ნება მიბოძეთ, სიტყვა მივცე მე-2 რანგის არმიის სარდალს მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების უფროსს ლოკტიონოვს.

არმიის სარდალი ა. დ. ლოკტიონოვი. წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსმა 1-ლი რანგის არმიის სარდალმა შაპოშნიკოვმა თავის მოხსენებაში აქ თქვა, რომ დასავლეთ ევროპის თეატრზე წითელი არმია განალაგებს 5-5,5 ათას საბრძოლო თვითმფრინავს. ეს რაოდენობა შეადგენს პირველი ხაზის ავიაციას, რეზერვის გარდა.

აღნიშნული ციფრიდან 80 პროცენტს შეადგენს თანამედროვე ავიაცია შემდეგი სიჩქარეებით: გამანადგურებლები — 465-დან 575 კმ/საათში და მეტი, ბომბდამშენები — 460-დან 550 კმ/საათში. ბომბდამშენი ავიაციის მოქმედების სიშორე — 1800-დან 4000 კილომეტრამდე. ბომბების დატვირთვა — 600 კილოგრამიდან ძველი ტიპის თვითმფრინავებზე და 2500 კილოგრამამდე.»

...ბომბდამშენი, გამანადგურებელი და საჯარისო ავიაციის თანაფარდობა შეადგენს: ბომბდამშენი — 55 პროცენტი, გამანადგურებელი — 40 პროცენტი და საჯარისო — 5 პროცენტი.

საბჭოთა კავშირის საავიაციო ქარხნები ამჟამად მუშაობენ ერთ ცვლად და მხოლოდ ზოგიერთი ორ ცვლად და უშვებენ აუცილებელი საჭიროებისათვის საშუალოდ 900-950 საბრძოლო თვითმფრინავს თვეში, გარდა სამოქალაქო და სასწავლო თვითმფრინავებისა.

ევროპასა და აღმოსავლეთში აგრესიის ზრდასთან ერთად ჩვენმა საავიაციო მრეწველობამ მიიღო აუცილებელი ღონისძიებანი, რათა გაეფართოებინა თავისი წარმოება ისე, რომ დაეკმაყოფილებინა ომისათვის საჭირო მოთხოვნები...

...ძირითადი საავიაციო შენაერთების მომზადებულობა საბრძოლო განგაშისას ითვლის ერთიდან ოთხ საათამდე. მორიგე ნაწილები ძუდაძ საბრძოლო მზადყოფნაში არიან.

ომის დაწყების პერიოდში საჰაერო ძალების მოქმედება გენერალური შტაბის მიერ შემუშავებული გეგმების შესაბამისი იქნება. საჰაერო ძალების მოქმედების საერთო პრინციპს განსაზღვრავს ყველა საშუალების, როგორც სახმელეთო, ისე საჰაერო საშუალებათა მთავარი დარტყმის მიმართულებით თავმოყრის მოთხოვნა. აქედან გამომდინარე. ავიაციის მოქმედება ხდება მჭიდრო კავშირში სახმელეთო ჯარებთან ბრძოლის ველზე და მიმდინარე ოპერაციის სიღრმეში.

ბომბდამშენი ავიაციის მიზანი იქნება: მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალა და მისი მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი სამხედრო ობიექტები. გარდა ამისა ბომბდამშენი ავიაცია მიიღებს ამოცანებს — დაარტყას სამხედრო ობიექტებს მოწინააღმდეგის უფრო ღრმა ზურგშიც. საბჭოთა ავიაცია მიზნად არ ისახავს დაბომბოს მშვიდობიანი მოსახლეობა.

გამანადგურებელი ავიაციის მიზანია — მოელი რიგი დიდმნიშვნელოვანი სამხედრო ობიექტების, რკინიგზებისა და გზატკეცილების, სახმელეთო ჯარებისა და ავიაციის თავმოყრის ადგილების, დიდი ქალაქების — საზენიტო არტილერიასთან და საჰაერო თავდაცვის სხვა საშუალებებთან მჭიდრო ურთიერთმოქმედებით დაცვასთან ერთად — ებრძოდეს მოწინააღმდეგის ავიაციას და უზრუნველყოფდეს ბომბდამშენებისა და მოიერიშე ავიაციის საბრძოლო მოქმედებას ბრძოლის ველზე მათთან მჭიდრო ურთიერთკავშირში...

მარშალი კ. ე. ვოროშილოვი. სიტყვა ეძლევა მარშალ ბერნეტს.

მარშალი ბერნეტი. მინდა საფრანგეთისა და ინგლისის მისიების სახელით მადლობა გადავუხადო გენერალ ლოკტიონოვს თავისი ცნობის ზუსტად გადმოცემისათვის. ჩემზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა იმ ენერგიამ და ორგანიზებულობამ, რითაც საბჭოთა კავშირმა შეძლო მიეღწია ასეთი შესანიშნავი შედეგებისათვის თავისი ავიაციის შექმნაში...[1]

ისტორიკოსებსა და მემუარისტებს უყვართ საკითხის დასმა: „რა იქნებოდა რომ?"... მართლაც, ინგლისსა და საფრანგეთს 1939 წელს რომ მოესურვებინათ საბჭოთა კავშირთან თავიანთი სამხედრო ძალების გაერთიანება აგრესორის წინააღმდეგ, როგორც ამას ჩვენ ვთავაზობდით, ევროპის ბედი სხვანაირი იქნებოდა...

1940 წლის მარტში გაიმართა საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სხდომა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი შეიარაღებული ძალების შემდგომი განვითარებისათვის. სხდომაზე განიხილეს ფინეთთან ომის შედეგები. კამათი ძალიან ცხარე იყო, მწვავედ გააკრიტიკეს ჯარების საბრძოლო მომზადებისა და აღზრდის სისტემა, დაისვა საკითხი მნიშვნელოვნად ამაღლებულიყო არმიისა და ფლოტის ბრძოლისუნარიანობა.

აპრილის შუა რიცხვებში ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს რეკომენდაციით ტარდება მთავარი სამხედრო საბჭოს გაფართოებული თათბირი. თათბირზე მოწვეული იყვნენ ფინეთთან ომის მონაწილენი, ცენტრალური აპარატის, ოლქებისა და არმიების ხელმძღვანელი შემადგენლობა. ამ თათბირის მუშაობის შედეგად განისაზღვრა ჯარების საბრძოლო სწავლების ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი პრინციპები მომენტის მოთხოვნათა თვალსაზრისით. საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის გადაწყვეტილებით თავდაცვის სახალხო კომისარიატის მუშაობას ამოწმებს სპეციალური კომისია ა. ა. ჟდანოვისა და ნ. ა. ვოზნესენსკის მეთაურობით. კომისიამ სამხედრო უწყების ცენტრალურ აპარატს მოსთხოვა მოეხდინა თავისი მუშაობის მნიშვნელოვანი აქტივიზაცია არმიის, ავიაციისა და ფლოტის განმტკიცებისათვის.

საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებათა და მთავარი სამხედრო საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე თავდაცვის სახალხო კომისარმა გამოსცა ბრძანება „1940 წლის ზაფხულის პერიოდისათვის ჯარების საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების შესახებ".

---

[1] Журнал «Международная жизнь», № 3. 1959 г.

რა იყო იმ მოთხოვნათა არსი, რომელსაც პარტია და მთავრობა უყენებდნენ ჩვენს შეიარაღებულ ძალებს 1940 წლის შუახანებში?

ვითვალისწინებდით რა საბჭოთა კავშირ-ფინეთის კონფლიქტის შედეგებს და. რაც მთავარია, უკვე დაწყებული მსოფლიო ომის საბრძოლო მოქმედებათა ხასიათს, ჯარების წინაშე მწვავედ და მთელი სიგრძე-სიგანით დავაყენეთ ამოცანა — ვისწავლოთ დღეს ის, რაც ხვალ საჭირო იქნებოდა ომში. დაიწყო შეიარაღებული ძალების ყველა სახეობის და ჯარების გვარეობათა რეორგანიზაცია, სერიოზული ღონისძიებები განხორციელდა ჯარებში ერთმმართველობის, წესრიგისა და დისციპლინის განსამტკიცებლად. სახალხო კომისრის ბრძანებამ ყველა ხარისხის მეთაურებისა და უფროსებისაგან, აგრეთვე შტაბებისაგან მოითხოვა შეეცვალათ ჯარების საბრძოლო მომზადებისა და აღზრდის სისტემა ერთი თვალსაზრისით — ისე, როგორც ამას მოითხოვდა ომი. ჯარების სწავლება დაეახლოებინათ საბრძოლო სინამდვილის პირობებთან, ეწარმოებინათ პირადი შემადგენლობის წვრთნა ხანგრძლივი ფიზიკური დაძაბულობის დაძლევისათვის. ტაქტიკური მეცადინეობა ჩაეტარებინათ დღისით და ღამით, ყოველგვარ ამინდში, ესე იგი უეცრობის ფაქტორის გათვალისწინებით, ეხელმძღვანელათ პრინციპით — მუდამ ყოფილიყვნენ საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობაში. საერთო საჯარისო მეთაურებისაგან ბრძანება მოითხოვდა ღრმად შეესწავლათ სხვა გვარეობათა ჯარების შესაძლებლობანი და საბრძოლო თავისებურებანი, რათა მარჯვედ ჰქონოდათ მათთან ურთიერთმოქმედება თანამედროვე სწრაფი ბრძოლის ყველა სახეობაში.

მე, ოლქის სამხედრო საბჭოს წევრმა ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ბორისოვმა, საბრძოლო მომზადების განყოფილებისა და ოპერატიული განყოფილების მეთაურებმა მთელი ზაფხული ჯარებში გავატარეთ. მთავარ ყურადღებას ვაქცევდით მეთაურთა შემადგენლობის, შტაბებისა და იარაღის ყველა გვარეობის ჯარების საველე წვრთნას.

1940 წლის სექტემბერში ოლქში ჯარების შესამოწმებლად ჩამოვიდა თავდაცვის სახალხო კომისარი ს. კ. ტიმოშენკო (ს. კ. ტიმოშენკო თავდაცვის სახალხო კომისრად დაინიშნა 1940 წლის 8 მაისს).

22-დან 24 სექტემბრამდე შედგა 41-ე მსროლელი დივიზიის ტაქტიკური მომზადების დათვალიერება რავა-რუსკაიას რაიონში. ორმხრივ საველე წვრთნაში მონაწილეობას იღებდა ოლქის ავიაცია. თავი ისახელა 41-ე მსროლელი დივიზიის არტილერიამ.

25-დან 27 სექტემბრამდე დათვალიერებითი წვრთნა შედგა 99-ე დივიზიაში. დივიზიამ საუკეთესო შედეგები აჩვენა და იგი წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს. დივიზიის არტილერია დაჯილდოვდა წითელი არმიის არტილერიის გარდამავალი წითელი დროშით.

27 სექტემბრიდან 4 ოქტომბრამდე ჩატარდა 37-ე მსროლელი კორ-

პუსის, მე-6 მსროლელი კორპუსის, 36-ე სატანკო ბრიგადისა და 97-ე მსროლელი დივიზიის შტაბების დათვალიერებითი საველე წვრთნა. შტაბებმა გამოაჟღინეს მაღალი ორგანიზებულობა და საქმისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულება. რაც სარდლობისათვის უზრუნველყოფდა ყველა პირობას, ეანეხორციელებინა ჯარების განუწყვეტელი მართვა რთულ და სწრაფადცვალებად ვითარებაში. საუკეთესო გაწვრთნილობისათვის 37-ე მსროლელი კორპუსის შტაბი დაჯილდოებულ იქნა წითელი არმიის გენერალური შტაბის გარდამავალი წითელი დროშით, ხოლო კორპუსის სარდალი ს. მ. კონდრუსევი, შტაბის უფროსი მენდროვი — ოქროს საათებით. ბევრმა მეთაურმა მიიღო ფასიანი საჩუქრები.

ჯერ ერთი წელიც არ იყო გასული ამ სწავლებიდან, რომ 37-ე მსროლელ კორპუსს, აგრეთვე 41-ე, 99-ე და 97-ე მსროლელ დივიზიებს ბრძოლა მოუხდათ რჩეულ ფაშისტთა ჯარებთან. ამ შენაერთების მებრძოლები და მეთაურები გმირულად იბრძოდნენ ომის პირველ, ყველაზე მძიმე დღეებში.

უნდა ითქვას, რომ დათვალიერებითი წვრთნა უმაღლეს სამხედრო ხელმძღვანელთა დასწრებით მეტად ჭკუის სასწავლი და მამობილიზებელი იყო. ს. კ. ტიმოშენკომ კარგად იცოდა მებრძოლების, ნაწილების, ქვედანაყოფების საბრძოლო მომზადება და უყვარდა ეს საქმე. თავდაცვის სახალხო კომისრად მისი დანიშვნის შემდეგ ჯარების საბრძოლო მომზადებაში აღებულ იქნა როგორც ამას მოითხოვდა პარტია, სწორი კურსი — ესწავლებინათ ის, რაც საჭირო იქნებოდა ომში. განსაკუთრებით ბევრს ვმეცადინეობდით დაზვერვაში, ადგილმდებარეობის საბრძოლო გამოყენებაში როგორც შეტევის, ისე თავდაცვის მიზნით.

დაუცხრომლად შთავაგონებდით მებრძოლებს, სერჟანტებსა და მეთაურებს, რომ ქვედანაყოფი და ნაწილი მხოლოდ მაშინ ხდება მრისხანე ძალა მოწინააღმდეგისათვის, როცა მთელი მათი შემადგენლობა საუკეთესოდ არის მომზადებული. ამასთან დაკავშირებით პატივისცემით ვიგონებ ოლქის ჯარების პოლიტიკური პროპაგანდის სამმართველოს უფროსს დივიზიონის კომისარს ეფიმ ტარასის ძე პოჟიდაევს. მან ბევრი სასარგებლო საქმე გააკეთა ჯარების აღზრდის საქმეში.

მე მოვიხსენიე მხოლოდ ერთი დათვალიერება, რომელიც ოლქში ჩაატარა სახალხო კომისარმა ს. კ. ტიმოშენკომ. 1940 წლის განმავლობაში ბევრი ასეთი წვრთნა ჩატარდა და ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ომის პირველ დღეებში სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარები მარჯვედ და მამაცურად იბრძოდნენ და მტერს საგრძნობ დარტყმას აყენებდნენ.

1940 წლის სექტემბრის დამლევს გენერალური შტაბიდან მივიღე

ცნობა, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებით დეკემბერში მოსკოვში გაიმართებოდა არმიის უმაღლესი სარდლობის შემადგენლობის თათბირი. მე დამევალა მოხსენება თემაზე „თანამედროვე შეტევითი ოპერაციების ხასიათი". გარდა ამისა, გათვალისწინებული იყო დიდი ოპერატიულ-სტრატეგიული თამაშის ჩატარება, სადაც მე უნდა მეთამაშა „ლურჯების" მხარეზე, სახალხო კომისარმა მოითხოვა—მოხსენების პროექტი წარმედგინა 1 ნოემბრისათვის.

თემის სირთულისა და თათბირის მაღალი დონის გამო მოხსენებაზე მთელ თვეს მომიხდა მუშაობა და დღე-ღამეს ვასწორებდი. ამასთან დიდი დახმარება გამიწია ოლქის შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსმა ივანე ქრისტეფორეს ძე ბაგრამიანმა.

პროექტი დანიშნულ დროზე წარვადგინე სახალხო კომისართან. ორი კვირის შემდეგ კი გენერალური შტაბის უფროსმა კ. ა. მერეცკოვმა დამირეკა და მითხრა, მოხსენების პროექტი ხელმძღვანელობამ მოიწონა და გამოსვლისათვის მზად უნდა იყოო.

თათბირი გაიმართა 1940 წლის დეკემბრის დამლევს. მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ოლქებისა და არმიების სარდლებმა, ოლქებისა და არმიების სამხედრო საბჭოების წევრებმა და შტაბების უფროსებმა, ყველა სამხედრო აკადემიის უფროსმა, სამხედრო მეცნიერებათა პროფესორებმა და დოქტორებმა, ჯარების გვარეობათა გენერალ-ინსპექტორებმა, ცენტრალურ სამმართველოთა უფროსებმა და გენერალური შტაბის ხელმძღვანელმა შემადგენლობამ. თათბირს ესწრებოდნენ საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები.

თათბირს მოხსენდა დიდმნიშვნელოვანი ცნობები. არმიის გენერალმა ი. ვ. ტიულენევმა მოამზადა საფუძვლიანი მოხსენება „თანამედროვე თავდაცვითი ოპერაციის ხასიათის შესახებ". დავალების თანახმად, იგი არ სცილდებოდა არმიის თავდაცვის ფარგლებს და არ ხსნიდა თანამედროვე სტრატეგიული თავდაცვის სპეციფიკას.

მოხსენება თემაზე „სამხედრო-საჰაერო ძალები შეტევითს ოპერაციასა და ჰაერში ბატონობისათვის ბრძოლაში" გააკეთა წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალმა გენერალ-ლეიტენანტმა პ. ვ. რიჩაგოვმა, რომელმაც განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ესპანეთში. ეს ძალიან შინაარსიანი გამოსვლა იყო.

გენერალ-ლეიტენანტი ა. კ. სმირნოვი გამოვიდა მოხსენებით თემაზე „მსროლელი დივიზიის ბრძოლა შეტევაში და თავდაცვაში"

წითელი არმიის ჯარების საბრძოლო და ოპერატიული მომზადების საერთო საკითხზე მოხსენება გააკეთა გენერალური შტაბის უფროსმა არმიის გენერალმა კ. ა. მერეცკოვმა. მან ხაზგასმით აღნიშნა უმაღლეს მეთაურთა და ყველა ხარისხის შტატების შემადგენლობათა არასაკმარისი მომზადება. იმ მომენტში ეს ერთგვარად შედეგი იყო უმაღლეს

თანამდებობებზე ახალგაზრდა კადრების მასობრივი დაწინაურებისა, რომლებიც ჯერ კიდევ არასაკმაოდ იყვნენ მომზადებულნი ოპერატიულ-ტექნიკური და საშტაბო მუშაობისათვის.

საყოველთაო ყურადღება მიიპყრო ბელორუსიის სამხედრო ოლქის სარდლის გენერალ-პოლკოვნიკ დ. გ. პაველოვის მოხსენებამ „თანამედროვე შეტევით ოპერაციაში მექანიზებული შენაერთების გამოყენების შესახებ". ეს მაშინ ახალი და დიდი საკითხი იყო. თავის კარგად დასაბუთებულ გამოსვლაში დ. გ. პაველოვმა მოხდენილად აჩვენა სატანკო და მექანიზებული კორპუსის დიდი მოძრაეუნარიანობა და დამრტყმელი ძალა, აგრეთვე ის, რომ ჯარების სხვა გვარეობასთან შედარებით იგი ნაკლებ მისაწვდომი იქნებოდა არტილერიისა და ავიაციისათვის.

მოწონება დაიმსახურა ჩემმა მოხსენებამაც „თანამედროვე შეტევითი ოპერაციების ხასიათის შესახებ". თათბირის მონაწილეებმა მთელი რიგი საგულისხმო დამატებანი და კრიტიკული შენიშვნები მოგვცეს.

კამათის ყველა მონაწილე და საბოლოო სიტყვით გამოსული თავდაცვის სახალხო კომისარი იმ აზრისა იყვნენ, რომ თუ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომს დაიწყებდა ფაშისტური გერმანია, ჩვენ საქმე გვექნებოდა დასავლეთის ყველაზე ძლიერ არმიასთან. თათბირზე ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ეს არმია აღჭურვილია ჯავშანსატანკო, მექანიზებული ჯარებით და ძლიერი ავიაციით, აგრეთვე აქვს თანამედროვე ომის ორგანიზაციისა და წარმოების დიდი გამოცდილება.

კამათის ყველა მონაწილეს მიაჩნდა, რომ აუცილებელი იყო ყველაფაც განგვეგრძო დივიზია-კორპუსის ტიპის სატანკო და მექანიზებული შენაერთების ჩამოყალიბება, რათა გერმანელთა არმიის თანაბარი ძალა გვქონოდა. ბევრი რამ ითქვა სამხედრო-საჰაერო ძალების, საჰაერო თავდაცვის და ტანკსაწინააღმდეგო თავდაცვის ჯარების რეორგანიზაციაზე, ხელახლა შეიარაღებაზე, აგრეთვე იმაზე, რომ საჭირო იყო არტილერია გადაგვეყვანა მექანიკურ წევაზე, რათა აგვემაღლებინა მისი მოძრაეუნარიანობა და განვლადობა უგზოობის პირობებში[1].

მთლიანად თათბირის მუშაობამ გვიჩვენა, რომ საბჭოთა სამხედრო-თეორიულმა აზრმა ძირითადად სწორად განსაზღვრა თანამედროვე სამხედრო ხელოვნების მთავარი მიმართულება. საჭირო იყო ყოველივე ეს სწრაფად დაგვენერგა ჯარების საბრძოლო პრაქტიკაში. თათბირის დასკვნების საფუძველზე რამდენიმე ხნის შემდეგ მიღებულ იქნა შემდ-

---

1. ა. ი. ერიომენკო თავის წიგნში „ომის დასაწყისი" (იხ. გვ. 47, 48, 49) გადმოსცემს ი. ბ. სტალინის ვრცელი გამოსვლის შინაარსს უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობის უკანასკნელ სხდომაზე. ა. ი. ერიომენკოს მოგონებებში გაპარულია შეცდომა: ი. ბ. სტალინი ამ სხდომას ვერ დასწრებია.

გომი ლონისძიებანი საზღვრისპირა ოლქების საბრძოლო მზადყოფნის აწაღლებისათვის, საშტაბო ოსტატობის სრულყოფისათვის. ოლქებში გადაიარა დიდი ოპერატიულ-სტრატეგიული თამაშებისა და წვრთნის ახალმა ტალღამ, მუშავდებოდა სახელმწიფო საზღვრის დაცვის გეგმა, მტკიცდებოდა ჯარების ორგანიზებულობა.

თათბირის შემდეგ მეორე დღესვე უნდა გამართულიყო დიდი სამხედრო თამაში, მაგრამ მოულოდნელად გამოგვიძახეს ი. ბ. სტალინთან.

ი. ბ. სტალინი საკმაოდ ცივად შეგვხვდა. ოდნავ შესამჩნევი თავის დაკვრით მოგვესალმა და მაგიდასთან მიგვიწვია.

მან შენიშვნა მისცა ს. კ. ტიმოშენკოს იმისათვის, რომ ისე დახურა სხდომა, არც შეუტყვია, თუ რა აზრისა იყო ი. ბ. სტალინი სახალხო კომისრის დასკვნითს გამოსვლაზე. ამაზე ს. კ. ტიმოშენკომ უპასუხა, ჩემი გამოსვლის პროექტი გამოგიგზავნეთ და ვფიქრობდი გაეცანით მას და შენიშვნები არ გქონდათო.

— როდის დაიწყება თქვენთან სამხედრო თამაში? — ჰკითხა ი. ბ. სტალინმა.

— ხვალ დილით, — უპასუხა ს. კ. ტიმოშენკომ.

— კარგი, ჩაატარეთ, მაგრამ სარდლებს ნუ გაუშვებთ. ვინ თამაშობს „ლურჯებისა“ და „წითლების“ მხარეზე?

— „ლურჯების“ (დასავლეთის) მხარეზე თამაშობს არმიის გენერალი ჟუკოვი, „წითლების“ (აღმოსავლეთის) მხარეზე — გენერალ-პოლკოვნიკი პავლოვი.

მეორე დღეს დილიდან დაიწყო დიდი ოპერატიულ-სტრატეგიული სამხედრო თამაში. სტრატეგიულ ვითარებას საფუძვლად დაედო საეარაუდო მოვლენები, რომლებიც შეიძლებოდა მომხდარიყო დასავლეთ საზღვარზე იმ შემთხვევაში, თუ გერმანია თავს დაესხმოდა საბჭოთა კავშირს.

თამაშის ხელმძღვანელობას ანორციელებდნენ თავდაცვის სახალხო კომისარი ს. კ. ტიმოშენკო და გენერალური შტაბის უფროსი კ. ა. მერეცკოვი; მათ „გაითამაშეს“ სამხრეთ-დასავლეთის სტრატეგიული მიმართულება. „ლურჯების“ მხარე (გერმანელები) პირობითად თავდამსხმელი იყო. „წითლებისა“ (წითელი არმია) — მომგერიებელი.

სამხედრო-სტრატეგიული თამაში ძირითადად მიზნად ისახავდა შეემოწმებინა, რამდენად რეალური და მიზანშეწონილი იყო ჯარების დაცვისა და მოქმედების გეგმის ძირითადი დებულებები ომის დაწყების პერიოდში.

ჯეროვნად უნდა შეეფასოთ გენერალური შტაბის მუშაობა: თამაშისათვის მომზადებულ ყველა მასალაში მნიშვნელოვანწილად აისახა გერმანელ ფაშისტთა ჯარების უკანასკნელი მოქმედება ევროპაში.

დასავლეთის სტრატეგიული მიმართულებით თამაში მოიცავდა

ფრონტს აღმოსავლეთ პრუსიიდან პოლესიემდე. ფრონტების შემადგენლობა: დასავლეთ („ლურჯების") მხარეს იყო — 60 დივიზიაზე მეტი, აღმოსავლეთ („წითლებისა") მხარეს — 50 დივიზიაზე მეტი. სახმელეთო ჯარების მოქმედებას ეხმარებოდა მძლავრი საჰაერო ძალები.

თამაში აღსავსე იყო დრამატიული მომენტებით აღმოსავლეთი მხარისათვის. ისინი ბევრ რამეში ჰგავდნენ იმას, რასაც ადგილი ჰქონდა 1941 წლის 22 ივნისის შემდეგ. როცა საბჭოთა კავშირს თავს დაესხა ფაშისტური გერმანია...

თამაშის დამთავრების შემდეგ თავდაცვის სახალხო კომისარმა გვიბრძანა თამაშის სარდლებს — დ. გ. პავლოვს და მე — მოგვეხდინა ნაწილობრივი გარჩევა, აღგვენიშნა ნაკლოვანებანი და დადებითი მომენტები მონაწილეთა მოქმედებაში.

ი. ბ. სტალინმა შემოგვთავაზა საერთო გარჩევა მოგვეწყო კრემლში, სადაც მოიწვიეს თავდაცვის სახალხო კომისარიატის, გენერალური შტაბის ხელმძღვანელობა, ოლქების ჯარების სარდლები, ოლქების შტაბების უფროსები. ი. ბ. სტალინის გარდა ესწრებოდნენ პოლიტბიუროს წევრები.

თამაშის მსვლელობაზე მოხსენება გააკეთა გენერალური შტაბის უფროსმა არმიის გენერალმა კ. ა. მერეცკოვმა. როცა მან მოიყვანა მონაცემები მხარეების ძალთა თანაფარდობისა და თამაშის დასაწყისში „ლურჯების" უპირატესობის შესახებ, განსაკუთრებით ტანკებისა და ავიაციის მხრივ, „წითლების" მარცხით განაწყენებულმა სტალინმა შეაჩერა იგი და განაცხადა:

— ნუ დაგავიწყდებათ, რომ ომში მნიშვნელობა აქვს არა მარტო არითმეტიკულ ემრავლესობას, არამედ მეთაურთა და ჯარების დახელოვნებასაც.

ი. ბ. სტალინმა კიდევ რამდენიმე შენიშვნა გააკეთა და იკითხა:

— ვის სურს გამოთქვას აზრი?

გამოვიდა სახალხო კომისარი ს. კ. ტიმოშენკო. მან მოახსენა სამხედრო ოლქების სარდლების, შტაბების უფროსების, ოპერატიულ-ტაქტიკური მუშაობის შესახებ, იმის შესახებ, რომ ჩატარებული თათბირი და სამხედრო-სტრატეგიული თამაში უეჭველად სასარგებლო იყო.

— 1941 სასწავლო წელს, — თქვა ს. კ. ტიმოშენკომ, — ჯარებს შესაძლებლობა ექნებათ მოემზადონ უფრო მიზანშეწონილად, უფრო ორგანიზებულად, ვინაიდან ამ დროისათვის ისინი უკვე მოეწყობიან დისლოკაციის ახალ რაიონებში.

შემდეგ გამოვიდა გენერალ-პოლკოვნიკი დ. გ. პავლოვი. მან ჩატარებული სხდომის შეფასებით დაიწყო.

— რა არის „წითელი" მხარის ჯარების წარუმატებელ მოქმედებათა მიზეზები? — ჰკითხა ი. ბ. სტალინმა

დ. გ. პავლოვმა სცადა ხუმრობით ეპასუხა და თქვა, სამხედრო თამაშებში ასე ხდებაო. ეს ხუმრობა ი. ბ. სტალინს აშკარად არ მოეწონა და შენიშნა:

ოლქის ჯარების სარდალი უნდა ფლობდეს სამხედრო ხელოვნებას, უნდა შეეძლოს ყოველგვარ პირობებში გამოძებნოს სწორი გადაწყვეტილება, რაც ჩატარებულ თამაშში თქვენ ვერ მოახერხეთ. კიდევ ხომ არ სურს ვინმეს გამოთქვას აზრი?

სიტყვა მე ვითხოვე.

აღვნიშნე რა ასეთი თამაშების დიდი მნიშვნელობა უმაღლეს მეთაურთა ოპერატიულ-სტრატეგიული დონის ამაღლებისათვის, წინადადება წამოვაყენე უფრო ხშირად ჩაგვეტარებინა ისინი, მიუხედავად მათი ორგანიზაციის მთელი სირთულისა.

— პირადად ოლქებისა და არმიების სარდლებისა და შტაბების მუშაკთა სამხედრო ხელოვნების ამაღლებისათვის, — ვთქვი მე, — საჭიროა დავიწყოთ დიდი სამეთაურო-საშტაბო საველე წვრთნის შემოღება კავშირგაბმულობის საშუალებებით თავდაცვის სახალხო კომისარისა და გენშტაბის ხელმძღვანელობით.

შემდეგ შეეხე გამაგრებული რაიონების მშენებლობას დასავლეთ ბელორუსიაში.

— ჩემი აზრით, დასავლეთ ბელორუსიაში გამაგრებული ზღუდეები საზღვართან ძალიან ახლოს შენდება და მათ მეტად არახელსაყრელი ოპერატიული კონფიგურაცია აქვთ, განსაკუთრებით ბელოსტოკის შვერილთან. ეს შესაძლებლობას აძლევს მოწინააღმდეგეს — დაარტყას ბრესტისა და სულაკის რაიონიდან ზურგში მთელ ჩვენს ბელოსტოკის დაჯგუფებას. გარდა ამისა, იმის გამო, რომ გამაგრებული ზღუდეები მცირე სიღრმისაა, ისინი დიდხანს ვერ გაუძლებენ, რადგან მათ დაატყდებათ ყოველმხრივი არტილერიის ცეცხლი. მიმაჩნია, რომ გამაგრებული ზღუდეები სადღაც უფრო სიღრმეში უნდა აგვეშენებინა.

— უკრაინაში გამაგრებული ზღუდეები სწორად შენდება? — მკითხა დ. გ. პავლოვმა, რომელიც, ეტყობა, უკმაყოფილო იყო იმით, რომ მისი ოლქი გავაკრიტიკე.

— მე არ შემირჩევია ზღუდეები უკრაინაში სიმაგრეების ასაგებად, მაგრამ ვფიქრობ, რომ ისინი საზღვრიდან იქაც მოშორებით უნდა აგვეშენებინა.

— გამაგრებული რაიონები შენდება მთავარი სამხედრო საბჭოს მიერ დამტკიცებული გეგმით. ხოლო მშენებლობის კონკრეტულ ხელმძღვანელობას ახორციელებს თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილე მარშალი ბ. მ. შაპოშნიკოვი,—მკვახედ მომიგო კ. ე. ვოროშილოვმა.

რადგან პოლემიკა დაიწყო, შევწყვიტე ჩემი გამოსვლა და ადგილზე დავჯექი.

შემდეგ მთელ რიგ პრობლემურ საკითხებზე კიდევ გამოვიდა რამდენიმე ხელმძღვანელი გენერალი.

ძალიან საქმიანად ლაპარაკობდა წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი გენერალი პ. ვ. რიჩაგოვი. იგი დაჟინებით მოითხოვდა, რომ აუცილებელი იყო დაჩქარებით გაგვეგითარებინა ჩვენი საჰაერო ძალები უახლესი თვითმფრინავების ბაზაზე და საჭიროდ მიაჩნდა გაუმჯობესებულიყო მფრინავთა შემადგენლობის საბრძოლო მომზადება.

უცნაური შთაბეჭდილება მოახდინა შეიარაღების დარგში თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილის მარშალ გ. ი. კულიკის გამოსვლამ. მან წინადადება წამოაყენა გაგვეძლიერებინა საშტატო მსროლელი დივიზიის შემადგენლობა 16-18 ათასამდე და მხარს უჭერდა არტილერიაში ცხენის გამწევი ძალის გამოყენებას. ესპანეთში ბრძოლების გამოცდილებიდან მან დაასკვნა, რომ სატანკო ნაწილები უნდა მოქმედებდნენ ძირითადად როგორც ქვეითების უშუალო დამხმარენი და ეხოლოდ ასეულებად და ბატალიონებად.

— სატანკო და მექანიზებული კორპუსების ფორმირებისაგან, — თქვა გ. ი. კულიკმა, — ჯერჯერობით თავი უნდა შევიკავოთ.

თავდაცვის სახალხო კომისარმა ს. კ. ტიმოშენკომ რეპლიკა ესროლა:

— არმიის ხელმძღვანელ შემადგენლობას კარგად ესმის, რომ საჭიროა ჯარების უსწრაფესი მექანიზაცია, მხოლოდ კულიკია ისევ დაბნეული ამ საკითხებში.

ი. ბ. სტალინმა შეწყვიტა დისკუსია და გაიცხა გ. ი. კულიკი ჩამორჩენილი შეხედულებებისათვის.

— გამარჯვება ომში, — შენიშნა მან, — იმის მხარეზე იქნება, ვისაც აქვს მეტი ტანკები და ჰყავს უკეთ მოტორიზებული ჯარი.

თამაშის განხილვის მეორე დღეს გამომიძახეს ი. ბ. სტალინთან.

ი. ბ. სტალინი მომესალმა და მითხრა:

— პოლიტბიურომ გადაწყვიტა გაათავისუფლოს მერეცკოვი გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობიდან და მის ადგილზე დაგნიშნოთ თქვენ.

ყველაფერს მოველოდი, ასეთ გადაწყვეტილებას კი არა. არ ვიცოდი, რა მეპასუხა, ვდუმდი. შემდეგ ვთქვი:

— მე არასოდეს არ მიმუშავია შტაბებში. მუდამ მწყობრში ვიყავი. არ შემიძლია ვიყო გენერალური შტაბის უფროსი.

— პოლიტბიურომ გადაწყვიტა დაგნიშნოთ თქვენ, — მითხრა ი. ბ. სტალინმა, თან მახვილი გააკეთა სიტყვაზე „გადაწყვიტა".

ვიცოდი, რომ ყოველგვარი წინააღმდეგობა უნაყოფო იქნებოდა, მადლობა გადავუხადე ნდობისათვის და ვუთხარი:

— თუ ჩემგან არ დადგება კარგი გენერალური შტაბის უფროსი, მაშინ გთხოვთ, ისევე მწყობრში დამაბრუნოთ.

— მაშ ასე, შევთანხმდით! ხვალ იქნება ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, — მითხრა ი. ბ. სტალინმა.

თხუთმეტი წუთის შემდეგ თავდაცვის სახალხო კომისართან ვიყავი. მან ღიმილით მითხრა:

— ვიცი, როგორ ამბობდი უარს გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობაზე. ეს-ეს არის დამირეკა ი. ბ. სტალინმა. ახლა გაემგზავრე ოლქში და მალე დაბრუნდი მოსკოვში. შენს ადგილზე ოლქის სარდლად დაინიშნება გენერალ-პოლკოვნიკი კირპონოსი, მაგრამ მას ნუ დაელოდები, სარდლის მაგივრად შეიძლება ჯერჯერობით დარჩეს ოლქის შტაბის უფროსი პურკაევი.

მიხეილ პეტრეს ძე კირპონოსთან ერთად არ მემუშავა. მაგრამ, მისი თანამოსამსახურეების აზრით, ეს იყო ძალიან გამოცდილი საერთო-საჯარისო სარდალი, რომელმაც სამსახური ძველ არმიაში გაიარა. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის პერიოდში იგი არჩეულ იქნა პოლკის ჯარისკაცთა კომიტეტის თავმჯდომარედ. პარტიაში შევიდა 1918 წლის მაისში. 1934-დან 1939 წლამდე იყო ყაზანის თათარეთის ავს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სახელობის ქვეითი სასწავლებლის უფროსი. საბრძოლო ვითარებაში 70-ე მსროლელი დივიზიის წარმატებით სარდლობისათვის მას მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. 1940 წლის ივნისში შ. ბ. კირპონოსი დანიშნეს ლენინგრადის სამხედრო ოლქის სარდლად.

მოხარული ვიყავი, რომ კიევის განსაკუთრებული სამხედრო ოლქი ბარდებოდა ასეთ ღირსეულ მეთაურს. რა თქმა უნდა, მას, ისევე როგორც ბევრ სხვას, ჯერ კიდევ არ ჰქონდა საჭირო ცოდნა და გამოცდილება ასეთი დიდი საზღვრისპირა ოლქის ხელმძღვანელობისათვის, მაგრამ ცხოვრების გამოცდილება. შრომისმოყვარეობა და ბუნებრივი გამჭრიახობა იმისი გარანტია იყო. რომ მიხეილ პეტრეს ძისაგან დაიგებოდა ჯარების პირველი კლასის სარდალი.

იმავე დღეს საღამოს გავემგზავრე კიევში, რათა იქიდან მოსკოვში წავსულიყავი. გულახდილად რომ ვთქვა, ცუდ გუნებაზე მივდიოდი. მე ყოველთვის მომწონდა უკრაინა და შესანიშნავი ძველი კიევი. უკრაინელი ხალხი მენდო და პატივი დამდო, ამირჩია უკრაინის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად და საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. უკრაინის პარტიის ცენტრალური კომიტეტი ენერგიულად ეხმარებოდა ოლქის ჯარებს საველე წვრთნისა და აღსარდელობითი მუშაობის ორგანიზაციაში, ყოფა-ცხოვრების მოწყობაში.

სარდლის თანამდებობაზე ყოფნის მოკლე დროში მოვასწარი მაღალი შეფასება მიმეცა ოლქის უფროსთა შეპადგენლობისათვის, განსა-

კუთრებით ი. ქ. ბაგრამიანის, ე. ს. პტუხინის, ნ. დ. იაკოვლევის, ოლქის არმიების სარდლებისა და შენაერთთა მეთაურების შრომისმოყვარეობისა და საქმისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულებისათვის. ღრმად მჯეროდა ამ ადამიანებისა და ვგრძნობდი, რომ საბრძოლო გამოცდის ჟამს მათზე მთლიანად შეიძლებოდა დაყრდნობა.

მოსკოვიდან უკვე არა ერთხელ დარეკა სახალხო კომისარმა და მოითხოვდა, მალე დამემთავრებინა საქმეები ოლქში.

კიევში დიდხანს აღარ დამიყოვნებია და 31 იანვარს უკვე მოსკოვში ვიყავი. მეორე დღეს ჩავიბარე კ. ა. მერეცკოვისაგან საქმეები და დავიკავე გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობა.

თავი მეცხრე

დიდი სამამულო ომის წინადღეს

მთელი თებერვლის განმავლობაში გულმოდგინედ ვსწავლობდი იმ საქმეებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული იყო გენერალური შტაბის მოღვაწეობასთან. დღე-ღამეში 15-16 საათს ვმუშაობდი, ხშირად დასაძინებლად სამსახურის კაბინეტში ვრჩებოდი. ვერ ვიტყვი, რომ მაშინვე შევედი გენერალური შტაბის მრავალმხრივი მოღვაწეობის კურსში. ყოველივე ამაში უცებ როდი გავერკვიე. დიდი დახმარება გამიწიეს ნ. თ. ვატუტინმა, გ. კ. მალანდინმა, ა. მ. ვასილევსკიმ, ვ. დ. ივანოვმა, ა. ი. შიმონაევმა, ნ. ი. ჩეტვერიკოვმა და გენერალური შტაბის სხვა მუშაკებმა.

რით შევხვდით ომის დასაწყისს, მზად იყო თუ არა ჩვენი ქვეყანა, მისი შეიარაღებული ძალები ღირსეულად დახვედროდნენ მტერს?

ამომწურავი პასუხი ამ უმნიშვნელოვანეს საკითხზე პოლიტიკური, ეკონომიური, სოციალური და სამხედრო ასპექტების მთელ ერთობლიობაში, ყველა ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინებით უდიდეს კვლევითს მუშაობას მოითხოვს. დარწმუნებული ვარ ჩვენი მეცნიერები, ისტორიკოსები თავს გაართმევენ ასეთ ამოცანას.

ჩემ მხრივ მზად ვარ გამოვთქვა მოსაზრება უწინარეს ყოვლისა ხაქმის სამხედრო მხარეზე, ჩემი ძალისა და შესაძლებლობისამებრ ალვადგინო საერთო სურათი და დავხატო ცალკეული მოვლენები 1941 წლის პირველი ნახევრის შფოთიანი თვეებისა და დღეებისა.

დავიწყოთ ყველაზე მთავარით — ჩვენი ეკონომიკისა და მრეწველობის, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის საფუძველის განვითარებით.

მესამე ხუთწლედის გეგმა (1938-1942 წწ.) პირველი და მეორე ხუთწლედების ბუნებრივი გაგრძელება იყო. ცნობილია, რომ ეს ორი ხუთწლედი გადაჭარბებით იქნა შესრულებული. თუ ვილაპარაკებთ მრეწველობაზე, იგი პირველი ხუთწლედის ოთხ წელიწადში გაიზარდა ორჯერ, მეორე ხუთწლედში, ნაცვლად დასახული 2,1-ჯერ გაზრდისა,

პრაქტიკულად 2.2-ჯერ გაიზარდა. საკ. კპ(ბ) XVIII ყრილობამ კი დაამტკიცა სამრეწველო პროდუქციის გამოშვების გადიდება ხუთ წელიწადში 1.9-ჯერ. იყო თუ არა რაიმე საფუძველი ეს გეგმა არარეალურად, შეუსრულებლად ჩაგვეთვალა? არა. პირიქით.

1941 წლის ივნისისათვის სამხედრო მრეწველობის საერთო პროდუქციამ უკვე შეადგინა 1942 წლის ბოლოსათვის გათვალისწინებული გეგმის 86 პროცენტი, რკინიგზის ტრანსპორტის ტვირთბრუნვამ კი 90 პროცენტი. ამოქმედდა 2900 ახალი ქარხანა, ფაბრიკა, ელექტროსადგური, შახტი. მაღარო და სხვა სამრეწველო საწარმო.

თუ ავიღებთ კაპიტალდაბანდებებს მათს ფულად გამოხატულებაში, გეგმა ითვალისწინებდა 182 მილიარდი მანეთის საერთო თანხის ახალი საწარმოების შექმნას და ძველი საწარმოების რეკონსტრუქციას ნაცვლად მეორე ხუთწლედის 103 მილიარდისა და პირველი ხუთწლედის 39 მილიარდი მანეთისა. აქედან ჩანს, რომ თუ მხედველობაში მიეიღებთ უკანასკნელ წლებში მშენებლობის გაძვირებას, ორჯერ მეტი საწარმოო სიმძლავრე ამოქმედდა, ვიდრე გასულ ორ ხუთ წელიწადში ერთად.

როგორ იყო მძიმე მრეწველობის და კერძოდ თავდაცვითი მრეწველობის საქმე? საკ. კპ(ბ) XVIII ყრილობისადმი მოხსენებაში სახალხო მეურნეობის განვითარების მორიგი გეგმის შესახებ აღნიშნული იყო, რომ წინა გეგმების შესრულების მსვლელობაში იძულებული ვიყავით, საერთაშორისო მდგომარეობის გართულების გამო, სერიოზული შეწორებანი შეგვეტანა მძიმე ინდუსტრიის განვითარებაში, მნიშვნელოვნად გაგვეზარდა თავდაცვითი მრეწველობის განვითარების დასახული გეგმა. მესამე ხუთწლედის გეგმის მიხედვით კვლავაც განსაკუთრებით სწრაფად მიდიოდა წინ მძიმე და თავდაცვითი მრეწველობა.

მართლაც, მთელი მრეწველობის პროდუქციის ყოველწლიური გამოშვება იზრდებოდა საშუალოდ 13 პროცენტით, თავდაცვითი მრეწველობისა კი — 39 პროცენტით. მთელი რიგი მანქანათსაშენებელი და სხვა ქარხნები გადაყვანილ იქნა თავდაცვითი ტექნიკის წარმოებაზე, გაიშალა მძლავრი სპეციალური სამხედრო ქარხნების მშენებლობა.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი ეხმარებოდა იმ ქარხნებს, რომლებიც უშვებდნენ ახალ სამხედრო ტექნიკას, დეფიციტური ნედლეულის, უახლესი მოწყობილობის მომარაგებით. რათა დიდ თავდაცვითს ქარხნებს ჰქონოდათ ყოველივე აუცილებელი და უზრუნველყოთ დავალებათა განხორციელება, იქ ცენტრალური კომიტეტის პარტორგებად იგზავნებოდნენ გამოცდილი პარტიული მუშაკები, გამოჩენილი სპეციალისტები. უნდა ვთქვა, რომ ი. ბ. სტალინი თვითონ ატარებდა დიდ მუშაობას თავდაცვითს საწარმოებთან, კარგად იცნობდა ათეულობით ქარხნების დირექტორებს, პარტორგებს, მთავარ ინჟინრებს,

ხშირად ხვდებოდა მათ, მისთვის ჩვეული შეუპოვრობით აღწევდა იმას, რომ განეხორციელებინათ დასახული გეგმები.

ამრიგად, ეკონომიური თვალსაზრისით უდავო იყო ის ფაქტი, რომ თავდაცვითი მრეწველობა ვითარდებოდა განუხრელად და სწრაფად. მე ვიტყოდი, ფორსირებულადაც კი.

ამასთან არ უნდა დავივიწყოთ რომ, ჯერ ერთი, ეს გიგანტური ზრდა მნიშვნელოვანწილად მასების განსაკუთრებული შრომითი დაძაბულობის შედეგი იყო, მეორეც, იგი ხდებოდა მსუბუქი მრეწველობისა და სხვა იმ დარგების განვითარების ხარჯზე, რომლებიც მოსახლეობას უშუალოდ ამარაგებდნენ პროდუქტებითა და საქონლით. სწორედ ასევე მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მძიმე და თავდაცვითი მრეწველობის აღმავლობა მიმდინარეობდა მშვიდობიანი ეკონომიკის წიაღში, მშვიდობისმოყვარე და არაგასამხედროებული სახელმწიფოს ჩარჩოებში.

ამიტომ კიდევ უფრო მეტი დაწოლა ან გადახრა ამ მიმართულებით პრაქტიკულად უკვე მოასწავებდა ჩვენი ქვეყნის გადაყვანას მშვიდობიანი განვითარების რელსებიდან განვითარების სამხედრო რელსებზე, გამოიწვევდა სახალხო მეურნეობის თვით სტრუქტურის შეცვლას, გადაგვარებას, მის მილიტარიზაციის მშრომელთა ინტერესების პირდაპირ საზიანოდ.

ბუნებრივია, ომისშემდგომი წლების პოზიციებიდან ადვილი სათქმელია, რომ ერთი სახეობის იარაღისათვის მეტი ყურადღება უნდა მიგვექცია, მეორისათვის — ნაკლები. მაგრამ ამ პოზიციებიდანაც კი შეუძლებელია მოვითხოვოთ რაიმე კარდინალური, საერთო-სამეურნეო ცვლილებები ომამდელ ეკონომიკაში. მეტსაც ვიტყვი, როცა ვიგონებ, როგორ და რას მოვითბოვდით ჩვენ, სამხედროები. მრეწველობისაგან უკანასკნელ მშვიდობიან თვეებში, ვხედავ, რომ ზოგჯერ ბოლომდე არ ვითვალისწინებდით ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ შესაძლებლობებს. თუმცა, ალბათ, ჩვენი, ასე ვთქვათ, უწყებრივი თვალსაზრისით მართლებიც ვიყავით.

მაგალითად, ობიექტური ვითარების გამო ხდებოდა თავდაცვის სახალხო კომისრის წინადადებების ლიმიტირება თვითმფრინავების, ტანკების, საარტილერიო საწვავრების, სატვირთო ავტომობილების, კავშირგაბმულობის საშუალებათა და სხვა სამხედრო ტექნიკის მასობრივი წარმოების გაფართოების შესახებ.

რა თქმა უნდა, მრეწველობის, თავდაცვის სფეროში იყო ბევრი ნაკლოვანება, სიძნელე, რომლებზეც ჩვენ კიდევ ვილაპარაკებთ. მშენებლობის დიდ გაქანებასთან დაკავშირებით იგრძნობოდა კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობა. გვაკლდა გამოცდილება ახალი იარაღის წარმოების ათვისებასა და მისი მასობრივი გამოშვების ორგანიზაციაში.

საბრძოლო ტექნიკისა და შეიარაღების მოთხოვნილება სულ უფრო სწრაფად მიდიოდა წინ და წინ.

შეიარაღების ახალი ნიმუშების მასობრივი წარმოების მიღების წესი ასეთი იყო:

ნიმუშები თავდაპირველად გადიოდა საქარხნო გამოცდას, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ სამხედრო წარმომადგენლები, შემდეგ საჯარისო გამოცდას და მხოლოდ ამის შემდეგ იძლეოდა თავის დასკვნას თავდაცვის სახალხო კომისარიატი. მთავრობა თავდაცვის სახალხო კომისრის, სამხედრო მრეწველობის სახალხო კომისრებისა და მთავარი კონსტრუქტორების მონაწილეობით განიხილავდა წარმოდგენილ ნიმუშებს და იღებდა საბოლოო გადაწყვეტილებას.

ყოველივე ამას კარგა ბევრი დრო სჭირდებოდა. ასეც ხდებოდა: ვიდრე მიმდინარეობდა ახალი ტექნიკის დამზადებისა და გამოცდის პროცესი, კონსტრუქტორებს უკვე მზად ჰქონდათ ახალი, უფრო სრულყოფილი ნიმუში, და სავსებით კანონზომიერია, რომ ამ შემთხვევაში ნიმუშების შეიარაღებაში მიღების საკითხი გადაიდებოდა ხოლმე უახლესი მოდელის სრულ გამოცდამდე.

მთლიანად ორი ომამდელი ხუთწლედისა და განსაკუთრებით სამი ომისწინა წლის მანძილზე შექმნილი უდიდესი საწარმოო სიმძლავრეები უზრუნველყოფდა ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის საფუძველს.

სამხედრო თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა პარტიის ხაზს, რომელიც მიზნად ისახავდა აღმოსავლეთ რაიონებში მრეწველობის დაჩქარებულ განვითარებას და დუბლიორი საწარმოების შექმნას მანქანათსაშენებელ, ნავთობგადამამუშავებისა და ქიმიის მთელ რიგ დარგებში. აქ შენდებოდა ყველა ახალი საბრძმედე ღუმელის სამი მეოთხედი, მეორე მძლავრი სანავთობე ბაზა ვოლგასა და ურალს შორის. მეტალურგიული ქარხნები იმიერბაიკალში, ურალსა და ამურზე, ფერადი მეტალურგიის უდიდესი საწარმოები შუა აზიაში, მძიმე ინდუსტრიისა — შორეულ აღმოსავლეთში, ავტოსაამწყობო ქარხნები, ალუმინის კომბინატები და მილსაგლინავი საწარმოები, ჰიდროსადგურები. ომის დროს. აქ ევაკუირებულ საწარმოებთან ერთად ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთში შეიქმნა სამრეწველო ბაზა, რომელმაც უზრუნველყო საკადრისი პასუხი გაგვეცა მტრისათვის და გაგვენადგურებინა იგი.

ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა ომის წინ დაბანდებული მატერიალური რეზერვების შესახებ. მათი მიზანი იყო უზრუნველგვეყო მეურნეობის გარდაქმნა საომარ ყაიდაზე და შეგვენახა ჯარები, ვიდრე მეურნეობა არ ამუშავდებოდა მთლიანად ომის საჭიროებისათვის. 1940 წლი-

დან 1941 წლის ივნისამდე მატერიალური რეზერვების საერთო ღირებულება გაიზარდა 4 მილიარდიდან 7,6 მილიარდ მანეთამდე[1].

აქ შედიოდა საწარმოო სიმძლავრეთა, საწვავის, ნედლეულის, ენერგეტიკის, შავი და ფერადი ლითონების, სურსათის რეზერვები. ომის წინ მომზადებული ეს მარაგი თუმცა საკმაოდ უმნიშვნელო იყო, მაინც დაეხმარა სახალხო მეურნეობას. მიუხედავად მძიმე 1941 წლისა, სწრაფად აგვეღო ომის წარმატებით წარმოებისათვის საჭირო ტემპი და გაქანება.

ამგვარად, მძიმე ინდუსტრიის, თავდაცვითი მრეწველობის პულსი აჩქარებით სცემდა, ომამდელ წლებსა და თვეებში მან უდიდეს დაძაბულობასა და სისრულეს მიაღწია. მკაცრი, თითქოს უფრო დაძაბული ხდებოდა მთლიანად სახელმწიფოს ცხოვრებაც.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე IV სესიამ 1939 წლის სექტემბერში მიიღო „კანონი საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ". ახალი კანონის თანახმად არმიაში იწვევენ იმ პირებს, რომლებსაც შეუსრულდათ 19 წელი, საშუალო სკოლა დამთავრებულებისათვის კი გასაწვევი ასაკი ხდება 18 წელი. სამხედრო საქმის უფრო სრულყოფილად დაუფლებისათვის გაიზარდა ნამდვილი სამხედრო სამსახურის ვადები: ქვეითი და სამხედრო-საჰაერო ძალების ჯარების უმცროს მეთაურთათვის — ორიდან სამ წლამდე. სამხედრო-საავიაციო ძალების მთელი რიგითი შემადგენლობისათვის, აგრეთვე სასაზღვრო ჯარების რიგითი და უმცროს მეთაურთა შემადგენლობისათვის — ოთხ წლამდე, ხომალდებსა და ფლოტის ნაწილებზე — ხუთ წლამდე.

მთლიანად მესამე ხუთწლედის გეგმისა და კერძოდ მძიმე და თავდაცვითი მრეწველობის დავალებათა შესრულება, აგრეთვე სსრ კავშირზე სამხედრო თავდასხმის საფრთხე მოითხოვდა გაგვედიდებინა სამუშაო დროის რაოდენობა, რომელიც მოსმარდებოდა სახალხო მეურნეობას. ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი 1940 წლის 26 ივნისს იღებს ბრძანებულებას „რვასაათიან სამუშაო დღეზე, შვიდდღიან კვირაზე გადასვლისა და საწარმო-დაწესებულებებიდან მუშა-მოსამსახურეთა თვითნებურად წასვლის აკრძალვის შესახებ". იქმნება კვალიფიციური სამუშაო ძალის მოამზადების ახალი სისტემა სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებში, საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში, რომლებიც წელიწადში საშუალოდ 800 ათასიდან 1 მილიონამდე კაცს ამზადებდნენ.

მაშინვე, 1940 წლის შუა ხანებში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოსცა ბრძანებულება „სამრეწველო საწარმოების მიერ უხარისხო პროდუქციის გამოშვებისა და აუცილებელი სტანდარ-

---

[1] Н. А. Вознесенский, Военная экономика СССР в период Отечественной войны, М., Госполитиздат, 1947, стр. 154.

ტების დაუცველობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ". შემოღებულ იქნა მკაცრი ზომები, რომლებიც ხელს უწყობდა საწარმოებისათვის ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას, განამტკიცებდა დისციპლინას, პასუხისმგებლობასა და წესრიგს.

სერიოზულ ცვლილებებს განიცდის აგრეთვე სახელმწიფო აპარატი, მრეწველობის მართვა უფრო მოქნილი ხდება, მარტივდება, ისპობა ზედმეტი ცენტრალიზაცია. თავდაცვითი მრეწველობის სახალხო კომისარიატი იყოფა ოთხ ახალ სახალხო კომისარიატად — ავიაციის, გემთმშენებელი მრეწველობის, საბრძოლო მასალების, შეიარაღების სახალხო კომისარიატად; მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატი იყოფა საშუალო, მძიმე და საერთო მანქანათმშენებლობის კომისარიატებად.

იქმნება ახალი სახალხო კომისარიატები (საავტომობილო ტრანსპორტის, მშენებლობისა და სხვ.), რომლებსაც პირდაპირი დამოკიდებულება ჰქონდათ ქვეყნის თავდაცვის განმტკიცებასთან. გარდაიქმნა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს მუშაობა. მის ბაზაზე იქმნება თავდაცვითი მრეწველობის, მეტალურგიის, სათბობის, მანქანათმშენებლობის და სხვა სამეურნეო საბჭოები. საბჭოების თავმჯდომარეებად ინიშნებიან გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწეები — სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ნ. ა. ვოზნესენსკი, ა. ნ. კოსიგინი, ვ. ა. მალიშევი და სხვები.

ყველა ამ ცვლილებას იწვევდა მუშაობის განსაკუთრებით გაზრდილი მოცულობა, აგრესიისაგან აქტიური თავდაცვისათვის მზადების მოთხოვნები, აგრესიისა, რომლის შესაძლებლობა თვიდან თვემდე იზრდებოდა.

დროის პირობების შესაბამისად, აგრეთვე ახალ „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონთან" დაკავშირებით ხდება ცენტრალური სამხედრო აპარატის, ადგილობრივი სამხედრო სამმართველო ორგანოების რეორგანიზაციაც. ავტონომიურ რესპუბლიკებში, ოლქებსა და მხარეებში იქმნება სამხედრო კომისარიატები, ძალაში შედის ახალი დებულება მათი საქმიანობის შესახებ.

დიდ, პრინციპულ საკითხებს თავდაცვის სახალხო კომისარიატში განიხილავდნენ წითელი არმიის მთავარ სამხედრო საბჭოზე. მთავარი სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე იყო თავდაცვის სახალხო კომისარი, მისი წევრები იყვნენ სახალხო კომისრის მოადგილეები და საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ერთ-ერთი წევრი. განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი საკითხების მოხსენებას და გადაწყვეტას ესწრებოდნენ ი. ბ. სტალინი და საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხვა წევრები.

პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის 1941 წლის 8 მარტის გადაწყვეტილებით დაზუსტებულ იქნა მოვალეობათა განაწილება სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროში.

წითელი არმიის ხელმძღვანელობას ახორციელებდა თავდაცვის სახალხო კომისარი გენერალური შტაბის, თავისი მოადგილეებისა და მთავარი და ცენტრალური სამმართველოების სისტემის მეშვეობით. უშუალოდ მასვე ემორჩილებოდა მთავარი ავტოჯავშანსატანკო სამმართველო, საქმეთა მმართველობა, საფინანსო სამმართველო, კადრების სამმართველო და გამოგონებათა ბიურო.

ომის წინ თავდაცვის სახალხო კომისარიატის შიგნით მოვალეობანი შემდეგნაირად იყო განაწილებული:

სახალხო კომისრის მოადგილე გენერალური შტაბის უფროსი, არმიის გენერალი გ. კ. ჟუკოვი — კავშირგაბმულობის სამმართველო, საწვავის მომარაგების სამმართველო, საჰაერო თავდაცვის მთავარი სამმართველო, გენერალური შტაბის აკადემია და მ. ვ. ფრუნზეს სახელობის აკადემია.

სახალხო კომისრის პირველი მოადგილე საბჭოთა კავშირის მარშალი ს. მ. ბუდიონი — მთავარი საინტენდანტო სამმართველო, წითელი არმიის სანიტარული და ვეტერინარული სამმართველო, მატერიალური ფონდების განყოფილება.

სახალხო კომისრის მოადგილე არტილერიის დარგში საბჭოთა კავშირის მარშალი გ. ი. კულიკი — მთავარი საარტილერიო სამმართველო, ქიმიური თავდაცვის სამმართველო და საარტილერიო აკადემია.

სახალხო კომისრის მოადგილე საბჭოთა კავშირის მარშალი ბ. მ. შაპოშნიკოვი — მთავარი სამხედრო-საინჟინრო სამმართველო, თავდაცვითი მშენებლობის სამმართველო.

სახალხო კომისრის მოადგილე საბრძოლო მომზადების დარგში არმიის გენერალი კ. ა. მერეცკოვი — ყველა გვარეობის ჯარების ინსპექცია, წითელი არმიის სამხედრო სასწავლებლებისა და წითელი არმიის საბრძოლო მომზადების სამმართველო.

სახალხო კომისრის მოადგილე არმიის გენერალი პ. ვ. რიჩაგოვი — წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარი სამმართველოს უფროსი.

სახალხო კომისრის მოადგილე 1-ლი რანგის არმიის კომისარი ა. ი. ზაპოროჟეცი — წითელი არმიის პოლიტიკური პროპაგანდის მთავარი სამმართველოს უფროსი, წითელი არმიის საგამომცემლო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი, ვ. ი. ლენინის სახელობის სამხედრო-პოლიტიკური აკადემია, სამხედრო-იურიდიული აკადემია და სამხედრო-პოლიტიკური სასწავლებლები.

მინდა მოგაგონოთ, რომ წითელი არმიის გენერალურ შტაბს მეთაურობდნენ 1935 წლიდან საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ი. ეგოროვი, 1937 წლიდან — საბჭოთა კავშირის მარშალი ბ. მ. შაპოშნიკოვი, 1940 წლის აგვისტოდან — არმიის გენერალი კ. ა. მერეცკოვი.

ახლა ვნახოთ, როგორ გამოიყურებოდა ომის დასაწყისში ჩვენი შეიარაღებული ძალები. ამასთან, რათა უფრო მოხერხებული იყოს მკითხველისათვის და გაადვილდეს დასკვნების გამოტანა, უმჯობესი იქნება, თუ ყოველივე ამას გადმოვცემთ ასეთი სქემით: რა გააკეთეს უკვე ხალხმა, პარტიამ და მთავრობამ, რის გაკეთებას ვაპირებდით უახლოეს დროში და რისი გაკეთება ვერ მოვასწარით ან ვერ შევძელით. რა თქმა უნდა, ყოველივე ამას გადმოვცემთ ძირითად ხაზებში, მცირე მონაცემების გამოყენებით.

მსროლელი ჯარები. 1941 წლის აპრილში მსროლელი ჯარებისათვის შემოღებულ იქნა საომარი დროის შტატი. მსროლელი დივიზია — წითელი არმიის მთავარი საერთო-საჯარო შენაერთი — შეიცავდა სამ მსროლელ და ორ საარტილერიო პოლკს, ტანკსაწინააღმდეგო და საზენიტო დივიზიონს, შესანგრეთა ბატალიონს და კავშირგაბმულობის ბატალიონს, ზურგის ნაწილებს და დაწესებულებებს. საომარი დროის შტატების მიხედვით დივიზიაში უნდა ყოფილიყო დაახლოებით 14 ათას ხუთასი კაცი, 78 საველე ქვემეხი, 45-მილიმეტრიანი 54 ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზანი, 12 საზენიტო ქვემეხი, 82-120-მილიმეტრიანი 66 ნაღმსატყორცნი, 16 მსუბუქი ტანკი, 13 ჯავშნიანი მანქანა, სამი ათასზე მეტი ცხენი. ასე დაკომპლექტებული მსროლელი დივიზიები საკმაოდ მობილური და მრისხანე საბრძოლო შენაერთები იქნებოდა.

1939-1940 წლებში და 1941 წლის პირველ ნახევარში ჯარებმა მიიღეს 105 ათასზე მეტი ხელის, დაზგისა და მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევი, დაახლოებით 85 ათასი ავტომატი. ეს მაშინ, როცა მსროლელი-საარტილერიო შეიარაღება ამ დროს რამდენადმე შემცირდა, რადგან მოძველებული სახეობანი იხსნებოდა წარმოებიდან, ახალი კი, სირთულისა და საკონსტრუქტორო თავისებურებებათა გამო, არც ისე ადვილი იყო ნაკადზე დაგვეყენებინა.

მარტის შუა რიცხვებში ს. კ. ტიმოშენკომ და მე ი. ბ. სტალინს ვთხოვეთ, ნება დაერთო მსროლელი დივიზიებისათვის გაგვეწვია თადარიგის სამხედრო ვალდებულთა შემადგენლობა, რათა შესაძლებლობა გვქონოდა სწრაფად გადაგვემზადებინა ისინი თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად. თავდაპირველად ჩვენი თხოვნა უარყვეს. გვითხრეს, ასეთი მოცულობით თადარიგის მიწერილი შემადგენლობის გაწვევამ შეაძლოა გერმანელებს ომის პროვოცირების საბაბი მისცეს. მაგრამ მარტის ბოლოს გადაწყდა, გაგვეწვია ხუთასი ათასი ჯარისკაცი და სერჟანტი და გვგეგზავნა ისინი საზღვრისპირა სამხედრო ოლქების საბოლოო დაკომპლექტებისათვის იმ მიზნით, რომ მსროლელი დივიზიების რაოდენობა 8 ათას კაცამდე მაინც აგვეყვანა.

ამ საკითხს რომ აღარ დავუბრუნდე, აქვე ვიტყვი. რომ რამდენიმე დღის შემდეგ ნება დაგვრთეს გაგვეწვია მიწერილი შემადგენლობის 300

ათასი კაცი, რათა სპეციალისტებით დაგვეკომპლექტებინა გამაგრებული რაიონები და სხვა გვარეობისა და სახეობის შეიარაღებული ძალები, უმაღლესი მთავარსარდლობის რეზერვის არტილერია, საინჟინრო, კავშირგაბმულობის, საჰაერო თავდაცვისა და სამხედრო-საჰაერო ძალთა ზურგის სამსახურის ჯარები. ამგვარად, ომის წინ წითელმა არმიამ მიიღო დამატებით დაახლოებით 800 ათასი კაცი. შეკრებების ჩატარება დაგეგმილი იყო 1941 წლის მაის-ოქტომბერში.

საერთო ჯამში ომის წინ საზღვრისპირა ოლქებში შენაერთების საერთოდ არცთუ ისე მცირე რიცხვიდან — ას სამოცდაათი დივიზიიდან და ორი ბრიგადიდან — 19 დივიზია დაკომპლექტდა 5-6 ათასი კაცით, 7 საკავალერიო დივიზია საშუალოდ 6-6 ათასი კაცით, 144 დივიზიაში იყო 8-9 ათასი კაცი თვითეულში. შიდა ოლქებში დივიზიების უმრავლესობა შემცირებული შტატებით იყო, ბევრი მსროლელი დივიზია კი ის-ის იყო ყალიბდებოდა და იწყებდა საბრძოლო სწავლებას.

ჯავშანსატანკო ჯარები. ადრე, როცა საბჭოთა სატანკო მრეწველობაზე ელაპარაკობდი, უკვე ხაზგასმით აღვნიშნე მისი განვითარების მაღალი ტემპები და სამამულო კონსტრუქციის მანქანების დიდი სრულყოფილება. 1938 წლისათვის ოცდაათიანი წლების დასაწყისთან შედარებით ტანკების წარმოება 3-ჯერ მეტად გაიზარდა. ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ახალ მოთხოვნებთან დაკავშირებით საკ. კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ კონსტრუქტორებსა და ტანკმშენებლებს დაუსახა ამოცანა — შეექმნათ ტანკები უფრო მძლავრი დამცველი ჯავშნით და შეიარაღებით, რომლებსაც უფრო მეტი მოძრავუნარიანობა და საიმედო ექსპლოატაცია ექნებოდათ. 1939-1940 წლებში ეს ამოცანა ბრწყინვალედ გადაიჭრა.

კონსტრუქტორების ნიჭიერი კოლექტივები ე. ი. კოტინის ხელმძღვანელობით ქმნიან ტანკს KB, მ. ი. კოშკინის, ა. ა. მოროზოვისა და ნ. ა. კუჩერენკოს ხელმძღვანელობით — სახელგანთქმულ საშუალო ტანკს T-34. მოტორმშენებლებმა მოგვცეს მძლავრი სადიზელო ტანკის ძრავა K-2-ი. KB და T-34 საუკეთესონი აღმოჩნდნენ ომის წინადღეს შექმნილ მანქანებს შორის და ომის მსვლელობაშიც ისინი მტკიცედ ინარჩუნებდნენ უპირატესობას მოწინააღმდეგის ანალოგიური ტიპის მანქანასთან შედარებით. საქმე ახლა ის იყო, რომ რაც შეიძლება სწრაფად მოგვეწყო მათი მასობრივი წარმოება.

საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებით თავდაცვის კომიტეტმა 1940 წლის დეკემბერში შეისწავლა ახალი ტანკების წარმოების მდგომარეობა და ცენტრალურ კომიტეტს მოახსენა, რომ ზოგიერთი ქარხანა ვერ ასრულებს გეგმებს, დიდი სიძნელეებია ტექნოლოგიური პროცესის დამუშავებაში, ჯარების შეიარაღება KB და T-34 ტანკებით მეტად ნელი ტემპებით მიმდინარეობს. მთავრობამ მიიღო საჭირო ზო-

მები. პარალელურად საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო იღებენ დადგენილებას, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის, ვოლგისპირეთსა და ურალში ტანკების მასობრივი წარმოებისათვის.

1939 წლის იანვრიდან 1941 წლის 22 ივნისამდე წითელმა არმიამ მიიღო შვიდი ათასზე მეტი ტანკი, 1941 წელს მრეწველობამ უკვე შეძლო მოეცა ყველა ტიპის დაახლოებით 5,5 ათასი ტანკი. რაც შეეხება KB დაT-34 ტანკებს, ომის დაწყებისათვის ქარხნებმა მოასწრეს გამოეშვათ 1861 ტანკი. ეს, რა თქმა უნდა, ცოტა იყო. პრაქტიკულად ახალი ტანკები საზღვრისპირა ოლქების ჯარებმა მხოლოდ 1940 წლის მეორე ნახევრიდან მიიღეს.

საქმის რაოდენობრივ მხარესთან დაკავშირებულ სიძნელეებს დაემატა ორგანიზაციული პრობლემები. შესაძლოა, მკითხველს ახსოვს, რომ ჩვენი ქვეყანა იყო მსხვილი მექანიზებული შენაერთების — ბრიგადებისა და კორპუსების — შექმნის პიონერი. მაგრამ ასეთი სახის შენაერთების გამოყენების გამოცდილება ესპანეთის სპეციფიკურ პირობებში არასწორად იქნა შეფასებული და მექანიზებული კორპუსები ჩვენს არმიაში ლიკვიდირებულ იქნა. ჯერ კიდევ ხალხინ-გოლთან ბრძოლის დროს ჩვენ ბევრ რამეს მივაღწიეთ მობილური სატანკო შენაერთების აქტიური გამოყენებით. ფართოდ იყენებდა გერმანია მძლავრ სატანკო შენაერთებს ევროპის ქვეყნების წინააღმდეგ თავისი აგრესიული მოქმედების დროს.

საჭირო იყო სწრაფად დავბრუნებოდით მსხვილი ჯავშანსატანკო შენაერთების შექმნას.

1940 წელს იწყება ახალი მექანიზებული კორპუსების, სატანკო და მოტორიზებული დივიზიების შექმნა. შეიქმნა 9 მექანიზებული კორპუსი. 1941 წლის თებერვალში გენერალურმა შტაბმა შეიმუშავა ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარების შექმნის კიდევ უფრო ფართო გეგმა, ვიდრე ამას ითვალისწინებდა მთავრობის გადაწყვეტილებანი 1940 წელს.

ვითვალისწინებდით რა ჯავშანსატანკო ჯარების რაოდენობას გერმანიის არმიაში, მე და სახალხო კომისარმა მოვითხოვეთ მექანიზებული კორპუსების ფორმირების დროს გამოგვეყენებინა არსებული სატანკო ბრიგადები და კავალერიის შენაერთებიც კი როგორც ყველაზე ახლობელი სატანკო ჯარებთან თავისი „სამანევრო სულით“.

ი. ბ. სტალინს, ეტყობა, არ ჰქონდა გარკვეული აზრი ამ საკითხზე და მერყეობდა. დრო მიდიოდა და მხოლოდ 1941 წლის მარტში იქნა მიღებული გადაწყვეტილება იმ 20 მექანიზებული კორპუსის ჩამოყალიბების შესახებ, რასაც ჩვენ მოვითხოვდით.

მაგრამ ჩვენ ვერ გავითვალისწინეთ ჩვენი სატანკო მრეწველობის

ობიექტური შესაძლებლობანი. ახალი მექანიზებული კორპუსების სრული დაკომპლექტებისათვის საჭირო იყო 16,6 ათასი მარტო ახალი ტიპის ტანკი, სულ კი დაახლოებით 32 ათასი ტანკი. ამ რაოდენობის მანქანებს ერთი წლის მანძილზე ვერავითარ პირობებში ვერ მივიღებდით, გვაკლდა ტექნიკური, მეთაურთა კადრებიც.

ამგვარად, ომის დაწყების წინ შეეძელით შეგვეიარაღებინა ჩამოყალიბებული კორპუსების ნახევარზე ნაკლები. სწორედ მათ, ამ კორპუსებმა, შეასრულეს დიდი როლი მოწინააღმდეგის პირველი დარტყმების მოგერიებაში. ის მექანიზებული და სატანკო კორპუსები კი, რომლებსაც ომის დაწყებამ ჩამოყალიბების სტადიაში მოუსწრო, გამოგვადგა სტრატეგიული რეზერვების მომზადებისათვის და მათმა მოქმედებამ გადამწყვეტი გავლენა მოახდინა ომის მეორე პერიოდში.

არტილერია. დაზუსტებული საარქივო მონაცემების მიხედვით, 1939 წლის 1 იანვრიდან 1941 წლის 22 ივნისამდე წითელმა არმიამ მრეწველობისაგან მიიღო 29637 საველე ქვემეხი, 52407 ნაღმსატყორცნი, სულ კი ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, სატანკო ზარბაზნების ჩათვლით — 92578. ამ იარაღის დიდი უმრავლესობა მოდიოდა საჯარისო არტილერიაზე, რომელიც ნაწილებისა და შენაერთების შტატში შედიოდა. საზღვრისპირა ოლქების საჯარისო არტილერია ძირითადად დაკომპლექტებული იყო საშტატო ნორმებით უზრუნველყოფილი ქვემეხებით.

უშუალოდ ომის წინადღეს ჩვენ გვქონდა სამოცი საჰაუბიცო და თოთხმეტი საზარბაზნე საარტილერიო პოლკი. მთავარსარდლობის რეზერვის არტილერიაზე მოდიოდა მთელი არტილერიის დაახლოებით რვა პროცენტი. ეს სრულიად არასაკმარისი იყო.

1941 წლის გაზაფხულზე ჩვენ დავიწყეთ 10 ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო ბრიგადის ფორმირება, მაგრამ მაინ მთლიანად დაკომპლექტება ივნისისათვის ვერ მოხერხდა. ამასთან ცუდი განვლადობის საარტილერიო საწევარი საშუალებას არ გვაძლევდა განგვეხორციელებინა მანევრირება უგზოობის პირობებში, განსაკუთრებით შემოდგომა-ზამთრის პერიოდში. და მაინც ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო ბრიგადებმა განსაკუთრებული როლი შეასრულეს მტრის ტანკების განადგურებაში. ზოგ შემთხვევაში ეს იყო ერთადერთი საიმედო საშუალება მტრის ტანკების მასობრივი იერიშების შესაჩერებლად.

მარშალი ლ. ი. კულიკი, რომელიც მთავარი მომხსენებელი იყო ი. ბ. სტალინისა არტილერიის საკითხებში, ყოველთვის სწორ ორიენტაციას როდი აძლევდა მას საარტილერიო-სანაღმტყორცნო შეიარაღების ამა თუ იმ ნიმუშის ეფექტიანობაზე.

ომის დაწყების წინ მთავარმა საარტილერიო სამმართველომ ჯეროვნად ვერ შეაფასა ისეთი ზეძლავრი რეაქტიული იარაღი, როგორიც იყო БМ-13 („კატიუშები"), რომლებმაც პირველივე ზალპებით ორშის

რაიონში უკუაქცია მტრის ნაწილები. თავდაცვის კომიტეტმა მხოლოდ ივნისში მიიღო დადგენილება მათი სერიული წარმოების შესახებ.

ჯეროვნად უნდა შეფასდეს ჩვენი მეიარაღეების ოპერატიულობა და შემოქმედებითი შრომისმოყვარეობა. მათ გააკეთეს ყველაფერი, რომ ომის დაწყებიდან 10-15 დღის შემდეგ ჯარებს მიეღოთ ამ მრისხანე იარაღის პირველი პარტიები.

თავის დროზე შეიძლებოდა უფრო მეტი გაკეთებულიყო ნაღმსატყორცნების წარმოების საქმეშიც. პროგრამა ნათელი იყო — იგი განსაზღვრა საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1940 წლის 30 იანვრის დადგენილებამ „ნაღმსატყორცნებისა და ნაღმების წარმოების გადიდების შესახებ". მაგრამ სასურველი მასშტაბებით არმიამ 82-მილიმეტრიანი და 120-მილიმეტრიანი ნაღმსატყორცნების მიღება დაიწყო მხოლოდ უშუალოდ ომის წინ. 1941 წლის ივნისში ჩვენი ნაღმსატყორცნები რაოდენობრივადაც და ხარისხობრივადაც უკვე მნიშვნელოვნად სჯობნიდა გერმანულ ნაღმსატყორცნებს.

ი. ბ. სტალინს არტილერია ომის უმნიშვნელოვანეს საშუალებად მიაჩნდა, მის სრულყოფას დიდ ყურადღებას აქცევდა. ომის დროს შეიარაღების სახალხო კომისრად იყო დ. თ. უსტინოვი, საბრძოლო მასალების მინისტრად ომამდე და ომის დროს — ბ. ლ. ვანიკოვი, საარტილერიო სისტემების მთავარ კონსტრუქტორებად — გენერლები ი. ი. ივანოვი, ვ. გ. გრაბინი. ყველა ამ ადამიანს ი. ბ. სტალინი კარგად იცნობდა, ხშირად ხვდებოდა მათ და სავსებით ენდობოდა მათს საქმიან თვისებებს.

კავშირგაბმულობის ჯარები, საინჟინრო ჯარები, რკინიგზები და გზატკეცილები. საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს კომისიამ, რომელიც მუშაობდა 1940 წლის შუახანებში, სამართლიანად მიუთითა იმაზე, რომ საინჟინრო ჯარების რაოდენობას მშვიდობიან დროს არ შეეძლო უზრუნველეყო მათი ნორმალური განვითარება ომის შემთხვევაში[1].

ომის წინ ამ ჯარების კადრის ნაწილების შტატები გაიზარდა, შეიქმნა ახალი ნაწილები, გაუმჯობესდა საინჟინრო ჯარების საერთო მომზადება, კავშირგაბმულობის ნაწილების სტრუქტურა და ანგარიშგება; შენაერთების კავშირგაბმულობის უფროსებმა უფრო მტკიცედ მოკიდეს ხელი კავშირგაბმულობის მოქმედებას ომის დროის პირობებში; ჯარებმა დაიწყეს ახალი საინჟინრო ტექნიკისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა მიღება. მაგრამ ყველა ნაკლოვანების აღმოფხვრა საინჟინრო და კავშირგაბმულობის ჯარებში ომის დაწყებამდე ვერ მოვასწარით.

---

[1] Архив МО СССР, ф. 2, оп. 75593, д. 14, л. 59.

თებერვლის დამლევს ჩვენ თავდაცვის მინისტრთან ერთად დაწვრილებით განვიხილეთ საკითხი გამაგრებული ზღუდის მშენებლობის მსვლელობის შესახებ სახელმწიფო საზღვრის გაყოლებით, რკინიგზების, გზატკეცილების. ყამირ გზებისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა მდგომარეობა.

გენერლებმა ნ. თ. ვატუტინმა, გ. კ. მალანდინმა და ა. მ. ვასილევსკიმ დაწვრილებით მოგვახსენეს საქმის ვითარება. დასკვნები ძირითადათ მდგომარეობდა შემდეგში:

გზატკეცილების ქსელი დასავლეთ ბელორუსიასა და დასავლეთ უკრაინაში ცუდ მდგომარეობაში იყო. ბევრი ხიდი ვერ უძლებდა საშუალო ტანკებისა და არტილერიის წონას, ხოლო შარაგზები კაპიტალურ რემონტს საჭიროებდა.

ჩემმა პირველმა მოადგილემ ნ. თ. ვატუტინმა დაწვრილებითი მოხსენება გაუკეთა სახალხო კომისარს ყველა საზღვრისპირა ოლქის რკინიგზების მდგომარეობის შესახებ.

— საზღვრისპირა სარკინიგზო რაიონები ნაკლებად ხელსაყრელია ჯარების მასობრივი გადაყვანისათვის, — მოახსენებდა ნ. თ. ვატუტინი. — ამას მოწმობს შემდეგი ციფრები. გერმანელთა რკინიგზებს, რომლებიც მიემართება ლიტვის საზღვრისკენ, აქვთ დღე-ღამეში 220 მატარებლის გამტარუნარიანობა, ხოლო აღმოსავლეთ პრუსიის საზღვრისაკენ მიმავალ ჩვენს ლიტვის გზას — მხოლოდ 84. უკეთესად არ არის საქმე დასავლეთ ბელორუსიისა და დასავლეთ უკრაინის ტერიტორიაზეც: აქ ჩვენ თითქმის ორჯერ ნაკლები სარკინიგზო ხაზები გვაქვს, ვიდრე მოწინააღმდეგეს. სარკინიგზო ჯარები და სამშენებლო ორგანიზაციები 1941 წლის მანძილზე აშკარად ვერ შეძლებენ შეასრულონ აუცილებელი სამუშაოები.

ამის საპასუხოდ სახალხო კომისარმა შენიშნა, რომ 1940 წელს საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დავალებით გზათა სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა დასავლეთის რკინიგზების ტექნიკური რეკონსტრუქციის შეიდწლიანი გეგმა- მაგრამ ჯერჯერობით ამ მხრივ რაიმე სერიოზული ნაბიჯი არ გადადგმულა, გარდა ლიანდაგების გადაკეთებისა და იმ ელემენტარული სამუშაოებისა, რომელთა მიზანი იყო ჯარების მასებისა და შეიარაღების დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის ვარგისი სარკინიგზო ნაგებობების შექმნა.

ჩვენ ვიცოდით, რომ დასავლეთის სამხედრო ოლქის სარდალმა დ. გ. პავლოვმა 1941 წლის 18 თებერვალს გაგზავნა შეტყობინება № 867 ი. ბ. სტალინის, ვ. მ. მოლოტოვის და ს. კ. ტიმოშენკოს სახელზე. იგი მოითხოვდა გამოეყოთ მნიშვნელოვანი სახსრები გზატკეცილებისა და ყამირ გზების მშენებლობის სამუშაოების ჩასატარებლად და, კერძოდ, წერდა:

„მიმაჩნია, რომ საომარ მოქმედებათა დასავლეთის თეატრი აუცილებლად უნდა მომზადდეს 1941 წლის განმავლობაში, ამიტომ რამდენიმე წლით მშენებლობის გაჭიანურებას სრულიად დაუშვებლად ვთვლი“.

წითელი არმიის კავშირგაბმულობის ჯარების უფროსი გენერალ-მაიორი ნ. ი. გაპიჩი მოგვახსენებდა, რომ კავშირგაბმულობის თანამედროვე საშუალებანი და კავშირგაბმულობის ქონების სამობილიზაციო და ხელშეუხებელი მარაგი არასაკმარისი იყო.

მართლაც, გენერალური შტაბის რადიოქსელი უზრუნველყოფილი იყო PAT-ის ტიპის რადიოსადგურებით მხოლოდ 39 პროცენტით, ხოლო РАФ-ის ტიპის რადიოსადგურებით და მათი შემცველი 11-АК და სხვ. 60 პროცენტით, სამუხტე აგრეგატებით—45 პროცენტით და ა. შ. საზღვრისპირა დასავლეთის სამხედრო ოლქს ჰქონდა რადიოსადგურების ნორმის მხოლოდ 27 პროცენტი, კიევის სამხედრო ოლქს — 30 პროცენტი, ბალტიისპირეთის სამხედრო ოლქს — 52 პროცენტი. დაახლოებით ასევე იყო რადიო-და სადენებიანი კავშირგაბმულობის სხვა საშუალებათა საქმე.

ომის წინ მიაჩნდათ, რომ ფრონტის, შიდა ოლქებისა და მთავარი სარდლობის რეზერვის ჯარების ხელმძღვანელობისათვის უმთავრესად გამოიყენებდნენ კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მაღალი სიხშირის სატელეფონო საშუალებებს. მთავარი სარდლობის, გენერალური შტაბისა და ფრონტების კავშირგაბმულობის კვანძები ყოველივე საჭიროს მიიღებდნენ კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის ორგანოებისაგან, რომლებიც, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, არ იყვნენ მზად საომარ პირობებში მუშაობისათვის.

კავშირგაბმულობის ადგილობრივი ორგანოების მდგომარეობას გავეცანი მანევრირებისა და სამეთაურო-საშტაბო საველე სწავლების დროს, როცა იჯარის საწყისებზე მათი სამსახურით ვსარგებლობდი. ჯერ კიდევ მაშინ ვეჭვობდით, რომ ადგილობრივ ორგანოებს უნარი შესწევდათ ომის დროს უზრუნველეყოთ შეიარაღებული ძალები მყარი კავშირგაბმულობით.

ყველა ამ გარემოებამ განაპირობა ერთი ნაკლი მეთაურთა შენაერთებისა და არმიების გაერთიანებათა შტაბების მომზადებაში: ჯარების მართვის სისუსტე ომის ვითარების რთულ და სწრაფად ცვალებად პირობებში. მეთაურები თავს არიდებდნენ რადიოკავშირის გამოყენებას, უპირატესობას ანიჭებდნენ სადენებიან კავშირს. რა მოჰყვა ამას ომის პირველ დღეებში — ცნობილია. შიდა რადიოკავშირი საბრძოლო აკიაციის ქვეგანაყოფებში, აეროდრომების ქსელში, სატანკო შენაერთებსა

და ქვეგანაყოფებში, სადაც სადენებიანი კავშირი საერთოდ არ გამოიყენება, არასაკმაოდ ზუსტად ხორციელდებოდა.

საჭირო იყო სასწრაფო ღონისძიებანი, რათა სათანადოდ მოგვეწესრიგებინა სატელეფონო ქსელი, რადიო-და რადიოსატრანსლაციო ქსელი. სულ არ იყო მიწისქვეშა საკაბელო ქსელი, რომელიც საჭიროა ოპერატიული და სტრატეგიული ინსტანციების მომსახურებისათვის.

კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატთან ამ საკითხზე ლაპარაკს არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. და ეს არა იმიტომ, რომ ვინმე ზედმეტ მუშაობას ერიდებოდა: კავშირგაბმულობის ორგანიზაციის გაუმჯობესების საჭიროება სრულიად აშკარა იყო. სახალხო კომისარიატს ფიზიკურად არ შეეძლო არმიის მოთხოვნების შესრულება. იმას, რაც გაკეთდა 1940 წლის ბოლოს — 1941 წლის დამდეგს ადგილობრივი კავშირგაბმულობისა და მოსკოვთან ცალკეული ცენტრების კავშირგაბმულობის გასაუმჯობესებლად, არ შეეძლო დასახული ამოცანის გადაჭრა.

ჩვენი ცნობა რომ მოისმინა, ს. კ. ტიმოშენკომ თქვა:

—მე გეთანხმებით მდგომარეობის შეფასებაში. მაგრამ ვფიქრობ, ძნელია გაკეთდეს რაიმე სერიოზული, რომ ახლავე აღმოვფხვრათ ყველა ეს ნაკლოვანება. გუშინ ვიყავი ი. ბ. სტალინთან. მან მიიღო დ. გ. პავლოვის დეპეშა და ბრძანება გასცა გადაგვეცა მისთვის, რომ მიუხედავად მისი მოთხოვნების სრული სამართლიანობისა, დღეს ჩვენ არა გვაქვს შესაძლებლობა დავაკმაყოფილოთ ისინი.

სამხედრო-საჰაერო ძალები. მე უკვე ვთქვი, რომ პარტია და მთავრობა საბჭოთა ავიაციის განვითარებას ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა. 1939 წელს თავდაცვის კომიტეტი იღებს დადგენილებას ცხრა ახალი თვითმფრინავსაშენებელი ქარხნისა და შვიდი ავიამოტორის ქარხნის მშენებლობის შესახებ. მომდევნო წელს კიდევ შვიდი ქარხანა, სახალხო მეურნეობის უკვე სხვა დარგებიდან, გარდაიქმნა და დაიწყო საავიაციო პროდუქციის გამოშვება. საწარმოები აღიჭურვა პირველხარისხოვანი მოწყობილობით. ავიამრეწველობა 1940 წლის ბოლოსათვის 1939 წელთან შედარებით გაიზარდა 70 პროცენტით და მეტად. პარალელურად აშენდა ახალი ავიამოტორისა და ავიაიარაღოობილობის საწარმოები იმ საწარმოთა მოედნებზე, რომლებიც სახალხო მეურნეობის სხვა დარგებიდან გადაეცა ავიამრეწველობას.

დაზუსტებული საარქივო მონაცემების მიხედვით, 1939 წლის 1 იანვრიდან 1941 წლის 22 ივნისამდე წითელმა არმიამ მრეწველობისაგან მიიღო 17745 საბრძოლო თვითმფრინავი, აქედან ახალი ტიპის 3719 თვითმფრინავი.

იწყებოდა ავიაციის განვითარების ახალი ეტაპი. პრაქტიკულად მოხდა ცენტრალური აეროდინამიკური სახელმწიფო ინსტიტუტის

სრული რეკონსტრუქცია, იქმნებოდა სამხედრო ავიაციის ახალი საკონსტრუქტორო ბიუროები. ნიჭიერი კონსტრუქტორები ს. ვ. ილუშინი, ა. ი. მიქოიანი, ს. ა. ლავოჩკინი, ვ. მ. პეტლიაკოვი, ა. ს. იაკოვლევი თავიანთ ახალგაზრდა კოლექტივებთან ერთად სამხედრო ავიაციას აძლევენ გამანადგურებლებს ЯК-1, МИГ-3, ЛАГГ-3, მოიერიშეებს ИЛ-2, მოპიკრე ბომბდამშენებს ПЕ-2 და სხვებს — სულ დაახლოებით ოც ტიპს.

1940 წლის დამლევს და 1941 წლის დამდეგს ჩაღდება ბრძოლა საუკეთესო ტიპის თვითმფრინავების დაჩქარებული სერიული ათვისებისათვის. საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი, ი. ბ. სტალინი ბევრ დროსა და ყურადღებას უთმობენ ავიაციის კონსტრუქტორებს. შეიძლება ითქვას, რომ ავიაცია ი. ბ. სტალინის ერთგვარი გატაცებაც კი იყო.

მიუხედავად ამისა, მრეწველობა მაინც ჩამორჩებოდა დროის მოთხოვნებს. რაოდენობრივი მხრით ომის წინ ავიაციაში ჭარბობდა ძველი კონსტრუქციის მანქანები. დაახლოებით მანქანების საერთო რიცხვის 75-80 პროცენტი თავიანთი საფრენოსნო-ტექნიკური მონაცემებით ჩამორჩებოდა ფაშისტური გერმანიის იმავე ტიპის თვითმფრინავებს. ახალი თვითმფრინავების მატერიალურ ნაწილებს ის-ის იყო ვითვისებდით. თანამედროვე საავიაციო ტექნიკით მოვასწარით აღგვეჭურვა საავიაციო ნაწილების მხოლოდ 21 პროცენტი.

თუმცა თვით საავიაციო შენაერთების რიცხვი მკვეთრად იზრდება —1941 წლის ივნისისათვის 1939 წელთან შედარებით საავიაციო პოლკების საერთო რაოდენობა მწყობრში მნიშვნელოვნად გადიღდა. გამანადგურებლების, მოიერიშეებისა და ბომბდამშენი ავიაციის უმაღლესი ტექნიკური შენაერთი ხდება დივიზიები, უმთავრესად შერეული, რომლებიც შედგებიან 4-5 პოლკისაგან. თვითეულ პოლკში შედიოდა ოთხი-ხუთი ესკადრილია.

სამხედრო-საჰაერო ძალების ორგანიზაციის ასეთი სისტემა საშუალებას იძლეოდა უზრუნველგვეყო ბრძოლაში სხვადასხვა გვარეობის ავიაციისა და სახმელეთო ძალებთან თვით ავიაციის საუკეთესო ურთიერთმოქმედება. ომის წინადღეს სამხედრო-საჰაერო ძალების უმნიშვნელოვანეს გვარეობათა შორის ასეთი თანაფარდობა იყო: ბომბდამშენი ავიაპოლკები —45 პროცენტი, გამანადგურებელი ავიაპოლკები — 42 პროცენტი, მოიერიშე, მზვერავი და სხვა ავიაპოლკები —13 პროცენტი[1].

1940 წლის ბოლოს თავდაცვის სახალხო კომისარმა, გენერალურმა შტაბმა სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბთან ერთად შეიმუშავეს და საკ. კპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტში შეიტანეს წინადადებები სამხედრო-

---

[1] Архив МО СССР, ф. 35, оп. 107559. ф. 13, л. 160.

საჰაერო ძალების რეორგანიზაციისა და ხელახალი შეიარაღების შესახებ. ჩვენი წინადადებები სწრაფად განიხილეს და დაამტკიცეს.

დადგენილება „წითელი არმიის საავიაციო ძალების რეორგანიზაციის შესახებ" ითვალისწინებდა ახალი ნაწილების (106 ავიაპოლკის) შექმნას, სამხედრო-საჰაერო ძალების სამხედრო-სასწავლო დაწესებულებათა გაფართოებასა და განმტკიცებას, საბრძოლო შენაერთების შეიარაღებას თვითმფრინავთა ახალი ნიმუშებით. 1941 წლის მაისის ბოლოსათვის მოვახერხეთ ჩამოგვეყალიბებინა და თითქმის მთლიანად დაგვეკომპლექტებინა 19 პოლკი.

მალე გადაიდგა კიდევ ერთი ნაბიჯი სამხედრო-საჰაერო ძალების განმტკიცების გზაზე — 1941 წლის 10 აპრილს საკ.კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღეს დადგენილება სამხედრო-საჰაერო ძალების ზურგის სისტემის რეორგანიზაციის შესახებ. გადაწყდა სამხედრო-საჰაერო ძალების ზურგის ფორმირება ტერიტორიული პრინციპის მიხედვით — სამხედრო-საჰაერო ძალების სამწყობრო ნაწილებსა და შენაერთებში უქმდებოდა ზურგის ორგანოები და დაწესებულებანი, იქმნებოდა საავიაციო ბაზირების რაიონები და აეროდრომის მომსახურების ბატალიონები.

საავიაციო ბაზირების რაიონები გარდაიქმნა არმიების, ოლქის, ფრონტის სამხედრო-საჰაერო ძალთა ზურგის ორგანოებად. რაიონის შემადგენლობაში უნდა ყოფილიყო თითო საავიაციო ბაზა თითო დივიზიისათვის. ბაზები აერთიანებდნენ საეროდრომო მომსახურების ბატალიონებს — თითო ბატალიონი თითო საავიაციო პოლკზე. სადაზვერვო და საჯარისო ავიაცია რჩებოდა თავისი სამტატო ზურგით. სამხედრო-საჰაერო ძალების ზურგის გადასვლა ახალ, უფრო მოქნილ ორგანიზაციაზე უნდა განხორციელებულიყო 1941 წლის ივლისში, ხოლო პრაქტიკულად კი ყოველივე ამის გაკეთება ომის მსვლელობაში მოგვიხდა.

შესაძლებელი საბრძოლო ოპერაციების ხასიათის საფუძველზე ჩვენთვის აშკარა იყო, რომ მნიშვნელოვნად უნდა გაგვეზარდა საჰაერო-სადესანტო ჯარები. 1941 წლის აპრილში იწყება ხუთი საჰაერო-სადესანტო კორპუსის ფორმირება. 1 ივნისისათვის მოხერხდა მათი დაკომპლექტება პირადი შემადგენლობით, მაგრამ საბრძოლო ტექნიკა არ გვყოფნიდა. ამიტომ ომის დასაწყისში ავიასადესანტო ჯარების ამოცანების შესრულება შეეძლოთ მხოლოდ ძველ ავიასადესანტო ბრიგადებს, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ ახალ კორპუსებში, ხოლო ახალი შენაერთების პირადი შემადგენლობის უმეტესობა გამოყენებული იყო მსროლელ ჯარებად.

1941 წლის თებერვალში საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცეს აეროდრომების მშენებლობის დამატებითი გეგმა. გათვალისწინებული იყო 190 ახალი აეროდრომის შექმნა დასავლეთ რაიონებში. ომის დაწყების წინ გაიშალა სააეროდრომო სამუშაოები, მაგრამ მათი დიდი უმრავლესობა არ იყო დამთავრებული.

მთლიანად ომმა ჩვენს სამხედრო-საჰაერო ძალებს ფართო რეორგანიზაციის, ახალ მატერიალურ ნაწილზე გადასვლისა და მფრინავ-ტექნიკური შემადგენლობის გადამზადების სტადიაში მოუსწრო. ნამდვილად რთულ პირობებში ფრენისათვის მომზადება მხოლოდ ცალკეულმა შენაერთებმა მოასწრეს, ხოლო ღამის პირობებში ფრენისათვის კი —მფრინავთა შემადგენლობის არა უმეტეს 15 პროცენტმა. სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობამ დიდი ყურადღება მიაქცია მფრინავი შემადგენლობის გადამზადების ახალი მატერიალური ნაწილის საფუძველზე, მაგრამ რამდენადმე მოადუნა ყურადღება, რომ შეენარჩუნებინა საბრძოლო მზადყოფნა ძველი მატერიალური ნაწილის საფუძველზე

სულ რაღაც წელიწად-წელიწადნახევრის შემდეგ ჩვენი ავიაცია წარმოგვიდგა სრულიად ახალი, მძლავრი საბრძოლო სახით.

საჰაერო თავდაცვის ჯარები. სსრ კავშირზე საჰაერო თავდასხმის საფრთხე ომამდელ წლებში საგრძნობლად ძლიერდებოდა. ამიტომ საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გაზარდა მოთხოვნები ჩვენი ქვეყნის საჰაერო თავდაცვისათვის, დასახა კონკრეტული ღონისძიებანი, რომ მნიშვნელოვნად გაძლიერებულიყო საჰაერო თავდაცვა. უწინარეს ყოვლისა განხორციელდა დიდმნიშვნელოვანი ორგანიზაციული გარდაქმნები, რადგან 1932 წელს მიღებული საჰაერო თავდაცვის სისტემა სერიოზულად მოძველდა.

ჩვენი ქვეყნის ტერიტორია დაიყო საჰაერო თავდაცვის ზონებად, რომლებიც შეესაბამებოდა ყველა მაშინდელ სამხედრო ოლქის საზღვრებს ჩრდილოეთის, ჩრდილო-დასავლეთის, დასავლეთის, კიევის, სამხრეთის, ჩრდილო-კავკასიის, ამიერკავკასიის, შუა აზიის, იმიერბაიკალის, შორეული აღმოსავლეთის, მოსკოვის, ორიოლის, ხარკოვის ზონებად. საჰაერო თავდაცვის ზონები იყოფოდა საჰაერო თავდაცვის რაიონებად, რომლებიც შედგებოდა საჰაერო თავდაცვის პუნქტებისაგან. საჰაერო თავდაცვის ზონის შემადგენლობაში შედიოდნენ ის შენაერთები და ნაწილები, რომლებიც გათვალისწინებული იყო ზონის ტერიტორიაზე არსებული ქალაქებისა და ობიექტების დასაცავად.

ამაღლდა ოლქების ჯარების სარდლების პასუხისმგებლობა საჰაერო თავდაცვაზე.

ამასთან, საჰაერო თავდაცვის ამოცანათა გადასაწყვეტად ოლქის სამხედრო-საჰაერო ძალების შემადგენლობიდან გამოყოფილი ავიაცია ოლქის სამხედრო-საჰაერო ძალების დაქვემდებარებაში რჩებოდა. ცხა-

დია, უკეთესი იქნებოდა, რომ უზრუნველგვეყო ხელმძღვანელობის ერთიანობა და მოგვეხდინა საჰაერო თავდაცვის მართვის ცენტრალიზაცია მთელი ჩვენი ქვეყნის მასშტაბით. ეს გაკეთდა უკვე 1941 წლის ნოემბერში.

როგორ და რით იყო შეიარაღებული საჰაერო თავდაცვის ძალები? 1941 წლის ივნისისათვის ისინი უზრუნველყოფილ იქნენ საშუალო კალიბრის ქვემეხებით დაახლოებით 85 პროცენტით, მცირე კალიბრის ქვემეხებით —70 პროცენტით. დაუკომპლექტებლობა გამანადგურებლების მხრივ შეადგენდა 40 პროცენტს (ომის წინ საჰაერო თავდაცვის მიზნებისათვის გამოყოფილ იქნა 39 ავიაპოლკი, თუმცა ისინი ისევ ოლქების სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლებს ექვემდებარებოდნენ და შემდეგ სხვა საბრძოლო მიზნებისათვის გამოიყენეს), დაკომპლექტება საზენიტო ტყვიამფრქვევების მხრივ —70 პროცენტს, გადამღობი აეროსტატებისა და პროჟექტორების მხრივ — ნახევრად.

დასავლეთი საზღვრისპირა რაიონების, აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის საჰაერო თავდაცვის ნაწილები და შენაერთები უკეთესად იყვნენ შეიარაღებულნი. დასავლეთი ოლქები იღებდნენ უფრო მეტი რაოდენობის ახალ მატერიალურ ნაწილს, ვიდრე სხვა ოლქები. ისინი საზენიტო ქვემეხებით აღჭურვილნი იყვნენ 90-95 პროცენტით, ჰქონდათ ჰაერში მტრის აღმოჩენისა და თვალყურის დევნების ახალი საშუალებანი. მოსკოვის, ლენინგრადისა და ბაქოს დამცველ ჯარებს თავიანთ შემადგენლობაში ჰქონდათ საშუალო კალიბრის მთელი საზენიტო საარტილერიო ბატარეიების 40 პროცენტი. ლენინგრადისა და მოსკოვის საჰაერო თავდაცვის ზონებში დისლოცირებული იყო 30-მდე რადიოსალოკაციო სადგური.

ჩვენი მოხსენების მიხედვით საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღეს გადაწყვეტილება ჩამოყალიბებულიყო გამანადგურებელი კორპუსები დედაქალაქისა და ლენინგრადის საჰაერო თავდაცვის გასაძლიერებლად. როგორც ცნობილია, ამ კორპუსებმა განსაკუთრებული როლი შეასრულეს მოსკოვსა და ლენინის ქალაქზე ფაშისტთა ავიაციის თავდასხმების მოგერიებაში.

ომის დაწყების მომენტისათვის საჰაერო თავდაცვის მოქმედების ახალი სისტემა ბოლომდე არ იყო შემუშავებული, უახლესი ტექნიკით აღჭურვა მხოლოდ იწყებოდა, ზუსტად არ იყო განსაზღვრული „საფრთხის ზონის" საზღვრები (მოწინააღმდეგის ბომბდამშენი ავიაციის შემოღწევის საზღვრები). ცუდად იყო ტრანსპორტის საქმე.

სამხედრო-საზღვაო ფლოტი. გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობა რომ მივიღე, დროის სიმცირისა და აუცილებელი საქმეების გამო, რომლებიც უშუალოდ წითელ არმიას ეხებოდა, ვერ შევძელი საფუძვლიანად გავცნობოდი ფლოტის მდგომარეობას. მაგრამ ვიცოდი,

რომ სამხედრო-საზღვაო ფლოტის პირადი შემადგენლობა კარგად არის მომზადებული, ფლოტების, ფლოტილიების სარდლები და მათი შტაბები მზად არიან საბრძოლო ოპერაციებისათვის. სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარ შტაბს მაშინ მეთაურობდა ნიჭიერი, ინიციატივიანი და მტკიცე ნებისყოფის მქონე ადმირალი ი. ს. ისაკოვი.

სამხედრო-საზღვაო ფლოტის აღჭურვის ტემპები იზრდებოდა. მარტო 1940 წლის 11 თვის მანძილზე წყალში ჩაუშვეს 100 ნაღმოსანი, წყალქვეშა ნავი, ტრალიერი, სატორპედო კატერი, რომლებიც გამოირჩეოდნენ მაღალი საბრძოლო თვისებებით. დაახლოებით 270 ყველა კლასის ხომალდი შენდებოდა 1940 წლის ბოლოს. იქმნებოდა ახალი სამხედრო-საზღვაო ბაზები. ბალტიის, ჩრდილოეთის ზღვასა და შავ ზღვაში ხდებოდა დამატებითი რაიონების ათვისება. ყველა ფლოტის ესკადრები მნიშვნელოვნად მტკიცდება ახალი ხომალდებით, ყალიბდება საესკადრო ნაღმოსნების, სატორპედო კატერების ახალი შენაერთები. ომის წინ სამხედრო-საზღვაო ფლოტს ჰქონდა კარგად მომზადებული წყალქვეშა და მსუბუქი წყალზევითა ძალები, რომლებსაც შეეძლოთ წარმატებით გადეეჭრათ საბრძოლო ამოცანები.

სულ ომის წინ ფლოტის მწყობრში იყო დაახლოებით 600 საბრძოლო ხომალდი, მათ შორის 3 სახაზო ხომალდი, 7 კრეისერი, 49 საესკადრო ნაღმოსანი, 211 წყალქვეშა ნავი, 279 სატორპედო კატერი, სანაპირო დაცვის 1000-ზე მეტი ქვემეხი, 2500-ზე მეტი თვითმფრინავი.

თანამედროვე ფლოტი ძვირი ჯდება. განსაკუთრებით დიდი მასის მქონე ხომალდები, რომლებიც ამასთანავე კარგი სამიზნეა ჰაერიდან თავდასხმისათვის და ტორპედირებისათვის. 1939 წელს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული თავდაცვის კომიტეტი იღებს სწორ გადაწყვეტილებას — შეამციროს, შემდეგ კი სრულიად შეწყვიტოს სახაზო გემებისა და მძიმე კრეისერების მშენებლობა, რომელთა შექმნა მოითხოვდა კოლოსალურ ხარჯებს, ლითონის დიდ დანახარჯებს და საინჟინრო ტექნიკური შემადგენლობის და გემთსაშენებელი მრეწველობის მუშათა მნიშვნელოვანი რაოდენობის დაბანდებას.

მეორე მხრივ, ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა სანაპირო და საჰაერო თავდაცვას, სანაღმო-სატორპედო შეიარაღებას. სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატის სერიოზული შეცდომა იყო შეუფასებლობა ჩრდილოეთის ფლოტისა, რომელსაც უდიდესი როლის შესრულება მოელოდა ომში.

მთლიანად კი ომის წინ საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტი კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა და ღირსეულად შეხვდა მოწინააღმდეგეს.

თავის საინტერესო წიგნში „წინადღეს“ ადმირალი ნ. გ. კუზნეცოვი გენერალური შტაბის უფროსად ჩემს დანიშვნასთან დაკავშირებით წერს: „ჯერ ვფიქრობდი, გ. კ. ჟუკოვთან მხოლოდ მე ვერ დავამყარე

რიგიანი ურთიერთობა და რომ მასთან საერთო ენას გამონახავდა მისი კოლეგა, მთავარი საზღვაო შტაბის უფროსი ი. ს. ისაკოვი. მაგრამ ისაკოვსაც არაფერი გამოუვიდა".

მე ახლა აღარ მახსოვს ამ ამხანაგებს „არაფერი გამოუვიდათ" ჩემთან, თუ მე „ვერაფერს გავხდი" მათთან", — ამას სრულიად არავითარი მნიშვნელობა არ აქვს.[1] მაგრამ ისტორიული უტყუარობის მიზნით უნდა ვთქვა, რომ საერთოდ ფლოტის საკითხების განხილვაზე ი. ბ. სტალინთან არ იწვევდნენ არც თავდაცვის მინისტრს ს. კ. ტიმოშენკოს, არც გენერალური შტაბის უფროსს.

იმაზე, თუ რამდენად იყო დიდი პარტიისა და მთავრობის მიერ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის განმტკიცებისათვის განხორციელებული ღონისძიებანი 1939-1941 წლებში, მეტყველებს ჩვენი შეიარაღებული ძალების რიცხობრივი ზრდაც. ამ ხნის მანძილზე ისინი გაიზარდნენ 2,8-ჯერ, ჩამოყალიბდა 125 ახალი დივიზია და 1941 წლის პირველი იანვრისათვის სახმელეთო ჯარებში, სამხედრო ავიაციაში, ფლოტში, სამხედრო-საჰაერო თავდაცვის ჯარებში 4200 ათასი კაცი ითვლებოდა.

ამ წიგნის ერთ-ერთ პირველ თავში მე რამდენიმე სიტყვით შევეხე საყოველთაო სამხედრო სწავლების როლს. სამოქალაქო მოსახლეობის, და უპირველეს ყოვლისა, ახალგაზრდობის მომზადების ტრადიცია თავისი სამშობლოს დასაცავად არმიაში გაწვევამდე ხალხში ფართო პოპულარობით სარგებლობდა. ახლა მასობრივ თავდაცვითს მუშაობას ეწეოდა საჰაერო ქიმიური თავდაცვა. 1941 წლის პირველი იანვრისათვის საჰაერო ქიმიური თავდაცვის რიგებში იყო 13 მილიონზე მეტი ადამიანი, ყოველდღიურად საფრენოსნო საქმის ათასობით ენთუზიასტი, პარაშუტისტი, მსროლელი, ავიამექანიკოსი იღებდა სპეციალობას სამასზე მეტ აეროდა ავტომოტო კლუბში, ავიასკოლაში, საპლანერო კლუბებში. მერე როგორ გამოადგათ ეს ჩვენები სახალხო მოხალისეებსა და პარტიზანებს!

რაც შეეხება ყველა ხარისხის მეთაურთა პროფესიონალურ სწავლებას, ისინი ასიათასობით გადიოდნენ კარგ სკოლას წითელი არმიისა და სამხედრო-საჰაერო ფლოტის ორასზე მეტ სამხედრო სასწავლებელში, ცხრამეტ აკადემიაში, სამოქალაქო უმაღლესი სასწავლებლების ათ სამხედრო ფაკულტეტზე, შვიდ უმაღლეს სამხედრო-საზღვაო სასწავლე-

---

[1] ბევრ მემუარულ მასალაში, წიგნში, სტატიაში მოცემულია დიდ სამამულო ომში ჩემი მოღვაწეობის სხვადასხვაგვარი შეფასება. კეთილი სიტყვისათვის ავტორებს გულწრფელ მადლობას მოვახსენებ. ჩემს ნაკლოვანებებსა და შეცდომებზე, რომლებიც მე, ისევე როგორც ყველა ადამიანს, ჰქონდა, ელაპარაკობ ამ წიგნში. რაც შეეხება კრიტიკულ გამონათქვამებს, განსაკუთრებით ზოგადი, ემოციური ხასიათისას, გადაწყვიტე არ შეეკამათო, თუ საქმე არ ეხება დიდ საკითხებს, რომელთა მცდარმა განმარტებამ შეიძლება ზიანი მოუტანოს ჭეშმარიტებას.

ბელში. მთავარი სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილებისა და თავდაცვის სახალხო კომისრის № 120 ბრძანების თანახმად გაუმჯობესდა სწავლების სისტემა უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში.

დავდიოდი რა გენერალური შტაბის აკადემიაში, რომელიც ჩვენს გამგებლობაში იმყოფებოდა, მე ნამდვილად შემეძლო დავრწმუნებულიყავი, რომ ომის წინ სამხედრო კათედრებზე, ლიტერატურაში, სასწავლო გეგმებსა და მათს დამუშავებაში მსმენელებს ასწავლიდნენ თანამედროვე სამხედრო თეორიას და მნიშვნელოვნად ითვალისწინებდნენ უკვე დაწყებული მეორე მსოფლიო ომის გამოცდილებას.

მოსწავლეებს უნერგავდნენ აზრს იმის შესახებ, რომ თანამედროვე ეპოქაში ომებს არ აცხადებენ, რომ აგრესორი ესწრაფვის მის მხარეზე იყოს უეცარი თავდასხმის ყველა უპირატესობა. ჯეროვნად მიაჩნდათ, რომ თავდაპირველად ოპერაციებში ჩაებმებიან მოწინააღმდეგეთა მთავარი მოპირდაპირე ძალები. აქედან გამომდინარე ყველა სტრატეგიული და ოპერატიული თავისებურებით. ხაზგასმით აღნიშნავდნენ შეიარაღებული ბრძოლის შეურიგებლობას, გააფთრებულობას, მისი ხანგრძლივი ხასიათის შესაძლებლობას და მთელი ხალხის ძალ-ღონის მობილიზაციის, ბრძოლაში ფრონტისა და ზურგის ერთიანობის აუცილებლობას.

სამხედრო სტრატეგია ძირითადად ემყარებოდა იმ სწორ დებულებას, რომ მხოლოდ შეტევითი მოქმედებით შეიძლება საბოლოო მტერი. ამავე დროს ბრძოლის სხვა ვარიანტები — შემხვედრი ბრძოლა, იძულებითი უკანდახევითი მოქმედება, ბრძოლა ალყის პირობებში (თუ ავიღებთ, რა თქმა უნდა, არა ერთეულ შრომებს, არამედ სამხედრო დისციპლინათა სწავლების მიმართულებას) — ნაკლებ საფუძვლიანად განიხილებოდა.

თავდაცვის სახალხო კომისარიატის აპარატში ხელახლა რომ დავიწყე მუშაობა, ძველი ამბავი გამახსენდა და დავინტერესდი, როგორ მიდიოდა წესდებებისა და დარიგებათა მომზადების საქმე, რომლებშიც ასახული იყო მოწინავე შეხედულებანი ბრძოლის წარმოების ხასიათსა და ხერხებზე. წითელი არმიის საბრძოლო მომზადების სამმართველომ და აგრეთვე შეიარაღებულ ძალთა სხვა გვარეობათა და სახეობათა ჯარების ცენტრალურმა სამმართველოებმა უკანასკნელი ორი წლის მანძილზე გამოსცეს და დაარიგეს ათობით სრულფასოვანი წესდებები და დარიგებანი. მაგრამ ჯარებში ყველა მათგანი ჯერ კიდევ როდი იყო დანერგილი, ბევრ მათგანს კვლავ დროებითი ხასიათი ჰქონდა.

მთლიანად იმ წლების სამხედრო თეორია, გადმოცემული შრომებში, ლექციებში და განმტკიცებული წესდებებით, ძირითადად, როგორც ამბობენ, დროის დონეზე იდგა. მაგრამ პრაქტიკა ასე თუ ისე ჩამორჩებოდა თეორიას...

ოპერატიულ-სტრატეგიული საკითხების გარჩევისას იმ დასკვნამდე მივედი, რომ ისეთი გიგანტური ქვეყნის დაცვაში, როგორიც ჩვენი სამშობლოა, ადგილი ჰქონდა მთელ რიგ არსებითს ნაკლოვანებებს. ამავე აზრისანი იყვნენ გენერალური შტაბის ძირითადი ხელმძღვანელი მუშაკებიც. რომლებმაც მითხრეს, რომ ამ თანამდებობაზე ჩემი წინამორბედნიც ასეთსავე შეხედულებას იზიარებდნენ.

გერმანელთა ჯარების დიდი რაოდენობით თავმოყრამ აღმოსავლეთ პრუსიაში, პოლონეთსა და ბალკანეთში ჩვენ განსაკუთრებით შეგვაშფოთა. ამავე დროს გვაშინებდა არასაკმარისი საბრძოლო მომზადება ჩვენი შეიარაღებული ძალებისა, რომლებიც დასავლეთის სამხედრო ოლქებში იყვნენ განლაგებულნი.

როცა ყოველმხრივ ავწონ-დავწონე ეს საკითხები, ნ. თ. ვატუტინთან ერთად თავდაცვის სახალხო კომისარს მოვახსენე ჩვენი ჯარების ორგანიზაციისა და საბრძოლო მომზადების ნაკლოვანებათა შესახებ, სამობილიზაციო მარაგის შესახებ, განსაკუთრებით ჭურვებისა და საავიაციო ბომბების მხრივ. ამას გარდა, აღნიშნულ იქნა, რომ მრეწველობა ვერ ასწრებდა საბრძოლო ტექნიკაზე ჩვენი შეკვეთების შესრულებას.

— ყოველივე ეს კარგადაა ცნობილი ხელმძღვანელობისათვის. ვფიქრობ, ამჟამად ჩვენს ქვეყანას არ შეუძლია მოგვცეს რაიმე მეტი,— კვლავ გაიმეორა ს. კ. ტიმოშენკომ.

ერთხელ მან გამომიძახა და მითხრა:

— გუშინ ი. ბ. სტალინთან ვიყავი რეაქტიული ნაღმსატყორცნების საკითხებზე. ი. ბ. სტალინი დაინტერესდა, ჩაიბარა თუ არა საქმეები კ. ა. მერეცკოვისაგან და როგორ გრძნობს თავს ახალ სამუშაოზეო. მიბრძანა, გამოცხადდე მასთან მოხსენებით.

— რა მოვამზადო? — ვკითხე.

— ყველაფერი, — მიპასუხა სახალხო კომისარმა. — მაგრამ მხედველობაში იქონიე, რომ შენს ვრცელ მოხსენებებს იგი არ მოისმენს. რასაც მე რამდენიმე საათის განმავლობაში მიყეები, მას ათ წუთში უნდა მოახსენო.

— კი მაგრამ, ათ წუთში რა უნდა მოვახსენო? საკითხები დიდია და სერიოზულ მიდგომას მოითხოვენ. ხომ უნდა გავიგოთ მათი მნიშვნელობა და მივიღოთ საჭირო სახელმწიფოებრივი ღონისძიებანი.

—რასაც შენ ფიქრობ უთხრა, მან ძირითადად უკვე იცის. — თქვა თავდაცვის სახალხო კომისარმა, — ასე რომ, ეცადე, საკვანძო პრობლემებზე მაინც შეჩერდე.

ჩამოვწერე საკითხები, რომლებზეც უნდა მელაპარაკა და შაბათ საღამოს გავემგზავრე ი. ბ. სტალინთან აგარაკზე. იქ უკვე იყვნენ მარშალი ს. კ. ტიმოშენკო და მარშალი გ. ი. კულიკი. ესწრებოდა პოლიტბიუროს რამდენიმე წევრი.

ერთმანეთს რომ მივესალმეთ, ი. ბ. სტალინმა მკითხა, იცნობთ თუ არა რეაქტიულ ნაღმსატყორცნებსო („კატიუშა").

— მხოლოდ გამიგია, ისე კი არ მინახავს, — ვუპასუხე.

—აი, მაშინ ტიმოშენკოსთან, კულიკთან და აბორენკოვთან ერთად უახლოეს დღეებში უნდა გაემგზავროთ პოლიგონზე და ნახოთ, როგორ ისვრიან ისინი. ახლა კი გვიამბეთ გენერალური შტაბის საქმეებზე.

მე მოკლედ გავიმეორე ის, რაც უკვე მოვახსენე სახალხო კომისარს და ვთქვი, რომ სამხედრო-პოლიტიკური ვითარების სირთულის გამო საჭიროა მივიღოთ სასწრაფო ზომები, რათა დროულად აღმოვფხვრათ არსებული ნაკლოვანებები, რომლებიც არსებობს დასავლეთის საზღვრების დაცვასა და შეიარაღებულ ძალებში.

ვ. მ. მოლოტოვმა სიტყვა გამაწყვეტინა:

— თქვენ რა, ფიქრობთ, რომ მოგვიწევს გერმანელებთან ბრძოლა?

— მოითმინეთ... — შეაჩერა იგი ი. ბ. სტალინმა.

მოხსენება რომ მოისმინა, ი. ბ. სტალინმა ყველანი სადილზე მიგვიწვია. შეწყვეტილი საუბარი განვაგრძეთ. ი. ბ. სტალინმა მკითხა, როგორ ვაფასებდი გერმანელთა ავიაციას. მე ვუთხარი, რასაც ვფიქრობდი:

— გერმანელების ავიაცია ცუდი როდია, მათს საზაფხულო შემადგენლობას სახმელეთო ჯარებთან ურთიერთმოქმედების კარგი საბრძოლო პრაქტიკა აქვს. რაც შეეხება მატერიალურ ნაწილს, ჩვენი ახალი გამანადგურებლები და ბომბდამშენები გერმანელებისას არ ჩამოუვარდებიან, პირიქით, სჯობიან კიდეც. ოღონდ სამწუხაროა, რომ ძალზე ცოტაა.

— განსაკუთრებით ცოტაა გამანადგურებელი ავიაცია, — დაუმატა ს. კ. ტიმოშენკომ.

ვიღაცამ რეპლიკა ესროლა:

— სიმონ კონსტანტინეს ძე უფრო მეტს თავდაცვითს ავიაციაზე ფიქრობს.

სახალხო კომისარს არაფერი უთქვამს. მგონი, მას ყველაფერი არ გაუგონია, რადგან ცოტა ყურს აკლდა.

სადილი მეტად უბრალო იყო. პირველი თავი—მსუყე უკრაინული ბორშჩი, მეორე — კარგად მომზადებული უგრეხელის ფაფა და ბლომად მოხარშული ხორცი, მესამე — კომპოტი და ხილი. ი. ბ. სტალინი კარგ გუნებაზე იყო, ბევრს ხუმრობდა, სვამდა მსუბუქ ქართულ ღვინოს „ხვანჭკარას" და სხვებსაც უმასპინძლდებოდა, მაგრამ იქ მყოფნი მაინც კონიაკს ამჯობინებდნენ.

ბოლოს ი. ბ. სტალინმა თქვა, რომ უნდა მოვიფიქროთ, — დამატებით დავამუშაოთ პირველი რიგის საკითხები და შევიტანოთ ისინი მთავრობაში გადასაწყვეტად. მაგრამ, ამასთან საჭიროა გამოვდიოდეთ

ჩვენი რეალური შესაძლებლობებიდან, ფანტაზიორობას ნუ დავიწყებთ იმაზე, რომ ჯერჯერობით არ შეგვიძლია მატერიალური უზრუნველყოფა.

გენერალურ შტაბში გვიან ღამით დავბრუნდი, მე ყველაფერი ჩავიწერე, რაც ი. ბ. სტალინმა თქვა და შევარჩიე საკითხები, რომლებიც პირველ რიგში უნდა გადაწყვეტილიყო. ეს წინადადებანი შეტანილ იქნა მთავრობაში.

1941 წლის 15-20 თებერვალს გაიმართა საკ. კპ (ბ) XVIII სრულიად საკავშირო კონფერენცია, რომელსაც მეც დავესწარი. კონფერენციამ პარტიული ორგანიზაციების სერიოზული ყურადღება მიაპყრო მრეწველობისა და ტრანსპორტის, განსაკუთრებით თავდაცვის საწარმოთა საჭიროებებს. მოთხოვნები იზრდებოდა. კონფერენციის რეზოლუციებში აღნიშნული იყო, რომ საავიაციო, ქიმიური მრეწველობის, საბრძოლო მასალების, ელექტრომრეწველობისა და სახალხო მეურნეობის თავდაცვითი მნიშვნელობის მქონე მთელი რიგი სხვა დარგების სახალხო კომისარიატებმა უნდა გამოიტანონ დასკვნები კონფერენციაზე გამოთქმული კრიტიკიდან, მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ თავიანთი მუშაობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მოხსნილი იქნებოდნენ დაკავებული პოსტებიდან.

1941 წლის უკანასკნელი მშვიდობიანი სახალხო-სამეურნეო გეგმა, რომელიც კონფერენციამ მიიღო, ითვალისწინებდა თავდაცვითი მრეწველობის მნიშვნელოვან ზრდას.

კონფერენციაზე საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატებად და ცენტრალური სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში მრავალი სამხედრო პირი იქნა არჩეული: ი. ვ. ტიულენევი, მ. პ. კირპონოსი, ი. ს. იუმაშევი, ვ. თ. ტრიბუცი, თ. ს. ოქტიაბრსკი და სხვა ამხანაგები. დიდი ნდობა გამომიცხადეს მეც — ამირჩიეს საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად.

უშუალოდ ომის დაწყებამდე ჩვენს გენერალურ შტაბში მუშაობდა საქმის მცოდნე, გამოცდილი გენერლებისა და ოფიცრების მეგობრული და ერთსულოვანი კოლექტივი. დაეასახელებ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს.

გენერალური შტაბის უფროსის პირველი მოადგილე იყო ჩვენს ქვეყანაში კარგად ცნობილი გენერალ-ლეიტენანტი ნ. თ. ვატუტინი, რომელიც გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი შრომისმოყვარეობით და ფართო სტრატეგიული აზროვნებით. გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე ორგანიზაციულ საკითხებში იყო გენერალ-ლეიტენანტი ვ. დ. სოკოლოვსკი, რომელიც მოსკოვის სამხედრო ოლქის შტაბის თანამდებობიდან ამ პოსტზე დაინიშნა 1941 წლის გაზაფხულის დამდეგს. ომის წლებში ვასილ დანიელის ძემ დიდი მხედართუფროსის შე-

სანიშნავი ნიჭი და უნარი გამოავლინა. ოპერატიულ სამმართველოს ხელმძღვანელობდა გენერალ-მაიორი გ. კ. მალანდინი, მეტად განათლებული და ნიჭიერი ოპერატორი. იქვე მუშაობდა გენერალ-მაიორი ა. მ. ვასილევსკი.

ომის დროს ა. მ. ვასილევსკიმ თავი გამოიჩინა, როგორც ჩვენი შეიარაღებული ძალების შესანიშნავმა სარდალმა. მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა მთელი რიგი უდიდესი, ბრწყინვალე ოპერაციები. გენერალურ შტაბში ომის წინ — ა. მ. ვასილევსკი ჩრდილო-დასავლეთისა და დასავლეთის მიმართულების ოპერატიულ გეგმებზე მუშაობდა.

დასახელებულ სამხედრო პირთა გარდა, გენერალურ შტაბში იყვნენ სხვა მთელი რიგი ნიჭიერი და ენერგიული მხედართუფროსები, რომლებიც თავიანთი შემოქმედებითი შრომით ხელს უწყობდნენ გენერალური შტაბის მთელი კოლექტივის მაღალ შრომისუნარიანობას

გენერალური შტაბი ასრულებდა უდიდეს ოპერატიულ, საორგანიზაციო და სამობილიზაციო სამუშაოს. იგი იყო თავდაცვის სახელმწიფო კომისარიატის ძირითადი აპარატი. ომის შემთხვევაში ის უნდა გამხდარიყო მთავარსარდლობის ბანაკის აპარატი.

თუმცა თვით გენერალური შტაბის მუშაობაში ადგილი ჰქონდა ნაკლოვანებებს. ასე, მაგალითად, 1941 წლის გაზაფხულზე საქმეთა მდგომარეობის შესწავლისას გამოირკვა, რომ გენერალურ შტაბს, ისევე როგორც თავდაცვის სახალხო კომისარიატსა და სხვადასხვა გვარეობისა და სახეობის ჯარების სარდლებს ომის შემთხვევისათვის არ ჰქონდათ მომზადებული საკომანდო პუნქტები, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა განეხორციელებინათ შეიარაღებულ ძალთა მართვა, სწრაფად გადაეცათ ჯარისკაცებისათვის მთავარბანაკის დირექტივები, მიეღოთ და დაემუშავებინათ ჯარების პატაკი.

ომის წინა წლებში საკომანდო პუნქტების მშენებლობა მხედველობიდან გამორჩათ. ხოლო როცა ომი დაიწყო, მთავარსარდლობას, გენერალურ შტაბს, ჯარის სახეობათა ყველა შტაბსა და ცენტრალურ სამმართველოებს მოუხდათ განეხორციელებინათ ხელმძღვანელობა მშვიდობისდროინდელი თავიანთი კაბინეტებიდან, რაც სერიოზულად ართულებდა მათ მუშაობას.

ომის დასაწყისისაკენ არ იყო გადაწყვეტილი მთავარბანაკის ორგანოებისა და მთავარსარდლობის საკითხები: მათი სტრუქტურის, წინასწარ პერსონალური დანიშვნის, განლაგების, უზრუნველყოფის აპარატისა და მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა შესახებ.

ომამდე ხუთი წლის განმავლობაში შეიცვალა გენერალური შტაბის ოთხი უფროსი. ასეთი ხშირი შეცვლა არ იძლეოდა შესაძლებლობას,

მთელი სისრულით აგვეთვისებინა ჩვენი ქვეყნის თავდაცვა და გულდასმით მოგვეფიქრებინა მომავალი ომის ყველა ასპექტი.

რა ძირითადი საკითხები მზადდებოდა იმ თვეების მანძილზე გენერალურ შტაბში?

ახლა სამხედრო მემუარების ზოგიერთი ავტორი ამტკიცებს, რომ ომის წინ ჩვენ არ გვქონდა შეიარაღებულ ძალთა სამობილიზაციო გეგმა და სტრატეგიული გაშლის გეგმები.

სინამდვილეში შეიარაღებულ ძალთა ოპერატიული და სამობილიზაციო გეგმები გენერალურ შტაბს, რა თქმა უნდა, ჰქონდა. მათი შემუშავება და კორექტირება არასოდეს არ შეწყვეტილა. ხელახალი გადამუშავების შემდეგ ამ გეგმებს მაშინვე მოვახსენებდით ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობას და როგორც კი დამტკიცდებოდა, უმალვე ეცნობებოდა სამხედრო ოლქებს. ომის წინ ოპერატიულ და სამობილიზაციო გეგმებზე ბევრს მუშაობდა ოპერატიული სამმართველო — გენერლები გ. კ. მალანდინი, ა. მ. ვასილევსკი, ა. თ. ანისოვი და სხვები. გენერალურ შტაბში ჩემს მისვლამდე გეგმების შემუშავების საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებდნენ საბჭოთა კავშირის მარშალი ბ. მ. შაპოშნიკოვი, მერე არმიის გენერალი კ. ა. მერეცკოვი და გენერალ-ლეიტენანტი ნ. თ. ვატუტინი.

ჯერ კიდევ 1940 წლის შემოდგომაზე მანამდე არსებული ომის ოპერატიული გეგმა საფუძვლიანად გადამუშავდა, დაუახლოვდა იმ ამოცანებს, რომლებიც უნდა გადაწყვეტილიყო თავდასხმის დროს. მაგრამ გეგმაში იყო სტრატეგიული შეცდომა, რომელიც ერთ არასწორ დებულებას ემყარებოდა.

ყველაზე უფრო საშიშ სტრატეგიულ მიმართულებად მიაჩნდათ სამხრეთ-დასავლეთი მიმართულება — უკრაინა, და არა დასავლეთი ბელორუსია, რომელ მიმართულებაზედაც ჰიტლერულმა უმაღლესმა სარდლობამ 1941 წლის ივნისში თავი მოუყარა და მოქმედებაში შეიყვანა ყველაზე მძლავრი სახმელეთო და საჰაერო დაჯგუფებანი.

ამის შედეგად ომის პირველ დღეებშივე იძულებული გავხდით მე-19 არმია, მე-16 არმიის მთელი რიგი ნაწილები და შენაერთები, რომლებიც ადრე უკრაინაში იყვნენ განლაგებული და იქ უკანასკნელ ხანს მიიყვანეს, გადაგვესროლა დასავლეთის მიმართულებით და პირდაპირ შეგვეყვანა ბრძოლაში დასავლეთის ფრონტის შემადგენლობით. ამ გარემოებამ, ეპვგარეშეა, გავლენა მოახდინა დასავლეთის მიმართულებით თავდაცვის მოქმედებათა მსვლელობაზე.

1941 წლის გაზაფხულზე (თებერვალი-აპრილი) ოპერატიული გეგმის გადამუშავების დროს ეს შეცდომა ჩვენ მთლიანად ვერ გამოვასწორეთ.

ი. ბ. სტალინი დარწმუნებული იყო, რომ ჰიტლერელები საბჭოთა კავ-

შირის წინააღმდეგ ბრძოლაში შეეცდებოდნენ, უპირველეს ყოვლისა დაეკავებიათ უკრაინა, დონეცკის აუზი, რათა წაერთმიათ ჩვენი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი ეკონომიური რაიონები და ხელში ჩაეგდოთ უკრაინის პური, დონეცკის ქვანახშირი, ხოლო შემდეგ კავკასიის ნავთობიც. 1941 წლის გაზაფხულზე ოპერატიული გეგმების განხორციელების დროს ი. ბ. სტალინმა თქვა: „ამ მნიშვნელოვანი სასიცოცხლო რესურსების გარეშე ფაშისტური გერმანია ვერ შეძლებს ხანგრძლივ და დიდ ომს".

ი. ბ. სტალინი ყველა ჩვენთაგანისათვის უდიდესი ავტორიტეტი იყო, მაშინ ფიქრადაც კი არ მოსდიოდა ვინმეს დაეჭვებულიყო მის მსჯელობასა და ვითარების შეფასებაში. მაგრამ ი. ბ. სტალინის ზემოთ გამოთქმული ვარაუდი არ ითვალისწინებდა სსრ კავშირის წინააღმდეგ მტრის ელვისებური ომის გეგმებს, თუმცა, მას, რა თქმა უნდა, თავისი საფუძველი ჰქონდა.

შეიარაღებულ ძალთა (ორგანიზაციულ-მატერიალური საკითხები) სამობილიზაციო გეგმის უკანასკნელი ვარიანტი დამტკიცებული იქნა 1941 წლის თებერვალში და მიიღო სახელწოდება МП-41. იგი გადასცეს ოლქებს და თან მისცეს მითითება 1941 წლის 1 მაისამდე შეეტანათ კორექტივები ძველ სამობილიზაციო გეგმებში.

აქ მსურს შევჩერდე ახალი და ძველი გამაგრებული რაიონების ბედზე. დასავლეთის საზღვარზე ახალ გამაგრებულ რაიონთა მშენებლობას 1940 წლის დასაწყისში შეუდგნენ. გამაგრებულ რაიონთა მშენებლობის პროექტი კ. ე. ვოროშილოვის მოხსენების თანახმად დაამტკიცა ი. ბ. სტალინმა.

ომის დასაწყისისათვის შეეძელით აგვეშენებინა 2500 რკინაბეტონის ნაგებობანი, რომელთაგან 1000 შეიარაღებულ იქნა გამაგრებულ რაიონთა არტილერიით, ხოლო დანარჩენი 1500 — ტყვიამფრქვევებით. მაგრამ გამაგრებულ რაიონთა მშენებლობა არ დამთავრებულა.

თუ უკრაინაზე ვილაპარაკებთ, 1941 წლის ივნისში ყველაზე უკეთეს საბრძოლო მზადყოფნაში იმყოფებოდნენ რავა-რუსკაიასა და პერემიშლის რაიონები, რომლებმაც ომის პირველ დღეებში მეტად დადებითი როლი შეასრულეს, რაზედაც შემდეგ გიამბობთ.

ახლა მსურს გავაშუქო ძველი გამაგრებული რაიონებიდან საარტილერიო შეიარაღების მოხსნის საკითხი.

1941 წლის თებერვალ-მარტში წითელი არმიის მთავარ სამხედრო საბჭოზე ორჯერ იქნა განხილული საკითხი თუ როგორ დაგვეჩქარებინა ახალი გამაგრებული რაიონების მშენებლობა და მათი შეიარაღება. კარგად დამამახსოვრდა ის მწვავე კამათი, რაც საბჭოს სხდომაზე გაიშალა. ბევრი იკამათეს, მაგრამ გამაგრებულ რაიონთათვის არტილერიის წარ-

მოების დაჩქარებისა და გამაგრებულ რაიონთა საჭირო აპარატურით უზრუნველყოფის საკითხში პრაქტიკულად გამოსავალი ვერ გამონახეს.

ჰაშინ სახალხო კომისრის მოადგილემ შეიარაღების დარგში მარშალმა გ. ი. კულიკმა და სახალხო კომისრის მოადგილემ გამაგრებულ რაიონთა დარგში მარშალმა ბ. მ. შაპოშნიკოვმა, აგრეთვე მთავარი სამხედრო საბჭოს წევრმა ა. ა. ჟდანოვმა შეიტანეს წინადადება, ზოგიერთი ძველი გამაგრებული რაიონიდან მოეხსნათ გამაგრებულ რაიონთა არტილერიის ნაწილი და გადაეცათ იგი ახალ მშენებარე გამაგრებულ რაიონთა შეიარაღებისათვის. თავდაცვის სახალხო კომისარი მარშალი ს. კ. ტიმოშენკო და მე არ დავეთანხმეთ ამ წინადადებას, განვმარტეთ, რომ ძველი გამაგრებული რაიონები კიდევ გამოგვადგებოდა.

მთავარ სამხედრო საბჭოზე შექმნილი უთანხმოების გამო საკითხი ი. ბ. სტალინს მოახსენეს. იგი დაეთანხმა გ. ი. კულიკის, ბ. მ. შაპოშნიკოვის, ა. ა. ჟდანოვის აზრს და გასცა ბრძანება, მეორეხარისხოვანი უბნებიდან მოეხსნათ საარტილერიო შეიარაღების ნაწილი და გადაეტანათ იგი დასავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებებზე.

ძველი გამაგრებული რაიონები აშენებული იყო 1929-1935 წლებში. ხანგრძლივი საცეცხლე წერტები ძირითადად შეიარაღებული იყო ტყვიამფრქვევებით. 1938-1939 წლებში ზოგიერთი ხანგრძლივი საცეცხლე წერტი გაძლიერდა საარტილერიო სიტემებით. წითელი არმიის მთავარი სამხედრო საბჭოს 1939 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით ძველ გამაგრებულ რაიონთა ჯარების საშტატო რაოდენობა ერთ მესამედზე მეტად უნდა შემცირებულიყო. ახლა ზოგიერთი უბნიდან ხსნიდნენ შეიარაღებას.

მაგრამ, როცა მეორედ მოახსენეს ი. ბ. სტალინს, ჩვენ ნება დაგვრთეს განსაიარაღებელ უბნებზე შეგვენარჩუნებინა შეიარაღების ნაწილი.

იმ გამაგრებულ რაიონთა თაობაზე, რომელთა მშენებლობა 1938-1939 წლებში დაიწყო, 1941 წლის 8 აპრილს გენერალურმა შტაბმა დასავლეთისა და კიევის განსაკუთრებულ სამხედრო ოლქების სარდლებს მისცა შემდეგი შინაარსის დირექტივები:

„ამიერიდან, განსაკუთრებულ მითითებამდე, სლუცკის, სობეჟსკის, შეპეტოვკის, იზიასლავლის, სტარიკონსტანტინოვსკისა და ოსტროპოლსკის გამაგრებული რაიონები იქონიეთ კონსერვაციის მდგომარეობაში.

ომის დროს აღნიშნულ გამაგრებულ რაიონთა გამოყენების მიზნით მომზადდეს და გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

— შეიქმნას გამაგრებულ რაიონთა მართვის კადრები...

— საარტილერიო-სატყვიამფრქვევო ცეცხლის სისტემის მოსაგვა-

რებლად თავდაცვის თვითეულ კვანძსა და დასაყრდენ პუნქტში შეიქმნას მოედნები ძელმიწური ან ბეტონბეტონის ნაგებობისათვის, რომელთა აშენება აუცილებელი იქნება ომის დაწყების პირველივე ათ დღეში საველე ჯარების ძალებით.

— წითელი არმის თავდაცვითი მშენებლობის სამმართველოს პროექტებისა და ტექნიკურ მითითებათა საფუძველზე დაანგარიშებულ იქნას საჭირო შეიარაღება და უმარტივესი შიდამოწყობილობა...

— სამუშაოთა ძალების, სახსრებისა და გეგმების გაანგარიშებაში გათვალისწინებულ იქნას რკინაბეტონის ნაგებობანი, რომლებიც აშენდა 1938-1939 წლებში ლეტიშჩევის, მოგილიოვის, იამპოლკის, ნოვოგრად-ვოლინსკის, მინსკის, პოლოცკისა და მოზირის გამაგრებულ რაიონებში.

თავდაცვითი მშენებლობის სამმართველოს უფროსმა შეიმუშაოს და 1941 წლის 1 მაისისათვის ოლქებს დაუგზავნოს 1938-1939 წლების ნაგებობებში შეიარაღებისა და უმარტივესი შიდამოწყობილობის დადგმის ტექნიკური მითითებანი".[1]

ძველ სახელმწიფო საზღვრებზე გამაგრებული რაიონები არ ყოფილა ლიკვიდირებული და განიარაღებული, როგორც ამაზე ლაპარაკობენ ზოგიერთ მემუარსა და ისტორიულ გამოკვლევაში. ისინი შენარჩუნებულ იქნა ყველა მნიშვნელოვან უბანსა და მიმართულებაზე. და მხედველობაში გვქონდა მათი დამატებითი გაძლიერება. მაგრამ საბრძოლო ვითარებათა მსვლელობამ ომის დასაწყისში შესაძლებლობა არ მოგვცა მთლიანად გაგვეხორციელებინა ჩაფიქრებული ღონისძიებანი და სათანადოდ გამოგვეყენებინა ძველი გამაგრებული რაიონები.

ახალ გამაგრებულ რაიონთა შესახებ თავდაცვის სახალხო კომისარმა და გენერალურ'ა შტაბმა არაერთხელ მისცეს მითითება ოლქებს მშენებლობის დაჩქარების თაობაზე. ახალი საზღვრების გამაგრებაზე ყოველდღიურად მუშაობდა დაახლოებით 140 ათასი კაცი. გვაჩქარებდა ი. ბ. სტალინიც.

თავს უფლებას მივცემ, ამ საკითხთან დაკავშირებით მოვიყვანო გენერალური შტაბის 1941 წლის 14 აპრილის ერთ-ერთი დირექტივა.

მიუხედავად წითელი არმიის გენერალური შტაბის მთელი რიგი მითითებისა, ხანგრძლივ საბრძოლო ნაგებობებში კაზემატური შეიარაღების დამონტაჟება და ნაგებობათა საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანა დაუშვებლად ნელი ტემპით მიმდინარეობს.

თავდაცვის სახალხო კომისარმა ბრძანა:

1. გამაგრებულ რაიონთათვის განკუთვნილ ოლქში არსებული ყვე-

---

[1] Архив МО, ф. 73, оп. 12109, д. 5789, лл. 108, 109, 111, 112.

ლა შეიარაღება სასწრაფოდ დამონტაჟდეს საბრძოლო ნაგებობებში და ეს უკანასკნელნი მოყვანილ იქნან სამხედრო მზადყოფნაში.

2. სპეციალური შეიარაღების უქონლობის შემთხვევაში დროებით სათოფურებსა და ჭრილებში ჩადგმულ იქნას დაზგის საველე ტყვიამფრქეველები და, სადაც შესაძლებელია, ქვემეხები.

3. ნაგებობათა საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანა ჩატარდეს მიუხედავად ნაგებობათა დანარჩენი სატაბელო მოწყობილობის უქონლობისა, მაგრამ აუცილებლად დაიდგას ჯავშნიანი, ლითონისა და გისოსიანი კარები.

4. ორგანიზებულ იქნას ნაგებობებში დადგმული შეიარაღების სათანადო მოვლა და შენახვა.

5. წითელი არმიის თავდაცვითი მშენებლობის სამმართველოს უფროსმა სასწრაფოდ დაუგზავნოს ოლქებს რკინაბეტონის ნაგებობებში დროებითი შეიარაღების დადგმის ტექნიკური მითითებანი.

მიღებული ზომების შესახებ ეცნობოს წითელი არმიის გენერალურ შტაბს 1941 წლის 25 აპრილამდე.

ხელს აწერს წითელი არმიის
გენერალური შტაბის უფროსი
არმიის გენერალი — გ. ჟუკოვი.
სწორია: წითელი არმიის გენერალური შტაბის
გამაგრებულ რაიონთა განყოფილების უფროსი
არმიის გენერალ-მაიორი — ს. შირიაევი"[1].

1941 წლის მარტში გენერალურმა შტაბმა დაამთავრა მრეწველობისათვის სამობილიზაციო გეგმის შედგენა ომის შემთხვევაში სამხედრო პროდუქციის გამოშვების მიხედვით. ეს გეგმა მე და გენერალური შტაბის უფროსის მოადგილემ გენერალმა ვ. დ. სოკოლოვსკიმ მოვახსენეთ სახკომსაბჭოსთან არსებულ თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს.

გენერალურმა შტაბმა საგანგებო მოხსენება მოამზადა საბრძოლო მასალების შესახებ და გაუგზავნა ცენტრალურ კომიტეტსა და სახკომსაბჭოს. მოხსენება მთლიანად ეძღვნებოდა არტილერიით უზრუნველყოფის საკითხს. ჩვენ საგანგებოდ აღვნიშნავდით საარტილერიო ჭურვებისა და ნაღმების მხრივ მეტად მწვავე მდგომარეობას. საკმარისი არ იყო საჰაუბიცო, საზენიტო და ტანკსაწინააღმდეგო ჭურვები. განსაკუთრებით ცუდად იყო ახალი საარტილერიო სისტემის საბრძოლო მარაგის საქმე.

ი. ბ. სტალინმა დაავალა განეხილათ ჩვენი მოხსენება და საბრძოლო მასალების სახალხო კომისარიატსა და თავდაცვის სახალხო კომისარიატ-

---

[1] Архив МО. ф. 73. оп. 12109. д. 5789, л. 114.

თან ერთად მოეხსენებინათ, რა იყო სინამდვილეში საჭირო და რის გაკეთება შეიძლებოდა.

ნ. ა. ვოზნესენსკისა და სხვა ამხანაგებს ჩვენი მოთხოვნები მეტისმეტად გადიდებული ეჩვენათ და ი. ბ. სტალინს მოახსენეს, რომ 1941 წლის განაცხადი უნდა დაკმაყოფილებულიყო სულ დიდი 20' პროცენტით. ეს წინადადება კიდეც დაამტკიცეს.

მაგრამ განმეორებითი მოხსენებების შემდეგ ი. ბ. სტალინმა ბრძანება გასცა გამოეშვათ სპეციალური დადგენილება 1941 წლის მეორე ნახევარსა და 1942 წლის დასაწყისში გაცილებით მეტი რაოდენობის საბრძოლო მასალის წარმოების შესახებ.

1941 წლის გაზაფხულზე თავდაცვის სახალხო კომისარიატის ცენტრალური მომარაგების ორგანოებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს სახელმწიფო რეზერვების ხარჯზე ყველა საზღვრისპირა დასავლეთის ოლქის ხელშეუხებელ მარაგთა გასადიდებლად საწვავის, სურსათისა და საბარგე მომარაგების მიხედვით. ოლქების საარტილერიო საწყობებმა თავდაცვის სახელმწიფო კომისარიატის ბაზების ხარჯზე მიიღეს საკმაოდ დიდი რაოდენობის საბრძოლო მასალა.

თავდაცვის სახალხო კომისარი, გენერალური შტაბი და მათ რიცხვში მეც, საჭიროდ ვთვლიდით კარს მომდგარი ომის პირობებში მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებისათვის თავი მოგვეყარა ჯარებთან ახლოს, მომხმარებელთან ახლოს. ეს, თითქოს, სწორი იყო. მაგრამ შემდეგ გამოირკვა, რომ ამ საკითხში ყველამ შეცდომა დავუშვით. როდესაც ომი დაიწყო, მტერმა შეძლო მოკლე დროის მანძილზე ხელში ჩაეგდო ოლქების მატერიალურ-ტექნიკური მარაგი, რაც ართულებდა ჯარების მომარაგებას და რეზერვების ფორმირების ღონისძიებებს.

1941 წლის გაზაფხულზე ოპერატიული გეგმების ხელახლა გადამუშავების დროს (რაზედაც უკვე ვილაპარაკე) პრაქტიკულად დაწყებითს პერიოდში მთელი სისრულით არ ყოფილა გათვალისწინებული ომის ახალი ხერხები. თავდაცვის სახალხო კომისარიატსა და გენერალურ შტაბს მიაჩნდათ, რომ ომი ისეთ დიდ სახელმწიფოებს შორის, როგორიცაა გერმანია და საბჭოთა კავშირი, შეიძლებოდა დაწყებულიყო ორივე მხრიდან ადრე არსებული სქემის მიხედვით: მთავარი ძალები ბრძოლას იწყებდნენ საზღვრისპირა შეტაკებებიდან რამდენიმე დღის შემდეგ. ფაშისტური გერმანია ძალების თავმოყრისა და გაშლის ვადების მხრივ ჩვენთან შეფარდებით ერთნაირ პირობებში იყო ჩაყენებული. სინამდვილეში კი ძალებიც და პირობებიც მეტად უთანაბრო იყო.

როგორი იყო გერმანიის ეკონომიური შესაძლებლობა საბჭოთა კავშირზე თავდასხმის მომენტში?

გერმანიამ ხელში ჩაიგდო ევროპის თითქმის მთელი ეკონომიური

და სამხედრო-სტრატეგიული რესურსები და, როგორც ცნობილია, თავის შეიარაღებული ძალები კარგად აღჭურვა თანამედროვე იარაღით, სამხედრო ტექნიკითა და საკმარისი რაოდენობის მატერიალური საშუალებებით. დასავლეთ ევროპაში იმ დროისათვის არ არსებობ ნენ აქტიურად მოქმედი ძალები, ამან შესაძლებლობა მისცა ჰიტლერელებს თავი მოეყარათ მთელი თავიანთი მთავარი ძალებისათვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ომის წინ გერმანია ოკუპირებულ ქვეყნებთან ერთად ადნობდა 31,8 მილიონ ტონა ფოლადს, თვითონ იღებდა 257,4 მილიონ ტონა ქვანახშირს, ხოლო სატელიტებთან ერთად —439 მილიონ ტონას. საბჭოთა კავშირი კი შესაბამისად 18,3 მილიონ ტონასა და 165,9 მილიონ ტონას. გერმანიის სუსტი ადგილი იყო ნავთობის მოპოვება, მაგრამ ამის რამდენადმე კომპენსირება ხდებოდა რუმინეთიდან შემოტანილი ნავთობით, აგრეთვე, სინთეტიკური საწვავის შექმნილი ჰარაგითა და წარმოებით.

ვერსალის შეზღუდვათა უცერემონიო გაუქმების შემდეგ ჰიტლერულმა გერმანიამ თავისი აგრესიული გეგმების უზრუნველყოფის მიზნით მთელი ეკონომიური პოლიტიკა დაუმორჩილა ჩაფიქრებულ აგრესიულ ომს. გერმანიის მრეწველობა მთლიანად გადაყვანილ იქნა სამხედრო ეკონომიკის რელსებზე. ყოველივე დანარჩენმა უკანასკნელ პლანზე გადაინაცვლა.

შეიქმნა მძლავრი სამხედრო-ეკონომიური პოტენციალი, შედარებით მოკლე ვადაში აგებულ იქნა 300 მსხვილი სამხედრო ქარხანა. 1940 წელს გერმანიაში სამხედრო წარმოება 1939 წელთან შედარებით ორი მესამედით გაიზარდა, ხოლო 1932 წელთან შედარებით —22-ჯერ. 1941 წელს გერმანიის მრეწველობამ გამოუშვა 11 ათასზე მეტი თვითმფრინავი, 5200 ტანკი და ჯავშნიანი მანქანა, 30 ათასი სხვადასხვა კალიბრის ქვემეხი, დაახლოებით 1,7 მილიონი კარაბინი, შაშხანა და ავტომატი. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ ნადავლი იარაღის დიდი რაოდენობა, გერმანიის სატელიტებისა და მათ მიერ ოკუპირებული ქვეყნების საწარმოო სიმძლავრენი.

რა ვიცოდით ჩვენ მაშინ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ თავმოყრილი გერმანიის შეიარაღებული ძალების შესახებ?

ჩვენი გენერალური შტაბის სადაზვერვო სამმართველოს მონაცემების თანახმად, სამმართველოსი, რომელსაც სათავეში ედგა გენერალი ი. ი. გოლიკოვი, აღმოსავლეთ პრუსიაში, პოლონეთსა და რუმინეთში გერმანელთა ჯარების დამატებითი გადაყვანა დაიწყო 1941 წლის იანვრის ბოლოს. დაზვერვას მიაჩნდა, რომ თებერვალსა და მარტში მოწინააღმდეგის ჯარების დაჯგუფება გაიზარდა ცხრა დივიზიით: ბალტიისპირეთის ოლქის წინააღმდეგ — სამი ქვეითი დივიზიით; დასავლეთის

ოლქის წინააღმდეგ — ორი ქვეითი და ერთი სატანკო დივიზიით; კიევის ოლქის წინააღმდეგ —.ერთი ქვეითი დივიზიით და სამი სატანკო პოლკით.

იმ ინფორმაციას, რომელიც ჩვენთან მოდიოდა სადაზვერვო სამმართველოს უფროსის გენერალ თ. ი. გოლიკოვისაგან, მაშინვე მოვახსენებდით ი. ბ. სტალინს. მე არ ვიცი, პირადად გენერალი თ. ი. გოლიკოვი სადაზვერვო ცნობებიდან რას მოახსენებდა ი. ბ. სტალინს.

1941 წლის 4 აპრილს გერმანელთა ჯარების ზრდა ბალტიის ზღვიდან სლოვაკიამდე, გენერალ თ. ი. გოლიკოვის მონაცემებით, შეადგენდა 5 ქვეით დივიზიას და 6 სატანკო დივიზიას. სულ სსრ კავშირის წინააღმდეგ იყო 72-73 დივიზია. ამ რაოდენობას უნდა დავუმატოთ რუმინეთსა და უნგრეთში განლაგებული გერმანელთა ჯარები, 9 ქვეითი და ერთი მოტორიზებული დივიზიის საერთო რაოდენობით.

1941 წლის 5 მაისს, გენერალ თ. ი. გოლიკოვის მოხსენების თანახმად. სსრ კავშირის წინააღმდეგ თავმოყრილმა გერმანელთა ჯარების რაოდენობამ 103—107 დივიზიას მიაღწია, მათ შორის 6 დივიზია განლაგებული იყო დანციგისა და პოზნანის რაიონში, ხოლო 5 დივიზია ფინეთში. ამ დივიზიებიდან აღმოსავლეთ პრუსიაში იმყოფებოდა 23-24 დივიზია; პოლონეთში დასავლეთის ოლქის წინააღმდეგ —29 დივიზია; პოლონეთში კიევის ოლქის წინააღმდეგ — 31-43 დივიზია; კარპატისპირეთში — 14-15 დივიზია.

მოწინააღმდეგე დიდ სამუშაოებს ატარებდა სამხედრო მოქმედებათა ასპარეზის მოსამზადებლად: გაჰყავდა მეორე სარკინიგზო ხაზი სლოვაკიასა და რუმინეთში; აფართოებდა აეროდრომებისა და დასაფრენი მოედნების ქსელს, გაძლიერებით აშენებდა სამხედრო საწყობებს. ქალაქებსა და სამრეწველო ობიექტებზე ეწყობოდა ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის მეცადინეობანი. თხრიდნენ ბომბსაფრებსა და ატარებდნენ საცდელ მობილიზაციას.

უნგრეთის არმიის ჯარების რიცხვიდან ოთხ კორპუსამდე იმყოფებოდა უკრაინის კარპატისპირეთის რაიონში, რუმინეთის ჯარების საკმაოდ დიდი რაოდენობა განლაგდა კარპატებში.

ფინეთში ჯარების გადასხმას აწარმოებდნენ აბოს ნავსადგურში, სადაც 10 აპრილიდან 29 აპრილამდე გადასხეს 22 ათასი გერმანელი ჯარისკაცი, რომლებმაც შემდგომ გზა განაგრძეს როვანიემის რაიონისა და მერე კირკინესისაკენ. გენერალ თ. ი. გოლოკოვს შესაძლებლად მიაჩნდა ახლო ხანში გერმანელთა ჯარების დამატებითი გაძლიერება იუგოსლავიაში გამოთავისუფლებული ძალების ხარჯზე.

1941 წლის 1 ივნისისათვის, სადაზვერვო სამმართველოს მონაცემების მიხედვით, სსრ კავშირის წინააღმდეგ იმყოფებოდა გერმანელთა 120-მდე დივიზია.

1941 წლის გაზაფხულზე ჰიტლერელებს არ ეშინოდათ დასავლეთის მოწინააღმდეგეთა მხრივ რაიმე სერიოზული ჰოქმედებისა და გერმანიის მთავარი შეიარაღებული ძალები განლაგებულ იქნენ მთელ სიგრძეზე ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე.

1941 წლის ივნისისათვის გერმანიის ჯარების საერთო რაოდენობამ მიაღწია 8 მილიონ 500 ათას კაცამდე, ე. ი. 1940 წელთან შედარებით იგი გაზარდა 3 მილიონ 500 ათასი კაცით, ანუ დაახლოებით 208 დივიზიით. ჩვენ ივნისისათვის შეიარაღებულ ძალებში დამატებითი კონტიგენტის გაწვევის ჩათვლით ვვყავდა დაახლოებით 5 მილიონი კაცი.

ჰიტლერი ფიქრობდა. რომ დადგა ხელსაყრელი მომენტი, რათა თავს დასხმოდა საბჭოთა კავშირს. იგი ჩქარობდა, და ეს საფუძველს როდი იყო მოკლებული...

ჰიტლერელთა სარდლობამ აღმოსავლეთისკენ ჯარების უფრო მასობრივი გადაყვანა 1941 წლის 25 მაისიდან დაიწყო. ამ დროისათვის გერმანელებმა რკინიგზები მაქსიმალური სიჩქარის გრაფიკზე გადაიყვანეს. სულ 25 მაისიდან ივნისის შუა რიცხვებამდე საბჭოთა კავშირის საზღვრებთან გადასროლილ იქნა გერმანელთა 47 დივიზია, მათ შორის 28 სატანკო და მოტორიზებული.

ჩვენთან კი, აი რა ხდებოდა. 1941 წლის მარტისა და აპრილის განმავლობაში გენერალურ შტაბში გაძლიერებული მუშაობა ტარდებოდა ომის შემთხვევაში დასავლეთის საზღვრების დასაცავი გეგმისა და სამობილიზაციო გეგმის დაზუსტებისათვის. დაცვის გეგმას ვაზუსტებდით და თან მოვახსენებდით ი. ბ. სტალინს იმის შესახებ, რომ, ჩვენი ვარაუდით, ბალტიისპირეთის, ბელორუსიის, კიევისა და ოდესის ოლქების ჯარები საკმარისი არ იქნებოდა გერმანელთა ჯარების დარტყმის მოსაგერიებლად. საჭირო იყო სასწრაფოდ მოგვეხდინა რამდენიმე არმიის სრული მობილიზაცია შიდა ოლქების ხარჯზე და ყოველი შემთხვევისათვის მაისის დასაწყისში გადაგვეყვანა ისინი ბალტიისპირეთის, ბელორუსიისა და უკრაინის ტერიტორიაზე.

გადაწყდა მოძრავი საბანაკო შეკრების სახით უკრაინასა და ბელორუსიაში გადაგვეყვანა შემცირებული შემადგენლობის ორ-ორი საერთო-საჯარისო არმია. ჩვენ გაგვაფრთხილეს, რომ დაგვეცვა ჰეტისმეტი სიფრთხილე და საიდუმლოდ შეგვენახა ოპერატიული ღონისძიებანი.

მაშინ კი ი. ბ. სტალინმა მითითება გასცა ყოველმხრივ დაეჩქარებინათ ძირითადი და საველე სააეროდრომო ქსელის სამშენებლო სამუშაოები. მაგრამ სამუშაო ძალის მიღება ნებადართული იყო მხოლოდ საგაზაფხულო-საველე სამუშაოების დამთავრების შემდეგ.

ერთხელ ჩვენი მორიგი საუბრის ბოლოს ი. ბ. სტალინმა იკითხა, როგორ მიდიოდა თადარიგიდან მიწერილი შემადგენლობის გაწვევის საქმე.

თავდაცვის სახალხო კომისარმა უპასუხა, რომ თადარიგის გაწვევა ნორმალურად მიმდინარეობს, მიწერილი შემადგენლობა აპრილის ბოლოს საზღვრისპირა ოლქებში იქნება და მაისის დამდეგს მისი ხელახალი გადამზადება დაიწყება ნაწილებშიო.

13 მაისს გენერალურმა შტაბმა ოლქებს დირექტივა მისცა, გადაეყვანათ ჯარები დასავლეთში შიდა ოლქებიდან. ურალიდან ველიკიე ლუკის რაიონში მოდიოდა: 22-ე არმია; ვოლგისპირა სამხედრო ოლქიდან გომელის რაიონში — 21-ე არმია; ჩრდილოეთ კავკასიის ოლქიდან ბელაია ცერკოვის რაიონში — მე-19 არმია; ხარკოვის ოლქიდან დასავლეთ დვინის საზღვარზე — 25-ე მსროლელი კორპუსი, იმიერბაიკალიდან უკრაინაში შეპეტოვკის რაიონში — მე-16 არმია.

სულ მაისში შიდასამხედრო ოლქებიდან დასავლეთის საზღვრებთან ახლოს გადაყვანილ იქნა 28 მსროლელი დივიზია და ოთხი საარმიო სამმართველო.

მაისის ბოლოს გენერალურმა შტაბმა საზღვრისპირა ოლქების სარდლებს მითითება მისცა, სასწრაფოდ დაეწყოთ საკომანდო პუნქტების მომზადება, ხოლო ივნისის შუა რიცხვებში მათ ებრძანათ, საკომანდო პუნქტებზე გადაეყვანათ საფრონტო სამმართველოები: ჩრდილო-დასავლეთის ფრონტი — პანოვეჟისის რაიონში; დასავლეთის — ობუზ-ლესნის რაიონში; სამხრეთ-დასავლეთის—ტერნოპოლში. ოდესის ოლქი როგორც საარმიო სამმართველო — ტირასპოლში. ფრონტებისა და არმიების საველე სამმართველოები ამ რაიონებში უნდა გასულიყვნენ 21 ივნისიდან 25 ივნისამდე.

მოსალოდნელ მოწინააღმდეგესთან ყველაზე უფრო ახლოს იმყოფებოდნენ 47 სახმელეთო და 6 საზღვაო სასაზღვრო რაზმი, 9 ცალკეული სასაზღვრო კომენდატურა, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ოპერატიული ჯარების 11 პოლკი, აგრეთვე დამცველი არმიის პირველი ეშელონების მსროლელი დივიზიები, რომლებიც საზღვრების ახლოს იდგნენ, მაგრამ არ გაშლილიყვნენ საბრძოლო წესით.

სულ დასავლეთის საზღვრისპირა ოლქებსა და ფლოტში ითვლებოდა 2,9 მილიონი კაცი, ათას ხუთასზე მეტი ახალი ტიპის თვითმფრინავი და მოძველებული კონსტრუქციის საკმაოდ ბევრი თვითმფრინავი, დაახლოებით 35 ათასი ქვემეხი და ნაღმსატყორცნები (50 მილიმეტრიანის გარდა), 1 800 მძიმე და საშუალო ტანკი (ორი მესამედი ახალი ტიპისა) და დიდი რაოდენობის მსუბუქი ტანკები შეზღუდული მოტორესურსებით.

საზღვრისპირა ოლქებში საბრძოლო მზადყოფნა და განწყობილება სხვადასხვაგვარი იყო და ბევრ ფაქტორზე იყო დამოკიდებული: სარდლობის მიერ ჯარების აღზრდის ტრადიციებზე, მეთაურთა შემადგენლობის ინიციატივასა და პასუხისმგებლობაზე, საბრძოლო წესდე-

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

ბის მოთხოვნათა შესრულებაში ორგანიზებულობასა და შეუპოვრობაზე. ასლა ძნელია დეტალურად აღადგინო ყოველივე ის, რაც ხდებოდა საზღვრისპირა ოლქებში, გადმოსცე ის ატმოსფერო, რომელშიც მათ მოუსწრო ომმა. მაგონდება, გენერალურ შტაბში მუშაობისას, განსაკუთრებით პირველ ხანებში, არ მშორდებოდა ფიქრი სულ ახლახან დატოვებული კიევის განსაკუთრებული სამხედრო ოლქის შესახებ. როგორ იყო იქ საქმეები?

ამასთან დაკავშირებით მსურს მოვიყვანო რამდენიმე ადგილი საბჭოთა კავშირის მარშლის ი. ქ. ბაგრამიანის მოგონებებიდან, რომელიც მაშინ პოლკოვნიკი იყო და სათავეში ედგა კიევის განსაკუთრებული სამხედრო ოლქის ოპერატიულ განყოფილებას. ვფიქრობ, ეს ფურცლები სწორად ასახავენ საქმეთა მდგომარეობას უშუალოდ არმიაში უკანასკნელი ომისწინა თვეების ყველა სიძნელესთან ერთად.

„ძლივს მოვასწარი ჩვენი სარდლის გაცილება XVIII პარტიულ კონფერენციაზე, — წერს ი. ქ. ბაგრამიანი, — რომ გენერალური შტაბიდან მოვიდა განკარგულება: ოლქის შტაბის უფროსი და ჯგუფი იმ გენერლებისა და ოფიცრებისა, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ სახელმწიფო საზღვრის დაცვის გეგმის შემუშავებაში, სასწრაფოდ გამოცხადდნენ მოსკოვშიო. მ. ა. პურკაევთან ერთად მოსკოვს გაემგზავრნენ გენერლები ნ. ა. ლასკინი — სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის უფროსი, ი. ი. ტრუტკო — ოლქის შტაბის უფროსის მოადგილე, რომელიც ზურგის ოპერატიულ საკითხებს განაგებდა, დ. ვ. დობიკინი — ოლქის ჯარების კავშირგაბმულობის უფროსი, პოლკოვნიკი ა. ა. კორშუნოვი—ოლქის სამხედრო მიმოსვლის უფროსი, მე და ჩემი მოადგილე პოლკოვნიკი ა. ი. დანილოვი.

მოსკოვში, საბოლოოდ, ყველაფერი გაირკვა: ყველა ჩვენგანს მონაწილეობა უნდა მიეღო ოლქისათვის ოპერატიული სახის ღონისძიებათა განხილვაში.

...ჩვენ განვაგრძობდით მუშაობას, როცა უეცრად გვიბრძანეს. დაუყოვნებლივ დავბრუნებულიყავით კიევში ჩვენი უშუალო თანამდებობრივი მოვალეობების შესასრულებლად. აქ უპირველეს ყოვლისა შევუდექით სახელმწიფო საზღვრის დაცვის საარმიო გეგმების განხილვას. რომლებიც არმიათა შტაბებმა შეიმუშავეს ოლქის სარდლობის მითითებათა საფუძველზე. დიდად სასიამოვნო იყო, რომ საარმიო გეგმები არ მოითხოვდა სერიოზულ დამატებითს დამუშავებას. მათში მხოლოდ უმნიშვნელო კორექტივები შევიტანეთ.

მაგრამ სულ მალე — ფაშისტების მიერ იუგოსლავიის ოკუპაციის დაწყებისთანავე — გენერალურმა შტაბმა მოგვცა მითითება. სახელმწიფო საზღვრის დაცვის გეგმაში შეგვეტანა რიგი არსებითი შესწორებანი. ოლქის სარდლობას დაევალა, მნიშვნელოვნად გაეძიდებინა

იმ ჯარების შემადგენლობა, რომლებიც გამოყოფილი იყვნენ უშუალოდ სახელმწიფო საზღვრის დასაცავად...

გენერალი კირპონოსი დანაღელიანდა, როგორც თვითონ ამბობდა, მისი ჯარების სარეზერვო დაჯგუფების ამკარა დასუსტებით და „პასიურ თავდაცვაზე" გაცილებით მეტი ძალების დანიშვნით, ვიდრე მას მიაჩნდა საჭიროდ. მაგრამ ბრძანება ბრძანებაა. 18 აპრილს ჩვენ არმიებს მივეცით საჭირო განკარგულება, რათა გეგმებში შეეტანათ ეს ცვლილებანი. ამავე მიზეზის გამო ვერ მოვახერხეთ აპრილში დაგვემთავრებინა სახელმწიფო საზღვრის დაცვის საარმიო გეგმები.

ოლქის შტაბში ხელახლა გამოიძახეს არმიების შტაბის უფროსები გეგმების შემმუშავებელ მონაწილეებთან ერთად. ყველაფერი თავიდან დაიწყო. დიდი სიძნელე, რომელიც აკვიანურებდა სამუშაოს, ის იყო, რომ ვეგმების შემმუშავებელ გენერლებსა და ოფიცრებს ყველაფერი— პირველიდან უკანასკნელ ფურცლამდე თავიანთი ხელით უნდა შეესრულებინათ...

10 მაისამდე გეგმების გადაკეთება უნდა დამთავრებულიყო. საბედნიეროდ, ეს იყო უკანასკნელი სერიოზული დამატებანი. სხვაგვარად, გეგმები კვლავ დაუმთავრებელი დარჩებოდა ფაშისტური ურდოების შემოჭრის დროსაც.

აპრილის მეორე ნახევარში წითელი არმიის ხელმძღვანელობამ საგრძნობლად დაიჩქარა ღონისძიებათა განხორციელება საზღვრისპირა ოლქების გაძლიერებისათვის. მაგონდება, 26 აპრილს ჩვენს ოლქში მოვიდა ბრძანება მოსკოვიდან — 1 ივნისისათვის შეგვექმნა ხუთი მოძრავი საარტილერიო-ტანკსაწინააღმდეგო ბრიგადა, და ერთი საჰაერო-სადესანტო კორპუსი. ჩვენი ოთხი მსროლელი დივიზია გარდაიქმნა სამთო მსროლელ დივიზიად. ოლქის სარდლობას აცნობეს, რომ 25 მაისისათვის მისი ჯარების შემადგენლობას შორეული აღმოსავლეთიდან შეემატებოდა კიდევ 31-ე მსროლელი კორპუსის მმართველობაც.

გაზაფხულის უკანასკნელ თვეს სრულიადაც არ შეუტანია სითბო საერთაშორისო ურთიერთობის ატმოსფეროში. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ ი. ბ. სტალინის მოულოდნელ დანიშვნას ოლქის შტაბში ყველა ისე ვაფასებდით, როგორც საერთაშორისო ვითარების გართულების დადასტურებას. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში უმაღლესი პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობა პირველად იქნა თავმოყრილი ერთ ხელში. იყო სწრაფშეარდი საფრთხის სხვა სიგნალებიც.

მაისის მეორე ნახევარში მივიღეთ გენერალური შტაბის დირექტივა, რომლითაც ოლქის სარდლობას ნაბრძანები ჰქონდა, ჩრდილოეთ-კავკასიის საჰხედრო ოლქიდან მიეღო და ბანაკებში განლა-

გებინა 34-ე მსროლელი კორპუსის მმართველობა კორპუსის ნაწილებიანად, ოთხი 12 ათასიანი მსროლელი და ერთი სამთო მსროლელი დივიზია.

ამ ჯარების უფროსად ჩრდილოეთ-კავკასიის სამხედრო ოლქიდან უნდა მოსულიყო ოპერატიული ჯგუფი ოლქის სარდლის პირველი მოადგილის გენერალ-ლეიტენანტ მ. ბ. რეიტერის მეთაურობით. მისაღები ჯარების დისლოკაციაც გენერალურმა შტაბმა თვითონ განსაზღვრა. ამ დირექტივით ცნობილი გახდა, რომ ჯარები დაიწყებდნენ ჩამოსვლას 20 მაისიდან. თუმცა, დირექტივა, როგორც ჩანდა, სარდლობისათვის არც ყოფილა მოულოდნელი, მაგრამ მაინც მეტად შეაფიქრიანა იგი: მოკლე ვადაში უნდა განელაგებინა თითქმის მთელი არმია. იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენ უეცრად თავს დაგვატყდა ახალი სასწრაფო ღონისძიებანი, იძულებული გავხდით, გადაგვედო სამეთაურო-საშტაბო წვრთნა არმიასთან ერთად, რომელიც მაისის მეორე ნახევრისთვის იყო დაგეგმილი.

მაისის ბოლოს ოლქში ეშელონი ეშელონზე მოდიოდა. ოპერატიული განყოფილება სადისპეტჩერო პუნქტს დაემსგავსა, სადაც თავს იყრიდა ყველა ინფორმაცია ჩრდილოეთ-კავკასიის სამხედრო ოლქიდან მომავალი ჯარების მოძრაობისა და მდგომარეობის შესახებ. მაგონდება ასეთი დამახასიათებელი ფაქტი. ჩვენთან ჩამოსულ დივიზიაში გამოგზავნილი მეთაურები. როცა საბრძოლო მზადყოფნის შესახებ მოგვახსენებდნენ, ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ყველა შენაერთი დაკომპლექტებული იყო მშვიდობიანი დროის შტატის მიხედვით, რომ ამასთან დაკავშირებით აკლდათ არა მარტო მებრძოლებისა და მეთაურების საკმაოდ დიდი რაოდენობა, არამედ ტექნიკაც, პირველ რიგში სატრანსპორტო საშუალებანი და კავშირგაბმულობის საშუალებანი, რომლებიც დივიზიებს უნდა მიეღოთ მობილიზაციის გამოცხადებისთანავე.

ჩანდა, ამ საკითხშიც არც თუ ისე უმნიშვნელო როლს ასრულებდა მისწრაფება — მკაცრად დაეცვათ ფაშისტურ გერმანიასთან დადებული ხელშეკრულების პირობები.

თუ მოვლენებს წინ გავუსწრებთ, უნდა შევნიშნოთ, რომ, როცა ომი დაიწყო, ეს დივიზიები სასწრაფოდ გადაისროლეს დასავლეთის სტრატეგიულ მიმართულებაზე და ისინი იძულებული გახდნენ პირდაპირ ჩაბმულიყვნენ ბრძოლაში.

ჩრდილოეთ-კავკასიის სამხედრო ოლქიდან ჩამოსულმა ხუთმა დივიზიამ ვერც კი მოასწრო თავი მოეყარა ჩვენი ოლქის ტერიტორიაზე, რომ ივნისის პირველ რიცხვებში გენერალურმა შტაბმა შეგვატყობინა: თავდაცვის სახელმწიფო კომისრის დირექტივით შექმნილია მე-19

არმიის მმართველობა, რომელიც 10 ივნისს იქნება ჩერკასში. არმიის შემადგენლობაში შევა 34-ე მსროლელი კორპუსის ყველა ხუთი დივიზია და ჩრდილოეთ-კავკასიის სამხედრო ოლქის 25-ე მსროლელი კორპუსის სამი დივიზია. ამასთან აღნიშნული იყო, რომ ახალი არმია დარჩებოდა სახალხო კომისრის დაქვემდებარებაში. მის სათავეში დააყენეს ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-ლეიტენანტი ი. ს. კონევი.

ერთი დღით გვიან გენერალურმა შტაბმა გააფრთხილა ოლქის სარდლობა, რომ მზად ყოფილიყო, მიეღო და განელაგებინა კიდევ ერთი— მე-16 არმია გენერალ-ლეიტენანტ მ. თ. ლუკინისა. ეს არმია იმიერბაიკალიდან გადმოყავდათ. გეგმით გათვალისწინებული იყო გენერალ ლუკინის ჯარებისათვის თავი მოეყარათ კიევის განსაკუთრებული სამხედრო ოლქის ტერიტორიაზე 15 ივნისიდან 10 ივლისამდე.

ამრიგად, უკვე მეორე არმია უმოკლეს ვადაში უნდა მიგვეღო და განგველაგებინა ოლქის ტერიტორიაზე. ეს სასიხარულო იყო. შიში იმისა, რომ ომის შემთხვევისას სიღრმეში არ გვეყოლებოდა ჯარები, თავისთავად გაქრა. ახლა საესებით ცხადი გახდა, რომ სახალხო კომისარმა და გენერალურმა შტაბმა იზრუნეს ამაზე, გასცეს რა ბრძანება ოლქის ყველა ძალების უშუალოდ საზღვართან წინ წაწევის შესახებ"[1].

ახლა, მგონი, დროა ვილაპარაკოთ მაშინდელ იმ მთავარ შეცდომაზე, საიდანაც ბუნებრივია, გამომდინარეობდა ბევრი სხვა, — გერმანელ ფაშისტთა ჯარების მოსალოდნელი თავდასხმის დროის განსაზღვრაში დაშვებული შეცდომა.

1940 წლის ოპერატიულ გეგმაში, რომელიც დაზუსტების შემდეგ მოქმედებდა 1941 წელსაც, ნავარაუდევი იყო:

— ომის საფრთხის შემთხვევაში ყველა შეიარაღებული ძალები მოყვანილ იქნან სრულ საბრძოლო მზადყოფნაში;

— დაუყოვნებლივ გატარდეს ჩვენს ქვეყანაში სამხედრო მობილიზაცია;

— აყვანილ იქნას ჯარები საომარი დროის შტატებამდე სამობილიზაციო გეგმის მიხედვით;

— ყველა სრულად მობილიზებულმა ჯარებმა თავი მოიყარონ და გაიშალონ დასავლეთის საზღვრების რაიონებში საზღვრისპირა სამხედრო ოლქებისა და მთავარი სამხედრო სარდლობის გეგმის შესაბამისად.

ოპერატიულ და სამობილიზაციო გეგმებში გათვალისწინებულ ღონისძიებათა მოქმედებაში შეყვანა შეიძლებოდა განხორციელებულიყო მხოლოდ მთავრობის განსაკუთრებული გადაწყვეტილებით. ეს

---

[1] И. Х. Баграмян. Записки начальника оперативного отдела. «Военно-исторический журнал», № 1, 1967 г., стр. 60.

განსაკუთრებული გადაწყვეტილება მხოლოდ 1941 წლის 22 ივნისის ღამეს მოჰყვა. ომისწინა უახლოესი თვეების მანძილზე ხელმძღვანელობის განკარგულებებით არ იყო გათვალისწინებული ის ღონისძიებები, რომლებიც უნდა გაგვეტარებინა ომის განსაკუთრებული საფრთხის უმოკლეს ხანებში.

ბუნებრივია, იბადება კითხვა: როგორ მოხდა, რომ ხელმძღვანელობამ, რომელსაც ი. ბ. სტალინი ედგა სათავეში, არ განახორციელა მის მიერვე დამტკიცებული ომის ოპერატიული გეგმის ღონისძიებანი?

ამ შეცდომებში უფრო ხშირად ი. ბ. სტალინს ადანაშაულებენ. რა თქმა უნდა, ი. ბ. სტალინს უდავოდ ჰქონდა შეცდომები, მაგრამ მათი გამომწვევი მიზეზები არ შეიძლება განვიხილოთ ობიექტური ისტორიული პროცესებისა და მოვლენებისაგან იზოლირებულად, ეკონომიურ და პოლიტიკურ ფაქტორთა მთელი კომპლექსისაგან მოწყვეტით. იმაზე ადვილი არა არის რა, რომ, როცა უკვე ცნობილია ყველა შედეგი, დაუბრუნდე თავდაპირველ მოვლენებს და მისცე მათ სხვადასხვაგვარი შეფასება. და იმაზე ძნელი არა არის რა, ვიდრე გაერკვე საკითხთა მთელ ერთობლიობაში, ძალთა ურთიერთსაწინააღმდეგო ბრძოლაში, მრავალი შეხედულებების, მონაცემების, და ფაქტების დაპირისპირებაში უშუალოდ ამ ისტორიულ ეტაპზე.

როცა ერთმანეთს ვუპირისპირებ და ვაანალიზებ ყველა იმ საუბარს, რომლებიც ჩემი თანდასწრებით ჩაუტარებია ი. ბ. სტალინს მისთვის ახლობელი ადამიანების წრეში, მე უდავოდ ვრწმუნდები. ყოველი მისი აზრი და მოქმედება გამსჭვალული იყო ერთი სურვილით— თავიდან აეცილებინა ომი და მტკიცედ სჯეროდა, რომ იგი ამას შეძლებდა.

ი. ბ. სტალინს კარგად ესმოდა, თუ რა საშინელ უბედურებას მოუტანდა საბჭოთა კავშირის ხალხებს ომი ისეთ ძლიერ და გაპოცდილ მტერთან, როგორიც ფაშისტური გერმანია იყო, და ამიტომ იგი, ისევე როგორც მთელი ჩვენი პარტია, ისწრაფვოდა ომის თავიდან ასაცილებლად.

ახლა ჩვენი თვალთახედვის არეში, განსაკუთრებით ფართო, ყველასათვის მისაწვდომ პუბლიკაციებში, ძირითადად გვხვდება სსრ კავშირზე თავდასხმის მზადების გამაფრთხილებელი, ჩვენს საზღვრებთან ჯარების თავმოყრის ფაქტები და ა. შ. მაგრამ იმავე დროს, როგორც ახლა ამას გვიჩვენებს ფაშისტური გერმანიის განადგურების შემდეგ აღმოჩენილი დოკუმენტები, ი. ბ. სტალინს ჰაგიდაზე ხვდებოდა სულ სხვა ხასიათის ბევრი შეტყობინება. აი, ერთ-ერთი მაგალითი.

ჰიტლერის მითითებით, რომელიც მან მისცა თებერვალს 1941 წლის 3 თებერვალს, უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბის უფროსმა ფელდ-

მარშალმა კაიტელმა 1941 წლის 15 თებერვალს გამოუშვა სპეციალური „დირექტივა მოწინააღმდეგის დეზინფორმაციისათვის" საიდუმლოდ რომ შეენახა ოპერაცია „ბარბაროსისათვის" მზადება, მთავარი შტაბის დაზვერვისა და კონტრდაზვერვის განყოფილებამ შეიმუშავა და განახორციელა მრავალრიცხოვანი აქციები ცრუ ხმებისა და არასწორი ცნობების გასავრცელებლად. აღმოსავლეთისაკენ ჯარების გადაადგილება წარმოდგენილი იყო „ისტორიაში უდიდესი დეზინფორმაციული მანევრის შუქზე ინგლისში შეკრის უკანასკნელი მზადებისაგან ყურადღების გადატანის მიზნით".

მასობრივად დაიბეჭდა ინგლისის შესახებ ტოპოგრაფიული მასალები. ჯარებში მიაღლინეს ინგლისური ენის თარჯიმნები. ლა-მანშისა და პა-დე-კალეს სრუტეების სანაპიროებზე და ნორვეგიაში მზადდებოდა ზოგიერთი რაიონის „გარშემორტყმა". ვრცელდებოდა ხმები ყალბი ავიასადესანტო კორპუსის შესახებ. სანაპიროებზე დგამდნენ მოჩვენებითს სარაკეტო ბატარეებს. ჯარებში გავრცელებული ცნობების ერთი ვარიანტით, ისინი დასასვენებლად მიდიოდნენ ინგლისში შეკრის წინ, მეორე ვარიანტით კი საბჭოთა ტერიტორიის გავლით ჯარები ინდოეთის წინააღმდეგ უნდა გამოსულიყვნენ. რომ განემტკიცებინათ ვერსია ინგლისში დესანტის გადასხმის შესახებ, შემუშავებულ იქნა კოდური სახელწოდების სპეციალური ოპერაციები „ზვიგენი" და „ჯარპუნი". პროპაგანდა მთლიანად თავს დაატყდა ინგლისს და შეწყვიტა თავისი ჩვეულებრივი თავდასხმები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. საქმეში ჩაერივნენ დიპლომატები და ა. შ

ამის მსგავსი მონაცემები და ცნობები იმ ნაკლოვანებებთან ერთად, რომლებიც არსებობდა შეიარაღებულ ძალთა საერთო საბრძოლო მზადყოფნაში, განაპირობებდა იმ მეტისმეტ სიფრთხილეს, რასაც ი. ბ. სტალინი იჩენდა, როცა ლაპარაკი ჩამოვარდებოდა ოპერატიულ-სამობილიზაციო გეგმებით გათვალისწინებული ძირითადი ღონისძიებების ჩატარების შესახებ შესაძლო აგრესიის მოგერიებისათვის მზადყოფნასთან დაკავშირებით..

ი. ბ. სტალინი, როგორც უკვე ვთქვით, იმასაც ითვალისწინებდა, რომ ჯარების შენახვის ტერიტორიული სისტემიდან საკადრო პრინციპზე გადასვლასთან დაკავშირებით ნაწილებსა და შენაერთებს სათავეში ედგნენ მეთაურ-პოლიტმუშაკთა კადრები, რომელთაც ჯერ კიდევ ვერ აეთვისებინათ ოპერატიულ-ტაქტიკური ხელოვნება დაკავებული თანამდებობის შესაბამისად.

ხელმძღვანელობდნენ რა პარტიის XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებითა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომდევნო მითითებებით ხელმძღვანელი კადრების შერჩევის, სწავლებისა და აღზრდის შესახებ, არმიის სარდლობამ, პარტიულმა, პოლიტიკურმა ორგანოებმა

დიდი აღმზრდელობითი მუშაობა ჩაატარეს, რამაც ხელი შეუწყო კადრების საერთო თეორიული დონისა და პრაქტიკული გამოცდილების ამაღლებას.

მიუხედავად ამისა, 1940—1941 წლებში შეიარაღებული ძალების მეთაურთა კადრების საკითხი კვლავ მწვავედ იდგა. მაღალ თანამდებობებზე ახალგაზრდა, უწრთობი მეთაურების მასობრივი დაწინაურება გარკვეული დროის მანძილზე აქვეითებდა არმიის ბრძოლისუნარიანობას. ომის წინ მნიშვნელოვანი და დიდი ორგანიზაციული ღონისძიებების გატარებისას იგრძნობოდა კვალიფიციურ მეთაურთა შემადგენლობის, სპეციალისტების, ტანკისტების, არტილერისტებისა და საფინანსო-ტექნიკური შემადგენლობის ნაკლებობა, რაც გამოწვეული იყო ჩვენი შეიარაღებული ძალების ზრდით. ვარაუდობდნენ, რომ ყოველივე ეს ძირითადად შეიძლებოდა მოგვარებულიყო 1941 წლის ბოლოსათვის.

სურდა რა შეენარჩუნებინა მშვიდობა როგორც გადამწყვეტი პირობა სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობისა, ი. ბ. სტალინი ხედავდა, რომ ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობები ყველაფერს აკეთებდნენ, რათა ებიძგებინათ ჰიტლერისათვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საომრად, ხედავდა, რომ ინგლისი და დასავლეთის სხვა სახელმწიფოები, რომლებიც მძიმე სამხედრო ვითარებაში აღმოჩნდნენ და ისწრაფოდნენ თავი დაეღწიათ კატასტროფისაგან, ძალზე დაინტერესებული იყვნენ სსრ კავშირზე გერმანიის თავდასხმით. აი, რატომ ეკიდებოდა ი. ბ. სტალინი ასე უნდობლად დასავლეთის სახელმწიფოების ინფორმაციებს საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმის შესახებ.

მოგვაგონებთ ფაქტების მხოლოდ ერთ ჯგუფს, ფაქტებისა, რომელთა შესახებ ცნობებს შეეძლო განემტკიცებინა ი. ბ. სტალინის უნდობლობა აღნიშნული ინფორმაციისადმი. ეს არის საიდუმლო მოლაპარაკებანი ფაშისტურ გერმანიასთან ლონდონში სწორედ იმ 1939 წელს, როცა სსრ კავშირში მიმდინარეობდა სამხედრო მოლაპარაკება ინგლისსა და საფრანგეთთან, რომელთა შესახებ მე უკვე ვთქვი.

ინგლისის დიპლომატია წინადადებას აყენებდა, შეთანხმებოდნენ ჰიტლერელებს მსოფლიო მასშტაბით გავლენის სფეროების გამიჯვნის შესახებ. ინგლისის ვაჭრობის მინისტრმა ჰადსონმა ფელდმარშალ გერინგის დაახლოებულ პირთან, გერმანიის საიდუმლო სახელმწიფო რჩევეელ ვოლტატთან, მოლაპარაკებისას განაცხადა, რომ ახლა ორივე სახელმწიფოს წინაშეა სამი ვრცელი ქვეყანა, რომლებიც უსაზღვრო ასპარეზს შლიან ეკონომიური მოღვაწეობისათვის: ბრიტანეთის იმპერია, ჩინეთი და რუსეთი. განიხილეს პოლიტიკური და სამხედრო საკითხები, გერმანიისათვის ნედლეულის მიწოდების პრობლემები და

შ. მოლაპარაკებაში სხვებიც ჩაერივნენ; გერმანიის ელჩმა ლონდონში დირქსენმა ბერლინს აცნობა, რომ ადასტურებს „კონსტრუქციული პოლიტიკის ტენდენციებს მთავრობის აქაურ წრეებში“.

მართებული იქნებოდა, გზადაგზა გაგვეხსენებინა, რომ როცა ჰიტლერმა განიზრახა, წინადადება მიეცა საბჭოთა კავშირისათვის, ერთად მოეფიქრებინათ გავლენის სფეროებად მსოფლიოს განაწილების იდეა, მას საბჭოთა კავშირმა მტკიცედ და არაორაზროვნად განუცხადა, რომ ამ თემაზე ლაპარაკიც არ სურდა. ამას მოწმობდნ დოკუმენტები და მონაწილენი ვ. მ. მოლოტოვის ვიზიტისა ბერლინში 1940 წლის ნოემბერში.

როგორც ცნობილია, უ. ჩერჩილმა აპრილის ბოლოს ი. ბ. სტალინს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ნათქვამი იყო: „ნდობით აღჭურვილი აგენტისაგან მივიღე უტყუარი ინფორმაცია, რომ გერმანელებმა, მას შემდეგ, რაც გადაწყვიტეს იუგოსლავია ჩვენს ხელშიაო, ე. ი. 20 მარტს, დაიწყეს რუმინეთში მყოფი ხუთი დივიზიიდან სამი ჯავშანსატანკო დივიზიის გადაყვანა პოლონეთის სამხრეთ ნაწილში. როცა შეიტყვეს, სერბიის რევოლუციის ამბავი, ჯარების ეს წინ წაწევა მაშინვე გააუქმეს. თქვენი აღმატებულება ადვილად შეაფასებს ამ ფაქტების მნიშვნელობას“.

ი. ბ. სტალინი ამ წერილს უნდობლად მოეკიდა. 1940 წელს მსოფლიო პრესაში ხმა გავრცელდა — ინგლისისა და საფრანგეთის წრეები თვითონ ემზადებიან თავს დაესხან კავკასიას, დაბომბონ ბაქო, გროზნო და მაიკოპიო. შემდეგ გამოჩნდა ამის დამადასტურებელი დოკუმენტები. ერთი სიტყვით, არა მარტო უ. ჩერჩილის აშკარა ანტისაბჭოთა, ანტიკომუნისტური საქმიანობა და გამოსვლები, არამედ მაშინდელი დიპლომატიური ცხოვრების ბევრი კონკრეტული ფაქტი აიძულებდა ი. ბ. სტალინს, დაძაბული ყურადღებით მოჰკიდებოდა იმპერიალისტური წრეების ინფორმაციებს.

1941 წლის გაზაფხულზე დასავლეთის ქვეყნებში დაჟინებით გავრცელდა პროვოკაციული ცნობები გერმანიის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის უდიდესი სამხედრო მზადების შესახებ. გერმანიის პრესა ყოველმხრივ ბერავდა ამ ცნობებს და ჩიოდა იმაზე. რომ ასეთი ამბები აუარესებს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ურთიერთობასო.

— ხედავთ, — ამბობდა ი. ბ. სტალინი, — ჩვენ გვაშინებენ გერმანელებით, გერმანელებს კი აშინებენ საბჭოთა კავშირით და გვაგულიანებენ ერთმანეთის წინააღმდეგ.

რაც შეეხება თავდაუსხმელობის პაქტის შეფასებას. რომელიც დაედეთ გერმანიასთან 1939 წელს. იმ მომენტში, როცა ჩვენი ქვეყნისათვის შეიძლებოდა შემოეტიათ ორი ფრონტიდან — გერმანიის მხრიდან და იაპონიის მხრიდან, — არ არსებობს არავითარი საფუძველი

ვამტკიცოთ, რომ ი. ბ. სტალინი ნდობით ეკიდებოდა მას. საკ. კპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას ცნობილი, რომ პაქტი ვერ იხსნიდა სსრ კავშირს ფაშისტური აგრესიის საფრთხისაგან, მაგრამ იგი იძლეოდა შესაძლებლობას მოგვეგო დრო ჩვენი თავდაცვის განმტკიცების ინტერესებისათვის, იგი აფერხებდა ერთიანი ანტისაბჭოთა ფრონტის შექმნას. ყოველ შემთხვევაში არასოდეს არ მსმენია ი. ბ. სტალინისაგან რაიმე დამამშვიდებელი ლაპარაკი თავდასხმელობის პაქტთან დაკავშირებით.

1941 წლის 5 მაისს ი. ბ. სტალინი გამოვიდა წითელი არმიის აკადემიის მსმენელების წინაშე კურსდამთავრებულთა პატივსაცემად გამართულ მიღებაზე.

ი. ბ. სტალინმა მიულოცა კურსდამთავრებულებს სწავლის დასრულება და შეჩერდა სამ გარდაქმნაზე, რომლებიც განხორციელდა არმიაში უკანასკნელი წლების მანძილზე.

ამხანაგებო, ამბობდა ის, თქვენ დატოვეთ არმია 3-4 წლის წინათ, ახლა ბრუნდებით მის რიგებში და ვერც იცნობთ არმიას. წითელი არმია, სრულიადაც აღარაა ის, რაც იყო ამ რამდენიმე წლის წინათ. ჩვენ შევქმენით ახალი არმია, შევაიარაღეთ იგი თანამედროვე სამხედრო ტექნიკით. სახე იცვალა ჩვენმა ტანკებმა, ავიაციამ, არტილერიამ. მიხვალთ არმიაში და მრავალ სიახლეს ნახავთ იქ.

შემდეგ ი. ბ. სტალინმა დაახასიათა ცვლილებანი ჯარების ცალკეული გვარეობისა და სახეობის მიხედვით.

თქვენ მიხვალთ ნაწილებში დედაქალაქიდან, განაგრძობდა ი. ბ. სტალინი, წითელარმიელები და მეთაურები შეგეკითხებიან: რა სდება ახლა? რატომ დამარცხდა საფრანგეთი? რატომ ითმენს ინგლისი დამარცხებას, ხოლო გერმანია იმარჯვებს? გერმანიის არმია მართლა დაუმარცხებელია?

ვითარდება გერმანიის არმიის სამხედრო აზროვნება. არმია უახლესი ტექნიკით შეიარაღდა, ისწავლა ომის წარმოების ახალი ხერხები, შეიძინა დიდი გამოცდილება. ფაქტია, რომ გერმანიას საუკეთესო არმია ჰყავს როგორც ტექნიკის, ასევე ორგანიზაციის მხრივაც. მაგრამ გერმანელები ამაოდ ფიქრობენ, რომ მათი არმია იდეალურია, დაუმარცხებელია. დაუმარცხებელი არმიები არ არსებობენ. გერმანიას არ ექნება წარმატება მტაცებლური, დაპყრობითი ომის ლოზუნგებით, სხვა ქვეყნების დამონების, სხვა სახელმწიფოებისა და ადამიანების დამორჩილების ლოზუნგებით.

ი. ბ. სტალინი ევროპაში გერმანიის სამხედრო წარმატებათა მიზეზებზე შეჩერდა და შეეხო ზოგიერთ ქვეყანაში არმიებისადმი დამოკიდებულებას, როცა სათანადოდ არ ზრუნავენ არმიაზე, არ უწევენ მას მორალურ მხარდაჭერას. ასე ჩნდება ახალი მორალი, რომელიც

ხრწნის არმიას. სამხედრო პირებს დაუდეგრად ექცევიან. არმია უნდა სარგებლობდეს ხალხისა და მთავრობის განსაკუთრებული ზრუნვითა და სიყვარულით — ამაშია არმიის უდიდესი მორალური ძალა. არმიას სათუთად უნდა მოვუაროთ.

სამხედრო სკოლა ვალდებულია და შეუძლია თანამედროვე ომის გამოცდილების ფართოდ გამოყენებით ასწავლოს მეთაურთა კადრებს ახალი ტექნიკა ი. ბ. სტალინმა მოკლედ მოხაზა არტილერისტების, ტანკისტების, ავიატორების, ცხენოსნების, მეკავშირეების, ქვეითი ჯარის ამოცანები ომში და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა გარდავქმნათ ჩვენი პროპაგანდა, აგიტაცია, ბეჭდვითი სიტყვა. ომისათვის რომ კარგად მოემზადო, საჭიროა არა მარტო გყავდეს თანამედროვე არმია, არამედ უნდა მოემზადო პოლიტიკურად.

ამრიგად, რა დასკვნები გამომდინარეობს მოყვანილი ფაქტებიდან? როგორ შევაფასოთ ის, რაც გაკეთდა ომამდე, რის გაკეთებასაც ვაპირებდით უახლოეს ხანში და რაც ვერ მოვასწარით ან ვერ შევძელით გაგვეკეთებინა ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად? თანაც შევაფასოთ დღეს, ყოველივე განცდილის შემდეგ, კრიტიკულად შევაფასოთ წარსული და ამავე დროს ხელახლა დავაყენოთ ჩვენი თავი დიდი სამამულო ომის ზღურბლზე.

მე დიდხანს ვფიქრობდი ყოველივე ამაზე, და აი რა დასკვნამდე მივედი.

მიმაჩნია, რომ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საქმე თავისი ძირითადი, მთავარი მხარეებითა და მიმართულებით სწორად წარიმართებოდა. ბრავალი წლის მანძილზე ეკონომიური და სოციალური მიმართებით კეთდებოდა ყველაფერი, ან თითქმის ყველაფერი, რაც კი შესაძლებელი იყო. რაც შეეხება პერიოდს 1939 წლიდან 1941 წლის შუამდე, ამ ხანებში ხალხმა და პარტიამ ყოველი ღონე იხმარეს თავდაცვის განსამტკიცებლად, რაც მთელ ძალებსა და საშუალებებს მოითხოვდა.

განვითარებული ინდუსტრია, საკოლმეურნეო წყობილება, საყოველთაო განათლება, ერების ერთიანობა, სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერება, ხალხის უდიდესი პატრიოტიზმი, ხელმძღვანელობა პარტიისა, რომელიც მზად იყო გაეერთიანებინა ფრონტი და ზურგი — ეს იყო ვიგანტური ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შესანიშნავი საფუძველი, პირველი მიზეზი იმ გრანდიოზული გამარჯვებისა, რაც ჩვენ მოვიპოვეთ ფაშიზმთან ბრძოლაში. მიუხედავად უდიდესი სიძნელეებისა და ზარალისა ომის ოთხი წლის მანძილზე, საბჭოთა მრეწველობა ამზადებდა კოლოსალური რაოდენობის იარაღს — დაახლოებით 490 ათას ქვემეხსა და ნაღმსატყორცნს, 102 ათასზე მეტ ტანკს და თვითმავალ ქვემეხს, 137 ათასზე მეტ საბრძოლო თვითმფრინავს

რაც მეტყველებს იმაზე, რომ მეურნეობის საფუძვლები სამხედრო, თავდაცვითი თვალსაზრისით სწორად და მტკიცედ იყო ჩაყრილი.

ახლა, როდესაც გონების თვალით ერთხელ კიდევ გადავხედავ საბჭოთა შეიარაღებული ძალების მშენებლობას, დაწყებულს სამოქალაქო ომის დროიდან, უნდა ვაღიარო, რომ აქაც ჩვენ სწორი გზით მივდიოდით. საბჭოთა სამხედრო დოქტრინა, ჯარების აღზრდისა და სწავლების პრინციპი, არმიისა და ფლოტის შეიარაღება, მეთაურთა კადრების მომზადება, შეიარაღებულ ძალთა სტრუქტურა და ორგანიზაცია განუწყვეტლივ სრულყოფილი ხდებოდა საჭირო მიმართულებით. მუდამ განსაკუთრებით მაღალი იყო ჯარების მორალური და საბრძოლო სულისკვეთება, მათი პოლიტიკური შეგნებულობა და სიმწიფე.

რა თქმა უნდა, რომ შეიძლებოდეს ამ გზის ხელახლა გავლა, ზოგ რამეზე უარს ვიტყოდით. მაგრამ მე არ შემიძლია დავასახელო დღეს ჩვენი შეიარაღებული ძალების მშენებლობის რომელიმე დიდი, პრინციპიალური მიმართულება, რომ შეიძლებოდეს მათი წაშლა, წყალში გადაყრა, გაუქმება. 1939 წლიდან 1941 წლის შუამდე განვლილი პერიოდისათვის ხომ მთლიანად დამახასიათებელია ისეთი გარდაქმნები, რომლებიც უკვე ორი-სამი წლის შემდეგ საბჭოთა ხალხს ბრწყინვალე არმიას მისცემდა.

მთავარ, ძირითად მომენტებში — რაც საბოლოო ჯამში კიდევაც წყვეტს ქვეყნის ბედ-იღბალს ომში, განაპირობებს გამარჯვებას ან დამარცხებას,—პარტიამ და ხალხმა მოამზადეს თავიანთი სამშობლო თავდაცვისათვის.

ამას იმისათვის კი არ ვიმოწმებ, რომ მოვიხსნა რაიმე პასუხისმგებლობა იმ პერიოდის შეცდომების გამო. აქვე ვიტყვი, ყოველ საღად მოაზროვნე ადამიანს ესმის, რომ წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსის პოსტიც რომ გეკავოს, ოთხ თვენახევარში ყველაფერს ვერ მიაღწევ. ჩემს ზოგიერთ შეცდომაზე უკვე ვილაპარაკე, დანარჩენებზე შემდეგში ვიტყვი. ჩემთვის მნიშვნელოვანია სხვა რამ: ხელი შევუწყო ვითარების ჭეშმარიტ დახასიათებას.

ჩვენ, უდავოდ, ისტორიამ წილად გვარგუნა მშვიდობიანი დროის მანძილზე მცირე მონაკვეთი იმისათვის, რომ ყველაფრისათვის შესაფერისი ადგილი მიგვეჩინა. ბევრი რამ სწორად დავიწყეთ და ბევრის დამთავრება ვერ მოვასწარით. თავი იჩინა შეცდომამ ფაშისტური გერმანიის თავდასხმის შესაძლო დროის შეფასებაში. ამასთან იყო დაკავშირებული დაუდევრობანი პირველი დარტყმის მოგერიების მზადყოფნის საქმეში.

დადებითი ფაქტორები, რომლებზედაც ვილაპარაკე, განუწყვეტლივ მოქმედებდნენ. ჩვენი ბრძოლის მანძილზე — პირველი დღიდან უკანასკნელ დღემდე — სულ უფრო მძლავრად ფართოვდებოდ-

ნენ და მით განაპირობეს კიდევ გამარჯვება. უარყოფითი ფაქტორი — შეცდომა დროის გათვლაში — მართალია თანდათანობითი შენელებით მოქმედებდა, მაგრამ ძალიან მწეავედ. მან გააღრმავა მტრის ობიექტური უპირატესობანი. დაუმატა დროებითი უპირატესობანი და ამით განაპირობა ჩვენი მძიმე მდგომარეობა ომის დასაწყისში.

1940 წელს პარტიამ და მთავრობამ მიიღეს მთელი რიგი დამატებითი ღონისძიებანი ჩვენი ქვეყნის თავდაცვის გასაძლიერებლად. მაგრამ ეკონომიურმა შესაძლებლობებმა საშუალება არ მოგვცეს ესოდენ მოკლე ვადაში სრულად გაგვეხორციელებინა შეიარაღებულ ძალთა დარგში დასახული ორგანიზაციული და სხვა ღონისძიებანი. ომმა ჩვენს ქვეყანას შეიარაღებულ ძალთა რეორგანიზაციის, ხელახალი შეიარაღებისა და გადამზადების სტადიაში მოუსწრო, სტადიაში, როცა იქმნებოდა საჭირო სამობილიზაციო მარაგი და სახელმწიფო რეზერვები. საბჭოთა ხალხი, რომელსაც არ სურდა ომი და ისწრაფოდა მისი თავიდან აცილებისათვის, მთელ ძალ-ღონეს ახმარდა მშვიდობიანი სამეურნეო გეგმების განხორციელებას.

ომის საშიში ვითარების მომწიფების პერიოდში ჩვენ, სამხედრო პირებმა, ალბათ, ყველაფერი ვერ გავაკეთეთ, რათა დაგვერწმუნებინა ი. ბ. სტალინი, რომ უახლოეს ხანში გერმანიასთან ომი გარდუვალი იყო და უნდა განგვეხორციელებინა ოპერატიული და სამობილიზაციო გეგმებით დასახული საჭირო სასწრაფო ზომები.

რა თქმა უნდა, ეს ღონისძიებანი მტრის იერიშის სრული წარმატებით მოგერიების გარანტიას ვერ მოგვცემდა, რადგან მხარეთა ძალები მეტად არათანაბარი იყო. მაგრამ ჩვენს ჯარებს შეეძლოთ უფრო ორგანიზებულად დაეწყოთ ბრძოლა და. მაშასადამე. მტრისათვის გაცილებით მეტი ზარალი მიეყენებინათ. ამას ადასტურებს ნაწილებისა და შენაერთთა წარმატებითი თავდაცვითი მოქმედებანი ვლადიმირ-ვოლინსკის. რავა-რუსკაიას, პერემიშლის რაიონებში და სამხრეთის ფრონტის უბნებზე.

ამჟამად არსებობს სხვადასხვა ვერსია იმასთან დაკავშირებით, ვიცოდვით თუ არა ჩვენ ომის დაწყების კონკრეტული თარიღი და გეგმა.

მე ზუსტად არ შემიძლია ვთქვა. სწორად იყო თუ არა ინფორმირებული ი. ბ. სტალინი. ნამდვილად შეატყობინეს თუ არა მას ომის დაწყების დღე. ასეთ დიდმნიშვნელოვან ცნობებზე. რომელთაც, შესაძლოა, ი. ბ. სტალინი პირადად ღებულობდა, იგი მე არაფერს არ მეუბნებოდა.

თუმცა, ერთხელ მან მითხრა:

— ერთი კაცი მეტად დიდმნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ჰიტლერული მთავრობის განზრახვის შესახებ. მაგრამ ჩვენ ცოტა ეჭვი გვეპარება...

შესაძლოა, ლაპარაკი იყო რ. ზორგეზე, რომლის ამბავი ომის შემდეგ გავიგე.

შეეძლო თუ არა სამხედრო ხელმძღვანელობას დამოუკიდებლად და დროულად გამოეაშკარავებინა მტრის ჯარების თავმოყრა უშუალოდ საწყის რაიონებში, საიდანაც დაიწყო მათი შემოჭრა 22 ივნისს? მაშინდელ პირობებში ამის გაკეთება უკიდურესად ძნელი იყო. თანაც, როგორც ნადავლი რუკებიდან და დოკუმენტებიდან გახდა ცნობილი, გერმანელთა სარდლობამ თვით საზღვარზე ჯარებს თავი მოუყარა ყველაზე ბოლო მომენტში, ხოლო მისი ჯავშანსატანკო ჯარები, რომლებიც გაცილებით შორს იდგნენ, საწყის რაიონებში გადაისროლეს მხოლოდ 21 ივნისს ღამით.

სამწუხაროდ, არსებული ცნობებიდანაც კი ყოველთვის არ კეთდებოდა სწორი დასკვნები, რომელთაც შეეძლოთ გარკვევით და ავტორიტეტულად გზა მიეცათ უმაღლესი ხელმძღვანელობისათვის. აი, ამასთან დაკავშირებული რამდენიმე დოკუმენტი სამხედრო არქივებიდან.

1941 წლის 20 მარტს სადაზვერვო სამმართველოს უფროსმა თ. ი. ჭოლიკოვმა ხელმძღვანელობას წარუდგინა მოხსენება, რომელიც მეტისმეტად დიდმნიშვნელოვან ცნობებს შეიცავდა.

ამ დოკუმენტში გადმოცემული იყო საბჭოთა კავშირზე გერმანელ-ფაშისტთა ჯარების თავდასხმის შემთხვევაში დარტყმების შესაძლო მიმართულებათა ვარიანტები. როგორც შემდგომ გამოირკვა, ეს ვარიანტები თანმიმდევრულად ასახავდნენ ჰიტლერული სარდლობის მიერ „ბარბაროსას“ გეგმის შემუშავებას, ხოლო ერთ-ერთ ვარიანტში, არსებითად, ასახული იყო ამ გეგმის არსი.

მოხსენებაში ნათქვამი იყო: „სსრ კავშირის წინააღმდეგ განზრახულ ყველაზე უფრო მოსალოდნელ სამხედრო მოქმედებათაგან ყურადღების ღირსია შემდეგი:

ვარიანტი № 3 1941 წლის თებერვლის... მონაცემებით: „...სსრ კავშირზე შეტევისათვის, — ეწერა ცნობაში, — იქმნება სამი საარმიო ჯგუფი: პირველი ჯგუფი გენერალ-ფელდმარშალ ბოკის სარდლობით დაგეგმარტყავს პეტროგრადის მიმართულებით; შეორე ჯგუფი გენერალ-ფელდმარშალ რუნდშტედტის სარდლობით — მოსკოვის მიმართულებით და მესამე ჯგუფი გენერალ-ფელდმარშალ ლიების სარდლობით კიევის მიმართულებით. სსრ კავშირზე შეტევის საორიენტაციო ვადაა 20 მაისი.

თანახმად ჩვენი სამხედრო ატაშეს 14 მარტის ცნობებისა, — ნათქვამი იყო შემდგომ მოხსენებაში,— გერმანელთა მაიორმა განაცხადა: — ჩვენ მთლიანად ვცვლით ჩვენს გეგმას. ჩვენ მივემართებით აღმოსავლეთისაკენ. სსრ კავშირში. საბჭოთა კავშირს წავართმევთ პურს, ქვანახშირს, ნავთობს. მაშინ უძლეველნი ვიქნებით და შეგვეძლება ინგლისისა და ამერიკის წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელება...“

ბოლოს, ამ დოკუმენტში ბერლინში სამხედრო ატაშეს ცნობაზე დაყრდნობით მითითებულია, რომ „სსრ კავშირის წინააღმდეგ საომარ

მოქმედებათა დაწყებას უნდა ველოდოთ 1941 წლის 15 მაისიდან 15 ივნისამდე".

მაგრამ მოხსენებაში მოყვანილი ცნობებიდან გაკეთებული დასკვნები, არსებითად, ყველა მათ მნიშვნელობას აქარწყლებდა. თავისი მოხსენების ბოლოს გენერალი თ. ი. გოლიკოვი წერდა:

„1. ყველა ზემოთ მოყვანილი ვარაუდისა და ამ წლის გაზაფხულზე მოქმედებათა შესაძლო ვარიანტის საფუძველზე ვფიქრობ, რომ სსრ კავშირის წინააღმდეგ მოქმედებათა დაწყების ყველაზე შესაძლო ვადად მიმაჩნია ის მომენტი, როცა გერმანია გაიმარჯვებს ინგლისზე, ან როცა მასთან შეკრავს გერმანიისათვის საპატიო ზავს.

2. ყურმოკრული ამბები და დოკუმენტები, რომლებიც მეტყველებენ ამა წლის გაზაფხულზე სსრ კავშირის წინააღმდეგ ომის გარდუვალობაზე, უნდა შევაფასოთ როგორც დეზინფორმაცია, რომელიც მოვდინარეობს ინგლისის, და შესაძლოა, გერმანიის დაზვერვიდანაც კი".

1941 წლის 6 მაისს ი. ბ. სტალინს ბარათი გაუგზავნა სამხედრო-საზღვაო ფლოტის კომისარმა ადმირალმა ნ. გ. კუზნეცოვმა:

„სამხედრო-საზღვაო ატაშე ბერლინში I რანგის კაპიტანი ვორონცოვი გვატყობინებს: ...რომ, ჰიტლერის მთავარბანაკის ერთ-ერთი გერმანელი ოფიცრის თქმით, გერმანელები ემზადებიან ფინეთის, ბალტიისპირეთისა და რუმინეთის გზით 14 მარტს სსრ კავშირში შესაჭრელად. ამასთან გათვალისწინებულია აეიაციის მძლავრი თავდასხმები მოსკოვსა და ლენინგრადზე და საპარაშუტო დესანტის გადმოსხმა საზღვისპირა ცენტრებში"...

ამ დოკუმენტში მოყვანილ მონაცემებსაც მეტისმეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ ის დასკვნები, რომლებიც ნ. გ. კუზნეცოვმა წარუდგინა ხელმძღვანელობას, არ შეესაბამებოდა მის მიერ მოყვანილ ფაქტებს.

„ვფიქრობ, — ნათქვამი იყო ბარათში, — რომ ცნობები მოგონილია და სპეციალურად მიმართულია იქითკენ, რომ შეამოწმონ, როგორ რეაგირებას მოახდენს ეს სსრ კავშირზე".

...დაძაბულობა იზრდებოდა. და რაც უფრო ახლოვდებოდა ომის საფრთხე, მით უფრო დაძაბულად მუშაობდა თავდაცვის სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობა. სახალხო კომისარიატისა და გენერალური შტაბის ხელმძღვანელი შემადგენლობა, განსაკუთრებით მარშალი ს. კ. ტიმოშენკო, მაშინ დღე-ღამეში 18-19 საათს მუშაობდნენ. ხშირად სახალხო კომისარი თავის კაბინეტში დილამდე რჩებოდა.

13 ივლისს ს. კ. ტიმოშენკომ ჩემი თანდასწრებით დაურეკა ი. ბ. სტალინს და თხოვა მითითების ნებართვა, რათა საბრძოლო მზადყოფნაში მოეყვანათ საზღვისპირა ოლქების ჯარები და გაეშალათ პირველი ეშელონი დაცვის გეგმების შესაბამისად.

— მოვიფიქრებთ, — უპასუხა ი. ბ. სტალინმა.

მეორე დღეს ჩვენ ხელახლა ვიყავით ი. ბ. სტალინთან და მოვახსენეთ, რომ ოლქებში საგანგაშო განწყობილებაა და საჭიროა ჯარების სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანა.

— თქვენი წინადადებაა, ჩავატაროთ ქვეყანაში მობილიზაცია, ფეხზე დავაყენოთ ახლავე ჯარები და დავძრათ ისინი დასავლეთის საზღვრებისაკენ? ეს ხომ ომია! გესმით ეს ორთავეს თუ არა?!

შემდეგ ი. ბ. სტალინმა მაინც გვკითხა:

— რამდენი დივიზია გვყავს განლაგებული ბალტიისპირეთის, დასავლეთის, კიევისა და ოდესის სამხედრო ოლქებში?

მოვახსენეთ, რომ სულ ოთხ დასავლეთის საზღვრისპირა სამხედრო ოლქის შემადგენლობაში 1 ივნისს იქნება 149 დივიზია და 1 ცალკეული მსროლელი ბრიგადა. ამ რაოდენობიდან:

ბალტიისპირეთის ოლქის შემადგენლობაში 19 მსროლელი, 4 სატანკო, 2 მოტორიზებული დივიზია და 1 ცალკეული ბრიგადა;

დასავლეთის ოლქის შემადგენლობაში—24 მსროლელი, 12 სატანკო, 6 მოტორიზებული და 2 საკავალერიო დივიზია.

კიევის ოლქის შემადგენლობაში — 34 მსროლელი, 16 სატანკო, 8 მოტორიზებული და 3 საკავალერიო დივიზია.

ოდესის ოლქის შემადგენლობაში — 13 მსროლელი, 4 სატანკო, 2 მოტორიზებული და 3 საკავალერიო დივიზია.

— კი მაგრამ, ნუთუ ეს ცოტაა? გერმანელებს, ჩვენი მონაცემების თანახმად, არა ჰყავთ ასეთი რაოდენობის ჯარები, — თქვა ი. ბ. სტალინმა.

მე მოვახსენე, რომ, თანახმად სადაზვერვო მონაცემებისა, გერმანელთა დივიზიები დაკომპლექტებულია და შეიარაღებულია ომიანობის დროის შტატების მიხედვით. დივიზიის შემადგენლობაში არის 14-დან 16-ათასამდე კაცი. ჩვენი 8-ათასიანი შემადგენლობის დივიზიებიც კი პრაქტიკულად გერმანელებისაზე ორჯერ უფრო სუსტნი არიან.

ი. ბ. სტალინმა შენიშნა:

— დაზვერვას ყველაფერი არ დაეჯერება...

ი. ბ. სტალინთან ჩვენი საუბრის დროს კაბინეტში შემოვიდა მისი მდივანი ა. ნ. პოსკრებიშევი და მოახსენა, რომ რეკავს ნ. ს. ხრუშჩოვი. ი. ბ. სტალინმა ყურმილი აიღო. პასუხებიდან ჩანდა, რომ საუბარი სოფლის მეურნეობას შეეხებოდა.

— კარგი, — თქვა ი. ბ. სტალინმა.

ალბათ, ნ. ს. ხრუშჩოვი ფერადოვნად მოახსენებდა მოსავლის კარგი პერსპექტივების შესახებ...

კრემლიდან მძიმე სულიერი განწყობილებით წამოვედით.

გადავწყვიტე, ცოტა ფეხით გამეელო. უგუნებოდ ვიყავი. კრემ-

ლის ახლოს ალექსანდრეს ბაღში უდარდელად ფუსფუსებდნენ პატარები. გამახსენდა ჩემი ქალიშვილებიც და რაღაც განსაკუთრებით მწვავედ ვიგრძენი, თუ რა უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ყველა ჩვენგანს ბავშვებისათვის, მათი მომავლისათვის, მთელი ქვეყნისათვის...

ყველა მშვიდობიან დროს თავისი დამახასიათებელი მხარეები, თავისი კოლორიტი და თავისი მომხიბვლელობა გააჩნია. მაგრამ მე მინდა, კარგი სიტყვა ვთქვა ომამდელ დროზე, რომელიც განსხვავდებოდა ჩვენი სულიერი განწყობილების განუმეორებელი, თავისებური აღმავლობით, ოპტიმიზმით, რაღაც აღფრთოვანებულობითა და საქმიანობით, ადამიანთა ერთიერთობაში თავმდაბლობითა და უბრალოებით. კარგად, ძალიან კარგად დავიწყეთ ცხოვრება!

და რომელ ეკონომისტს, ფილოსოფოსს ან მწერალს შეუძლია ზუსტად დაგვიხატოს, თუ როგორ გაიფურჩქნებოდა დღეს ჩვენი ქვეყანა, რა შორს წავიდოდით წინ, ომს რომ არ შეეწყვიტა იმ წელთა დიადი, მშვიდი და მძლავრი მსვლელობა...

მე უკვე ვილაპარაკე იმაზე, თუ რა ზომებს ღებულობდნენ წინასწარ იმისათვის, რომ გერმანიისათვის არ მიეცათ საბაბი გაეჩაღებინა სამხედრო კონფლიქტი. თავდაცვის სახალხო კომისარი, გენერალური შტაბი და საზღვრისპირა სამხედრო ოლქების სარდლები გაფრთხილებული იყვნენ, რომ მათ ეკისრებოდათ პირადი პასუხისმგებლობა იმ შედეგებისათვის, რომლებიც შესაძლოა ჩვენი ჯარების გაუფრთხილებელ მოქმედებას მოჰყოლოდა ჩვენ კატეგორიულად გვეკრძალებოდა ი. ბ. სტალინის პირადი ნებართვის გარეშე მოგვეხდინა მეწინავე საზღვრებზე ჯარების რაიმე წინ წაწევა დაცვის გეგმის მიხედვით.

თავდაცვის სახალხო კომისარმა ს. კ. ტიმოშენკომ რეკომენდაცია მისცა ოლქების ჯარების სარდლებს, სახელმწიფო საზღვრის მხარეზე ჩაეტარებინათ შენაერთთა ტაქტიკური სწავლება ისე, რომ ჯარები მიეახლოებინათ გაშლის რაიონებისათვის დაცვის გეგმის შესაბამისად. თავდაცვის სახალხო კომისრის ეს რეკომენდაცია ოლქებმა განახორციელეს, მაგრამ ერთი არსებითი შესწორებით: ჯარების მოქმედებაში მონაწილეობა არ მიუღია არტილერიის მნიშვნელოვან რაოდენობას.

საქმე ის არის, რომ 1941 წლის დასაწყისში დივიზიის, კორპუსისა და საზენიტო არტილერიას არ ჰქონდა გავლილი საპოლიგონო საბრძოლო სროლა და არ იყო მომზადებული საბრძოლო ამოცანათა გადასაწყვეტად.ამიტომ ოლქების სარდლებმა მიიღეს გადაწყვეტილება — არტილერიის ნაწილი გაეგზავნათ პოლიგონებზე სასროლო პროგრამის დასამთავრებლად. ამის შემდეგ დაცვის ზოგიერთ საჯარისო კორპუსს და დივიზიას ფაშისტური გერმანიის თავდასხმის დროს არ აღმოაჩნდათ თავიანთი არტილერიის დიდი რაოდენობა.

21 ივნისს საღამოს დამირეკა კიევის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსმა გენერალ-ლეიტენანტმა მ. ა. პურკაევმა და მომახსენა, რომ მესაზღვრეებთან გამოცხადდა მტრისაგან გადმოსული გერმანელი ფელდფებელი. იგი ამტკიცებს, რომ გერმანელთა ჯარები საწყის რაიონებში შედიან შეტევისათვის, რომელიც 22 ივნისს დილით დაიწყებაო.

სახალხო კომისარს და ი. ბ. სტალინს იმ წუთში მოვახსენე ის, რაც გადმომცა მ. ა. პურკაევმა. ი. ბ. სტალინმა მითხრა:

— მოდით კრემლში სახალხო კომისართან ერთად.

აიღე ჯარებისადმი დირექტივების პროექტები და სახალხო კომისარსა და გენერალ-ლეიტენანტ ნ. თ. ვატუტინთან ერთად წავედი კრემლში. გზაზე მოვილაპარაკეთ, რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა, მიგვეღწია იმისათვის, რომ მიგვეღო გადაწყვეტილება ჯარების საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანის შესახებ.

ი. ბ. სტალინი მარტო დაგვხვდა. ის უდავოდ შეფიქრიანებული იყო.

— ის ფელდფებელი გერმანელმა გენერლებმა ხომ არ შემოგზავნეს კონფლიქტის პროვოკაციულად მოწყობის მიზნით? — გვკითხა ჩან.

— არა, — უპასუხა ს. კ. ტიმოშენკომ. —ჩვენ მიგვაჩნია, რომ ფელდფებელი სიმართლეს ამბობს.

ამ დროს ი. ბ. სტალინის კაბინეტში პოლიტბიუროს წევრები შემოვიდნენ.

— რა ვქნათ? — იკითხა ი. ბ. სტალინმა.

პასუხი არავის გაუცია.

— ჯარებს სასწრაფოდ უნდა მივცეთ დირექტივა, რათა სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანონ საზღვრისპირა ოლქების ყველა არმია, — თქვა სახალხო კომისარმა.

— წაიკითხეთ! — უპასუხა ი. ბ. სტალინმა.

მე წავიკითხე დირექტივის პროექტი. ი. ბ. სტალინმა შენიშნა:

—ასეთი დირექტივის ახლა მიცემა ნაადრევია, შესაძლოა საკითხი ჯერ კიდევ მშვიდობიანი გზით მოგვარდეს. უნდა მივცეთ მოკლე დირექტივა, რომელშიაც აღინიშნება, რომ თავდასხმა შეიძლება დაიწყოს გერმანელთა ნაწილების პროვოკაციული მოქმედებით. საზღვრისპირა ოლქების ჯარები არ უნდა აყვნენ არავითარ პროვოკაციას, რათა არ გამოიწვიონ გართულებანი.

ჩვენ ნ. თ. ვატუტინთან ერთად საჩქაროდ გავედით მეორე ოთახში და სწრაფად შევადგინეთ სახალხო კომისრის დირექტივის პროექტი.

კაბინეტში დავბრუნდით და ნებართვა ვითხოვეთ მოგვეხსენებინა.

ი. ბ. სტალინმა მოისმინა დირექტივის პროექტი, ერთხელ კიდევ თვითონაც წაიკითხა. შეიტანა ზოგიერთი შესწორება და გადასცა იგი სახალხო კომისარს ხელის მოსაწერად.

განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო ეს დირექტივა მთლიანად მომყავს:

„ლენინგრადის სამხედრო ოლქის, ბალტიისპირეთის განსაკუთრებული სამხედრო ოლქის, დასავლეთის განსაკუთრებული სამხედრო ოლქის, კიევის განსაკუთრებული სამხედრო ოლქისა და ოდესის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოებს.

ასლი: სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარს.

1. 1941 წლის 21-22 ივნისს შესაძლოა გერმანელთა მოულოდნელი თავდასხმა ლენინგრადის, ბალტიისპირეთის, დასავლეთის, კიევის, ოდესის სამხედრო ოლქების ფრონტებზე. თავდასხმა შეიძლება დაიწყოს პროვოკაციული მოქმედებით.

2. ჩვენი ჯარების ამოცანაა, არ აყენენ არავითარ პროვოკაციულ მოქმედებას, რომელსაც შეუძლია უდიდესი გართულებანი გამოიწვიოს. ამასთან ლენინგრადის, ბალტიისპირეთის, დასავლეთის, კიევისა და ოდესის სამხედრო ოლქები იყვნენ საბრძოლო მზადყოფნაში გერმანელების, ან მათი მოკავშირეების შესაძლო მოულოდნელი დარტყმის მოსაგერიებლად.

3. ვბრძანებ:

ა) 1941 წლის 21 ივნისის ღამის განმავლობაში სახელმწიფო საზღვრებზე მალულად დაიკავონ გამაგრებულ რაიონთა საცეცხლე წერტები;

ბ) 1941 წლის 22 ივნისს, განთიადამდე, საველე აეროდრომებზე თავი მოუყარონ მთელ ავიაციას, მათ შორის საჯარისო ავიაციასაც და გულდაგულ შენიღბონ იგი;

გ) ყველა ნაწილი მოიყვანონ საბრძოლო მზადყოფნაში. ჯარები სხვადასხვა ადგილას იქნას განლაგებული და შენიღბული;

დ) ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა მოიყვანონ საბრძოლო მზადყოფნაში მიწერილი შემადგენლობის დამატებითი გამოყოფის გარეშე. მომზადდეს ყველა ღონისძიება ქალაქებისა და ობიექტების დაბნელებისათვის;

ე) განსაკუთრებული განკარგულების გარეშე არც ერთი სხვა ღონისძიება არ გაატაროთ.

ტიმოშენკო. ჟუკოვი.

21. 6. 41 წ."

ამ დირექტივით ნ. თ. ვატუტინი დაუყოვნებლივ წავიდა გენერალურ შტაბში, რათა იმწამსვე გადაეცა იგი ოლქებში. დირექტივის გადაცემა ოლქებისათვის დამთავრდა 1941 წლის 22 ივნისს 00.30 წუთზე.

დირექტივის ასლი გადაეცა სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარს.

ი. ბ. სტალინისაგან რაღაც უცნაური, რთული, გაორებული გრძნობით ვბრუნდებოდი ს. კ. ტიმოშენკოსთან ერთად.

ერთი მხრივ, რაც ჩვენზე იყო დამოკიდებული, თითქოს ყველაფერი კეთდებოდა, რათა მოსალოდნელ სამხედრო საფრთხეს მაქსიმალურად მომზადებული შევხვედროდით: ჩატარდა სამობილიზაციო-ოპერატიული სახის მთელი რიგი უდიდესი საორგანიზაციო ღონისძიებანი; შეძლებისდაგვარად გამაგრდა დასავლეთის სამხედრო ოლქები, რომელთაც პირველ რიგში მოუწევთ მტერთან შებმა; და ბოლოს, დღეს მივიღეთ ნებართვა საზღვრისპირა სამხედრო ოლქების ჯარების საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანის შესახებ.

მაგრამ, მეორე მხრივ, გერმანელთა ჯარებს ხვალ დილით შეუძლიათ გადმოვიდნენ შეტევაზე, ჩვენ კი რიგი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი არ დაგვიმთავრებია. ამას კი შეუძლია გაართულოს ბრძოლა გამოცდილ და ძლიერ მტერთან. დირექტივას, რომელსაც იმ მომენტში გენერალური შტაბი გადასცემდა ოლქებს, შეიძლებოდა დაეგვიანებინა.

დიდი ხანია დაბნელდა. იწურებოდა 21 ივნისის დღე. ს. კ. ტიმოშენკოსთან ერთად მდუმარედ მივადექი სახალხო კომისარიატის სადარბაზო შესასვლელს, თუმცა ვგრძნობდი, რომ სახალხო კომისარსაც იგივე შემაშფოთებელი აზრები უტრიალებდა თავში. მანქანიდან გადმოვედით და შევთანხმდით: ათი წუთის შემდეგ მის კაბინეტში შევხვედროდით ერთმანეთს.

თავი მეათე

ომის დასაწყისი

1941 წლის 21 ივნისის ღამეს გენერალური შტაბისა და თავდაცვის სახალხო კომისარიატის ყველა მუშაკს ნაბრძანები ჰქონდა თავ-თავიანთ ადგილებზე დარჩენილიყვნენ. საჭირო იყო რაც შეიძლებოდა ჩქარა გადაეცათ დირექტივა ოლქებისათვის საზღვრისპირა ჯარების საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანის შესახებ. ამ დროს მე და თავდაცვის სახალხო კომისარი განუწყვეტლივ ველაპარაკებოდით ოლქების სარდლებსა და შტაბების უფროსებს, რომლებიც მოგვახსენებდნენ საზღვრის გადაღმა სულ უფრო მზარდი ხმაურის შესახებ. ამ ცნობებს ისინი ღებულობდნენ მესაზღვრეებისაგან და დაცვის მეწინავე ნაწილებისაგან.

21 ივნისს, დაახლოებით ღამის 12 საათზე, კიევის ოლქის სარდალმა მ. პ. კირპონოსმა, რომელიც თავის საკომანდო პუნქტზე იმყოფებოდა ტერნოპოლში, მაღალი სიხშირის ტელეფონით მოგვახსენა, რომ გარდა მტრისაგან გადმოსული გერმანელი ფელდფებელისა, რომლის შესახებ გენერალი მ. ა. პურკაევი იტყობინებოდა, ჩვენს ნაწილებში გამოჩნდა 74-ე ქვეითი დივიზიის 222-ე ქვეითი პოლკის კიდევ ერთი გერმანელი ჯარისკაცი. მან გადმოცურა პატარა მდინარე, გამოცხადდა მესაზღვრეებთან და გვაცნობა, რომ 4 საათზე გერმანელთა ჯარები შეტევაზე გადმოვლენო. მ. პ. კირპონოსს ებრძანა, სასწრაფოდ გადაეცა დირექტივა ჯარებისათვის მათი საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანის შესახებ.

ყველაფერი იმაზე მეტყველებდა, რომ გერმანელთა ჯარები თანდათან უახლოვდებოდნენ საზღვრებს. ამის შესახებ ჩვენ მოვახსენეთ ი. ბ. სტალინს ღამის 0.30 წუთზე. ი. ბ. სტალინმა მკითხა — გადაეცი თუ არა დირექტივა ოლქებშიო. მე დადებითად ვუპასუხე.

ი. ბ. სტალინის სიკვდილის შემდეგ შეიქმნა ვერსიები იმის შესახებ, რომ ზოგიერთი სარდალი და მისი შტაბი 21 ივნისის ღამით არაფერზე არ ეპვობდნენ და მშვიდად ეძინათ ან უდარდელად მხიარუ-

ლობდნენ. ეს არ შეეფერება სინამდვილეს. უკანასკნელი მშვიდობიანი ღამე სულ სხვაგვარი იყო. როგორც უკვე აღვნიშნე, კრემლიდან დაბრუნების შემდეგ ჩვენ, სახალხო კომისარი და მე არაერთხელ ველაპარაკეთ მაღალი სიხშირის ტელეფონით ოლქების სჯრდლებს თ. ი. კუზნეცოვს, და დ. გ. პავლოვს, მ. პ. კირპონოსს და მათი შტაბების უფროსებს, რომლებიც ფრონტების საკომანდო პუნქტებზე იმყოფებოდნენ.

22 ივნისს გათენებამდე სახალხო კომისარი ს. კ. ტიმოშენკო, ნ. თ. ვატუტინი და მე თავდაცვის სახალხო კომისრის კაბინეტში ვიყავით.

3 საათსა და 17 წუთზე მაღალი სიხშირის ტელეფონით დამირეკა შავი ზღვის ფლოტის სარდალმა ადმირალმა თ. ს. ოქტიაბრსკიმ და მაცნობა: „ფლოტის საჰაერო თვალთვალის, შეტყობინებისა და კავშირის სისტემა მოგახსენებთ, რომ შავი ზღვის მხრიდან გვიახლოვდებიან დიდი რაოდენობის უცნობი თვითმფრინავები; ფლოტი სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია. გთხოვთ მითითებას“.

ადმირალს ვკითხე:

— როგორია თქვენი გადაწყვეტილება?

— გადაწყვეტილება ერთია. თვითმფრინავებს შეეხვდეთ ფლოტის ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის ცეცხლით.

ს. კ. ტიმოშენკოს მოველაპარაკე და მე თ. ს. ოქტიაბრსკის ვუთხარი:

— იმოქმედეთ და მოახსენეთ თქვენს სახალხო კომისარს.

3 საათსა და 30 წუთზე დასავლეთის ოლქის შტაბის უფროსმა გენერალმა ვ. ე. კლიმოვსკიხმა მოგვახსენა, რომ გერმანელთა ავიაცია თავს დაესხა ბელორუსიის ქალაქებს. სამი წუთის შემდეგ კიევის ოლქის შტაბის უფროსმა გენერალმა მ. ა. პურკაევმა მოგვახსენა, რომ ავიაცია თავს დაესხა უკრაინის ქალაქებს. 3 საათსა და 40 წუთზე დარეკა ბალტიისპირეთის ოლქის სარდალმა გენერალმა თ. ი. კუზნეცოვმა, რომელმაც მომახსენა, რომ მტრის ავიაცია თავს დაესხა კაუნასს და სხვა ქალაქებს.

სახალხო კომისარმა მიბრძანა, დამერეკა ი. ბ. სტალინისათვის, ვრეკავ. ტელეფონთან არავინ არ მოდის. ვრეკავ განუწყვეტლივ. როგორც იქნა, მესმის დაცვის სამმართველოს მორიგე გენერლის ნამძინარევი ხმა. მას ვთხოვე ტელეფონთან ი. ბ. სტალინი მოსულიყო.

სამი წუთის შემდეგ აპარატთან ი. ბ. სტალინი მოვიდა.

მე მოვახსენე ვითარება და ვთხოვე ნებართვა, დაგვეწყო საპასუხო საომარი მოქმედებანი. ი. ბ. სტალინი ხმას არ იღებს. მე მხოლოდ მისი სუნთქვა მესმის.

— თქვენ მე გამიგეთ?

კვლავ დუმილი.

ბოლოს ი. ბ. სტალინი მეკითხება:

—სახალხო კომისარი სადაა?

— მაღალი სიხშირის ტელეფონით ელაპარაკება კიევის ოლქს.

— მოდით კრემლში ტიმოშენკოსთან ერთად. გადაეცით პოსკრებიშევს, რომ პოლიტბიუროს ყველა წევრი გამოიძახოს.

4 საათზე ხელახლა ველაპარაკები თ. ს. ოქტიაბრსკის. მან მშვიდი ხმით მომახსენა:

— მტრის თავდასხმა მოგერიებულია. გემებზე დარტყმის ცდა ჩაიფუშა. მაგრამ ქალაქში ნგრევაც არის.

მინდა აღვნიშნო, რომ შავი ზღვის ფლოტი ადმირალ თ. ს. ოქტიაბრსკის მეთაურობით იყო ჩვენი ერთ-ერთი პირველი გაერთიანებათაგანი, რომელიც ორგანიზებულად შეხვდა მტრის თავდასხმას.

4 საათსა და 10 წუთზე დასავლეთის და ბალტიისპირეთის ოლქებმა მოგვახსენეს, რომ ოლქების სახმელეთო უბნებზე დაიწყო გერმანელთა ჯარების საბრძოლო მოქმედებანი.

დილის 4 საათსა და 30 წუთზე პოლიტბიუროს ყველა გამოძახებული წევრი შეიკრიბა. მე და სახალხო კომისარს კაბინეტში გვთხოვეს.

ი. ბ. სტალინი გაფითრებული იჯდა მაგიდასთან და ხელში თაპბაქოთი დატენილი ჩიბუხი ეკავა. მან თქვა:

— სასწრაფოდ უნდა დავრეკოთ გერმანიის საელჩოში.

საელჩოდან გვიპასუხეს, რომ ელჩი გრაფი ფონ შულენბურგი მიღებას ითხოვს სასწრაფო ამბის გამო.

ელჩის მიღება ვ. მ. მოლოტოვს მიანდვეს.

ამასობაში გენერალური შტაბის უფროსის პირველმა მოადგილემ გენერალმა ნ. თ. ვატუტინმა გადმოგვცა, რომ გერმანელთა სახმელეთო ჯარები ძლიერი საარტილერიო ცეცხლის შემდეგ ჩრდილო-დასავლეთისა და დასავლეთის მიმართულებათა მთელ რიგ უბნებზე შეტევაზე გადმოვიდნენო.

ცოტა ხნის შემდეგ კაბინეტში სწრაფად შემოვიდა ვ. მ. მოლოტოვი:

— გერმანიის მთავრობამ ომი გამოგვიცხადა.

ი. ბ. სტალინი სკამზე დაეშვა და ღრმად ჩაფიქრდა.

ხანგრძლივი, მძიმე პაუზა ჩამოვარდა.

მე გავბედე დამერღვია ეს გაჭიანურებული დუმილი და წინადადება წამოვაყენე, საზღვრისპირა ოლქებში არსებული ყველა ძალებით დაუყოვნებლივ თავს დავტყდომოდით მოწინააღმდეგის შემოჭრილ ნაწილებს და შეგვეჩერებინა მათი შემდგომი წინსვლა.

— კი არ შევაჩეროთ, არამედ გავანადგუროთ, — დააზუსტა ს. კ. ტიმოშენკომ.

— გაეცით დირექტივა, — თქვა ი. ბ. სტალინმა.

22 ივნისს 7 საათსა და 15 წუთზე თავდაცვის სახალხო კომისრის

№ 2 დირექტივა გადაეცა ოლქებს. მაგრამ არათანაბარი ძალებისა და შექმნილი მდგომარეობის გამო იგი აშკარად არარეალური აღმოჩნდა და ამიტომაც ვერ განხორციელდა ცხოვრებაში.

ცოტა უფრო გვიან ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ 22 ივნისს გათენებამდე დასავლეთის საზღვრისპირა ყველა ოლქში დარღვეულ იქნა ჯარებთან სადენიანი კავშირგაბმულობა და ოლქების შტაბებსა და არმიებს შესაძლებლობა არ გააჩნდათ სწრაფად გადაეცათ თავიანთი განკარგულებანი. გერმანელების მიერ ჩვენს ტერიტორიაზე შემოგზავნილი აგენტურა და დივერსიული ჯგუფები არღვევდნენ სადენიან კავშირგაბმულობას, სპობდნენ კავშირგაბმულობის დელეგატებს და თავს ესხმოდნენ საბრძოლო განგაშის ხმაზე ახლად გამოღვიძებულ მეთაურებს. რადიოსაშუალებებით, როგორც უკვე აღვნიშნე, საზღვრისპირა ოლქების დიდი ნაწილი არ იყო უზრუნველყოფილი.

ოლქების შტატებში სხვადასხვა წყაროებით შემოსვლა იწყო სრულიად განსხვავებულმა ცნობებმა, რომლებიც ხშირად პროვოკაციული ხასიათისა იყო.

გენერალურმა შტაბმა, თავის მხრივ, ვერ მოახერხა, რომ ოლქების შტაბებისა და ჯარებისაგან მიეღო სწორი ცნობები და, ბუნებრივია, ამას არ შეეძლო უმაღლესი სარდლობა და გენერალური შტაბი რომელიღაც მომენტში არ ჩაეყენებინა მძიმე მდგომარეობაში.

22 ივნისს დილის 8 საათზე გენერალურმა შტაბმა დაადგინა, რომ:

— მოწინააღმდეგის ბომბდამშენი ავიაციის ძლიერი დარტყმა განიცადა ბელორუსიის, კიევისა და ბალტიისპირეთის ბევრმა აეროდრომმა, სადაც, უპირველეს ყოვლისა, სერიოზულად დაზიანდა ავიაცია, რომელმაც ვერ მოასწრო ჰაერში აფრენა და საველე აეროდრომებზე განლაგება;

— დაბომბვა განიცადა ბალტიისპირეთის, ბელორუსიისა და უკრაინის ბევრმა ქალაქმა და სარკინიგზო კვანძმა, სამხედრო-საზღვაო ბაზებმა სევასტოპოლსა და ბალტიისპირეთში;

— გააფთრებული ბრძოლა გაჩაღდა გერმანელების სახმელეთო ჯარებთან ჩვენი დასავლეთის საზღვრის მთელ ტერიტორიაზე. ბევრ უბანზე გერმანელებმა უკვე ბრძოლა გაუმართეს წითელი არმიის მეწინავე ნაწილებს;

— დაცვის პირველ ეშელონში შემავალმა მსროლელმა ნაწილებმა, რომლებიც საბრძოლო განგაშისთანავე ფეხზე დადგნენ, მოსამზადებელი პოზიციების დაკავებაც კი ვერ მოასწრეს და პირდაპირ ჩაებნენ ბრძოლაში;

— ლენინგრადის სამხედრო ოლქის უბანზე ჯერჯერობით სიმშვიდეა, მოწინააღმდეგეს არაფრით არ გამოუმჟღავნებია თავი.

ს. კ. ტიმოშენკომ დაურეკა ი. ბ. სტალინს და თხოვა ხებართვა

მისულიყო კრემლში, რათა მოეხსენებინა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების პროექტი ჩვენს ქვეყანაში მობილიზაციის ჩატარებისა და მთავარსარდლობის ბანაკის შესახებ, აგრეთვე განეხილათ ზოგიერთი სხვა საკითხი.

9 საათზე ჩვენ, მე და სახალხო კომისარი კრემლში მივედით. ნახევარი საათის შემდეგ ჩვენ ი. ბ. სტალინმა მიგვიღო.

გაეცნო რა ვითარებას, მან თქვა:

— 12 საათზე ე. მ. მოლოტოვი გამოვა რადიოთი.

ი. ბ. სტალინმა წაიკითხა ბრძანებულება მობილიზაციის ჩატარების შესახებ, ნაწილობრივ შეამცირა გენერალური შტაბის მიერ გათვალისწინებული მისი redენობა და ბრძანებულება ა. ნ. პოსკრებიშევს გადასცა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში დასამტკიცებლად. ბრძანებულებით 23 ივნისიდან ცხადდებოდა 1905-1918 წლებში დაბადებულ სამხედრო ვალდებულთა მობილიზაცია თოთხმეტი ოლქის, ესე იგი თითქმის ყველა სამხედრო ოლქის ტერიტორიაზე, გარდა შუა აზიის, იმიერბაიკალისა და შორეული აღმოსავლეთის ოლქებისა, ამასთან შემოღებულ იქნა სამხედრო მდგომარეობა ჩვენი ქვეყნის ევროპულ ნაწილში. აქ სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ფუნქცია თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნებისა და სახელმწიფო უშიშროების დარგში სამხედრო ძალაუფლების ხელში გადადიოდა. მას უფლება მიენიჭა ჩაება მშრომელები. ტრანსპორტის ყველა საშუალება თავდაცვითი სამუშაოების ჩასატარებლად და დიდმნიშვნელოვანი სამხედრო და სახალხო-სამეურნეო ობიექტების დასაცავად.

მთავარსარდლობის ბანაკის შექმნის დადგენილების პროექტი ი. ბ. სტალინმა თავისთან შეინახა, თქვა, პოლიტბიუროში განვიხილავთო.

23 ივნისს მთავარსარდლობის ბანაკის შემადგენლობა გამოცხადდა, მაგრამ ოდნავ შეცვლილი სახით, ვიდრე ჩვენ ვეარაუდობდით. ეს ცვლილებანი სახალხო კომისართან შეთანხმებული არ ყოფილა, ისე კი უნდა მიეღოთ ჩვენი პროექტი, რომელშიც მთავარსარდლად ი. ბ. სტალინის დანიშვნა იყო გათვალისწინებული.

არსებული წესის მიხედვით ხომ ი. ბ. სტალინის გარეშე სახალხო კომისარს ს. კ. ტიმოშენკოს ასე თუ ისე არ შეეძლო დამოუკიდებლად მიეღო პრინციპული გადაწყვეტილებები. გამოდიოდა ორი მთავარსარდალი: სახალხო კომისარი ს. კ. ტიმოშენკო — იურიდიული, ბრძანებულების შესაბამისად. და ი. ბ. სტალინი — ფაქტიური. ეს ართულებდა ჯარების მართვის სამუშაოს და უდავოდ იწვევდა დროის ფუჭ ხარჯვას დადგენილებების გამომუშავებისა და განკარგულებების გაცემისათვის. ჩვენი წინადადება იყო აგრეთვე ბანაკის შემადგენლობაში

შეეყვანათ გენერალური შტაბის უფროსის პირველი მოადგილე ნ. თ. ვატუტინი. ი. ბ. სტალინი არ დაგვეთანხმა.

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით მთავარსარდლობის ბანაკი შეიქმნა შემდგომი შემადგენლობით: თავდაცვის სახალხო კომისარი ს. კ. ტიმოშენკო (თავმჯდომარე), გენერალური შტაბის უფროსი გენერალი გ. კ. ჟუკოვი, ი. ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოტოვი, მარშლები კ. ე. ვოროშილოვი და ს. მ. ბუდიონი, სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარი ადმირალი ნ. გ. კუზნეცოვი.

22 ივნისს ბალტიისპირეთის, დასავლეთის და კიევის განსაკუთრებული სამხედრო ოლქები გარდაიქმნა შესაბამისად ჩრდილოეთ-დასავლეთის, დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტებად.

22 ივნისს, დაახლოებით 13 საათზე ი. ბ. სტალინმა დამირეკა და მითხრა:

— ჩვენი ფლოტის სარდლებს არ აქვთ საბრძოლო მოქმედებათა ხელმძღვანელობის საკმარისი გამოცდილება, და, როგორც ჩანს, ცოტა დაიბნენ. პოლიტბიურომ გადაწყვიტა მთავარსარდლობის ბანაკის წარმომადგენლად გაგაგზავნოთ თქვენ სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე. დასავლეთის ფრონტზე გავგზავნით მარშალ შაპოშნიკოვს და მარშალ კულიკს. შაპოშნიკოვი და კულიკი ჩემთან გამოვიძახე და მითითებანი მივეცი. თქვენ დაუყოვნებლივ უნდა გაფრინდეთ კიევს და იქიდან ხრუშჩოვთან ერთად გაემგზავროთ ტერნოპოლს — ფრონტის შტაბში.

მე ვკითხე:

— გენერალურ შტაბს ვიღა უხელმძღვანელებს ასეთ რთულ ვითარებაში?

ი. ბ. სტალინმა მიპასუხა:

— თქვენს ნაცვლად დატოვეთ ვატუტინი.

შემდეგ ცოტა არ იყოს გაღიზიანებით დაუმატა:

— დროს ნუ დაკარგავთ, ჩვენ აქ როგორმე იოლას გავალთ.

მე შინ დავრეკე, რომ ჩემთვის არ ელოდნათ, და ორმოციოდე წუთის შემდეგ უკვე ჰაერში ვიყავი. მხოლოდ ახლაღა გამახსენდა, რომ გუშინდელს აქვთ არაფერი მეჭამა. კიდევ კარგი, რომ მფრინავები გამიმასპინძლდნენ მაგარი ჩაითა და ბუტერბროდებით.

დღის ბოლოსათვის უკვე კიევში ვიყავი უკრაინის კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში, სადაც მიცდიდა ნ. ს. ხრუშჩოვი. მან მითხრა, რომ ფრენის გაგრძელება უკვე საშიში იყო. გერმანელი მფრინავები დასდევდნენ სატრანსპორტო თვითმფრინავებს. დანარჩენი გზა მანქანებით უნდა გვეევლო. როცა ნ. თ. ვატუტინისაგან მაღალი სიხშირის ტელეფონით მივიღეთ შექმნილი მდგომარეობის შესახებ უკანასკნელი მონაცემები, ტერნოპოლისაკენ გავწიეთ, სადაც ამ დროს იმყოფებოდა

სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის სარდლის გენერალ-პოლკოვნიკ მ. პ. კირპონოსის საკომანდო პუნქტი.

საკომანდო პუნქტში გვიან საღამოს მივედით, და მე მაშინვე ველაპარაკე მაღალი სიხშირის ტელეფონით ნ. თ. ვატუტინს.

აი, რა მიამბო ნიკოლოზ თეოდორეს ძემ:

— 22 ივნისს, დღის ბოლოსათვის, მიუხედავად ენერგიული ზომებისა, გენერალურმა შტაბმა მაინც ვერ მიიღო ფრონტების, არმიებისა და სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბებისაგან ზუსტი მონაცემები ჩვენი ჯარებისა და მოწინააღმდეგის შესახებ. ცნობები იმის შესახებ თუ რა სიღრმეზეა შემოკრული მოწინააღმდეგე ჩვენს ტერიტორიაზე, სრულიად ურთიერთსაწინააღმდეგოა. არ არსებობს ზუსტი მონაცემები ავიაციისა და სახმელეთო ჯარების დანაკარგების შესახებ. ცნობილია მხოლოდ, რომ ბელორუსიის ოლქის ავიაციამ განიცადა ძალზე დიდი დანაკლისი. გენერალურმა შტაბმა და სახალხო კომისარმა ვერ შეძლეს დაკავშირებოდნენ ფრონტების სარდლებს გენერალ-პოლკოვნიკ თ. ი. კუზნეცოვსა და გენერალ-პოლკოვნიკ დ. გ. პავლოვს, რომლებიც სახალხო კომისარისათვის მოუხსენებლად საღლაც ჯარებში წასულან, და ამ ფრონტების შტაბებმა არ იციან, სად იმყოფებიან ამჟამად მათი სარდლები.

საავიაციო დაზვერვის მონაცემებით, ბრძოლები მიმდინარეობს ჩვენი გამაგრებული საზღვრების რაიონებში და ნაწილობრივ 15-20 კილომეტრის სიგრძეზე ჩვენი ტერიტორიის სიღრმეში. ფრონტების შტაბების ცდას, უშუალოდ დაკავშირებოდნენ ჯარებს, წარმატება არ მოჰყოლია, რადგან არმიების უმრავლესობასთან და ცალკეულ კორპუსებთან არ იყო არც სადენიანი კავშირი და არც რადიოკავშირი.

შემდეგ გენერალმა ნ. თ. ვატუტინმა მითხრა, რომ ი. ბ. სტალინმა მოიწონა სახალხო კომისრის № 3 დირექტივის პროექტი და ბრძანა, ხელი მომეწერა მასზე.

— რა დირექტივაა? — შევეკითხე მე.

— დირექტივა ითვალისწინებს ჩვენი ჯარების გადასვლას კონტრშეტევითს მოქმედებებზე, რომლის ამოცანაა მოწინააღმდეგის განადგურება ძირითად მიმართულებებზე. ამასთან მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე გადასვლა.

— მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ზუსტად არ ვიცით, სად და როგორი ძალებით აწარმოებს მოწინააღმდეგე თავის დარტყმებს, — შევეპასუხე მე, — განა უმჯობესი არ იქნება დილამდე გავერკვეთ იმაში, რა ხდება ფრონტზე, და მხოლოდ მაშინ მივიღოთ საჭირო გადაწყვეტილება.

— მე ვიზიარებ თქვენს თვალსაზრისს, მაგრამ ეს საქმე უკვე გადაწყვეტილია.

— კეთილი, — ვუპასუხე მე, — დაუსვით ჩემი ხელმოწერა.

ეს დირექტივა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის სარდალს მიუვიდა დაახლოებით ღამის 12 საათზე. როგორც მოველოდი. ამან გამოიწვია ფრონტის შტაბის უფროსის მ. ა. პურკაევის მტკიცე წინააღმდეგობა, რომელიც თელიდა, რომ ფრონტს არ გააჩნდა ამის განხორციელებისათვის საჭირო ძალა და საშუალებანი.

შექმნილი მდგომარეობა დეტალურად იქნა განხილული ფრონტის სამხედრო საბჭოზე. მე მ. პ. კირპონოსს წინადადება მივეცი, დაუყოვნებლივ გაეცა წინასწარი ბრძანება მექანიზებული კორპუსების თავმოყრის შესახებ სოკალის რაიონში შემოჭრილ არმია „სამხრეთის" მთავარ დაჯგუფებაზე კონტრდარტყმისათვის, რომ ამისათვის გადმოესროლათ ფრონტის მთელი ავიაცია და მთავარსარდლობის შორეული ბომბდამშენი ავიაციის ნაწილი. ფრონტის სარდლობამ და ფრონტმა, სწრაფად მოამზადეს რა წინასწარი საბრძოლო განკარგულებანი, ისინი არმიებსა და კორპუსებს გადასცეს.

უნდა აღინიშნოს ფრონტის შტაბის უფროსის მ. ა. პურკაევის და ფრონტის შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსის ი. ქ. ბაგრამიანის დიდი მოქნილობა და შესანიშნავი ორგანიზატორული ნიჭი, რომელიც გამოიჩინეს მათ ომის პირველი დღის ამ მეტად რთულ ეითარებაში.

23 ივნისს დილის 9 საათზე ჩვენ მივედით მე-8 მექანიზებული კორპუსის მეთაურის გენერალ-ლეიტენანტ დ. ი. რიაბიშევის საკომანდო პუნქტში. მას კარგად ვიცნობდი ჯერ კიდევ კიევში განსაკუთრებულ სამხედრო ოლქში მუშაობის დროიდან. კორპუსის მეთაურის და შტაბის მეთაურების გამოშეტყველება მოწმობდა, რომ მათ მეტად ძნელი გზა ჰქონდათ გამოვლილი. მათ ძალზე ჩქარა გადალახეს მანძილი დროგობიჩის რაიონიდან ბროდის რაიონამდე. ისინი კარგ ხასიათზე იყვნენ. როცა დ. ი. რიაბიშევსა და შტაბის მეთაურებს ვუყურებდი, გამახსენდა სახელოვანი მე-11 სატანკო ბრიგადა, მისი უფროსი — მამაცი ბრიგადის მეთაური მ. პ. იაკოვლევი, და ის, თუ როგორ ანადგურებდნენ ისინი მოწინააღმდეგეს 1939 წელს ბაინ-ცაგანის მთასთან ხალხინ-გოლზე.

„ჰო, ეს ადამიანები იმათზე ცუდად არ იბრძოლებენ, — გავიფიქრე მე. — ოღონდ კონტრდარტყმა არ დაგვიანდეს"...

დ. ი. რიაბიშევმა რუკაზე მიჩვენა, სად და როგორ უნდა განლაგებულიყო კორპუსი. მან მოკლედ მომახსენა, რა მდგომარეობაში იმყოფებოდა მისი ნაწილები.

— კორპუსს ერთი დღე-ღამე სჭირდება სრული თავმოყრისათვის, მატერიალური ნაწილების მოსაწესრიგებლად და მარაგის შესავსებად, — თქვა მან. ამავე დღე-ღამის განმავლობაში ჩატარებულ იქნება საბრძოლო დაზვერვა და მოეწყობა კორპუსის მართვა. მაშასადა-

მე, კორპუსს შეუძლია მთელი ძალით ჩაებას ბრძოლაში 24 ივნისის დილისათვის.

— კეთილი, — ვუპასუხე მე. — რა თქმა უნდა, უკეთესი იქნებოდა კონტრდარტყმა მოგვეწყო მე-9, მე-19, და 22-ე მექანიზებულ კორპუსებთან ერთად, მაგრამ ისინი, სამწუხაროდ, საწყის რაიონებში დაგვიანებით გამოდიან. შექმნილი მდგომარეობა ნებას არ მოგვცემს მოვუცადოთ კორპუსების სრულ თავმოყრას. მოწინააღმდეგეს შეუძლია მე-8 მექანიზებული კორპუსის კონტრდარტყმას დაუპირისპიროს ძლიერი სატანკო და საartილერიო საფარი. საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ ეს გარემოება და საგულდაგულოდ დავზვეროთ ადგილმდებარეობა და მოწინააღმდეგე.

ის-ის იყო დ. ი. რიაბიშევს რაღაც უნდოდა ეთქვა ჩემთვის, რომ გაისმა ბრძანება: „ჰაერი!“

— ესეც შენი ხარება, ბებიკო, — მშვიდად შენიშნა დიმიტრი ივანეს ძემ, — ჩვენ კი ჯერ საჰაერო თავდაცვის თხრილებიც კი არ მოგვიმზადებია. ასე რომ, ამხანაგო არმიის გენერალო, მე და თქვენ შეგვიძლია პირობითად ჩავთვალოთ, რომ უკვე თხრილში ვართ თავშეფარებულნი.

— თქვენ, დიმიტრი ივანეს ძევ, რაღაცის თქმა გინდოდათ?

— მინდოდა შემომეთავაზებინა, იქნებ ცოტა გვეჭამა რამე?

— კარგი აზრია. მგონი მანქანაში რაღაც უნდა მქონდეს.

კარავში შემოვიდნენ კორპუსის შტაბის უფროსი და შტაბის სხვა მეთაურები. მათ სალმის მოცემაც ვერ მოსწრეს, რომ გაისმა გერმანული მოპიკირე ბომბდამშენის დამახასიათებელი ღმუილი და საავიაციო ბომბების აფეთქებათა ხმა. შეიმჩნეოდა მხოლოდ საქმიანი დაძაბულობა. ისინი დაახლოებით ისევე გრძნობდნენ თავს, როგორც საველე მეცადინეობებზე.

„ყოჩაღ, — გავიფიქრე მე. — ასეთი ადამიანები ომს არ აგებენ“...

რაკი კორპუსის მეთაურს შევუთანხმდით პრინციპულ საკითხებში, სალამოსათვის ტერნოპოლში, ფრონტის საკომანდო პუნქტში დავბრუნდით.

ფრონტის შტაბის უფროსმა გენერალ-ლეიტენანტმა მ. ა. პურკაევმა და ფრონტის სარდალმა გენერალ-პოლკოვნიკმა მ. პ. კირპონოსმა მომახსენეს:

— ფრონტის ყველა უბანზე მიმდინარეობს ბრძოლა. მთავარი უაღრესად გააფთრებული ბრძოლები სწარმოებს ბროდ-დუბნო-ვლადიმირ-ვოლინსკის რაიონში. მე-9 და მე-19 მექანიზებული კორპუსები 25 ივნისს გადიან ტყეებში როვნოს რაიონში. ჩვენ გადავწყვიტეთ, — თქვა ფრონტის სარდალმა, — არ დავუცადოთ კორპუსების სრულ თავმოყრას და 24 ივნისს დავიწყოთ კონტრდარტყმა კლევანზე და დუბნოზე. მე-5 არმიის სარდალმა, გარდა 22-ე მექანიზებული კორპუსისა, უნ-

და გაერთიანოს მე-9 და მე-19 კორპუსების მოქმედება და საჭირო დახმარება აღმოუჩინოს მათ.

გადაწყვეტილება გონივრული იყო, და მე თანხმობა განვუცხადე ფრონტის სარდლობას, თუმცა წინადადება მივეცი, შემოწმებულიყო ურთიერთმოქმედების უზრუნველყოფა ფრონტის კორპუსებსა და ავიაციას შორის.

24 ივნისს დ. ი. რიაბიშევის მე-8 მექანიზებული კორპუსი შეტევაზე გადავიდა ბერესტეჩკოს მიმართულებით. ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებდით ამ კორპუსზე. იგი სხვებზე უკეთ იყო დაკომპლექტებული უახლესი სატანკო ტექნიკით და არცთუ ცუდად გაწვრთნილი. მე-15 მექანიზებული კორპუსი გენერალ ი. ი. კარპეზოს სარდლობით უტევდა რადეხოვის აღმოსავლეთით. ამ კორპუსების დარტყმა, კერძოდ, მე-8 მექანიზებული კორპუსის წარმატებითი მოქმედება ძალზე მალე იგრძნეს გერმანელთა ჯარებმა. ამან განსაკუთრებით თავი იჩინა 57-ე ქვეითი დივიზიის განადგურების შემდეგ, რომელიც კლაისტის ჯგუფის 48-ე მოტოკორპუსის მარჯვენა ფლანგს იფარავდა.

გერმანელთა 48-ე მოტოკორპუსი ამ დღეს საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და ჰიტლერელები იძულებული გახდნენ ჩვენი კონტრდარტყმისათვის დაეპირისპირებინათ მთელი თავიანთი ავიაცია, რამაც იხსნა კიდეც ისინი განადგურებისაგან. მოწინააღმდეგე იძულებული გახდა, საბჭოთა ნაწილების წინააღმდეგ დამატებით გადმოესროლა 44-ე საარმიო კორპუსი და სხვა ჯარები.

აი, რა ჩაიწერა იმ დღეს სამსახურებრივ დღიურში გერმანელთა არმიის სახმელეთო ძალების გენერალური შტაბის უფროსმა გენერალ-პოლკოვნიკმა ჰალდერმა:

„მოწინააღმდეგეს განუწყვეტლივ გადმოჰყავს სიღრმიდან ახალ-ახალი ძალები ჩვენი სატანკო სოლის წინააღმდეგ... მოწინააღმდეგე, როგორც მოსალოდნელი იყო, ტანკების მნიშვნელოვანი ძალებით შეტევაზე გადმოვიდა 1-ლი სატანკო ჯგუფის სამხრეთის ფლანგზე. ცალკეულ უბანზე აღნიშნულია ადგილგადანაცვლება“.

ასე, სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარებმა წარმატებით განახორციელეს ერთ-ერთი პირველი კონტრდარტყმათაგანი მოწინააღმდეგეზე. მისი ძალა შეიძლებოდა უფრო მეტი ყოფილიყო, ფრონტის სარდლობას მექანიზებულ კორპუსებთან ურთიერთმოქმედებისათვის გაცილებით ძლიერი ავიაცია რომ ჰყოლოდა და თუნდაც კიდევ ერთი ან ორი მსროლელი კორპუსი.

ვიმყოფებოდით რა სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის საკომანდო პუნქტში, მთავარი ყურადღება მივმართეთ დუბნოს მიმართულებით, სადაც გაიმართა უკრაინისათვის ძირითადი ბრძოლები.

მე-6 არმიის სარდალ გენერალ ი. ნ. მუზიჩენკოსთან და 26-ე არმი-

ის სარდალ გენერალ თ. ი. კოსტენკოსთან ტელეფონით ლაპარაკიდან ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ შეტევაზე გადმოსულმა მოწინააღმდეგის მე-17 არმიამ მთავარი დარტყმა წარმართა ლვოვის მიმართულებით. ტყვე გერმანელების ჩვენებით, რავა-რუსკაიას ხელში ჩაგდებით მათი სარდლობა ვარაუდობდა ბრძოლაში ჩაება მე-14 მოტორიზებული კორპუსი.

რავა-რუსკაიას გამაგრებულ რაიონს ომის პირველი წუთებიდან იცავდა 35-ე და მე-140 ცალკეული სატყვიამფრქვევო ბატალიონები, გენერალ-მაიორ გ. ნ. მიკუშევის 41-ე მსროლელი დივიზია და მაიორ ი. დ. მალოს მესაზღვრეთა რაზმი.

გერმანელთა მე-17 არმიის სარდლობამ ამ უბანზე ხუთი ქვეითი დივიზია გაშალა. მიუხედავად ძლიერი საარტილერიო ცეცხლისა, საავიაციო დარტყმებისა და დაჟინებული. იერიშებისა, მტრის ჯარები ვერ ახერხებდნენ გამაგრებული რავა-რუსკაიას რაიონის ხელში ჩაგდებას და 41-ე მსროლელი დივიზიის წინააღმდეგობის გატეხვას. 22 ივნისს დღის მეორე ნახევარში 41-ე დივიზია, რომელსაც თავის შემადგენლობაში ჰყავდა ორი საარტილერიო პოლკი, დამატებით გაძლიერებული იქნა 209-ე კორპუსის საარტილერიო პოლკით, რომელიც შეიარაღებული იყო 152-მილიმეტრიანი ქვემეხებით. მოწინააღმდეგის ჯარებმა ამ დღეს დიდი დანაკლისი განიცადეს, მაგრამ წარმატებას მაინც ვერ მიაღწიეს.

პერემიშლის გამაგრებულ რაიონს იცავდა 52-ე და 150-ე ცალკეული სატყვიამფრქვევო ბატალიონები და 92-ე მესაზღვრეთა რაზმი. გამაგრებული რაიონის ნაწილებმა თავიანთი ნაგებობანი დაიკავეს 22 ივნისს დილის 6 საათზე და მესაზღვრეებთან და მუშათა და მოსამსახურეთა შეიარაღებულ რაზმებთან ერთად პირველებმა სწორედ მათ გადაიტანეს მტრის ცეცხლი და იერიშები.

ქალაქის მამაცი დამცველები რამდენიმე საათს აკავებდნენ მოწინააღმდეგის ჭარბი ძალების მოწოლას. შემდეგ 92-ე მესაზღვრეთა რაზმის უფროსის ბრძანებით მათ ქალაქიდან დაიხიეს, სადაც კვლავ შეაკავეს მოწინააღმდეგე. ამან შესაძლებელი გახადა პერემიშლთან პოლკოვნიკ ნ. ი. დემენტიევის 99-ე მსროლელი დივიზიის თავმოყრა. 23 ივნისს მესაზღვრეთა ნაკრებ ბატალიონთან ერთად მან კონტრდარტყმა აგემა ფაშისტებს და ქალაქიდან გარეკა.

23 ივნისს გერმანელებმა განაახლეს იერიშები, განსაკუთრებით ძლიერი — რავა-რუსკაიას მიმართულებით. აქა-იქ მტრის ნაწილებმა მოახერხეს სოლისებურად შეკრილიყვნენ 41-ე დივიზიის თავდაცვაში, მაგრამ გენერალ გ. ნ. მიკუშევის მტკიცე ხელმძღვანელობის წყალობით მოწინააღმდეგე კონტრშეტევით კვლავ უკუგდებულ იქნა საწყის პოზიციებზე.

მაგრამ ამ დღის დამლევისათვის გერმანელთა ჯარებმა მონახეს სუს-

ტი ადგილი: მათ ძლიერი დარტყმა განახორციელეს რავა-რუსკაიასა და პერემიშლის რაიონების შესაყარზე, რომელსაც იცავდა 97-ე და 159-ე მსროლელი დივიზიები. ამ უკანასკნელს, რომელიც გაშლის სტადიაში იმყოფებოდა, თავის შემადგენლობაში ჰყავდა თადარიგის გაუწვრთნელ ჯარისკაცთა მნიშვნელოვანი რაოდენობა. ვერ შესძლო რა გაეძლო მოწინააღმდეგის იერიშისათვის, 159-ე მსროლელმა დივიზიამ უკანდახევა დაიწყო, რითაც მძიმე სიტუაცია შეუქმნა მეზობელ ნაწილებს. მე-6 არმიის სარდლის გენერალ ი. ნ. მუზიჩენკოს მიერ მიღებულმა კონტრლონისძიებებმა მდგომარეობა ვერ გამოასწორა, და 24 ივნისის მიწურულს თავდაცვის გარღვევამ აქ 40 კილომეტრს მიაღწია.

რავა-რუსკაიასა და პერემიშლის გამაგრებული რაიონები ჯერ კიდევ განაგრძობდნენ მტრის იერიშების წარმატებით მოგერიებას. 99-ე დივიზიას, რომელმაც დიდი ზარალი მიაყენა მოწინააღმდეგეს, თავისი ტერიტორიის ერთი გოჯიც არ დაუთმია. გმირული მოქმედებისათვის იგი დაჯილდოებულ იქნა წითელი დროშის ორდენით.

ასევე წარმატებით მოქმედებდა 41-ე მსროლელი დივიზიაც. მხოლოდ 159-ე დივიზიის უბანზე მტრის ჯარების მნიშვნელოვანი ჯგუფის სოლისებურ შემოჭრასთან და გამაგრებული რაიონებისადმი გარშემოვლის საფრთხესთან დაკავშირებით 27 ივნისის წინაღამეს იგი ფრონტის სარდლობის მიერ დაბრუნებულ იქნა ზურგის ზღუდეებზე.

რაც შეეხება 99-ე მსროლელ დივიზიას, იგი პერემიშლს ინარჩუნებდა 23—28 ივნისის განმავლობაში, და მხოლოდ 29 ივნისს დილით სარდლობის ბრძანებით დატოვა ქალაქი.

25-26 ივნისს საბრძოლო მოქმედებანი სულ უფრო ძლიერდებოდა. მოწინააღმდეგემ აქ გადმოისროლა საბრძოლო ავიაციის დიდი ნაწილი. ჰაერში და მიწაზე წარმოებდა გააფთრებული შეტაკებანი. ორივე მხარე დიდ ზარალს განიცდიდა. ხშირად გერმანელების ავიაცია ვერ უძლებდა ჩვენი მფრინაველების გაბედულ დარტყმებს და თავის აეროდრომებზე ბრუნდებოდა.

დუბნოს რაიონში მოწინააღმდეგის მეწინავე ნაწილების გამოსვლასთან დაკავშირებით გენერალმა დ. ი. რიაბიშევმა ბრძანება მიიღო, დაეძრა იქითკენ თავისი მე-8 კორპუსი. მე-15 მექანიზებულ კორპუსსაც ძირითადი ძალები დამიზნებული ჰქონდა ბერესტეჩკოს საერთო მიმართულებით და შემდეგ კი დუბნოსაკენ. დუბნოს რაიონში გაიგზავნა აგრეთვე იმხანად მოსული 36-ე მსროლელი და მე-19 მექანიზებული კორპუსები. გააფთრებული ბრძოლები დუბნოს რაიონში 27 ივნისს დაიწყო.

გერმანელებმა მაშინვე გააძლიერეს თავიანთი ჯარები 55-ე საარმიო კორპუსით. რამაც სრული განადგურებისაგან იხსნა მტრის დუბნოს დაჯგუფება. დიდი ზარალის გამო მოწინააღმდეგე იძულებული გახდა

მოეხსნა თავისი ჯარები სხვა მიმართულებებიდან და დუბნოსაკენ გადაესროლა.

ჩვენმა ჯარებმა ვერ შესძლეს მთლიანად გაენადგურებინათ მტერი და შეეჩერებინათ მისი შეტევა, მაგრამ მთავარი მაინც გაკეთებულ იქნა: მტრის დამკვრელი დაჯგუფება, რომელიც მიისწრაფოდა უკრაინის დედაქალაქისაკენ, შეაჩერეს და სისხლისაგან დაცალეს ბროდი-დუბნოს რაიონში.

24 ივნისს 17 საათზე „ბოდოთი" ველაპარაკე მე-5 არმიის სარდალ გენერალ მ. ი. პოტაპოვს.

ვიდრე საუბრის შინაარსს გადმოვცემდე, მინდა ვთქვა, რომ მიხეილ ივანეს ძე უაღრესად გამოცდილი გენერალი იყო, რომელსაც საკმაო პრაქტიკა ჰქონდა მიღებული მდინარე ხალხინ-გოლზე ბრძოლებში. ეს იყო გაბედული და წინდახედული არმიის სარდალი, და შემთხვევითი არ იყო, რომ მე-5 არმიას კარგად იცნობდა გერმანელთა სარდლობა, რომელსაც არაერთხელ უგემნია მისი საგრძნობი დარტყმები.

მე მოკლედ გადმოვცემ ჩვენს საუბარს, საკმაოდ ტიპიერს ომის პირველი დღეებისათვის.

აპარატთანაა მ. ი. პოტაპოვი.

„ეუკოვი. მომახსენეთ რა ვითარებაა.

პოტაპოვი. ვლადოვა-უსტილუგის ფრონტზე მოქმედებს ხუთამდე ქვეითი დივიზია და ორიათასამდე ტანკი.[1] მტრის ტანკების მთავარი დაჯგუფება დუბენკა-გოროდლოს ფრონტზე უსტიგულიდან სოკოლამდე მოქმედებს ექვსამდე ქვეითი დივიზია მე-14 ჯავშანსატანკო დივიზიის ჩათვლით. ამ ჯავშანსატანკო დივიზიის მთავარი მიმართულებაა ვლადიმირ-ვოლინსკ-ლუცკი. მე-5 და მე-6 არმიების შესაყართან გაურკვეველი რაოდენობის მექანიზებული ნაწილებია. მოწინააღმდეგე მთავარ დარტყმას წარმართავს ვლადიმირ-ვოლინსკ-ლუცკის მიმართულებით, დამხმარეს — ბრესტ-ლიტოვსკიდან კოველზე.

მოგახსენებთ ჩვენი არმიის ნაწილების მდგომარეობას 1941 წლის 24 ივნისის 14 საათისა და 20 წუთისათვის.

ფედიუნინსკის უკავია ფრონტი პულემეც-კუსნიშჩი-ვიშნევ-ნიკიტიჩი. მის 87-ე მსროლელ დივიზიას ორი პოლკით უკავია გამაგრებული რაიონები უსტილუგის რაიონში და ალყაში მოქცეული აწარმოებს ბრძოლას; იგი განიცდის საბრძოლო მასალების ნაკლებობას.

124-ე დივიზიის შესახებ ცნობები გუშინდელ საღამოს შემდეგ არ მომეპოვება.

41-ე სატანკო დივიზიას ბრძოლის შემდეგ მაცეიუვ—სადგურ კოშარის რაიონში წესრიგში მოჰყავს თავისი მატერიალური ნაწილი.

---

[1] ტანკების შესახებ ცნობები შეტისმეტად გაზეიადებული აღმოჩნდა.

135-ე დივიზიას 14 საათსა და 00 წუთიდან მე-19 სატანკო და 87-ე მსროლელი დივიზიის ერთ პოლკთან ურთიერთმოქმედებით და 1-ლი ტანკსაწინააღმდეგო ბრიგადისა და კორპუსის მთელი არტილერიის ხელშეწყობით იერიში მიაქვს ვლადიმირ-ვოლინსკის მიმართულებით.

ლუცკს აქვს წრიული, მაგრამ ძალზე სუსტი თავდაცვა. მთავარი, რისაც მე მეშინია, ესაა მტრის სატანკო ნაწილების დარტყმა სამხრეთიდან ლუცკის მიმართულებით, რაც შექმნის ორ ფრონტზე ბრძოლის საშიშროებას.

სამხრეთის მიმართულებით დარტყმის მოსაგერიებლად მე არავითარი ძალები არ გამაჩნია.

გთხოვთ გააძლიეროთ ჩვენდამი დახმარება ბომბდამშენი ავიაციის მოქმედებებით და არ დაუშვათ სატანკო ნაწილების გადასვლა დუბენკა-გოროდლოს ფრონტზე, შეაკავოთ სატანკო ნაწილების წინსვლა ბრესტ-ლიტოვსკის მიმართულებით და მოიერიშე და გამანადგურებელი ავიაციის მოქმედებებით დაგვეხმაროთ მოწინააღმდეგის ვლადიმირ-ვოლინსკის დაჯგუფების მოსპობაში.

მე არავითარი რეზერვი არ გამაჩნია. მე-9 მექანიზებული კორპუსი, რომელსაც აქვს ორასამდე ძველი ტანკი, ოლიკის რაიონში ორ დღე-ღამეზე ადრე ვერ მოიყრის თავს.

სატელეფონო კავშირი უველგან მოშლილია, როგორც კი აღვადგენთ, მოწინააღმდეგე ავიაციის მოქმედებით კვლავ არღვევს მას.

რადიოთი მყარი კავშირი მაქვს მსროლელ კორპუსებთან...

გთხოვთ მითითებებს შემდგომი მოქმედებებისათვის.

ეუკოვი. პ ი რ ვ ე ლ ი. მარჯვნივ განლაგებული მეზობელი ბრძოლას აწარმოებს პრუეან-გოროდეცის რაიონში.

მოწინააღმდეგის ძალების შემოქრა ბრესტიდან კოველზე კორობკოვის არასაკმაო ორგანიზებული მოქმედების შედეგია.

თქვენ უნდა შეაბრუნოთ ფლანგი ბრესტ-ლიტოვსკის მიმართულებით და ჩაკეტოთ კოველის მისადგომები.

მ ე ო რ ე. მეზიჩენკო აწარმოებს წარმატებით ბრძოლებს კამიონკის, სტრუმილოვის, რავა-რუსკაიას ჩრდილოეთით და სახელმწიფო საზღვრის გაყოლებით. მოწინააღმდეგემ, ბრძოლაში ჩაბა ტანკების ძლავრი ჯგუფი, გაარღვია მე-5 და მე-6 არმიებს შორის შესაყარი და ცდილობს ხელთ იგდოს ბროდი.

მ ე ს ა მ ე. კარპეზო და რიაბიშევი აწარმოებენ კონტრდარტყმებს შემდეგი მიმართულებებით: კარპეზო ბროდის გავლით ჩრდილო-დასავლეთით, ძირითადი ბრძოლები ამჟამად, როგორც ჩანს, წარმოებს ბროდის ჩრდილო-დასავლეთიდან ხუთმეტიოდე კილომეტრით; რიაბიშევი უფრო მარცხნივ — ჩრდილოეთის მიმართულებით. ეს მანევრი თქვენ დახმარებას გაგიწევთ.

კონტრდარტყმის მიზანი ის არის, რომ განადგურებულ იქნას მოწინააღმდეგე ბროდ-კრისტინოპოლის რაიონში და ჩრდილოეთის გაყოლებით, რითაც თქვენ შესაძლებლობა მოგეცემათ წესრიგში მოიყვანოთ ნაწილები და მოაწყოთ მყარი ფრონტი... ლუცკის რაიონში, მის ჩრდილოეთით და სამხრეთით, გამოყვანილ იქნება მე-19 და მე-9 მექანიზებული კორპუსები და ორი მსროლელი კორპუსი თქვენი დაჯგუფების გასაძლიერებლად.

რაც შეეხება ავიაციას, მიღებული იქნება ზომები.

რადიოთი თქვენგან არაფერი მიგვიღია და არ გაგვიშიფრავს.

საჭირო იქნება თვითმფრინავით სპეციალისტის გამოგზავნა რადიოგადაცემაში და გაშიფრვაში ტექნიკურ უთანხმოებათა გამოსარკვევად.

ვიმეორებ: მტკიცედ ჩაკეტეთ ჩრდილოეთიდან კოველის მისადგომები, ნუ გადახვალთ უტანკებოდ კონტრიერიშებზე მსროლელ დივიზიებთან ერთად, რადგან ეს არაფერს მოგცემთ. საჭიროა 87-ე მსროლელი დივიზიისათვის ჭურვებითა და საბრძოლო მასალებით დახმარება. იფიქრეთ, ხომ არ შეიძლება ღამით მისი ალყიდან გამოყვანა.

როგორ მოქმედებენ თქვენი KB, ატანენ თუ არა გერმანელთა ტანკების ჯაჭვანში და დაახლოებით რამდენი ტანკი დაკარგა მოწინააღმდეგემ თქვენს ფრონტზე?

პოტაპოვი. მე მემორჩილება მე-14 ავია-დივიზია, რომელსაც დღეს დილისათვის გააჩნდა 41 თვითმფრინავი. ფრონტის ბრძანებაში აღნიშნულია, რომ ჩვენ გვიფარავენ 62-ე და მე-18 ბომბდამშენი დივიზიები. ჩემთვის ცნობილი არ არის, სად იმყოფებიან ისინი, მათთან კავშირი არა მაქვს.

KB დიდი ტანკები 30 გვაქვს. ყველა ისინი უჭურვებოდ არიან 152 მილიმეტრიანი ქვემეხებისათვის.

მე მაქვს ტანკები T 26 და BT, უმთავრესად ძველი მარკის, მათ შორის ორკოშკურიანებიც.

განადგურებულია მოწინააღმდეგის დაახლოებით ასამდე ტანკი.

თქვენი ბრძანება ჩემთვის ნათელია: მხოლოდ ვშიშობ, მოვასწრებ თუ არა შეეაბრუნო ფედიუინსკის მარჯვენა ფლანგი და მტკიცედ ჩაკეტო მისასვლელები ჩრდილოეთიდან. მოწინააღმდეგის ტანკები ხომ ამ დროისათვის უკვე რატნოს რაიონში იქნებიან. ყოველ შემთხვევაში მე დაუყოვნებლივ ყოველ ზომებს მივიღებ ბრძანების შესასრულებლად.

ეუკოვი. KB 152 მილიმეტრიანი ქვემეხები ისვრიან 09—30 ჰ. ჭურვებს, ამიტომ უბრძანეთ გასცენ დაუყოვნებლივ ბეტონგამტარი ჭურვები 09—30 ჰ. დასცხეთ ისინი. მთლად დაამსხვრევთ მოწინააღმდეგის ტანკებს.

დანარჩენის მხრივ დახმარებას აღმოგიჩენთ.
მე თქვენი და ნიკიშევის დიდი იმედი გაქვს.
ამალამ, ან ხვალ თქვენთან ვიქნები. ნახვამდის".

რათა განეგრძო შეტევა კიევის მიმართულებით, გერმანელთა სარდლობამ სტრატეგიული რეზერვებიდან გადაისროლა ჯარების მნიშვნელოვანი ჯგუფი და ასობით ტანკი ეკიპაჟებით ფონ კლაისტის ნაწილების შესავსებად.

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარებს უფრო უკეთ რომ ჰქონოდათ ორგანიზებული სახმელეთო და საჰაერო დაზვერვა, და აგრეთვე უფრო უკეთ დამუშავებული ჯარების ურთიერთმოქმედება და მართვა, კონტრდარტყმა გაცილებით უფრო შედეგიანი იქნებოდა.

ამ ბრძოლებში დიდად გამოიჩინეს თავი 22-ე მექანიზებულმა კორპუსმა გერმანელ-მაიორ ს. მ. კონდრუსევის სარდლობით, მე-5 არმიის 27-ე მსროლელმა კორპუსმა, დ. ი. რიაბიშევის მე-8 მექანიზებულმა კორპუსმა.

ამასთან მე-8 მექანიზებული კორპუსის მოქმედებებს უფრო დიდი ეფექტის მოცემა შეეძლო, კორპუსის მეთაურს ორ ჯგუფად რომ არ გაეყო კორპუსი და თანაც ერთ-ერთი ჯგუფის სარდლობა არ დაეკალებინა გენერალ ნ. კ. პოპელისათვის, რომელსაც არ გააჩნდა საკმაო ოპერატიულ-ტაქტიკური მომზადება დიდი ბრძოლის სახელმძღვანელოდ.

გენერალ ი. ი. კარპეზოს მე-15 მექანიზებულმა კორპუსმა, იმ დროისათვის მნიშვნელოვანი შესაძლებლობების მიუხედავად, სამწუხაროდ, თავისი ამოცანა მთლიანად ვერ შეასრულა.

ჩვენი ისტორიული ლიტერატურა როგორღაც გაკვრით ეხება ამ უდიდეს სასაზღვრო ბრძოლას ფაშისტურ გერმანიასთან ომის დაწყების პერიოდში. აქ საჭირო იყო მექანიზებული კორპუსების კონტრდარტყმის გამოყენების ოპერატიული მიზანშეწონილობა მტრის შემოჭრილ ძირითად დაჯგუფებაზე და თვით კონტრდარტყმის ორგანიზაციის დეტალური გარჩევა. განა ჩვენი ჯარების სწორედ ამ მოქმედებათა შედეგად არ ჩაიშალა უკრაინაში დასაწყისშივე აღკვეთილი კიევისაკენ სწრაფი გაჭრის მტრის გეგმა? მოწინააღმდეგემ მტკიცე დანაკლისი განიცადა და დარწმუნდა საბჭოთა მეომრების სიმტკიცეში, რომლებიც მზად იყვნენ ებრძოლათ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე.

ინტერესმოკლებული არ არის შეფასება, რომელიც მისცა ამ ბრძოლას თავის მოგონებებში გერმანელთა მესამე სატანკო ჯგუფის ყოფილმა სარდალმა გენერალმა გოთმა:

„ყველაზე ცუდი დღე დაადგა „სამხრეთის" ჯგუფს. მოწინააღმდეგის ჯარები, რომლებიც თავს იცავდნენ ჩრდილოეთის ფრთის შენაერთების წინაშე, უკუგდებულ იქნენ საზღვრიდან, მაგრამ მათ სწრაფად

გაართვეს თავი მოულოდნელ დარტყმას და თავიანთი რეზერვების კონტრიერიშებითა და სიღრმეში არსებული სატანკო ნაწილებით შეაჩერეს გერმანელთა ჯარების წინსვლა. მე-6 არმიასთან მიმაგრებული 1-ლი სატანკო ჯგუფის ოპერატიული გარღვევა 28 ივნისამდე ვერ განხორციელდა. გერმანელთა ნაწილების შეტევას დიდად აძნელებდა მოწინააღმდეგის მძლავრი კონტრდარტყმები".

იმ დღეებში მოსკოვთან მაღალი სიხშირის ტელეფონით გენერალ ნ. თ. ვატუტინთან რამდენიმე ლაპარაკის შემდეგ ვიცოდი, რომ დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ ფრონტებზე სარდლებს და შტაბებს გარკვეულად ჯერ კიდევ არ ჰქონდათ მყარი კავშირი არმიების სარდლებთან. დივიზიები და კორპუსები იძულებულნი იყვნენ იზოლირებულად ებრძოლათ მტერთან, მეზობელი ჯარებისა და ავიაციის ურთიერთმოქმედებისა და ზემდგომი ინსტანციების საჭირო ხელმძღვანელობის გარეშე. ნიკოლოზ თევდორეს ძეს ცნობებიდან ჩემთვის ნათელი შეიქნა, რომ დასავლეთ. და ჩრდილო-დასავლეთ ფრონტებზე უაღრესად მძიმე მდგომარეობა იყო შექმნილი.

ნიკოლოზ თევდორეს ძე ამბობდა, რომ ი. ბ. სტალინი ნერვიულობდა და მზად იყო ყველაფერში დაედანაშაულებინა დასავლეთის ფრონტის სარდლობა, მისი შტაბი, უსაყვედურებდა მარშალ გ. ი. კულიკს უმოქმედობას. დასავლეთის ფრონტის შტაბში მყოფ მარშალ ბ. მ. შაპოშნიკოვის ცნობებიდან ვიცოდით, რომ გ. ი. კულიკი 23 ივნისის დილით მე-3 არმიის შტაბში იმყოფებოდა, მაგრამ მასთან კავშირი შეწყდა.

მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ სხვადასხვა წყაროების საშუალებით გენერალურმა შტაბმა შესძლო დაედგინა, რომ მოწინააღმდეგის ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარების მსხვილი დაჯგუფებანი შემოიჭრნენ ამ ფრონტების მთელ რიგ უბნებზე და სწრაფად მოიწევდნენ ბელორუსიისა და ბალტიისპირეთის საზღვრებში...

დაიწყო საბჭოთა ხალხის მძიმე განსაცდელის დღეები.

ამ ბოლო წლებში მთავარბანაკს ადანაშაულებენ, რომ მან მითითებანი არ გასცა ქვეყნის სიღრმიდან ჩვენი ჯარების ძირითადი ძალების წინ წაწევის შესახებ მტრის დარტყმის შეხვედრისა და მოგერიებისათვის. დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, რა მოხდებოდა, ასე რომ გაკეთებულიყო: უკეთესად წავიდოდა საქმე თუ უარესად. სავსებით შესაძლებელია, რომ ჩვენს ჯარებს, რომლებიც არაკმარისად იყვნენ უზრუნველყოფილნი ტანკსაწინააღმდეგო და საჰაერო თავდაცვის საშუალებებით და რომელთაც მოწინააღმდეგის ჯარებთან შედარებით სწრაფად ადგილგადანაცვლების უფრო ნაკლები უნარი გააჩნდათ, ვერ გაეძლოთ მტრის ჯავშანსატანკო ძალების ძლიერი გამრღვევი დარტყმებისათვის და საზღვრისპირა ოლქების მსგავსად მძიმე მდგომარეობა-

ში აღმოჩენილიყვნენ. თანაც ჯერ კიდევ არავინ იცის, როგორი მდგომარეობა შეიქმნებოდა მაშინ მოსკოვთან, ლენინგრადთან და ქვეყნის სამხრეთით.

26 ივნისს დილით ადრე გენერალმა ნ. თ. ვატუტინმა საკომანდო პუნქტში, ტერნოპოლში, მაცნობა:

—ბალტიისპირეთსა და ბელორუსიაში საქმეები ძალზე ცუდადაა. ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის მე-8 არმია რიგისაკენ იხევს, მე-11 არმია გადის პოლოცკის მიმართულებით; ფრონტის გასაძლიერებლად მოსკოვის სამხედრო ოლქიდან გადასროლილ იქნება 21-ე მექანიზებული კორპუსი.

ი. ბ. სტალინმა ბრძანა, შექმნილიყო სარეზერვო ფრონტი და გაშლილიყო იგი სუშჩევო-ნეველ-ვიტებსკ-მოგილევ-ჟლობინ-გომელ-ჩერნიგოვ-მდინარე დესნა-მდინარე დნეპრის ხაზზე. სარეზერვო ფრონტის შემადგენლობაში შედიოდნენ მე-19, მე-20, 21-ე და 22-ე არმიები.

ძირითადად ეს იყო ის საზღვრები, რომლის რეკოგნოსცირებაც მოვახდინეთ მე და სახალხო კომისარმა ს. კ. ტიმოშენკომ გენერალური შტაბის მუშაკთა ჯგუფთან ერთად იმა წლის მაისში.

ფრონტების სარდლობას, უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკს, გენერალურ შტაბს იმ დღეებში ჯერ კიდევ არ გააჩნდათ სრული ცნობები მოწინააღმდეგის ჯარების შესახებ, რომლებიც გაიშალნენ ჩვენი ფრონტების წინააღმდეგ. ტანკების ავიაციისა და მოტორიზებული ნაწილების შესახებ გენერალური შტაბი ღებულობდა აშკარად გაზვიადებულ ცნობებს. ახლა, როცა ჩვენს ხელთაა თითქმის ამომწურავი ცნობები მხარეთა დაჯგუფების შესახებ, ომის პირველი დღეების სურათის სისრულისათვის საჭიროა ჯერ განვიხილოთ დისლოკაცია საზღვრისპირა სამხედრო ოლქების საბჭოთა ჯარებისა, ხოლო შემდეგ ჩვენს ქვეყანაში შემოჭრილ გერმანელთა ჯარებისა.

ამ საკითხის ირგვლივ დაწერილია მრავალი სტატია და წიგნი, მაგრამ მთელ რიგ შემთხვევებში ტენდენციურად და საქმის არცოდნით.

ცნობილია, რომ ჩვენი 170 დივიზია ომის დაწყების წინ განლაგებული იქნა ერცელ ტერიტორიაზე: ოთხიათასნახევარ კილომეტრამდე ფრონტის სიგრძეზე ბარენცის ზღვიდან შავ ზღვამდე და 400 კილომეტრის სიღრმით.

მაგრამ ამასთან მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ ბარენცის ზღვიდან შავ ზღვამდე აღებული საერთო მანძილი შეადგენს 4,5 ათას კილომეტრს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ ჩავთვლით არა მხოლოდ ხუთი საზღვრისპირა ფრონტის სახმელეთო უბნებს, არამედ ყველა საზღვაო სანაპიროსაც, რომლებსაც იფარავდნენ მხოლოდ სანაპირო დაცვა და სამხედრო-საზღვაო ფლოტი. ტალინიდან ლენინგრადამდე სანაპიროზე ჯარები საერთოდ არ იყო. ამიტომ ჩვენს 170 დივი-

ზიას სინამდვილეში ეკავა 3 375 კილომეტრი. სახმელეთო საზღვრის მთელ სიგრძეზე საბჭოთა ჯარები იმყოფებოდნენ სრულიად არათანაბარი სიმჭიდროვის დაჯგუფებებში.

ასე მაგალითად, ჩრდილოეთის ფრონტზე (ლენინგრადის სამხედრო ოლქი) 1 275 კილომეტრის სიგრძეზე, სადაც განლაგებული იყო ოცდაერთი დივიზია და ერთი მსროლელი ბრიგადა, საშუალოდ დივიზიაზე მოდიოდა დაახლოებით 61 კილომეტრი.

ბალტიისპირეთის, დასავლეთის განსაკუთრებული, კიევის განსაკუთრებული და ოდესის ოლქების სახმელეთო უბანზე 2 100 კილომეტრის სიგრძეზე დისლოცირებული იყო 149 დივიზია და 1 ბრიგადა. საშუალოდ დივიზიაზე ამ მნიშვნელოვან უბანზე მოდიოდა 14 კილომეტრზე ცოტა მეტი.

ეს ძალები ომის წინ განლაგებული იყვნენ შემდეგნაირად:

ბალტიისპირეთის სამხედრო ოლქს (სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი თ. ი. კუზნეცოვი, სამხედრო საბჭოს წევრი კორპუსის კომისარი პ. ა. დიბროვი, შტაბის უფროსი გენერალ-მაიორი პ. ს. კლენოვი) ჰყავდა 25 დივიზია და 1 მსროლელი ბრიგადა, მათ შორის 4 სატანკო, 2 მოტორიზებული დივიზია.

დასავლეთის განსაკუთრებულ სამხედრო ოლქს (სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი დ. გ. პაველოვი, სამხედრო საბჭოს წევრი კორპუსის კომისარი ა. თ. ფომინიხი, შტაბის უფროსი გენერალ-მაიორი ვ. ე. კლიმოვსკიხი) ჰყავდა 24 მსროლელი, 12 სატანკო, 6 მოტორიზებული, 2 საკავალერიო დივიზია.

კიევის განსაკუთრებულ სამხედრო ოლქს (სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი მ. პ. კირპონოსი, სამხედრო საბჭოს წევრი დივიზიის კომისარი ე. პ. რიკოვი, შტაბის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი მ. ა. პურკაევი) ჰყავდა 32 მსროლელი, 16 სატანკო, 8 მოტორიზებული, 2 საკავალერიო დივიზია.

ოდესის სამხედრო ოლქს (სარდალი გენერალ-ლეიტენანტი ი. ტ. ჩერევიჩენკო, სამხედრო საბჭოს წევრი კორპუსის კომისარი ა. თ. კოლობიაკოვი, შტაბის უფროსი გენერალ-მაიორი მ. ვ. ზახაროვი) ჰყავდა 13 მსროლელი, 4 სატანკო, 2 მოტორიზებული და 3 საკავალერიო დივიზია.

როგორც ვხედავთ, ჩვენი ჯარების ყველაზე ძლიერი დაჯგუფება შედიოდა სამხრეთ-დასავლეთის მიმართულების შედგენილობაში (კიევის განსაკუთრებული სამხედრო ოლქი და ოდესის სამხედრო ოლქი), იგი ითვლიდა 45 მსროლელ, 20 სატანკო, 10 მოტორიზებულ, 5 საკავალერიო დივიზიას.

დასავლეთის ოთხი საზღვრისპირა ოლქის 149 დივიზიიდან და ერთი ბრიგადიდან 48 დივიზია შედიოდა საფარის პირველი ეშელონის შემადგენლობაში და განლაგებული იყო სახელმწიფო საზღვრიდან

10—15 კილომეტრის დაშორებით (მსროლელი დივიზიები ახლო, სატანკო დივიზიები მოშორებით). საზღვრისპირა ოლქების მთავარი ძალები განლაგებული იყვნენ სახელმწიფო საზღვრიდან 80—300 კილომეტრის დაშორებით.

ზღვისპირა სამხედრო ოლქების ფლანგებს იფარავდნენ სამხედრო-საზღვაო ფლოტი და სანაპირო დაცვა, რომელიც ძირითადად არტილერიისაგან შესდგებოდა.

უშუალოდ საზღვარზე იმყოფებოდნენ შინსახკომის სასაზღვრო ნაწილები.

ადრე მე უკვე ვილაპარაკე ზოგიერთ გარემოებებზე, რომელთაც განაპირობეს ჩვენი წარუმატებლობანი ომის დასაწყისში. სხვა ამგვარი ფაქტების შესახებ ლაპარაკი მექნება შემდეგ. მაგრამ ახლა მინდა შევნიშნო, რომ ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული შეცდომები არ ხსნიან პასუხისმგებლობას ყველა ხარისხის სამხედრო სარდლობებს მათი დაუდევრობისა და შეცდომებისათვის.

ყოველ მხედართუფროსს, რომელმაც დაუშვა არასწორი მოქმედებანი, მორალური უფლება არა აქვს თავი აარიდოს პასუხისმგებლობას და დაანაშაულოს ზემდგომნი. ჯარები და მათი მეთაურები ყოველგვარ ვითარებაში, წესდების შესაბამისად, ყოველთვის მზად უნდა იყვნენ საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად. მაგრამ ომის წინ, 22 ივნისის წინაღამესაც კი, ზოგიერთ შემთხვევაში, საზღვრის საფარის ეშელონში შემავალი შენაერთებისა და გაერთიანებების მეთაურები სულ უკანასკნელ მომენტამდე უცდიდნენ მითითებებს ზემოდან და სათანადო სამხედრო მზადყოფნაში არ ჰყავდათ ნაწილები, თუმცა საზღვრის იქითა მხარეს უკვე ისმოდა მოტორების ხმაური და მუხლუხოების ღრჭიალი.

ამგვარად, გერმანელთა ჯარების მთავარსარდლობამ ერთბაშად აამოქმედა 153 გერმანული დივიზია, მათგან 29 დივიზია ბალტიისპირეთის წინააღმდეგ, 50 დივიზია (მათგან 15 სატანკო) დასავლეთის განსაკუთრებული ოლქის წინააღმდეგ და 34 დივიზია (მათგან 9 სატანკო და მოტორიზებული) კიევის განსაკუთრებული ოლქის წინააღმდეგ, 12 დივიზია ოდესის ოლქის წინააღმდეგ, და 4 დივიზიამდე ფინეთში იდგა. 24 დივიზია რეზერვში იმყოფებოდა და ძირითადად სტრატეგიული მიმართულებით მოიწევდა.

ეს მონაცემები ჩვენთვის ცნობილი გახდა ომის დაწყებითი პერიოდის მსვლელობაში, ძირითადად ტყვეების დაკითხვისას და ნადავლი დოკუმენტებიდან. ომის დაწყების წინ ი. ბ. სტალინი, თავდაცვის სახალხო კომისარი და გენერალური შტაბი დაზვერვის მონაცემებით თვლიდნენ, რომ ჰიტლერელთა სარდლობას დასავლეთში, ახლო აღმოსავლეთში და სხვა ოკუპირებულ ქვეყნებში უნდა ჰყოლოდა თავისი ჯარებისა და სამხედრო საჰაერო ძალების არანაკლებ 50 პროცენტისა.

ნამდვილად კი საბჭოთა კავშირთან ომის დაწყების მომენტისათვის ჰიტლერელთა სარდლობამ იქ დატოვა ერთ მესამედზე ნაკლები, და ისიც მეორე ხარისხოვანი დივიზიებისა, ხოლო ეს რიცხვიც შემცირდა.

„ჩრდილოეთის", „ცენტრისა" და „სამხრეთის" არმიათა ჯგუფების შემადგენლობაში მოწინააღმდეგემ აამოქმედა 3 712 ტანკი და მოიერიშე ქვეითები. სახმელეთო ჯარებს დახმარებას უწევდა 4 950 საბრძოლო თვითმფრინავი. შემოკრებილი ჯარები ჩვენს არტილერიას აღემატებოდნენ თითქმის ორჯერ, საარტილერიო გამწევი ძალა ძირითადად მოტორიზებული იყო.

არა ერთხელ ვეებრუნდებოდი რა გონების თვალით ომის პირველ დღეებს, მე ვცდილობდი, გამეაზრებინა და გამეანალიზებინა ოპერატიულ-სტრატეგიული ხასიათის შეცდომები, რომლებიც დაუშვეს კერძოდ სამხედროებმა — სახალხო კომისარმა, გენერალურმა შტაბმა და ოლქების სარდლობებმა — ომის წინ და მის დასაწყისში. და, აი, როგორ დასკვნებამდე მივედი.

ასეთი მასშტაბებით შეტევაზე უეცარი გადმოსვლა, თანაც ერთბაშად ყველა არსებულ და უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ მიმართულებებზე უკვე წინასწარ გაშლილი ძალებით, ანუ დარტყმის თვით ხასიათი მთელი თავისი მოცულობით ჩვენს მიერ გათვალისწინებული არ ყოფილა. არც სახალხო კომისარი, არც მე, არც ჩემი წინამორბედები ბ. მ. შაპოშნიკოვი, კ. ა. მერეცკოვი და გენერალური შტაბის ხელმძღვანელი შემადგენლობა არ მოელოდა, რომ მოწინააღმდეგე თავს მოუყრიდა ამდენ ჯავშანსატანკო და მოტორიზებულ ჯარებს და პირველ დღესვე გადმოისროდა მათ მძლავრ კომპაქტურ დაჯგუფებებად ყველა სტრატეგიულ მიმართულებებზე გამანადგურებელი გამრღვევი დარტყმების მოსაყენებლად.

შემდეგ, ომის დაწყების წინ მე-10 არმია და დასავლეთის ოლქების მთელი რიგი სხვა ნაწილები განლაგებულნი იყვნენ ბელოსტოკის შვერილზე, რომელიც მიმართული იყო მოწინააღმდეგისაკენ. მე-10 არმიას ყველაზე უხეირო მდგომარეობა ეკავა. ჯარების ასეთი ოპერატიული კონფიგურაცია ქმნიდა ღრმა გარემოცვისა და მათი ალყაში მოქცევის საშიშროებას გროდნოსა და ბრესტის მხრიდან ფლანგებზე დარტყმის გზით. ამასობაში ფრონტის ჯარების დისლოკაცია გროდნო-სუვალკოვსკისა და ბრესტის მიმართულებებზე არა საკმარისი სიღრმისა და სიძლიერისა იყო, რათა იქ თავიდან აეცილებინათ გარღვევა და ბელოსტოკის დაჯგუფების გარემოცვა.

ჯარების ეს მცდარი განლაგება, რომელიც დაშვებული იქნა 1940 წელს, თვით ომამდე არ შეცვლილა. როცა მოწინააღმდეგის მთავარმა დაჯგუფებებმა გადათელეს საფარში მყოფი ჯარების ფლანგები და შე-

იკრნენ გროდნოსა და ბრესტის რაიონში, საჭირო იყო მე-10 არმიისა და მე-3 და მე-4 არმიების — მასთან მიკრული ფლანგების სწრაფი გამოყვანა ალყაში მოხვედრის საშიშროებისაგან, მათი როკირება ზურგის საზღვრებზე — საშიშარ უბნებზე. მათ შეეძლოთ ძნიშნელოვნად გაეძლიერებინათ იქ მოქმედი შენაერთების წინააღმდეგობა. მაგრამ ეს არ გაკეთებულა.

ანალოგიური შეცდომა დაუშვეს სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარებმაც, რომლებმაც ასევე დაგვიანებით იწყეს უკან დახევა ალყაში მოხვედრის საშიშროებისაგან.

ყოველივე აქედან ჩანს, რომ ყოველი ჩვენგანი მოკლებული იყო უზარმაზარ სიერცეზე რთულ ვითარებაში წარმოებულ დიდ გაფთრებულ ბრძოლებში ჯარების სათანადო ხელმძღვანელობის საკმაო გამოცდილებას.

უნდა აღინიშნოს უმაღლესი მთავარსარდლობისა და გენერალური შტაბის მიერ დაშვებული კიდევ ერთი შეცდომა, რომლის შესახებაც მე ნაწილობრივ უკვე ვილაპარაკე. საქმე ეხება კონტრშეტევას თანახმად 1941 წლის 22 ივნისის № 3 დირექტივისა.

როცა ამოცანად დაისახა კონტრშეტევა, უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკმა არ იცოდა რეალური ვითარება, რომელიც შეიქმნა 22 ივნისს დღის ბოლოსათვის. ვითარება არ იცოდა არც ფრონტების სარდლობამ. თავის გადაწყვეტილებაში მთავარსარდლობა გამოდიოდა არა რეალური ვითარების ანალიზიდან და დასაბუთებული გაანგარიშებებიდან, არამედ ინტუიციიდან და აქტივობისადმი სწრაფვიდან ჯარების შესაძლებლობათა ანგარიშში მიუღებლად, რაც ყოველად დაუშვებელია შეიარაღებული ბრძოლის პასუხსაგებ მომენტებში.

შექმნილ ვითარებაში 22 ივნისის მიწურულისათვის ერთადერთი გამართლება შეიძლებოდა ჰქონოდა მხოლოდ მექანიზებული კორპუსების კონტრდარტყმებს მოწინააღმდეგის ჯავშანსატანკო დაჯგუფებათა სოლების წინააღმდეგ. განხორციელებული კონტრდარტყმები უმეტეს შემთხვევაში ცუდად იყო ორგანიზებული და ამიტომ ვერც აღწევდნენ მიზანს.

ბრძოლების მსვლელობაზე პირველ დღეებში არაკეთილსასურველი გავლენა მოახდინა კიდევ ერთმა გარემოებამ. ზოგიერთი არმიის სარდალი, იმის ნაცვლად, რომ მტკიცე მმართველობა მოეწყო თავისი საკომანდო პუნქტიდან და კავშირი ჰქონოდა მეზობლებთან და ფრონტის შტაბთან, თავის ნაწილებში გარბოდა და ისე იძლეოდა მითითებებს, რომ არ იცოდა, რა მდგომარეობა იყო არმიის სხვა უბნებზე. ამით მძიმე მდგომარეობაში აყენებდნენ ნაწილებისა და შენაერთების მეთაურებს. არ ჰქონდათ რა მყარი კავშირი ზემდგომ სარდლობასთან, ისინი იძულებულნი იყვნენ ემოქმედათ თავიანთი შეხედულებისდა მი-

ხედვით, როგორც ეს მათ მიზანშეწონილად მიაჩნდათ, და ხშირად მეზობლების საზიანოდ.

ამრიგად, მე-3 არმიის არაორგანიზებულმა უკანდახევამ გროდნოს რაიონიდან და მე-4 არმიისა — ბრესტის რაიონიდან მეტად რთული სიტუაცია შეუქმნა მე-10 არმიას, რომელსაც სარდლობდა გენერალ-მაიორი კ. დ. გოლუბევი. მე-10 არმია, რომელიც არ განიცდიდა მოწინააღმდეგის ძლიერ დაწოლას, ჯერ კიდევ იბრძოდა, ეყრდნობოდა რა ოსოვეცკის გამაგრებულ რაიონს.

იქ ჩასული დასავლეთის ფრონტის სარდლის მოადგილე გენერალ-ლეიტენანტი ი. ვ. ბოლდინი სათავეში ჩაუდგა ცხენოსანთა მექანიზებულ ჯგუფს მე-6 და მე-11 მექანიზებული კორპუსებისა და მე-6 საკავალერიო კორპუსის შენაერთის შემადგენლობით. 23 ივნისს განხორციელდა კონტრდარტყმა სუვალკოვსკის შვერილიდან შემოჭრილი მოწინააღმდეგის დაჯგუფების ფლანგზე. ამას წარმატება არ მოჰყოლია. ი. ვ. ბოლდინმა თავი ვერ მოუყარა ყველა შენაერთს კონტრდარტყმისათვის. ამის მიზეზი იყო გაფანტულობა, მოწინააღმდეგემ შებოჭა ჩვენი ჯარების ინიციატივა.

23 ივნისს აქ ფაქტიურად აქტიურად მოქმედებდა მე-11 მექანიზებული კორპუსი გენერალ-მაიორ დ. კ. მოსტოვენკოს სარდლობით. მე-6 მექანიზებულმა კორპუსმა გენერალ-მაიორ მ. გ. ხაკილევიჩის სარდლობით, რომელიც თავს იცავდა მე-10 არმიის შემადგენლობაში მდინარე ნარევზე, ვერ შეძლო დროულად მომზადებულიყო კონტრდარტყმისათვის. სანამ მას ბრძოლიდან გამოიყვანდნენ და შეაგროვებდნენ, დრო დაიკარგა. მე-6 საკავალერიო კორპუსის ნაწილები გენერალ-მაიორ ი. ს. ნიკიტინის სარდლობით, რომლებიც იმყოფებოდნენ მოწინააღმდეგის ავიაციის განუწყვეტელი დარტყმების ქვეშ, განიცდიდნენ რა დიდ დანაკარგებს, გზაში შეფერხდნენ.

24 ივნისის განმავლობაში გროდნოს რაიონში გაიმართა გააფთრებული ბრძოლები.

მიუხედავად ჰაერში აშკარა უპირატესობისა, მოწინააღმდეგე გროდნოს რაიონში რთულ ვითარებაში აღმოჩნდა. „ცენტრის"-არმიის ჯგუფის სარდლობა იძულებული იყო გადმოესროლა აქ კიდევ ორი საარმიო კორპუსი და შემოეტრიალებინა მე-3 სატანკო ჯგუფის ზოგიერთი ნაწილი.

სისხლისმღვრელი ბრძოლები გრძელდებოდა 25-შიაც, მაგრამ საათანადო მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების უქონლობის გამო კონტრდარტყმის დაჯგუფების ჯარებმა ვერ შესძლეს ეფექტურად ეწარმოებინათ შეტევითი ბრძოლა. ამ ბრძოლების მსვლელობაში მათ განიცადეს მნიშვნელოვანი დანაკლისი და იწყეს უკანდახევა. ტანკისტებ-

მა ვერ შესძლეს მთლიანად გამოეყვანათ ბრძოლიდან მატერიალური ნაწილი: იმ მომენტში არ ყოფნიდათ საწვავის საჭირო რაოდენობა.

ამ ბრძოლიდან არ დაბრუნებულა კორპუსის მეთაური მ. გ. ხაკილევიჩიც. ეს იყო კარგი მეთაური, მამაცი ადამიანი. მე მასთან მაკავშირებდა მრავალი წლის მეგობრობა ჯერ კიდევ ცხენოსანთა ჯარების ინსპექციაში მუშაობის დროიდან ოცდაათიანი წლების დამდეგს. ბრძოლიდან არ დაბრუნებულა ი. ს. ნიკიტინიც, რომელიც დამსახურებულად სარგებლობდა ჭკვიანი, ნებისყოფიანი და მამაცი საკავალერიო კორპუსის მეთაურის რეპუტაციით.

გერმანელთა სახმელეთო და სამხედრო საჰაერო ძალების ყველაზე მძლავრი დაჯგუფების მახვილი ჩვენი დასავლეთის სტრატეგიული მიმართულებით დამიზნებული იქნა მოსკოვზე. დასავლეთის ფრონტის წინააღმდეგ მოქმედებდნენ არმია „ცენტრის" ჯარების ჯგუფები, რომელშიაც შედიოდა ორი საერთო საჯარისო არმია (მე-4 და მე-9) და ორი სატანკო ჯგუფი (მე-2 და მე-3). „ცენტრის" საარმიო ჯგუფს დახმარებას უწევდა მე-2 საჰაერო ფლოტი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა მოპიკირე ბომბდამშენების მთელი კორპუსი. „ცენტრის" საარმიო ჯგუფის ჯარები კარგად იყვნენ აღჭურვილნი მთავარსარდლობის არტილერიით, მოტორიზებული საინჟინრო-სამშენებლო ნაწილებითა და მძლავრი დამხმარე ტექნიკით.

აქ თავისი მთავარი დარტყმების ყველა მიმართულებაზე გერმანელთა ჯარებმა შეიქმნეს 5-6-ჯერადი უპირატესობა. მთავარ დაჯგუფებათა მოქმედებებს განუწყვეტლივ მხარს უჭერდნენ ჰაერიდან დარტყმებით.

მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ბრესტის რაიონში. მაგრამ ბრესტის ციხე-სიმაგრის დამცველთა წინააღმდეგობის გატეხვა მტერმა ვერ შესძლო, ალყაში მოქცეულმა გმირებმა საკადრისი წინააღმდეგობა გაუწიეს მტერს. გერმანელებისათვის ბრესტის ეპოპეა აღმოჩნდა სრულიად მოულოდნელი რამ. ჯავშანსატანკო ჯარების გუდერიანის ჯგუფი და გერმანელთა მე-4 საველე არმია იძულებული გახდნენ ქალაქისათვის გარსშემოევლოთ.

ჩვენმა მე-4 არმიის ჯარებმა (სარდალი გენერალ-მაიორი ა. ა. კორობკოვი) არა ნაკლები დარტყმა განიცადეს, ვიდრე გროდნოს რაიონში მე-3 არმიის ჯარებმა (სარდალი გენერალ-ლეიტენანტი ვ. ი. კუზნეცოვი). მაგრამ ხელთ ჰქონდა რა გმირული ბრესტი და თავის მახლობლად განლაგებული 32-ე სატანკო დივიზიის ნაწილები, მე-6, 42-ე, 49-ე და 75-ე მსროლელი დივიზიები, შეეძლო მე-4 არმიის სარდლობას უფრო ორგანიზებულად ეწარმოებინა თავდაცვითი მოქმედებანი. ეს, სამწუხაროდ, არ მომხდარა მაშინაც კი, როცა არმიის სარდლობამ თავის განკარგულებაში მიიღო მე-14 მექანიზებული კორპუსი.

რა ხდებოდა ამ დღეებში მინსკის შორეულ მისადგომებზე?

არ იცოდა, რა ზუსტად საქმის ვითარება მე-3, მე-10 და მე-4 არმიებში და არ ჰქონდა რა სრული წარმოდგენა მოწინააღმდეგის შემოჭრილ ჯავშანსატანკო დაჯგუფებათა შესახებ, ფრონტის სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი დ. გ. პავლოვი ხშირად ღებულობდა ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც არ შეესაბამებოდა შექმნილ ვითარებას.

განიცდიდნენ რა დიდ დანაკლისს საზღვრისპირა ბრძოლაში, მე-3, მე-10 და მე-4 არმიების ჯარები, რომლებიც გმირულად უმკლავდებოდნენ მოწოლილ მტერს, აღმოსავლეთისაკენ იხევდნენ. გმირულად აკავებდა მოწინააღმდეგის მოწოლას მე-13 არმიის ოთხი დივიზიაც: 26 და 27 ივნისს ისინი ბრძოლებს აწარმოებდნენ მინსკის გამაგრებულ რაიონში.

უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის მითითებით გენერალმა დ. გ. პავლოვმა უბრძანა მე-3 და მე-10 არმიებს დაეხიათ აღმოსავლეთით და დაეკავებინათ თავდაცვა ლიდა-სლონიმ-პინსკის ხაზზე. მაგრამ ამის შესრულება ყოვლად შეუძლებელი იყო, ვინაიდან ეს არმიები სანახევროდ ალყაში იყვნენ მოქცეულნი. გამოფიტულნი და ძლივსღა იკვლევდნენ გზას გერმანელთა ავიაციისა და ჯავშანსატანკო ჯარების განუწყვეტელ დარტყმათა ქვეშ.

26 ივნისს მოწინააღმდეგის 39-ე მოტოკორპუსი მივიდა მინსკის გამაგრებულ რაიონთან, სადაც მას შეეჯახნენ აქეთკენ დაძრული 44-ე მსროლელი კორპუსის ნაწილები გენერალ ვ. ა. იუშკევიჩის სარდლობით.

მინსკის თავდაცვის გაძლიერების მიზნით მოლოდეჩნოს მხრიდან ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ მისადგომებისკენ სასწრაფოდ იქნა დაძრული მე-2 მსროლელი კორპუსი გენერალ-მაიორ ა. ნ. ერმაკოვის სარდლობით. მის შემადგენლობაში შედიოდნენ მე-100 და 161-ე მსროლელი დივიზიები.

ლენინის ორდენოსან მე-100 დივიზიას სარდლობდა გენერალ-მაიორი ი. ნ. რუსიანოვი. ქალაქ სლუცკში მე-4 საკავალერიო დივიზიის მეთაურად ჩემი ყოფნისას იგი ბრწყინვალედ მეთაურობდა გერმანიის პროლეტარიატის სახელობის მე-4 მსროლელი დივიზიის მსროლელ პოლკს. ყველა საველე სწავლებისა და მანევრების დროს ი. ნ. რუსიანოვის პოლკი სანიმუშო იყო ტაქტიკის, დისციპლინისა და წესრიგის მხრივ. ახლა ეს შენაერთები გმირულად იბრძოდნენ მინსკის მისადგომებზე მოწინააღმდეგის მე-3 სატანკო ჯგუფის ნაწილებთან, რომელთაც დიდ ზიანს აყენებდნენ.

მაგრამ მინსკის სამხრეთ-დასავლეთ მისადგომებზე გუდერიანის 47-ე მოტორიზებული კორპუსის სატანკო ჯგუფის გამოსვლამ უაღრესად გააუარესა თავდაცვაზე მყოფი ჯარების მდგომარეობა.

მტერი საშინლად ბომბავდა მინსკს. ქალაქი ცეცხლით იყო გარემოცული. იხოცებოდა ათასობით მშვიდობიანი მოსახლე. ყოველად უდანაშაულო ადამიანები დაღუპვის, სიკვდილის წინ წყეული-კრულვას უთვლიდნენ გამხეცებულ ფაშისტ მფრინავებს...

მინსკის ახლო მისადგომებზე ცხარე ბრძოლა გაიმართა. განსაკუთრებით კარგად იბრძოდნენ 64-ე, მე-100 და 161-ე მსროლელი დივიზიები. მათ მოსპეს მოწინააღმდეგის ასზე მეტი ტანკი და ათასობით ფაშისტი.

26 ივნისს სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის საკომანდო პუნქტში, ტერნოპოლში, დამირეკა ი. ბ. სტალინმა და მითხრა:

— დასავლეთის ფრონტზე შეიქმნა მძიმე მდგომარეობა. მოწინააღმდეგე მინსკს მოადგა. გაუგებარია, რა მოსდის პავლოვს. ცნობილი არ არის, სად არის მარშალი კულიკი. მარშალი შაპოშნიკოვი ავადაა. შეგიძლიათ დაუყოვნებლივ გამოფრინდეთ მოსკოვში?

— ახლავე მოველაპარაკები ამხანაგებს კირპონოსსა და პურკაევს შემდგომ მოქმედებათა შესახებ, — ვუთხარი მე, — და აეროდრომზე გავალ.

26 ივნისს გვიან საღამოს მე მოსკოვში ჩავფრინდი და აეროდრომიდან პირდაპირ ი. ბ. სტალინთან მივედი. ი. ბ. სტალინის კაბინეტში სმენაზე იდგნენ სახალხო კომისარი ს. კ. ტიმოშენკო და ჩემი პირველი მოადგილე გენერალ-ლეიტენანტი ნ. თ. ვატუტინი. ორივენი გაფითრებულნი იყვნენ და უძილობისაგან თვალები ჩაწითლებოდათ. არც ი. ბ. სტალინი იყო უკეთეს მდგომარეობაში.

ი. ბ. სტალინი მომესალმა და მითხრა:

— ერთად მოიფიქრეთ და მითხარით, რა შეიძლება გაკეთდეს შექმნილ ვითარებაში? — და მაგიდაზე დასავლეთის ფრონტის რუკა დაგდო.

— მოსაფიქრებლად ორმოციოდე წუთი დაგეჭირდება,—მივუგე მე.

— კეთილი, ორმოცი წუთის შემდეგ მომახსენეთ.

გავედით მეზობელ ოთახში და დავიწყეთ საქმის ვითარებისა და დასავლეთის ფრონტზე ჩვენი შესაძლებლობათა განხილვა.

იქ მართლაც უაღრესად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. მინსკის დასავლეთით ალყაში იყვნენ მოქცეულნი და უთანასწორო ბრძოლას აწარმოებდნენ მე-3 და მე-10 არმიების ნარჩენები, რომლებიც ბოჭავდნენ მოწინააღმდეგის მნიშვნელოვან ძალებს. მე-4 არმიის ზოგიერთმა ნაწილმა დაიხია პრიპიატის ტყეებში. დოკშიც-სმოლევიჩ-სლუცკ-პინსკის ხაზიდან უკან იხევდნენ მდინარე ბერეზინაზე ჯარების დაქუცმაცებული შენაერთები. რომელთაც წინა ბრძოლებში სერიოზული დანაკარგები განიცადეს. ფრონტის ამ დასუსტებულ ჯარებს უკან მოსდევდა მოწინააღმდეგის მძლავრი დაჯგუფებანი.

განვიხილეთ მდგომარეობა და ჩვენ იმაზე უკეთესი არაფერი არ შეგვეძლო შეგვეთავაზებინა, ვიდრე ის, რომ დაუყოვნებლივ დაგვეკავებინა თავდაცვა დას. დვინა-პოლოცკ-ვიტებსკ-ორშა-მოგილევ-მოზირის ზღუდეზე და თავდაცვისათვის გამოგვეყენებინა მე-13, მე-19, მე-20, 21-ე და 22-ე არმიები. ამას გარდა, საჭირო იყო დაუყოვნებლივ შევდგომოდით თავდაცვის მოწყობას ზურგის საზღვარზე ტბა სელიქაროვო-სმოლენსკ-როსლავლ-გომელის ხაზის გასწვრივ მთავარბანაკის რეზერვის 24-ე და 28-ე არმიების ძალებით. ამასთანავე ჩვენ წინადადებას ვიძლეოდით დაუყოვნებლივ ჩამოყალიბებულიყო კიდევ 2—3 არმია მოსკოვის სახალხო ლაშქრის დივიზიის ხარჯზე.

ყველა ეს წინადადება დაუყოვნებლივ იქნა დამტკიცებული ი. ბ. სტალინის მიერ და მაშინვე გაფორმებული შესაბამისი განკარგულებებით.

ჩვენს წინადადებებში გამოვდიოდით მთავარი ამოცანიდან — შეგვექმნა მოსკოვისაკენ მიმავალ გზებზე ღრმად ეშელონირებული თავდაცვა, მოგვექანცა მოწინააღმდეგე, შეგვეჩერებინა იგი ერთ-ერთ თავდაცვითს ზღუდეზე და მოგვეწყო კონტრშეტევა, შეგვეგროვებინა რა ამისათვის საჭირო ძალები შორეული აღმოსავლეთისა და ახალ ფორმირებათა ხარჯზე.

სად შევაჩერებდით მოწინააღმდეგეს, რა აგვეღო ხელსაყრელ საწყის ზღუდედ კონტრშეტევისათვის, როგორი ძალები იქნებოდა ამისათვის შეგროვებული, ჩვენ მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდით. ჯერ-ჯერობით ეს მხოლოდ ვარაუდი იყო

27 ივნისს 10 საათზე და 05 წუთზე ფრონტის შტაბის უფროსს გენერალ ვ. ე. კლიმოვსკიხის „ბოდოთი" გადაეცით უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის შემდეგი ბრძანება:

„ჟუკოვი. მოისმინეთ ბრძანება უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის სახელით.

თქვენი ამოცანაა:

პ ი რ ვ ე ლ ი. სასწრაფოდ მონახოთ ყველა ნაწილი, დაუკავშირდეთ მეთაურებს და განუმარტოთ ვითარება, მოწინააღმდეგის მდგომარეობა და საკუთარი ნაწილების მდგომარეობა. განსაკუთრებით დეტალურად მიუნიშნეთ ის ადგილები, სადაც შეიჭრნენ მტრის მეწინავე მექანიზებული ნაწილები. მიუთითეთ, სად დარჩა საწვავის, საცეცხლე ტყვია-წამლის მარაგისა და ჩვენი საფურაჟე ბაზები, რათა ამ ბაზებიდან ნაწილებმა მოიმარაგონ ყველაფერი, რაც კი ბრძოლისთვისაა საჭირო.

ნაწილებს მიეცეთ ამოცანა, ბრძოლა აწარმოონ თუ თავი მოიყარონ ტყიან რაიონებში, უკანასკნელ შემთხვევაში — როგორი გზებით და რომელ დაჯგუფებაში.

მ ე ო რ ე. გამოარკვიეთ, რომელ ნაწილებს უნდა მიაწოდოთ საწვავი და საბრძოლო მასალები თვითმფრინავებით, რათა არ მიატოვონ ძვირფასი ტექნიკა, განსაკუთრებით მძიმე ტანკები და არტილერია.

მ ე ს ა მ ე. დარჩენილი ჯარები გამოყვანილ იქნან სამი მიმართულებით:

— დოკშიცის და პოლიცკის გავლით, შეიკრიბებიან რა ისინი ლეპელსკისა და პოლოცკის გამაგრებულ რაიონებს მილმა;

— მიმართულება მინსკი, ნაწილები შეგროვდებიან მინსკის გამაგრებულ რაიონების მილმა;

— მესამე მიმართულებაა გლუსის ტყეები და ბობრუისკისაკენ.

— მ ე ო თ ხ ე. მხედველობაში იქონიეთ, რომ მოწინააღმდეგის პირველი მექანიზებული კორპუსი საკმაოდ შორს მოსწყდა თავის ქვეითებს, არმიებს, ამაშია ახლა მოწინააღმდეგის სისუსტე, როგორც თავისიანებს მოწყვეტილი ეშელონისა, ასევე თვით ქვეითებისა, რომლებიც უტანკებოდ მოიწევენ წინ. თუკი თქვენი ხელქვეითი მეთაურები შეძლებენ უხელმძღვანელონ ნაწილებს, განსაკუთრებით სატანკო ნაწილებს, შეიძლება გამანადგურებელი დარტყმა აგემონ პირველ ეშელონს და ქვეითებს, რომელიც უტანკებოდ მოიწევენ. თუ მოახერხოთ, ჯერ მძლავრი დარტყმა მიაყენეთ მოწინააღმდეგის პირველი მექანიზებული ეშელონის ზურგს, რომელიც მოიწევს მინსკისა და ბობრუისკისაკენ, ამის შემდეგაც შეიძლება წარმატებით შებრუნდეთ ქვეითი ჯარის წინააღმდეგ.

ასეთი გაბედული მოქმედება დიდ სახელს მოუხვეჭს დასავლეთის ოლქის ჯარებს. განსაკუთრებით დიდ წარმატებას მიაღწევთ, თუ მოაწყობთ ღამის თავდასხმას მექანიზებულ ნაწილებზე.

მ ე ხ უ თ ე. ცხენოსანი ჯარი გაიყვანეთ პინსკის ტყეებში, და პინსკზე და ლუნინეცზე დაყრდნობით მოაწყვეთ უაღრესად გაბედული და ფართო თავდასხმები მოწინააღმდეგის ნაწილების ზურგზე და თვით ნაწილებზე. ყველა გზაზე დააყენეთ ცხენოსანი ჯარის ცალკეული მცირე ჯგუფი — ერთგული და მამაცი საშუალო მეთაურების ხელმძღვანელობით".

28 ივნისს ღამის 2 საათზე მე დამატებით კიდევ მომიხდა საუბარი პირდაპირი ხაზით გენერალ ვ. ე. კლიმოვსკიხისთან. მომყავს ნაწყვეტები ამ საუბრიდან.

„აპარატთანაა ეუკოვი. მომახსენეთ, რა იცით მე-3, მე-10 და მე-4 არმიების შესახებ, ვის ხელთაა მინსკი, სად იმყოფება მოწინააღმდეგე?

კლიმოვსკიხი. მინსკი კვლავ ჩვენია. მიღებულია ცნობა: მინსკის რაიონში და სმოლევინში გადმოსხმულია დესანტი. 44-ე მსროლელი კორპუსის ღონისძიებით მინსკის რაიონში წარმოებს დესანტის ლიკვიდაცია.

მოწინააღმდეგის ავიაცია თითქმის მთელი დღე ბომბავდა ბორისოვ-ორშის გზას. არის დაზიანებანი სადგურებზე და გადასარბენებზე. მე-3 არმიასთან რადიოთი დაკავშირება ვერ მოხერხდა.

მოწინააღმდეგე, უკანასკნელი მონაცემების მიხედვით, იყო გამაგრებული რაიონის წინ.

ბარანოვიჩი, ბობრუისკი, პუხოვიჩი გუშინდლამდე ჩვენი იყო.

ეუკოვი. სად არიან კულიკი, ბოლდინი, კორობკოვი? სად იმყოფებიან შექანიზებული კორპუსები, საკავალერიო კორპუსები?

კლიმოვსკიხი. კულიკისაგან და ბოლდინისაგან ცნობები არ არის. დავუკავშირდით კორობკოვს, იგი იმყოფება საკომანდო პუნქტში ბობრუისკს სამხრეთით.

ხაკილევიჩის შენაერთები გადმოყვანილ იქნა ბარანოვიჩებთან, ახლიუსტინისა — სტოლბცებთან.

ეუკოვი. როდის იქნა გადმოყვანილი ხაკილევიჩისა და ახლიუსტინის შენაერთები?

კლიმოვსკიხი. ამ პუნქტებში თავმოყრა იწყეს 26-ის მიწურულს.

მათთან გუშინ, დაახლოებით 19.00-ზე, გავიდა კორპუსის მეთაურის მოადგილე სვეტლიცინი. ხვალ ვგზავნით პარაშუტისტებს დავალებით — ბრძანებები გადასცეს კუზნეცოვსა და გოლუბევს.

ეუკოვი. იცით თუ არა, რომ 21-ე მსროლელი კორპუსი კარგ მდგომარეობაში გავიდა მოლოდეჩნო-ვილეიკის რაიონში?

კლიმოვსკიხი. 21-ე მსროლელი კორპუსის შესახებ მიღებული იყო ცნობები, რომ მას განზრახული ჰქონდა უკან დაეხია მოლოდეჩნოს მიმართულებით, მაგრამ ეს ცნობები არ დადასტურებულა.

ეუკოვი. სად არის მძიმე არტილერია?

კლიმოვსკიხი. მძიმე არტილერიის დიდი ნაწილი ჩვენს ხელთაა. არ მოგვეპოვება მონაცემები 375-ე და მე-120 საჰაუბიცო საარტილერიო პოლკების შესახებ.

ეუკოვი. სად იმყოფება ცხენოსანი ჯარი, მე-13, მე-14 და მე-17 მექანიზებული კორპუსები?

კლიმოვსკიხი. მე-13 მექანიზებული კორპუსი — სტოლბცებშია. მე-14 მექანიზებულ კორპუსში რამდენიმე ტანკიღა დარჩა, შეუერთდნენ მე-17-ს, რომელიც იმყოფება ბარანოვიჩებში. ცხენოსანი ჯარის ადგილსამყოფელის შესახებ მონაცემები არა გვაქვს.

კორობკოვმა 42-ე, მე-6 და 75-ის ნარჩენები გამოიყვანა. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ 49-ე მსროლელი დივიზია იმყოფება ბელოვეჟის ტყეში. ამის შესამოწმებლად დივიზიის იქიდან გამოსაყვანად განთიადზე ვგზავნით სპეციალურ პარაშუტისტს. კუზნეცოვის გამოსვლას ველით ნემანის ორივე ნაპირის გაყოლებით.

ეუკოვი. როგორი იყო დღეს ბრძოლა მოწინააღმდეგის მექანიზე-

ბულ კორპუსთან მინსკის გამაგრებული რაიონის წინ და სად იმყოფება ახლა მოწინააღმდეგე, რომელიც გუშინ იყო სლუცკში და მინსკის გამაგრებული რაიონის წინ?

კლიმოვსკიხი. ბრძოლას მოწინააღმდეგის მექანიზებულ კორპუსთან მინსკის გამაგრებულ რაიონში აწარმოებდა 64-ე მსროლელი დივიზია. მოწინააღმდეგე სლუცკიდან წინ მოიწევდა ბობრუისკისაკენ, მაგრამ საღამოსათვის ბობრუისკი ჯერ კიდევ დაკავებული არ ჰქონდა.

ეუკოვი. როგორ გავიგოთ „ჯერ კიდევ დაკავებული არ ჰქონდა?“

კლიმოვსკიხი. ჩვენ ვვარაუდობდით, რომ მოწინააღმდეგე შეეცდებოდა ჩვენი ჯარების ფეხდაფეხ შეიპრებოდა ბობრუისკში. მაგრამ ეს არ მომხდარა.

ეუკოვი. თვალყური ადევნეთ, რომ მოწინააღმდეგემ მინსკის თქვენს გამაგრებულ რაიონს ჩრდილოეთიდან არ შემოუაროს. ჩაკეტეთ მიმართულება ლოგოისკ-ზემბინ-პლეშენიცი, თორემ მოწინააღმდეგე გამაგრებულ რაიონს შემოუვლის და თქვენზე ადრე მივა ბორისოვში. მე დავამთავრე, ნახვამდის“.

მიუხედავად ჯარისკაცებისა და მეთაურების მასობრივი გმირობისა, მიუხედავად მხედართუფროსების ვაჟკაცური შემართებისა, მდგომარეობა დასავლეთის ფრონტის ყველა უბანზე სულ უფრო უარესდებოდა. 28 ივნისის საღამოს ჩვენმა ჯარებმა დაიხიეს მინსკიდან.

შეიპრნენ რა მინსკში, მტრის ჯარებმა დაიწყეს ქალაქის მოსახლეობის მხეცურად მოსპობა, ცეცხლს მისცეს და გაანადგურეს კულტურული ფასეულობანი და სიძველეთა ძეგლები.

მთავარბანაკმა და გენერალურმა შტაბმა მძიმედ განიცადეს ჩვენი ჯარების მიერ ბელორუსიის დედაქალაქის დატოვება. ყველა ჩვენთაგანს ესმოდა, როგორი მძიმე ხვედრი ხვდა წილად ქალაქის მცხოვრებთ, რომელთაც ვერ მოასწრეს აღმოსავლეთისაკენ წასვლა.

29 ივნისს ი. ბ. სტალინი ორჯერ მოვიდა თავდაცვის სახალხო კომისარიატში, უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკში, და ორივეჯერ უაღრესად მკვეთრი რეაგირება მოახდინა დასავლეთის სტრატეგიული მიმართულებით შექმნილ მდგომარეობაზე.

30 ივნისს 6 საათსა და 45 წუთზე მე, სახალხო კომისრის ს. კ. ტიმოშენკოს მითითებით, „ბოდოთი“ ველაპარაკე ფრონტის სარდალ არმიის გენერალ დ. გ. პავლოვს, რომელთანაც საუბარში გამოირკვა, რომ თვით სარდალმა ცუდად იცოდა ვითარება.

აი, ნაწყვეტები ჩვენი ლაპარაკიდან:

„**ეუკოვი.** ჩვენ არავითარი გადაწყვეტილების მიღება არ შეგვიძლია დასავლეთის ფრონტის შესახებ. რადგან არ ვიცით, რა ხდება მინსკის, ბობრუისკის, სლუცკის რაიონებში.

გთხოვთ მომახსენოთ არსებითს საკითხებზე.

პავლოვი. მინსკის რაიონში 44-ე მსროლელი კორპუსი იხევს მოგილიოვის გზატკეცილის სამხრეთით; თავდაცვის ზღუდედ, რომელზედაც უნდა შეჩერდნენ, დანიშნულია სტახოვ-ჩერვენი.

სლუცკის რაიონში გუშინდელ დღეს, ავიაციის დაკვირვებით, 210-ე მოტომსროლელი დივიზია აწარმოებდა ბრძოლას შიშეცის რაიონში.

ბობრუისკის რაიონში დღეს 4 საათზე მოწინააღმდეგემ გადო ხიდი, რომელზედაც გააღწია თორმეტმა ტანკმა.

ეუკოვი. გერმანელები რადიოთი გადმოსცემენ, რომ მათ ბელოსტოკის აღმოსავლეთით ალყაში მოაქციეს ორი არმია. ჩანს, სიმართლის რაღაც ნაწილი არის ამაში. რატომ არ აგზავნის თქვენი შტაბი დელეგატებს ამ ჯარების მოსაძებნად? სად არის კულიკი, ბოლდინი, კუზნეცოვი? სად იმყოფება საკავალერიო კორპუსი? შეუძლებელია, რომ ავიაციამ ვერ შენიშნოს ცხენოსანი ჯარი.

პავლოვი. დიახ, ამაში ბევრი რამ მართალია. ჩვენთვის ცნობილია, რომ 25 და 26 ივნისს ნაწილები იყვნენ მდინარე შარაზე, ბრძოლას გადასასვლელებისათვის აწარმოებდნენ მოწინააღმდეგესთან, რომელსაც ეკავა მდ. შარის აღმოსავლეთი ნაპირი. მესამე არმია ისწრაფოდა უკან დაეხია მდ. შარის ორივე მხრიდან. 21-ე მსროლელი კორპუსი ლიდის რაიონშია. ამ კორპუსთან რადიოთი გვქონდა კავშირი, მაგრამ გუშინდელს აქეთ კავშირი აღარ გვაქვს, კორპუსი ალყიდან გამოდის მისთვის მითითებული მიმართულებით. ავიაციას ვერ მოუძებნია ცხენოსანი ჯარი და მექანიზებული ნაწილები, ვინაიდან ყველა ისინი საგულდაგულოდ ინიღბებიან ტყეებში მოწინააღმდეგის ავიაციისაგან. გაგზავნილია ჯგუფი რადიოსადგურით, რომელსაც დაკალებული აქვს მოძებნოს, სად იმყოფება კულიკი და სად იმყოფებიან ჩვენი ნაწილები. ამ ჯგუფისაგან პასუხი ჯერ არ არის. ბოლდინი და კუზნეცოვი, ისევე როგორც გოლუბევი, 26 ივნისამდე ნაწილებში იყვნენ.

ეუკოვი. თქვენი ძირითადი ამოცანაა — რაც შეიძლება სწრაფად მოძებნოთ ნაწილები და გადმოიყვანოთ ისინი მდინარე ბერეზინაზე. ეს საქმე პირადად თქვენ თვითონ ითავეთ და ამ მიზნისათვის შეარჩიეთ უნარიანი სახმელეთო და საჰაერო მეთაურები.

უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკი თქვენგან მოითხოვს, უმოკლეს ვადაში შეკრიბოთ ფრონტის ყველა ჯარები და სათანადო მდგომარეობაში მოიყვანოთ ისინი.

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაუშვათ მოწინააღმდეგის ნაწილების შეჭრა ბობრუისკისა და ბორისოვის რაიონში. რადაც არ უნდა დაგიჯდეთ, არ უნდა დაუშვათ არმიების თავმოყრის საბოლოო ჩაშლა ორშა-მოგილევ-ყლობინ-როგაჩევის რაიონში.

ბრძოლების სახელმძღვანელოდ და იმისათვის, რათა იცოდეთ, თუ

რა ხდება ბობრუისკთან, გაგზავნეთ მეთაურთა ჯგუფი რადიოსადგურით თქვენი მოადგილის ხელმძღვანელობით. დაუყოვნებლივ მოახდინეთ საწყობების ევაკუაცია, რათა ყოველივე ეს ხელში არ ჩაუვარდეს მოწინააღმდეგეს. როგორც კი მდგომარეობა ნათელი გახდება, მაშინვე მომახსენეთ ყოველივე ამის შესახებ.

პავლოვი. ბობრუისკისა და ბორისოვის შესანარჩუნებლად გადავისვრით ყველა ნაწილებს, სკოლასაც კი".

მაგრამ მდგომარეობა მაინც არ უმჯობესდებოდა. 30 ივნისს მე გენერალურ შტაბში დამირეკა ი. ბ. სტალინმა და მიბრძანა გამომეძახა დასავლეთის ფრონტის სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი დ. გ. პავლოვი.

მეორე დღეს გენერალი დ. გ. პავლოვი მოვიდა. მე იგი ძლივს ვიცანი, ისე შეცვლილიყო ომის რვა დღის განმავლობაში. იგი იმავე დღეს გადაყენებულ იქნა ფრონტის სარდლობიდან და მალე მიცემულ იქნა სამართალში. მასთან ერთად დასავლეთის ფრონტის სამხედრო საბჭოს წინადადებით სამართალში მისცეს შტაბის უფროსი გენერალი კლიმოვსკიხი, კავშირგაბმულობის ჯარების უფროსი გენერალი გრიგორიევი, არტილერიის უფროსი გენერალი კლიჩი და ფრონტის შტაბის სხვა გენერლები.

დასავლეთის ფრონტის სარდლად დაინიშნა სახალხო კომისარი ს. კ. ტიმოშენკო, მის მოადგილედ გენერალ-ლეიტენანტი ა. ი. ერიომენკო. ფრონტის შემადგენლობაში მისი გაძლიერების მიზნით შეყვანილ იქნენ სარეზერვო ფრონტის არმიები.

ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე გრძელდებოდა მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება.

მე-8 და მე-11 არმიები, რომელთაც თავიდან აიცილეს ალყა, ფრონტის სარდლობის არასაკმარისი ორგანიზებულობის გამო სხვადასხვა მიმართულებით იხევდნენ უკან და დიდ დანაკლისს განიცდიდნენ.

რათა დაეფარა ფსკოვ-ლენინგრადის მიმართულება, უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკმა უბრძანა 21-ე მექანიზებული კორპუსის მეთაურს გენერალ დ. დ. ლელიუშენკოს, რომ ოპოჩკა-იდრიცას რაიონიდან გამოსულიყო დაუგავაპილსის რაიონში და არ დაეშვა მტრის მიერ დასავლეთ დვინის გადმოლახვა.

მაგრამ ამ ამოცანის შესრულება თითქმის შეუძლებელი იყო, და მოწინააღმდეგემ უკვე 26 ივნისს დიდი ძალებით გადმოლახა დასავლეთი დვინა და დაიკავა დაუგავპილსი. და მაინც 21-ე მექანიზებული კორპუსი გაბედულად გადავიდა რა შეტევაზე, დასცხო გერმანელთა 56-ე მოტორიზებულ კორპუსს და შეაჩერა მისი წინსვლა.

იგონებდა რა ამ ბრძოლას, ფელდმარშალი ფონ მანშტაინი, რომელიც სარდლობდა მაშინ 56-ე მოტოკორპუსს, თავის წიგნში „დაკარგული გამარჯვებანი" წერდა:

„...მალე ჩვენ დვინის ჩრდილო ნაპირზე მოგვიხდა თავდაცვა მოწინააღმდეგის იერიშებისაგან, რომელსაც მხარს უჭერდა ერთი სატანკო დივიზია. ზოგიერთ უბანზე საქმე სერიოზულ ხასიათს ღებულობდა".

მაგრამ ჭარბი ძალების მოწოლისა და ჰაერიდან დარტყმების გამო 21-ე მექანიზებული კორპუსი იძულებული იყო, უკან დაეხია და დაეკავებინა თავდაცვა, რომელსაც ინარჩუნებდა, იგერიებდა რა მოწინააღმდეგის იერიშებს 2 იელისამდე. შემდგომში 21-ე მექანიზებული კორპუსი შევიდა 27-ე არმიის შემადგენლობაში, რომელსაც სარდლობდა გენერალ-მაიორი ნ. ე. ბერზარინი.

ჩემთვის სასიამოვნოა აღვნიშნო 21-ე მექანიზებულ კორპუსში შემავალი 46-ე სატანკო დივიზიის ბრწყინვალე მოქმედება და საბრძოლო გმირობა. მას სარდლობდა პოლკოვნიკი ვ. ა. კოპცოვი — ხალხინ-გოლის გმირი, აგრეთვე 27-ე არმიის სარდლის გენერალ ნ. ვ. ბერზარინისა, რომელიც ომის დასასრულს ბელორუსიის ფრონტის შემადგენლობაში სათავეში ედგა მე-5 დამკვრელ გმირულ არმიას. იგი თაძამად შეიჭრა ბერლინში და გახდა მისი პირველი კომენდანტი.

თვის ბოლოს ი. ბ. სტალინმა კვლავ მოახდინა ცვლილებები სამხედრო ხელმძღვანელობაში. 30 ივნისს ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის შტაბის უფროსად დანიშნულ იქნა გენერალ-ლეიტენანტი ნ. თ. ვატუტინი.

2 ივლისს 27-ე არმიამ მტრის ძალების მოწოლის გამო უკანდახევა იწყო.

მთელი ამ ხნის განმავლობაში არმია იბრძოდა ფართო ფრონტზე და არ გააჩნდა არც ძალები, არც საშუალებანი ღრმა ეშელონირებული თავდაცვის შესაქმნელად.

მდინარე ველიკაიაზე ჩვენი რეზერვების დაგვიანებით გამოსვლის გამო მოწინააღმდეგემ ერთი დაკვრით დაიკავა ქალაქი ფსკოვი. ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის მე-8 არმია, დაკარგა კრა კავშირი სხვა ჯარებთან, ჩრდილოეთისაკენ იხეედა.

ამგვარად, ომის პირველი 18 დღის განმავლობაში ჩრდილო-დასავლეთის ფრონტმა დაკარგა ლიტვა, ლატვია და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიის ნაწილი, რის შედეგად შეიქმნა საფრთხე ლუგზე გავლით მოწინააღმდეგის ლენინგრადისაკენ გაჭრისა, რომლის მისადგომები ჯერ კიდევ არასაკმაოდ იყო გამაგრებული და ჯარებითაც სუსტად იყო დაცული.

მთელი ამ ხნის განმავლობაში გენერალურ შტაბს ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის შტაბიდან არც ერთი ნათელი და ამომწურავი მოხსენება არ მიუღია ჯარების მდგომარეობის, მოწინააღმდეგის დაჯგუფებისა და მათი სატანკო და მოტორიზებული შენაერთების განლაგების შესახებ. ზოგჯერ გვიხდებოდა ინტუიციით განგვესაზღვრა მოვლენათა

მსვლელობა. მაგრამ, როგორც ცნობილია, ამ მეთოდის გამოყენებისას შეცდომებისაგან არავინაა დაზღვეული.

დასავლეთის ფრონტზე — ვიტებსკის, ორშანსკის, მოგილიოვისა და ბობრუისკის მიმართულებით — იულისის პირველ რიცხვებში გაჩაღებული ბრძოლები მიმდინარეობდა მოწინააღმდეგის მოტოჯავშანსატანკო ძალებისა და ავიაციის დიდი უპირატესობით. განუწყვეტელი ბრძოლებისაგან დაქანცული ჩვენი ჯარები აღმოსავლეთისაკენ იხევდნენ, მაგრამ ამასთან გამუდმებით ცდილობდნენ მტრისათვის მაქსიმალური ზარალი მიეყენებინათ და რაც შეიძლება მეტხანს შეეჩერებინათ იგი თავდაცვითს ზღუდეებზე.

ჩვენი ჯარები განსაკუთრებით შეუპოვრად იბრძოდნენ მდინარე ბერეზინაზე ქალაქ ბორისოვის რაიონში. ამ ბრძოლებში მონაწილეობდა ბორისოვოს სატანკო სასწავლებელი, რომელსაც დივიზიონის კომისარი ი. ზ. სუსაიკოვი ხელმძღვანელობდა. ამ დროისათვის მათ მიუახლოვდა მოსკოვის 1-ლი მოტომსროლელი დივიზია გენერალ-მაიორ ი. გ. კრეიზერის სარდლობით. მოსკოვის დივიზია დაკომპლექტებული იყო საომარი დროის შტატების მიხედვით, კარგად იყო მომზადებული და აღჭურვილი T-34 ტანკებით. გენერალმა ი. გ. კრეიზერმა, რომელმაც დაიქვემდებარა ბორისოვის სატანკო სასწავლებელი, შეძლო ორ დღეღამეზე მეტხანს შეეჩერებინა მოწინააღმდეგის მე-18 გაძლიერებული დივიზია. ამას მაშინ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. აღნიშნულ ბრძოლებში გენერალმა ი. გ. კრეიზერმა ბრწყინვალედ გამოიჩინა თავი.

სამხრეთის ფრონტზე რუმინეთის ტერიტორიიდან შეტევაზე გადმოვიდნენ გერმანელ-რუმინელთა ჯარები, რომლებმაც მთავარი დარტყმა მოგილიოვ-პოდოლსკი-ჟმერინკას მიმართულებით განავითარეს, რითაც ფლანგზე და ზურგში გასვლის საფრთხე შეუქმნეს სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მე-12, 26-ე და მე-6 არმიებს.

პირველი ექვსი დღეღამის დაძაბული ბრძოლების განმავლობაში მოწინააღმდეგემ შეძლო სამხრეთის ფრონტის ჯარების დაცვის გარღვევა და 60 კილომეტრამდე წინ წაწევა. სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა, რადგან ამავე დროს გერმანელთა ჯარებმა მრავალი ცდის შემდეგ ბოლოს და ბოლოს გატეხეს მოწინააღმდეგის დაცვა როვნო-დუბნო-კრემენცის რაიონში და დაიძრნენ შექმნილი გარღვევის მიმართულებით.

4 ივლისს გერმანელთა ჯარები მიადგნენ ნოვგოროდ-ვოლინსკის გამაგრებულ რაიონს, სადაც მათი იერიში მოგერიებულ იქნა მტრისათვის უდიდესი ზარალის მიყენებით. მოწინააღმდეგის მოტოჯავშანსატანკო ძალების შეჩერება აქ თითქმის სამი დღე-ღამის განმავლობაში შეეძელით. მოწინააღმდეგემ, რომელმაც ვერ მიაღწია წარმატებას, თა-

ვისი ძალები გადააჯგუფა ნოვგოროდ-ვოლინსკის სამხრეთით და 7 ივლისს ხელთ იგდო ბერდიჩევი, ხოლო 9 ივლისს — ჟიტომირი.

ბერდიჩევისა და ჟიტომირის აღება, აგრეთვე რუმინელ-გერმანელთა ჯარების მიერ მოგილიოვ-პოდოლსკის მიმართულებით შეტევის გაგრძელება სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მე-12, 26-ე და მე-6 არმიების ალყაში მოქცევის საშიშროებას აძლიერებდა. ეს არმიები იგერიებდნენ რა მოძალებულ მოწინააღმდეგეს, ნელ-ნელა იხევდნენ აღმოსავლეთისაკენ.

მაშინ ალყაში მოქცევის რეალური საშიშროების ლიკვიდაციის მიზნით, სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის სარდლობამ 9 ივლისს მოაწყო ბერდიჩევზე კონტრდარტყმა, რომელშიც მონაწილეობდა მე-15, მე-4 და მე-16 მექანიზებული კორპუსები. ჩრდილოეთიდან ჟიტომირის რაიონში კონტრშეტევას განაგრძობდა მე-5 არმია.

იმავე მომენტში სამხრეთ-დასავლეთის ფრონტმა მძლავრი კონტრიერიში მიიტანა მოწინააღმდეგის 1-ლი სატანკო ჯგუფების ფლანგზე კოროსტენის გამაგრებული რაიონის მხრიდან.

ბერდიჩევ-ჟიტომირის რაიონში 9 ივლისს დაწყებული ბრძოლები 16 ივლისამდე გაგრძელდა. გერმანელთა „სამხრეთის" არმიების ჯგუფის სარდლობამ განიცადა რა დიდი ზარალი და შიშობდა, რომ ჩრდილოეთიდან დაარტყამდნენ მისი მთავარი დაჯგუფების ფლანგს, შეაჩერა თავისი შეტევა ჟიტომირის რაიონში.

ამ გარემოებამ საშუალება მისცა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის სარდლობას, ბოლოს და ბოლოს ალყაში მოქცევის საფრთხისაგან ეხსნა მე-6 და მე-12 არმიების ძირითადი ძალები და ვნიშვნელოვნად გაეძლიერებინა კიევის დაცვა.

ამგვარად, მოწინააღმდეგემ ისევ ვერ შეძლო ალყაში მოექცია სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარები. გერმანელები იძულებული გახდნენ განუწყვეტლივ ეწარმოებინათ ფრონტალური სისხლისმღვრელი ბრძოლები. კლაისტის ჯგუფის ჯავშანსატანკო და მოტორიზებულმა შენაერთმა ვერა და ვერ შეძლო გარღვევა და ოპერატიულ სივრცეში გასელა.

ჩრდილოეთის ფრონტზე, სადაც შეტევითი მოქმედება 29 ივნისს დაიწყო, ბრძოლები ადგილობრივი მნიშვნელობისა იყო და ამიტომ საერთო სტრატეგიულ ვითარებაზე განსაკუთრებულ გაელენას ვერ ახდენდა.

ჩვენი სამხედრო-საზღვაო ძალებისა და გერმანელთა სამხედრო-საზღვაო ძალების რაიმე განსაკუთრებულ შეჯახებას ომის დასაწყისში არ ჰქონია ადგილი და უმთავრესად საავიაციო თავდასხმებს იგერიებდნენ. მაგრამ ბალტიის ფლოტი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. განსაკუთრებით რთული ვითარება შეიქმნა მთავარი საზღვაო ბაზისათვის, სა-

დაც თავმოყრილი იყო ბალტიის ფლოტის ყველა ძირითადი გემი და მატერიალური მარაგი.

ტალინის ბაზა და ქალაქი ტალინი სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მე-8 არმიის წარუმატებელი მოქმედების შედეგად ხმელეთიდან სუსტად დაცული აღმოჩნდა. ესტონეთის დედაქალაქის დასაცავად გადმოსროლილ იქნა წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ყველა ძალები, ქალაქის მუშათა შეიარაღებული რაზმები. ტალინის მისადგომებთან სასწრაფოდ იგებოდა თავდაცვითი ზღუდეები, შენდებოდა საინჟინრო დაბრკოლებანი, ქალაქის ობიექტები თავდაცვისათვის ემზადებოდნენ.

მოწინააღმდეგის ცდა, ერთბაშად ეგდო ხელთ ქალაქი და სამხედრო-საზღვაო ბაზა, გმირულად იქნა მოგერიებული მე-8 არმიის მე-10 მსროლელთა კორპუსის საზღვაო ქვეითი ჯარის ნაწილების, ფლოტის სახმელეთო არტილერიისა და ტალინის სახალხო მოხალისეთა შეიარაღებული ძალებით.

ივლისის ბოლოს და თითქმის მთელი აგვისტოს განმავლობაში ბრძოლები გრძელდებოდა ტალინისა და ფლოტის მთავარი საზღვაო ბაზისათვის. აგვისტოს ბოლოს ჩვენი ძალების დაქანცვისა და მტრის ჯარების გაძლიერების შედეგად მთავარბანაკმა მიიღო გადაწყვეტილება ფლოტის გემები საზღვაო ბაზიდან გადაეყვანა კრონშტადტში და ლენინგრადის ნავსადგურში, ხოლო ტალინი დაეტოვებინათ.

ფლოტის საბრძოლო ავიაცია ტალინის პლაცდარმისათვის წარმოებულ ბრძოლებში აქტიურ და უშუალო მონაწილეობას ღებულობდა და დარტყმას აყენებდა მოწინააღმდეგის მოიერიშე შენაერთებს. ჯეროვნად უნდა შევაფასოთ ბალტიელი მეზღვაურების მამაცობა: ხმელეთსა და გემებზე ისინი იბრძოდნენ როგორც ჭეშმარიტი გმირები.

ამ პერიოდში ჩრდილოეთის ფლოტი ურთიერთმოქმედებდა ჩრდილოეთის ფრონტთან და ოპერაციები გაიშალა წყალქვეშა ძალებით გერმანელთა ტრანსპორტის წინააღმდეგ, რომელსაც ნიკელის მადანი გამოჰქონდა პეტსამოდან. შავი ზღვის ფლოტი ძირითადად უზრუნველყოფდა ზღვისპირეთის არმიებისათვის ხალხის გადაყვანასა და საბრძოლო მასალების გადაზიდვას, ამასთან იბრძოდა მოწინააღმდეგის კომუნიკაციებზე, რითაც აფერხებდა რუმინეთისა და ბულგარეთის ნავსადგურებში ტვირთის გადაზიდვას.

შავი ზღვის ფლოტის გემების ჯგუფმა ავიაციასთან ერთად დარტყმა მიაყენა რუმინელთა ფლოტის ბაზას კონსტანცაში. შავი ზღვის ავიაცია სისტემატურად ბომბავდა რუმინული ნავთის საწარმოებს და სარკინიგზო კვანძებს.

მე შეგნებულად არ ვჩერდები ვრცლად სამხედრო-საზღვაო ფლოტის საბრძოლო მოქმედებებზე, რადგან მიმაჩნია, რომ ამას ჩემზე

უკეთ და საინტერესოდ მოგვითხრობენ ადმირალები და კაპიტნები. მაგრამ უნდა ითქვას. რომ ზღვისპირეთის საომარ ფრონტებსა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ურთიერთმოქმედების შედეგებს შეეძლოთ მოეცათ მეტი ეფექტი, თუკი ომის წინა წლებში უფრო მომწიფებულად გადაწყდებოდა სანაპირო თავდაცვისა და სამხედრო-საზღვაო ბაზების დაცვის საკითხები. სამწუხაროდ, ამ პრობლემებს მთავარმა სამხედრო-საზღვაო სარდლობამ, თავდაცვის სახკომებმა და გენერალურმა შტაბმა დიდი დაგვიანებით მოჰკიდეს ხელი.

თითქმის სამი კვირა იყო გასული, რაც ფაშისტურმა გერმანიამ დაარღვია თავდაუსხმელობის ხელშეკრულება და შეიარაღებული ძალებით შემოიჭრა ჩვენი ქვეყნის ფარგლებში. ამ ხნის განმავლობაში ჰიტლერულმა ჯარებმა უკვე დაკარგეს 100 ათასამდე კაცი, ათასზე მეტი თვითმფრინავი, ათასხუთასამდე ტანკი (50% იმისა, რაც მთლიანად ჰქონდათ ომის დაწყებისას).

საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა და, განსაკუთრებით, დასავლეთის ფრონტის ჯარებმა. დიდი ზარალი ნახეს, რამაც სერიოზული გავლენა მოახდინა მოვლენათა შემდგომ მსვლელობაზე. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ძალთა და საშუალებათა თანაფარდობა კიდევ უფრო მეტად შეიცვალა მტრის სასარგებლოდ. მოწინააღმდეგემ სერიოზულ წარმატებებს მიაღწია. ქვეყნის სიღრმეში 500-600 კილომეტრამდე წაიწია და დაიპყრო მნიშვნელოვანი ეკონომიური რაიონები და სტრატეგიული ობიექტები.

ყოველივე ეს ძალზე მოულოდნელი იყო საბჭოთა ხალხისა და ჩვენი ჯარებისათვის. მაგრამ ამ მძიმე დღეებში განსაკუთრებული ძალით იჩინა თავი საბჭოთა ადამიანების მორალურ-პოლიტიკურმა ერთიანობამ.

პარტია და ხალხი არ შედრკნენ.

პირველივე მომენტიდან დღითიდღე იზრდებოდა და ფართოვდებოდა პარტიის გრანდიოზული ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობა, რომელიც მთლიანად და სრულად მიმართული იყო ერთი მიზნისაკენ — ხალხთა მთელი ძალები დაერაზმათ მტრისათვის წინააღმდეგობის გასაწევად.

უკვე 23 ივნისს მოქმედებაში შეევიდა ის სამობილიზაციო გეგმები, რომლებიც შემუშავებული იყო ადრე, კერძოდ, საბრძოლო მასალების წარმოების შესახებ. სახკომატებმა მიიღეს მითითებანი გაეზარდათ ტანკების, ზარბაზნების, თვითმფრინავებისა და სამხედრო ტექნიკის სხვა სახეობათა გამოშვება. ერთი კვირის შემდეგ მთავრობამ გააუქმა ადრე მოქმედი 1941 წლის მე-3 კვარტალის გეგმა და დაამტკიცა სამობილიზაციო სახალხო სამეურნეო გეგმა მესამე კვარტლისათვის, რომელიც ითვალისწინებდა სამხედრო ტექნიკის ერთი მეოთხედით და უფრო მეტად გაზრდას.

მაგრამ მოვლენებმა გვიჩვენეს, რომ ეს საკმარისი არ იყო. მაშინ კომისიამ ნ. ს. ვოზნესენსკის თავმჯდომარეობით შეიმუშავა ახალი, კიდევ უფრო მეტად დაძაბული სამხედრო-სამეურნეო გეგმა 1941 წლის მე-4 კვარტალისათვის. ომამდე დამკვიდრებულ საწარმოო რეზერვებზე დაყრდნობით მთავრობამ დაადგინა 1942 წლისათვის ვოლგისპირეთის, ურალის, დასავლეთ ციმბირის, ყაზახეთის და შუა აზიის რაიონების განვითარების დაჩქარებული გეგმა. ამ რაიონებმა მეტად დიდი როლი შეასრულეს მთელი სახალხო მეურნეობის სამხედრო რელსებზე გადაყვანის საქმეში. ქვეყნის აღმოსავლეთში მეურნეობის რეორგანიზაციასა და აღდგენაში დიდი სამუშაოები ჩაატარეს პარტიის საოლქო კომიტეტებმა. კერძოდ, თავდაცვის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩელიაბინსკის პარტიის საოლქო კომიტეტმა, რომელსაც იმ დროს ნ. ს. პატოლიჩევი ხელმძღვანელობდა.

დაიწყო მრეწველობისა და ტრანსპორტის გარდაქმნა, მატერიალური და ადამიანთა რესურსების გადანაწილება, სოფლის მეურნეობის მობილიზაცია ომის საჭიროებისათვის. ათასობით ქარხანა, რომლებიც სულ ახლახან უშვებდნენ მშვიდობიანი დროისათვის შესაფერის პროდუქციას, დღეისათვის საბრძოლო მასალებისა და სამხედრო ტექნიკის წარმოებაზე გადავიდნენ.

მანქანათმშენებელი და დაზგათმშენებელი ქარხნები სასწრაფოდ ეადაკეთდა ტანკებისა და თვითმფრინავების საწარმოებად, მეტალურგიულ ქარხნებში მიღებულ იქნა ზომები საჯავშნე ფურცლების მასობრივად გამოშვების ორგანიზებისათვის, ჭურვების მასალების დამზადებ-სათვის. მაღალხარისხოვანი ფოლადის გამოშვებისათვის. ახლა მოტორები და გენერატორები ტანკებისათვის, ნაღმძებნელები, ხმისდამჭერები, რადიოლოკაციური დანადგარები უნდა შემოსულიყო რადიო და ელექტრომრეწველობის საწარმოებიდან. საავიაციო ბენზინი, ტანკებისა და გემების საწვავი გახდა უმთავრესი რამ ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების პროდუქციათა შორის. კონვეიერებზე საათის მექანიზმის მაგიერ იდგმებოდა ჭურვების ამფეთქებლები. დამსხვრეული ჯავშნიანი მატარებლები იგზავნებოდა რკინიგზის სახელოსნოებში.

მოწინააღმდეგემ ხელთ იგდო უმნიშვნელოვანესი ეკონომიური რაიონები, მთელ რიგ ყოფილ სამხედრო ოლქებში ჩაშალა მობილიზაცია, მილიონობით საბჭოთა ადამიანი, უდიდესი მატერიალური ფასეულობანი დარჩა მტრის ზურგში. მტრის მიერ სამი კვირის განმავლობაში ოკუპირებულ ტერიტორიაზე ცხოვრობდა მოსახლეობის 40 პროცენტი. ამ ტერიტორიაზე უშვებდნენ მთელი ქვეყნის საერთო პროდუქციის მესამედზე მეტს. მკვეთრად დაეცა სტრატეგიული მასალების, თუჯის, ფოლადის, ნაგლინის, ელექტროენერგიის წარმოება. საშიშროება ემუქრებოდა ახალ ინდუსტრიულ ცენტრებს.

აუცილებელი იყო რაიმე განსაკუთრებული ღონისძიების მიღება, რომ ფეხზე დაგვეყენებინა გადარჩენილი ქარხნები, გადაგვეტანა ისინი აღმოსავლეთში, გაგვეერთიანებინა იქ მყოფთ საწარმოებთან და ქვეყნის ამ ნაწილზე დაყრდნობით თავს დავსხმოდით მტერს, შეგვეჩერებინა იგი, დაგვემხო.

თავისი მასშტაბებითა და ხასიათით ისტორიაში არნახული მუშაობა გაჩაღდა. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 24 ივნისის დადგენილებით შეიქმნა ევაკუაციის საბჭო, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა ნ. მ. შვერნიკი, ხოლო მოადგილეებად ა. ნ. კოსიგინი და მ. გ. პერვუხინი. სახკომატებში შეიქმნა ევაკუაციის ბიუროები და კომიტეტები. 1500-ზე მეტი საწარმო, უმეტესად მსხვილი, სამხედრო, ევაკუირებულ იქნა უმოკლეს ვადებში — 1941 წლის ივნისიდან ნოემბრამდე — და სულ მალე კვლავ ამოქმედდა. ამავე დროს დღითა და ღამით დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთისაკენ უწყვეტ ნაკადად მიედინებოდნენ ჯარისკაცებითა და საჭურველით დატვირთული ეშელონები.

მთელი გიგანტური მუშაობა მიმდინარეობდა ედიდესი ძალების დაძაბვით, მასში იყო უწესრიგობანი, ხდებოდა შეჯახებები, გვიღირდა ნერვების ფასად. მაგრამ სრულდებოდა შეუჩერებლივ, თანდათან იზრდებოდა და ემორჩილებოდა პარტიის ხელმძღვანელსა და მაორგანიზებელ როლს.

მე ვფიქრობ, ეს გმირული ხანა საბჭოთა ხალხის, ჩვენი პარტიის ცხოვრებაში დაუმსახურებლადაა მივიწყებული, ისევე როგორც დღემდე არაა გახსნილი და აღწერილი ღირსეულად ყველაფერი ის, რაც საერთოდ გაკეთდა ომის წლებში პარტიისა და ხალხის მიერ ეკონომიკის დარგში. ხოლო ასეთ მწვავე პერიოდში ასეთი გრანდიოზული მოვლენების შუქზე კიდევ უფრო მკვეთრად ვლინდება სოციალისტური წყობის, სახალხო მეურნეობის უპირატესობა, რომელიც დაფუძნებულია საზოგადოებრივ საკუთრებაზე.

ომის წლებში საწარმოო სიმძლავრეთა ევაკუაციისა და აღდგენის სახალხო შრომითი ეპოპეა, მასთან დაკავშირებული პარტიის მიერ ჩატარებული კოლოსალური ორგანიზატორული მუშაობა თავისი გაქანებით და ჩვენი სამშობლოს ბედ-იღბლის გადაწყვეტის მნიშვნელობით მეორე მსოფლიო ომის უდიდეს ბრძოლებს უდრის.

თუ მახსოვრობა არ მღალატობს, ომის პირველ დღეებში საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გადაწყვეტილებით, უშუალოდ სამხედრო სამუშაოზე გაგზავნილ იქნა საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 50-ზე მეტი წევრი და წევრობის კანდიდატი, 100-ზე მეტი — პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებისა და მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიის ცენტრალური კომიტეტების მდივნები,

გამოჩენილი და გამოცდილი სახელმწიფო მოღვაწენი. პარტიამ მაშინვე მიიღო მთელი რიგი პრაქტიკული ზომები ქვეყნის ყველა სასიცოცხლო მხარის და შეიარაღებული ძალების საბრძოლო მოქმედების ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის გაძლიერებისათვის. ცენტრალური კომიტეტის აპარატი გარდაიქმნა, ცენტრალური კომიტეტის წევრებს შორის განაწილდა ფუნქციები და მოვალეობანი სამხედრო, სამეურნეო და პოლიტიკური მუშაობის უმნიშვნელოვანესი უბნების ხელმძღვანელობისათვის.

ჩვენს პარტიას ჰქონდა ქვეყნის ერთ მთლიან სამხედრო ბანაკად გარდაქმნის გამოცდილება. ჩვენ ამის შესახებ უკვე ვთქვით წიგნის დასაწყისში. ყველა ახალი პირობის გათვალისწინებით ეს გამოცდილება ომის პირველი დღეებიდანვე მიმართულ იქნა შეიარაღებაზე, მის ლენინურ საწყისებზე, საქმეთა წარმოების ლენინურ პრინციპებზე, როცა ქვეყანას სიკვდილის საფრთხე ემუქრებოდა. იგი საფუძვლად დაედო კომუნისტების მთელ საქმიანობას ფრონტსა და ზურგში. ხალხს სჯეროდა, რომ პარტია იპოვიდა გამოსავალს შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან და შეძლებდა გერმანელ-ფაშისტთა ჯარების განადგურების ორგანიზებას. საჭირო იყო მხოლოდ დრო.

1941 წლის 30 ივნისს შეიქმნა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ბ. სტალინის მეთაურობით. ეს იყო ქვეყნის თავდაცვის ხელმძღვანელობის ავტორიტეტული ორგანო, რომლის ხელში თავმოყრილი იყო სრული ძალაუფლება. სამოქალაქო, პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციები მოვალენი იყვნენ შეესრულებინათ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ყველა დადგენილება და განკარგულება. მათი შესრულების საკონტროლოდ მხარეებსა და ოლქებში, სამხედრო-სამრეწველო სახკომატებში, უმთავრეს საწარმოებსა და მშენებლობებზე თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტს ჰყავდა თავისი წარმომადგენლები.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის სხდომებზე, რომლებიც მიმდინარეობდა დღე-ღამის ყოველ დროს, როგორც წესი, კრემლში ან ი. ბ. სტალინის აგარაკზე, განიხილებოდა და წყდებოდა იმ დროის უმნიშვნელოვანესი საკითხები. უდიდესი სამხედრო ოპერაციების ჩანაფიქრებს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი განიხილავდა პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან და სახალხო კომისრებთან ერთად, რომელთა უფლებები იმ დროისათვის მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ამით, როცა შესაძლებლობა იქმნებოდა, უზრუნველყოფდით უმნიშვნელოვანეს მიმართულებაზე თავი მოგვეყარა უდიდესი მატერიალური ძალებისათვის, სტრატეგიული ხელმძღვანელობის სფეროში გაგვეტარებინა ერთიანი ხაზი და მისი ორგანიზებული ზურგით უფრო მტკიცედ დაგვე-

კავშირებინა ჯარების საბრძოლო მოქმედება მთელი ჩვენი ქვეყნის საზრუნავისათვის.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის სხდომებზე ძალიან ხშირად ცხარე კამათი ჩაღდებოდა, ამასთან მოსაზრებებს გამოთქვამდნენ გარკვევით და მკვეთრად. ი. ბ. სტალინი, ჩვეულებრივ, მაგიდის ახლოს ბოლთას სცემდა და ყურადღებით უსმენდა მოკამათეებს. თვითონ იგი სიტყვაძუნწი იყო და არც სხვების სიტყვამრავლობა უყვარდა. ხშირად შეაჩერებდა ხოლმე მოლაპარაკეთ რეპლიკებით — „უფრო მოკლედ", „უფრო ნათლად". სხდომებს იწყებდა ყოველგვარი შესავალი სიტყვის გარეშე, ლაპარაკობდა ხმადაბლა, თავისუფლად, მხოლოდ საკითხის არსებით მხარეზე. იგი ლაკონური იყო და აზრებს მკაფიოდ აყალიბებდა.

თუ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის სხდომებზე ერთიანი აზრი ვერ გამოჰქონდათ, იქვე უკიდურესად საწინააღმდეგო აზრების მქონე მხარეთაგან იქმნებოდა კომისია, რომელსაც ევალებოდა შეთანხმებული წინადადებების წარმოდგენა. ასე ხდებოდა, როცა ი. ბ. სტალინს ჯერ კიდევ არ ჰქონდა შემუშავებული თავისი მტკიცე აზრი. ხოლო თუ ი. ბ. სტალინი სხდომებზე წინასწარი გადაწყვეტილებით მოდიოდა, მაშინ კამათი ან არ იწყებოდა, ანდა უმალვე წყდებოდა, როგორც კი იგი რომელიმე მხარეს მიემხრობოდა.

მთელი ომის მანძილზე თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა სულ მიიღო ათი ათასამდე სამხედრო და სამეურნეო ხასიათის გადაწყვეტილება და დადგენილება. ეს დადგენილებები და განკარგულებანი მკაცრად და ენერგიულად სრულდებოდა. მათი მეშვეობით დუღდა მუშაობა, რომელიც იმ ძნელ და მძიმე პერიოდში უზრუნველყოფდა ქვეყნის მართვაში ერთიანი პარტიული ხაზის გატარებას.

ი. ბ. სტალინი მტკიცე ნებისყოფის კაცი იყო და არც მხდალი გახლდათ. რამდენადმე უგუნებოდ მყოფი მე იგი მხოლოდ ერთხელ ვნახე. ეს იყო 1941 წლის 22 ივნისს განთიადისას: მისი რწმენა იმის შესახებ, რომ ომი თავიდან აცილებული იქნებოდა, დაიმსხვრა.

1941 წლის 22 ივნისის შემდეგ მთელი ომის მანძილზე ი. ბ. სტალინი პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან ერთად მტკიცედ ხელმძღვანელობდა ქვეყანას, შეიარაღებულ ბრძოლებს და ჩვენს საერთაშორისო საქმეებს.

წარუმატებლობამ და მძიმე დანაკლისმა, რომლებიც თავს დაგვატყდა ომის დასაწყისში, გაართულა ბრძოლის მსვლელობა. ჯარები ბრძოლებით იხევდნენ ქვეყნის სიღრმეში. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი და პარტიული ორგანიზაციები ადგილებზე ყოველგვარ ზომებს იღებდნენ, რათა განემარტათ ხალხისათვის დროებითი იძულებითი უკანდახევა.

მიუხედავად შექმნილი ვითარების მთელი სირთულისა, უკრაინის,

ბელორუსიისა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკების პარტიულმა ორგანიზაციებმა წარმატებით გააჩაღეს მუშაობა საბჭოთა ადამიანების მობილიზაციისათვის მტრის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის საწარმოებლად. ამ მიზნით, დროებით დატოვებულ ტერიტორიებზე იქმნებოდა მასობრივი არალეგალური პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები, ყალიბდებოდა პარტიზანული რაზმების ძირითადი კადრები, რომლებსაც უერთდებოდნენ ალყიდან გამოსული ნაწილების წითელარმიელები, მეთაურები და პოლიტმუშაკები.

დადგა თუ არა ფეხი ჩვენს მიწაზე, მტერმა მაშინვე იგრძნო არა მარტო საბჭოთა ადამიანების სიძულვილი გერმანელ-ფაშისტ ოკუპანტებისადმი, არამედ ის მნიშვნელოვანი დანაკარგები, რომელსაც აყენებდნენ მათ იატაკქვეშელები.

იმ დღეებში საბჭოთა სარდლობას მთელ სტრატეგიულ ფრონტზე თავდაცვაზე გადასვლის გარდა სხვა გამოსაყალი არ ჰქონდა. შეტევითი ბრძოლებისათვის, განსაკუთრებით კი მსხვილი ოპერაციებისათვის, არც ძალა და არც საშუალებები არ გაგვაჩნდა. უნდა შეგვექმნა ჯარების დიდი სტრატეგიული რეზერვი, კარგად შეგვეიარაღებინა, რათა ჭარბი ძალებით მოწინააღმდეგისათვის გამოგვეგლიჯა ინიციატივა და გადავსულიყავით შეტევით მოქმედებებზე, გაგვედევნა მტრის ძალები საბჭოთა კავშირიდან.

ეს ყველაფერი გაკეთდა, მაგრამ მოგვიანებით.

ჩვენი ჯარები სტრატეგიულ თავდაცვაზე გადადიოდნენ იძულებითი უკანდახევის პროცესში. მოქმედება მოგვიხდა არახელსაყრელ ოპერატიულ-ტაქტიკურ დაჯგუფებებად იმ ძალებისა და საშუალებების უკმარისობის პირობებში, რომელიც საჭირო იყო ღრმა დაცვისა, განსაკუთრებით კი მისი მთავარი ძარღვის — ტანკსაწინააღმდეგო დაცვის მოსაწყობად.

არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ჩვენი საჰაერო თავდაცვის საზენიტო საშუალებათა სისუსტე და ჰაერიდან სათანადო საავიაციო დაცვის უქონლობა. ომის დაწყებით პერიოდში ჰაერში ბატონობდა მოწინააღმდეგე, რაც მნიშვნელოვნად არყევდა ჩვენი ჯარების სიმტკიცეს.

და მაინც, მიუხედავად მთელი რიგი შეცდომებისა და იმის გამო, რომ ჯარებს ზოგჯერ წინააღმდეგობის გაწევის საკმარისი უნარი არ გააჩნდათ, სტრატეგიული თავდაცვა, ძირითადად, ორგანიზებულ იქნა.

როგორც ცნობილია, ომის მეორე და მესამე პერიოდში, როცა ჰიტლერებმა იგეგმეს დამარცხების სიმწარე მთელ საბჭოთა ფრონტზე, მათ ვერ შეძლეს მოეწყოთ ასეთი თავდაცვა.

იმ მომენტში ჩვენი სტრატეგიული თავდაცვის უმთავრესი მიზანი იყო:

— რაც შეიძლება მეტხანს შეგვეჩერებინა ფაშისტური ჯარები

თავდაცვით ზღუდეებზე, რათა მოგვეგო დროის მაქსიმუმი, გადმოგვეყვანა ქვეყნის სიღრმიდან ძალები და გაგვეშალა ისინი უმნიშვნელოვანეს მიმართულებებზე;

— მიგვეყენებინა მტრისათვის მაქსიმალური ზარალი, დაგვექანცა და სისხლისაგან დაგვეცალა იგი და ამით რამდენადმე გაგვეწონასწორებინა ძალთა თანაფარდობა;

— უზრუნველგვეყო მოსახლეობისა და სამრეწველო ობიექტების ქვეყნის სიღრმეში ევაკუაციის ღონისძიებანი, რომლებსაც პარტია და მთავრობა ახორციელებდა, მოგვეგო დრო ომის საჭიროებისათვის მრეწველობის გადასახალისებლად.

— შეგვეკრიბა ძალების მაქსიმუმი და გადაესულიყავით კონტრშეტევაზე, რათა მთლიანად ჩაგვეფუშა ომის ჰიტლერული გეგმა.

გადასული იყვნენ რა სტრატეგიულ თავდაცვაზე, ჩვენი ჯარები არა მარტო იგერიებდნენ მტერს ხმელეთზე, ჰაერში და ზღვაზე, არამედ, რაც მთავარია, მთელ რიგ შემთხვევაში საგრძნობ კონტრდარტყმასაც აგემებდნენ მოწინააღმდეგეს. ყველგან, სადაც კი შესაძლებელი იყო, ჩვენი ჯარები და პარტიზანები თავიანთი ეაქკაცური მოქმედებით უდიდეს ზიანს აყენებდნენ ფაშისტ დამპყრობლებს.

ომის მეხუთე დღეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით დაიწყო კომუნისტებისა და კომკავშირელების მობილიზაცია ფრონტისათვის, მათ შორის პოლიტმებრძოლებისაც. ისინი არმიის პარტიული ორგანიზაციების დასაყრდენი უნდა გამხდარიყვნენ.

ომის წინადღეს წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტში 650 ათასზე მეტი კომუნისტი ირიცხებოდა. არმიის მთელი პირადი შემადგენლობის მესამედს კომკავშირელები შეადგენდნენ. მარტო ომის პირველი ექვსი თვის განმავლობაში ფრონტზე წავიდა 1 მილონ 100 ათას კომუნისტზე მეტი.

საზღვარგარეთული პოლიტიკურ ლიტერატურაში დღემდე გვხვდება კომუნისტებისა და პარტიული მუშაკების განსაზღვრა როგორც რაღაც „ელიტისა“, ჩვენი საზოგადოების პრივილეგირებული ფენისა. მე როგორც სამხედრო კაცს, ვეუსურვებდი, ყველა ქვეყანას ჰყოლოდეს მსგავსი „ელიტა“, რომელთა წარმომადგენლებს ასე თავდადებულად და გმირულად შეეძლოთ გაეწირათ თავი სამშობლოსათვის...

მე არაერთხელ მისაუბრია ჯარში სამუშაოდ მიმავალ პოლიტმებრძოლებთან. ამ ადამიანებს ჰქონდათ რაღაც განსაკუთრებული ურყევი რწმენა ჩვენი გამარჯვებისა. „გავუძლებთ“ — ამბობდნენ ისინი. და მე ვგრძნობდი, რომ ეს უბრალო სიტყვები კი არ იყო, ეს იყო აზროვნების ნიმუში, ნამდვილი საბჭოთა პატრიოტიზმი. თავიანთი შესანიშნავი ოპტიმიზმით პოლიტმებრძოლები თითქმის დაკარგულ რწმენას უბრუნებდნენ ადამიანებს.

3 ივლისს რადიოთი გამოსელისას ი. ბ. სტალინმა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით განმარტა ფრონტებზე შექმნილი მდგომარეობა და მოუწოდა საბჭოთა ხალხს დაუყოვნებლივ გარდაექმნათ ქვეყნის სასიცოცხლო მოქმედება და ეკონომიკა ძლიერ, ვერაგ და ულმობელ მტერთან საომარი მოთხოვნების შესაბამისად. ი. ბ. სტალინმა მოუწოდა პარტიას და ხალხს, აღმდგარიყვნენ მტერთან წმინდათა წმინდა ბრძოლისათვის, ბოლო მოეღოთ უდარდელობისათვის და მკვეთრად აემაღლებინათ სიფხიზლე.

ი. ბ. სტალინის ამ დაუვიწყარ სიტყვას საფუძველად ედო საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1941 წლის 29 ივნისის დირექტივა, რომელიც მიიღო ყველა ფრონტისპირა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციამ. ამ დოკუმენტ-მოწოდებაში გადმოცემული იყო საბჭოთა ხალხისა და შეიარაღებული ძალების ძირითადი ამოცანები დიდ სამამულო ომში.

ი. ბ. სტალინის სიტყვა, პარტიისა და მთავრობის დირექტივა მიმართული ხალხისადმი გაისმა როგორც მძლავრი საგანგაშო ზარის ხმა, რომელშიც გვესმოდა გამოძახილი საყოველთაოდ ცნობილი ლენინური სიტყვებისა: „სოციალისტური სამშობლო განსაცდელშია!" იგრძნობოდა, რომ ამ ზარის მრისხანე და მომწოდებელი ხმა მხოლოდ მაშინ დადუმდებოდა, როცა უკანასკნელი ფაშისტი დამპყრობელი დატოვებდა ჩვენი სამშობლოს საზღვრებს...

მძიმე ავბედითობის ჟამს ყველა ქვეყნის ცხოვრებაში შინაური თუ გარეშე მტრის შემოტევისას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება გამაერთიანებელ მოწოდებას, ლოზუნგს, რომელშიც გამოთქმული უნდა იყოს საყოველთაო საზრუნავის დედაარსი. პარტიამ, რომელსაც ხალხმა მიანდო თავისი ბედი, უნდა შეეძლოს უცებ ფეხზე დააყენოს ყველა ფენა, ყველა კლასი, მკაფიოდ გამოთქვას მიზანი და მიუთითოს მტერი..ჩვენი პარტია სრულყოფილად ფლობს ამ ხელოვნებას, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ ხალხის ჭეშმარიტი ხელმძღვანელისათვის.

ამ მომენტში პარტიამ ლოზუნგით: „ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი გამარჯვებისათვის!" თვითეული საბჭოთა ადამიანი პირისპირ შემოაბრუნა განსაცდელისაკენ. ამ მოწოდების ირგვლივ გაერთიანდნენ სრულიად განსხვავებული შეხედულებებისა და ჩვეულებების ადამიანები — სამხედრო და უაღრესად სამოქალაქო პირები, ქალი თუ კაცი ასაკისა და წარმოშობის განურჩევლად.

უმაღლესი პატრიოტული მიზნისათვის — თავისი სამშობლოს დასაცავად აღსდგა დიდი რუსი ხალხი, ჩვენი ქვეყნის ყველა ეროვნების ადამიანი და თავიანთი ერთიანი მისწრაფებით კიდევ უფრო გაზარდეს მატერიალური ძალა და იარაღის ძლიერება.

სამხედრო ძალებში პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობის გაძლიერებისა და პარტიის ზეგავლენის განმტკიცების მიზნით პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით ივლისში განხორციელდა არმიის პოლიტიკური პროპაგანდის ორგანოების გადახალისება და შემოღებული იქნა სამხედრო კომისართა ინსტიტუტი.

ომის პირველი დღეებიდანვე ფრონტის ინტერესებს დაუქვემდებარდა ყველა საბჭოთა საზოგადოებრივი ორგანიზაციის საქმიანობა. პარტიის ცენტრალური კომიტეტის რეკომენდაციით პროფესიული კავშირების საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ, ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მრავალი პრაქტიკული ღონისძიება შეიმუშავეს ფრონტის ყოველმხრივი დახმარებისათვის, ზურგში შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის, დაჭრილ მებრძოლთა და სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის მზრუნველობის გაძლიერების, საბრძოლო რეზერვების მომზადებისა და ადგილობრივ საჰაერო თავდაცვის მოწყობაში მშრომელთა აქტიური მონაწილეობის მიზნით.

ფრონტსა და ზურგში ჩვენი ჭაბუკები და ქალიშვილები საბჭოთა პატრიოტიზმისა და სამშობლოსათვის თავგანწირვის მუდამ მზადყოფნის მაგალითებს იძლეოდნენ.

ზოგიერთ კომკავშირელს მე ვესაუბრე სადაზვერვო და დივერსიული ოპერაციების შესასრულებლად მათი მტრის ზურგში ვადასროლის წინ. სამწუხაროდ, მათი სახელები და გვარები არ ჩამიწერია, მაგრამ მათთან შეხვედრები მეხსიერებაში დამრჩა.

აი ერთი ეპიზოდი, რომელიც მსურს მოგითხროთ.

ივლისის პირველ რიცხვებში, როცა მოწინააღმდეგემ დაიკავა მინსკი და მტრის ჯარები მდ. ბერეზინასაკენ გამოიქრნენ, მოწინააღმდეგის ზურგში მინსკის რაიონში უნდა გადმოესროლათ დივერსიულ-დაზვერვითი ჯგუფი. აღნიშნულ ჯგუფში შედიოდა ორი ქალიშვილი და ორი ჭაბუკი — კომკავშირელები, გერმანული ენის კარგი მცოდნენი. თუ არ ვცდები, ქალიშვილები უცხო ენათა ინსტიტუტიდან იყვნენ. საუბარში გამოირკვა, რომ მოსკოველები ყოფილან. ჩემს შეკითხვაზე — ხომ არ გეშინიათ მტრის ზურგში ფრენა-მეთქი, მათ ერთმანეთს გადახედეს და ოდნავი ღიმილით მიპასუხეს:

— ცხადია, ცოტათი საშიშია, ცუდი იქნება, თუ მიწაზე დაშვების დროს ხელთ გვიგდეს. მაგრამ თუ ამ მომენტს გადავურჩით, მერე ყველაფერი რიგზე იქნება.

ისინი ძალზე ახალგაზრდები და სასიამოვნო შესახედავები იყვნენ. სამშობლომ უხმო მათ და ისინიც წავიდნენ ამ მეტად სახიფათო და ძნელ საქმეზე. რა ბედი ეწიათ მათ, არ ვიცი, თუკი ამ ჯგუფიდან რომელიმე ცოცხალი გადარჩა, ალბათ, გაახსენდება ჩვენი შეხვედრა

მოსკოვში, გენერალურ შტაბში, ფრუნზეს ქუჩაზე, 1941 წლის ივლისის დღეებში...

ჯარებსა და მატერიალურ ნაწილში მნიშვნელოვანმა დანაკარგებმა აუცილებელი გახადა გაგვეტარებინა მთელი რიგი ორგანიზაციული ღონისძიებანი, რათა გაგვემტკიცებინა ჯარების მართვა და ნაწილებისა და შენაერთების ბრძოლისუნარიანობა. დროებით დაშლილ იქნა მმართველობის კორპუსული სისტემა, ხოლო მისგან განთავისუფლებული კადრები და კავშირის საშუალებანი გამოყენებულ იქნა არმიისა და დივიზიონის რგოლის გასაძლიერებლად. არმიაში ნაცვლად ცხრათორმეტი დივიზიისა გადაწყდა ყოფილიყო ექვსი დივიზია. კორპუსის ნაცვლად უმაღლეს ტექნიკურ შენაერთად დივიზია გახდა. სამხედრო-საჰაერო ძალების პოლკებსა და დივიზიებში ორჯერ შემცირდა თვითმფრინავების რიცხვი. ფართო ფრონტით გაიშალა უმაღლესი მთავარსარდლობის რეზერვების ფორმირება.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა და პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სამხედრო ხელმძღვანელობას და პოლიტიკურ სამმართველოს მოსთხოვეს ყველა ზომა მიეღოთ ჯარებში დისციპლინის განმტკიცებისათვის. ამ მიზნით პოლიტსამმართველოს ხელმძღვანელობისა და თავდაცვის სახკომის მიერ გამოცემულ იქნა მთელი რიგი დირექტივები.

ივლისში მდგომარეობა ყველა მიმართულებით კიდევ უფრო გართულდა. მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლებში შეუვანილ იქნა შიდა ოლქებიდან ჩამოსული დიდი რაოდენობით შენაერთები, ჩვენ მაინც ვერ შევძელით შეგვექმნა სტრატეგიული თავდაცვის მყარი ფრონტი. მოწინააღმდეგეს, მიუხედავად დიდი დანაკარგებისა, გადამწყვეტ მიმართულებებზე კვლავინდებურად ჰქონდა სამ-ოთხ-ჯერ მეტი უპირატესობა, რომ აღარაფერი ვთქვათ ტანკების შესახებ.

ჩვენი ჯარების სარკინიგზო გადაზიდვები მთელი რიგი მიზეზების გამო ზოგჯერ ფერხდებოდა. მოსული ჯარები ხშირად საქმეში ებმებოდნენ სრულ თავმოყრამდე, რაც უარყოფითად მოქმედებდა ნაწილების პოლიტიკურ-მორალურ მდგომარეობასა და საბრძოლო სიმტკიცეზე.

ჩვენი ოპერატიულ-ტაქტიკური თავდაცვის სისუსტე უმთავრესად იმაში გამოიხატებოდა, რომ ძალებისა და საშუალებების უქონლობის გამო არ შეიძლებოდა მოგვეწყო მისი ღრმად ეშელონირება, ნაწილებისა და შენაერთების თავდაცვა სახაზო ხასიათს ატარებდა. სწრაფმავლებისა და ყველგანმავალი ტვირთმწეველების უქონლობის გამო ჯარებს არ ჰქონდათ არტილერიის ფართო მანევრირების საშუალება, რომ საჭიროების შემთხვევაში დახმარება გაეწიათ მოწინააღმდეგის სატანკო იერიშების მოგერიებაში. ფრონტებზე და არმიაში ძალზე

მცირე დარჩა სატანკო ნაწილები და შენაერთები. აი ასეთ პირობებში გაჩაღდა გააფთრებული ბრძოლები სმოლენსკისათვის.

სმოლენსკის მიმართულებას ჩრდილო-დასავლეთიდან იცავდა 22-ე არმია გენერალ-ლეიტენანტ თ. ა. ერშაკოვის სარდლობით, მის მარცხენა ფლანგსუკან მიბრჯით — მე-19 არმია გენერალ-ლეიტენანტ ი. ს. კონევის სარდლობით, ვიტებსკიდან ორშამდე უბანს იცავდა მე-20 არმია გენერალ-ლეიტენანტ პ. ა. კურორჩკინის სარდლობით, დნეპრის მარცხენა ნაპირის უფრო სამხრეთით როგაჩოვამდე მოქმედებდა მე-13 არმია გენერალ-ლეიტენანტ თ. ნ. რემეზოვის სარდლობით. სმოლენსკის რაიონში ფრონტის რეზერვისათვის თავს იყრიდა მე-16 არმია გენერალ მ. თ. ლუკინის სარდლობით. დასავლეთის ფრონტის სამხრეთ ფრთაზე მოქმედებდა 21-ე არმია გენერალ-ლეიტენანტ ვ. თ. გერასიმენკოს, შემდეგ კი გენერალ-პოლკოვნიკ თ. ი. კუზნეცოვის სარდლობით.

მოწინააღმდეგის ჩანაფიქრი იმაში მდგომარეობდა, რომ ძლიერი დამკერელი დაჯგუფებებით გაეკვეთა ჩვენი დასავლეთის ფრონტი სმოლენსკის რაიონში, ალყაში მოემწყვდია ჯარების ძირითადი ჯგუფი და გზა გაეხსნა მოსკოვისაკენ.

.უძველესი რუსული ქალაქის კედლებთან, რომელიც მრისხანე ზღუდედ აღიმართა მოსკოვისაკენ მიმავალი ნაპოლეონის ჯარებისათვის, კვლავ გაჩაღდა გააფთრებული ბრძოლა. იგი ორ თვეს გაგრძელდა.

დასავლეთის ფრონტის ჯარების წინააღმდეგ პირველ ეშელონში შეტევა დაიწყეს არმია „ცენტრის" მე-2 და მე-3 სატანკო ჯგუფებმა. მე-2 სატანკო ჯგუფი, რომელიც შკლოვის რაიონიდან იყო, მთავარ დარტყმას აყენებდა სმოლენსკის შემოვლით სამხრეთ-დასავლეთიდან, ხოლო მისი 24-ე მოტორიზებული კორპუსი ბიხოვის რაიონიდან კრიჩევსა და ელნიაზე. მე-3 სატანკო ჯგუფი მე-5 და მე-6 არმიის კორპუსებთან ურთიერთმოქმედებით უტევდნენ ჩრდილო-დასავლეთიდან სმოლენსკის შემოვლით. მოწინააღმდეგეს მნიშვნელოვანი უპირატესობა ჰქონდა.

უკვე შეტევის დაწყებისას მან შეძლო ღრმად შეეჭრილიყო პოლოცკისა და ვიტებსკის რაიონებში მოგილიოვის ჩრდილოეთით და სამხრეთით. დასავლეთის ფრონტის მარჯვენა ფრთის ჩვენი ჯარები იძულებულნი გახდნენ ნეველისაკენ დაეხიათ. გუდერიანის სატანკო შენაერთები მოგილიოვისაკენ ისწრაფოდნენ.

ოთხი ქვეითი დივიზია, სატანკო დივიზია, პოლკი „დიდი გერმანია" და სხვა გერმანული ნაწილები უტევდნენ ქალაქს. მე-13 არმიის შენაერთები, რომლებიც შეუპოვრად იცავდნენ მოგილიოვს, ალყაში მოექცნენ.

ქალაქის წრიულ დაცვას ახორციელებდა თ. ა. ბაკუნინის 61-ე კორპუსი. მოგილიოვისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი 172-ე მსროლელთა დივიზიამ გენერალ-მაიორ მ. ტ. რომანოვის სარდლობით. მოგილიოვის 45 ათასამდე მცხოვრები გამოვიდა თავდაცვით ნაგებობათა მშენებლობაზე. ოცდასამ დღეს იგერიებდნენ მტრის შემოტევას ქალაქის მამაცი დამცველები. ,ისინი 21-ე არმიის მარჯვენა ფლანგის დივიზიებთან ერთად, რომლებიც კონტრშეტევებს ავითარებდნენ სამხრეთიდან მოგილიოვის მიმართულებით, ბოჭავდნენ გერმანელთა მე-2 სატანკო ჯგუფის 46-ე, 24-ე მოტორიზებული კორპუსების ძალების ნაწილს და მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს მათ. მოგილიოვისათვის ბრძოლებში ჰიტლერელებმა დაჰკარგეს 30 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი.

მაშინ, როცა მოწინააღმდეგე გვიტევდა დნეპრიდან აღმოსავლეთისაკენ. 21-ე არმიის ნაწილებმა (სარდალი გენერალი თ. ი. კუზნეცოვი) 13 ივლისს გადალახეს დნეპრი, გაათავისუფლეს როგაჩოვი, ჟლობინი და ბრძოლებით დაიძრნენ ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით ბობრუისკზე. მთავარ დარტყმას ახორციელებდა 63-ე მსროლელთა კორპუსი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ლ. გ. პეტროვსკი. რამდენიმე დღის შემდეგ იგი გმირულად დაიღუპა. ლ. გ. პეტროვსკის მე კარგად ვიცნობდი როგორც ერთ-ერთ უნიჭიერეს, განათლებულ სამხედრო ხელმძღვანელს. და რომ უდროო სიკვდილი არა, ვფიქრობ, იგი დიდი მასშტაბის მეთაური გახდებოდა. ამ კონტრდარტყმით 21-ე არმიის ჯარებმა შებოჭეს გერმანელთა 8 დივიზია. იმ დროისათვის ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

მე13 არმიის შეუპოვარმა თავდაცვამ მოგილიოვის რაიონში, 21-ე არმიის შეტევითმა მოქმედებამ ბობრუისკთან მნიშვნელოვნად დაამუხრუჭა მტრის წინსვლა როსლავლის მიმართულებით. გერმანელთა „ცენტრის" საარმიო ჯგუფის სარდლობას მოუხდა 21-ე დივიზიის მოქმედების რაიონში სხვა უბნებიდან გადაესროლა რამდენიმე დივიზია.

ფრონტის ცენტრში გრძელდებოდა შეუპოვარი ბრძოლები მოწინააღმდეგის მთავარ დაჯგუფებასთან, რომელიც ისწრაფოდა სმოლენსკისაკენ. მე-20 არმიის ნაწილებმა, რომლებიც განუწყვეტლივ უტევდნენ მტერს და ფართო ფრონტით აწარმოებდნენ თავდაცვას, მაინც ვერ შეძლეს გერმანელთა მე-9 არმიის მოწოლის შეჩერება. მოწინააღმდეგის სატანკო შენაერთებმა შემოუარეს ჩვენს ჯარებს და შეიჭრნენ სმოლენსკში.

ყოველივე ამან მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტზე და განსაკუთრებით ი. ბ. სტალინზე. იგი გაცეცხლებული იყო. ჩვენ, ხელმძღვანელმა სამხედრო მუშაკებმა, სტალინური რისხვის მთელი სიმძიმე გადავიტანეთ. მაგრამ ბრძოლები

სმოლენსკის რაიონში არა თუ მიყუჩდა, პირიქით, ახალი ძალით გაჩაღდა. მთავარბანაკმა სასწრაფოდ შექმნა თავდაცვის ახალი ფრონტი, რომელიც დასავლეთის ფრონტის ზურგში გაშალა.

ჯერ კიდევ სმოლენსკის მისადგომებთან ბრძოლების პერიოდში 14 ივლისს ორგანიზებულ იქნა სარეზერვო არმიების ახალი ფრონტი, რომელთა შემადგენლობაში შევიდა 29-ე, 30-ე, 24-ე, 28-ე, 31-ე არმიები გენერალ-ლეიტენანტ ი. ა. ბოგდანოვის სარდლობით. შემდეგში ამ არმიებიდან ჯარების უმრავლესობა გადაყვანილ იქნა დასავლეთის ფრონტის შემადგენლობებში. ფრონტის არმიები გაიშალა სტარაია რუსა-ოსტაშკოვ-ბელი-ელნია-ბრიანსკის ზღვდეზე. მოსკოვის დაცვის მიზნით გადაწყდა, მის შორეულ მისადგომებთან შექმნილიყო მოჟაისკის ხაზის დაცვის ახალი ფრონტი, სადაც გათვალისწინებული იყო ფორმირების პროცესში მყოფი 32-ე, 33-ე, 34-ე არმიების შეყვანა.

შექმნილი უკიდურესად საშიში მდგომარეობის ლიკვიდაციისათვის მთავარბანაკმა გადაწყვიტა დასავლეთ ფრონტის სარდლის მარშალ ს. კ. ტიმოშენკოსათვის სარეზერვო ფრონტის არმიიდან გადაეცა 20 მსროლელთა დივიზია. ეს დივიზიები შევიდნენ ხუთი საარმიო ჯგუფის შემადგენლობაში, რომლებსაც სარდლობდნენ გენერალ-მაიორი კ. კ. როკოსოვსკი, გენერალ-მაიორი ვ. ა. ხომენკო, გენერალ-ლეიტენანტი ს. ა. კალინინი, გენერალ-ლეიტენანტი ვ. ი. კაჩალოვი, გენერალ-ლეიტენანტი ი. ი. მასლენიკოვი.

მარშალმა ს. კ. ტიმოშენკომ მთავარბანაკის მითითებით ამ ჯგუფებს დაუსახა ამოცანა კონტრდარტყმები მიეყენებინათ ბელი-იარცევო-როსლავლის რაიონებიდან სმოლენსკის საერთო მიმართულებით, მოესპოთ მოწინააღმდეგის შემოვრილი ჯარები და შეერთებოდნენ ფრონტის ჯარების ძირითად ძალებს, რომლებიც ალყაში მოქცეულნი შეუპოვრად იბრძოდნენ სმოლენსკის რაიონში.

ივლისის მეორე ნახევარში ბრძოლებმა სმოლენსკის რაიონსა და მის აღმოსავლეთით უფრო გააფთრებული ხასიათი მიიღო. მთელ ფრონტზე მტერი წითელი არმიის ნაწილების აქტიურ წინააღმდეგობას აწყდებოდა.

23 ივლისს, როსლავლის რაიონიდან შეტევები დაიწყო 28-ე არმიის ჯგუფის ჯარებმა, ხოლო 24 და 25 ივლისს — ბელი-იარცევოს რაიონიდან 30-ე, 24-ე არმიების ჯგუფის ჯარებმა. სმოლენსკის ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან შემოვლით დაიძრა მე-16 და მე-20 არმიების ჯარები. მოწინააღმდეგემ სმოლენსკის რაიონში მაშინვე გადმოისროლა დამატებითი ძალები და ცდილობდა აქ გაენადგურებინა დასავლეთის ფრონტის ალყაში მოქცეული მე-16 და მე-20 არმიების ჯარები. ბრძოლებმა გააფთრებული ხასიათი მიიღო.

კ. კ. როკოსოვსკის ჯგუფის ჯარების დახმარებით, რომლის შემად-

გენლობაში სატანკო ნაწილებიც შედიოდა, დასავლეთის ფრონტის მე-16 და მე-20 არმიების ნაწილთა უმეტესობამ შეძლო იარცევის სამხრეთით ალყის გარღვევა და დნეპრის აღმოსავლეთ ნაპირზე გასვლა, სადაც ისინი შეუერთდნენ ფრონტის მთავარ ძალებს და გადაეიდნენ თავდაცვაზე.

ვ. ი. კაჩალოვის სამი დივიზიისაგან შემდგარი არმიის ჯგუფის წინააღმდეგ, რომელიც როსლავლის რაიონიდან სმოლენსკისაკენ მიემართებოდა, მტერმა გადმოისროლა 9 დივიზიისაგან შემდგარი ჯარების ჯგუფი, მათ შორის ერთი მოტოკორპუსი. მოწინააღმდეგემ ერთბაშად იგდო ხელთ როსლავლი და ალყაში მოაქცია ვ. ი. კაჩალოვის ჯგუფი.

ძალები აქაც არათანაბარი იყო. ვ. ი. კაჩალოვის ჯგუფი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ბევრმა ვერ შეძლო ალყიდან თავის დაღწევა და თავისიანებთან შეერთება. ამ ბრძოლებში გმირულად დაიღუპა ჯგუფის სარდალი გენერალი ვ. ი. კაჩალოვი.

მოწინააღმდეგის 46-ე მოტოკორპუსმა ხელთ იგდო ელნია და ცდილობდა დოროგობუჟისათვის მიეყენებინა დარტყმა, მაგრამ საარეზერვო ფრონტის 24-ე არმიის მიერ შეჩერებულ იქნა.

გომელის მიმართულების დასაცავად მთავარბანაკმა შექმნა ცენტრალური ფრონტი და მასში შეიყვანა დასავლეთის ფრონტის მე-4, მე-13 და 21-ე არმიები, რომლებიც იბრძოდნენ სეშჩა-პროპოისკის ზღუდეზე, შემდეგ კი სამხრეთით მდ. დნეპრის გაყოლებით.

სმოლენსკის ბრძოლამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დიდი სამამულო ომის დაწყებით პერიოდში. მართალია, მტრის განადგურება, როგორც ეს დაგეგმილი იყო მთავარბანაკის მიერ, ვერ შევძელით, მაგრამ მისი დამრტყმელი დაჯგუფებები წელში გავწყვიტეთ. გერმანელი გენერლების აღიარებით, სმოლენსკის ბრძოლაში ჰიტლერელებმა დაკარგეს 250 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი. 30 ივლისს ჰიტლერელთა სარდლობამ „ცენტრის" საარმიო ჯგუფს უბრძანა თავდაცვაზე გადასულიყო. საბჭოთა ჯარები გამაგრდნენ ველიკიე ლუკი-იარცევო-კრიჩევ-ჟლობინის ზღუდეზე.

სმოლენსკის ბრძოლების მსვლელობაში წითელი არმიის ჯარებმა, ქალაქისა და მისი გარეუბნების მცხოვრებლებმა უდიდესი სიმტკიცე გამოიჩინეს. გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა თითოეული საცეცხლე წერტილისა და ქუჩისათვის, თვითეული დასახლებული პუნქტისათვის. მტრის იერიშის შეჩერება მთავარ მიმართულებაზე უდიდესი სტრატეგიული წარმატება იყო. ამის შედეგად ჩვენ მოვიგეთ დრო სტრატეგიული რეზერვების მოსამზადებლად და მოსკოვის მიმართულებაზე თავდაცვითი ღონისძიებების გასატარებლად. სმოლენსკთან დაიბადა საბჭოთა გვარდია. აქ 1941 წლის 14 ივლისს ორშისათვის

ბრძოლებში კაპიტანი ი. ა. ფლეროვის ბატარეამ პირველად გამოიყენა რეაქტიული ნაღმსტყორცნების დანადგარები — ლეგენდარული „კატიუშები“.

აქ უთუოდ უნდა აღინიშნოს მარშალ ს. კ. ტიმოშენკოს ღვაწლი. ომის იმ პირველ მძიმე თვეებში მან ბევრი რამ გააკეთა, მტკიცედ ხელმძღვანელობდა ჯარებს, მობილიზაცია გაუკეთა მთელ ძალებს მტრის დაწოლის მოსაგერიებლად და თავდაცვის ორგანიზებისათვის.

ჰიტლერელთა სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა, სარდლობა და თვით გერმანელთა ჯარები დარწმუნდნენ საბჭოთა ჯარისკაცების მამაცობასა და მასობრივ გმირობაში. ახლა მათ იცოდნენ: რაც უფრო მიიწევდა ქვეყნის სიღრმეში ომი, მით უფრო ძნელდებოდა.

ივლისის ბოლოს დამირეკა ა. ნ. პოსკრებიშევმა და მკითხა:

— სად არის ტიმოშენკო?

— მარშალი ტიმოშენკო გენერალურ შტაბშია, ფრონტზე არსებულ ვითარებას ვიხილავთ.

— ამხანაგმა სტალინმა გიბრძანათ თქვენ და ტიმოშენკოს დაუყოვნებლივ მიხვიდეთ მასთან აგარაკზე — მითხრა ა. ნ. პოსკრებიშევმა.

ჩვენ გვეგონა, რომ ი. ბ. სტალინს სურდა შემდგომ საბრძოლო მოქმედებაზე მოგვთათბირებოდა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ თურმე სულ სხვა მიზნით გამოვუძახივართ. როცა ოთახში შევედით, მაგიდასთან პოლიტბიუროს თითქმის ყველა წევრი იჯდა. ი. ბ. სტალინს ძველი კურტაკი ეცვა, შუაგულ ოთახში იდგა და ხელში ეჭირა ჩამქრალი ჩიბუხი — უტყუარი ნიშანი იმისა, რომ ცუდ ხასიათზე იყო.

— აი რა, — თქვა ი. ბ. სტალინმა, — პოლიტბიურომ განიხილა ტიმოშენკოს საქმიანობა დასავლეთის ფრონტის სარდლის თანამდებობაზე და გადაწყვიტა მისი ამ მოვალეობისაგან განთავისუფლება. არის წინადადება ამ თანამდებობაზე დაინიშნოს ჟუკოვი. თქვენ როგორ ფიქრობთ? — შეგვეკითხა ი. ბ. სტალინი მე და ს. კ. ტიმოშენკოს.

ს. კ. ტიმოშენკო დუმდა.

— ამხანაგო სტალინ, ვუთხარი მე, — ფრონტის სარდლებს ხშირი ცვლა მძიმე გავლენას ახდენს ოპერაციათა მსვლელობაზე. სარდლები ვერც კი ასწრებენ საქმის კარგად გაცნობას, რომ იძულებული ხდებიან აწარმოონ უმძიმესი ბრძოლები. ოთხი კვირაც არაა, რაც მარშალი ტიმოშენკო ფრონტს სარდლობს. სმოლენსკის ბრძოლების მსვლელობაში კარგად გაეცნო ჯარებს, ნახა, რისი უნარი შესწევთ მათ. მან გააკეთა ყველაფერი, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა მის ადგილას და თითქმის მთელი თვით შეაჩერა მოწინააღმდეგე სმოლენსკის რაიონში. ვფიქრობ, ამაზე მეტის გაკეთებას ვერავინ შეძლებდა. ჯარებს სჯერათ მისი, ეს კი მთავარია. ჩემის აზრით, ახლა მისი ფრონ-

ტის სარდლობიდან განთავისუფლება უმართებულო და მიზანშეუწონელია.

მ. ი. კალინინმა, რომელიც ყურადღებით გვისმენდა, თქვა:

— წარმოიდგინეთ, მართალია.

ი. ბ. სტალინმა აუჩქარებლად მოსწია ჩიბუხი, გადახედა პოლიტბიუროს სხვა წევრებს და თქვა:

— იქნებ დავეთანხმოთ ჟუკოვს?

— თქვენ მართალი ხართ, ამხანაგო სტალინ, — გაისმა ხმები. — ტიმოშენკოს ჯერ კიდევ შეუძლია მდგომარეობის გამოსწორება.

ჩვენ გამოგვიშვეს. ს. კ. ტიმოშენკოს კი უბრძანეს დაუყოვნებლივ ფრონტზე გამგზავრებულიყო.

ცხადი იყო, რომ სიმონ კონსტანტინეს ძეს სერიოზულად ეწყინა უსამართლო ბრალდება. მაგრამ ომის დროს ხომ ყველაფერი ხდება — ყოველთვის როდია შესაძლებელი დიდი და რთული საკითხების გადაწყვეტისას ცალკეული ადამიანების პირადი განცდების გათვალისწინება.

დასავლეთის მიმართულებით სმოლენსკის რაიონში უმძიმეს შეტაკებათა შემდეგ ბრძოლები დროებით შენელდა. ორივე მხარეს წესრიგში მოჰყავდა ჯარები და მომავალი ამბებისათვის ემზადებოდნენ. ბრძოლები არ წყდებოდა მხოლოდ ელნიას რაიონში. გერმანელთა ჯარების მიერ დაპყრობილი ელნიას შვერილი მეტად ხელსაყრელ ამოსავალ პლაცდარმს წარმოადგენდა მოსკოვზე დარტყმისათვის. გერმანელები ცდილობდნენ მის შენარჩუნებას, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ.

ლენინგრადის მიმართულებით მოწინააღმდეგე განაგრძობდა შეტევის მოქმედებას. მაგრამ, მიუხედავად წარმატებისა, მან ვერ შეძლო შეუჩერებლად საბჭოთა ჯარების თავდაცვის გარღვევა და ლენინგრადის უახლოეს მისადგომებთან გასვლა.

სმოლენსკის ბრძოლების პერიოდში გერმანელთა „ჩრდილოეთის" არმიათა ჯგუფი ლენინგრადთან მისვლას ლუგაზე გავლით ცდილობდა, 12 ივლისს მტრის 41-ე მოტორიზებულმა კორპუსმა ლუგისაკენ მიმავალი ლენინგრადის გზატკეცილის გაყოლებით გაიარა, მაგრამ იგი შეჩერებულ იქნა. თუმცა, მოისინჯა რა კინგისეპ-ივანოვსკოეს რაიონში თავდაცვის სუსტი ადგილი, მოწინააღმდეგის მე-4 სატანკო ჯგუფის ჯარებმა სწრაფად მოახდინეს გადაჯგუფება ლუგის რაიონიდან და გაარღვიეს ჩვენი თავდაცვა, მაგრამ ისინი აქაც შეაჩერეს მოსული რეზერვების დახმარებით.

მოწინააღმდეგის ჯარების მეორე ჯგუფი, რომელიც ნოვგოროდსა და შემდეგ ჩუდოვოზე გასვლას ცდილობდა, შეუპოვარ წინააღმდეგობას წააწყდა და წარმატებას აქ ვერ მიაღწია. შეტევაზე გადმო-

სულ მოწინააღმდეგის მოტორიზებულ კორპუსზე იერიში მიიტანა მე-11 არმიამ სოლცის რაიონში. მე-11 არმიის კონტრდარტყმა კარგად იყო ორგანიზებული. მას ეხმარებოდა ავიაცია. მოულოდნელობისაგან მოწინააღმდეგე შებრუნდა და სწრაფი უკან დახევა დაიწყო. დაედევნენ რა მტრის ჯარებს, მე-11 არმიის ნაწილებმა მათ დიდი ზარალი მიაყენეს. მაშველად რომ მე-16 გერმანელთა არმიას არ მიესწრო, მანშტაინის 56-ე მექანიზებული კორპუსი განადგურებული იქნებოდა.

მოწინააღმდეგის დამატებითი ძალების მოსვლასთან დაკავშირებით ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის მე-11 და 27-ე არმიებს მოუხდათ სტარაია რუსა-ხოლმის საზღვარზე დახევა.

„ჩრდილოეთის" არმიათა ჯგუფმა, რომელიც ორი არმიისა და ერთი სატანკო ჯგუფის შემადგენლობით უტევდა, წააწყდა რა შეუპოვარ წინააღმდეგობას ლუგის გამაგრებულ საზღვარზე, დნოს რაიონში, სტარაია რუსა-ხოლმის საზღვარზე და აგრეთვე კინგისებ-სიევერსკის რაიონში, დიდი ზარალი განიცადა და დამატებითი ძალების გარეშე მას უკვე აღარ შეეძლო ლენინგრადზე იერიშის მიტანა.

სმოლენსკის ბრძოლის შედეგები, ჩრდილოეთის, ჩრდილო-დასავლეთის ფრონტების ჯარების და ბალტიის ფლოტისა და ავიაციის გაზრდილი აქტიურობა და წინააღმდეგობის გაწევის უნარი იმის მომასწავებელი იყო, რომ „ბარბაროსას" გეგმაში სერიოზული ბზარი გაჩნდა.

რა ხდებოდა ამ დროს უკრაინაში, სადაც სამხრეთ-დასავლეთის მიმართულების ჯარებს სასტიკი თავდაცვითი ბრძოლები ჰქონდათ გაჩაღებული?

უკრაინის დაპყრობას გერმანელებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ჰიტლერელები ცდილობდნენ რაც შეიძლება მალე დაეპყროთ უკრაინა და ამით საბჭოთა კავშირისათვის უმსხვილესი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ბაზა მოესპოთ და იმავდროულად თავიანთი ეკონომიკა კრივოიროგის მადნით, დონეცკის ქვანახშირით, ნიკოპოლის შავი ქვითა და უკრაინის პურით განემტკიცებინათ.

სტრატეგიული თვალსაზრისით უკრაინის დაპყრობა უზრუნველყოფდა სამხრეთიდან გერმანელთა ჯარების დახმარებას იმ ცენტრალური დაჯგუფებისათვის, რომლის წინაშეც კელავინდებურად უმთავრეს ამოცანად დასმული იყო მოსკოვის ხელში ჩაგდება.

ომის პირველი დღეებიდანვე მოვლენათა მსვლელობა უკრაინაშიც ისე არ ვითარდებოდა, როგორც ეს ელვისებური ომის ჰიტლერული გეგმით იყო გათვალისწინებული. გერმანელთა ჯარების დარტ-

ყმებისაგან უკანდახეული წითელი არმია, მიუხედავად უმძიმესი დანაკარგისა, მტერს მამაცურად უწევდა წინააღმდეგობას.

დიდი შეუპოვრობით, მოხერხებითა და თავდადებით იბრძოდნენ მე-5 არმია გენერალ მ. ი. პოტაპოვის სარდლობით, 26-ე არმია გენერალ თ. ი. კოსტენკოს სარდლობით და მე-6 არმია გენერალ ი. ნ. მუზიჩენკოს სარდლობით.

ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა ამ გამოჩენილი სარდლების დასახელება იმიტომაც, რომ ისინი მე-4 დონის კაზაკთა დივიზიის პოლკთა მეთაურები იყვნენ და მე მომიხდა 1932-1936 წლებში პირველი ცხენოსანთა არმიის უძველესი ლეგენდარული დივიზიის დროშის მათთან ერთად მაღლა ტარება.

წააწყდნენ რა კიევის გამაგრებული რაიონის შეუპოვარ წინააღმდეგობას, გერმანელთა ჯარები მკვეთრად შებრუნდნენ სამხრეთისაკენ იმ მიზნით, რომ ზურგში მოქცეოდნენ ჩვენს მე-6 და მე-12 არმიებს, რომლებიც ბერდიჩევ-სტაროკონსტანტინოვ-პროსკუროვის ხაზიდან იხევდნენ. მოწინააღმდეგემ თავისი ძალების ნაწილი გაიყვანა კიევის სამხრეთის 26-ე არმიის უბანზე. მაგრამ ამ გასვლას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინაიდან მოწინააღმდეგის „სამხრეთის" საარმიო მთავარი დაჯგუფება უფრო სამხრეთით მიიწევდა. ჩვენს მე-6, მე-12 და მე-18 არმიებს მძიმე შეტაკება მოელოდა მოწინააღმდეგის ამ დაჯგუფებასთან, რომელიც მათს ზურგში გადიოდა.

მდგომარეობას ამძიმებდა აგრეთვე ის გარემოება, რომ მე-11 გერმანელთა არმია სამხრეთის ფრონტის დაცვის გარღვევით მოგილიოვ-პოდოლსკს უტევდა და ამ სამი არმიის ფლანგსა და ზურგში გადიოდა.

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარები სამხრეთის ფრონტთან ურთიერთმოქმედებით ცდილობდნენ კონტრდარტყმებით მოწინააღმდეგის წინსვლის შეჩერებას. მათ მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მიაყენეს, თუმცა შეჩერება ვერ შეძლეს. თავიანთი ძალების გარკვეული გადაჯგუფების შემდეგ გერმანელებმა კვლავ დაარტყეს მე-6 და მე-12 არმიათა უკანდახეულ ჯარებს, რომლებიც ამჯერად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

სიშორისა და ამ არმიათა მართვის სირთულის გამო სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი მოითხოვდა სამხრეთის ფრონტის სარდლობის მმართველობაში მათ გადაცემას. მთავარბანაკი დათანხმდა და მე-6 და მე-12 არმიები გადავიდა სამხრეთის ფრონტის შემადგენლობაში, რომელსაც არმიის გენერალი ი. ვ. ტიულენევი სარდლობდა.

ამ ორი არმიის უკანდახეული შენაერთების საგრძნობი ნაწილი სამხრეთის ფრონტისათვის გადაცემისას გარშემორტყმული აღმოჩნდა. მე-6 არმიის სარდალი გენერალი ი. ნ. მუზიჩენკო, რომელიც მძიმედ

იყო დაჭრილი, ტყვედ ჩავარდა. ეს ბედი არ ასცდა აგრეთვე მე-12 არმიის სარდალს გენერალ პ. გ. პონედელინს. ამ პერიოდში სამხრეთის ფრონტზე მეტად მძიმე ვითარება შეიქმნა. მე-9 არმია უკან დახევისას ბრძოლებს ეწეოდა ნახევრად გარშემორტყმულ მდგომარეობაში. მისმა გადარჩენილმა ნაწილებმა მდინარე ინგულეცისაკენ დაიხიეს

დნეპრზე მოწინააღმდეგის გასვლამ, ზაპოროჟიეს, დნეპროპეტროვსკისა და ოდესისაკენ მისმა გაჭრამ სერიოზულად გაართულა საბჭოთა ჯარების მდგომარეობა მთელ სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებაზე. მაგრამ გერმანელთა ჯარებსაც ძვირად დაუჯდათ ეს გამარჯვება. ისინი საფუძვლიანად იყვნენ ქანცგაწყვეტილნი და დიდი დანაკარგიც განიცადეს.

ყველა აღწერილ ამბავს სამხრეთ-დასავლეთის ფრონტიდან მოსკოვში ჩემი დაბრუნების მომენტიდან მე ვხედავდი გენშტაბის უფროსის პოზიციებიდან და სწორედ ამ როლში ვღებულობდი მათში მონაწილეობას, ვიზიარებდი რა მთავარსარდლობის წევრთა პასუხისმგებლობას, ჩვენი ჯარების წარუმატებლობის სიმწარესა და მათი იშვიათი გამარჯვებების სიხარულს. აქ მე მგონია უადგილო არ იქნება რამდენიმე სიტყვა ვთქვა თვით მთავარბანაკის მუშაობისა და ი. ბ. სტალინის შესახებ.

1941 წლის ივლისში საკ. კპ (ბ) ცკ პოლიტბიუროს გადაწყვეტილებით გარდაიქმნა შეიარაღებულ ძალთა სტრატეგიული ხელმძღვანელობის სისტემა. 10 ივლისს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა მთავარსარდლობის ბანაკი გარდაქმნა უმაღლესი სარდლობის ბანაკად. ბანაკის შემადგენლობაში შევიდნენ ი. ბ. სტალინი (თავმჯდომარე), ვ. მ. მოლოტოვი, მარშლები ს. კ. ტიმოშენკო, ს. მ. ბუდიონი, კ. ე. ეოროშილოვი, ბ. მ. შაპოშნიკოვი, გენერალი გ. კ. ჟუკოვი. 19 ივლისს ი. ბ. სტალინი ინიშნება თავდაცვის სახალხო კომისრად, ხოლო 8 აგვისტოს — სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდლად. ამ დროიდან სტრატეგიული ხელმძღვანელობის უმაღლეს ორგანოს ეწოდა უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკი.

უმაღლეს მთავარსარდლად ი. ბ. სტალინის დანიშვნას, რომელიც დიდი აუტორიტეტით სარგებლობდა, ხალხი და ჯარები აღფრთოვანებით შეხვდნენ.

რეორგანიზებულ იქნა აგრეთვე თავდაცვის სახალხო კომისარიატი, დაზუსტდა ყოველი სამმართველოს ფუნქცია, ჩამოყალიბდა ახალი ორგანოები.

უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის შექმნასთან ერთად ფრონტებისა და ფლოტების მოქმედებათა უკეთესი კოორდინაციისათვის და მთავარ სტრატეგიულ მიმართულებებზე მყოფი ჯარების ძალთა გაერთიანებისათვის შეიქმნა სამი მთავარი სარდლობა. მაგრამ ეს არ

გამორიცხავდა ფრონტების, ფლოტებისა და თვით არმიების ხელმძღვანელობაში მთავარბანაკის ჩარევას. ეს უკანასკნელი დაკავშირებული იყო იმ გარემოებასთან, რომ იმ დროს სახმელეთო ჯარებისა და ავიაციის შეზღუდული რეზერვები მთლიანად უმაღლესი მთავარსარდლობის ხელში იმყოფებოდა. ამას, ბუნებრივია, არ შეეძლო ერთგვარი გავლენა არ მოეხდინა მიმართულებათა მთავარსარდლების დამოუკიდებლობაზე.

იმავე დროს საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებით გატარდა კიდევ ერთი ღონისძიება, რომელმაც სასიკეთო გავლენა მოახდინა არმიის ბრძოლისუნარიანობაზე. პარტიამ სწორად, ღირსეულად შეაფასა ზურგის ორგანოების მნიშვნელობა ომის დროს. დაწესდა წითელი არმიის ზურგის უფროსის თანამდებობა, ენერგიულად დაიწყო ზურგის ორგანოების ახალი სისტემის შექმნა ყველა შეიარაღებულ ძალებში. ფრონტებსა და ფლოტებში ყალიბდებოდა ზურგის სამმართველოები, არმიებში — განყოფილებები, კორპუსებსა და დივიზიებში იქმნებოდა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მეთაურის მოადგილის თანამდებობა. ფრონტებსა და არმიებში საკ. კპ (ბ) ცკ-ის გადაწყვეტილებით შეიქმნა ზურგის პოლიტგანყოფილებანი და შემოღებულ იქნა ზურგის საკითხებზე სამხედრო საბჭოს წევრის თანამდებობა. კოლოსალური მუშაობა ჩაატარეს ჩვენმა ზურგის ორგანიზაციებმა დიდ შერკინებათა და ბრძოლების მომზადების საქმეში. ამის შესახებ ჩვენ კიდევ გვექნება ლაპარაკი შემდგომში.

მთავარბანაკს მმართველობის არავითარი სხვა აპარატი, გარდა გენერალური შტაბისა, არ გააჩნდა. უმაღლესი მთავარსარდლობის ბრძანებანი და განკარგულებანი, როგორც წესი, გენერალური შტაბიდან მოდიოდა. მათი დამუშავება და მიღება ხდებოდა ჩვეულებრივ კრემლში, ი. ბ. სტალინის სამუშაო კაბინეტში.

ეს იყო ფართო, საკმაოდ ნათელი ოთახი. მუხით მოფიცრული კედლები, გრძელი, მწვანე მაუდგადაკრული მაგიდა. მარცხნივ და მარჯვნივ კედლებზე — მარქსის, ენგელსისა და ლენინის პორტრეტები. ომის დროს გაჩნდა სუვოროვისა და კუტუზოვის პორტრეტები. მაგარი ივეჯი, არავითარი ზედმეტი საგანი. უზარმაზარი გლობუსი მოთავსებული იყო მეზობელ ოთახში, მის გვერდით — მაგიდა, კედლებზე — მსოფლიოს რუკები.

კაბინეტის სიღრმეში, კედელთან იდგა ი. ბ. სტალინის სამუშაო მაგიდა, მუდამ სავსე საბუთებით, ქაღალდებით, რუკებით. აქ იდგა მაღალი სიხშირის ტელეფონი და კრემლისშიდა ტელეფონები, ეწყო ფერადი წვერწათლილი ფანქრების მთელი დასტა. ი. ბ. სტალინი ჩვეულებრივ თავის შენიშვნებს ლურჯი ფანქრით აკეთებდა, წერდა სწრაფად, ხელგასმით, მაგრამ საკმაოდ გარკვევით.

კაბინეტში შესასვლელი გადიოდა ი. ნ. პოსკრებიშევის ოთახსა და უმაღლესი მთავარსარდლის პირადი დაცვის უფროსის პატარა საადგომში. კაბინეტის უკან იყო დასასვენებელი ოთახი და კავშირგაბმულობის ოთახი, სადაც ტელეფონის აპარატები და „ბოდო“ იდგა. ამ აპარატებით ა. ნ. პოსკრებიშევი ი. ბ. სტალინს აკავშირებდა ფრონტის სარდლებთან და ფრონტებზე მყოფ მთავარბანაკის წარმომადგენლებთან.

დიდ მაგიდაზე გენშტაბის მუშაკები და მთავარბანაკის წარმომადგენლები შლიდნენ რუკებს და მათი მიხედვით მოახსენებდნენ ფრონტებზე არსებულ ვითარებას. მოხსენებას ფეხზე დგომელა აკეთებდნენ, სარგებლობდნენ რა ზოგჯერ ჩანაწერებით. ი. ბ. სტალინი ჩვეულებრივ, კაბინეტში ფართო ნაბიჯით სცემდა ბოლთას და ისე უსმენდა: დროდადრო მიდიოდა დიდ მაგიდასთან და დახრილი, თვალმოუშორებლივ ათვალიერებდა გადაშლილ რუკას. ხანდახან უბრუნდებოდა თავის მაგიდას, იღებდა შეკვრა თამბაქოს, ფშვნიდა და ნელა ტენიდა ჩიბუხს.

მთავარბანაკის ძირითადი ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ დაემეშვებინა და ჯარებისათვის დაესახა სტრატეგიული ამოცანები, გაენაწილებინა ძალები და საშუალებანი ფრონტებსა და მიმართულებათა შორის, დაეგეგმა და განესაზღვრა მთლიანად არმიისა და ფლოტის საბრძოლო მოქმედება. ამასთან დიდ როლს ასრულებდნენ მთავარბანაკის რეზერვები, რომელთა შევსება და ფორმირება გამუდმებით ხდებოდა. ისინი მთავარბანაკის ხელში წარმოადგენდნენ მძლავრ იარაღს, რომლის საშუალებითაც მნიშვნელოვნად ძლიერდებოდნენ ჩვენი ჯარები უმნიშვნელოვანეს მიმართულებებზე და ყველაზე უფრო პასუხსაგები ოპერაციების ჩატარებისას.

მთავარბანაკში მნიშვნელოვან სტრატეგიულ გადაწყვეტილებათა განხილვა, როგორც წესი, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრთა მონაწილეობით ხდებოდა. ჩვეულებრივ იწვევდნენ ხოლმე გენერალური შტაბის ხელმძღვანელებს, სამხედრო-საჰაერო ძალთა და არტილერიათა სარდლებს, მთავარი ავტოჯავშანსატანკო სამმართველოს უფროსს, წითელი არმიის ზურგის უფროსს, თავდაცვის სახალხო კომისარიატის სხვა მთავარი და ცენტრალური სამმართველოების ხელმძღვანელებს. ფრონტის სარდლების მთავარბანაკში გამოძახება ხდებოდა იმ საკითხთა განხილვისას, რომლებიც მათ კომპეტენციას შეეხებოდა, უფრო ხშირად მორიგი მომავალი ოპერაციის განხილვისას. ზოგჯერ ესწრებოდნენ თვითმფრინავების, ტანკებისა და არტილერიის კონსტრუქტორები.

მთავარბანაკის მუშაობის სტილი, როგორც წესი, იყო საქმიანი, ნერვიულობის გარეშე, თავისი აზრის გამოთქმა ყველას შეეძლო.

ი. ბ. სტალინი ყველას ერთნაირად მიმართავდა, მკაცრად და საკმაოდ ოფიციალურად. მან იცოდა მოსმენა, როცა მას საქმის ცოდნით მოახსენებდნენ ხოლმე.

სიტყვამ მოიტანა და უნდა ვთქვა, რომ ი. ბ. სტალინი, როგორც მე ომის ხანგრძლივი წლების მანძილზე დავრწმუნდი, სრულიადაც არ იყო ისეთი ადამიანი, რომლის წინაშეც მწვავე საკითხების დასმა, დავა და თვით საკუთარი თვალსაზრისის მტკიცედ დაცვა არ შეიძლებოდა. თუ ვინმე ამის საწინააღმდეგოს ამტკიცებს, პირდაპირ ვიტყვი: მათი მტკიცებანი უმართებულოა.

მთავარბანაკის სამუშაო ორგანო იყო გენერალური შტაბი. ომის დასაწყისში მე მის ხელმძღვანელ მუშაკებთან ერთად პრაქტიკულად მთელი დღეღამე დაკავებული ვიყავი იმით, რომ შემეჯამებინა და მთლიანობაში მომეყვანა ყველა ფრონტიდან მიღებული ზოგჯერ ერთმანეთის საწინააღმდეგო მონაცემები და შემემუშავებინა სასწრაფო რეკომენდაციები უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკისათვის. გენერალური შტაბის ფუნქციები ერთბაშად გართულდა, სამუშაოს მოცულობა მკვეთრად გაიზარდა. ბევრი რამ, რაც საქმის ორგანიზაციაში კარგი იყო მშვიდობიანობის დროს, ახლა უკვე აღარ ვარგოდა. სწრაფად ვახდენდით მუშაობის გარდაქმნას, მაგრამ ყველაფერი ერთბაშად როდი გვიხერხდებოდა.

ძნელი იყო მიღება ზუსტი სადაზვერვო ცნობებისა, ჩვენი ჯარების განლაგებისა და მოწინააღმდეგის ძალების დახასიათებისა დღეღამის სხვადასხვა დროის განმავლობაში, სწრაფად შეტანა დასაბუთებული წინადადებებისა აღჭურვილობითა და საბრძოლო მასალით ამა თუ იმ ფრონტის უზრუნველყოფის შესაძლებლობის შესახებ, შედგენა მთავარბანაკის დავალებით რამდენიმე საათში, ზოგჯერ კი რამდენიმე წუთში უმაღლესი მთავარსარდლობის ფრიად საპასუხისმგებლო დირექტივებისა.

მთავარბანაკში, ი. ბ. სტალინთან, მოხსენებით მისვლა, ვთქვათ, რუკებით, რომლებზეც თუნდაც რაღაც „თეთრი ლაქები“ იქნებოდა, მიწოდება მისთვის საორენტაციო. და მით უმეტეს გაზვიადებული ცნობებისა შეუძლებელი იყო. ი. ბ. სტალინი ვერ ითმენდა ალალბედზე გაცემულ პასუხებს, მოითხოვდა ამომწურავ სისრულეს და სიცხადეს.

ი. ბ. სტალინს რაღაც განსაკუთრებული ალღო ჰქონდა მოხსენებებსა თუ დოკუმენტებში სუსტი ადგილების შემჩნევისა. იგი მათ იქვე ამჟღავნებდა და არაზუსტი ინფორმაციისათვის მკაცრად სჯიდა დამნაშავეს. მას მტკიცე მეხსიერება ჰქონდა, კარგად ახსოვდა ნათქვამი, არ გაუშვებდა შეპთხვევას საკმაოდ მკვეთრად დაეტუქსა ვინმე რისიმე დავიწყებისათვის. ამიტომ ჩვენ ვცდილობდით შტაბის დოკუმენტები

მოგვემზადებინა მთელი გულმოდგინებით, რაც კი იმ დღეებში შეიძლებოდა გვქონოდა.

მაგრამ მიუხედავად ფრონტებზე არსებული მეტად მძიმე მდგომარეობისა, როცა ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ შემუშავებული ცხოვრების რიტმი სამხედრო პირობებში, გენშტაბის ხელმძღვანელი შემადგენლობის სასახელოდ უნდა ვთქვა: მთლიანად გენშტაბში ერთბაშად დამყარდა საქმიანი და შემოქმედებითი ვითარება, თუმცა დაძაბულობამ მუშაობაში იმ დროს უკიდურეს საზღვრებს მიაღწია.

შემდეგში მთელი ომის მანძილზე მე არ დამიკარგავს არც პირადი და არც სამსახურებრივი კავშირი გენშტაბთან, რომელიც ცოტას როდი მეხმარებოდა ფრონტის პირობებში დიდი ოპერაციების მომზადებასა და განხორციელებაში. გენშტაბი, როგორც წესი, კვალიფიციურად ახორციელებდა ახალი შეიარაღებული ძალების მომზადებას, საკმაოდ უნარიანად და ოპერატიულად ამუშავებდა უმაღლესი მთავარსარდლობის დირექტივებისა და ბრძანებების პროექტებს, მკაცრად ადევნებდა თვალყურს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის მითითებათა შესრულებას, ხელმძღვანელობდა შეიარაღებული ძალების სახეობათა და ჯარების გვარეობათა მთავარი შტაბების მუშაობას, ავტორიტეტულად მოახსენებდა უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკს დიდ და მნიშვნელოვან საკითხებს.

თავისი მსჯელობანი მნიშვნელოვან საკითხებზე ი. ბ. სტალინს უმეტესად აგებული ჰქონდა იმ მოხსენებათა საფუძველზე, რომლებსაც ადგილზე ვითარების გაცნობისა და შენაერთთა სარდლებთან მოთათბირების მიზნით მის მიერვე ჯარებში წარგზავნილი მთავარბანაკის წარმომადგენლები აკეთებდნენ, ასევე გენერალური შტაბის დასკვნების, ფრონტების სარდალთა აზრის და წინადადებებისა და სპეციალური ცნობების საფუძველზე.

ი. ბ. სტალინის ახლო გაცნობა მომიხდა 1940 წლის შემდეგ, როცა მე გენშტაბის უფროსის თანამდებობაზე ვმუშაობდი, ომის დროს კი — უმაღლესი მთავარსარდლის მოადგილედ.

ი. ბ. სტალინის გარეგნობაზე არაერთხელ დაწერილა. მიუხედავად იმისა, რომ ტანდაბალი იყო და შესახედაობითაც არ გამოირჩეოდა, ი. ბ. სტალინი ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა. პოზიორობას მოკლებული, იგი თანამოსაუბრის გულს უბრალოებით იგებდა. ლაპარაკის თავისუფალი მანერა, აზრის მკაფიოდ ჩამოყალიბების უნარი, ბუნებრივი ანალიზური გონება, დიდი ერუდიცია და იშვიათი მეხსიერება მეტად გამოცდილ და გავლენიან ადამიანებსაც კი აიძულებდა ი. ბ. სტალინთან საუბრის დროს ყოფილიყვნენ დაძაბულნი და ფხიზელნი.

ი. ბ. სტალინს არ უყვარდა ჯდომა და ლაპარაკის დროს ნელა მიმოდიოდა ოთახში, დროდადრო ჩერდებოდა, ახლოს მიდიოდა მოსა-

უბრესთან და პირდაპირ თვალებში უყურებდა მას. გამოხედვა ჰქონდა ნათელი და გამგმირავი.

ის ლაპარაკობდა ხმადაბლა, გარკვევით გამოყოფდა ერთ ფრაზას მეორისაგან. თითქმის ექსტიკულაციის გარეშე, ხელში ხშირად ეჭირა ჩიბუხი, ჩამქრალიც კი, რომლის ბოლოთი ულვაშის გასწორება უყვარდა.

ლაპარაკობდა შესამჩნევი ქართული აქცენტით, მაგრამ რუსული ენა ჩინებულად იცოდა და უყვარდა ხატოვანი ლიტერატურული შედარებების, მაგალითების, მეტაფორების ხმარება.

ი. ბ. სტალინი იშვიათად იცინოდა, ხოლო როცა იცინოდა, ჩუმად, თითქოს თავისთვის. მაგრამ იუმორი ესმოდა და იცოდა გონებამახვილობისა და ოხუნჯობის ფასი. მხედველობა მეტად მახვილი ჰქონდა და უსათვალოდ კითხულობდა დღეღამის ყოველ დროს. წერდა, როგორც წესი, თვითონ, ხელით. ბევრს კითხულობდა და უაღრესად სხვადასხვა დარგების ფართოდ მცოდნე ადამიანი იყო. განსაცვიფრებელი შრომისუნარიანობა, მასალის სწრაფად გაგების უნარი შესაძლებლობას აძლევდა გადაეთვალიერებინა და ეთვისებინა ერთი დღის განმავლობაში უაღრესად სხვადასხვა ფაქტოლოგიური მასალის ისეთი რაოდენობა, რომლის დაძლეეაც მხოლოდ არაჩვეულებრივი ადამიანისათვის თუ იყო შესაძლებელი.

ძნელია იმის თქმა, თუ ხასიათის რომელი თვისება ჭარბობდა მასში. ეს მრავალმხრივი და ნიჭიერი ადამიანი არ იყო ყოველთვის ერთნაირი. მას ჰქონდა ძლიერი ნებისყოფა, ფარული და ფიცხი ხასიათი.

ჩვეულებრივ მშვიდი და გონებადამჯდარი, ზოგჯერ გაღიზიანდებოდა, მაშინ იგი კარგავდა ობიექტურობას, პირდაპირ თვალდათვალ იცვლებოდა, ფითრდებოდა, შემოხედვა უხდებოდა მძიმე და მკაცრი. მე ძალიან ცოტა შემხვედრია ისეთი გულადი ადამიანი, რომელსაც ძალუძდა სტალინის რისხვის გაძლება, მისი დარტყმების მოგერიება.

ი. ბ. სტალინს ცოტა არ იყოს, უჩვეულო დღის განაწესი ჰქონდა: იგი უმთავრესად საღამოობით და ღამით მუშაობდა. დგებოდა არაუადრეს დღის 12 საათისა. მუშაობდა ბევრს, 12—15 საათს დღეღამეში. ი. ბ. სტალინის დღის განაწესთან შეწყობით გვიან ღამემდე მუშაობდნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სახალხო კომისართა საბჭო, სახალხო კომისარიატები, ძირითადი სახელმწიფო და მგეგმავი ორგანოები. ეს ძალზე ქანცავდა ადამიანებს.

ბევრი პოლიტიკური, სამხედრო და საერთო სახელმწიფოებრივი საკითხის განხილვა და გადაწყვეტა ხდებოდა არა მარტო ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომებზე და ცენტრალური კომიტეტის სამდივნოში, არამედ საღამოობით, სადილის დროს, ი. ბ. სტალინის ბინაზე ან აგარაკზე, სადაც ჩვეულებრივ ესწრებოდნენ პოლიტბიუროს

მისთვის ყველაზე ახლობელი წევრები. იქვე, ამ ჩვეულებრივ, მეტად უბრალო სადილის დროს ი. ბ. სტალინი დავალებებს აძლევდა პოლიტბიუროს წევრებს ან სახალხო კომისრებს, რომლებსაც იწვევდნენ მათს გამგებლობაში შემავალი საკითხების განსახილველად. თავდაცვის სახალხო კომისართან ერთად ზოგჯერ გენერალური შტაბის უფროსს იწვევდნენ.

ომამდელ პერიოდში ჩემთვის ძნელი იყო შემეფასებინა ი. ბ. სტალინის ცოდნისა და უნარის სიღრმე სამხედრო მეცნიერების დარგში, ოპერატიული და სტრატეგიული ხელოვნების საკითხებში, ვინაიდან პოლიტბიუროში და პირადად ი. ბ. სტალინთან (ყოველ შემთხვევაში მაშინ, როცა იქ ყოფნა მიხდებოდა) უმთავრესად ორგანიზაციული, სამობილიზაციო და მატერიალურ-ტექნიკური საკითხების განხილვა და გადაწყვეტა ხდებოდა.

შემიძლია მხოლოდ გავიმეორო, რომ ი. ბ. სტალინი ყოველთვის ბევრს მუშაობდა შეიარაღებისა და საბრძოლო ტექნიკის საკითხებზე. იგი ხშირად იბარებდა თავისთან ავიაციის, არტილერიისა და ტანკების მთავარ კონსტრუქტორებს და დაწვრილებით ეკითხებოდა მათ ამ სახეობის საბრძოლო ტექნიკის კონსტრუირების დეტალების შესახებ ჩვენში და საზღვარგარეთ. ეს ღირსეულად უნდა შეფასდეს — იგი ცუდად როდი ერკვეოდა შეიარაღების ძირითად სახეობათა ხარისხის საკითხებში.

მთავარი კონსტრუქტორებისაგან, სამხედრო ქარხნის დირექტორებისაგან. რომელთა უმრავლესობას იგი პირადად იცნობდა, ი. ბ. სტალინი მოითხოვდა თვითმფრინავების, ტანკების არტილერიისა და სხვა უმნიშვნელოვანესი ტექნიკის ნიმუშების დამზადებას დაწესებულ ვადებში და თანაც იმგვარად, რომ ისინი ხარისხით ყოფილიყვნენ არათუ საზღვარგარეთული ნიმუშების დონეზე, არამედ მათზე უკეთესიც.

ი. ბ. სტალინის დასტურის გარეშე, როგორც მე უკვე ვთქვი, შეიარაღების ან საბრძოლო ტექნიკის არც ერთი ნიმუშის მიღება შეიარაღებისათვის ან მისი შეიარაღებიდან ამოღება არ ხდებოდა. ცხადია, ეს გარემოება იწვევდა ინიციატივის შესუსტებას თავდაცვის სახალხო კომისრისა და მისი მოადგილეებისა, რომლებიც წითელი არმიის შეიარაღების საკითხებს განაგებდნენ.

სამამულო ომის წინ და განსაკუთრებით ომის შემდეგ ი. ბ. სტალინს დიდ როლს აკუთვნებდნენ შეიარაღებული ძალების შექმნაში, საბჭოთა სამხედრო მეცნიერების საფუძვლების, სტრატეგიისა და თვით ოპერატიული ხელოვნების დარგშიც ძირითად დებულებათა შემუშავების საქმეში.

მართლა იყო თუ არა ი. ბ. სტალინი გამოჩენილი სამხედრო მოაზ-

როვნე შეიარაღებული ძალების მშენებლობის დარგში და ოპერატიულ-სტრატეგიული საკითხების მცოდნე?

როგორც სამხედრო მოღვაწე, ი. ბ. სტალინი მე ზედმიწევნით შევისწავლე, რადგან მთელი ომი მასთან ერთად გავიარე.

სტალინი ფლობდა საფრონტო და ფრონტის ჯგუფთა ოპერაციების ორგანიზაციის საკითხებს, საქმის სრული ცოდნით ხელმძღვანელობდა მათ, კარგად ერკვეოდა დიდ სტრატეგიულ საკითხებშიც. სტალინის ეს მხედართმთავრული უნარი ძირითადად გამოვლინდა სტალინგრადთან ბრძოლების დასაწყისში.

მთელი შეიარაღებული ბრძოლების ხელმძღვანელობაში ი. ბ. სტალინს ეხმარებოდა მისი ბუნებრივი ნიჭი, მდიდარი ინტუიცია. მას შეეძლო სტრატეგიულ ვითარებაში მოენახა მთავარი რგოლი, ჩასჭიდებოდა მას და მტრისათვის წინააღმდეგობა გაეწია, ესა თუ ის დიდი შეტევითი ოპერაცია განეხორციელებინა. უეჭველია, იგი ღირსეული უმაღლესი მთავარსარდალი იყო.

რა თქმა უნდა, ი. ბ. სტალინი ვერც ჩასწვდებოდა შეჯამებულად აღებულ ყველა საკითხს, რომლებზეც ჩაკირკიტებით უხდებოდათ მუშაობა ჯარებსა და ყველა ხარისხის სარდლობას, რათა კარგად მოემზადებინათ ფრონტის ან ფრონტების ჯგუფის ოპერაცია. და ეს არც იყო მისთვის საჭალდებულო.

ასეთ შემთხვევებში იგი, ბუნებრივია, ეთათბირებოდა მთავარბანაკის წევრებს, გენერალურ შტაბს და სპეციალისტებს არტილერიის, ჯავშანსატანკო, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალების საკითხებზე, ზურგის უზრუნველყოფისა და მომარაგების საკითხებზე.

პირადად ი. ბ. სტალინს მიაწერდნენ მთელი რიგი პრინციპულ საკითხების დამუშავებას, მათ რიცხვში ისეთი საკითხებისა, როგორიც არის საარტილერიო შეტევის მეთოდები, ჰაერში ბატონობის მიღწევა, მოწინააღმდეგის გარშემორტყმის მეთოდები, გარშემორტყმული მტრის დაჯგუფებათა გარღვევა და მათი ნაწილ-ნაწილ განადგურება და ა. შ.

სამხედრო ხელოვნების ყველა ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი არის პრაქტიკით, მტერთან ბრძოლაში მოპოვებული ნაყოფი, ხელმძღვანელ მხედართუფროსთა დიდი კოლექტივისა და თვით ჯარების ღრმა ჩანაფიქრისა და გამოცდილების განზოგადების ნაყოფი.

ი. ბ. სტალინის დამსახურება აქ იმაში მდგომარეობს, რომ იგი სწორად აღიქვამდა ჩვენი გამოჩენილი სამხედრო სპეციალისტების რჩევას, აკვანებდა და ავითარებდა მათ და განაზოგადებდა ინსტრუქციებსა, დირექტივებსა და დარიგებებში, რომელთაც დაუყოვნებლივ უგზავნიდა ჯარებს პრაქტიკული ხელმძღვანელობისათვის.

გარდა ამისა, ოპერაციების უზრუნველყოფის, სტრატეგიული რეზერვების შექმნის, საბრძოლო ტექნიკის წარმოების ორგანიზაციისა და

საერთოდ ფრონტისათვის ყოველივე აუცილებელის შექმნის საქმეში ი. ბ. სტალინმა, პირდაპირ ვიტყვი, თავი გამოიჩინა, როგორც დიდმა ორგანიზატორმა და უსამართლობა იქნება, თუ ამისათვის მას ღირსეულად არ დავაფასებთ.

მაგრამ, რასაკვირველია, უწინარეს ყოვლისა, მოწიწებით თავი უნდა დავხაროთ ჩვენი საბჭოთა ადამიანის წინაშე, რომელიც, იკლებდა რა ყოველივე აუცილებელს, კვებას, ძილს, ყველაფერს აკეთებდა, რაც კი მასზე იყო დამოკიდებული, რათა შეესრულებინა ის ამოცანები, რომელთაც კომუნისტური პარტია ხალხის წინაშე აყენებდა მტერზე გამარჯვების ორგანიზაციის მიზნით.

...ომის მეორე თვე მიდიოდა. ფაროოდ რეკლამირებული ჰიტლერის დაპირება კი, რომ უმოკლეს ვადაში წითელ არმიას გაანადგურებდა, მოსკოვს დაიპყრობდა და ვოლგაზე გავიდოდა — ჩაიფუშა. გერმანელთა ჯარები ყველგან კოლოსალურ დანაკლისს განიცდიდნენ. მოწინააღმდეგის საერთო ფრონტი მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ჯარების ოპერატიული სიმჭიდროვე მკვეთრად ეცემოდა და ახლა უკვე ისინი საკმარისი აღარ იყო ყველა სტრატეგიული მიმართულებით ერთდროული შეტევისათვის.

მაგრამ მაინც გერმანელთა მთავარ დამრტყმელ ძალებს — ჯავშანსატანკო დაჯგუფებებსა და ავიაციას — საკმაოთ შესწევდათ იმის უნარი, რომ მასირებული დარტყმებით ჩვენი ჯარებისათვის სერიოზული ზარალი მიეყენებინათ.

ფრონტებზე მძიმე მდგომარეობასთან დაკავშირებით პარტია განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა ჯარების მორალური მდგომარეობისათვის. თანახმად საკ. კპ (ბ) ცკ-ის მითითებებისა, წითელი არმიის პოლიტიკური პროპაგანდის სამმართველომ, რომელმაც საერთოდ ომის წლებში უდიდესი შემოქმედებითი მუშაობა ჩაატარა მოქმედ არმიაში, შუა ივლისში ჯარებს გაუგზავნა ორი მნიშვნელოვანი დირექტივა, რომლებშიც შეფასებული იყო საქმის მდგომარეობა ომის პირველი სამი კვირის განმავლობაში და წამოყენებული იმის მოთხოვნა, რომ ამაღლებულიყო კომუნისტებისა და კომკავშირელების მოწინავე როლი უშუალოდ ბრძოლაში, სარდლობის ბრძანებათა შესრულებაში.

პოლიტორგანოები, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები, რომელთაც განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ ნაწილის მდგომარეობისა და მისი ბრძოლისუნარიანობისათვის, ცდილობდნენ შეექმნათ ისეთი ვითარება, რომ კომუნისტებს და კომკავშირელებს, განსაკუთრებულად მძიმე და რთულ ვითარებაში, თან გაეყოლიებინათ მებრძოლები, გადაჭრით შებრძოლებოდნენ დაბნეულობისა და არაორგანიზებულობის გამოვლინებებს, პოპულარიზაცია გაეწიათ საბრძოლო გამოცდილებისათვის, გულადობის და მამაცობის, ინიციატივი-

ხა და საზრიანობისათვის, ბრძოლაში ურთიერთდახმარების მაგალითებისათვის. ეს პოლიტიკური მუშაობა ჯარში, რომელიც თვიდან თვემდე ფართოვდებოდა, თავის ნაყოფს იძლეოდა. მას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

განვიხილეთ რა საერთო ვითარება ოპერატიული სამმართველოს უფროსთან ვ. მ. ზლობინთან, გენერალ ა. მ. ვასილევსკისთან და გენერალური შტაბის სხვა ოპერატიულ მუშაკებთან ერთად, ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ მოწინააღმდეგე, როგორც ჩანს, შეეცდება უახლოეს დროში გაანადგუროს ჩვენი ცენტრალური ფრონტი, რათა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტს ფლანგსა და ზურგში მოექცეს.

რაც შეეხება მოსკოვზე შეტევას, იგი დაიწყება, როგორც ჩანს, მხოლოდ მაშინ, როცა მოწინააღმდეგე მოსპობს იმ საშიშროებას, რაც მის ცენტრალური დაჯგუფების ფლანგს მოელის ჩვენი ცენტრალური ფრონტისა და სამხრეთ-დასავლეთი მიმართულების ჯარებისაგან. ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით მოწინააღმდეგე, გააძლიერებს რა თავის დაჯგუფებას, შეეცდება უმოკლეს დროში დაიპყროს ლენინგრადი და შეუერთდეს ფინეთის ჯარებს.

ერთხელ კიდევ გულდასმით ავწონ-დავწონე ყველაფერი, შევამოწმე და დავრწმუნდი რა ამ პროგნოზების სისწორეში, გადავწყვიტე, ყოველივე ეს მომეხსენებინა უმაღლესი მთავარსარდლისათვის აუცილებელი კონტრზომების მისაღებად.

ოცდაცხრა ივლისს დავურეკე ი. ბ. სტალინს და ვთხოვე, რომ მივიღე სასწრაფო მოხსენებისათვის.

თან წავიღე სტრატეგიული ვითარების რუკა, გერმანელთა ჯარების დაჯგუფების რუკა, ცნობები ჩვენი ჯარების შესახებ და ფრონტებისა და ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური მარაგის მდგომარეობის შესახებ. შევედი მისაღებ ოთახში, სადაც ა. ნ. პოსკრებიშევი იმყოფებოდა. ვთხოვე ჩემ შესახებ მოეხსენებინა. მან მიპასუხა:

— დაჯექი. ნაბრძანებია მეხლისს დაველოდოთ.

ათი წუთის შემდეგ მიმიწვიეს ი. ბ. სტალინთან.

— აბა, მოგვახსენეთ, რა ამბები მოგვიტანეთ. — მითხრა ი. ბ. სტალინმა.

მე მაგიდაზე გავშალე რუკები, დაწვრილებით მოვახსენე შექმნილი ვითარება, დაწყებული ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებიდან და დამთავრებული სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. მოვიყვანე ფრონტების მიხედვით ძირითად დანაკარგთა ციფრები და გავაცანი რეზერვების ფორმირების მსვლელობა. დაწვრილებით ვუჩვენე მოწინააღმდეგის ჯარების განლაგება, ვუამბე მისი დაჯგუფებების შესახებ და აღვნიშნე საფარუდო ხასიათი მათი სტრატეგიული მოქმედებისა. ი. ბ. სტალინი მისმენდა ყურადღებით, ოდნავ დახრილი ათვალიერებდა რუკებს, მათზე აღნიშნულ ყველა წვრილ მინაწერს.

— თქვენ საიდან იცით, როგორ იმოქმედებენ გერმანელთა ჯარები? — მესროლა რეპლიკა ლ. ზ. მეხლისმა.

— ჩემთვის უცნობია ის გეგმები, რომელთა მიხედვითაც გერმანელთა ჯარები იმოქმედებენ, — ვუპასუხე მე, — მაგრამ, თუ არსებული ვითარების ანალიზიდან გამოვალთ, დავასკვნით, რომ მათ შეუძლიათ იმოქმედონ სწორედ ასე და არა სხვანაირად. ჩვენი ვარაუდები დამყარებულია გერმანელთა ჯარების და უწინარეს ყოვლისა იმ ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯგუფების მდგომარეობისა და დისლოკაციის ანალიზზე. რომლებიც წამყვანნი არიან მათს სტრატეგიულ ოპერაციებში.

— განაგრძეთ მოხსენება, — თქვა ი. ბ. სტალინმა.

მე განვაგრძე.

— მოსკოვის სტრატეგიული მიმართულებით გერმანელები ახლო მომავალში ვერ შეძლებენ შეტევითი ოპერაციების დაწყებას, რადგანაც მათ ძალიან დიდი დანაკარგი აქვთ. მათ აქ არ ჰყავთ მსხვილი სტრატეგიული რეზერვები „ცენტრის“ არმიათა ჯგუფის მარჯვენა და მარცხენა ფლანგების უზრუნველსაყოფად;

ლენინგრადის მიმართულებით დამატებითი ძალების გარეშე გერმანელები ვერ დაიწყებენ ლენინგრადის დაპყრობისა და ფინელებთან შეერთების ოპერაციებს;

უკრაინაში მთავარი ბრძოლები შეიძლება გაჩაღდეს სადმე დნეპროპეტროვსკის, კრემენჩუგის რაიონში, სადაც გასულია მოწინააღმდეგის „სამხრეთის“ არმიათა ჯგუფის ჯავშანსატანკო ჯარების მთავარი დაჯგუფება;

ჩვენი ფრონტების ყველაზე უფრო სუსტ და საშიშ უბანს წარმოადგენს ცენტრალური ფრონტი. არმიები, რომლებიც ფარავენ უნეჩისა და გომელის მიმართულებას, მეტად მცირერიცხოვანნი და ტექნიკურად სუსტნი არიან. გერმანელებს შეუძლიათ ისარგებლონ ამ სუსტი ადგილით და დაარტყან სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარების ფლანგსა და ზურგს.

— რა წინადადებას იძლევით? — მკითხა ი. ბ. სტალინმა.

— უწინარეს ყოვლისა საჭიროა გავამაგროთ ცენტრალური ფრონტი, რომელსაც გადაეცემა არტილერიით გაძლიერებული არა ნაკლებ სამი არმიისა. ერთი არმია დასავლეთის მიმართულების ხარჯზე, მეორე— სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ხარჯზე, მესამე — მთავარბანკის რეზერვებიდან. ფრონტის სათავეში უნდა დავაყენოთ გამოცდილი და ენერგიული სარდალი. კონკრეტულად ვასახელებ ნ. თ. ვატუტინს.

— თქვენ რა, — შემეკითხა ი. ბ. სტალინი, — შესაძლებლად მიგაჩნიათ მოსკოვის მიმართულების შესუსტება?

— არა, არ მიმაჩნია. 12—15 დღის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია შორე-

ული აღმოსავლეთიდან გადმოვიყვანოთ რვაზე არანაკლები სავსებით ბრძოლისუნარიანი დივიზია, მათ რიცხვში ერთი სატანკო.

— შორეული აღმოსავლეთი კი იაპონელებს მივცეთ? — გესლიანად თქვა ლ. ზ. მეხლისმა.

მე არ ვუპასუხე და განვაგრძე:

— სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი აუცილებლად მთლიანად უნდა გადავიყვანოთ დნეპრს გაღმა: ცენტრალური და სამხრეთ-დასავლეთი ფრონტების შესაყარზე უკან თავმოყრილი უნდა იქნას რეზერვი არა ნაკლებ ხუთი გაძლიერებული დივიზიისა.

— კი, მაგრამ კიევი? — შემეკითხა ი. ბ. სტალინი.

მე მესმოდა, რას ნიშნავდა ყველა საბჭოთა ადამიანისათვის და ი. ბ. სტალინისათვის ორი სიტყვა: „ჩაბარდეს კიევი". მაგრამ მე არ შემეძლო ავყოლოდი გრძნობებს და, როგორც სამხედრო ადამიანი, ვალდებული ვიყავი მეთქვა, ჩემი შეხედულებით, ერთადერთი შესაძლებელი გადაწყვეტილება შექმნილ ვითარებაში.

— კიევის დატოვება მოგვიწევს, — ვუპასუხე მე. — დასავლეთის მიმართულებით დაუყოვნებლივ უნდა მოვახდინოთ კონტრდარტყმის ორგანიზება ელნიას შვერილის ლიკვიდაციის მიზნით. ეს პლაცდარმი მოწინააღმდეგეს შეუძლია მოსკოვზე დარტყმისათვის გამოიყენოს.

— რა კონტრდარტყმებზე ლაპარაკობთ, რა სისულელეა? — გაცხარდა ი. ბ. სტალინი. — რამ მოგაფიქრათ მტრისათვის კიევის ჩაბარება?

მე ველარ შევიკავე თავი და ვუპასუხე:

— თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ გენერალური შტაბის უფროსს მხოლოდ სისულელეს როშვა შეუძლია, მაშინ მას აქ ალარაფერი ესაქმება. მე გთხოვთ გამანთავისუფლოთ გენერალური შტაბის უფროსის მოვალეობიდან და გამაგზავნოთ ფრონტზე. იქ მე, ალბათ, უფრო მეტ სარგებლობას მოვუტან სამშობლოს.

— ნუ ცხარობთ, — მითხრა ი. ბ. სტალინმა. — თუმცა, თუ ასე სვამთ საკითხს, ჩვენ უთქვენოდაც იოლად წავალთ...

მე ვუთხარი, რომ არსებულ ვითარებასა და ომის წარმართვის წესებზე საკუთარი შეხედულება მაქვს და მე იგი მოგახსენეთ ისე, როგორც მესმის მე და ასევე გენერალურ შტაბსაც.

— წადით, იმუშავეთ, ჩვენ აქ მოვითათბირებთ და შემდეგ დაგიძახებთ.

შევკრიბე რუკები და კაბინეტიდან მძიმე გრძნობით გამოვედი.

40 წუთის შემდეგ დამიძახეს უმაღლეს მთავარსარდალთან.

— აი რა, — მითხრა ი. ბ. სტალინმა, — ჩვენ მოვითათბირეთ და გადავწყვიტეთ თქვენი განთავისუფლება გენერალური შტაბის უფროსის მოვალეობიდან. შტაბის უფროსად დავნიშნავთ ბ. მ. შაპოშნიკოვს.

მართალია. ჯანმრთელობის მხრივ ის ნთლად კარგად ვერ არის, მაგრამ არაფერია, დავეხმარებით.

— სად მიბრძანებთ წასვლას?

— თქვენ სად გნებავთ?

— შემიძლია ყოველგვარი სამუშაო შეავასრულო. შემიძლია ვუმეთაურო დივიზიას, კორპუსს, არმიას. ფრონტს.

— ნუ ცხარობთ, ნუ ცხარობთ! აი თქვენ ლაპარაკობდით ელნიას მისადგომებთან კონტრდარტყმის ორგანიზების შესახებ. ჰოდა, მოკიდეთ ხელი მაგ საქმეს. ჩვენ დაგნიშნავთ სარეზერვო ფრონტის სარდლად. როდის შეგიძლიათ წასვლა?

— ერთი საათის შემდეგ.

— გენერალურ შტაბში მალე მოვა ბ. მ. შაპოშნიკოვი. გადააბარეთ მას საქმეები და გაემგზავრეთ. იქონიეთ მხედველობაში, რომ თქვენ რჩებით უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის წევრად, — დასძინა ი. ბ. სტალინმა.

— ნებას მაძლევთ წავიდე?

— დაჯექით და ჩვენთან ერთად დალიეთ ჩაი, — უკვე ღიმილით მითხრა ი. ბ. სტალინმა, — ჩვენ ჯერ კიდევ ზოგ რამეზე უნდა მოვილაპარაკოთ.

მივუსხედით მაგიდას, დავიწყეთ ჩაის სმა, მაგრამ საუბარი მაინც ვერ აეწყო.

მზადებას დიდხანს არ მოვნდომებივარ. მალე გენერალურ შტაბში მოვიდა ბ. მ. შაპოშნიკოვი დასავლეთის ფრონტიდან. სადაც იგი უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის წარმომადგენლად იყო. მე გავემგზავრე გეატსკის რაიონში. იქ იმყოფებოდა სარეზერვო ფრონტის შტაბი.

თავი მეთერთმეტე

ელნიადან ლენინგრადამდე

ფრონტის შტაბში დიდხანს არ შევჩერებულვარ. გავეცანი რა ფრონტის უბნებზე უკანასკნელ ამბებს, არტილერიის სარდალ გენერალ ლ. ა. გოვოროვთან ერთად გავემგზავრე ელნიას რაიონში, 24-ე არმიის შტაბში. იქ გვიან საღამოთი ჩავედით. გზად დავინახეთ ხანძრის დიდი ანაშუქი სადღაც იარცევისა და ელნიას რაიონში.

რა იწვოდა — გაურკვეველი იყო. მაგრამ ხანძრის სანახაობა ძძიძე შთაბეჭდილებას ახდენდა. ცეცხლში ნადგურდებოდა ხალხის დოვლათი. საბჭოთა ადამიანების მრავალწლიანი შრომა. ჩემს თავს ვეკითხებოდი: როგორ და რით უნდა უპასუხოს საბჭოთა ხალხმა მტერს ყველა იმ უბედურებისათვის, რომელსაც იგი თავის სისხლიან გზაზე თესავს? მახვილით და მხოლოდ მახვილით, ბოროტი მტრის უმოწყალოდ განადგურებით, — იყო ერთადერთი პასუხი...

24-ე არმიის შტაბში ჩვენ შეგვხვდნენ არმიის სარდალი კ. ი. რაკუტინი და ჯარის გვარეობათა სარდლები. კ. ი. რაკუტინს მე ადრე არ ვიცნობდი. დისლოკაციაზე მოხსენებისას მან ჩემზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ მისი ოპერატიულ-ტაქტიკური მომზადება აშკარად არასაკმარისი იყო. მას ახასიათებდა იგივე ნაკლოვანება, რაც იქ ოფიცრებსა და გენერლებს, რომლებიც უწინ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სასაზღვრო ჯარებში მუშაობდნენ, სადაც მათ თითქმის არ უხდებოდათ ოპერატიული ხელოვნების საკითხებში დაოსტატება.

მეორე დღეს დილით ადრე კ. ი. რაკუტინთან ერთად გავემგზავრეთ ელნიას რაიონში პირადი რეკოგნოსცირებისათვის. ამ დროს იქ მოწინააღმდეგესთან საცეცხლე ბრძოლა მიმდინარეობდა. ნაწილების მეთაურებთან ვითარების განხილვის შემდეგ ჩვენ დავრწმუნდით, რომ გერმანელთა ჯარებმა აქ კარგად მოაწყვეს თავდაცვა და, ეტყობა, მაგ-

რად იბრძოლებდნენ. თავდაცვის წინა ხაზზე და მის სიღრმეში მოწინააღმდეგემ მიწაში ჩაფლა ტანკები, საიერიშო და საარტილერიო იარაღები და ამით ელნიას შვერილი თავისებურ გამაგრებულ რაიონად გადააქცია.

ვითარების შესწავლისას ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ მოწინააღმდეგის საცეცხლე სისტემა ჯერ კიდევ არ იყო მთლიანად გამოვლინებული. ამიტომ ჩვენი ნაწილები არტილერიის ცეცხლს აჩაღებენ უმთავრესად არა რეალურად არსებული, არამედ სავარაუდო საცეცხლე წერტების მიხედვით.

კონტრდარტყმის განსაბორციელებლად 24-ე არმიის ძალები აშკარად არასაკმარისი იყო.

გავიანგარიშეთ ყველაფერი, რაც კონტრდარტყმისათვის იყო აუცილებელი, მოვითათბირეთ არმიის სარდალთან და არმიის ჯარების გვარეობათა სარდლებთან. ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ ორი-სამი დივიზიისა და არტილერიის ნაწილების დამატებითი თავმოყრისათვის, მოწინააღმდეგის თავდაცვის მთელი სისტემის უფრო ღრმად შესწავლისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საშუალებათა მოზიდვისათვის საჭირო იქნებოდა 10—12 დღე. მაშასადამე, გენერალური იერიშის ჩატარება შეიძლებოდა არა უადრეს აგვისტოს მეორე ნახევრისა. მანამდე არ უნდა შეწყვეტილიყო ჯარების აქტიური მოქმედება, უნდა მოგვექანცა მოწინააღმდეგე. შეგვესწავლა მისი თავდაცვის სისტემა და მოგვეხდინა ძალებისა და საშუალებათა გადაჯგუფება გადამწყვეტი მოქმედებისათვის.

შუა აგვისტოსათვის ჩვენ უკვე გვქონდა სრული მონაცემები მოწინააღმდეგეზე, მის საცეცხლე და საინჟინრო სისტემაზე.

12 აგვისტოს მე ვაწარმოებდი გერმანელთა კონტრშეტევის დროს ტყვედ ჩავარდნილი მიტერმანის დაკითხვას.

მიტერმანი 19 წლის იყო, მამა — ნაცისტური პარტიის წევრი, თვითონ „იუგენდფოლკის“ წევრი იყო. თავის დივიზიასთან ერთად მონაწილეობდა საფრანგეთის, ბელგიის, ჰოლანდიისა და იუგოსლავიის წინააღმდეგ ლაშქრობებში.

აი რა აჩვენა მან დაკითხვაზე:

— დივიზიის ჯარისკაცთა უმრავლესობა ცხრამეტი-ოცი წლისაა. შენაერთის დაკომპლექტება საგანგებო პერსონალური შერჩევით ხდებოდა. ესესელთა დივიზია ელნიას რაიონში ჩამოვიდა მეათე სატანკო დივიზიის მოსვლისთანავე.

ელნიას რაიონი მიტერმანმა დაახასიათა როგორც მეწინავე ხაზი ქვეყნის სიღრმეში შემდგომი წინ წაწევისათვის. სამკვირიანი შეჩერება და ელნიას რაიონში თავდაცვაზე გადასვლა მას ესმოდა როგორც

დროის მოგება, რომლის განმავლობაშიც გერმანელთა სარდლობა რეზერვებსა და შესავსებ ნაწილებს გზავნიდა.

„ჩვენ ბევრი გავიარეთ, საჭიროა თავი მოუყარო რეზერვებს და მაშინ წაიწიო წინ“ — ასე იყო განმარტებული არმიის სარდლის გენერალ გუდერიანის სპეციალური ბრძანებით (საინტერესო ვარიანტი გერმანელ ჯარისკაცთა შორის ახსნა-განმარტებითი მუშაობისა და შეჩერებასა და თავდაცვაზე გადასვლის მიზეზის ახსნისა! როგორც იტყვიან, გასაჭირს სათნოებად ასაღებდნენ...).

— ჩვენს პოლკს „დოიჩლანდს“ დაცვა ელნიას რაიონში ეკავა, — განაგრძობდა მიტერმანი. — პოლკი დასასვენებლად გაიყვანეს, მაგრამ შემდეგ კვლავ გადაისროლეს მეწინავე პოზიციებზე ნაწილების ცოცხალი ძალის დანაკარგთან და უხეირო თავდაცვითს მოქმედებასთან დაკავშირებით. პოლკის დანაკარგი იმდენად დიდია, რომ მსროლელთა ქვეგანაყოფებში ზურგის მუშაკები გადაისროლეს. გერმანელთა ჯარებს ყველაზე დიდ ზარალს საბჭოთა არტილერია აყენებს. რუსეთის არტილერია ძლიერად ურტყამს და მორალურად მოქმედებს გერმანელ ჯარისკაცზე.

თავისი სარდლობის ახსნა-განმარტებითი ბრძანებიდან, რომელიც დაპყრობილ ადგილებში პარტიზანულ მოძრაობას შეეხებოდა, მიტერმანმა იცის, რომ ტყეებში ცოტა როდია საბჭოთა სამხედრო ნაწილები, რომლებიც საცეცხლე ბრძოლას აწარმოებენ გერმანელთა ჯარების წინააღმდეგ...

როგორც ცნობილია, 1941 წლის შუა ივლისში საკ. კპ(ბ) ცკ-მა მიიღო სპეციალური გადაწყვეტილება „გერმანელთა ჯარების ზურგში ბრძოლის ორგანიზების შესახებ“. პარტიამ ენერგიული ზომები მიიღო პარტიზანული ჯგუფებისა და რაზმების შესაქმნელად. რაიონებში, რომელთა დაპყრობა მოწინააღმდეგის მიერ მოსალოდნელი იყო, წინასწარვე იქმნებოდა არალეგალური პარტიული და კომკავშირული უჯრედები პარტიზანული მოძრაობის ხელმძღვანელობისათვის. ლენინგრადის, კალინინის, სმოლენსკის, ორიოლისა და კურსკის ოლქებში, უკრაინის, ბელორუსიისა და მოლდავეთის რესპუბლიკებში 1941 წელს მტრის წინააღმდეგ თავისი მოქმედება დაიწყო 800-ზე მეტმა არალეგალურმა ქალაქკომმა, რაიკომმა და რაიონის პარტიულმა ცენტრმა, 300-ზე მეტმა კომკავშირის ქალაქკომმა და რაიკომმა, საბრძოლველად აღსდგნენ ლატვიის, ლიტვის და ესტონეთის პარტიზანები. პარტიზანული რაზმები და ჯგუფები, რომლებიც პასუხისმგებელი პარტიული და საბჭოთა მუშაკების მეთაურობით მსხვილ შენაერთებად ერთიანდებოდნენ, საგრძნობ ზარალს აყენებდნენ მტერს.

დაკითხვის დასასრულს მიტერმანმა თქვა. რომ არსებული მონაცემების მიხედვით, ესესელთა დივიზიის სარდლობა თვით პოლკის მეთა-

ურებამდე გადაყენებულია იმ ზარალთან და წარუმატებლობასთან დაკავშირებით, რასაც უკანასკნელ კვირეებში ელნიასთან ჰქონდა ადგილი.

ამ ცნობებმა, ისევე როგორც ბევრმა სხვა ტყვედ ჩავარდნილთა დაკითხვის ჩვენებებმაც, საშუალება მოგვცა გულდასმით, ყველა დეტალის გათვალისწინებით შეგვემუშავებინა საარტილერიო ცეცხლისა და საავიაციო დარტყმის გეგმა და ნაწილებისა და შენაერთებებისათვის კონკრეტული ამოცანები დაგვესახა. ამ მხრივ მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა გენერალ-მაიორმა ლ. ა. გოვოროვმა, რომელმაც ჩინებულად იცოდა საარტილერიო საქმე.

24-ე არმიის ძირითადი კონტრდარტყმა დაიწყო აგვისტოს ოც რიცხვებში. ბრძოლა ყველა უბანზე გააფთრებული და მძიმე იყო ორივე მხარისათვის. მოწინააღმდეგემ ჩვენს შემტევ დივიზიებს დაუპირისპირა მჭიდრო საარტილერიო და ნაღმსატყორცნის ცეცხლის საფარი. ჩვენ ავამუშავეთ მთელი არსებული ავიაცია, ტანკები, არტილერია და რეაქტიული ნაღმსატყორცნები. საბრძოლო მოქმედება არ წყდებოდა არც დღე, არც ღამე. ელნიას შვერილის ყელს თანდათან უპერდა ჩვენი ჯარების მარწუხები და იგი სულ უფრო ვიწროვდებოდა. იგრძნობოდა, რომ მოწინააღმდეგეს ძალები ელეოდა.

განსაკუთრებით მამაცურად იბრძოდნენ ჩვენი მე-19, მე-100 და 107-ე დივიზიები. სამეთვალყურეო პუნქტიდან მე ვხედავდი 107-ე დივიზიის მეთაურის პ. ვ. მირონოვის იმ მსროლელთა პოლკის გააფთრებული ბრძოლის დაუვიწყარ სურათს, რომელსაც ი. მ. ნეკრასოვი სარდლობდა.

ი. მ. ნეკრასოვის პოლკმა სწრაფად დაიპყრო სოფელი ვოლოსკოვო, მაგრამ ალყაში აღმოჩნდა. იგი სამი დღეღამე იბრძოდა. 107-ე დივიზიის სხვა ნაწილების, არტილერიისა და ავიაციის დახმარებით ი. მ. ნეკრასოვის პოლკმა არათუ გაარღვია ალყა, არამედ შემუსრა კიდეც პირისპირ მდგომი მტერი, დაიპყრო რა ამასთან მნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი — რკინიგზის სადგური.

რამდენი ასეთი მასობრივი გმირობისა და მამაცობის მაგალითი იჩენდა თავს ჩვენს გვერდით, გარშემო, ყველგან, დღითა და ღამით...

ისარგებლეს რა ღამის სიბნელით და იმ გარემოებით, რომ ყელი ჯერ მთლად დახურული არ იყო, მოწინააღმდეგის ნაწილებმა ელნიას შვერილიდან უკან დაიხიეს და ბრძოლის ველზე დატოვეს უამრავი გვამი, მძიმე იარაღი და ტანკი. 6 სექტემბერს ელნიაში ჩვენი ჯარები შეკრებილნენ.

საშიში პლაცდარმი ლიკვიდირებულ იქნა. მტერს ძვირად დაუჯდა ელნიას შვერილის შენარჩუნებისათვის სწრაფად. ამასთან დაკავშირებით მე მოკლედ მოვახსენე ი. ბ. სტალინს ელნიას ოპერაციის შედეგები.

სულ ელნიას რაიონში გაჩაღებული ბრძოლების პერიოდში განად-

გურდა ხუთამდე დივიზია, მოწინააღმდეგემ მოკლულთა და დაჭრილთა სახით დაკარგა 45—47 ათასი კაცი და ჩვენი არტილერიისა და ავიაციის მიერ დიდი რაოდენობით დამსხვრეული ტყვიამფრქვევი, ცეცხლსატყორცნი და ზარბაზანი. ტყვეების ჩვენებით. ზოგიერთ ნაწილებში სრულებით ადარ დარჩა ნაღმსატყორცნი და არტილერია. ტანკებსა და ავიაციას უკანასკნელ ხანებში მოწინააღმდეგე იყენებდა ცალკეულ ჯგუფებად და ისიც მხოლოდ ჩვენი იერიშების მოსაგერიებლად უმნიშვნელოვანეს უბნებზე. ჩანს, ეს საშუალებანი მან სხვა მიმართულებებზე გადაისროლა.

მოწინააღმდეგის გარშემორტყმის დამთავრება და ელნიას დაჯგუფების დატყვევება ჩვენ არ მოგვიხერხდა, რადგან ამისათვის არ ყოფნიდა ძალები და პირველ რიგში კი ტანკები.

ძალიან კარგად მოქმედებდა ჩვენი არტილერია ახლად ფორმირებულ დივიზიებშიც კი. რეაქტიული ჭურვი თავისი მოქმედებით ყველაფერს ანადგურებდა. მე დავათვალიერე რაიონები, რომლებსაც რეაქტიული ჭურვი უშენდა, და ვნახე, რომ თავდაცვითი ნაგებობანი სრულიად განადგურებული იყო. უშაკოვ — მოწინააღმდეგის თავდაცვის ბთავარი კვანძი — რეაქტიული ჭურვის ბათქების შედეგად მთლიანად იყო დანგრეული, თავშესაფარები კი ჩახერგილი და ჩამსხვრეული.

დაედევნენ რა მოწინააღმდეგეს, 7 სექტემბერს ჩვენი ნაწილები მდინარე სტრიანაზე გავიდნენ, დაიკავეს იგი და 8 სექტემბერს დილით მიიღეს საბრძოლო დავალება — გენერალ პ. პ. საბენიკოვის ჯგუფთან ურთიერთმოქმედებით განევითარებინათ შეტევა.

ამ ოპერაციის შედეგად ამაღლდა ჯარში სულიერი განწყობილება, განმტკიცდა გამარჯვების რწმენა. ჯარის ნაწილები უფრო მტკიცედ ხვდებოდნენ მოწინააღმდეგის კონტრშეტევებს, უშენდნენ მას ცეცხლს და შეწყობილად გადადიოდნენ კონტრშეტევაზე.

მიუხედავად საბრძოლო მოვლენების მთელი სიმწვავისა და ამ ოპერაციის წარმატებისა, თავიდან არ მცილდებოდა 29 ივლისის საუბარი მთავარბანაკში. სწორი სტრატეგიული პროგნოზი დავსვით თუ არა ჩვენ გენერალურ შტაბში?

ამჟამად არსებობს სხვადასხვა ვერსია იმ პოზიციის შესახებ, რომელიც დაიკავეს მთავარბანაკში გენერალურმა შტაბმა, სამხრეთ-დასავლეთის მიმართულების სარდლობამ და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის სამხედრო საბჭომ კიევის დაცვისა და გარემოცვის საშიშროების თავიდან ასაცილებლად სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მდინარე პსელზე გადაყვანისას. ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია მოვიყვანო აქ ციტატები იმ საუბრიდან, რომელიც ი. ბ. სტალინს ჰქონდა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის სარდლობასთან 1941 წლის 8 აგვისტოს.

„აპარატთან არის სტალინი. ჩვენამდე მოაღწია ცნობებმა,

რომ ფრონტმა იოლად გადაწყვიტა მტრისათვის კიევის ჩაბარება ვითომდა ისეთი ნაწილების ნაკლებობის გამო. რომლებიც შეძლებდნენ კიევის დაცვას. სწორია ეს?

კირპონოსი. გამარჯობათ, ამხანაგო სტალინ. თქვენთვის არასწორად მოუხსენებიათ. მე და ფრონტის სამხედრო საბჭო ყოველგვარ ზომებს ვღებულობთ იმისათვის, რომ არავითარ შემთხვევაში არ დავთმოთ კიევი. მოწინააღმდეგემ, გადაეიდა რა 3-დე ქვეითი დივიზიის ძალებით გამაგრებული რაიონის სამხრეთ წინამხარეზე, ავიაციის დახმარებით გაარღვია გამაგრებული რაიონი და შეიჭრა 4 კილომეტრამდე სიღრმეში. გუშინდელი დღის განმავლობაში მოწინააღმდეგემ მოკლულთა და დაჭრილთა სახით 4 ათასამდე კაცი დაკარგა. ბრძოლა იყო გააფთრებული, ცალკეული დასახლებული პუნქტები რამდენჯერმე გადავიდა ხელიდან ხელში. გამაგრებული რაიონის ნაწილების გასაძლიერებლად გუშინ და დღეს გაიგზავნა ორი ავიადესანტთა ბრიგადა და 30 ტანკი. მათ დაევალათ გაანადგურონ მოწინააღმდეგის შემოჭრილი ნაწილები და აღადგინონ მდგომარეობა. ვფიქრობ, რომ ჩემს განკარგულებაში არსებულმა ძალებმა და საშუალებებმა უნდა უზრუნველყონ დასახული ამოცანის შესრულება.

სტალინი. შეგიძლიათ თუ არა დარწმუნებით თქვათ, რომ თქვენ ყველა ზომა მიიღეთ გამაგრებული რაიონის სამხრეთი ზოლის მდგომარეობის უეჭველი აღდგენისათვის? წაიყვანეთ ნაწილები სხვა მიმართულებიდან კიევის დაცვის გასაძლიერებლად. მე ვფიქრობ, რომ მას შემდეგ, რაც მუზიჩენკო გამოვიდა რკალიდან, ჩვენი იერიში თქვენთვის ცნობილი მიმართულებით კარგავს თავის თავდაპირველ მნიშვნელობას. მაშასადამე, თქვენ ამ მიმართულებიდან რაღაც ძალები გაგითავისუფლებათ. იქნებ, შესაძლებელია გათავისუფლებული ნაწილების ხარჯზე კიევის რაიონის გაძლიერება?

თავდაცვის კომიტეტი და მთავარბანაკი ძალიან გთხოვთ მიიღოთ ყოველგვარი შესაძლებელი და შეუძლებელი ზომები კიევის დასაცავად. ორი კვირის შემდეგ მდგომარეობა შემსუბუქდება. ჩვენ შევძლებთ დაგეხმაროთ ახალი ძალებით, თქვენ კი ორი კვირის განმავლობაში საჭიროა რადაც არ უნდა დაგიჯდეთ, შეინარჩუნოთ კიევი.

კირპონოსი. ამხანაგო სტალინ, მთელი ჩვენი ფიქრები და მისწრაფებანი, როგორც ჩემი, ისე სამხედრო საბჭოსი, მიმართულია იქითკენ, რომ კიევი არ დავუთმოთ მოწინააღმდეგეს. ყველაფერი, რაც კი ჩვენს განკარგულებაშია, გამოყენებული იქნება კიევის დასაცავად იმ ანგარიშით, რომ ჩვენ წინაშე დასმული ამოცანა შევასრულოთ.

სტალინი. ძალიან კარგი. მაგრად გართმევთ ხელს. გისურვებთ წარმატებას. ნახვამდის.

კირპონოსი. მადლობას მოგახსენებთ წარმატების სურვილისათვის“ [1].

მე კი 1941 წლის აგვისტოს მეორე ნახევარში, ზოგადი სტრატეგიული ვითარებისა და მოწინააღმდეგის მოქმედებათა გაანალიზების შემდეგ, კვლავ დავრწმუნდი იმ პოზიციის სისწორეში, რომელიც 1941 წლის 29 ივლისს ი. ბ. სტალინისათვის წარდგენილ ჩემს მოხსენებაში მეპირა ახლო მომავალში მოწინააღმდეგის შესაძლებელი მოქმედების შესახებ. ამიტომ, როგორც მთავარბანაკის წევრმა, მე ჩემი თავი მოვალედ ჩავთვალე ერთხელ კიდევ გამემეორებინა უმაღლესი მთავარსარდლისათვის ვარაუდი იმის შესახებ, რომ შეიძლებოდა მოწინააღმდეგეს სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარებისათვის ფლანგზე და ზურგში დაერტყა.

18 აგვისტოს მე ი. ბ. სტალინს შემდეგი დეპეშა გავუგზავნე:

„მოწინააღმდეგემ, დარწმუნდა რა, რომ მოსკოვისაკენ მიმავალ გზაზე თავმოყრილია ჩვენი ჯარების დიდი ძალები, მის ფლანგებზე კი განლაგებულია ჩვენი ჯარების ცენტრალური ფრონტი და ველიკიე ლუკის დაჯგუფებანი, დროებით თავი შეიკავა მოსკოვზე დარტყმისაგან და, დასავლეთისა და სარეზერვო ფრონტების წინააღმდეგ აქტიურ თავდაცვაზე გადასულმა, მთელი თავისი დამკვრელი მოძრავი და სატანკო ნაწილები ცენტრალური, სამხრეთ-დასავლეთისა და სამხრეთის ფრონტების წინააღმდეგ გადაიყვანა.

შესაძლოა, მოწინააღმდეგეს განზრახული აქვს გაანადგუროს ცენტრალური ფრონტი და, გავა რა ჩერნიგოვ-კონოტოპ პრილუკის რაიონში, ზურგიდან დარტყმით მოსპოს სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარები. ამის შემდეგ კი მოხდება მთავარი დარტყმა მოსკოვზე ბრიანსკის ტყეების შემოვლით და დარტყმა დონბასზე“ [2].

მოწინააღმდეგის ამ საშიში განზრახვის ჩასაშლელად მიზანშეწონილად მივიჩნევდი, რაც შეიძლება სწრაფად შეიქმნას ჩვენი ჯარების მსხვილი დაჯგუფება გლუხოვ-ჩერნიგოვ-კონოტოპის რაიონში და მისი ძალებით მოხდეს დარტყმა იერიშზე გადმოსული მოწინააღმდეგის ფლანგზე. ჩვენი დამკვრელი დაჯგუფების შემადგენლობაში აუცილებლად უნდა შევიდნენ 11—12 მსროლელთა დივიზია, 2—3 საკავალერიო დივიზია, არანაკლებ ათასი ტანკისა და 400—500 თვითმფრინავისა. ამ ძალების გამოყოფა შეიძლება შორეული აღმოსავლეთის ფრონტის, მოსკოვის ზონის დაცვის და საჰაერო თავდაცვისა და შიდა ოლქების ხარჯზე.

მოწინააღმდეგის ამ მანევრის ჩასაფუშავად მთავარბანაკში შეტა-

---

[1] Архив МО СССР, ф. 96-А, оп. 2011, д. 5, лл. 28—30.

[2] Архив МО, ф. 219, оп. 178510, д. 29, лл. 1—3.

ნილ იქნა წინადადება ჩატარებულიყო მთელი რიგი ღონისძიებანი, მათ რიცხვში ბრიანსკის რაიონიდან მძლავრი კონტრიერიშის ორგანიზება.

მეორე დღეს, 19 აგვისტოს, მე უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკიდან მივიღე შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„ქვენი მოსაზრებანი ჩერნიგოვის, კონოტოპისა და პრილუკის მიმართულებით გერმანელთა მოსალოდნელი წინ წაწევის შესახებ სწორად მიგვაჩნია. გერმანელების წინწაწევა... ნიშნავს ჩვენი კიევის ჯგუფის შემოვლას დნეპრის მარჯვენა ნაპირიდან და ჩვენი მე-3 და 21-ე არმიების გარშემორტყმას... ასეთი არასასურველი კაზუსის გათვალისწინებით და მისი თავიდან აცდენისათვის შექმნილია ბრიანსკის ფრონტი ერიომენკოს მეთაურობით. მიღებულია სხვა ზომებიც. რომელთა შესახებ საგანგებოდ გაცნობებთ. იმედი გვაქვს, რომ შეაჩერებთ გერმანელების წინსვლას. სტალინი, შაპოშნიკოვი"[1].

სერიოზულად მაშინებდა რა ცენტრალური და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტების ბედი, ერთი ორი დღის შემდეგ, ზუსტად არ მახსოვს, გადავწყვიტე დამერეკა გენერალური შტაბის უფროსის ბ. მ. შაპოშნიკოვისათვის. მინდოდა გამეგო, რა კონკრეტულ ზომებს ღებულობდა უმაღლესი მთავარსარდლობა იმისათვის, რომ ცენტრალური და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტები არ ჩავარდნილიყვნენ მძიმე მდგომარეობაში.

ბორის მიხეილის ძემ თავის ინფორმაციაში მაცნობა ამ უბნებზე არსებული ვითარების, გუდერიანის არმიისა და „ცენტრის" არმიათა ჯგუფის მარჯვენა ფრთის ჯარების მანევრისათვის წინააღმდეგობის გასაწევად მთავარბანაკის მიერ მიღებული ზომების შესახებ.

მან მაცნობა, რომ უმაღლესმა მთავარსარდალმა ნება დართო სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მარჯვენა ფრთის ჯარების ნაწილი გადაეტანათ დნეპრის აღმოსავლეთ სანაპიროზე. ჩვენი ჯარების კიევის დაჯგუფება კი დარჩენილიყო ადგილზე და დაეცვა კიევის მისადგომები, რომლის შენარჩუნება გადაწყვეტილი იყო უკანასკნელ შესაძლებლობამდე.

— პირადად მე, — განაგრძობდა ბ. მ. შაპოშნიკოვი, — მიმაჩნია, რომ ბრიანსკის ფრონტი, რომელიც ახლა იქმნება, ვერ შეძლებს მოწინააღმდეგის ცენტრალური დაჯგუფების შესაძლებელი დარტყმის აღკვეთას. მართალია, — დაუმატა მან, — გენერალ-ლეიტენანტი ერიომენკო სტალინთან ლაპარაკის დროს დაგვპირდა, რომ გაანადგურებს მოწინააღმდეგის დაჯგუფებას, რომელიც ცენტრალური ფრონტის წინააღმდეგ მოქმედებს და არ დაუშვებს სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ფლანგსა და ზურგში მის გაჭრას.

---

[1] Архив МО СССР, ф. 132-А, оп. 2642, д. 30, л. 18.

მე ვიცოდი. თუ რას წარმოადგენდა საბრძოლო თვალსაზრისით აჩქარებით შექმნილი ბრიანსკის ფრონტის ჯარები და ამიტომ მეტად საჭიროდ მივიჩნიე, ერთხელ კიდევ დაეინებით მომეხსენებინა მაღალი სიხშირის ტელეფონით უმაღლესი მთავარსარდლისათვის, რომ აუცილებელი იყო სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მარჯვენა ფრთის ყველა ჯარები უსწრაფესად გადმოგვეყვანა დნეპრის გადმოლმა მხარეს.

ჩემი რეკომენდაციიდან არაფერი არ გამოვიდა.

ი. ბ. სტალინმა თქვა, რომ ეს-ეს არის ის კვლავ მოეთათბირა ნ. ს. ხრუშჩოვსა და მ. პ. კირპონოსს და თითქოს მათ დაარწმუნეს იგი იმაში, რომ ჯერჯერობით კიევის დატოვება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. იგი თვითონაც დარწმუნებულია, რომ მოწინააღმდეგე, თუ მას ბრიანსკის ფრონტი ვერ დაამარცხებს, ყოველ შემთხვევაში შეჩერებული მაინც იქნება.

როგორც ცნობილია, სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარებს შემდგომში ძვირად დაუჯდათ ეს გადაწყვეტილება, რომელიც მიღებული იყო ვითარების სერიოზული ანალიზის გარეშე.

8 სექტემბერს გამომიძახეს ი. ბ. სტალინთან.

გვიან საღამოთი შევედი მისაღებ ოთახში. გადმომცეს, რომ ი. ბ. სტალინი კრემლის ბინაზე მელოდებოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ მე მასთან ვიყავი. ი. ბ. სტალინი ვიხშობდა. მაგიდას უსხდნენ ა. ს. შჩერბაკოვი, ვ. მ. მოლოტოვი, გ. მ. მალენკოვი და პოლიტბიუროს სხვა წევრები. ი. ბ. სტალინმა გულითადად მიმიღო.

— გვარიანად გამოგვიდათ ელნიას შვერილის ამბავი,—თქვა მან.— თქვენ მაშინ მართალი იყავით (იგულისხმებოდა ჩემი 29 ივლისის მოხსენება). საითკენ აპირებთ ახლა?

— უკანვე ფრონტზე.

— რომელ ფრონტზე?

— იქ, სადაც თქვენ საჭიროდ ჩათვლით.

— წადით ლენინგრადის მისადგომებთან. ლენინგრადი თითქმის უიმედო მდგომარეობაშია. გერმანელებს, მაგ შემდეგ, რაც ლენინგრადს აიღებენ და ფინელებს შეუერთდებიან, შეუძლიათ ჩრდილოაღმოსავლეთიდან შემოვლით დაარტყან მოსკოვს და მაშინ ვითარება კიდევ უფრო გართულდება.

— თანახმა ვარ დაუყოვნებლივ გავფრინდე ლენინგრადში. მხოლოდ გთხოვთ ნება დამრთოთ თან წაეიყვანო ორი-სამი გენერალი, რომლებიც შეიძლება საჭირონი აღმოჩნდნენ გადაღლილი სარდლების შესაცვლელად.

— წაიყვანეთ ვინც გინდათ. — შემდეგ, ცოტა ხანს გაჩუმდა და უცბად თქვა: — ცუდი მდგომარეობა იქმნება სამხრეთ-დასავლეთის მი-

მართულებით. გადავწყვიტეთ მისი ხელმძღვანელობა შეეცვალოთ. თქვენი აზრით, ვინ უნდა გაიგზავნოს?

— მარშალმა ტიმოშენკომ უკანასკნელ ხანებში საბრძოლო მოქმედების ორგანიზაციის დიდი პრაქტიკა მიიღო, თანაც იგი კარგად იცნობს უკრაინას. გირჩევთ მის გაგზავნას, — ვუპასუხე მე.

— თქვენ თითქოს მართალი ხართ. და ტიმოშენკოს მაგივრად ვის დაეაყენებთ დასავლეთის ფრონტზე?

მე ვურჩიე მე-19 არმიის სარდალი გენერალ-ლეიტენანტი ი. ს. კონევი. ი. ბ. სტალინი დათანხმდა და იქვე ტელეფონით პისცა მითითება ბ. მ. შაპოშნიკოვს გამოეძახნა მარშალი ს. კ. ტიმოშენკო და ი. ს. კონევისათვის გადაეცა ბრძანება დასავლეთის ფრონტის სარდლობის მიღების შესახებ.

ეე უკვე ვემზადებოდი გამოსამშვიდობებლად, როდესაც ი. ბ. სტალინმა მკითხა:

— როგორ აფასებთ ბოწინააღმდეგის შემდგომ გეგმებსა და შესაძლებლობებს?

— ამ მომენტში, ვუპასუხე მე, — ლენინგრადის გარდა ჩვენთვის ყველაზე საშიშია სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი. ვფიქრობ, რომ უახლოეს დღეებში იქ შეიძლება მძიმე ვითარება შეიქმნას. „ცენტრის“ არმიათა ჯგუფს, რომელიც ჩერნიგოვ-ნოვგოროდ-სევერსკის რაიონში გავიდა, შეუძლია შეაუსროს 21-ე არმია და შეიჭრას სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ზურგში.

დარწმუნებული ვარ, რომ „სამხრეთის“ არმიათა ჯგუფი, რომელმაც ხელთ იგდო პლაცდარმი კრემენჩუგის რაიონში, გუდერიანის არმიასთან ოპერატიულ ურთიერთობას განახორციელებს, სამხრეთ-დასავლეთის ფრონტს სერიოზული საშიშროება მოელის. მე კვლავ გირჩევთ მთელი კიევის ჯგუფი დაუყოვნებლივ გადაიყვანოთ დნეპრის აღმოსავლეთ ნაპირზე და მის ხარჯზე შექმნათ რეზერვები სადმე კონოტოპის რაიონში.

— და მერე კიევი?

— როგორი მძიმეც არ უნდა იყოს, მაინც მოგვიხდება კიევის დატოვება. სხვა გამოსავალი არ გვაქვს.

ი. ბ. სტალინმა აიღო ტელეფონის ყურმილი და დაურეკა ბ. მ. შაპოშნიკოვს.

— რა ვუყოთ კიევის დაჯგუფებას? — ჰკითხა მან. — ეუკოვი დაჟინებით გვირჩევს დაუყოვნებლივ გადავიყვანოთ იგი.

მე ვერ მოვისმინე, რა უპასუხა ბორის მიხეილის ძემ, ძაგრამ ბოლოს ი. ბ. სტალინმა თქვა:

—ხვალ აქ იქნება ტიმოშენკო. მოიფიქრეთ მასთან საკითხები, საღამოს კი მოველაპარაკოთ ფრონტის სამხედრო საბჭოს.

ასეთი ლაპარაკი ფრონტის სამხედრო საბჭოსთან შედგა 11 სექტემბერს. აი მისი შინაარსი:

აპარატთან არიან კირპონოსი, ბურმისტენკო, ტუპიკოვი.

აქ — სტალინი, შაპოშნიკოვი, ტიმოშენკო.

სტალინი. თქვენი წინადადება თქვენთვის ცნობილი მდინარის საზღვარზე ჯარების გაყვანის შესახებ მე საშიშრად მიმაჩნია.

მოცემულ ვითარებაში დნეპრის აღმოსავლეთ ნაპირზე ჯარების გადაყვანა, რასაც თქვენ მოითხოვთ, ნიშნავს ჩვენი ჯარების გარშემორტყმას, ვინაიდან მოწინააღმდეგე თქვენზე იერიშით მარტო კონოტოპის, ესე იგი ჩრდილოეთის მხრიდან კი არ წამოვა, არამედ სამხრეთის მხრიდანაც, ესე იგი კრემენჩუგიდან, და აგრეთვე დასავლეთიდან, რადგან თუ ჩვენ დნეპრიდან ჩვენს ჯარებს გადავიყვანთ, მოწინააღმდეგე ერთბაშად დაიკავებს დნეპრის აღმოსავლეთ ნაპირს და დაიწყებს იერიშებს. თუ მოწინააღმდეგის კონოტოპის ჯგუფი შეუერთდა კრემენჩუგის ჯგუფს, თქვენ გარშემორტყმული აღმოჩნდებით.

როგორც ხედავთ, თქვენი წინადადებები ჯარების დაუყოვნებლივ გადაყვანის შესახებ უიმისოდ, თუ თქვენ წინასწარ არ მოამზადებთ საზღვარს მდინარე პსელზე, ეს ერთი, და, მეორე, თუ შეუპოვარ იერიშებს არ მიიტანთ მოწინააღმდეგის კონოტოპის ჯგუფზე ბრიანსკის ფრონტთან ურთიერთმოქმედებით, —გიმეორებთ, ამ პირობების გარეშე თქვენი წინადადებები ჯარების გადაყვანის შესახებ საშიშია და შეუძლიათ კატასტროფამდე მიგვიყვანონ. რა გამოსავალია? გამოსავალი შეიძლება იყოს შემდეგი:

პ ი რ ვ ე ლ ი. დაუყოვნებლივ ჩატარდეს ძალების გადაჯგუფება თუნდაც კიევის გამაგრებული რაიონისა და სხვა ჯარების ხარჯზე და დაიწყოს შეტევები მოწინააღმდეგის კონოტოპის ჯგუფზე ერიომენკოსთან ურთიერთმოქმედებითა და ამ რაიონში ავიაციის ცხრამეათედი ნაწილის თავმოყრით. ერიომენკოს უკვე მიეცა სათანადო მითითებანი. პეტროვის საავიაციო ჯგუფი კი ჩვენ დღეს სპეციალური ბრძანებით გადავაადგილეთ ხარკოვისაკენ და დავუქვემდებარეთ სამხრეთ-დასავლეთს.

მ ე ო რ ე. დაუყოვნებლივ მოაწყვეთ თავდაცვის მიჯნა მდინარე პსელზე ან სადმე ამ ხაზის მიმართულებით, რისთვისაც გამოიყვანთ დიდ საარტილერიო ჯგუფს ჩრდილოეთისა და დასავლეთისაკენ მიმართული ფრონტით, გადაიყვანთ ამ საზღვარს იქით 5—6 დივიზიას.

მ ე ს ა მ ე. მტრის კონოტოპის ჯგუფის წინააღმდეგ მუშტის შექმნის შემდეგ და მდინარე პსელზე თავდაცვითი მიჯნის შექმნის შემდეგ, ერთი სიტყვით, ყოველივე ამის შემდეგ დაიწყებთ კიევის ევაკუაციას, მოამზადებთ რა გულდასმით ხიდების აფეთქებას.

არავითარი საცურაო საშუალებანი დნეპრზე არ დატოვოთ, არამედ გაანადგურეთ და კიევის ევაკუაციისთანავე გამაგრდით დნეპრის აღმოსავლეთ ნაპირზე და არ მისცეთ მოწინააღმდეგეს ნაპირზე გასვლის საშუალება.

და ბოლოს, შეწყვიტეთ უკან დახევისათვის მიჯნების ძიება, პირიქით, ეძიეთ წინააღმდეგობის და მხოლოდ წინააღმდეგობის გზები.

კირპონოსი. ჩვენ აზრადაც არა გვქონია ჯარების გადაყვანა, ვიდრე არ მივიღებდით წინადადებას გამოგვეთქვა მოსაზრებანი ჯარების აღმოსავლეთისაკენ გადაყვანის შესახებ მიჯნების მითითებით. იყო მხოლოდ თხოვნა რვასზე მეტი კილომეტრით გაფართოებულ ფრონტთან დაკავშირებით გაგვეძლიერებინა ჩვენი ფრონტი რეზერვით.

უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის მითითებით, რომელიც 10 სექტემბრის ღამით მივიღეთ, კოსტენკოს არმიიდან უნდა მოხსნილიყო 2 მსროლელთა დივიზია არტილერიით და გადაყვანილიყო რკინიგზით კონოტოპისაკენ იმ საბრძოლო ამოცანით, რომ პოდლასისა და კუზნეცოვის არმიებთან ერთად გაანადგურონ რომნის მიმართულებით შემოჭრილი მოწინააღმდეგის მოტომექანიზებული ჯგუფი. კიევის გამაგრებული რაიონიდან, ჩვენი აზრით, ჯერჯერობით მეტი ჯარის წამოყვანა არ შეიძლება, ვინაიდან იქიდან უკვე ორნახევარი მსროლელთა დივიზიაა წამოყვანილი ჩერნიგოვის მიმართულებისათვის. კიევის გამაგრებული რაიონიდან შეიძლება მხოლოდ საარტილერიო საშუალებათა ნაწილის წამოღება.

უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის მითითებანი, რომლებიც ესეს არის მივიღეთ აპარატით, დაუყოვნებლივ იქნება გატარებული ცხოვრებაში. აი, ყველაფერი.

სტალინი. პირველი. წინადადება სამხრეთ-დასავლეთის ფრონტიდან ჯარების გადაყვანის შესახებ წამოაყენეთ თქვენ და ბუდიონიმ, სამხრეთ-დასავლეთის მიმართულების სარდალმა. აი ამონაწერები ბუდიონის 11 რიცხვის მოხსენებიდან:

„შაპოშნიკოვმა მიგვითითა, რომ უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკს ჯერჯერობით ნაადრევად მიაჩნია სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ნაწილების აღმოსავლეთ მხარეს გადაყვანა. თუ უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკს არა აქვს შესაძლებლობა მოცემულ მომენტში თავი მოუყაროს ძლიერ ჯგუფს, მაშინ უკანდახევა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტისათვის საესებით მომწიფებულია“.

როგორც ხედავთ, შაპოშნიკოვი ნაწილების გადაყვანის წინააღმდეგია, მთავარსარდალი კი გადაყვანის მომხრეა, ისევე როგორც სამხრეთ-დასავლეთის ფრონტიც მხარს უჭერდა ნაწილების დაუყოვნებლივ გადაყვანას.

მ ე ო რ ე. მოწინააღმდეგის კონოტოპის ჯგუფის წინააღმდეგ მუშ-

ტის ორგანიზაციისა და ცნობილ მიჯნაზე თავდაცვითი ხაზის მომზადების ზომების შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდეთ სისტემატურად.

მ ე ს ა მ ე. კიევი არ დატოვოთ და ხიდები არ ააფეთქოთ მთავარბანაკის ნებართვის გარეშე. ნახვამდის.

კირპონოსი. თქვენი მითითებანი ნათელია. ნახვამდის.

ლენინგრადში ჩემი გაფრენის წინ გამომშვიდობებისას უმაღლესმა მთავარსარდალმა მითხრა:

— აი ბარათი, გადაეცით იგი ვოროშილოვს, ბრძანება კი თქვენი დანიშვნის შესახებ გადაცემული იქნება, როცა ლენინგრადში ჩახვალთ.

კ. ე. ვოროშილოვისათვის გაგზავნილ ბარათში ეწერა: „გადაეცით ფრონტის სარდლობა ჟუკოვს, თქვენ კი დაუყოვნებლივ გამოფრინდით მოსკოვში".

ლენინგრადში გაფრენამდე შევიარე ა. მ. ვასილევსკისთან, რომელიც იმ დროს გენერალური შტაბის უფროსის პირველი მოადგილე იყო. ალექსანდრე მიხეილის ძე მუშაობდა სამხრეთ-დასავლეთის მიმართულების პრობლემებზე. ჩემს შეკითხვაზე, თუ როგორ აფასებს იგი სამხრეთ-დასავლეთის მიმართულების უბნებზე შექმნილ ვითარებას, მიპასუხა:

— ვფიქრობ, ჩვენ უკვე ძალიან დავაგვიანეთ ჯარების დნეპრის გადმოღმა მხარეს გადაყვანა...

აქ მე მინდა შევწყვიტო ამბების შედარებით თანმიმდევრული თხრობა.

გაიარა ომის პირველმა, უაღრესად მძიმე თვენახევარმა.

ჩვენი დანაკარგი ჭეტად დიდი იყო. ომის მარტოოდენ პირველ დღეს სასაზღვრო ოლქების ავიაციამ დაახლოებით 1200 თვითმფრინავი დაკარგა. მოწინააღმდეგის სატანკო და მოტორიზებული შენაერთები, რომლებსაც დახმარებას უწევდნენ ავიაციის დიდი ძალები, განაგრძობდნენ წინსვლას, გაიჭრებოდნენ ხთლმე ჩვენი ჯარების პირისპირ, ურტყამდნენ ფლანგებიდან დაჯგუფებებს, ანადგურებდნენ კავშირგაბმულობის კვანძებსა და ხაზებს. იღუპებოდა ათიათასობით საბჭოთა მეომარი, მშვიდობიანი მოქალაქე...

და ამავე დროს თავიდანვე ყველაფერი წარმოებდა არა ისე, როგორც ეს გერმანელთა მთავარსარდლობის მიერ იყო დაგეგმილი. ისტორიკოსებს ჯერ კიდევ მართებთ იმის განხილვა, თუ როგორი თახმიმდევრობით, მიუხედავად მათი ყველა გამარჯვებისა, იფუშებოდა ჰიტლერული ხელმძღვანელობის განზრახვანი. ყოველივე ამას მოსდევდა შორეული შედეგები, რაზედაც ჩვენ კიდევ გვექნება შესაძლებლობა რამდენიმე სიტყვა ვთქვათ.

რაზე წაიბორძიკეს ფაშისტთა ჯარებმა, როდესაც მათ პირველი ნაბიჯი გადმოდგეს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, უწინარეს ყოვლისა რამ შეუშალა მათ ხელი ჩვეული ტემპებით წინ წაწევაში? ჩვენი ჯარების მასობრივმა გმირობამ, მათმა გააფთრებულმა წინააღმდეგობამ, შეუპოვრობამ, ჩვენი არმიისა და ხალხის უდიდესმა პატრიოტიზმმა.

ისტორია და თანამედროვეობა ცოტა მაგალითს როდი იძლევა, როცა ჯარი, დაყრის რა საუკეთესო იარაღს, სწრაფად კარგავს წინააღმდეგობის გაწევის უნარს, უბრალოდ რომ ვთქვათ, გარბის. არავის არ შეუძლია ზუსტი ზღვარი გააკეთოს საკუთრივ იარაღისა და სამხედრო ტექნიკის როლსა და ჯარის მორალური სულისკვეთების მნიშვნელობას შორის. მაგრამ უდავოა, რომ დანარჩენ თანაბარ პირობებში უდიდეს ბრძოლებსა და მთელ ომებს ის ჯარები იგებენ, რომლებიც გამოირჩეიან გამარჯვებისადმი სწრაფვის დაუძლეველი ნებისყოფით, მიზნის შეგნებით, სულისკვეთების სიმტკიცით და იმ დროშისადმი ერთგულებით, რომლითაც ისინი ბრძოლაში მიდიან.

ამასთან დაკავშირებით მე მიზანშეწონილად მიმაჩნია სიტყვა მივცე იმ მოწინააღმდეგეს, რომელთანაც ჩვენ საქმე გვქონდა დიდ სამამულო ომში. აქ მოყვანილი წყაროების უმრავლესობა მიეკუთვნება იქ პირველ დღეებს, და არა შემდგომ წლებს, როდესაც მათი ავტორები შეიძლება უკვე პოლიტიკური, პროპაგანდისტული და აგრეთვე პირადი ინტერესების გავლენის ქვეშ ყოფილიყვნენ. ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ სსრ კავშირზე თავდასხმამდე მთელი რიგი წლების მანძილზე ფაშისტური გაზეთების, რადიოსა და დოკუმენტების ტერმინოლოგია, ბუნებრივია, გაჟღენთილი იყო გამარჯვების ტონით. და არც ისე მნიშვნელოვანია, თუ სახელდობრ რომელ ფრონტზე და ვისი სარდლობით იბრძოდნენ ამ წყაროებში დასახელებული ჯარები. ძთავარია საერთო ტენდენცია საქმის მდგომარეობისა და მსვლელობის, ჯარისკაცთა და ოფიცერთა ქცევის შეფასება სწორედ იმ პერიოდში, როცა ჩვენ მარცხს განვიცდიდით, როცა ჩვენ მეტისმეტად გვიჭირდა.

რასაკვირველია, ჯერ კიდევ ბევრი რამ იყო წინ, ჯერ კიდევ წინ იყო ბრძოლის წლები, როდესაც ფაშისტური გერმანია დაიწყებდა აღმოსავლეთის ფრონტზე სულ ახალი და ახალი ძალების გადმოყვანას მანამდე, სანამ უკლებლივ ბოლომდე არ გამოლევდა მათ. მაგრამ დაე, დაინახოს მკითხველმა, აღმოსავლეთის ფრონტზე ყველა წარმატების მიუხედავად, გამარჯვების ტონი პირველი ბრძოლებიდანვე როგორ იწყებს ჩაფერფვლას, როგორ იცვლება იგი გაკვირვებითა და იმედგაცრუებით.

საინტერესოა ისიც, თუ როგორი წარმოდგენა ჰქონდა მოწინააღმდეგეს საბჭოთა ქვეყნის, მისი შეიარაღებული ძალებისა და ეკონომიკის შესახებ. დიახ, ჩვენ ვაშენებდით ბედნიერ ცხოვრებას, ყველა

არ იყო საკმაოდ ფხიზელი, ადგილი ჰქონდა გულდამშვიდებას, თვითდამშვიდებას. ძაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა ამ მხრივაც როგორი „მაგარი კაკალი" გამოდგა მტრისათვის ჩვენი ქვეყანა!

მე არ ამომირჩევია ცალკეული სტრიქონები და სიტყვები ამ უცხოური წყაროებიდან. ასეთი მეთოდის საშუალებით საერთოდ შეგიძლიათ დაამტკიცოთ ყველაფერი, რაც გნებავთ, უარყოთ საკუთარი თავი, შეაბრუნოთ ბიბლია ღმერთის წინააღმდეგ. ამიტომ მომიხდება აბზაცებით ციტირება. დაე დარჩეს თავის ადგილზე მთელი ფრაზეოლოგია, ჩვენთვის უჩვეულო ფორმულირებანი, ჩვენთვის რაღაცით შეურაცხმყოფელნი. მით უფრო ნათლად დაინახავს ფართო, განსაკუთრებით ახალგაზრდა მკითხველი იმ ნოტს, იმ ხაზს, რომელზეც მე მინდოდა მისი ყურადღება მიმექცია.

ამ წყაროებს კარგად იცნობენ სამხედრო წრეები, ყველა ისინი გამოქვეყნებულია სსრ კავშირში. იქ ახალი არაფერია, მაგრამ ფართო მკითხველი ამ გვერდების საშუალებითაც ადვილად შესძლებს აღადგინოს იმ დღეების სურათი, გაცილებით უფრო ვაჟკაცური, ვიდრე ზოგჯერ ჩვენ თვითონ მზადა ვართ დავხატოთ იგი...

აი რამდენიმე ამონაწერი გერმანელი გენერლის კურტ ტიპელსკირხის წიგნიდან, გენერლისა, რომელიც ჰიტლერმა მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ სახმელეთო ძალების გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს უფროსად დანიშნა.

კურტ ტიპელსკირხი „მეორე მსოფლიო ომის ისტორია". საზღვარგარეთის ლიტერატურის გამომცემლობა, მ., 1956.

„საბჭოთა კავშირის სამხედრო ძლიერების თუნდაც დაახლოებით განსაზღვრა თითქმის შეუძლებელი იყო. მეტად მრავალი ფაქტორი, რომელთა მიხედვით ნორმალურ პირობებში შეიძლებოდა შეიარაღებული ძალების სამობილიზაციო შესაძლებლობათა და მათი ეკონომიური წყაროების შესახებ რთული სურათის შედგენა, დაფარული იყო შეუღწეველი საიდუმლოებით... სასურველი შედეგი მიღწეული იყო: ეკონომიკის ისეთ გადამწყვეტ დარგებში, როგორიცაა, მაგალითად, ტრანსპორტი და სამხედრო მრეწველობა, რუსების შესაძლებლობანი სათანადოდ არ იყო შეფასებული...

ჯაშუშობა, რომელიც სხვა ქვეყნებში უწყინარი, კერძო ეკონომიური საქმიანობის სახით ხორციელდებოდა, საბჭოთა კავშირში ეკონომიკის ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის პირობებში მოქმედების ვერავითარ გასაქანს ვერ პოულობდა...

სადაზვერვო მონაცემების საფუძველზე, რომლებიც, მიუხედავად

სასტიკი იზოლაციისა, საბჭოთა კავშირიდან მოდიოდა, და ასევე იმ წმინდა ემპირიული წესით მიღებული მონაცემების საფუძველზე, რომელსაც ყოველი ქვეყნის შეიარაღებული ძალების რიცხვის შესაფასებლად იყენებენ (მაგალითად, არსებობს მუდმივი თანაფარდობა მოსახლეობის რაოდენობასა და იმ შენაერთთა რაოდენობას შორის, რომელთა ფორმირებაც შესაძლებელია), გერმანიის გენერალურ შტაბს შეექმნა დაახლოებითი წარმოდგენა იმაზე, თუ რა შეუძლია საბჭოთა კავშირს ომის შემთხვევაში. რუსეთ-ფინეთის ომმა მოგვცა ახალი ამოსავალი მონაცემები, რომლებმაც მთელ რიგ შემთხვევებში მაინც მცდარ დასკვნებამდე მიგვიყვანა.

რუსეთის არმიის რაოდენობა გერმანელების მიერ საკმაოდ ზუსტად იყო შეფასებული (მოსდევს შენაერთთა ჩამოთვლა. — გ. ე.).

ამ შენაერთებით, რასაკვირველია, სრულებითაც არ იყო ამოწურული ადამიანთა რეზერვები უზარმაზარი ქვეყნისა, რომელსაც დაახლოებით 1,5 მილიონი კაცის რაოდენობით ყოველწლიურ გასაწვევ კონტინგენტთან ერთად თავის განკარგულებაში ჰყავდა სულ მცირე 12 მილიონი სამხედრო სამსახურისათვის ვარგისი ახალგაზრდა. საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად შეეძლო რუსეთის სამხედრო მრეწველობას ადამიანთა ამ მასის შეიარაღება, ღიად რჩებოდა. ამასთან დაკავშირებით რუსეთის სამხედრო მრეწველობის მოსპობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ცნობილი იყო, რომ შეიარაღება მსროლელთა დივიზიებისა, რომლებთანაც პირველ რიგში შეხვედრა ივარაუდებოდა, შეესაბამებოდა თანამედროვე მოთხოვნებს; ისიც ვიცოდით, რომ გერმანელთა ქვეითი დივიზიებისაგან განსხვავებით მათ თავიანთ შემადგენლობაში სატანკო ბატალიონები ჰყავდათ...

რუსეთ-ფინეთის ომმა გამოავლინა საშუალო და უმცროსი სამეთაურო რგოლის არასაკმაო ტაქტიკური მომზადება. ცნობილი გახდა, რომ რუსეთის თავდაცვის მინისტრმა ტიმოშენკომ, გაითვალისწინა რა ამ ომის გამოცდილება, გადაწყვიტა, გაუმჯობესოს მებრძოლთა ცალკეული მომზადება. შეაჩვიოს მეთაურები მეტ დამოუკიდებლობას, ყოველგვარ შაბლონზე უარის თქმას და ჯარების გვარეობათა ერთიერთმოქმედების გაუმჯობესებას.

თითქოს წარმოუდგენელი იყო, რომ ეს ნაკლოვანებანი, გამოვლინებული ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს და ნაწილობრივ საერთოდ რუსი ხალხის ხასიათისათვის დამახასიათებელი, ლიკვიდირებული იქნებოდა მოკლე დროში. უნდა გვეკარაუდნა, რომ რუსეთის უმაღლესი სარდლობა მისთვის ჩვეული საფუძვლიანობითა და გულმოდგინებით სწავლობდა პოლონეთსა და საფრანგეთში ომის მსვლელობას და მან აქედან თავისი დასკვნები გაიკეთა...

გერმანიის პოლიტიკურ წრეებში დიდ იმედებს ამყარებდნენ იმაზე, რომ დიდ სამხედრო წარუმატებლობათა შემდეგ საბჭოთა სახელმწიფო დაიშლებოდა.

ის ამბავი, რომ საბჭოთა კავშირი ახლო მომავალში თვითონვე შეეცდებოდა გერმანიასთან შეიარაღებულ კონფლიქტში ჩაბმას, ყოვლად წარმოუდგენლად იყო მიჩნეული პოლიტიკურ და სამხედრო მოსაზრებათა გამო; მაგრამ საკვლევით საფუძვლიანი შეიძლება ყოფილიყო საშიშროება იმისა, რომ შემდგომში, უფრო ხელსაყრელ პირობებში, საბჭოთა კავშირი შეიძლება მეტად უხერხული და საშიში მეზობელიც კი გამხდარიყო.

ჯერჯერობით კი საბჭოთა კავშირს არ ჰქონდა მიზეზი უარი ეთქვა ოავის პოლიტიკაზე, რომელიც აქამდე საშუალებას აძლევდა მას თითქმის ძალის გამოუყენებლად შესანიშნავი წარმატებებისათვის მიეღწია. საბჭოთა კავშირი გართული იყო თავისი მოძველებული ტანკებისა და ოვითმფრინავების მოდერნიზაციითა და თავისი სამხედრო მრეწველობის მნიშვნელოვანი ნაწილის ურალზე გადატანით. კრემლის ფრთხილ და ფხიზელ პოლიტიკოსებს არ შეეძლოთ განეზრახათ შეტევის დაწყება გერმანიის წინააღმდეგ, რომელსაც სხვა ფრონტებზე მხოლოდ მცირე სახმელეთო ძალები ჰყავდა, თავისი მძლავრი ავიაციისათვის კი შეეძლო ყოველ მომენტში თავი მოეყარა აღმოსავლეთში. ამასთან 1941 წელს რუსები გრძნობდნენ, რომ გერმანელებთან შედარებით ისინი უფრო სუსტნი იყვნენ.

რა თქმა უნდა, რუსების დაზვერვას არ გამოპარვია ის, რომ გერმანიის სამხედრო ძლიერების სიმძიმის ცენტრი სულ უფრო აღმოსავლეთისაკენ გადადიოდა. რუსების სარდლობა სათანადო კონტრზომებს ღებულობდა. 10 აპრილს უმაღლესმა სამხედრო საბჭომ ტიმოშენკოს თავმჯდომარეობით გადაწყვიტა საბრძოლო მზადყოფნაში მოეყვანა ყველა საჯარისო ნაწილები დასავლეთში. 1 მაისს ჩატარდა შემდგომი გაძლაუდებელი სამხედრო სამზადისი და მიღებულ იქნა ზომები საბჭოთა კავშირის დასავლეთი საზღვრის დასაცავად...

საბჭოთა კავშირი მოემზადა შეიარაღებული კონფლიქტისათვის, რამდენადაც მას საამისოდ ძალა შესწევდა. სტრატეგიული უეცრობა გერშანიის სარდლობას არ შეეძლო ევარაუდნა. ყველაზე დიდი, რისა მიღწევაც შეიძლებოდა, — ეს იყო შეტევის ვადის საიდუმლოდ შენახვა. რათა ტაქტიკურ უეცრობას მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე შეჭრა შეეშუბუქებინა".

„მთავარი მიზანი („ბარბაროსას გეგმისა". — გ. ჟ.) ის იყო, რომ გაენადგურებინათ რუსეთის დასავლეთ ნაწილში მყოფი რუსების არმი-

ის ძირითადი ძალები გაბედული ოპერაციების საშუალებით სატანკო სოლების ღრმად წინ წაწევასთან ერთად და ხელი შეეშალათ ბრძოლისუნარიანი ნაწილების რუსეთის ვრცელი ტერიტორიის სიღრმეში უკან დასვლისათვის. შემდეგ სწრაფად უკან დადევნების შედეგად გერმანელთა ჯარებს უნდა მიეღწიათ იმ საზღვრამდე, საიდანაც რუსეთის ავიაცია ვეღარ შეძლებდა გერმანიის ტერიტორიაზე თავდასხმას.

ოპერაციის საბოლოო მიზანს წარმოადგენდა ვოლგა-არხანგელსკის საზღვარზე გასვლა იმ ვარაუდით, რომ ის უკანასკნელი ინდუსტრიული ოლქი, რაც რუსეთს ურალზე რჩებოდა, საჭიროების შემთხვევაში პარალიზებული ყოფილიყო გერმანიის ავიაციის მიერ...

დირექტივა გამსჭვალულია ოპტიმიზმით, რაც უნდა აიხსნას პოლონეთსა და საფრანგეთზე მოპოვებულ გამარჯვებათა შთაბეჭდილებით. ამიტომ იგი მოწინააღმდეგეს ისეთსავე პასიურ როლს აკუთვნებს, როგორსაც გერმანია უკვე მიეჩვია ორ განელილ ომში. კვლავ იმის იმედი ჰქონდათ, რომ მოწინააღმდეგისათვის თავსმოხვეული ელვისებური ომით გვერდს აუვლიდნენ მოლტკეს დებულებას იმის შესახებ, რომ „არც ერთი ოპერატიული გეგმა არ შეიძლება უცვლელი დარჩეს მოწინააღმდეგის მთავარ ძალებთან პირველი შეხვედრის შემდეგ".

თუ მოწინააღმდეგის შეფასება ამჯერადაც სწორი იყო, სარდლობას შეეძლო სრული საფუძვლით კვლავ გამოეყენებია ეს ორჯერვე გამართლებული ტაქტიკა, წინააღმდეგ შემთხვევაში მძიმე იმედგაცრუება და გართულება გარდუვალი იყო".

„ჰიტლერს სრულიად არ ეეჭვებოდა, რომ საბჭოთა კავშირის განადგურებისათვის საკმარისი იქნებოდა მხოლოდ ერთი კამპანია. ის ამაში ისე მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საომარი მოქმედების დაწყებამდე იმ ოპერაციათა ვადები დააწესა, რომლებიც უნდა დაწყებულიყო 1941 წლის შემოდგომაზე „ბარბაროსას" შემდეგ"...

„22 ივნისს 3 საათსა და 30 წუთზე გერმანელთა არმიამ დაიწყო საბედისწერო შეტევა აღმოსავლეთზე მთელი ფრონტით შავი ზღვიდან ბალტიის ზღვამდე...

მე-17 არმია უკვე პირველი წარმატებების შემდეგ ლვოვ-რავა-რუსკაიას დასავლეთ საზღვრიდან წააწყდა ძლიერ მოწინააღმდეგეს, რომელიც თავს იცავდა კარგად გამაგრებულ პოზიციებზე და მაშინვე შეძლო მათი დაპყრობა. მე-6 არმიამ წინ წაიწია მდინარე სტირის გავლით. მაგრამ იქ ის, ისევე როგორც 1-ლი სატანკო ჯგუფი, წააწყდა ჯერ სამხრეთით, ხოლო შემდეგ ჩრდილოეთით რუსების ინტენსიურ კონტრიერიშებს, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს ახლადმოყვანილმა სატანკო ძალებმა.

ნ ივლისამდე მთელ ფრონტზე შეუპოვარი ბრძოლები გრძელდებოდა. რუსები აღმოსავლეთით უკან იხევდნენ ძალიან ნელა და ხშირად მხოლოდ წინ გაჭრილ გერმანელთა სატანკო ნაწილების წინააღმდეგ გააფთრებული კონტრიერიშების შემდეგ".

„გერმანელთა ჯარები გაიჭრნენ მიჯნაზე, რომელიც გადიოდა დნესტრიდან ორშის რაიონში მდინარე სლუჩისა და დნეპრის გავლით ჩუდის ტბის სამხრეთ კიდემდე. ეს იყო... თავდაცვით ნაგებობათა არა ბეთლიანი ხაზი, მაგრამ მაინც საველე სიმაგრეთა ჯაჭვი, გაძლიერებული ტანკსაწინააღმდეგო თხრილებით და მავთულხლართებით, რომელთა მშენებლობა ჯერ კიდევ 1941 წლამდე დაიწყო და უკანასკნელ კვირეებში გამალებული სისწრაფით მიმდინარეობდა...

სარდლობა და ჯარები აღმოჩნდნენ იმ მოთხოვნათა სიმაღლეზე, რომლებსაც მათ წინაშე აყენებდა უჩვეულო, მნიშვნელოვნად უფრო მძიმე, ვიდრე ყველა უწინდელი საომარ მოქმედებათა ასპარეზი. დამაჯერებელი იყო მოწინააღმდეგის შეუპოვრობა; განსაცვიფრებელი იყო მის კონტრიერიშებში მონაწილე ტანკების რაოდენობა.

ეს იყო მოწინააღმდეგე ფოლადისებური ნებისყოფით, რომელსაც ულმობლად, მაგრამ არცთუ ოპერატიული ცოდნის გარეშე მიჰყავდა თავისი ჯარები ბრძოლაში. სერიოზული საშიშროებისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობდა, მაგრამ ერთი რამ უკვე ცხადი იყო: აქ ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა იმაზე, რომ სწრაფი დარტყმებით „ხუხულა დაგენგრია". ეს კამპანია არ ჩაივლის ისე კანონზომიერად, როგორც ადრინდელი".

„ივლისში გერმანელთა არმიების ჯგუფები ჯერ კიდევ წარმატებით უტევდნენ მოწინააღმდეგის ჯარებს, თუმცა უჩვეულო დაძაბულობით, მაგრამ მაინც თავისი უპირატესობის მტკიცე რწმენით, ებრძოდნენ შეუპოვარ მოწინააღმდეგეს.

ჰიტლერს ნაკლებად აკმაყოფილებდა მიღწეული წარმატებები. ევროპაში გაჩაღებული ომის გამოცდილების საფუძველზე სატანკო სოლებიდან გაცილებით უფრო მეტ შედეგებს ელოდნენ. რუსები მოულოდნელი სიმტკიცითა და შეუპოვრობით უძალიანდებოდნენ მტერს მაშინაც კი, როცა მათ შემოუვლიდნენ და გარსშემოერტყმოდნენ. ამით ისინი დროს იგებდნენ და კონტრდარტყმებისათვის თავს უყრიდნენ ქვეყნის სიღრმიდან ახალ რეზერვებს, რომლებიც ამასთან გაცილებით უფრო ძლიერნი იყვნენ, ვიდრე ეგონათ.

აქედან გამომდინარე, ჰიტლერს მიაჩნდა, რომ აქამდე გამოყენე-

ბული ტაქტიკა მეტად დიდ ძალებს მოითხოვდა და მცირე წარმატებას იძლეოდა. ის უზარმაზარი ქვაბები, რომლებიც სატანკო შენაერთების სწრაფი წინ წაწევის შედეგად იქმნებოდა, აუცილებლად ღებულობდნენ მეტად წაგრძელებულ ფორმას, გარემოცვის გაჭიმული ძალები კი მეტად სუსტნი იყვნენ.

არმიის კორპუსების მოსვლამდე მოძრავ შენაერთებს ეკისრებოდათ ამოცანა — არა მარტო შეეკავებინათ გარემოცვის შიდა ფრონტები, არამედ უკუეგდოთ აგრეთვე გარსშემორტყმული ჯარების ბლოკადის გარღვევის ყველა ცდა. ამის შედეგად გარემოცვის ფრონტები ყველგან როდი იყო ერთნაირად მტკიცე, მოძრავ შენაერთებს კი რამდენიმე დღის ანდა კვირის განმავლობაშიც კი უხდებოდათ უაღრესად მძიმე ბრძოლების წარმოება ორ ფრონტზე, რაც დამღუპველ გავლენას ახდენდა მათს ბრძოლისუნარიანობაზე".

„მოწინააღმდეგემ გვიჩვენა სრულიად წარმოუდგენელი უნარი წინააღმდეგობის გაწევისა. მან მძიმე დანაკლისი განიცადა არა მარტო 1941 წლის ზაფხულში, არამედ ზამთრის იერიშის დროსაც, რომელშიც დიდძალი ჯარი მონაწილეობდა. მაგრამ ყოველივე ამან ვერ გატეხა წითელი არმიის სიმტკიცე. მას კიდევ რჩებოდა საკმარისი კადრები იმისათვის, რომ მეთაურთა შემადგენლობით დაეკომპლექტებინა ახალი ფორმირებანი და უზრუნველეყო მათი საბრძოლო მომზადება".

გენერალ-მაიორი ფონ ბუტლარი,
„ომი რუსეთში". წიგნიდან „მსოფლიო
ომი 1939-1945 წწ." საბჭოთა-გერმანია
ლიტერატურის გამომცემლობა. მ., 1957.

„მე-6 არმიას ევალებოდა გაერღვია რუსების სიმაგრე კოველის სამხრეთით მდებარე რაიონში და ამით 1-ლი სატანკო ჯგუფისათვის ოპერატიულ სივრცეზე გასვლის შესაძლებლობა მიეცა...

ზოგიერთი თავდაპირველი წარმატების შემდეგ არმიათა ჯგუფის ჯარები წააწყდნენ მოწინააღმდეგის მნიშვნელოვან ძალებს. მოწინააღმდეგე თავს იცავდა წინასწარ მომზადებულ პოზიციებზე, რომელთაც აქა-იქ ბეტონირებული საცეცხლე წერტილებიც კი ჰქონდათ. ამ პოზიციებისათვის ბრძოლაში მოწინააღმდეგემ გამოიყენა დიდი სატანკო ძალები და მთელი რიგი კონტრდარტყმები მიაყენა შეტევაზე გადასულ გერმანელთა ჯარებს.

გააფთრებული ბრძოლების შემდეგ, რაც რამდენიმე დღეს გრძელდებოდა, გერმანელებმა შეძლეს ლოვ-რავა-რუსკაიას ხაზის დასავლე-

თით მოწინააღმდეგის ძლიერად გამაგრებული დაცვის გარღვევა და, გადალახეს რა მდინარე სტირი, აღმოსავლეთისაკენ დაახევინეს მოწინააღმდეგის ჯარებს, რომლებიც შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდნენ მათ და მუდამ კონტრიერიშებზე გადადიოდნენ...

რუსების შეუპოვარი წინააღმდეგობის შედეგად ბრძოლების პირველსავე დღეებში გერმანელთა ჯარებმა ადამიანთა და ტექნიკის მხრივ ისეთი დანაკარგი განიცადეს, რომელიც საგრძნობლად აღემატებოდა იმ დანაკარგს. რაც მათთვის პოლონეთსა და დასავლეთში წარმოებული კამპანიების გამოცდილებით იყო ცნობილი. სავსებით ცხადი გახდა, რომ მოწინააღმდეგის საბრძოლო მოქმედებათა წარმოების წესი და საბრძოლო სულისკვეთება, ისევე როგორც მოცემული ქვეყნის გეოგრაფიული პირობები, სრულიად არ ჰგავდა იმას, რასაც გერმანელები ხვდებოდნენ წინა „ელვისებურ ომებში", რომლებმაც წარმატებები მოუტანა და რამაც განაცვიფრა მთელი მსოფლიო.

თუ კრიტიკულად განვიხილავთ დღეს სასაზღვრო ბრძოლებს რუსეთში, შეიძლება იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომ მხოლოდ „ცენტრის" არმიათა ჯგუფმა შეძლო მიეღწია ისეთი წარმატებებისათვის, რომლებიც ოპერატიული თვალსაზრისითაც კი დიდ წარმატებებად წარმოგვიდგება".

ჯ. ფ. ს. ფულერი, „მეორე მსოფლიო ომი 1939-1945 წწ." საზღვარგარეთის ლიტერატურის გამომცემლობა. მ., 1956, გერმანული პრესის გამონათქვამები.

„უკვე 29 ივნისს „ფოლკიშერ ბეობახტერში" გამოქვეყნდა სტატია. რომელშიც აღნიშნული იყო:

„რუსი ჯარისკაცი აღემატება ჩვენს დასავლეთელ მოწინააღმდეგეს სიკვდილისადმი ზიზღით. გამძლეობა და ფატალიზმი აიძულებენ მას გაძლოს შანამდე, სანამ არ მოკლავენ სანგარში ან სანამ მკვდარი არ დაეცემა ხელჩართულ ბრძოლაში".

6 ივლისს „ფრანკფურტერ ცაიტუნგში" მოთავსებულ ასეთივე სტატიაში აღნიშნული იყო, რომ „ფსიქოლოგიური დამბლა, რომელიც ჩვეულებრივ თან სდევდა გერმანელთა ელვისებურ გარღვევებს დასავლეთში, აღმოსავლეთში იმდენად არ შეიმჩნევა, რომ უმრავლეს შეჭთხვევაში მოწინააღმდეგე არათუ არ კარგავს მოქმედების უნარს, ანამედ, თავის მხრივ, ცდილობს გარემოიცვას გერმანელთა მარწუხები".

ეს ერთგვარად ახალი რამ იყო ომის ტაქტიკაში, ხოლო გერმანელებისათვის — მოულოდნელი სიურპრიზი.

ამასთან დაკავშირებით „ფოლკიშერ ბეობახტერი“ სექტემბრის დასაწყისში წერდა:

„გერმანელი ჯარების მიერ ბუგის გადალახვის დროს მოიერიშეთა პირველ ტალღებს ზოგიერთ ადგილებში სრულიად დაუბრკოლებლად შეეძლოთ წინ წაწევა, შემდეგ კი იერიშზე გადმოსულთა მომდევნო ტალღების წინააღმდეგ მოულოდნელად ჩაღდებოდა გამანადგურებელი ცეცხლი. პირველ ტალღებს კი ზურგიდან აუტეხდნენ სროლას. არ შეიძლება ქებით არ მოვიხსენიოთ თავდამცველთა ჩინებული დისციპლინა, რომელიც უკვე თითქმის დაკარგული პოზიციის შენარჩუნების შესაძლებლობას იძლევა.

ბოლოდ რომ ვთქვათ, არვიდ ფრედბორგის სიტყვებით, „გერმანელი ჯარისკაცი წააწყდა მოწინააღმდეგეს, რომელიც ფანატიკური შეუპოვრობით იცავდა თავის პოლიტიკურ კრედოს და რომელმაც გერმანელთა ბლიცშეტევას ტოტალური წინააღმდეგობა დაუპირისპირა.

მალე გამოირკვა, რომ რუსებმა საზღვრის გასწვრივ ყველა თავისი არმია როდი განალაგეს, როგორც გერმანელები ფიქრობდნენ. მალე გამოირკვა აგრეთვე ისიც, რომ თვით გერმანელებმა მეტად უხეში შეცდომა დაუშვეს რუსების რეზერვების შეფასებაში. რუსეთთან ომის დაწყებამდე გერმანიის სადაზვერვო სამსახური უმთავრესად „მეხუთე კოლონას“ ემყარებოდა. მაგრამ რუსეთში, თუმცა უკმაყოფილონი იყვნენ, „მეხუთე კოლონა“ მაინც არ არსებობდა. სიძნელეები სწრაფად იზრდებოდა...“

ამონაწერები გერმანიის სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის უფროსის გენერალ-პოლკოვნიკ ფ. ჰალდერის სამსახურებრივი დღიურიდან. „სამხედრო-ისტორიული ჟურნალი“, №№ 7, 10, 1959.

„1941 წლის 23 ივნისი (ომის მე-2 დღე).

...საერთო ვითარება ყველაზე უკეთ დახასიათებულია მე-4 არმიის შტაბის პატაკში: ბელოსტოკის ტომარაში მომწყვდეული მოწინააღმდეგე იბრძვის არა თავისი სიცოცხლისათვის, არამედ დროის მოგებისათვის.

თუმცა, ვეჭვობ, რომ მოწინააღმდეგის სარდლობა ნამდვილად თავის ხელში ინარჩუნებდეს ჯარების მოქმედებათა ერთიან და გეგმაზომიერ ხელმძღვანელობას. უფრო დასაჯერებელია, რომ სახმელეთო ჯარებისა და ავიაციის ადგილობრივი გადაყვანა იძულებითია და წარმოებს ჩვენი ჯარების წინსვლის გამო, და არ წარმოადგენს გარკვეული

მიზნებით ორგანიზებულ უკან დახევას. ასეთ ორგანიზებულ უკან დახევაზე აქამდე თითქოს ლაპარაკიც არ იყო.

შესაძლოა, გამონაკლისს წარმოადგენდეს, „ჩრდილოეთის" არმიის ჯგუფის ფრონტის წინ მდებარე რაიონი. აქ, ეტყობა, მართლაც წინდაწინ იყო დაგეგმილი და მომზადებული მდინარე დასავლეთ დვინაზე უკან დახევა. ასეთი მომზადების მიზეზების დადგენა ჯერ-ჯერობით შეუძლებელია...

1941 წლის 24 ივნისი (ომის მე-3 დღე).

...„ჩრდილოეთის" არმიათა ჯგუფის ჯარები თითქმის მთელ ფრონტზე (291-ე ქვეითი დივიზიის გამოკლებით, რომელსაც იერიში შიაქვს ლიბავაზე) იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ძლიერ სატანკო კონტრშეტევებს, რომელთაც, ალბათ, აწარმოებდა მე-3 მექანიზებული კორპუსი რამდენიმე მოტომექანიზებული ბრიგადის დახმარებით (მე-3 მექანიზებული კორპუსის დისლოკაცია ჯერ კიდევ მშვიდობიანობის დროს მოხდა). მიუხედავად ამისა, არმიათა ჯგუფის გაძლიერებულმა მარჯვენა ფრთამ მოახერხა ვილკომირამდე (უკმერვე) წინ წაწევა. ფრონტის აღუბანზე რუსები ასევე შეუპოვრად და გააფთრებით იბრძვიან.

1941 წლის 24 ივნისი (ომის მე-3 დღე).

საერთოდ, ახლა გახდა ცხადი, რომ რუსები არ ფიქრობენ ეკახ დახევაზე, არამედ. პირიქით, რაც კი მათ განკარგულებაშია, ყველაფერს იყენებენ სოლიანთ შეკრილ გერმანელთა ჯარების წინააღმდეგ... ის გარემოება, რომ მოწინააღმდეგეს არ გააჩნია მსხვილი ოპერატიული რეზერვები, სრულიად უსპობს მას საშუალებას ეფექტური აქტიური თავდაცვა აწარმოოს. მაგრამ სასაზღვრო ზონაში მრავალრიცხოვანი ძარაგის დაგროვება იმაზე მიგვითითებს, რომ რუსებს თავიდანვე ჰქონდათ დაგეგმილი სასაზღვრო ზონის შეუპოვარი დაცვა, რისთვისაც მათ აქ მომარაგების ბაზები შექმნეს.

1941 წლის 26 ივნისი (ომის მე-5 დღე).

25 ივნისის საღამოს შეჯამებული ცნობები და 26 ივნისის დილის ცნობები გვაუწყებენ:

„სამხრეთის" არმიათა ჯგუფი ნელა მიიწევს წინ და ამასთან, საშუალოდ, მნიშვნელოვან ზარალს განიცდის. მოწინააღმდეგის მხარეზე, რომელიც „სამხრეთის" არმიათა ჯგუფის წინააღმდეგ მოქმედებს, აღინიშნება მტკიცე და ენერგიული ხელმძღვანელობა. მოწინააღმდეგეს სულ ახალ-ახალი ძალები მოჰყავს სიღრმიდან ჩვენი სატანკო სოლის წინააღმდეგ. რეზერვებს თავს უყრიან როგორც ფრონტის ცენტრა-

ლური უბნის წინააღმდეგ, რასაც უწინაც ჰქონდა ადგილი, ისევე არმიათა ჯგუფის სამხრეთი ფლანგის წინააღმდეგ...

1941 წლის 29 ივნისი (ომის მე-8 დღე).

ფრონტიდან მიღებული ცნობები ადასტურებენ, რომ რუსები ყველგან იბრძვიან უკანასკნელ კაცამდე; ტყვედ მხოლოდ ალაგ-ალაგ თუ ვარდებიან... თვალში გეცემა, რომ ბატარეის დაპყრობის დროს უმეტეს წილად ტყვედ წამოყვანილია მხოლოდ ცალკეული ადამიანები. ნაწილი რუსებისა იბრძვის მანამდე, სანამ მათ არ დახოცავენ, სხვები კი გლეხის ტანისამოსში გადაცმულნი გარემოცვიდან გასვლას ცდილობენ.

1941 წლის 29 ივნისი (ომის მე-8 დღე).

ქვეითი ჯარის გენერალმა ოტმა მოხსენება გააკეთა თავის შთაბეჭდილებებზე გროდნოს რაიონში წარმოებული ბრძოლის შესახებ. რუსების შეუპოვარი წინააღმდეგობა გვაიძულებს ბრძოლა ვაწარმოოთ ჩვენი საბრძოლო წესდებათა ყველა წესის მიხედვით. პოლონეთსა და დასავლეთში შეგვეძლო ჩვენი თავისათვის მიგვეცა გარკვეული თავისუფლებისა და საწესდებო პრინციპებიდან გადახვევის უფლება; ახლა ეს დაუშვებელია. მოწინააღმდეგის ავიაციის ზემოქმედება ჩვენს ჯარებზე, ეტყობა, მეტად სუსტია...

ვითარება საღამოს: ...ლვოვის რაიონში მოწინააღმდეგე ნელა იხევს უკან აღმოსავლეთით, ეწევა რა შეუპოვარ ბრძოლებს უკანასკნელი საზღვრისათვის. აქ პირველად შეიმჩნევა მოწინააღმდეგის მიერ ხიდების მასობრივი ნგრევა...

1941 წლის 1 იელისი (ომის მე-10 დღე).

„სამხრეთის" არმიათა ჯგუფის ფრონტზე მე-17 არმია წარმატებით მიიწევს წინ. მე-14 მოტორიზებული კორპუსი, რომელიც მე-17 არმიის მარცხენა ფლანგზე მოქმედებს, წინ მიიწევს აღმოსავლეთის მიმართულებით. ინციდენტი დუბნოს რაიონში, როგორც ჩანს, ამოწურულია. რუსების მე-8 მექანიზებული კორპუსი გარშემორტყმულია. ეტყობა, მას საწვავი არ ჰყოფნის. მოწინააღმდეგე ტანკებს მიწაში მარხავს და ასე განაგრძობს თავდაცვას. არმიათა ჯგუფის ჩრდილოეთის ფრთაზე მე-11 სატანკო დივიზიამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ვერ წაიწია წინ.

წინ მიიწევს უწინდებურად მარტოოდენ მე-13 სატანკო დივიზია. მე-14 სატანკო და 25-ე მოტორიზებული დივიზიები მას კვალდაკვალ მიჰყვებიან. ქვეითი დივიზიების მოშველიება, რაც აუცილებელია როგორც ფრონტზე შეტევისათვის, ისე არმიათა ჯგუფის სამხრეთისაკენ

შებრუნების შემთხვევაში ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან ფლანგის დასაცავად, უაღრესად ჭიანურდება. საჭიროა „სამხრეთის“ არმიათა ჯგუფის სარდლობას ენერგიულად მოაგონონ ამ გადაჯგუფების დაჩქარების აუცილებლობა.

1941 წლის 3 ივლისი (ომის მე-12 დღე).

„სამხრეთის“ არმიის ჯგუფის ფრონტის წინააღმდეგ მოქმედი მოწინააღმდეგის უკან დახევა ხდება უეჭველად არა რუსების სარდლობის სურვილისამებრ... ამიტომ გადაჭარბებული არ იქნება, თუ მე ვიტყვი, რომ კამპანია რუსეთის წინააღმდეგ მოგებულია 14 დღის განმავლობაში. რა თქმა უნდა, ის ჯერ დამთავრებული არ არის. ტერიტორიის უდიდესი სივრცე და შეუპოვარი წინააღმდეგობა მოწინააღმდეგისა, რომელიც სარგებლობს ყველა საშუალებით, ჯერ კიდევ მრავალი კვირის განმავლობაში შებოჭავს ჩვენს ძალებს.

1941 წლის 4 ივლისი (ომის მე-13 დღე).

...ჩვენი არმიების წინსვლის დროს მოწინააღმდეგის ყველა ცდა წინააღმდეგობის გაწევისა, აშკარაა, სწრაფად იქნება დაძლეული. მაშინ ჩვენ წინაშე გადაჭრით დაისმება საკითხი ლენინგრადისა და მოსკოვის დაპყრობის შესახებ. ვნახოთ, ექნება თუ არა წარმატება სტალინის გამოსვლას, რომლითაც მან ყველა მშრომელს მოუწოდა სახალხო ომისაკენ ჩვენს წინააღმდეგ. ამაზე იქნება დამოკიდებული, თუ რა ზომებითა და ძალებით მოგვიხდება იმ ვრცელი სამრეწველო ოლქების გაწმენდა, რომელთა დაკავებაც ჩვენ მოგველის...

1941 წლის 7 ივლისი (ომის მე-16 დღე).

„სამხრეთის“ არმიათა ჯგუფი. მე-11 არმიის სარდლობის ოპტიმისტური განწყობილება კვლავ გაქრა. მე-11 საარმიო კორპუსის შეტევა კვლავ ფერხდება. ამის მიზეზები გაურკვეველია. მე-17 არმია წარმატებით მიიწევს წინ და თავის ავანგარდს თავს უყრის პროსკუროვის მიმართულებით დარტყმისათვის.

1941 წლის 8 ივლისი (ომის მე-17 დღე).

„ცენტრის“ არმიათა ჯგუფი თავისი ძალების ნაწილით ბრძოლებს აწარმოებს კონტრშეტევაზე გადმოსულ მოწინააღმდეგესთან და მე-2 სატანკო არმიის ძალებით მიიწევს მდინარე ბერეზინასაკენ. ამასთან მოწინააღმდეგე განსაკუთრებული გააფთრებით აწარმოებს კონტრშეტევას ტანკებიანი ქვეითი ჯარით ორშის მიმართულებიდან ჩრდილოეთის ფლანგის მე-2 სატანკო ჯგუფის წინააღმდეგ. მე-3 სატანკო ჯგუფმა თავისი ავანგარდებით რამდენიმე ადგილას გადალახა დასავლეთი

დეინა და, იგერიებს რა მოწინააღმდეგის კონტრშეტევებს ჩრდილოეთიდან, ცდილობს გაიჭრას ვიტებსკის მიმართულებით...

...მოწინააღმდეგეს უკვე აღარ ძალუძს შექმნას მთლიანი ფრონტი ყველაზე მთავარ მიმართულებებზეც კი. ამჟამად წითელი არმიის სარდლობა, როგორც ჩანს, თავის მიზნად ისახავს: ყველა მის განკარგულებაში არსებული რეზერვების ბრძოლაში შეყვანის საშუალებით რაც შეიძლება მეტად მოქანცოს კონტრიერიშებით გერმანელთა ჯარები და შეაჩეროს მათი შემოტევა, შეძლებისამებრ, უფრო დასავლეთით...

მოწინააღმდეგის მიერ ახალი შენაერთების ფორმირება (ყოველ შემთხვევაში, ფართო მასშტაბით) უეჭველად ჩაიფუშება ოფიცერთა შემადგენლობის, სპეციალისტების უყოლობისა და არტილერიის მატერიალური ნაწილის უქონლობის გამო.

12 საათზე პოხსენება ფიურერთან (მის ბანაკში).

ჯერ სახმელეთო ჯარების მთავარსარდალმა მოახსენა ფიურერს ფრონტის უკანასკნელი ამბების შესახებ. შემდეგ მე მოვახსენე მოწინააღმდეგის მდგომარეობის შესახებ და ოპერატიული შეფასება მივეცი ჩვენი ჯარების მდგომარეობას...

პოლოს განხილულ იქნა აღძრული საკითხები.

შ ე დ ე გ ე ბ ი:

1) ფიურერს მიაჩნია ყველაზე უფრო სასურველ „იდეალურ გადაწყვეტილებად" შემდეგი:

„ცენტრის" არმიათა ჯგუფმა ორმხრივი კარემოცვით ალყა უნდა შემოარტყას და მოსპოს მისი ფრონტის წინ მოქმედი მოწინააღმდეგის დაჯგუფება და, დაძლევს რა ამგვარად მტრის უკანასკნელ ორგანიზებულ წინააღმდეგობას მთელ მის გაშლილ ფრონტზე, გაიკაფოს გზა მოსკოვისაკენ. მას შემდეგ, რაც ორივე სატანკო ჯგუფი მიაღწევს იმ რაიონებს, რომლებიც მათთვის მითითებულია სტრატეგიული გაშლის დირექტივებში. შეიძლება დროებით შეჩერდეს გოტის სატანკო ჯგუფი (იმ მიზნით, რომ იგი გამოყენებულ იქნას „ჩრდილოეთის" არმიათა ჯგუფის დასახმარებლად ანდა აღმოსავლეთზე შემდგომი შეტევისათვის, მაგრამ არა თვით მოსკოვზე იერიშისათვის, არამედ მისი გარშემორტყმისათვის). გუდერიანის სატანკო ჯგუფი, როცა მიაღწევს მისთვის მითითებულ რაიონს, შემდეგ უნდა შებრუნდეს სამხრეთ ან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით დნეპრის უფრო აღმოსავლეთით, რათა დახმარება გაუწიოს „სამხრეთის" არმიათა ჯგუფს შეტევაში.

2) ფიურერის ურყევი გადაწყვეტილებაა მიწასთან გავასწოროთ მოსკოვი და ლენინგრადი, რათა მთლიანად გავთავისუფლდეთ ამ ქალაქების მოსახლეობისაგან, რომელიც, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ

შემდეგ იძულებული ვიქნებით მთელი ზამთარი ვკვებოთ. ქალაქთა განადგურების ამოცანა უნდა შეასრულოს ავიაციამ. ამისათვის საჭირო არ არის ტანკების გამოყენება.

1941 წლის 11 ივლისი (ომის მე-20 დღე).

„ჩრდილოეთის არმიათა ჯგუფი. გენერის სატანკო ჯგუფი იგერიებდა მოწინააღმდეგის იერიშებს და განაგრძობდა მზადებას ძლიერი მარჯვენა ფლანგით შემდგომი შეტევისათვის ლენინგრადის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში...

პოლკოვნიკმა ოკსნერმა გააკეთა მოხსენება გუდერიანისა და გოტის სატანკო ჯგუფებში თავისი მგზავრობის შესახებ. საჭიროა აღინიშნოს შემდეგი:

ა) რუსების ავიაცია თავს ესხმის დასავლეთი დვინის გადასასვლელებს ვიტებსკის სამხრეთ-დასავლეთით;

ბ) მოწინააღმდეგის სარდლობა უნარიანად მოქმედებს. მოწინააღმდეგე გააფთრებულად და ფანატიკურად იბრძვის;

გ) სატანკო შენაერთებმა მნიშვნელოვანი დანაკლისი განიცადეს პირადი შემადგენლობასა და მატერიალური ნაწილის მხრივ. ჯარები დაიქანცნენ...“.

1941 წლის ივლისი. საბჭოთა კავშირ-გერმანიის გიგანტურ ფრონტზე ყოველდღიურად იზრდება ბრძოლების გაქანება, დაძაბულობა და გააფთრებულობა.

ჰალდერი იძულებულია აღიაროს, რომ საბჭოთა ჯარების წინააღმდეგობის მოულოდნელმა სიძლიერემ გერმანელ-ფაშისტთა სარდლობას არ მისცა საშუალება განახორციელოს „ბარბაროსას“ გეგმის ძირითადი მიზანი — გარსშემოერტყას და გაანადგუროს სწრაფი კამპანიით წითელი არმიის მთავარი ძალები დნეპრის ხაზის დასავლეთით, არ მისცეს მათ ქვეყნის სიღრმეში დახევის საშუალება.

1941 წლის 26 ივლისს ჰალდერი წერს: „მოხსენება ფიურერთან არმიათა ჯგუფის ოპერაციათა გეგმების შესახებ. 18 საათიდან 20 საათსა და 15 წუთამდე ხანგრძლივი, დროდადრო გაცხარებული კამათი მოწინააღმდეგის გარსშემორტყმის ხელიდან გაშვებული შესაძლებლობის საკითხზე“.

30 ივლისს გერმანიის გენერალური შტაბის უფროსი თავის დღიურში აღნიშნავს, რომ უმაღლესი მთავარსარდლობის მიერ გამოცემულია ახალი დირექტივა № 34. დირექტივაში ნათქვამია:

„უკანასკნელ დღეებში მოვლენათა განვითარებამ, მოწინააღმდეგის დიდი ძალების გამოჩენამ „ცენტრის“ არმიათა ჯგუფის ფრონტის

წინ და მის ფლანგებზე, მომარაგების მდგომარეობამ და იმის აუცილებლობამ, რომ მე-2 და მე-3 სატანკო ჯგუფებს მათი შენაერთების აღდგენისა და შევსებისათვის უნდა მიეცეთ დაახლოებით 10 დღე, — ყოველივე ამან გამოიწვია იმ მიზნებისა და ამოცანების შესრულების დროებითი გადადება, რომლებიც დასახული იყო 19 ივლისის № 33 დირექტივასა და მის 23 ივლისის დამატებაში.

უკვე ომის პირველ თვეს საბჭოთა არმიის შეუპოვარი წინააღმდეგობის ზეგავლენით ფაშისტური გერმანიის ბევრ სამხედრო ხელმძღვანელს დაეტყო მერყეობის ნიშნები, შესამჩნევი ნერვიულობა.

ასე, მაგალითად, ომის 29-ე დღეს ჰალდერი წერს: „ცალკეულ ჯგუფებად მოქმედი ჩვენი მოძრავი შენაერთების მიერ წარმოებული ბრძოლების გააფთრებულობამ, დასავლეთიდან მომავალი ქვეითი დივიზიების ფრონტზე მოსვლის გაჭიანურებამ, საერთოდ ცუდ გზებზე ყველა გადასვლის სიძნელემ და, გარდა ამისა, ჯარების მეტისმეტად დაქანცულობამ, რომლებიც ომის დაწყებიდან ხანგრძლივი დროის მანძილზე შეუსვენებლად მიიწევენ წინ და შეუპოვარ სისხლისმღვრელ ბრძოლებს აწარმოებენ, — ყოველივე ამან ჩვენს ხელმძღვანელ ინსტანციებში ცნობილი სულიერი დაცემა გამოიწვია. განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა ეს სახმელეთო ჯარების მთავარსარდლის მძიმე სულიერ განწყობილებაში“.

ივლისის ბოლოსათვის გერმანელ-ფაშისტთა არმიამ ვერ შეძლო მიეღწია გადამწყვეტი წარმატებებისათვის. უკვე 1941 წლის 18 ივლისს ჰალდერი წერს:

„სამხრეთის“ არმიათა ჯგუფის ოპერაცია სულ უფრო კარგავს თავის ფორმას. კოროსტენის პირდაპირ მდებარე ფრონტის უბანი უწინდებურად მოითხოვს დიდ ძალებს მის შესანარჩუნებლად. ჩრდილოეთიდან მოწინააღმდეგის დიდი ახალი ძალების კიევის რაიონში მოსვლა გვაიძულებს მოვიშველიოთ იქ ქვეითი დივიზიები, რათა შევამსუბუქოთ მე-3 მოტორიზებული კორპუსის სატანკო შენაერთების მდგომარეობა და შემდგომში შევცვალოთ ისინი მთავარი დარტყმის მიმართულებაზე გამოსაყენებლად. ამის შედეგად არმიათა ჯგუფის ფრონტის ჩრდილოეთ უბანზე შებოჭილია სასურველზე გაცილებით უფრო მეტი ძალები“.

კიდევ უფრო ნაკლებად აკმაყოფილებს ჰალდერს „ჩრდილოეთის“ არმიათა ჯგუფის წარმატებები.

„კვლავ, — წერს ის 22 ივლისს, — შეიმჩნევა დიდი განგაში „ჩრდილოეთის“ არმიათა ჯგუფის გამო, რომელსაც დამკვრელი დაჯგუფება არა ჰყავს და მუდამ შეცდომებს უშვებს. ნამდვილად, „ჩრდილოეთის“ არმიათა ჯგუფის ფრონტზე აღმოსავლეთის ფრონტის სხვა უბნებთან შედარებით ყველაფერი რიგზე როდია“.

ვერმახტის სათავეში მდგომ ხელმძღვანელთა შორის წამოიჭრა ლაპარაკი მთავარი დარტყმების შემდგომი ოპერაციებისა და მიმართულებათა მიზნების შესახებ. შეიმჩნევა არათანმიმდევრობა ჯარების წინაშე მორიგი ამოცანების დასმის საქმეში.

ასე, მაგალითად. 26 ივლისს ჰალდერი წერს: „...ფონ ბოკის ჯგუფმა. როგორც კი იგი მზად იქნება უნდა დაიწყოს, ფრონტიდან მოწინააღმდეგის შევიწროებით, ნელი წინ წაწევა მოსკოვისაკენ". სამი დღის შემდეგ, 30 ივლისს, გამოიცა ახალი ბრძანება: „ფრონტის ცენტრალურ უბანზე საჭირო თავდაცვაზე გადასვლა". 26 ივლისს ჰიტლერი მოითხოვდა მოწინააღმდეგის გომელის დაჯგუფების ლიკვიდაციას ახლად შექმნილი ფონ კლიუგეს ჯგუფის შეტევაზე გადასვლის გზით". 30 ივლისს იოდლმა აცნობა ჰალდერს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობის სხვა გადაწყვეტილება: „ფრონტის სამხრეთ უბანზე ჯერჯერობით არ ჩაატაროთ გომელზე შეტევა". ყველაფერი ეს წითელი არმიის შეუპოვარი წინააღმდეგობის შედეგი იყო.

ჰალდერის დღიურიდან ჩანს, რომ გერმანელთა ჯარებმა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ბრძოლების პირველსავე კვირეებში საგრძნობი ზარალი ნახეს. აი რამდენიმე მაგალითი:

1941 წლის 17 ივლისი. ფრონტზე მოქმედი ჩვენი შენაერთების საბრძოლო შემადგენლობა მკვეთრად შემცირდა".

1941 წლის 20 ივლისი „სატანკო შენაერთების საბრძოლო შემადგენლობა: მე-16 სატანკო დივიზიას საშტატო შემადგენლობის 40 პროცენტზე ნაკლები ჰყავს, მე-11 სატანკო დივიზიას — დაახლოებით 40 პროცენტი, მე-13 და მე-14 სატანკო დივიზიების მდგომარეობა რამდენადმე უკეთესია".

1941 წლის 24 ივლისი. „საკითხი ახალი შეტევის დაწყების წინ შენაერთების შევსებისათვის საჭირო 10-დღიანი შესვენების შესახებ. შენაერთებისათვის ასეთი შესვენების მიცემის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება სატანკო შენაერთების შემადგენლობის შევსება საშტატო შემადგენლობის 60-70 პროცენტამდე".

ასეთი იყო ის სინამდვილე, რომელთანაც გერმანელ-ფაშისტთა სარდლობას მოუხდა შეჯახება საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გაჩაღებული ბრძოლების პირველსავე თვეში. დიახ, ეს აშკარად არ იყო ის სინამდვილე, როგორსაც ჰიტლერელთა ხელმძღვანელობა ვარაუდობდა! მოყვანილ გამონათქვამებში ეს აზრი მკაფიოდ გამოსჭვივის. აი დამატებითი ფაქტებიც.

სსრ კავშირში წარმოებული ომის მარტო პირველი ორი თვის განმავლობაში ვერმახტის სახმელეთო ჯარებმა დაკარგეს დაახლოებით 400 ათასი კაცი. სიტყვამ მოიტანა და შევნიშნავ, რომ 1941 წლის ივნისიდან დეკემბრამდე საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის გარეთ ფა-

შისტმა მტაცებლებმა სულ დაკარგეს დაახლოებით 9 ათასამდე კაცი (!). საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე მოწინააღმდეგის ჯარების დანაკარგმა ზაფხულ-შემოდგომის ბოლოსათვის შეადგინა დაახლოებით 800 ათასი კაცი შერჩეული, საუკეთესო ნაწილებიდან და შენაერთებებიდან [1].

და ყოველივე ეს მაშინ, როცა ჩვენთვის ასეთი არახელსაყრელი პირობები შეიქმნა. საბრძოლო გამოცდილება ხომ მოწინააღმდეგის მხარეზე იყო, რაკი იგი უკვე ხანგრძლივი დროის განმავლობაში ომობდა; ინიციატივაც მის ჰხარეზე იყო, რამდენადაც ის ვერაგულად დაგვესხა თავს; ჯარისა და საბრძოლო ტექნიკის რაოდენობა და ხარისხი რიგ შემთხვევაში მის მხარეზე აღმოჩნდა, რამდენადაც ის დიდხანს ემზადებოდა — მთელი რიგი წლების განმავლობაში დაჩქარებით აწარმოებდა თავდამსხმელი არმიის მოდერნიზებასა და მექანიზებას; ეკონომიკა, რესურსები პირველი დარტყმისათვის მის მხარეზე იყო, რამდენადაც ევროპის მთელი სამხედრო პოტენციალი მას ხელთ ჰქონდა.

აუცილებელია იმ გარემოების გათვალისწინებაც, რომ ჰიტლერელთა ხელმძღვანელობამ, აამოქმედა რა თავისი სამხედრო მანქანა, ყველაფერი როდი დახარჯა იქიდან. რაც მას ევროპის დაპყრობისათვის ჰქონდა მომზადებული. განთავისუფლდა ძლიერი რეზერვები და გადასროლილ იქნა სსრ კავშირის წინააღმდეგ.

როდესაც ჩვენ ელვისებური ომის კრახზე ვლაპარაკობთ, მარტო დანაკარგი როდი უნდა მოვიხსენიოთ.

რასაკვირველია — და ჩვენ ამის შესახებ უკვე ვილაპარაკეთ, — ჯერ კიდევ წინ იყო ბრძოლის ხანგრძლივი და მძიმე წლები, და ჩვენ მრავალგზის მოგვიხდებოდა ძალ-ღონის დაძაბვა, რათა უკუგვეგდო მტრის იერიში, დაეუფლებოდით ინიციატივას, მოგვეხდინა მისი დროებითი უპირატესობის ლიკვიდაცია, დაგვეჯაბნა ყოველმხრივ, განგვედევნა ჩვენი სამშობლოს ტერიტორიიდან. დავხმარებოდით ევროპის ხალხებს ფაშიზმის უღლისაგან განთავისუფლების საქმეში.

მაგრამ თავისი ისტორიული როლი ამ დიად საქმეში ომის დასაწყისმა პერიოდმაც შეასრულა, როცა ჩაიფუშა არა მარტო ის გეგმები და ვარაუდები, რაც დაკავშირებული იყო უშუალოდ საომარი მოვლენების მსვლელობასთან, არამედ უძლიერესი დარტყმაც იგემა ფაშიზმის ეკონომიკამ, იდეოლოგიამ, პროპაგანდამ, პოლიტიკამ და მთელმა მისმა საზარელმა სოციალურმა სისტემამ...

1941 წლის 9 სექტემბერს გენერალ-ლეიტენანტ მ. ს. ხოზინთან და გენერალ-მაიორ ი. ი. ფედიუნინსკისთან ერთად გავფრინდი ალყაშემორტყმულ ლენინგრადში.

---

[1] «Военно-исторический журнал», № 12, 1967 г., стр. 80-86.

ამ დროს ლენინგრადელები მართლაც უაღრესად მძიმე დღეებს განიცდიდნენ. ვითარება ჯარებისა და მცხოვრებლებისათვის იმდენად მძიმე იყო. რომ გარდა საბჭოთა ადამიანებისა, ალბათ, სხვა ვერავინ გაუძლებდა.

ვიხსენებთ რა ამას, ჩვენ, ცოცხლად დარჩენილნი, ღრმა პატივისცემით ვხრით თავს იმათი წმინდა ხსოვნის წინაშე, ვინც გაიღო ყველაზე ძვირფასი, რაც ადამიანს აქვს, — სიცოცხლე თავისი სამშობლოსათვის, თავისი შთამომავლობის მომავლისათვის.

1941 წლის აგვისტოს დასასრულსა და სექტემბრის დამდეგს „ჩრდილოეთის“ არმიათა ჯგუფმა, აიღო რა შლისელბურგი, ლენინგრადს ალყა შემოარტყა ხმელეთიდან მდინარე ნევის მიმართულებით კოლპინამდე და შემდეგ იამ-იყორას. ლადოგას, სადგურ სუსანინოს, პარიცასა და ილინომდე. ზღვისპირა ოპერატიული ჯგუფი გადავიდა და გამაგრდა პეტერგოფ-უსტ-რუდიცის — ზღვის სანაპიროს ხაზზე. ლენინგრადს ამ ოპერატიულ ჯგუფთან დაკავშირება შეეძლო მხოლოდ ზღვით და ჰაერით. კარელიის ყელზე, ჩვენს ძველ სახელმწიფო საზღვარზე, ფინეთის ჯარები იდგნენ, რომლებიც ხელსაყრელ მომენტს ელოდნენ ჩრდილოეთიდან ლენინგრადზე თავდასასხმელად. დიდ მიწასთან ლენინგრადის კავშირის განხორციელება მხოლოდ ლადოგის ტბისა და ჰაერის საშუალებებით შეიძლებოდა.

მოსკოვიდან ლადოგის ტბამდე მივფრინავდით ამინდის „ხელსაყრელ“ პირობებში: წვიმა, დაბალი ღრუბლიანობა. ერთი სიტყვით, მოწინააღმდეგის გამანადგურებლებისათვის ასეთი ამინდი არ იყო ხელსაყრელი, და ჩვენ შეგვეძლო მშვიდად ფრენა ყოველგვარი საფარის გარეშე. ლადოგის ტბასთან მიახლოებისას ამინდი გაუმჯობესდა და ჩვენ მოგვიხდა გამანადგურებელთა რგოლის საფარქვეშ ფრენა. ტბის თავზე მცელავი ფრენით მივდიოდით, უკან ორი „მესერშმიტი“ მოგვდევდა. რამდენიმე ხნის შემდეგ მშვიდობიანად დავეშვით ქალაქის აეროდრომზე, თუ რატომ არ გარეკა ჩვენმა საფარმა მოწინააღმდეგის გამანადგურებლები, ამის გამორკვევის დრო აღარ იყო. ჩვენ მივეჩქარებოდით სმოლნში, ლენინგრადის ფრონტის შტაბში.

სმოლნის განლაგების ტერიტორიაზე შესვლისას დაცვამ შეგვაჩერა და მოგვთხოვა საშვი, რაც ჩვენ არ აღმოგვაჩნდა. მე ვთქვი, ვინც ვიყავი, მაგრამ ამან არ გვიშველა. სამსახური სამსახურია.

— მოგიხდებათ მოცდა, — გვიპასუხა დაცვის ოფიცერმა.

ერთი სიტყვით, ჭიშკართან ჩვენ ლოდინი მოგვიხდა არანაკლებ თხუთმეტი წუთისა, ვიდრე კომენდანტი სმოლნში შესვლის ნებართვას მოგვცემდა.

შტაბში ჩვენ გვაცნობეს, რომ ფრონტის სამხედრო საბჭო ატარებ-

და თათბირს, რომელსაც ესწრებოდნენ ფრონტის ჯარების გვარეობათა სარდლები და უფროსები, ბალტიის ფლოტის სარდალი და აგრეთვე ყველაზე მნიშვნელოვანი სახელმწიფო ობიექტების დირექტორები.

უკვე სმოლნში შევიტყვე, რომ განიხილავდნენ საკითხს იმ ზომების შესახებ, რომელთა გატარებაც საჭირო იქნებოდა ლენინგრადის დაცვის შეუძლებლობის შემთხვევაში. ეს ზომები (მე არ დავიწყებ აქ მათ ჩამოთვლას) ითვალისწინებდნენ უმნიშვნელოვანესი სამხედრო ობიექტების მოსპობას. ახლა, როცა საუკუნის მეოთხედმა განვლო, ეს გეგმები წარმოუდგენლად გვეჩვენება. მაგრამ, მაშინ? მაშინ ოქტომბრის რევოლუციის აკვანი — ქალაქი ლენინგრადი საშინელ განსაცდელში იყო, მიმდინარეობდა მისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა.

მოვითათბირეთ რა კ. ე. ვოროშილოვთან, ა. ა. ჟდანოვთან, ა. ა. კუზნეცოვთან და ფრონტის სამხედრო საბჭოს სხვა წევრებთან, გადავწყვიტეთ, დაგვეხურა თათბირი და მიგვეთითებინა, რომ ქალაქის ჩაბარების შემთხვევისათვის რაიმე ზომების ჩატარება ჯერჯერობით საჭირო არ იყო. ლენინგრადი უნდა დაგვეცვა უკანასკნელ კაცამდე.

10 სექტემბერს შევუდექი ლენინგრადის ფრონტის სარდლობას. კ. ე. ვოროშილოვი 11 სექტემბერს ი. ბ. სტალინის დავალებით გაფრინდა გენერალ გ. ი. კულიკის 54-ე არმიაში. გენერალ-ლეიტენანტ მ. ს. ხოზინს გადაეცა ბრძანება დაუყოვნებლივ დაეკავებინა ფრონტის შტაბის უფროსის თანამდებობა, რომელიც უნდა მიეღო პოლკოვნიკ ნ. ვ. გოროდეცკისაგან, ხოლო გენერალი ი. ი. ფედიუნინსკი იმავე დღეს გაიგზავნა ურიცკზე და პულკოვოს მაღლობებზე მყოფი 42-ე არმიის ჯარების თავდაცვის შესასწავლად.

10 სექტემბერს მთელი ღამე გათენებამდე გავატარეთ ა. ა. ჟდანოვთან, ა. ა. კუზნეცოვთან, ფლოტის ადმირალ ი. ს. ისაკოვთან, შტაბის უფროსთან და ფრონტის გვარეობათა და სამსახურთა სარდლებთან და უფროსებთან ერთად. განვიხილავდით ლენინგრადის დასაცავად საჭირო ძალებისა და სახსრების მობილიზაციისათვის დამატებითი ღონისძიების საკითხებს. მთავარი საშიშროების მუქარა ურიცკის მხრიდან იყო, რომელიც ნაწილობრივ უკვე დაპყრობილი ჰქონდათ გერმანელებს. არანაკლები საშიშროება ელოდა პულკოვოს მაღლობების რაიონსაც.

ვითარების კოლექტიური განხილვის შედეგად გადაწყდა.

— დაუყოვნებლივ მოიხსნას ქალაქის საჰაერო თავდაცვიდან საზენიტო ქვემეხები და ისინი ტანკსაწინააღმდეგო დაცვის გასაძლიერებლად დაიდგას პირდაპირი დამიზნებით ლენინგრადის დაცვის ყველაზე საშიშ უბნებზე;

— მთელი სახომალდე არტილერიის ცეცხლი მიმართულ იქნას

ურიცკ-პულკოვოს მაღლობების უბანზე 42-ე არმიის ჯარების დასახმარებლად;

— სასწრაფოდ დაიწყოს ღრმად ეშელონირებული საინჟინრო დაცვის შექმნა ყველა სუსტ მიმართულებაზე, დაინაღმოს და ნაწილობრივ მომზადდეს ელექტროდენქვეშ.

— კარელიის ყელზე განლაგებული 23-ე არმიის შემადგენლობიდან ძალების ნაწილი გადაეცეს 42-ე არმიას ურიცკის რაიონში დალეის გასაძლიერებლად;

— დაიწყოს ცალკეული მსროლელთა 5-6 ბრიგადის ჩამოყალიბება წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის მეზღვაურთა, ლენინგრადის სამხედრო სასწავლებელთა და შინსახკომის ნაწილების ხარჯზე 6-8 დღის მოსამზადებელი ვადით.

ამ ღონისძიებათა განხორციელება დაუყოვნებლივ. მეორე დღის დილიდანვე დაიწყო.

სამხედრო საბჭო, რომლის შემადგენლობაში, ა. ა. ჟდანოვისა და ი. ა. კუზნეცოვის გარდა, ტ. თ. შტიკოვი და ნ. ვ. სოლოვიოვი შედიოდნენ, მუშაობდა შეთანხმებულად, შემოქმედებითად, ენერგიულად, არც დროს უწევდა ანგარიშს და არც დაღლილობას აგდებდა არაფრად. ეს ამხანაგები ახლა უკვე აღარ არიან ცოცხლები. უნდა ვთქვათ, რომ ისინი ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწენი იყვნენ. იცავდნენ რა ლენინის ქალაქს, რომელსაც საშინელი, სიკვდილის საფრთხე დაემუქრა, მათ ყველაფერი გააკეთეს, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა მტერთან წარმატებით ბრძოლისათვის.

ლენინგრადის მიუვალ ციხესიმაგრედ გადასაქცევად განსაკუთრებით დიდი მუშაობა გასწიეს ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციამ და მშრომელებმა. დაუძლურებული, შიმშილისაგან არაქათგამოცლილი ლენინგრადელები კვდებოდნენ პირდაპირ სამუშაოზე, ქუჩებში, გაუთბობელ, გაყინულ ბინებში, მაგრამ საკუთარ თავზე ოდნავადაც არა ფიქრობდნენ, არა! მათი ერთადერთი საზრუნავი მშობლიური ქალაქის დაცვა, თავგანწირულად მებრძოლი საბჭოთა ჯარების იარაღით, საომარი მასალით, სამხედრო ტექნიკით მომარაგება იყო. და ყოველივე ამას ისინი ამზადებდნენ მტრის განუწყვეტელი საარტილერიო ცეცხლის ქვეშ, გამუდმებული საჰაერო დაბომბვის პირობებში.

ჩემი ჩასვლის დღეს განსაკუთრებით გააფთრებულ შეტევით ბრძოლებს ეწეოდნენ გერმანელები 42-ე არმიის უბანზე. მტრის ტანკები შეიჭრნენ ურიცკში, გერმანელები გამუდმებით უტევდნენ პულკოვოს სიმაღლეებს, იერიში იერიშზე მოჰქონდათ პუშკინისა და კოლპინის რაიონებში. გერმანელთა ჯარების მოქმედებას ზურგს უმაგრებდა ბომბდამშენთა მძლავრი თაედასხმები და მძიმე არტილერიის ცეცხლი.

კარელიის ყელზე მდგომარეობა შედარებით მშვიდი იყო. ფინელები მხოლოდ კანტიკუნტად ისროდნენ. ჩვენი 23-ე არმიის ჯარებიც ასევე პასუხობდნენ. 1941 წლის სექტემბერში ფინეთის ჯარების ასეთმა „თვინიერმა" ქცევამ შესაძლებლობა მისცა ფრონტის სარდლობას გამოეყენებინა 23-ე არმიის მთელი რეზერვები და ზოგიერთი მსროლელი დივიზიის პოლკების ნაწილიც კი ურიცკისა და პულკოვოს სიმაღლეთა რაიონში თავდაცვის გასაძლიერებლად.

ზღვისპირეთის ოპერატიული ჯგუფის ფრონტზე ჩვენი ჯარები და თვით მოწინააღმდეგეც კი დროდადრო ცდილობდნენ გაეაქტიურებინათ თავიანთი მოქმედება, მაგრამ ამ აქციებს არ ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა.

პეტერგოფის რაიონში მტრის ჯარების ხერგში გადასხმულ იქნა საზღვაო სადესანტო რაზმი, რომელსაც დახმარება უნდა გაეწია ზღვისპირეთის ჯგუფისათვის კერძო ოპერაციის ჩატარებაში. მეზღვაურები არამარტო უშიშრად მოქმედებდნენ, არამედ არნახულ გაბედულებას იჩენდნენ.

მტერმა როგორღაც შენიშნა დესანტის მიახლოება და მას ჯერ კიდევ წყალში გაუხსნა ცეცხლი. მეზღვაურები როდი შედრკნენ. მათ ნაპირს მიაღწიეს, მიწაზე შედგეს ფეხი და მოწინააღმდეგე, ბუნებრივია, გაიქცა. მაშინ გერმანელებმა უკვე კარგად იცოდნენ, რა არის „შვარცე ტოდტ" („შავი სიკვდილი"), როგორც ისინი საზღვაო ქვეითი ჯარს უწოდებდნენ.

სამწუხაროდ, არ დამაბახსოვრდა მამაცი მეზღვაურის — საზღვაო სადესანტო რაზმის მეთაურის გვარი. პირველი წარმატებებით ფრთაშესხმულმა მეზღვაურებმა ფეხდაფეხ სდიეს გაქცეულ მოწინააღმდეგეს, მაგრამ დილისათვის თვით აღმოჩნდნენ ზღვისკენ გზამოჭრილები, და მათი უმრავლესობა არ დაბრუნებულა ბრძოლის ველიდან. არ დაბრუნდა მეთაურიც.

მეზღვაურთა სადესანტო რაზმები მრავალგზის იგზავნებოდნენ მოწინააღმდეგის ხერგში. ყველგან და ყოველთვის ისინი გმირობისა და სიმამაცის სასწაულებს ახდენდნენ და მაღლა ეჭირათ საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახელი და ღირსება. ბრწყინვალედ მოქმედებდნენ აგრეთვე სექტემბრის დასაწყისში ბალტიის ზღვის ფლოტის მეზღვაურებისაგან შექმნილი მსროლელი ბრიგადები.

გერმანელების „ჩრდილოეთის" არმიათა ჯგუფის სარდალი ფონ ლეები აჩქარებდა ჯარებს. იგი მოითხოვდა რაც შეიძლება სწრაფად გაეტეხათ ლენინგრადის დამცველთა წინააღმდეგობა, რათა შემდეგ შეერთებოდნენ ფინეთის ჯარების კარელიის ჯგუფს. ლენინგრადის დაცემის შემდეგ გერმანიის მთავარსარდლობას სურდა მთელი ძალები მოსკოვისაკენ მიემართა, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან შემოევლო მის-

თვის. მაგრამ ლენინგრადი მტკიცედ იდგა და არ ნებდებოდა ჰიტლერს, მიუხედავად მისი გააფთრებული, მძლავრი შეტევებისა.

ჰიტლერი ცოფს ყრიდა. მას ესმოდა, რომ დრო გერმანიისათვის კი არ მუშაობს, არამედ საბჭოთა კავშირისათვის, რომელიც უდიდეს სიძნელეთა გადალახვით ახდენდა ძალების მობილიზებას და ბრძოლის ახალ საშუალებებს ქმნიდა. ზაფხულის გამარჯვებათა პერიოდი სამუდამოდ დამთავრდა. დგებოდა შეიოდგომა.

ლენინგრადი და მისი ახლო მისადგომების დამცველი ჯარები განსაცვიფრებელი სიმამაცით იბრძოდნენ.

ჩვენ მეტად მძიმე მომენტებიც გვქონდა, განსაკუთრებით ‘ბაშინ, როცა მტერმა ხელთ იგდო პულკოვოს სიმაღლეები და ურიცკი, ხოლო მოწინააღმდეგის ტანკების ცალკეული ჯგუფები ხორცკომბინატისაკენაც კი გაიჭრნენ. გვეგონა, ეს-ეს არის მოხდებოდა ის, რისაც ყოველ ჩვენგანს ეშინოდა გულში. მაგრამ ქალაქის გმირი დამცველები ასეთი უმძიმესი ვითარების დროსაც პოულობდნენ თავიანთ თავში იმის ძალას, რომ კვლავ და კვლავ უკუეგდოთ გამძვინვარებული მტერი საწყის პოზიციებზე.

დრო გადიოდა. მტერი სისხლისაგან იცლებოდა, მაგრამ ვერა და ვერ შეძლო წითელი არმიის ჯარების ლენინგრადის დაჯგუფების განადგურება.

ასე გრძელდებოდა თითქმის სექტემბრის დამლევამდე. სექტემბრის ბოლო დღეებში ჩვენ არა მარტო თავს ვიცავდით, არამედ უკვე იქტიურ მოქმედებაზე გადავედით. რიგი კონტრდარტყმები განვახორციელეთ კოლპინის, პუშკინოს, პულკოვოს სიმაღლეთა რაიონებში, და ამ დარტყმებმა, ეტყობა, საბოლოოდ დაარწმუნა მოწინააღმდეგე, რომ ლენინგრადის დაცვა კიდევ ძლიერი იყო და არსებული ძალებით მის წელში გატეხვას ვერ შეძლებდა.

გერმანელებმა შეწყვიტეს შეტევები და დაიწყეს ქალაქის დანგრევა საჰაერო დაბომბვით და საარტილერიო ცეცხლით.

...900 დღე იბრძოდნენ წითელი არმის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ჯარები და ქალაქის მცხოვრებნი თავიანთი საყვარელი ლენინგრადისათვის. ვერც უდიდესმა მსხვერპლმა, ვერც შიმშილმა, ვერც სიცივემ ვერ გასტეხა ლენინის ქალაქის დამცველთა უდრეკი სული და სიმამაცე.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელიც ყოველდღიურად ადევნებდა თვალყურს ლენინგრადის ამბებს, ქალაქის დასახმარებლად მობილიზაცია გაუკეთა ყველა შესაძლო ძალასა და საშუალებას. ლენინგრადის გმირობა ლეგენდად იქცა.

მინდოდა უფრო დაწვრილებით დამეწერა ყველაფერი ამაზე, ‘ბაგ-

რამ, უბრალოდ, არ ვყოფნის სიტყვები, რომელიც ლენინგრადის დამცველთა გმირული საქმეების საკადრისი იქნებოდა.

ვამაყობ, რომ იმ პერიოდში, როცა მტერი უშუალოდ მიადგა ქალაქს და მას სასიკვდილო საფრთხე შეუქმნა, მე დამევალა სარდლობა ლენინგრადის ფრონტის ჯარებისა, რომელიც ლენინგრადს იცავდა.

აქ მინდა მცირედი ნახტომი გავაკეთო წინ და ვთქვა, რომ 1943 წლის იანვარში თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დავალებით მე დამეკისრა კ. ე. ვოროშილოვთან ერთად ბლოკადის გარღვევის ოპერაციის დროს ლენინგრადისა და ვოლხოვის ფრონტების მოქმედებათა კოორდინირება.

ყოველივე ამან კიდევ უფრო ძტკიცედ დამაკავშირა ლენინგრადელებთან, რომელთა მიმართაც მუდამ ვგრძნობდი და ვგრძნობ ღრმა პატივისცემას.

ლენინგრადის გმირული დაცვის თაობაზე ბევრი დაიწერა. და მაინც, მე მგონია, ომის წლების ლენინგრადის შესახებ, ისე როგორც ყველა ჩვენი გმირი ქალაქის შესახებაც. უნდა შეიქმნას ფართოდ ილუსტრირებული და შესანიშნავად გამოცემული, პირველ ყოვლისა ფაქტოლოგიურ, დოკუმენტურ მასალაზე აგებული, გულწრფელად და სიმართლით დაწერილი წიგნ-ეპოპეათა სპეციალური სერია. ყოველნაირი ქალაქები არსებობს: ძმადნაფიცი ქალაქები. თანამგზავრი ქალაქები და ა. შ. გმირი ქალაქები არც ისე ბევრია, და ყველა მათგანი ჩვენს საბჭოთა ქვეყანაშია.

ვფიქრობ. რომ ყოველი ლენინგრადელის. მოსკოველის, სევასტოპოლელის სახლში მოიძებნება ადგილი ასეთი წიგნ-ალბომისათვის, მას წაიკითხავენ ჩვენი შვილები და შვილიშვილები, შეიძლება იგი ასწავლონ სკოლებში — დაე, ახალგაზრდებმა ამ გმირთა სახეებში იცნონ თავიანთი მამები და დედები, დაე, ახალი კვარტალების, მოედნებისა და პროსპექტების იქით მათ დაინახონ სისხლით მორწყული ქუჩები, დანგრეული, ჩამოქცეული კედლები, ყუმბარებით გადათხრილი მიწა, რომლის პირისაგან აღიგავა ძლიერი და სასტიკი მტერი.

ეს კი მანამ უნდა გაკეთდეს. სანამ ცოცხლები არიან იმ გმირულ ამბავთა მომსწრენი და მონაწილენი, სანამ ყველაფერი ხელთა გვაქვს.

და თუ სწორია ის, რომ საჭიროა რაც შეიძლება მალე წაიშალოს მიწის პირიდან ომისა და ნგრევის კვალი, რათა მან ჩრდილი არ მიაყენოს ცოცხალთა ცხოვრებას, ასევე აუცილებელია, რომ გადავცეთ თაობებს ჩვენი გმირული დროის სულისკვეთება.

თავი მეთორმეტე

ბრძოლა მოსკოვისათვის

1941 წლის 5 ოქტომბერს მთავარბანაკიდან გადმოსცეს:

— ფრონტის სარდალთან პირდაპირი მავთულით ილაპარაკებს ამხანაგი სტალინი.

მე ლენინგრადის ფრონტის შტაბის სალაპარაკო პუნქტში ვიმყოფებოდი და მთავარბანაკში „ბოდოთი" გადავეცი:

— აპარატთან არის ჟუკოვი.

მთავარბანაკმა მიპასუხა:

— დაელოდეთ.

ორი წუთიც არ გასულა, რომ მთავარბანაკის ბოდისტმა გადმოსცა:

— აქ არის ამხანაგი სტალინი.

სტალინი.

— გამარჯობათ.

ჟუკოვი:

— გისურვებთ ჯანმრთელობას!

სტალინი:

— თქვენთან მხოლოდ ერთი შეკითხვა მაქვს. შეგიძლიათ თუ არა ჩაჯდეთ თვითმფრინავში და მოსკოვში ჩამოფრინდეთ? სარეზერვო ფრონტის მარცხენა ფრთაზე იუხნოვის რაიონში მდგომარეობის გართულების გამო მთავარბანაკს სურს მოგეთათბიროთ აუცილებელ ღონისძიებათა შესახებ. თქვენ მაგივრად ვინმე დატოვეთ, იქნებ ხოზინი.

ჟუკოვი:

— ნება მომეცით, გამოვფრინდე 6 ოქტომბერს დილით ადრე.

სტალინი.

— კეთილი. ხვალ დილით მოსკოვში გელოდებით.

მაგრამ 54-ე არმიის (რომელსაც მაშინ გ. ი. კულიკი სარდლობდა) უბანზე შექმნილი ზოგიერთი მნიშვნელოვანი გარემოების გამო 6 ოქ-

ტომბერს დილით ვერ შევძელი გავფრენილიყავი. უმაღლესი მთავარსარდლის ნებართვით ჩემი გაფრენა 7 ოქტომბრისათვის გადაიდო

6 ოქტომბერს საღამოს ლენინგრადში კვლავ დარეკა ი. ბ. სტალინმა:

— როგორ მიდის თქვენთან საქმე? რა არის ახალი მოწინააღმდეგის მოქმედებაში? — შემეკითხა იგი.

— გერმანელებმა შეასუსტეს შეტევა, — მოვახსენე მე. — ტყვეების მონაცემებით, მათმა ჯარებმა სექტემბრის ბრძოლებში მძიმე დანაკლისი განიცადეს და ლენინგრადთან თავდაცვაზე გადადიან. ახლა მოწინააღმდეგე საარტილერიო ცეცხლს უშენს ქალაქს და ბომბავს მას ჰაერიდან. ჩვენი საავიაციო დაზვერვის მიერ დადგენილია მტრის მოტომექანიზებული და სატანკო კოლონების დიდი მოძრაობა ლენინგრადის რაიონიდან სამხრეთისაკენ, ეტყობა, ისინი მოსკოვის მიმართულებით გადაჰყავთ.

გ. ი. კულიკის არმიაში არსებული ვითარების გაშუქების შემდეგ მთავარსარდალს ვკითხე, ძალაში რჩებოდა თუ არა განკარგულება ჩემი მოსკოვში გაფრენის შესახებ.

— დატოვეთ თქვენს მაგივრად ფრონტის შტაბის უფროსი გენერალი ხოზინი ან ფედიუნინსკი, — გაიმეორა ი. ბ. სტალინმა, — თქვენ კი მოსკოვში გამოფრინდით.

დავემშვიდობე ლენინგრადის ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრებს ა. ა. ჟდანოვს, ა. ა. კუზნეცოვს, ტ. თ. შტიკოვს, ი. თ. კაპუსტინსა და ნ. ვ. სოლოვიოვს, რომლებთანაც ლენინგრადის დაცვის კრიტიკულ დღეებში ჩვენ განსაკუთრებით მეგობრულად ვმუშაობდით, და მოსკოვში გავფრინდი. იმასთან დაკავშირებით, რომ საჭირო გახდა გენერალ მ. ს. ხოზინის სასწრაფოდ გაგზავნა გენერალ გ. ი. კულიკის არმიაში, ლენინგრადის ფრონტის დროებითი სარდლობა გენერალ ი. ი. ფედიუნინსკის გადაეცა.

მოსკოვში 7 ოქტომბერს ჩავფრინდი. აეროდრომზე ი. ბ. სტალინის დაცვის უფროსი დამხვდა. მან მაცნობა, ი. ბ. სტალინი გრიპით არის ავად და ბინაზე მუშაობს. ჩვენც დაუყოვნებლივ იქითკენ გავეშურეთ.

ი. ბ. სტალინმა მისალმებაზე თავის დაკვრით მიპასუხა, რუკასთან მიმიხმო და მითხრა:

— აი, შეხედეთ. აქ მეტად მძიმე ვითარება შეიქმნა. ვერა და ვერ მივაღწიე დასავლეთის ფრონტისაგან ამომწურავი მოხსენების მიღებას საქმის ჭეშმარიტი მდგომარეობის შესახებ. ჩვენ არ შეგვიძლია დავსახოთ ღონისძიებები, როცა არ ვიცით, სად და როგორი დაჯგუფებით გვიტევს მოწინააღმდეგე, რა მდგომარეობაშია ჩვენი ჯარები. ახლავე გაემგზავრეთ დასავლეთის ფრონტის შტაბში, გულდასმით შეისწავ-

ლეთ საქმის ვითარება და დამირეკეთ იქიდან, რა დროსაც გინდათ. გელოდებით.

მაშინვე გენერალური შტაბის უფროსთან ბ. მ. შაპოშნიკოვთან წავედი.

— ეს-ეს არის უმაღლესმა მთავარსარდალმა დარეკა, — მითხრა მან, — თქვენთვის დასავლეთის მიმართულების რუკის მომზადება მიბრძანა. რუკა ახლავე იქნება. დასავლეთის ფრონტის სარდლობა იქვე იმყოფება, სადაც სარეზერვო ფრონტის შტაბი იყო აგვისტოში, როცა თქვენ ოპერაციას ატარებდით ელნიას რაიონში მოწინააღმდეგის გასანადგურებლად.

სანამ რუკას ველოდით, ბორის მიხეილის ძე მაგარი ჩაით გამიმასპინძლდა. მითხრა, მეტისმეტად დავიქანცეო. მართლაც რომ ძალზე ცუდად გამოიყურებოდა. ბ. მ. შაპოშნიკოვისაგან დასავლეთის ფრონტის შტაბში გავემგზავრე.

გზაში რუკა გავშალე და ჯიბის ფარნის შუქზე შევუდექი ფრონტზე არსებული მდგომარეობისა და მხარეთა მოქმედების შესწავლას. თვლემამ ამიტანა, ძილი რომ არ მომრეოდა, იძულებული ვიყავი, დროდადრო მანქანა გამეჩერებინა და ფეხით გამერბინა მცირე მანძილი.

უკვე ღამე იყო, დასავლეთის ფრონტის შტაბში რომ მივედი. მორიგემ მომახსენა, მთელი ხელმძღვანელობა სარდალთან თათბირობსო. სარდლის ოთახში ნახევრად ბნელოდა, მკრთალად ბჟუტავდნენ სტეარინის სანთლები. მაგიდასთან ისხდნენ ი. ს. კონევი, ვ. დ. სოკოლოვსკი, ნ. ა. ბულგანინი და გ. კ. მალანდინი. ჯუელა მათგანს მეტისმეტად დაღლილი სახე ჰქონდა. მე ვუთხარი, უმაღლესი მთავარსარდლის დავალებით ჩამოვედი, რათა გავერკვე ვითარებაში და შედეგი აქედანვე მოვახსენო ტელეფონით-მეთქი.

რისი გადმოცემაც შეძლო ფრონტის შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსმა გენერალ-ლეიტენანტმა გ. კ. მალანდინმა უკანასკნელი ამბების შესახებ, რამდენადმე შეავსო და დააზუსტა უკვე ჩემს ხელთ არსებული მონაცემები.

მაინც რა მოხდა დასავლეთის მიმართულებით?

მოსკოვის მიმართულებით გერმანელ ფაშისტთა ჯარების შეტევის დასაწყისისათვის დედაქალაქის შორეულ მისადგომებს იცავდა ჩვენი სამი ფრონტი: დასავლეთის (სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ი. ს. კონევი), სარეზერვო (სარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი ს. მ. ბუდიონი) და ბრიანსკისა (სარდალი გენერალ-ლეიტენანტი ა. ი. ერიომენკო). სექტემბრის ბოლოს მათ შემადგენლობაში სულ შედიოდა 800 ათასამდე აქტიური მებრძოლი, 782 ტანკი, 6808 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 545 თვითმფრინავი. ძალებისა და საშუალებების უდიდესი რაოდენობა დასავლეთის ფრონტის შემადგენლობაში იყო თავმოყრილი.

მოწინააღმდეგეს, რომელმაც მოსკოვის მიმართულებით თავისი ძალების გადაჯგუფება მოახდინა, ერთად აღებულ სამივე ჩვენ ფრონტთან შედარებით უპირატესობა ჰქონდა: ქვეითი ჯარის მხრივ — 1,25-ჯერ, ტანკების მხრივ —2,2-ჯერ, ქვემეხებისა და ნაღმსატყორცნების მხრივ— 2,1-ჯერ და თვითმფრინავების მხრივ — 1,7-ჯერ.

გერმანელების შეტევა 30 სექტემბერს დაიწყო: გუდერიანის სატანკო ჯგუფმა და გერმანელთა მე-2 არმიამ დაარტყეს ბრიანსკის ფრონტის ჯარებს ჟუკოვკა-ოსტკის უბანზე. 2 ოქტომბერს მოწინააღმდეგემ მძლავრი დარტყმები მიაყენა დასავლეთისა და სარეზერვო ფრონტების ჯარებს. განსაკუთრებით ძლიერი იყო დუხოვშჩინის ჩრდილოეთითა და როსლავლის აღმოსავლეთით მდებარე რაიონებიდან განხორციელებული დარტყმები. მოწინააღმდეგემ შეძლო ჩვენი ჯარების თავდაცვის გარღვევა. მტრის დამკვრელი ჯგუფები სწრაფად ძიიწევდნენ წინ, გარს ერტყმოდნენ სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან დასავლეთისა და სარეზერვო ფრონტების მთელ ვიაზმის დაჯგუფებას.

უკიდურესად მძიმე ვითარება შეიქმნა ბრიანსკის სამხრეთითაც, სადაც ბრიანსკის ფრონტის მე-3 და მე-13 არმიებს გარშემორტყმის საფრთხე დაემუქრათ. არ ხვდებოდნენ რა სერიოზულ წინააღმდეგობას, გუდერიანის ჯარები სწრაფად დაიძრნენ ორიოლისაკენ, რომლის რაიონშიც ჩვენ არ გვყავდა ძალები შეტევის მოსაგერიებლად. 3 ოქტომბერს გერმანელებმა აიღეს ორიოლი. ბრიანსკის ფრონტი გაირღვა. მისი ჯარები დიდ დანაკლისს განიცდიდნენ და ბრძოლით იხევდნენ აღმოსავლეთისაკენ.

საშიში მდგომარეობა შეიქმნა ტულის მიმართულებითაც.

დასავლეთის ფრონტის სარდლის გენერალ-პოლკოვნიკ ი. ს. კონევის ბრძანებით ჩვენებმა კონტრდარტყმა მიაყენეს მოწინააღმდეგის ჯარების ჩრდილოეთის დაჯგუფებას, რომელიც შემოვლით მანევრს ანხორციელებდა. სამწუხაროდ, ამ კონტრდარტყმას წარმატება არ ჰქონია. 6 ოქტომბერს დღის ბოლოსათვის ვიაზმის დასავლეთით გარშემორტყმულ იქნა დასავლეთისა და სარეზერვო ფრონტის ჯარების ძნიშვნელოვანი ნაწილი.

დასავლეთის ფრონტის შტაბში საუბარმა და ვითარების ანალიზმა შემიქმნა შთაბეჭდილება, რომ ვიაზმის რაიონში კატასტროფის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მტერს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ უპირატესობა ჰქონდა, ჩვენს ჯარებს შეეძლოთ თავი დაეღწიათ გარშემორტყმისათვის. ამისათვის საჭირო იყო თაეის დროზე გერმანელთა მთავარი დარტყმების მიმართულების უფრო სწორად განსაზღვრა და პასიური უბნების ხარჯზე მათ წინააღმდეგ ძირითადი ძალებისა და საშუალებების თავმოყრა. ეს არ გაკეთებულა და ჩვენი ფრონტების თავდაცვამ ვერ გაუძლო მოწინა-

აღმდეგის კონცენტრირებულ დარტყმებს. წარმოიშვა ღია დერეფნები, ტომელთა დახურვა შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან სარდლობას არავითარი რეზერვები აღარ რჩებოდა.

8 ოქტომბერს ღამის 2 საათსა და 30 წუთზე დავურეკე ი. ბ. სტალინს. ის კიდევ მუშაობდა. მოვახსენე დასავლეთის ფრონტზე არსებული ვითარების შესახებ და ვუთხარი:

— მთავარი საშიშროება ამჟამად იმაში მდგომარეობს, რომ სუსტადაა დაცული მოჟაისკის ხაზი. ამიტომ მოწინააღმდეგის ჯავშანსატანკო ჯარებს შეუძლიათ უეცრად გამოჩნდნენ მოსკოვთან. საჭიროა, საიდანაც კი ეს შესაძლებელი იქნება, უსწრაფესად გადმოვისროლოთ ჯარები თავდაცვის მოჟაისკის ხაზზე.

ი. ბ. სტალინმა მკითხა:

— სადაა ამჟამად დასავლეთის ფრონტის მე-19, მე-20 არმიები და ბოლდინის ჯგუფი, სადაა სარეზერვო ფრონტის 24-ე და 32-ე არმიები?

— გარშემორტყმული არიან ვიაზმის დასავლეთითა და ჩრდილოდასავლეთით, — ვუპასუხე მე.

— თქვენ რას აპირებთ, რა გაქვთ განზრახული?

— ახლავე მივემგზავრები ბუდიონისთან.

— იცით კი, სად არის ბუდიონის შტაბი?

— ვფიქრობ, სადმე მალოიაროსლავეცის რაიონში ვეძებო.

— კეთილი, გაემგზავრეთ ბუდიონისთან და მაშინვე დამირეკეთ იქიდან.

ეინეღლავდა, სქელი ნისლი ეფინა დედამიწას, ირგვლივ თითქმის არაფერი ჩანდა. 8 ოქტომბერს დილით, პატარა სადგურ ობნინსკოეს (105 კილომეტრზე მოსკოვიდან) რომ ვუახლოვდებოდით, ორი მეკავშირე დავინახეთ, რომლებიც ხიდის მხრიდან მავთულს ჭიმავდნენ მდინარე პროტვაზე.

— საითკენ გაგყავთ, ამხანაგებო, ხაზი?

— საითაც ნაბრძანები გვაქვს, — ყურადღება არც კი მოგვაქცია, ისე გვიპასუხა ვეება ტანის ჯარისკაცმა.

იძულებული გავხდი. მეთქვა ჩემი ვინაობა და ის, რომ სარეზერვო ფრონტის შტაბსა და ს. მ. ბუდიონის ვეძებდით.

ვეება ჯარისკაცი გაიჭიმა და მიპასუხა:

— მაპატიეთ, ამხანაგო არმიის გენერალო, სახეზე არ გცნობდით და ამიტომ გიპასუხეთ ასე. ფრონტის შტაბი თქვენ უკვე გამოიარეთ. იგი აქ ორი საათის წინ გადმოვიდა და, აი, იმ მთაზე, ტყეში მდებარე სახლებში მოთავსდა. იქ დაცვა გიჩვენებთ, საით უნდა წახვიდეთ.

მანქანა უკან მოვაბრუნეთ. მალე მე მთავარბანაკის წარმომადგენლის, 1-ლი რანგის არმიის კომისრის ლ. ზ. მეხლისის ოთახში ვი-

ჯექი. მასთან იყო შტაბის უფროსი გენერალ-მაიორი ა. თ. ანისოვი. ლ. ზ. მეხლისი ტელეფონით ლაპარაკობდა და ვიღაცას სასტიკად ტუქსავდა.

ჩემს კითხვაზე, სად არის სარდალი-მეთქი, შტაბის უფროსმა მიპასუხა:

— არ ვიცით. დღისით იგი 43-ე არმიაში იყო. მეშინია, ცუდი რამ არ სჭირდეს სიმონ მიხეილის ძეს.

— მიიღეთ ზომები მის მოსაძებნად?

— დიახ, კავშირგაბმულობის ოფიცრები გავგზავნეთ, ისინი ჯერ არ დაბრუნებულან.

ლ. ზ. მეხლისი მომიბრუნდა და მკითხა:

—თქვენ კი რა მიზნით ჩამოხვედით ჩვენთან?

— ჩამოვედი, როგორც მთავარბანაკის წევრი, უმაღლესი მთავარსარდლის დავალებით, რათა გაეერკვე შექმნილ ვითარებაში, — ვუპასუხე მე.

— ხომ ხედავთ, რა მდგომარეობაში აღმოვჩნდით, — თქვა ლ. ზ. მეხლისმა. — ახლა უწესრიგოდ უკანდახეულთ ვაგროვებთ. შესაკრებ პუნქტში იარაღს შევუვსებთ და მათგან ახალ საწილებს ჩამოვაყალიბებთ.

ლ. ზ. მეხლისთან და ა. თ. ანისოვთან საუბრიდან კონკრეტული ძალზე ცოტა რამ გავიგე სარეზერვო ფრონტის ჯარების მდგომარეობისა და მოწინააღმდეგის შესახებ. ჩავჯექი მანქანაში და იუხნოვის მხარეს გავემართე. ვიმედოვნებდი, რომ ადგილზე უფრო მალე გავარკვევდი საქმის ვითარებას.

პროტვაზე გავლისას ჩემი ბავშვობა მომაგონდა. მთელ ამ არემარეს ზედმიწევნით კარგად ვიცნობდი, რადგან. აქ ყრმობის წლებში ათასჯერ მომივლია ფეხით ყოველი კუნჭული. ობნინსკოედან, სადაც სარეზერვო ფროსტის შტაბი გაჩერდა, ათ კილომეტრზე მდებარეობს ჩემი მშობლიური სოფელი სტრელკოვკა. ახლა იქ მხოლოდ დედაჩემია, ჩემი და თავისი ოთხი შვილით. ნეტავ როგორ არიან? რა მოხდება, რომ შევიარო და ვინახულო? არა, შეუძლებელია. დრო არ მაძლევს ამის ნებას. მაგრამ რა მოუვათ, თუ იქ ფაშისტები მივლენ? როგორ მოექცევიან ისინი ჩემს ახლობლებს, თუ გაიგებენ, რომ ისინი არმიის გენერალ ჟუკოვის ნათესავები არიან? უეჭველად დახვრეტენ. პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გავიყვანო ისინი აქედან, წავიყვანო ჩემთან, მოსკოვში.

ორი კვირის შემდეგ სოფელი სტრელკოვკა, ისე როგორც მთელი უგოდსკი-ზავოდის რაიონი, გერმანელებმა დაიკავეს. მაგრამ ჩემი თანამემამულენი გულხელდაკრეფით როდი ისხდნენ. რაიონში შეიქმნა დიდი პარტიზანული რაზმი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სამშობლო-

სათვის მამაცი მებრძოლი, ნიჭიერი ორგანიზატორი. კომკავშირელი ვიქტორ კარასევი, ხოლო კომისრად იქ იყო სკკპ უგოდსკი-ზავოდის რაიკომის მდივანი ალექსანდრე კურბატოვი. ამავე რაზმში იბრძოდა უშიშარი სახალხო შურისმგებელი, უგოდსკი-ზავოდის რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ ალექსის ძე გურიანოვი.

უგოდსკი-ზავოდის პარტიზანული რაზმი გაბედულად ესხმოდა თავს გერმანელთა ჯარების შტაბებს, ზურგის დაწესებულებებსა და ცალკეულ ქვეგანაყოფებს. ღამით განხორციელებული ერთ-ერთი ასეთი თავდასხმის დროს განადგურებულ იქნა მტრის ჯარების მეტად მნიშვნელოვანი ზურგის ობიექტი — გერმანელთა კორპუსის მსხვილი შტაბი.

1941 წლის ნოემბერში გერმანელებმა შეიპყრეს, მსეცურად აწამეს და შემდეგ ჩამოახრჩვეს კომუნისტი მიხეილ ალექსის ძე გურიანოვი. ჩემი თანამემამულენი დღესაც სიყვარულით უელიან უშიშარი გმირის საფლავს.

შემდეგ, უკან დახევის დროს, გერმანელებმა გადაწვეს სტრელკოვკა და ბევრი სხვა სოფელი. ცეცხლს მისცეს დედაჩემის სახლიც. საბედნიეროდ, მე მოვასწარი დედის გაყვანა. უგოდსკი-ზავოდის განთავისუფლებაში მონაწილეობდნენ გენერალ დ. მ. სელეზნევის მე-17 მსროლელი დივიზია და 49-ე არმიის სხვა შენაერთები.

იქ, სადაც 1941 წელს იყო სარეზერვო ფრონტის შტაბი, მერე კი დასავლეთის ფრონტის შტაბი, სოფელ პიატკინოს (რომელიც უკან დახევისას გერმანელებმა ასევე გადაწვეს) ადგილას, ომის შემდეგ წამოიმართა ქალაქი ობნინსკი. იგი შორს არის ცხობილი ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ: აქ ხომ პირველი ატომური ელექტროსადგური აშენდა. ქალაქი ობნინსკი ამჟამად უდიდეს სამეცნიერო ცენტრს წარმოადგენს.

მაგრამ დავუბრუნდეთ იმ დროის ამბებს.

მალოიაროსლავეცის ცენტრამდე ისე მივედით, ძე-ხორციელი არსად შეგვხვედრია. ქალაქი მიტოვებული ჩანდა. რაიაღმასკომის შენობასთან ორი მსუბუქი ავტომანქანა დავინახეთ.

შოფერი გავაღვიძე და ვკითხე:

— ვისია ეს მანქანები?

— სიმონ მიხეილის ძე ბუდიონის, ამხანაგო არმიის გენერალო.

— სად არის სიმონ მიხეილის ძე?

— რაიაღმასკომის შენობაში.

— დიდი ხანია აქა ხართ?

— სამი საათია ვდგავართ.

რაიაღმასკომში შესულმა დავინახე, რომ ს. მ. ბუდიონი რუკას ჩაჰკირკიტებდა ღრმად ჩაფიქრებული.

გულთბილად მივესალმეთ ერთმანეთს. ჩანდა, ბევრი რამ გადაეტანა ამ მძიმე დღეებში სიმონ მიხეილის ძეს.

— საიდან გაჩნდი? — მკითხა მან.

— კონევისგან მოვდივარ.

— როგორია აქვს მას საქმე? ორ დღე-ღამეზე მეტია მასთან არავითარი კავშირი არა მაქვს. გუშინ 43-ე არმიის შტაბში ვიყავი, ფრონტის შტაბს კი ჩემი არყოფნისას იდგილი გამოუცვლია და ახლა არ ვიცი, სად არის გაჩერებული.

— მე იგი ვიპოვე მოსკოვიდან 105 კილომეტრზე, ტყეში მარცხნივ, მდინარე პროტვაზე ოკინიგზის ხიდს გაღმა. იქ გელოდებიან დასავლეთის ფრონტზე, სამწუხაროდ, ძალების ნაშენელოვანი ნაწილი გარემოცვაში მოჰყვა.

— არც ჩვენთან არის უკეთ საქმე, — თქვა ს. მ. ბუდიონიმ, — 24-ე და 32-ე არმიებს გზა მოკრილი აქვთ. გუშინ მეც კინაღამ ტყვედ ჩავვარდი იუხნოვსა და ვიაზმას შორის. ვიაზმის მხარეს დიდი სატანკო და მოტორიზებული კოლონები მიემართებოდნენ, ალბათ, აღმოსავლეთიდან ქალაქის შემოსავლელად.

— ვის ხელშია იუხნოვი?

— ახლა არ ვიცი. მდინარე უგრზე ორ ქვეით პოლკამდე იდგა, მაგრამ უარტილერიოდ. ვფიქრობ, იუხნოვი ბატრის ხელშია.

— მაშ ვინღა იცავს ბ.ხას იუხნოვიდან მალოიაროსლავეცისაკენ?

— აქეთ რომ მოვდიოდი, არავინ შემხვედრია, გარდა სამი მილიციონერისა მედინში. ადგილობრივი ხელისუფლები მედინიდან წავიდნენ.

— გაემგზავრე ფრონტის შტაბში, — ვუთხარი სიმონ მიხეილის ძეს, — გაერკვიე არსებულ მდგომარეობაში და დაუყოვნებლივ მოახსენე ყოველივე მთავარბანაკს. მე კი იუხნოვის რაიონში წავალ. მოახსენე უმაღლეს მთავარსარდალს ჩვენი შეხვედრის შესახებ და უთხარი, რომ მე კალუგაში წავედი. უნდა გავიგო, რა ხდება იქ.

მედინში მართლაც არავინ შეგვხვედრია სულიერი, მხოლოდ ერთ მოხუც ქალს წავაწყდით, რომელიც დაბომბილი სახლის ნანგრევებში რაღაცას ეძებდა.

— რას ეძებთ. ბებო. აქ? — ვკითხე მე.

მან თავი ასწია. უაზროდ მიცქერდნენ ფართოდ გახელილი, ამღვრეული თვალები.

—რა მოგივიდათ, ბებო?

მას არაფერი უპასუხნია და კვლავ ნანგრევებში ჩიჩქნა განაგრძო. საიდანღაც, ნანგრევებს იქედან მეორე ქალი გამოჩნდა, ტომარა მოჰქონდა, ნახევრად სავსე რაღაც ნივთებით.

— ნუ ეკითხებით. მწუხარებამ ჭკუაზე შეშალა იგი. გუშინწინ გერ-

მანელთა თვითმფრინავები დაგვესხნენ თავს. დაბომბეს და ტყვიით დაცხრილეს ქალაქი. ეს ქალი თავის შვილიშვილებთან ერთად ცხოვრობდა აქ, ამ სახლში. თავდასხმის დროს წყალს იღებდა ჭიდან, და მის თვალწინ ყუმბარა დაეცა სახლს. ბავშვები დაიღუპნენ. ჩვენი სახლიც დანგრეულია. სასწრაფოდ უნდა გავეცალო აქაურობას, და აი ვეძებ, იქნებ ნანგრევებს ქვეშ ფეხსაცმლის ან ტანსაცმლის მსგავსი ვიპოვო რაიმე.

ლოყებზე ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ცრემლები.

გულდამძიმებულმა განვაგრძე გზა იუხნოვისაკენ. დროდადრო მანქანას ვაჩერებდით და ყურადღებით ვათვალიერებდით გარემოს, გვეშინოდა მტრის განლაგებაში არ მოვხვედრილიყავით.

10—12 კილომეტრის შემდეგ უეცრად ტყეში შეიარაღებულმა ჯარისკაცებმა გაგვაჩერეს, რომლებსაც კომბინეზონები ეცვათ და ტანკისტთა მუზარადები ეხურათ. ერთი მათგანი მანქანასთან მოვიდა.

— ამის იქით წასვლა არ შეიძლება, — თქვა ჭან. — ვინა ხართ?

ვუთხარი, ვინც ვიყავი, და ჩემი მხრივ ვკითხე, სად არის თქვენი ნაწილი-მეთქი.

აქვე ტყეში, აქედან 100 მეტრზე, სატანკო ბრიგადის შტაბი დგას.

— ძალიან კარგი. მიმიყვანეთ ბრიგადის შტაბში.

გამიხარდა, რომ აქ სატანკო ბრიგადა აღმოჩნდა. ჩემს შესახვედრად წამოდგა ლეიტენანტ-კომბინეზონიანი, დაბალი ტანის, წელში გამართული ტანკისტი. ქუდზე სათვალეები ეკეთა. მაშინვე მომეჩვენა, რომ ეს კაცი სადღაც მენახა.

— მოგახსენებთ მთავარბანაკის (რეზერვის) სატანკო ბრიგადის მეთაური პოლკოვნიკი ტროიცკი.

— ტროიცკი! არ ველოდი, რომ აქ შეგხვდებოდით!

ი. ი. ტროიცკი ხალხინ-გოლიდან დამამახსოვრდა, სადაც იგი 1939 წელს მე-11 სატანკო ბრიგადის შტაბის უფროსი იყო. ეს ბრიგადა იაპონელთა რისხვას წარმოადგენდა.

— არც მე ვფიქრობდი, ამხანაგო არმიის გენერალო, — თქვა ი. ი. ტროიცკიმ. — ვიცოდი, რომ თქვენ ლენინგრადის ფრონტს სარდლობთ, იქიდან რომ დაბრუნდით, ეს კი არ გამიგონია.

— აბა, რა ხდება თქვენთან, მომახსენეთ. პირველ ყოვლისა, სად არის მოწინააღმდეგე?

პოლკოვნიკმა ი. ი. ტროიცკიმ მიიმბო:

— იუხნოვი მოწინააღმდეგეს უკავია. მათმა მეწინავე ნაწილებმა ხელთ იგდეს ხიდი მდინარე უგრზე. მზვერავები კალუგაში გავგზავნე. ქალაქში მოწინააღმდეგე ჯერ არ არის, მაგრამ კალუგის რაიონში გაფორებული ბრძოლები წარმოებს. იქ მოქმედებენ მე-5 მსროლელი დივი-

ზია და 43-ე არმიის ზოგიერთი უკანდახეული ნაწილი. ჩემდამი რწმუნებული ბრიგადა მთავარბანაკის რეზერვში იმყოფება. მეორე დღეა აქ ვდგავარ და არავითარი მითითება არ მიმიღია.

— გაგზავნეთ მეკავშირე ოფიცერი სარეზერვო ფრონტის შტაბში, მცირე სადგურ ობნინსკოეს რაიონში, მდინარე პროტვას გაღმა. აცნობეთ ს. მ. ბუდიონს არსებული ვითარება. გაშალეთ ბრიგადის ნაწილი მედინის მიმართულების დასაცავად. სარეზერვო ფრონტის შტაბის მეშვეობით აცნობეთ გენერალურ შტაბს ჩემგან მიღებული ბრძანებები და უთხარით, რომ მე წავედი კალუგაში, მე-5 მსროლელ დივიზიაში.

უფრო გვიან ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ხიდი მდინარე უგრზე გერმანელებმა მხოლოდ მას შემდეგ დაიკავეს, როცა იგი უკვე ააფეთქა დასავლეთის ფრონტის საპარაშუტო-სადესანტო სამსახურის უფროსის მაიორ ი. გ. სტარჩაკის რაზმმა.

400 კაცისაგან შემდგარი ეს რაზმი შეიქმნა 4 ოქტომბერს ი. გ. სტარჩაკის პირადი ინიციატივით. იგი იმ მესაზღვრეებისაგან დაკომპლექტდა, რომლებიც მტრის ზურგში მოქმედებისათვის ემზადებოდნენ.

ხიდის აფეთქების შემდეგ ი. გ. სტარჩაკის რაზმმა დაიკავა თავდაცვის ზღუდე მდინარე უგრის გასწვრივ. მალე მას შეუერთდა პოდოლსკის სამხედრო სასწავლებლების კურსანტთა რაზმი, რომელსაც უფროსი ლეიტენანტი ლ. ა. მამჩიკი და კაპიტანი ი. ს. როსიკოვი მეთაურობდნენ. ამ რაზმებმა არნახული გმირობა გამოიჩინეს, წარმატებით მოიგერიეს მტრის ჯარების არაერთი შეტევა, არ მისცეს მათ მდინარე უგრის გადალახვისა და მედინისაკენ გაჭრის საშუალება.

ხუთი დღის გააფთრებული ბრძოლების შედეგად ცოტანიღა დარჩნენ ცოცხლები, მაგრამ გმირული თავგანწირვით მათ ჩაფუშეს მალოიაროსლავეცის სწრაფად აღების მტრის გეგმა და ამით დაეხმარნენ ჩვენს ჯარებს მოსკოვის მისადგომებთან თავდაცვის მოწყობისათვის საჭირო დროის მოგებაში.

კალუგის რაიონში მეკავშირე ოფიცერმა მომძებნა და გენერალური შტაბის უფროსის ტელეფონოგრამა გადმომცა: უმაღლესი მთავარსარდალი 10 ოქტომბერს დასავლეთის ფრონტის შტაბში მისვლას მიბრძანებდა.

იმ დღეებში იქ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის კომისია მუშაობდა.

მივედი თუ არა შტაბში, რომელიც კრასნოვიდოვში იდგა, ტელეფონთან გამომიძახეს. რეკავდა ი. ბ. სტალინი.

— მთავარბანაკმა გადაწყვიტა თქვენი დანიშვნა დასავლეთის

ფრონტის სარდლად. კონევი თქვენს მოადგილედ დარჩება. საწინააღმ-
დეგო ხომ არაფერი გაქვთ?

— არა, რა უნდა მქონდეს საწინააღმდეგო! ვფიქრობ, კონევს უნდა
დაევალოს ჯარების ჯგუფის ხელმძღვანელობა კალინინის მიმართუ-
ლებით. ეს მიმართულება მეტისმეტად შორს მდებარეობს და იქ სა-
ჭიროა ფრონტის დამხმარე მმართველობა გექონდეს.

— კეთილი, — დამეთანხმა ი. ბ. სტალინი. — თქვენს განკარგუ-
ლებაში გადმოდის სარეზერვო ფრონტის დარჩენილი ნაწილები და
მოჟაისკის ხაზზე განლაგებული შენაერთები. ახლავე აიღეთ ხელში
მთელი ხელმძღვანელობა და იმოქმედეთ.

— ვიწყებ მითითებების შესრულებას, მაგრამ გთხოვთ სწრაფად
მოუყაროთ თავი უფრო მსხვილ რეზერვებს, რადგან უახლოეს ხანებში
მოსალოდნელია მოსკოვზე ჰიტლერელთა შეტევის გაძლიერება.

ი. ს. კონევთან ერთად განვიხილე არსებული მდგომარეობა. ჩვენ
პირველ ყოვლისა გადავწყვიტეთ ფრონტის შტაბის ალაბინოში გადა-
ტანა; ი. ს. კონევს თან უნდა წაეღო მართვის აუცილებელი საშუალე-
ბანი, წაეყვანა მეთაურთა ჯგუფი და გადასულიყო კალინინის მი-
მართულებაზე — იქ ჯარების ჯგუფის მოქმედებათა კოორდინირების
მიზნით; ფრონტის სამხედრო საბჭო უნდა წასულიყო მოჟაისკში —
მოჟაისკის გამაგრებული რაიონის კომენდანტთან პოლკოვნიკ ს. ი. ბოგ-
დანოვთან, რათა ადგილზე გაერკვია ამ მიმართულებით შექმნილი
ვითარება.

ფრონტის შტაბი ალაბინოსაკენ დაიძრა, ჩვენ კი სამხედრო
საბჭოს წევრ ნ. ა. ბულგანინთან ერთად ორი საათის შემდეგ მოჟაისკში
ვიყავით. ქალაქში ისმოდა საარტილერიო კანონადისა და საავიაციო
უუმბარების აფეთქების ხმა. ს. ი. ბოგდანოვმა მოგვახსენა, პოროდი-
ნოს მისადგომებზე მოწინააღმდეგის მეწინავე მოტორიზებულ და სა-
ტანკო ნაწილებთან მძიმე ბრძოლებს ეწევა 32-ე მსროლელი დივი-
ზია, რომელიც არტილერიითა და ტანკებითაა გაძლიერებულია; მას
მეთაურობს პოლკოვნიკი ვ. ი. პოლოსუხინი, მეტად გამოცდილი მე-
თაური; შეგიძლიათ გქონდეთ ამ დივიზიის იმედი.

ს. ი. ბოგდანოვს საჭირო მითითებები მივეცით და ჩვენ ფრონტის
შტაბში წავედით.

ფრონტის შტაბი დროებით საბანაკო სახლებში განლაგდა და დაუ-
ყოვნებლივ შეუდგა ორგანიზაციულ-ოპერატიულ საქმიანობას; წინ
ძალზე დიდი მუშაობა გველოდა.

საჭირო იყო მტკიცე თავდაცვის სწრაფად მოწყობა ვოლოკო-
ლამსკ-მოჟაისკ-მალოიაროსლავეც-კალუგის ზღუდეზე, თავდაცვის გან-
ვითარება სიღრმეში, ფრონტის მეორე ეშელონებისა და რეზერვების
შექმნა, რათა შესაძლებლობა გვქონოდა, მოგვეხდინა ძალთა მანევრი-

რება თავდაცვის სუსტი უბნების გასამაგრებლად. აუცილებელი იყო ქვეითი და საჰაერო დაზვერვის ორგანიზება, ფრონტის ჯარების მტკიცე მართვის უზრუნველყოფა, ჯარების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მოწესრიგება და, რაც მთავარია, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ფართოდ გაშლა, მებრძოლთა მორალური მდგომარეობის ამაღლება, საკუთარი ძალებისადმი, მოსკოვის მისადგომებთან მოწინააღმდეგის განადგურების გარდუვალობისადმი მათი რწმენის განმტკიცება.

დღითა და ღამით წარმოებდა დაძაბული მუშაობა ჯარებში. დაღლილობისა და უძილობისაგან ადამიანები ფეხზე ვეღარ დგებოდნენ, მაგრამ მოსკოვის ბედისათვის, სამშობლოს ბედისათვის პირადი პასუხისმგებლობის გრძნობით აღვსილნი, პარტიის მითითებითა და ხელმძღვანელობით, ისინი კოლოსალურ მუშაობას ეწეოდნენ მოსკოვის მისადგომებთან ფრონტის ჯარების მტკიცე, ურყევი თავდაცვის შესაქმნელად.

1941 წლის ზაფხულში და შემოდგომაზე პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა და უმაღლესმა მთავარსარდლობამ მთელი რიგი დიდი ღონისძიებები განახორციელეს დედაქალაქის თავდაცვის განსამტკიცებლად, ჯარის მნიშვნელოვანი რეზერვების შესაქმნელად, ახალი ნაწილებითა და შენაერთებით, საომარი ტექნიკითა და მასალით მოქმედი არმიის შესავსებად. ახლა მტრის შესაჩერებლად დამატებითი ზომები იქნა მიღებული.

ჯერ კიდევ 7 ოქტომბერს ღამით დაიწყო ჯარების გადმოყვანა მთავარბანაკის რეზერვიდან და მეზობელი ფრონტებიდან მოჟაისკის თავდაცვით ხაზზე. აქეთ მოემართებოდნენ 14 მსროლელი დივიზია, 16 სატანკო ბრიგადა, 40-ზე მეტი საარტილერიო პოლკი და მთელი რიგი სხვა ნაწილები. ხელახლა ხდებოდა მე-16, მე-5, 43-ე და 49-ე არმიების ფორმირება. ოქტომბრის შუა რიცხვებში მათ შემადგენლობაში ითვლებოდა 90 ათასი კაცი. რა თქმა უნდა, ერთიანი საომედო თავდაცვის შესაქმნელად ეს ჯარები აშკარად არასაკმარისი იყო. მაგრამ მეტი შესაძლებლობა მთავარბანაკს მაშინ არ ჰქონდა, ხოლო ჯარების გადმოყვანა შორეული აღმოსავლეთიდან და სხვა შორეული რაიონებიდან მთელი რიგი მიზეზების გამო ფერხდებოდა. ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ, პირველ რიგში უმთავრესი მიმართულებები დაგვეკავებინა: ვოლოკოლამსკისა, მოჟაისკისა, მალოიაროსლავეცისა, კალუგისა. ამ მიმართულებებზე ხდებოდა ძირითადი საარტილერიო და ტანკსაწინააღმდეგო საშუალებათა თავმოყრაც.

ვოლოკამსკის მიმართულებით ჩვენ გავგზავნეთ მე-16 არმიის შტაბი და სარდლობა კ. კ. როკოსოვსკის, ა. ა. ლობაჩევისა და მ. ს. მალინინის მეთაურობით. მე-16 არმიის შემადგენლობაში შეუვანილ იქნენ ახალი შენაერთები, რადგან მე-20 არმიისათვის გადაცემული მისი

დივიზიები გარშემორტყმული აღმოჩნდნენ ვიაზმის დასავლეთით. მე-5 არმია გენერალ-მაიორ დ. დ. ლელიუშენკოს სარდლობით (მისი დაჭრის შემდეგ არმიას გენერალი ლ. ა. გოვოროვი სარდლობდა) ჯგუფდებოდა მოჟაისკის მიმართულებით, 43-ე არმია გენერალ-მაიორ კ. დ. გოლუბევის სარდლობით — მალოიაროსლავეცის მიმართულებით, 49-ე არმია გენერალ-ლეიტენანტ ი. გ. ზახარკინის სარდლობით — კალუგის მიმართულებით.

ყველა ამ სარდალს კარგად ვიცნობდით როგორც გამოცდილ მხედართუფროსებს და სავსებით ვენდობოდით. ვიცოდით, რომ ისინი მათდამი რწმუნებულ ჯარებთან ერთად ყველაფერს გააკეთებდნენ იმისათვის, რომ მტერი მოსკოვისაკენ არ გაეშვათ.

მე აქვე უნდა აღვნიშნო ფრონტის შტაბის ზუსტი მუშაობა, რომელსაც სათავეში ედგნენ მისი უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ვ. დ. სოკოლოვსკი და ოპერატიული განყოფილების უფროსი გენერალ-ლეიტენანტი გ. კ. მალანდინი, აგრეთვე ის ენერგიული ღონისძიებები ფრონტის კავშირგაბმულობის ჯარების უფროსი გენერალ-მაიორი ნ. დ. პსურცევი რომ ახორციელებდა ფრონტის ჯარებთან მყარი კავშირის უზრუნველსაყოფად.

დასავლეთის ფრონტის პირველი ეშელონის ჯარების ზურგში დიდი საინჟინრო-სასანგრო სამუშაოები ტარდებოდა თავდაცვის სიღრმეში განსაკუთრებლად, ტანკების მხრივ საშიში ყველა მიმართულებით შენდებოდა ტანკსაწინააღმდეგო რაიონები. ძირითადი მიმართულებებით ხდებოდა ფრონტის რეზერვების თავმოყრა.

მალე ფრონტის შტაბი პერხუშკოვოში გადავიდა. აქედან ყველა მხარეს დაიქსელა ფრონტის ქვეით და საჰაერო ძალებთან დამაკავშირებელი სატელეფონო-სატელეგრაფო მავთულები. აქ გამოიყვანეს მავთულები უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკიდან.

ამრიგად, არსებითად ხელახლა იქმნებოდა დასავლეთის ფრონტი, რომელსაც ეკისრებოდა ისტორიული მისია — მოსკოვის დაცვა.

პარტიამ თავისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით უდიდესი მუშაობა გაშალა შექმნილი მძიმე მდგომარეობის განსამარტავად. იმ უშუალო საფრთხის განსამარტავად, რომელიც მოსკოვს დაემუქრა. ცენტრალურმა კომიტეტმა მოუწოდა საბჭოთა ხალხს ღირსეულად მოეხადა თავისი ვალი სამშობლოს წინაშე, არ გაეშვა მტერი მოსკოვისაკენ.

მოწინააღმდეგის ჯარების ზურგში, ვიაზმის დასავლეთით მდებარე რაიონში, ამ დროს ჯერ კიდევ გმირულად იბრძოდნენ ჩვენი გარშემორტყმული ჯარები, რომლებიც ცდილობდნენ მტრის რკალის გარღვევას და გზის გაკაფვას წითელი არმიის ნაწილებთან შესაერთებლად. მაგრამ გარემოცვიდან თავის დაღწევის მათი ყველა ცდა უშედეგო აღ-

მოჩნდა. ფრონტის სარდლობა და მთავარბანაკი ეხმარებოდნენ გარშემორტყმულ ჯარებს გერმანელთა საბრძოლო რიგების საჰაერო დაბომბვით, თვითმფრინავებიდან უყრიდნენ სურსათსა და საომარ მასალას. უფრო მეტის გაკეთება მათთვის ფრონტსა და მთავარბანაკს მაშინ არ შეეძლოთ, რადგან საამისოდ არ გააჩნდათ არც ძალები და არც საშუალებები.

მოწინააღმდეგის ზურგში რომ აღმოჩნდნენ, ჩვენმა ჯარებმა როდი დაკარგეს იარაღი, არამედ ვაჟკაცურად განაგრძობდნენ ბრძოლას, ბოკავდნენ გერმანელთა მთავარ ძალებს, არ აძლევდნენ მათ მოსკოვზე შეტევის განვითარების შესაძლებლობას.

ორჯერ — 10 და 12 ოქტომბერს — ჩვენ რადიოთი გადაეცით ალყაში მყოფი ჯარების არმიათა სარდლებს დეპეშები, რომლებშიც მოცემული იყო მოკლე ინფორმაცია მოწინააღმდეგის შესახებ და დასახული იყო გარემოცვის რკალის გარღვევის ამოცანა; გარღვევის ოპერაციის საერთო ხელმძღვანელობა მე-19 არმიის სარდალს გენერალ მ. თ. ლუკინს ევალებოდა. მათ წინადადება მივეცით დაუყოვნებლივ ეცნობებინათ გარემოცვიდან გამოსვლის გეგმა და ჯარების დაჯგუფება, აგრეთვე ის, თუ რომელ უბანზე იქნებოდა საჭირო ფრონტისათვის ავიაციით დახმარება. მაგრამ არც ერთ დეპეშაზე პასუხი არ მიგვიღია: ალბათ, ისინი გარშემორტყმულებს დაგვიანებით მიუვიდათ. როგორც ჩანს, ჯარების მართვა უკვე მოშლილი იყო და ისინი მხოლოდ ცალკეულ ჯგუფებად თუ ახერხებდნენ ალყიდან გამოსვლას.

აი, რა მიამბო შემდეგ 45-ე საკავალერიო დივიზიის ყოფილმა მეთაურმა ანდრეი ტროფიმეს ძე სტუჩენკომ:

— როცა დივიზიების ნაშთებით ალყის გარღვევას ეცდილობდით და ფრონტთან შესაერთებლად ვიკაფავდით გზას, ჩვენ ყველგან, სადაც კი ეს შესაძლებელი იყო, ვსპობდით ჰიტლერელებს, რომლებიც, საბოლოოდ, მრავალი ათასი გავქლიტეთ. ოქტომბრის შუა რიცხვებში არ ყოფილა ისეთი დღე, მტერთან უსასტიკესი შეტაკებები რომ არ გვქონოდა. ამ ბრძოლებში დაიღუპა ბევრი შესანიშნავი ჯარისკაცი, მეთაური და პოლიტმუშაკი.

დიდი მღელვარებით მიყვებოდა ანდრეი ტროფიმეს ძე გმირულად დაღუპულ დივიზიის კომისარ ა. გ. პოლეხინზე, რომელმაც, სასიკვდილო საფრთხის მიუხედავად, თვითონ იკისრა დაზვერვის მეთაურობა.

— მიუხედავად იმისა, რომ დივიზიის უმეტესი ნაწილი დაიღუპა, ცოცხლად დარჩენილები ცხოვრობდნენ და იბრძოდნენ ერთი მისწრაფებით: რაც შეიძლება მალე შეერთებოდნენ ფრონტის ჯარებს და მათთან ერთად დაეცვათ მოსკოვი. და მართლაც, უბედნიერესი იყო ეს დღე, როცა ჩვენ თავი დავაღწიეთ გარემოცვას და ფრონტის ჯა-

რების რიგებში ჩავდექით, რათა უკუგვეგდო გათავხედებული მტერი...

იმ შეუპოვრობისა და სიმტკიცის წყალობით, რასაც მტერთან ბრძოლაში იჩენდნენ ვიაზმის რაიონში გარშემორტყმული ჩვენი ჯარები, მოვიგეთ მოჟაისკის ხაზზე თავდაცვის მოწყობისათვის საჭირო ძვირფასი დრო. ალყაში მყოფი დაჯგუფების ჯარების მიერ გაღებულ სისხლსა და მსხვერპლს ამაოდ არ ჩაუვლია. გმირობა ვიაზმასთან თავგანწირვით მებრძოლი საბჭოთა მეომრებისა, რომლებმაც უდიდესი წვლილი შეიტანეს მოსკოვის დაცვის საქმეში, ჯერ კიდევ ელის თავის აღწერას.

13 ოქტომბრიდან გააფთრებული ბრძოლები გაჩაღდა მოსკოვისაკენ მიმავალი ოპერატიულად მნიშვნელოვანი ყველა მიმართულებით.

ეს იყო მრისხანე დღეები.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა მიიღეს გადაწყვეტილება — სწრაფად მოეხდინათ ცენტრალურ დაწესებულებათა ნაწილისა და მთელი დიპლომატიური კორპუსის ევაკუაცია მოსკოვიდან კუიბიშევში, აგრეთვე გაეტანათ დედაქალაქიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო ფასეულობანი.

დღითი დღე ძლიერდებოდა მოსკოვის დაბომბვა. საჰაერო განგაშები თითქმის ყოველ ღამეს ცხადდებოდა. მაგრამ ამ დროისათვის პარტიას უკვე დიდი მუშაობა ჰქონდა ჩატარებული ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის განსამტკიცებლად. მთავრობისა და თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ივლისის დადგენილებების განსახორციელებლად მილიონობით მოქალაქე აქტიურად სწავლობდა საჰაერო დაცვის საქმეს და ცეცხლგამჩენი ბომბებისა უკვე აღარ ეშინოდათ მოსკოველებს.

უმაღლესმა მთავარსარდლობამ მოსკოვის რაიონში თავი მოუყარა მის დაქვემდებარებაში მყოფი გამანადგურებელი, მოიერიშე და ბომბდამშენი ავიაციის შემოდგომაზე შექმნილ დიდ ჯგუფებს.

20 ოქტომბრიდან მოსკოვში და მის მომიჯნავე რაიონებში თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებით შემოღებულ იქნა საალყო მდგომარეობა. დედაქალაქის დამცველ ყველა ჯარში უმკაცრესი წესრიგი დამყარდა. დისციპლინის ყოველი სერიოზული დარღვევის წინააღმდეგ გადამჭრელ ზომებს იღებდნენ. მოსკოვის მცხოვრებლებმა საკადრისი პასუხი გასცეს მტრის ხელშემწყობთ — პანიკიორებს.

ვაჟკაცურად შეხვდა საბჭოთა დედაქალაქი კარზე მომდგარ საფრთხეს. მშობლიური მოსკოვის დაცვისა და მტრის განადგურების შესახებ პარტიის ცენტრალური და მოსკოვის კომიტეტების მგზნებარე მოწოდებები გასაგები იყო ყოველი მოსკოველისათვის, ყოველი

მეომრისათვის, ყველა საბჭოთა ადამიანისათვის. ამ მოწოდებებმა ღრმა ჯამოძახილი პოვეს მათ გულში. მოსკოველებმა მიუვალ ციხე-სიმაგრედ აქციეს დედაქალაქი და მისი მისადგომები. იმ შემთხვევისათვის, თუ მოწინააღმდეგის ნაწილები ქალაქისაკენ გაიჭრებოდნენ, მოსკოვის მშრომელებმა ასობით შექმნეს მებრძოლი რაზმები და ტანკების გამანადგურებელი ჯგუფები. მოსკოვის 100 ათასამდე მცხოვრები გადიოდა საომარ წვრთნას წარმოებისაგან მოუწყვეტლად. მოსკოვისათვის გაჩაღებული ბრძოლების დროს ისინი პირდაპირ ჯარის ნაწილებში ირიცხებოდნენ. გმირულ ეპოპეად იქცა ყოვლისმომცველი საქმიანობა მოსკოვის და მისი ოლქის კომუნისტებისა, რომლებმაც დარაზმეს მშრომელები ვერაგი მტრისაგან დედაქალაქის დასაცავად.

მოსკოველთა ინიციატივით უკვე ომის პირველ დღეებშივე შეიქმნა სახალხო ლაშქრის 12 დივიზია. სამხედრო ორგანოებში და პარტიულ ორგანიზაციებში დაუსრულებლად შედიოდა მოქალაქეთა ათასობით განცხადება თხოვნით — გაეგზავნათ ფრონტზე.

სახალხო ლაშქრის მოხალისეთა დივიზიებში ეწერებოდნენ სრულიად განსხვავებული მშვიდობიანი პროფესიის სპეციალისტები — მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები, მეცნიერები, ხელოვნების მუშაკები. მათ, რა თქმა უნდა, ყოველთვის როდი ჰქონდათ სათანადო სამხედრო ჩვევები. სამხედრო სამსახური ამ ადამიანთათვის უცხო ხილი იყო, და მათ ბევრი რამის შეცნობა, სწავლა და დაუფლება თვით ბრძოლის ქარცეცხლში უხდებოდათ.

მაგრამ იყო რაღაც საერთო, რითაც ყველა მათგანი გამოირჩეოდა, — უმაღლესი პატრიოტიზმი, შეუდრეკელი სიმტკიცე და გამარჯვებისადმი რწმენა. და განა შემთხვევითია, რომ პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მრავალ ქალაქში შექმნილი მოხალისეთა ნაწილებისაგან, მას შემდეგ, რაც მათ საომარი გამოცდილება შეიძინეს, შესანიშნავი მებრძოლი შენაერთები ჩამოყალიბდა.

სახალხო მოლაშქრენი შეადგენდნენ მზვერავთა და მეთხილამურეთა ბევრი სპეციალური ქვეგანაყოფის ბირთვს, აქტიურად მოქმედებდნენ პარტიზანულ რაზმებში. ასეულ ათასობით მოსკოველი დღედაღამ მუშაობდა დედაქალაქის ირგვლივი თავდაცვითი ზღუდეების მშენებლობაზე.

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოწოდების პასუხად მოსკოვისა და სხვა ქალაქების მრავალმა ათასმა კომუნისტმა და კომკავშირელმა მიაშურა ფრონტს როგორც პოლიტმუშაკმა. თავიანთი მაგალითით ისინი ამაღლებდნენ ჯარების ბრძოლისუნარიანობას.

დასავლეთის ფრონტის სამხედრო საბჭომ ოქტომბრის მძიმე დღეებში მიმართა ჯარებს მოწოდებით, რომელშიც ნათქვამი იყო:

„ამხანაგებო! ამ მრისხანე ჟამს, როცა ჩვენი სახელმწიფო საფრთ-

ხეშია, თითოეული მებრძოლის სიცოცხლე სამშობლოს ეკუთვნის. სამშობლო ყოველი ჩვენგანისაგან მოითხოვს ძალების უდიდეს დაძაბვას, სიმამაცეს, გმირობასა და სიმტკიცეს. სამშობლო მოგვიწოდებს ურღვევ კედლად აღვიმართოთ და გზა გადავუღობოთ ფაშისტთა ურდოებს მშობლიური მოსკოვისაკენ. ახლა, ისე როგორც არასდროს, საჭიროა სიფხიზლე, რკინისებური დისციპლინა, ორგანიზებულობა, გამბედაობა მოქმედებაში, გაპარჯვების ურყევი რწმენა და მზადყოფნა თავგანწირვისათვის".

ახლოვდებოდა გადამწყვეტი ამბები.

იმასთან დაკავშირებით, რომ თავდაცვითი ზღუდე ვოლოკოლამსკი-მოჟაისკი-მალოიაროსლავეცი-სერპუხოვი ჯერ კიდევ სუსტ ძალებს ეკავა, ხოლო ზოგან უკვე მტერს ჰქონდა აღებული, ფრონტის სამხედრო საბჭომ, რათა არ დაეშვა გერმანელების გაპრა მოსკოვისაკენ, თავდაცვის ძირითად ზღუდედ აირჩია ხაზი: ნოვო-ზავიდოვსკი-კლინი-ისტრის წყალსაცავი: ისტრა-კრასნაია პახრა-სერპუხოვი-ალექსინი [1].

იმის გამო, რომ ფრონტი დიდ მანძილზე იყო გაჭიმული, აგრეთვე კალინინის დაჯგუფების ჯარების მართვის მხრივ წარმოშობილ სიძნელეთა გამო ფრონტის სამხედრო საბჭოს თხოვნით მთავარბანაკმა 17 ოქტომბერს ბრძანა გამოგვეყო დასავლეთის ფრონტის შემადგენლობიდან 22-ე, 29-ე, 30-ე და 31-ე არმიები და გადაგვეცა ისინი ახლად შექმნილი კალინინის ფრონტის სარდლობისათვის. კალინინის ფრონტის სარდლად დაინიშნა გენერალ-პოლკოვნიკი ი. ს. კონევი, სამხედრო საბჭოს წევრად — კორპუსის კომისარი დ. ს. ლეონოვი, შტაბის ოფიცრად — გენერალ-მაიორი ი. ი. ივანოვი. კალინინის ფრონტის შექმნამ შეამცირა დასავლეთის ფრონტის თავდაცვის ზოლი და გაადვილა ჯარების მართვა.

ბრიანსკის ფრონტი, რომლის სათავეშიც გენერალ-ლეიტენანტი ი. ი. ერიომენკო იდგა, ასევე უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. ფრონტის ჯარების უმრავლესობა გარშემორტყმული აღმოჩნდა და გაპირვებით იკაფავდა გზას აღმოსავლეთისაკენ ვერმრული ბრძოლების შედეგად მათ მაინც შეძლეს 23 ოქტომბერს თავი დაეღწიათ ალყისათვის. გუდერიანის არმიის მეწინავე ნაწილები, რომლებიც ფეხდაფეხ სდევდნენ ბრიანსკის ფრონტის ჯარების ნაშთებს, 29 ოქტომბერს ტულას მიადგნენ.

ქალაქი ტულა 1941 წლის 10 ნოემბრამდე ბრიანსკის ფრონტის ზოლში შედიოდა. ორიოლის აღების შემდეგ გერმანელთა ჯარები ტულისაკენ დაიძრნენ. ამ დროს აქ, გარდა 50-ე არმიის ფორმირების პროცესში მყოფი ზურგის დაწესებულებებისა, არ იყო ჯარები, რომლებიც ქალაქის დაცვას შეძლებდნენ. ოქტომბრის მეორე ნახევარში

[1] Архив МО СССР. ф. 208, оп. 2511, д. 1048.


17.10.41
10.11.41

ტულის რაიონში უკან იხევდა ძლიერ დაზარალებული სამი მსროლელი დივიზია. ამ შენაერთებში ხუთასიდან ათას ხუთასამდე მებრძოლიღა შედიოდა, საარტილერიო პოლკს კი მხოლოდ ოთხიოდე ქვემეხი ჰქონდა. უკანდახეული ნაწილები უკიდურესად გადაღლილი იყვნენ.

ტულის მცხოვრებლებმა დიდი დახმარება გაუწიეს ჩვენს ჯარებს ფორმის ტანსაცმლის სწრაფად შეკერვაში, იარაღისა და საომარი ტექნიკის შეკეთებაში. ისინი ქალაქის პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით დღედაღამ შრომობდნენ, რათა ბრძოლისუნარიანი გაეხადათ ჩვენი ნაწილები.

ქალაქის თავდაცვის კომიტეტმა, რომლის სათავეშიც პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანი ვასილ გაბრიელის ძე ჟავორონკოვი იდგა, მოკლე ვადაში შეძლო ჩამოეყალიბებინა და შეეიარაღებინა მუშათა რაზმები. ბრიანსკის ფრონტის 50-ე არმიის ნაწილებთან ერთად ისინი ვაჟკაცურად იბრძოდნენ ტულის ახლო მისადგომებთან და არ შეუშვეს მტერი ქალაქში.

განსაკუთრებული შეუპოვრობა და სიმამაცე გამოიჩინა აქ ტულის მუშათა პოლკმა, რომელსაც კაპიტანი ა. პ. გორშკოვი და კომისარი გ. ა. აგეევი ედგნენ სათავეში.

ამ პოლკმა ჯარების უკანდახეულ ნაწილებთან ერთად თავდაცვის ზღუდე კოსაია გორის რაიონში დაიკავა. ტულის საბრძოლო უბნის თავდაცვის სარდალმა გენერალმა ვ. ს. პოპოვმა ქალაქის მისადგომებთან გერმანელთა ტანკების წინააღმდეგ საზენიტო პოლკი გამოიყენა. ტულის საბრძოლო უბნის ნაწილები არნახულ სიმამაცეს იჩენდნენ.

ტულის საბრძოლო უბნის დამცველებმა მოიგერიეს გუდერიანის არმიის ნაწილების შეტევა, რომელიც 30 ოქტომბერს დაიწყო, და დიდი ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგეს. გუდერიანი იმედოვნებდა, რომ ტულას ერთი დაკვრით აიღებდა (ისევე, როგორც ორიოლი იქნა აღებული) და სამხრეთიდან შემოუვლიდა მოსკოვს. მაგრამ მან ეს ოქტომბერში ვერ შეძლო.

10 ნოემბერს მთავარბანაკის გადაწყვეტილებით ტულის დაცვა დასავლეთის ფრონტს დაეკისრა. ბრიანსკის ფრონტი დაშალეს. დასავლეთის ფრონტის თავდაცვის ზოლი კვლავ მნიშვნელოვნად გაიზარდა.

თუმცა ძლიერ ცდილობდა მტერი 1941 წლის ნოემბრის განმავლობაში იეღო ტულა და ამით გზა გაეხსნა მოსკოვისაკენ სამხრეთიდან, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია. ქალაქი იდგა, როგორც მიუვალი ციხესიმაგრე. ტულამ ხელ-ფეხი შეუბოჭა გერმანელთა ჯარების მთელი მარჯვენა ფრთის დაჯგუფებას. მაშინ მოწინააღმდეგემ გადაწყვიტა. კვერდი აევლო ტულისათვის, რის გამოც იძულებული გახდა დიდ

ფრონტზე გაეჭიმა თავისი დაჯგუფება. ამან კი ის გამოიწვია, რომ გუდერიანის არმიის ჯარებმა ოპერატიულ-ტაქტიკური სიმჭიდროვე დაკარგეს.

მოსკოვთან გერმანელთა ჯარების განადგურებაში ტულასა და მის მცხოვრებთ თვალსაჩინო როლი ეკუთვნით.

ვფიქრობ, არ არის საჭირო კიდევ ერთხელ მოგითხროთ აქ საომარ მოქმედებათა მთელი მსვლელობის შესახებ, რამდენადაც იგი არაერთხელ დაწვრილებითაა აღწერილი ბევრ ისტორიულ ნაშრომში. კარგადაა ცნობილი მოსკოვთან ოქტომბრის თავდაცვითი ბრძოლების შედეგიც. ერთი თვის გააფთრებული, სისხლისმღვრელი ბრძოლების განმავლობაში გერმანელ ფაშისტთა ჯარებმა საერთო ანგარიშით შეძლეს 230 — 250 კილომეტრით წაეწიათ წინ. თუმცა ჰიტლერელთა სარდლობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა მოსკოვის აღებას ოქტომბრის შუა რიცხვებისათვის, ჩაიფუშა, მტრის ძალები სერიოზულად დასუსტდა, სისხლისაგან დაიცალა, მისი დამკვრელი დაჯგუფებები დიდ ფრონტზე აღმოჩნდა გაჭიმული.

გერმანელთა შეტევა დღითი დღე სულ უფრო კარგავდა ძალას. ოქტომბრის მიწურულისათვის მტერი შეჩერებულ იქნა ფრონტზე: ტურგინოვო—ვოლოკოლამსკი—დოროხოვო—ნარო-ფომინსკი, სერპუხინის, ალექსინის დასავლეთით. კალინინის რაიონში ამ დროისათვის სტაბილური ხდებოდა კალინინის ფრონტის ჯარების თავდაცვა.

შეუძლებელია ჩამოთვლა იმ გმირთა სახელებისა, რომლებმაც თავი გამოიჩინეს 1941 წლის ოქტომბერში დედაქალაქის დაცვის დროს. სამშობლოსათვის გმირული თავდადებით საბრძოლო დიდება მოიხვეჭეს არა მარტო ცალკეულმა ჩვენმა მეომრებმა, არამედ მთელმა შენაერთებმა. ასეთი ნაწილები და შენაერთები ყოველ საბრძოლო უბანზე იყვნენ.

ვოლოკოლამსკის მიმართულებით, სადაც მტრის მე-5 საარმიო კორპუსი, ხოლო შემდეგ კიდევ ორი მოტორიზებული კორპუსი უტევდა, მტკიცედ იცავდნენ თავს გამაგრებული რაიონების ქვეგანაყოფები. აქ გერმანელებს შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდნენ ახლად შექმნილი მე-16 არმიის ნაწილები. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი გენერალ-მაიორ ი. ვ. პანფილოვის მსროლელმა დივიზიამ, რომელიც მე-8 გვარდიულ დივიზიად გადაკეთდა. აქვე გმირულად იბრძოდა კურსანტთა პოლკი პოლკოვნიკ ი. ს. მლადენცევის მეთაურობით. მის მოქმედებას მხარს უჭერდა სამი ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკი.

მოჟაისკის მიმართულებით მტრის მე-40 მოტოკორპუსის წინააღმდეგ, რომელსაც ტანკებისა და ავიაციის დიდი ჯგუფი უჭერდა მხარს, განსაკუთრებით შეუპოვრად იბრძოდა პოლკოვნიკ ვ. ი. პოლოსუხინის

32-ე მსროლელი დივიზია. ნაპოლეონის ლაშქრობიდან თითქმის 130 წლის შემდეგ ამ დივიზიას წილად ხვდა იარაღით ხელში შებმოდა მტერს ბოროდინოს ველზე — სწორედ იმ ველზე, რომელიც უკვე დიდი ხანია ჩვენს ეროვნულ წმიდათაწმიდა ადგილად იქცა, რუსეთის მხედრული დიდების უკვდავი ძეგლი გახდა. 32-ე მსროლელი დივიზიის მებრძოლებმა როდი შელახეს ეს დიდება, არამედ კიდევ უფრო გაამრავლეს იგი.

მალოიაროსლავეცის მიმართულებით უტევდნენ მოწინააღმდეგის მე-12 საარმიო და 57-ე მოტორიზებული კორპუსების ნაწილები. მალოიაროსლავეცის მისადგომებთან გმირულად იბრძოდნენ პოლკოვნიკ ა. თ. ნაუმოვის 312-ე მსროლელი დივიზიის ნაწილები და პოდოლსკის ქვეითი ჯარისა და საარტილერიო სასწავლებელთა კურსანტები. მედინის რაიონში თავგანწირულად იდგნენ პოლკოვნიკ ი. ი. ტროიცკის ტანკისტები, რომელზეც ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ. რუსეთის ძველ ქალაქ ბოროვსკისთან თავიანთ საბრძოლო დროშებს სახელი გაუთქვეს 110-ე მსროლელი დივიზიისა და 151-ე მოტომსროლელი ბრიგადის ჯარისკაცებმა და მეთაურებმა. მათ მხარდამხარ მედგრად იგერიებდნენ მტრის შეტევას 127-ე სატანკო ბატალიონის ტანკისტები. დიდი დანაკარგების ფასად მოწინააღმდეგემ დაახევინა ჩვენს ნაწილებს მდინარე პროტვისაკენ, ხოლო შემდეგ მდინარე ნარისაკენ, მაგრამ ამას იქით გაჭრა მან ვერ შეძლო.

როდესაც ჩვენ საგმირო საქმეებზე ვლაპარაკობთ, მარტოოდენ ჩვენს სახელოვან მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს როდი ვგულისხმობთ. ფრონტზე ოქტომბერში, შემდეგ კი მომდევნო ბრძოლებში მოპოვებული წარმატებანი შესაძლებელი გახადა საბჭოთა ჯარების, დედაქალაქისა და მოსკოვის ოლქის კომუნისტების, მშრომელების ერთიანობამ და საერთო ტონისძიებებმა, ჩვენი ქვეყნის მთელი ხალხის ერთსულოვანმა მხარდაჭერამ.

ამ მძიმე დროს მთავარბანაკმა გააძლიერა დასავლეთის ფრონტი 33-ე არმიით. რომელსაც გენერალ-ლეიტენანტი მ. გ. ეფრემოვი მეთაურობდა. ამ შენაერთმა დაიკავა თავდაცვის ხაზი ნარო-ფომინსკის რაიონში, მე-5 და 43-ე არმიებს შორის არსებულ შუალედში. ნარო-ფომინსკის სამხრეთით, მდინარე ნარის აღმოსავლეთ ნაპირზე, თავდაცვის ხაზი დაიკავა 43-ე არმიამ, სერპუხოვის დასავლეთითა და ტარუსას, ალექსინის აღმოსავლეთით მდებარე ზღუდეზე — 49-ე არმიამ.

ფრონტის ჯარები გამაგრდნენ ამ ზღუდეებზე მტკიცე გადაწყვეტილებით: სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაემართათ მოწინააღმდეგისათვის. დასავლეთის ფრონტის მეომრებმა ბევრი რამ ისწავლეს ოქტომბრის ბრძოლების სამი კვირის განმავლობაში. ჯარებში ტარდებოდა დიდი აღმზრდელობითი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, რომელ-

საც საფუძვლად ედო მტრის განადგურების საუკეთესო საშუალებების, ინდივიდუალური და მასობრივი გმირობის, ნაწილთა საბრძოლო მამაცობის პოპულარიზაცია.

განსაკუთრებით მინდა ხაზი გავესვა იმ დიდ მუშაობას, რომელიც გასწია ჯარებში პოლიტიკური მუშაობის მოწერისგებისათვის დასავლეთის ფრონტის პოლიტიკური სამმართველოს უფროსმა, შესანიშნავმა კომუნისტმა და უშიშარმა მებრძოლმა, დივიზიონის კომისარმა დ. ა. ლესტევმა. ძისი დაღუპვის შემდეგ 1941 წლის ნოემბერში ფრონტის პოლიტსამმართველოს სათავეში ჩაუდგა ვ. ე. მაკაროვი, რომელმაც ასევე ცოტა როდი გააკეთა ჯარებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შემდგომი გაძლიერებისათვის.

1941 წლის 1 ნოემბერს მე მთავარბანაკში გამოვიძახეს. ი. ბ. სტალინმა მითხრა:

— ჩვენ გვინდა ოქტომბრის წლისთავთან დაკავშირებით მოსკოვში, გარდა საზეიმო სხდომისა, ჯარების პარადიც ჩავატაროთ. როგორ ფიქრობთ თქვენ, ფრონტზე არსებული ვითარება მოგვცემს ამ ზეიმის ჩატარების საშუალებას?

მე ვუპასუხე:

— უახლოეს დღეებში მტერი არ დაიწყებს დიდ შეტევას. წინა ბრძოლებში მან სერიოზული დანაკლისი განიცადა და იძულებულია შეავსოს და გადააჯგუფოს ჯარები. ჯეროვანი პასუხი რომ გავცეთ მტრის ავიაციას, რომელიც უეჭველად იმოქმედებს, წინადადებას ვიძლევი, გავაძლიეროთ საჰაერო თავდაცვა, თავი მოვუყაროთ მოსკოვთან ჩვენს გამანადგურებელ ავიაციას, გადმოვიყვანოთ იგი მეზობელი ფრონტებიდან.

როგორც ცნობილია, დღესასწაულის წინადღეს დედაქალაქში, მეტროს სადგურ „მაიაკოვსკაიას" ვესტიბიულში, ჩატარდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 24-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა, ხოლო 7 ნოემბერს წითელ მოედანზე გაიმართა ტრადიციული სამხედრო პარადი. მებრძოლები პირდაპირ წითელი მოედნიდან მიდიოდნენ ფრონტზე.

ამ მოვლენამ უდიდესი როლი შეასრულა არმიის, საბჭოთა ხალხის მორალური სულისკვეთების განმტკიცებაში, მას დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა. ი. ბ. სტალინის გამოსვლებში კვლავ გაისმა პარტიისა და მთავრობის ღრმა რწმენა გამარჯვებისადმი, დამპყრობთა გარდუვალი განადგურებისადმი.

ამასობაში საშიშ უბნებზე შენდებოდა ღრმად ეშელონირებული ტანკსაწინააღმდეგო თავდაცვა, იქმნებოდა ტანკსაწინააღმდეგო საყრდენი პუნქტები და ტანკსაწინააღმდეგო რაიონები. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის, მთავარბანაკის მითითებით ხდებოდა ჯარების შევ-

სება პირადი შემადგენლობით, იარაღით, საბრძოლო მასალით, კავშირგაბმულობის, საინჟინრო და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით, რომლებსაც გვაძლევდა ჩვენი ქვეყანა მოსკოვის დამცველთა უზრუნველსაყოფად.

ქვეყნის სიღრმეში ფორმირებული თავისი რეზერვებიდან მთავარ ბანაკი აძლევდა ფრონტს მსროლელი და სატანკო ჯარების დამატებით შენაერთებს, რომლებსაც ფრონტი ყველაზე საშიში მიმართულებებით უყრიდა თავს. ჯარების დიდი ნაწილის კონცენტრირება ხდებოდა ვოლოკოლამსკი-კლინისა და ისტრის მიმართულებით, სადაც, როგორც ჩვენ ვვარაუდობდით, მოსალოდნელი იყო მოწინააღმდეგის ჯავშანსატანკო დაჯგუფებათა მთავარი დარტყმა. რეზერვებს თავს უყრიდნენ აგრეთვე ტულა-სერპუხოვის რაიონშიც: აქ ველოდით მტრის მე-2 სატანკო და მე-4 საველე არმიების განმეორებით დარტყმას. 1-დან 15 ნოემბრამდე დასავლეთის ფრონტმა შევსების სახით მიიღო 100 ათასი მებრძოლი და ოფიცერი, 300 ტანკი, 2 ათასი ქვემეხი.

ერთხელ არცთუ სავსებით სასიამოვნო საუბარი მომიხდა ტელეფონით უმაღლეს მთავარსარდალთან.

— როგორ იქცევა მოწინააღმდეგე? — მკითხა ი. ბ. სტალინმა.

— ამთავრებს თავისი დამკვრელი დაჯგუფებების თავმოყრას და, ეტყობა, მალე გადმოვა შეტევაზე, — ვუპასუხე მე.

— სად ელით მთავარ დარტყმას?

— უფრო მძლავრ დარტყმას ველით ვოლოკოლამსკის რაიონიდან. გუდერიანის არმია, ალბათ, ტულის შემოვლით დაარტყამს კაშირს.

— მე და შაპოშნიკოვი ვფიქრობთ, რომ საჭიროა დავასწროთ მოწინააღმდეგეს და ჩავშალოთ მისი მოსალოდნელი დარტყმები ჩვენი კონტრდარტყმებით. ერთი კონტრდარტყმა უნდა განვახორციელოთ ვოლოკოლამსკის რაიონში, მეორე — სერპუხოვის რაიონიდან გერმანელთა მე-4 არმიის ფრთაზე, ეტყობა, იქ თავს იყრის დიდი ძალები მოსკოვზე შეტევისათვის.

— მერედა რა ძალებით განვახორციელებთ ამ კონტრდარტყმებს? დასავლეთის ფრონტს თავისუფალი ძალები არ გააჩნია. ჩვენ გვყავს მხოლოდ თავდაცვისათვის საჭირო ძალები.

— ვოლოკოლამსკის რაიონში გამოიყენეთ როკოსოვსკის არმიის ცარჯვენა ფრთის შენაერთები, სატანკო დივიზია და დოვატორის საკავალერიო კორპუსი. სერპუხოვის რაიონში გამოიყენეთ ბელოვის საკავალერიო კორპუსი, გეტმანის სატანკო დივიზია და 49-ე არმიის ძალების ნაწილი.

— ამის გაკეთება ახლა შეუძლებელია. არ შეგვიძლია გადავისროლოთ ფრონტის უკანასკნელი რეზერვები კონტრდარტყმებისათვის, რომელთა წარმატება საეჭვოა. ჩვენ ვერაფრით გავაძლიერებთ არმიათა

ჯარების თავდაცვას, როცა მტერი თავისი დამკვრელი დაჯგუფებებით შეტევაზე გადმოვა.

— თქვენს ფრონტს ექვსი არმია ჰყავს. განა ეს ცოტაა?

— მაგრამ დასავლეთის ფრონტის ჯარების თავდაცვის ხაზი ხომ მეტად დიდ მანძილზე გაიჭიმა, ამჟამად მან ზიგზაგებით 600 კილომეტრზე მეტს მიაღწია. ჩვენ ძალზე ცოტა რეზერვები გვყავს სიღრმეში, განსაკუთრებით ფრონტის ცენტრში.

— კონტრდარტყმების საკითხი გადაწყვეტილად ჩავთვალეთ. გეგმა დღეს სალამოთი გვაცნობეთ, — უკმაყოფილოდ მომიჭრა ი. ბ. სტალინმა.

თხუთმეტი წუთის შემდეგ ჩემთან ნ. ა. ბულგანინი შემოვიდა და მეუბნება:

— ეს არის ახლა მაგრად შემახურეს.

— როგორ?

— სტალინმა მითხრა: „თქვენ და ჟუკოვს მანდ თავს გაგივიდათ. მაგრამ თქვენთვისაც გამოვძებნით კანონს"! მან მიბრძანა ახლავე მოვსულიყავი შენთან, რათა დაუყოვნებლივ მოვამზადოთ კონტრდარტყმები.

— რა გაეწყობა, დაჯექი, ვასილ დანილის ძე მოვიხმოთ და არმიათა სარდლები როკოვსკი და ზახარკინი გავაფრთხილოთ.

ორი საათის შემდეგ ფრონტის შტაბმა უბრძანა მე-16 და 49-ე არმიების სარდლებს და შენაერთების მეთაურებს კონტრდარტყმების განხორციელება, რის შესახებაც ჩვენ მოვახსენეთ კიდეც მთავარბანაკს. მაგრამ ამ კონტრდარტყმებმა, რომლებშიც უმთავრესად ცხენოსანი ჯარი მონაწილეობდა, არ მოგვცა ყველა ის დადებითი შედეგი, რასაც უმაღლესი მთავარსარდალი ელოდა. მტერი კიდევ საკმაოდ ძლიერი იყო და შეტევის ენინ ჯერ როდი ჰქონდა დამცხრალი.

მოსკოვზე შეტევის გასაგრძელებლად ჰიტლერელთა სარდლობამ ახალი ძალები გადმოისროლა და 15 ნოემბრისათვის დასავლეთის ფრონტის ჯარების წინააღმდეგ თავი მოუყარა 51 დივიზიას, მათ რიცხვში 31 ქვეით, 13 სატანკო და 7 მოტორიზებულ დივიზიას, რომლებიც კარგად იყო დაკომპლექტებული პირადი შემადგენლობით, ტანკებით, არტილერიითა და საბრძოლო ტექნიკით[1].

ვოლოკოლამსკ-კლინისა და ისტრის მიმართულებებით თავმოყრილი იყო მოწინააღმდეგის მე-3 და მე-4 სატანკო ჯგუფები, რომელთა შემადგენლობაშიც შედიოდა შვიდი სატანკო, სამი მოტორიზებული და სამი ქვეითი დივიზია[2]. მათ მხარს უჭერდა თითქმის ორი ათასი ქვეშეხი და მძლავრი საავიაციო ჯგუფი.

---

[1] Архив МО СССР, ф. 208, оп. 2511, д. 1029, л. 332.

[2] ᲘᲑᲘᲓ.

ტულა-კაშირის მიმართულებით მტრის ჯარების დამკვრელ ჯგუფში შედიოდა 24-ე და 47-ე მოტორიზებული, 53-ე და 43-ე საარმიო კორპუსები და ცხრა დივიზიის საერთო რიცხვით (მათ შორის ოთხი სატანკო იყო) და ესესელთა მოტორიზებული პოლკის „დიდი გერმანიის" საერთო შემადგენლობით. მას მძლავრი საავიაციო ჯგუფი უჭერდა მხარს.

გერმანელთა მე-4 საველე არმია, რომელიც ექვს საარმიო კორპუსს აერთიანებდა, გაიშალა ზვენიგოროდის, კუბინსკის, ნარო-ფომინსკის, პოდოლსკისა და სერპუხოვის მიმართულებებით. სწორედ ამ არმიას ჰქონდა ნაბრძანები ფრონტალური დარტყმებით შეებოჭა დასავლეთის ფრონტის თავდაცვის ჯარები, დაესუსტებინა ისინი, ხოლო შემდეგ დაერტყა ფრონტის ცენტრში მოსკოვის მიმართულებით.

ამრიგად, მოსკოვზე შეტევის მეორე ეტაპი „ტაიფუნის" პირობითი სახელწოდებით ცნობილი გეგმით გერმანელთა სარდლობამ დაიწყო 15 ნოემბერს. პირველი დარტყმა მიიღო კალინინის ფრონტის 30-ე არმიამ, რომელსაც ვოლგის წყალსაცავის სამხრეთით მეტად სუსტი თავდაცვა ჰქონდა. ერთდროულად მოწინააღმდეგემ დაარტყა დასავლეთის ფრონტის ჯარებსაც, ესახელდობრ, მე-16 არმიის მარჯვენა ფრთას, რომელიც მდინარე შოშის სამხრეთით იყო განლაგებული. დამხმარე დარტყმა გერმანელებმა განახორციელეს ამ არმიის ზოლში — ტერიაევა სლობოდის რაიონში.

30-ე არმიის წინააღმდეგ მტერმა 300-ზე მეტი ტანკი გადმოისროლა, რომლებისთვისაც ჩვენ მხოლოდ 56 სუსტად შეიარაღებული მსუბუქი ტანკი შეგვეძლო დაგვეპირისპირებინა. 30-ე არმიის თავდაცვა სწრაფად იქნა გარღვეული.

16 ნოემბერს დილით მტრის ჯარებმა სწრაფი შეტევა განავითარეს კლინზე. აქ რეზერვი არ აღმოგვაჩნდა, რადგან იგი, მთავარბანაკის ბრძანებით, ვოლოკოლამსკის რაიონში იყო გადასროლილი კონტრდარტყმის განსახორციელებლად.

იმავე დღეს გერმანელ ფაშისტთა ჯარებმა მძლავრი დარტყმა მოგვაყენეს ვოლოკოლამსკის რაიონში. ისტრის მიმართულებით უტევდა გერმანელთა ორი სატანკო და ორი ქვეითი დივიზია. ჩვენი 150 მსუბუქი ტანკის წინააღმდეგ მტერმა 400 საშუალო ტანკი გამოიყენა. გაჩაღდა გააფთრებული ბრძოლები. განსაკუთრებით შეუპოვრად იბრძოდნენ გენერალ ი. ვ. პანფილოვის 316-ე, გენერალ ა. ვ. ბელობოროდოვის 78-ე და გენერალ ვ. ნ. ჩერნიშევის მე-18 მსროლელი დივიზიები, 1-ლი გვარდიული, 23-ე, 27-ე, 28-ე ცალკეული სატანკო ბრიგადები და გენერალ-მაიორ ლ. მ. დოვატორის საკავალერიო ჯგუფი.

17 ნოემბერს 23 საათზე კალინინის ფრონტის 30-ე არმია მთავარბანაკის ბრძანებით დასავლეთის ფრონტს გადმოეცა, რის შედეგადაც

ფრონტის თავდაცვის ხაზი კვლავ დიდ მანძილზე გაიჭიმა ჩრდილოეთისაკენ (ვოლგის წყალსაცავამდე). მთავარბანაკმა გაანთავისუფლა პოსტიდან 30-ე არმიის სარდალი გენერალ-მაიორი ვ. ა. ხომენკო და მის ნაცვლად გენერალ-მაიორი დ. დ. ლელიუშენკო დანიშნა.

ბრძოლები 16—18 ნოემბერს ჩვენთვის მეტად მძიმე იყო. მტერი ანგარიშს არ უწევდა არავითარ დანაკარგს და ჯიქურ მოიწევდა წინ, ცდილობდა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, გაეჩრილიყო მოსკოვისაკენ თავისი სატანკო სოლებით.

მაგრამ ღრმად ეშელონირებულმა საარტილერიო და ტანკსაწინააღმდეგო თავდაცვამ და ყველა სახეობის ჯარების კარგად ორგანიზებულმა ურთიერთმოქმედებამ არ მისცა მტერს ჩვენი საბრძოლო რიგების გარღვევის საშუალება. მე-16 არმია ნელა, მაგრამ სრული წესრიგით იხევდა წინასწარ მომზადებულ და უკვე არტილერიით გამაგრებულ ზღუდეზე, სადაც მისი ნაწილები კვლავ შეუპოვრად იბრძოდნენ, წარმატებით იგერიებდნენ ჰიტლერელთა გააფთრებულ შეტევებს.

უმაგალითო სიმამაცეს იჩენდა მე-16 არმიის შემადგენლობაში გადაცემული 1-ლი გვარდიული სატანკო ბრიგადა. ოქტომბერში ეს ბრიგადა (ძაშინ მე-4 სატანკო) გმირულად იბრძოდა ორიოლთან და მცენსკთან, რისთვისაც მიენიჭა სწორედ 1-ლი გვარდიული სატანკო ბრიგადის ძაღალი, საპატიო წოდება. ახლა, ნოემბერში, იცავდნენ რა მოსკოვის მისადგომებს, გვარდიელმა ტანკისტებმა უჭკნობი საქმეებითა და თავგანწირვით კიდევ უფრო მაღლა ასწიეს თავიანთი სახელოვანი საბრძოლო რეპუტაცია.

მოსკოვში წინანდებურად მუშაობდნენ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი, პარტიისა და სახალხო კომისართა საბჭოს ხელმძღვანელ მუშაკთა ნაწილი. მოსკოველი მუშები დღე-ღამეში 12—18 საათს შრომობდნენ, რათა უზრუნველეყოთ დედაქალაქის დამცველი ჯარები იარაღით, საომარი ტექნიკითა და მასალით.

მაგრამ საფრთხე, რომელიც მოსკოვს ემუქრებოდა, ჯერ კიდევ თავიდან აცილებული არ იყო.

ზუსტად არ მახსოვს რიცხვი, — ეს იყო მალე მას შემდეგ, რაც გერმანელებმა ტაქტიკურად გაარღვიეს ჩვენი თავდაცვა კალინინის ფრონტის 30-ე არმიის უბანზე და მე-16 არმიის მარჯვენა ფრთაზე, — დამირეკა ი. ბ. სტალინმა და მკითხა:

— დარწმუნებული ხართ, რომ მოსკოვს შევინარჩუნებთ? გეკითხებით ამას გულისტკივილით. მიპასუხეთ პატიოსნად, როგორც კომუნისტმა.

— მოსკოვს ეჭვველად შევინარჩუნებთ მაგრამ საჭიროა კიდევ სულ ცოტა ორი არმია და თუნდაც ორასი ტანკი

— კარგია, რომ ასეთი რწმენა გაქვთ, — მითხრა ი. ბ. სტალინმა.— დაურეკეთ გენერალურ შტაბს და შეუთანხმდით, სად დაჯგუფდეს ორი სარეზერვო არმია, რომლებსაც თქვენ ითხოვთ. ისინი მზად იქნებიან ნოემბრის ბოლოსათვის, მაგრამ ტანკების მოცემას ჯერჯერობით ვერ შეძლებთ.

ნახევარი საათის შემდეგ ჩვენ შეუთანხმდით ა. მ. ვასილევსკის იმაზე, რომ ფორმირების პროცესში მყოფი 1-ლი დამკვრელი არმია თავმოყრილი ყოფილიყო იახრომის რაიონში, ხოლო მე-10 არმია — რიაზანის რაიონში.

ტულა-მოსკოვის ოპერატიული მიმართულებით მოწინააღმდეგე შეტევაზე 18 ნოემბერს გადმოვიდა. ვენევის მიმართულებით, სადაც თავდაცვაში 50-ე არმიის 413-ე და 299-ე მსროლელი დივიზიები იმყოფებოდნენ, უტევდნენ გერმანელთა მე-3, მე-4 და მე-17 სატანკო დივიზიები.

ამ ჯგუფმა გაარღვია ჩვენი თავდაცვა და დაიკავა ბოლოხოვო — დედილოვოს რაიონი. მის წინააღმდეგ უზლოვოის რაიონში სწრაფად გადავისროლეთ 239-ე მსროლელი და 41-ე საკავალერიო დივიზიები. გაფანტრებული ბრძოლები, რომლებიც ჩვენი ჯარების მასობრივი გმირობით ხასიათდებოდა, არ წყდებოდა აქ არც დღისით და არც ღამით. განსაკუთრებით შეუპოვრად იბრძოდნენ 413-ე მსროლელი დივიზიის ნაწილები.

21 ნოემბერს გუდერიანის სატანკო არმიის მთავარმა ძალებმა დაიკავეს უზლოვოი და სტალინოგორსკი. მიხაილოვის მიმართულებით უტევდა მტრის 47-ე მოტორიზებული კორპუსი. ტულის რაიონში საკმაოდ რთული ვითარება შეიქმნა.

ამ პირობებში ფრონტის სამხედრო საბჭომ გადაწყვიტა გაეძლიერებინა კაშირის საბრძოლო უბანი 112-ე სატანკო დივიზიით, რომელსაც პოლკოვნიკი (ახლა არმიის გენერალი) ა. ლ. გეტმანი მეთაურობდა; რიაზანის საბრძოლო უბანი — სატანკო ბრიგადით და სხვა ნაწილებით; ზარაისკის უბანი — მე-9 სატანკო ბრიგადით. 35-ე და 127-ე ცალკეული სატანკო ბატალიონებით; ლაპტევოს უბანი — 510-ე მსროლელი პოლკით და სატანკო ასეულით.

26 ნოემბერს მოწინააღმდეგის მე-3 სატანკო დივიზიამ შეძლო შეეიწროებინა ჩვენი ნაწილები და გადაეჭრა ტულა-მოსკოვის რკინიგზა და გზატკეცილი ტულის ჩრდილოეთით მდებარე რაიონში. მაგრამ გენერალ პ. ა. ბელოვის 1-მა საკავალერიო კორპუსმა, 112-ე სატანკო დივიზიამ და კაშირის რაიონში განლაგებულმა ფრონტის მთელმა რიგმა სხვა ნაწილებმა არ მისცეს მტერს ამ უბანზე შემდგომი წინსვლის საშუალება. აქ მებრძოლი ნაწილების დასახმარებლად დამატებით იქნა გადასროლილი 173-ე მსროლელი დივიზია და ნაღმ-

მტყორცნელთა მე-15 გვარდიული პოლკი. 27 ნოემბერს პ. ა. ბელოვის საკავალერიო კორპუსმა 112-ე სატანკო დივიზიასთან, 173-ე მსროლელ დივიზიასთან და სხვა ნაწილებთან ურთიერთმოქმედებით განახორციელა კონტრდარტყმა და 10—15 კილომეტრზე უკუაგდო გუდერიანის ჯარები სამხრეთით, მორდვესისაკენ.

30 ნოემბრამდე გრძელდებოდა დაძაბული ბრძოლები კაშირა-მორდვესის რაიონში. მტერმა ვერ შეძლო მიეღწია აქ წარმატებისათვის. მე-2 სატანკო არმიის სარდალი გუდერიანი დარწმუნდა, რომ საბჭოთა ჯარების შეუპოვარი წინააღმდეგობის დაძლევა კაშირა-ტულის რაიონში და მოსკოვისაკენ გაჭრა შეუძლებელი იყო. ჰიტლერელები იძულებული გახდნენ ამ უბანზე თავდაცვაზე გადასულიყვნენ.

ამ რაიონში მებრძოლმა საბჭოთა ჯარებმა მოიგერიეს მტრის ყველა დარტყმა, დიდი ზარალი მიაყენეს მას და გზა გადაუღობეს მოსკოვისაკენ.

გაცილებით ცუდად მიდიოდა საქმე ფრონტის მარჯვენა ფრთაზე, ისტრის, კლინის, სოლნეჩნოგორსკის რაიონში.

23 ნოემბერს მოწინააღმდეგის ტანკები კლინში შეიჭრნენ. მე-16 არმიის ნაწილებისათვის გარემოცვის საფრთხე რომ აგვეცილებინა თავიდან, იძულებული გავხდით 24 ნოემბერს ღამით ისინი ზურგის ახალ ხღუდეზე გადმოგვეყვანა. მძიმე ბრძოლების შემდეგ მე-16 არმიამ უკან დაიხია კლინიდან. კლინის დაკარგვასთან დაკავშირებით წარმოიქმნა შუალედი მე-16 და 30-ე არმიებს შორის, რომელსაც ფრონტის ჯარების სუსტი ჯგუფი იცავდა.

25 ნოემბერს მე-16 არმიამ უკან დაიხია სოლნეჩნოგორსკიდანაც. აქ საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა. სოლნეჩნოგორსკის რაიონში მე-16 არმიის სარდლის განკარგულებაში ფრონტის სამხედრო საბჭომ ფრონტის სხვა უბნებიდან გადაისროლა ყველაფერი, რაც კი შეეძლო, მათ შორის ტანკსაწინააღმდეგო თოფებით შეიარაღებულ ჯარისკაცთა ჯგუფები, ტანკების ცალკეული ჯგუფები. საჰაერო თავდაცვის მოსკოვის ზონის სარდლის გენერალ მ. ს. გრომადინის საარტილერიო ბატარეები და საზენიტო დივიზიონები და ა. შ. საჭირო იყო რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა, შეგვეჩერებინა მოწინააღმდეგე ამ საშიშ უბანზე, სანამ არ მოვიდოდა მე-7 მსროლელი დივიზია სერპუხოვის რაიონიდან და ორი სატანკო ბრიგადა და ორი ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკი მთავარბანაკის რეზერვიდან.

ჩვენი თავდაცვის ფრონტი რკალივით იღუნებოდა, იქმნებოდა მეტად სუსტი ადგილები, გეგონებოდათ, სადაც არის მოხდებაო რაღაც დიდი, გამოუსწორებელი რამ. მაგრამ არა! მებრძოლები სულით არ ეცემოდნენ, ხოლო მაშველი ძალების მოსვლის შემდეგ კვლავ ქმნიდნენ თავდაცვის გადაულახავ ხღუდეს.

29 ნოემბერს საღამოს მოწინააღმდეგის სატანკო ნაწილმა, ისარგებლა რა იმით, რომ მოსკოვ-ვოლგის არხზე იახრომის რაიონში არსებული ხიდი სუსტად იყო დაცული, აიღო იგი და არხის გამოღმა ნაპირზე გადმოვიდა. 1-ლი დამკვრელი არმიის (სარდალი გენერალ-ლეიტენანტი ვ. ი. კუზნეცოვი) მეწინავე ნაწილებმა, რომლებიც ის იყო მოვიდნენ აქ, შეაჩერეს მტერი და გააფთრებული ბრძოლის შემდეგ კვლავ არხს იქით უკუაგდეს.

ფრონტის მდგომარეობა მართლაც მეტისმეტად რთული იყო. ამის გამო ზოგჯერ ხდებოდა ისეთი ამბები, რომელთა ახსნა მხოლოდ მომენტის უდიდესი დაძაბულობით თუ შეიძლებოდა. აი, ერთი მაგალითი.

უმაღლეს მთავარსარდალს როგორღაც მიუვიდა ცნობები, რომ ჩვენმა ჯარებმა დატოვეს ქალაქი დედოვსკი, ნახაბინის ჩრდილო-დასავლეთით. ეს უკვე საკვლევით ახლოს იყოს მოსკოვთან.

ი. ბ. სტალინი, ბუნებრივია, ძლიერ შეაშფოთა ამ ამბავმა: აკი ჯერ კიდევ 28 და 29 ნოემბერს მე-9 გვარდიული მსროლელი დივიზია, რომელსაც გენერალ-მაიორი ა. პ. ბელობოროდოვი მეთაურობდა, არცთუ წარუმატებლად იგერიებდა მოწინააღმდეგის არაერთგზის და გააფთრებულ შეტევებს ისტრის რაიონში. მაგრამ გავიდა დღე-ღამე, და აღმოჩნდა, რომ დედოვსკი ჰიტლერელთა ხელშია...

ი. ბ. სტალინმა ტელეფონთან გამომიძახა.

— იცით თუ არა, რომ დედოვსკი აღებულია?

— არა, ამხანაგო სტალინ, არ ვიცი.

უმაღლესმა მთავარსარდალმა არ დააყოვნა გაჯავრებით ეთქვა: „სარდალმა უნდა იცოდეს, რა ხდება მასთან ფრონტზე". და მიბრძანა, დაუყოვნებლივ წავსულიყავი ადგილზე, რათა პირადად მეხელმძღვანელა კონტრშეტევისათვის და უზრუნველმეყო დედოვსკის დაბრუნება.

მე შევეცადე შევპასუხებოდი, ვუთხარი, ფრონტის შტაბის დატოვება ასეთი დაძაბული ვითარების დროს არა მგონია, გონივრული იყოს-მეთქი.

— არაფერია, ჩვენ მანდ როგორმე გავართმევთ საქმეს თავს, თქვენს მაგივრად კი დროებით სოკოლოვსკი დატოვეთ.

დავდე თუ არა ყურმილი, მაშინვე კ. კ. როკოსოვსკის დავუკავშირდი და ვთხოვე აეხსნა, რატომ არ იცოდნენ ფრონტის შტაბში არაფერი დედოვსკის დატოვების შესახებ. აღმოჩნდა, რომ ქალაქი დედოვსკი არ იყო მტრის მიერ დაკავებული და ლაპარაკი აქ მხოლოდ სოფელ დედოვოზე თუ შეიძლებოდა ყოფილიყო. ხოვანსკოე-დედოვო-სნეგირის რაიონში და უფრო სამხრეთით მე-9 გვარდიული მსროლელი დივიზია მძიმე ბრძოლას ეწეოდა და არ აძლევდა მოწინააღმდეგეს ვოლოკო-

ლამსკის გზატკეცილის გასწვრივ დედოესკისა და ნახაბინოსაკენ გაჭრის საშუალებას.

ცხადია, შეცდომა მოხდა. გადავწყვიტე მთავარბანაკში დამერეკა, ამეხსნა, რომ ყოველივე ეს გაუგებრობაა. მაგრამ აქ, რომ იტყვიან, მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვაო, სწორედ ისე მოხდა. უმაღლესი მთავარსარდალი საბოლოოდ გაჯავრდა. ბან მიბრძანა, დაუყოვნებლივ წავსულიყავი კ. კ. როკოსოვსკისთან და ყველა ზომა მიმეღო, რათა ეს ბედშავი დასახლებული პუნქტი უსათუოდ წაგვერთვა მოწინააღმდეგისათვის. და კიდევ მიბრძანა, თან წამეყვანა მე-5 არმიის სარდალი ლ. ა. გოვოროვი: „ის არტილერისტია, დაე დაეხმაროს კ. კ. როკოსოვსკის საარტილერიო ცეცხლის მოწესრიგებაში მე-16 არმიის ინტერესებისათვის".

ამ სიტუაციაში სიტყვის შებრუნებას, შეუპასუხებას აზრი არ ჰქონდა. როცა გენერალი ლ. ა. გოვოროვი გამოვიძახე და დასახული ამოცანა გავაცანი, იგი სავსებით სამართლიანად შეეცადა დაესაბუთებინა, რომ ასეთი გამგზავრების ვერავითარ საჭიროებას ვერ ხედავს: მე-16 არმიას ჰყავს არტილერიის უფროსი — არტილერიის გენერალ-მაიორი ვ. ი. კაზაკოვი, და თვით სარდალმაც იცის, რა და როგორ გაიკეთოს, რატომღა უნდა მიატოვოს მან, გოვოროვმა, თავისი არმია ასეთ მძიმე დროს.

ამ საკითხზე კამათი რომ აღარ გამეგრძელებინა, იძულებული გავხდი, განმემარტა გენერლისათვის, ასეთია ი. ბ. სტალინის ბრძანებამეთქი.

ჩვენ გავუარეთ კ. კ. როკოსოვსკის და მასთან ერთად მაშინვე ა. პ. ბელობოროდოვის დივიზიაში გავემგზავრეთ. არა მგონია, დივიზიის მეთაურს გახარებოდა თავის ნაწილების განლაგებაში ჩვენი გამოჩენა. მაშინ მას ყელამდე საზრუნავი ჰქონდა, აქ კი იძულებული იყო კიდევ ახსნა-განმარტება ეძლია სოფელ დედოვოში გერმანელების მიერ დაკავებული რამდენიმე სახლის თაობაზე, რომლებიც სევის მეორე მხარეს მდებარეობდა.

როცა არსებული ვითარების შესახებ მოგვახსენებდა, ათანასე პავლანტის ძემ საკმაოდ დამაჯერებლად აგვიხსნა, ამ სახლების დაბრუნება ტაქტიკურ მოსაზრებათა გამო არ არის მიზანშეწონილიო სამწუხაროდ, არ შემეძლო მეთქვა მისთვის, რომ ამ შემთხვევაში როდი მქონდა უფლება ტაქტიკური მოსაზრებებით მეხელმძღვანელა. ამიტომ ვუბრძანე ა. პ. ბელობორდოვს გაეგზავნა მსროლელი ასეული ორი ტანკით და გაეწმინდა სახლები იქ მოკალათებულ გერმანელთა ოცეულისაგან. ეს გაკეთდა კიდეც, მგონი, 1 დეკემბერს გათენებისას.

მაგრამ დავუბრუნდეთ სერიოზულ ამბებს

1 დეკემბერს ჰიტლერელთა ჯარებმა ჩვენთვის მოულოდნელად

გაარღვიეს ფრონტის ცენტრი მე-5 და 33-ე არმიების შესაყართან და დაიძრნენ გზატკეცილით კუბინკისაკენ. მაგრამ სოფელ აკულოვოსთან მათ გზა გადაუღობა 32-ე მსროლელმა დივიზიამ, რომელმაც არტილერიის ცეცხლით მოსპო მოწინააღმდეგის ტანკების ნაწილი. დანაღმულ მინდვრებზეც ბევრი ტანკი აფეთქდა.

მაშინ მტრის სატანკო შენაერთები, რომლებიც დიდ ზარალს განიცდიდნენ, გოლიცინოსაკენ შემობრუნდნენ, სადაც ისინი საბოლოოდ გაანადგურეს ფრონტის რეზერვმა და აქ მოსულმა მე-5 და 33-ე არმიების ნაწილებმა. 4 დეკემბერს მოიწინააღმდეგის ეს გარღვევა მთლიანად იქნა ლიკვიდირებული. ბრძოლის ველზე მტერმა დატოვა 10 ათასზე მეტი მოკლული, 50 დამსხვრეული ტანკი და ბევრი სხვა საომარი ტექნიკა.

დეკემბრის პირველ რიცხვებში გერმანელთა ჯარების მოქმედების ხასიათი, ყველა მათი დაჯგუფების დარტყმათა მასშტაბი იმაზე მიუთითებდა, რომ მოწინააღმდეგე სულს ღაფავდა და შეტევითი ოპერაციების წარმოებისათვის უკვე აღარც ძალები გააჩნდა და აღარც საშუალებანი.

მოსკოვისათვის ბრძოლის მსელელობაში მტერმა ისე ფართო ფრონტზე გაშალა დამკვრელი დაჯგუფებები, ისე შორს მოიჭნია თავისი ჯავშნიანი მუშტი, რომ მოსკოვის ახლო მისადგომებთან გამართულ ფინალურ ბრძოლებში მისმა ჯარებმა უკვე დაკარგეს შემტევი უნარი. ჰიტლერელთა სარდლობა მოსკოვისათვის ბრძოლაში არ ელოდა ასეთ დიდ დანაკარგს, ამ დანაკარგის შევსება და თავისი დაჯგუფებების გაძლიერება კი ვეღარ შეძლო.

ტყვეთა დაკითხვიდან ჩანდა, რომ ზოგიერთ ასეულში 20—30 კაცი იყო დარჩენილი, რომ გერმანელთა ჯარების მორალური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა: მათ უკვე აღარ სწამდათ, აღარ სჯეროდათ მოსკოვის აღების შესაძლებლობა.

დასავლეთის ფრონტის ჯარებმაც ასევე დიდი დანაკლისი განიცადეს, ამასთან, მეტისმეტად გადაიღალნენ, მაგრამ არსად არ მისცეს მტერს ფრონტის გარღვევის საშუალება. რეზერვებით გაძლიერებულნი და პარტიის მოწოდებებით აღფრთოვანებულნი, ისინი გაათკეცებული ძალებით შეებნენ მტერს დედაქალაქის მისადგომებთან.

მოსკოვზე შეტევის მეორე ეტაპის 20 დღის განმავლობაში გერმანელებმა დაკარგეს 155 ათასზე მეტი კაცი მოკლულთა და დაჭრილთა სახით, 800-მდე ტანკი, სულ ცოტა 300 ქვემეხი, დაახლოებით 1500 თვითმფრინავი. უკიდურესად მძიმე ზარალმა, სტრატეგიულ ამოცანათა განუხორციელებლობამ სამუდამოდ შეურყია გერმანელ ჯარისკაცთა მასებს საერთოდ ომის წარმატებით დამთავრების რწმენა. ფაშისტურ-

მა სამხედრო-პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის თვალში დაკარგა უძლეველობის პრესტიჟი.

ყოფილი ჰიტლერელი გენერლები და ფელდმარშლები ცდილობენ მოსკოვის აღების გეგმისა და საერთოდ მთელი ომის გეგმების ჩაფუშვაში ბრალი დასდონ ჰიტლერს, რომელმაც თითქოსდა ანგარიში არ გაუწია მათ რჩევას, შეაჩერა აგვისტოში „ცენტრის" არმიათა ჯგუფის ლაშქრობა მოსკოვზე და მისი ჯარების ნაწილი უკრაინისაკენ შემოაბრუნა.

მაგალითად, ფ. მელენტინი წერს: „მოსკოვზე შეტევას, რომლის მომხრეც იყო გუდერიანი და რომელზეც ჩვენ აგვისტოში დროებით უარი ვთქვით, რადგან ჯერ უკრაინის დაპყრობა გადავწყვიტეთ, შესაძლებელია გადამწყვეტი წარმატება მოეტანა, რომ იგი ყოველთვის მიგვეჩნია როგორც მთავარი, მთელი ომის შედეგის განმსაზღვრელი დარტყმა. რუსეთი სწორედ რომ შიგ გულში აღმოჩნდებოდა განგმირული"[1].

გენერლებს გ. გუდერიანს, გ. გოტს და სხვებს მოსკოვთან თავიანთი ჯარების დამარცხების ძირითად მიზეზად ჰიტლერის შეცდომებთან ერთად მკაცრი რუსული კლიმატიც მიაჩნიათ.

რა თქმა უნდა, ამინდიც და ბუნებაც გარკვეულ როლს ასრულებს ყოველგვარი სამხედრო ოპერაციის დროს. მაგრამ ისიც მართალია, რომ ეს ფაქტორები თანაბრად მოქმედებს ორივე მებრძოლ მხარეზე. დიახ, ჰიტლერელები იფუთნებოდნენ მოსახლეობისათვის წართმეულ თბილ ტანსაცმელში, დადიოდნენ თვითნაკეთი ჩალის დაჯლანული „კალოშებით". დაბამბული კურტაკი, თექის ჩექმა, ჯუბა, თბილი თეთრეული — ყოველივე ესეც ხომ იარაღია. ჩვენი ქვეყანა აცმევდა და ათბობდა თავის ჯარისკაცებს. ჰიტლერელთა სარდლობამ კი რუსეთის მიწაზე იოლად გასეირნება მოიწადინა და მთელი კამპანიის ვადები კვირებითა და თვეებით განსაზღვრა. მაშასადამე, აქ საქმე ფაშისტ მოთაველთა პოლიტიკურ და სტრატეგიულ შეცდომებს ეხება.

სხვა გენერლები, ბურჟუაზიული ისტორიკოსები ყველაფერს ტალახსა და უგზოობას აბრალებენ. მაგრამ მე საკუთარი თვალით მინახავს, იმავე ტალახსა და უგზოობაში როგორ თხრიდნენ ტანკსაწინააღმდეგო ორმოებსა და ტრანშეებს, დგამდნენ ბოძკინტებს, აგებდნენ ბარიკადებსა და წინაღობებს, ეზიდებოდნენ სილიან ტომრებს საერთოდ მესანგრის მძიმე შრომას მიუჩვეველი ათასობით და ათასობით მოსკოველი ქალები, რომლებსაც ქალაქის მყუდრო ბინები მიეტოვებინათ. ტალახი ეკვროდა მათ ფეხებს, მიწის საზიდი ურიკების ბორ-

---

[1] Ф. Мелентин. Танковые сражения 1939—1945 гг., М., 1957, стр. 140.

ბლებს. უზომოდ ამძიმებდა ქალის ხელისათვის ისედაც შეუფერებელ ნიჩბებს.

იმათთვის, ვინც ცდილობს უამინდობით შენიღბოს მოსკოვთან დამარცხების ჭეშმარიტი მიზეზები, შემიძლია კიდევ დავუმატო, რომ 1941 წლის ოქტომბერში უგზოობა შედარებით ხანმოკლე იყო. ნოემბრის პირველ რიცხვებში აციოდა, მოვიდა თოვლი, გზები ყველგან სავალი გახდა. ჰიტლერელთა ჯარების „გენერალური შეტევის" დღეებში ტემპერატურა საომარი მოქმედების რაიონში მოსკოვის მიმართულებით მინუს 7—10 გრადუსს უდრიდა, ასეთ ამინდში კი, როგორც ცნობილია, ტალახი არ არის ხოლმე.

არა! არც წვიმას და არც თოვლს არ შეუჩერებია ფაშისტთა ურდოები მოსკოვთან. ჰიტლერელთა მილიონიანი რჩეული არმიების დაჯგუფება დაამარცხა და უკუაგდო საბჭოთა ჯარების რკინისებურმა სიმტკიცემ, სიმამაცემ და გმირობამ, საბჭოთა ჯარებისა, რომელთა ზურგს უკან იყო ომშობლიური ხალხი, დედაქალაქი, სამშობლო.

რაც შეეხება მოსკოვზე შეტევის დროებით შეჩერებას და ძალების ნაწილის უკრაინისაკენ შემობრუნებას, უნდა ითქვას, რომ ამ ოპერაციის განხორციელების გარეშე გერმანელთა ჯარების ცენტრალური დაჯგუფების მდგომარეობა შეიძლება უარესი აღმოჩენილიყო, ვიდრე ამას სინამდვილეში ჰქონდა ადგილი. ჩვენ ხომ შეგვეძლო მთავარბანაკის რეზერვები, რომლებიც სექტემბერში სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით ოპერატიული ღია დერეფნების შევსებას და ნოემბერში მოსკოვის ახლო მისადგომების დაცვას მოვახმარეთ, მოსკოვზე „ცენტრის" არმიათა ჯგუფის შეტევისას მის ფლანგზე და ზურგში დარტყმისათვის გამოგვეყენებინა.

მოსკოვზე შეტევის ჩაშლით, ელვისებური ომის გეგმის ჩაფუშვით გაცოფებულმა ჰიტლერმა მიაგნო „განტევების ვაცებს" და თანამდებობიდან გადააყენა სახმელეთო ჯარების მთავარსარდალი გენერალ-ფელდმარშალი ბრაუხიჩი, „ცენტრის" არმიათა ჯგუფის სარდალი გენერალ-ფელდმარშალი ფონ-ბოკი, მე-2 სატანკო არმიის სარდალი გენერალი გუდერიანი და ათობით სხვა გენერალი, რომლებსაც მანამდე თვენახევრისა თუ ორი თვის განმავლობაში უხვად აჯილდოებდა ჯვრებით. ჰიტლერმა თავისი თავი სახმელეთო ჯარების მთავარსარდლად გამოაცხადა, ალბათ ფიქრობდა, რომ ეს მაგიურად იმოქმედებდა ჯარებზე.

ჩემთვის არაერთხელ უკითხავთ: როგორ შეძლეს საბჭოთა ჯარებმა გერმანელ ფაშისტთა უძლიერესი დაჯგუფების გახადგურება მოსკოვთან და მკაცრი ზამთრის პირობებში მისი ნაშთების უკუგდება დასავლეთისაკენო. მოსკოვთან გერმანელების განადგურების შესახებ ბევრია დაწერილი და ძირითადად, ჩემი აზრით, დაწერილია სწორად.

მაგრამ, როგორც დასავლეთის ფრონტის ყოფილ სარდალს, მეც მსურს გამოვთქვა ამ საკითხზე ჩემი მოსაზრება.

როგორც ცნობილია, როცა მოსკოვის მიმართულებით „ტაიფუნის" კოდური სახელწოდებით ცნობილ ოპერაციას იწყებდა, გერმანელ ფაშისტთა სარდლობა იმედოვნებდა, რომ გაანადგურებდა საბჭოთა ჯარებს ვიაზმა-მოსკოვის და ბრიანსკ-მოსკოვის მიმართულებით, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან შემოუვლიდა მოსკოვს და რაც შეიძლება მოკლე დროში აიღებდა მას. მოწინააღმდეგე ვარაუდობდა მიეღწია ამ სტრატეგიული მიზნისათვის თანმიმდევრულად, ორმაგი გარემოცვის მეთოდით. საბჭოთა ჯარების პირველი გარშემორტყმა და განადგურებმა დაგეგმილი იყო ბრიანსკისა და ვიაზმის რაიონებში; მეორე გარშემორტყმა და მოსკოვის აღება უნდა განხორციელებულიყო ჯავშანსატანკო ჯარებით მოსკოვის ღრმად შემოვლის გზით — ჩრდილო-დასავლეთიდან კლინზე გავლით და სამხრეთიდან ტულაზე, კაშირაზე გავლით, რათა ნოგინსკის რაიონში შეკრულიყო სტრატეგიული გარემოცვის მარწუხები.

მაგრამ დიდი გაქანების ისეთ რთულ სტრატეგიულ ოპერაციას რომ გეგმავდა, როგორიც „ტაიფუნის" ოპერაცია იყო, ჰიტლერელთა უმაღლესმა სარდლობამ უაღრესად სერიოზული შეცდომა დაუშვა ძალებისა და საშუალებების გაანგარიშებაში. მან ოდნავადაც კი ვერ შეაფასა წითელი არმიის შესაძლებლობანი და აშკარად, გადაჭარბებით შეაფასა შესაძლებლობანი თავისი ჯარებისა.

ძალები, რომლებსაც გერმანელ ფაშისტთა სარდლობამ მოუყარა თავი, მხოლოდ იმისათვის აღმოჩნდნენ საკმარისი, რომ გაერღვიათ ჩვენი თავდაცვა ვიაზმისა და ბრიანსკის რაიონებში და უკუეგდოთ დასავლეთისა და კალინინის ფრონტების ჯარები ზღუდეზე: კალინინი — იახრომა — კრასნაია პოლიანა — კრიუკოვო — მდინარეები ნარა და ოკა — ტულა — კაშირა — მიხაილოვი. გვინდა კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ მტრის მთავარი სტრატეგიული მიზნის განხორციელებას — მოსკოვის აღებას ძლიერ შეუშალა ხელი ვიაზმის დასავლეთით მდებარე რაიონში გარშემორტყმულ საბჭოთა ჯარებთან ბრძოლამ, რომლებიც გმირულად იცავდნენ თავს.

სწორედ ამიტომ იყო, რომ მოწინააღმდეგემ, მიაღწია რა ოქტომბრის დასაწყისში თავის უახლოეს მიზანს, ვეღარ შეძლო ოპერაციის მეორე ეტაპის განხორციელება.

დიდი შეცდომები იყო აგრეთვე დაშვებული „ტაიფუნის" ოპერაციის ამ მეორე ეტაპის განხორციელებისათვის დამკვრელ დაჯგუფებათა შექმნის დროს. სუსტნი იყვნენ გერმანელთა დაჯგუფებანი ფლანგებზე, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც ტულის რაიონში მოქმედებ-

დნენ, ამასთან, მათ თავიანთ შემადგენლობაში არასაკმაო რაოდენობით ჰყავდათ საერთო-საჯარისო შენაერთები. ჯავშანსატანკო შენაერთების იმედზე ყოფნამ იმ პირობებში არ გაამართლა მოლოდინი. მათ დიდი დანაკლისი განიცადეს და დაკარგეს შემტევი ძალა. გერმანელთა სარდლობამ ვერ შეძლო ერთდროულად ფრონტის ცენტრშიც განეხორციელებინა დარტყმა, თუმცა აქ მას საკმარისი ძალები ჰყავდა. ამან ჩვენ შესაძლებლობა მოგვცა თავისუფლად გადაგვესროლა მთელი რეზერვები, სადივიზიო რეზერვებიც კი, პასიური უბნებიდან, ცენტრიდან ფლანგებზე, ჩაგვება ისინი მტრის დამკვრელ დაჯგუფებათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ზოგიერთი სამხედრო-ისტორიული ნაშრომის ავტორები ამტკიცებენ, რომ მოსკოვის ოპერაციის ციკლში არ შედის დასავლეთის, სარეზერვო და ბრიანსკის ფრონტების ოქტომბრის ბრძოლები; რომ თითქოს მოწინააღმდეგე ჯერ მთლიანად იქნა შეჩერებული მოჟაისკის თავდაცვის ხაზზე და მხოლოდ შემდეგ მოამზადა ჰიტლერელთა სარდლობამ ახალი „გენერალური შეტევითი ოპერაცია“.

ყველაფერი, რაც კი ითქვა ზემოთ „ტაიფუნის“ ოპერაციის კრახის თაობაზე, უარყოფს მსგავს მტკიცებებს. ვერც ის გამოდგება რაიმე დამაჯერებელ საბუთად, რომ ჰიტლერელებმა ნოემბერში თავიანთ მარცხენა ფრთაზე მოახდინეს ჯარებისა და მატერიალურ საშუალებათა მნიშვნელოვანი შევსება და სატანკო შენაერთების ზოგიერთი გადაჯგუფება. ხომ ცნობილია, რომ ეს ღონისძიებები ჩვეულებრივია ყველა სტრატეგიული შეტევითი ოპერაციის დროს და ამიტომ არ შეიძლება ბრძოლათა ასეთი ციკლის დაწყებისა და დამთავრების განმსაზღვრელ ფაქტორებად ჩაითვალოს.

ნოემბრის დასაწყისში შევძელით დაგვედგინა მოწინააღმდეგის დამკვრელ დაჯგუფებათა თავმოყრა ჩვენი თავდაცვის ფრონტის ფლანგებზე. ამის შედეგად სწორად იქნა განსაზღვრული მტრის მთავარ დარტყმათა მიმართულება. მოწინააღმდეგის დამკვრელ მუშტს ჩვენ დავუპირისპირეთ ღრმად ეშელონირებული თავდაცვა, რომელიც აღჭურვილი იყო საკმაო რაოდენობის ტანკსაწინააღმდეგო და საინჟინრო საშუალებებით. აქვე, ყველაზე საშიში მიმართულებით, თავი მოვუყარეთ მთელს ჩვენს ძირითად სატანკო ნაწილებს.

დეკემბრის პირველი რიცხვებისათვის გერმანელ ფაშისტთა ჯარებმა დიდი ზარალი ნახეს. ათას და მეტ კილომეტრზე გაჭიმული მტრის კომუნიკაციებს გამუდმებით ურტყამდნენ პარტიზანული რაზმები, რომლებიც თავიანთი გმირული მოქმედებით ფუშავდნენ მოწინააღმდეგის ჯარების მომარაგებას, მისი ზურგის ორგანოების მუშაობას.

ჰიტლერელთა ჯარების დიდმა დანაკლისმა, ომის კამპანიის გაჭიანურებამ, საბჭოთა მეომრების გააფთრებულმა წინააღმდეგობამ —

ყოველივე ამან მკვეთრი ზეგავლენა მოახდინა გერმანელ ფაშისტთა ნაწილების ბრძოლისუნარიანობაზე, მათ რიგებში დაბნეულობა წარმოშვა, გამარჯვებისადმი რწმენის დაკარგვა გამოიწვია.

მოსკოვთან თავდაცვითი ბრძოლების მსვლელობაში საბჭოთა ჯარებმაც დიდი დანაკლისი განიცადეს, მაგრამ ისინი მუდამ იღებდნენ სამშობლოსაგან საჭირო დახმარებას და ბოლომდე შეინარჩუნეს ბრძოლისუნარიანობა, გამარჯვების ურყევი რწმენა.

საბჭოთა ხალხმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა უმძიმესი დღეები გადაიტანეს და ახლა უკვე პირველ გამარჯვებათა სიხარულიც იგემეს. წითელმა არმიამ ჩაფუშა ჰიტლერელთა გეგმა. რომელიც ითვალისწინებდა ლენინგრადის აღებას და გერმანელ ფაშისტთა ჯარების შეერთებას ფინეთის შეიარაღებულ ძალებთან. იგი კონტრშეტევაზე გადავიდა ტიხვინთან, გაანადგურა მოწინააღმდეგე და დაიკავა ქალაქი. სამხრეთის ფრონტის ჯარებიც იმავდროულად ასევე კონტრშეტევაზე გადავიდნენ და გაათავისუფლეს დონის როსტოვი.

ჩვენი ჯარები, თავდაცვით ბრძოლებში მოპოვებული წარმატებებით აღფრთოვანებულნი, კონტრშეტევაზე გადავიდნენ მოსკოვთან ყოველგვარი პაუზის გარეშე. კონტრშეტევა აქ თავდაცვით ბრძოლათა მსვლელობის დროს მზადდებოდა. მისი განხორციელების მეთოდები საბოლოოდ მაშინ განისაზღვრა, როცა ყველა ნიშნის მიხედვით ცხადი გახდა, რომ ჰიტლერელები უკვე ვეღარ გაუძლებდნენ ჩვენს კონტრარტყმებს. ეს იყო დიდი და სასიხარულო მოვლენა, რომელმაც აღაფრთოვანა არა მარტო მთელი საბჭოთა ხალხი, არამედ მთელი პროგრესული კაცობრიობაც.

მთავარბანაკმა, რომელიც ისწრაფვოდა გამოეყენებინა ჩვენთვის მოსკოვის რაიონში შექმნილი ხელსაყრელი პირობები, დასავლეთის ფრონტის ერთდროულად კონტრშეტევაზე გადასვლა უბრძანა აგრეთვე კალინინის ფრონტს და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მარჯვენა ფრთის ჯარებს. დასავლეთის ფრონტის სამხედრო საბჭოსთან შეთანხმებით უმაღლესმა მთავარსარდლობამ ნოემბრის დამლევსა და დეკემბრის დასაწყისში მოსკოვის ჩრდილო-დასავლეთით და მოსკოვოლგის არხის აღმოსავლეთით თავი მოუყარა 1-ლ დამკვრელ არმიას. რიაზანის რაიონში ამავე დროისათვის მე-10 არმია იქნა თავმოყრილი.

29 ნოემბერს უმაღლეს მთავარსარდალს დავურეკე, მოვახსენე არსებული ვითარება და ვთხოვე გაეცა ბრძანება დასავლეთის ფრონტისათვის 1-ლი დამკვრელი და მე-10 არმიების დაქვემდებარების შესახებ, რათა უფრო მძლავრად დაგვერტყა მოწინააღმდეგისათვის და რაც შეიძლება შორს უკუგვეგდო იგი მოსკოვიდან.

ი. ბ. სტალინი ყურადღებით მისმენდა და შემდეგ მკითხა:

— თქვენ დარწმუნებული კი ხართ, რომ მოწინააღმდეგე კრი-

ზისულ მდგომარეობამდეა მისული და არა აქვს ბრძოლაში რომელიმე ახალი დიდი დაჯგუფების ჩაბმის შესაძლებლობა?

— მოწინააღმდეგე დაუძლურებულია. ჰაგრამ 1-ლი დამკვრელი და მე-10 არმიების გარეშე ფრონტის ჯარებიც ვერ შეძლებენ მტრის საშიში სოლების მოსპობას. თუ მათ ჩვენ ახლავე არ მოვესპობთ, მომავალში მოწინააღმდეგეს შეუძლია ჩრდილოეთისა და სამხრეთის დაჯგუფებათა ხარჯზე დიდი რეზერვებით გააძლიეროს თავისი ჯარები მოსკოვის რაიონში, და მაშინ, ალბათ, მდგომარეობა სერიოზულად გართულდება.

ი. ბ. სტალინმა მითხრა, გენერალურ შტაბს მოვეთათბირებიო.

მე ვთხოვე ფრონტის შტაბის უფროსს ვ. დ. სოკოლოვსკის (რომელსაც ასევე მიაჩნდა, რომ დრო იყო ბრძოლაში ჩაგვება 1-ლი დამკვრელი და მე-10 არმიები) დაკავშირებოდა გენერალურ შტაბს და დაესაბუთებინა ამხანაგებისათვის ფრონტის დაქვემდებარებაში სარეზერვო არმიების უსწრაფესად გადმოცემის მიზანშეწონილობა. 29 ნოემბერს გვიან საღამოთი გვაცნობეს მთავარბანაკის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ დასავლეთის ფრონტის განკარგულებაში გადმოდიოდა 1-ლი დამკვრელი და მე-10 არმიები და მე-20 არმიის ყველა შენაერთი. იმავე დროს მთავარბანაკმა გვიბრძანა გაგვეგზავნა ამ არმიების გამოყენების გეგმა.

2 დეკემბერს დილით ჩვენ მოვახსენეთ მთავარბანაკს ჩვენი მოსაზრებები, რომლებიც ძირითადად ასეთი იყო:

1-ლ დამკვრელ არმიას, რომელსაც გენერალ-ლეიტენანტი ვ. ი. კუზნეცოვი სარდლობდა, მთელი თავისი ძალები უნდა გაეშალა დმიტროვ-იახრომის რაიონში და 30-ე და მე-20 არმიებთან ურთიერთმოქმედებით განეხორციელებინა დარტყმა კლინის მიმართულებით, შემდეგ კი შეტევა განეგრძო ტერიაევა სლობოდის საერთო მიმართულებით;

მე-20 არმია 1-ლ დამკვრელ და მე-16 არმიებთან ურთიერთმოქმედებით კრასნაია პოლიანა—ბელი რასტის რაიონიდან შეტევას განახორციელებდა სოლნეჩნოგორსკის საერთო მიმართულებით, შემოუვლიდა მას სამხრეთიდან და ვოლოკოლამსკისაკენ აიღებდა გეზს; გარდა ამისა, მე-16 არმია თავისი მარჯვენა ფრთით იერიშს მიიტანდა კრიუკოვოზე და შემდეგ წარმართავდა შეტევას ვითარებისდა შესაბამისად;

მე-10 არმია 50-ე არმიის ჯარებთან ურთიერთმოქმედებით დარტყამდა მტერს სტალინოგორსკ — ბოგოროდიცკის მიმართულებით და შემდეგ მდინარე უპის სამხრეთით გააგრძელებდა შეტევას.

დასავლეთის ფრონტის ფლანგებზე გათვალისწინებული კონტრშეტევის უახლოესი ამოცანა ის იყო, რომ გაგვენადგურებინა „ცენტრის“ არმიათა ჯგუფის დამკვრელი დაჯგუფებანი და ზოგვესპო მოსკოვისათვის შექმნილი უშუალო საფრთხე. ფრონტის ჯარებისათვის

უფრო შორეული და გადამწყვეტი მიზნების დასასახავად ჩვენ მაშინ ჯერ კიდევ არ გვყავდა საკმარისი ძალები. ჩვენ მხოლოდ იქითკენ მივისწრაფოდით, რომ რაც შეიძლება შორს უკუგვეგდო მტერი მოსკოვიდან და რაც შეიძლება მეტი ზარალი მიგვეყენებინა მისთვის.

იმის მიუხედავად, რომ ჩვენ სამი დამატებითი არმია გადმოგვეცა, დასავლეთის ფრონტს არ ჰქონდა რიცხობრივი უპირატესობა (გარდა ავიაციისა) მოწინააღმდეგესთან შედარებით. უფრო მეტიც, ტანკებისა და არტილერიის მხრივ უპირატესობა მტრის მხარეზე იყო. ეს გარემოება მოსკოვთან ჩვენი ჯარების კონტრშეტევის ძირითად თავისებურებას წარმოადგენდა.

კონტრშეტევის პირველ ეტაპზე მე-5, 33-ე და 49-ე არმიებს, რომლებიც ფრონტის ცენტრში იმყოფებოდნენ, ევალებოდათ აქტიური მოქმედებით შეებოჭათ პირისპირ მდგომი მტრის ჯარები და საერთო შეტევაზე გადასასვლელად მომზადებულიყვნენ.

4 დეკემბერს გვიან ღამით უმაღლესმა მთავარსარდალმა დამირეკა და მკითხა:

— რით დაეხმაროთ კიდევ ფრონტს, გარდა იმისა, რაც უკვე მოგეცით?

მე ვუპასუხე, რომ ფრონტისათვის საჭირო იქნება მთავარსარდლობის რეზერვისა და ქვეყნის საჰაერო თავდაცვის ავიაციის მხარდაჭერა და, გარდა ამისა, თუნდაც ორი ასეული ტანკი ეკიპაჟებით. ფრონტს არა აქვს საკმაო რაოდენობით ტანკები, მათ გარეშე კი ვერ შევძლებთ კონტრშეტევის სწრაფად განვითარებას.

— ტანკები არ არის, მოცემა არ შეგვიძლია, — მითხრა სტალინმა, — ავიაცია იქნება, შეათანხმეთ გენერალურ შტაბთან. მე ახლა იქ დავრეკავ. მსედველობაში იქონიეთ, რომ 5 დეკემბერს შეტევაზე გადადის კალინინის ფრონტი. ხოლო 6 დეკემბერს ელცის რაიონში შეტევაზე გადავა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მარჯვენა ფრთის ოპერატიული ჯგუფი.

იმხანად მოსულმა დიდმა თოვლმა ძალიან გააძნელა ჯარების თავმოყრა, გადაჯგუფება და გამოსვლა საწყის რაიონებში მოსამზადებელი ოპერაციებისათვის. გადალახეს რა ეს სიძნელენი, 6 დეკემბერს დილას ყველა სახეობის ჯარები მზად იყვნენ ბრძოლის ახალი ეტაპისათვის მოსკოვის დასაცავად.

და აი დადგა 1941 წლის 6 დეკემბერი. დასავლეთის ფრონტის ჯარებმა დედაქალაქის ჩრდილოეთით და სამხრეთით დაიწყეს კონტრშეტევა. კალინინისა და ელცის რაიონში დაიძრნენ მეზობელი ფრონტები. გაიშალა გრანდიოზული ბრძოლა.

უკვე შეტევის პირველ დღეს კალინინის ფრონტის ჯარები შეიჭრნენ მოწინააღმდეგის თავდაცვის წინა ხაზში, მაგრამ მტრის უკუგდება

ვერ შეძლეს. მხოლოდ ათი დღის შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ ფრონტის ჯარებმა იწყეს წინსვლა. ეს მოხდა მას შემდეგ, როცა დასავლეთის ფრონტის მარჯვენა ფრთამ გაასადგურა გერმანელთა დაჯგუფება როგაჩევო-სოლნეჩნოგორსკის რაიონში და შემოუარა კლინს.

13 დეკემბერს დასავლეთის ფრონტის 1-ლი დარეკელი არმია და 30-ე არმიის ნაწილი მიადგნენ კლინს. გარს შემოერტყნენ რა ქალაქს ყველა მხრიდან, საბჭოთა ჯარები შეიკრნენ შიგ და გააფთრებული ბრძოლების შემდეგ 15 დეკემბერს გაწმინდეს კლინი მოწინააღმდეგისაგან.

წარმატებით ანვითარებდნენ შეტევითს მოქმედებას მე-20 და მე-16 არმიები. 9 დეკემბერს, დღის ბოლოს, მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობის გადალახვის შემდეგ, მე-20 არმია მიადგა სოლნეჩნოგორსკს და 11 დეკემბერს განდევნა მოწინააღმდეგე ქალაქიდან. მე-16 არმიამ 8 დეკემბერს გაანთავისუფლა კრიუკოვო და განავითარა შეტევა ისტრის წყალსაცავის მიმართულებით.

წინ მიიწევდნენ მარჯვენა ფრთის ჯარებიც მე-5 არმიისა, რომელსაც მეთაურობდა გენერალი ლ. ა. გოვოროვი. მე-5 არმიის წინსვლამ ბევრად შეუწყო ხელი მე-6 არმიის წარმატებას.

ჩვენთვის დიდი დანაკლისი იყო გვარდიის მე-2 ცხენოსანი კორპუსის მეთაურის გენერალ-მაიორის ლ. მ. დოვატორის და მე-20 ცხენოსანთა დივიზიის მეთაურის პოდპოლკოვნიკ მ. პ. ტავლიევის დაღუპვა 19 დეკემბერს სოფელ პალაშკინოს მახლობლად (12 კილომეტრზე რუზის ჩრდილო-დასავლეთით). ფრონტის სამხედრო საბჭოს წარდგენით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ლ. მ. დოვატორს სიკვდილის შემდეგ მიანიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

დასავლეთის ფრონტის მარჯვენა ფრთის კონტრშეტევითი მოქმედება წარმოებდა განუწყვეტლივ. მას აქტიურად უჭერდა მხარს ფრონტის ავიაცია, ჩვენი ქვეყნის საჰაერო თავდაცვის ავიაცია და შორეული ავიაცია. მას მეთაურობდა გენერალი ა. ე. გოლოვანოვი. ავიაცია ძალუმად ურტყამდა საარტილერიო პოზიციებს, სატანკო ნაწილებს, საკომანდო პუნქტებს, ხოლო, როცა დაიწყო ჰიტლერელთა ჯარების უკან დახევა, ავიაციას იერიშები მიჰქონდა და ბომბავდა ქვეითი, ჯავშანსატანკო და ავტოსატრანსპორტო კოლონებს. ამის შედეგად დასავლეთისაკენ მიმავალი ყველა გზა მოწინააღმდეგის ჯარების უკან დახევის შემდეგ გაჭედილი იყო მისი საბრძოლო ტექნიკითა და ავტომანქანებით.

ფრონტის სარდლობა გზავნიდა მოწინააღმდეგის ზურგში სათხილამურო ნაწილებს, ცხენოსან და საჰაერო-სადესანტო ჯარებს, რომლებიც ანადგურებენ უკან დახეულ მტერს. იქ, თავიანთი მოქმედების შეთანხმებით ფრონტების სამხედრო საბჭოებთან, მტრის წინააღმდეგ

ბრძოლა გაშალეს პარტიზანებმა. მათმა მოქმედებამ სერიოზულად გაურთულა მდგომარეობა გერმანიის სარდლობას.

3 დეკემბერს ფრონტის მარცხენა ფრთაზე, 50-ე არმიის ჯარები და გენერალ პ. ა. ბელოვის ცხენოსანთა კორპუსი შეუდგნენ გუდერიანის სატანკო არმიის განადგურებას ტულის რაიონში. გუდერიანის არმიის მე-3, მე-17 სატანკო და 29-ე მოტორიზებულმა დივიზიებმა ბრძოლის ველზე დატოვეს დაახლოებით 70 ტანკი და დაიწყეს სწრაფად დახევა უკან ვენევისაკენ.

6 დეკემბერს ბრძოლაში ჩაება მე-10 არმიაც მიხაილოვის რაიონში, სადაც მოწინააღმდეგე შეეცადა თავდაცვის ხაზის შენარჩუნებას იმისათვის, რომ დაეფარა უკან დახეული მე-2 სატანკო არმიის ფლანგი. 8 დეკემბერს ტულის რაიონიდან შეტევაზე გადავიდნენ 50-ე არმიის დანარჩენი ჯარებიც, რათა მოეჭრათ მოწინააღმდეგისათვის ვენევიდან და მიხაილოვოდან უკან დასახევი გზები.

ფრონტისა და მთავარბანაკის აეროაცია განუწყვეტლივ უჭერდა მხარს პ. ა. ბელოვის ცხენოსანთა კორპუსის შეტევას და 50-ე და მე-10 არმიების მოქმედებებს.

ფლანგებიდან ღრმად შემოვლილმა გუდერიანის არმიამ, რომელსაც აღარ ჰქონდა ძალა მოეგერიებინა დასავლეთის ფრონტისა და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ოპერატიული ჯგუფის კონტრშეტევითი დარტყმები, დაიწყო სწრაფად უკან დახევა საერთო მიმართულებით უზლოვოისაკენ, ბოგოროდიცკისა და იქით სუხინიჩისაკენ, ამასთანავე მიატოვა მძიმე იარაღი, ავტომანქანები, გამწეები და ტანკები.

ათი დღის ბრძოლების მსვლელობაში დასავლეთის ფრონტის მარცხენა ფრთის ჯარებმა სერიოზული მარცხი მიაყენეს გუდერიანის მე-2 სატანკო არმიას და წინ წაიწიეს 130 კილომეტრით.

დასავლეთის ფრონტის მარცხენა მხარეს წარმატებით მიიწევდნენ წინ ახლად ფორმირებული ბრიანსკის ფრონტის შენაერთები. ჯარების გამოსვლითს ხაზზე ორეშკა-სტარიცა—მდინარეები ლამა და რუზა-მალოიაროსლავეცი-ტიხონოვა პუსტინი-კალუგა-ბოსალსკი-სუხინიჩი-ბელევი-მცენსკი-ნოვოსილი — დამთავრდა საბჭოთა ჯარების კონტრშეტევის პირველი ეტაპი მოსკოვთან. ბოლოს აცილებული იქნა საფრთხე ტულაზე. კონტრშეტევაში აქ ძირითადი როლი შეასრულეს ა. ლ. გეტმანის სატანკო დივიზიამ, პ. ა. ბელოვის ცხენოსანთა კორპუსმა და 50-ე არმიის ოპერატიულმა ჯგუფმა. რომელიც მოქმედებდა გენერალ-ლეიტენანტ ვ. ს. პოპოვის მეთაურობით.

ჰიტლერის დაუძლურებული, დაქანცული არმიები განიცდიდნენ დიდ დანაკლისს და ჩვენი ჯარების დაწოლის გამო იხევდნენ დასავლეთისაკენ. დასავლეთის მიმართულებისათვის (დასავლეთის, კალინინისა და ბრიანსკის ფრონტებისათვის), როგორც ჩვენ ვფიქრობდით,

კონტრშეტევის შემდგომი ეტაპი უნდა გამოხატულიყო იმაში, რათა სათანადო ძალებისა და საშუალებების მიღების შემდეგ გაგვეგრძელებინა ეს კონტრშეტევა მის სრულ დამთავრებამდე. მხედველობაში იყო იმ მდგომარეობის აღდგენა, რომელიც ამ ფრონტებს ეკავათ ფაშისტური ჯარების მიერ „ტაიფუნად“ წოდებული შეტევითი ოპერაციის დაწყებამდე.

მაშინ რომ უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკიდან გასაძლიერებლად მიგვეღო თუნდაც ოთხი არმია (თითო-თითო კალინინისა და ბოიანსკის ფრონტებისათვის და ორი დასავლეთის ფრონტისათვის), ჩვენ გვექნებოდა რეალური შესაძლებლობა კიდევ უფრო დაგვემარცხებინა მტერი, კიდევ უფრო შორს გაგვედევნა იგი მოსკოვიდან და გავსულიყავით ვიტებსკი-სმოლენსკი-ბრიანსკის ხაზზე.

ყოველ შემთხვევაში არც სამხედრო საბჭოს წევრთა შორის და არც ფრონტის შტაბში არ ყოფილა არავითარი აზრთა სხვადასხვაობა იმის შესახებ, რომ კონტრშეტევის გასაგრძელებლად საჭირო იყო ყველა არსებული ძალის გამოყენება დასავლეთის სტრატეგიული მიმართულებით, რათა რაც შეიძლება მეტი ზარალი მიგვეყენებინა მტრისათვის.

ცენტრალური სტრატეგიული მიმართულებით კონტრშეტევის წარმატებას დეკემბერში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. გერმანიის „ცენტრის“ არმიების ჯგუფის დამკვრელმა დაჯგუფებებმა სასტიკი მარცხი განიცადეს და უკან იხევდნენ. მიგრამ საერთოდ მტერი ჯერ კიდევ ძლიერი იყო და არა მარტო დასავლეთის, არამედ სხვა მიმართულებითაც. ფრონტის ცენტრალურ უბანზე მტერი გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდა ჩვენ ჯარებს, ხოლო წარმატებით დაწყებულმა ჩვენმა შეტევითმა ოპერაციებმა როსტოვთან და ტიხვინთან, სათანადოდ დაუმთავრებლობის გამო, გაქიანურებული ხასიათი მიიღო.

მაგრამ უმაღლესი მთავარსარდალი, რომელიც გერმანელ ფაშისტთა ჯარების მოსკოვთან განადგურების და კონტრშეტევის მსვლელობაში მიღწეულ წარმატებათა გაელენის ქვეშ იმყოფებოდა, ოპტიმისტურად იყო განწყობილი. იგი ფიქრობდა, რომ გერმანელები სხვა ფრონტებზედაც ვერ გაუძლებდნენ წითელი არმიის დარტყმებს. აქედან წარმოიშვა იდეა, რაც შეიძლება ჩქარა დაეწყოთ საერთო შეტევა მთელ ფრონტზე ლადოგის ტბიდან შავ ზღვამდე.

მე როგორც მთავარბანაკის წევრი, 5 იანვარს საღამოს ვამომიძახეს უმაღლეს მთავარსარდალთან წითელი არმიის საერთო შეტევის გეგმის პროექტის განხილვაში მონაწილეობისათვის ფრონტებზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ ბ. მ. შაპოშნიკოვის ჩოკლე ინფორმაციისა და მის მიერ გეგმის პროექტის გადმოცემის შემდეგ ი. ბ. სტალინმა თქვა:

— გერმანელები დაბნეულები არიან მოსკოვთან დამარცხების გამო. ისინი ცუდად მოემზადნენ ზამთრისათვის. ახლა ყველაზე ხელსაყრელი მომენტია საერთო შეტევაზე გადასასვლელად.

უმაღლესი მთავარსარდლობის განზრახვა იყო შემდეგი. მხედველობაში იღებდა რა დასავლეთის მიმართულების ფრონტთა კონტრშეტევის წარმატებებს, საერთო შეტევის მიზნად სახავდა მოწინააღმდეგის განადგურებას ლენინგრადთან, მოსკოვის დასავლეთით და ჩვენი ქვეყნის სამხრეთ ნაწილში.

დაგეგმილი იყო მთავარი დარტყმა მიმართული ყოფილიყო „ცენტრის" არმიების ჯგუფის წინააღმდეგ. მისი განადგურება უნდა განხორციელებულიყო ჩრდილო-დასავლეთის, კალინინის, დასავლეთისა და ბრიანსკის ფრონტების მარცხენა ფრთის ძალებით ორმხრივი შემოვლის გზით და შემდგომი ალყის შემორტყმით და მთავარი ძალების განადგურებით რჟევის, ვიაზმისა და სმოლენსკის რაიონში.

ლენინგრადის, ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის მარჯვენა ფრთის ჯარებსა და ბალტიის ფლოტს გეგმა ამოცანად უსახავდა „ჩრდილოეთის" არმიების ჯგუფის განადგურებას და ლენინგრადის ბლოკადის ლიკვიდაციას.

სამხრეთ-დასავლეთისა და სამხრეთის ფრონტების ჯარებს უნდა დაემარცხებინათ „სამხრეთის" არმიების ჯგუფი და გაენთავისუფლებინათ დონბასი, ხოლო კავკასიის ფრონტის ჯარებსა და შავი ზღვის ფლოტს — ყირიმი.

საერთო შეტევაზე გადასვლა უნდა განხორციელებულიყო მეტად მოკლე ვადებში.

ი. ბ. სტალინმა წინადადება მოგვცა დამსწრეებს გამოგვეთქვა ჩვენი აზრი წარმოდგენილი პროექტის ირგვლივ.

— დასავლეთის მიმართულებით, — მოვახსენე მე, — სადაც შეიქმნა უფრო ხელსაყრელი პირობები და მოწინააღმდეგემ ჯერ კიდევ ვერ მოასწრო თავისი ნაწილების ბრძოლისუნარიანობის აღდგენა, უნდა განვაგრძოთ შეტევა. მაგრამ საქმის წარმატებით დამთავრებისათვის საჭიროა ჯარების შევსება პირადი შემადგენლობით, საბრძოლო ტექნიკით და გაძლიერება რეზერვებით, პირველ რიგში სატანკო ნაწილებით.

რაც შეეხება ჩვენი ჯარების შეტევას ლენინგრადთან და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, იქ ჩვენი ჯარები დგანან მოწინააღმდეგის სერიოზული თავდაცვის წინაშე. მძლავრი საარტილერიო საშუალებათა გარეშე ისინი ვერ შესძლებენ მტრის თავდაცვის გარღვევას, თვითონ დაიქანცებიან და მიიღებენ ყოველად გაუმართლებელ დიდ ზარალს. მე იმის მომხრე ვარ, რომ გაძლიერდეს დასავლეთის მიმართულების ფრონტები და აქ ვაწარმოოთ უფრო ძლიერი შეტევა.

— ჩვენ ახლა ჯერ კიდევ არა გვაქვს საკმაო მატერიალური შესაძლებლობა იმისათვის, რათა ვუზრუნველეყოთ ყველა ფრონტის ერთდროული შეტევა. — შეხიშნა ნ. ა. ვოზნესენსკიმ.

— მე ველაპარაკე ტიმოშენკოს, — თქვა ი. ბ. სტალინმა, — იგი შეტევის მომხრეა. საჭიროა გერმანელებისათვის სწრაფად არაქათის გამოცლა, რათა მათ ვერ შეძლონ შეძოტევა გაზაფხულზე.

ი. ბ. სტალინმა იკითხა:

— ვის უნდა კიდევ გამოთქვას თავისი აზრი?

ხმა არავის აძოუღია.

— მაშ ასე. მოდი, ამით დავამთავროთ ლაპარაკი.

კაბინეტიდან გამოსვლის შემდეგ ბ. მ. შაპოშნიკოვმა მითხრა:

— თქვენ ამაოდ დავობდით: ეს საკითხი წინასწარ იყო გადაწყვეტილი უმაღლესი მთავარსარდლის მიერ.

— მაშინ რისთვის მეკითხებოდნენ ჩემ აზრს?

— არ ვიცი, არ ვიცი, გეთაყვა! — მითხრა ბორის მიხეილის ძემ, და მძიმედ ამოიოხრა.

დირექტივა შეტევის შესახებ ფრონტის შტაბმა მიიღო 7 იანვარს. ამ დირექტივის შესასრულებლად სამხედრო საბჭომ დაუსახა ფრონტის ჯარებს შებდეგი დამატებითი ამოცანები კონტრშეტევის გაგრძელებისათვის:

ფრონტის მარჯვენა ფრთას (1-ელ დამკვრელს, მე-20 და მე-16 არმიებს) განეგრძო შეტევა საერთო მიმართულებით სიჩოვკისაკენ და კალინინის ფრონტთან ურთიერთმოქმედებით გაენადგურებინა სიჩოვკა-რჟევის ჭრის დაჯგუფება.

ფრონტის ცენტრი (მე-5 და 33-ე არმიები) შეტევაზე წასულიყო საერთო მიმართულებით მოჟაისკ-გჟატსკისაკენ; 43-ე, 49-ე და 50-ე არმიებს მიეტანათ იერიში იუხნოვზე, გაენადგურებინათ მოწინააღმდეგის იუხნოვ-კონდროვის დაჯგუფება და განეეიოარებინათ დარტუმა ვიაზმაზე.

ბ. ა. ბელოვის გაძლიერებული ცხენოსანთა კორპუსი უნდა გამოსულიყო ვიაზმის რაიონში კალინინის ფრონტის შემადგენლობაში მოქმედი გენერალ-მაიორ ს. ვ. სოკოლოვის მე-11 ცხენოსანთა კორპუსის შესახვედრად, რათა ორივეს ერთად დაერტყა ზურგში მოწინააღმდეგის ვიაზმის დაჯგუფებისათვის (ამ პერიოდში ვიაზმის რაიონში აქტიურად მოქმედებდნენ მსხვილი პარტიზანული რაზმები).

მე-10 არმიას უნდა დაეწყო შეტევა კიროვზე და დაეცვა ფრონტის მარცხენა ფლანგი.

მარჯვნივ, მეზობელ — კალინინის ფრონტს ევალებოდა შეტევა საერთო მიმართულებით სიჩოვკისაკენ, ვიაზმისაკენ და ძალების ნა-

წილით რჟევის შემოვლა; მის 22-ე არმიას შეტევა უნდა განეკითარებინა ბელისაკენ.

ჩრდილო-დასავლეთის ფრონტს შეტევა უნდა ეწარმოებინა ორი, ერთმანეთისაგან დაშორებული მიმართულებით. მისი მე-3 დამკვრელი არმია გენერალ-ლეიტენანტის მ. ა. პურკაევის მეთაურობით უნდა დაძრულიყო საერთო მიმართულებით ველიკიე ლუკისაკენ. მე-4 დამკვრელ არმიას, რომელსაც მეთაურობდა გენერალ-პოლკოვნიკი ა. ი. ერიომენკო, უნდა გაეშალა შეტევა ტოროპეც-ველიჟისაკენ.

სამხრეთ-დასავლეთისა და ბრიანსკის ფრონტების მარჯვენა ფრთის არმიებს დავალება მიეცათ შეებოჭათ მათ წინაშე განლაგებული მტერი და არ დაეშვათ მისი ძალების გადასროლა ცენტრალური მიმართულებისა და დონბასისაკენ.

სამხრეთ-დასავლეთის მიმართულების ჯარებს უნდა აეღოთ ხარკოვი და დაეკავებინათ პლაცდარმები დნეპროპეტროვსკისა და ზაპოროჟიეს რაიონებში.

გეგმა დიდი იყო, მაგრამ რიგ მიმართულებაზე იგი არ იყო უზრუნველყოფილი არც ძალებით, არც საშუალებებით. ყველაფერმა ამან თავისი გავლენა მოახდინა ჩვენი პირველი ზამთრის შეტევის ტემპსა და შედეგებზე. მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის წინსვლა ვითარდებოდა წარმატებით, ვინაიდან აქ არ იყო მოწინააღმდეგის თავდაცვის მთლიანი ხაზი, არსებობდა მხოლოდ თავდაცვის ცალ-ცალკე კერა.

თებერვლის დამდეგს ამ ფრონტის მე-3 და მე-4 დამკვრელი არმიები დაახლოებით 250 კილომეტრის გავლის შემდეგ გამოვიდნენ ველიკიე ლუკის, დემიდოვოსა და ველიჟის მისადგომებზე. კალინინის ფრონტის 22-ე არმია ამ დროს ბრძოლებს აწარმოებდა ქალაქ ბელის ასაღებად, ხოლო მე-11 ცხენოსანთა კორპუსი გამოდიოდა ვიაზმის ჩრდილო-დასავლეთის რაიონში. კალინინის ფრონტის 39-ე და 29-ე არმიები ნელა მიიწევდნენ წინ რჟევის დასავლეთით. კალინინის ფრონტის მარცხენა ფრთის ჯარებმა წარმატებას ვერ მიაღწიეს, რადგან მათ წინ იყო მტრის ძლიერი თავდაცვა.

მოწინააღმდეგის მოქმედებათა საერთო ხასიათი ამ პერიოდში განისაზღვრებოდა ჰიტლერის 1942 წლის 3 იანვრის ბრძანებით, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამი იყო: „ჩაებღაუჭეთ თითოეულ დასახლებულ პუნქტს, არ დაიხიოთ უკან ერთი ნაბიჯითაც. დაიცავით თავი უკანასკნელ ვაზნამდე, უკანასკნელ ჭურვამდე—აი, რას მოითხოვს ჩვენგან მიმდინარე მომენტი“.

„ბატონო მეთაურებო! — წერდა ბრძანებაში 23-ე ქვეითი დივიზიის მეთაური. — სამხედრო მოქმედებათა საერთო ვითარება გადაუ-

რით მოითხოვს ჩვენი ნაწილების სწრაფი უკან დახევის შეჩერებას მდინარე ლამის ზღვარზე და დივიზიის მიერ შეუპოვარი თავდაცვის ხაზის დაკავებას. პოზიცია მდინარე ლამაზე დაცული უნდა იქნას უკანასკნელ კაცამდე. საკითხი ეხება ჩვენს ყოფნა-არყოფნას...“

რისი იმედი ჰქონდა გერმანიის სარდლობას, როცა თავის ჯარებისაგან გადაჭრით მოითხოვდა შეჩერებას ლამის ზღუდეზე?

იგი მხედველობაში იღებდა იმას, რომ იქ იყო ჯერ კიდევ ოქტომბერ-ნოემბერში აგებული ჩვენი ჯარების თავდაცვითი პოზიციები, სადაც დროებით შეიძლებოდა გამაგრება. ეს პოზიციები განლაგებული იყო მდინარის ორივე ნაპირზე ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, შემდეგ უერთდებოდა პოზიციებს მდინარეებზე რუზასა და ნარზე.

გარდა ამისა, მოწინააღმდეგემ დეკემბრის შუა რიცხვებში გადმოისროლა სიღრმიდან ყოველგვარი შენაკრები, სათადარიგო და ოკუპირებული ტერიტორიებიდან ახლად ჩამოყვანილი დივიზიები და შეძლო ამ პოზიციების კიდევ უფრო გამაგრება თავდაცვისათვის. და იმ მომენტისათვის, როცა მოსკოვის მისადგომებთან დამარცხებული მტრის ჯარები უკან დახევისას მივიდნენ ზემოთჩამოთვლილი მდინარეების საზღვარზე, თავდაცვითი ხაზის საინჟინრო ნაგებობანი დამთავრებული იყო.

10 იანვარს დასავლეთის ფრონტის ჯარებმა (მე-20, 1-ლი დამკვრელი არმიის ნაწილმა, ი. ა. პლიევის მე-2 ცხენოსანთა კორპუსმა, 22-ე სატანკო ბრიგადამ, ხუთმა სათხილამურო ბატალიონმა) საათნახევრიანი საარტილერიო მომზადების შემდეგ დაიწყეს შეტევა ფრონტის გარღვევის მიზნით ვოლოკოლამსკის რაიონში. ორი დღის შეუპოვარი ბრძოლების შედეგად ჯარებმა შეძლეს მოწინააღმდეგის თავდაცვის გადალახვა. გარღვევაში მონაწილეობდა გენერალ-მაიორ ი. ა პლიევის ცხენოსანთა კორპუსი ხუთი სათხილამურო ბატალიონითა და 22-ე სატანკო ბრიგადით.

1942 წლის 16 და 17 იანვარს ფრონტის მარჯვენა ფრთის ჯარებმა პარტიზანული რაზმების დახმარებით დაიკავეს ლოტოშინო, შახოვსკოი და გადასჭრეს რკინიგზა მოსკოვი-რჟევი. თითქოს სწორედ აქ იყო საჭირო ძალების გაძლიერება წარმატების განსავითარებლად, მაგრამ სულ სხვანაირად გამოვიდა.

19 იანვარს მოვიდა ბრძანება, ბრძოლიდან გამოგვეყვანა 1-ლი დამკვრელი არმია მთავარბანაკის რეზერვში. მეც და ვ. დ. სოკოლოვსკიმაც დავრეკეთ გენერალურ შტაბში, ვთხოვეთ დაეტოვებინათ ჩვენთან 1-ლი დამკვრელი არმია. პასუხი ერთი იყო — ასეთია უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებაო. დავურეკე ი. ბ. სტალინს. გავიგონე: „გამოიყვანეთ ყოველგვარი ლაპარაკის გარეშე“. ჩემს განაცხადებაზე, ამ

არმიის წასვლა გამოიწვევს დამკვრელი დაჯგუფების დასუსტებასძეთქი, მან მიპასუხა: „თქვენ ჯარი ბევრი გყავთ, აბა, დაითვალეთ, რამდენი არმია გყავთ“.

მე ვუთხარი, ჩვენი ფრონტი ფართოა, ყველა მიმართულებით მიმდინარეობს გააფთრებული ბრძოლები, რაც გამორიცხავს გადაჯგუფების შესაძლებლობას. ამიტომ გთხოვთ, დაწყებული შეტევის დამთავრებამდე არ გამოიყვანოთ 1-ლი დამკვრელი არმია დასავლეთის ფრონტის მარჯვენა ფრთის შემადგენლობიდან, რათა არ შესუსტდეს ამ უბანზე მტერზე დაწოლა-მეთქი.

ი. ბ. სტალინმა პასუხის ნაცვლად ყურმილი დადო. მოლაპარაკებამ ბ. მ. შაპოშნიკოვთან ამ საკითხის ირგვლივ აგრეთვე არავითარი შედეგი არ გამოიღო.

— გეთაყვა, — მითხრა ბ. მ. შაპოშნიკოვმა, არაფრის გაკეთება არ შემიძლია, ეს უმაღლესი მთავარსარდლის პირადი გადაწყვეტილებაა.

იძულებული გავხდით, ვრცელ ფრონტზე გაგვეშიმა მე-20 არმია. ფრონტის მარჯვენა ფრთის ჯარები გეატსკთან მისვლისას შეაჩერა მოწინააღმდეგის ორგანიზებულმა თავდაცვამ და წინ წასვლა ვეღარ შეძლო.

მე-5 და 33-ე არმიებმა, რომლებიც ფრონტის ცენტრში უტევდნენ, გაანთავისუფლეს რუზა, დოროხოვო, მოჟაისკი, ვერეი. 43-ე და 49-ე არმიები გავიდნენ დომანოვოს რაიონში და ბრძოლა გააჩაღეს მოწინააღმდეგის იუხნოვოს დაჯგუფებასთან.

აქ მინდა უფრო დაწვრილებით შევჩერდე საბჭოთა ჯარების მოქმედებაზე ვიაზმის რაიონში. ორმოც კილომეტრზე ვიაზმის სამხრეთით (ელანიეს რაიონი) 18-დან 22 იანვრამდე მოწინააღმდეგის ზურგის გზების ხელში ჩასაგდებად გადმოსხმული იქნა 201-ლი საჰაერო-სადესანტო ბრიგადის ორი ბატალიონი და 250-ე ავიასადესანტო პოლკი. გენერალ-ლეიტენანტ მ. გ. ეფრემოვის 33-ე არმიას ნაბრძანები ჰქონდა, განევითარებინა გარღვევა და პ. ა. ბელოვის 1-ლ ცხენოსანთა კორპუსთან, ავიადესანტთან, პარტიზანულ რაზმებთან და კალინინის ფრონტის მე-11 ცხენოსანთა კორპუსთან ურთიერთმოქმედებით აეღო ვიაზმა.

27 იანვარს გენერალ პ. ა. ბელოვის კორპუსმა გადალახა ვარშავის გზატკეცილი 35 კილომეტრზე იუხნოვის სამხრეთ-დასავლეთით და სამი დღის შემდეგ შეუერთდა მედესანტეებსა და პარტიზანულ რაზმებს ვიაზმის სამხრეთით. 1-ლ თებერვალს იქვე გამოვიდა 33-ე არმიის სამი მსროლელთა დივიზია (113-ე, 338-ე 160-ე) გენერალ-ლეიტენანტ მ. გ. ეფრემოვის პირადი მეთაურობით და გააჩაღა ბრძოლა ვიაზმის მისადგომებთან. პ. ა. ბელოვის 1-ლ ცხენოსანთა კორპუსის გა-

საძლიერებლად და კალინინის ფრონტის მე-11 ცხენოსანთა კორპუსთან ერთიერთმოქმედების დასამყარებლად მთავარბასაქმა ბრძანა, გადმოესხათ ოზერჩინის რაიონში მე-4 საჰაერო-სადესანტო კორპუსი. მაგრამ სატრანსპორტო ავიაციის უქონლობის გამო გადმოსხეს მხოლოდ მე-8 საჰაერო-სადესანტო ბრიგადა ორი ათასი კაცის შემადგენლობით.

33-ე არმიამ განავითარა შეტევა ნარო-ფომინსკის რაიონიდან საერთო მიმართულებით ვიაზმისაკენ და იანვრის უკანასკნელ დღეს სწრაფად გავიდა შანსკის ზავოდისა და დომანოვოს რაიონში, სადაც მოწინააღმდეგის თავდაცვაში აღმოჩნდა ფართო, სრულიად თავისუფალი სივრცე. მთლიანი ფრონტის უქონლობამ საფუძველი მოგვცა გვეფიქრა, რომ გერმანელებს ამ მიმართულებაზე არ ჰყავდათ საკმაო ძალა. რათა საიმედოდ დაეცვათ ვიაზმა. ამიტომ მივიღეთ გადაწყვეტილება: სანამ მოწინააღმდეგე მოიყვანდა აქ რეზერვებს, შეუჩერებლად დაგვეკავებინა ვიაზმა, რომლის დაცემით მტრის მთელი ვიაზმის დაჯგუფება აღმოჩნდებოდა უაღრესად მძიმე მდგომარეობაში.

გენერალ-ლეიტენანტმა მ. გ. ეფრემოვმა გადაწყვიტა თვითონ ჩადგომოდა სათავეში არმიის დამკვრელ ჯგუფს და სწრაფად წავიდა წინ ვიაზმისაკენ.

3-4 თებერვალს, როცა ამ დაჯგუფების მთავარი ძალები ორი დივიზიის შემადგენლობით გავიდნენ ვიაზმის მისადგომებთან, მოწინააღმდეგემ იერიში მიიტანა გარღვევის საწყისზე, ჩამოსჭრა ჯგუფი და ალადგინა თავისი თავდაცვა მდინარე ეგრის გასწვრივ. არმიის მეორე ეშელონი ამ დროს შეჩერდა შანსკი ზავოდის რაიონში, ხოლო მისი მარცხენა მეზობელი — 43-ე არმია მედინის რაიონში. ფრონტის შტაბის მიერ დაკისრებული ამოცანა — დახმარება აღმოეჩინა მ. გ. ეფრემოვის ჯგუფისათვის, 43-ე არმიამ დროულად ვერ შეასრულა.

ვიაზმის მიმართულებით ბრძოლაში შეყვანილ პ. ა. ბელოვის ცხენოსანთა კორპუსს ვიაზმის რაიონში გასვლისა და იქ მ. გ. ეფრემოვის ჯარებთან შეერთების შემდეგ თვითონ აღარ აღმოაჩნდა ზურგის გზები.

იმ დროისათვის გერმანიის სარდლობამ გადმოისროლა საფრანგეთიდან და სხვა ფრონტებიდან დიდი რეზერვები ვიაზმის რაიონში და შეძლო იქ სტაბილიზება თავისი თავდაცვისა, რომლის გარღვევაც ჩვენ ვერ შევძელით.

ამის შედეგად იძულებული გავხდით, ჩვენი ჯარების მთელი ეს დაჯგუფება დაგვეტოვებინა მტრის ზურგში ვიაზმის სამხრეთ-დასავლეთით ტყიან რაიონში, სადაც მოქმედებდნენ მრავალრიცხოვანი პარტიზანული რაზმები.

მოწინააღმდეგის ზურგში ყოფნისას პ. ა. ბელოვის კორპუსი, მ. გ. ეფრემოვის ჯგუფი და საჰაერო-სადესანტო ნაწილები პარტიზა-

ნებთან ერთად ორი თვის მანძილზე საგრძნობ ზარალს აყენებდნენ მტერს, სპობდნენ მის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას.

10 თებერვალს მე-8 საჰაერო-სადესანტო ბრიგადამ და პარტიზანთა რაზმებმა დაიკავეს რაიონი მორშანოვო-დიაგილევო, სადაც გაანადგურეს გერმანელების მე-5 სატანკო დივიზიის შტაბი და ხელთ იგდეს დიდძალი ნადავლი. იმავე დღეს ეს შევატყობინეთ ჰ. ა. ბელოვსა და მ. გ. ეფრემოვს. მათ ვუბრძანეთ თავიანთი მოქმედება შეეთანხმებინათ ამ ბრიგადის მეთაურთან, რომლის შტაბი იმყოფებოდა დიაგილევოში.

ფრონტის სარდლობამ დაამყარა ჰ. ა. ბელოვთან და მ. გ. ეფრემოვთან რადიოკავშირი და შესაძლებლობის ფარგლებში მოაწესრიგა ჰაერიდან მათი ჯარების მომარაგება საბრძოლო მასალებით, მედიკამენტებით, სურსათით. საჰაერო გზით გადმოყვანილ იქნა მრავალი დაჭრილი. ჯგუფთან მრავალჯერ გაფრინდნენ ფრონტის შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსი გენერალ-მაიორი ვ. ს. გოლუშკევიჩი და აგრეთვე კავშირგაბმულობის მეთაურები.

აპრილის დამდეგს ვიაზმის რაიონში მდგომარეობა სერიოზულად გართულდა. მოწინააღმდეგემ თავი მოუყარა მნიშვნელოვან ძალებს და დაიწყო ჯგუფის შეევიწროება, მიზნად დაისახა რა გაზაფხულისათვის მოესპო მისთვის ეს საშიში „აბეზარა". აპრილის დამლევის თბილმა დღეებმა უკიდურესად შეამცირა მანევრირების შესაძლებლობა და ჯგუფის კავშირი პარტიზანულ რაიონებთან, საიდანაც იგი აგრეთვე იღებდა სურსათსა და ფურაჟს.

გენერლების ჰ. ა. ბელოვისა და მ. გ. ეფრემოვის თხოვნით ფრონტის სარდლობამ ნება დართო მათ, გამოეყვანათ ჯარები ჩვენს მთავარ ძალებთან შესაერთებლად. ამასთან სასტიკად ჰქონდათ მითითებული გამოსულიყვნენ ვიაზმის რაიონიდან პარტიზანული რაიონების, ტყეების გავლით. საერთო მიმართულებით კიროვისაკენ, სადაც მე-10 არმია მოამზადებდა მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევას; აქ ეს თავდაცვა უფრო სუსტი იქნებოდა.

გენერალ ჰ. ა. ბელოვის ცხენოსანთა კორპუსმა და საჰაერო-სადესანტო ნაწილებმა ზუსტად შეასრულეს ბრძანება — გამოიარეს დიდი ნალისებრი გზა და გამოვიდნენ 1942 წლის მაისის დამლევს და ივნისის დამდეგს მე-10 არმიის უბანზე. მოწინააღმდეგის დიდი ჯგუფების შემოვლით და გზაში შეხვედრილი პატარა ჯგუფების განადგურებით ისინი მე-10 არმიის მიერ გარღვეული ხაზის გავლით შემოვიდნენ ფრონტის განლაგებაში. მტრის ზურგში მოქმედებისა და ამ რეიდის შესრულების დროს ჯგუფმა დაჰკარგა მძიმე იარაღისა და საბრძოლო ტექნიკის დიდი ნაწილი. უმრავლესობა მაინც გამოვიდა თავის ჯარებთან. რა სასიხარულო იყო იმ ადამიანთა შეხვედრა, ვინც თავი დააღწია მტრის ზურგს და იმათი, რომლებიც ფრონტიდან იბრძოდნენ მათ

გამოსაყვანად! ჯარისკაცებსა და მეთაურებს არ რცხვენოდათ თავიანთი კრემლებისა: ეს იყო სიბარულისა და ჯარისკაცური ძეგობრობის კრემლები.

გენერალ-ლეიტენანტმა მ. გ. ეფრემოვმა ჩათვალა, რომ ეს გზა მისი ბოქანცული ჯგუფისათვის ძალიან გრძელი იყო, და რადიოთი უშუალოდ მიმართა გენერალურ შტაბს თხოვნით, რათა მისთვის ნება მიეცათ, რკალი გაერღვია უმოკლეს გზაზე — მდინარე უგრაზე გადმოსვლით.

მე მაშინვე დამირეკა ი. ბ. სტალინმა და მკითხა, თანახმა ხარ თუ არა ეფრემოვის წინადადებისო. მე კატეგორიულად უარით ვუპასუხე. მაგრამ უმაღლესმა მთავარსარდალმა ბითხრა, ეფრემოვი გაბოცდილი სარდალია და მას უნდა დავეთანხმოთო. ძთავარბანაკმა გვიბრძანა, მოგვეწყო შემხვედრი თავდასხმა ფრონტის ძალებით. ასეთი თავდასხმა მოამზადა და განახორციელა 43-ე არმიამ, ბხოლოდ ამას გენერალ მ. გ. ეფრემოვის ჯგუფის მხრივ შეტევა არ მოჰყოლია.

როგორც შემდეგ გამოირკვა, გერმანელებბა აღმოაჩინეს მდინარე უგრასაკენ მიმავალი რაზმი და დაამარცხეს იგი. არმიის ძეთაური მ. გ. ეფრემოვი, რომელიც ნამდვილი გმირივით იბრძოდა, ძძიმედ დაიჭრა და რადგან არ უნდოდა მტრის ხელში ცოცხლად ჩავარდნა, თავი მოიკლა. ასე ტრაგიკულად დამთავრდა ნიჭიერი და უმამაცესი ძხედართეფროსის სიცოცხლე, რომელთანაც ერთად დაიღუპა მისი ჯგუფის გმირ მებრძოლთა მნიშვნელოვანი ნაწილიც.

გენერალ-ლეიტენანტი ვ. გ. ეფრემოვი 33-ე არმიის მეთაურად დაინიშნა 1941 წლის 25 ოქტომბერს, როცა გერმანელები მიიწევდნენ მოსკოვისაკენ. მოსკოვისათვის ბრძოლაში არმიის ჯარები მისი მეთაურობით გმირულად იბრძოდნენ და არ გადმოუშვეს მტერი თავიანთი თავდაცვის ზღუდეზე. მოსკოვთან ბრძოლაში მამაცობის გამოჩენისათვის გენერალი მ. გ. ეფრემოვი დაჯილდოებული იყო წითელი დროშის ორდენით.

მ. გ. ეფრემოვთან ერთად დაიღუპა არმიის არტილერიის სარდალი გენერალ-მაიორი ვ. ნ. აფროსიმოვი, უნიჭიერესი არტილერისტი, დიდი ბუნების ადამიანი, და აგრეთვე მთელი რიგი მეთაურები და პოლიტმუშაკები, რომლებმაც თავი ისახელეს ძოსკოვისათვის ბრძოლაში.

როცა ახლა კრიტიკულად ვუდგები 1942 წლის ამ ამბებს, ეფიქრობ, რომ ჩვენ მაშინ დავუშვით შეცდომა ვიაზმის რაიონში შექმნილი მდგომარეობის შეფასების დროს. გადაჭარბებით შევაფასეთ საბჭოთა ჯარების შესაძლებლობანი და საკმაოდ არ შევაფასეთ მოწინააღმდეგე. იქ „კაკალი" უფრო მაგარი აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენ გვეგონა.

თებერვალსა და მარტში მთავარბანაკი მოითხოვდა შეტევითი მო-

ქმედების გაძლიერებას დასავლეთ მიმართულებით, მაგრამ ფრონტებს ამ დროისათვის გამოელიათ ძალა და საშუალებანი.

საერთოდ ჩვენი ქვეყნის რესურსები იმ დროს უაღრესად შეზღუდული იყო. ჯარების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ჯერ კიდევ არ შეიძლებოდა ისე, როგორც ამას მოითხოვდა ამოცანები და ვითარება. საქმე მიდიოდა იქამდე, რომ ყოველთვის როცა გამოგვიძახებდნენ მთავარბანაკში, ჩვენ პირდაპირ ვეხვეწებოდით უმაღლეს მთავარსარდალს, მოეცა ტანკსაწინააღმდეგო თოფები, ავტომატები ППШ, 10—15 ქვემეხი ПТО, ჭურვისა და ნაღმის მინიმალურად აუცილებელი რაოდენობა. ყველაფერი, რის მიღებასაც ამნაირად მოვახერხებდით, მაშინვე იტვირთებოდა ავტომახქანები და იგზავნებოდა იმ არმიაში, რომელიც ყველაზე მეტად განიცდიდა იარაღის ნაკლებობას.

განსაკუთრებით ცუდად იყო საბრძოლო მასალებით უზრუნველყოფის საქმე. მაგალითად, იანვრის პირველი დეკადისათვის დაგეგმილი საბრძოლო მასალიდან ფრონტმა მიიღო. 82 მილიმეტრიანი ნაღმი— 1 პროცენტი; საარტილერიო გასროლა 20 30 პროცენტი. ხოლო მთლიანად იანვარში 50 მილიმეტრიანი ნაღმი 2,7 პროცენტი, 120 მილიმეტრიანი ნაღმი — 36 პროცენტი, 82 მილიმეტრიანი ნაღმი — 55 პროცენტი, არტგასროლა — 44 პროცენტი[1]. თებერვლის გეგმა სულ არ შესრულებულა. 316 დაგეგმილი ვაგონიდან პირველ დეკადაში ერთიც არ იყო მიღებული. რეაქტიული არტილერიისათვის საბრძოლო მასალის უქონლობის გამო იგი ნაწილობრივ ზურგში გაიგზავნა[2].

ალბათ ძნელი იქნება დაიჯეროთ, მაგრამ ჩვენ გვიხდებოდა საბრძოლო მასალის ხარჯვის ნორმის დაწესება — ქვემეხის 1—2 გასროლა დღე-ღამეში. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ხდებოდა შეტევის პერიოდში! ფრონტის 1942 წლის 14 თებერვლის მოხსენებაში უმაღლესი მთავარსარდლის სახელზე ნათქვამი იყო:

„როგორც ბრძოლების გამოცდილებამ გვიჩვენა, ჭურვის ნაკლებობა არ იძლევა საარტილერიო შეტევის წარმოების შესაძლებლობას. ამის შედეგად მოწინააღმდეგის ცეცხლის სისტემა არ ნადგურდება, და ჩვენი ნაწილები, რომლებსაც იერიში მიაქვთ მოწინააღმდეგის მცირედ ჩახშობილ თავდაცვაზე, განიცდიან ძალიან დიდ დანაკლისს, ვერ აღწევენ სათანადო წარმატებას[3].

1942 წლის თებერვლის დამლევს და მარტის დამდეგს მთავარბანაკმა მიიღო გადაწყვეტილება, გაეძლიერებინა დასავლეთის მიმართულებით მოქმედი ფრონტები ცოცხალი ძალითა და საშუალებებით, მაგრამ ეს უკვე დაგეგმილი გადაწყვეტილება იყო ამბების განვი-

---

[1] Архив. МО, ф. 208, оп. 2513, д. 204
[2] Там же, л. 207, л. 210
[3] Архив МО, ф. 208, оп. 2513, д. 207, л. 210

თარებით შეშფოთებულმა მოწინააღმდეგემ მნიშვნელოვნად გააძლიერა თავისი ვიაზმის დაჯგუფება და წინასწარ გამაგრებული პოზიციებზე დაყრდნობით დაიწყო აქტიური მოქმედება დასავლეთისა და კალინინის ფრონტების წინააღმდეგ.

გადაღლილსა და შესუსტებულ ჯარებს სულ უფრო და უფრო უძნელდებოდა მტრის წინააღმდეგობის გადალახვა. ჩვენს მრავალ მოხსენებასა და წინადადებაზე — მიღწეულ მიჯნაზე გაჩერებისა და გამაგრების აუცილებლობის შესახებ მთავარბანაკი უარს ამბობდა. პირიქით, 1942 წლის 20 მარტის დირექტივით უმაღლესმა მთავარსარდალმა ისევ მოითხოვა კიდევ უფრო ენერგიულად გაგვეძლიერებინა ადრე დასახული ამოცანების შესრულება.

მარტის დამლევს და აპრილის დამდეგს დასავლეთის მიმართულების ფრონტებმა სცადეს ამ დირექტივის შესრულება, რომელიც მოითხოვდა რჟევ-ვიაზმის მტრის დაჯგუფების განადგურებას, მაგრამ ჩვენი ცდა უშედეგოდ დამთავრდა.

დაბოლოს, მთავარბანაკი იძულებული გახდა მიეღო ჩვენი წინადადება დაცვაზე გადასვლის შესახებ ხაზზე: ველიკიე ლუკი — ველიჟი—დემიდოვო—ბელი—დუხოვშჩინა — მდინარე დნეპრი — ნელიდოვო — რჟევი — პოგორელო — გოროდიშჩე — გეატსკი — მდინარე უგა — სპას-დემენსკი — კიროვი — ლუდინოვო — ხოლმიშჩი — მდინარე ოკა.

დასავლეთის ფრონტის ჯარებმა ზამთრის შეტევის პერიოდში წინ წაიწიეს 70—100 კილომეტრით და რამდენადმე გაუმჯობესეს. საერთო ოპერატიულ-სტრატეგიული მდგომარეობა დასავლეთის მიმართულებით.

მოსკოვთან გაშლილი დიდი ბრძოლის საერთო შედეგები გამამხნევებელი იყო საბჭოთა მხარისათვის და დამამწუხრებელი მოწინააღმდეგისათვის.

გერმანელი გენერალი ვესტფალი მოსკოვთან მომხდარი ბრძოლის აღწერისას იძულებული იყო ეღიარებინა, რომ „გერმანიის არმია, რომელიც მანამდე უძლეველად ითვლებოდა, მოსპობის მიჯნაზე იმყოფებოდა“. ამასვე აცხადებენ ჰიტლერის არმიის სხვა გენერლებიც, როგორიცაა, მაგალითად, კ. ტიპელსკირხი, ჰ. ბლუმენტრიტი, ფ. ბაიერლაინი, ფ. მანტაიფელი და მრავალი სხვ.

რაც სწორია, სწორია. მოსკოვთან ბრძოლაში ჰიტლერელებმა საერთო ანგარიშით დაკარგეს ნახევარ მილიონზე მეტი კაცი, 1300 ტანკი, 2500 ქვემეხი, 15 ათასზე მეტი მანქანა და ბევრი სხვა ტექნიკა. გერმანიის ჯარები მოსკოვიდან უკუგდებული იქნენ 130—300 კილომეტრზე.

1941 — 1942 წლის ზამთარში კონტრშეტევა მიმდინარეობდა

რთული ზამთრის პირობებში და, რაც მთავარია, მოწინააღმდეგეზე რიცხობრივი უპირატესობის უქონლად. ამასთანავე ფრონტების განკარგულებაში არ გვყავდა სრულფასოვანი სატანკო და მექანიზებული შენაერთები, მათ გარეშე კი, როგორც დაგვანახა ომის პრაქტიკამ, შეუძლებელია შეტევითი ოპერაციების წარმოება გადამწყვეტი მიზნებით და ფართო გაქანებით. მოწინააღმდეგის მახეურის დასწრება, მისი ფლანგებისათვის სწრაფად შემოვლა, ზურგის გზების გადაჭრა, მტრის დაჯგუფებათა გარშემორტყმა და გაკვეთა შეიძლება მხოლოდ ძლიერი სატანკო და მექანიზებული შენაერთების დახმარებით.

წითელმა არმიამ მოსკოვთან ბრძოლაში პირველად ომის ექვსი თვის მანძილზე სასტიკად დაამარცხა გერმანიის ჯარების მთავარი დაჯგუფება. საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა მანამდე უკვე განახორციელეს მთელი რიგი სერიოზული ოპერაციები, რამაც შეანელა ვერმახტის წინსვლა მისი შეტევის სამივე მთავარ მიმართულებაზე. მიუხედავად ამისა, ისინი თავისი მასშტაბითა და შედეგებით ჩამოუვარდებოდა დიდ ბრძოლას საბჭოთა დედაქალაქის კედლებთან.

თავდაცვითი ბრძოლების მოხერხებულმა წარმოებამ, კონტრდარტყმების მარჯვედ განხორციელებამ და სწრაფმა გადასვლამ კონტრშეტევაზე გაამდიდრა საბჭოთა სამხედრო ხელოვნება, გვიჩვენა საბჭოთა მხედართუფროსთა მზარდი სტრატეგიული და ოპერატიულ-ტაქტიკური სიმწიფე, ყველა სახეობის ჯარების მებრძოლთა ოსტატობის ზრდა.

ჰიტლერელთა ჯარების განადგურებას მოსკოვთან დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა. ანტიჰიტლერული კოალიციის ყველა ქვეყანაში ხალხი განსაკუთრებული სიხარულით შეხვდა ცნობას საბჭოთა იარაღის ამ უდიდესი გამარჯვების შესახებ. პროგრესული კაცობრიობა მას უკავშირებდა ფაშისტური მონობისაგან თავისი განთავისუფლების იმედებს.

გერმანიის ჯარების მარცხმა ლენინგრადთან, როსტოვთან, ტიხვინის რაიონში და ბრძოლამ მოსკოვის მისადგომებთან გამომაფხიზლებლად იმოქმედა იაპონიისა და თურქეთის რეაქციულ წრეებზე, აიძულა ისინი უფრო ფრთხილი პოლიტიკა ეწარმოებინათ საბჭოთა კავშირის მიმართ.

გერმანიის ფაშისტური ჯარები თავდაცვაზე გადავიდნენ. მათი ბრძოლისუნარიანობის აღსადგენად ჰიტლერის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა იძულებული შეიქნა გაეტარებინა მთელი რიგი ტოტალური ღონისძიებანი და გადმოესროლა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ჯარების მნიშვნელოვანი რაოდენობა საფრანგეთიდან და სხვა ოკუპირებული ქვეყნებიდან. გარდა ამისა, გერმანიას მოუხდა განეხორციელებინა დაწოლა თავის სატელიტ სახელმწიფოთა

მთავრობებზე და მოეთხოვა მათგან ახალი შენაერთებისა და დამატებითი მატერიალური რესურსების გამოგზავნა საბჭოთა ფრონტზე, რამაც გააუარესა შინაპოლიტიკური მდგომარეობა ამ ქვეყნებში.

მოსკოვთან ჰიტლერელთა განადგურების შემდეგ არა მარტო რიგითი ჯარისკაცები, არამედ ბევრი გერმანელი ოფიცერიც და გენერალიც დარწმუნდნენ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებაში, დარწმუნდნენ იმაში, რომ საბჭოთა შეიარაღებული ძალები წარმოადგენდნენ დაუძლეველ ზღუდეს ჰიტლერიზმის მიერ დასახული მიზნების მიღწევის გზაზე.

მე ხშირად მეკითხებიან ი. ბ. სტალინის როლის შესახებ მოსკოვთან ბრძოლის დროს.

ი. ბ. სტალინი მთელი ამ ხნის მანძილზე მოსკოვში იყო, სადაც აყალიბებდა ძალებსა და საშუალებებს მტრის გასანადგურებლად. იგი ჯეროვნად უნდა დავაფასოთ. სათავეში ედგა რა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტს და ეყრდნობოდა რა სახალხო კომისარიატების ხელმძღვანელ შემადგენლობას, მან კოლოსალური მუშაობა გასწია აუცილებელი სტრატეგიული რეზერვებისა და მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა ორგანიზებისათვის. თავისი სასტიკი მომთხოვნელობით იგი აღწევდა, შეიძლება ითქვას, თითქმის შეუძლებელს.

როცა მეკითხებიან, რა უფრო დაგამახსოვრდა წარსული ომიდანო, ყოველთვის ვპასუხობ: ბრძოლა მოსკოვისათვის.

მძიმე, ხშირად მეტისმეტად რთულ და ძნელ პირობებში ჩვენი ჯარები კაჟდებოდნენ, ვაჟკაცდებოდნენ, იძენდნენ გამოცდილებას და, როცა მიიღეს ტექნიკურ საშუალებათა მინიმალურად აუცილებელი რაოდენობაც კი, უკანდამხევი, თავდამცველი ძალისაგან გადაიქცნენ ძლიერ თავდამსხმელ ძალად. მადლიერი შთამომავალნი არასოდეს არ დაივიწყებენ პარტიის დიდ ორგანიზატორულ მუშაობას, საბჭოთა ხალხის თავდადებულ შრომითს საქმეებს იმ პერიოდში და მეომართა გმირობას ბრძოლის ველზე.

გამოვთქვამ უღრმეს მადლობას ცოცხლად დარჩენილ ბრძოლის ყველა მონაწილის მიმართ და ქედს ვიხრი იმათი ნათელი ხსოვნის წინაშე, ვინც ურყევად იდგა და არ გამოუშვა მტერი ჩვენი სამშობლოს გულის, დედაქალაქის, გმირი ქალაქის მოსკოვისაკენ. ჩვენ ვერასოდეს გადავიხდით მათ ვალს.

თავი მეცამეტე

მძიმე განსაცდელი გრძელდება

(1942 წელი)

1942 წელს მთელი რიგი მიზეზების გამო ჩვენი ქვეყანა კვლავ ჩავარდა მძიმე განსაცდელში. მაგრამ ისევე, როგორც 1941 წელს ძოსკოვისათვის ბრძოლის დროს, საბჭოთა ხალხმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შეძლეს გერმანიის ჯარების ყველაზე დიდი სტრატეგიული დაჯგუფების განადგურება დონისა და ვოლგის შუა წელში, რითაც დაიწყო ფაშისტური ჯარების განდევნა ჩვენი სამშობლოს ფარგლებიდან.

უფრო ღრმად რომ გავიგოთ ჩვენი ქვეყნის საპხრეთში მომხდარი ამბების მნიშვნელობა, საჭიროა მოკლედ გავეცნოთ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებას, რომელიც შეიქმნა 1942 წლის ზაფხულის დამდეგისათვის.

1942 წლის გაზაფხულის ბოლოს საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და შინაგანი მდგომარეობა რამდენადმე გაუმჯობესდა. ანტიფაშისტური ფრონტი გაფართოვდა და განმტკიცდა. იანვარში ხელი მოაწერეს 26 სახელმწიფოს დეკლარაციას, რომელშიც ისინი შეთანხმდნენ, გამოეყენებინათ მთელი ძალები და საშუალებანი აგრესიულ სახელმწიფოთა წინააღმდეგ საბრძოლველად და არ დაედოთ მასთან სეპერატიული ან დროებითი ზავი. ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ინგლისთან მიღებულ იქნა შეთანხმება 1942 წელს ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის შესახებ. ყველაფერმა ამან და სხვა გარემოებამ, განსაკუთრებით გერმანიის ჯარების განადგურებამ მოსკოვთან, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ელვისებური ომის ჰიტლერის გეგმის ჩაშლამ, მნიშვნელოვნად გააქტიურა ანტიფაშისტური ძალები ყველა ქვეყანაში.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე დამყარდა დროებითი სიწყნარე. ორივე მხარე გადავიდა თავდაცვაზე. თავდაცვითი პოზიციებზე მყოფი ჯარები ოხრიდნენ სანგრებს. აგებდნენ ბლინდაჟებს. ნაღმავდნენ ვეწინავე ხაზის მისადგომებს. ღგამდნენ მავთულხლართის ლო-

ბურებს და ასრულებდნენ სხვა თავდაცვითს სამუშაოებს. ჩვენი ჯარების მეთაურთა შემადგენლობა და შტაბები ამუშავებდნენ საცეცხლე სისტემას, ჯარების სახეობათა ურთიერმოქმედებას და სხვა საკითხებს.

მთავარბანაკში, გენერალურ შტაბსა და ნაწილებში ტარდებოდა ომის წარსული ეტაპის შედეგების შეჯამება, ჯარების წარმატებისა და წარუმატებლობის კრიტიკული განხილვა და გააზრება, მოწინააღმდეგის სამხედრო ხელოვნების, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების უფრო ღრმად შესწავლა.

საბჭოთა ხალხი, აღფრთოვანებული მოსკოვის მისადგომებთან წითელი არმიის დიდი გამარჯვებით, რამაც ძირითადი გარდატეხა შეიტანა ომის მსვლელობაში, წარმატებით ანხორციელებდა სახალხო მეურნეობის გარდაქმნას სამხედრო უაიდაზე. საბჭოთა ჯარების შესაიარაღებლად მოდიოდა სულ უფრო მეტი სატანკო და საავიაციო ტექნიკა, საარტილერიო, რეაქტიული იარაღი და საბრძოლო მასალები.

ქვეყნის ზურგში ხდებოდა ჯარების ყველა სახეობის ახალი სტრატეგიული რეზერვების ფორმირება. ჩვენი სატანკო და საარტილერიო მრეწველობის წარმატებებმა საშუალება მისცეს უმაღლეს მთავარსარდლობას, დაეწყო ახალი სატანკო კორპუსებისა და არმიების ფორმირება, შეეიარაღებინა ისინი იმ დროისათვის უახლესი მატერიალური ნაწილით.

ჯარების შესაიარაღებლად მოდიოდა მოდერნიზებული საარტილერიო 45 მილიმეტრიანი ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხები, ახალი 76 მილიმეტრიანი ქვემეხები. ყალიბდებოდა ახალი ტანკსაწინააღმდეგო ბრიგადები და დივიზიები, რომელთა დანიშნულება იყო ბრძოლა მტრის მსხვილი სატანკო შენაერთების წინააღმდეგ. ტარდებოდა დიდი ორგანიზაციული ღონისძიებანი ჯარებისა და მთლიანად ჩვენი ქვეყნის საჰაერო თავდაცვისაფვის. ჩვენმა სამხედრო-საჰაერო ძალებმა მიიღეს შესაძლებლობა შესდგომოდნენ საჰაერო არმიების ფორმირებას. ივნისში ჩვენ უკვე 8 საჰაერო არმია გეყავდა. მნიშვნელოვნად შეიესო შორი მოქმედების ავიაციის შენაერთები და უმაღლესი მთავარსარდლობის რეზერვის კორპუსი. ჩვენი მოქმედი არმიის საერთო რიცხვი გაიზარდა 5,5 კაცამდე, ტანკების რაოდენობა შეადგენდა 4065-ს, ქვემეხებისა და ნაღმსატყორცნებისა — 43 642-ს, საბრძოლო თვითმფრინავებისა — 3 164-ს[1]. ჯარებში ფართოდ გაიშალა საბრძოლო მომზადება, ყოველმხრივ ითვისებდნენ ომის გამოცდილებასა და ახალ საომარ ტექნიკას.

საზაფხულო კამპანიისათვის ემზადებოდა აგრეთვე გერმანიის ფაშისტური სარდლობაც, რომელიც წინანდებურად თავის მთავარ

---

[1] 50 лет Вооруженных Сил СССР, Воениздат, 1968, стр. 313.

ფრონტად თელიდა საბჭოთა ფრონტს. ჰიტლერული ხელმძღვანელობა გზავნიდა აღმოსავლეთ ფრონტზე მოკავშირეთა სულ ახალ და ახალ ჯარებს. ფაშისტურ გერმანიასა და მის მოკავშირეებს ფრონტებზე ბარენცის ზღვიდან შავ ზღვამდე ჰყავდათ 217 დივიზია და 20 ბრიგადა. აქედან 178 დივიზია, 8 ბრიგადა და 4 სამხედრო-საჰაერო ფლოტი წმინდა გერმანული იყო. დანარჩენ ფრონტებზე და ოკუპირებულ ქვეყნებში მეორე ფრონტის უქონლობის გამო გერმანიამ დატოვა თავისი შეიარაღებული ძალების დაახლოებით 20 პროცენტი.

1942 წლის მაისისათვის საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე მტრის არმია აღემატებოდა ექვს მილიონს (მათ რიცხვში 810 ათასი მოკავშირეთა ჯარები იყო), რომელსაც ჰქონდა 3230 ტანკი და საიერიშო ქვემეხი, თითქმის 57 ათასი ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 3400 საბრძოლო თვითმფრინავი. მეომართა რაოდენობით, არტილერიისა და ნაღმსატყორცნების მხრივ გერმანიის ჯარებს წინანდებურად უპირატესობა ჰქონდათ. ჩვენ რამდენადმე უპირატესობა გვქონდა ავიაციისა და ტანკების მხრივ, მხოლოდ ხარისხით ჩვენი სატანკო პარკის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ჩამოუვარდებოდა გერმანულს.

საერთოდ, ჰიტლერის პოლიტიკური და სამხედრო სტრატეგია 1942 წლის უახლოესი პერიოდისათვის მიზნად ისახავდა ჩვენი ჯარების განადგურებას სამხრეთში, კავკასიის ხელში ჩაგდებას, ეოლგამდე მისვლას, სტალინგრადის, ასტრახანის აღებას და ამით პირობების შექმნას სსრ კავშირის, როგორც სახელმწიფოს, მოსპობისათვის.

როცა გერმანიის სარდლობა 1942 წლის ზაფხულისათვის გეგმავდა შეტევითს მოქმედებას, მას თუმცა ჰქონდა უპირატესობა საბჭოთა ჯარებზე ძალებისა და საშუალებების მხრით, მაგრამ უკვე აღარ ჰყოფნიდა შესაძლებლობა ერთდროული შეტევისათვის ყველა სტრატეგიულ მიმართულებაზე, როგორც ეს იყო 1941 წელში „ბარბაროსას“ გეგმის მიხედვით.

1942 წლის გაზაფხულისათვის გერმანიის ჯარები გაიჭიმნენ ბარენცის ზღვიდან შავ ზღვამდე. ამის გამო მათი ოპერატიული სიმჭიდროვე მკვეთრად შემცირდა.

მთელ რიგ ტოტალურ ღონისძიებათა გატარებით ჰიტლერულმა სარდლობამ შეძლო „სამხრეთის“ არმიების ჯგუფის დაკომპლექტება და მასში იმდენი ძალის თავმოყრა, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატებოდა სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით მოქმედ ჩვენი ჯარების შესაძლებლობას.

ჰიტლერის 1942 წლის 5 აპრილის № 41 დირექტივა ითვალისწინებდა საბჭოთა კავშირიდან უმდიდრესი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო რაიონების ჩამოცილებას, დამატებითი ეკონომიური რე-

სურსების (პირველ რიგში კავკასიის ნავთობის) მიღებას და გაბატონებული სტრატეგიული მდგომარეობის დაკავებას თავისი სამხედრო-პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

ჰიტლერი და მის გარშემო მყოფნი იმედოვნებდნენ, რომ, როგორც კი გერმანიის ჯარები მიაღწევდნენ წარმატებას ჩვენი ქვეყნის სამხრეთში, ისინი შეძლებდნენ შეტევაზე გადასვლას სხვა მიმართულებებზეც და ისევ მიიტანდნენ იერიშებს ლენინგრადსა და მოსკოვზე.

მოსკოვის სტრატეგიულ მიმართულებაზე ისინი აპირებდნენ დაკმაყოფილებას ცალკე შეტევითი ოპერაციების ჩატარებით, რათა მოესპოთ საბჭოთა ჯარები, რომლებიც ღრმად იყვნენ შეჭრილნი გერმანელების თავდაცვის განლაგებაში. ამით უნდოდათ მიეღწიათ ორი მიზნისათვის. ჯერ ერთი, გაეუმჯობესებინათ თავისი ჯარების ოპერატიული მდგომარეობა და, მეორეც, საბჭოთა სარდლობის ყურადღება გადაეტანათ სამხრეთის სტრატეგიული მიმართულებიდან, სადაც ისინი ამზადებდნენ მთავარ შეტევას.

კავკასიისა და ვოლგის ხელში ჩაგდების დაგეგმვისას ჰიტლერელებს უნდოდათ საბჭოთა კავშირისათვის მოესპოთ ჩვენ მოკავშირეებთან მიმოსვლის გზები კავკასიის გავლით.

1942 წლის გაზაფხულზე მე ხშირად ვიყავი მთავარბანაკში. მონაწილეობას ვიღებდი მთელი რიგი პრინციპული სტრატეგიული საკითხების განხილვაში უმაღლეს მთავარსარდალთან და კარგად ვიცოდი, როგორ აფასებდა იგი შექმნილ ვითარებასა და ომის პერსპექტივებს 1942 წლისათვის.

სავსებით ნათელი იყო, რომ უმაღლეს მთავარსარდალს დიდად არ სჯეროდა ჩერჩილისა და რუზველტის დაპირებისა ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის შესახებ, მხოლოდ არ კარგავდა იმედს, რომ ისინი მაინც შეეცდებოდნენ რაიმეს განხორციელებას სხვა რაიონებში. ი. ბ. სტალინი უფრო ენდობოდა რუზველტს, ვიდრე ჩერჩილს.

უმაღლესი მთავარსარდალი ვარაუდობდა, რომ 1942 წლის ზაფხულში გერმანელები შეძლებდნენ დიდი შეტევითი ოპერაციების ჩატარებას ერთდროულად ორი სტრატეგიული მიმართულებით. მისი ფიქრით ეს შეტევა უფრო მოსალოდნელი იყო მოსკოვის მიმართულებით და ქვეყნის სამხრეთ ნაწილში. რაც შეეხება ჩრდილოეთსა და ჩრდილო-დასავლეთს, — ამბობდა ი. ბ. სტალინი, — უნდა მოველოდეთ გერმანელთა უმნიშვნელო აქტივობასო. შესაძლოა, მათ სცადონ ჩვენს თავდაცვის ხაზში შეერილების ჩაშოვრა და თავისი ჯარების დაჯგუფების გაუმჯობესებაო.

იმ ორი მიმართულებიდან, რომლებზეც მოწინააღმდეგეს, უმაღლესი მთავარსარდლის აზრით, შეეძლო გაეშალა თავისი სტრატეგიუ-

ლი შეტევითი ოპერაციები, მას ყველაზე მეტად აფიქრებდა მოსკოვის მიმართულება, სადაც ბტერს 70 დივიზიაზე მეტი ჰყავდა.

რაც შეეხება ჩვენს გეგმებს 1942 წლის გაზაფხულისათვის და ზაფხულის დამდეგისათვის, ი. ბ. სტალინი ფიქრობდა, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ გვქონდა ძალა და საშუალებანი, რათა გაგვეშალა დიდი შეტევითი ოპერაციები. უახლოესი დროისათვის იგი საჭიროდ თვლიდა დაკმაყოფილებას აქტიური სტრატეგიული თავდაცვით, მაგრამ ამასთან ერთად რიგი კერძო შეტევითი ოპერაციების ჩატარებას ყირიმში, ხარკოვის რაიონში, ლგოვ-კურსკისა და სმოლენსკის მიმართულებით აგრეთვე ლენინგრადისა და დემიანსკის რაიონებში.

მე ვიცოდი, რომ ბორის მიხეილის ძე შაპოშნიკოვი პრინციპულად იზიარებდა ი. ბ. სტალინის აზრს, მხოლოდ ჩვენი ჯარების მოქმედებათა გეგმის შესახებ იგი მოითხოვდა დავკმაყოფილებულიყავით აქტიური სტრატეგიული თავდაცვით, მოგვექანცა და დაგვეუძლურებინა მტერი ზაფხულის დამდეგს, ხოლო შემდეგ, როცა შევაგროვებდით რეზერვებს, გადავსულიყავით ფართო კონტრშეტევით მოქმედებებზე. ამაში მე მხარს ვუჭერდი ბ. მ. შაპოშნიკოვს, მაგრამ ვფიქრობდი, რომ დასავლეთ მიმართულებაზე ზაფხულის დამდეგს ჩვენ აუცილებლად უნდა გაგვენადგურებინა რჟევ-ვიაზმის დაჯგუფება, სადაც გერმანიის ჯარებს ეჭირათ ფართო პლაცდარმი და მნიშვნელოვანი ძალები ჰყავდათ.

მთავარბანაკსა და გენერალურ შტაბს განსაკუთრებით საშიშად მიაჩნდათ ორიოლ-ტულისა და კურსკი-ვორონეჟის მიმართულებანი მოწინააღმდეგის შესაძლებელი შეტევით მოსკოვზე — დედაქალაქის შემოვლით სამხრეთ-დასავლეთიდან. ასეთი ვარაუდის გამო მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, მოსკოვის დასაცავად სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებიდან უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის რეზერვის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის გაზაფხულის დამლევს თავი მოეყარათ ბრიანსკის ფრონტის რაიონში.

ბრიანსკის ფრონტმა მიიღო მნიშვნელოვანი ძალები და საშუალებანი. შუა მაისში მის შემადგენლობას გადაეცა ოთხი სატანკო კორპუსი, შვიდი მსროლელთა დივიზია, თერთმეტი ცალკეული მსროლელთა ბრიგადა, ოთხი ცალკეული სატანკო ბრიგადა და არტილერიის დიდი რაოდენობა. გარდა ამისა, ამ დროისათვის ბრიანსკის ფრონტს მიემგრა მთავარბანაკის რეზერვის მე-5 სატანკო არმია, რომლის დანიშნულება იყო კონტრშეტევა მოწინააღმდეგეზე, თუ იგი შეტევაზე გადმოვიდოდა ბრიანსკის ფრონტის ზოლში.

ძირითადად მე ვეთანხმებოდი უმაღლესი მთავარსარდლის ოპერატიულ-სტრატეგიულ პროგნოზებს, მაგრამ არ შემეძლო დავთანხმებოდი მას ჩვენი ჯარების კერძო ფრონტული ოპერაციების რაოდე-

ნობაში, რადგან ვფიქრობდი, რომ ისინი შთანთქავდნენ ჩვენს რეზერვებს და ამით გართულდებოდა საბჭოთა ჯარების მომზადება შემდგომი გენერალური შეტევისათვის.

მოვახსენე რა ჩემი მოსაზრებანი, მე შევთავაზე ი. ბ. სტალინს, ისევე როგორც გენერალურ შტაბს, ის, რაზეც უკვე ვილაპარაკე, — პირველ რიგში ძლიერად დაგვერტყა დასავლეთის სტრატეგიული მიმართულებით იმ მიზნით, რომ გაგვენადგურებინა მოწინააღმდეგის რეევ-ვიაზმის დაჯგუფება. ეს დარტყმა უნდა განხორციელებულიყო დასავლეთის, კალინინის და უახლოესი ფრონტების ძალებით, აგრეთვე უმაღლესი მთავარსარდლობისა და მოსკოვის საჰაერო თავდაცვის ავიაციით.

მოწინააღმდეგის განადგურებას დასავლეთის მიმართულებაზე სერიოზულად უნდა დაესუსტებინა გერმანიის ძალები და აეძულებინა ისინი უარი ეთქვათ დიდ შეტევითს ოპერაციებზე, ყოველ შემთხვევაში უახლოეს დროში.

ცხადია, ამბების რეტროსპექტული შეფასებისას ეს დასკვნა არ არის უდავო, მაგრამ მაშინ, როცა არ გვქონდა სრული მონაცემები მოწინააღმდეგეზე, მე დარწმუნებული ვიყავი ჩემს სიმართლეში.

საკითხის სირთულის გამო ი. ბ. სტალინმა გვიბრძანა, განიხილეთ საერთო ვითარება და ზაფხულის კამპანიაში ჩვენი ჯარების მოქმედებათა შესაძლებელი ვარიანტებიო.

თათბირს, რომელიც შედგა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტში მარტის დამლევს, დაესწრნენ კ. ე. ვოროშილოვი, ს. კ. ტიმოშენკო, ბ. ვ. შაპოშნიკოვი, ა. მ. ვასილევსკი, მე და ი. ქ. ბაგრამიანი.

ბ. მ. შაპოშნიკოვმა გააკეთა ძალიან დაწვრილებითი მოხსენება, რომელიც ძირითადად შეესაბამებოდა ი. ბ. სტალინის პროგნოზებს. მხოლოდ მხედველობაში იღებდა რა მოწინააღმდეგის რიცხობრივ უპირატესობასა და მეორე ფრონტის უქონლობას ევროპაში, ბ. მ. შაპოშნიკოვი უახლოესი დროისათვის საჭიროდ ცნობდა დაკმაყოფილებას აქტიური თავდაცვით. ძირითადი სტრატეგიული რეზერვების, საქმეში მათ ჩაუბმელად, თავმოყრას ცენტრალურ მიმართულებაზე და ნაწილობრივ ვორონეჟის რაიონში, სადაც გენერალური შტაბის აზრით 1942 წლის ზაფხულში მოსალოდნელი იყო მთავარი ამბების დატრიალება.

სამხრეთ-დასავლეთის მიმართულების სარდლობის მიერ წარმოდგენილი შეტევითი ოპერაციის გეგმის განხილვისას (ბრიანსკის, სამხრეთ-დასავლეთისა და სამხრეთის ფრონტების ძალებით) მარშალი ბ. მ. შაპოშნიკოვი შეეცადა მიეთითებინა მისი ორგანიზაციის სიძნელეებზე, მაგრამ უმაღლესმა მთავარსარდალმა, არ დაამთავრებინა მას სიტყვა და თქვა:

— ხომ არ უნდა ვიჯდეთ ჩვენ თავდაცვაში გულხელდაკრეფილნი

და ვუცადოთ, სანამ გერმანელები პირველნი დაგვარტყამენ? ჩვენ თვითონ უნდა დავასწროთ მთელი რიგი დარტყმები ფართო ფრონტზე და მოვსინჯოთ მოწინააღმდეგის ზნადყოფნა. ეუკოვი წინადადებას აყენებს შეტევა გავშალოთ დასავლეთის მიმართულებით, ხოლო სხვა ფრონტებზე თავი დავიცვათო. მე ვფიქრობ, ეს საქმის ნახევარია.

სიტყვა აიღო ს. კ. ტიმოშენკომ. მან მოახსენა თათბირს ვითარება სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებაზე და განაცხადა:

— ამ მიმართულების ჯარებს შეუძლიათ და აუცილებლად უნდა დაასწრონ გერმანელებს დარტყმა სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებაზე და ჩაშალონ მათი შეტევითი გეგმები სამხრეთისა და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტების წინააღმდეგ. თუ ასე არ მოვიქეცით, გამეორდება ის, რაც ძოხდა ომის დასაწყისში. რაც შეეხება შეტევაზე გადასვლას დასავლეთ მიმართულებით, მე მხარს ვუჭერ ეუკოვს. ეს შეგორკავს მოწინააღმდეგის ძალებს.

კ. ე. ვოროშილოვმა მხარი დაუჭირა ს. კ. ტიმოშენკოს აზრს.

მე ერთხელ კიდევ მოვახსენე, რომ არ ვარ რამდენიმე შეტევითი ოპერაციის გაშლის თანახმა-მეთქი. ბორის მიხეილის ძე შაპოშნიკოვი, რომელიც რამდენადაც ვიცოდი, აგრეთვე არ იყო კერძო შეტევითი ოპერაციების მომხრე, ამჯერად, სამწუხაროდ, გაჩუმდა. თათბირი დამთავრდა უმაღლესი ძთავარსარდლის მითითებით მოემზადებინათ და უახლოეს დროში ჩაეტარებინათ კერძო ოპერაციები ყირიმში, ხარკოვის მიმართულებაზე და სხვა რაიონებში. მთავარბანაკში თათბირის შემდეგ ჩვენ თავ-თავიანთ ადგილზე დავბრუნდით.

მაისისა და ივნისის ამბებმა გვიჩვენეს მთავარბანაკის შეცდომა. ჩვენი შეიარაღებული ძალები სამხრეთში კვლავ ჩავარდნენ მძიმე განსაცდელში. აპრილის დამლევს ჩვენი ჯარების შეტევა ყირიმში წარუმატებლად დამთავრდა. ყირიმის ფრონტის ჯარებმა, გენერალ-ლეიტენანტ დ. ტ. კოზლოვის მეთაურობით, ვერ მიაღწიეს მიზანს, და მნიშვნელოვანი ზარალი განიცადეს. მთავარბანაკმა უბრძანა ფრონტის სარდლობას გადასულიყო მტკიცე თავდაცვაზე.

მოწინააღმდეგემ თავი მოუყარა ყირიმის ფრონტის წინააღმდეგ თავის დამკვრელ დაჯგუფებას და, აამოქმედა რა მრავალრიცხოვანი ავიაცია, 8 მაისს გაარღვია თავდაცვის ხაზი. ჩვენი ჯარები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ ქერჩი.

დამარცხებამ ქერჩის რაიონში სერიოზულად გაართულა მდგომარეობა სევასტოპოლში, სადაც ქალაქის დამცველები ოქტომბრის თვიდან აწარმოებდნენ დაძაბულ ბრძოლას. ქერჩის დაკავების შემდეგ გერ-

მანიის სარდლობამ თავი მოუყარა მთელ ძალებს სევასტოპოლის წინააღმდეგ.

ცხრა თვის ალყის, ჰრავალდღიანი და გააფთრებული პრძოლების შემდეგ, რომლებშიც საბჭოთა მეზღვაურებმა და ქვეითი ჯარების მეომრებმა უკვდავი დიდება ჰოიპოვეს, 4 ივლისს ჩვენმა ჯარებმა დატოვეს სევასტოპოლი. ყირიმი მთლიანად იქსა დაკარგული, რამაც მნიშვნელოვნად გაგვირთულა ჩვენ საერთო მდგომარეობა და, ბუნებრივია, შეუმსუბუქა იგი მოწინააღმდეგეს, რომელსაც გაუნთავისუფლდა ერთ-ერთი ბრძოლისუნარიანი არმია და გაძლიერების მნიშვნელოვანი საშუალებანი.

3 მაისს ჩრდილო-დასავლეთის ფრონტმა დაიწყო შეტევა გერმანიის მე-16 არმიის წინააღმდეგ დემიანსკის რაიონში. ბრძოლას, რომელიც მთელი თვე გაგრძელდა, არ ჰოჰყოლია წარმატება, თუმცა მოწინააღმდეგემ დიდი ზარალი განიცადა.

ერთხელ ტელეფონში ლაპარაკის დროს ყირიმის ფრონტისა და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულების შესახებ უმაღლესმა მრავარსარდალმა მითხრა:

— აი ხედავთ, რა მოსდევს თავდაცვას... ჩვენ სასტიკად უნდა დავსაჯოთ კოზლოვი, მეხლისი და კულიკი მათი დაუდევრობისათვის, რათა სხვებს დოყლაპიობის ხალისი დაეკარგოს. ტიმოშენკო მალე დაიწყებს შეტევას. განა თქვენ არ შეიცვალეთ აზრი მოქმედებათა ხერხის შესახებ სამხრეთში?

— არა. ვფიქრობ, რომ სამხრეთში მოწინააღმდეგეს უნდა შევხვდეთ ავიაციის დარტყმებით და ძლიერი ცეცხლით, დავამარცხოთ იგი შეუპოვარი თავდაცვით, ხოლო შემდეგ გადავიდეთ შეტევაზე.

12 მაისს სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარები გადავიდნენ შეტევაზე ხარკოვის მიმართულებით და მიაყენეს მტერს ორი დარტყმა: ერთი ვოლჩანსკის რაიონიდან, მერე — ბარვენკოვოს შვერილიდან.

ოპერაციის უზრუნველყოფა ლოზოვაია—ბარვენკოვო—სლავიანსკის უბანზე დაეკისრა სამხრეთის ფრონტს. მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთის მიმართულების სარდლობამ არ გაითვალისწინა საფრთხე კრამატორსკის მხრიდან. იქ ამთავრებდა თავმოყრას გერმანიის ჯარების დიდი შეტევითი დაჯგუფება.

გადავიდნენ რა შეტევაზე ბარვენკოვოს შვერილიდან, სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარებმა გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვა და სამი დღე-ღამის შემდეგ წინ წაიწიეს ყველა უბანზე 25—50 კილომეტრით. მაგრამ ოპერაციას შემდგომი განვითარება არ ქიუღია.

17 მაისს დილას 11 დივიზია „კლაისტის" არმიის ჯგუფიდან გადავიდა შეტევაზე სლავიანსკ-კრამატორსკის რაიონიდან და სამხრეთის ფრონტის მე-9 და 57-ე არმიების წინააღმდეგ. მტერმა გაარღვია თავ-

დაცვა, ორ დღე-ღამეში წინ წაიწია 50 კილომეტრამდე და გამოვიდა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჰარცხენა ფრთის ჯარების ფლანგზე პეტროვსკის რაიონში.

მაისის შუა რიცხვებში მე დავესწარი ი. ბ. სტალინის ლაპარაკს ფრონტის სარდალთან და კარგად მახსოვს, რომ ი. ბ. სტალინმა გამოთქვა სერიოზული შიში მოწინააღმდეგის კრამატორსკის დაჯგუფების მიმართ.

იმავე დღის საღამოს უმაღლეს მთავარსარდალს ამ თემაზე ლაპარაკი ჰქონდა ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრ ნ. ს. ხრუშჩოვთან, რომელმაც გამოთქვა იგივე მოსაზრებანი, რაც სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის სარდლობამ: შიში კრამატორსკის ჯგუფის მხრივ გადაჭარბებულია და არ არის საფუძველი ოპერაციის შესაწყვეტადო.

18 მაისის საღამოსათვის გართულებულმა ვითარებამ სერიოზულად შეაშფოთა გენერალური შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ა. მ. ვასილევსკი, და მან მაშინვე მოახსენა უმაღლეს მთავარსარდალს, რომ საჭირო იყო ჩვენი ჯარების შეტევის შეწყვეტა და ბარვენკოვოს დაჯგუფების ძირითადი ძალების შემობრუნება მტრის კრამატორსკის ჯგუფის წინააღმდეგ.

უმაღლესი მთავარსარდალი დაეყრდნო სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის სამხედრო საბჭოს მოხსენებებს შეტევის გაგრძელების აუკილებლობის შესახებ და უარყო ა. მ. ვასილევსკის მოსაზრებანი. არსებული ვერსია სამხრეთისა და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტების სამხედრო საბჭოს ვითომდა საგანგაშო მოხსენებების შესახებ უმაღლესი მთავარსარდლობისადმი არ შეეფერება სინამდვილეს. მე ამას ვამტკიცებ, ვინაიდან თვითონ დავესწარი უმაღლესი მთავარსარდლის მოლაპარაკებას.

19 მაისს სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის სამხედრო საბჭო მიხვდა მკვეთრად გართულებულ ვითარებას და დაიწყო ზომების მიღება მოწინააღმდეგის დარტყმების მოსაგერიებლად. მაგრამ უკვე გვიანღა იყო.

22 მაისს მე-6 და 57-ე არმიები, მე-9 არმიის ძალების ნაწილი და გენერალ ლ. ვ. ბობკინის ოპერატიული ჯგუფი სავსებით გარშემორტყმულნი აღმოჩნდნენ. ბევრმა ნაწილმა შეძლო ალყიდან თავის დაღწევა, მაგრამ ზოგიერთებმა ეს ვერ მოახერხეს და რადგან არ უნდოდათ მტერს ცოცხლად ჩაბარებოდნენ, იბრძოლეს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

ამ ბრძოლებში დაიღუპა ფრონტის სარდლის მოადგილე გენერალი თედორე იაკობის ძე კოსტენკო — სამოქალაქო და სამამულო ომების გმირი, დონის მე-4 კაზაკთა დივიზიის მანიჩის მე-19 პოლკის ყოფილი მეთაური. იქვე მამაცურად დაიღუპნენ მე-6 არმიის სარდალი

გენერალი კ. პ. პოდლასი და ოპერატიული ჯგუფის სარდალი ლ. ვ. ბობკინი, რომლებთანაც ერთად ვსწავლობდი უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობის დახელოვნების კურსებზე. ისინი იყვნენ შესანიშნავი მეთაურები და ჩვენი პარტიისა და სამშობლოს ერთგული შვილები.

ხარკოვის ოპერაციის წარუმატებლობის გაანალიზებისას ძნელი არაა მიხვედრა, რომ სამხრეთ-დასავლეთის მიმართულების ჯარების დამარცხების ძირითადი მიზეზი იყო შეუფასებლობა სერიოზული საშიშროებისა, რომელსაც შეიცავდა სამხრეთ-დასავლეთის სტრატეგიული მიმართულება, სადაც თავმოყრილი არ იყო მთავარბანაკის საჭირო რეზერვები.

სამხრეთ-დასავლეთ მიმართულების ზურგის ოპერატიულ ზღუდეებზე რომ მდგარიყო მთავარბანაკის რამდენიმე სარეზერვო არმია, მაშინ არ მოხდებოდა სამხრეთ-დასავლეთ მიმართულების ჯარების კატასტროფა 1942 წლის ზაფხულში.

ივნისში გაგრძელდა გააფთრებული ბრძოლები მთელ სამხრეთ-დასავლეთ მიმართულებაზე. ჩვენმა ჯარებმა მტრის დარტყმების შედეგად დიდი დანაკლისით უკან დაიხიეს მდინარე ოსკოლის გამოღმა და შეეცადნენ გამაგრებას ზურგის ზღუდეებზე.

28 ივნისს მოწინააღმდეგემ დაიწყო უფრო ფართო შეტევითი ოპერაციები. მან კურსკის რაიონიდან დაარტყა ვორონეჟის მიმართულებით მოქმედ ბრიანსკის ფრონტის მე-13 და მე-40 არმიებს. 30 ივნისს ვოლჩანსკის რაიონიდან ოსტრო-გოუსკის მიმართულებით შეტევაზე გადავიდა გერმანიის მე-6 არმია, რომელმაც გაარღვია 21-ე და 28-ე არმიების თავდაცვა. ჩვენი ჯარების მდგომარეობა ვორონეჟის მიმართულებით მკვეთრად გაუარესდა. ძალების ნაწილი გარემოცვაში აღმოჩნდა.

აი, რას წერს თავის მოგონებაში საბჭოთა კავშირის მარშალი ა. მ. ვასილევსკი:

„2 ივლისის დამლევისათვის მდგომარეობა ვორონეჟის მიმართულებით მკვეთრად გაუარესდა. თავდაცვა ბრიანსკისა და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტების შესაყარზე გარღვეული აღმოჩნდა თითქმის 60 კილომეტრის სიღრმეზე. ამ მიმართულებაზე განლაგებული ფრონტის რეზერვები ჩაბმული იქნენ ბრძოლაში. შეიქმნა მოწინააღმდეგის დამკვრელი დაჯგუფების მიერ მდინარე დონისაკენ გაჭრისა და ვორონეჟის აღების აშკარა საფრთხე.

რათა აეცილებინა მოწინააღმდეგის მიერ დონის გადალახვა და შეეჩერებინა მისი ჯარების შემდეგი წინსვლა, მთავარბანაკმა თავის რეზერვისაგან გადასცა ბრიანსკის ფრონტის სარდალს საერთო საჯარისო ორი არმია (მე-6 და 60-ე — გ. ჟ.). და უბრძანა გაეშალათ ისინი დონის მარჯვენა ნაპირას — ზადონსკი — პავლოვსკის უბანზე. ერთდრო-

ულად ამ ფრონტის განკარგულებაში გადაეცა მე-5 სატანკო არმია, რათა მას ფრონტის სატანკო შენაერთებთან ერთად კონტრიერიში მიეტანა ვორონეჟზე შემტევი ფაშისტური ჯარების დაჯგუფების ფლანგსა და ზურგზე... მე-5 სატანკო არმიის დაუყოვნებლივ და გაბედულ შეტევას... შეეძლო მკვეთრად შეეცვალა მდგომარეობა ჩვენს სასარგებლოდ.

მაგრამ სატანკო არმიას 3 ივლისის განმავლობაში ფრონტის სარდლობიდან ამოცანები არ მიუღია. ამის გამო მთავარბანაკის დავალებით მე მომიხდა წასვლა ელეცის რაიონში, რათა დამეჩქარებინა მე-5 სატანკო არმიის შეყვანა ბრძოლაში, წინასწარ გადავეცი რა ტელეგრაფით არმიის სარდალსა და ფრონტის სარდლობას კონტრშეტევის ამოცანა მოთხოვნით — დაუყოვნებლივ შესდგომოდნენ მის მომზადებას»[1].

მიუხედავად მთავარბანაკისა და გენერალური შტაბის დიდი ღახმარებისა, მდგომარეობა ბრიანსკის ფრონტზე დღითიდღე რთულდებოდა, რასაც მნიშვნელოვნად ამწვავებდა ნაკლოვანებანი ჯარების მართვაში ფრონტისა და არმიების რგოლებში. ამის გამო მთავარბანაკმა ჩაატარა ორგანიზაციული ღონისძიებანი — გაპყო ბრიანსკის ფრონტი ორ ფრონტად. ახალი, ვორონეჟის ფრონტის სარდლად დანიშნული იქნა ნ. თ. ვატუტინი, ბრიანსკის ფრონტის სარდლად ნაცვლად თ. ი. გოლიკოვისა — კ. კ. როკოსოვსკი.

ვორონეჟის რაიონში საბრძოლო მოქმედებაში მონაწილეობა მიიღეს მთავარბანაკის მიერ გადაცემულმა საერთო საჯარისო მე-6 და მე-60 არმიებმა და მე-5 სატანკო არმიამ, რამაც რამდენიმედ გაამაგრა თავდაცვის სიმტკიცე, მაგრამ არ მოსპო სერიოზული საშიშროება, რომ მოწინააღმდეგე გაიჭრებოდა დონის გაღმა და დაარტყამდა დონის გასწვრივ სტალინგრადისაკენ.

ყირიმის დაკარგვის და ბარვენკოვოს რაიონში, დონბასში და ვორონეჟთან ჩვენი ჯარების დამარცხების შედეგად მოწინააღმდეგემ კვლავ ხელთ იგდო სტრატეგიული ინიციატივა და, მოიყვანა რა ახალი რეზერვები, დაიწყო სწრაფად წინსვლა ვოლგისა და კავკასიისაკენ. შუა ივლისში, უკუაგდეს რა ჩვენი ჯარები დონის იქით ვორონეჟიდან კლეტსკოემდე და სუროვიკინოდან როსტოვამდე, მოწინააღმდეგის ჯარებმა ბრძოლა გააჩაღეს დონის მოსახვევში, რათა გაჭრილიყვნენ სტალინგრადისაკენ.

ჩვენი ჯარების იძულებითი უკანდახევის შედეგად მტრის ხელში აღმოჩნდა დონისა და დონბასის უმდიდრესი ოლქები. შეიქმნა ვოლგაზე და ჩრდილოეთ კავკასიაში მოწინააღმდეგის გამოჭრის უშუალო საფრთხე, უუბანსა და კავკასიასთან დამაკავშირებელი ყველა

---

[1] «Военно-исторический журнал», 1965, № 8, стр. 7—8.

გზის დაკარგვის საფრთხე, ისეთი მეტად მნიშვნელოვანი ეკონომიური რაიონის დაკარგვის საფრთხე, რომელიც ნავთობით ამარაგებდა ჯარსა და მრეწველობას.

უმაღლესმა მთავარსარდალმა გამოსცა ცნობილი ბრძანება № 227. ეს ბრძანება ითვალისწინებდა მკაცრ ზომებს პანიკიორებისა და დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ, გადაჭრით გმობდა „უკანდახევის" განწყობილებებს. ბრძანებაში ნათქვამი იყო, მოქმედი ჯარებისათვის რკინის კანონად უნდა გახდეს მოთხოვნა „არც ერთი ნაბიჯი უკან". ბრძანება განმტკიცებული იქნა გაძლიერებული პარტიულ-პოლიტიკური მუშაობით.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შეაჯამა ფრონტებზე და ფლოტებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შედეგები და მიიღო ,,თელი რიგი გადაწყვეტილებანი ჯარებში ორგანიზაციულ-პარტიული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გასაუმჯობესებლად. მთავარი პოლიტიკური სამმართველოს სათავეში ლ. ზ. მეხლისის ნაცვლად დააყენეს პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მოსკოვის კომიტეტის მდივანი ა. ს. შჩერბაკოვი. კომუნისტებისა და კომკავშირელების სპეციალური მობილიზაციების ჩატარებით ცენტრალურმა კომიტეტმა განამტკიცა შეიარაღებული ძალები. 1941 წლის დამლევისათვის ჯარსა და ფლოტში იყო 1,3 მილიონი კომუნისტი, ორჯერ მეტი, ვიდრე ომის დასაწყისში. ცენტრალურმა კომიტეტმა მოსთხოვა ფრონტებისა და არმიების სამხედრო საბჭოებს გაეუმჯობესებინათ მუშაობა ჯარისკაცთა და მეთაურთა შორის, რათა ამით მკვეთრად აეძაღლებინათ დისციპლინა, გაეძლიერებინათ ჯარების სიმტკიცე და ბრძოლისუნარიანობა.

ივნისში პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა პოლიტიკური მუშაობის მდგომარეობა საერთოდ წითელ არმიაში და შეიმუშავა მისი შემდგომი გაუმჯობესების გზები. ცენტრალურმა კომიტეტმა მოითხოვა პოლიტორგანოებისაგან იდეურ-პოლიტიკური მუშაობის უფრო ფართოდ გაშლა ჯარებში. ყველა მეთაურსა და პოლიტმუშაკს, მათ შორის უმაღლესი რგოლის მუშაკებსაც, წინადადება მიეცათ პირადად ეწარმოებინათ აგიტაცია და პროპაგანდა მეომართა შორის. გაძლიერებული იქნა მთელი ამ მნიშვნელოვანი და ძნელი მუშაობის ხელმძღვანელი ორგანო. მუშურ-გლეხური წითელი არმიის მთავარ პოლიტიკურ სამმართველოში მოვიდნენ ნიჭიერი პოლიტმუშაკები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს მოქმედ არმიაში. ჩატარდა არმიისა და ფლოტის სამხედრო საბჭოების წევრთა და პოლიტორგანოების უფროსთა თათბირები, სადაც გამოვიდნენ ცენტრალური კომიტეტის მდივნები. მ. ი. კალინინი, ე. მ. იაროსლავსკი, დ. ზ. მანუილსკი და ბევრი სხვა გამოჩენილი სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე, ცნობილი

პროპაგანდისტები არაერთხელ შეხვდნენ ჯარებს, რომლებიც აწარმოებდნენ უაღრესად გააფთრებულ ბრძოლებს.

სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის ჯარებმა ხარკოვიდან უკან დახევის პროცესში დიდი ზარალი განიცადეს და აღარ შეეძლოთ წარმატებით შეეჩერებინათ მოწინააღმდეგის წინსვლა. ამავე მიზეზის გამო სამხრეთის ფრონტმა ვეღარ შეძლო მოწინააღმდეგის შეჩერება კავკასიის მიმართულებით.

საჭირო იყო გერმანიის ჯარებისათვის ვოლგისაკენ მიმავალი გზის გადაღობვა. მთავარბანაკმა 12 ივლისს შექმნა ახალი, სტალინგრადის ფრონტი, რომელსაც გადასცა 62-ე არმია გენერალ-მაიორ ვ. ი. კოლპაკჩის მეთაურობით, გენერალ-ლეიტენანტ ვ. ი. კუზნეცოვის 63-ე არმია, 64-ე არმია და აგრეთვე 21-ე არმია ლიკვიდირებული სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის შემადგენლობიდან.

ყოფილი სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის სამხედრო საბჭოს სრულმა შემადგენლობამ მიიღო ახლად შექმნილი სტალინგრადის ფრონტი. ფრონტის გასაძლიერებლად გადაეცა შედგენის პროცესში მყოფი 1-ლი და მე-4 სატანკო არმიები. 28-ე, 38-ე და 57-ე არმიების გადარჩენილი ნაწილები. ფრონტის სარდლობას ოპერატიულად დაექვემდებარა აგრეთვე ვოლგის სამხედრო ფლოტილიაც.

სტალინგრადის მისადგომებთან გაიშალა თავდაცვითი და გამაგრებული ზღუდეების მომზადება. როგორც მოსკოვის თავდაცვის დროს, მრავალი ათასი მცხოვრები გამოვიდა ზღუდეების ასაგებად და თავდადებით ამზადებდა ქალაქს თავდაცვისათვის.

დიდი ორგანიზატორული მუშაობა ჩაატარეს პარტიის სტალინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტებმა სახალხო ლაშქრისა და სამოქალაქო თავდაცვის მუშათა რაზმების ფორმირებისა და მომზადებისათვის, წარმოების გარდასაქმნელად ფრონტის საჭიროებისათვის და ქალაქიდან ბავშვების, მოხუცების, სახელმწიფო ღირებულებათა ევაკუაციისათვის.

17 ივლისისათვის სტალინგრადის ფრონტმა დაიკავა თავდაცვის შემდეგი ხაზი: დონის პავლოვსკი და იქით დონის მარცხენა ნაპირზე სერაფიმოვიჩამდე, შემდეგ კლეცკაია, სუროვიკინო და თითქმის ვერხნეკურმოიარსკამდე.

უკან დახევისას სამხრეთის ფრონტმა უდიდესი ზარალი განიცადა. მის ოთხ არმიაში დარჩა მხოლოდ ასი ათას კაცზე ოდნავ მეტი. ჩრდილო კავკასიის მიმართულებით ჯარების ხელმძღვანელობის გაძლიერების მიზნით მთავარბანაკმა სამხრეთის ფრონტის ლიკვიდაცია მოახდინა. ამ ფრონტის ყველა დარჩენილი ჯარები გადასცა ჩრდილო-კავკასიის ფრონტს, რომლის სარდლად დაინიშნა საბჭოთა კავშირის მარშალი ს. მ. ბუდიონი.

ჩრდილო კავკასიის ფრონტის 37-ე და მე-12 არმიებმა დავალება მიიღეს დაეცვათ სტავროპოლის მიმართულება, ხოლო მე-18, 56-ე და 47-ე არმიებს — კრასნოდარის მიმართულება.

ივლისის დამლევს და აგვისტოს დამდეგს ამბების განვითარება ჩრდილო კავკასიის მიმართულებით აშკარად არ მიდიოდა ჩვენს სასარგებლოდ. რიცხობრივი უპირატესობის მქონე მოწინააღმდეგე დაჟინებით მიიწევდა წინ. მალე გერმანიის ჯარები გამოვიდნენ მდინარე ყუბანთან.

აგვისტოში სერიოზული ბრძოლები გაჩაღდა მაიკოპის მიმართულებითაც. 10 აგვისტოს მტრის ჯარებმა დაიკავეს მაიკოპი, ხოლო 11 აგვისტოს კრასნოდარი.

შუა აგვისტოში მოწინააღმდეგემ მოზდოკი აიღო და მდინარე თერგთან გამოვიდა. 9 სექტემბრისათვის, უკუაგდო რა ზღუდეებიდან ჩვენი 46-ე არმია, გერმანელი ფაშისტების ჯარები დაეუფლნენ თითქმის ყველა უღელტეხილს. სოხუმი სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

ამ მძიმე განსაცდელისა და საშინელი საფრთხის დღეებში კავკასიის ხალხები არ შედრკნენ, არ დაჰკარგეს თავისი რწმენა საბჭოთა ხალხების ოჯახის ძლიერებაში.

საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის პარტიულმა ორგანიზაციებმა სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტის მითითებით თავის თავზე აიღეს მოქმედი ჯარების მომარაგება და მათი მომსახურება. საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის კომუნისტური პარტიების ცენტრალურ კომიტეტთა მოწოდებით ყალიბდებოდა შეიარაღებული რაზმები, წითელი არმიის რიგებში შედიოდნენ მოხალისენი. ამ ღონისძიებებმა განამტკიცეს მოქმედი ფრონტები. ჰიტლერელთა იმედი, რომ გერმანიის ფაშისტური ჯარების მოსვლა გამოიწვევდა კავკასიის ხალხების ჩამოცილებას საბჭოთა კავშირიდან, სამარცხვინოდ ჩაიშალა.

მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი დახმარება გაუწიეს მოქმედ ჯარებს კავკასიის ხალხთა პარტიზანულმა რაზმებმა, რომლებიც კარგად იცნობდნენ იქაურ ადგილებს. მათი გაბედული თავდასხმები შიშის ზარს გვრიდა მოწინააღმდეგეს, მნიშვნელოვან ზარალს აყენებდა მას.

ივლისის დამლევს სტალინგრადის ფრონტის შემადგენლობაში შედიოდა 38 დივიზია. აქედან მხოლოდ ნახევარს ჰყავდა 6—8 ათასი კაცი, დანარჩენებს 1-დან 3 ათასამდე კაცი, რაც უდრიდა ნორმალური შემადგენლობის 16 დივიზიას. ამ მცირერიცხოვან ჯარს მოუხდა გაშლა 530 კილომეტრიან ფრონტზე.

სულ ფრონტის შემადგენლობაში იმ პერიოდში ირიცხებოდა 187 ათასი კაცი, 360 ტანკი, 337 თვითმფრინავი, 7900 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი.

ფრონტის წინააღმდეგ მტერმა თავი მოუყარა 250 ათას კაცს,

დაახლოებით 740 ტანკს, 1200 თვითმფრინავს, 7500 ქვემეხსა და ნაღმსატყორცნს. ამნაირად ძალთა შეფარდება იყო: ცოცხალი ძალების მიხედვით: 1,4:1, ქვემეხებისა და ნაღმსატყორცნებისა 1:1, ტანკებისა 2:1, თვითმფრინავებისა 3,5:1 მოწინააღმდეგის სასარგებლოდ.

შემდეგში სტალინგრადის მისადგომებთან ჩვენი ჯარების შეუპოვარი წინააღმდეგობის გამო მტერი იძულებული გახდა კავკასიის მიმართულებიდან გადმოესროლა კოტელნიკოვოს ჰხრიდან დასარტყმელად მე-4 სატანკო არმია და დამატებით გაეშალა თავისი სატელიტების ჯარების ნაწილი.

გერმანიის მთავარსარდლობა (ოკვ) 1942 წლის 23 ივლისის № 45 დირექტივის შესაბამისად „ბ" არმიების ჯგუფს, დაცულს ჩრდილოეთიდან მდინარე დონის შუა დინებამდე (სადაც თანმიმდევრობით განლაგებული იყვნენ უნგრეთის, იტალიისა და რუმინეთის ჯარები), უნდოდა სწრაფად დაეკავებინა სტალინგრადი, ასტრახანი და ჰტკიცედ მოემაგრებინა ფეხი ვოლგაზე, ჩამოეჭრა რა კავკასია საბჭოთა კავშირის ცენტრისაგან. ამ ამოცანის უზრუნველსაყოფად გამოყოფილი იყო მე-4 საჰაერო ფლოტის ძირითადი ძალები (1200 საბრძოლო თვითმფრინავი).

26 ივლისს გერმანიის ჯავშანსატანკო და მოტორიზებულმა ჯარებმა გაარღვიეს 62-ე არმიის თავდაცვა და გაეიდნენ კამენსკის რაიონში. გარღვევისათვის წინააღმდეგობის გასაწევად მთავარბანაკმა ბრძანა დაუყოვნებლივ შეეყვანათ ბრძოლაში ფორმირების პროცესში მყოფი 1-ლი და მე-4 სატანკო არმიები, რომლებსაც სულ 240 ტანკი ჰყავდათ, აგრეთვე ორი მსროლელთა დივიზია, რომლებმაც ვერ შეაჩერეს, მაგრამ რამდენიმედ შეაფერხეს მტრის წინსვლა.

რა თქმა უნდა, ფორმირების სტადიაში მყოფი ნაწილების შეყვანა ბრძოლაში არ არის სწორი, მაგრამ იმ დროს სხვა გამოსავალი მთავარბანაკს არ გააჩნდა, ვინაიდან სტალინგრადისაკენ მიმავალი გზები სუსტად იყო დაცული. მძიმე ბრძოლები გაჩაღდა 64-ე არმიის უბანზეც, მაგრამ მტერმა აქაც ვერ შეძლო შეუჩერებლად გაჭრილიყო სტალინგრადში. აგვისტოს პირველი ნახევრის მანძილზე გაფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა ქალაქის მისადგომებთან. ჩვენი ჯარები, გამაგრებულ ზღუდეებზე დაყრდნობით, გმირულად იცავდნენ თვითეულ გოჯ მიწას, მიჰქონდათ კონტრიერიში მოწინააღმდეგეზე, ღლიდნენ და სისხლისაგან ცლიდნენ მტრის ჯარებს, რომლებიც მიისწრაფოდნენ სტალინგრადისაკენ.

იმის გამო, რომ სტალინგრადის ფრონტის ჯარები გაიჭიმნენ 700 კილომეტრზე და წარმოიშვა ჯარების მართვის სიძნელენი, მთავარბანაკმა გადაწყვიტა გაეყო იგი ორ ფრონტად: სტალინგრადისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტებად. ეს გაკეთდა 5 აგვისტოს.

სტალინგრადის ფრონტის სარდლად დარჩა გენერალ-ლეიტენანტი ვ. ნ. გორდოვი, რომელმაც შეცვალა საბჭოთა კავშირის მარშალი ს. კ. ტიმოშენკო, შტაბის უფროსად — გენერალ-მაიორი დ. ნ. ნიკიშევი. ფრონტის შემადგენლობაში შევიდნენ 63-ე, 21-ე, 62-ე და მე-4 სატანკო არმიები, აგრეთვე ფორმირების სტადიაში მყოფი მე-16 საჰაერო არმია გენერალ-მაიორ ს. ი. რუდენკოს მეთაურობით.

სამხრეთ-აღმოსავლეთ ფრონტის შემადგენლობაში შევიდნენ 57-ე, 51-ე, 64-ე, 1-ლი გვარდიული და მე-8 საჰაერო არმიები. ფრონტის სარდლად დანიშნული იქნა გენერალ-პოლკოვნიკი ა. ი. ერიომენკო.

სტალინგრადთან თავმოყრილი ჯარების მოქმედებათა საკოორდინაციოდ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა 12 აგვისტოს გაგზავნა გენერალური შტაბის უფროსი გენერალ-პოლკოვნიკი ა. მ. ვასილევსკი. სტალინგრადის ფრონტი ოპერატიულად დამოურჩილდა სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტის სარდალს.

მრავალი დღის გააფთრებული ბრძოლების შემდეგ 23 აგვისტოს მოწინააღმდეგის მე-14 სატანკო კორპუსი გაიჭრა ვერტიაჩევოს რაიონში და, ორად გაკვეთა რა სტალინგრადის თავდაცვა, გავიდა ვოლგის ნაპირზე, ლატოშინკა-რინოკის რაიონში. 62-ე არმია მოწყვეტილი აღმოჩნდა სტალინგრადის ფრონტის ძირითადი ძალებისაგან, რის გამოც იგი გადასცეს სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტის შემადგენლობას.

გერმანელების ბომბდამშენმა ავიაციამ ბარბაროსულად დაბომბა სტალინგრადი, ნანგრევებად აქცია იგი. იღუპებოდნენ მშვიდობიანი მცხოვრებლები, ნადგურდებოდა სამრეწველო საწარმოები, კულტურული დოვლათი.

24 აგვისტოს დილით მოწინააღმდეგის მე-14 სატანკო კორპუსის ნაწილი შეტევაზე გადმოვიდა სატრაქტორო ქარხნის მიმართულებით, მაგრამ უშედეგოდ. იქ გააფთრებულ ბრძოლებში მონაწილეობა მიიღეს სტალინგრადის ქარხნების შეიარაღებულმა მუშებმა.

ერთდროულად სტალინგრადის ფრონტის ჯარებმა, რომლებმაც უკან დაიხიეს ჩრდილო-დასავლეთისაკენ, იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგეზე ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, აიძულეს იგი გაეშალა სტალინგრადის ხელში ჩასაგდებად განკუთვნილი მნიშვნელოვანი ძალები. ამ მანევრით მოწინააღმდეგის დარტყმა ქალაქზე საგრძნობლად შესუსტდა, ხოლო მისი 14-ე სატანკო კორპუსი მოჭრილი აღმოჩნდა თავისი ზურგისაგან და იძულებული შეიქნა რამდენიმე დღე მომარაგება ჰაერიდან მიეღო.

გადაიყვანა რა თავისი მთავარი ძალები დონზე, მოწინააღმდეგემ გაშალა ენერგიული შეტევა, რასაც მხარს უჭერდა ავიაციის ძლიერი დარტყმები.

30 აგვისტოსათვის სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტის ჯარებმა

მოწინააღმდეგის ჭარბი ძალების მოძალების გამო უკან დაიხიეს გარე, ხოლო შემდეგ შინაშემოვლებაზე. 62-ე და 64-ე არმიებმა დაიკავეს თავდაცვა რინოკი-ორლოვკა-გუმრაკი-პესჩანკა-იანოვკის ხაზზე. ამ დროს 62-ე არმიას მეთაურობდა გენერალ-ლეიტენანტი ანტონ ივანეს ძე ლოპატინი. მან გააკეთა ყველაფერი, რასაც მისგან მოით ხოვდა სამხედრო მოვალეობა, და კიდევ მეტიც, რამდენადაც კარგად ცნობილია, რომ ა. ი. ლოპატინის ჯარების წინააღმდეგ მტერი მოქმედებდა ჭარბი ძალებით. და მაინც ა. ი. ლოპატინმა წინდახედულად შეინარჩუნა 62-ე არმია მოწინააღმდეგესთან საბრძოლველად ქალაქის პირობებში, სადაც მტერი შემდგომ დაუძლურებული და მერე კი განადგურებული იქნა.

სტალინგრადისათვის ამ მძიმე დროს მთავარბანაკმა გვიბრძანა დასავლეთის მიმართულებით ჩაგვეტარებინა კერძო შეტევითი ოპერაციები იმ მიზნით, რათა შეგვებოჭა მტრის რეზერვები და არ დაგვეშვა მათი გადასროლა სტალინგრადის რაიონში.

დასავლეთის ფრონტზე, რომელსაც იმ დროს მე ვსარდლობდი, ამბები ვითარდებოდა შემდეგნაირად. ფრონტის მარცხენა ფრთაზე ივლისის დამდეგს მე-10, მე-16 და 61-ე არმიებმა შეტევა დაიწყეს კიროვ-ბოლხოვის ზღუდედან ბრიანსკისაკენ. მარჯვენა ფრთაზე, პოგორელოე მოროდიშჩეს რაიონში მე-20 გაძლიერებულმა არმიამ კალინინის ფრონტის მარცხენა ფრთასთან ურთიერთმოქმედებით აგვისტოში წარმატებით დაიწყო შეტევა იმ მიზნით, რათა გაენადგურებინა მოწინააღმდეგე სიჩოვკა-რჟევის რაიონში.

გერმანელების თავდაცვის გარღვევისა და რჟევი-ვიაზმის რკინიგზის ხაზზე გამოსვლის შემდეგ დასავლეთის ფრონტის ჯარების შეტევა შეჩერებულ იქნა, და ქალაქი რჟევი მოწინააღმდეგის ხელში დარჩა.

პოგორელოე გოროდიშჩე-სიჩოვკის რაიონში მტერმა დიდი ზარალი განიცადა. დასავლეთის ფრონტის ჯარების დარტყმა რომ შეეჩერებინა, გერმანიის სარდლობა იძულებული გახდა სასწრაფოდ გადაესროლა იქ დივიზიების მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომლებიც განკუთვნილი იყვნენ შეტევის განსაკუთარებლად სტალინგრადისა და კავკასიის მიმართულებებზე.

გერმანელი გენერალი კ. ტიპელსკირხი ამის გამო წერს: „გარღვევა აცილებული იქნა მხოლოდ იმით, რომ სამი სატანკო და რამდენიმე ქვეითი დივიზია, რომლებიც უკვე მზადდებოდა სამხრეთის ფრონტზე გადასასროლად, პირველად შეაჩერეს გარღვევის ლოკალიზაციისათვის, ხოლო შემდეგ კონტრდარტყმებისათვისაც“[1].

---

[1] К. Типельскирх, История второй мировой войны, М., 1956, стр. 241.

ჩვენს განკარგულებაში ერთი-ორი არმია რომ ყოფილიყო, შეიძლებოდა ურთიერთმოქმედებით კალინინის ფრონტთან გენერალ ი. ს. კონევის მეთაურობით არამთუ მხოლოდ რჟევის დაჯგუფების, არამედ გერმანიის ჯარების მთელი რჟევი-ვიაზმის ჯგუფის განადგურება და დასავლეთის მთელ სტრატეგიულ მიმართულებაზე ოპერატიული მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. სამწუხაროდ, ეს შესაძლებლობა ხელიდან გაუშვა უმაღლესმა მთავარსარდლობამ.

საერთოდ უნდა ვთქვა, უმაღლესი მთავარსარდალი მიხვდა, რომ 1942 წლის ზაფხულში შექმნილი არახელსაყრელი ვითარება იყო შედეგი მისი პირადი შეცდომისაც, რომელიც დაშვებული იქნა 1942 წლის ზაფხულის კამპანიაში ჩვენი ჯარების მოქმედებათა გეგმის დამტკიცების დროს. და ის არც ეძებდა სხვა დამნაშავეს მთავარბანაკისა და გენერალური შტაბის ხელმძღვანელ პირთა შორის.

1942 წლის 27 აგვისტოს, როცა მე ვიმყოფებოდი პოგორელოე გოროდიშჩეს რაიონში, სადაც ვატარებდით შეტევითს ოპერაციას, დამირეკა ა. ნ. პოსკრებიშევმა. მან მაცნობა, გუშინ, 26 აგვისტოს, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა ჩვენი ქვეყნის სამხრეთში შექმნილი ვითარების განხილვისას მიიღო გადაწყვეტილება თქვენი დანიშვნის შესახებ უმაღლესი მთავარსარდლის მოადგილედ.

ალექსანრრე ივანეს ძემ გამაფრთხილა, 14.00 საათზე იყავით საკომანდო პუნქტზე და უცადეთ ი. ბ. სტალინის დარეკვასო.

სიტყვის უაღრესად ძუნწმა, მან ყველა ჩემ შეკითხვაზე მიპასუხა: „არ ვიცი. ამის შესახებ, ალბათ, თვითონ გეტყვის". მაგრამ ამ სიტყვებიდანაც მივხვდი, რომ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი დიდად იყო შეშფოთებული იმით, თუ რით დამთავრდებოდა ბრძოლა სტალინგრადის რაიონში.

მალე მაღალი სიხშირის ტელეფონით დამირეკა უმაღლესმა მთავარსარდალმა. გამომკითხა რა მდგომარეობაა დასავლეთ ფრონტზე, მითხრა:

— თქვენ რაც შეიძლება ჩქარა უნდა ჩამოხვიდეთ მთავარბანაკში. თქვენს ადგილზე დატოვეთ შტაბის უფროსი. — მერე კი დაუმატა: — მოიფიქრეთ, თქვენს მაგიერ ვისი დანიშვნა შეიძლება სარდლად.

ლაპარაკი ამით დამთავრდა. ი. ბ. სტალინს არ უთქვამს ჩემი დანიშვნის შესახებ უმაღლესი მთავარსარდლის მოადგილედ. ეტყობა, ამის თქმა მას უნდოდა პირადი შეხვედრის დროს. საერთოდ უმაღლესი მთავარსარდალი ტელეფონით ლაპარაკობდა მხოლოდ იმას, რის თქმაც მოცემულ მომენტში უაღრესად საჭირო იყო. ჩვენგან იგი მოითხოვდა მეტისმეტ სიფრთხილეს ტელეფონით სარგებლობისას, განსაკუთრებით მოქმედი ჯარების ზონაში, სადაც არ იყო ლაპარაკის გასაიდუმლოების სტაციონალური საშუალებანი.

ისე გვევმგზავრე მოსკოვს, რომ ფრონტის შტაბში არ შემივლია.

იმავე დღის გვიან საღამოს მივედი კრემლში. ი. ბ. სტალინი თავის კაბინეტში მუშაობდა. იქვე იყო თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ზოგიერთი წევრი.

უმაღლესმა მთავარსარდალმა თქვა: სამხრეთში ჩვენი საქმეები ცუდად მიდის და შეიძლება მოხდეს ისე, რომ გერმანელებმა აიღონ სტალინგრადი. უკეთესი როდია ვითარება ჩრდილო კავკასიაშიც. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა გადაწყვიტა უმაღლესი მთავარსარდლის მოიდგილედ დანიშნოს და სტალინგრადის რაიონში გაგზავნოს ჟუკოვი. ამჟამად სტალინგრადში იმყოფებიან ვასილევსკი, მალენკოვი და მალიშევი. მალენკოვი დარჩება ჟუკოვთან, ხოლო ვასილევსკი უნდა გამოფრინდეს მოსკოვშიო.

— როდის შეგიძლიათ გაფრინდეთ? — მკითხა უმაღლესმა მთავარსარდალმა.

მე ვუპასუხე, ერთი დღე-ღამე დამჭირდება ვითარების შესასწავლად და 29-ში შემიძლია სტალინგრადში გავფრინდე-მეთქი.

— ძალიან კარგი. თქვენ არ გშიათ? — მკითხა უცებ ი. ბ. სტალინმა. — ცუდი არ იქნება ცოტაოდენი დანაყრება.

მოიტანეს ჩაი და ითამდე ბუტერბროდი, ჩაის სმისას ი. ბ. სტალინმა მოკლედ გაგვაცნო შექმნილი ვითარება 27 აგვისტოს 20 საათისათვის. მან მოკლედ გვიამბო, რაც მოხდა სტალინგრადთან და თქვა, მთავარბანაკმა გადაწყვიტა სტალინგრადის ფრონტს გადასცეს 24-ე, 1-ლი გვარდიული და 66-ე არმიებიო.

— სტალინგრადთან შექმნილი მძიმე ვითარების გამო, — გვითხრა უმაღლესმა მთავარსარდალმა, — ბრძანება გავეცით სასწრაფოდ გადაისროლონ 1-ლი გვარდიული არმია, რომელსაც მოსკალენკო მეთაურობს, ლოზნოეს რაიონში და 2 სექტემბერს დილიდან იმით და სტალინგრადის ფრონტის სხვა ნაწილებით მიიტანონ კონტრიერიში ვოლგისაკენ გაჭრილი მოწინააღმდეგის დაჯგუფებაზე და შეუერთდნენ 62-ე არმიას. ერთდროულად სტალინგრადის ფრონტის შემადგენლობას ემატება გენერალ მალინოვსკის 66-ე არმია და გენერალ კოზლოვის 24-ე არმია.

თქვენ უნდა მიიღოთ ზომები, რათა გენერალ მოსკალენკოს 1-მა გვარდიულმა არმიამ 2 სექტემბერს მიიტანოს კონტრიერიში, ხოლო მისი დაცვით გაიყვანოთ საწყისს რაიონებში 24-ე და 66-ე არმიები, — მითხრა მან. — ეს ორი არმია შეიყვანეთ ბრძოლაში დაუყოვნებლივ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ დავკარგავთ სტალინგრადს.

ნათელი იყო, რომ ბრძოლას სტალინგრადისათვის უდიდესი სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. სტალინგრადის დაცემით მტრის სარდლობას შესაძლებლობა ეძლეოდა ჩამოეჭრა ქვეყნის სამხ-

რეთი ნაწილი ცენტრისაგან. ჩვენ შეგვეძლო დაგვეკარგა ვოლგა — უმნიშვნელოვანესი წყლის არტერია, რომლითაც დიდ ნაკადებად მიდიოდა ტვირთი კავკასიიდან.

უმაღლესი მთავარსარდლობა გზავნიდა სტალინგრადის რაიონში ყველაფერს, რაც კი შეიძლებოდა, გარდა ფორმირების სტადიაში მყოფი სტრატეგიული რეზერვებისა, რომლებიც განკუთვნილი იყვნენ შემდგომი ბრძოლების საწარმოებლად. სასწრაფო ზომებს იღებდნენ თვითმფრინავების, ტანკების, იარაღის, საბრძოლო მასალებისა და სხვა მატერიალურ საშუალებათა გამოშვების გასადიდებლად, რათა ისინი დროულად შეეყვანათ სტალინგრადის რაიონში გასული მტრის დაჯგუფების განადგურების საქმეში.

გავფრინდით 29 აგვისტოს მოსკოვის ცენტრალური აეროდრომიდან. ოთხი საათის შემდეგ დავეშვით საველე მოედანზე კამიშინის რაიონში ეოლგასთან. იქ ა. მ. ვასილევსკი დამხვდა და მაშინვე გამაცნო უკანასკნელი ამბები. ხანმოკლე ლაპარაკის მერე წავედით სტალინგრადის ფრონტის შტაბში, მალაია ივანოვკაში.

ფრონტის შტაბში მივედით დაახლოებით თორმეტ საათზე.

გენერალ-ლეიტენანტი ვ. ნ. გორდოვი მეწინავე პოზიციებზე იმყოფებოდა. ვითარება მოგვახსენეს შტაბის უფროსმა დ. ნ. ნიკიშევმა და ოპერატიული განყოფილების უფროსმა ი. ნ. რუხლემ. მათი მოხსენებათა მოსმენისას ისე მოვჩვენა, თითქოს ისინი დიდად არ იყვნენ დარწმუნებულნი იმაში, რომ სტალინგრადის რაიონში შეიძლებოდა მოწინააღმდეგის შეჩერება.

დავრეკე 1-ლი გვარდიული არმიის შტაბში, სადაც ამ დროს იმყოფებოდა გენერალი ვ. ნ. გორდოვი. ვუთხარი მას დაეცადა ჩვენთვის არმიის სარდალ კ. ს. მოსკალენკოს შტაბში, ვინაიდან იქ უნდა წაესულიყავით მე და ა. მ. ვასილევსკი.

1-ლი გვარდიული არმიის საკომანდო პუნქტზე ჩვენ შევხვდით გენერალ ვ. ნ. გორდოვსა და კ. ს. მოსკალენკოს. მათმა მოხსენებებმა და თვითონ მათ ჩვენზე სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინეს. იგრძნობოდა, რომ მათ კარგად იცოდნენ მოწინააღმდეგის ძალა და თავიანთი ჯარების შესაძლებლობანი.

განვიხილეთ რა ვითარება და ჩვენი ნაწილების მდგომარეობა, მივედით იმ დასკვნამდე, რომ თავმოსაყრელი არმიების ჯარების მომზადებას კონტრდარტყმისათვის ვერ შევძლებდით 6 სექტემბერზე უფრო ადრე. ეს ტელეფონით მაშინვე მოვახსენე უმაღლეს მთავარსარდალს. მან მომისმინა და მითხრა, საწინააღმდეგო არაფერი მაქვსო.

ვინაიდან ა. მ. ვასილევსკის ნაბრძანები ჰქონდა სასწრაფოდ დაბრუნებულიყო მოსკოვში, იგი, თუ მახსოვრობა არ მღალატობს, 1 სექტემბერს გაფრინდა სტალინგრადიდან.

მთავარბანაკის მიერ 2 სექტემბრისათვის დანიშნული 1-ლი გვარდიული არმიის შეტევა ვერ განხორციელდა, ვინაიდან მის შემადგენლობაში შემავალი ჯარები საწვავი მასალის უქონლობისა და გზაში დაყოვნების გამო ვერ გამოვიდნენ საწყისს რაიონებში. არმიის სარდლის კ. ს. მოსკალენკოს თხოვნით იერიში გადავიტანე მეორე დღისათვის, რის შესახებაც მოვახსენე მთავარბანაკს. პატაკში ნათქვამი იყო:

„1-ლი გვარდიული არმია ვერ გადავიდა შეტევაზე 2 სექტემბერს, ვინაიდან მისმა ნაწილებმა ვერ შეძლეს გამოსვლა საწყისს მდგომარეობაზე, აგრეთვე საბრძოლო მასალებისა და საწვავის მოტანა და ბრძოლის მოწყობა. იმისათვის, რომ არ იქნას დაშვებული ჯარების არაორგანიზებული შეყვანა ბრძოლაში და ამით ტყუილუბრალოდ არ განვიცადოთ დანაკლისი, ადგილზე პირადი შემოწმების შემდეგ გადავიტანე შეტევა 3 სექტემბრის 5 საათისათვის.

24-ე და 66-ე არმიების შეტევას ვნიშნავ 5—6 სექტემბერს. ამჟამად მიდის ამოცანათა დეტალური დამუშავება მთელ მეთაურთა შემადგენლობის მიერ, აგრეთვე ვიღებთ ზომებს ოპერაციის მატერიალურად უზრუნველყოფისათვის...“[1].

3 სექტემბერს დილით საარტილერიო მომზადების შემდეგ 1-ლი გვარდიული არმიის ჯარები გადავიდნენ შეტევაზე, მაგრამ წინ წაიწიეს სულ რამდენიმე კილომეტრით სტალინგრადის მიმართულებით, მიაყენეს რა მოწინააღმდეგეს უმნიშვნელო მარცხი. 1-ლი გვარდიული არმიის შემდგომი წინსვლა შეაჩერა მოწინააღმდეგის ავიაციის განუწყვეტელმა დარტყმებმა, ტანკებისა და ქვეითი ჯარების კონტრიერიშებმა, რასაც მხარს უჭერდა არტილერია სტალინგრადის რაიონიდან.

3 სექტემბერს მივიღე შემდეგი შინაარსის დეპეშა ი. ბ. სტალინის ხელმოწერით: „სტალინგრადის მდგომარეობა გაუარესდა. მოწინააღმდეგე იმყოფება სამ ვერსზე სტალინგრადიდან. სტალინგრადი შეიძლება აიღონ დღეს ან ხვალ თუ ჩრდილოეთის ჯარების ჯგუფი არ აღმოუჩენს დაუყოვნებელ დახმარებას. სტალინგრადის ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით მყოფი ჯარების სარდლებისაგან მოითხოვეთ დაუყოვნებლივ დაარტყან მოწინააღმდეგეს და დაეხმარონ სტალინგრადელებს. დაუშვებელია ყოველგვარი დაყოვნება. დაყოვნება იხლა დანაშაულს უდრის. მთელი ავიაცია გადაისროლეთ სტალინგრადის დასახმარებლად. თვით სტალინგრადში ავიაცია ცოტაა“[2].

მე მაშინვე დაეურეკე უმაღლეს მთავარსარდალს და მოვახსენე,

---

[1] Архив МО СССР, ф. 132,-А, оп .2642, д. 13, л. 21

[1] Архив МО СССР, ф. 132-А, оп. 1160, д. 1, л. 219.

რომ შემიძლია ხვალ დილიდანვე გადავიდე შეტევაზე, მაგრამ სამივე არმიის ჯარები იძულებულნი იქნებიან დაიწყონ ბრძოლა საომარი მასალების თითქმის უქონლობის პირობებში, ვინაიდან მათი მოტანა საარტილერიო პოზიციებზე 4 სექტემბრის საღამოზე უფრო ადრე არ შეუძლიათ-მეთქი. გარდა ამისა, ჩვენ არ შეგვიძლია 4 სექტემბერს საღამოზე ადრე დავაკავშიროთ ნაწილების ურთიერთმოქმედება არტილერიასთან, ტანკებთან და ავიაციასთან, უამისოდ კი არაფერი არ გამოვა.

— გგონიათ, მოწინააღმდეგე დაიცდის, სანამ თქვენ გაინძრეოდეთ?... ერიომენკო ამტკიცებს, რომ მოწინააღმდეგეს შეუძლია სტალინგრადის აღება პირველ მოძალებისთანავე, თუ თქვენ დაუყოვნებლივ არ დაარტყით ჩრდილოეთიდან.

მე ვუპასუხე, არ ვიზიარებ ამ შეხედულებას და გთხოვთ ნებართვას დავიწყოთ შეტევა ხუთ სექტემბერს, როგორც ეს ადრე იყო განზრახული. რაც შეეხება ავიაციას, ახლავე გავცემ ბრძანებას მოწინააღმდეგე დაბომბონ მთელი ძალებით.

— მაშ, კარგი, — დათანხმდა უმაღლესი მთავარსარდალი. — თუ მოწინააღმდეგე დაიწყებს საერთო შეტევას ქალაქზე, დაუყოვნებლივ მიიტანეთ მასზე იერიში, ისე რომ ნუ დაუცდით ჯარების საბოლოო მზადყოფნას. თქვენი მთავარი ამოცანაა გერმანელების ძალების ჩამოცილება სტალინგრადიდან და, თუ შესაძლებელი იქნება, გერმანელების დერეფნის ლიკვიდაცია, რომელიც ყოფს სტალინგრადისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტებს.

5 სექტემბრის დილამდე, როგორც ჩვენ ვვარაუდობდით, სტალინგრადთან რაიმე განსაკუთრებული ამბები არ მომხდარა. ღამის სამ საათზე უმაღლესმა მთავარსარდალმა გამოიძახა გ. მ. მალენკოვი და გამოკითხა მზად იყვნენ თუ არა სტალინგრადის ფრონტის ჯარები შეტევაზე გადასასვლელად. როცა დარწმუნდა, რომ მისი ბრძანება სრულდებოდა, მას ტელეფონთან ჩემთვის აღარ გამოუძახნია.

5 სექტემბერს გარიჟრაჟზე 24-ე, 1-ლი გვარდიული და 66-ე არმიების მთელ ფრონტზე დაიწყო საარტილერიო-ნაღმსატყორცნი და საავიაციო მომზადება. საარტილერიო ცეცხლის სიმჭიდროვე არმიების მთავარი დარტყმების მიმართულებებზეც კი მცირე იყო და არ მოგვცა საჭირო შედეგი. „კატიუშების" ბათქების შემდეგ დაიწყო იერიში. მას თვალყურს ვადევნებდი 1-ლი გვარდიული არმიის სარდლის პუნქტიდან. ცეცხლის იმ სიძლიერის მიხედვით, რომლითაც მოწინააღმდეგე შეხვდა ჩვენ მოიერიშე ჯარებს, ჩანდა, რომ საარტილერიო მომზადებამ არ მოგვცა საჭირო შედეგები და ჩვენი შემტევი ნაწილების ღრმად წინ წაწევის იმედი არ უნდა გვქონოდა.

დაახლოებით ერთნახევარი-ორი საათის შემდეგ ჯარების სარ-

დალთა მოხსენებებიდან ცნობილი გახდა, რომ ზოგიერთ უბანზე მოწინააღმდეგემ თავისი ცეცხლით შეაჩერა ჩვენი წინსვლა და კონტრიერიშები მოაქანდა ქვეითი ნაწილებითა და ტანკებით. საავიაციო დაზვერვამ დაადგინა, რომ გუმრაკ-ორლოვკა-ბოლშაია როსოშკას რაიონიდან ჩრდილოეთისაკენ მიემართებოდნენ მოწინააღმდეგის ტანკების, არტილერიისა და მოტორიზებული ქვეითი ჯარების დიდი ჯგუფები. მტრის ავიაციამ დაიწყო ჩვენი საბრძოლო რიგების დაბომბვა. დღის მეორე ნახევარში ბრძოლაში ჩაებნენ მოწინააღმდეგის ახალი ნაწილები და ზოგიერთ უბანზე უკან დაახევინეს ჩვენ ჯარებს საწყისს ზღუდეებამდე.

მთელი დღის მანძილზე წარმოებული დაძაბული საცეცხლე ბრძოლა საღამოსათვის თითქმის შეწყდა. ჩვენ შევაჯამეთ შედეგები. ერთი დღის ბრძოლის განმავლობაში ჩვენმა ნაწილებმა წინ წაიწიეს სულ 2—4 კილომეტრზე. 24-ე არმია დარჩა თითქმის საწყისს პოზიციებზე.

საღამოს დამატებით მოუტანეს ჯარებს პურვები, ნაღმები და სხვა საბრძოლო მასალები. დღის ბრძოლების დროს მოწინააღმდეგის შესახებ გამოვლინებული მონაცემების გათვალისწინებით გადავწყვიტეთ ღამის განმავლობაში მოგვემზადებინა ახალი შეტევა და შესაძლებლობის ფარგლებში მოგვეხდინა საჭირო გადაჯგუფება.

გვიან ღამით გამომიძახა უმაღლესმა მთავარსარდალმა.

— როგორ არის საქმე სტალინგრადთან?

მე მოვახსენე, რომ მთელი დღე მიდიოდა ძალიან მძიმე ბრძოლები, სტალინგრადის ჩრდილოეთით მოწინააღმდეგემ შეიყვანა ბრძოლაში გუმრაკის რაიონიდან გადმოსროლილი ახალი ჯარები.

— ეს უკვე კარგია, ეს დიდი დახმარებაა სტალინგრადისათვის.

მე განვაგრძე:

— ჩვენმა ნაწილებმა უმნიშვნელოდ წაიწიეს წინ, ხოლო ზოგ შემთხვევაში დარჩენ საწყის ზღვრებზე.

— რაშია საქმე?

— დროის უქონლობის გამო ჩვენმა ჯარებმა ვერ მოასწრეს კარგად მომზადება შეტევისათვის, საარტილერიო დაზვერვის ჩატარება და მოწინააღმდეგის ცეცხლის სისტემის გამოვლენა და ამიტომ, ცხადია, ვერ შეძლეს მისი ჩაქრობაც. როცა ჩვენი ნაწილები გადავიდნენ შეტევაზე, მოწინააღმდეგემ თავისი ცეცხლითა და კონტრიერიშით შეაჩერა შეტევა. გარდა ამისა, მტრის ავიაცია მთელი დღე ბატონობდა ჰაერში და მთელი დღე ბომბავდა ჩვენს ნაწილებს.

— განაგრძეთ იერიშები, — მიბრძანა ი. ბ. სტალინმა, — თქვენი მთავარი ამოცანაა მოწინააღმდეგის რაც შეიძლება მეტი ძალები ჩამოაცილოთ სტალინგრადს.

მეორე დღეს ბრძოლა გაჩაღდა კიდევ უფრო მეტი გააფთრებით. ჩვენი ავიაცია ბომბავდა მოწინააღმდეგეს 5 სექტემბერს ღამით. საფრონტო ავიაციის გარდა მთელი ღამე ბომბავდა მტერს შორი მოქმედების ავიაცია გენერალ-ლეიტენანტ ა. ე. გოლოვანოვის მეთაურობით, რომელიც ჩემთან ერთად იყო 1-ლი გვარდიული არმიის სარდლის საკომანდო პუნქტზე.

6 სექტემბრის მანძილზე მოწინააღმდეგემ მოიყვანა სტალინგრადის რაიონიდან ახალი ნაწილები. მთელ რიგ გაბატონებულ სიმაღლეებზე მტერმა მიწაში ჩაფლა ტანკები, საიერიშე ქვემეხები და საფუძვლიანად მოაწყო საყრდენი პუნქტები, რომელთა დანგრევა შეიძლებოდა მხოლოდ არტილერიის ძლიერი ცეცხლით. მაგრამ იგი იმ დროს ძალიან ცოტა გვქონდა.

ბრძოლების მესამე და მეოთხე დღემ გაიარა უმთავრესად საცეცხლე საშუალებათა შეჯიბრებასა და საჰაერო ბრძოლებში.

10 სექტემბერს ერთხელ კიდევ მოვიარე არმიათა ნაწილები, შენაერთები და მივედი იმ დასკვნამდე, რომ მოწინააღმდეგის საბრძოლო რიგების გარღვევა და მისი კორიდორის ლიკვიდაცია არსებული ძალებით და იმავე დაჯგუფებით შეუძლებელი იყო. ასეთივე აზრი გამოთქვეს გენერლებმა ვ. ნ. გორდოვმა, კ. ს. მოსკალენკომ, რ. ი. მალინოვსკიმ და დ. ტ. კოზლოვმა.

იმავე დღეს ი. ბ. სტალინისათვის მიცემულ პატაკში მე მოვახსენე:

— იმ ძალებით, რომლებიც სტალინგრადის ფრონტს ჰყოფს, კორიდორის გარღვევას და სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტის ჯარებთან შეერთებას ქალაქში ჩვენ ვერ შევძლებთ. გერმანიის ჯარების თავდაცვის ფრონტი მნიშვნელოვნად გაძლიერდა სტალინგრადის რაიონიდან ახლად მოსული ნაწილების ხარჯზე. შემდგომი იერიშები იმავე ძალებით და იმავე დაჯგუფებით უმიზნო იქნება, და ჯარები თეცილებლად ნახავენ დიდ ზარალს. საჭიროა დამატებითი ჯარები და დრო გადასაჯგუფებლად უფრო კონცენტრირებული ფრონტული დარტყმისათვის. არმიის დარტყმებს არ შეუძლია მოწინააღმდეგის უკუგდება.

უმაღლესმა მთავარსარდალმა მიპასუხა, კარგი იქნება, მოსკოვში რომ ჩამოფრინდებოდე და პირადად მომახსენებდე ამ საკითხებსო.

12 სექტემბერს დღისით გავფრინდი მოსკოვში და ოთხი საათის შემდეგ ვიყავი კრემლში, სადაც გამოიძახეს გენერალური შტაბის უფროსი ა. მ. ვასილევსკიც.

ალექსანდრე მიხეილის ძემ მოახსენა სტალინგრადის რაიონში მოწინააღმდეგის ახალი ნაწილების მოსვლა კოტელნიკოვოს რაიონიდან, ბრძოლის მსვლელობა ნოვოროსიისკის რაიონში, აგრეთვე ბრძოლების შესახებ გროზნოს მიმართულებით.

უმაღლესმა მთავარსარდალმა ყურადღებით მოისმინა ა. მ. ვასილევსკის მოხსენება და რეზუმე გაუკეთა

— რადაც უნდა დაუჯდეთ, მიისწრაფვიან გროზნოს ნავთობისაკენ. ახლა კი მოვუსმინოთ ჟუკოვს სტალინგრადის შესახებ.

მე გავიმეორე იგივე, რაც მოვახსენე ტელეფონით და, გარდა ამისა, ვუთხარი 24-ე, 1-ლმა გვარდიულმა და 66-ე არმიებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ 5—11 სექტემბრის შეტევაში, გვიჩვენეს, რომ ისინი ბრძოლისუნარიანი შენაერთები არიან. მათი ძირითადი სისუსტეა — არმიებში გაძლიერების საკმაო საშუალებათა უქონლობა, საჰაუბიცო არტილერიისა და სატანკო ნაწილების სიმცირე, რომლებიც აუცილებელია ქვეითი ჯარების უშუალო მხარდაჭერისათვის. მე განვაგრძე:

ადგილი სტალინგრადის ფრონტის უბანზე მეტისმეტად არახელსაყრელია ჩვენი ჯარების შეტევისათვის. იგი გაშლილია, დასერილია ღრმა ხევებით, სადაც მტერი კარგად ემალება ცეცხლს. მთელი რიგი დაკავებული გაბატონებული მაღლობებით მას აქვს შორი საარტილერიო მეთვალყურეობა და ცეცხლის ყველა მიმართულებით მანევრირების შესაძლებლობა. გარდა ამისა, მოწინააღმდეგეს შეუძლია აწარმოოს შორი საარტილერიო სროლა კუზმიჩი-აკატოვკა-საბჭოთა მეურნეობა „ოპიტნოე პოლეს" რაიონიდანაც. ამ პირობებში სტალინგრადის ფრონტის 24-ე, 1-ლ გვარდიულ და 66-ე არმიებს მოწინააღმდეგის ფრონტის გარღვევა არ შეუძლიათ.

— რა სჭირდება სტალინგრადის ფრონტს, რომ ლიკვიდაცია უყოს მოწინააღმდეგის კორიდორს და შეუერთდეს სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტს? — მკითხა ი. ბ. სტალინმა.

— სულ ცოტა კიდევ ერთი სრულფასოვანი საერთო საჯარისო არმია, სატანკო კორპუსი, სამი სატანკო ბრიგადა და არანაკლებ 400 ჰაუბიცური ქვემეხისა. გარდა ამისა, ოპერაციის დროს საჭიროა დამატებით თავმოყრა არანაკლებ ერთი საჰაერო არმიისა.

ა. მ. ვასილევსკიმ სავსებით დაუჭირა მხარი ჩემს ვაანგარიშებას.

უმაღლესმა მთავარსარდალმა ამოიღო თავისი რუკა მთავარბანაკის რეზერვების განლაგებით, დიდხანს და გულდასმით ჩააცქერდა მას. მე და ალექსანდრე მიხეილის ძე მოვცილდით მაგიდას და ძალიან ჩუმად ვლაპარაკობდით იმაზე, რომ, ეტყობა, საჭიროა რაიმე სხვა გადაწყვეტილების ძებნა.

— რომელია „სხვა" გადაწყვეტილება? — ასწია თავი და უცებ გვკითხა ი. ბ. სტალინმა.

არასოდეს ვიფიქრებდი, რომ ი. ბ. სტალინს ასეთი მახვილი სმენა ჰქონდა. ჩვენ მაგიდასთან მივედით.

— აი რა, — განაგრძო მან, — წადით გენერალურ შტაბში და კარგად მოიფიქრეთ, რა უნდა გაკეთდეს სტალინგრადის რაიონში. საიდან და რა ჯარების გადასროლა შეიძლება სტალინგრადის დაჯგუფების გასაძლიერებლად. ამასთან ერთად მოიფიქრეთ კავკასიის ფრონტის შესახებაც. ხვალ საღამოს 9 საათზე აქ შევიკრიბებით.

მთელი მეორე დღე ა. მ. ვასილევსკისთან ერთად ვიმუშავე გენერალურ შტაბში.

მე და ა. მ. ვასილევსკიმ მთელი ყურადღება მივაქციეთ დიდი მასშტაბის ოპერაციის განხორციელების შესაძლებლობას ისე, რომ არ გამოგვეყენებია მომზადების პროცესში მყოფი და უკვე მზა რეზერვები კერძო ოპერაციებისათვის. ოქტომბერში მთავრდებოდა სტრატეგიული რეზერვების ფორმირება და შედგენა. ამ დროისათვის ჩვენმა მრეწველობამ მნიშვნელოვნად გაადიდა უახლესი კონსტრუქციების თვითმფრინაველებისა და არტილერიისათვის საბრძოლო მასალების წარმოება.

გადავსინჯეთ ყველა შესაძლებელი ვარიანტი და გადავწყვიტეთ შეგვეთავაზებინა ი. ბ. სტალინისათვის მოქმედებათა შემდეგი გეგმა: პირველი — აქტიური თავდაცვით გაგვეგრძელებია მოწინააღმდეგის მოქანცვა; მეორე — შევდგომოდით კონტრშეტევის მზადებას, რათა მოწინააღმდეგისათვის სტალინგრადის რაიონში მიგვეყენებინა ისეთი დარტყმა, რომელიც მკვეთრად შეცვლიდა ვითარებას ქვეყნის სამხრეთში ჩვენს სასარგებლოდ.

რაც შეეხება კონტრშეტევის კონკრეტულ გეგმას, რასაკვირველია, ერთ დღეში არ შეგვეძლო დეტალური გაანგარიშების მომზადება, მაგრამ ჩვენთვის ნათელი იყო, რომ ძირითადი დარტყმები უნდა მიგვეყენებინა სტალინგრადის დაჯგუფების ფლანგებისათვის, რომლებსაც რუმინეთის ჯარები იცავდნენ.

საორიენტაციო გაანგარიშებამ გვიჩვენა, რომ შუა ნოემბერზე უფრო ადრე შეუძლებელი იყო საჭირო ძალებისა და საშუალებების მომზადება კონტრშეტევისათვის. მოწინააღმდეგის შეფასებისას ჩვენ გამოვდიოდით იქიდან, რომ ფაშისტურ გერმანიას უკვე აღარ შეეძლო შეესრულებია თავისი 1942 წლის სტრატეგიული გეგმა. ის ძალები და საშუალებანი, რაც მოეპოვებოდა გერმანიას 1942 წლის შემოდგომისათვის, არ ეყოფოდა ამოცანების შესრულებისათვის არც ჩრდილოეთ კავკასიაში, არც დონისა და ვოლგის რაიონში.

ყველაფერი, რის გამოყენებაც შეეძლო გერმანიის სარდლობას კავკასიასა და სტალინგრადის რაიონში, მნიშვნელოვნად იყო მოქანცული და სისხლისაგან დაცლილი. ჰიტლერელებმა აშკარად ვეღარ შეძლეს უფრო მნიშვნელოვანი რაიმე ძალების გადმოსროლა ჩვენი ქვეყნის სამხრეთში, და, ცხადია, იძულებული იქნებოდნენ, ისე როგორც მოსკოვთან განადგურების შემდეგ, თავდაცვაზე გადასულიყვნენ ყველა მიმართულებით.

ჩვენთვის ცნობილი იყო, რომ ვერმახტში ყველაზე უფრო ბრძოლისუნარიან პაულიუსის მე-6 არმიასა და გოტის მე-4 სატანკო არმიას, სტალინგრადის რაიონში მომქანცველ სისხლისმღვრელ ბრძოლებში

ჩაბმისას, აღარ შეეძლოთ ქალაქის ასაღებად ოპერაციის დამთავრება და მაგრად ჩაეფლნენ იქ.

საბჭოთა ჯარებმა მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებაში სტალინგრადის მისადგომებთან, ხოლო შემდგომ თვით ქალაქშიც განიცადეს უმძიმესი ზარალი და დანაკლისი, და ამიტომ აოსებული ძალებით არ შეეძლოთ მტრის განადგურება. მაგრამ ჩვენ დავამთავრეთ მომზადება დიდი სტრატეგიული რეზერვებისა, რომლებსაც ჰქონდათ უახლესი იარაღი და უახლესი საომარი ტექნიკა. ნოემბრისათვის მთავარბანაკს უნდა ჰყოლოდა მექანიზებული და სატანკო შენაერთები, რომლებიც მთელი მსოფლიოსათვის ცნობილი T-34 ტანკებით იქნებოდნენ შეიარაღებულნი, რაც საშუალებას მოგვცემდა უფრო მეტად სერიოზული ამოცანები დაგვესახა ჩვენი ჯარებისათვის.

ამასთან, ჩვენმა უმაღლესი რგოლის მეთაურთა კადრებმა ომის პირველი პერიოდის მანძილზე ბევრი რამ ისწავლეს, ბევრ რამეს ჩაუფიქრდნენ, განსაჯეს და ძლიერ მტერთან ბრძოლის მძიმე სკოლის გამოვლით გახდნენ ოპერატიული ხელოვნების ოსტატები. წითელი არმიის დანარჩენმა მეთაურ-პოლიტმუშაკთა და მეომართა შემადგენლობამ მტრის ჯარებთან მრავალრიცხოვანი გააფთრებული შეტაკებისას გამოცდილების მიღებით საკუთარი ითვისეს ყოველგვარ ვითარებაში საომარ მოქმედებათა ხერხები და მეთოდები.

გენერალურმა შტაბმა ფრონტების ცნობათა საფუძველზე შეისწავლა გერმანელი, უნგრელი, იტალიელი და რუმინელი ჯარების ძლიერი და სუსტი მხარეები. გერმანელთა ჯარებთან შედარებით სატელიტთა ჯარები იყვნენ უფრო ცუდად შეიარაღებულნი, უფრო ნაკლებ გამოცდილნი და არასაკმარისად ბრძოლისუნარიანი — თვით თავდაცვის დროსაც კი. და, რაც მთავარია, — მათ ჯარისკაცებსა და ბევრ ოფიცერსაც კი არ სურდათ სიკვდილი მათთვის უცხო ინტერესების გამო შორეული რუსეთის ველებზე, სადაც ისინი გაგზავნეს ჰიტლერმა, მუსოლინიმ, ანტონესკუმ, ჰორტმა და ფაშისტთა სხვა ლიდერებმა.

მოწინააღმდეგის მდგომარეობა კიდევ უფრო უარესდებოდა იმით, რომ ვოლგისა და დონის რაიონში მას ჰყავდა ოპერატიული რეზერვის ძალზე მცირე ჯარი, სულ დიდი — ექვსი დივიზიის შემადგენლობით, და ისინიც მიმოფანტულნი იყვნენ ფართო ფრონტზე. უმოკლეს ხანში მათი ერთ მთლიან მუშტად შეკვრა ყოვლად შეუძლებელი იყო. ჩვენ ხელს გვიწყობდა ფრონტის ოპერატიული კონფიგურაციაც: ჩვენ ჯარებს ეპირათ გარემომცველი მდგომარეობა და შეეძლოთ სერაფიმოვიჩისა და კლეტსკაიას რაიონებში პლაცდარმთა შედარებით ადვილად გაუმჯობესება.

ანალიზი გავუკეთეთ რა ყოველივე ამას, მზად ვიყავით ი. ბ. სტალინთან გამოსაცხადებლად.

საღამოს ა. მ. ვასილევსკიმ დაურეკა უმაღლეს მთავარსარდალს და მოახსენა, როგორც ნაბრძანები გვქონდა, ჩვენ მზად ვართ 21.00 საათზე გამოვცხადდეთო. ი. ბ. სტალინმა უთხრა, რამდენიმე საათს არ მეცლება და 22 საათზე მიგიღებთო.

22.00 საათზე ჩვენ ვიყავით უმაღლეს მთავარსარდალთან, მის კაბინეტში.

ის მოგვესალმა, და აღშფოთებით წარმოთქვა:

— ათობითა და ასობით ათასი საბჭოთა ადამიანი სიცოცხლეს წირავს ფაშიზმთან ბრძოლას, ხოლო ჩერჩილი ვაჭრობს რაღაც ორიოდე ათეული „ჰარიკეინის“ გამო. მათი, „ჰარიკეინები“ კი — ხარახურაა, ჩვენს მფრინავებს არ უყვართ ეს მანქანა... — და შემდეგ საკვესებით მშვიდი კილოთი შეუჩერებლივ განაგრძო: — აბა, რა გადაწყვიტეთ? ვინ მომახსენებს?

— ვისაც უბრძანებთ, — მიუგო ალექსი მიხეილის ძემ, — ჩვენ ერთი აზრი გვაქვს.

უმაღლესი მთავარსარდალი მიუახლოვდა ჩვენს რუკას.

— ეს რა გაქვთ?

— ეგ არის სტალინგრადის რაიონში კონტრშეტევის გეგმის წინასწარი მონახაზები, — განმარტა ა. მ. ვასილევსკიმ.

— ეს ჯარების რა დაჯგუფებაა სერაფიმოვიჩის რაიონში?

— ახალი ფრონტია. იგი უნდა შეიქმნას, რათა მძლაერი დარტყმა ვაგემოთ მტრის დაჯგუფების ოპერატიულ ზურგს, რომელიც მოქმედებს სტალინგრადის რაიონში.

— განა ამჟამად გვეყოფა ძალები ასეთი დიდი ოპერაციებისათვის?

მე მოვახსენე, რომ ჩვენი ვარაუდით, 45 დღის შემდეგ შეიძლება ოპერაციის უზრუნველყოფა საჭირო ძალებითა და საშუალებებით, თანაც მოხერხდება მისი კარგად მომზადებაც.

— ხომ არ აჯობებდა დავკმაყოფილებულიყავით ჩრდილოეთიდან სამხრეთით და სამხრეთიდან ჩრდილოეთით დონის გასწვრივ დარტყმით? — იკითხა ი. ბ. სტალინმა.

მე ვთქვი, რომ ამ შემთხვევაში გერმანელებს შეუძლიათ სტალინგრადიდან სწრაფად შემოაბრუნონ თავიანთი ჯავშანსატანკო დივიზიები და დარტყმაზე დარტყმით გვიპასუხონ. დონის დასავლეთით ჩვენი ჯარების დარტყმები სამდინარო ზღუდის გამო მოწინააღმდეგეს არ მისცემს სწრაფი მანევრირების საშუალებას და გაუძნელებს თავისი რეზერვებით შემოუტიოს ჩვენს დაჯგუფებებს.

— მეტისმეტად ხომ არ შეეტოპავთ ამ დამკვრელი დაჯგუფებებით?

ჩვენ — მე და ალექსანდრე მიხეილის ძემ განვუმარტეთ, რომ ოპერაცია იყოფოდა ორ ძირითად ეტაპად: 1) გერმანელთა ჯარების

სტალინგრადული დაჯგუფების თავდაცვის გარღვევა, მათი გარშემორტყმა და მყარი გარე ფრონტის შექმნა, რათა იზოლირებულ ეყოთ ეს დაჯგუფება გარშემძორტყოფი ძალებისაგან; 2) გარშემორტყმული მოწინააღმდეგის განადგურება და მოწინააღმდეგის მიერ დებლოკირების ცდების აღკვეთა.

— გეგმის შესახებ კიდევ უნდა მოვიფიქროთ და დავაზუსტოთ ჩვენი რესურსები, — გვითხრა უმაღლესმა მთავარსარდალმა. — ახლა კი მთავარი ამოცანაა— შევინარჩუნოთ სტალინგრადი და არ დავუშვათ კამიშინისკენ მოწინააღმდეგის წინ წამოწევა.

შემოვიდა ა. ნ. პოსკრებიშევი და მოახსენა, ა. ი. ერიომენკო გირეკავთო.

ტელეფონით ლაპარაკს რომ მორჩა, უმაღლესმა მთავარსარდალმა თქვა:

— ერიომენკო მოგვახსენებს, რომ მოწინააღმდეგეს სატანკო ნაწილები ქალაქისაკენ გადმოყავს. ხვალ ახალ დარტყმას უნდა ველოდეთ. ახლავე მიეცით მითითება დაუყოვნებლივ გადაიყვანონ ვოლგაზე როდიმცევის მე-13 გვარდიული დივიზია, თქვენ კი მოსინჯეთ კიდევ რა შეიძლება გაიგზავნოს იქ ხვალ, — უთხრა მან ა. მ. ვასილევსკის.

შემდეგ მე მომიბრუნდა და მიბრძანა:

— დაურეკეთ გორდოვსა და გოლოვანოვს, დაუყოვნებლივ აამოქმედონ ავიაცია. დაე, გორდოვმა დილიდანვე მიიტანოს იერიში მოწინააღმდეგის შესაბოჭავად. თქვენ კი უკანვე გაფრინდით სტალინგრადის ფრონტის ჯარებში და შეუდექით ვითარების შესწავლას კლეტსკაიასა და სერაფიმოვიჩის რაიონში. ვასილევსკი რამდენიმე დღის შემდეგ უნდა გაფრინდეს სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტზე მის მარცხენა ფრთაზე ვითარების შესასწავლად. გეგმის შესახებ ლაპარაკს განვაგრძობთ მოგვიანებით. ის, რაზედაც აქ ვმსჯელობდით, ჩვენ სამის გარდა, ჯერჯერობით არავინ არ უნდა იცოდეს.

ერთი საათის შემდეგ თვითმფრინავში ვიჯექი, გავფრინდი სტალინგრადის ფრონტის შტაბში.

13, 14, 15 სექტემბერი მძიმე, მეტისმეტად მძიმე დღეები იყო სტალინგრადელთათვის. მოწინააღმდეგე არ ერიდებოდა არაფერს, თანდათანობით იკრებოდა ქალაქის ნანგრევებში და ნაბიჯნაბიჯ უახლოვდებოდა ვოლგას. გეგონებოდათ, ადამიანები სადაცაა ველარ გაუძლებენო. მაგრამ, როგორც კი მტერი წინ წამოიწევდა, ჩვენი 62-ე და 64-ე არმიის სახელოვანი მეომრები მიბრჯნით ხვრეტდნენ და ანადგურებდნენ მათ. ქალაქის ნანგრევები ციხე-სიმაგრედ გადაიქცა. ოღონდ ძალები ყოველ საათს სულ უფრო და უფრო კლებულობდა.

ამ მძიმე და, როგორც დროდადრო ჩანდა, უკანასკნელ ქამს გარდატეხა მოახდინა ა. ი. როდიმცევის მე-13 გვარდიულმა დივიზიამ (რო-

მელიც ფრონტს გადმოეცა მთავარბანაკის რეზერვის მიერ). სტალინგრადში გადაადგილის შემდეგ მან უმალ იერიში ეიტანა მოწინააღმდეგეზე. მისი დარტყმა სრულიად მოულოდნელი იყო მტრისათვის. 16 სექტემბერს ა. მ. როდიმცევის დივიზიამ მტერს მამაის ყორღანი წაართვა. სტალინგრადელებს დაეხმარნენ ავიაციის დარტყმები ა. ე. გოლოვანოვისა და ს. ი. რუდენკოს სარდლობით, და აგრეთვე ჩრდილოეთიდან სტალინგრადის ფრონტის ჯარების იერიშები და საარტილერიო ბათქები გერმანელთა მე-8 საარმიო კორპუსის ნაწილების მიმართ.

ჯეროვანი პატივი უნდა მივაგოთ სტალინგრადის ფრონტის 24-ე, 1-ლ გვარდიულ და 66-ე არმიების შეომრებს, მე-16 საჰაერო არმიისა და შორეული მოქმედების ავიაციის მფრინავებს, რომლებმაც, მიუხედავად ყოველგვარი მსხვერპლისა, დაუფასებელი დახმარება გაუწიეს სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტის 62-ე და 64-ე არმიებს სტალინგრადის შენარჩუნებაში.

მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ: რომ არ ყოფილიყო სტალინგრადის ფრონტის ჯარების მედგარი კონტრდარტყმები და ავიაციის სისტემატური იერიშები, მაშინ, შესაძლოა, სტალინგრადის საქმე უფრო ცუდად წასულიყო.

ინტერესს მოკლებული როდია, რასაც წერს პაულიუსის არმიაში მყოფი გერმანელი ოფიცერი: „იმავე დროს ჩვენი კორპუსის ნაწილებმა დიდი ზარალი განიცადეს, მოიგერიეს რა სექტემბერში გაფთრებული იერიშები მოწინააღმდეგისა, რომელიც ცდილობდა ჩვენი გადამკვეთი პოზიციების გარღვევას ჩრდილოეთიდან. ამ უბანზე მყოფი დივიზიები სისხლისაგან იქნენ დაცლილნი, ასეულებში, როგორც წესი, რჩებოდა 30—40 ჯარისკაცი"[1].

მიწყნარების მომენტში უმაღლესი მთავარსარდლის ნებართვით 1-ლი გვარდიული არმიის საკომანდო პუნქტს ეწვივნენ ა. ი. ერიომენკო და ნ. ს. ხრუშჩოვი. იქვე ვიყავით შორეული ავიაციის სარდალი ა. ე. გოლოვანოვი და მე. ა. ი. ერიომენკომ გვითხრა, მინდოდა გაეცნობოდი ვითარებას და გაგვეხილნა სტალინგრადის მდგომარეობაო. ვ. ნ. გორდოვმა და ვ. ს. მოსკალენკომ ა. ი. ერიომენკოს გააცნეს ვითარების ყველა დეტალი და თავიანთი მოსაზრებანი.

რამდენადაც უმაღლესმა მთავარსარდალმა გამაფრთხილა უმკაცრეს საიდუმლოებით დამეცვა დიდი კონტრშეტევის განზრახული გეგმა, ამიტომ საუბარი ეხებოდა უმთავრესად სამხრეთ-აღმოსავლეთისა და სტალინგრადის ფრონტთა ჯარების გაძლიერებას. ა. ი. ერიომენკოს შეკითხვაზე უფრო მძლავრი კონტრდარტყმის შესახებ, მე თავი როდი ავარიდე პასუხს და ვუთხარი, რომ უმაღლესი მთავარსარდლობის ბა-

---

[1] И. Видер. Катастрофа на Волге. М., 1965, стр. 52.

ნაკი მომავალში ჩაატარებს მნიშვნელოვნად უფრო დიდი ძლიერების კონტრდარტყმებს, მაგრამ ჯერჯერობით ასეთი გეგმისათვის არც ძალები და არც საშუალებები არ გაგვაჩნია-მეთქი.

სექტემბრის ბოლოს კვლავ გამომიძახა ი. ბ. სტალინმა მოსკოვში კონტრშეტევის გეგმის განსახილველად. ამავე დროისთვის მოსკოვში დაბრუნდა ა. მ. ვასილევსკიც, რომელმაც შეისწავლა სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტის მარცხენა ფრთის კონტრშეტევის პირობები.

სანამ მთავარბანაკში გამოვცხადდებოდით, მე და ალექსანდრე მიხეილის ძე შევხვდით ერთმანეთს, რათა განგვეხილნა კონტრშეტევის განხორციელების პირობათა შესწავლის შედეგები.

სტალინგრადის ფრონტის უბანზე ვითარების განხილვის დროს უმაღლესმა მთავარსარდალმა მკითხა, გენერალი გორდოვი რას წარმოადგენსო. მე მოვახსენე, ვ. ნ. გორდოვი ოპერატიულობის მხრივ მომზადებული გენერალია, ოღონდ რაღაც ვერ ეგუება შტაბსა და მეთაურთა შემადგენლობას-მეთქი.

ი. ბ. სტალინმა მითხრა, ამ შემთხვევაში ფრონტის სათავეში სხვა სარდალი უნდა ჩავაყენოთო. ამ პოსტზე კანდიდატად შევთავაზე კ. კ. როკოსოვსკი. ა. მ. ვასილევსკიმ მხარი დამიჭირა. იქვე გადაწყდა: სტალინგრადის ფრონტს გადარქმეოდა დონის ფრონტი, სამხრეთ-დასავლეთისას — სტალინგრადისა. დონის ფრონტის სარდლად დანიშნულიყო კ. კ. როკოსოვსკი, ფრონტის შტაბის უფროსად — მ. ს. მალინინი. ახლად შესაქმნელი სამხრეთ-აღმოსავლეთ ფრონტის სარდლის თანამდებობისათვის გამოძახებულ იქნა გენერალ-ლეიტენანტი ნ. თ. ვატუტინი. სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის შტაბის გასამლელად ძირითადი ბირთვის სახით, გადავწყვიტეთ, აგვეღო 1-ლი გვარდიული არმიის შტაბი. ამ არმიის სარდალი კ. ს. მოსკალენკო გადაგვეყვანა მე-40 არმიაში.

როცა დეტალურად განვიხილეთ კონტრშეტევითი ოპერაციის გეგმის საკითხი, უმაღლესმა მთავარსარდალმა მომმართა და მითხრა:

— გაფრინდით უკანვე ფრონტზე. მიიღეთ ყველა ზომა, რათა კიდევ უფრო მოჰქანცოთ და დააუძლურეთ მოწინააღმდეგე. კვლავ დათვალიერეთ გეგმით გათვალისწინებული რეზერვთა თავმოყრის რაიონები და საწყისი რაიონები სამხრეთ-დასავლეთ ფრონტისა და სტალინგრადის ფრონტის მარჯვენა ფრთისათვის, განსაკუთრებით სერაფიმოვიჩისა და კლეტსკაიას რაიონში. ამხანაგი ვასილევსკი ამავე მიზნით ერთხელ კიდევ უნდა გაემგზავროს სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მარცხენა ფრთაზე და იქ შეისწავლოს გეგმით დასახული ყველა საკითხი.

კონტრშეტევის მოსამზადებლად ყველა პირობათა ადგილზე გულდასმითი შესწავლის შემდეგ მე და ა. მ. ვასილევსკი დაებრუნდით

მთავარბანაკში, სადაც ერთხელ კიდევ ზოგადად განვიხილეთ კონტრშეტევის გეგმა და ამის შემდეგ კიდეც დამტკიცებულ იქნა.

კონტრშეტევის რუკა-გეგმას ხელი მოაწერეს: გ. კ. ჟუკოვმა და ა. მ. ვასილევსკიმ. უმაღლესმა მთავარსარდალმა წააწერა: „ვამტკიცებ".

ი. ბ. სტალინმა უთხრა ა. მ. ვასილევსკის:

— ჩვენი გეგმის მნიშვნელობის გაუმჟღავნებლად, ფრონტების სარდლებს უნდა გამოეკითხოთ მათი აზრი, თუ რას აპირებენ ისინი მოიმოქმედონ შემდეგში.

მე მებრძანა პირადად ინსტრუქცია მიმეცა დონის ფრონტის სამხედრო საბჭოსთვის სტალინგრადისადმი ყოველმხრივი დახმარების მიზნით ჯარების მოქმედებათა ხასიათის შესახებ. კარგად მახსოვს საუბარი. 29 სექტემბერს მიწურში, სტალინგრადის ჩრდილოეთით მდებარე ხეში, სადაც განლაგებული იყო არმიის სარდალ კ. ს. მოსკალენკოს საკომანდო პუნქტი.

ჩემს მითითებებზე — არ შეეწყვიტათ აქტიური მოქმედება, რათა მოწინააღმდეგეს დონის ფრონტიდან არ გადაესროლა ძალები და საშუალებები სტალინგრადის საიერიშოდ, კ. კ. როკოსოვსკიმ მითხრა, ძალები და საშუალებები ფრონტს ძალზე მცირე აქვს და ვერაფერს სერიოზულს აქ ჩვენ ვერ მივაღწევთო. რასაკვირველია, ის მართალი იყო. მეც ასეთი აზრისა ვიყავი, მაგრამ სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტისათვის (ახლა სტალინგრადის) აქტიური დახმარების გარეშე ქალაქის შენარჩუნება შეუძლებელი იყო.

1-ლ ოქტომბერს დავბრუნდი მოსკოვს კონტრშეტევის გეგმაზე შემდგომი მუშაობისათვის. სტალინგრადიდან მოსკოვამდის მივფრინავდი ა. ე. გოლოვანოვის თვითმფრინავით, რომელსაც პირადად იგი მართავდა. მე სიამოვნებით ჩავჯექი კაბინაში სახელოვან მფრინავთან.

სანამ მოსკოვამდე მივაღწევდით, ვიგრძენი, რომ თვითმფრინავი შემოტრიალდა და თანდათან ძირს ეშვებოდა. ვიფიქრე, ალბათ, კურსს ავცდით-მეთქი. მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ ა. ე. გოლოვანოვმა მანქანა ჩემთვის უცნობ ადგილისაკენ დასაფრენად მიმართა. ძირს მშვიდობიანად დავეშვით. მე ვკითხე ა. ე. გოლოვანოვს:

— აქ რად დასვით მანქანა?

— მადლობა თქვით, რომ აეროდრომის ახლოს ვიყავით, თორემ ჩამოვვარდებოდითო.

— განა რა მოხდა? — გამიკვირდა მე.

— თვითმფრინავს ყინული მოედო.

ლაპარაკის დროს მოგვიახლოვდა ჩემი თვითმფრინავი, რომელიც ჩვენს უკან მოფრინავდა, და მე მივატანე მოსკოვის ცენტრალურ აეროდრომს.

ბუნებრივია, რომ გაფრენები რთულ პირობებში, გაფრენასთან და-

კავშირებული სიჩქარე და ფაციფუცი არ შეიძლებოდა ყოველთვის მშვიდობიანად დასრულებულიყო. მე კარგად მახსოვს კიდევ ერთი „თვითმფრინავული“ ამბავი, რომელიც კინაღამ სიცოცხლის ფასად დაგვიჯდა. ეს მოხდა აგრეთვე სტალინგრადიდან მოსკოვში გაფრენის დროს. იმ დღეს საფრენოსნო ამინდი არ იდგა, წვიმდა. მოსკოვმა გვამცნო, ქალაქის თავზე ნისლია, ხილვადობა ცუდიაო. გაფრენის გადადება კი შეუძლებელი იყო: გამოგვიძახა უმაღლესმა მთავარსარდალმა.

მოსკოვამდე კარგად ვიფრინეთ, მაგრამ მოსკოვის მისადგომებთან ხილვადობა ას მეტრს არ აღემატებოდა. სამხედრო-საჰაერო ძალების გადაფრენათა განყოფილებიდან მფრინავს რადიოთი მისცეს განკარგულება დაშვებულიყო სათადარიგო აეროდრომზე. ამ შემთხვევაში ჩვენ აუცილებლად დაგვაგვიანდებოდა კრემლში მისვლა, სადაც უმაღლესი მთავარსარდალი გველოდებოდა.

მაშინ მთელი პასუხისმგებლობა მე ვიკისრე, მფრინავს ვუბრძანე ცენტრალურ აეროდრომზე დაფრენა და დავრჩი მის კაბინაში. მოსკოვის თავზე ფრენისას, მოულოდნელად მარცხენა ფრთიდან 10—15 მეტრზე დავინახეთ ყელსმართული ფაბრიკის მილები. მფრინავს გადავხედე, მას როგორც იტყვიან, წარბიც არ შეუხრია, ოდნავ მაღლა აიყვანა თვითმფრინავი და 2—3 წუთის შემდეგ დასაფრენად დაუშვა. როცა ძირს დავფრინდით, ვუთხარი:

— ვგონებ, ბედნიერად გადავურჩით იმ სიტუაციას, რომელზეც იტყვიან, „საქმე ჭადრაკულადაო“.

მან ღიმილით მომიგო:

— ჰაერში ყოველივე ხდება, თუ ფრენოსანთა შემადგენლობა უგულებელყოფს ამინდის პირობებს.

— ჩემი ბრალია! — ვუპასუხე მფრინავს და თანაც მაგრად ჩამოგართვი ხელი.

დიდი დროის გავლის გამო, სამწუხაროდ, დამავიწყდა მფრინავის გვარი. თუ არ ვცდები, ეს მაინც ბელიაევი იყო — დიდებული ადამიანი და ფრიად გამოცდილი მფრინავი. მასთან ერთად 130 საათზე მეტი გვიფრენია. სამწუხაროდ, ის დაიღუპა, საავიაციო კატასტროფის დროს.

ოქტომბერში მთავარბანაკის მიერ სტალინგრადში ვოლგის საშუალებით გადაყვანილ იქნა ექვსზე მეტი საფუძვლიანად შევსებული დივიზია, ვინაიდან 62-ე არმიის ძველი შემადგენლობიდან, არსებითად, ზურგებისა და შტაბების გარდა, აღარაფერი დარჩა. რამდენიმედ გაძლიერდა დონის ფრონტიც. უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკი და გენერალური შტაბი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდნენ ახლადშექმნილი სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის დაკომპლექტებისა და თავმოყრისათვის.

ოქტომბერში გრძელდებოდა უსასტიკესი შეტაკებანი თვით ქალაქსა და მის გარშემო მდებარე რაიონებში.

ჰიტლერი „ბ“ არმიის ჯგუფის სარდლობისაგან და მე-6 არმიის სარდალ პაულიუსისაგან მოითხოვდა სულ უმოკლეს ხანში აეღოთ სტალინგრადი.

მე როგორც უკვე ვთქვი, გადამწყვეტი იერიშისათვის გერმანელთა სარდლობამ ჯერ კიდევ სექტემბერში ფლანგების თავდაცვიდან მოხსნა გერმანელთა ჯარები და შეცვალა ისინი რუმინელებით, რითაც მკვეთრად შეასუსტა თავისი თავდაცვის ბრძოლისუნარიანობა სერაფიმოვიჩისა და სტალინგრადის სამხრეთ რაიონებში.

ოქტომბრის შუა რიცხვებში მოწინააღმდეგემ გააჩაღა ახალი შეტევა იმ იმედით, რომ უკვე ამჯერად აუცილებლად ბოლოს მოუღებდა სტალინგრადს. მაგრამ კვლავ, როგორც წინ, წააწყდა საბჭოთა ჯარების მედგარ წინააღმდეგობას. განსაკუთრებულად მძაფრად და უნარიანად იბრძოდნენ ა. ი. როდიმცევის მე-13 გვარდიული დივიზია, ვ. ა. გორიშნის 95-ე დივიზია, ვ. გ. ჟოლუდიოვის 37-ე დივიზია, ი. ე. ერმოლკინის 112-ე დივიზია, ს. ფ. გოროხოვის ჯგუფი, ი. ი. ლიუდნიკოვის 138-ე დივიზია, დ. ნ. ბელის 84-ე სატანკო ბრიგადა.

რამდენიმე დღე და ღამე არ შეწყვეტილა ბრძოლები ქალაქის ქუჩებში, სახლებში, ქარხნებში, ვოლგის ნაპირას — ყველგან და ყოველ მხარეს. ჩვენი ნაწილები, რომლებიც დიდ ზარალსა და დანაკლისს განიცდიდნენ, დარჩნენ სტალინგრადის მომცრო „კუნძულებზე“.

სტალინგრადელთა დასახმარებლად 19 ოქტომბერს შეტევაზე გადავიდნენ დონის ფრონტის ჯარები. ამჯერად, ისე როგორც ეს ხდებოდა წინათაც, გერმანელები იძულებულნი გახდნენ ქალაქის საიერიშო ძალებიდან მოეხსნათ ავიაციის, არტილერიისა და ტანკების მნიშვნელოვანი ნაწილი და მოებრუნებიათ ისინი შემტევი დონის ფრონტის საწინააღმდეგოდ.

იმავე პერიოდში 64-ე არმიამ კუპოროსნოე — ზელიონაია პოლიანას რაიონში სამხრეთიდან კონტრდარტყმა მიაყენა ფლანგზე შემომტევ მოწინააღმდეგის ნაწილებს. დონის ფრონტის შეტევამ და 64-ე არმიის კონტრდარტყმამ ძალზე შეამსუბუქა 62-ე არმიის მძიმე მდგომარეობა და ჩაფუშა ქალაქის დასაპყრობად მოწინააღმდეგის განზრახული ღონისძიებანი. რომ არ ყოფილიყო ეს დახმარება დონის ფრონტისა და 64-ე დივიზიის მხრიდან, 62-ე არმია ვერ შეძლებდა გამკლავებას, და, შესაძლოა, სტალინგრადი აეღო კიდეც მოწინააღმდეგეს.

ნოემბრის დამდეგს მოწინააღმდეგემ რამდენჯერმე სცადა ჩაეტარებინა ქალაქში ოპერაცია თავდაცვის ცალკეულ კერათა სალიკვიდაციოდ, ხოლო 11 ნოემბერს, როცა ჩვენი ჯარები ამთავრებდნენ კონ-

ტრშეტევისათვის გრანდიოზულ სამზადისს, ერთხელ კიდევ შეეცადა შემოტევას, მაგრამ უშედეგოდ.

ამ დროისათვის მტერი უკიდურესად იყო მოქანცული. ტყვეთა გამოკითხვიდან დადასტურდა, რომ ნაწილები და შენაერთები ფრიად მცირერიცხოვანნი იყვნენ, მკვეთრად დაეცა არათუ ჯარისკაცთა, არამედ ოფიცერთა მორალურ-პოლიტიკური მდგომარეობაც, და ბევრს აღარ სჯეროდა, რომ ცოცხალი დააღწევდა თავს მრავალთვიანი შეტაკების ამ ჯოჯოხეთურ საშინელებას.

იელისიდან ნოემბრამდე გასული პერიოდის მანძილზე დონის, ვოლგისა და სტალინგრადის რაიონში ბრძოლების დროს მრწინაალმდეგემ დაჰკარგა 600 ათას კაცზე მეტი, ათასზე მეტი ტანკი, 2 ათასზე მეტი ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 1400-დე თვითმფრინავი. რთულდებოდა აგრეთვე გერმანელთა ჯარების საერთო ოპერატიული მდგომარეობა ვოლგის რაიონში. მათ არ გააჩნდათ სადივიზიო და საკორპუსო რეზერვები, „ბ“ არმიის ჯგუფის ფრონტის ფლანგებზე ჰყავდათ არასაკმარისად ბრძოლისუნარიანი რუმინელთა, იტალიელთა და უნგრელთა ჯარები, რომელნიც უკვე ხვდებოდნენ თავიანთ უპერსპექტივო და საშინელ მდგომარეობას.

საბჭოთა ჯარებს დონზე ეჭირათ ხელსაყრელი პოზიციები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ საწყის მდგომარეობას სამხრეთ-დასავლეთისა და დონის ფრონტების კონტრშეტევისათვის. სტალინგრადის სამხრეთით 51-ე არმიამ ხშირი კონტრდარტყმით გამოდევნა მოწინააღმდეგე ტბის ხეობიდან და მტკიცედ ეჭირა ხელში სარპა—ცაცა—ბარბანცაკის ხელსაყრელი ზღუდე. ა. მ. ვასილევსკის რჩევით, ეს რაიონი შერჩეულ იქნა როგორც საწყისი სტალინგრადის ფრონტის მარცხენა ფრთის ნოემბრის კონტრშეტევისათვის.

სამ თვეზე მეტ ხანს გრძელდებოდა გააფთრებული ბრძოლები სტალინგრადისათვის.

დონის, ვოლგისა და სტალინგრადის რაიონში წარმოებულ უდიდეს ბრძოლას სულგანაბულნი ადევნებდნენ თვალყურს მთელი მსოფლიოს ხალხები. საბჭოთა ჯარების წარმატებები, მტერთან მათი მამაცური ბრძოლა აღაფრთოვანებდა მთელ პროგრესულ კაცობრიობას და უნერგავდა მას ფაშიზმზე საბრძოლო გამარჯვების რწმენას.

სტალინგრადის ბრძოლა ჩვენი ჯარებისათვის გახდა გამარჯვებათა უდიდესი სკოლა. სარდლობამ და შტაბებმა მიიღეს ქვეითი ჯარის, ტანკების, არტილერიისა და ავიაციის ურთიერთმოქმედების ორგანიზაციის დიდი პრაქტიკა. ჯარებმა ისწავლეს მედგარი თავდაცვის წარმოება ქალაქში, შეუფარდეს ის ფლანგებზე მანევრირებას. მნიშვნელოვნად ამაღლდა ჩვენი ჯარების მორალური მდგომარეობა და, ყოველ-

ლივე ამან ერთად აღებულმა, შეამზადა ხელსაყრელი პირობები კონტრშეტევაზე საბჭოთა ჯარების გადასასვლელად.

1942 წლის ნოემბერში თავდაცვით ბრძოლებით სტალინგრადისა და ჩრდილო კავკასიის რაიონში მთავრდებოდა დიდი სამამულო ომის პირველი პერიოდი, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. ეს პერიოდი ძალზე მძიმე იყო საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალებისათვის, განსაკუთრებით, როცა ჰიტლერელთა ჯარები, ხოცვა-ქლეტითა და განადგურებით მიეახლოვდნენ ლენინგრადს, მოსკოვს და დაიკავეს უკრაინის დიდი ნაწილი. 1942 წლის ნოემბრისათვის მტრის ჯარებმა დაიპყრეს ჩვენი ქვეყნის უზარმაზარი ტერიტორია დაახლოებით 1 მილიონი და 800 ათასი კვადრატული კილომეტრის ფართობით, რომელზეც ომამდე ცხოვრობდა 80 მილიონამდე ადამიანი. ომის ქარცეცხლში მოხვედრილი მრავალ მილიონობით საბჭოთა ადამიანები იძულებულნი გახდნენ მიეტოვებიათ მშობლიური მხარეები და თავიანთი სახლ-კარი, წასულიყვნენ აღმოსავლეთში, რათა არ დარჩენილიყვნენ მტრის ოკუპაციაში. შექმნილი სამხედრო ვითარების შედეგად საბჭოთა ჯარები იძულებით იხევდნენ უკან ჩვენი ქვეყნის სიღრმეში და მასთან განიცდიდნენ ადამიანთა მნიშვნელოვან დანაკლისსა და დიდ მატერიალურ ზარალს.

მაგრამ ამ მძიმე დროსაც საბჭოთა ხალხისა და ჩვენს შეიარაღებულ ძალებს არ დაუკარგავთ მტრის ურდოთა განადგურების შესაძლებლობის რწმენა. სამკვდრო-სასიცოცხლო საფრთხემ კიდევ უფრო მეტიდროდ დარაზმა ჩვენი ხალხი კომუნისტური პარტიის ირგვლივ, და, მიუხედავად სიძნელეებისა, მტერი საბოლოოდ იქნა შეჩერებული ყველა მიმართულებით.

თექვსმეტთვიანი ბრძოლის მანძილზე მტრის ჯარები საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე წააწყდნენ საბჭოთა ჯარებისა და ოკუპირებულ რაიონებში ხალხის მედგარ წინააღმდეგობას და კოლოსალური დანაკლისი განიცადეს. 1942 წლის ნოემბრისათვის ამ დანაკლისმა მოკლულთა, დაჭრილთა და უგზოუკვლოდ დაკარგულთა სახით ორ მილიონ კაცს მიაღწია. ესენი იყვნენ გერმანელთა ჯარების საუკეთესო კადრები, რომელთა შეცვლა ომის პირველი პერიოდის ბოლოს ფაშისტთა სარდლობას უკვე აღარაფრით შეეძლო.

ხოლო როგორ დაიწყო ომი?

ყველა სტრატეგიული მიმართულებით ჩვენს ჯარებს თავს დაატყდათ მტრის მრავალრიცხოვანი ავიაციისა და ჯავშანსატანკო ჯარების მოულოდნელი ძალის დარტყმები. პირველსავე დღეებში გერმანელთა სარდლობამ აამოქმედა 190 კარგად აღჭურვილი დივიზია, 3712 ტანკი, 47260 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 4950 თვითმფრინავი. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გადმოსროლილ მტრის ჯარების რაოდე-

ნობა შეადგენდა 5,5 მილიონ კაცს. ადვილი გასაგებია, ჯარების თუ რა ძალები, საშუალებები და საომარი საშუალებები უნდა გექონოდა ჩვენ მოწინააღმდეგის ასეთი დარტყმების წარმატებით მოსაგერიებლად.

ის ჯარები, რომლებიც განლაგებულნი იყვნენ ჩვენს დასავლეთ ოლქებში და მთავრობის გადაწყვეტილებით 1941 წლის გაზაფხულზე შიდა ოლქებიდან გადასროლილ იყვნენ დასავლეთ სამხედრო ოლქებში, რაოდენობითა და საბრძოლო თვისებებით ჩამოუვარდებოდნენ მოწინააღმდეგეს იმ მიმართულებებზე, სადაც ის გვაყენებდა მთავარ დარტყმებს. აქ მტრის რიცხობრივი უპირატესობა 5—6 და უფრო მეტჯერ დიდი იყო, განსაკუთრებით ტანკების, არტილერიისა და ავიაციის მხრივ.

საზღვრისპირა ოლქების ჯარები რომ წინასწარ ყოფილიყო მზად სრული საბრძოლო მდგომარეობისათვის, მაშინ კი შეიძლებოდა პირველსავე დღეებში მტრისთვის უფრო მნიშვნელოვანი ზარალის მიყენება, დასავლეთ თავდაცვითს ზღუდეებზე მისი უფრო ხანგრძლივად შეჩერება. ყველაფერი ეს ხელს შეგვიწყობდა უფრო ორგანიზებულად აგვემოქმედებინა შიდა სამხედრო ოლქებიდან მოსული ნაწილები.

მაგრამ ეს უკეთესი გამოსავალიც არ მოგვცემდა შესაძლებლობას მთლიანად ჩაგვეფუშა მტრის დარტყმები და მისი ჯარების შემოკრა ჩვენი ქვეყნის ფარგლებში ომის დასაწყის პერიოდში. 1941 წლის სექტემბერ-ოქტომბერში და 1942 წლის ზაფხულზე, როცა დასავლეთის, სარეზერვო და ბრიანსკის ფრონტებს და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულების ფრონტებს მოეპოვებოდათ წინასწარ ორგანიზებული თავდაცვა, ჩვენ მაინც მთლიანად ვერ შევძელით მოწინააღმდეგის მძლავრი დარტყმების მოგერიება.

საკვლევით სხვაგვარად წარიმართა ჩვენი საქმე მაშინ, როცა პარტიისა და ხალხის უდიდეს ღონისძიებათა მეოხებით საბჭოთა ჯარებმა მიიღეს თანამედროვე ტანკებისა და თვითმფრინავების საკმაო რაოდენობა და საომარი და დამხმარე ტექნიკა. 1942 წელს გამოშვებულ იქნა 21 ათასზე მეტი თვითმფრინავი, 24 ათასზე მეტი ტანკი, წლის ბოლოს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებით გაიშალა თვითმავალ-საარტილერიო დანადგართა სერიული წარმოება. მეომართა ენთუზიაზმს განამტკიცებდა საომარი საჭურველი, და ისინი იბრძოდნენ უფრო ეფექტიურად, მნიშვნელოვანი შედეგებით.

როგორი როლი შეასრულა ჩვენი მოკავშირეების სამხედრო-ეკონომიურმა დახმარებამ 1941—1942 წლებში? ამ საკითხზე დასავლეთ ლიტერატურაში ფრიად გაზვიადებული წარმოდგენა აქვთ.

მოკავშირეთა მიერ ფართოდ რეკლამირებულ დახმარებას ჩვენ ვღებულობდით ლენდ-ლიზით იმ რაოდენობით, რაც არ შეესაბამებოდა დანაპირებს. რა თქმა უნდა, დენთით, მაღალოქტანიანი ბენზინით,

ფოლადის ზოგიერთი სახეობით, ავტოტრანსპორტითა და სურსათ-საწოვაგით დახმარებამ, უდავოა, თავისი დადებითი როლი ითამაშა. მაგრამ მისი ხვედრითი წონა უმნიშვნელო იყო ჩვენი ქვეყნის საერთო მოთხოვნილების მიხედვით მომარაგებათა შეთანხმებულ ფარგლებში. რაც შეეხება ტანკებსა და თვითმფრინავებს, რომლებითაც გვამარაგებდნენ ინგლისისა და ამერიკის მთავრობები, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ისინი არ სარგებლობდნენ პოპულარობით ჩვენს ტანკისტებსა და მფრინავებს შორის, განსაკუთრებით ტანკები, რომლებიც ბენზინით მუშაობდნენ და ჩირაღდანივით იწვოდნენ.

ომის პირველი პერიოდი გახდა ძლიერ და გამოცდილ მოწინააღმდეგესთან შეიარაღებული ბრძოლის სერიოზული სკოლა. საბჭოთა უმაღლესმა მთავარსარდლობამ, გენერალურმა შტაბმა, ჯარების სარდლობამ და შტაბებმა მიიღეს აქტიურ თავდაცვით ბრძოლათა და კონტრშეტევით ოპერაციათა ორგანიზაციისა და ჩატარების კარგი გამოცდილება.

ომის პირველი პერიოდის უმძაფრესი ბრძოლების მსვლელობისას განსაკუთრებული ძლიერებით გამოვლინდა საბჭოთა მეომრების მასობრივი გმირობა და ჩვენი ლენინური პარტიის მიერ აღზრდილი მათი მხედართუფროსების სიმამაცე. განსაკუთრებით დადებითი როლი ითამაშა კომუნისტებისა და კომკავშირელების პირადმა მაგალითმა, რომლებიც, როცა საჭირო იყო, თავიანთ სიცოცხლეს არ იშურებდნენ მტერზე გამარჯვებისათვის. ომის პირველი პერიოდის ისტორიის მატიანეში ნათელ ფურცლად ჩაიწერა ბრესტის ციხე-სიმაგრის, ლენინგრადის, მოსკოვის, ოდესის, სევასტოპოლის, სტალინგრადის, ლიეპაის, კიევისა და კავკასიის დამცველთა გმირული ბრძოლა.

ომის პირველ პერიოდში დაიბადა საბჭოთა გვარდია. პირადი შემადგენლობის მასობრივი გმირობისათვის და ბრძოლებში მოპოვებული წარმატებებისათვის ამ პერიოდში გვარდიულის სახელწოდება მიენიჭა 4 საკავალერიო კორპუსს, 36 მსროლელ დივიზიას, 11 სატანკო ბრიგადას, 32 საავიაციო პოლკსა და მთელ რიგ სხვა ნაწილებს. სამხედრო-საზღვაო ფლოტში გვარდიულის სახელწოდება მიენიჭა ერთ კრეისერს, ოთხ წყალქვეშა ნავს, ერთ საესკადრო ნაღმოსანს, ერთ სანაღმო გადამღობს და სხვა გემებსა და ნაწილებს. პირველთა შორის გვარდიულის სახელწოდება მიიღეს: მე-100 (მეთაური გენერალი ი. ნ. რუსიანოვი), 127-ე (მეთაური პოლკოვნიკი ა. ზ. აკიმენკო), 153-ე (მეთაური პოლკოვნიკი ნ. ა. გაგენი) და 161-ე (მეთაური პოლკოვნიკი პ. თ. მოსკვიტინი) მსროლელმა დივიზიებმა.

გერმანელ-ფაშისტთა ჯარებთან უკიდურესად დაძაბულმა შეიარაღებულმა ბრძოლამ გამოიწვია საომარი ტექნიკის, საჭურველისა და მატერიალურ საშუალებათა დიდი ხარჯი.

მიუხედავად უმნიშვნელოვანესი ეკონომიური რაიონების, ფაბრიკებისა და ქარხნების უდიდესი ნაწილის დაკარგვისა, ჩვენი ხალხი თავისი თავდადებული შრომით ცდილობდა უზრუნველეყო საბჭოთა ჯარები ომის საწარმოებლად საჭირო სახსრებით. პირველი პერიოდის ბოლოსთვის ჩვენი ქვეყანა გადაქცეულ იქნა სამხედრო ბანაკად. საბჭოთა ადამიანები თავიანთ მოვალეობად თელიდნენ, რაც შეიძლება ყველაფერი გაეკეთებინათ მტერზე გამარჯვებისათვის.

გმირული მუშაობა ჩაატარეს წითელი არმიის ზურგის მშრომელებმა. ომის წლინახევრის მანძილზე რკინიგზით სამხედრო გადაზიდვათა საერთო მოცულობამ შეადგინა 6 მილიონ 350 ათასი ვაგონი. არმიაში მიტანილ იქნა 113 ათას ვაგონზე მეტი საომარი მასალა, 60 ათასამდე ვაგონი საჭურველი და ტექნიკური ქონება, 210 ათას ვაგონზე მეტი საწვავ-საცხები მასალა. ავტოსატრანსპორტო ნაწილებმა მარტოოდენ 1942 წელს გადაიყვანეს 2 მილიონ 700 ათასი კაცი, გადაზიდეს 12,3 მილიონი ტონა ტვირთი, 1923 ტანკი და 3674 ქვემეხი. სამხედრო-სატრანსპორტო ავიაციამ გადაიყვანა 532 ათას კაცზე მეტი, მათ შორის 158 ათასი დაჭრილი.

ომის დაწყებისას ჩატარებულმა წითელი არმიის ზურგის ორგანოთა რეორგანიზაციამ მთლიანად გაამართლა იმედები. ზურგის ხელმძღვანელი უფროსების, პოლიტმუშაკებისა და პარტიული ორგანოების ხელმძღვანელთა კარგმა შერჩევამ უზრუნველყო მჭიდრო და საქმიანი კავშირი ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობასთან და სწორი გამოყენება მთელი უზარმაზარი რესურსებისა, რაც ეგზავნებოდა ჯარებს.

რას წარმოადგენდა მტერი, რომლის წინააღმდეგაც იბრძოდნენ საბჭოთა ჯარები პირველ პერიოდში?

ამ კითხვას უნდა გაეცეს პასუხი თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენმა ახალგაზრდა თაობამ კარგად იცოდეს, თუ რა მძიმე ბრძოლა გადაიტანა საბჭოთა ხალხმა თავის სამშობლოს დაცვის დროს. ზოგიერთი მემუარისა და მხატვრული ნაწარმოების წაკითხვისას ყოველთვის როდია შესაძლებელი სწორად გაიგოთ, თუ რაოდენ წინდახედული, გამოცდილი და ძლიერი იყო მტერი, რომლის წინააღმდეგ უხდებოდათ ბრძოლა საბჭოთა მეომრებს.

უწინარეს ყოვლისა შევეხოთ გერმანელი ჯარების ძირითად მასას — ჯარისკაცებს, სერჟანტებსა და ოფიცრებს.

დასავლეთ ევროპის ქვეყნების არმიებზე იოლი გამარჯვებებით თავბრუდახვეული, ჰებელსის პროპაგანდით მოწამლული, წითელ არმიაზე იოლი გამარჯვების შესაძლებლობასა და ყველა სხვა ხალხების მიმართ თავიანთ უპირატესობაში მტკიცედ დარწმუნებული გერმანელი ჯარები შემოიჭრნენ ჩვენი სამშობლოს ფარგლებში. განსაკუთრე-

ბით მეომრული სულისკვეთებით იყვნენ გამსჭვალულნი ახალგაზრდა ჯარისკაცები და ოფიცრები, ჯავშანსატანკო ჯარებისა და ავიაციის პირადი შემადგენლობა. ომის პირველ თვეებში მე მიხდებოდა ტყვე ჰიტლერელთა დაკითხვა. და უნდა ითქვას, იგრძნობოდა, რომ მათ სჯეროდათ და სწამდათ ჰიტლერის ყოველგვარი ავანტურისტული დანაპირები.

რაც შეეხება გერმანელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა ბრძოლისუნარიანობას, მათს სპეციალურ წვრთნასა და საბრძოლო აღზრდას, ყოველივე ეს, უდავოდ, მაღალ დონეზე იდგა ყველა სახეობის ჯარებში, განსაკუთრებით სატანკო ჯარებსა და ავიაციაში.

ბრძოლებსა და საველე სამსახურის დროს გერმანელი ჯარისკაცი კარგად იცნობდა თავის საქმეს, იყო შეუპოვარი, თვითდაჯერებული და დისციპლინირებული.

ასე რომ საბჭოთა მეომარს მოუხდა საქმის დაჭერა გამოცდილ და ძლიერ მტერთან, რომლის დამარცხებაც ასე ადვილი როდი იყო.

გერმანელთა ნაწილების, შენაერთებისა და არმიათა შტაბები განსწავლულნი იყვნენ ბრძოლების, შეტაკებებისა და ოპერაციათა ორგანიზაციის თანამედროვე წესებით. საბრძოლო მოქმედებათა პროცესში ჯარების მართვა უმთავრესად ხორციელდებოდა რადიოსაშუალებათა მეშვეობით, რომლებითაც ვერმახტის სამეთაურო-საშტაბო ინსტანციები საკმარისად იყვნენ უზრუნველყოფილნი. ბრძოლათა მსვლელობისას ისინი თავიანთი ჯარებისაგან დაკინებით მოითხოვდნენ დასმულ ამოცანათა შესრულებას. ამასთან კარგად ახერხებდნენ ურთიერთმოქმედების ორგანიზაციას საბრძოლო ავიაციასთან, რომელიც საბომბო დარტყმებით ხშირად გზას უკაფავდა სახმელეთო ჯარებს.

ომის დასაწყის პერიოდში გერმანელთა შეიარაღებული ძალების უმაღლესი შტაბების მიმართ მე შემექმნა საკმაოდ მაღალი აზრი. ცხადი იყო, რომ მათ ზედმიწევნით დაგეგმეს და მოაწესრიგეს თავიანთი პირველი დარტყმები ყველა სტრატეგიული მიმართულებით, შეარჩიეს შენაერთთა და არმიათა ნაცადი მეთაურები და სარდლები, ზოგ შემთხვევაში თავიანთი დარტყმებისათვის სწორად განსაზღვრეს ჯარების მიმართულებები, ძალა და შემადგენლობა, წარმართეს რა ეს ჯარები ჩვენი თავდაცვის სუსტ უბნებზე. ყოველივე ამის მიუხედავად, გერმანული ფაშიზმის სამხედრო-პოლიტიკური სტრატეგია უაღრესად მცდარი და შორსმჭვრეტელობას მოკლებული აღმოჩნდა. პოლიტიკურ და სტრატეგიულ ვარაუდში დაშვებულ იქნა უაღრესად უხეში შეცდომები. გერმანიის განკარგულებაში მყოფი ძალები (მისი სატელიტების რეზერვთა გათვალისწინებითაც კი) არ კმაროდა სამი უმთავრესი

მიმართულებით სტრატეგიულ ოპერაციათა ერთდროული ჩატარებისათვის.

უკვე იმ პირობებში მოწინააღმდეგ იძულებული იყო შეეწყვიტა მოსკოვზე შემოტევა და გადასულიყო დროებითს თავდაცვაზე, წარემართა „ცენტრის“ არმიის ჯგუფის ძალთა მნიშვნელოვანი ნაწილი „სამხრეთის“ არმიის ჯგუფის ჯარების დასახმარებლად ჩვენი ცენტრალური და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტების ჯარების წინააღმდეგ.

როცა გერმანელთა ჯარების მთავარმა სარდლობამ ვერ შეძლო ბოლომდე მიეყვანა საქმე ლენინგრადთან, იგი იძულებული გახდა ლენინგრადის მისადგომებიდან მოეხსნა ავიაცია და ჯავშანსატანკო ჯარები და გადაეჯგუფებინა ისინი მოსკოვის მიმართულებით „ცენტრის“ არმიის ჯგუფის გასაძლიერებლად. ოქტომბერ-ნოემბერში გერმანელთა ჯარებმა შეძლეს შემოტევის წარმოება მხოლოდ ერთი—მოსკოვის—მიმართულებით, მაგრამ აქაც, მოსკოვის მისადგომებთან, საბჭოთა ჯარების მზარდი წინააღმდეგობის გამო მათ აღარ ეყოთ ძალ-ღონე „ტაიფუნის“ ოპერაციის დასამთავრებლად.

ასეთივე უხეში სტრატეგიული შეცდომა იქნა დაშვებული 1942 წლის საზაფხულო კამპანიის დაგეგმვის დროსაც.

ყველა ამ შეცდომას საფუძვლად ედო ჩვენი საბჭოთა სოციალისტური ქვეყნისა და საბჭოთა ხალხის ძალღონისა და ძლიერების აშკარა შეუფასებლობა, თავიანთი ძალღონისა და შესაძლებლობათა გადაჭარბებულად შეფასება.

ჰიტლერი და მისი დამქაშები, საბჭოთა კავშირში შემოჭრის დაგეგმვისას, ვარაუდობდნენ მთელი თავიანთი ძალები და საშუალებები გადმოეტყორცნათ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ეს იყო აზარტიანი მოთამაშის თავხედობა. პეტენის მთავრობის გამცემლობის მიუხედავად, საფრანგეთის მშრომელმა ხალხმა ქედი არ მოუხარა ფაშისტ ოკუპანტებს. ქედი არ მოიხარეს იგრეთვე იუგოსლავიის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვა ქვეყნების თავისუფლებისმოყვარე ხალხებმაც. ჰიტლერელებს მოუხდათ წინააღმდეგობის მასობრივ მოძრაობასთან საქმის დაჭერა; არც ინგლისს შეუწყვეტია ბრძოლა, , თუმცა როდი ეწეოდა მას მთელი თავისი ძალ-ღონითა და შეძლებისამებრ.

ჰიტლერელებს არ ეგონათ, რომ პარტიის ირგვლივ დარაზმული და შემჭიდროებული საბჭოთა ხალხი მოიკრებდა ასეთს ძალ-ღონეს და უმოკლეს ხანში გარდაქმნიდა ქვეყნის ეკონომიკას, სწრაფად მოაწყობდა ტანკების, თვითმფრინავების, არტილერიის, საომარ მასალათა და ყოველივე იმის მასობრივ წარმოებას, რაც საჭირო და აუცილებელი იყო წითელი არმიისათვის გერმანელ-ფაშისტთა ჯარებზე უპირატესობის მოსაპოვებლად და მათ გასანადგურებლად.

ჩვენი ჯარები იწრთობოდნენ და ვაჟკაცდებოდნენ მკაცრსა და უძ-

ნელეს პირობებში, იძენდნენ ბრძოლის გამოცდილებას და, როცა აუცილებელი სახსარ-საშუალებებით აღიჭურვნენ, უკანდამხევი, თავდამცველი მხრიდან გადაიქცნენ შემტევ მხარედ.

მთელი ჩვენი ლენინური პარტიის დიდ ორგანიზატორულ და შთამაგონებელ საქმიანობას მოჰყვა ბრწყინვალე შედეგები როგორც საქხელმწიფო მშენებლობის სფეროში, ასევე საბჭოთა ხალხის დარაზმვისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად, რამაც უზრუნველყო წითელი არმიის შეიარაღებული ბრძოლა გერმანელ-ფაშისტთა ჯარებთან.

ამრიგად, დიდი სამამულო ომის პირველი პერიოდი დამთავრდა ჰიტლერელთა სარდლობის ყველა სტრატეგიული გეგმის ჩაფუშვით და გერმანიის ძალთა და საშუალებათა მნიშვნელოვანი გამოფიტვით. გერმანელ-ფაშისტთა ჯარებთან ბრძოლის ამ მთავარმა შედეგმა მეტწილად წინასწარ განსაზღვრა მთელი მეორე მსოფლიო ომის შემდგომი მსვლელობა.

თავი მეთოთხმეტე

ფაშისტთა ჯარების განადგურება სტალინგრადის რაიონში

1942 წელს ოქტომბერში ნათელი შეიქნა, რომ გერმანელთა სარდლობა იძულებული გახდებოდა გადასულიყო სტრატეგიულ თავდაცვაზე ძთელი აღმოსავლეთის ფრონტზე. ჰიტლერელთა ჯარები კოლოსალურად დაზარალდნენ და იმ დროისათვის საბოლოოდ დაკარგეს შეტევითი უნარი. ეს ნიშნავდა საბჭოთა კავშირის წინააღძდეგ ომის საწყისი პერიოდის შემდეგ ყველა გეგმათა ხელმეორედ ჩაფუშვას.

ფაშისტურმა პროპაგანდამ გააჩაღა კამპანია, „მეორე რუსული ზამთრისათვის უფრო საგულდაგულოდ და დროულად მომზადების შესახებ". გერმანელთა სარდლობა თავისი ჯარებისაგან მოითხოვდა შეურყეველი აქტიური თავდაცვის მომზადებას, რათა 1943 წელში შექმნილიყო ომის გამარჯვებით დამთავრების პირობები.

რით განისაზღვრა ვითარების სირთულე გერმანელთა შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდლობისათვის იმ პერიოდში?

ერთი მხრივ, სტრატეგიულ მიზანთა დაუსრულებლობა, ისე როგორც 1941 წელს, ჯარების მეტისმეტი გაჭიმულობა შავი ზღვიდან ჩრდილო კავკასიაზე, სტალინგრადსა და დონზე გავლით — ვიდრე ბარენცის ზღვამდე, ფრონტსა და ქვეყნის ზურგში თავისუფალ სტრატეგიულ რეზერვთა უყოლობა, ხალხსა და ჯარებში მორალურ-პოლიტიკური მდგომარეობის დაცემა და დაქვეითება. მეორე მხრივ, სულ უფრო და უფრო მკაფიოდ იჩენდა თავს საბჭოთა სახელმწიფოს მზარდი ძლიერება, მის მიერ ეკონომიურ და სამხედრო სიძნელეთა წარმატებით დაძლევა.

1942 წლის ნოემბრის დამდეგს გერმანელებს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ჰყავდათ 266 დივიზია, რომელთა შემადგენლობაში ითვლებოდა დაახლოებით 6,2 მილიონი კაცი, 70 ათასზე მეტი ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 66000 ტანკი და მოიერიშე ქვემეხი, 3500 საბრძოლო თვითმფრინავი და 194 საბრძოლო ხომალდი.

ამავე დროისათვის საბჭოთა კავშირის მოქმედ ჯარებში იმყოფებოდა 6,1 მილიონი კაცი, 72,5 ათასი ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 6014 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 3088 საბრძოლო თვითმფრინავი. მთავარბანაკის სტრატეგიულ რეზერვში ამ პერიოდისათვის თავი მოიყარა 25 დივიზიამ, 13 სატანკო და მექანიზებულმა კორპუსმა, 7 ცალკე მსროლელთა სატანკო ბრიგადამ.

ამრიგად, ომის პირველი პერიოდის დასასრულისათვის ძალთა თანაფარდობა საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ შეტრიალდა.

გერმანელებზე ჩვენი უპირატესობა იგრძნობოდა იმაშიც, რომ საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა ისწავლეს უღრმესი საიდუმლოებით დაეცვათ თავიანთი განზრახვები, ფართო მასშტაბებით ეწარმოებინათ დეზინფორმაცია და ყოველნაირად შეეცდინათ მოწინააღმდეგე. ფარულ გადაჯგუფებათა და თავმოყრილი ჯარების მეშვეობით ისინი ახერხებდნენ მტრის წინააღმდეგ მოულოდნელ დარტყმათა განხორციელებას.

ჩვენი ქვეყნის სამხრეთში, სტალინგრადის რაიონსა და ჩრდილო კავკასიაში ჩვენთვის უმძიმეს ბრძოლათა შემდეგ ჰიტლერელთა სამხედრო სარდლობა ფიქრობდა, რომ საბჭოთა ჯარებს აღარ შესწევთ უნარი ამ რაიონში მნიშვნელოვან შეტევათა ჩასატარებლადო.

გერმანელ-ფაშისტთა სახმელეთო ჯარების მთავარსარდლობის 1942 წლის 14 ოქტომბრის № 1-ლ ოპერატიულ ბრძანებაში ნათქვამი იყო:

„თვით რუსები უკანასკნელ ბრძოლათა მსვლელობისას სერიოზულად იყვნენ მოქანცულნი და 1942-1943 წლის ზამთარში ვეღარ შეძლებენ ჰყავდეთ ისეთივე დიდი ძალები, როგორიც მოეპოვებოდათ მათ გასულ ზამთარში“.

მაგრამ ეს სრულიადაც არ იყო ასე.

ჩვენი ჯარების აქტიურ მოქმედებებს 1942 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე დასავლეთ მიმართულებით გერმანელთა „ცენტრის“ არმიის ჯგუფის წინააღმდეგ, მთავარბანაკის ვარაუდით, უნდა მოეხდინა მოწინააღმდეგის დეზორიენტირება, შეექმნა იმის შთაბეჭდილება, რომ სწორედ აქ, და არა სხვა რომელიმე ადგილას, ვამზადებდით ჩვენ ზამთრის ოპერაციას. ამიტომ ოქტომბერში ჰიტლერელთა სარდლობა შეუდგა თავისი ჯარების თავმოყრას ჩვენი დასავლეთ ფრონტების საწინააღმდეგოდ. ველიკიე ლუკის რაიონში ლენინგრადის მისადგომებიდან გადმოსროლილ იქნა სატანკო, მოტორიზებული და ქვეითი დივიზიები. ვიტებსკისა და სმოლენსკის რაიონში საფრანგეთიდან და გერმანიიდან მოეხმარებოდა შვიდი დივიზია. იარცევოსა და როსლავლის რაიონში — ორი სატანკო დივიზია ეორონეჟიდან და ჟიზდრიდან. სულ ნოემბრის დამდეგისათვის „ცენტრის“ არმიის ჯგუფის გასაძლიერებლად გადმოს-

როლილ ექნა თორმეტი დივიზია, დამხმარე ძალების სხვა საშუალებათა ჩაუთვლელად.

გერმანელთა ოპერატიულ შეცდომებს აღრმავებდა ცუდი მუშაობა მათი დაზვერვისა, რომელმაც ვერ შეძლო გამოემჟღავნებია ჩვენს მიერ სტალინგრადის რაიონში უდიდესი კონტრშეტევის მომზადება, სადაც მონაწილეობდნენ 11 არმია, მთელი რიგი ცალკე სატანკო, მექანიზებული, საკავალერიო კორპუსები, ბრიგადები და ცალკეული ნაწილები, 13.5 ათასი ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 900-დე ტანკი, 1414 თვითმფრინავი.

ომის შემდეგ გერმანელ-ფაშისტთა შეიარაღებული ძალების ოპერატიული ხელმძღვანელობის შტაბის ყოფილმა უფროსმა იოდლმა აღიარა, ჩვენ ვერ შევძელით პაულიუსის არმიის მარცხენა ფლანგის წინააღმდეგ საბჭოთა ჯარების თავმოყრის გამოვლენაო.

„ჩვენ აბსოლუტური წარმოდგენაც კი არ გვქონდა ამ რაიონში რუსთა ძალების შესახებ. წინათ აქ არაფერიც არ იყო, და უეცრად ვიგემეთ დიდი სიძლიერის დარტყმა, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა".

ჩვენი ჯარების კონტრშეტევის დასაწყისისათვის მოწინააღმდეგეს ქვეყნის სამხრეთით ეპირა შემდეგი ოპერატიულ-სტრატეგიული მდგომარეობა:

შუა დონის, სტალინგრადისა და სარპის ტბების სამხრეთ რაიონში მოქმედებდნენ „ბ" არმიის ჯგუფის ძირითადი ძალები, სახელდობრ, იტალიელთა მე-8. რუმინელთა მე-3 და მე-4 არმიები და გერმანელთა მე-6 და მე-4 სატანკო არმიები. საშუალოდ თითო დივიზიაზე მოდიოდა 15-20-დე კილომეტრი.

ამ დაჯგუფებაში ითვლებოდა ერთ მილიონზე მეტი კაცი, 675 ტანკი და მოიერიშე ქვემეხი, 10 ათასზე მეტი ქვემეხი და ნაღმსატყორცნი. მხარეთა ძალების თანაფარდობა თითქმის თანაბარი იყო, თუ არ ჩავთვლით ჩვენს მცირეოდენ უპირატესობას ტანკების მხრივ.

„ბ" არმიის ჯგუფს ეხმარებოდნენ მე-4 საჰაერო კორპუსი და ძე-8 ავიაკორპუსი.

როცა საბჭოთა უმაღლესი მთავარსარდლობა ამუშავებდა გეგმას „ბ" არმიის დაჯგუფების გასანადგურებლად, ემყარებოდა იმ მოსაზრებას, რომ მოწინააღმდეგის განადგურება სტალინგრადის რაიონში მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებდა მოწინააღმდეგეს ჩრდილო კავკასიაშიც და აიძულებდა მას სასწრაფოდ უკან დაეხია ანდა ებრძოლნა გარშემორტყმის პირობებში.

ი. ბ. სტალინის გარდაცვალების შემდეგ თავი იჩინა ერთგვარმა ბუნდოვანებამ, მაინც ვინ არის თავისი მასშტაბებით, ეფექტითა და შე-

დეგებით ასეთი მნიშვნელოვანი კონტრშეტევის გეგმის ავტორიო? თუმცა ამ საკითხს ახლა, შესაძლოა, აღარც კი აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა და წინა თავში უკვე მოცემულია ცნობები გეგმაზე მუშაობის შესახებ, მაგრამ მაინც წარმოვადგინოთ აქ ზოგიერთი დამატებანი.

არსებობს მოსაზრება, აგებული იმაზე, რომ მომავალი შეტევითი ოპერაციის პირველი მონახაზები თითქოს მუშავდებოდა მთავარბანაკში ჯერ კიდევ 1942 წლის აგვისტოში, მასთან გეგმის თავდაპირველ ვარიანტს შეზღუდული ხასიათი ჰქონდაო.

მაგრამ ეს მომავალი კონტრშეტევითი ოპერაციის მონახაზები როდი იყო, არამედ მხოლოდ და მხოლოდ სტალინგრადის მისადგომებთან მოწინააღმდეგის შეჩერების მიზნით კონტრდარტყმის გეგმა. უფრო მეტზე მაშინ მთავარბანაკში არც არავინ ფიქრობდა, ვინაიდან იმ დროს ამაზე მეტი არც ძალა გაგვაჩნდა და არც საშუალება.

ამბობდნენ აგრეთვე იმასაც, რომ 6 ოქტომბერს სტალინგრადის ფრონტის სამხედრო საბჭომ მთავარბანაკში გაგზავნა თავისი წინადადებები საკუთარი ინიციატივით კონტრშეტევის ორგანიზაციისა და ჩატარებისათვისო.

ამაზე პასუხს იძლევა ა. მ. ვასილევსკი [1]:

„6 ოქტომბერს განთიადისას მე, ნ. ნ. ვორონოვი და ვ. დ. ივანოვი... გავემართეთ 51-ე არმიის სათვალთვალო პუნქტზე... ჩვენ აქ მოვისმინეთ არმიის სარდალ ნ. ი. ტრუფანოვის მოხსენება. იმავე საღამოს ფრონტის სამეთაურო პუნქტზე შეეხვდი ჯარების სარდალსა და სამხედრო საბჭოს წევრს, ჩვენ კვლავ განვიხილეთ მთავარბანაკის მიერ წამოყენებული მომავალი კონტრშეტევის გეგმა და, ვინაიდან ამ გეგმას ფრონტის სარდლობაში არავითარი პრინციპული წინააღმდეგობა არ გამოუწვევია, 7 ოქტომბერს ღამით უმაღლესი მთავარსარდლის სახელზე გავამზადეთ სათანადო მოხსენება.

7 ოქტომბერს მთავარბანაკის სახელით მითითება მივეცი დონის ფრონტის სარდალს თავის ფრონტზე ანალოგიურ მოსაზრებათა მოსამზადებლად“.

ვფიქრობ, რომ არაა საჭირო რაიმე დაემატოს ალექსანდრე მიხეილის ძის ნათქვამს. მის მიერ წარმოდგენილი ცნობები გვარწმუნებენ, რომ მთავარი როლი კონტრშეტევის დაგეგმვაში ეკუთვნის მთავარბანაკსა და გენერალურ შტაბს.

ისტორიულ ნარკვევებში აგრეთვე მოხსენებულია ის ამბავი, რომ ოდნავ მოგვიანებით კონტრშეტევის გეგმა სამხრეთ-დასავლეთის ფრო-

---

[1] «Военно-исторический журнал», 1965 г., № 10, стр. 20, 21.

ნტის სარდალმა ნ. თ. ვატუტინმა გაგზავნაო. იბადება კითხვა: რომელ მოგვიანებით, რა გეგმა იყო ეს, ფრონტის გეგმა თუ კონტრშეტევის საერთო გეგმა?

როგორც ცნობილია, სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი ჩამოყალიბდა მხოლოდ ოქტომბრის მიწურულში, იმ პერიოდში, როცა უკვე მთავრდებოდა ფრონტის საშუალებებისა და ძალების თავმოყრა კონტრშეტევის გეგმის თანახმად და მთავარბანაკის საერთო გეგმა უკვე დაკაბადონებული იყო.

ახლა, რაც უეცილებლად უნდა ითქვას აქ, ესაა ის: ამბავი, რომ ფრონტის თვითეული სარდალი, არსებული პრაქტიკისა და წესრიგის თანახმად, ამუშავებდა მასზე მინდობილი ფრონტის მოქმედებათა გეგმას, მოახსენებდა მას დასამტკიცებლად მთავარბანაკს მოსკოვში ანდა ადგილზე მყოფ მის წარმომადგენლებს და, ამასთან ერთად, ბუნებრივია, გამოთქვამდა თავის მოსაზრებას მეზობლებთან ურთიერთმოქმედების შესახებ და მთავარბანაკისადმი თხოვნას.

ისეთი უდიდესი სტრატეგიული ოპერაციის დასამუშავებლად, როგორიცაა სტალინგრადის რაიონში სამი ფრონტის შეტევის გეგმა, საჭირო როდი იყო დავყრდნობოდით მარტოოდენ ოპერატიულ დასკვნებს, არამედ გარკვეულ მატერიალურ-ტექნიკურ ვარაუდებსაც.

მაინც ვის შეეძლო ძალებისა და საშუალებათა კონკრეტული ვარაუდის დასახვა ასეთი მასშტაბის ოპერაციისათვის? რასაკვირველია, მარტოოდენ იმ ორგანოს, რომლის ხელთაც იყო ეს მატერიალური ძალები და საშუალებანი. ამ შემთხვევაში ეს შეიძლებოდა ყოფილიყო უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკი და გენერალური შტაბი. უნდა გავიხსენოთ, მთელი ომის განმავლობაში გენერალური შტაბი წარმოადგენდა უმაღლესი მთავარსარდლობის მომუშავე შემოქმედებითს აპარატს და მისი ინიციატივიანი ორგანიზატორული მონაწილეობის გარეშე არ ჩატარებულა ოპერატიულ-სტრატეგიული მასშტაბის არც ერთი ოპერაცია.

სავსებით ბუნებრივია, რომ მთავარბანაკი და გენერალური შტაბი გულდასმით სწავლობდნენ ფრონტებისა და ჯარებისაგან შემოსულ სადაზვერვო ცნობებს მოწინააღმდეგის შესახებ, ანალიზს უკეთებდნენ მათ და გამოჰქონდათ დასკვნები მოწინააღმდეგისა და თავიანთი ჯარების მოქმედებათა ხასიათის შესახებ. ისინი ეცნობოდნენ ფრონტების შტაბებისა და სარდლების მოსაზრებებს, შეიარაღებულ ძალთა სახეობებსა და ჯარების გვარეობას და, ამ ცნობათა გაანალიზებით, ღებულობდნენ ამა თუ იმ გადაწყვეტილებას.

მაშასადამე, სტრატეგიული მასშტაბის ოპერაციის ჩატარების გეგმა შეიძლება წარმოქმნილიყო სრული მოცულობით მხოლოდ და

მხოლოდ მთელი ჯარების, შტაბებისა და მეთაურთა ხანგრძლივი შემოქმედებითი ღონისძიებების შედეგად.

ერთხელ კიდევ ვიმეორებ: სტალინგრადთან კონტრშეტევის ყოველმხრივ დაგეგმვასა და მის უზრუნველყოფაში მთავარი და გადამწყვეტი როლი უდავოდ ეკუთვნით უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკსა და გენერალურ შტაბს.

სწორედ ასევე მტრის უშუალო განადგურებაში პრიორიტეტი უდავოდ ეკუთვნით იმათ, ვინაც თავისი გაბედული დარტყმით, მარჯვე სროლით, მამაცობით, ვაჟკაცობითა და ოსტატურად სამკედრო-სასიცოცხლოდ ებრძოდნენ პირისპირ მდგარ მტერს. აქ ვლაპარაკობ ჩვენს სახელოვან მებრძოლებზე, მეთაურებზე, გენერლებზე, რომლებმაც დაძლიეს ომის პირველი პერიოდის მძიმე განსაცდელი და კონტრშეტევის წინ სავსებით მზად იყვნენ ხელთ ეგდოთ ბრძოლათა ინიციატივა და კატასტროფულად გაენადგურებინათ მტერი.

უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკისა და გენერალური შტაბის ღამსახურებას შეადგენს ის, რომ მათ აღმოაჩნდათ უნარი მეცნიერული სიზუსტით გაეანალიზებინათ ამ გრანდიოზული ოპერაციის ყველა ფაქტორი, შეძლეს მისი განვითარების მსვლელობისა და დამთავრების განჭვრეტა. მაშასადამე, კონტრშეტევის იდეის „ავტორობის" პერსონალურ პრეტენდენტებზე არავითარი ლაპარაკი არ შეიძლება.

აქ მიზანშეწონილად როდი მიგვაჩნია დეტალებით წარმოვადგინო კონტრშეტევის მთელი გეგმა და ოპერაციის მსვლელობა, ვინაიდან ამის შესახებ ძალზე ბევრი და ძირითადში სწორად დაიწერა ჩვენს ისტორიულ ლიტერატურაში. ოღონდ ვფიქრობ, საჭიროა ზოგიერთ მომენტზე შეჩერება.

კონტრშეტევის პირველ ეტაპზე მთავარ როლს ასრულებდა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი, რომლის სარდალი იყო გენერალ-ლეიტენანტი ნ. თ. ვატუტინი.

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი, მძლავრი და ღრმა დარტყმების მიყენებით, მოქმედებდა პლაცდარმებით დონის მარჯვენა ნაპირას სერაფიმოვიჩისა და კლეტსკაიას რაიონებში. სტალინგრადის ფრონტი უტევდა სარპის ტბების რაიონიდან. ორივე ფრონტის დამკვრელი ჯგუფები უნდა შეერთებულიყვნენ კალაჩ — ხუტორ სოკეტსკის რაიონში და ამრიგად დაემთავრებიათ სტალინგრადთან მოწინააღმდეგის ძირითადი ძალების გარშემორტყმა.

როცა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტმა გაშალა თავისი მთავარი დაჯგუფება 21-ე და მე-5 სატანკო არმიის, 1-ლი გვარდიული არმიის ძალთა ნაწილები და გარღვევის სხვა მძლავრი საშუალებები პლაცდარმებიდან სერაფიმოვიჩის სამხრეთ-დასავლეთით და კლეტსკაიას რაიონში, მას უნდა გაერღვია რუმინელთა მე-3 არმიის თავდაცვა და

სასწრაფოდ განვითარებია დარტყმა მოძრავი შენაერთებით სამხრეთ-დასავლეთისკენ დონზე ბოლშენაბატოვსკაია-კალაჩის უბანში გასვლის მიზნით. ამ დარტყმის შედეგად ფრონტის ჯარები უნდა გასულიყვნენ სტალინგრადის დაჯგუფების ზურგში და მოეკრათ მისთვის დასავლეთისკენ გასასვლელი ყველა გზა.

სამხრეთ-დასავლეთიდან და დასავლეთიდან ფრონტის დამკვრელი დაჯგუფების შეტევის უზრუნველყოფა და ამ მიმართულებით ალყის გარე ფრონტის შექმნა ეკისრებოდა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მარჯვენა ფლანგის არმიას, 1-ლ გვარდიულ არმიას გენერალ-ლეიტენანტ დ. დ. ლელიუშენკოს სარდლობით, რომელიც მიჰყვებოდა მე-5 სატანკო არმიის მთავარ ძალებს გენერალ-ლეიტენანტ პ. ლ. რომანენკოს სარდლობით. ეს ჯარები, დასავლეთით, სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთისკენ შეტევის განვითარებით, ოპერაციის მესამე დღეს უნდა გასულიყვნენ ზღუდეზე ვეშენსკაიადან ბოკოვსკაიამდე და შემდეგ მდინარე ჩირით ობლივსკაიამდე.

სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის სახმელეთო ჯარების მოქმედებებს მხარს უჭერდა ავიაცია მე-2 და მე-17 საჰაერო არმიებით, რომლებსაც სარდლობდნენ ავიაციის გენერალ-მაიორი კ. ნ. სმირნოვი და ავიაციის გენერალ-მაიორი ს. ა. კრასოვსკი.

დონის ფრონტს უნდა მიეყენებინა ორი დამხმარე დარტყმა. ერთი სამხრეთ-დასავლეთ ფრონტთან ერთდროულად 65-ე არმიის ძალებით კლეტსკაიას აღმოსავლეთ რაიონიდან სამხრეთ-დასავლეთისკენ დონის მარჯვენა ნაპირას მოწინააღმდეგის თავდაცვის შევიწროების მიზნით. მეორე — 24-ე არმიის ძალებით კაჩალინსკაიას რაიონიდან დონის მარცხენა ნაპირის გასწვრივ სამხრეთისაკენ ვერტიაჩის საერთო მიმართულებით, რათა მოეკვეთათ დონის მცირე მოსახვევში მოქმედი მოწინააღმდეგის ჯარები სტალინგრადის რაიონში მყოფი მისი დაჯგუფებიდან.

66-ე არმიას თავისი აქტიური მოქმედებებით სტალინგრადის ჩრდილოეთით მტკიცედ უნდა შეებოჭა მოწინააღმდეგე და არ მიეცა მისთვის რეზერვებით მანევრირების საშუალება. დონის ფრონტის სახმელეთო ჯარების მოქმედებებს მხარს უჭერდა მე-16 საჰაერო არმია ავიაციის გენერალ-მაიორ ს. ი. რუდენკოს სარდლობით.

სტალინგრადის ფრონტები თავისი დამკვრელი დაჯგუფებით, რომელშიც შედიოდნენ 51-ე, 57-ე და 64-ე არმიები, უნდა გადასულიყო შეტევაზე ივანოვკიდან ბარმანცაკის ტბის ჩრდილო ნაპირებამდე გაშლილი ფრონტით. ამ დაჯგუფების ამოცანა იყო გაერღვია მოწინააღმდეგის თავდაცვა და, ჩრდილო-დასავლეთ მიმართულებაზე დარტყმის განვითარებით, გასულიყო კალაჩ-ხუტორ სოვეტსკის რაიონში, სადაც უნდა შეერთებოდა კიდეც სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯა-

რებს, და ამრიგად, დაემთავრებია მტრის გარშემორტყმა სტალინგრადის რაიონში.

51-ე არმია გენერალ-მაიორ ნ. ი. ტრუფანოვის სარდლობით გაარღვევდა მოწინააღმდეგის თავდაცვას პლაცდარმებიდან სარპის, ცაცისა და ბარმანცაკის ტბათა შორის მდებარე უღელტეხილზე და მთავარი ძალებით განაგითარებდა შეტევას ჩრდილო-დასავლეთით აბგანერევოს საერთო მიმართულებით.

გენერალ თ. ი. ტოლბუხინის 57-ე არმია და გენერალ მ. ს. შუმილოვის 64-ე არმია გადადიოდნენ შეტევაზე ივანოვკის რაიონიდან დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ მიმართულებით სამხრეთიდან მტრის დაჯგუფების გარემოცვის მიზნით.

გენერალ ვ. ი. ჩუიკოვის 62-ე არმიას აქტიური თავდაცვით უნდა შეებოჭა უშუალოდ ქალაქში მოქმედი მოწინააღმდეგის ჯარები, და მზად ყოფილიყო შეტევაზე გადასასვლელად.

სამხრეთ-დასავლეთიდან სტალინგრადის ფრონტის დამკვრელი დაჯგუფების ჯარების შეტევის უზრუნველსაყოფად და ამ მიმართულებით გარემომცველი ფრონტის შესაქმნელად გამოყენებული იყო 51-ე არმია (მათ შორის გენერალ ტ. ტ. შაპკინის მე-4 ცხენოსანთა კორპუსიც), რომელიც გადავიდოდა შეტევაზე სამხრეთ-დასავლეთით აბგანეროვოსა და კოტელნიკოვოს საერთო მიმართულებით. სტალინგრადის ფრონტს მხარს უჭერდა მე-8 საჰაერო არმია ავიაციის გენერალ-მაიორის ტ. ტ. ხრიუკინის სარდლობით.

კონტრშეტევის მოსამზადებლად საჭირო იყო ჯარებისა და მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა კოლოსალური გადაზიდვის ჩატარება ყველა ფრონტისათვის, განსაკუთრებით სამხრეთ-დასავლეთის ფრონტისათვის, რომელიც ახლად იქმნებოდა. ჯეროვანი პატივი უნდა მივაგოთ გენერალურ შტაბსა და წითელი არმიის ზურგის შტაბს. მათ ბრწყინვალედ შეძლეს ოპერაციისათვის ძალთა და საშუალებათა თავმოყრა.

ჯარებისა და ტვირთის გადაზიდვისათვის მუშაობდა 27 ათასი მანქანა. რკინიგზებს ყოველდღიურად გადაჰქონდათ 1300 ვაგონი ტვირთი. ჯარები და ტვირთი სტალინგრადის ფრონტისათვის გადაჰქონდათ ვოლგაზე საშემოდგომო ყინულთსვლის განსაკუთრებულად რთულ პირობებში. 1-დან 19 ნოემბრამდე ვოლგაზე გადაიყვანეს 160 ათასი ჯარისკაცი, 10 ათასი ცხენი, გადაიტანეს 430 ტანკი. 600 ქვემეხი, 14 ათასი ავტომანქანა, დაახლოებით 7 ათასი ტონა საომარი მასალა.

ოქტომბრის მიწურულსა და ნოემბრის დამდეგს მე, ა. მ. ვასილევსკისა და მთავარბანაკის სხვა წარმომადგენლებს მოგვიხდა საფუძვლიანად გვემუშავნა ჯარებში, რათა დავხმარებოდით სარდლობას, შტაბებსა და ჯარებს მთლიანად აეთვისებინათ კონტრშეტევის გეგმა და მისი

შესრულების საშუალებები. ფრონტების, არმიათა და ჯარების შტაბებში შემაჯამებელმა თათბირებმა დაგვანახეს, რომ ეს რთული და შრომატევადი სამუშაო ჩატარებულ იქნა მეთაურთა და პოლიტმუშაკთა შემადგენლობის მიერ დიდი პასუხისმგებლობისა და შემოქმედებითი ინიციატივის გრძნობით.

1-დან 4 ნოემბრამდე განხილულ და კორექტირებულ იქნა სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის გეგმები, შემდეგ კი დაწერილებით განვიხილეთ და შევათანხმეთ 21 არმიისა და მე-5 სატანკო არმიის მოქმედებათა გეგმები.

მოქმედებათა გეგმის დამუშავებას სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის შტაბში, ჩემს გარდა, ესწრებოდნენ მთავარბანაკის სხვა წარმომადგენლებიც. არტილერიის საკითხში — გენერალი ნ. ნ. ვორონოვი, ავიაციისა — გენერლები ა. ა: ნოვიკოვი და ა. ე. გოლოვანოვი, ჯავშანსატანკო ჯარებისა — გენერალი ი. ნ. ფედორენკო, რომლებიც დაგვეხმარნენ უფრო ღრმად დაგვემუშავებინა ჯარების უმნიშვნელოვანეს სახეობათა გამოყენებისა და ურთიერთმოქმედების საკითხები

4 ნოემბერს 21-ე არმიის შტაბში განხილულ იქნა, თუ როგორ მიმდინარეობდა შეტევისათვის 21-ე და 64-ე არმიათა მზადების მსვლელობა. იმ თათბირზე მოწვეული იქნა დონის ფრონტისა და 65-ე არმიის სარდლობა. ა. მ. ვასილევსკი იმ დღეებში მუშაობდა სტალინგრადის ფრონტის ჯარებში, ამოწმებდა 51-ე, 57-ე და 64-ე არმიათა მზადების მსვლელობას. ერთმანეთს აღუთქვით, რომ მეც იქ ჩავიდოდი.

ჯარებში მუშაობისას, დეტალურად შევისწავლეთ ცნობები მოწინააღმდეგის შესახებ, მისი თავდაცვის ხასიათის, ძირითადი ძალებისა და სასროლ იარაღთა საერთო სისტემის განლაგების, ტანკსაწინააღმდეგო საშუალებათა და ტანკსაწინააღმდეგო საყრდენ პუნქტთა არსებობისა და ადგილის შესახებ.

განისაზღვრა საარტილერიო მომზადების საშუალება და ვეგმა, მისი სიმჭიდროვე, მოწინააღმდეგის თავდაცვის განადგურებისა და ჩახშობის მოსალოდნელობა, და აგრეთვე შეტევის დროს საბრძოლო რიგებისათვის არტილერიის მიერ მხარდაჭერის ხერხი. შეთანხმებულ იქნა ავიაციისა და არტილერიის ურთიერთმოქმედების გეგმა და განაწილდა მიზნები მათ შორის, სატანკო ჯარებთან ურთიერთმოქმედების გეგმა და ხერხი გარღვევისა და გარღვევაში მათი შეყვანის შემდეგ. აღსტდებოდა მეზობლად მყოფ ნაწილებთან ურთიერთმოქმედება ფლანგებზე, განსაკუთრებით მოძრავი ჯარების გარღვევაში შეყვანისა და მოწინააღმდეგის თავდაცვის ოპერატიულ სიღრმეში მათი მოქმედებისას. იქვე იცემოდა პრაქტიკული მითითებები: რა უნდა გვცოდნოდა კიდევ მოწინააღმდეგის შესახებ, რა უნდა დაგვეგეგმა კიდევ, როგორი სამეშაო უნდა ჩატარებულიყო უშუალოდ ადგილებზე და ჯარებთან.

მეთაურთა და პოლიტშემადგენლობის მთავარი ყურადღება მიქცეული იყო საპიროებაზე — სწრაფი შეტევით გაგვეერღვია მტრის ჯარების თავდაცვა, თავზარი დაგვეცა მისთვის მძაფრი დარტყმებით და სწრაფად აგვემოქმედებინა მეორე ეშელონები ტაქტიკური გარღვევის ოპერატიული განვითარებისათვის.

კორპუსებში, დივიზიებსა და ნაწილებში ამოცანათა დამუშავებისას მივაღწიეთ იმას, რომ მეთაურთა შემადგენლობა ღრმად სწავლობდა და გაიაზრებდა ხოლმე წამოჭრილ ამოცანებსა და გაძლიერების საშუალებებს, მეზობელ ნაწილებთან ურთიერთობის ხერხებსა და სახსრებს განსაკუთრებით მოწინააღმდეგის თავდაცვის სიღრმეში.

მეთაურთა და პოლიტშემადგენლობის ყველა კატეგორიისათვის ეს სამუშაო მეტად ძნელი იყო, და მან მოითხოვა მთელი ძალღონისა და საშუალებათა დაძაბვა, მაგრამ ყველაფერი ეს ანაზღაურდა ბრძოლების მსვლელობისას.

ჯარებში დიდი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა გააჩაღეს პოლიტორგანოებმა, პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. ამ მნიშვნელოვან საქმიანობას უნარიანად წარმართავდა ფრონტის სამხედრო საბჭო და ფრონტის პოლიტიკური სამმართველო, რომელსაც მეთაურობდა გენერალი მ. ვ. რუდაკოვი.

სტალინგრადის ფრონტის ჯარების შეტევის გეგმის საბოლოოდ დასამუშავებლად, როგორც მე და ა. მ. ვასილევსკი შევთანხმდით, ჩავედი 57-ე არმიის საკომანდო პუნქტზე 10 ნოემბრის დილას ტატიანოვკაში, სადაც იმ დროისათვის, ფრონტის სამხედრო საბჭოს გარდა, იმყოფებოდნენ: მ. მ. პოპოვი, მ. ს. შუმილოვი, თ. ი. ტოლბუხინი, ნ. ი. ტრუფანოვი, კორპუსთა მეთაურები ვ. ტ. ვოლსკი და ტ. ტ. შაპკინი და ფრონტის სხვა გენერლები. თათბირის წინ მე, ა. მ. ვასილევსკი, 51-ე და 57-ე არმიების სარდლები ნ. ი. ტრუფანოვი და ფ. ი. ტოლბუხინი, მ. მ. პოპოვი და სხვა გენერლები გავემგზავრეთ ამ არმიათა ჯარების უბანზე იმისათვის, რათა ერთხელ კიდევ დაგვეთვალიერებინა ის ადგილი, სადაც უნდა გაშლილიყო სტალინგრადის ფრონტის მთავარი ძალების შეტევა.

რეკოგნოსცირების შემდეგ განხილულ იქნა ფრონტის ურთიერთმოქმედება სამხრეთ-დასავლეთის ფრონტთან, შეთანხმებულ იქნა კალაჩის რაიონში მეწინავე ნაწილთა შეხვედრის ტექნიკა. გარშემორტყმის დამთავრების შემდეგ ნაწილთა ურთიერთმოქმედება და მომავალი ოპერაციის სხვა პრობლემები.

ამის შემდეგ განვიხილეთ საარმიო გეგმები, რომელთა შესახებ მოგვახსენეს არმიათა სარდლებმა და კორპუსთა მეთაურებმა.

11 ნოემბერს მე „ბოდოთი“ ვაცნობე უმაღლეს მთავარსარდალს: „ორი დღის განმავლობაში ემუშაობდი ერიომენკოსთან. პირადად

დავათვალიერე მოწინააღმდეგის პოზიციები 51-ე და 57-ე არმიების წინ. დივიზიებისა და კორპუსების მეთაურებთან, არმიათა სარდლებთან დაწერილებით დავაპუშავე მომავალი ამოცანები „ურანისათვის". შემოწმებამ ცხადყო, რომ საიზადისი „ურანისათვის" უკეთ მიმდინარეობს ტოლბუხინთან...

ჩემგან ნაბრძანებია ჩატარდეს საბრძოლო დაზვერვა და მიღებულ ცნობათა მიხედვით დაზუსტდეს ბრძოლის გეგმა და არმიის სარდლის გადაწყვეტილება.

ამხ. პოპოვი კარგად მუშაობს და თავისი საქმეც გაეგება.

მთავარბანაკის მიერ ერიომენკოს მისამართით გამოგზავნილი ორი მსროლელი დივიზია (87-ე და 315-ე) ჯერ კიდევ არ ჩაბარგებულა, ვინაიდან აქამდე ვერ მიიღეს ტრანსპორტი და ცხენები.

ძექბრიგადიდან ჯერჯერობით მხოლოდ ერთი მოვიდა.

ცუდადაა მომარაგებისა და საომარ მასალათა მოზიდვის საქმე. ჯარებში ძლიერ მცირეა უემბარები „ურანისათვის". დაწესებული ვადისათვის ოპერაცია მომზადებული არ იქნება. ვბრძანე მომზადდეს 1942 წ. 15 ნოემბრისათვის.

აუცილებელია დაუყოვნებლივ მიაწოდოთ ერიომენკოს 100 ტონა ანტიფრიზი, ურომლისოდაც შეუძლებელი იქნება მექნაწილთა წინ გადასროლა: სასწრაფოდ გამოიგზავნოს 85-ე და 315-ე მსროლელი დივიზიები; დავაჩქაროთ 51-ე და 57-ე არმიებისთვის თბილი ტანსაცმლისა და საომარი მასალების მიწოდება არა უგვიანეს 1942 წ. 14 ნოემბერს ჯარებში მიღებით.

კონსტანტინოვი [1]

№ 4657
11. 11. 1942 წ."

უნდა ითქვას, რომ უმაღლესი მთავარსარდალი ჩვეულებრივ სათანადო ყურადღებას უთმობდა ავიაციით ოპერაციის უზრუნველყოფას. როცა მიიღო ჩემი ცნობა მომავალი კონტრშეტევის ავიაციით უზრუნველყოფის არადამაკმაყოფილებელი სამზადისის შესახებ, უმაღლესმა მთავარსარდალმა გამომიგზავნა ქვემოთმოყვანილი დეპეშა.

„ამხ. კონსტანტინოვს

უკეთუ ოპერაციის ავიასამზადისი ერიომენკოსა და ვატუტინთან არადამაკმაყოფილებელია, მაშინ ოპერაცია ჩაიფუშება. გერმანელებთან ომის გამოცდილება ცხადყოფს, რომ გერმანელთა წინააღმდეგ ოპერაციას მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში მოვიგებთ, თუ მო-

[1] გ. კ. ჟუკოვის ფსევდონიმია (რედ.).

გვეპოვება უპირატესობა ჰაერში. ამ შემთხვევაში ჩვენმა ავიაციამ უნდა შეასრულოს სამი ამოცანა:

პირველი — თავი მოუყაროს ჩვენი ავიაციის მოქმედებას ჩვენი დამკვრელი ნაწილების შეტევის რაიონში, ჩაახშოს გერმანელთა ავიაცია და მტკიცედ დაიფაროს ჩვენი ჯარები.

მეორე — გზა გაუხსნას ჩვენს შემტევ ნაწილებს მათ პირისპირ მდგარ გერმანელთა ჯარების სისტემატური დაბომბვით.

მესამე — სდევნოს მოწინააღმდეგის უკანდახეულ ნაწილებს სისტემატური დაბომბვისა და საიერიშო მოქმედებათა გზით, რათა საბოლოოდ დაშალოს ისინი და არ მისცეს თავდაცვის უახლოეს ზღუდეებზე განმტკიცების საშუალება.

თუ ნოვიკოვი ფიქრობს, რომ ჩვენს ავიაციას ამჟამად არ შესწევს ამ ამოცანათა შესრულების უნარი, მაშინ უმჯობესია რამდენიმე ხნით გადაიდოს ოპერაცია და თავი მოვუყაროთ უფრო მეტ ავიაციას.

მოელაპარაკეთ ნოვიკოვსა და ვოროჟეიკინს, განუმარტეთ მათ ეს საქმე და მაცნობეთ თქვენი საერთო მოსაზრება.

ვასილიევი[1].

12. 11. 42. 4 საათი.
№ 170686".

12 ნოემბერს, დავამთავრეთ რა სტალინგრადის ფრონტის ჯარების გეგმათა დამუშავება, მე და ა. მ. ვასილევსკიმ დავურეკეთ ი. ბ. სტალინს და ვუთხარით, რომ გვინდოდა პირადად მისთვის მოგვეხსენებინა მომავალ ოპერაციასთან დაკავშირებული მთელი რიგი მოსაზრებანი.

13 ნოემბერს დილით ჩვენ ი. ბ. სტალინთან ვიყავით. იგი კარგ გუნებაზე იყო და დაწვრილებით გამოგვკითხა სტალინგრადის მდგომარეობა კონტრშეტევის სამზადისის მსვლელობისას.

ჩვენი მოხსენების მთავარი დებულებები შემდეგი გახლდათ.

როცა ჩვენ შევეხეთ ძალთა თანაფარდობას როგორც თვისობრივად, ისე რაოდენობრივადაც, ვუჩვენეთ, რომ ჩვენი მთავარი დარტყმების უბნებზე (სამხრეთ-დასავლეთისა და სტალინგრადის ფრონტები) კვლავინდებურად თავდაცვაში იმყოფებოდნენ უმთავრესად რუმინელთა ჯარები. ტყვეთა ცნობებით, მათი საერთო ბრძოლისუნარიანობა არ იყო მაღალი. ამ მიმართულებებზე რაოდენობრივად ჩვენ გვექნებოდა მნიშვნელოვანი უპირატესობა, უკეთუ შეტევაზე გადასვლის მომენტში გერმანელთა სარდლობა არ გადაჯგუფებდა აქ თავის რეზერვებს. მაგრამ ჯერჯერობით ჩვენს დაზვერვას არავითარი გადაჯგუფება არ ალ-

[1] ი. ბ. სტალინის ფსევდონიმია (რედ.).

მოუჩენია. პაულიუსის მე-6 არმია და მე-4 სატანკო არმიის მთავარი ძალები იმყოფებოდნენ სტალინგრადის რაიონში, სადაც ისინი შებოჭილნი იყვნენ სტალინგრადისა და დონის ფრონტების ჯარების მიერ.

ჩვენი ნაწილები, როგორც ეს გათვალისწინებული იყო გეგმით, თავს მოიყრიდნენ დანიშნულ რაიონებში, და, ყველაფრის მიხედვით ჩანდა, რომ მოწინააღმდეგის დაზვერვამ მათი გადაჯგუფებები ვერ აღმოაჩინა. ჩვენს მიერ მიღებული იყო ,ზომები ძალთა და საშუალებათა გადაადგილების კიდევ უფრო დიდად დაფარვისათვის.

ფრონტების, არმიათა და საჯარისო შენაერთთა ამოცანები დამუშავებული იყო. ყველა სახეობის იარაღთა ურთიერთმოქმედება შეთანხმებული გახლდათ უშუალოდ ადგილებზე. სამხრეთ-დასავლეთისა და სტალინგრადის ფრონტების დამკვრელი დაჯგუფებების გეგმით წინასწარგანზრახული შეხვედრა დამუშავდა ფრონტების, არმიათა და იმ ჯარების სარდლებთან და შტაბებთან, რომლებიც გავიდნენ ხუტორ სოვეტსკი — კალაჩის რაიონში. საავიაციო არმიებში სამზადისი, ალბათ, დამთავრდებოდა არა უადრეს 15 ნოემბრისა.

მოწინააღმდეგის სტალინგრადული დაჯგუფების გარშემორტყმისთვის შიდა ფრონტისა და გარშემორტყმული მტრის ლიკვიდაციის უზრუნველსაყოფად გარე ფრონტის შექმნის ვარიანტები დამუშავებულად უნდა ჩათვლილიყო.

რამდენიმედ ფერხდებოდა საომარი და სათბობი მასალებისა და საზამთრო ტანსაცმელის მიწოდება, მაგრამ ყოველგვარი საფუძველი გვქონდა გვეფიქრა, რომ 16—17 ნოემბრისათვის მატერიალური საშუალებანი მიწოდებული იქნებოდა ჯარებისათვის.

კონტრშეტევითი ოპერაციის დაწყება შეიძლებოდა სამხრეთ-დასავლეთისა და დონის ფრონტების მიერ 19 ნოემბერს, ხოლო სტალინგრადის ფრონტისა — ერთი დღეღამით მოგვიანებით.

ვადების სხვადასხვაობა აიხსნებოდა იმით, რომ სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის წინაშე იდგა უფრო რთული ამოცანები. იგი საკმაოდ დიდი მანძილით იყო დაშორებული კალიჩი—ხუტორ სოვეტსკის რაიონიდან და მას უხდებოდა დონის გადალახვა.

უმაღლესი მთავარსარდალი ყურადღებით გვისმენდა. იმის მიხედვით, თუ როგორ აუჩქარებლად სწევდა თავის ჩიბუხს, როგორ ისვამდა ხელს ულვაშებზე და არც ერთხელ არ შეგვაწყვეტინა მოხსენება, ჩანდა, რომ იგი კმაყოფილი იყო. სტალინგრადის ოპერაცია ნიშნავდა, რომ ინიციატივა საბჭოთა ჯარების ხელში გადადიოდა. ყველას გვჯეროდა წარმატება მომავალი კონტრშეტევისა, რომლის ნაყოფი დიდად მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო ჩვენი სამშობლოსათვის.

სანამ ჩვენ მოვახსენებდით. უმაღლესი მთავარსარდლის კაბინეტში შეიკრიბნენ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტისა და პოლიტბიუროს

ზოგიერთი წევრები. ჩვენ მოგვიხდა განმეორება ძირითადი საკითხებისა, რომლებიც მოვახსენეთ მათი არყოფნის დროს.

კონტრშეტევის გეგმის მოკლე განხილვის შემდეგ იგი მთლიანად იქნა დამტკიცებული.

მე და ა. მ. ვასილევსკიმ უმაღლესი მთავარსარდლის ყურადღება მივაქციეთ იმ გარემოებას, რომ როგორც კი მძიმე მდგომარეობა დადგებოდა სტალინგრადის და ჩრდილო კავკასიის რაიონში, გერმანელთა სარდლობა იძულებული გახდებოდა სამხრეთის დაჯგუფების დასახმარებლად გადმოესროლა თავისი ჯარების ნაწილი სხვა რაიონებიდან, კერძოდ ვიაზმის რაიონიდან.

ეს რომ არ მომხდარიყო, აუცილებელი გახდებოდა შეტევითი ოპერაციის მომზადება და ჩატარება ვიაზმის ჩრდილოეთ რაიონში და პირველ რიგში გერმანელთა განადგურება რჟევის შეერილის რაიონში. ამ ოპერაციისათვის ჩვენ შევთავაზეთ კალინინისა და დასავლეთის ფრონტების ჯარები.

— ეს კარგი იქნებოდა, — გვითხრა ი. ბ. სტალინმა, — მაგრამ რომელი თქვენგანი იკისრებს ამ საქმეს?

მე და ალექსანდრე მიხეილის ძემ ერთმანეთს წინასწარ შევუთანხმეთ ჩვენ-ჩვენი წინადადება ამის თაობაზე, ამიტომ მე ვთქვი:

—სტალინგრადის ოპერაცია უკვე ყოველ მხრივ მომზადებულია. ვასილევსკის შეუძლია იკისროს ჯარების მოქმედებათა კოორდინაცია სტალინგრადის რაიონში, მე შემიძლია ხელი მოვკიდო კალინინისა და დასავლეთის ფრონტების კონტრშეტევის მომზადების საქმეს.

უმაღლესი მთავარსარდალი დაეთანხმა ჩვენს წინადადებას და გვითხრა:

— ხვალ დილით გაფრინდით სტალინგრადში. ერთხელ კიდევ შეამოწმეთ ჯარებისა და სარდლობის მზადყოფნა ოპერაციის დასაწყებად.

14 ნოემბერს კვლავ ვიყავი ნ. თ. ვატუტინის ჯარებში, ხოლო ა. მ. ვასილევსკი — ა. ი. ერიომენკოსთან. მეორე დღეს მივიღე ი. ბ. სტალინის ქვემოდმოყვანილი დეპეშა:

„ამხანაგ კონსტანტინოვს.

მხოლოდ პირადად.

ფედოროვისა და ივანოვის[1] გადასახლება შეიძლება დაიწყოთ თქვენი ნება-სურვილის მიხედვით; შემდეგ კი მომახსენეთ ამის თაობაზე მოსკოვში ჩამოსვლისას. თუ დაგებადებათ აზრი, რომ რომელიმე მათგანმა დაიწყოს გადასახლება ერთი ან ორი დღით ადრე ან მოგვი-

---

1 ნ. თ. ვატუტინისა და ა. ი. ერიომენკოს შეტევის დღე (გ. ჟ.)

ანებით, უფლებას გაძლევთ ეს საკითხიც თქვენივე ნება-სურვილით გადაწყვიტოთ.

ვასილიევი.

13 საათი 10 წუთი
15. 11. 42 წ".

მე და ა. მ. ვასილევსკიმ მოვილაპარაკეთ და შეტევაზე გადასვლის ვადად დავნიშნეთ სამხრეთ-დასავლეთის ფრონტისა და დონის ფრონტის 65-ე არმიისათვის 19 ნოემბერი, სტალინგრადის ფრონტისათვის 20 ნოემბერი. უმაღლესმა მთავარსარდალმა დაამტკიცა ჩვენი გადაწყვეტილება.

17 ნოემბერს გამიწვიეს მთავარბანაკში კალინინისა და დასავლეთის ფრონტების ჯარების ოპერაციის დასამუშავებლად.

19 ნოემბერს 7 საათსა და 30 წუთზე სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარებმა მძლავრი დარტყმით გაარღვიეს რუმინელთა მე-3 არმიის თავდაცვა ერთდროულად ორ უბანზე: მე-5 სატანკო არმიამ გენერალ-ლეიტენანტ პ. ლ. რომანენკოს სარდლობით სერაფიმოვიჩის სამხრეთ-დასავლეთ პლაცდარმიდან და 21-ე არმიამ გენერალ-მაიორ ი. მ. ჩისტიაკოვის სარდლობით — კლეტსკაიას პლაცდარმიდან.

მოწინააღმდეგემ ვერ გაუძლო დარტყმას და თავზარდაცემულმა იწყო უკანდახევა და ტყვედ დანებება. რუმინელთა ჯარების უკან მდგარი გერმანელთა ნაწილები ძლიერი კონტრიერიშით ცდილობდნენ ჩვენი ჯარების წინსვლის შეჩერებას, მაგრამ გადათელილ იქნენ ბრძოლაში შეყვანილი 1-ლი და 26-ე სატანკო კორპუსების მიერ. ტაქტიკური გარღვევა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის უბანზე დამთავრებულ იქნა.

არმიის სარდალი პ. ლ. რომანენკო თავის სტიქიაში გრძნობდა თავს. უნდა ითქვას, რომ ეს გახლდათ მამაცი ადამიანი და უნიჭიერესი მეთაური. თავისი ხასიათით სწორედ მას შეეფეროდა სახელდობრ ასეთი სახის სწრაფი და მკვეთრი მოქმედებები.

გენერალ ი. მ. ჩისტიაკოვის 21-ე არმიის პირისპირ მოწინააღმდეგემ ბრძოლაში ჩაბა თავისი რეზერვები რუმინელთა 1-ლი, გერმანელთა მე-14 და 22-ე სატანკო დივიზიები და მე-7 ცხენოსანთა დივიზია, რადგან ეგონათ, სწორედ აქ, და არა სადმე სხვაგან, მოგვაყენეს მთავარი დარტყმაო. მაგრამ შემდეგ გერმანელთა 22-ე და რუმინელთა 1-ლი სატანკო დივიზიები გამოვიდნენ მე-5 სატანკო არმიის 1-ლი სატანკო კორპუსის წინააღმდეგ, რომელსაც მეთაურობდა გენერალ-მაიორი ვ. ვ. ბუტკოვი.

26-ე სატანკო კორპუსმა გენერალ-მაიორ ა. გ. როდინის სარდლობით მძიმე დამარცხება აგემა 1-ლ სატანკო დივიზიას და გაანადგურა რუმინელთა მე-5 საარმიო კორპუსის შტაბი. პირადი შემადგენლობის

ნაწილი თავზარდაცემული გაიქცა, ხოლო დიდი ნაწილი ტყვედ დაგვნებდა.

ოპერატიულ სივრცეებზე ჩვენი ჯარების გასვლით რუმინელთა მე-3 არმიის ძალები, რომლებიც თავს იცავდნენ სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის წინააღმდეგ, და მის გადასარჩენად გადმოსროლილი გერმანელთა სარეზერვო ნაწილები მთლიანად იქნენ განადგურებულნი და მათ ფაქტიურად შეწყვიტეს არსებობა. ა. გ. როდინის 26-ე და ა. გ. კრავჩენკოს მე-4 სატანკო კორპუსები სწრაფად მიიწევდნენ წინ კალაჩის რაიონში სტალინგრადის ფრონტის მე-4 მექანიზებულ კორპუსთან შესაერთებლად.

21-ე არმიის მარცხნივ უტევდა დონის ფრონტის 65-ე არმია გენერალ-ლეიტენანტ პ. ი. ბატოვის სარდლობით.

23 ნოემბრის ღამეს 26-ე სატანკო კორპუსის მეწინავე რაზმმა, რომელსაც მეთაურობდა პოდპოლკოვნიკი გ. ნ. ფილიპოვი, გაბედული თავდასხმით ხელთ იგდო ხიდი მდინარე დონზე.

ხიდზე მყოფი გერმანელი გუშაგები ბაიბურშიც არ იყვნენ და მშვიდად ელოდნენ თავიანთ ცვლას. მაგრამ ცვლის მაგივრად ხიდზე შეიჭრნენ ფილიპოვის რაზმის მეწინავე ნაწილები. ჰიტლერელებმა ისინი რუსთა ნადავლი ტანკებით აღჭურვილ თავიანთ სამოსწავლო ნაწილებად მიიჩნიეს. ხანმოკლე შეტაკება, და ხიდი ჩვენს ხელში აღმოჩნდა. მტერი რამდენჯერმე შეეცადა ხიდიდან გადაეყარა გ. ნ. ფილიპოვის რაზმი, მაგრამ ეს ვეღარ მოახერხა.

გ. ნ. ფილიპოვმა შეინარჩუნა ხიდი და გადაწყვიტა აეღო კალაჩი პოდპოლკოვნიკ ნ. მ. ფილიპენკოს ტანკების რაზმით. კალაჩამდე ორი კილომეტრი რჩებოდა. პოდპოლკოვნიკმა ნ. მ. ფილიპენკომ გადაწყვიტა, მიუხედავად რაზმის მცირე რაოდენობისა, ერთბაშად აეღო ქალაქი. მთელი ღამე გრძელდებოდა ბრძოლა კალაჩისათვის. გერმანელები მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ ჩვენს ტანკისტებს, მაგრამ მალე მოუსწრეს კორპუსის მთავარი ძალების მეწინავე ნაწილებმა, და ქალაქი აღებულ იქნა.

ამ ბრძოლებში გმირული სიკვდილით დაიღუპნენ კომუნისტი მოსკოველი გრიგორი გურიევი, უსაზღვროდ გამბედავი მზვერავები ალექსანდრე ივანოვი, გრიგორი დავიდიანი და სხვა ამხანაგები. ამ გმირული თავდადებისათვის პოდპოლკოვნიკ გ. ნ. ფილიპოვსა და პოდპოლკოვნიკ ნ. მ. პილიპენკოს მიენიჭათ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, ხოლო რაზმის პირადი შემადგენლობა დაჯილდოვდა საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით.

24 ნოემბერს სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის 21-ე და მე-5 არმიებმა გაანადგურეს რუმინელთა ჯარების გარშემორტყმული დაჯგუ-

ფებები, ტყვედ წამოიყვანეს 30 ათასზე მეტი ჯარისკაცი, ოფიცერი და გენერალი, ხელთ იგდეს საომარი ტექნიკის უდიდესი რაოდენობა.

აი ჩანაწერები მე-6 დივიზიის საარტილერიო ბრიგადის მეტეოსამსახურის უფროსის, რუმინელი ოფიცრის დღიურიდან, რაც დამახასიათებელია იმ დღეებისათვის:

„19 ნოემბერი

რუსებმა გრიგალისებური ცეცხლი გახსნეს მე-5 დივიზიის მარცხენა ფლანგზე. ასეთი სროლა ჯერ არ მომსწრია... საარტილერიო ყანონადა დედამიწას აზანზარებდა და ძირს მოცვივოდა შუშის ნამსხვრევები... 163 მაღლობზე გამოჩნდნენ მტრის ტანკები, მათ გეზი რასპოპინსკაიასკენ უჭირავთ. მალე გვაცნობეს, ტანკებმა მთელი სელით განვლეს პოზიცია და სოფელში შეიჭრნენო... ჩვენმა ქვემეხებმა ვერავითარი ზიანი ვერ მიაყენეს მათ... მაქსიმალური სისწრაფით მსრბოლ ამ მძიმე, 52 ტონიან ტანკებს ძალზე სქელი ჯავშანი აქვთ და ჩვენი პურვები მათ ვერაფერს აკლებენ...

20 ნოემბერი

დილიდანვე „პრუტის“ მე-13 დივიზიის უბანზე მოწინააღმდეგემ წამოიწყო ძლიერი საარტილერიო მომზადება... მე-13 დივიზია მთლიანად იქნა განადგურებული. ტანკებმა განვლეს გრომკი, სტანიცა ევსტრატოვსკაია და გაემართნენ ჩვენი ზურგის სიღრმისკენ — პერელაზოვსკაიაში. მე-5 კორპუსის სარდლობა იდგა პერელაზოვსკაიაში. იგი გააფრთხილეს შექმნილი მდგომარეობის შესახებ. უმაღლეს სარდლობასთან არავითარი კავშირი აღარ გაგვაჩნია, მე-6 დივიზიამ რაღაც სასწაულით მიიღო ბრძანება: „რადაც უნდა დაგიჯდეთ, გაუძელით უკანასკნელ ჯარისკაცამდე“. ახლა ჩვენ გარშემორტყმულნი ვართ მოწინააღმდეგის ჯარების მიერ. ტომარაშია მოქცეული მე-5, მე-6, მე-15 დივიზიები და მე-13 დივიზიის ნარჩენები.

21 ნოემბერი

დილიდანვე ჩვენი მდგომარეობა მძიმე რჩება. ჩვენ გარშემორტყმულნი ვართ... გოლოვსკოეში დიდი დაბნეულობაა... ახლა 10 საათი და 05 წუთია. არ ვიცით, რა გავაკეთოთ. აქ თავი მოიყარეს მე-13 და მე-15 დივიზიების ოფიცრებმა, რომლებმაც დაჰკარგეს თავიანთი ნაწილები.

აი როგორი მდგომარეობაა!

სამწუხაროა, მაგრამ ეს ჭეშმარიტებაა.

ჩემი ამხანაგები ათვალიერებენ თავიანთი ახლობლების — ცოლებისა და შვილების ფოტოსურათებს. მეც დიდი გულისტკივილით ვიგონებ დედაჩემს, ძმას, დებსა და ნათესავებს. ვიცვამთ ყველაფერს, რაც საუკეთესო გაგვაჩნია, და თითქმის ორ-ორ წყვილ საცვალს ვიც-

ვამთ და ვფიქრობთ, რომ აღსასრული ძალზე ტრაგიკული იქნება... ძალიან ბევრი ლაპარაკი და დაეაა შექმნილი მდგომარეობის გამო... ჩვენ მაინც არ ვკარგავთ იმედს... ვფიქრობთ, გერმანელთა ჯარები მოვლენ ჩვენდა საშველად.

ახლა 13 საათი და 30 წუთია. ყველა დივიზიის სარდლობა ხელთ აიღო მე-5 დივიზიის მეთაურმა გენერალმა მაზარინიმ... ჩვენი ნაწილების გარშემო თანდათან იკვრება რკალი. დღეს დიდი რელიგიური დღესასწაულია. რა შევცოდეთ ჩვენ ან ჩვენმა წინაპრებმა? აბა რად უნდა ვითმინოთ ასეთი ტანჯვა-წამება? ჩვენ, სამმა ოფიცერმა, განვიხილეთ მდგომარეობა და მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ არავითარი შანსი არ გაგვაჩნია კატასტროფიდან თავდასაღწევად. ოსინოვკიდან მიღებული ცუდი ამბები დასტურდება. მოვიდა მე-5 მძიმე საარტილერიო პოლკის ოფიცერთა ჯგუფი, რომელმაც გაქცევით უშველა თავს.

გვიან საღამოს დივიზიებისა და პოლკების მეთაურებმა კვლავ მოიყარეს თავი საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

განიხილავენ ორ ვარიანტს:

1) გავარღვიოთ გარშემორტყმა.

2) მოვახდინოთ კაპიტულირება.

ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ შეჩერდნენ მეორე ვარიანტზე— მოხდეს კაპიტულირება.

მიიღეს ცნობა: რუსებიდან მოემართება პარლამენტიორი კაპიტულირების წინადადებით"...

აქ წყდება ჩანაწერი. მაგრამ ჩვენ უიმოსოდაც ვიცით: რუმინელთა მთელი ეს ჯგუფი დანებდა ჩვენს ჯარებს.

უმაღლესმა მთავარსარდალმა, რომელიც სერიოზულად იყო შეშფოთებული დონის ფრონტის ჯარების მარცხენა ფრთის მოქმედებებით, 23 ნოემბრის დღის ბოლოს ქვემოთ მოყვანილი მითითება გაუგზავნა დონის ფრონტის სარდალს კ. კ. როკოსოვსკის:

„ამხანაგ დონცოვს[1].

ასლი: ამხანაგ მიხაილოვს.

ვასილევსკის მოხსენების მიხედვით, გერმანელთა მე-3 მოტოდიეიზია და მე-16 სატანკო დივიზია მთლიანად ან ნაწილობრივ მოიხსნენ თქვენი ფრონტიდან, და ახლა ისინი იბრძვიან 21-ე არმიის ფრონტის წინააღმდეგ. ეს გარემოება ქმნის ხელსაყრელ ვითარებას ამისათვის, რათა თქვენი ფრონტის ყველა არმია ჩადგეიდეს აქტიურ მოქმედებაზე. გალანინი უსიცოცხლოდ მოქმედებს, მიეცით მას მითითება, რათა არა უგვიანეს 24 ნოემბრისა აღებულ იქნას ვერტიაჩი

[1] დონცოვი — კ. კ. როკოსოვსკი; მიხაილოვი — ა. მ. ვასილევსკი.

მიეცით აგრეთვე მითითება ყადოვს, რათა გადაეიდეს აქტიურ მოქმედებაზე და ძიიზიდოს მოწინააღმდეგის ძალები.

რაც შეიძლება წააქეზეთ ბატოვი, რომელსაც ახლანდელი ვითარების დროს შეუძლია უფრო მედგარი მოქმედება.

ი. სტალინი.

23. 11. 42 წ.
19 საათი 40 წუთი".

გენერალ-მაიორ ი. მ. ჩისტიაკოვის სარდლობით მოქმედ 21-ე არმიის წარმატებითი შეტევისა და დონის ფრონტის სარდლობის მიერ მიღებულ ღონისძიებათა შედეგად 65-ე არმიის მდგომარეობა გამოსწორდა. მან წამოიწყო უფრო ენერგიული წინსვლა.

დონის ფრონტის 24-ე არმიამ დაიწყო შეტევა სამი დღით უფრო გვიან, მიაყენა დარტყმა დონის მარცხენა ნაპირის გასწვრივ. თავისი საერთო სისუსტის გამო არმიას განსაკუთრებული წარმატება არ ჰქონია.

სტალინგრადის ფრონტის 51-ე, 57-ე და 64-ე არმიებმა დაიწყეს მოქმედება 20 ნოემბერს — სამხრეთ-დასავლეთისა და დონის ფრონტებზე ერთი დღეღამით უფრო გვიან.

51-ე არმიამ გენერალ-მაიორ ნ. ი. ტრუფანოვის სარდლობით დაიწყო შეტევა პლოდოვიტოესა და შემდეგ აბგანეროვოს საერთო მიმართულებით.

57-ე არმია, რომელსაც სარდლობდა გენერალ-მაიორი თ. ა. ტოლბუხინი, უტევდა კალაჩის საერთო მიმართულებით.

64-ე არმიამ გენერალ-ლეიტენანტ მ. ს. შუმილოვის სარდლობით — ივანოვკის რაიონიდან თავისი მარცხენა ფლანგის დაჯგუფებით დარტყმა მიაყენა გავრილოვკისა და ვარვაროვკის საერთო მიმართულებით, მხარი დაუჭირა 57-ე არმიის მარჯვენა ფლანგის დაჯგუფებას.

რუმინელთა 1-ლი, მე-2, მე-18 და მე-20 დივიზიებისა და გერმანელთა 29-ე მოტორიზებული დივიზიის თავდაცვის წარმატებითი გარღვევის შემდეგ 51-ე არმიის უბანზე პლოდოვიტოესკენ გარღვევაში შეყვანილ იქნა გენერალ ვ. ტ. ვოლსკის მე-4 მექანიზებული კორპუსი, ხოლო 57-ე არმიის მოქმედებათა ზონაში — მე-13 სატანკო კორპუსი გენერალ-მაიორ ტ. ი. ტანასჩიშინის სარდლობით. მაშინ დაიწყო კიდეც მოქმედება გენერალ ტ. ტ. შაპკინის მე-4 ცხენოსანთა კორპუსმა, რომელმაც იმავე დღეს აიღო სადგური აბგანეროვო.

მოწინააღმდეგე ცდილობდა კალაჩისაკენ გზა გადაეჭრა 57-ე არმიისათვის და სტალინგრადის სანახებიდან იქითკენ გადაისროლა მე-16 და 24-ე სატანკო დივიზიები. მაგრამ მათი მოქმედება დაგვიანებული იყო, თანაც მათ არ გააჩნდათ ის ძალები, რომელთაც შეეძლებო-

დათ გაეძლოთ სამხრეთ-დასავლეთისა და სტალინგრადის ჯარების მძლავრი დარტყმებისათვის. თავიანთი სატანკო ნაწილებით 23 ნოემბერს 16 საათზე რომ გავიდნენ ხუტორ სოვეტსკის რაიონში, სადაც მე-4 სატანკო კორპუსის 45-ე სატანკო ბრიგადა პოდპოლკოვნიკ პ. კ. ჟიდკოვის მეთაურობით პირველი შეხვდა პოდპოლკოვნიკ მ. ი. როდიონოვის 36-ე მექანიზებულ ბრიგადას მე-4 მექანიზებული კორპუსიდან.

სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის მე-4 სატანკო კორპუსი გენერალ ა. კ. კრავჩენკოს მეთაურობით და სტალინგრადის ფრონტის მე-4 მექანიზებული კორპუსი ვ. ტ. ვოლსკის მეთაურობით, გადალახეს რა დონი, ერთმანეთს შეხვდნენ ხუტორ სოვეტსკის რაიონში და შეკრეს მოწინააღმდეგის სტალინგრადის დაჯგუფების ვარშემორტყმის რკალი დონისა და ვოლგის შუამდინარეთში.

ამის შემდეგ 64-ე, 57-ე, 21-ე, 65-ე, 24-ე და 66-ე არმიებს საშუალება მიეცათ განევითარებინათ შეტევა სტალინგრადის საერთო მიმართულებით, მარწუხებში მოექცათ მოწინააღმდეგის გარშემორტყმის შიდა რკალი.

სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის 1-ლმა გვარდიულმა არმიამ, მე-5 სატანკო არმიამ და სტალინგრადის ფრონტის 51-ე არმიამ, რომლებიც გაძლიერებულ იქნენ სატანკო შენაერთებით, უკანდახეული მოწინააღმდეგის დევნისას, მიიღეს ამოცანა გარშემორტყმული სტალინგრადის დაჯგუფებისაგან რაც შეიძლება შორს დასავლეთისკენ უკუეგდოთ მოწინააღმდეგის განადგურებული ნაწილები და შეექმნათ მტკიცე შიდა ფრონტი, რაც აუცილებელი იყო გარშემორტყმული მტრის წარმატებით ლიკვიდაციისათვის.

ამით დამთავრდა კონტრშეტევის პირველი ეტაპი.

დეკემბრის პირველი რიცხვებისათვის მოწინააღმდეგის გარშემორტყმის რკალი მტკიცედ იყო შეკრული, და ჯარები შეუდგნენ შემდგომ ეტაპს, რომლის ამოცანას შეადგენდა გარშემორტყმული დაჯგუფების ლიკვიდირება.

მთელი ამ ხნის მანძილზე მე ჯარგად ვიყავი ინფორმირებული ა. მ. ვასილევსკისა და გენერალური შტაბის მიერ კონტრშეტევის მსვლელობის შესახებ. გერმანელთა ჯარების მე-6 არმიასა და მე-4 სატანკო არმიის შენაერთთა გარშემორტყმის შემდეგ დადგა ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტი — მტრის ჯარებისთვის არ მიგვეცა საშუალება თავი დაეღწიათ გარშემორტყმისაგან.

28 ნოემბერს ვიმყოფებოდი კალინინის ფრონტის შტაბში, სადაც სარდლობასთან ვიხილავდი მომავალ შეტევითს ოპერაციას.

გვიან საღამოს დამირეკა უმაღლესმა მთავარსარდალმა და მკითხა, იცნობ თუ არა უკანასკნელ ვითარებას სტალინგრადის რაიონშიო. და-

დებითი პასუხი გავეცი. მაშინ უმაღლესმა მთავარსარდალმა მიბრძანა, მოიფიქრეთ და წარმომიდგინეთ მოსაზრებები სტალინგრადთან გარშემორტყმული გერმანელთა ჯარების ლიკვიდაციისათვისო.

29 ნოემბერს დილით მე გავუგზავნე უმაღლეს მთავარსარდალს დეპეშა:

„გარშემორტყმული გერმანელთა ჯარები, შექმნილი ვითარების გამო, ნიჟნე-ჩირსკაია — კოტელნიკოვოს რაიონიდან მოწინააღმდეგის დამხმარე დარტყმის გარეშე, ამჟამად გარშემორტყმის გარღვევასა და იქიდან გამოსვლას ვერ გაბედავენ.

გერმანელთა სარდლობა, ალბათ, შეეცდება პოზიციების შენარჩუნებას სტალინგრად — ვერტიაჩი — მარინოვკა — კარპოვკა — საბეთა მეურნეობა გორნაია პოლიანას რაიონში და უმოკლეს ხანში ნიჟნე-ჩირსკაია — კოტელნიკოვოს რაიონში თავი მოუყაროს დამკვრელ ჯგუფს ჩვენი ჯარების ფრონტის გასარღვევად კარპოვკის საერთო მიმართულებით, რათა ჩვენი ნაწილების ფრონტის გარღვევით, შექმნას კორიდორი გარშემორტყმული ჯგუფის ჯარების კვებისათვის, ხოლო შემდგომში ამ კორიდორით მათ გასაყვანად.

მოწინააღმდეგისათვის ხელსაყრელ პირობებში ეს კორიდორი შეიძლება შეიქმნას მარინოვკა — ლიაპიჩევ — ვერხნე-ჩირსკაიას უბანზე ჩრდილოეთისაკენ ფრონტით.

ამ დერეფნის მეორე მხარე იქნება ფრონტით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, — ციბენკო — ზეტი — გნილოვსკაია — შაბალინის ხაზზე.

რომ არ დავუშვათ მოწინააღმდეგის ნიჟნე-ჩირსკაიასა და კოტელნიკოვოს დაჯგუფებათა შეერთება სტალინგრადის დაჯგუფებასთან და არ შეიქმნას დერეფანი, ამისათვის აუცილებელია:

რაც შეიძლება სასწრაფოდ უკუვაგდოთ ნიჟნე-ჩირსკაიასა და კოტელნიკოვოს დაჯგუფებები და შევქმნათ მჭიდრო საბრძოლო წესრიგი ობლივსკაია — ტორმოსინ—კოტელნიკოვოს ხაზზე. ნიჟნე-ჩირსკაია—კოტელნიკოვოს რაიონში, რეზერვის სახით, უნდა ჩავაყენოთ ტანკების ორი ჯგუფი, არანაკლებ ას-ასი ტანკისა თვითეულში;

სტალინგრადიდან გარშემორტყმული მოწინააღმდეგის ჯგუფი უნდა გაიპოს შუაზე. რისთვისაც... გამკვეთი დარტყმა უნდა მივაყენოთ ბოლშაია როსოშკის მიმართულებით. მისი შემხვედრი დარტყმა უნდა იქნეს დუბინინსკის მიმართულებით, 135 სიმაღლეზე. ყველა დანარჩენ უბანზე უნდა გადავიდეთ თავდაცვაზე და ვიმოქმედოთ მხოლოდ ცალკეული რაზმებით მოწინააღმდეგის მოსაქანცავად და წელში გასაწყვეტად.

მოწინააღმდეგის გარშემორტყმული ჯგუფის ორ ნაწილად გაკვეთის შემდეგ საჭიროა... პირველ რიგში განადგურდეს უფრო სუსტი ჯგუფი,

შემდეგ კი მთელი ძალებით დავარტყათ ჯგუფს სტალინგრადის რაიონში.

№ 02
29. 11. 42 წ."

უმაღლეს მთავარსარდალთან მოხსენების შემდეგ, მე მაღალი სიხშირის ტელეფონით ველაპარაკე ა. მ. ვასილევსკის, რომელიც ეთანხმებოდა, ჩემს მოსაზრებებს. იმავდროულად ჩვენ გავუზიარეთ ერთმანეთს საკუთარი აზრი სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის ჯარების მომავალ მოქმედებათა შესახებ. ალექსანდრე მიხეილის ძე თანახმა გახდა დროებით უარი ეთქვა „დიდი სატურნის" ოპერაციაზე და სამხრეთ-დასავლეთის დარტყმა წარემართა მოწინააღმდეგის ტორმოსინის დაჯგუფების ფლანგზე. გენერალური შტაბიც ამ მოსაზრებისა იყო.

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტმა მიიღო ამოცანა „მცირე სატურნის" პირობითი სახელწოდებით: 1-ლი და მე-3 გვარდიული არმიებისა და მე-5 სატანკო არმიის ძალებით წარემართა დარტყმა მოროზოვსკის საერთო მიმართულებით იმგვარად, რომ იმ რაიონში გაენადგურებია მოწინააღმდეგის დაჯგუფება. სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის დარტყმას მხარს უჭერდა ვორონეჟის ფრონტის მე-6 არმია, რომელიც უტევდა კანტემიროვკის საერთო მიმართულებით.

ჰიტლერელთა სარდლობა განიცდიდა რეზერვების მწვავე ნაკლებობას, რათა მათი დახმარებით გამოესწორებინა თავისი ჯარების კატასტროფული მდგომარეობა სტალინგრადისა და კავკასიის მიმართულებებით.

რომ აღეკვეთა „ცენტრის" არმიის ჯგუფიდან ჯარების გადმოსროლა, როგორც ვამბობდი, მთავარბანაკმა მიიღო გადაწყვეტილება სტალინგრადის რაიონში კონტრშეტევის მსვლელობასთან ერთდროულად მოეწყო დასავლეთისა და კალინინის ფრონტების შეტევა გერმანელთა ჯარების წინააღმდეგ, რომელთაც ეჭირათ რჟევის შეერილი. 20 ნოემბრიდან 8 დეკემბრამდე პერიოდის მანძილზე შეტევის დაგეგმვა და მომზადება დამთავრებულ იქნა.

1942 წლის 8 დეკემბერს ფრონტებს მიეცათ დირექტივა:

„კალინინისა და დასავლეთ ფრონტების ერთობლივი ღონისძიებებით 1943 წლის პირველი იანვრისათვის გაანადგურეთ მოწინააღმდეგის დაჯგუფება რჟევ — სიჩოვკა — ოლენინო — ბელის რაიონში და მტკიცედ გამაგრდით იარიგინო — სიჩოვკა — ანდრეევსკოე — ლენინო—ნოვ.აჟევო—დენტიალევო—სვიტის ფრონტზე.

დასავლეთის ფრონტმა ოპერაციის ჩატარებისას იხელმძღვანელოს შემდეგით:

ა) 10—11. XII — განმავლობაში. გაარღვიოს მოწინააღმდეგის თავდაცვა ბოლშაია კროპოტოვო — იარიგინოს უბანზე და არა უგვიანეს 15. XII-ისა დაიკავოს სიჩოვკა. 20. XII — ანდრეევსკოეს რაიონში გაიყვანოს სულ მცირე ორი დივიზია და კალინინის ფრონტის 41-ე არმიასთან ერთობლივი მოქმედებით ჩაჰკეტოს გარშემორტყმული მოწინააღმდეგე;

ბ) მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევისა და რკინიგზის ხაზზე მთავარი დაჯგუფების გაყვანის შემდეგ ფრონტის მოძრავი ჯგუფი და სულ მცირე ოთხი მსროლელი დივიზია შებრუნებულ იქნას მოწინააღმდეგის რჟევ-ჩერტოლინოს დაჯგუფების ზურგში დარტყმის მისაყენებლად.

30-ე არმიამ გაარღვიოს თავდაცვა კოშკინოს უბანზე ბურგოვოს ჩრდილო-აღმოსავლეთ გზათა შესაყარზე და არა უგვიანეს 15. XII-ისა. გავიდეს რკინიგზაზე ჩერტოლინოს რაიონში, რკინიგზაზე გასვლისას დაამყაროს საბრძოლო ურთიერთმოქმედება ფრონტის ჯგუფთან და რკინიგზის გასწვრივ დარტყმით იერიში მიიტანოს რჟევზე 23. XII-ს რჟევის აღების მიზნით.

კალინინის ფრონტმა ამოცანის შესრულებისას იხელმძღვანელოს შემდეგით:

ა) 39-ე და 22-ე არმიებით განაგრძოს დარტყმათა განვითარება ოლენინოს საერთო მიმართულებით არა უგვიანეს 16. XII-ისა. მოწინააღმდეგის ოლენინოს ჯგუფის განადგურების მიზნით არმიები გავიდნენ ოლენინოს რაიონში.

22-ე არმიის ძალებით დამხმარე დარტყმა მიაყენოს ეგორის ხიმართულებით მოწინააღმდეგის ბელის დაჯგუფების განადგურებაში 41-ე არმიისათვის დახმარების მიზნით;

ბ) 41-ე არმიამ 10. XII-ს გაანადგუროს მოწინააღმდეგის გარღვეული დაჯგუფება ციცინოს რაიონში და აღადგინოს დაკარგული მდგომარეობა ოკოლიცის რაიონში.

არა უგვიანეს 20. XII-ისა ძალების ნაწილით გავიდეს მოლნია — ვლადიმირსკოე — ლენინოს რაიონში დასავლეთ ფრონტის ნაწილებთან ერთად მოწინააღმდეგის გარშემორტყმული დაჯგუფების ჩაკეტვის მიზნით.

არა უგვიანეს 20. XII-ისა აღებულ იქნას ქალაქი ბელი...

უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკი

ი. სტალინი

გ. ჟუკოვი

№ 170700".

ამ ოპერაციას, რომელსაც ატარებდნენ ორი ფრონტის ჯარები, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ჯარების თანამოქმედებისათვის რჟევის შვერილის რაიონში მოწინააღმდეგის განადგურებისას. ამიტომ ამის შესახებ უნდა ითქვას რამდენიმე სიტყვა.

კალინინის ფრონტის სარდლობამ გენერალ-ლეიტენანტ მ. ა. პურკაევის სახით თავისი ამოცანა შეასრულა. ქალაქ ბელის სამხრეთით შეიტანეთ ფრონტის ჯარების ჯგუფმა წარმატებით გაარღვია ფრონტი და გაეშართა სიჩოვკის მიმართულებით. დასავლეთ ფრონტის ჯარების ჯგუფს თავის მხრივ უნდა გაერღვია მოწინააღმდეგის თავდაცვა და შეხვედროდა კალინინის ფრონტის ჯარებს იმგვარად, რომ ჩაეკეტა გარშემორტყმის რკალი გერმანელთა რჟევის დაჯგუფების გარშემო. მაგრამ მოხდა ისე, რომ დასავლეთის ფრონტმა გერმანელთა თავდაცვა ვერ გაარღვია.

უმაღლესმა მთავარსარდალმა მოითხოვა დაეყოვნებლივ ჩემი გამგზავრება ი. ს. კონევთან.

დასავლეთ ფრონტის საკომანდო პუნქტზე მისვლისას იმ დასკვნამდე მივედი, რომ ოპერაციის განმეორება უსარგებლო იქნებოდა. მოწინააღმდეგემ გამოიცნო ჩვენი განზრახვა და მოახერხა მოქმედებათა რაიონში თავი მოეყარა მნიშვნელოვანი ძალებისათვის სხვა უბნებიდან.

ამ დროისათვის გართულდა მდგომარეობა კალინინის ფრონტზედაც—ჩვენი გარღვევის რაიონში. მოწინააღმდეგემ ფლანგიდან ძლიერი დარტყმით მოკვეთა ჩვენი მექანიზებული კორპუსი, რომელსაც მეთაურობდა გენერალ-მაიორი მ. დ. სოლომატინი. კორპუსი გარშემორტყმაში დარჩა.

საჭირო გახდა მთავარბანაკის რეზერვიდან სასწრაფოდ მიგვეყვანა დამატებითი მსროლელი კორპუსი, რათა მისი დახმარებით გარშემორტყმიდან გამოგვეყვანა ჩვენი ჯარები. სამი დღეღამის მანძილზე მ. დ. სოლომატინის კორპუსი უმძიმეს პირობებში იბრძოდა.

მეოთხე დღეს ღამით მოუსწრეს ციმბირელებმა და გაარღვიეს მოწინააღმდეგის ფრონტი, რის გამოც ჩვენ შევძელით გარშემორტყმიდან გამოგვეყვანა მ. დ. სოლომატინის კორპუსი. კორპუსის მებრძოლები და ოფიცრები მეტად გადაიქანცნენ და მაშინვე მოგვიხდა დასასვენებლად მათი გაგზავნა ზურგში.

თუმცა ჩვენმა ჯარებმა ვერ შეასრულეს მთავარბანაკის მიერ დაკისრებული ამოცანა — რჟევის შვერილის ლიკვიდირება, მაგრამ თავიანთი აქტიური მოქმედებებით მათ საშუალება არ მისცეს გერმანელთა სარდლობას ამ უბნიდან სტალინგრადის რაიონში გადაესროლა მნიშვნელოვანი დამხმარე ძალები.

უფრო მეტი, ჰიტლერელთა სარდლობა რჟევ — ვიაზმის პლაცდარმის შესანარჩუნებლად იძულებული გახდა ვიაზმა — რჟევის რაიონი

გადაესროლა ოთხი სატანკო და ერთი მოტორიზებული დივიზია.

დასავლეთ ფრონტის ჯარების წარუმატებელი შეტევის მიზეზების გარკვევისას ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ ძირითადი მათ შორის იყო ადგილმდებარეობის იმ რელიეფის სიძნელეთა შეუფასებლობა, რომელიც შერჩეულ იქნა ფრონტის სარდლობის მიერ მთავარი დარტყმის მისაყენებლად.

ომის გამოცდილება გვასწავლის, რომ უკეთუ მოწინააღმდეგის თავდაცვა განლაგებულია კარგად სათვალთვალო ადგილმდებარეობაზე, სადაც არ არის ბუნებრივი საფარი საარტილერიო ცეცხლისაგან დასაცავად, მაშინ ადვილია ასეთი თავდაცვის განადგურება არტილერიისა და ნაღმსატყორცნთა ცეცხლით და შეტევასაც აუცილებლად წარმატება ექნება.

ხოლო თუ მოწინააღმდეგის თავდაცვა განლაგებულია ცუდად სათვალთვალო ადგილმდებარეობაზე, სადაც არსებობს კარგი საფარი მაღლობთა ფერდობების გადაღმა, ფრონტისადმი პერპენდიკულარულად მდებარე ხევებში, ასეთი თავდაცვის ცეცხლით განადგურება და მისი გარღვევა ძალზე ძნელია, განსაკუთრებით, როცა შეზღუდულია ტანკების გამოყენება.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ იქნა გათვალისწინებული გაელენა ადგილმდებარეობისა, სადაც განლაგებული იყო გერმანელთა თავდაცვა, კარგად შეფარებული ოლროჩოღრო ადგილმდებარეობის უკანა ფერდობებს.

წარუმატებლობის მეორე მიზეზი იყო სატანკო, საარტილერიო, სანაღმსატყორცნო და საავიაციო საშუალებათა უკმარობა მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევის უზრუნველსაყოფად.

ყოველივე ამის გამოსწორებას ცდილობდა ფრონტის სარდლობა შეტევის პროცესში, მაგრამ ამის გაკეთება არ მოხერხდა. მდგომარეობა რთულდებოდა იმით, რომ გერმანელთა სარდლობამ, ჩვენი ვარაუდის მიუხედავად, მნიშვნელოვნად გააძლიერა აქ თავისი ჯარები, გადმოისროლა რა ისინი სხვა ფრონტებიდან.

ყველა ამ ფაქტორის შედეგად კალინინის ფრონტის ჯარების ჯგუფი, რომელმაც განახორციელა გარღვევა ბელის სამხრეთით, მარტოკა აღმოჩნდა.

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენი ჯარების მოქმედებას სტალინგრადის რაიონში.

დეკემბრის პირველ ნახევარში დონისა და სტალინგრადის ფრონტების ჯარების მიერ ალყაშემორტყმული მტრის განადგურების ოპერაცია უკიდურესად ნელა ვითარდებოდა.

მოწინააღმდეგის ჯარები, პირადად ჰიტლერის ალთქმული დახ-

მარების მოლოდინში, თითოეული პოზიციისათვის შეუპოვრად იბრძოდნენ. მოწინააღმდეგის მნიშვნელოვანი ნაწილების ყურადღების გადატანის მიზნით ჩვენი ჯარების შეტევა, რათა გაენადგურებინათ კოტელნიკოვოს რაიონიდან შეტევაზე გადმოსული გერმანელთა დაჯგუფება, სასურველ შედეგს არ იძლეოდა.

სტალინგრადის რაიონში განადგურება გერმანელებს დიდი სტრატეგიული მასშტაბის კატასტროფის საფრთხეს უქმნიდა.

იმისათვის, რომ ეხსნათ საერთო მდგომარეობა, ჰიტლერის სარდლობას უპირველეს ყოვლისა აუცილებლად მიაჩნდა, მოეხდინა სტალინგრადის მიმართულებით ფრონტის სტაბილიზება დამცველი ჯარებით და მის საფარქვეშ გაეყვანათ კავკასიიდან „ა“ არმიათა ჯგუფი. ამ მიზნით სარდლობამ შექმნა ახალი საარმიო დაჯგუფება „დონის“ სახელწოდებით, რომლის სარდლადაც დაინიშნა გენერალ-ფელდმარშალი მანშტაინი.

ჰიტლერელთა ხელმძღვანელობის აზრით, იგი იყო ყველაზე შესაფერისი და უნარიანი სარდალთა შორის. ამ ჯგუფის ჩამოსაყალიბებლად საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის სხვადასხვა უბნებიდან, კერძოდ, საფრანგეთიდან და გერმანიიდან, გადმოისროლეს ჯარები.

სტალინგრადის რაიონში ალყაშემორტყმული ჯარების გადასარჩენად, როგორც ახლა გახდა ცნობილი, ფელდმარშალი მანშტაინი ორი დამკვრელი ჯგუფის შექმნას აპირებდა. ერთისა — კოტელნიკოვოს, მეორისა — ტორმოსინის რაიონში.

მაგრამ არც მანშტაინსა და არც ალყაშემორტყმულ გერმანელთა ჯარებს ბედი არ სწყალობდათ. ვერმახტი იმ ხანებში რეზერვების მწკავე ნაკლებობას განიცდიდა. ჯარები, რომელთა შეკრებაც მოახერხეს, ძალზე ნელა მიიწევდნენ გაჭიმული კომუნიკაციებით. ხოლო მტრის ზურგში მოქმედი ჩვენი პარტიზანები, რომელთაც იცოდნენ, რა მიზნითაც მიილტვოდნენ გერმანელთა ჯარები სამხრეთის მიმართულებით, ყველაფერს აკეთებდნენ მათი წინსვლის შესაფერხებლად. მიუხედავად ფაშისტთა უმკაცრესი ტერორისა, მიუხედავად მათ მხრივ მიღებული სიფრთხილის ყოველგვარი ღონისძიებისა, მამაცმა პატრიოტებმა ჰიტლერული ჯარებით დატვირთული არა ერთი ათეული ეშელონი გამოიყვანეს მწყობრიდან.

დრო მიდიოდა, ხოლო თავმოყრა გერმანელთა ჯარებისა, რომელზედაც ამყარებდნენ ალყიდან გამოსვლის იმედს და თავდაცვის ახალი ფრონტის შექმნას, განუხორციელებელი რჩებოდა. ჰიტლერი, რომელიც წინასწარ გრძნობდა სტალინგრადთან თავისი ჯარების დაღუპვას, აჩქარებდა მანშტაინს, დაეწყო ოპერაცია და არ დალოდებოდა ჯარების მთლიან თავმოყრას.

მანშტაინმა ოპერაცია დაიწყო 12 დეკემბერს. ისიც მხოლოდ კოტელნიკოვოს რაიონიდან, რკინიგზის ხაზის გასწვრივ.

კოტელნიკოვოს ჯგუფში მანშტაინმა შეიყვანა მე-6, 23-ე დივიზიები, ხოლო შემდეგ მე-17 სატანკო დივიზია, მძიმე ტანკებით — „ვეფხვებით“ აღჭურვილი ცალკე სატანკო ბატალიონი, ოთხი ქვეითა დივიზია, მთელი რიგი ნაწილები დაჯგუფების გასაძლიერებლად, აგრეთვე ორი რუმინული ცხენოსანთა დივიზია. სამი დღის ბრძოლის შემდეგ მოწინააღმდეგემ შესძლო 45 კილომეტრით წაეწია წინ სტალინგრადისაკენ და გადაელახა მდინარე აქსაი-ესაულოვსკი.

ვერხნე-კუმსკის რაიონში გაიმართა მწვავე ბრძოლა, რომელშიც ორივე მხარემ დიდი ზარალი განიცადა. მტერი მსხვერპლს არად აგდებდა და მიილტვოდა სტალინგრადისკენ, მაგრამ წინა ბრძოლებში გამობრძმედილი საბჭოთა ჯარები შეუპოვრად იცავდნენ თავდაცვის მიჯნებს. მხოლოდ აქ ახლად მოსული მე-17 სატანკო დივიზიის დაწოლისა და მკვეთრი, გაძლიერებული საავიაციო დაბომბვის შედეგად 51-ე არმიის ნაწილებმა და ტ. ტ. შაპკინის საკავალერიო კორპუსმა მდინარე მიშკოვს გადმოლმა გადმოინაცვლეს.

ახლა მოწინააღმდეგე 40 კილომეტრის დაშორებით იმყოფებოდა სტალინგრადიდან, იგი, როგორც ჩანდა, იმედოვნებდა სწრაფ და უეჭველ გამარჯვებას. მაგრამ ეს იმედები ნაადრევი იყო. თანახმად მთავარბანაკის მითითებისა ა. მ. ვასილევსკიმ ბრძოლაში ჩააბა გენერალი რ. ი. მალინოვსკის გაძლიერებული მე-2 გვარდიული არმია. იგი კარგად იყო აღჭურვილი ტანკებითა და არტილერიით, რომელთა დარტყამამ საბოლოოდ გადაწყვიტა ბრძოლის ბედი საბჭოთა ჯარების სასარგებლოდ.

16 დეკემბერს შეტევა დაიწყეს სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარებმა და ვორონეჟის ფრონტის მე-6 არმიამ, რომელიც სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის შემადგენლობას გადაეცა შუა დონის რაიონში გერმანელთა განადგურებისა და ტორმოსინის დაჯგუფების ზურგში გაჭრის მიზნით.

პირველმა გვარდიულმა არმიამ გენერალ-ლეიტენანტ ე. ი. კუზნეცოვის სარდლობით, მე-3 გვარდიულმა არმიამ დ. დ. ლელიუშენკოს სარდლობით (იმ დროისათვის პირველი გვარდიული არმია გაყოფილი იყო 1-ლ და მე-3 გვარდიულ არმიებად), მე-6 არმიამ გენერალ-მაიორ ფ. მ. ხარიტონოვის სარდლობით (გადაეცა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის შემადგენლობას და გაძლიერებულ იქნა პ. პ. პოლუბოიაროვის მე-17 სატანკო კორპუსით) გაანადგურეს იტალიელთა მე-8 არმია და განავითარეს სწრაფი დარტყმა მოროზოვსკის საერთო მიმართულებით.

24-ე და 25-ე სატანკო კორპუსებმა და პირველმა გვარდიულმა მექანიზებულმა კორპუსმა, რომლებიც პირველ ეშელონში უტევდნენ, ტარანული დარტყმით გატეხეს მტრის წინააღმდეგობა. მილეროვოს

რაიონში შარჯვნივ, შვერილად, გაიჭრნენ მე-17 და მე-18 სატანკო კორპუსები.

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარების სწრაფმა მოქმედებამ აიძულა მანშტაინი, ამ მიმართულებით გადმოესროლა ძალები, რომლებიც განკუთვნილი იყო ტორმოსინის რაიონიდან დარტყმისათვის, მიემართა ისინი სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის წინააღმდეგ, რომელიც გაიჭრა არმიათა მთელი ჯგუფის „დონის" ფლანგსა და ზურგში.

მოახსენებდა რა „ბოდოთი" მთავარბანაკს 28 დეკემბერს შეტევითი ოპერაციების მსვლელობის შესახებ, სამხრეთ-დასავლეთის სარდალი ნ. თ. ვატუტინი ასე ახასიათებდა ვითარებას.

— ყოველივე, რაც ადრე ფრონტის წინ იყო, ესე იგი, რაც მე-17 დივიზიის ახლოს იმყოფებოდა, შეიძლება ითქვას, სრულიად განადგურებულია, ხელთ ვიგდეთ მარაგიც. 60 ათას კაცზე მეტი ტყვედ წამოვიყვანეთ, ამაზე არანაკლები მოვსპეთ, ამრიგად, იმ ადრინდელი არმიის უბადრუკი ნარჩენები, გარდა მცირე გამონაკლისისა, ამჟამად თითქმის არავითარ წინააღმდეგობას არ გვიწევენ.

ფრონტის ჯარების წინ მოწინააღმდეგე განაგრძობს შეუპოვარ თავდაცვას ობლივსკაია—ვერხნე-ჩირსკაიას ფრონტზე. მოროზოვსკის რაიონში დღეს უკვე ხელთ ვიგდეთ ტყვეები მე-11 სატანკო და მე-8 საავიაციო საველე დივიზიიდან, რომლებიც ადრე რომანენკოს არმიის წინ იდგნენ. ლელიუშენკოს არმიას და ჩვენს მოძრავ ჯარებს შედარებით ძლიერ წინააღმდეგობას უწევენ მტრის ნაწილები. რომლებმაც კოტელნიკოვოს რაიონიდან გადმოლახეს მდინარე დონი და წინ წაიწიეს ჩერნიშკოვსკ — მოროზოვსკ—სკოსირსკაია —ტაცინსკაიას ფრონტზე. მოწინააღმდეგის ეს ჯარები ისწრაფვიან დაიკავონ მიჯნები, რათა წინააღმდეგობა გაუწიონ ჩვენი მოძრავი შენაერთების შემდგომ შეტევას და ამით უზრუნველყონ თავიანთი ჯარების უკანდახევის შესაძლებლობა. ამასთან შესაძლოა, მოწინააღმდეგე შეეცადოს, მისთვის ხელსაყრელ პირობებში შეინარჩუნოს საერთოდ მთელი ეს შვერილი იმისათვის, რომ შემდეგ მისი საშუალებით იხსნას თავისიანთა ალყაშემორტყმული დაჯგუფება. მაგრამ ამას ვერ შესძლებს. მთელ ძალებს გამოვიყენებთ იმისათვის, რომ მოვკვეთოთ ეს შვერილი,

ავიადაზვერვა ყოველდღიურად ამჩნევს მოწინააღმდეგის ჯარების გადმოსხმას როსოშის, სტარობელსკის, ვოროშილოვგრადის, ჩებოტოვკას, კამენსკის, ლიხაიას, ზვერევოს რაიონებში. მოწინააღმდეგის განზრახვებზე მსჯელობა ძნელია. ეტყობა, თავდაცვის ძირითად ზღუდეს ამზადებს მდინარე ჩრდილოეთ დონეცზე. მოწინააღმდეგე იძულებულია, პირველ რიგში გაასწოროს 350 კილომეტრის სიგრძეზე პირდაპირ გარღვეული ფრონტის ხაზი. კარგი იქნებოდა საგანგებო პაუზის გარეშე განგვეგრძო მოწინააღმდეგის დევნა, მაგრამ ამისათვის საჭიროა

მარქაფი, რადგან ის ძალები, რომლებიც აქ მოგვეპოვება, დაკავებული არიან „მცირე სატურნის" დასაბოლოებლად, ხოლო „დიდი სატურნისათვის" დამატებით გვჭირდება ძალები.

ტელეფონთან ვიმყოფებოდით უმაღლესი მთავარსარდალი და მე.

— თქვენი უპირველესი ამოცანაა — არ დაეუშვათ ბადანოვის განადგურება და მის დასახმარებლად სასწრაფოდ გაგზავნოთ პავლოვი და რუსიანოვი, — თქვა ი. ბ. სტალინმა. — თქვენ სწორედ მოიქეცით, როცა ბადანოვს ნება დართეთ, უკიდურეს შემთხვევაში დაეტოვებინა ტაცინსკი. კარგი იქნება, თუ მე-8 ცხენოსანი კორპუსით ტორმოსინზე თქვენს შემხვედრ დარტყმას განამტკიცებთ რომელიმე ქვეითთა ნაწილით. რაც შეეხება მე-3 გვარდიული საკავალერიო კორპუსისა და ერთი მსროლელთა დივიზიის სუვოროვსკის გავლით ტორმოსინზე გაგზავნას, ეს ძალიან დროულია.

იმისათვის, რომ „მცირე სატურნი" გადააქციოთ „დიდ სატურნად", ჩვენ უკვე გადმოგეცით მე-2 და 23-ე სატანკო კორპუსები. ერთი კვირის შემდეგ კიდევ მიიღებთ ორ სატანკო კორპუსს და სამ-ოთხ მსროლელთა დივიზიას... ჩვენი აზრით, მე-18 სატანკო კორპუსი, რომელიც გინდათ გაგზავნოთ სკოსირსკისაკენ, უმჯობესია დატოვოთ მილეროვო — ვერხნე-ტარასოვსკის რაიონში მე-17 სატანკო კორპუსთან ერთად. საერთოდ მხედველობაში უნდა მიიღოთ, რომ შორ მანძილზე სატანკო კორპუსები უმჯობესია წყვილ-წყვილად გაუშვათ, და არა ცალ-ცალკე, რათა ბადანოვის მდგომარეობაში არ აღმოჩნდეს.

— სად არის ახლა მე-18 სატანკო კორპუსი? — ვკითხე ნ. თ. ვატუტინს.

— მე-18 სატანკო კორპუსი უშუალოდ მილეროვოს აღმოსავლეთით იმყოფება. იგი არ იქნება იზოლირებული.

— გახსოვდეთ ბადანოვი, არ დაგავიწყდეთ ბადანოვი, გამოიხსენით იგი, რადაც არ უნდა დაგიჯდეთ.

— მივიღებ აბსოლუტურად ყოველგვარ ღონისძიებებს და გამოვიხსნით ბადანოვს, — აღგვითქვა ნ. თ. ვატუტინმა.

აი, რა მიამბეს შემდეგ ტანკისტების გმირულ მამაცობაზე.

17 დეკემბერს 18 საათსა და 30 წუთზე კორპუსი გაიჭრა ბოგუჩარის ჩრდილო-დასავლეთით და ბრძოლებით გაიარა 300 კილომეტრი. გზადაგზა სადგურ ტაცინსკაიას მიმართულებით მან გაანადგურა 6700 მტრის ჯარისკაცი და ოფიცერი და ხელთ იგდო დიდი სამხედრო დავლა. 24 დეკემბერს დილით, სადგურთან მისვლისთანავე, კორპუსი სხვადასხვა მხრიდან გადავიდა შეტევაზე. გვარდიის კაპიტანი ი. ა. ფომინი მებრძოლთა ჯგუფით შეიჭრა სადგურ ტაცინსკაიაში, გადაჭრა ლიხაია-სტალინგრადის რკინიგზის მაგისტრალი, მოსპო მტრის თავდაცვა, ხელთ იგდო დაშლილი ახალი თვითმფრინავებით დატვირთული ეშე-

ლონი. სამწუხაროდ, მტრის ტყვიისაგან განგმირული კაპიტანი ი. ა. ფომინი იქვე დაეცა მამაცთა სიკვდილით.

იმავე დროს კაპიტან ნეჩაევის მეთაურობით ტანკისტები შეიჭრნენ ჰაეროდრომზე, სადაც იდგა ორასზე მეტი ასაფრენად გამზადებული სატრანსპორტო თვითმფრინავი, მაგრამ გაფრენა ვეღარ მოასწრეს. ისინი გადათელეს ჩვენმა ტანკებმა. კორპუსი ხუთი დღე და ღამე ინარჩუნებდა ტაცინსკაიას, შეუპოვრად განაგრძობდა ბრძოლას, მოწინააღმღეგის რეზერვებით გარშემორტყმული. 29 დეკემბერს დილით კორპუსმა მიიღო ნ. თ. ვატუტინის ბრძანება, გაარღვია ალყა და ვ. მ. ბადანოვის გაბედული და უნარიანი ხელმძღვანელობის მეოხებით სრული წესრიგით გადაინაცვლა ილინკისაკენ, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ უკვე წარჟატებით უტევდა მოროზოვსკს.

ვოლგისა და დონის რაიონში მტრის ჯარების საერთო განადგურების საქმეში მნიშვნელოვანი დამსახურებისათვის 24-ე კორპუსი გარდაიქმნა მე-2 გვარდიულ სატანკო კორპუსად და მიიღო ტაცინსკის საპატიო წოდება, ხოლო კორპუსის მეთაური ვ. მ. ბადანოვი ჩვენს ქვეყანაში პირველად იქნა დაჯილდოებული სუვოროვის II ხარისხის ორდენით. ბევრი ჯარისკაცი, მეთაური და პოლიტმუშაკი წარადგინეს მთავრობის ჯილდოებზე.

კოტელნიკოვოსა და მოროზოვსკის მიმართულებით სამხრეთ-დასავლეთისა და სტალინგრადის ფრონტის ჯარების წარმატებითმა დარტყმებმა საბოლოოდ გადაწყვიტა ალყაშემორტყმული პაულიუსის ჯარების ბედი სტალინგრადის რაიონში.

სამხრეთ-დასავლეთისა და სტალინგრადის ფრონტის ჯარებმა ბრწყინვალედ შეასრულეს მათ წინაშე დასახული ამოცანები და მტრის სწრაფი განადგურებით ჩაშალეს პაულიუსის ჯარების დებლოკირების მანშტაინის გეგმა. იანვრის დასაწყისში ნ. თ. ვატუტინის ჯარები გაიჭრნენ ნოვაია კალიტვა — კრიზსკოე — ჩერტკოეო — ვოლოშინო — მილეროვო-მოროზოვსკის ხაზზე და აშკარა საფრთხე შეუქმნეს კავკასიაში გერმანელთა მთელ დაჯგუფებას.

გერმანელთა ჯარების დამარცხებულმა კოტელნიკოვოს ჯგუფმა დეკემბრის ბოლოს დაიხია ციმლიანსკაია — ეუკოვსკაია — დუბოვსკოე — ზიმოვნიკის ხაზზე. ტორმოსინის ჯგუფმა სერიოზული ზარალი განიცადა და უკუიქცა ჩერნიშევსკაია — ლოზნოი — ციმლიანსკაიას ხაზზე.

ამგვარად, „დონის" არმიათა ჯგუფის სარდლის გენერალ-ფელდმარშალ მანშტაინის ცდა — გაერღვია ჩვენი გარე ფრონტი და გაეყვანა ალყიდან პაულიუსის ჯარები, საბოლოოდ ჩაიფუშა.

ეს უკვე შეიგნეს ალყაშემორტყმული ჯარების სარდლობამ და ჯარისკაცებმა. სასოწარკვეთამ და მისწრაფებამ — ეხსნათ თავი გარდაუვალი დალუპვისაგან, მასობრივი ხასიათი მიიღო. როდესაც გერმა-

ნელთა იმედები გადარჩენისა გაქარწყლდა, მაშინ ჰწარე გულგატეხილობამ მოიცვა ისინი...

დებლოკადის ცდის ჰიტლერულ სამხედრო-პოლიტიკურ ხელმძღვანელობას მთავარ ამოცანად მიაჩნდა არა ის, როგორ გადაერჩინა ალყაშემორტყმული და დასალუპად განწირული თავისი ჯარები, არამედ აეძულებინა ისინი, რაც შეიძლება მეტ ხახს ებრძოლათ ალყაში, შეეგოჭათ საბჭოთა ჯარები. მათთვის აუცილებელი იყო მოეგოთ დროის მაქსიმუმი კავკასიიდან ჯარების გასაყვანად და სხვა დანარჩენი ფრონტებიდანაც გადმოესროლათ ძალები ახალი ფრონტის შესაქმნელად, რომელიც მოახერხებდა, რამდენადმე მაინც შეეჩერებინა ჩვენი კონტრშეტევა.

უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკი, თავის მხრივ, ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა ბოლომდე მიეყვანა ალყაშემორტყმული დაჯგუფების განადგურება და გაენთავისუფლებინა ორი ფრონტის ჯარები, რომლებიც აუცილებელი იყო ჩვენი ქვეყნის სამხრეთში და კავკასიიდან გაყვანილი ჯარების სწრაფი განადგურებისათვის.

უმაღლესი მთავარსარდალი ყოველნაირად აჩქარებდა ფრონტების სარდლებს.

დეკემბრის ბოლოს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტში შედგა შემდგომი მოქმედების განხილვა.

უმაღლესმა მთავარსარდალმა წამოაყენა წინადადება:

—ალყაში მოქცეულ, მოწინააღმდეგის განადგურების ხელმძღვანელობა უნდა გადავიდეს ერთი კაცის ხელში. ამჟამად ფრონტების ორი სარდლის მოქმედება ხელს უშლის საქმის მსვლელობას.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრებმა, რომლებიც აქ იყვნენ, მხარი დაუჭირეს ამ მოსაზრებას.

— რომელ სარდალს დავავალოთ მოწინააღმდეგის საბოლოო ლიკვიდაცია?

ერთმა წინადადება შემოიტანა მთელი ჯარები გადაგვეცა კ. კ. როკოსოვსკის დაქვემდებარებაში.

— თქვენ რატომ დუმხართ? — მომმართა მთავარსარდალმა.

— ჩემი თვალსაზრისით ორივე სარდალი ღირსეულია, — ვუპასუხე მე. — ა. ი. ერიომენკოს, რასაკვირველია, ეწყინება, თუ სტალინგრადის ფრონტის ჯარებს კ. კ. როკოსოვსკის განკარგულებაში გადავცემთ.

— ახლა საწყენად ვისა სცალია! — მომიჭრა ი. ბ. სტალინმა და მიბრძანა დამერეკა ა. ი. ერიომენკოსთვის და განმეცხადებინა მისთვის კომიტეტის გადაწყვეტილება.

იმავე საღამოს მაღალი სიხშირის ტელეფონით დავურეკე ა. ი. ერიომენკოს და ვუთხარი:

— ანდრეი ივანეს ძეე, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა' გადაწყვიტა მოწინააღმდეგის სტალინგრადის დაჯგუფების საბოლოო ლიკვიდაცია დააკალოს კ. კ. როკოსოვსკის. ამიტომ სტალინგრადის ფრონტის 57-ე, 64-ე და 62-ე არმიები უნდა გადასცეთ დონის ფრონტის შემადგენლობას.

— რითაა ეს გამოწვეული? — შემეკითხა ა. ი. ერიომენკო.

მე ავუხსენი, რითაც იყო გამოწვეული ასეთი გადაწყვეტილება.

ყოველივე ამან, ეტყობა, ხასიათი გაუფუჭა ანდრეი ივანეს ძეს და იგრძნობოდა, აღარ შეეძლო საუბრის მშვიდად გაგრძელება. მე შევთავაზე, მოგვიანებით დაერეკა ჩემთვის. თხუთმეტი წუთის მერე ისევ გაისმა ზარის ხმა:

— ამხანაგო არმიის გენერალო, მე მაინც არ მესმის, რატომ ენიჭება უპირატესობა დონის ფრონტის სარდლობას. გთხოვთ მოახსენოთ ამხანაგ სტალინს ჩემი თხოვნა, დამტოვოს აქ მოწინააღმდეგის საბოლოო ლიკვიდაციამდე.

ჩემ წინადადებაზე — პირადად დაერეკა ამ საკითხის შესახებ მთავარსარდლისათვის, ა. ი. ერიომენკომ მიპასუხა.

— მე უკვე დავურეკე, მაგრამ პოსკრებიშევმა მითხრა, სტალინმა განკარგულება გასცა, ამ საკითხზე მოგმართონ მხოლოდ თქვენ.

მე მომიხდა მთავარსარდალთან დარეკვა და ა. ი. ერიომენკოს საუბრის გადაცემა. ი. ბ. სტალინმა, რასაკვირველია, გამომლანძღა და მითხრა, დაუყოვნებლივ გადამეგზავნა დირექტივა სტალინგრადის ფრონტის სამი არმიის კ. კ. როკოსოვსკის სარდლობაში გადაცემის თაობაზე. ასეთი დირექტივა მიცემულ იქნა 1942 წლის 30 დეკემბერს.

სტალინგრადის ფრონტის შტაბი სათავეში უნდა ჩადგომოდა ჯარების ჯგუფს, რომელიც მოქმედებდა კოტელნიკოვის მიმართულებით და განეგრძო მტრის ძალების განადგურება კოტელნიკოვის რაიონში.

მალე სტალინგრადის ფრონტი გადაკეთდა სამხრეთის ფრონტად და მოქმედებდა როსტოვის მიმართულებით.

უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის 1942 წ. 30 დეკემბრის დირექტივით დონის ფრონტის შემადგენლობას გადაეცა სტალინგრადის ფრონტის 62-ე, 64-ე და 57-ე არმიები.

1943 წლის 1 იანვრისთვის დონის ფრონტს თავის შემადგენლობაში ჰყავდა 212 ათასი აქტიური მებრძოლი, დაახლოებით 6500 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 250-ზე მეტი ტანკი და 300-მდე საბრძოლო თვითმფრინავი.

დეკემბრის ბოლოს ა. მ. ვასილევსკი უმთავრესად დაკავებული იყო კოტელნიკოვის, ტორმოსინის და მოროზოვსკის რაიონებში გერმანელთა ჯარების განადგურების საკითხებით. დონის ფრონტზე მთავარბანაკმა თავის წარმომადგენლად დანიშნა გენერალი ნ. ნ. ვორო-

ნოვი, რომელმაც ფრონტის სამხედრო საბჭოსთან ერთად წარმოადგინა გერმანელთა ჯარების ალყაში მოქცეული დაჯგუფების ლიკვიდაციის საბოლოო გეგმა.

გენერალურმა შტაბმა და მთავარბანაკმა განიხილა ეს გეგმა და თავის დირექტივაში გენერალ ნ. ნ. ვორონოვს მიუთითა:

„თქვენი წარმოდგენილი „ალყის" გეგმის მთავარი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ მთავარი და დამხმარე დარტყმები სხვადასხვა მხარესაა მიმართული და არსად არ მჭიდროვდება, რაც საეჭვოს ხდის ოპერაციის წარმატებას.

უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის აზრით, ოპერაციის პირველ ეტაპზე თქვენი მთავარი ამოცანაა გათიშოთ და გაანადგუროთ დასავლეთით ალყაშემორტყმული ჯარების დაჯგუფება კრავცოვ — ბაბურკინ-მარინოვკა — კარპოვკის რაიონში, რათა ჩვენი ჯარების დარტყმა დიმიტრევკა —საბჭოთა მეურნეობა № 1 — ბაბურკინის რაიონიდან შეგვებრუნებინა სამხრეთისაკენ, სადგურ კარპოვსკაიას რაიონისაკენ, ხოლო 57-ე არმიის დამხმარე დარტყმა კრავცოვ—სკლიაროვის რაიონიდან წარიმართოს მთავარი დარტყმის შესახვედრად და შეამჭიდროვოს ორივე დარტყმა სადგურ კარპოვსკაიას რაიონში.

ამასთან ერთად საჭიროა 66-ე არმიის დარტყმის ორგანიზება ორლოვკიდან დასახლება კრასნი ოქტიაბრის მიმართულებით, ხოლო ეს დარტყმა უნდა განამტკიცოს 62-ე არმიის დარტყმამ, რათა ამრიგად ორივე დარტყმით შემჭიდროვდეს და გაითიშოს ზავოდსკაიას რაიონი ბონინაალმდეგის ძირითადი დაჯგუფებისაგან.

მთავარბანაკი გიბრძანებთ ამ მითითებათა საფუძველზე გადაკეთდეს გეგმა. მთავარბანაკი ამტკიცებს თქვენ მიერ პირველი გეგმით შემოთავაზებულ ოპერაციის დაწყების ვადას.

ოპერაციის პირველი ეტაპი დამთავრდეს დაწყებიდან 5—6 დღის განმავლობაში.

მეორე ეტაპის ოპერაციის გეგმა წარმოადგინეთ გენერალური შტაბის მეშვეობით 9 იანვრისათვის, ამასთან ერთად გაითვალისწინეთ პირველი ეტაპის პირველი შედეგები.

ი. სტალინი

ბ. ჟუკოვი

№ 170718

28. XII. 1942 წ.[1]

1943 წლის იანვარში სამხრეთ-დასავლეთის და სტალინგრადის ფრონტებით გაძლიერებულმა გარე ფრონტმა დონის რაიონში 200—

[1] Архив МО СССР, ф. 132-А, оп. 2642, д. 31, лл. 314—315.

250 კილომეტრით წაიწია წინ დასავლეთისკენ. ალყაში მოქცეული გერმანელთა ჯარების მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. მათ გამოხსნის არავითარი პერსპექტივა არ გააჩნდათ. მატერიალური მარაგი გამოელიათ. ჯარები საშიმშილო ულუფას ღებულობდნენ. ჰოსპიტლები უზომოდ იყო გადატვირთული. დაჭრილებსა და ავადმყოფებს შორის სიკვდილიანობამ მკვეთრად იმატა. კატასტროფა გარდაუვალი იყო.

რათა შეეჩერებინა სისხლისღვრა, უმაღლესმა მთავარბანაკმა დონის ფრონტის არმიას უბრძანა — წაეყენებინა ულტიმატუმი მე-6 არმიისთვის დანებებულიყო ტყვედ საერთოდ მისაღები პირობებით. მიუხედავად გარდაუვალი კატასტროფისა ჰიტლერელთა სარდლობამ უარჰყო ჩვენი ულტიმატუმი და უბრძანა თავის ჯარისკაცებს, ებრძოლათ უკანასკნელ ვაზნამდე, ჰპირდებოდნენ გამოხსნას, რომელიც შეუძლებელი იყო. ეს კარგად ესმოდათ გერმანელ ჯარისკაცებსაც.

1943 წლის 10 იანვარს მძლავრი საარტილერიო მომზადების შემდეგ დონის ფრონტის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ იმ მიზნით, რომ გაერღვიათ მტრის დაჯგუფება და მოესპოთ ნაწილ-ნაწილ, მაგრამ სრულ წარმატებას ვერ მიაღწიეს.

22 იანვარს დამატებითი მომზადების შემდეგ დონის ფრონტის ჯარები კვლავ გადავიდნენ შეტევაზე. მტერმა ვერ გაუძლო დარტყმას და უკან დაიხია. ამ ბრძოლებში საუკეთესო შედეგებს მიაღწია 57-ე არმიამ გენერალ თ. ი. ტოლბუხინის სარდლობით და გენერალ ა. ს. ჟადოვის 66-ე არმიამ.

თავის მოგონებებში პაულიუსის მე-6 არმიის ოფიცერი-მზვერავი ასე აღწერს საბჭოთა ჯარების დარტყმის შედეგად გერმანელთა ნაწილების უკანდახევას:

„ჩვენ იძულებული ვიყავით მთელი ფრონტით დაგვეწყო უკანდახევა... მაგრამ უკანდახევა გაქცევაში გადაიზარდა... აქა-იქ იფეთქა პანიკამ... ჩვენი გზა მოფენილი იყო გვამებით, რომელთაც ქარბუქი, თითქოსდა ებრალებაო, სწრაფად ფარავდა თოვლით... ჩვენ უკვე უკან ვიხევდით ბრძანების მიუღებლად". შემდეგ: „ცდილობდნენ რა გაესწროთ სიკვდილისათვის, რომელიც იოლად გვეწეოდა და უამრავი მსხვერპლი გამოჰყავდა მწყობრიდან, არმია მეიდროვდებოდა ერთ ციდა ჯოჯოხეთურ ადგილზე"[1].

31 იანვარს საბოლოოდ იქნა განადგურებული გერმანელთა ჯარების სამხრეთის დაჯგუფება. მისი ნარჩენები მე-6 არმიის სარდლის გენერალ-ფელდმარშლის პაულიუსის ხელმძღვანელობით ტყვედ ჩავარდა, ხოლო 2 თებერვალს ტყვედ წამოიყვანეს ჩრდილოეთის ჯგუფის ნარჩენებიც. ამით მთლიანად დაგვირგვინდა უდიდესი ბრძოლა

---

[1] И. Вндер. Катастрофа на Волге. М., 1965. стр. 95, 102.

ვოლგაზე, სადაც კატასტროფულად დაასრულეს თავისი არსებობა გერმანელთა ჯარების უმსხვილესმა დაჯგუფებამ, აგრეთვე ფაშისტური გერმანიის სატელიტებმა.

ბრძოლა სტალინგრადის რაიონში განსაკუთრებით მძაფრი იყო. პირადად მე მას მოსკოვისთვის ბრძოლას ვადარებ. 1942 წლის 19 ნოემბრიდან 1943 წლის 2 თებერვალამდე განადგურდა 32 დივიზია და 3 ბრიგადა. 16 დივიზიამ დაკარგა პირადი შემადგენლობის 50-დან 75 პროცენტამდე.

მტრის ჯარების საერთო დანაკარგი ვოლგა-დონის და სტალინგრადის რაიონებში შეადგენდა დაახლოებით 1,5 მილიონ კაცს, 3500 ტანკს და საიერიშო ქვემეხს, 12000 ქვემეხსა და ნაღმტყორცნს, 3 ათას თვითმფრინავს და სხვა დიდძალ ტექნიკას. ძალათა და საშუალებათა ასეთმა დანაკარგმა კატასტროფულად იმოქმედა საერთო სტრატეგიულ ვითარებაზე და ძირფესვიანად შესძრა ჰიტლერული გერმანიის სამხედრო მანქანა.

რამ მიიყვანა გერმანელთა ჯარები ასეთ კატასტროფულ განადგურებამდე და რამ შეუწყო ხელი ჩვენს ისტორიულ გამარჯვებას?

1942 წლის ჰიტლერული სტრატეგიული ყველა გეგმის ჩაშლა წარმოადგენდა იმის შედეგს, რომ სწორად ვერ შეაფასეს საბჭოთა სახელმწიფოს შესაძლებლობანი და ძლიერება, მისი ხალხის დაუშრეტელი პოტენციური და სულიერი ძალები, ხოლო გერმანელები გაღაჭარბებით აფასებდნენ თავიანთ ძალებსა და უნარს.

გერმანელთა ჯარების განადგურების უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენდა ოპერატიულ-ტაქტიკური მოულოდნელობის, მარჯვე ორგანიზაცია ოპერაციებში: „ურანი", „მცირე სატურნი" და „ალყა", მთავარი დარტყმების მიმართულების სწორი მიგნება, მტრის თავდაცვაში სუსტი ადგილების ზუსტი განსაზღვრა. უდიდესი როლი ითამაშა საჭირო ძალებისა და საშუალებების სწორმა გაანგარიშებამ ტექნიკური თავდაცვის სწრაფი გარღვევისათვის, ოპერატიული გარღვევის აქტიურმა განვითარებამ მტრის ძალების მთავარი დაჯგუფების საბოლოოდ ალყაში მოქცევისათვის.

მტრის ალყაში მოქცევის დასაგვირგვინებლად მოქმედებათა სწრაფი წარმართვისათვის და მისი განადგურებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სატანკო, მექანიზებულ ჯარებს და ავიაციას.

კონტრშეტევის მთელი პრაქტიკული მომზადება სარდლობის და შტაბების მიერ ტარდებოდა განსაკუთრებული გულმოდგინებით და ღრმა გააზრებით, ხოლო კონტრშეტევის პროცესში ჯარების მართვა ყველა რგოლში გამოირჩეოდა მიზანსწრაფულობით, ურყევობით და წინდახედულობით.

მტრის ჯარების განადგურების წარმატებით განხორციელებაში

მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სამხედრო საბჭოების, პოლიტორგანოების, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციებისა და სარდლობის პარტიულ-პოლიტიკურმა მუშაობამ, რამაც მებრძოლებში აღზარდა საკუთარი ძალებისადმი რწმენა, მამაცობა, გამბედაობა და მასობრივი გმირობა საბრძოლო ამოცანების გადაწყვეტისას.

ჩვენი ჯარების სტალინგრადთან გაძარჯვება ნიშნავდა ომში ძირეულ გარდატეხას საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ და ჩვენი ტერიტორიიდან მტრის ჯარების განდევნის დასაწყისს.

ეს იყო არა მარტო დიდი ხნის ნანატრი და სასიხარულო გამარჯვება ჩვენი ჯარებისა, რომლებმაც უშუალოდ განახორციელეს მტრის განადგურება, არამედ მთელი საბჭოთა ხალხისაც, რომელიც დღითა და ღამით შეუპოვრად მუშაობდა, რათა არმია უზრუნველეყო ყოველგვარი აუცილებელი საჭიროებით. რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის, ბალტიისპირეთის, კავკასიის, უზბეკეთის, შუააზიის ერთგულმა შვილებმა სიმტკიცითა და მასობრივი გმირობით უკვდავი დიდება დაიმსახურეს.

გენერლებისა და ოფიცრების შემადგენლობაში, აგრეთვე გერმანელ ხალხში უფრო მკვეთრად იჩინა თავი პირადად ჰიტლერისა და მთელი ფაშისტური ხელმძღვანელობის მიმართ უარყოფითმა დამოკიდებულებამ. გერმანელმა ხალხმა თანდათან შეიგნო, რომ ჰიტლერმა და მისმა ხროვამ ქვეყანა აშკარა ავანტურაში ჩაითრია და რომ მათ მიერ დაპირებული გამარჯვებანი დასამარდნენ მის ჯარებთან ერთად დონზე, ვოლგაზე და ჩრდილოეთ კავკასიაში კატასტროფისას.

„სტალინგრადთან დამარცხებამ, — როგორც ამის შესახებ წერს გენერალ-ლეიტენანტი ვესტფალი, — შემაძრწუნებელ მდგომარეობაში ჩააგდო როგორც გერმანელი ხალხი, ისე მისი არმია. ადრე, გერმანიას მთელი თავისი ისტორიის მანძილზე, არ ჰქონია შემთხვევა ესოდენ დიდი რაოდენობის ჯარების საშინელი დაღუპვისა".

ვოლგასა და დონზე გერმანიის, იტალიისა და უნგრეთის არმიათა განადგურების შედეგად მკვეთრად დაეცა მოკავშირეებზე გერმანიის ადრინდელი გავლენა. დაიწყო უთანხმოებანი, შეხლა-შემოხლა, რაც შედეგი იყო ჰიტლერული ხელმძღვანელობისადმი რწმენის დაკარგვისა და სურვილისა — როგორმე თავი დაეღწიათ ომის ქსელიდან, რომელშიც ჰიტლერმა ჩაითრია ისინი.

ნეიტრალურ ქვეყნებსა და იმ სახელმწიფოებში, სადაც ჯერ კიდევ განაგრძობდნენ ლოდინის ტაქტიკას, გამომაფხიზლებლად იმოქმედა გერმანელთა განადგურებამ და აიძულა ისინი ეღიარებინათ საბჭოთა კავშირის უძლეველობა და ჰიტლერული გერმანიის გარდუვალი განადგურება.

საყოველთაოდ ცნობილია, როგორი სიხარულის ტალღად გადა-

უარა მთელ მსოფლიოს სტალინგრადის რაიონში გერმანელთა ჯარების განადგურების ცნობამ და როგორ აღაფრთოვანა ხალხი ფაშისტ ოკუპანტებთან შემდგომი ბრძოლისათვის.

პირადად ჩემთვის სტალინგრადის დაცვას, კონტრშეტევის მომზადებას და ქვეყნის სამხრეთში ოპერაციების საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობას განსაკუთრებით სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა. მე აქ გაცილებით უფრო დიდი პრაქტიკა მივიღე კონტრშეტევის ორგანიზაციაში, ვიდრე 1941 წელს მოსკოვის რაიონში, სადაც განსაზღვრულმა ძალებმა საშუალება არ მოგვცა განგვეხორციელებინა კონტრშეტევა მტრის დაჯგუფებათა ალყაში მოსაქცევად.

სტალინგრადის რაიონში კონტრშეტევათა წარმატებითი საერთო ხელმძღვანელობისათვის და ამასთანავე მიღწეული დიდი მასშტაბის შედეგებისათვის მე სხვებთან ერთად დამაჯილდოვეს სუვოროვის I ხარისხის ორდენით.

სუვოროვის I ხარისხის ორდენის მიღება ჩემთვის წარმოადგენდა არა მარტო დიდ პატივს, არამედ იგი მავალებდა — მემუშავა უკეთესად, რათა უფრო სწრაფად მოახლოებულიყო მტრის სრული განადგურების საათი, ჩვენი სრული გამარჯვება. სუვოროვის I ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს ა. მ. ვასილევსკი. სუვოროვის I ხარისხის ორდენებით დაჯილდოვდნენ ნ. ნ. ვორონოვი, ნ. თ. ვატუტინი, ა. ი. ერიომენკო, კ. კ. როკოსოვსკი. მთავრობის ჯილდოებით დაჯილდოვდა აგრეთვე გენერლების, ოფიცრების, სერჟანტებისა და ჯარისკაცების დიდი ჯგუფი.

სტალინგრადის რაიონში, დონსა და კავკასიაში გერმანელთა ჯარების წარმატებით განადგურებამ შექმნა ხელსაყრელი პირობები შეტევის გასაშლელად ყველა ფრონტზე სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით.

დონისა და ვოლგის რაიონში მტრის ჯარების განადგურების შემდეგ წარმატებით ჩატარდა ოსტროგოჟ — როსოშანსკაიას და ვორონეჟ-კასტორნენსკაიას ოპერაციები. საბჭოთა ჯარებმა განავითარეს ზამთრის შეტევა დასავლეთისკენ და დაიკავეს როსტოვი, ნოვოჩერკასკი, კურსკი, ხარკოვი და რიგი სხვა მნიშვნელოვანი რაიონები. ჰიტლერელთა ჯარების საერთო-სტრატეგიული ვითარება მკვეთრად გაუარესდა საბჭოთა კავშირ-გერმანიის მთელ ფრონტზე.

1943 წლის იანვრის დასაწყისში მთავარბანაკმა მე და კ. ე. ვოროშილოვს დაგვავალა ლენინგრადის და ვოლხოვის ფრონტების მოქმედებათა კოორდინაცია — ლენინგრადის ბლოკადის გასარღვევად ლადოგის ტბის რაიონში.

ოპერაციის ჩანაფიქრი ითვალისწინებდა სინიავინსკი-შლისელბურგის გერმანელთა ჯარების დაჯგუფების განადგურებას, ლადოგის

ტბიდან სამხრეთისკენ შვერილის ლიკვიდაციას და ლენინგრადთან სახმელეთო კავშირის უზრუნველყოფას.

სინიავინსკი-შლისელბურგის შვერილს იცავდა მოწინააღმდეგის მე-18 არმია, რომელმაც აქ შექმნა ღრმად ეშელონირებული თავდაცვა. ლენინგრადის ფრონტის ჯარებს სარდლობდა გენერალი ლ. ა. გოვოროვი, სამხედრო საბჭოს წევრი ა. ა. ჟდანოვი, ფრონტის შტაბის უფროსი გენერალი დ. ნ. გუსევი; ვოლხოვის ფრონტს — გენერალი კ. ა. მერცკოვი, შტაბის უფროსი ვ. ნ. შაროხინი.

ორივე ფრონტის ჯარების შეტევა მთელი გულმოდგინებით მომზადდა, რადგან იგი ტორფიან ჭაობებში უნდა ჩატარებულიყო და გადაგველახა ნევის ციცაბო ნაპირები.

12 იანვარს ლენინგრადისა და ვოლხოვის ფრონტის ჯარებმა ძლიერი დარტყმა აგემეს გერმანელთა თავდაცვას სახმელეთო და საჰაერო ძალებით, რომელსაც მხარს უჭერდა ბალტიის ფლოტის წითელდროშოვანი ავიაცია.

საბჭოთა მებრძოლები, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ ეხსნათ ლენინგრადელები მძიმე ბლოკადისაგან, განსაკუთრებული სიმამაცით იბრძოდნენ.

1943 წლის 18 იანვარს 7 დღე-ღამის ბრძოლის შემდეგ, ლენინგრადისა და ვოლხოვის ფრონტის ჯარები შეერთდნენ მუშათა დასახლების № 1 და მე-5 რაიონებში. ალყა გარღვეულ იქნა.

ამ დროს მე № 1 დასახლების რაიონში ვიმყოფებოდი და ვუყურებდი, როგორ სიხარულით შეეგებნენ ერთმანეთს ამ ფრონტების მებრძოლები, რომლებმაც გაარღვიეს ბლოკადა. სინიავინსკის რაიონის მაღლობებიდან, მოწინააღმდეგის საარტილერიო ცეცხლის მიუხედავად, ჯარისკაცები ერთმანეთს მკერდში იკრავდნენ. ეს ჭეშმარიტად დიდი ხნის ნანატრი სიხარული იყო. ბლოკადის გარღვევა მთელი საბჭოთა ხალხისათვის დიდ სამხედრო-პოლიტიკურ მოვლენას წარმოადგენდა. ჰიტლერის გეგმები — მოეხრჩო ლენინგრადელები შიმშილით, ჩაიფუშა.

აქვე მინდა აღვნიშნო ის უზარმაზარი მუშაობა, რომელიც ბლოკადის დღეებში გასწიეს ლენინგრადის პარტიულმა ორგანიზაციამ, ფრონტებისა და არმიების სამხედრო საბჭოებმა, რომელთა წევრები იყვნენ ა. ა. ჟდანოვი, ვ. პ. მეკანანაძე, გ. პ. რომანოვი, პ. ა. ტიურკინი და სხვები.

18 იანვარს, ბლოკადის გარღვევის დამთავრების დღეს, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საბჭოთა კავშირის მარშლის წოდება მომენიჭა.

20 იანვარს კ. ე. ვოროშილოვთან ერთად ლენინგრადს გავემგზავრეთ. ჩვენ გულის სიღრმემდე შეგვძრა იმან, რომ ადამიანებთან შეხვედ-

რისას და საუბრისას არავინ უჩიოდა ბლოკადის დღეებში გადატანილ სიძნელეებს. მათი ფიქრი იქით იყო მიმართული, რათა სწრაფად მოგვიხდინა ლენინგრადში მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა გადატანის ორგანიზაცია — ჩვენი ჯარებისათვის საჭირო ტექნიკის საწარმოებლად და შესაკეთებლად.

ეს იყო ლენინის პარტიის მიერ აღზრდილი საბჭოთა ხალხის ძალისა და ძლევამოსილების გამოვლინება, ხალხისა, რომლის დამარცხება არც ერთ აგრესორს არ შეუძლია.

თავი მეთხუთმეტე

ფაშისტთა ჯარების განადგურება კურსკის, ორიოლის, ხარკოვის რაიონში

ამგვარად, ვოლხოვისა და ლენინგრადის ფრონტის ჯარების მიერ ლენინგრადის ბლოკადის გარღვევა წარმოადგენდა 1942/43 წლის ზამთრის კამპანიის უდიდეს მოვლენას, უდიდეს საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენას. ჩრდილო დასავლეთის ფრონტზე, დემიანსკის რაიონში, მტრის ლიკვიდაციის შემდეგ ჩვენი ჯარები მიადგნენ მდინარე ლოვაცს. დასავლეთის ფრონტის ჯარებმა უკუაგდეს მოწინააღმდეგე რეევ — ვიაზმის რაიონიდან, დაიკავეს დუხოვჩინა — სპას-დემენსკის მიჯნა.

1943 წლის მარტის შუა რიცხვებში ვითარება ყველა ფრონტზე საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ შეიცვალა. ვოლგაზე, დონსა და ჩრდილო კავკასიის რაიონში გერმანიის, რუმინეთის, იტალიისა და უნგრეთის ჯარების განადგურების შემდეგ მოწინააღმდეგემ კოლოსალური დანაკარგი განიცადა და მარტის შუა რიცხვებში უკან დაიხია სევსკი — რილსკი — სუმი-ახტირკა — კრასნოგრადი—სლავიანსკი—ლისიჩანსკი — ტაგანროგის ხაზზე.

სტალინგრადთან (1942 წლის ნოემბერი) კონტრშეტევაზე გადასვლის მომენტიდან 1943 წლის მარტამდე საბჭოთა ჯარებმა საბოლოო ანგარიშით გაანადგურეს 100-ზე მეტი მტრის დივიზია. რასაკვირველია, ეს დიდი გამარჯვებები ჩვენს მებრძოლებს და საბჭოთა ხალხს იოლად არ მოუპოვებიათ. ჩვენც ასევე დიდი დანაკარგი განვიცადეთ.

ფრონტებზე სიწყნარე ჩამოვარდა. მარტო ვორონეჟის, სამხრეთ-დასავლეთის, სამხრეთ ფრონტების უბნებზე და ყუბანში ჯერ კიდევ გრძელდებოდა მძაფრი ბრძოლები.

რათა არ დაეშვა თავისი ჯარების მდგომარეობის გაუარესება ფრონტის სამხრეთ ფლანგზე, გერმანელთა მთავარსარდლობამ თავი მოუყარა დამატებით ძალებს და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის წინააღმდეგ კონტრშეტევა წამოიწყო. ამ შეტევის მიზანი იყო დაეხვევინებინა ფრონტისთვის ჩრდილოეთ დონეცის გაღმა, შემდეგ გაეძლიერე-

ბინა თავდაცვა ჩრდილოეთ დონეცზე, დაერტყა ვორონეჟის ფრონტის ჯარებისათვის და ხელთ ეგდო ხარკოვი და ბელგოროდი.

როგორც შემდეგში ნადავლი დოკუმენტებით გახდა ცხობილი, ჰიტლერის სარდლობა ვარაუდობდა ხელსაყრელი პირობების შექმნის შემთხვევაში გაეფართოებინა თავისი ჯარებია მოქმედება კურსკის რკალის ლიკვიდაციისათვის.

მარტის დასაწყისში მოწინააღმდეგემ ლიუბოტინის რაიონიდან ძლიერი კონტრდარტყმა მიაყენა ვორონეჟის ფრონტის მარცხენა ფრთის ჯარებს; ჩვენმა ჯარებმა ზარალი განიცადეს და უკან დაიხიეს. 16 მარტს მოწინააღმდეგემ კვლავ დაიბრუნა ხარკოვი და განავითარა დარტყმა ბელგოროდის მიმართულებით.

იმ დროს მე ვიმყოფებოდი ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე, რომელსაც საბჭოთა კავშირის მარშალი ს. კ. ტიმოშენკო სარდლობდა. ფრონტის ჯარები მიადგნენ მდინარე ლოვაცს და მოემზადნენ მისი ფორსირებისათვის.

ზუსტად არ მახსოვს, მგონი, 13 თუ 14 მარტს, სამეთაურო პუნქტში ი. ბ. სტალინმა დარეკა.

მე უმაღლეს მთავარსარდალს გავაცანი ლოვაცზე არსებული ვითარება და მოვახსენე, რომ ადრეულმა არნახულმა თოვლის დნობამ მდინარე ძნელად გადასალახავი გახადა და, როგორც ჩანს, ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის ჯარებს დროებით მოუწევთ შეწყვიტონ შეტევითი მოქმედება.

უმაღლესი მთავარსარდალი დამეთანხმა. რამდენიმე შეკითხვა კიდევ მომცა ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე მოვლენათა მოსალოდნელი განვითარების თაობაზე. ი. ბ. სტალინმა საუბრის დასასრულს მითხრა, რომ დასავლეთის ფრონტის სარდლობა დაევალა ვ. დ. სოკოლოვსკის.

მე წინადადება მივეცი, ი. ს. კონევი, რომელიც აქამდე დასავლეთის ფრონტს სარდლობდა, ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის სარდლად დაენიშნა, ხოლო ს. კ. ტიმოშენკო მთავარბანაკის წარმომადგენლად გაეგზავნა, რათა დახმარება გაეწია სამხრეთისა და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტებისათვის. იგი კარგად იცნობდა ამ რაიონებს, და ახლა იქ ბოლო ხანებში ჩვენი ჯარებისათვის კვლავ არახელსაყრელი ვითარება შეიქმნა.

— კარგი, —მითხრა ი. ბ. სტალინმა, — მე ვეტყვი პოსკრებიშევს, რომ კონევმა დაგირეკოთ და თქვენ მისცემთ მას ყველა მითითებას, ხვალ კი მთავარბანაკში გამოემგზავრეთ. უნდა განვიხილოთ სამხრეთ-დასავლეთის და ვორონეჟის ფრონტების ვითარება.

— შესაძლოა, — დასძინა მან, — თქვენ მოგიხდეთ ხარკოვის რაიონში გამგზავრება.

რამდენიმე ხნის შემდეგ დამირეკა ი. ს. კონევმა.

— რა მოხდა ივანე სტეფანეს ძეე?

— თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა დასავლეთის ფრონტის სარდლობიდან გამანთავისუფლა. ფრონტის სარდლად დანიშნულია ამხ. ვ. დ. სოკოლოვსკი.

— უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებით თქვენ ინიშნებით ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის სარდლად, ს. კ. ტიმოშენკოს ნაცვლად, რომელიც ჩვენი ფრონტის სამხრეთ ფრთაზე უნდა გაიგზავნოს.

ი. ს. კონევმა მადლობა გადამიხადა და მითხრა, ხვალ დილითვე გავემგზავრები ახალი დანიშნულების ადგილზეო. მეორე დღეს, დილით, მთავარბანაკში გავემგზავრე.

მოსკოვში იმავე დღეს გვიან საღამოს ჩავედი. საშინლად დავიღალე გზაში, რადგან მგზავრობა დანგრეული გზებით, უველგანმავალით მომიხდა.

ა. ნ. პოსკრებიშევმა ტელეფონით მაცნობა, რომ ი. ბ. სტალინმა შეკრიბა ამხანაგების დიდი ჯგუფი, რათა განეხილათ მეტალურგიის, საბრძოლო, ელექტროენერგიის, საავიაციო და ტანკსაშენებელი ქარხნების საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები. ნაბრძანები იყო, დაუყოვნებლივ მივსულიყავი თათბირზე. ზეზეულად წავიხემსე და კრემლისკენ გავეშურე.

უმაღლესი მთავარსარდლის კაბინეტში პოლიტბიუროს წევრებს გარდა თავი მოეყარათ უწყებათა ხელმძღვანელებს, კონსტრუქტორებს და მთელი რიგი მსხვილი ქარხნების დირექტორებს. მათი მოხსენებებიდან ნათლად იგრძნობოდა მრეწველობაში ჯერ კიდევ არსებული დიდი დაძაბულობა, მათ შორის ისეთ მნიშვნელოვან ქარხნებშიც კი, როგორიც იყო საავიაციო და საარტილერიო ქარხნები. ამერიკის შეერთებული შტატებიდან ლენდ-ლიზით აღთქმული დახმარება ცუდად მოდიოდა.

თათბირი უმაღლეს მთავარსარდალთან ღამის სამი საათის შემდეგ დამთავრდა. თათბირის მონაწილეთაგან ვინ ცენტრალურ კომიტეტს მიაშურა, ვინ სახკომსაბჭოს, ვინ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს. რათა გამოენახათ რესურსები და სწრაფად მიეღოთ ზომები მრეწველობის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

თათბირის შემდეგ ი. ბ. სტალინი მომიახლოვდა და მითხრა:

— ისადილეთ?

— არა.

— მაშინ ჩემთან წავიდეთ, თანაც მოვილაპარაკოთ ხარკოვის რაიონის მდგომარეობაზე.

სადილობისას გენერალური შტაბიდან ვორონეჟისა და სამხრეთ-დასავლეთის უბნებზე არსებული ვითარების რუკა მოიტანეს. ვორო-

ნეჟის ფრონტზე მიმაგრებულმა გენერალური შტაბის წარმომადგენელმა მოგვახსენა, რომ 16 მარტისათვის იქ მდგომარეობა უკიდურესად გაუარესდა. მას შემდეგ, რაც მოწინააღმდეგის ჯავშანსატანკო და მოტორიზებული ნაწილები კრამატორსკის რაიონიდან შეტევაზე გადმოვიდნენ, სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ნაწილებს დონეცს გაღმა დაახევინეს და ხარკოვის სამხრეთ-დასავლეთით მძიმე მდგომარეობა შეიქნა.

პოლტავისა და კრასნოგრადის რაიონიდან მოწინააღმდეგის ნაწილები ერთდროულად გადმოვიდნენ შეტევაზე. ნ. თ. ვატუტინმა უკან დაახევინა წინ გაპრილ მე-3 სატანკო და 69-ე არმიებს, რითაც უფრო შეამჭიდროვა საბრძოლო რიგები ხარკოვის დასავლეთითა და სამხრეთ-დასავლეთით. ვორონეჟის ფრონტმა არ განახორციელა მათი გაყვანა.

— რატომ არ მიუთითა გენერალურმა შტაბმა? — შეეკითხა უმაღლესი მთავარსარდალი.

— ჩვენ ვურჩიეთ, — გვიპასუხა ოფიცერმა.

— გენერალური შტაბი უნდა ჩარეულიყო ფრონტის ხელმძღვანელობაში, — დაეინებით შენიშნა ი. ბ. სტალინმა. შემდეგ, ერთხანს დაფიქრდა და მომიბრუნდა: — დილით ფრონტზე გაფრენა მოგიწევთ.

უმაღლესმა მთავარსარდალმა მაშინვე დაურეკა ვორონეჟის ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრს ნ. ს. ხრუშჩოვს, მკაცრად შეახურა იგი მოწინააღმდეგის კონტრშეტევის წინააღმდეგ სამხედრო საბჭოს მიერ ზომების მიუღებლობისათვის.

როდესაც გათავისუფლა ვორონეჟის ფრონტზე მიმაგრებული გენერალური შტაბის წარმომადგენელი, მთავარსარდალმა მითხრა:

— სადილი მაინც უნდა დავამთავროთ.

უკვე დილის 5 საათი იყო...

ნასადილევს, უფრო სწორად, ნასაუზმევს, თავდაცვის სახალხო კომისარიატში წასვლის ნებართვა ვითხოვე, რათა მოვმზადებულიყავი ვორონეჟის ფრონტზე გასაფრენად. დილის 7 საათზე ცენტრალურ აეროდრომზე ვიყავი და ვორონეჟის ფრონტის შტაბში გავფრინდი. როგორც კი თვითმფრინავში ჩავჯექი, მაგრად ჩამეძინა და აეროდრომზე თვითმფრინავის დაშვების ბიძგმა გამომაღვიძა.

იმავე დილას ვორონეჟის ფრონტის შტაბიდან „ვეჩეთი" დავურეკე ი. ბ. სტალინს და გავაცანი ვითარება. იგი იმაზე უარესი იყო, რაც დილით მოგვახსენა გენერალური შტაბის წარმომადგენელმა. ხარკოვის აღების შემდეგ მოწინააღმდეგის ნაწილებმა განსაკუთრებული დაბრკოლების გარეშე წინ წაიწიეს ბელგოროდის მიმართულებით და დაიკავეს კაზაჩაია ლოპანი.

— აუცილებელია, — მოვახსენე მე უმაღლეს მთავარსარდალს, —

სასწრაფოდ დასძრათ აქეთ მთავარბანაკისა და მეზობელი ფრონტების განკარგულებაში არსებული რეზერვები, წინააღმდეგ შემთხვევაში გერმანელები ხელთ იგდებენ ბელგოროდს და განავითარებენ დარტყმას კურსკის მიმართულებით.

ერთი საათის შემდეგ ა. მ. ვასილევსკთან საუბარში შევიტყვე, რომ უმაღლესმა მთავარსარდალმა მიიღო გადაწყვეტილება და უკვე გასცა განკარგულება ბელგოროდის რაიონისკენ 21-ე, 1-ლი სატანკო და 64-ე არმიების წინ წაწევის თაობაზე. სატანკო არმია ჩემს რეზერვში ჩადგა.

18 მარტს ბელგოროდი დაიკავა ესესელთა სატანკო კორპუსმა, მაგრამ მოწინააღმდეგეს ჩრდილოეთისკენ გარღვევა უკვე აღარ შეეძლო.

52-ე გვარდიული დივიზიის მეთაურის გენერალ ნესტორ დიმიტრის ძე კოზინის პირადი მოხსენებიდან შემდეგი შევიტყვე:

21-ე არმიის სარდლის გენერალ ი. მ. ჩისტიაკოვის განკარგულებით ბელგოროდისკენ დაიძრა არმიის მეწინავე რაზმი 155-ე მსროლელთა გვარდიული პოლკის მეთაურ პოდპოლკოვნიკ გ. გ. პანტიუხოვის ხელმძღვანელობით, რათა დახვედროდნენ მოწინააღმდეგეს და ხელთ ეგდოთ ტყვეები.

ბელგოროდის მიმართულებით წასულმა მეწინავე რაზმმა შეამჩნია მოწინააღმდეგე და ჩაუსაფრდა შაპინოს რაიონში (ბელგოროდის ჩრდილოეთით). მათ ბრძოლისას ხელთ იგდეს ტყვეები, რომლებიც „მკვდარი თავის" სატანკო დივიზიას ეკუთვნოდნენ. როგორც გამოირკვა, მოწინააღმდეგის რაზმი ობოიანისკენ მოიწევდა.

18 მარტს დღის ბოლოს 52-ე დივიზიის მთავარმა ძალებმა დაიკავეს თავდაცვა ბელგოროდის ჩრდილოეთით და წინ წამოსწიეს საბრძოლო დაცვა. შემდგომ, რანაირად არ ცდილობდა მოწინააღმდეგე ჩვენი გვარდიელების ძლევას, მაგრამ, ვერაფერს გახდა. 52-ე დივიზიის მარჯვნივ თავდაცვა დაიკავა 67-ე გვარდიულმა მსროლელმა დივიზიამ, მარცხნივ განლაგდა 375-ე მსროლელთა დივიზია.

52-ე დივიზიის მეთაურის მოხსენებით, ბელგოროდის ჩრდილოეთით წარმოებულ ბრძოლებში განსაკუთრებით ისახელეს თავი 153-ე პოლკის მეთაურმა პოდპოლკოვნიკმა პ. ს. ბაბიჩმა, დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსმა პოდპოლკოვნიკმა ი. ს. ვორონოვმა, 151-ე მსროლელთა პოლკის პოდპოლკოვნიკმა ი. ფ. იუდიჩმა. 20 მარტს დივიზიის მრავალ მებრძოლს პირადად გადაეცი საბრძოლო ჯილდოები.

20—21 მარტს 21-ე არმიის ძირითადმა ძალებმა ბელგოროდის ჩრდილოეთით შექმნეს მტკიცე თავდაცვა, ხოლო ობოიანის სამხრეთით თავი მოუყარეს 1-ლ სატანკო არმიის ჯარებს.

გერმანელ ფაშისტთა ჯარების მრავალგზის ცდას — მარტის ბო-

ლოს გაერღვიათ ჩვენი ჯარების თავდაცვა ბელგოროდის რაიონში და ჩრდილოეთ დონეცზე, სადაც ამ დროს გაშლილი იყო 64-ე არმია, შედეგი არ მოჰყოლია. მოწინააღმდეგემ დიდი დანაკლისი განიცადა და გამაგრდა მიღწეულ მიჯნაზე.

ამ მომენტიდან მდგომარეობა კურსკის რკალის რაიონში სტაბილური ხდება. ორივე მხარე ემზადებოდა გადამწყვეტი შეტაკებისთვის.

რათა გაეძლიერებინა ვორონეჟის ფრონტის ხელმძღვანელობა, უმაღლესმა მთავარსარდალმა ბრძანა, მისი სარდლობა დაეკისრებინათ გენერალ-პოლკოვნიკ ნ. თ. ვატუტინისთვის. ჩაუდგა რა სათავეში სარდლობას, ნიკოლოზ თევდორეს ძემ მისთვის დამახასიათებელი ენერგიით მოჰკიდა ხელი ფრონტის ჯარების განმტკიცებას და ღრმად ეშელონირებული თავდაცვის შექმნას.

მარტის ბოლოსა და აპრილის დასაწყისში მე და ნ. თ. ვატუტინმა შემოვიარეთ ფრონტის ყველა ნაწილი. ნაწილებისა და შენაერთების მეთაურებთან ერთად ავწონ-დავწონეთ ვითარება, დავაზუსტეთ ამოცანები და აუცილებელი ღონისძიებანი იმ შემთხვევისათვის თუ მოწინააღმდეგე შეტევაზე გადმოვიდოდა. მე განსაკუთრებით მაშფოთებდა 52-ე გვარდიული მსროლელთა დივიზიის უბანი, სადაც ორჯერ ვიყავი ამ ხნის განმავლობაში. ჩემი ვარაუდით, ამ დივიზიას მოუხდებოდა მოწინააღმდეგის მთავარი დარტყმის გადატანა. ფრონტების და არმიების სარდლებიც ამავე აზრისანი იყვნენ და გადავწყვიტეთ, ყოველნაირად გაგვემაგრებინა ეს საპასუხისმგებლო უბანი საარტილერიო საშუალებებით.

უკვე დრო იყო მოგვემზადებინა წინასწარი მოსაზრებანი კურსკის ბრძოლის გეგმაზე.

გენერალური შტაბის უფროს ა. მ. ვასილევსკისთან და ფრონტების სარდლებთან მოლაპარაკების შედეგად განვახორციელეთ მრავალი ღონისძიება მოწინააღმდეგის საგულდაგულოდ დაზვერვის ორგანიზაციისათვის — ცენტრალური, ვორონეჟის და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტების უბნებზე. ა. მ. ვასილევსკიმ დაავალა სადაზვერვო სამმართველოს და პარტიზანული მოძრაობის ცენტრალურ შტაბს, გამოერკვიათ მტრის ჯარების სიღრმეში რეზერვების რაოდენობა და განლაგება. საფრანგეთიდან, გერმანიიდან და სხვა ქვეყნებიდან გადმოსროლილი ჯარების დაჯგუფება და თავმოყრა.

საერთოდ, მტერზე ჩვენი დარტყმების სიმძლავრე მნიშვნელოვნად იზრდებოდა პარტიზანული არმიების მოქმედებით. რომელთაც წარმართავდა და ხელმძღვანელობდა ცენტრი ადგილობრივი პარტიული იატაკქვეშა ორგანიზაციების მუდმივი და დაუღალავი დახმარებით. მტკიცდებოდა რეგულარული არმიისა და პარტიზანების ურთიერთმოქმედება. ისინი მოქმედ არმიას ეხმარებოდნენ მოწინააღმდეგის შე-

სახებ ცნობების მიღებაში, ანადგურებდნენ მის რეზერვებს, უპრიდნენ გზებსა და კომუნიკაციებს, აფერხებდნენ ჯარისა და იარაღის გადაყვან-გადატანას.

უკვე 1942 წელს ჰიტლერელები იძულებული გახდნენ პარტიზანების წინააღმდეგ გადაესროლათ საბჭოთა-კავშირ გერმანიის ფრონტზე მყოფი თავიანთი სახმელეთო ჯარების თითქმის ათი პროცენტი. 1943 წელს ამავე მიზნით გადმოიყვანეს სს-ისა და სდ-ს პოლიციის შენაერთები, დამხმარე ნაწილების ნახევარ მილიონამდე ჯარისკაცი, დაახლოებით მოქმედი არმიის 25 დივიზია.

კომუნისტური პარტია უნარიანად ხელმძღვანელობდა პატრიოტულ სახალხო ბრძოლას უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ, რითაც სერიოზულ დახმარებას უწევდა ჩვენს რეგულარულ ჯარებს. კომუნისტი-პარტიზანები არა მარტო იბრძოდნენ იარაღით ხელში, არამედ ეწეოდნენ დიდ პოლიტიკურ, ახსნა-განმარტებით მუშაობას მოსახლეობაში, ავრცელებდნენ ფურცლებს, მოწოდებებს, საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობებს, ააშკარაებებდნენ მტრის ყალბ პროპაგანდას. უდიდეს ზემოქმედებას ახდენდნენ პარტიზანები მოწინააღმდეგის ჯარების მორალურ მდგომარეობაზე.

ფრონტების ჯარებმა თავიანთ სამოქმედო ზოლებში დაიწყეს აგრეთვე გაძლიერებული საავიაციო და საჯარისო დაზვერვის მოწყობა, რის შედეგად აპრილის დასაწყისში საკმაოდ სრული ცნობები გაგვაჩნდა ორიოლის, სუმის, ბელგოროდის და ხარკოვის რაიონებში არსებულ მოწინააღმდეგის ჯარების მდგომარეობაზე. გავუკეთე ამ ცნობებს ანალიზი, აგრეთვე იმ მონაცემებსაც, რომლებიც სამხედრო მოქმედებათა უფრო ფართო თეატრიდან მივიღე და განვიხილე ყოველივე ეს ჯერ ვორონეჟის და ცენტრალური ფრონტების სარდლებთან, შემდეგ კი გენერალური შტაბის უფროსთან ა. მ. ვასილევსკისთან ერთად და უმაღლეს მთავარსარდალს გავუგზავნე შემდეგი მოხსენება:

„ამხანაგ ვასილიევს.

5 ს. 30 წ. 8 აპრილი, 1943 წ.

მოგახსენებთ საკუთარ მოსაზრებებს 1943 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში მოწინააღმდეგის შესაძლო მოქმედებაზე და თვალსაზრისს— უახლოეს ხანებში ჩვენს თავდაცვით ბრძოლებზე.

1. მოწინააღმდეგემ, განიცადა რა დიდი დანაკლისი 42/43 წლის ზამთრის კამპანიაში, როგორც ჩანს, ვერ შესძლებს გაზაფხულისთვის შექმნას დიდი რეზერვები იმისათვის, რომ კვლავ წამოიწყოს შეტევა კავკასიის ხელში ჩასაგდებად და ვოლგაზე გასაპრელად მოსკოვის ღრმად შემოვლის მიზნით.

მოწინააღმდეგე მსხვილი რეზერვების შეზღუდულობის გამო იძულებული გახდება 1943 წლის გაზაფხულსა და ზაფხულის პირველ

ნახევარში თავისი შეტევითი მოქმედება უფრო ვიწრო ფრონტზე გაშალოს. და ამოცანა გადაჭრას მკაცრი ეტაპებით, კამპანიას ძირითად მიზნად ექნება ქალაქ მოსკოვის აღება.

მოცემულ მომენტში არსებულ დაჯგუფებას თუ გავითვალისწინებთ ჩვენი ცენტრალური, ვორონეჟისა და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტების წინააღმდეგ, მე მიმაჩნია, რომ მთავარ შეტევით ოპერაციებს მოწინააღმდეგე გაშლის ამ სამი ფრონტის წინააღმდეგ, რათა გაანადგუროს ჩვენი ჯარები ამ მიმართულებით, მიიღოს მანევრის თავისუფლება მოსკოვის გარსშემოსავლელად უმოკლესი მიმართულებით:

2. ჩანს, პირველ ეტაპზე მოწინააღმდეგე თავს მოუყრის ძალების მაქსიმუმს, მათ რიცხვში 13—15 სატანკო დივიზიას. დიდძალი ავიაციის მხარდაჭერით თავის ორლოვსკ-კრომსკის დაჯგუფებით დაარტყამს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან კურსკის შემოსავლელად და ბელგოროდ-ხარკოვის დაჯგუფებით სამხრეთ-აღმოსავლეთიდან კურსკის შემოსავლელად.

ჩვენი ფრონტის გარღვევის მიზნით დამხმარე დარტყმას უნდა მოველოდეთ დასავლეთიდან, ვოროჟბის რაიონიდან, მდინარე სეიმსა და პსელს შორის, კურსკზე სამხრეთ-დასავლეთით. ამ შეტევით მოწინააღმდეგე შეეცდება გაანადგუროს და ალყა შემოარტყას ჩვენს მე-13, 70-ე. 65-ე, 38-ე, მე-40 და 21-ე არმიებს. ამ ეტაპის საბოლოო მიზანი შესაძლოა იყოს მოწინააღმდეგის მდინარე კოროჩა — კოროჩა— ტიმი — მდინარე ტიმი — დროსკოვოს მიჯნაზე გაჭრა;

3. მეორე ეტაპზე მოწინააღმდეგე დაეშურება გაიჭრას ფლანგსა და ზურგში სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის საერთო მიმართულებით მდინარე ვალუიკი — ურაზოვოს გავლით.

ამ დარტყმის საპასუხოდ მოწინააღმდეგეს შეუძლია დაარტყას ლისიჩანსკის რაიონიდან ჩრდილოეთის მიმართულებით სვატოვო-ურაზოვოზე.

სხვა დანარჩენ უბნებზე მოწინააღმდეგე შეეცდება გაიჭრას ლივნი — კასტორნოე — სტარი და ნოვი ოსკოლის ხაზზე;

4. მესამე ეტაპზე სათანადო გადაჯგუფების შემდეგ მოწინააღმდეგემ შესაძლოა სცადოს ლისკი—ვორონეჟ—ელეცის ფრონტზე გაჭრა და, სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულების საფარით, მოსკოვის შემოსავლელად მოამზადოს დარტყმა სამხრეთ-აღმოსავლეთით რანენბურგ — რიაზსკ — რიაზანის გავლით;

5. უნდა აღინიშნოს, რომ მოწინააღმდეგე წელს მთავარ იშედს შეტევის დროს დაამყარებს თავის სატანკო და საავიაციო დივიზიებზე, რადგან მისი ქვეითი ჯარები ამჟამად შედარებით უფრო სუსტად

არიან მომზადებულნი შეტევითი მოქმედებისათვის, ვიდრე გასულ წელს.

ამჟამად ცენტრალური და ვორონეჟის ფრონტების წინ მოწინააღმდეგეს ჰყავს დაახლოებით 12 სატანკო დივიზია. თუ სხვა უბნებიდანაც მოუყარა თავი სამ-ოთხ დივიზიას, კურსკის დაჯგუფებისკენ შეიძლება გადმოისროლოს 15—16 დივიზია 2500 ტანკის საერთო რაოდენობით;

6. იმისათვის, რომ მოწინააღმდეგის შეტევა დაიმსხვრეს ჩვენს თავდაცვაზე, ვორონეჟის და ცენტრალური ფრონტების ტანკსაწინააღმდეგო თავდაცვის ღონისძიებათა გაძლიერების გარდა აუცილებელია სწრაფად შევაგროვოთ პასიური უბნებიდან და გადავისროლოთ მთავარბანაკის რეზერვში მუქარის ქვეშ მყოფი მიმართულებით 30 ტანკსაწინააღმდეგო-გამანადგურებელი საარტილერიო პოლკი; ყველა თვითმავალ საარტილერიო პოლკს თავი მოვუყაროთ ლივნი — კასტორნოე — სადგურ ოსკოლის უბანზე. პოლკების ნაწილი სასურველია ახლავე მივცეთ გასაძლიერებლად როკოსოვსკისა და ვატუტინს, თავი მოვუყაროთ რაც შეიძლება დიდძალ ავიაციას მთავარბანაკის რეზერვში, რათა საჰაერო მასირებული დარტყმებით, სატანკო და მსროლელი შენაერთების ურთიერთმოქმედებით გავანადგუროთ დამკვრელი დაჯგუფებანი და ჩავფუშოთ მოწინააღმდეგის შეტევის გეგმა.

მე არ ვიცნობ ჩვენი ოპერატიული რეზერვების საბოლოო განლაგებებს, მიზანშეწონილად მიმაჩნია შემოგთავაზოთ მათი განლაგება ეფრემოვი — ლივნი — კასტორნოე — ნოვი ოსკოლი — ვალუიკი — როსოში — ლისკი — ვორონეჟი — ელეცის რაიონში, თანაც რეზერვების მთავარი მასა განვალაგოთ ელეცი — ვორონეჟის რაიონში. უფრო ღრმა რეზერვები უნდა განლაგდეს რიაზსკის, რანენბურგის, მიჩურინსკის, ტამბოვის რაიონში.

ტულა — სტალინოგორსკის რაიონში აუცილებელია გვყავდეს ერთი სარეზერვო არმია.

მიზანშეუწონლად მიმაჩნია უახლოეს დღეებში ჩვენი ჯარების შეტევაზე გადასვლა, რათა დავასწროთ მტერს. უმჯობესი იქნება თუ მოწინააღმდეგეს მოვქანცავთ მოგერიებითი შეტევებით. მწყობრიდან გამოვიყვანთ მათ ტანკებს, შემდეგ კი, ახალი რეზერვებით გადავახალისებთ ჯარებს, გადავალთ საერთო შეტევაზე და ბოლოს მოვუღებთ მოწინააღმდეგის ძირითად დაჯგუფებას.

კონსტანტინოვი

№ 256ª.

9 თუ 10 აპრილს, ზუსტად არ მახსოვს, ვორონეჟის ფრონტის შტაბში ჩამოვიდა ა. მ. ვასილევსკი. მასთან ერთად ერთხელ კიდევ

განვიხილეთ დეტალურად ჩემი მოხსენება, ვითარება და მოსაზრებანი ოპერატიულ-სტრატეგიული რეზერვების დისლოკაციასა და მოსალოდნელ მოქმედებათა ხასიათზე. მე და ალექსანდრე მიხეილის ძეს ყველა საკითხზე ერთნაირი აზრი გვქონდა.

შევადგინეთ მთავარბანაკის პროექტის დირექტივა მთავარბანაკის რეზერვების განლაგებასა და სტეპის ფრონტის შექმნის თაობაზე, მოვაწერეთ ხელი და უმაღლეს მთავარსარდალს გავუგზავნეთ.

ამ დოკუმენტში გათვალისწინებული იყო არმიათა დისლოკაცია და საფრონტო საშუალებათა გაძლიერება. სტეპის ფრონტის შტაბის განლაგება ნავარაუდევი იყო ნოეი ოსკოლში, ფრონტის, სამეთაურო პუნქტისა — კოროჩაში, ფრონტის სამხედრო სამმართველოსი — ველიკი ბურლუკში. ფრონტების სარდლობას და შტაბებს, როგორც ეს დიდი ოპერაციების მომზადებისას ხდებოდა, ებრძანათ, მოეწოდებინათ მთავარბანაკისა და გენერალური შტაბისათვის თავიანთი მოსაზრებანი და წინადადებანი მოქმედებათა ხასიათზე.

იმ მცდარ ვერსიებთან დაკავშირებით, რომლებსაც ადგილი ჰქონდა 1943 წელს კურსკის რაიონში თავდაცვის ორგანიზაციისა და კონტრშეტევის შესახებ, საჭიროდ მიმაჩნია მოვიყვანო ის დოკუმენტები, რომლებიც ამის თაობაზე შევიდა მთავარბანაკსა და გენერალურ შტაბში. აქვე შევნიშნავ, რომ არავითარი სხვა დოკუმენტები მთავარბანაკში არავის არ გაუგზავნია.

აი, ცენტრალური ფრონტის შტაბის უფროსის გენერალ-ლეიტენანტ მ. ს. მალინინის 10 აპრილის ცნობა, რომელიც გენერალური შტაბის მოთხოვნით გაიგზავნა.

„ცენტრალური ფრონტიდან 10.4.43.

წითელი არმიის გენერალური შტაბის ოპერატიული სამმართველოს უფროსს გენერალ-პოლკოვნიკ ამხ. ანტონოვს[1] № 1190-ზე.

4. მიზანი და ყველაზე მოსალოდნელი მიმართულება მოწინააღმდეგის შეტევაზე გადმოსვლისა 1943 წლის გაზაფხულ-ზაფხულში:

ა) ვითვალისწინებთ რა არსებ- - ჯალებსა და საშუალებებს, ხოლო, რაც მთავარია, 1941—42 წწ. ეტეევითი ოპერაციების შედეგებს, 1943 წლის გაზაფხულის პერიოდში უნდა მოველოდეთ მოწინააღმდეგის შემოტევას მხოლოდ კურსკი — ვორონეჟის ოპერატიული მიმართულებით.

სხვა მიმართულებით მტრის შემოტევა საეჭვოა.

შექმნილ საერთო სტრატეგიულ ვითარებაში ომის ამ ეტაპზე გერმანელებისათვის ხელსაყრელი იქნება მტკიცედ უზრუნველყონ ყირი-

---

1 სამი წინა პუნქტი აქ არ არის მოყვანილი, რადგან მასში მოცემულია პირისპირ მდგარი მოწინააღმდეგის ჯარების ჩამოთვლა (ბ. ე.).

მის, დონბასის და უკრაინის შენარჩუნება, ამისათვის კი აუცილებელია ფრონტის ხაზის წაწევა შტეროვკა — სტარობლსკი — როვენკი — ლისკი — ვორონეჟი — ლივნი — ნოვოსილის მიჯნაზე. ამ ამოცანის გადასაჭრელად მოწინააღმდეგეს დასჭირდება 60 ქვეითთა დივიზია სათანადო ავიაციის, ტანკების და არტილერიის მხარდაჭერით.

მოცემული მიმართულებით მტერს შეუძლია ასეთი რაოდენობის ძალებისა და საშუალებათა თავმოყრა.

აქედან გამომდინარე კურსკი — ვორონეჟის ოპერატიული მიმართულება პირველხარისხოვან მნიშვნელობას იძენს.

ბ) გამოვდივართ რა ამ ოპერატიული ვარაუდიდან, მოწინააღმდეგის მთავარ ძალებს ერთდროულად უნდა მოველოდეთ მოქმედებათა გარე და შიდა რადიუსებით:

— შიდა რადიუსით — ორიოლის რაიონიდან კრომის გავლით — კურსკისკენ და ბელგოროდის რაიონიდან ობოიანზე გავლით — კურსკისკენ;

— გარე რადიუსით — ორიოლის რაიონიდან ლივნის გავლით — კასტორნოესკენ და ბელგოროდის რაიონიდან სტარი ოსკოლის გავლით — კასტორნოესკენ.

გ) მოწინააღმდეგის ამ განზრახვისადმი წინააღუდგომლობას, მათ წარმატებით მოქმედებას ამ მიმართულებით შეიძლება მოჰყვეს ცენტრალური და ვორონეჟის ფრონტების განადგურება, მოწინააღმდეგე ხელთ იგდებს ორიოლი — კურსკი — ხარკოვის რკინიგზის მნიშვნელოვან მაგისტრალს და მათი ჯარები გაელენ ხელსაყრელ მიჯნაზე, რაც უზრუნველყოფს მტრისათვის ყირიმის, დონბასისა და უკრაინის მტკიცედ შენარჩუნებას.

დ) უეჭველ მიმართულებებზე შეტევისათვის ჯარების გადაჯგუფებას და თავმოყრას, აგრეთვე აუცილებელი მარაგის შექმნას მოწინააღმდეგე შეუდგება გაზაფხულის უგზოობისა და წყალდიდობის შემდეგ.

მაშასადამე, მოწინააღმდეგის გადამწყვეტ შეტევაზე გადმოსვლას უნდა ველოდოთ საორიენტაციოდ 1943 წლის მაისის მეორე ნახევარში.

5. მოცემული ოპერატიული ვითარების პირობებში მიზანშეწონილად მიმაჩნია მივიღოთ შემდეგი ღონისძიებანი:

ა) დასავლეთის, ბრიანსკის, ცენტრალური ფრონტების გაერთიანებული ძალებით გავანადგუროთ მოწინააღმდეგის ორლოეის დაჯგუფება და ამით წავართვათ მტერს შესაძლებლობა მოგვაყენოს დარტყმა ორიოლის რაიონიდან ლივნის გავლით — კასტორნოეზე, ხელთ იგდოს ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი რკინიგზის მაგისტრალი მცენსკი—ორი-

ოლი — კურსკი და მოწინააღმდეგეს საშუალება მოვუსპოთ, ისარგებლოს ბრიანსკის სარკინიგზო კვანძით და ყამირგზებით.

ბ) მოწინააღმდეგის შეტევით მოქმედებათა ჩასაშლელად აუცილებელია გავაძლიეროთ ცენტრალური და ვორონეჟის ფრონტის ჯარები ავიაციით, უმთავრესად გამანადგურებლებით და ტანკსაწინააღმდეგო არტილერიით ყოველი ფრონტი არანაკლებ 10 პოლკით.

გ) ამ მიზნით მთავარბანაკის მძლავრი რეზერვების ყოლა სასურველია ლივნი—კასტორნოე—ლისკი—ვორონეჟ—ელეცის რაიონში.

ცენტრალური ფრონტის შტაბის უფროსი
გენერალ-ლეიტენანტი მალინინი.

№ 4203".

ვორონეჟის ფრონტის სარდლობამაც წარმოადგინა თავისი მოსაზრებანი.

„წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსს
№ 11990-ზე 12. 4. 43 წ.

ვორონეჟის ფრონტის წინ ამჟამად დადგენილია:

1. პირველ ხაზზე ცხრა ქვეითი დივიზია (26-ე, 68-ე, 323-ე, 75-ე, 255-ე, 57-ე, 332-ე, 167-ე და ერთი დივიზიაც გამოურკვეველი ნუმერაციით). ეს დივიზიები დაიკავებენ ფრონტს: კრასნო-ოქტიაბრსკოე — ბოლშაია ჩერნეტჩინა — კრასნოპოლიე — კაზაკოე.

უცნობი ნომერაციის დივიზია, ტყვეთა ჩვენებით, წინ წასწიეს სოლდატსკოეს რაიონისკენ და უნდა შეცვალოს 332-ე ქვეითი დივიზია.

ეს მონაცემები მოწმდება. არის შეუმოწმებელი მონაცემები, რომ მეორე ეშელონში ჰყავთ ექვსი ქვეითი დივიზია. მათი მდგომარეობა ჯერ დაუდგენელია და ეს მონაცემები აგრეთვე მოწმდება.

ხარკოვის რაიონში, რადიოდაზვერვის მონაცემებით, შემჩნეულია უნგრული დივიზიის შტაბი, რომელიც შეიძლება დაიძრას მეორეხარისხოვანი მიმართულებით.

2. სატანკო დივიზიები ამჟამად სულ ექვსია („დიდი გერმანია", „ადოლფ ჰიტლერი", „მკვდარი თავი", „რაიხი", მე-6 და მე-11), ამათგან სამი დივიზია — პირველ ხაზზეა და სამიც („დიდი გერმანია" მე-6 და მე-11) მეორე ხაზზე. რადიოდაზვერვის მონაცემებით მე-17 სატანკო დივიზიის შტაბი გადაადგილდა ალექსეევსკიდან ტაშჩაგოვკაში, რაც გვიჩვენებს მე-16 სატანკო დივიზიის ჩრდილოეთისაკენ წაწევას. ამ არსებული ძალების გარდა მოწინააღმდეგეს ბელგოროდის რაიონში დამატებით შეუძლია გამოიყვანოს სამი დივიზია სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის უბნიდან.

3. ამგვარად, მოსალოდნელია, რომ მოწინააღმდეგემ ვორონეჟის

ფრონტის წინ შექმნას დამრტყმელი ჯგუფი 10-მდე სატანკო დივიზიის სიმძლავრისა და არანაკლებ ხუთი ქვეითი დივიზიის სიმძლავრისა, სულ გამოიყვანოს 1500 ტანკი, რომელთა თავმოყრა მოსალოდნელია ბორისოვკა—ბელგოროდი—მურომი—კაზაჩია ლოპანის რაიონში. ამ დამრტყმელ ჯგუფს შესაძლოა მხარი დაუჭიროს ძლიერმა ავიაციამ დაახლოებით 500-მდე ბომბდამშენისა და არა ნაკლებ 300 გამანადგურებლის რაოდენობით.

მოწინააღმდეგეს განზრახული აქვს კონცენტრირებული დარტყმები მოგვაყენოს ბელგოროდის რაიონიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით და ორიოლის რაიონიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, რათა ალყაში მოაქციოს ჩვენი ჯარები, რომლებიც ბელგოროდ—კურსკის ხაზის დასავლეთით იმყოფებიან.

შემდგომში მოწინააღმდეგის დარტყმას უნდა მოველოდეთ სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით — სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ფლანგზე და ზურგში, რათა მერე იმოქმედოს ჩრდილოეთის მიმართულებით.

მაგრამ გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ წელს მოწინააღმდეგე უარს იტყვის სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით შეტევის გეგმაზე და განახორციელებს სხვა გეგმას, შესაძლოა ბელგოროდისა და ორიოლის რაიონიდან კონცენტრირებული დარტყმების შემდეგ განიზრახოს შეტევა ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ მოსკოვის შემოსავლელად.

ამ შესაძლებლობას ანგარიში უნდა გაეწიოს და შესაბამისად მომზადდეს რეზერვები.

ამგვარად, ეორონეჟის ფრონტის წინ ყველაზე მოსალოდნელია მოწინააღმდეგემ მთავარი დარტყმა მოგვაყენოს ბორისოვკა — ბელგოროდის რაიონიდან სტარი ოსკოლის მიმართულებით და ძალების ნაწილით კი ობოიანისა და კურსკის მიმართულებით. დამხმარე დარტყმები მოსალოდნელია ეოლჩანსკი — ნოვი ოსკოლი — სუჯა — ობოიანი — კურსკის მიმართულებით.

ამჟამად მოწინააღმდეგე დიდი შეტევისათვის ჯერ კიდევ არ არის მზად. შემოტევას ა/წ. აპრილამდე არ უნდა მოველოდეთ. ეს უფრო მაისის პირველ რიცხვებშია შესაძლებელი.

მაგრამ ცალკეული შეტევები ყოველთვისაა მოსალოდნელი. ამიტომ ჩვენი ჯარებისაგან მუდმივ, მაღალ მზადყოფნას მოვითხოვთ.

ფედოროვი, ნიკიტინი, ფედოტოვი[1].

№ 55/კ".

---

[1] ფედოროვი — ნ. თ. ვატუტინი, ნიკიტინი — ნ. ს. ხრუშჩოვი, ფედოტოვი — ფ. კ. კორეენევიჩი.

მაშასადამე. 8—12 აპრილამდე მთავარბანაკში ჯერ კიდევ არ იყო შემუშავებული კონკრეტული გადაწყვეტილება ჩვენი ჯარების მოქმედებათა სახელმძღვანელოდ 1943 წლის გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში ეგრეთ წოდებულ კურსკის რკალის რაიონში.

კურსკის რაიონიდან მაშინ ჯერ კიდევ არავითარი შეტევა არ იყო დასახული. სხვაგვარად არც შეიძლებოდა მომხდარიყო, რადგან ჩვენი სტრატეგიული რეზერვები ჩამოყალიბების სტადიაში იმყოფებოდა, ხოლო ვორონეჟისა და ცენტრალურმა ფრონტებმა ადრინდელ ბრძოლებში დანაკარგი განიცადეს და პირადი შემადგენლობით, საბრძოლო ტექნიკით და მატერიალური საშუალებებით შევსებას საჭიროებდნენ.

სწორედ ამ ვითარების შესაბამისად ფრონტების სარდლებმა მიიღეს მთავარბანაკის მითითება ფრონტების თავდაცვაზე გადასვლის შესახებ.

ცენტრალური და ვორონეჟის ფრონტების ჯარების საერთო ხელმძღვანელობა ადგილზე და მთავარბანაკის მითითებათა შესრულების კონტროლი უმაღლესმა მთავარსარდლობამ მე დამაკისრა.

10 აპრილს ბობრიშევოში დამირეკა უმაღლესმა მთავარსარდალმა და მიბრძანა 11 აპრილს მოსკოვში ჩავსულიყავი 1943 წლის ზაფხულის კამპანიის გეგმის განსახილველად და, კერძოდ, კურსკის რკალის თაობაზე.

11 აპრილს გვიან საღამოთი დავბრუნდი მოსკოვს. ა. მ. ვასილევსკიმ მითხრა, ი. ბ. სტალინმა მითითება მოგვცა, რომ 12 აპრილის საღამოსთვის შეეადგინოთ არსებული ვითარების რუკა, მოვამზადოთ აუცილებელი გაანგარიშებანი და წინადადებებიო.

მთელი დღე მე, ალექსანდრე მიხეილის ძე ვასილევსკიმ და მისმა მოადგილემ ალექსი ინოკენტის ძე ანტონოვმა მოვამზადეთ საჭირო მასალები უმაღლესი მთავარსარდლისათვის მოსახსენებლად. დილაადრიან სამივენი ჩავუჯექით დავალებულ სამუშაოს და რადგან ჩვენ სრული ურთიერთგაგებით ვეკიდებოდით ერთმანეთს, საღამოსთვის ყველაფერი უკვე მზად გვქონდა. ა. ი. ანტონოვს, სხვა დანარჩენ ღირსებებთან ერთად, მასალების ბრწყინვალე ოსტატობით გაფორმებაც ჰქონდა მომადლებული, და ჩვენ, — მე და ა. მ. ვასილევსკი, — ვიდრე ი. ბ. სტალინთან წარსადგენი მოხსენების გეგმას ვადგენდით, მან სწრაფად მოამზადა ვითარების რუკა, აგრეთვე კურსკის რკალის რაიონში ფრონტების მოქმედებათა რუკა-გეგმა.

ჩვენ ყველას მიგვაჩნდა, რომ პოლიტიკური, ეკონომიური და სამხედრო-სტრატეგიული მოსაზრებებიდან გამომდინარე, ჰიტლერელები შეეცდებოდნენ რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, გამაგრებულიყვნენ ფინეთის ყურიდან აზოვის ზღვამდე გადაჭიმულ ფრონტზე. მათ შეძლეს კარგად აღეჭურვათ თავიანთი ჯარები ერთ-ერთი სტრატეგიული მიმარ-

თულებით და მოემზადებინათ დიდი შეტევითი ოპერაცია კურსკის შვერილის რაიონში, რათა ეცადათ გაენადგურებინათ ცენტრალური და ვორონეჟის ფრონტის ჯარები. ამას შეეძლო შეეცვალა საერთო სტრატეგიული ვითარება გერმანელთა ჯარების სასარგებლოდ. უკვე აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ამ პირობებში საერთო ფრონტი მნიშვნელოვნად მოკლდებოდა და მაღლდებოდა გერმანელთა თავდაცვის საერთო ოპერატიული სიმჭიდროვე.

ამ რაიონში ვითარება საშუალებას იძლეოდა კურსკისთვის ორი დამხვედრი დარტყმა მიგვეყენებინა საერთო მიმართულებით: ერთი ორიოლის სამხრეთ რაიონიდან, მეორე ბელგოროდის რაიონიდან, ნავარაუდევი იყო, რომ დანარჩენ უბნებზე გერმანელთა სარდლობა თავდაცვაზე გადავიდოდა, რადგან შეტევითი ოპერაციებისთვის გენერალური შტაბის გაანგარიშებით, მას საამისო ძალები არ ჰყავდა.

12 აპრილს საღამოთი ა. მ. ვასილევსკი, ა. ი. ანტონოვი და ბე მთავარბანაკში გავემგზავრეთ.

უმაღლესმა მთავარსარდალმა, მგონი, როგორც არასდროს, უურადღებით მოისმინა ჩვენი მოსაზრებანი. იგი დაგვეთანხმა იმაზე, რომ მთავარი ძალები კურსკის რაიონში შემოგვეკრიბა, მაგრამ წინანდებურად სიფრთხილით ეკიდებოდა მოსკოვის სტრატეგიულ მიმართულებას.

უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკში, განვიხილეთ რა ჩვენი ჯარების მოქმედების გეგმა, მივედით იმ დასკვნამდე, რომ მოგვეწყო მტკიცე, ღრმად ეშელონირებული თავდაცვა ყველა აუცილებელი მიმართულებით და პირველ რიგში კურსკის რკალის რაიონში. ამასთან დაკავშირებით ფრონტების სარდლებს მიეცათ სათანადო მითითებანი. ჯარებმა დაიწყეს მიწაში ღრმად ჩასანგრება. მთავარბანკის ჩამოსაყალიბებელი და მოსამზადებელი რეზერვები საქმეში არ უნდა ჩაგვერია, მათი თავმოყრა გადაწყდა შედარებით საშიშ რაიონებთან ახლოს.

ამრიგად, აპრილის შუა რიცხვებში მთავარბანაკმა მიიღო გადაწყვეტილება წინასწარგანზრახულ თავდაცვაზე გადასვლის შესახებ. მართალია, ჩვენ ამ საკითხს არა ერთხელ დავუბრუნდით, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილება მთავარბანაკმა წინასწარგანზრახული თავდაცვის შესახებ 1943 წლის მაისის ბოლოს და ივნისის დასაწყისში მიიღო. იმ დროისათვის ფაქტიურად ყოველ დეტალში გამოიკვეთა მოწინააღმდეგის ზრახვები —ძლიერი დარტყმა მიეყენებინა ვორონეჟის და ცენტრალური ფრონტებისათვის, რისთვისაც ამზადებდა სატანკო დაჯგუფებებს ახალი ტანკების „ვეფხვებისა“ და თვითმავალი ქვემეხების „ფერდინანდების“ გამოსაყენებლად.

საზაფხულო კამპანიის მთავარ მოქმედ ფრონტებად მთავარბანაკს ვორონეჟის, ცენტრალური, სამხრეთ-დასავლეთისა და ბრიანსკის ფრონტები მიაჩნდა. ჩვენი ანგარიშით, აქ უნდა გაჩაღებულიყო მთავა-

რი მოვლენები. ჩვენ გვინდოდა გერმანელთა ჯარების მოსალოდნელ შეტევას დავხვედროდით თავდაცვის მძლავრი საშუალებებით, მოგვექანცა მოწინააღმდეგე, გადავსულიყავით კონტრშეტევაზე და საბოლოოდ გაგვანადგურებინა იგი. ამიტომ წინასწარგანზრახული თავდაცვის გეგმის შემუშავებასთან ერთად გადავწყვიტეთ დაგვესახა ჩვენი შეტევითი მოქმედების გეგმაც, არ დავლოდებოდით მოწინააღმდეგის შემოტევას, თუკი იგი ხანგრძლივად გაჩიანურდებოდა.

ამრიგად, ჩვენი ჯარების თავდაცვა, არა იძულებითი, არამედ უაღრესად წინასწარგანზრახული იყო, ხოლო შეტევაზე გადასვლას მთავარბანაკი ვითარებისთვის ხელსაყრელ მომენტში აპირებდა. მხედველობაში იყო მიღებული არ დაგვეჩქარებინა შეტევა, მაგრამ არც უნდა დაგვეყოვნებია.

მაშინვე გადაწყდა მთავარბანაკის ძირითადი რეზერვების თავმოყრის რაიონების საკითხიც. მათი განლაგება მითითებული იყო ლივნი — სტარი ოსკოლი—კოროჩას რაიონში, რათა მოგვემზადებინა თავდაცვის მიჯნა მოწინააღმდეგის მიერ კურსკის რკალის გარღვევის შემთხვევაში. დანარჩენი რეზერვები, გადავწყვიტეთ, განგველაგებინა ბრიანსკის ფრონტის მარჯვენა ფლანგის მიღმა — კალუგა—ტულა—ეფრემოვის რაიონში. ლისკის რაიონში ვორონეჟისა და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტების შესაყარზე სამოქმედოდ უნდა მომზადებულიყო მე-5 გვარდიული სატანკო არმია და მთავარბანაკის რეზერვების სხვა შენაერთები.

ა. მ. ვასილევსკის და ა. ი. ანტონოვს ებრძანათ, შედგომოდნენ მიღებული გეგმის მთელი დოკუმენტაციის შემუშავებას, რათა ერთხელ კიდევ განეხილათ იგი მაისის დასაწყისში.

მე კი დამავალეს 18 აპრილს გავფრენილიყავი ჩრდილო-კავკასიის ფრონტზე. ამ ფრონტის ჯარები დაძაბულ ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგის ტამანის დაჯგუფების სალიკვიდაციოდ. მთავარი ბირთვი ამ დაჯგუფებისა იყო გერმანელთა კარგად დაკომპლექტებული მე-17 არმია.

საბჭოთა სარდლობისათვის ტამანის ნახევარკუნძულზე მტრის ჯარების ლიკვიდაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. გარდა იმისა, რომ გავანადგურებდით მტრის მსხვილ დაჯგუფებას — ამ რაიონში 14—16 დივიზია მოქმედებდა, დაახლოებით 180—200 ათასი კაცი — ჩვენ გავათავისუფლებდით ნოვოროსიისკს. აქ მცირე პლაცდარმზე თებერვლის პირველი ნახევრიდან იბრძოდნენ მე-18 არმიის მებრძოლთა გმირული რაზმი და შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურები.

გენერალი კ. ნ. ლესელიძის მე-18 არმიაში ჩვენ სამხედრო საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარ ნ. გ. კუზნეცოვთან, სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალ ა. ა. ნოვიკოვთან და გენერალური შტაბის თანამშრომელ გენერალ ს. მ. შტემენკოსთან ერთად ჩავედით.

გავეცანით ვითარებას, არმიისა და შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურების ძალებსა და საშუალებებს. ყველანი იმ დასკვნამდე მივედით, რომ რაიმე გადამჭრელი ღონისძიებების გატარება მცირე მიწის სახელწოდებით ცნობილი ნოვოროსიისკის პლაცდარმის გასაფართოებლად ყოვლად შეუძლებელი იყო.

მართლაც, ამ პლაცდარმის საერთო ფართობი სულ 30 კვადრატულ კილომეტრს შეადგენდა. თითოეულ ჩვენგანს მაშინ არ ასვენებდა ერთი საკითხი: გაუძლებდნენ თუ არა საბჭოთა მებრძოლები იმ განსაცდელს, რაც მათ ბედმა არგუნათ უთანასწორო ბრძოლაში მტერთან, რომელიც დღითა და ღამით თავს ესხმოდა ჰაერიდან და საარტილერიო ცეცხლში ხვევდა ამ პლაცდარმის დამცველებს.

ამის შესახებ ჩვენ გვინდოდა მოვთათბირებოდით მე-18 არმიის პოლიტგანყოფილების უფროსს ლ. ი. ბრეჟნევს, მაგრამ იგი ამ დროს ინყოფებოდა მცირე მიწაზე, სადაც უმძიმესი ბრძოლები მიმდინარეობდა.

იქიდან გამომდინარე, რაც არმიის სარდალმა კ. ნ. ლესელიძემ გადმოგვცა, ნათელი იყო: ჩვენმა მებრძოლებმა გადაწყვიტეს მტკიცედ ებრძოლათ მტრის წინააღმდეგ მის სრულ განადგურებამდე და არ მიეცათ საშუალება მათი ზღვაში გადაგდებისა.

მოვახსენეთ რა ი. ბ. სტალინს ჩვენი აზრი, მე და ს. მ. შტემენკო გავემგზავრეთ ჩრდილო-კავკასიის ფრონტის 56-ე არმიაში, რომელსაც მაშინ გენერალი ანდრეი ანტონის ძე გრეჩკო სარდლობდა.

იმ მომენტში იგეგმებოდა მორიგი შეტევა, მაგრამ არმიის სარდლობას მიაჩნდა, რომ იგი არასაკმაოდ იყო მომზადებული. გადაწყვიტეს გადაედოთ შეტევა, თავი მოეყარათ საბრძოლო მასალებისათვის, ფრონტის პასიური უბნებიდან შეეგროვებინათ არტილერია, მოქმედებაში ჩაებათ ყველა შესაძლო ავიაციის ძალები, დაესახათ, თუ როგორ გამოეყენებინათ უკვე მთავარბანაკის რეზერვში მყოფი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული დივიზია.

პარალელურად მუშაობა მიმდინარეობდა მე-18 არმიის სარდლობასთან. აუცილებელი იყო დახმარების გაწევა ამ არმიის სადესანტო ჯგუფისათვის მისხაკოზე, დაერტყათ ფლოტითა და ავიაციით მოწინააღმდეგისათვის, რომელსაც გმირი მედესანტეების პირისპირ ეკავა ფრონტი.

56-ე არმიამ ჩაატარა მთელი რიგი ბრწყინვალე ბრძოლები, გაანთავისუფლა ყუბანი. ახლა კი მას უნდა გაენადგურებინა მტრის მე-17 არმიის თავდაცვა სტანიცა კრიმსკაიას რაიონში და გაჭრილიყო მოწინააღმდეგის ნოვოროსიისკის დაჯგუფების ზურგში. ფრონტის საერთო ძალებით შემდგომისათვის გათვალისწინებული იყო მოწინააღმდეგის ტამანის პლაცდარმის ლიკვიდაცია.

მოწინააღმდეგის განადგურება სტანიცა კრიმსკაიას მისადგომებ-

თან და მისი აღება დაკისრებული ჰქონდა ერთ—56-ე არმიას, რომლის ძალები უკიდურესად განსაზღვრული იყო, ხოლო მისი მნიშვნელოვნად გაძლიერების საშუალება არც მთავარბანაკს და არც ფრონტს არ გააჩნდა. არმიას უნდა დაეძლია მტრის ძლიერ გამაგრებული თავდაცვა, რომელიც გერმანელთა ჯარებმა სტანიცის მისადგომებთან შექმნეს. ოპერაციის დაგეგმვა და მომზადება ა. ა. გრეჩკომ საქმის ცოდნითა და დიდი წინდახედულებით ჩაატარა.

56-ე არმიის შეტევა კრიმსკაიაზე დაიწყო 29 აპრილს. მიუხედავად ძალთა შეზღუდულობისა, განსაკუთრებით ავიაციის, ტანკებისა და არტილერიის მხრივ, არმიის სარდლობამ არსებული საშუალებებით, უნარიანი მანევრირებით დასძლია მტრის თავდაცვის შეუპოვარი წინააღმდეგობა. 56-ე არმიის ჯარებმა ხელთ იგდეს სტანიცა — მნიშვნელოვანი სარკინიგზო კვანძი და უკუაგდეს მტერი კრიმსკაიას იქით. ეს ამბები კარგად არის აღწერილი საბჭოთა კავშირის მარშალ ა. ა. გრეჩკოს წიგნში „ბრძოლა კავკასიისათვის“.

56-ე არმიის შემდგომი შეტევა შესაძლებლობის უქონლობის გამო შეჩერდა. მთავარბანაკი იძულებული გახდა უფრო ხელსაყრელ მომენტამდე გადაედო მთელი ჩრდილო კავკასიის ჯარების შეტევითი მოქმედება იმ რაიონში.

ამზადებდა რა საზაფხულო კამპანიისათვის საბჭოთა არმიას, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა, მთავარბანაკმა და გენერალურმა შტაბმა 1943 წლის გაზაფხულზე კოლოსალური მუშაობა გააჩაღეს. პარტიამ თავი მოუყარა ქვეყნის ძალებს ოკუპანტების გადამწყვეტი განადგურებისათვის.

ფრონტზე მიღებულმა აქტიურმა ზომებმა მოითხოვა მთელ რიგ ღონისძიებათა გატარება ორგანიზაციული სტრუქტურისა და უახლესი ტექნიკით ხელახალი შეიარაღებისათვის. გენერალურ შტაბში განხორციელდა აუცილებელი ღონისძიებანი, რომლებიც დაკავშირებული იყო საბჭოთა არმიის სტრუქტურის შემდგომ გაუმჯობესებასთან. გადაისინჯა და უფრო სრულყოფილი გახდა ფრონტისა და არმიების ორგანიზაციული ფორმები. მათ შემადგენლობაში დამატებით იქნა შეყვანილი საარტილერიო, ტანკსაწინააღმდეგო, გამანადგურებელი და ნაღმტყორცნელთა ნაწილები. ჯარები გაძლიერდა კავშირის საშუალებებით. მსროლელთა დივიზიები აღიჭურვნენ უფრო სრულყოფილი ავტომატური ტანკსაწინააღმდეგო შეიარაღებით და გაერთიანდნენ მსროლელთა კორპუსებში იმისათვის, რომ გაუმჯობესებულიყო არმიებში საერთო საჯარისო მართვა და გაძლიერებულიყო არმიები.

ყალიბდებოდა უფრო ჰარისხიანი სისტემით შეიარაღებული ახალი საარტილერიო, სანაღმტყორცნო და რეაქტიული შენაერთები, იქმნებოდა უმაღლესი მთავარსარდლობის რეზერვის საარტილერიო

ბრიგადები. დივიზიები და კორპუსები, რომლებიც განკუთვნილი იყო მნიშვნელოვანი ამოცანის გადასაჭრელად — მაღალი სიმჭიდროეკის ცეცხლის შესაქმნელად მთავარ მიმართულებებზე. ფრონტებისა და ქვეყნის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის განკარგულებაში მოვიდნენ საზენიტო დივიზიები. ეს დიდად ამაღლებდა ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სიმძლავრეს.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის და თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებული იყო ტანკებისა და თვითმავალი არტილერიის წარმოებაზე.

1943 წლის ზაფხულისთვის, გარდა ცალკეული მექანიზებული და სატანკო კორპუსებისა, ჩამოყალიბდა და შესანიშნავად დაკომპლექტდა ახალი ორგანიზაციის ხუთი სატანკო არმია, რომელსაც თავის შემადგენლობაში ჰყავდა, როგორც წესი, ორი სატანკო და ერთიც მექანიზებული კორპუსი. გარდა ამისა, მოწინააღმდეგის თავდაცვის გასარღვევად და არმიების განსამტკიცებლად შეიქმნა 18 მძიმე სატანკო პოლკი.

დიდი მუშაობა ჩატარდა სამხედრო-საჰაერო ძალების რეორგანიზაციისათვის. მათი შეიარაღებისთვის მიიღეს სრულყოფილი კონსტრუქციის თვითმფრინავები, ისეთები, როგორიცაა ЛА-5, ЯК-9, ПЕ-2, ТУ-2, ИЛ-4 და სხვები. ზაფხულისათვის თითქმის მთელი ავიაცია ხელახლა შეიარაღდა ახალი მატერიალური ნაწილით და შეიქმნა უმაღლესი მთავარსარდლობის რეზერვის მთელი რიგი დამატებითი საავიაციო ნაწილები, შენაერთები, მათ რიცხვში შორეული მოქმედების ავიაციის 8 ავიაკორპუსი.

ჩვენი სამხედრო-საჰაერო ძალები ავიაციის მხრივ რიცხობრივად უკვე სჭარბობდნენ გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალებს. ყოველ ფრონტს თავისი საჰაერო არმია ჰყავდა 700—800 თვითმფრინავის ოდენობით.

არტილერიის დიდი რაოდენობა გადაიყვანეს მოტორიზებულ წევაზე, ხოლო საინჟინრო ნაწილები და კავშირგაბმულობის ჯარები უზრუნველყოფილნი იქნენ სამამულო წარმოების მანქანებითა და „სტუდებეკერებით". ყველა მნიშვნელოვანი ფრონტების ზურგმა მიიღო ავტომობილების მნიშვნელოვანი რაოდენობა. საბჭოთა არმიის ზურგის სამმართველოს განკარგულებაში მიიღეს ათობით ახალი საავტომობილო ბატალიონები და პოლკები, რამაც მკვეთრად აამაღლა ზურგის მთელი სამსახურის მანევრირება და შრომისუნარიანობა.

დიდი ყურადღება ეთმობოდა ხალხის რეზერვების მომზადებას. 1943 წელს სხვადასხვა სასწავლო ცენტრებში სწავლობდა და გადამზადებას გადიოდა ასობით ათასი მებრძოლი, ყალიბდებოდა და იქმნებოდა მსხვილი სტრატეგიული რეზერვები. 1 ივლისისათვის უმაღლესი მთა-

ვარსარდლობის ბანაკის რეზერვში რამდენიმე საერთო საჯარისო, ორი სატანკო და ერთი საჰაერო არმია იმყოფებოდა.

1943 წლის ზაფხულისთვის ჩვენი მოქმედი არმიის შემადგენლობაში ირიცხებოდა 6,4 მილიონ კაცზე მეტი, თითქმის 99 ათასი ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, დაახლოებით 2200 · ოაველე არტილერიის რეაქტიული საბრძოლო დანადგარი, 9,5 ათასი ტანკი და თვითმავალი საარტილერიო დანადგარი, თითქმის 8300-მდე საბრძოლო თვითმფრინავი.

ჯარების გაძლიერებისა და გადამზადების საქმეში თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტისა და ჩვენი პარტიის მიერ საფრონტო გამოცდილების საფუძველზე გაწეულმა უზარმაზარმა მუშაობამ მკვეთრად აამაღლა მოქმედი ჯარების ბრძოლისუნარიანობა.

კომუნისტური პარტია დიდ ყურადღებას უთმობდა არმიაში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დონის ამაღლებას. ჯარების რიგებს ემატებოდა ასი ათასობით ახალი კომუნისტი, რომლებიც თავიანთი აქტიურობით კიდევ უფრო ამაღლებდნენ საბჭოთა არმიის მამაცი მებრძოლების მეომრულ სულისკვეთებას. 1943 წელს შეიარაღებულ ძალებში უკვე 2,7 მილიონი კომუნისტი ითვლებოდა და დაახლოებით ამდენივე მებრძოლი კომკავშირელი.

პოლიტორგანოები, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები მთელ თავიანთ შესაძლებლობას წარმართავდნენ იქითკენ, რომ აეამაღლებინათ ჯარების პირადი შემადგენლობის მორალური თვისებები და პოლიტიკური შეგნებულობა. ამას ხელი შეუწყო არმიის პარტიული ორგანიზაციების გარდაქმნამ, რაც განხორციელდა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1943 წლის 24 მაისის დადგენილების შესაბამისად „წითელ არმიაში პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების სტრუქტურის რეორგანიზაციისა და საფრონტო, საარმიო და სადივიზიო გაზეთების როლის გაძლიერების შესახებ".

ამ დადგენილების თანახმად პარტორგანიზაციების ჩამოყალიბება დაიწყეს არა პოლკებში, არამედ ბატალიონებში. საპოლკო ბიუროები გაუთანასწორდა პარტკომებს. პარტორგანიზაციათა ასეთი სტრუქტურა ხელს უწყობდა კომუნისტების კონკრეტულ ხელმძღვანელობას ძირეულ რგოლებში. მეთაურების, პოლიტმუშაკების, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის გადაწყვეტილებათა საფუძველზე წარმოადგენდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას საბჭოთა შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებაში — მტერთან გრანდიოზული და გააფთრებული ბრძოლების წინ 1943 წლის ზაფხულ-შემოდგომის კამპანიაში.

მთლიანად 1943 წლის ზაფხულში კურსკის ბრძოლის წინ საბჭო-

თა შეიარაღებული ძალები როგორც რაოდენობით, ასევე ხარისხობრივად სჭარბობდნენ გერმანელ ფაშისტთა ჯარებს.

საბჭოთა უმაღლეს მთავარსარდლობას ახლა უკვე გააჩნდა ყველა აუცილებელი საშუალება იმისათვის, რომ გადაჭრით და მტკიცედ აეღო ხელში სტრატეგიული ინიციატივა ყველა მნიშვნელოვანი მიმართულებით და თავისი ნება ეკარნახებინა მტრისთვის.

მტერი ემზადებოდა რევანში აეღო სტალინგრადთან დამარცხებისთვის.

ჰიტლერული სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა ითვალისწინებდა, რომ მისმა შეიარაღებულმა ძალებმა დაკარგეს ადრინდელი უპირატესობა წითელ არმიაზე და მიმართავდა „ტოტალურ" ზომებს, რათა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გაეგზავნა ყველაფერი, რაც კი შეიძლებოდა.

დასავლეთიდან გადმოისროლეს მნიშვნელოვანი რაოდენობის შედარებით ბრძოლისუნარიანი ჯარები. სამხედრო მრეწველობა დღეღამეში 24 საათს მუშაობდა, ეშურებოდა, გამოეშვა ახალი ტანკები „ვეფხვი", „ავაზა" და მძიმე თვითმავალი ქვემეხი „ფერდინანდი". სამხედრო-საჰაერო ძალებმა მიიღეს ახალი თვითმფრინავები „ფოკე-ვულფ-190ა" და „ჰაინკელ-129". გერმანელთა ჯარები მნიშვნელოვნად შეივსო პირადი შემადგენლობით და მატერიალური ნაწილით.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე მოწინააღმდეგის მხარეზე მოქმედებდა გერმანელთა და მის მოკავშირეთა 232 დივიზია, 5,2 მილიონი კაცი, 54 ათასზე მეტი ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 5850 ტანკი და მოიერიშე ქვემეხი, 3000-მდე საბრძოლო თვითმფრინავი. ყველა ხარისხის შტაბებში გაძლიერებით მიმდინარეობდა მუშაობა მოსალოდნელ შეტევით მოქმედებათა გეგმებზე.

კურსკის შვერილის წინააღმდეგ ჩაფიქრებული ოპერაციის ჩასატარებლად გერმანელთა სარდლობამ თავი მოუყარა თავის საუკეთესო 50 დივიზიას, მათ შორის 16 სატანკო და მოტორიზებულ დივიზიას, 10 ათასამდე ქვემეხსა და ნაღმსატყორცნს, 2700 ტანკს და 2000-ზე მეტ თვითმფრინავს (ყველა საომარი თვითმფრინავის თითქმის 60 პროცენტი აღმოსავლეთში იმყოფებოდა), ბრძოლაში ჩასაბმელად ემზადებოდა თითქმის 900 ათასი კაცი...

გერმანელთა სარდლობას სჯეროდა წარმატებისა. ფაშისტური პროპაგანდა ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ აემაღლებინა ჯარებში საბრძოლო სულისკვეთება, ჰპირდებოდნენ მომავალ ბრძოლებში აუცილებელ გამარჯვებას...

ჩვენს უმაღლეს მთავარსარდლობას უნდა გადაეწყვიტა: შეტევა თუ თავდაცვა?

მაისის პირველ ნახევარში მე ჩრდილო-კავკასიის ფრონტის ჯარე-

ბიდან უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკში დაებრუნდი. იმ დროისათვის გენერალურ შტაბში ძირითადად მთავრდებოდა საზაფხულო კაძპანიის დაგეგმვა. უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკმა ჩაატარა გულდასმითი აგენტურა და საჰაერო დაზვერვა, რომელმაც უტყუარად დაადგინა, რომ ძოწინააღმდეგის ჯარების მთავარი ნაკადი და სამხედრო ტვირთი მოდიოდა ორიოლის, კრომის, ბრიანსკის, ხარკოვის, კრასნოგრადის და პოლტავის რაიონში. მან დაადასტურა ჩვენი აპრილის ვარაუდი. უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკში და გენერალურ შტაბში განმტკიცდა აზრი გერმანელთა ჯარების შეტევაზე შესაძლო გადასვლის შესახებ უახლოეს დღეებში.

უმაღლესმა მთავარსარდალმა მოითხოვა, გაგვეფრთხილებინა ცენტრალური, ბრიანსკის, ვორონეჟისა და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტები, რათა ფრონტის ჯარები სრულ მზადყოფნაში ყოფილიყვნენ მტრის შეტევის დასახვედრად. მისივე ბრძანებით დაშვებული იქნა უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის დირექტივა № 30123, რომელშიც ნავარაუდევი იყო ძოწინააღმდეგის მხრიდან მოსალოდნელი აქტიური მოქმედებანი. შესაძლო შეტევის ჩაფუშვის მიზნით მზადდებოდა საავიაციო და საარტილერიო კონტრმომზადება.

ფრონტების სარდლობამ მიიღო უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის გაფრთხილება, ჩაატარა მთელი რიგი ღონისძიება თავდაცვაში ცეცხლის სისტემის გასაძლიერებლად, აგრეთვე ტანკსაწინააღმდეგო თავდაცვისა და საინჟინრო წინაღობების მოსაწყობად.

აი, ცენტრალური ფრონტის სარდლობის ერთ-ერთი მოხსენება ამ საკითხზე:

„უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკი
ამხ. ი. ბ. სტალინს

უმაღლესი მათვარსარდლობის ბანაკის ა/წ. 8 მაისის № 30123 დირექტივის შესასრულებლად:

1. უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკიდან დირექტივის მიღებისთანავე გადაეცა განკარგულება ცენტრალური ფრონტის ყველა არმიასა და კორპუსს 10 მაისის დილისათვის ჯარების მზადყოფნის შესახებ.

2. 9 და 10 მაისის განმავლობაში შესრულებულია:

ა) ჯარები ორიენტირებულია ძოწინააღმდეგის შეტევით მოქმედებათა თაობაზე უახლოეს პერიოდში.

ბ) პირველი და მეორე ეშელონების და რეზერვების ნაწილები მოყვანილია სრულ საბრძოლო მზადყოფნაში. სარდლობა და შტაბები ადგილზე ამოწმებენ ჯარების მზადყოფნას.

გ) არმიის ზოლებში, განსაკუთრებით ორიოლის მიმართულებით

გაძლიერებულია საჯარისო დაზვერვა და მტრის წინააღმდეგ საცეცხლე ზემოქმედება. პირველი ეშელონის შენაერთებში პრაქტიკულად მოწმდება საცეცხლე ზემოქმედების საიმედობა. მეორე ეშელონებისა და რეზერვების ნაწილები ატარებენ მოსალოდნელ მოქმედებათა მიმართულების დამატებით რეკოგნოსცირებას და აზუსტებენ პირველი საბრძოლო ეშელონის ნაწილებთან ურთიერთმოქმედების საკითხებს. საცეცხლე პოზიციებზე შეივსო საბრძოლო მასალების მარაგი. გაძლიერებულია წინაღობანი, განსაკუთრებით ტანკების მხრივ საშიში მიმართულებით. მიმდინარეობს თავდაცვის ზოლების სიღრმის დანაღმვა. შემოწმებულია ტექნიკური კავშირი, რომელიც შეუფერხებლად მუშაობს.

3. მე-16 საავიაციო არმიამ გააქტიურა საჰაერო დაზვერვა და გულდასმით ადევნებს თვალყურს მოწინააღმდეგეს გლაზუნოვკა—ორიოლი — კრომი — კომარიკის რაიონში. არმიის ავიაშენაერთები და ნაწილები მიყვანილია საომარ მზადყოფნაში მოწინააღმდეგის ავიაციის თავდასხმის უკუსაგდებად და მისი შეტევითი მოქმედების ჩასაფუშავად.

4. მოწინააღმდეგის შეტევის შესაძლო ჩაშლისათვის ორლოვ-კურსკის მიმართულებით მომზადებულია კონტრმომზადება, რომელშიაც მონაწილეობს მე-13 არმიის მთელი არტილერია და მე-16 საჰაერო არმიის ავიაცია.

როკოსოვსკი, ტელეგინი, მალინინი.

№ 00219".

დაახლოებით ასეთი მოხსენებები მოდიოდა სხვა ფრონტებიდანაც.

რამდენადმე სხვაგვარად უყურებდა შექმნილ სიტუაციას არმიის გენერალი ნ. თ. ვატუტინი. იგი არ უარყოფდა თავდაცვით ღონისძიებებს და უმაღლეს მთავარსარდალს სთავაზობდა — დაესწრო მოწინააღმდეგისათვის და დაერტყა ბელგოროდ — ხარკოვის დაჯგუფებისათვის. ამაში მას საკვლევით უჭერდა მხარს სამხედრო საბჭოს წევრი ნ. ს. ხრუშჩოვი.

გენერალური შტაბის უფროსი ა. მ. ვასილევსკი, ა. ი. ანტონოვი და გენერალური შტაბის სხვა მუშაკები არ იზიარებდნენ ვორონეჟის ფრონტის სამხედრო საბჭოს ასეთ წინადადებებს. მე მთლიანად ვეთანხმებოდი გენერალური შტაბის აზრს, რაზედაც მოვახსენე ი. ბ. სტალინს.

მაგრამ უმაღლესი მთავარსარდალი ჯერ კიდევ მერყეობდა — მოეგერიებინა მოწინააღმდეგის შეტევა თუ დაესწრო და დაერტყა მისთვის. ი. ბ. სტალინს ეშინოდა, რომ ჩვენი თავდაცვა ვერ გაუძლებდა გერმანელთა ჯარების დარტყმას, როგორც ეს არაერთხელ ხდებოდა 1941 და 1942 წლებში. ამავე დროს ის არ იყო დარწმუნებული, რომ ჩვენს

ჯარებს შესწევდათ ძალა გაენადგურებინათ შეტევითი მოქმედებით მოწინააღმდეგე.

მრავალგზის განსჯის შემდეგ დაახლოებით 1943 წლის მაისის შუა რიცხვებში ი. ბ. სტალინმა საბოლოოდ და მტკიცედ გადაწყვიტა დახვედროდა გერმანელთა შემოტევას ღრმად ეშელონირებული ყველა სახეობის თავდაცვის ცეცხლით, ავიაციის მძლავრი დარტყმებით და სტრატეგიული და ოპერატიული რეზერვების კონტრდარტყმებით. შემდეგ, მოეღალა და სისხლისაგან დაეცალა მტერი, ქანცი გამოეცალა მისთვის კონტრშეტევებით ,ბელგოროდ-ხარკოვისა და ორიოლის მიმართულებით, რის შემდეგ განეხორციელებინა ღრმად შემტევი ოპერაციები ყველა მნიშვნელოვანი მიმართულებით.

კურსკის რკალის რაიონში გერმანელთა დამარცხების შემდეგ უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკი წინადადებას იძლეოდა გაგვეთავისუფლებინა დონბასი, უკრაინის მთელი მარცხენა სანაპირო, მოგვესპო მოწინააღმდეგის პლაცდარმი ტამანის ნახევარკუნძულზე, გაგვეთავისუფლებინა ბელორუსიის აღმოსავლეთი რაიონები და შეგვექმნა პირობები ჩვენი ტერიტორიიდან მოწინააღმდეგის სრული განდევნისათვის.

მტრის ძირითადი ძალების განადგურებას უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკი შემდეგნაირად გეგმავდა: როგორც კი დადგენილი იქნებოდა შეტევისათვის მოწინააღმდეგის მთავარ დაჯგუფებათა საბოლოო თავმოყრა საწყის რაიონებში, უეცრად უნდა დაგვეშინა ძლიერი ცეცხლი ყველა სახეობის არტილერიითა და ნაღმსარტყორცნებით. ერთდროულად მთელი ძალით უნდა დაერტყა ავიაციას. გადაწყდა, ავიაციით შეტევა გაგრძელებულიყო მთელი თავდაცვის მანძილზე, რისთვისაც უნდა გამოგვეყენებინა მეზობელი ფრონტებისა და უმაღლესი მთავარსარდლობის შორეული ავიაცია.

მოწინააღმდეგის შეტევაზე გადმოსვლისთანავე ვორონეჟისა და ცენტრალური ფრონტების ჯარებს შეუპოვრად უნდა დაეცვათ ცეცხლით ყოველი პოზიცია, ყოველი მიჯნა ზურგიდან წარმოებული კონტრშეტევებითა და კონტრდარტყმებით. ამისთვის წინასწარ იყო გათვალისწინებული ოპერატიული სიღრმიდან რეზერვების შემჭიდროვება მუქარის ქვეშ მყოფ უბნებისკენ, მათ რიცხვში სატანკო კორპუსებისა და არმიებისა, როცა მტერს ქანცი გამოეცლებოდა და შეჩერდებოდა, დაუყოვნებლივ გადავიდოდით კონტრშეტევაზე ვორონეჟის, ცენტრალური, სტეპის, ბრიანსკის, დასავლეთის მარცხენა ფრთისა და სამხრეთ-დასავლეთის მარჯვენა ფრთის ფრონტების ძალებით.

უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის დირექტივით მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად ჯარებს დაუსახეს შემდეგი ამოცანები.

ცენტრალურ ფრონტს უნდა დაეცვა კურსკის შვერილის ჩრდილოეთი ნაწილი, რათა თავდაცვითი ოპერაციის მსვლელობისას დაე-

ქანცა და სისხლისგან დაეცალა მოწინააღმდეგე, რის შემდეგ გადასულიყო კონტრშეტევაზე, ბრიანსკისა და დასავლეთის ფრონტებთან ურთიერთ მოქმედებით გაენადგურებინა გერმანელთა ჯარების დაჯგუფება ორიოლის რაიონში.

ვორონეჟის ფრონტს, რომელიც იცავდა კურსკის შვერილის სამხრეთის ნაწილს, აგრეთვე უნდა მოექანცა და სისხლიდან დაეცალა მოწინააღმდეგე, რის შემდეგ სტეპის ფრონტისა და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მარჯვენა ფრთის ურთიერთმოქმედებით გადასულიყო კონტრშეტევაზე და გაენადგურებინა მოწინააღმდეგე ბელგოროდისა და ხარკოვის რაიონებში. ვორონეჟის ფრონტის მთავარი ძალები თავმოყრილი უნდა ყოფილიყო მის მარცხენა ფლანგზე, მე-6 და მე-7 გვარდიული სატანკო არმიების უბანზე.

სტეპის ფრონტს, რომელიც განლაგებული იყო ცენტრალური და ვორონეჟის ფრონტების იქით იზმალკოვო — ლივნი—მდინარე კშენი—ბელი კოლოდეზის მიჯნაზე, დაეკისრა ამოცანა მოემზადებინა თავდაცვა ზემოხსენებულ ზღუდეზე და უზრუნველეყო კონტრდარტყმა მოწინააღმდეგის მიერ ვორონეჟისა და ცენტრალური ფრონტების გარღვევის შემთხვევაში, აგრეთვე მზად ყოფილიყო შეტევაზე გადასასვლელად.

ბრიანსკის ფრონტისა და დასავლეთის ფრონტის მარცხენა ფრთის ჯარებს ევალებოდა დახმარებოდა ცენტრალურ ფრონტს მოწინააღმდეგის შეტევის ჩაფუშვაში და ამასთანავე მზად ყოფილიყო შეტევაზე გადასასვლელად ორიოლის მიმართულებით.

პარტიზანული მოძრაობის ცენტრალური შტაბის წინაშე დაისვა ამოცანა — მტრის ზურგში მოეწყო მასობრივი დივერსიები ორიოლის, ბრიანსკის, ხარკოვის და სხვა ოლქებში მოწინააღმდეგის ყველა მნიშვნელოვან კომუნიკაციებზე, აგრეთვე შეეკრიბა და გადაეგზავნა მთავარსარდლობის ბანაკში მოწინააღმდეგის შესახებ მნიშვნელოვანი სადაზვერვო მონაცემები.

რათა შეებოჭა მოწინააღმდეგის ჯარები და არ დაეშვა მისი რეზერვების მანევრირება, გათვალისწინებული იქნა ცალკეული შეტევითი ოპერაციები მთელი რიგი მიმართულებებით ქვეყნის სამხრეთით და ჩრდილო-დასავლეთით.

კურსკის რაიონში მოსალოდნელი ბრძოლებისათვის საბჭოთა ჯარები ემზადებოდნენ მაისსა და ივნისში. პირადად მე ეს ორი თვე გავატარე ვორონეჟისა და ცენტრალური ფრონტების ჯარებში, შევისწავლე ჩვენი ჯარების ვითარება და მსელელობა მოსალოდნელ მოქმედებათა მიმართებით.

აი იმდროინდელი ერთ-ერთი ტიპიური მოხსენებათაგანი უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკისადმი.

„22.5.43 4.48

ამხანაგ ივანოვს[1]

მოგახსენებთ 21.5.43 წ. ცენტრალურ ფრონტზე არსებულ ვითარებას.

1. 21 მაისისათვის ყველა სახეობის დაზვერვით დადგენილია: თავდაცვის პირველ ხაზზე ცენტრალური ფრონტის მოწინააღმდეგეს 15 ქვეითთა დივიზია ჰყავს, მეორე ხაზზე და რეზერვში — 13 დივიზია, მათგან 3 სატანკოა.

გარდა ამისა, მოგვეპოვება ცნობები ორიოლის სამხრეთით მე-2 სატანკო დივიზიისა და 36-ე მოტოდივიზიის თავმოყრის შესახებ. ცნობები ამ ორ დივიზიაზე შემოწმებას მოითხოვს.

მოწინააღმდეგის მე-4 სატანკო დივიზია, რომელიც ადრე სევსკის დასავლეთით იმყოფებოდა, სადღაც გადაისროლეს. გარდა ამისა ბრიანსკისა და კარაჩევის რაიონში იმყოფება სამი დივიზია, მათგან ორი სატანკოა.

მაშასადამე, 21 მაისისათვის მოწინააღმდეგეს ცენტრალური ფრონტის წინააღმდეგ შეუძლია იმოქმედოს 33 დივიზიით, რომელთაგან ექვსი სატანკოა.

ფრონტის ინსტრუმენტულმა და ვიზუალურმა დაზვერვამ გამოავლინა 800 ქვემეხი, უმთავრესად 105 და 150-მილიმეტრიანი.

არტილერიის მთავარი მასა მოწინააღმდეგეს მიმართული აქვს მე-13 არმიის, 48-ე არმიის მარცხენა ფლანგისა და 70-ე არმიის მარჯვენა ფლანგის წინააღმდეგ, ესე იგი ტროსნო — პერვოე პოზდეევოს უბანზე. ამ მთავარ საარტილერიო დაჯგუფების იქით ზმეევკა — კრასნაია როშჩას ხაზზე განლაგებულია 600—700 ტანკამდე. ამასთანავე მთავარი მასა თავმოყრილია მდინარე ოკის აღმოსავლეთით.

ორიოლის, ბრიანსკის, სმოლენსკის რაიონში მოწინააღმდეგემ თავი მოუყარა 600—650-მდე თვითმფრინავს. მოწინააღმდეგის ავიაციის მთავარი დაჯგუფება ორიოლის რაიონშია.

უკანასკნელ დღეებში, როგორც ხმელეთზე, ისე ჰაერში, მოწინააღმ-მდეგე პასიურობს, მისი მოქმედება განისაზღვრება მცირე საჰაერო დაზვერვითა და იშვიათად საცეცხლე თავდასხმებით.

მეწინავე მხარეს და ტაქტიკური თავდაცვის სიღრმეში მოწინააღმ-დეგე აწარმოებს სასანგრე სამუშაოებს. განსაკუთრებით ძლიერ ანვითარებს თავის თავდაცვით პოზიციებს მე-13 არმიის ფრონტის წინ კრასნაია სლობოდკა — სენკოვოს უბანზე, სადაც მას უკვე აღმოაჩნდა თავდაცვის მეორე ხაზი მდინარე ნერუჩის გაღმა. მეთვალყურეთა ცნობებით მოწინააღმდეგე ამ მიმართულებით ქმნის თავდაცვის მესამე ხაზს მდინარე ნერუჩის ჩრდილოეთით 3—4 კილომეტრზე.

---

[1] ი. ბ. სტალინის ფსევდონიმი (რ ე დ.).

ტყვეებმა აჩვენეს, რომ გერმანელთა სარდლობისათვის ცნობილია ორიოლის სამხრეთით ჩვენი დაჯგუფების ამბავი, აგრეთვე შეტევის სამზადისი და გერმანელთა ნაწილები გაფრთხილებულნი არიან ამის თაობაზე. ტყვედ ჩავარდნილი მფრინავების ჩვენებიდან ჩანს, რომ გერმანელთა სარდლობა თვითონ ამზადებს შეტევას და ამ მიზნით თავს უყრის ავიაციას.

მე პირადად ვიყავი მე-13 არმიის მეწინავე ხაზზე, ყოველი წერტილიდან დავზვერე მოწინააღმდეგის თავდაცვა, თვალს ვადევნებდი მის მოქმედებას, ველაპარაკე 70-ე და მე-13 არმიების დივიზიათა მეთაურებს, სარდლებს გალანინს, პუხოვს და რომანენკოს და მივედი იმ დასკვნამდე, რომ მოწინააღმდეგის მეწინავე ხაზზე უშუალო შეტევისათვის სამზადისი არ შეიმჩნევა.

შესაძლოა, მე ვცდები, შესაძლოა, მოწინააღმდეგე დიდი ოსტატობით ინიღბება და მალავს თავის შეტევით სამზადისს, მაგრამ მისი სატანკო ნაწილების განლაგების ანალიზი, ქვეითი შენაერთების არასაკმარისი სიმჭიდროვე, მძიმე არტილერიის გადაუჯგუფებლობა მაფიქრებინებს, რომ მოწინააღმდეგეს მაისის ბოლომდე შეტევაზე გადასვლა არ შეუძლია.

2. ჩვენი მე-13 და 70-ე არმიების თავდაცვა სწორად არის მოწყობილი და ღრმად ეშელონირებულია. 48-ე არმიის თავდაცვა არამჭიდროდ არის ორგანიზებული, ძალზე სუსტია მისი საარტილერიო ცეცხლის სიმჭიდროვე. და თუ მოწინააღმდეგემ დაარტყა რომანენკოს არმიას და გაბედა შემოვლა მალოარხანგელსკის აღმოსავლეთით კოსტენის[1] მთავარი დაჯგუფებების შემოვლის მიზნით, მაშინ რომანენკო ვერ გაუძლებს მოწინააღმდეგის შემოტევას. ფრონტის რეზერვები უმთავრესად განლაგებულია პუხოვისა და გალანინის ახლოს და ისინი რომანენკოს ვერ გაუწევენ დროულად დახმარებას.

მე მიმაჩნია, რომ რომანენკო უნდა გავაძლიეროთ მთავარბანაკის რეზერვის ხარჯზე ორი მსროლელთა დივიზიით, სამი T-34 სატანკო პოლკით, ორი ტანკსაწინააღმდეგო-გამანადგურებელი საარტილერიო პოლკით და უმაღლესი სარდლობის რეზერვის ორი ნაღმსატყორცნი ან საარტილერიო პოლკით. თუ რომანენკოს ამას მივცემთ, იგი შეძლებს კარგი თავდაცვის მოწყობას და თუ საჭირო იქნება, მჭიდრო დაჯგუფებით შეტევაზე გადასვლას.

პუხოვის, გალანინისა და ფრონტის სხვა არმიების თავდაცვის ძირითადი ნაკლი ის არის, რომ არა ჰყავთ ტანკსაწინააღმდეგო-გამანადგურებელი საარტილერიო პოლკები. ამჟამად ფრონტს მხოლოდ ოთხი

---

[1] კ. კ. როკოსოვსკის ფსევდონიმი (რ ე დ.).

ტანკსაწინააღმდეგო-გამანადგურებელი საარტილერიო პოლკი ჰყავს, მათგან ორი უსაწყვეაროდ ფრონტის ზურგშია.

ბატალიონებსა და პოლკებს ძალზე აკლიათ 45-მილიმეტრიანი ქვემეხები, რის გამოც სუსტადაა ორგანიზებული პირველადი ეშელონებისა და წინახაზის ტანკსაწინააღმდეგო თავდაცვა.

საჭიროდ მიმაჩნია კოსტინს რაც შეიძლება სწრაფად მივცეთ ოთხი ტანკსაწინააღმდეგო-გამანადგურებელი საარტილერიო პოლკი (რომანენკოსთან ერთად ექვსი გამოვა) და 152-მილიმეტრიანი თვითმავალი არტილერიის სამი პოლკი.

3. ვერ დაამთავრა კოსტინმა შეტევისათვის მზადება. კოსტინთან და პუხოვთან ერთად ადგილმდებარეობის გათვალისწინებით დავამუშავეთ ეს საკითხი და დავასკვენით, რომ გარღვევის ადგილი გადავიტანოთ კოსტინის მიერ ადრე არჩეულიდან 2—3 კილომეტრზე დასავლეთით, ე. ი. არხანგელსკის ჩათვლით და პირველ ეშელონში რკინიგზის დასავლეთ მხარეზე დავაყენოთ სატანკო კორპუსით გაძლიერებული ერთი კორპუსი.

კოსტინი საარტილერიო დაჯგუფებებით ვერ განახორციელებს გეგმით გათვალისწინებულ გარღვევას, რადგან მოწინააღმდეგემ ამ მიმართულებაზე მნიშვნელოვნად უფრო ძლიერი და ღრმად ეშელონირებული თავდაცვა მოაწყო.

კოსტინის გარღვევა უეჭველი რომ იყოს, მას დამატებით ერთი საარტილერიო კორპუსი დასჭირდება.

ფრონტის საომარი მასალა საშუალოდ ერთნახევარ საბრძოლო კომპლექტს შეადგენს.

გთხოვთ დაავალოთ იაკოვლევს, რომ ორ კვირაში ფრონტი უზრუნველყოს ძირითადი ყალიბების სამი საბრძოლო კომპლექტით.

4. პუხოვს ახლა 12 დივიზია ჰყავს, ექვსი მათგანი ორ კორპუსშია გაერთიანებული, დანარჩენ ექვსს პუხოვი თვითონ მეთაურობს. საქმისათვის სასარგებლოა და გთხოვთ გასცეთ ბრძანება, რათა სწრაფად ჩამოყალიბდეს და პუხოვს გაეგზავნოს ორი საკორპუსო სამმართველო, უნდა შეიქმნას კიდევ ერთი საკორპუსო სამმართველო და გაეგზავნოს გალანინს, რომელსაც ახლა მსროლელთა კორპუსის გარდა, ხუთი ცალკე დივიზია ჰყავს.

გთხოვთ მიიღოთ გადაწყვეტილება.

№ 2069"

იურიევი [1]

ამგვარადვე ვსწავლობდით ვორონეჟის ფრონტის ჯარებში არსებულ ვითარებას და ამის შესახებ დაუყოვნებლივ ვაცნობებდით ხოლ-

---

[1] გ. კ. ჟუკოვის ფსევდონიმია (რ ე დ.).

მე მთავარბანაკს. თავიანთი მხრივ, ფრონტების მეთაურობა და შტაბები თვალყურს ადევნებდნენ მოწინააღმდეგის ყოველ ნაბიჯს, ანზოგადებდნენ მონაცემებს და ასევე დაუყოვნებლივ ატყობინებდნენ გენერალურ შტაბსა და მთავარბანაკს.

მე თვალყურს ვადევნებდი ჯარების, ფრონტების შტაბების, გენერალური შტაბის მუშაობას და უნდა ვთქვა, რომ ზაფხულის ბრძოლებში მათმა დაუღალავმა მოღვაწეობამ უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა. შტაბის მუშაკები დღისით და ღამით გულდასმით აგროვებდნენ და აანალიზებდნენ ცნობებს მოწინააღმდეგის ჯარების, მათი შესაძლებლობებისა და განზრახვების შესახებ. განზოგადებულ მონაცემებს მოახსენებდნენ სარდლობას ძირითად გადაწყვეტილებათა მისაღებად.

კურსკის შვერილის რაიონში ჯარების მოქმედების გეგმის შემუშავებისათვის საჭირო იყო მთავარბანაკსა და გენერალურ შტაბს განეხორციელებინათ საფუძვლიანი დაზვერვა, რათა შეეგროვებინათ მონაცემები მოწინააღმდეგის ჯარების განლაგების, ჯავშანსატანკო და საარტილერიო შენაერთების, ბომბდამშენი და გამანადგურებელი ავიაციის გადაჯგუფების შესახებ და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გამოეცნოთ მოწინააღმდეგის ჯარების სარდლობის ჩანაფიქრი.

მას, ვინც იცნობს ოპერაციის მოცულობასა და მისი მომზადების მეთოდს, შეუძლია შეაფასოს კურსკის ბრძოლის მომზადებისათვის შტაბებისა და სარდლობის მიერ ჩატარებული მუშაობის მთელი სირთულე და მრავალფეროვნება.

გენერალურ შტაბს ღრმად უნდა გაეანალიზებინა მიღებული მონაცემები, გაეკეთებინა სათანადო დასკვნები უამრავი ცნობიდან, რომელთა შორის შესაძლოა დეზინფორმაციული ხასიათისა და ყალბიც მოხვედრილიყო. ამგვარ მრავალსახოვან სამუშაოს კი, როგორც ცნობილია, ასრულებს ათასობით ადამიანი აგენტურული და საჯარისო დაზვერვის ორგანოები, პარტიზანები და ბრძოლაში ჩვენი თანამგრძნობნი.

მოქმედებისათვის მზადებისას მოწინააღმდეგე ახორციელებდა სპეციალურ ღონისძიებათა სისტემას, რათა შეენიღბა თავისი განაზრახი: მიმართავდა ყალბ გადაჯგუფებას და სხვა ამგვარ ცრუ მანევრს. უმაღლესი შტაბები უნდა გარკვეულიყვნენ ყოველივე ამაში და ნამდვილი გაერჩიათ ყალბისაგან.

ასეთი სამუშაო დიდი მასშტაბით შეიძლება წარმოებდეს მხოლოდ ცენტრალიზებული მითითებების საფუძველზე, ყველა ძალების დაძაბვით და არა რომელიმე ცალკეულ იდეასა ან ვარაუდზე დაყრდნობით.

რა თქმა უნდა, ამგვარი სისტემით მუშაობის დროსაც შესაძლოა შეცდომა.

მაგალითად, მთავარბანაკი და გენერალური შტაბი მიიჩნევდნენ, რომ მოწინააღმდეგე უველაზე ალიერ დაჯგუფებას ორიოლის რაიონში ჩვენი ცენტრალური ფრონტის წინააღმდეგ ამზადებსო. სინამდვილეში უფრო ძლიერი აღმოჩნდა ვორონეჟის ფრონტის წინააღმდეგ მოქმედი დაჯგუფება, რომელშიც 9 სატანკო დივიზია (1500 ტანკი) შედიოდა. ცენტრალური ფრონტის წინააღმდეგ კი მოქმედებდა 6 სატანკო დივიზია (1 200 ტანკი). ამით მნიშვნელოვანწილად აიხსნება ისიც, რომ ცენტრალურმა ფრონტმა უფრო იოლად უკუაგდო შეტევა, ვიდრე ვორონეჟისამ.

როგორ განლაგდნენ ჯარების ძირითადი ჯგუფები ბრძოლის წინ?

ბელგოროდის რაიონში თავდაცვის უველაზე სახიფათო ზღუდეები ეკავათ მე-6 გვარდიულ არმიას გენერალ ი. მ. ჩისტიაკოვის მეთაურობით და მე-7 გვარდიულ არმიას გენერალ მ. ს. შუმილოვის მეთაურობით. უშუალოდ მე-6 არმიის უკან, თავდაცვის ფრონტის მეორე ეშელონში, ობოიანის მიმართულებით იდგა პირველი სატანკო არმია. მე-6 და მე-7 არმიების შესაყარზე განლაგებული იყო 69-ე არმია, რომელიც კოროჩისა და პროხოროვკის მიმართულებას იცავდა. ფრონტის რეზერვი — 35-ე მსროლელთა კორპუსი და მე-2 სატანკო კორპუსი განლაგდნენ კოროჩის რაიონში, ხოლო მე-5 სატანკო კორპუსი — ობოიანის სამხრეთით.

1-მა სატანკო არმიამ უველა ნაწილისათვის მოამზადა თავდაცვის ზღუდეები და ჭეიცე საინჟინრო ნაგებობები, რათა საჭირო შემთხვევაში მტრის ჯარებს შეგებებოდნენ ტანკებისა და საერთოდ უველა იარაღის ცეცხლით.

ჯარების შემოქმედებითი მუშაობის შედეგად მეტად საფუძვლიანად დამუშავდა მეზობელ ნაწილებთან ფრონტსა და სიღრმეზე საცეცხლე სისტემების ურთიერთმოქმედების, აგრეთვე ავიაციასთან კავშირის საკითხები.

ცენტრალური ფრონტის უველაზე საშიშ უბანს პონირეის რაიონში იცავდა მე-13 არმია გენერალ ნ. ჰ. პუხოვის მეთაურობით. მე-13 არმიისა და ი. ე. გალანინის 70-ე არმიის შესაყარზე ოპერატიულ სიღრმეში განლაგდა მე-2 სატანკო არმია გენერალ ა. გ. როდინის სარდლობით.

ფრონტის რეზერვს შეადგენდა მე-9 და მე-19 სატანკო კორპუსები და რამდენიმე ტანკსაწინააღმდეგო-გამანადგურებელი საარტილერიო ნაწილი. ჰაერიდან ფრონტის ჯარებს ეხმარებოდა მე-16 საჰაერო არმია გენერალ ს. ი. რუდენკოს სარდლობით.

მინდა ვთქვა ჩვენს რეზერვებზეც. მთავარბანაკმა კურსკის ოპერაციის მზადებისას დიდი ჯაფა დახარჯა, რათა თავის განკარგულებაში ჰყოლოდა დიდი რეზერვი.

ლიენი — სტარი ოსკოლის ზღუდეზე თავმოყრილი იყო სტეპის ფრონტის ჯარები, რომლის დანიშნულებას შეადგენდა შემთხვევითი თავდასხმის უკუგდება და საერთო კონტრშეტევაზე გადასვლისათვის მძლავრი საფრონტო გადაჯგუფების განხორციელება. სტეპის ფრონტის შემადგენლობაში ჩაირიცხა მე-5 გვარდიული საერთო-საჯარისო არმია გენერალ ა. ს. ჟადოვის მეთაურობით, 27-ე, 53-ე, 47-ე საერთო-საჯარისო არმიები, მე-5 გვარდიული სატანკო არმია, 1-ლი გვარდიული მექანიზებული კორპუსი, მე-4 გვარდიული სატანკო და მე-10 სატანკო კორპუსები, მე-3, მე-5, მე-7 საკავალერიო კორპუსები. სტეპის ფრონტს ჰაერიდან ეხმარებოდა მე-5 საჰაერო არმია. ფრონტს სარდლობდა გენერალ-პოლკოვნიკი ი. ს. კონევი, სამხედრო საბჭოს წევრი იყო გენერალ-ლეიტენანტი ი. ზ. სუსაიკოვი, ფრონტის შტაბის უფროსი — გენერალ-ლეიტენანტი მ. ვ. ზახაროვი.

სტეპის ფრონტს ძალზე მნიშვნელოვანი მოვალეობა ეკისრა. მას არ უნდა დაეშვა მოიერიშე მოწინააღმდეგის ღრმა შემოჭრა, ხოლო ჩვენი ჯარების კონტრშეტევაზე გადასვლის დროს მისი ამოცანა იყო სიღრმიდან გაეძლიერებინა საბჭოთა ჯარების დარტყმის ძალა. მოწინააღმდეგის განლაგებიდან მნიშვნელოვანი დაშორება ჯარს თავისუფალი მანევრის საშუალებას აძლევდა.

სტეპის ფრონტი თავისი მიზნობრივი დანიშნულებით არსებითად განსხვავდებოდა მოსკოვის მისადგომებთან 1941 წელს მოქმედი სარეზერვო ფრონტისაგან. სტეპის ფრონტი ფაქტიურად წარმოადგენდა მეორე ოპერატიულ ეშელონს, რომელიც ძირითადი ძალებით დასავლეთის ფრონტის ზურგის ზღუდეებზე განლაგდა.

ივნისის ბოლო რიცხვებში ვითარება საბოლოოდ გაირკვა და ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ მოწინააღმდეგე უახლოეს დღეებში შეტევაზე სწორედ აქ, კურსკის რაიონში, გადმოვიდოდა და არა სადმე სხვაგან.

30 ივნისს ი. ბ. სტალინმა დამირეკა. მან მიბრძანა დავრჩენილიყავი ორიოლის მიმართულებაზე ცენტრალური, ბრიანსკისა და დასავლეთის ფრონტების მოქმედებათა კოორდინაციისათვის.

— ვორონეჟის ფრონტზე, — თქვა უმაღლესმა მთავარსარდალმა, მიელინებულია ვასილევსკი.

იმ დღეებში ვიმყოფებოდი ცენტრალურ ფრონტზე და კ. კ. როკოსოვსკისთან ერთად და მე-13 არმიის, მე-2 სატანკო არმიის და სარეზერვო კორპუსების ჯარებში ვმუშაობდი. მე-13 არმიის იმ უბანში, სადაც მოწინააღმდეგის მთავარ დარტყმას ველოდით, საარტილერიო ცეცხლის განსაკუთრებულ სიმჭიდროვეს მივაღწიეთ.. პონირის რაიონში განლაგდა უმაღლესი სარდლობის მე-4 საარტილერიო კორპუსი, რომლის განკარგულებაში იყო 700 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი. აქვე

მოიკარეს თავი საფრონტო საარტილერიო ნაწილებისა და უმაღლესი სარდლობის მთელმა ძირითადმა ძალებმა. გაიზარდა საარტილერიო სიმჭიდროვე და იგი ფრონტის ერთ კილომეტრზე 92 ქვემეხსა და ნაღმსატყორცს შეადგენდა.

მასირებული სატანკო დარტყმების მოგერიების მიზნით ორივე ფრონტის ტანკსაწინააღმდეგო თავდაცვა მოეწყო ჯარების განლაგების მთელს სიღრმეზე, ჯარებისა, რომლებიც მაქსიმალურად იყვნენ აღჭურვილნი არტილერიით, ტანკებით, საინჟინრო-სანაღმო საშუალებებით.

ცენტრალურ ფრონტზე ყველაზე მძლავრი ტანკსაწინააღმდეგო თავდაცვა მომზადდა მე-13 არმიასა და ფლანგებზე მის გვერდით მდგომი 48-ე და 70-ე არმიების მოქმედების რაიონში. ცენტრალური ფრონტის მე-13 არმიის მოქმედების ზონაში ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო თავდაცვა ერთ კილომეტრ ფრონტზე 30 ერთეულზე მეტს შეადგენდა.

ვორონეჟის ფრონტზე, მე-6 და მე-7 გვარდიული არმიების მოქმედების ზოლში, ფრონტის ერთ კილომეტრზე ქვემეხთა სიმჭიდროვე შეადგენდა 15,6 ერთეულს, ხოლო ფრონტის მეორე ეშელონში განლაგებული ძალების გათვალისწინებით ფრონტის ერთ კილომეტრზე 30-მდე ქვემეხი მოდიოდა. ამას გარდა, ამ უბანში ტანკსაწინააღმდეგო თავდაცვა გაძლიერდა ორი სატანკო პოლკითა და ერთი სატანკო ბრიგადით.

ყველა მიმართულებით, საიდანაც მტრის სატანკო თავდასხმა იყო მოსალოდნელი, მოეწყო თავდაცვის ტანკსაწინააღმდეგო საყრდენი პუნქტები და რაიონები. არტილერიისა და ტანკების გარდა, დიდი ყურადღება ეთმობოდა დანაღმვას, ვთხრიდით ტანკსაწინააღმდეგო ორმოებს, ესკარპებს, ვაშენებდით საინჟინრო-საწინაღობო ნაგებობებს. ფართოდ ვიყენებდით მოძრავ საწინაღობო ჯგუფებსა და ტანკსაწინააღმდეგო რეზერვებს.

ყველა ეს ტანკსაწინააღმდეგო ღონისძიება საკმაოდ ეფექტიური იყო — გვშველოდა მძიმე ბრძოლებში დაგროვილი დიდი გამოცდილება. მოწინააღმდეგის სატანკო ჯარები განწირულნი იყვნენ დამარცხებისათვის, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს მტრის საერთო განადგურებას.

ნადავლი დოკუმენტებითა და სადაზვერვო მონაცემებით დადგინდა: ცენტრალური და ვორონეჟის ფრონტების წინააღმდეგ მოქმედებდა მტრის ავიაცია 1-ლი, მე-4 და მე-8 საავიაციო კორპუსების შემადგენლობით, სულ იერიში მოჰქონდა 2 ათასამდე საბრძოლო თვითმფრინავს გენერალ-ფელდმარშალ რიხტგოფენის მეთაურობით.

მტრის ავიაცია მარტიდან მოყოლებული თანდათან აძლიერებდა

საავიაციო დარტყმებს, ესხმოდა თავს სარკინიგზო კვანძებს, მაგისტრალებს, ქალაქებს და ზურგის მნიშვნელოვან ობიექტებს, ხოლო ივნისიდან უფრო გაახშირეს ჩვენი ჯარების ნაწილებისა და ზურგის დაბომბვა.

ჯარებისა და მთელი კურსკის შვერილის საჰაერო თავდაცვას ახორციელებდა მე-2, მე-5 და მე-16 საჰაერო არმიები და ჩვენი ქვეყნის საჰაერო თავდაცვის ავიაგამანადგურებელთა ორი საავიაციო დივიზია. ვითვალისწინებდით რა მოწინააღმდეგის მოსალოდნელ თავდასხმას, ფრონტები მნიშვნელოვნად გავაძლიერეთ საზენიტო საშუალებებით. ამან ფრონტებს საშუალება მისცა, მრავალი ობიექტი ორჯერადი, სამჯერადი, ოთხჯერადი და ხუთჯერადი ცეცხლითაც კი დაეცვათ.

საზენიტო-საარტილერიო თავდაცვა დაკავშირებული იყო გამანადგურებელი ავიაციისა და დაკვირვების, თვალთვალისა და შეტყობინების მთელი სისტემის მოქმედებასთან. ფრონტებისა და მთელი კურსკის შვერილის საფუძველიანმა და კარგმა ორგანიზებულმა ჰაერსაწინააღო თავდაცვამ საშუალება მოგვცა საიმედოდ დაგვეფარა ჯარები და მტრის ავიაციისთვის დიდი ზარალი მიგვეყენებინა.

ფრონტების საინჟინრო ნაგებობანი სიღრმით 150 კილომეტრზე იყო განლაგებული. ხოლო სტეპის ფრონტის გათვალისწინებით საერთო სიღრმე 250—300 კილომეტრს აღწევდა. ფრონტებმა განსაკუთრებით ბევრი გააკეთეს საინჟინრო სამუშაოების მხრივ. ჯარებს საშუალება ჰქონდათ თავი დაეცვათ მტრის ცეცხლისაგან და ეფექტურად გაენადგურებინათ ვისი მოიერიშე რიგები.

არმიებისა და შენაერთების ფრონტის ზურგებმა ჭეშმარიტად ტიტანური სამუშაო შეასრულეს. სამწუხაროდ, ჩვენთან ძალზე ცოტას წერენ ზურგის შესახებ, ზურგის სამსახურის მუშაკების შესახებ, რომლებიც თავიანთი შრომით, შემოქმედებითი თაოსნობით ეხმარებოდნენ ჯარებს და ყველა ხარისხის საარდლობას მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, მისი განადგურებისა და ომის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებებით დასრულების საქმეში.

საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ბრძოლებში ვერ მოიპოვებ წარმატებას ზურგის კარგი ორგანიზაციისა და მისი აწყობილი მუშაობის გარეშე. თუ ჯარი უზრუნველყოფილი არაა სათანადო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით, ოპერაცია აუცილებლად მარცხით დამთავრდება.

„თუ ძალზე საფუძველიანად და ზუსტ მათემატიკურ გაანგარიშებაზე დაყრდნობით არაა მოწყობილი ზურგი, თუ ფრონტი შეუფერხებლად არ იღებს ყველაფერ იმას, რაც აუცილებელია საბრძოლო ოპერაციების წარმოებისათვის, თუ უაღრესი სიზუსტით არაა გათვლილი ზურგის მოსამარაგებელი გადასაზიდები, თუ ორგანიზებული არაა საე-

ვაკუაციო საქმე, მაშინ წარმოუდგენელია ვილაპარაკოთ დიდი სამხედრო ოპერაციების რაიმე სწორ და გონივრულ წარმართვაზე"[1]. — ამბობდა მ. ვ. ფრუნზე.

ცენტრალური ფრონტის ზურგს განაგებდა გენერალი ნ. ა. ანტიპენკო. მოსკოვის მისადგომებთან გამართული ბრძოლების დროს იგი ხელმძღვანელობდა დასავლეთის ფრონტის 49-ე არმიის ზურგს. მან უკვე მაშინ ისახელა თავი, როგორც ზურგის სამსახურის გამოჩენილმა ორგანიზატორმა. მინდა აღვნიშნო აგრეთვე უკრაინის პირველი ფრონტის ზურგის უფროსი გენერალი ნ. პ. ანისიმოვი. იგი განსაკუთრებით დამამახსოვრდა პროსკუროვო-ჩერნოვიცის ოპერაციის დროს, როცა მან გაზაფხულის სრული უგზოობის მიუხედავად, ბრწყინვალედ გაართვა თავი ფრონტის ზურგის ორგანიზაციას.

მთავარბანაკის მიერ დაგეგმილი ფრონტების მოქმედების უზრუნველსაყოფად საჭირო იყო ჩაგვეტარებინა კოლოსალური სამუშაო ოპერაციების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვისათვის, ოპერაციებისა, რომლებშიც მონაწილეობდნენ 1330 ათასი კაცი, 3600-ზე მეტი ტანკი და თვითმავალი-საარტილერიო დანადგარი, 20 ათასი ქვემეხი, 3130 თვითმფრინავი (მათ შორის შორმოქმედი ავიაცია).

იმის მიუხედავად, რომ ცუდი ამინდი იდგა, გვქონდა დიდი სატრანსპორტო სიძნელეები და მტერი ცდილობდა საავიაციო თავდასხმებით შეეფერხებინა ოპერაციებისათვის ყოველივე აუცილებელის მიწოდება, ფრონტების ზურგებმა ბრწყინვალედ გადაჭრეს თავიანთი ამოცანები. მათ საესებით უზრუნველყვეს ბრძოლის არა მარტო თავდაცვითი პერიოდი, არამედ კონტრშეტევით მოქმედებაზე სწრაფი გადასვლაც.

ჩემთვის ძნელია ვთქვა, რომელი ფრონტის ზურგი უკეთესად მომზადდა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ცენტრალურ ფრონტს ნაკლები დრო დასჭირდა კონტრშეტევის მატერიალური უზრუნველყოფისათვის, უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ ზურგი ოპერაციის დაწყების წინაც და მისი მიმდინარეობის დროსაც ყველაზე ოპერატიულად მუშაობდა. რა თქმა უნდა, ამაში მცირე როლი როდი ითამაშა ოპერაციის წარმოებისას ფრონტების მასშტაბთა მერყეობამ.

უნდა ითქვას, რომ ფრონტების სამხედრო საბჭოები ბევრ დროს უთმობდნენ ზურგის საკითხებს და ამით მნიშვნელოვანწილად აიხსნება ბრძოლის დაწყების წინ ჯარების კარგი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება.

ზურგსა და უშუალოდ ჯარებს დიდი დახმარება გაუწია კურსკის რაიონის მოსახლეობამ. ფრონტისპირა რაიონების სამრეწველო საწარმოები არემონტებდნენ ტანკებს. თვითმფრინავებს, მანქანებს, სა-

[1] М. В. Фрунзе. Избранные произведения Воениздат, 1950. стр 306.

არტილერიო და სხვა ტექნიკას. ბლომად კერავდნენ საჯარისო და საჰოსპიტლე ტანსაცმელს. უდიდესი სამუშაოები ჩატარდა თავდაცვის ზღუდეების აგებისათვის, გზების გაყვანისა და შეკეთებისათვის.

შეიძლება ითქვას, რომ აქ ფრონტი და ზურგი ჭეშმარიტად შეერწყმა. თითოეული ყოველივე შესაძლებელს აკეთებდა მტერზე გამარჯვებისათვის. ამით ნათლად გამოიხატა ჩვენი ხალხისა და შეიარაღებული ძალების მიზანთა ერთიანობა თავიანთი სოციალისტური სამშობლოსათვის ბრძოლაში.

პირადად გენერლები ნ. თ. ვატუტინი და კ. კ. როკოსოვსკი ბევრ დროს უთმობდნენ ზურგის საკითხებს და ამითაც მნიშვნელოვანწილად აიხსნება ბრძოლის დაწყების წინ ჯარების კარგი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება.

მაშინდელი დაძაბული დღეების შემართებაზე კარგად მოგვითხრობს საბჭოთა კავშირის მარშალი ა. მ. ვასილევსკი თავის სტატიაში „ისტორიული ბრძოლა", რომელიც „პრავდის" 1968 წლის 4 იულისის ნომერში კურსკთან გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურების 25 წლისთავთან დაკავშირებით გამოქვეყნდა.

„ძნელია ჩამოთვალო ყველა დიდი ღონისძიება, რომელიც თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა, მთავარბანაკმა და გენერალურმა შტაბმა განახორციელეს კურსკის რკალზე გადამწყვეტი ბრძოლის მომზადებისათვის, — სწერს ა. მ. ვასილევსკი. — ეს იყო უდიდესი, ჭეშმარიტად ტიტანური სამუშაო.

ასეთ ღონისძიებათა შორის იყო კურსკის მიმართულებით 250—300 კილომეტრის სიღრმეზე მრავალზოლოვანი თავდაცვის ზღუდის აგება, კურსკის აღმოსავლეთით მთავარბანაკის მძლავრი რეზერვის — სტეპის ფრონტის წინწაწევა, კურსკის რაიონში ომებისათვის გაუგონარ მატერიალურ საშუალებათა და ჯარების თავმოყრა, სპეციალური საჰაერო ოპერაციების ორგანიზაცია მტრის კომუნიკაციის მოშლისა და ჰაერში გაბატონებისათვის, მტრის ზურგში მასობრივი დივერსიის მოწყობისა და მნიშვნელოვანი სადაზვერვო მონაცემების მიღების მიზნით პარტიზანთა მოქმედების აქტივიზაცია და ღონისძიებათა მთელი კომპლექტის ჩატარება საბჭოთა არმიის მომავალი მოქმედების პოლიტიკური უზრუნველყოფისათვის".

ამრიგად, მაისსა და ივნისში სახმელეთო და საჰაერო ჯარებს დაძაბული საომარი მზადება ჰქონდათ, ყველა მებრძოლი და მეთაური მტერთან შებმისათვის ემზადებოდა.

და ესეც მალე მოხდა.

მთავარბანაკმა და ფრონტებმა დაზვერვის ყველა მონაცემზე დაყრდნობით დაადგინეს მოწინააღმდეგის შეტევაზე გადმოსვლის ზუსტი დრო. 2 იულისს მთავარბანაკმა გააფრთხილა ფრონტების სარდლობა,

რომ შესაძლოა მოწინააღმდეგემ იერიში 3-დან 6 ივლისამდე წამოიწყოსო.

ახლა ჩვენი უახლოესი ამოცანა საბჭოთა ჯარების მძლავრი საარტილერიო და საავიაციო კონტრმზადება გახდა.

4 ივლისის საღამოს კ. კ. როკოსოვსკის შტაბში ვიყავი. ნ. თ. ვატუტინის შტაბში მყოფ ა. მ. ვასილევსკისთან მაღალსიხშირის ტელეფონით დალაპარაკების შემდეგ შევიტყვე ბელგოროდის რაიონში მოწინააღმდეგის მეწინავე რაზმებთან ბრძოლის შედეგები. ნათელი გახდა, რომ დასტურდებოდა გერმანელთა 168-ე ქვეითი დივიზიის იმ დღეს დატყვევებული ჯარისკაცის ჩვენება 5 ივლისს გამთენიისას მოწინააღმდეგის შეტევაზე გადმოსვლის შესახებ და, რომ ჩატარდებოდა მთავარბანაკისა და ვორონეჟის ფრონტის შტაბის გეგმით გათვალისწინებული საარტილერიო და საავიაციო კონტრმზადება.

ეს ცნობები მაშინვე გადავეცი. კ. კ. როკოსოვსკისა და მ. ს. მალინინს.

დილის სამი საათისათვის მე-13 არმიის სარდალმა, გენერალმა ნ. ჰ. პუხოვმა დამირეკა და მომახსენა, რომ მე-6 ქვეითი დივიზიის ტყვედშეპყრობილი ჰესანგრის ცნობით გერმანელთა ჯარი მზადაა შეტევაზე გადმოსვლისათვისო. საორიენტაციო დროდ მიიჩნევდნენ 5 ივლისის დილის 3 საათს.

კ. კ. როკოსოვსკიმ მკითხა:

— რა ვქნათ? მოვახსენოთ მთავარბანაკს თუ გავცეთ კონტრმზადების ჩატარების ბრძანება?

—კონსტანტინე კონსტანტინეს ძევ, დროს ნუ დავკარგავთ. გაეცით ბრძანება, როგორც ეს გათვალისწინებულია ფრონტისა და მთავარბანაკის გეგმით, ხოლო მე ახლავე დავურეკავ უმაღლეს მთავარსარდალს და მოვახსენებ ჩვენს ხელთ არსებული ცნობებისა და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

უმაღლეს მთავარსარდალთან მაშინვე დამაკავშირეს. იგი მთავარბანაკში გასულდათ, ის-ის იყო დაემთავრებინა ლაპარაკი ა. ვ. ვასილევსკისთან. ვე მოვახსენე ახალი ცნობებისა და კონტრმზადების ჩატარებაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. ი. ბ. სტალინმა მოგვიწონა გადაწყვეტილება და გვიბრძანა უფრო ხშირად მიგვეწოდებინა ინფორმაცია.

— მთავარბანაკში დაველოდები მოვლენების განვითარებას, — თქვა მან.

ვიგრძენი, რომ უმაღლესი მთავარსარდალი დაძაბულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. და ჩვენც ყველანი, იმის მიუხედავად, რომ მოვაწყვეთ ღრმადეშელონირებული თავდაცვა და ახლა უკვე ხელთ გვქონდა გერმანელთა ჯარების გამანადგურებელი მძლავრი საშუალებანი, ძლი-

ერ ვღელავდით და ერთობ აგზნებული ვიყავით. შუაღამე გადასულიყო, მაგრამ თვალს ძილი არ ეკარებოდა.

როგორც ყველა სხვა ასეთ შემთხვევაში, ამჯერადაც მე და კ. კ. როკოსოვსკი ფრონტის შტაბის უფროს მ. ს. მალინინთან ვიმყოფებოდით. მას ვიცნობდი მოსკოვის მისადგომებთან ბრძოლებიდან. მაშინ იგი მე-16 არმიის შტაბის უფროსად მუშაობდა. ეს იყო ყოველმხრივ მომზადებული მეთაური, მაღალი კლასის შტაბის მუშაკი. თავისი ერთსულოვანი კოლექტივის წყალობით იგი ჩინებულად ასრულებდა შტაბზე დაკისრებულ მოვალეობას. მას კარგად ეხმარებოდა ოპერატიული განყოფილების უფროსი გენერალი ი. ი. ბოიკოვი. იგი ჰორიდებული, შრომისმოყვარე, ინიციატივიანი მუშაკი და ყველა საქმეში ფრონტის შტაბის უფროსის მარჯვენა ხელი იყო. ამჯერადაც ასეა — ირგვლივ ტელეფონის ზარი წკრიალებს, მოუთმენელი კითხვები, მოთხოვნები, ის კი მშვიდია, როგორც ყოველთვის.

აქვე იყო ფრონტის არტილერიის შტაბის უფროსი პოლკოვნიკი გ. ს. ნადისეი. იგი დროდადრო უმაღლესი სარდლობის რეზერვის საარტილერიო შენაერთების უფროსებთან და მე-4 საარტილერიო კორპუსში ამ დროს მყოფ ფრონტის არტილერიის სარდალ გენერალ ვ. ი. კაზაკოვთან დასალაპარაკებლად გადიოდა.

უნდა ითქვას, რომ არტილერიის შტაბებმა და ფრონტის, არმიისა და შენაერთების არტილერიის მთელმა სარდლობამ კარგად და ჭკვიანურად იშრომეს საარტილერიო თავდაცვისა და კონტრმზადების ორგანიზაციისათვის.

2 საათსა და 20 წუთზე გავეცი კონტრმზადების დაწყების ბრძანება. ირგვლივ ყველაფერი დატრიალდა და ატორტმანდა, გაისმა შემზარავი გრგვინვა — კურსკის რკალის რაიონში უდიდესი ბრძოლა დაიწყო. ხმების ამ ჯოჯოხეთურ „სიმფონიაში" თითქოსდა ერთმანეთს შეერწყა მძიმე არტილერიის ბათქი, საავიაციო ბომბებისა და M-31 რეაქტიული ჭურვების აფეთქებები, „კატიუშების" ღმუილი და საავიაციო მოტორების განუწყვეტელი გუგუნი.

მტრის ჯარები ჩვენი შტაბ-ბინიდან პირდაპირი გაანგარიშებით 20 კილომეტრით თუ იყვნენ დაშორებულნი. ჩვენ გვესმოდა, თითქოს ვგრძნობდით გრიგალისებურ ცეცხლს და უნებლიეთ წარმოვიდგინეთ კონტრმზადების უსასტიკეს დარტყმაში მოულოდნელად მოხვედრილი მოწინააღმდეგის საწყის პლაცდარმზე შექმნილი საზარელი სურათი, განსაცდელში ანაზდეულად ჩავარდნილი მტრის ჯარისკაცები და ოფიცრები ალბათ ცხვირებს ჩარგავდნენ მიწაში, პირველსავე შემხვედრ ორმოში, სანგარსა და ყოველგვარ თხრილში ოღონდ თავი დაეცვათ ბომბების, ჭურვებისა და ნაღმების საშინელი აფეთქებისაგან...

2 საათსა და 30 წუთზე, როცა კონტრმზადება მთელი ძალით წარმოებდა, უმაღლესმა მთავარსარდალმა დარეკა.

— როგორაა საქმე? დაიწყეს?

— დაიწყეს.

— როგორ იქცევა მოწინააღმდეგე?

— მოვახსენე, რომ მოწინააღმდეგემ სცადა ჩვენს კონტრმზადებაზე ცალკეული ბატარეის ცეცხლით ეპასუხნა, მაგრამ სწრაფად მიჩუმდა.

— კარგი. კიდევ დაერეკავ.

მაშინ ერთბაშად ძნელი იყო გამოგვეცნო და განგვესაზღვრა კონტრმზადების შედეგები. მაგრამ მოწინააღმდეგის მიერ 5 საათსა და 30 წუთზე საკმაოდ არაორგანიზებულად და არაერთდროულად წამოწყებული შეტევა მეტყველებდა, რომ ჩვენმა კონტრმზადებამ მტერს სერიოზული ზიანი მიაყენა.

ბრძოლის დროს შეპყრობილმა ტყვეებმა გვითხრეს, რომ ჩვენი დარტყმა მათთვის სრულიად მოულოდნელი იყო. მათი ცნობებით, ძალზე დაზარალდა არტილერია და თითქმის ყველგან მოიშალა კავშირგაბმულობის, თვალთვალისა და მართვის სისტემა.

მართალია, მოწინააღმდეგის მოქმედების დაწყების წინ კონტრმზადების გეგმა დეტალებში მთლიანად დამთავრებული არც გვქონდა. ჯერ კიდევ ზუსტად არ დაგვედგინა საწყისი მდგომარეობის თავშეყრის ადგილი და 5 იელისის წინაღამით სამიზნეების კონკრეტული განლაგება. თუმცა ჩვენ განკარგულებაში არსებული სადაზვერვო საშუალებებით ძნელიც იყო ზუსტად დაგვედგინა სამიზნეთა განლაგების ადგილი, მაგრამ მაინც შეგვეძლო გაგვეკეთებინა გაცილებით მეტი, ვიდრე ეს ჯარებმა და სარდლობამ გააკეთეს.

ამის შედეგად კონტრმზადების დროს იძულებული ვიყავით ზოგჯერ ცეცხლი კონკრეტული სამიზნეებით კი არა, არამედ მოედნების მიხედვით გაგვეხსნა. ამან მოწინააღმდეგეს საშუალება მისცა თავიდან აეცილებინა მასობრივი მსხვერპლი. ორ-ორნახევარი საათის შემდეგ იგი შეტევაზეც გადმოვიდა და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი თავდაცვა არნახული სიმჭიდროვის ცეცხლით შეეგება, მაინც შეძლო პირველსავე დღეს 3—6 კილომეტრზე შემოჭრილიყო. კონტრმზადების უკეთ ორგანიზაციისა და მოწინააღმდეგის უფრო მაგრად შემუსვრის შემთხვევაში ეს ასე არც მოხდებოდა.

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ კონტრმზადება ღამით ჩატარდა და ამიტომაც ავიაციის მონაწილეობა კონტრდარტყმებში უმნიშვნელო და პირდაპირ რომ ვთქვათ, ნაკლებეფექტური იყო. გარიჟრაჟზე მოწინააღმდეგის აეროდრომების დაბომბვამ კი მთლიანად ვერ

მიაღწია მიზანს, რადგან მტერმა ამ დროისათვის თვითმფრინავები უკვე ჰაერში ააფრინა სახმელეთო ჯარებთან ურთიერთქმედებისათვის.

ავიაცია გაცილებით ეფექტურად მოქმედებდა ბრძოლის დროს ძალთა ხელახალი გადაჯგუფებით გართული მოწინააღმდეგის ტაქტიკურ საბრძოლო რიგებსა და კოლონებზე.

თქმა არ უნდა, საარტილერიო კონტრმზადებამ მტერი დიდად დაზარალა, დეზორგანიზაცია შეიტანა მათი შემტევი ჯარების მართვის საქმეში, მაგრამ ჩვენ მისგან მაინც მეტს მოველოდით.

ორთაბრძოლის მსვლელობაზე დაკვირვებისა და ტყვეთა გამოკითხვის შედეგად მიღებული დასკვნამდე, რომ როგორც ცენტრალურმა, ასევე ვორონეჟის ფრონტმა ძალზე ადრე დაიწყეს აქტიური მოქმედება: გერმანელ ჯარისკაცებს ჯერ კიდევ სანგრებში, ბლინდაჟებსა და ღრანტეებში ეძინათ, ხოლო სატანკო ნაწილებს მოსაცდელ რაიონებში შეეფარებინათ თავი. უკეთესი იქნებოდა კონტრმომზადება ცოტათი გვიან დაწყებულიყო, მოწინააღმდეგის შეტევაზე გადმოსვლამდე დაახლოებით 30—60 წუთით ადრე.

5 ივლისს დილის ხუთის ნახევარსა და ხუთ საათს შუა ჰაერში გამოჩნდა მოწინააღმდეგის ავიაცია. ერთდროულად საარტილერიო ცეცხლი გახსნეს ცენტრალური ფრონტის მიმართულებით, განსაკუთრებით ძლიერად შეუტიეს მე-13 არმიის ჯარებს. ნახევარი საათის შემდეგ გერმანელები შეტევაზე გადმოვიდნენ.

მოწინააღმდეგემ პირველ მოიერიშე ეშელონში შეტევაზე გადმოიყვანა სამი სატანკო და ხუთი ქვეითი დივიზია. დარტყმის ქვეშ მოხვდნენ მე-13 არმიისა და ფლანგებიდან მის მხარდამხარ მდგომი 48-ე და 70-ე არმიების ჯარები. შეტევას ჩვენი თავდაცვის მთელმა სისტემამ მძლავრი ცეცხლით უპასუხა და დაზარალებული გერმანელ ფაშისტთა ჯარები უკუგდებული იქნენ.

5 ივლისს მთელი დღის განმავლობაში მოწინააღმდეგემ ხუთი მძაფრი იერიში მოიტანა, ცდილობდა შემოკრილიყო ჩვენი ჯარების თავდაცვაში, მაგრამ არსებით შედეგებს ვერ მიაღწია. ფრონტის თითქმის ყველა უბანზე ჩვენი ჯარები მტკიცედ იცავდნენ თავიანთ ზღუდეებს და თითქოს არ არსებობდა ისეთი ძალა, რომელიც შეიძლებდა ადგილიდან მათს დაძვრას. მხოლოდ დღის დასასრულს ოლხოვატკის რაიონში და ზოგ სხვა ადგილას მოწინააღმდეგის ნაწილებმა გაარღვიეს ჩვენი თავდაცვა და სოლივით შემოიჭრნენ 3—6 კილომეტრის სიღრმით.

განსაკუთრებით ვაჟკაცურად იბრძოდნენ მე-13 არმიის მეომრები. მათ შორის გენერალ ა. ბ. ბარინოვის 81-ე დივიზია, პოლკოვნიკ ვ. ნ. ჯანჯღავას მე-15 დივიზია, გენერალ მ. ა. ენშინის 307-ე დივიზია და პოლკოვნიკ ვ. ნ. რუკოსუევის მე-3 ტანკსაწინააღმდეგო-გამანადგურებელი საარტილერიო ბრიგადა. ძლიერი დარტყმის ქვეშ მოხვდა კა-

ბიტან ბ. ი. იგიშევის ბატარეა, რომელმაც ერთ დღეში მოწინააღმდეგის 19 ტანკი მოსპო. ბატარეის ყველა მეომარი ბრძოლაში გმირულად დაიღუპა, მაგრამ მტერს გზა გადაუღობა.

კარგად იბრძოდა გენერალ ი. ვ. გალანინის 70-ე არმია, რომელიც შორეული აღმოსავლეთის, ზაბაიკალიეისა და შუა აზიის მესაზღვრეებით იყო დაკომპლექტებული.

საღამოს გადავწყვიტეთ, რომ მეორე დღეს დილიდან, ესე იგი 6 ივლისიდან, ბრძოლაში ჩაგვება მეორე სატანკო არმია და მე-19 სარეზერვო სატანკო კორპუსი. მათ ევალებოდათ მე-13 არმიის მეომრებთან მჭიდრო ურთიერთქმედებით გაეხორციელებინათ კონტრდარტყმა და მოწინააღმდეგე უკუეგდოთ საწყის მდგომარეობაში. ამით მთლიანად აღადგენდნენ თავდაცვის მთელს სისტემას მე-13 არმიის მოქმედების უბანში.

განსაკუთრებული საბრძოლო სიმამაცე გვიჩვენეს მსროლელთა მე-17 გვარდიული კორპუსის ნაწილებმა. 203-ე მსროლელთა პოლკმა მაიორ ვ. ო. კონოვალენკოს მეთაურობით 6 ივლისს მოწინააღმდეგის თექვსმეტამდე იერიში მოიგერია და დიდი ზიანი მიაყენა მას.

მაგრამ კარგად ორგანიზებული თავდაცვის, ჩვენი ჯარების უდიდესი თავდადებისა და მასობრივი გმირობის მიუხედავად, მოწინააღმდეგის ჯარებმა 5 და 6 ივლისს დიდი დანაკარგების ფასად ცალკეულ უბნებზე მაინც მოახერხეს 10-მდე კილომეტრით წინწაწევა. ორივე დღეს, კოლოსალური ზარალის მიუხედავად, ჰაერში მტრის ავიაცია მძინვარებდა. მაგრამ გერმანელებმა მაინც ვერ შეძლეს ტაქტიკური თავდაცვის გარღვევა.

მოწინააღმდეგემ გადააჯგუფა თავისი დამკვრელური სატანკო ნაწილები და 7 ივლისის დილას პონირის რაიონში გაატარებული შეტევა წამოიწყო. აქ თავდაცვა ეჭირა 307-ე მსროლელთა დივიზიას გენერალ-მაიორ მ. ა. ენშინის მეთაურობით. ეს დივიზია გაძლიერებული იყო მე-5 საარტილერიო დივიზიით, მე-13 ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო ბრიგადით, მე-11 და 22-ე სანაღმტყორცნო ბრიგადებით.

პონირის რაიონში მთელი დღე არ შეწყვეტილა გაატარებული სახმელეთო და საჰაერო შეტაკებების განუწყვეტელი გრიალი. მტერს საბრძოლველად გამოჰყავდა ახალ-ახალი სატანკო ნაწილები, მაგრამ აქაც ვერ მოახერხა ჩვენი თავდაცვის გარღვევა.

8 ივლისს მოწინააღმდეგემ გააძლიერა იერიში ოლხოვატკის მიმართულებით, მტერს აქაც უხვად დახვდნენ საბჭოთა მეომრები. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ვ. ნ. რუკოსუევის მე-3 საარტილერიო გამანადგურებელი ბრიგადის არტილერისტებმა. ბრიგადა მოწინააღმდეგის 300 ტანკთან უთანასწორო ბრძოლას აწარმოებდა.

გერმანელთა შემდგომ ცდებსაც — გაერღვიათ საბჭოთა ჯარების თავდაცვა — დადებითი შედეგი არ მოჰყოლია.

მაშ ასე, 10 ივლისამდე მტრის ჯარებმა დაჰკარგეს მნიშვნელოვანი ნაწილი ტანკებისა, რომლებზეც ჰიტლერი ძირითად იმედებს ამყარებდა, მაგრამ ვერ შეძლეს წინწაწევა.

ჯერ კიდევ ამ ბრძოლების მსვლელობის დროს, 9 ივლისს გათენებისას, ცენტრალური ფრონტის სამეთაურო პუნქტში ი. ბ. სტალინმა დარეკა და ვითარების გაცნობის შემდეგ თქვა:

—ხომ არაა დრო ბრძოლაში ჩავაბათ ბრიანსკის ფრონტი და დასავლეთის ფრონტის მარცხენა ფრთა, როგორც ამას გეგმა ითვალისწინებდა?

— აქ, ცენტრალური ფრონტის უბანში, მოწინააღმდეგეს არ ჰყავს ძალები, რომლებსაც შეუძლიათ გაარღვიონ ჩვენი ჯარების თავდაცვა. მაგრამ მტერს რომ არ მივცეთ დრო თავდაცვის ორგანიზაციისათვის, რასაც იძულებული იქნება მიმართოს, საჭიროა ბრიანსკის ფრონტისა და დასავლეთის ფრონტის მარცხენა ფრთის მთელი ძალებით დაუყოვნებლივ გადავიდეთ შეტევაზე, უამისოდ ცენტრალური ფრონტი ვერ შეძლებს წარმატებით წარმართოს დაგეგმილი კონტრშეტევა.

— გეთანხმებით. გაემგზავრეთ პოპოვთან და საქმეში შეიყვანეთ ბრიანსკის ფრონტი... როდის შეიძლება დაიწყოს ბრიანსკის ფრონტის შეტევა?

— თორმეტში.

— გეთანხმებით.

უმაღლეს მთავარსარდალს აღარ შეეკითხე, თუ რა მდგომარეობაა ვორონეჟის ფრონტის უბნებში, რადგან უშუალო კავშირი მქონდა ა. მ. ვასილევსკისთან, გენერალურ შტაბთან და ვიცოდი, რომ იქ, ისე როგორც ცენტრალური ფრონტის უბნებში, უაღრესად გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა.

ჩემს თავს ნებას მივცემ მოკლედ შევეხო კურსკის ბრძოლის პირველ დღეს, ვორონეჟის ფრონტის უბნებზე მომხდარ ამბებს, რომელთა შესახებ ვიცოდი ფრონტის სარდლობის მიერ მთავარბანაკში გაგზავნილი მოხსენებიდან.

4 ივლისის 16 საათსა და 10 წუთზე მოწინააღმდეგემ მეწინავე რაზმებით შეტევითი მოქმედება დაიწყო. საფიქრებელია, რომ ეს იერიში დაზვერვით ხასიათს ატარებდა. 5 ივლისს საარტილერიო თავდასხმისა და საჰაერო დარტყმის შემდეგ მტერი იერიშზე გადმოვიდა სტრელეცკი—ტამაროვკა—ზიბინო—ტრეფილოვკის რაიონში. ბრძოლაში ჩაება არანაკლებ 450 ტანკისა.

პირველი იერიში უკუგდებულ იქნა.

დღის მეორე ნახევარში გერმანელებმა მძიმე ტანკები „ვეფხვი" მოიშველიეს და კვლავ იერიშზე გადმოვიდნენ. ამჯერად მათ დაძლიეს 52-ე გვარდიული მსროლელთა დივიზიის წინააღმდეგობა, რომელსაც ამ დროს პოლკოვნიკი ი. მ. ნეკრასოვი მეთაურობდა და დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები, მათ შორის ბერეზოვი, გრემუჩი, ბიკოვო, კოზმა-დემიანოვკა, ვოზნესენსკი. მეზობლად მდგომი პოლკოვნიკ ა. ი. ბაკსოვის 67-ე გვარდიული მსროლელთა დივიზია ძლიერი დარტყმის ქვეშ მოხვდა, დატოვა ჩერკასკოე და უკან დაიხია კრასნი პოჩინოკის ზღუდეზე.

ბრძოლის ერთი დღის მანძილზე გერმანელ ფაშისტთა ჯარებმა კოლოსალური ზარალი ნახეს, მაგრამ ჩვენებმაც დაკარგეს 60-მდე ტანკი, 78 თვითმფრინავი, პირადი შემადგენლობის მნიშვნელოვანი რაოდენობა.

მოწინააღმდეგის მოქმედების ანალიზიდან ჩანდა, რომ ბელგოროდის რაიონში მის ჯარებს უფრო ინიციატივიანი და გამოცდილი გენერლები ხელმძღვანელობდნენ. ეს სინამდვილეშიც ასე იყო. დაჯგუფებას სათავეში ედგა გენერალ-ფელდმარშალი მანშტაინი.

როგორ ვითარდებოდა მოვლენები ბრიანსკის ფრონტზე?

უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანების თანახმად 9 ივლისის საღამოს ვიყავი ფრონტის შტაბში, სადაც შეეხვდი ჯარების სარდალს მ. მ. პოპოვს, სამხედრო საბჭოს წევრს ლ. ზ. მეხლისს, ფრონტის შტაბის უფროსს ლ. მ. სანდალოვს. მათ უკვე მიეღოთ მთავარბანაკის ბრძანება ფრონტის ჯარების შეტევაზე გადასვლის შესახებ.

უნდა აღინიშნოს ფრონტის შტაბის უფროსის გენერალ ლ. მ. სანდალოვის განსაკუთრებული ოპერატიული განსწავლულობა და მისი უნარი შეტევითი ოპერაციების ზუსტი დაგეგმვისა და ჯარების მართვის სისტემის ორგანიზაციის საქმეში. მას ვიცნობდი ჯერ კიდევ მოსკოვის მისადგომებთან გამართული ბრძოლებიდან, როცა მე-20 არმიის შტაბის უფროსის თანამდებობა ეკავა. ეს იყო ჩვენი ერთ-ერთი ნიჭიერი შტაბის უფროსი, რომელიც ოპერატიულ-სტრატეგიულ საკითხებში ღრმად ერკვეოდა.

არმიების შეტევის დაგეგმვა წინასწარ იყო მოფიქრებული და მომზადებული. მათ სათავეში ედგნენ ძალზე ნიჭიერი და გამოცდილი გენერლები. მე-3 არმიას სარდლობდა გენერალი ა. ვ. გორბატოვი, 61-ე არმიას — გენერალი პ. ა. ბელოვი და 63-ე არმიას — გენერალი ვ. ი. კოლპაჩი. დასავლეთის ფრონტის მე-11 გვარდიულ არმიას, რომელიც ბრიანსკის ფრონტთან ერთადროულად გადავიდოდა შეტევაზე, გენერალი ი. ქ. ბაგრამიანი ხელმძღვანელობდა.

ბრიანსკისა და დასავლეთის ფრონტის ყველა ამ არმიაში გახლდით

და შესაძლებლობის ფარგლებში რჩევით ვეხმარებოდი მათ სარდლებს.

განსაკუთრებით დეტალური მუშაობა მოვიხდა გენერალ ი. ქ. ბაგრამიანის არმიაში. ჩვენ დიდი ხნიდან მოყოლებული კარგი საქმიანი და ამხანაგური ურთიერთდამოკიდებულება გვქონდა. იმ მომენტში ი. ქ. ბაგრამიანთან იყვნენ დასავლეთის ფრონტის სარდალი გენერალი ვ. დ. სოკოლოვსკი და მთავარბანაკის წარმომადგენელი ნ. ნ. ვორონოვი, რომელიც საარტილერიო საკითხებზე მუშაობდა.

საარტილერიო ცეცხლის გახსნის მეთოდის განხილვისას, რომლის შესახებ მოგვახსენებდა მე-11 გვარდიული არმიის არტილერიის მეთაური გენერალი პ. ს. სემიონოვი, დაიბადა იდეა მტრისთვის შეგვეთავაზებინა რაღაც ახალი, მისთვის უცნობი მეთოდი.

ხანგრძლივი განხილვის შემდეგ ყველანი შევთანხმდით: იერიში საარტილერიო მზადების შემდეგ კი არ დაგვეწყო, როგორც ეს აქამდე ხდებოდა და მოწინააღმდეგეს ეხმარებოდა გამოეცნო ჩვენი ჯარების შეტევაზე გადასვლის დრო, არამედ თვით საარტილერიო მზადების პროცესში, მისი ტემპისა და სიმძლავრის მატების მომენტში. ამ მეთოდმა კარგად გაამართლა.

12 ივლისს ბრიანსკის ფრონტი და დასავლეთის ფრონტის გაძლიერებული მე-11 გვარდიული არმია შეტევაზე გადავიდნენ და იმის მიუხედავად, რომ მოწინააღმდეგეს ღრმად ეშელონირებული, საინჟინრო თვალსაზრისით ძლიერი თავდაცვა ჰქონდა და მედგარ წინააღმდეგობასაც ეწეოდა, გაარღვიეს მისი დაცვის ხაზი და განაგრძეს წინ გზა ორიოლისაკენ საერთო მიმართულებით.

როგორც მოსალოდნელი იყო, ორიოლის პლაცდარმზე აწრიალებულმა მოწინააღმდეგემ ცენტრალური ფრონტის წინააღმდეგ მოქმედი დაჯგუფებიდან მოხსნა ჯარების ნაწილი და ისინი ბრიანსკის ფრონტისა და დასავლეთის ფრონტის მე-11 გვარდიული არმიის წინააღმდეგ გადაისროლა. ამით დაუყოვნებლივ ისარგებლა ცენტრალურმა ფრონტმა და 15 ივლისსს კონტრშეტევაზე გადავიდა.

ასე, აქ, ორიოლის რაიონში, საბოლოოდ ჩაიფუშა გენერალური შეტევა, რომელსაც ჰიტლერელები დიდხანს ამზადებდნენ. გერმანელთა ჯარებს უნდა ეწვნიათ მძიმე დამარცხების სიმწარე, ეგრძნოთ ძლევამოსილება საბჭოთა იარაღისა, რომელიც ხალხმა ძლიერი, გამოცდილი და საძულველი მტრის განადგურებისათვის გამოქედა.

ბელგოროდის რაიონში მოწინააღმდეგეს უფრო ძლიერი და კონცენტრირებული იერიში მოჰქონდა.

6 ივლისს ობოიანის მიმართულებით უაღრესად სისხლისმღვრელი ბრძოლა გაჩაღდა. ბასში ორივე მხრიდან მრავალი ასეული თვითმფრინავი, ტანკი, თვითმავალი ქვეითები მონაწილეობდა. მტერმა ვერ შეძ-

ლო ჩვენი ჯარების მტკიცე დაცვის შერყევა. ტანკისტები, არტილერისტები და მეწინავე ხაზიდან უკან დაწეული ნაწილები ვაჟკაცურად იგერიებდნენ მტრის ჭრავალ იერიშს. აქ მოწინააღმდეგემ მარტო 6 ივლისს დაკარგა 200-ზე მეტი ტანკი, ათობით ათასი ჯარისკაცი და დაახლოებით 100 საბრძოლო თვითმფრინავი.

მოწინააღმდეგემ რეზერვები შემოიკრიბა, გადააჯგუფა ძალები და 7 ივლისს გარიჟრაჟზე ბრძოლაში ჩაბა ტანკების ახალი ძლიერი დაჯგუფება. ამასთან ძირითადი ნაწილი ობოიან — პროხოროვკის მიმართულებით მე-6 გვარდიული არმიისა და 1-ლი სატანკო არმიის წინააღმდეგ გადაისროლა, ხოლო 200-ზე მეტი ტანკი — კოროჩის მიმართულებით ს. მ. შუმილოვის მე-7 გვარდიული არმიის წინააღმდეგ.

ჩვენი მე-6 გვარდიული და 1-ლი სატანკო არმიები 7 ივლისის ღამეს სასწრაფოდ გავაძლიერეთ საფრონტო რეზერვებით.

7 ივლისს დილიდან კვლავ დაიწყო მტრის გააფთრებული შეტევა. ჰაერში და მიწაზე ბრძოლის ყიჟინა გაუთავებლად გრიალებდა, გაისმოდა ტანკების ღრჭიალი და მოტორების ხმაური.

ვორონეჟის ფრონტის ჯარებმა, რომლებსაც ბრძოლაში ძლიერ ეხმარებოდათ ავიაცია, მოწინააღმდეგეს არ მისცეს თავდაცვის მეორე ზოლის გარღვევის საშუალება, მაგრამ მტერმა აქა-იქ მაინც მოახერხა სოლივით შემოჭრა.

მაშინ ფრონტის სარდლობამ აქ, უკვე სახიფათო უბანზე, ბრძოლაში ჩაბა მე-2 და მე-5 სატანკო კორპუსები, აგრეთვე სხვა მიმართულებიდან გადმოყვანილი რამდენიმე მსროლელთა დივიზია და საარტილერიო ნაწილი.

ორი დღის განმავლობაში მოწინააღმდეგემ დაკარგა კიდევ არანაკლებ 200 ტანკისა და ბევრი სხვა ტექნიკა. მისი ქვეითი ნაწილები თავიანთ რიგებში საწყისი რაოდენობის ნახევარზე მეტს როდი ითვლიდნენ. 10 ივლისს მოწინააღმდეგემ თავისი ძირითადი ძალები უფრო ეიწრო უბანზე დააჯგუფა, კვლავ პროხოროვკის მიმართულებით გადაისროლა, იმ ანგარიშით, რომ აქ შეემუსრა ჩვენი შესუსტებული ჯარები. 11 ივლისს პროხოროვკის მიმართულებით გრძელდებოდა მძიმე ბრძოლები.

11 ივლისის მიწურულს ვორონეჟის ფრონტის უბანზე ბრძოლის სახიფათო კრიზისი დადგა.

ადრე დამუშავებული გეგმის თანახმად, მთავარბანაკმა თავისი რეზერვიდან პროხოროვკის რაიონს მიაშველა მე-5 გვარდიული საერთო-საჯარისო და მე-5 გვარდიული სატანკო არმიები და 12 ივლისის დილას ბრძოლაშიც ჩაბა. სატანკო არმიას მწყობრში ჰყავდა 800-მდე ტანკი T-34 და თვითმავალი საარტილერიო დანადგარი. ობოიანისა და პროხოროვკის მიმართულებით მოწინააღმდეგეს საერთო ჯაჭვში ტან-

კების ნაკლები რაოდენობა როდი ჰყავდა, მაგრამ მისი ჯარების საბრძოლო სულისკვეთება უკვე შეირყა მე-6 გვარდიული არმიის, 1-ლი სატანკო არმიისა და მე-7 გვარდიული არმიის მეომრებთან წინა შეტაკებების დროს.

12 ივლისის განმავლობაში ვორონეჟის ფრონტზე წარმოებდა ტანკისტების, არტილერისტების, მსროლელთა და მფრინავების უდიდესი ბრძოლა, განსაკუთრებით გააფთრებული — პროხოროვკის მიმართულებით.

იმავე დღეს ბრიანსკის ფრონტის სამეთაურო პუნქტში უმაღლესმა მთავარსარდალმა დამირეკა და მიბრძანა სასწრაფოდ გაეფრენილიყავი პროხოროვკის რაიონში, რათა მეხელმძღვანელა ვორონეჟისა და სტეპის ფრონტების მოქმედებათა კოორდინაციისათვის.

13 ივლისს მივედი ვორონეჟის ფრონტის სამეთაურო პუნქტში, სადაც აგრეთვე იმყოფებოდა სტეპის ფრონტის სარდალი გენერალი ი. ს. კონევი. იმავე დღის საღამოს 69-ე არმიის სამეთაურო პუნქტში შეეხვედი ა. მ. ვასილევსკის.

გავეცანი რა ვითარებას, მოწინააღმდეგისა და ჩვენი ჯარების მოქმედებას, მე სავსებით დავეთანხმე ა. მ. ვასილევსკის ღონისძიებებსა და გადაწყვეტილებებს. უმაღლესმა მთავარსარდალმა მას დაავალა გამგზავრებულიყო სამხრეთ-დასავლეთ ფრონტზე, მოეხდინა იქ ორგანიზაცია შეტევითი მოქმედებისა, რომელიც ვორონეჟისა და სტეპის ფრონტის კონტრშეტევაზე გადასვლის დროს დაიწყებოდა.

ფრონტებისათვის კონტრშეტევის უკეთესი პირობები რომ შეგვექმნა, გადავწყვიტეთ უფრო ენერგიულად გაგვეგრძელებინა დაწყებული კონტრდარტყმა, ბელგოროდის რაიონში კვალდაკვალ დავდევნებოდით უკუქცეულ მოწინააღმდეგეს და ისე აგვეღო მის მიერ ადრე დაკავებული ზღუდეები. ამის შემდეგ მჭიდრო ვადებში უნდა ჩაგვეტარებინა ჯარების მომზადება და ორივე ფრონტის მთელი ძალებით გადამწყვეტ კონტრშეტევაზე გადავსულიყავით.

ამასობაში ფრონტის ყველა უბანზე გააფთრებული, სისხლიმღვრელი ბრძოლები სწარმოებდა, იწვოდა ასობით ტანკი და თვითმავალი ქვემები. ბრძოლის ველზე მტვრისა და კვამლის ღრუბლები აღმართულიყო. ეს იყო ბელგოროდის მიმართულებით ბრძოლის გარდატეხის მომენტი. სისხლისგან დაცლილი და გამარჯვების იმედდაკარგული ჰიტლერელთა ჯარები თანდათან თავდაცვაზე გადადიოდნენ. 16 ივლისს მოწინააღმდეგემ საბოლოოდ შეწყვიტა იერიშები და ბელგოროდისაკენ ზურგის ნაწილების გაყვანა დაიწყო. 17 ივლისს შეიმჩნეოდა ჯარების უკუსვლაც. მაგრამ ნაწილები, რომლებიც ჩვენს ჯარებს აწყდებოდნენ, მტკიცე წინააღმდეგობას გვიწევდნენ.

18 ივლისს ა. მ. ვასილევსკისთან ერთად ვიყავი ვ. დ. კრიუჩენკინის, ა. ს. ჟადოვის და ჰ. ა. როტმისტროვის არმიების ნაწილებში[1].

ჩვენ პირადად თვალყურს ვადევნებდით საბჭოთა მეურნეობა „კომსომოლეცისა“ და ივანოვკის ახალშენის რაიონში გამართულ გააფთრებულ ბრძოლებს. აქ მოქმედებდნენ ჩვენი 29-ე და მე-18 სატანკო კორპუსები. მტერი ძლიერი ცეცხლით გვეწინააღმდეგებოდა და კონტრიერიშზეც გადმოდიოდა. 18 ივლისს ჰ. ა. როტმისტროვისა და ა. ს. ჟადოვის არმიებმა მტერი მხოლოდ 4-5 კილომეტრზე უკუაგდეს, ხოლო ი. მ. ჩისტიაკოვის მე-6 გვარდიულმა არმიამ მარტო ერთი მაღლობი დაიკავა ვერხოპენიეს რაიონში. ი. მ. ჩისტიაკოვის არმიის ჯარები ძალზე გადაიღალნენ. 4 ივლისიდან მოყოლებული მათ არ უძინიათ და არ დაუსვენიათ. დამატებითი ძალები იყო საჭირო, რათა შეგვეფერხებინა მტრის მთავარი ძალების გეგმაზომიერი უკუსვლა. ამისათვის ბრძოლაში ჩავაბით ბ. ს. ბახაროვისა და ი. თ. კირიჩენკოს[2] სატანკო კორპუსები და ი. მ. მანაგაროვის 53-ე არმიის ერთი ნაწილი.

მე მინდა გავილაშქრო იმ მტკიცების წინააღმდეგ, რომ თითქოს ცენტრალური ფრონტისაგან განსხვავებით ვორონეჟის ფრონტის სარდლობამ ვერ შეძლო ზუსტად განესაზღვრა, თუ რომელი მიმართულებით განახორციელებდა მოწინააღმდეგე მთავარ დარტყმას, და რომ თითქოს ამიტომ გაფანტა ძალები 164 კილომეტრის სიგანეზე და თავი ვერ მოუყარა ძალებსა და საშუალებებს მტრის მთავარი დარტყმის მიმართულებით. ეს არასწორია, ისევე როგორც იმის მტკიცება, რომ თითქოს მე-6 გვარდიულ არმიას, რომლის თავდაცვაზე იერიში მიიტანა კურსკის სამხრეთით მოქმედმა მთავარმა დაჯგუფებამ, თავდაცვის უფრო ფართო (64 კილომეტრი) ზოლი ჰქონდა, ვიდრე მის მეზობლებს (50-50 კილომეტრი). ამ არმიის სამოქმედო უბანზე არტილერიის საშუალო სიმჭიდროვე ფრონტის ერთ კილომეტრზე 25.4 ქვემეხს და 2,4 ტანკს შეადგენდა, მაშინ როცა ფრონტის მთელ ზოლში იგი შეადგენდა 35,6 ქვემეხსა და 6,9 ტანკს[3].

მთავარბანაკი, გენერალური შტაბი და ვორონეჟის ფრონტის სარდლობა ვითარების ანალიზის შედეგად მიიჩნევდნენ, რომ მოწინააღმდეგე მთავარ დარტყმას განახორციელებდა არა მარტო მე-6 გვარდიული არმიის მიმართ, არამედ მე-6 და მე-7 გვარდიული არმიების

---

[1] გენერალ-ლეიტენანტი ვ. დ. კრიუჩენკინი — 69-ე არმიის სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი ა. ს. ჟადოვი — მე-5 გვარდიული არმიის სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი ჰ. ა. როტმისტროვი — მე-5 სატანკო გვარდიული არმიის სარდალი.

[2] სატანკო ჯარების გენერალ-მაიორი ბ. ს. ბახაროვი — მე-18 სატანკო კორპუსის მეთაური, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორი ი. თ. კირიჩენკო — 29-ე სატანკო კორპუსის მეთაური.

[3] «Великая Отечественная война Советского Союза 1941 — 1945 гг. Краткая история». М., Воениздат, 1965, стр. 244.

მიმართ. რაც შეეხება მტკიცებას თავდაცვის ზოლის სიფართოვის შესახებ, მე-6 და მე-7 გვარდიული არმიების თავდაცვის ფრონტი, სადაც მოსალოდნელი იყო გერმანელთა ჯარების მთავარი დარტყმა, შეადგენდა 114 კილომეტრს, ხოლო ფრონტის დანარჩენი ორი არმიისა — 130 კილომეტრს. არტილერიისა და ტანკების საშუალო სიმჭიდროვე საკმაო სიზუსტით არაა გამოთვლილი, სახელდობრ: 38-ე და მე40 არმიების უბნებზე საარტილერიო სიმჭიდროვე უმნიშვნელო გახლდათ, ხოლო რაც შეეხება ტანკებს, ისინი 38-ე და მე-40 არმიებს თითზე ჩამოსათვლელი ჰყავდათ.

ამავე დროს მე-6 და მე-7 გვარდიული არმიების განლაგების ზოლში თავმოყრილი იყო უმაღლესი სარდლობის რეზერვის მთელი საარტილერიო ნაწილები და შენაერთები, ყველა სატანკო ნაწილი და შენაერთი, ყველა საფრონტო რეზერვი. ამასთან მე-6 არმიის თავდაცვის ზურგში იდგა 1-ლი სატანკო არმია, კარგად იყო მომზადებული თავდაცვითი ზღუდე, ხოლო სიღრმეში, მე-6 და მე-7 გვარდიული არმიების შესაყარზე მომზადებულ თავდაცვით ზღუდეზე განლაგდა 69-ე არმია. ამას გარდა, მე-6 და მე-7 გვარდიული არმიების უკან ოპერატიულ ზონაში იდგა ფრონტის რეზერვი — მსროლელთა 35-ე გვარდიული კორპუსი, მე-2 და მე-5 გვარდიული სატანკო კორპუსები.

მაშასადამე, ვორონეჟის ფრონტის სარდლობის კრიტიკა ემყარება სპეციფიკურ ოპერატიულ-სტრატეგიულ ვითარებაში ძალებისა და საშუალებების არასწორ გაანგარიშებას. გამოთვლილია მხოლოდ არმიის ტაქტიკური სიმჭიდროვე, მასში გათვალისწინებული არ არის მე-6 გვარდიული არმიის ზოლში განლაგებული უმაღლესი სარდლობის რეზერვის არტილერია. რაც შეეხება ტანკების სიმჭიდროვეს, აქ ფრონტის სარდლობა მთავარ იმედს ამყარებდა 1-ლ სატანკო არმიაზე, მე-2 და მე-5 გვარდიულ სატანკო კორპუსებზე.

დიდ ბრძოლებში თავდაცვის წინააღმდეგობის უნარი სწორად რომ განვსაზღვროთ, ამისათვის საჭიროა გავიანგარიშოთ არა მარტო ტაქტიკურ თავდაცვაზე თავმოყრილი ძალები და საშუალებანი, არამედ ოპერატიულ სიღრმეზე განლაგებულიც. მაშინ აღარ მოგვივა შეცდომა.

რაც შეეხება ფრონტების თავდაცვითი ბრძოლების შედეგებს, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ვორონეჟის ფრონტის მე-6 და მე-7 გვარდიულ არმიებს მოწინააღმდეგემ პირველ დღეს შეუტია თითქმის ხუთი კორპუსით (ესესელთა მე-2 სატანკო კორპუსი, მე-3 სატანკო კორპუსი, 48-ე სატანკო კორპუსი, 52-ე არმიული კორპუსი და კორპუს „რაუსის" ნაწილი) მაშინ, როცა ცენტრალური ფრონტის დაცვას სამი კორპუსით დაარტყა. ადვილი მისახვედრია, რომ გერმანელთა ჯარების

დარტყმა სხვადასხვა ძალისა იყო ორიოლის მიმართულებითა და ბელგოროდის რაიონიდან.

ვორონეჟის ფრონტის სარდლის ნ. თ. ვატუტინის ოპერატიულ-სტრატეგიულ საკითხებში გარკვევის პირადი უნარის შესახებ კი მთელი ობიექტურობით უნდა განვაცხადო: იგი იყო მაღალერუდირებული და მამაცი მხედართუფროსი.

როგორც უკვე ვთქვი, კურსკის რაიონში ჩვენი კონტრშეტევა მზადდებოდა მოწინააღმდეგის იერიშზე გადმოსვლამდე კარგა ხნით ადრე. მთავარბანაკის მიერ მაისში განხილული გეგმის თანახმად ორიოლის მიმართულებით გათვალისწინებული იყო კონტრშეტევა პიროობითი სახელწოდებით — „კუტუზოვი". იგი მიზნად ისახავდა ორიოლის დაჯგუფებისათვის დაგვერტყა სამი მხრიდან, ცენტრალური, ბრიანსკისა და დასავლეთის ფრონტის მარცხენა ფრთის ძალებით, ამ ფრონტების თავშეყრის მიმართულებით.

ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ 12 ივლისს შეტევაზე გადავიდნენ ბრიანსკისა და დასავლეთის ფრონტის ჯარები, ხოლო 15 ივლისს — ცენტრალური ფრონტის მეომრები. ამრიგად, ორიოლის რაიონში გაჩაღდა სამი ფრონტის მძლავრი შეტევა, რომლის უახლოესი მიზანი იყო აქ თავმოყრილი მტრის დაჯგუფების განადგურება.

ორიოლში დაწყებულმა კონტრშეტევამ და აგრეთვე ბელგოროდის რაიონში მოწინააღმდეგის ჯარების ძალზე დაუძლურებამ ჰიტლერელთა ხელმძღვანელობა აიძულა ეღიარებინა, რომ ფართოდ მოფიქრებული გეგმა „ციტადელი" ჩაიფუშა. სრული განადგურებისაგან რომ დაეხსნათ, მათ გადაწყვიტეს გენერალ-ფელდმარშალ მანშტაინის ჯარები უკან დაებრუნებინათ თავდაცვის იმ ზღუდეებზე, საიდანაც შეტევა დაიწყეს.

ჩვენი 1-ლი სატანკო, მე-6 და მე-7 გვარდიული არმიების უალრესად გადაღლის შედეგად მოწინააღმდეგემ შეძლო 23 ივლისისათვის თავისი ძირითადი ძალები ბელგოროდის თავდაცვით ზღუდეზე გაეყვანა.

ვორონეჟისა და სტეპის ფრონტის ჯარებმა, რომლებიც 23 ივლისს გერმანელთა თავდაცვის მეწინავე ხაზზე გავიდნენ, ვერ მოახერხეს დაუყოვნებლივ კონტრშეტევაზე გადასვლა, თუმცა ამას მოითხოვდა უმაღლესი მთავარსარდალი. უნდა შეგვევსო საწვავის, საომარი მასალებისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მარაგი, მოგვეწყო ყველა გვარეობის ჯარების ურთიერთკავშირი, ჩაგვეტარებინა საფუძვლიანი დაზვერვა, ჯარების ნაწილობრივი გადაჯგუფება. განსაკუთრებით საარტილერიო და სატანკო ნაწილებისა. ყველაზე მეცირი გაანგარიშებით, ყოველივე ამისათვის, როგორც მინიმუმი, აუცილებელი იყო რვა დღე-ღამე.

მრავალგზის მოლაპარაკების შემდეგ უმაღლესმა მთავარსარდალმა უხალისოდ დაამტკიცა ჩვენი გადაწყვეტილება, რადგან მაშინ სხვა გამოსავალი არ ჩანდა.

როგორც ცნობილია, ოპერაცია დაგეგმილი იყო დიდ სიღრმეზე მოქმედებისათვის და იგი მოითხოვდა საფუძვლიან მომზადებას, ყოველმხრივ უზრუნველყოფას, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა მარცხი გვეგემნა. საჭიროა კარგად მოფიქრებულმა და მომზადებულმა შეტევითმა ოპერაციამ გარანტია მოგვცეს არა მარტო იმისა, რომ მთელ ტაქტიკურ და ოპერატიულ სიღრმეზე გავარღვიოთ მოწინააღმდეგის თავდაცვა, არამედ იერიშის იმგვარი დაგვირგვინებისაც, რომელიც უზრუნველყოფს შემდგომი შეტევითი მოქმედების პირობებს.

მაგრამ უმაღლესი მთავარსარდალი გვაჩქარებდა დაგვეწყო ბრძოლა. მე და ა. მ. ვასილევსკის დიდი ჯაფა დაგვადგა, რათა მისთვის დაგვესაბუთებინა, რომ აუცილებელია არ ვიჩქაროთ მოქმედების დაწყება და ოპერაციას მხოლოდ მაშინ შევუდგეთ, როცა იგი ყოველმხრივ მომზადებული და მატერიალურად უზრუნველყოფილი იქნება. უმაღლესი მთავარსარდალი დაეთანხმა ჩვენს მოსაზრებებს.

ი. ბ. სტალინის გარდაცვალების შემდეგ გაჩნდა ვერსია, რომ იგი თითქოს ერთპიროვნულად იღებდა სამხედრო-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს. ამას არ შეიძლება დავეთანხმოთ. ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ, თუ უმაღლეს მთავარსარდალს საკითხებს საქმის ცოდნით მოახსენებდნენ, იგი მათ მხედველობაში იღებდა. მე ვიცი შემთხვევები, როცა იგი უარს ამბობდა თავის საკუთარ მოსაზრებებსა და ადრე მიღებულ გადაწყვეტილებებზე. კერძოდ, ასე იყო, ნაწილობრივ, მრავალი ოპერაციის დაწყების ვადებზე.

კურსკის, ორიოლისა და ბელგოროდის რაიონში გამართული ბრძოლა ერთ-ერთი უდიდესია დიდი სამამულო ომისა და საერთოდ მეორე მსოფლიო ომის ისტორიაში. აქ მთავარია არა მარტო ის, რომ განადგურდა მოწინააღმდეგის რჩეული, ყველაზე ძლიერი დაჯგუფებები, არამედ ისიც, რომ გერმანელ ხალხსა და ჰიტლერის მოკავშირეებს სამუდამოდ შეერყათ რწმენა ჰიტლერელთა ფაშისტური ხელმძღვანელობისა და გერმანიის უნარისა დაპირისპირებოდა საბჭოთა კავშირის თანადათან მზარდ ძლიერებას.

კურსკის რაიონში გერმანელთა ჯარების მთავარი დაჯგუფების განადგურებამ მოამზადა ნიადაგი საბჭოთა ჯარების შემდგომი ფართო შეტევითი ოპერაციებისათვის, რომელთა მიზანი იყო ჩვენი ტერიტორიიდან გერმანელთა სრული განდევნა, შემდეგ კი პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, იუგოსლავიის, რუმინეთის, ბულგარეთის ტერიტორიებიდანაც და ფაშისტური გერმანიის საბოლოო განადგურება.

რა იყო გადამწყვეტი კურსკთან მტრის განადგურებაში, რამ ჩაფუშა მისი ძლიერი და დიდხანს მომზადებული შეტევა?

პირველ ყოვლისა ის, რომ საბჭოთა ჯარები თავდაცვითი ბრძოლების მომენტში როგორც რაოდენობრივად, განსაკუთრებით კი თვისობრივად ჯობნიდნენ მოწინააღმდეგეს.

საბჭოთა ავიაციის, ჯავშანსატანკო ჯარებისა და არტილერიის მზარდი ძლიერება საშუალებას გვაძლევდა მოკლე ვადაში შეგვექმნა ისეთი დამკვრელი დაჯგუფებანი, რომლებიც სწრაფად ამსხვრევევდნენ მტრის ჯარების ყოველგვარ წინააღმდეობას. სწორედ ამან მისცა შესაძლებლობა საბჭოთა სამხედრო-სტრატეგიულ ხელმძღვანელობას მოეშზადებინა და დამაჯერებლად განეხორციელებინა კურსკის რკალზე მტრის ჯარების განადგურების გეგმა, ჩაეფუშა 1943 წლისათვის ჰიტლერელთა მიერ მოფიქრებული ფართო შეტევითი პროგრამა.

რატომ გადაწყვიტა მოწინააღმდეგემ გენერალური შეტევის კურსკის რაიონში წამოწყება?

საქმე ისაა, რომ საბჭოთა ჯარების ოპერატიული განლაგება მოწინააღმდეგისათვის ჩაზნექილ კურსკის შვერილზე გერმანელთა მხედრიონს დიდ პერსპექტივებს უქადდა. აქ შეიძლებოდა ერთბაშად ორი დიდი ფრონტის ალყაში მოქცევა, რომლის შედეგადაც შეიქმნებოდა სერიოზული სისუსტეები. ამას კი მოწინააღმდეგე სამხრეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით მსხვილი ოპერაციების განხორციელებისათვის გამოიყენებდა.

მთავარბანაკი, გენერალური შტაბი და ფრონტის სარდლობა ვითარების შეფასებისა და მოწინააღმდეგის გადაწყვეტილების შესაძლო ვარიანტების გარკვევისას ეყრდნობოდნენ ამ წანამძღვარს, რაც შემდგომში დადასტურდა.

დამახასიათებელია, რომ მთელი საბჭოთა ოპერატიულ-სტრატეგიული სარდლობა ძირითადად ერთსულოვანი იყო მოწინააღმდეგის მომავალი მოქმედების შეფასებაში. ყველა გარემოების ღრმა ანალიზზე დაფუძნებულ შეხედულებათა ერთიანობაში საუკეთესოდ ვლინდებოდა ჩვენი შტაბებისა და ოპერატიულ-სტრატეგიული მასშტაბის სარდლობის მზარდი ოსტატობა.

სამაგიეროდ ეს აღარ შეიძლებოდა გვეთქვა გერმანელთა სარდლობაზე, რომელიც სწორად და ღრმად ვერ აფასებდა ვითარებას, არ ჰქონდა ერთიანი აზრი მომავალი მოქმედების გეგმებსა და ხერხებზე.

როგორც უკვე აღვნიშნე, კურსკის ბრძოლაში ცენტრალური და ვორონეჟის ფრონტები აღემატებოდნენ მოწინააღმდეგეს ძალებითა და საშუალებებით. კონკრეტულად ეს ასე გამოიხატებოდა: ადამიანებით 1,4-ჯერ, არტილერიითა და ნაღმსატყორცნებით — 1,9-ჯერ, ტანკებით — 1,3-ჯერ და თვითმფრინავებით — 1,6-ჯერ. მაგრამ გერმა-

ნელთა სარდლობა ძირითად იმედს სატანკო და მოტორიზებულ ჯარებზე აძყარებდა და მათ თავი მოუყარა ვიწრო უბნებზე. ამით ბრძოლის პირველ დღეებში მნიშვნელოვანი უპირატესობა ჰქონდა საბჭოთა ჯარებზე, რომლებსაც თავდაცვის ტაქტიკური ზონა ეპირათ.

ხოლო, როცა ოპერატიულ-სტრატეგიულ სიღრმეში განლაგებული საბჭოთა ჯარები ამოქმედნენ, უპირატესობა ჩვენს მხარეზე გადმოვიდა.

ამ შემთხვევაში გერმანელთა ჯარების უმაღლესმა სარდლობამ გადაჭარბებით შეაფასა თავისი არმიის საბრძოლო ძალები და საკმაოდ ვერ შეაფასა საბჭოთა ჯარების შესაძლებლობანი. მოწინააღმდეგე განსაკუთრებულ იმედებს ამყარებდა თავის ტანკებზე „ვეფხვსა" და „ჯიქზე", საიერიშო ქვემეხ „ფერდინანდზე". ეტყობა, მტერს ეგონა, რომ ისინი საბჭოთა მეომრებს გააოცებდნენ და ვერ გაუძლებდნენ მათ ტარანულ დარტყმებს. მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

იმის მიუხედავად, რომ ფაშისტური გერმანია ჯერ კიდევ ეყრდნობოდა ევროპის უმრავლესი ქვეყნების ეკონომიკას, აღმოსავლეთის ფრონტზე ასეთი გააფთრებული ბრძოლების შემდეგ მას უკვე აღარ შეეძლო მეტოქეობა გაეწია საბჭოთა სახელმწიფოს თანდათან მზარდი ეკონომიკური და სამხედრო ძლიერებისათვის.

დასავლეთის ბურჟუაზიული პოლიტიკური და სამხედრო ისტორიკოსები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ თითქოს საბჭოთა არმიამ მატერიალურ-ტექნიკურ უპირატესობას მიაღწია ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მატერიალური დახმარების შედეგად.

ეს, რა თქმა უნდა, არაა ჭეშმარიტი.

არ მინდა სავსებით უარვყო და უკუვაგდო ამ დახმარების მნიშვნელობა. მან გარკვეული სამსახური გაუწია საბჭოთა არმიასა და სამხედრო მრეწველობას, მაგრამ ყოველივე ეს მცირედი იყო და არ შეიძლებოდა მას დიდი როლი მივანიჭოთ.

ის, რომ მტერს მატერიალურად აღვემატებოდით, განაპირობა საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების უპირატესობამ, პარტიის ხელმძღვანელობით ფრონტსა და ზურგში საბჭოთა ხალხის მძიმე და გმირულმა ბრძოლამ.

ამრიგად, ჰიტლერელებმა წააგეს უდიდესი ბრძოლა, რომელსაც ისინი ამზადებდნენ მთელი ძალებისა და შესაძლებლობის დაძაბვით, რათა რევანში აეღოთ 1942—1943 წლების ზამთარში ვოლგაზე მათი ჯარების განადგურებისათვის.

წარუმატებლობითა და უაღრესად დიდი დანაკარგებით გაღიზიანებულმა ჰიტლერმა, როგორც ამგვარ ვითარებაში სჩვეოდა, საკუთარი შეტევითი იდეის ჩაფუშვა სარდლებს გადააბრალა. იგი ანთავისუფლებდა მათ თანამდებობიდან, ცვლიდა, მისი აზრით, უფრო ნიჭიე-

რი ფელდმარშლებითა და გენერლებით. ამავე დროს უარს ამბობდა ელიარებინა, რომ დიდი სტრატეგიული ოპერაციის ჩავარდნა ცალკეულ სარდლებზე კი არაა დამოკიდებული, არამედ განისაზღვრება სტრატეგიული, პოლიტიკური და მატერიალური ფაქტორების მთლიანი ჯამით.

ახლოვდებოდა საბჭოთა ჯარების კონტრშეტევა.

მისი ძირითადი გეგმა, რომელიც უმაღლესმა მთავარსარდალმა ჯერ კიდევ მაისში დაამუშავა და დაამტკიცა, თავდაცვითი ბრძოლების დროს იხვეწებოდა და მთავარბანაკში მრავალჯერ განიხილეს. ეს იყო ორიოლის, ბელგოროდისა და ხარკოვის რაიონში გერმანელთა ჯარების განადგურების მეორე ეტაპის პროგრამა. ამრიგად, იგი 1943 წლის ზაფხულის მთელი კამპანიის გეგმის ნაწილს წარმოადგენდა.

პირველი ეტაპი — თავდაცვითი ბრძოლა — ჩვენმა ჯარებმა ცენტრალურ ფრონტზე დაასრულეს 12 ივლისს, ხოლო ვორონეჟის ფრონტზე — 23 ივლისს. თავდაცვითი მოქმედების დამთავრების ეს განსხვავებული ვადები აიხსნება ბრძოლების მასშტაბურობითა და აგრეთვე იმით, რომ ცენტრალურ ფრონტს 12 ივლისს მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიეს ბრიანსკისა და დასავლეთის ფრონტებმა, რომლებიც მოწინააღმდეგის ორიოლის დაჯგუფების წინააღმდეგ იერიშზე გადავიდნენ და აიძულეს მეტოქე ცენტრალური ფრონტის წინააღმდეგ მოქმედი ჯარებიდან სასწრაფოდ გადმოეყვანათ შვიდი დივიზია.

ბრძოლის მეორე ეტაპიც — კონტრშეტევა — ასევე ერთდროულად არ დაწყებულა.

მაგალითად, ბელგოროდის რაიონში ეს მოხდა 3 აგვისტოს, ცენტრალური, ბრიანსკისა და დასავლეთის ფრონტების კონტრშეტევის დაწყებიდან 20 დღის შემდეგ.

ამ სამი ფრონტის ჯარებს კონტრშეტევის მომზადებისათვის ნაკლები დრო სჭირდებოდათ, რადგან მისი დაგეგმვა და ყოველმხრივ მომარაგება ძირითადად ადრე და თავდაცვითი ბრძოლების დროს მიმდინარეობდა.

ბელგოროდის რაიონში მზადებისათვის მეტი დრო სჭირდებოდათ, რადგან სტეპის ფრონტის შემტევ ჯარებს არ ჰქონდათ ადრევე დამუშავებული ზუსტი გეგმა. ისინი მთავარბანაკის რეზერვში იმყოფებოდნენ და არც შეიძლებოდა სცოდნოდათ თავიანთი კონკრეტული ამოცანები, კონტრშეტევის საწყისი რაიონები და მეტოქე, რომლის წინააღმდეგ უნდა ემოქმედათ.

კონტრშეტევის მზადების პროცესში ძირითადად ვორონეჟისა და სტეპის ფრონტის ჯარებში ემუშაობდი, ხოლო 30—31 ივლისისათვის უმაღლესი მთავარსარდლის დავალებით გავფრინდი დასავლეთის ფრონტზე მე-4 სატანკო არმიის უბანში.

ვორონეჟისა და სტეპის ფრონტებზე ოპერაციების გეგმით, რომელიც ატარებდა პირობით სახელს — „რუმიანცევი“, მთავარი დარტყმა ხორციელდებოდა ბელგოროდის რაიონიდან ამ ორი ფრონტის მეზობელი ფლანგებით, ბოგოდუხოვი — ვალკი — ნოვ ვოდოლაგისაკენ საერთო მიმართულებითა და ხარკოვის დასავლეთიდან შემოვლით. ხარკოვის რაიონში ჩვენი ჯარების მისვლისას შეტევაზე უნდა გადასულიყო სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი. მისი 57-ე არმია, რომელსაც გენერალი ნ. ა. გაგენი მეთაურობდა, დარტყმას განახორციელებდა ხარკოვის სამხრეთ-დასავლეთიდან შემოვლით.

ვორონეჟის ფრონტის ჯარების კონტრშეტევაზე გადასვლა ხორციელდებოდა უფრო რთულ პირობებში, ვიდრე ეს ორიოლის რაიონში ხდებოდა. თავდაცვითი ბრძოლების პერიოდში მათ მრავალი ჯარისკაცი, საბრძოლო ტექნიკა და მატერიალური საშუალებები დაკარგეს. მოწინააღმდეგემ უკან დაიხია ადრევე მომზადებულ თავდაცვის ზღუდეზე, დროულად განლაგდა და ცუდად·როდი მოემზადა ჩვენი იერიშების მოგერიებისათვის. დაზვერვამ დაადგინა, რომ მოწინააღმდეგემ ბელგოროდ — ხარკოვის დაჯგუფების გაძლიერებისათვის სხვა მიმართულებიდან სასწრაფოდ გადმოიყვანა სატანკო და მოტორიზებული დივიზიები.

ყველაფერი იმას მეტყველებდა, რომ აქ მძიმე ბრძოლები გაიმართებოდა, განსაკუთრებით გაუჭირდებოდათ სტეპის ფრონტის ჯარებს, რომლებსაც ვითარება აიძულებდათ იერიში მიეტანათ კარგად გამაგრებულ ბელგოროდის რაიონის თავდაცვაზე.

მთავარბანაკმა სტეპის ფრონტი სწორად გამოიყენა. მისი ძალები თავდაცვითი ბრძოლების დროს ვორონეჟის ფრონტის გასაძლიერებლად რომ არ შეეყვანა, მაშინ ეს უკანასკნელი შესაძლოა ერთობ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილიყო. არაფრით არ უნდა დაგვეშვა მოვლენათა ამგვარი განვითარება, რადგან ძნელი არაა იმის მიხვედრა, თუ სად მიგვიყვანდა იგი.

რაც შეეხება სტეპის ფრონტის კონტრშეტევის დაწყებას ბელგოროდის მიმართულებით მოქმედ ყველა ძალებთან ერთდროულად, უნდა გვახსოვდეს: როცა სტეპის ფრონტის არმია ვორონეჟის ფრონტის გასაძლიერებლად გადაისროლეს, ჯერ კიდევ მომწიფებული არ იყო სტეპის ფრონტის მთელი ძალებით ამოქმედების ყველა პირობა. ბელგოროდ—ხარკოვის მიმართულებით კონტრშეტევაზე გადასვლის ვითარება სავსებით მხოლოდ 20—23 ივლისისათვის გაირკვა, ხოლო ფაქტიურად კონტრშეტევაზე გადასვლა შეიძლებოდა განხორციელებულიყო ორივე ფრონტის სერიოზული მომზადების შემდეგ, რასაც მნიშვნელოვანი დრო სჭირდებოდა. თუმცა დავუბრუნდეთ ჩვენს თხრობას.

23 ივლისს მოწინააღმდეგეს დადევნებული საბჭოთა ჯარები გავიდნენ ბელგოროდის ჩრდილოეთით აგებულ ზღუდეებზე და ძირითა-

დად ხელში ჩაიგდეს თავდაცვითი პოზიციები, რომლებიც ვორონეჟის ფრონტს 5 ივლისამდე ეჭირა.

განვიხილეთ ვითარება ფრონტის სარდლობასთან, გენერალურ შტაბთან, უმაღლეს მთავარსარდალთან შეთანხმებით და გადავწყვიტეთ შეგვეჩერებინა ჩვენი ჯარები, საფუძვლიანად მოგვემზადებინა ფართო კონტრშეტევაზე გადასასვლელად.

შეტევაზე გადასვლის წინ ფრონტებისათვის აუცილებელი იყო:

— ძალებისა და საშუალებების გადაჯგუფება;

— საფუძვლიანი დაზვერვის ჩატარება საავიაციო და საარტილერიო შეტევის ინტერესებისათვის;

— შევსება ჯარებისა, რომელთაც დანაკარგი განიცადეს. ეს განსაკუთრებით ეხებოდათ მე-6, მე-7 გვარდიულ და 1-ლ სატანკო არმიებს, მთელ რიგ საარტილერიო ნაწილებს.

— საწვავის, საბრძოლო მასალების და ღრმა შეტევითი ოპერაციისათვის ყოველივე სხვა აუცილებელის მომარაგება.

ხოლო სტეპის ფრონტს ამასთან ერთად დეტალურად უნდა დაემუშავებინა კონტრშეტევის გეგმა და ეზრუნა მისი ყოველმხრივ უზრუნველყოფისათვის.

ბელგოროდთან კონტრშეტევის საერთო ჩანაფიქრი შემდეგში მდგომარეობდა.

ვორონეჟის ფრონტი მთავარ დარტყმას ახორციელებდა მე-5 და მე-6 გვარდიული არმიების, მე-5 გვარდიული სატანკო და 1-ლი სატანკო არმიების ძალებით ვალკისა და ნოვ. ვოდოლაგისაკენ საერთო მიმართულებით. მე-5 და მე-6 გვარდიული არმიების გარღვევის უბანში არტილერიის სიმჭიდროვე ერთ კილომეტრ ფრონტზე აყვანილ იქნა 230 ქვემეხსა და ნაღმსატყორცნამდე, ხოლო ტანკები 70 ერთეულს შეადგენდნენ. დივიზიებმა გაარღვევისათვის 3 კილომეტრიანი ზოლი მიიღეს.

გარღვევის საშუალებათა ასეთი მასიური თავმოყრა გამოწვეული იყო იმით, რომ აქ დაგეგმილი იყო კონტრშეტევის პირველსავე დღეს იერიშში ჩაგვება ორი სატანკო არმია. მარჯვნივ შეტევაზე გადადიოდნენ მე-40 და 38-ე არმიები გაივორონისა და შემდეგ ტროსტიანეცისაკენ საერთო მიმართულებით. მათ ჰაერიდან ეხმარებოდა გენერალ ა. ს. კრასოვსკის მე-2 საჰაერო არმია.

სტეპის ფრონტი გენერალ-პოლკოვნიკ ი. ს. კონევის სარდლობით მოქმედებდა 53-ე, 69-ე, მე-7 გვარდიული არმიებისა და 1-ლი მექანიზებული კორპუსის შემადგენლობით. მისი უახლოესი ამოცანა იყო დაეკავებინა ბელგოროდი და შემდეგ ვორონეჟის ფრონტის მთავარ ძალებთან ურთიერთმოქმედებით იერიში მიეტანა ხარკოვზე. სტეპის ფრონტის ჯარების მოქმედებას მხარს უჭერდა გენერალ ს. კ. გორიუნოვის მე-5 საჰაერო არმია.

სტეპის ფრონტის ოპერაციების მომზადების დროს გავიცანი 53-ე არმიის სარდალი გენერალი ი. მ. მანაგაროვი, რომელსაც ადრე ახლოს არ ვიცნობდი.

ი. მ. მანაგაროვმა ჩემზე ძალზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა, როცა მასთან ერთად სერიოზული მუშაობა მომიხდა არმიის შეტევის გეგმის დამუშავებაზე. როცა საქმეს მოვრჩით და ვახშმობას შევუდექით, მან ხელში აიღო ბაიანი და მშვენივრად შეასრულა რამდენიმე მხიარული მელოდია. დაღლილობა სწრაფად გაქრა. ვუყურებდი მას და ვფიქრობდი: მებრძოლებს ძალიან უყვართ ასეთი მეთაური, მას, როგორც იტყვიან, ცეცხლსა და წყალშიც გაჰყვებიან...

მადლობა გადაეუხადე ი. მ. მანაგაროვს ბაიანზე ბრწყინვალედ დაკვრისათვის (რაც, სიტყვამ მოიტანა და ვამბობ, ყოველთვის მშურდა!) და რწმენა გამოვთქვი, რომ იგი 3 აგვისტოს გერმანელებისათვის უარესად როდი „დაუკრავდა" საარტილერიო ჰანგებზე.

ი. მ. მანაგაროვმა გაიცინა და თქვა:

— ვეცდებით, ჩვენ გვაქვს „დასაკრავი" ინსტრუმენტი.

ძალზე მომეწონა არტილერიის სარდალი გენერალ-ლეიტენანტი ნ. ს. ფომინი, საარტილერიო შეტევაში დიდი მასების გამოყენების მეთოდების ფრიად მცოდნე. მან მთავარბანაკის რწმუნებულთან, არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ მ. ნ. ჩისტიაკოვთან ერთად ძალზე დიდი და სასარგებლო მუშაობა ჩაატარა არტილერიის განაწილებისათვის, საომარი მასალების მომარაგებისათვის. მისი საბრძოლო გამოყენებისა და ყოველივე იმის მომზადებისათვის, რაც საჭიროა ეფექტური საარტილერიო დაწოლისათვის.

ბელგოროდის რაიონში კონტრშეტევა დაიწყო 3 აგვისტოს დილით. დაზვერვამ დაადგინა, რომ ბელგოროდ-ხარკოვის დაჯგუფების გაძლიერების მიზნით მოწინააღმდეგემ სხვა მიმართულებებიდან სასწრაფოდ გადმოიყვანა სატანკო და მოტორიზებული დივიზიები, ძიღო მნიშვნელოვანი შევსება.

უფრო ძლიერი საცეცხლე და საავიაციო დარტყმა განახორციელა ვორონეჟის ფრონტმა, რის შედეგადაც ტანკების დიდი რაოდენობით გაძლიერებულმა მოიერიშე მე-5 და მე-6 გვარდიულმა არმიებმა სწრაფად გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვის მთავარი ზოლი. დღის მეორე ნახევარში იერიშში ჩაებნენ 1-ლი და მე-5 გვარდიული სატანკო არმიები, რომლებმაც დღის მიწურულს თავიანთი მეწინავე შენაერთებით 30—35 კილომეტრზე წაიწიეს წინ და ამ უბანზე მთელი ტაქტიკური თავდაცვა გაანადგურეს.

სტეპის ფრონტს არ გააჩნდა გარღვევის ისეთი მძლავრი საშუალებანი. როგორიც ვორონეჟის ფრონტს ჰქონდა და შეტევაც აქ რამდენადმე ნელა ვითარდებოდა. დღის ბოლოსათვის მეწინავე ჯარებმა 15

კილომეტრით წაიწიეს წინ, მაგრამ ესეც დიდ მიღწევად მიგვაჩნდა, მით უმეტეს, რომ სტეპის ფროსტის ჯარებს საქმე ჰქონდათ მოწინააღმდეგის უფრო ძლიერ და ღრმა თავდაცვასთან.

მეორე დღეს მტერმა გააძლიერა წინააღმდეგობა და 4 აგვისტოს სტეპის ფრონტის შეტევა გაცილებით ნელა ვითარდებოდა. მაგრამ ეს მაინცდამაინც არ გვაღელვებდა, რადგან ვორონეჟის ფრონტის დამკვრელური ძალა წარმატებით მიიწევდა წინ, ეუფლებოდა მოწინააღმდეგის ბელგოროდის დაჯგუფების ფლანგს. გერმანელ ფაშისტთა სარდლობამ იგრძნო აქ ალყაში მოხვედრის საფრთხეაო და 4 აგვისტოს საღამოს დაიწყო ჯარების გაყვანა, ამან კი დააჩქარა სტეპის ფრონტის ჯარების წინსვლა.

5 აგვისტოს, დილის 6 საათზე, ბელგოროდში პირველნი შეიჭრნენ 89-ე მსროლელთა გვარდიული დივიზიის 270-ე მსროლელთა გვარდიული პოლკი, აგრეთვე 305-ე და 375-ე მსროლელთა დივიზიების ნაწილები, კარგად იბრძოდნენ 93-ე, 94-ე გვარდიული და 111-ე მსროლელთა დივიზიები. 89-ე და 305-ე მროლელთა დივიზიებს მიეკუთვნათ ბელგოროდის საპატიო სახელი.

მტრის ნარჩენი ძალებისაგან ქალაქის განთავისუფლების შემდეგ სტეპის ფრონტის ჯარები ვორონეჟის ფრონტის ჯარებთან ურთიერთმოქმედებით სწრაფად დაიძრნენ წინ.

5 აგვისტოს, საღამოს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქმა მოსკოვმა სალუტი მისცა ბრიანსკის, დასავლეთის, ცენტრალური ფრონტების მამაცი ჯარების პატივსაცემად, რომლებმაც დაიკავეს ორიოლი და სტეპისა და ვორონეჟის ფრონტების ჯარების პატივსაცემად, რომლებმაც დაიკავეს ბელგოროდი. ეს დიდ სამამულო ომში საბჭოთა ჯარების საბრძოლო მამაცობის აღმნიშვნელი პირველი საარტილერიო სალუტი გახლდათ.

მებრძოლთა განწყობილება მკვეთრად ამაღლდა, გახარებულებს, შემართებულებსა და საკუთარ ძალებში დარწმუნებულებს სახე ებრწყინავდათ.

6 აგვისტოს, მოვლენათა შეფასების შემდეგ, სტეპის ფრონტის სარდლობასთან ერთად უმაღლეს მთავარსარდალს გავუგზავნე ბელგოროდ-ხარკოვის მიმართულებით ოპერაციათა შემდგომი წარმოების წინადადებები.

„მოქმედი არმიიდან. 6 8. 43.

ამხანაგ ივანოვს.

მოგახსენებთ:

მოწინააღმდეგის ფრონტის წარმატებით გარღვევისა და ბელგოროდ-ხარკოვის მიმართულებით შეტევის განვითარებასთან დაკავშირებით შემდგომ ოპერაციებს ასეთი გეგმით წარვმართავთ:

1. 53-ე არმია სოლომატინის[1] კორპუსთან ერთად შეუტევს ბელგოროდ-ხარკოვის გზატკეცილის გაყოლებით, მთავარ დარტყმას დერგაჩის მიმართულებით გაახორციელებს.

არმია უნდა გავიდეს ოლშან—დერგაჩის ხაზზე და აქ ეადოვის ნაწილები შეცვალოს.

69-ე არმია შეუტევს 53-ე არმიის მარცხენა ჰხრიდან ჩერემოშნოეს მიმართულებით. ჩერემოშნოეს რომ მიაღწევს, შემდეგ 69-ე არმია რამდენიმე საუკეთესო დივიზიას მანაგაროვს გადასცემს, თვითონ კი ფრონტის რეზერვში დარჩება, სანამ მიკოიანოვკა—ჩერემოშნოე—გრიაზნოეს რაიონში საბოლოოდ დაკომპლექტებოდეს.

აუცილებელია 69-ე არმია რაც შეიძლება სწრაფად შევავსოთ 20 ათასი კაცით.

მე-7 გვარდიული არმია ახლა პუშკარნოეს რაიონიდან ბროდოკისა და შემდეგ ბოჩკოვკისაკენ შეუტევს, ჭოწინააღმდეგის ფრონტს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ შემოაბრუნებს.

ჩერემოშნოესა და ზაბოროვკას ზღუდიდან მე-7 გვარდიული არმია მთავარ დარტყმას განახორციელებს ცირკუნზე და გავა ჩერკასკი—ლოზოვაია—ცირკუნი—კლიუჩკინის ხაზზე.

ზაბოროვკას რაიონიდან ძალების ერთი ნაწილით იგი შეუტევს მურომს და შემდეგ ტერნოვაიას, რათა 57-ე არმიას რუბეჟნოესა და სტარ. სალტოვის რაიონში მდინარე ჩრდილოეთ დონეცის გადალახვაში დაეხმაროს.

2. სასურველია სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის 57-ე არმია ეადაეცეთ სტეპის ფრონტსა და ახლავე მოვამზადოთ 57-ე არმიის დარტყმა რუბეჟნოე — სტარ. სალტოვის ხაზიდან ნეპოკრიტაიასა და შემდე ფრუნზეს სახელობის საბჭოთა მეურნეობისაკენ საერთო მიმართულებით.

აუცილებელია 57-ე არმია გავიყვანოთ „კუტუზოვკის“ საბჭოთა მეურნეობა — ფრუნზეს სახელობის საბჭოთა მეურნეობა — ჩრდილოეთ როგანის ხაზზე.

თუ 57-ე არმია სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის შემადგენლობაში დარჩება, მაშინ მას უნდა დავავალოთ, რომ მურომის რაიონთან შუმილოვის[2] მისვლის შემდეგ შეტევაზე გადავიდეს ზემოხსენებული მიმართულებით.

3. მეორე ეტაპის, ე. ი. ხარკოვის ოპერაციის გახორციელებისათვის აუცილებელია სტეპის ფრონტს გადავცეთ მე-5 გვარდიული სა-

---

1 სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტი გ. დ. სოლომატინი — 1-ლი მექანიზებული კორპუსის მეთაური (გ. ე.).

2 გენერალ-ლეიტენანტი ვ. ს. შუმილოვი — მე-7 გვარდიული არმიის სარდალი.

ტანკო არმია, რომელიც გავა ოლშანი — სტარი მერჩიკი — ოგულცის რაიონში.

საორიენტაციოდ გთავაზობთ ხარკოვის ოპერაციის შემდგომ გეგმას:

ა) 53-ე არმია როტმისტროვის არმიასთან ურთიერთმოქმედებით ხარკოვს შემოუვლის დასავლეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან.

ბ) შუმილოვის არმია შეუტევს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ცირკუნი—დერგაჩის ხაზიდან.

გ) 57-ე არმია იერიშს მიიტანს აღმოსავლეთიდან ფრუნზეს სახელობის საპეოთა მეურნეობა — როგანის ხაზიდან, ხარკოვს სამხრეთიდან შემოუვლის.

დ) 69-ე არმია (თუ იგი ამ დროისათვის შეიკსო) ოლშანის რაიონში ჟადოვისა და მანავაროვის ნაწილების შესაყარზე გაიშლება და სამხრეთისაკენ შეუტევს ხარკოვის ოპერაციის სამხრეთის მხრიდან უზრუნველყოფისათვის.

69-ე არმია გავა სნეჟკოვ კუტი—მინკოვკა—პროსიანოე — ნოვოსელოვკას ხაზზე.

ე) აუცილებელია ვორონეჟის ფრონტის მარცხენა ფლანგი გავიყვანოთ ოტრადა—კოლომაკი—სნეჟკოვ კუტის ხაზზე.

ეს ამოცანა უნდა გადაჭრან ჟადოვის არმიამ და 27-ე არმიის მარცხენა ფლანგმა.

სასურველია კატუკოვის არმია გვყავდეს კოვიაგი—ალექსეევკა—მერეფის რაიონში.

აუცილებელია სამხრეთ-დასავლეთის ფრონტმა დაარტყას ზამოსტიეს რაიონიდან მერეფისაკენ საერთო მიმართულებით და მდინარე მეას ორივე სანაპიროდან შეუტიოს: ძალების ერთი ნაწილით ჩუგუევის გავლით ოსნოვზე მიიტანოს იერიში, ხოლო მეორეთი აუცილებელია მოწინააღმდეგისაგან გაწმინდოს ზამოსტიეს სამხრეთით მდებარე ტყეები და გავიდეს ნოვოსელოვკა—ოსოჩაე—ვერხნ. ბიშკინი—გეევკას ზღუდეზე.

4. ხარკოვის ოპერაციისათვის აუცილებელია: ჯარები 20 ათასი კაცით შევავსოთ, თანაც დამატებით მივცეთ 15 ათასი ჯარისკაცი 53-ე და მე-7 გვარდიული არმიების დივიზიებისათვის. ფრონტის სატანკო ნაწილების შემდგომი დაკომპლექტებისათვის მივცეთ 200 ცალი T-34 და 100 — T-70, KB — 35 ცალი. გადმოვიყვანოთ თვითმავალი არტილერიის ოთხი პოლკი და ორი საინჟინრო ბრიგადა.

ფრონტის სამხედრო-საჰაერო ძალებს შემდგომი დაკომპლექტე-

---

1 სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტი მ. ე. კატუკოვი — 1-ლი სატანკო არმიის სარდალი.

ბისათვის მივაწოდოთ მოიერიშე, გამანადგურებელი და ბომბდამშენი თვითმფრინავები შემდეგი რაოდენობით: გამანადგურებელი — 90, ПЕ-2 — 40, ИЛ-2 — 60.

გთხოვთ დაამტკიცოთ.

ჟუკოვი, კონევი, ზახაროვი.

№ 64".

7 აგვისტოს 1-ლმა სატანკო არმიამ და ეორონეჟის ფრონტის მე-6 გვარდიული არმიის მეწინავე ნაწილებმა ხელთ იგდეს ქალაქი ბოგოდუხოვი. მოწინააღმდეგეს უკვე აღარ ჰქონდა ერთიანი ფრონტი. მისი მე-4 არმია ჯგუფ „კაპპფიდან" დიდი დაშორებით მოქმედებდა და შექმნილი სიცარიელის შევსება აღარაფრით შეიძლებოდა.

სამი ქვეითი და მე-19 სატანკო დივიზიების შემადგენლობით გაიეორონიდან დასავლეთისაკენ უკუქცეული მოწინააღმდეგის ჯარებს ჩვენი მე-2 საჰაერო არმიის დიდმა ჯგუფმა შეუტია, ხოლო შემდეგ სულ გაანადგურა გენერალ ს. გ. ტროფიმენკოს 27-ე არმიამ. ამან უფრო გაართულა გერმანელთა მე-4 არმიის მდგომარეობა.

11 აგვისტოს 1-ლი სატანკო არმიის ნაწილებმა გადაჭრეს ხარკოვ-პოლტავის რკინიგზის ხაზი.

მე-4 არმია აუცილებელი კატასტროფისაგან რომ ეხსნათ, არმია „სამხრეთის" გერმანულმა ჯგუფმა სასწრაფოდ შეკრიბა ყველა თავისი უკანასკნელი რეზერვები და იგი ახტირკის რაიონში გადაისროლა.

ხარკოვის დაჯგუფების გარშემორტყმით შეშინებულმა მოწინააღმდეგემ თავი მოუყარა სამ სატანკო დივიზიას („მკვდარი თავი", „ეიკინგი" და „რაიხი") და 11 აგვისტოს კონტრდარტყმა განახორციელა 1-ლ სატანკო არმიისა და მე-6 გვარდიული არმიის ნაწილებზე. 1-ლი სატანკო არმიის და მე-6 გვარდიული არმიის შესუსტებულმა ნაწილებმა ვერ გაუძლეს დარტყმას და უფრო ხელსაყრელი ზღუდეებისაკენ უკუსვლა დაიწყეს.

მაშინ მათ დასახმარებლად გაემართა მე-5 გვარდიული სატანკო არმია. გაჩაღდა უარესად გაფთრებული ბრძოლა, რომელიც რამდენიმე დღე გაგრძელდა. 16 აგვისტოს მიწურულს საერთო ძალებით მტერი შეჩერებულ იქნა.

18 აგვისტოს მოწინააღმდეგემ კონტრდარტყმა განახორციელა ახტირკის რაიონიდან. მისი ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში დამატებით იქნა შეყვანილი მთავარბანაკის რეზერვიდან გადმოყვანილი მე-4 გვარდიული არმია, რომელსაც გენერალი გ. ი. კურილოვი სარდლობდა. სამწუხაროდ, იგი ცუდად მეთაურობდა ჯარებს და მალე განთავისუფლდა კიდეც სარდლის მოვალეობისაგან.

სტეპის ფრონტის ჯარები ხარკოვს მიადგნენ და ბრძოლა მის გა-

რეუბნებში გააჩაღეს. ენერგიულად მოქმედებდა ი. მ. მანაგაროვის 53-ე არმია და განსაკუთრებით მისი 89-ე მსროლელთა დივიზია პოლკოვნიკ გ. პ. სერიუგინის მეთაურობით, აგრეთვე 105-ე მსროლელთა დივიზია პოლკოვნიკ ა. თ. ვასილიევის მეთაურობით.

53-ე არმიის ნაწილები დღედაღამ უტევდნენ და ისწრაფვოდნენ, რათა სწრაფად გაერღვიათ ქალაქის მისადგომების თავდაცვა. განსაკუთრებით გამძაფრდა ბრძოლა პოლევოის რაიონში მდებარე 201,7 ძაღლობისათვის, რომელიც დაიპყრო 299-ე მსროლელთა დივიზიის ნაკრებმა ასეულმა უფროს ლეიტენანტ ვ. პ. პეტრიშჩევის მეთაურობით.

როცა ცოცხალი მხოლოდ შვიდი კაცილა დარჩა, გ. პ. პეტრიშჩევმა მებრძოლებს მიმართა:

— ამხანაგებო, მაღლობზე ისე ვიდგებით, როგორც პანფილოველები იდგნენ დუბოსეკოვთან. მოვკვდებით, მაგრამ უკან არ დავიხევთ!

და მართლაც უკან არ დაუხევიათ. გმირმა მებრძოლებმა მაღლობი დივიზიის ნაწილების მისვლამდე შეინარჩუნეს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მამაცობისა და გმირობისათვის უფროს ლეიტენანტ ვ. პ. პეტრიშჩევს, უმცროს ლეიტენანტ ვ. ვ. ჟენჩენკოს, უფროს სერჟანტ გ. პ. პოლიკანოვსა და სერჟანტ ვ. ე. ბრეუსოვს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ. დანარჩენები ორდენებით დაჯილდოვდნენ.

ახტირკის აღებისათვის გააფთრებულ ბრძოლებში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი მე-20 გვარდიულმა მსროლელთა კორპუსმა გენერალ მ. ი. ბირიუკოვის მეთაურობით, გენერალ მ. გ. მიქელაძის შენაერთებმა, გვარდიის პოდპოლკოვნიკ ო. ს. გუდემენკოს, პოლკოვნიკ ო. ს. დობროვის ნაწილებმა, აგრეთვე მე-4 გვარდიულმა სატანკო კორპუსმა.

22 აგვისტოსათვის ხარკოვის რაიონში საბჭოთა ჯარების შეტევა თანდათან გაძლიერდა. თავისი ჯარების გარშემორტყმის თავიდან აცილების მიზნით მოწინააღმდეგემ 22 აგვისტოდან დაიწყო ხარკოვიდან თავისი ჯარების გაყვანა. მეორე დღეს დილით გავიდნენ ბოლო საარიერგარდო ნაწილებიც და სტეპის ფრონტის ჯარები შევიდნენ ქალაქ ხარკოვში. ქალაქის მოსახლეობა ჯარს აღფრთოვანებით შეხვდა.

ხარკოვისათვის ბრძოლებში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი 53-ე არმიის 28-ე გვარდიული, 84-ე, 116-ე, 252-ე და 299-ე მსროლელთა დივიზიებმა, 69-ე არმიის 89-ე და 93-ე გვარდიული, 183-ე და 375-ე მსროლელთა დივიზიებმა, მე-7 გვარდიული არმიის მე-15 გვარდიულმა დივიზიამ. ყველა ამ დივიზიას ხარკოვის საპატიო სახელი ეწოდა.

ხარკოვში გაიმართა დიდი მიტინგი, რომელსაც ესწრებოდნენ უკრაინისა და წითელი არმიის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლები. მიტინგი აღმაელობით ჩატარდა. ხარკოვის მშრომელები ზეიმობდნენ. მოსკოვმა სალუტი მისცა მამაც მეომრებს, რომლებმაც უკრაინის უდიდესი ქალაქი გაანთავისუფლეს.

მიტინგის შემდეგ გაიმართა ვახშამი, რომლის დროსაც საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა ი. ს. კოზლოვსკიმ შეასრულა რუსული და უკრაინული სიმღერები. მისმა მომაჯადოებელმა და გულში ჩამწვდომმა ხმამ დამსწრეებზე ისე იმოქმედა, რომ ისინი აატირა. იგი უჩვეულოდ დიდხანს მღეროდა. ხოლო ჩვენ, კარგ ვოკალურ შესრულებას აგრერიგად მონატრებულები, ივანე სემიონის ძის ძალზე მადლიერი დავრჩით.

სტეპის ფრონტის ჯარები ამასობაში ხარკოვის სამხრეთით, მერეფის რაიონში უტევდნენ.

ვორონეჟის ფრონტმა ბოგოდუხოვისა და ახტირკის რაიონში უკუაგდო მოწინააღმდეგის კონტრდარტმითი. დაჯგუფებები და 25 აგვისტოს მტკიცედ გამაგრდა სუმი—გადიაჩი—ახტირკა—კონსტანტინოვკას ხაზზე, თანაც შეუდგა შეტევისათვის მზადებას, რათა დნეპრის შუა დინებისაკენ გაჭრილიყო. ანალოგიური ამოცანა დაესახა სტეპის ფრონტსაც.

ორიოლის მიმართულებით კონტრშეტევის გეგმა ითვალისწინებდა აგრეთვე გერმანელთა ჯარების მე-9 და მე-2 სატანკო არმიების განადგურებას, ორიოლის აღებასა და იერიშის განვითარებას ბრიანსკის საერთო მიმართულებით.

დასავლეთის ფრონტის მარცხენა ფრთის ჯარებს ამოცანად დაესახათ ბრიანსკის ფრონტის ჯარებთან ურთიერთმოქმედებით გაენადგურებინათ მოწინააღმდეგის ბოლხოვის დაჯგუფება, შემდეგ იერიშში განეგრძოთ ხოტინეცის მიმართულებით და მოწინააღმდეგისათვის მოეჭრათ ორიოლის რაიონიდან უკანდასახევი გზა.

დასავლეთის ფრონტი თავდაპირველად უტევდა სატანკო კორპუსითა და ოთხი სატანკო ბრიგადით გაძლიერებული მე-11 გვარდიული არმიით, რომელსაც ი. ქ. ბაგრამიანი სარდლობდა. ამ ჯგუფის ჯარებს ეხმარებოდა 1-ლი საჰაერო არმია, რომელსაც გენერალი მ. მ. გრომოვი სარდლობდა. რამდენიმე დღის შემდეგ ეს ჯგუფი გაძლიერდა გენერალ ი. ი. ფედიუნინსკის მე-11 არმიითა და გენერალ ვ. მ. ბადანოვის მე-4 სატანკო არმიით.

ბრიანსკის ფრონტი მოქმედებდა 61-ე, მე-3 და 63-ე არმიების შემადგენლობით, შემდეგ მათ შეუერთდა პ. ს. რიბალკოს მე-3 გვარდიული სატანკო არმია, რომელმაც საბოლოოდ დაკომპლექტება სადგურ

გორბაჩევოში მოამთავრა. ფრონტის ჯარებს მოქმედებაში ეხმარებოდა გენერალ ნ. თ. ნაუმენკოს მე-15 საჰაერო არმია.

ცენტრალური ფრონტი უტევდა 48-ე, მე-13 და 70-ე არმიების მარჯვენა ფრთის, ძე-2 სატანკო არმიისა და თავდაცვასა და კონტრდარტყმაში მონაწილე ყველა შენაერთის შემადგენლობით.

ამ დროისათვის მოწინააღმდეგემ ბრიანსკისა და დასავლეთის ფრონტების გარღვევისათვის წინააღმდეგობის გაწევის მიზნით ცენტრალური ფრონტის უბნიდან წაიყვანა რამდენიმე სატანკო და ქვეითი დივიზია, რითაც მნიშვნელოვნად შეასუსტა თავისი თავდაცვა ორიოლის სამხრეთით. ცენტრალურმა ფრონტმა შეტევის უფრო ხელსაყრელი შესაძლებლობა მიიღო.

დასავლეთისა და ბრიანსკის ფრონტების წამოწყებული შეტევა უფრო ნელა ვითარდებოდა, ვიდრე ჩვენ ვვარაუდობდით. ცოტა უკეთესად მიდიოდა საქმე დასავლეთის ფრონტის მარცხენა ფრთაზე. საერთო შეტევის ტემპი 15 ივლისს დაწყებულ ცენტრალური ფრონტის კონტრშეტევასაც არ დაუჩქარებია.

უფრო გვიან, მოვლენების ნელა განვითარების მიზეზებს რომ ვიკვლევდით, ძიებედით დასკვნამდე: ძირითადი შეცდომა ის იყო, რომ მთავარბანაკმა რამდენადმე იჩქარა კონტრშეტევით მოქმედებაზე გადასვლა და დასავლეთის ფრონტის მარცხენა ფრთაზე არ შექმნა უფრო ძლიერი დაჯგუფება, რომელიც ბრძოლის დროსაც სერიოზულად უნდა გაგვემაგრებინა. ბრიანსკის ფრონტის ჯარებს ღრმად ეშელონირებული თავდაცვის პირდაპირი დარტყმით გარღვევა მოუხდათ.

ვგონებ, უკეთესი იქნებოდა პ. ს. რიბალკოს არმია ბრძოლაში ბრიანსკის ფრონტზე კი არ ჩაგვება, არამედ ი. ქ. ბაგრამიანის არმიის მხარდამხარ. მთავარბანაკმა ცოტათი დააგვიანა გენერალ ი. ი. ფედიუნინსკის მე-11 არმიისა და გენერალ ვ. მ. ბადანოვის მე-4 სატანკო არმიის ბრძოლაში ჩაბმა.

ცენტრალურმა ფრონტმა თავისი კონტრშეტევა დაიწყო იქ, სადაც დამთავრდა მისი კონტრდარტყმა და მოწინააღმდეგის ძირითადი დაჯგუფებისაკენ ფართო ფრონტით პირდაპირ მიემართებოდა. ცენტრალური ფრონტის მთავარი დარტყმა კრომის შემოვლის იდეით რამდენადმე დასავლეთით უნდა გადაგვეტანა.

სამწუხაროდ, ეს არ გაკეთებულა. ხელი შეგვიშალა აჩქარებამ. მაშინ ყველას მიგვაჩნდა, რომ საჭიროა რაც შეიძლება ჩქარა დაარტყა მოწინააღმდეგეს, სანამ მას ჯერ კიდევ არ განუმტკიცებია თავდაცვა, მაგრამ ეს მცდარი მსჯელობა და გადაწყვეტილება გახლდათ. ყოველივე ეს, ერთად აღებული, მოწინააღმდეგის თავდაცვითი შესაძლებლობის შეუფასებლობის შედეგი იყო.

კონტრშეტევა ორიოლის მიმართულებით მომდევნო დღეებშიც ძველებურად ნელი ტემპით წარმოებდა.

5 აგვისტოს ბრიანსკის ფრონტის ჯარებმა ორიოლი გაათავისუფლეს. ამ ქალაქისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მე-5, 129-ე და 380 -ე მსროლელთა დივიზიებმა.

როცა ა. ი. ანტონოვთან და ა. მ. ვასილევსკისთან ერთად უმაღლეს მთავარსარდალს მოვახსენებდით ორიოლის რაიონში მოწინააღმდეგის დაჯგუფების გარემოცვის შესაძლებლობის შესახებ, რისთვისაც საჭირო იყო დასავლეთის ფრონტის მარცხენა ფრთის მნიშვნელოვნად გაძლიერება, ი. ბ. სტალინმა თქვა:

— ჩვენი ამოცანაა რაც შეიძლება სწრაფად განვდევნოთ გერმანელები ჩვენი ტერიტორიიდან, ხოლო მათ გარემოცვაში მაშინ მოვაქცევთ, როცა უფრო დასუსტდებიან...

მაშინ გადაჭრით არ დაგვიცავს ჩვენი წინადადება, საწყენი კი არის! საჭირო იყო უფრო მტკიცედ ვმდგარიყავით საკუთარ თვალსაზრისზე. მაშინ ჩვენს ჯარებს უკვე შეეძლოთ გარშემორტყმისა და განადგურების ოპერაციების ჩატარება.

ბრიანსკის ფრონტზე ყველაზე ენერგიულად უტევდა მე-3 არმია გენერალ ა. ვ. გორბატოვის მეთაურობით. იგი მთელი ომის განმავლობაში შესანიშნავად ასრულებდა არმიის სარდლის როლს.

სამივე ფრონტის კონტრშეტევის ნელმა განვითარებამ მოწინააღმდეგეს საშუალება მისცა გადაეჯგუფებინა ძალები, სხვა რაიონებიდან მიეღო ახალი შევსება და ორგანიზებულად გაეყვანა ჯარები ორიოლის რაიონიდან.

შემდგომშიც ამ ფრონტების შეტევა ნელა ვითარდებოდა და საშუალოდ დღე-ღამეში წინსვლა 4 კილომეტრს არ აღემატებოდა 18 აგვისტოს კონტრშეტევითი ოპერაცია დამთავრდა ლიუდინოვის აღმოსავლეთით. ბრიანსკის აღმოსავლეთით 25 კილომეტრზე და დმიტროვ-ორიოლის ხაზზე.

1943 წლის 23 აგვისტოს ხარკოვის აღებით დასრულდა დიდი სამამულო ომის ეს გრანდიოზული ბრძოლა. იგი დამთავრდა გერმანელთა ჯარების მთავარი დაჯგუფების განადგურებით, დაჯგუფებისა, რომელზეც ჰიტლერი დიდ სამხედრო-პოლიტიკურ იმედებს ამყარებდა.

როგორია კურსკის ბრძოლის შედეგები?

ორმოცდაათ დღეს გაგრძელდა გერმანელ ფაშისტთა ურდოების წინააღმდეგ ჩვენი ჯარების ეს უდიდესი ბრძოლა. გამარჯვება იზეიმეს საბჭოთა ჯარებმა, რომლებმაც გაანადგურეს გერმანელთა 30 რჩეული დივიზია. მათ შორის 7 სატანკო. ამ დივიზიებს თავიანთი შემადგენლობის ნახევარზე მეტი გაუნადგურდათ.

ამ დროის მანძილზე მტრის ჯარებმა საერთო რიცხვით დაკარგეს

500 ათასზე მეტი კაცი, დაახლოებით 1500 ტანკი, მათ შორის დიდი რაოდენობით „ვეფხვები“ და „ჯიქები“, 3 ათასი ქვემეხი და მრავალი თვითმფრინავი. ფაშისტური ხელმძღვანელობა ველარ შეძლებდა ამ დანაკლისის რაიმე ტოტალური ღონისიძებით ანაზღაურებას.

კურსკთან ჩვენი ჯარების თვალსაჩინო გამარჯვებამ გვიჩვენა საბჭოთა სახელმწიფოსა და მისი შეიარაღებული ძალების მზარდი ძლიერება. ეს გამარჯვება საბჭოთა ადამიანებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ფრონტსა და ზურგში გამოსჭედეს. კურსკთან ბრძოლაში ჩვენმა ჯარებმა გამოავლინეს განსაკუთრებული მამაცობა, მასობრივი გმირობა და მხედრული ოსტატობა. კომუნისტურმა პარტიამ და მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს ჯარების საბრძოლო მამაცობას. 100 ათასზე მეტი ჯარისკაცი, ოფიცერი და გენერალი ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა, ხოლო ბევრ მეომარს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

კურსკთან გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურებას უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა. მან აამაღლა საბჭოთა კავშირის ავტორიტეტი.

ფაშისტურ გერმანიას გარდაუვალი კატასტროფის აჩრდილი აედევნა. თავიანთი ჯარების დამარცხებამ ჰიტლერელები აიძულა 1943 წლის ზაფხულში სხვა ფრონტებიდან საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გადმოეყვანათ 14 დივიზია, მნიშვნელოვანი გამაძლიერებელი ძალები, ამან კი დაასუსტა იტალიისა და საფრანგეთის ფრონტები.

ჰიტლერის ცდა — საბჭოთა სარდლობისათვის ხელიდან ვამოეგლიჯა სტრატეგიული ინიციატივა, — სრული მარცხით დამთავრდა და გერმანელთა ჯარები აქედან მოყოლებული ომის დამთავრებამდე იძულებული იყვნენ მხოლოდ თავდაცვითი ბრძოლები ეწარმოებინათ. ეს გერმანიის გამოფიტვას მოასწავებდა. მისი გადარჩენა ახლა არავითარ ძალას აღარ შეეძლო. საკითხი მხოლოდ დროს ეხებოდა.

ამაღლდა საბჭოთა სტრატეგიული და ოპერატიულ-ტაქტიკური სარდლობის დონე, მნიშვნელოვნად გაიზარდა და განმტკიცდა ომის წარმოების ოსტატობა.

კურსკთან კონტრშეტევა მოსკოვთან და ვოლგაზე კონტრშეტევისაგან განსხვავებით იყო წინასწარ გადაწყვეტილი და კარგად უზრუნველყოფილი ღრმა დარტყმა.

აქ თავმოყრილი იყო გაცილებით მეტი ძალები, ვიდრე წინა დიდ კონტრშეტევითს ოპერაციებში. მაგალითად, მოსკოვთან ბრძოლებში მონაწილეობდა 17 მცირერიცხოვანი საერთო-საჯარისო არმია სატანკო შენაერთების გარეშე, სტალინგრადის რაიონში — 14 საერთო-საჯარისო არმია, ერთი სატანკო არმია და რამდენიმე მექანიზებული

კორპუსი. კურსკთან კონტრშეტევას კი ახორციელებდა 22 მძლავრი საერთო-საჯარისო, 5 სატანკო, 6 საჰაერო არმია და შორეული მოქმედების ავიაციის დიდი ძალები.

კურსკთან ბრძოლის დროს კონტრშეტევებში ფართოდ პირველად გამოვიყენეთ სატანკო და მექანიზებული შენაერთები და გაერთიანებები, რომლებიც მთელ რიგ შემთხვევებში ოპერატიული მანევრების გადამწყვეტ ფაქტორებად, მტრის დაჯგუფებების სიღრმეში სწრაფი წარმატებებისა და მის ზურგში გაჭრის საშუალებად ვოგვეცვლინენ.

სატანკო არმიებმა, საარტილერიო დივიზიებმა და კორპუსებმა, ფრონტების მძლავრმა საჰაერო არმიებმა არსებითად შეცვალეს ჩვენი შესაძლებლობანი და, მაშასადამე, საფრონტო ოპერაციების ხასიათიც როგორც მასშტაბებით, ასევე მიზნებითაც. ომის პირველ პერიოდთან შედარებით საბჭოთა ჯარები გაცილებით მოძრავუნარიანი გახდნენ. ამან უზრუნველყო შეტევის საშუალო სადღეღამისო ტემპის მნიშვნელოვანი გადიდება. მკვეთრად იმატა საარტილერიო-სანალმტყორცნო ცეცხლისა და ტანკების სიმჭიდროვემ. ზაფხულის შეტევით ბრძოლებში საშუალება გვქონდა ფრონტის ერთ კილომეტრზე სიმჭიდროვე აგვეყვანა 150—200 ქვემეხამდე და 15—20 ტანკამდე.

კურსკთან, ორიოლსა და ხარკოვთან საბჭოთა ჯარების გამარჯვება მნიშვნელოვნად განაპირობა მოწინააღმდეგის ზურგში პარტიზანების მოქმედებამ. განსაკუთრებით დიდი „სალიანდაგო ომი" გაჩაღეს მათ ბელორუსიაში, სმოლენსკისა და ორიოლის ოლქებში, დნეპრისპირეთში.

კურსკთან გამარჯვების ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი იყო ჩვენი ჯარების პირადი შემადგენლობის მაღალი მორალურ-პოლიტიკური დონე. ამას ხელს უწყობდა მეთაურების, პოლიტმუშაკების, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების დაძაბული და საფუძვლიანი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, რომელსაც ისინი ატარებდნენ როგორც ბრძოლისათვის მზადების, ისე მისი მიმდინარეობის დროს. მათ ბევრი სულიერი ძალა მოახმარეს ჯარების საბრძოლო შესაძლებლობათა ამაღლებას.

25 აგვისტოს მთავარბანაკში გამომიძახეს, რათა გაგვეხილა ვითარება და დაგვესახა შემდგომი ამოცანები საბჭოთა ჯარების საერთო შეტევისა, რომელიც კურსკთან გერმანელთა ჯარების განადგურების შემდეგ ფართო ფრონტით გაიშალა.

თავი მეთექვსმეტე

უკრაინისათვის ბრძოლებში

ჯერ კიდევ მოსკოვში ჩემს დაბრუნებამდე, 1943 წლის აგვისტოში, ვორონეჟისა და სტეპის ფრონტების კონტრშეტევის დროს ჩვენთან ორჯერ ჩამოფრინდა გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობის აღმსრულებელი ალექსი ინოკენტის ძე ანტონოვი. მან გაგვაცნო უმაღლესი მთავარსარდლის მიერ 1943 წლის შეტევითი ოპერაციების დამთავრების გეგმაში შეტანილი კორექტივები და გენშტაბის ვარაუდები შემოდგომა-ზამთრის კამპანიისათვის.

ალექსი ინოკენტის ძე უაღრესად განათლებული სამხედრო, დიდად კულტურული და მომხიბვლელი ადამიანი იყო. სიამოვნებით ვუსმენდით მას, როცა ჩვენი გენშტაბის ოპერატიულ-სტრატეგიულ მოსაზრებებს გვიზიარებდა. მეტი რომ არ იქნება, ისე მკაფიოდ და დამაჯერებლად აანალიზებდა ის გერმანელთა ჯარების მდგომარეობას კურსკის რკალზე მათი განადგურების შემდეგ.

გენშტაბის აზრით, გერმანელთა ჯარების სარდლობას კიდევ გააჩნდა მნიშვნელოვანი ძალები საბჭოთა კავშირთან ომის გასაგრძელებლად, მით უფრო, რომ ინგლისი და ამერიკა, ყველა მონაცემით, ჯერაც არ აპირებდნენ ფართო შეტევითი ოპერაციების დაწყებას ევროპაში. სამხრეთ იტალიაში (კუნძულ სიცილიაზე) მათი ჯარების გადასხმას არსებითი ცვლილებები არ შეუტანია სტრატეგიულ მიმართულებებზე გერმანელთა ჯარების განლაგებაში, თუმცა, რა თქმა უნდა, ჰიტლერელთა ხელმძღვანელობას ზედმეტი საზრუნავი გაუჩნდა.

გენშტაბს მიაჩნდა, და უმაღლესი მთავარსარდალიც ამ აზრისა იყო, რომ გერმანიას აღმოსავლეთის ფრონტზე უკვე არც ერთი დიდი შეტევის განხორციელების თავი აღარ ჰქონდა. მაგრამ მოწინააღმდეგეს საკმარისი ძალები და მატერიალური საშუალებები გააჩნდა აქტიური თავდაცვითი მრქმედების საწარმოებლად. და, არსებითად, სწო-

რედ ეს გვიჩვენა ბრძოლების გამოცდილებამ ბოგოდუხოვის, ახტირკისა და პოლტავის რაიონში, სადაც გერმანელთა ჯარები ერთობ საგრძნობ კონტრდარტყმებს გვაყენებდნენ და დროებით წარმატებებს აღწევდნენ.

მე მთლიანად ვეთანხმებოდი ა. ი. ანტონოვის დასკვნებს და მიმაჩნდა, რომ გერმანელთა უმაღლესი სარდლობა თავის ჯარებს მოსთხოვდა შეუპოვარ თავდაცვას, რათა დონბასი და მარცხენა ნაპირის უკრაინა შეენარჩუნებინათ.

იმ დირექტივების პროექტებით, რომლებიც გენშტაბმა შეიმუშავა და ნაწილობრივ მისცა კიდევაც ფრონტებს, დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებათა ყველა ფრონტზე უნდა გაშლილიყო შეტევა იმ ვარაუდით, რომ გავსულიყავით ბელორუსიის აღმოსავლეთ ფარგლებში და მდინარე დნეპრზე, სადაც ხელთ უნდა გვეგდო პლაცდარმები მარჯვენა ნაპირის უკრაინის გასათავისუფლებლად ოპერაციის უზრუნველყოფისათვის.

ა. ი. ანტონოვის მოხსენებიდან მივხვდი, რომ უმაღლესი მთავარსარდალი დაბეჯითებით მოითხოვდა დაუყოვნებლივ დაგვეწყო შეტევა, რათა დნეპრის მისადგომებთან თავდაცვის მოწყობის საშუალება მოგვესპო მოწინააღმდეგისათვის. მეც ამის მომხრე ვიყავი, მაგრამ არ ვეთანხმებოდი ჩვენი შეტევითი ოპერაციების ფორმას, რომლის მიხედვითაც ფრონტებს ველიკიე ლუკიდან შავ ზღვამდე პირდაპირი ფრონტალური დარტყმები უნდა ეწარმოებინათ.

აკი გვქონდა იმის შესაძლებლობა (ზოგიერთი გადაჯგუფებების შემდეგ), რომ მოწინააღმდეგის მნიშვნელოვანი დაჯგუფებების მოკვეთისა და გარშემორტყმის ოპერაციები გაგვეხორციელებინა, ეს კი შემდგომში ომის წარმოებას შეგვიმსუბუქებდა. კერძოდ, მხედველობაში მქონდა მოწინააღმდეგის სამხრეთის დაჯგუფება დონბასში, რომელიც შეიძლებოდა მოგვეკვეთა, თუ მძლავრად დავარტყამდით ხარკოვ—იზიუმის რაიონიდან დნეპროპეტროვსკისა და ზაპოროჟიეს საერთო მიმართულებით.

ა. ი. ანტონოვმა თქვა, რომ თვითონაც ამ აზრისა იყო, მაგრამ უმაღლესი მთავარსარდალი მოითხოვდა რაც შეიძლება მალე უკუგვეგდო მოწინააღმდეგე ფრონტალური დარტყმებით.

მოსკოვში გაფრენის წინ ა. ი. ანტონოვს ვთხოვე კიდევ ერთხელ მოეხსენებინა ჩემი მოსაზრებები უმაღლესი მთავარსარდლისათვის და გადაეცა ფრონტების თხოვნა, რომ ტანკებითა და მომზადებული პირადი შემადგენლობით დაეკომპლექტებინათ სატანკო ჯარები. რადგან დაძაბული ბრძოლების შემდეგ მათი რიგები ძლიერ შეთხელებული იყო.

რამდენიმე დღის შემდეგ ი. ბ. სტალინმა დამირეკა და მითხრა, რომ უკვე მისცა მითითება — ტანკები და შევსება გამოუგზავნონ

ნ. თ. ვატუტინსა და ი. ს. კონევს. შემდეგ კი შენიშნა, არ ვიზიარებ თვალსაზრისს, რომ სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარებმა იზიუმის რაიონიდან ზაპოროჟიესაკენ შეუტიონ, რადგან ამას ბევრი დრო დასჭირდებაო.

მეც აღარ შევდავებივარ, რადგან ვიცოდი, რომ უმაღლეს მთავარსარდალს ჯერჯერობით, საერთოდ მთელ რიგ გარემოებათა გამო, მაინცდამაინც არ სჯეროდა მოწინააღმდეგის გარშემორტყმის ოპერაციების უფრო გაბედული გამოყენების მიზანშეწონილობა.

დასასრულ, უმაღლესმა მთავარსარდალმა მოითხოვა, რომ ფრონტების ჯარები რაც შეიძლება მალე გასულიყვნენ დნეპრზე.

ამრიგად, 25 აგვისტოს, როგორც უკვე ვთქვი, მთავარბანაკში ჩავედი. უმაღლესმა მთავარსარდალმა ის-ის იყო დაამთავრა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრებთან თათბირი, რომელზედაც მოსმენილ იქნა მოხსენება 1943 წლის მეორე ნახევარში თვითმფრინავებისა და ტანკების წარმოების გეგმის შესახებ.

იმ დროისათვის პარტიისა და ხალხის დაუღალავი მეცადინეობის შედეგად ჩვენს მეურნეობას, სამხედრო ეკონომიკას უკვე შეეძლო მიეწოდებინა ფრონტისათვის ყოველივე აუცილებელი. „მეორე ბაქოს“ დაჩქარებულმა განვითარებამ, კუზნეცკისა და მაგნიტოგორსკის კომბინატების მეტალურგთა შრომითმა გმირობამ, განთავისუფლებულ რაიონებში ბრძმედების, ელექტროსადგურების, შახტების ჩქაროსნულმა მშენებლობამ, ურალის, ციმბირის, უაზახეთის ფერადი და შავი მეტალურგიის აღმავლობამ, სამხედრო ქარხნებში ნაკადური მეთოდის დანერგვამ, საომარი ტექნიკისა და წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფისათვის უდიდესმა შემოქმედებითმა მუშაობამ — ყოველივე ამან მტრის განადგურების ახალი შესაძლებლობები შექმნა.

1943 წელს წარმოებულ იქნა 35 ათასი მშვენიერი საბრძოლო თვითმფრინავი, 24 ათასი ტანკი და თვითმავალი საარტილერიო დანადგარი. ამ მხრივ ჩვენ უკვე ბევრად გავუსწარით გერმანიას რაოდენობითაც და ხარისხითაც. ჰიტლერელთა სარდლობამ საგანგებოდ დაეალდებულა ჯარები თავი აერიდებინათ ჩვენს მძიმე ტანკებთან შემხვდური ბრძოლებისათვის...

უმაღლესი მთავარსარდალი დაინტერესდა ვორონეჟისა და სტეპის ფრონტებზე საქმის მდგომარეობით და იკითხა, მიიღეს თუ არა დირექტივა დნეპრზე შეტევის განგრძობის შესახებ და როგორ აფასებენ ფრონტები თავიანთ შესაძლებლობებსო. მე მოვახსენე, რომ ფრონტების ჯარებმა დიდი ზარალი განიცადეს და საჭიროა სერიოზულად მოვაღონიეროთ ისინი პირადი შემადგენლობითა და საომარი ტექნიკით, განსაკუთრებით ტანკებით.

— კეთილი, — თქვა ი. ბ. სტალინმა, — მაგ საკითხზე მერე მოვი-

ლაპარაკებთ, ახლა კი მოდით ანტონოვს მოვუსმინოთ, ვნახოთ, როგორ მიმდინარეობს შეტევა სხვა მიმართულებებზე.

ალექსი ინოკენტის ძემ მაგიდაზე გაშალა დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის სტრატეგიული მიმართულებების რუკები, რომლებსაც, როგორც ყოველთვის, შესანიშნავად ამუშავებდა გენშტაბის ოპერატიული სამმართველო. უნდა ითქვას, რომ თვალსაჩინოდ შესრულებული რუკა კარგად გეეხმარება საერთო ვითარების გათვალისწინებასა და გადაწყვეტილების მიღებაში.

ალექსი ინოკენტის ძემ მოწინააღმდეგის შესახებ მიღებული ცნობები მოახსენა უმაღლეს მთავარსარდალს. ცხადი იყო: მოწინააღმდეგ; ყველა ზომას იღებდა იმისათვის, რომ შეეჩერებინა კალინინის, დასავლეთის, ბრიანსკისა და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტების მიერ დაწყებული შეტევა. ყველა მონაცემით, მოწინააღმდეგის თავდაცვა მდინარე ნარვა—ფსკოვი—ვიტებსკი—ორშა—მდინარე სოჟი—მდინარე დნეპრი—მდინარე მოლოჩნაიას ხაზზე მზადდებოდა. ჰიტლერელთა პროპაგანდა ყოველნაირად ცდილობდა ამ ზღუდის პოპულარიზაციას და უწოდებდა მას „აღმოსავლეთის ზღუდეს", რომელზეც წითელი არმია დაიმსხვრეოდა.

როცა დასავლეთის ფრონტისა და კალინინის ფრონტის მარცხენა ფრთის მიერ წამოყენებული ეგრეთ წოდებული სმოლენსკის შეტევითი ოპერაციის მიმდინარეობას მოახსენებდა, ალექსი ინოკენტის ძემ თქვა, ჯარები აქ დიდ სიძნელეებს შეხვდნენო. ეს სიძნელეები იყო, ერთი მხრით, ტყიანი და ჭაობიანი ადგილმდებარეობა, მეორე მხრით—გაზრდილი წინააღმდეგობა მტრის ჯარებისა, რომლებსაც ბრიანსკის რაიონიდან გადმოსროლილი ნაწილებით აძლიერებდნენ.

— რა ამოცანებს ასრულებენ პარტიზანული რაზმები? — ჰკითხა ი. ბ. სტალინმა.

— ისინი უმთავრესად ახდენენ სარკინიგზო გადაზიდვების დეზორგანიზაციას პოლოცკ—დვინსკის, მოგილევ—ელნიბინის, მოგილევ-კრიჩევის უბნებზე, — მოახსენა ა. ი. ანტონოვმა.

— როგორ არის საქმე სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე?

— სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარებმა, ფრონტის ცენტრით რომ დაიწყეს შეტევა, წარმატებას ვერ მიაღწიეს. უკეთ წარიმართა საქმე ფრონტის მარცხენა ფრთის უბნებზე, სადაც გენერალ ლელიუშენკოს მე-3 გვარდიული არმია მოქმედებდა.

ახლა უკვე აღარ მახსოვს ამ თათბირის ყველა დეტალი, მაგრამ ძირითადი იყო უმაღლესი მთავარსარდლის მითითება, რომ ყველაფერი გვეღონა დნეპრისა და მდინარე მოლოჩნაიას უსწრაფესად ხელში ჩაგდებისათვის, რათა მოწინააღმდეგეს ვერ მოესწრო დონბასისა და მარცხენა ნაპირის უკრაინის გადაქცევა უდაბურ რაიონად.

ეს იყო სწორი მოთხოვნა, რადგან ჰიტლერელები, უკან რომ იხევდნენ, მხეცური გაბოროტებით წვავდნენ და სპობდნენ ყველა ფასეულობას. ისინი აფეთქებდნენ ფაბრიკებსა და ქარხნებს, ნანგრევებად აქცევდნენ ქალაქებსა და სოფლებს, ანადგურებდნენ ელექტროსადგურებს, ბრძმედებსა და მარტენის ღუმელებს, ცეცხლს უკიდებდნენ სკოლებს, საავადმყოფოებს. იღუპებოდა ათასობით ბავშვი, ქალი, მოხუცი.

ი. ბ. სტალინმა სათანადო მითითებები მისცა ა. ი. ანტონოვს, მე კი მიბრძანა ი. ნ. ფედორენკოსა და ნ. დ. იაკოვლევთან ერთად განმეხილა, რისი გამოყოფა შეიძლებოდა ვორონეჟისა და სტეპის ფრონტებისათვის. ეითვალისწინებდი რა ფრონტების წინაშე დასმული ამოცანების დიდ მნიშვნელობას, მე იმავე საღამოს მოვახსენე უმაღლეს მთავარსარდალს, თუ რამდენი ხალხი, ტანკი, არტილერია და საომარი მასალა უნდა გადაგვეცა მათთვის ახლავე.

უმაღლესი მთავარსარდალი დიდხანს ჩასცქეროდა არსებული მარაგების საკუთარ ცხრილსა და იმას, რასაც მე ვითვალისწინებდი ფრონტებისათვის. მერე, ჩვეულებრისამებრ, ლურჯი ფანქარი აიღო და თითქმის 30—40 პროცენტით შეამცირა ყველაფერი.

— დანარჩენს, — თქვა მან, — მთავარბანაკი მაშინ მისცემს ფრონტებს, როცა დნეპრთან მივლენ.

იმავე დღეს გავფრინდი ფრონტების საბრძოლო ძოქმედების რაიონში. უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის დირექტივის თანახმად ჩვენ იქ აქტიური მოქმედება უნდა განგვეგრძო.

ცოტა ხნის შემდეგ, 6 სექტემბერს, მთავარბანაკის დირექტივა შივიღეთ. ჩემდამი დაქვემდებარებულ ფრონტებს ამოცანად დაესახათ— განეგრძოთ შეტევა დნეპრის შუაწელზე გასვლით და ხელთ ეგდოთ იქ პლაცდარმები. ვორონეჟის ფრონტს ნ. თ. ვატუტინის სარდლობით რომნა—პრილუკი—კიევისათვის უნდა დაერტყა. სტეპის ფრონტს ი. ს. კონევის სარდლობით პოლტავა—კრემენჩუგის მიმართულებით უნდა გაეშალა შეტევა.

ჩვენ არ გვქონდა იმის შესაძლებლობა, რომ გულდასმით მოგვემზადებინა დნეპრისაკენ შეტევა. ორივე ფრონტის ჯარებს დიდი დაღლილობა ეტყობოდა განუწყვეტელი ბრძოლებისაგან. ასე თუ ისე, საგრძნობი იყო შეფერხებებიც მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაში. მაგრამ თითოეული ჩგენგანი, ჯარისკაციდან მარშლამდე, იწვოდა სურვილით, რაც შეიძლება მალე გაგვერეკა მტერი საბჭოთა მიწა-წყლიდან. გაგვეთავისუფლებინა ბრავალტანჯული უკრაინელი ხალხი ოკუპანტების მძიმე უღლისაგან, ოკუპანტებისა, რომლებიც ფრონტებზე თავიანთი დამარცხებებისათვის უდანაშაულო მოსახლეობაზე იყრიდნენ ჯავრს.

ჩვენ არ დაგვჭირვებია დიდი დრო ოპერატიულ-ტაქტიკური გადაწყვეტილებების შესამუშავებლად, რადგან ამ დროისათვის ჯარებში დაგროვილი იყო მდიდარი გამოცდილება, რომელიც ვითარების სწრაფად გაანალიზებაში, გადაწყვეტილებების მიღებასა და სხარტი და მკაფიო მითითებების შემუშავებაში გვეხმარებოდა.

რაც შეეხება ფრონტების სარდლობებსა და შტაბებს, ისინი ოპერაციების ორგანიზაციისა და ჩატარების დიდი ოსტატები გახდნენ. მათთან მუშაობა სახალისო იყო. ჩვენ, როგორც იტყვიან, ფიქრიც გვესმოდა ერთმანეთისა.

მე კვლავინდებურად კავშირი მქონდა ა. მ. ვასილევსკისთან, რომელიც ამ დროს სამხრეთ-დასავლეთისა და სამხრეთის ფრონტების მოქმედების კოორდინაციას ახორციელებდა. ცნობილი იყო, რაოდენ მძლავრი დაჯგუფება ჰყავდა მოწინააღმდეგეს ამ უბანზე ჩვენი ფრონტების პირისპირ. თუმცა ჩვენს ჯარებს ერთგვარი რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ ეს მაინც არ გამორიცხავდა დიდ სიძნელეებს, რაც მათ უნდა შეხვედროდათ შეტევის ოპერაციებში. მით უფრო, რომ ტანკებისა და საბრძოლო ავიაციის რაოდენობით ჩვენს მხარეზე თითქმის არ იყო რაიმე უპირატესობა.

ჩემი სამეურვეო ფრონტების მიერ დაწყებული შეტევა უკიდურესად ნელა ვითარდებოდა.

მტერი გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევდა, განსაკუთრებით პოლტავის რაიონში. მაგრამ სექტემბრის პირველ ნახევარში, როცა მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა, მან დაიწყო დონბასიდან და პოლტავის რაიონიდან თავისი ჯარების გაყვანა. ჩვენს შეტევაში გადამწყვეტი გარდატეხა შეიტანა ვორონეჟის ფრონტის უბანზე ბრძოლაში შეყვანილმა პ. ს. რიბალკოს მე-3 გვარდიულმა სატანკო არმიამ, რომელიც მთავარბანაკის რეზერვიდან მოვიდა.

გარდა მე-3 გვარდიული სატანკო არმიისა, ვორონეჟის ფრონტი 61-ე და 52-ე არმიებითაც იქნა გაძლიერებული. სტეპის ფრონტმა შიილო 37-ე და 46-ე არმიები, გარდა ამისა, მასვე გადაეცა ვორონეჟის ფრონტიდან გენერალ ა. ს. ჟადოვის მე-5 გვარდიული არმიაც.

გერმანელთა ჯარებმა, რაკი არ გააჩნდათ ძალები ჩვენი ჯარების გაძლიერებული დაწოლის მოსაგერიებლად, დნეპრისკენ უკან დახევა დაიწყეს. ფრონტებმა ყოველივე იღონეს იმისათვის, რათა უკუქცეული ჯარების დევნისას ხელთ ეგდოთ პლაცდარმები მდინარე დნეპრზე და შეუჩერებლივ დაეწყოთ ამ უდიდესი სამდინარო ზღუდის გადალახვა.

მტრის ჯარების დემორალიზაციის მიზნით საბრძოლო მოქმედებაში შეყვანილ იქნა ფრონტების განკარგულებაში მყოფი მთელი ავიაცია. შენაერთები, რომლებმაც მტრის დევნა დაიწყეს, ქმნიდნენ იმპროვიზებულ მოძრავ რაზმებს, რომელთა ამოცანასაც შეადგენდა

ზურგის გზებზე სწრაფად გაჭრა იმ მიზნით, რათა ხელთ ეგდოთ და შეენარჩუნებინათ ზღუდეები, რომლებიც თავდაცვითი მოქმედებისათვის შეეძლო დაეკავებინა მოწინააღმდეგეს.

დიდი სამდინარო ზღუდეების გადალახვისას ჯარების მორალურ-პოლიტიკური სულისკვეთების კიდევ უფრო ასამაღლებლად მთავარბანაკმა 1943 წლის 9 სექტემბერს ბრძანა უფროსთა შემადგენლობა წარდგენილი ყოფილიყო: დესნის გადალახვისათვის — სუვოროვის ორდენით დასაჯილდოებლად, ხოლო დნეპრის გადალახვისათვის — საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მისანიჭებლად.

სამხედრო საბჭოებმა, პოლიტორგანოებმა, შეთაურთა და უფროსთა შემადგენლობამ დიდი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა გაშალეს, რათა განემარტათ ჯარებისათვის დნეპრისა და დესნის დასავლეთი ნაპირის სწრაფად ხელში ჩაგდების მნიშვნელობა. ყველას, ვისთანაც კი გვიხდებოდა მომავალ ამოცანებზე და მათი შესრულების ხერხებზე საუბარი, კარგად ესმოდა, რა მნიშვნელობაც ჰქონდა უდიდესი მდინარის დაუფლებას, მის უსწრაფესად გადალახვას და განსაკუთრებით კიევის — უკრაინის დედაქალაქის — განთავისუფლებას.

სტეპის ფრონტი, აიღო რა პოლტავა, 23 სექტემბერს თავისი მარცხენა ფლანგის დაჯგუფების მეწინავე ნაწილებით დნეპრს უახლოვდებოდა.

მე-3 გვარდიული სატანკო არმიის მექანიზებულმა ნაწილებმა და მე-40 და 47-ე არმიათა ძალების ნაწილმა ხელთ იგდეს პლაცდარმი დნეპრზე ველიკიე ბუკრინის რაიონში. მათ სწრაფად უნდა გაეფართოვებინათ ეს პლაცდარმი, რათა უზრუნველეყოთ ვორონეჟის ფრონტის მთავარი დაჯგუფების შეყვანა სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან კიევის შემოვლით.

გერმანელთა ჯარების სარდლობამ პლაცდარმზე გამაგრებული ჩვენი ჯარების წინააღმდეგ სასწრაფოდ გადმოისროლა მსხვილი დაჯგუფება 24-ე და 48-ე სატანკო კორპუსებისა და ხუთამდე ქვეითი დივიზიის შემადგენლობით. მათ კონტრდარტყმა მიაყენეს მდინარეზე გადასულ ნაწილებს და შებოჭეს ბუკრინის პლაცდარმზე ჩვენი ჯარების მოქმედება.

კიევის ჩრდილოეთით, ლუტეჟის რაიონში, დნეპრი შეუჩერებლივ გადალახეს გენერალ ნ. ე. ჩიბისოვის არმიის ნაწილებმა: 240-ე მსროლელთა დივიზიის 842-ე მსროლელთა პოლკის ქვედანაყოფები გალმა ნაპირზე გავიდნენ. განსაკუთრებით ისახელა თავი ჯგუფმა სერჟანტ პ. პ. ნეფედოვის მეთაურობით. პლაცდარმის დაპყრობისა და შენარჩუნებისას გმირობისა და სიმამაცისათვის პ. პ. ნეფედოვს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა, დანარჩენები კი ორდენებით დაჯილდოვდნენ.

ჯარებმა, რომლებმაც დნეპრი გადალახეს, უდიდესი შეუპოვრობა, გულადობა და სიმამაცე გამოიჩინეს.

როგორც წესი, მდინარეს რომ მიადგებოდნენ, ისინი შეუჩერებლივ მიისწრაფოდნენ წინ. ნაწილები არც კი უცდიდნენ საპონტონე და მძიმე საშუალებების მოსვლას, ხიდების გამართვას, ისე გადადიოდნენ დნეპრზე ვისაც რით შეეძლო — მორებისგან შეკრული ტივებით, თეითნაკეთი ბორნებით, მეთევზეთა ნავებითა თუ კატერებით. ყველაფერს იყენებდნენ, რაც ხელთ მოხვდებოდათ. დიდ განსაცდელში იყვნენ გაღმა ნაპირზედაც, სადაც გააფთრებული ბრძოლები ჩაღდებოდა პლაცდარმებისათვის. ფეხის მოკიდებასაც ვერ ასწრებდნენ, რომ ჯარები ბრძოლას იწყებდნენ მოწინააღმდეგესთან, რომელიც ცდილობდა, რადაც უნდა დაჯდომოდა, წყალში გადაეყარა ჩვენები.

გააფთრებული ბრძოლები გაიშალა სტეპის ფრონტის უბანზედაც დნეპროეოკამენკისა და დომოტკანის რაიონებში დნეპრის გადალახვის დროს. ამ ბრძოლებში, რომლებიც დიდი წარმატებით დაგვირგვინდა, განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გენერალ გ. ბ. საფიულინის 25-ე გვარდიული მსროლელთა კორპუსის ნაწილებმა. მოიგერიეს რა მოწინააღმდეგის მრავალი შეტევა, მათ უზრუნველყვეს მე-7 გვარდიული არმიის მიერ დნეპრის წარმატებით გადალახვა. კრემენჩუგის სამხრეთ-აღმოსავლეთით ასევე წარმატებით გადალახა დნეპრი გენერალ მ. ნ. შაროხინის 37-ე არმიამაც, რომლის ჯარებიდანაც პირველნი გაიჭრნენ გაღმა ნაპირზე პოლკოვნიკ ი. ნ. მოშლიაკის 62-ე გვარდიული დივიზიის ნაწილები.

სახმელეთო ჯარების გადამწყვეტ მოქმედებას ხელი შეუწყო ფრონტების საბრძოლო ავიაციამ და მთავარბანაკის რეზერვის შორმოქმედმა ავიაციამ, რომელიც ზუსტ და მძლავრ დარტყმებს აყენებდა მოწინააღმდეგის აეროდრომებს, მის თავდაცვას. რეზერვებს, და ამით საიმედოდ უზრუნველყოფდა ჰაერში ჩვენს ბატონობას.

სექტემბრის დასასრულისათვის, მომალეს რა მტრის ჯარების თავდაცვა, ჩვენმა ჯარებმა ლოევიდან ზაპოროჟიემდე — 750 კილომეტრი სიგრძის უბანზე — გადალახეს დნეპრი და ხელთ იგდეს მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი პლაცდარმებისა, საიდანაც უნდა განვითარებულიყო შემდგომი ჩვენი შეტევა დასავლეთისაკენ.

დნეპრის წარმატებით გადალახვისათვის. ამ საქმეში გმირობის, სიმამაცისა და მაღალი ოსტატობისათვის, დნეპრზე მტრის თავდაცვის შტურმისათვის ორი ათას ხუთასამდე ჯარისკაცს, სერჟანტს, ოფიცერსა და გენერალს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

12 ოქტომბრიდან 23 დეკემბრამდე ვორონეჟის ფრონტის ჯარებმა (1943 წლის 20 ოქტომბრიდან ვორონეჟის ფრონტს სახელი გადაერქვა და უკრაინის 1-ლი ფრონტი ეწოდა, ხოლო სტეპის ფრონტს —

უკრაინის მე-2 ფრონტი) კიევის სტრატეგიული ოპერაცია განახორციელეს.

თავდაპირველად კიევის დაჯგუფების განადგურებასა და კიევის აღებას ეაპირებდით ბუკრინის პლაცდარმიდან მთავარი დარტყმის მიყენებით. შემდგომში იძულებული შევიქენით ხელი აგვეღო ამ გეგმაზე, რადგან მოწინააღმდეგემ სწორედ აქ მოაყარა ძირითადი ძალები თავისი კიევის დაჯგუფებისა, ეს მიმართულება კი მაშველი მოქმედებისათვის დატოვა. ამიტომ მთავარი დარტყმის რაიონი გადავიტანეთ კიევის ჩრდილოეთით ლუტეეის პლაცდარმზე, სადაც გერმანელ-ფაშისტთა ჯარებმა შეასუსტეს თავისი ჩრდილოეთი უბანი.

კიევის განთავისუფლებისა და კოროსტენ—ეიტომირ—ფასტოვის მიმართულებით შეტევის განვითარების ახალი გეგმა გენერალური შტაბის მეშვეობით წარვუდგინეთ დასამტკიცებლად უმაღლეს მთავარსარდალს. გენშტაბში განხილვისა და ცენტრალური ფრონტის ოპერაციებთან შეთანხმების შემდეგ გეგმა დამტკიცებულ იქნა მთავარბანაკის მიერ.

25 ოქტომბერს დაიწყო მე-3 გვარდიული სატანკო არმიის გადაჯგუფება ბუკრინის პლაცდარმიდან. ეს დაახლოებით ორას კილომეტრამდე გზა უნდა გაევლო დნეპრის გაყოლებით, მაშასადამე — მოწინააღმდეგის ფრონტის გაყოლებით. ჩვენს ბედად, ცუდი საფრენი ამინდი იყო და მოწინააღმდეგის საავიაციო დაზვერვა თითქმის არ მოქმედებდა გადაჯგუფების დროს.

ველიკიე ბუკრინის რაიონიდან გადაჯგუფებას ახდენდა გამრღვევი მე-7 საარტილერიო კორპუსიც.

ყველაფერი ვიღონეთ შენიღბვისა და რადიომოტყუებისათვის. ლუტეეის პლაცდარმზე გადასვლა ნაწილობრივ ღამით ხორციელდებოდა. იმისათვის, რომ მოწინააღმდეგის მთელი ყურადღება ბუკრინის პლაცდარმისადმი მიგვეპყრო, იქ კვლავაც არ ვწყვეტდით ჯარების აქტიურ მოქმედებას და სხვადასხვა სადეზინფორმაციო ღონისძიებებს ვიყენებდით. სატანკო არმიისა და საარტილერიო კორპუსის გადაჯგუფება მოწინააღმდეგემ ვერ აღმოაჩინა და ფრონტის ჯარების მთავარ დარტყმას იგი კვლავაც სწორედ ამ რაიონში მოელოდა.

1 ნოემბრისათვის ლუტეეის პლაცდარმზე უკვე თავმოყრილი იყო 38-ე არმია, მე-3 გვარდიული სატანკო არმია. გენერალ ა. გ. კრავჩენკოს მე-5 სატანკო კორპუსი, გამრღვევი მე-7 საარტილერიო კორპუსი და საკმაოდ ბევრი საარტილერიო ნაწილი და სხვა გვარეობათა ჯარები.

საერთოდ, ოპერაციისათვის ემზადებოდა დაახლოებით ორი ათასამდე ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, ხუთასამდე „კატუშა". კიევის

მიმართულებით გადამწყვეტი მოქმედების დაწყებისათვის ჩვენი ჯარები ბევრად სჭარბობდნენ მოწინააღმდეგეს.

3 ნოემბერს დილით ფაშისტური ჯარებისათვის მოულოდნელად დაიწყო კიევზე შეტევა, რომელსაც მხარს უჭერდა მე-2 საჰაერო არმია.

მაგრამ საჭირო იყო ისიც, რომ ბუკრინის პლაცდარმზეც შეგვებოჭა მოწინააღმდეგე. ამ მიზნით 1-ლ ნოემბერს შეტევაზე გადავიდნენ ფრონტის 27-ე და მე-40 არმიები. გერმანელთა სარდლობამ ეს შეტევა მთავარ დარტყმად მიიჩნია და სასწრაფოდ გადაისროლა იქ დამატებითი ძალები, მათ რიცხვში სს-ის სატანკო დივიზია „რაიხი", რომელიც გენერალ-ფელდმარშალ მანშტაინის რეზერვში იმყოფებოდა. ჩვენც მხოლოდ ეს გვინდოდა, სხვა არაფერი.

მაგრამ 3 და 4 ნოემბერს 38-ე არმიის შეტევა კიევისაკენ ნელა ვითარდებოდა. გადამწყვეტი ზემოქმედება რომ მოგვეხდინა ოპერაციის მსვლელობაზე, გადავწყვიტეთ მე-3 გვარდიული სატანკო არმია ჩაგვება ბრძოლაში. 5 ნოემბრის დილისათვის მან კიევ—ჟიტომირის გზა გადაკვეთა და ამით ხელსაყრელი პირობები შეუქმნა კიევზე შემტევ ჯარებს.

გენერალ კ. ს. მოსკალენკოს 38-ე არმიამ 5 ნოემბრის დღის ბოლოსათვის უკვე კიევის გარეუბნებში შეაღწია, ხოლო 6 ნოემბრის დილის 4 საათზე გენერალ ა. გ. კრავჩენკოს სატანკო კორპუსთან ერთად კიევი დაიკავა.

მაშინვე გავუგზავნეთ დეპეშა უმაღლეს მთავარსარდალს. მასში ნათქვამი იყო: „უდიდესი სიხარულით მოგახსენებთ, რომ უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა შეასრულეს მათ წინაშე დასახული ამოცანა — აეღოთ ჩვენი შესანიშნავი ქალაქი კიევი — უკრაინის დედაქალაქი. კიევი მთლიანად გაწმენდილია ფაშისტი ოკუპანტებისაგან. უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარები განაგრძობენ დასახული ამოცანის შესრულებას".

ამ ოპერაციის წარმატებით შესრულებაში დიდი დამსახურება ძიუძღვით ფრონტის სარდალს არმიის გენერალ ნ. თ. ვატუტინს და სამხედრო საბჭოს წევრს გენერალ-მაიორ კ. ვ. კრაინიუკოვს.

კიევის აღებისა და მოწინააღმდეგის კიევის დაჯგუფების განადგურების ოპერაციის შემუშავებასა და ორგანიზაციაში დიდი და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა 38-ე არმიის სამხედრო საბჭომ (არმიის სარდალი — არმიის გენერალი კ. ს. მოსკალენკო, სამხედრო საბჭოს წევრი — გენერალ-მაიორი ა. ა. ეპიშევი).

კიევის პლაცდარმის დაპყრობისა და გაფართოებისათვის ჯარების გადაჯგუფებას პირადად ხელმძღვანელობდნენ ფრონტის სარდლის

მოადგილე გენერალ-პოლკოვნიკი ა. ა. გრეჩკო და მე-3 გვარდიული სატანკო არმიის სარდალი გენერალი პ. ს. რიბალკო.

კიევისათვის ბრძოლებში აქტიური როლი შეასრულა ჩეხოსლოვაკიის ბრიგადამ პოლკოვნიკ ლიუდვიკ სვობოდას სარდლობით. ამ გმირული ბრიგადის 138 ჯარისკაცი და ოფიცერი, მათ შორის ბრიგადის მეთაურიც, საბჭოთა კავშირის ორდენებით იქნა დაჯილდოებული. პორუჩიკ ანტონინ სოხორას და პოდპორუჩიკ რიხარდ ტესარჟიკს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ.

საბჭოთა ხალხი მუდამ მადლიერებით მოიგონებს ჩეხოსლოვაკელი ხალხის ძმურ საბრძოლო დახმარებას დიდი სამამულო ომის დროს გერმანელ-ფაშისტთა ჯარების განადგურებაში.

დილის 9 საათზე ჩვენ ფრონტის სამხედრო საბჭოსთან ერთად ჩავედით კიევში, სადაც უკვე ბრბოებად მოედინებოდა გაწამებული მოსახლეობა, რომელიც ქალაქის შემოგარენში გახიზნულიყო ფაშისტთა მხეცური შურისძიებისაგან თავის გადასარჩენად. ჩვენს მანქანებს ყოველი მხრიდან შემოეხვივნენ.

ხალხის უმეტესობა საშინლად გამოფიტული ჩანდა. მაგრამ უნდა გენახათ, რანაირად უბრწყინავდათ თვალები კიეველებს, რომლებმაც ოცნებაში კი ალბ, ცხადში დაინახეს თავიანთი განმათავისუფლებლები, თავიანთი ძმები — საბჭოთა მეომრები! ბევრი მათგანი სიხარულისაგან ტიროდა, ყველას სურდა რაიმე ეამბნა თავის დიდი ხნის ტკივილზე, ტანჯვით განცდილზე...

ჩემთვის კარგად ნაცნობ კრეშჩატიკზე, ოდესღაც ქალაქის ულამაზეს პროსპექტზე რომ ჩავიარეთ, მე ველარაფერი ველარ ვიცანი: გარეშემო სულ ნანგრევები იყო. ასე გამოიყურებოდა ჩვენი ძველთაძველი კიევი ჰიტლერელთა წასვლის შემდეგ.

კიევის განთავისუფლების შემდეგ ფრონტის ჯარებმა, განაგრძობდნენ რა მოწინააღმდეგის დევნას დასავლეთისაკენ, ხელთ იგდეს ფასტოვი, ჟიტომირი და რიგი სხვა ქალაქები.

გერმანელთა სარდლობამ, მოვლენათა კატასტროფული განვითარების შიშით, სასწრაფოდ მოუყარა თავი ჟიტომირის რაიონში კონტრდამრტყმელ ჯგუფს 15 დივიზიის შემადგენლობით (მათ რიცხვში 8 სატანკო და მოტორიზებულ დივიზიას). 13 დეკემბერს მოწინააღმდეგემ მძლავრი დარტყმა მიაყენა უკრაინის ფრონტის ჯარებს, შეძლო კვლავ დაეკავებია ჟიტომირი და 30—40 კილომეტრით წამოწეულიყო აღმოსავლეთით. მაგრამ ჩვენი რეზერვების მოსვლის მერე მალე აღვადგინეთ მდგომარეობა. ახლა ჩვენი ჯარების თავდაცვის ფრონტის ხაზი კიევიდან დასავლეთით ას ორმოცდაათ და სამხრეთით ორმოცდაათ კილომეტრზე გადიოდა.

მაგრამ ცოტა უკან დავბრუნდეთ, რათა გავიხსენოთ, თუ რა ამ-

ბები მოხდა ამ ხნის განმავლობაში უკრაინის მე-2 ფრონტზე (ყოფილ სტეპის ფრონტზე), სადაც მხოლოდ დროდადრო მიხდებოდა ხოლმე ჩასვლა, რადგან საბრძოლო ვითარება კიევის მიმართულებაზე ყოფნას მავალდებულებდა.

30 სექტემბერს უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა, გადალახეს რა დნეპრი, მის დასავლეთ ნაპირზე ხელთ იგდეს პლაცდარმი 30 კილომეტრამდე ფრონტითა და 15 კილომეტრამდე სიღრმით. ასეთი პოზიცია საკვანძო უზრუნველყოფდა მთავარი დაჯგუფების დარტყმის განვითარებას.

დნეპრის გადალახვისას მე საშუალება მომეცა გენერალ ი. მ. მანაგაროვის 53-ე არმიის უბანზე ჩავსულიყავი. ი. მ. მანაგაროვი, ისევე როგორც ბელგოროდთან შეტევის წინ, შესანიშნავად ართმევდა თავს არმიის მართვას. ახლა ის კიდევ უფრო გაბედულად მოქმედებდა, ვიდრე კურსკის რკალზე კონტრშეტევის წინ. ასეთივე შთაბეჭდილებას ტოვებდა არმიის შენაერთებისა და ნაწილების მეთაურთა შემადგენლობის უმრავლესობაც. ყველა შტაბში ამაღლდა ორგანიზებულობა, გაუმჯობესდა მართვა, დაზვერვის ორგანიზაცია და, რაც ყველაზე მთავარია, შტაბებმა და სარდლობამ ვითარების სწრაფი და ღრმა ანალიზის ჩვევები შეიძინეს.

არმიის სარდალს ი. მ. მანაგაროვს რომ ესაუბრებოდა, მე ი. ს. კონევს ვაკვირდებოდი. ადრე ის ჩვეულებრივ ასწორებდა ან ავსებდა ხოლმე თავისი არმიების სარდლების მოხსენებებს, ახლა კი, ი. მ. მანაგაროვის მკაფიო მოხსენებას რომ ისმენდა, დუმდა და იღიმებოდა. მართლაც, ი. მ. მანაგაროვისა და მისი შტაბის სიმარჯვე დიდ კმაყოფილებას აგრძნობინებდა ადამიანს.

ი. მ. მანაგაროვს რომ ვემშვიდობებოდი, ხუმრობით ეუთხარი:

— ყველაფერი კარგია. მარტო ერთი რამ გაკლიათ — ბაიანი.

— ბაიანიც არის, ამხანაგო მარშალო, — სიცილით თქვა ი. მ. მანაგაროვმა, — იგი მეორე ეშელონში მაქვს, ოღონდ მას მერე აღარ დამიკრავს, რაც თქვენ ბელგოროდთან კონტრშეტევის მომზადებისას გვინახულეთ.

...კიევის განთავისუფლებამ და კიევის, ჩერკასის, კრემენჩუგის, დნეპროპეტროვსკისა და ზაპოროჟიეს რაიონში ჩვენ მიერ დნეპრზე პლაცდარმების დაპყრობამ და გაფართოებამ მკვეთრად გააუარესა ვითარება გერმანელთა ჯარებისათვის უკრაინაში. დნეპრი ძნელად დასაძლევი თავდაცვის მოწყობის საშუალებას აძლევდა მოწინააღმდეგეს და ჰიტლერელები დიდ იმედებს ამყარებდნენ იმაზე, რომ შეძლებდნენ ჩვენი ჯარების შეჩერებას ამ ბუნებრივი დაბრკოლების წინ.

სადაზვერვო მონაცემებით მთავარბანაკისათვის ცნობილი იყო, რომ ოპერაციის დაწყების წინ „სამხრეთის“ არმიათა ჯგუფის შტაბში

ჰიტლერი ჩავიდა. მან კატეგორიულად მოსთხოვა ჯარებს უკანასკნელ კაცამდე ებრძოლათ დნეპრისათვის და რადაც უნდა დაჯდომოდათ, შეენარჩუნებინათ ეს ზღუდე.

ჰიტლერელებს ესმოდათ, რომ უკრაინის დაკარგვით საბოლოოდ მოიშლებოდა მათი ფრონტი ჩვენი ქვეყნის სამხრეთში, დაიკარგებოდა ყირიმი და საბჭოთა ჯარები ახლო ხანში შეძლებდნენ თავის სახელმწიფო საზღვრებთან გასვლას. მაშინ კიდეე უფრო გართულდებოდა საერთო მდგომარეობა ფაშისტურ ბანაკში.

მაგრამ, მიუხედავად ჰიტლერისა და გენერალ-ფელდმარშალ მანშტაინის მკაცრი მოთხოვნისა, გერმანელთა ჯარებმა წააგეს დნეპრისათვის ბრძოლა. მათ ერთხელ კიდევ სცადეს აღედგინათ თავდაცვა კრემენჩუგის. დნეპროპეტროვსკისა და ზაპოროჟიეს რაიონში, მაგრამ ვერც ამან უშველათ.

23 ოქტომბრისათვის უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარების დამკვრელი დაჯგუფება. მათ რიცხვში მე-5 სატანკო არმიაც, რომელიც მთავარბანაკის რეზერვიდან გადაეცა ფრონტს, კრივოი როგისა და კიროვოგრადის მისადგომებთან გავიდა. კარს მომხდარი საფრთხე რომ აეცილებინა, გერმანელთა სარდლობამ ჯარების ძლიერი ჯგუფი შეკრიბა და უკრაინის მე-2 ფრონტის ნაწილების წინააღმდეგ გადმოისროლა.

მთელი ძალით იყო გაჩაღებული ცხარე ბრძოლები, როცა ი. ს. კონევის საკომანდო პუნქტზე მივედი. პუნქტი ბრძოლის ასპარეზიდან ოთხ კილომეტრზე მდებარეობდა და, თუ სტერეომილით გახედავდი, ნაწილობრივ გაადევნებდი თვალს ბრძოლის მიმდინარეობას.

ივანე სტეფანეს ძე შეფიქრიანებული იყო. ფრონტის ჯარები ძლიერ შელახული და გადაღლილი იყვნენ ამასწინანდელი ბრძოლებით და შეიძლება ვერ გაეძლოთ მოწინააღმდეგის სერიოზული დაწოლისათვის. ის იძულებული შეიქნა მთელი ავიაცია გადაესროლა ბრძოლაში და ფრონტის სხვა უბნების ხარჯზე გაეძლიერებია ნაწილები არტილერიით. თავის მხრივ. გერმანელთა სარდლობაც ბომბდამშენ ავიაციას ჯზავნიდა ჩვენი ჯარების წინააღმდეგ. მტრის თვითმფრინავები თანაბარინტერვალიან ტალღებად აკბრებოდნენ ბრძოლის ასპარეზს და მწვავე დარტყმებს გვაყენებდნენ.

24 ოქტომბრის დღის ბოლოსათვის რიგ უბნებზე ჩვენი ჯარები იძულებული შეიქნენ 10 კილომეტრამდე მანძილით დაეხიათ უკან, მერე კი, რადგან ვერც აქ გაუძლეს მტრის დაწოლას — კიდეე 25 კილომეტრით, და მხოლოდ მდინარე ინგულეცზე გამაგრდნენ მტკიცედ. ბევრს ეცადა მოწინააღმდეგე უკუეგდო ჩვენი ჯარები მდინარე ინგულეციდან, მაგრამ ვერაფერს გახდა. დიდი ზარალი რომ განიცადა, მტერი იძულებული შეიქნა ხელი აეღო იერიშებზე და თავდაცვაზე გადასულიყო.

რადგან არც უკრაინის მე-2 ფრონტს გააჩნდა საკმარისი ძალები იმისათვის, რომ განეგრძო შეტევა კრივოი როგის მიმართულებით, მისი ჯარებიც თავდაცვაზე გადავიდნენ ამ რაიონში.

ფრონტის მარჯვენა ფრთაზე კი შეუნელებელი დაძაბულობით გრძელდებოდა საბრძოლო მოქმედება. აქ გენერალ კ. ა. კოროტეევის 52-ე არმიამ პარტიზანულ რაზმებთან მჭიდრო თანამოქმედებით წარმატებით გადალახა დნეპრი და 14 დეკემბერს ხელთ იგდო პლაცდარმი და აიღო ქალაქი ჩერკასი.

გაფთრებული ბრძოლების მსვლელობაში უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებმა მოწინააღმდეგის ზაპოროჟიეს პლაცდარმიც მოსპეს. ჩვენმა ჯარებმა დნეპროპეტროვსკი გაათავისუფლეს.

დეკემბრის ბოლოსათვის უკრაინის მე-2 და მე-3 ფრონტების უბანზე შეიქმნა სტრატეგიული მნიშვნელობის პლაცდარმი, რომლის ფრონტიც 400 კილომეტრზე იყო გადაჭიმული, ხოლო სიღრმე 100 კილომეტრს შეადგენდა. ეს პლაცდარმი საშუალებას გვაძლევდა უახლოეს ხანში გაგვეშალა შემდგომი შეტევითი ოპერაციები.

იმის გამო, რომ უკრაინის 1-ლი და მე-2 ფრონტების მოქმედების კოორდინაციით ვიყავი დაკავებული, მე ვერ შევძელი უკრაინის მე-3 და მე-4 ფრონტებზე ჩვენი ჯარების ოპერაციათა ბიმდინარეობის დეტალებში გარკვევა. უმაღლეს მთავარსარდალთან, გენშტაბთან და ა. მ. ვასილევსკისთან სატელეფონო საუბრებიდან ვიცოდი, რომ უკრაინის მე-4 ფრონტმა, გაანადგურა რა მოწინააღმდეგე მდინარე მოლოჩნაიაზე, წარმატებით წაიწია წინ და ხელთ იგდო პლაცდარმი პერეკოპის ყელზე, რითაც ყირიმში ჩაამწყვდია გერმანელთა ჯარები.

ფრონტებზე მდგომარეობის უფრო დეტალურად გაცნობის, შემდგომი შეტევითი ოპერაციების გეგმის განხილვისა და დაზუსტების მიზნით დეკემბრის შუა რიცხვებში მთავარბანაკში გამომიძახეს. ჩამოვიდა აგრეთვე ა. მ. ვასილევსკიც. ჩვენ გენშტაბში შევხვდით და მაშინვე გავუზიარეთ ერთმანეთს ჩვენ-ჩვენი აზრები 1943 წლის შედეგებსა და უახლოესი პერიოდის პერსპექტივებზე.

ალექსანდრე მიხეილის ძე დაღლილი ჩანდა. იგი, ისევე როგორც მე, აპრილიდან მოკიდებული თითქმის განუწყვეტლივ მგზავრობაში იმყოფებოდა — ხან თვითმფრინავში, ხან საფრონტო გზებზე. ვითარება იმ ხანებში საკმაოდ რთული, დაძაბული იყო და დიდ წარმატებათა და დასანან წარუმატებლობათა უალრესად მწვავე მონაცვლეობით გამოირჩეოდა. ყოველივე ეს, ერთად აღებული, პლუს სისტემატური გამოუძინებლობა, მეტისმეტი ფიზიკური და გონებრივი დაძაბულობა განსაკუთრებით საგრძნობი მაშინ იყო, როცა კაბინეტების სიმყუდროვეში აღმოვჩნდებოდით და ჩვენამდე აღარ აღწევდა არც

ავიაციის გუგუნი, არც არტილერიის ქუხილი, არც შემაშფოთებელი მოხსენებები ფრონტების საშიში უბნებიდან.

დეკემბრის თათბირს მთავარბანაკში თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრთა უმრავლესობა ესწრებოდა. უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ ეს იყო თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გაფართოებული თათბირი უმაღლესი მთავარსადლობის ბანაკის ზოგიერთი წევრის მონაწილეობით.

თათბირი საკამოდ დიდხანს გაგრძელდა. ფრონტებზე ბრძოლის შედეგებისა და გამოცდილების განხილვაში, აგრეთვე ვითარებისა და ომის პერსპექტივების შეფასებაში მონაწილეობა მიიღეს ა. მ. ვასილევსკიმ და ა. ი. ანტონოვმა. ეკონომიკისა და სამხედრო მრეწველობის საკითხებზე თათბირს ნ. ა. ვოზნესენსკიმ მოახსენა. საერთაშორისო ხასიათის პრობლემებსა და ჩვენს მოკავშირეთა მიერ მეორე ფრონტის გახსნის შესაძლებლობაზე ი. ბ. სტალინმა ილაპარაკა.

გენშტაბის მონაცემებით, 1943 წლის ბოლოსათვის საბჭოთა ჯარებმა 1941—1942 წლებში გერმანელთა ჯარების მიერ დაპყრობილი ტერიტორიის ნახევარზე მეტი გაათავისუფლეს. სტალინგრადის რაიონში კონტრშეტევიდან დაწყებული საბჭოთა ჯარების მიერ მთლიანად მოსპობილი ან დატყვევებული იყო 56 დივიზია, ხოლო 162 დივიზიამ უმძიმესი დამარცხებები იწვნია. მოწინააღმდეგე იძულებული შეიქნა სერიოზულად შეევსო ისინი ან ახლად დაეკომპლექტებია. ამ პერიოდში მოსპობილ იქნა მტრის შვიდი ათასზე მეტი ტანკი. თოთხმეტ ათასზე მეტი თვითმფრინავი და ორმოც ათასამდე ქვემეხი და ნაღმსატყორცნი. გერმანელთა ჯარებმა სამუდამოდ დაკარგეს გენერალთა, ოფიცერთა, უნტერ-ოფიცერთა და ჯარისკაცთა ყველაზე გამოცდილი კადრები.

1943 წლის ბოლოსათვის კომუნისტურმა პარტიამ, ჩვენმა მთავრობამ, მიუხედავად ადრინდელი პერიოდის სიძნელეებისა, შეძლო წარმატებით გადაეწყვიტა კვალიფიციურ ოფიცერთა კადრების მომზადების პრობლემა. თანაც ახლა არა მარტო ფრონტის მოთხოვნილებებს ვაკმაყოფილებდით, არამედ მსხვილ რეზერვებსაც ვქმნიდით. 1943 წლის დიდი შეტევითი ოპერაციების დროსაც კი ჩვენ რეზერვში გვყავდა 93 ათასზე მეტი ოფიცერი, რომელთა ნახევარსაც შესანიშნავი საბრძოლო გამოცდილება და აუცილებელი სამხედრო-ტექნიკური მომზადება ჰქონდა. იმ წელიწადში ერთიორად გაიზარდა საბჭოთა შეიარაღებული ძალების გენერალთა შემადგენლობაც. 1944 წელს ქვეყნის ყველა სამხედრო სასწავლებელმა დაახლოებით 315 ათასი ოფიცერი გამოუშვა.

ომის მეორე პერიოდისათვის აღმოსავლეთის ფრონტზე გერმანია იმდენად გამოფიტული იყო, რომ უკვე აღარ შეეძლო სერიოზუ-

ლი შეტევითი მოქმედების წარმოება. მაგრამ მას ჯერაც გააჩნდა საკმარისი შესაძლებლობანი აქტიური თავდაცვითი ომისათვის. თავისი ძლიერ შელახული ფრონტის გამაგრების მიზნით გერმანელთა ჯარების მთავარსარდლობამ 1943 წლის ბოლოსათვის კიდევ საკმაოდ ათეული დივიზია და დიდი რაოდენობით საბრძოლო ტექნიკა, შეიარაღება და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები გადმოისროლა დასავლეთიდან.

ჩვენი შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლიერება განუხრელად იზრდებოდა. 1943 წლის განმავლობაში 78 ახალი დივიზია იქნა ფორმირებული. წლის დასასრულისათვის ჩვენ უკვე გვყავდა 5 სატანკო არმია, 37 სატანკო და მექანიზებული კორპუსი, 80 ცალკე სატანკო ბრიგადა, 149 ცალკე სატანკო და თვითმავალი საარტილერიო პოლკი. ფორმირებულ იქნა 6 საარტილერიო კორპუსი, 26 საარტილერიო დივიზია, 7 გვარდიული რეაქტიულ ნაღმსატყორცნთა დივიზია და მრავალი ათეული სხვა საარტილერიო ნაწილი.

ომში საბოლოო გარდატეხის მოხდენამ საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ, იტალიაში მოკავშირეთა ჯარების გადასხმამ და იტალიის გაწოსვლამ ომიდან, აგრეთვე წინააღმდეგობის ძალების მძლავრმა მოძრაობამ სერიოზულად გაართულა ვითარება ყველა ქვეყანაში, მათ შორის ფაშისტური გერმანიის სატელიტ ქვეყნებშიც. ძლიერდებოდა ხალხების სამართლიანი მრისხანება ფაშიზმის წინააღმდეგ და დაუოკებელი სურვილი, რაც შეიძლება მალე მოღებოდა ბოლო საძულველ ომს. პოლონეთში, იუგოსლავიაში, ჩეხოსლოვაკიაში, საბერძნეთში, საფრანგეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში აზვირთდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მრისხანე ტალღა ჰტრის მიერ ოკუპაციის წინააღმდეგ.

თვითონ გერმანიაში საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე მძიმე დამარცხებისა და შექმნილი ეკონომიური სიძნელეების მიზეზით, აგრეთვე ზარალის შესავსებად ხალხის მწვავე ნაკლებობის გამო თანდათან იზრდებოდა გერმანიის ჯარების ძალისადმი ურწმუნოება. ამ გრძნობით იყო მოცული მნიშვნელოვანი ფენები მშრომელი ხალხისა, რომლის რიგებშიც სულ უფრო და უფრო ფართოდ შლიდნენ თავის საქმიანობას ანტიფაშისტური ძალები.

მოპოვებულ გამარჯვებათა შედეგად ჩვენს ქვეყანაში საყოველთაოდ განმტკიცდა სრული რწმენა — ომს გამარჯვებით დავაგვირგვინებთ! თქმა არ უნდა, ყველა მძიმედ განიცდიდა თავიანთი შვილების, ძმების, მამების, ქმრებისა და ქალების დაღუპვას, მაგრამ სამშობლოს წინაშე თავისი მოვალეობის მაღალი შეგნებით გამსჭვალული ჩვენი ხალხი უდრეკად იტანდა ამ უბედურებას.

1943 წლის ბოლოსათვის საბჭოთა მეთაურთა კადრები სტრატეგი-

ული და ოპერატიულ-ტაქტიკური ხელოვნების უახლესი გამოცდილებით გამდიდრდნენ. ფრონტებისა და ფრონტების ჯგუფთა უმსხვილესი ოპერაციების ორგანიზებამ, ამ ოპერაციების წარმატებით განხორციელებამ მთავარბანაკს, გენერალურ შტაბსა და თვითონ ფრონტებს შესაძლებლობა მისცა უფრო ღრმად შეეცნოთ და გაეაზრებინათ ყველაზე ეფექტური ხერხები მტრის დაჯგუფებების განადგურებისა, ამასთან რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლითა და მატერიალური საშუალებების დანახარჯებით.

გენერალურ შტაბში ჩამოყალიბდა და გაიზარდა გამოცდილი ოპერატორების, ჯარების ორგანიზატორებისა და სადაზვერვო კადრების დიდი კოლექტივი. თვითონ უმაღლესი მთავარსარდლობაც უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა: ახლა ის გაცილებით უფრო სრულყოფილად ფლობდა თანამედროვე ომის წარმოების ხერხებსა და მეთოდებს. ჩვენ, ყველას, უფრო გაგვიადვილდა ერთად მუშაობა და ერთმანეთის გაგება. ადრე ამით თავს ვერ მოვიწონებდით, რის გამო ზოგჯერ საერთო საქმეს ადგებოდა ზიანი.

საბჭოთა ჯარების წარმატებითი საბრძოლო მოქმედება ბევრად იყო გაპირობებული ჯარებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ხარისხის ამაღლებით. არმიათა სამხედრო საბჭოები ახლა უფრო უნარიანად აჯამებდნენ ოპერაციათა შედეგებს, თავიანთ მიმართვებში ჯარისკაცთა, სერჟანტთა, ოფიცერთა და გენერალთა საბრძოლო მამაცობისა და გმირობის მკაფიო მაგალითებს აცნობდნენ პირად შემადგენლობას, პოპულარიზაციას უწევდნენ დიდი და მნიშვნელოვანი საბრძოლო ამოცანების გადაწყვეტის საუკეთესო მეთოდებს.

საერთოდ, უნდა ვთქვა, რომ ფრონტების, არმიებისა და ფლოტების სამხედრო საბჭოების დახმარებით პარტია ჯარების სამხედრო და პოლიტიკური ხელმძღვანელობის ძალზე მოქნილ და ქმედითუნარიან ურთიერთშეხამებას ახორციელებდა.

სამხედრო საბჭოების შემადგენლობაში საკმაოდ ბევრი იყო საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი და წევრობის კანდიდატი, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების მდივნები, რომლებსაც მუდმივი კავშირი ჰქონდათ პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან და თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტთან. სამხედრო საბჭოები, როგორც არმიის მაღალავტორიტეტული ორგანოები, პასუხისმგებელნი იყვნენ თავიანთი ჯარების ფორმირებისა და პირადი შემადგენლობით, შეიარაღებით, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით დაკომპლექტებისათვის, მათი ყოველმხრივი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადებისათვის. ისინი აქტიურად და, როგორც წესი, შემოქმედებითად, საქმის

ცოდნით მონაწილეობდნენ უმნიშვნელოვანესი თავდაცვითი და შეტევითი ოპერაციების შემუშავებასა და განხორციელებაში.

გენერლები და ოფიცრები ახლა უფრო ხშირად ჩადიოდნენ ნაწილებსა და ქვეგანაყოფებში, ესაუბრებოდნენ ჯარისკაცებსა და სერჟანტებს. გაუძღვებოდა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობისადმი ხელმძღვანელობა პოლიტორგანოების უფროსთა და ინსტრუქტორთა შემადგენლობის მხრიდანაც.

ამ თვალსაზრისით მსურს განსაკუთრებით აღვნიშნო პოლიტსამმართველოები უკრაინის 1-ლი ფრონტისა, გენერალ ს. ს. შატილოვის ხელმძღვანელობით, და ბელორუსიის 1-ლი ფრონტისა, გენერალ ს. თ. გალაჯევის უფროსობით. დიდ დახმარებას უწევდნენ ჯარებს უკრაინისა და ბელორუსიის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

პარტიზანული მოძრაობის ცენტრალური შტაბის მონაცემებით, 1943 წელს პარტიზანული ძალების რაოდენობა ერთი-ორად გაიზარდა. მრავალრიცხოვანი პარტიზანული რაზმები ნაწილებად და შენაერთებად გაერთიანდნენ და უკვე საკმარისად გაძლიერდნენ იმისათვის, რომ სერიოზული ოპერაციები ეწარმოებინათ მტრის ზურგში და გერმანელთა ჯარების მნიშვნელოვანი ძალები მიეზიდათ თავისკენ. შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკულად მტრის ზურგში მოქმედებდა მძლავრი ფრონტი სახალხო მეურისმაძიებლებისა, რომლებსაც მთელი არსებით სძულდათ ოკუპანტები.

ყველაზე მძლავრი პარტიზანული შენაერთები ბელორუსიასა და უკრაინაში მოქმედებდნენ. აქ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვ. ე. სამუტინის, თ. თ. ტარანენკოს, ვ. ი. კოზლოვის, ტ. ლ. ბუმაჟკოვის, ა. თ. ფედოროვის, ა. ნ. საბუროვის, ზ. ა. ბოგატირის, პ. მ. მაშეროვის, ს. ვ. რუდნევის, ს. ა. კოვპაკის, ვ. ი. ნაუმოვის, ი. ე. ანისიმენკოს, ი. მ. მელნიკის, დ. ტ. ბურჩენკოსა და თ. თ. კოპუსტას პარტიზანულ შენაერთებს.

საბჭოთა სარდლობა თავის გეგმებსა და მოქმედებაში სერიოზულად ითვალისწინებდა მათ რეალურ ძალასა და დღითიდღე მზარდ როლს კიდევ იმიტომაც, რომ ტაქტიკური თვალსაზრისით პარტიზანული მოქმედების ხელოვნება უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა.

პარტიზანული ნაწილებისა და შენაერთების მოქმედების კოორდინაციას, ფრონტების ამოცანებთან მათ შეკავშირებას ახლა ძირითადად ფრონტების სამხედრო საბჭოები და უკრაინისა და ბელორუსიის კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების ხელმძღვანელობა ახორციელებდა. პარტიზანული რაზმების შექმნაში პარტიას დიდ დახმარებას უწევდნენ იატაკქვეშა კომკავშირული ორგანიზაციები, რომლებსაც ბელორუსიის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნები, მტრის

მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მუდმივად მყოფი კ. ტ. მაზუროვი და თ. ა. სურგანოვი ხელმძღვანელობდნენ. 1943 წლის განმავლობაში პარტიზანებმა ააფეთქეს 11 ათასი მატარებელი, დააზიანეს და მწყობრიდან გამოიყვანეს 6 ათასი ორთქლმავალი, 40 ათასამდე ვაგონი და ბაქანი, მოსპეს 22 ათასზე მეტი მანქანა და 900-ზე მეტი რკინიგზის ხიდი. ამ მოქმედებათა ორგანიზატორები ადგილობრივი იატაკქვეშა პარტიული ორგანიზაციები იყვნენ.

ძირეული გარდატეხა მოხდა მთელი საბჭოთა ზურგის მუშაობაშიც. 1943 წელს მკვეთრად გაიზარდა შეიარაღებისა და საომარი მასალის წარმოება. 1943 წლის აგვისტოში პარტიამ მიიღო მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები განთავისუფლებულ რაიონებში სახალხო მეურნეობის აღდგენის შესახებ. 1943 წლის ბოლო კვარტალში ამ რაიონებში უკვე მოპოვებულ იქნა 6,5 მილიონი ტონა ნახშირი, 15 ათასი ტონა ნავთობი, გამომუშავებულ იქნა 172 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია. საბჭოთა შეიარაღებული ძალების ზურგი ახლა უკეთ და უფრო ოპერატიულად უზრუნველყოფდა ჯარებს ყველაფრით, რაც აუცილებელი იყო შეიარაღებულ ბრძოლაში წარმატებისათვის.

ჩვენმა ქვეყანამ მთელი თავისი გოლიათური ძალით გაშალა მხრები. 1943 წლის მანძილზე გაუმჯობესდა მოკავშირეებთან ჩვენი ურთიერთობა. ჩვენ რამდენადმე უფრო მეტი მატერიალურ-ტექნიკური დახმარება მივიღეთ ამერიკისაგან, ვიდრე 1942 წელს, მაგრამ მისი მოცულობა კვლავაც შორს იყო შეპირებულისაგან, ხოლო წლის ბოლოსათვის რამდენადმე კიდევაც შემცირდა. აშშ-ის მთავრობა კვლავინდებურად იმიზეზებდა მეორე ფრონტის მომავალ გახსნასთან დაკავშირებით საკუთარ მოთხოვნილებებსა და ინგლისის წინაშე თავის ვალდებულებებს...

1943 წლის ბოლოსათვის ჩვენ საბოლოოდ დავძლიეთ მძიმე ვითარება და, გაგვაჩნდა რა ბრძოლის მძლავრი ძალები და საშუალებები, მტკიცედ გვეპყრა ხელთ სტრატეგიული ინიციატივა. ასე რომ, მართალი ითქვას, უკვე არც ისე ძალიან ვსაჭიროებდით ევროპაში მეორე ფრონტის გახსნას, როგორც ომის წინა ორ წელიწადში. და თუ მაინც გვსურდა — მეორე ფრონტი უახლოეს ხანში ყოფილიყო გახსნილი, მხოლოდ იმიტომ, რომ ყველა ჩვენგანს ოცნებად ჰქონდა, რაც შეიძლება მალე ეხილა ფაშისტური გერმანიის განადგურება და ომის დამთავრება.

ჩვენ, რა თქმა უნდა, გვახარებდა იტალიაში, ელ-ალამეინთან, ტუნისის რაიონში და სხვა ადგილებში მოპოვებული გამარჯვებები. მაგრამ ეს მაინც არ იყო ის, რასაც ასე დიდხანს ველოდებოდით მოკავშირეთაგან — ომში მათი ღირსეული წვლილი გვეგრძნო.

თეირანის კონფერენციიდან რომ დაბრუნდა, ი. ბ. სტალინმა თქვა:

— რუზველტმა მტკიცე სიტყვა მოგვცა, რომ 1944 წელს ფართო მოქმედებას წამოიწყებს საფრანგეთში. ეფიქრობ, თავის სიტყვას არ გასტეხს. ხოლო თუ გასტეხს. ჩვენ საკუთარი ძალებიც გვეყოფა საიმისოდ, რომ ბოლო მოვუღოთ ჰიტლერულ გერმანიას.

აქამდე მე არაფერი მითქვამს დასავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებებზე საქმის მდგომარეობის შესახებ. ეს, რა თქმა უნდა, გულმავიწყობით კი არ მომსვლია, არამედ იმის გამო, რომ მთელი ჩემი საქმიანობა მთლიანად 1943 წელს მხოლოდ კურსკის რკალის რაიონში ოპერაციებთან, დნეპრისკენ წინსვლასთან, დნეპრისა და მარჯვენა ნაპირის უკრაინისათვის ბრძოლებთან იყო დაკავშირებული. რაც შეეხება დასავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებებს, 1943 წელს მათ პირადად უმაღლესი მათვარსარდალი და გენერალური შტაბი წარმართავდნენ, ჩვენ კი მხოლოდ დროდადრო გამოვთქვამდით ხოლმე ჩვენს მოსაზრებებსა და ჩვენს წინადადებებს მაშინ, როცა უმაღლესი მთავარსარდალი გვეკითხებოდა.

1943 წლის ბოლოსათვის ამ მიმართულებებზე საგულისხმო შედეგები იქნა მიღწეული. საბჭოთა ჯარებმა მტრისგან გაწმინდეს მთელი კალინინის ოლქი, გაათავისუფლეს სმოლენსკის ოლქი და აღმოსავლეთ ბელორუსიის მნიშვნელოვანი ნაწილი. წლის ბოლოსათვის ჩვენი ჯარების შეუპოვარი წინსვლის შედეგად ფრონტის ხაზი ჩრდილო-დასავლეთისა და დასავლეთის მიმართულებებით უკვე ილმენის ტბაზე, ველიკიე ლუკზე, ვიტებსკზე, მოზირზე გადიოდა.

სამხრეთ-დასავლეთისა და სამხრეთის მიმართულებებზე ამ დროისათვის ფრონტის ხაზი პოლესიედან ჟიტომირზე, ფასტოვზე, კიროვოგრადზე (გამოკლებით), ზაპოროჟიეზე, ხერსონზე მოემართებოდა. ყირიმი ჯერაც გერმანელთა ჯარების ხელთ იყო. ლენინგრადის რაიონში და ჩრდილოეთში ვითარება ძნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ლენინგრადელები ახლა უფრო თავისუფლად სუნთქავდნენ.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრებსა და ჩვენ, უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის წევრებს, მიგვაჩნდა, რომ თუმცა მტერთან ბრძოლაში დიდი წარმატებები მოვიპოვეთ და მტერი სერიოზულად დავასუსტეთ, ჯერჯერობით ის მაინც საკმარისად ძლიერი იყო. ევროპაში მეორე ფრონტის არარსებობა მოწინააღმდეგეს საშუალებას აძლევდა 1944 წელს შეუპოვარი თავდაცვითი ომი ეწარმოებია.

1944 წლის დასაწყისისათვის გერმანიას თავისი სატელიტების ჯარებიანად 5 მილიონამდე კაცი. 54,5 ათასამდე ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 5400-მდე ტანკი და საიერიშო ქვემეხი და 3 ათასზე მეტი თვითმფრინავი ჰყავდა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე.

საბჭოთა შეიარაღებული ძალები მოწინააღმდეგეს სჭარბობდნენ ადამიანებით 1,3-ჯერ, არტილერიით — 1,7-ჯერ, თვითმფრინავებით— 2,7-ჯერ. ამ რიცხობრივ უპირატესობას აძლიერებდა ჩვენი იარაღის მაღალხარისხოვნება, აგრეთვე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ჯარების საბრძოლო სულისკვეთება და სარდლობის გაზრდილი ოპერატიულ-ტაქტიკური და სტრატეგიული ხელოვნება.

ვითარების ღრმა და ყოველმხრივი ანალიზის შედეგად მთავარბანაკმა გადაწყვიტა 1944 წლის ზამთრის კამპანიის პერიოდში ლენინგრადიდან ყირიმამდე გაგვეშალა შეტევა.

ამასთან გათვალისწინებული იყო ძთავარი შეტევითი ოპერაციები გვეწარმოებინა საომარი მოქმედების სამხრეთ-დასავლეთის არეხაზე იმ ვარაუდით, რომ უწინარეს ყოვლისა მარჯვენა ნაპირის უკრაინა და ყირიმი გაგვეთავისუფლებინა. გადაწყდა, მთლიანად გაგვეთავისუფლებინა ბლოკადისაგან ლენინგრადი და უკუგვეგდო მტერი ლენინგრადის ოლქის ტერიტორიიდან. ბალტიისპირეთის ფრონტების ჯარებს ამოცანად დაესახათ — ლენინინგრადის ფრონტთან თანამოქმედებით გაეწმინდათ ნოვგოროდის ოლქი და ბალტიისპირეთის რესპუბლიკების საზღვრებთან გასულიყვნენ. დასავლეთის მიმართულების ამოცანას შეადგენდა ბელორუსიის რაც შეიძლება მეტი ტერიტორიის განთავისუფლება.

1944 წლის ზამთრისათვის საბჭოთა ჯარების მოქმედების დაგეგმვისას გათვალისწინებულ იქნა, რომ მთავარი საშუალებები და ძალები უკრაინის 1-ლ, მე-2, მე-3 და მე-4 ფრონტებზე ყოფილიყო თავმოყრილი, რათა უფრო საგრძნობი უპირატესობა გვქონოდა მოწინააღმდეგის წინაშე და მოკლე ვადებში გაგვენადგურებინა „სამხრეთისა“ და „ა“ არმიათა ჯგუფების ჯარები.

რაც შეეხება ჩრდილოეთის, ჩრდილო-დასავლეთისა და დასავლეთის მიმართულებების სხვა ფრონტებს, მთავარბანაკმა გადაწყვიტა უფრო თადარიგიანად გამოეყო მართვის ძალები, რათა არ დაექუცმაცებინა ისინი და არ ჩამოეშორებინა იმ უბნებისაგან, სადაც მთავარი ამოცანები უნდა გადაწყვეტილიყო.

მთავარბანაკში თათბირის შემდეგ მე და ა. მ. ვასილევსკიმ ხუთიოდე დღე კიდევ წავიმუშავეთ გენშტაბთან ფრონტების ამოცანების დასაზუსტებლად. უმაღლესმა მთავარსარდალმა რამდენჯერმე მიგვიწვია სადილად კრემლში, თავის ბინაზე.

როგორც ცნობილია, ი. ბ. სტალინი ძალიან თავდაჭერილად ცხოვრობდა. მის სუფრაზე უბრალო რუსული სასმელ-საჭმელით მასპინძლობდნენ. ზოგჯერ ქართული კერძებიც გამოჰქონდათ. გადამეტებული ი. ბ. სტალინის ბინის მორთულობაში, ჩაცმა-დახურვასა და ყოფაცხოვრებაში ოდანავადაც კი არაფერი იყო.

უმაღლესი მთავარსარდლის ბინაში გამართული ერთ-ერთის ასეთი წვეულების დროს მე ვცადე ერთხელ კიდევ წამომეჭრა გარშემორტყმის ოპერაციის ჩატარების საკითხი. ი. ბ. სტალინმა თქვა:

—ახლა ჩვენ უფრო ძლიერნი ვართ, ჩვენს ჯარებსაც მეტი გამოცდილება აქვთ. ახლა ჩვენ არა თუ შეგვიძლია, არამედ კიდევაც გვმართებს ჩავატაროთ გერმანელთა ჯარების გარშემორტყმის ოპერაციები.

მეორე სადილს, რომელზედაც მომიხდა ყოფნა, ა. ა. ჟდანოვი, ა ს. შჩერბაკოვი და პოლიტბიუროს სხვა წევრები ესწრებოდნენ ა. ა. ჟდანოვმა ლენინგრადელი მუშების გმირულ საქმეებსა და უდიდეს სიმამაცეზე ილაპარაკა, აღნიშნა — ისინი არად აგდებენ საფრთხეს, ნახევრადმშივრები დღე-ღამეში 14—15 საათს დგანან დაზგებთან ფაბრიკებსა და ქარხნებში, რათა ყოველნაირად დაეხმარონ ფრონტის ჯარებსო, და ითხოვა გაედიდებინათ სურსათ-სანოვაგის ფონდები ლენინგრადელთათვის. უმაღლესმა მთავარსარდალმა იქვე მისცა მითითება დაეკმაყოფილებინათ ა. ა. ჟდანოვის თხოვნა, შემდეგ კი თქვა:

— მოდით, ლენინგრადელთა სადღეგრძელო შევსვათ. ისინი ჩვენი ხალხის ნამდვილი გმირები არიან.

მას შემდეგ რაც საბოლოოდ შემუშავდა ფრონტების ამოცანები, მე და ალექსანდრე მიხეილის ძე ჩვენ-ჩვენს სამეურვეო ფრონტებზე გავემგზავრეთ, რათა დავალებისამებრ გაგვეხორციელებინა ჯარების მოქმედების შემდგომი კოორდინაცია. მე ნ. თ. ვატუტინისა და ი. ს. კონევის ფრონტების მოქმედების კოორდინირება დამევალა, ხოლო ა. ძ. ვასილევსკის — რ. ი. მალინოვსკისა და თ. ი. ტოლბუხინის ფრონტებისა.

გადავწყვიტე ჯერ უკრაინის 1-ლ ფრონტზე წავსულიყავი, რათა მთავარსარდლის გადაწყვეტილება გადამეცა ფრონტის სარდლობისათვის და ჯარების მომავალი მოქმედების დაგეგმვაში დავხმარებოდი მათ.

ნ. თ. ვატუტინი, როგორც ადრევე ვთქვი, შესანიშნავი შტაბისტი იყო. თანაც ისე ლამაზი წერა იცოდა, ისე სხარტად და მკაფიოდ გადაჰქონდა თავისი აზრი ქაღალდზე, რომ პირდაპირ შეგშურდებოდა კაცს. ემნიშვნელოვანესი ბრძანებების, დირექტივებისა და უმაღლესი მთავარსარდლობისათვის გასაგზავნი შეტყობინების უმრავლესობას ის თვითონ წერდა. ახლაც, სწორედ ჭაშინ დავადექი თავზე, როცა დირექტივას ადგენდა, რომ ფრონტის ჯარების მთავარი დაჯგუფება შეტევაზე გადასულიყო ვინიცის საერთო მიმართულებით.

ნ. თ. ვატუტინი უზომოდ დამთბარ ქოხში მუშაობდა, მხრებზე თბილი ბეკეში მოესხა. შევხედე თუ არა, მაშინვე მივხვდი, რომ შეუძლოდ იყო.

მოკლედ გავაცანი მთავარბანაკის გადაწყვეტილება უახლოესი პერიოდისათვის, მისგანაც მოვისმინე ფრონტის ჯარების მოქმედების

გეგმაში შეტანილი უკანასკნელი კორექტივები, მერე კი ვურჩიე რაიმე წამალი მიეღო და ახლავე დაწოლილიყო, რათა შეტევის დაწყებისათვის საკუთარი შრომისუნარიანი ყოფილიყო. ნ. თ. ვატუტინი დამეთანხმა.

ნიკოლოზ თეოდორეს ძეს ერთი ჭიქა მაგარი ჩაი დალია ჟოლოს ჩირით, ორი ტაბლეტი ასპირინი მიიღო და თავის ოთახში გავიდა. მე და ა. ნ. ბოგოლუბოვმა კი შტაბის ოპერატიულ განყოფილებას მივაშურეთ, რათა ერთხელ კიდევ საფუძვლიანად გავრკვეულიყავით ვითარებაში და შეგვემოწმებინა ჯარების მზადყოფნა მოქმედებისათვის.

ათი წუთიც არ გასულიყო, რომ ტელეფონის ზარი აწკრიალდა. ა. ნ. ბოგოლუბოვმა ყურმილი აიღო. ნ. თ. ვატუტინი ურეკავდა — გთხოვთ ჩემთან მობრძანდეთო, ეუბნებოდა. გადავწყვიტე მეც გავყოლოდი ა. ნ. ბოგოლუბოვს. და აი ვხედავთ, რომ ნ. თ. ვატუტინი კვლავ მიჯდომია მომავალი შეტევის სამუშაო რუკას.

— ხომ შევთანხმდით, რომ დაისვენებდით, თქვენ კი ისევ სამუშაო რუკას უზიხართ?

— მინდა შეტყობინება დავუწერო მთავარბანაკს შეტევისათვის ჰზადების შესახებ, — მიპასუხა ნ. თ. ვატუტინმა.

ძალით გავიყვანე სამუშაო ოთახიდან და შტაბის უფროსს შევთავაზე მოეკლო ამ საქმისათვის, მით უფრო, რომ ეს სამუშაო მის უშუალო მოვალეობას შეადგენდა.

მოუსვენარი კაცი იყო ნ. თ. ვატუტინი. მას უკიდურესობამდე ჰქონდა განვითარებული მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა.

გვარიანად მოშივებულმა, ნ. ს. ხრუშჩოვთან შევიარე, ვიცოდი, რომ მასთან ყოველთვის შეიძლებოდა გემრიელად დანაყრება. ნ. ს. ხრუშჩოვთან იყვნენ ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრი მატერიალური უზრუნველყოფის დარგში გენერალი ნ. ტ. კალჩენკო, მ. ს. გრეჩუხა, უკრაინის პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატის წარმომადგენელი. ამხანაგები მოსკოვის ახალი ამბებით დაინტერესდნენ.

მე დაწვრილებით გავაცანი დამსწრეთ მთავარბანაკის გადაწყვეტილება მარჯვენა ნაპირის უკრაინიდან მოწინააღმდეგის განდევნისა და უკრაინის 1-ლი ფრონტის კონკრეტული ამოცანების შესახებ. მ. ს. გრეჩუხამ გვიამბო, თუ რა გაუგონარ სიმხეცეს სჩადიოდნენ ფაშისტები ბოლო ხანებში, განსაკუთრებით მათი ჯარების მიერ ამა თუ იმ პუნქტის დატოვების წინა დღეებში. „ახლა, — ამბობდა ის, — მეათედიც კი არ არის გამოვლენილი იმ სისხლიანი საქმეებისა, რაც ფაშისტმა კაციჭამიებმა უკრაინის მიწა-წყალზე ჩაიდინეს...“

უკრანის 1-ლ ფრონტს იმ დროს პირისპირ ედგა მოწინააღმდეგის დაჯგუფება 30 დივიზიის, მათ რიცხვში 8 სატანკო და ერთი მოტორი-

ზებული დივიზიის, შემადგენლობით. ჯარებს სარდლობდა სატანკო ჯარების გენერალი ე. რაუსი[1]. მტრის სარდლობა კვლავაც ოცნებობდა, რომ მოსპობდა საბჭოთა ჯარებს და ისევ დაიპყრობდა დიდ პლაცდარმს დნეპრის დასავლეთით და კიევს.

ნოემბრის მეორე ნახევარში მოწინააღმდეგემ, როგორც უკვე ვთქვი, ხელთ იგდო ჟიტომირი და არაერთგზის სცადა უკუეგდო უკრაინის 1-ლი ფრონტის შენაერთები და კიევისაკენ გაპრილიყო. მაგრამ მის დაჟინებულ ცდებს წარმატება არ მოჰყოლია. მეტიც, თავისი უანგარიშო მოქმედების შედეგად გერმანელთა ჯარებმა კოლოსალური ზარალი განიცადეს, ხოლო ცალკეულ დივიზიებში. პირადი შემადგენლობისა და მატერიალური ნაწილის დაახლოებით 60—70 პროცენტი დაკარგეს. ძალებისა და საშუალებების ამოწურვის გამო ჰიტლერელთა სარდლობამ შეწყვიტა შეტევა, მაგრამ მაინც არ დაუკარგავს იმედი, რომ კვალე დაიპყრობდა კიევს და დნეპრზე გავიდოდა.

უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკმა უკრაინის 1-ლი ფრონტისგან მოითხოვა მოემზადებია და განეხორციელებინა ჟიტომირ-ბერდიჩევის ოპერაცია, რათა გაენადგურებია პირისპირ მდგომი მოწინააღმდეგის მე-4 სატანკო არმია და სამხრეთ ბუგისკენ უკუეგდო ის. უკრაინის 1-ლი ფრონტის გასაძლიერებლად მთავარბანაკმა გამოჰყო მე-18 არმია, 1-ლი სატანკო არმია, მე-4 გვარდიული და 25-ე სატანკო კორპუსები.

გადამწყვეტი ოპერაციების დასაწყისისათვის, უკრაინის 1-ლ ფრონტს ჰყავდა 1-ლი გვარდიული, მე-13, მე-18, 27-ე, 38-ე, მე-40, მე-60 საერთო საჯარისო არმიები, 1-ლი და მე-3 გვარდიული სატანკო არმიები. სულ მის განკარგულებაში იყო 63 მსროლელთა დივიზია, 6 სატანკო, 2 მექანიზებული კორპუსი, 3 ცხენოსანთა დივიზია.

ფრონტის ჯარების შეტევითი ოპერაციის ჩანაფიქრი ასეთი იყო:

გათვალისწინებული გვქონდა გაგვენადგურებინა მოწინააღმდეგე ბრუსილოვის რაიონში და შემდეგ ლიუბარ—ვინიცა—ლიპოვაიას ზღუდეზე გავსულიყავით.

გენერალ ი. დ. ჩერნიახოვსკის მე-60 არმიას, მე-4 გვარდიული სატანკო კორპუსით გაძლიერებულს, ამოცანად ჰქონდა მალინის რაიონიდან გაეშალა შეტევა და გასულიყო მდინარე სლუჩზე როგაჩოვ—ლიუბარის რაიონში. გენერალ ნ. ვ. პუხოვის მე-13 არმიამ მიიღო ამოცანა კოროსტენ—ნოვოგრად-ვოლინსკის მიმართულებით ეწარმოებია შეტევა. მე-40 და 27-ე არმიებს ბელაია ცერკოვისა და შემდეგ

---

[1] სახმელეთო ჯარების მთავარსარდლობის გერმანული ნადავლი რუკები. მასალების კრებული გერმანიის ფაშისტური ჯარების შემადგენლობის შესახებ, გამოშვება მეოთხე, გვ. 14-20.

ხრისტინოვკისათვის უნდა დაერტყათ და იქ უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებს შეერთებოდნენ.

ფრონტის ჯარების მხარდაჭერას ჰაერიდან ახორციელებდა გენერალ ს. ა. კრასოვსკის მე-2 საჰაერო არმია.

29 დეკემბერს დილით 50-წუთიანი საარტილერიო და საავიაციო მომზადების შემდეგ ფრონტის მთავარი დაჯგუფების ჯარები შეტევაზე გადავიდნენ. მოწინააღმდეგის თავდაცვამ ვერ გაუძლო ჩვენი ჯარების დარტყმას, და გერმანელთა ჯარებმა უკან დახევა დაიწყეს. რაკი ხელსაყრელი პირობები შეიქმნა, დღის მეორე ნახევარში 1-ლი და მე-3 გვარდიული სატანკო არმიებიც შევიყვანეთ ბრძოლაში. 29 დეკემბრის მიწურულს გარღვევის ფრონტი 300 კილომეტრამდე გავრცელდა, მისმა სიღრმემ კი 100 კილომეტრზე მეტს მიაღწია. ხელთ ვიგდეთ კოროსტენი, ბრუსილოვი, კაზატინი, სკვირა და ბევრი სხვა ქალაქი და დასახლებული პუნქტი.

შემტევმა ჯარებმა ჟიტომირის, ბერდიჩევის, ბელაია ცერკოვის მისადგომებთან გააჩაღეს ბრძოლები. გერმანელთა სარდლობა იძულებული შეიქნა საგანგებო ზომები მიეღო წარმოქმნილი გარღვევის სალიკვიდაციოდ და სასწრაფოდ გადმოესროლა აქეთკენ 12 დივიზია სხვა არმიათა ჯგუფებიდან („ჩრდილოეთის", „ცენტრისა" და „ა" არმიათა ჯგუფებიდან).

31 დეკემბერს ჩვენმა ჯარებმა ხელახლა გაათავისუფლეს ჟიტომირი. გაიშალა მძიმე ბრძოლები ბერდიჩევისათვის — სარკინიგზო და საგზატკეცილო კომუნიკაციების მსხვილი კვანძისათვის. აქ მოქმედებენ გენერალ მ. ე. კატუკოვის 1-ლი სატანკო არმიის ჯარები და გენერალ კ. ნ. ლესელიძის მე-18 არმია. ბრძოლის სუსტი ორგანიზაციის გამო 1-ლმა სატანკო არმიამ ზარალი განიცადა, წარმატებას კი ვერ მიაღწია, და ბერდიჩევი დაკავებულ იქნა მხოლოდ 5 იანვარს. მას შემდეგ. რაც თვითონ ნ. თ. ვატუტინი ჩაერია საქმეში.

ბელაია ცერკოვისათვის ბრძოლებში მონაწილეობდა ჩეხოსლოვაკიის 1-ლი ბრიგადა გენერალ ლ. სვობოდას სარდლობით. ეს ლამაზი და ჯან-ღონიანი ეაქკაცი თავისი სიმშვიდითა და გონიერებით ყველა ჩვენგანის ღრმა პატივისცემასა და სრულ ნდობას იმსახურებდა. და არც შევმცდარვართ მასში. ომის დასასრულამდე ლ. სვობოდა წარმატებით ახორციელებდა ჩეხოსლოვაკიის ჯარების სარდლობას და თავისი გმირული საქმეებით ღირსეული წვლილი შეიტანა მტრის განადგურებაში. რომელიც მას ისევე სძულდა, როგორც ყველა ჩვენგანს. საბჭოთა ადამიანებს.

მტერი ვეღარ უძლებდა უკრაინის 1-ლი ფრონტის დარტყმებს და დასავლეთისაკენ იხევდა. ამან გერმანელთა ჯარების სარდლობა აიძულა თავი მოეყარა ჯარების ჯგუფისათვის ვინიცისა და უმანის რაიო-

ნებში, რათა კონტრდარტყმა მიეყენებია 38-ე, მე-40 და 1-ლი სატანკო არმიებისათვის[1]. გაჩაღდა ახალი დიდი ბრძოლა.

ჩვენი ჯარები თავდაცვაზე გადავიდნენ, რათა პოზიციური ცეცხლითა და ჰაერიდან დარტყმებით დაეცხრილათ მოწინააღმდეგე. მაგრამ მტრის დაწოლას ვერ გაუძლეს, ამიტომ თვითონ გადმოინაცვლეს უკან ოცდაათიოდე კილომეტრზე და აქ გამაგრდნენ.

ჟიტომირ-ბერდიჩევის ოპერაციის შედეგად უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა 200 კილომეტრამდე წაიწიეს სიღრმეში და მთლიანად გაათავისუფლეს კიევისა და ჟიტომირის ოლქები, აგრეთვე ვინიცისა და როვნოს ოლქების მთელი რიგი რაიონები, ფრონტის მარცხეხა ფრთა ღრმად შემოსწვდა მოწინააღმდეგის მთელ დაჯგუფებას, რომელსაც დიდი პლაცდარმი ეკავა კანევისა და კორსუნ-შევჩენკოვსკის ოპერაციისათვის.

იანვრის შუა რიცხვებისათვის უკრაინის 1-ლი ფრონტი სარნა — სლავუტა—კაზატინ—ილინიცის ხაზზე გამაგრდა. შემდეგ ფრონტი დნეპრისკენ უხვევდა რეჟიშჩევისა და კანევის რაიონამდე, სადაც კვლავინდებურად თავდაცვაში იდგა გერმანელთა ჯარების მსხვილი დაჯგუფება. ჩანს, გერმანელთა სარდლობას, რომელიც კიევის კვლავ დაპყრობაზე ოცნებობდა, ფიქრადაც არ მოსდიოდა, რომ თვითონვე იმზადებდა აქ ხაფანგს, რომელზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ახლა კი უკრაინის მე-2 ფრონტზე შექმნილი ვითარება განვიხილოთ.

უკრაინის მე-2 ფრონტმა, რომელსაც სათავეში ედგნენ გენერლები ი. ს. კონევი, მ. ვ. ზახაროვი და ი .ზ. სუსაიკოვი, დეკემბრის ბოლოსათვის ისევე, როგორც ნ. თ. ვატუტინის ფრონტმა, მნიშვნელოვანი შევსება მიიღო ტანკებისა და თვითმავალი საარტილერიო დანადგარების სახით. ფრონტის შემადგენლობაში გადაცემულ იქნა გაძლიერებული მე-5 ცხენოსანთა კორპუსი და რამდენიმე საარტილერიო ნაწილი. ამ შევსებამ გააძლიერა ჯარები, თუმცა სრულად მაინც ვერ დააკმაყოფილა მათი მოთხოვნილებები. განსაკუთრებით მცირერიცხოვანი რჩებოდა საერთო საჯარისო შენაერთები, რომელთა გარეშეც, როგორც ცნობილია, ვერც მიაღწევ და ვერც განამტკიცებ ოპერაციის წარმატებას.

უკრაინის მე-2 ფრონტის წინაშე დასახული იყო ამოცანა — მოემზადებინა და განეხორციელებინა ოპერაცია, რომლის მსვლელობაშიც მთავარი დარტყმა უნდა განვითარებულიყო პერვომაისკისაკენ კიროვოგრადის გავლით. ძალების ნაწილით ფრონტს უნდა შეეტია

---

1 სახმელეთო ჯარების მთავარსარდლობის გერმანული ნადავლი რუკები. — 1944 წლის 10-14 იანვრისა. სსრკ თავდაცვის სამინისტროს არქივი, ფ. 236, აღწ. 13315, საქმე 112, ფ. ფ. 107, 153.

ხრისტინოვკის საერთო მიმართულებით, იქ კი უკრაინის 1-ლ ფრონტთან შეერთების შემდეგ გაენადგურება მოწინააღმდეგე ზვენიგოროდოკ-კანევის რაიონში.

7 იანვრამდე ვერ შევძელი უკრაინის მე-2 ფრონტზე ჩასვლა, რადგან გარემოებებმა მაიძულეს თვალი არ მომეცილებინა ნ. თ. ვატუტინის ჯარების უბნებისათვის, სადაც ვითარება რთული და საშიში მომენტებით იყო აღსავსე. 7 იანვარს მე უკრაინის მე-2 ფრონტის შტაბში ჩავფრინდი. ი. ს. კონევი ამ დროს კიროვოგრადის რაიონში იყო საკომანდო-სათვალთვალო პუნქტზე.

ფრონტის შტაბში დამხვდა ფრონტის შტაბის უფროსი მ. ვ. ზახაროვი და დეტალურად გამაცნო ფრონტის უბნებზე ვითარების მონაცემები.

მათე ვასილის ძე ზახაროვს ვიცნობდი ჯერ კიდევ ბელორუსიის სამხედრო ოლქიდან, სადაც ის ოლქის შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსი იყო. იმ დროს ოლქს სათავეში ედგა 1-ლი რანგის არმიის სარდალი ი. პ. უბორევიჩი, რომლისგანაც ყველა ჩვენგანს ჰქონდა ბევრი რამ სასწავლი.

უნდა ითქვას, რომ ოლქის შტაბის ოპერატიული განყოფილება, რომელსაც მ. ვ. ზახაროვი ხელმძღვანელობდა, მკვეთრად გამოირჩეოდა საზღვრისპირა ოლქების უმრავლესობაში თავისი ორგანიზებულობით, მომზადებითა და საერთო ოპერატიული კულტურით. მოგვიანებით მ. ვ. ზახაროვი წარმატებით მეთაურობდა მსროლელთა პოლკს ბობრუისკში.

სათავეში ედგა რა უკრაინის მე-2 ფრონტის შტაბს, მათე ვასილის ძე ფრონტის სარდლის ი. ს. კონევის კარგი დასაყრდენი იყო.

ფრონტის შტაბში ვითარების გაცნობის შემდეგ ი. ს. კონევს დაეურეკე და მასთან გავემგზავრე.

ი. ს. კონევის საკომანდო პუნქტისაკენ რომ მივდიოდი, საარტილერიო გრგვინვა-ქუხილის, საავიაციო ბომბების სკდომის, მრავალრიცხოვანი თვითმფრინავების მოტორთა ღრიანცელის ხმაზე შეუცდომლად ვხვდებოდი: მტერთან ცხარე ბრძოლები იყო გაჩაღებული მიწაზეც და ჰაერშიც.

მისალმების შემდეგ ივანე სტეფანეს ძეს ვკითხე. თუ როგორ ვითარდებოდა ოპერაცია.

— დაუზოგავად ვურტყამთ მტერს, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ ტოვებს კიროვოგრადს, — მიპასუხა ი. ს. კონევმა.

როცა ი. ს. კონევის რუკა შევისწავლე და მისი დაწვრილებითი ცნობებიც მოვისმინე, მივხვდი, რომ მტერი, სულ ერთია, მაინც ვერ შეძლებდა კიროვოგრადის შენარჩუნებას. 7 იანვარს დღის ბოლოსათვის მოწინააღმდეგე არა მარტო გარშემოვლილი იყო ფრონტის ჯა-

რების მიერ, არამედ ძლივძლივობით ინარჩუნებდა ქალაქის სამხრეთ გარეუბნებს, სადაც ჩვენი 29-ე სატანკო კორპუსი, 29-ე და 50-ე მსროლელთა დივიზიები უტევდნენ.

განსაკუთრებული წარმატებით იბრძოდნენ გენერალ ა. ს. ეადოვისა და გენერალ მ. ს. შუმილოვის არმიათა ჯარები. მე კარგად ვიცნობდი ორივე სარდალს. მათ დიდი და ქარცეცხლიანი გზა გამოიარეს ომის დასაწყისიდანვე. გაუძლეს ყველა განსაცდელს და უდრეკად გადაიტანეს მტერთან მძიმე ბრძოლები, გამარჯვებით დაგვირგვინებული ოპერაციების გამოცდილებით გამდიდრდნენ და არმიათა წინამძღოლ გამოწრთობილ მხედართუფროსებად მოვიდნენ აქ, კიროვოგრადის რაიონში.

8 იანვრის დილისათვის კიროვოგრადი აღებულ იქნა. მტერი ფრონტის ჯარების დაწოლით უკან იხევდა დასავლეთისაკენ.

ფრონტის მარჯვენა ფრთაზე 53-ე არმიისა და მე-4 დამკვერელი არმიის შეტევას წარმატება არ მოჰყოლია. მოწინააღმდეგის ძლიერი კონტრიერიშების შედეგად ჩვენი ჯარები აქ სმელა—კანიეის ზღუდეზე შეჩერდნენ.

ფრონტის სარდლობამ, შეაჩერა შეტევა და გადავიდა რა თავდაცვაზე კიროვოგრადის დასავლეთით, ფრონტის მარჯვენა ფრთაზე გადააჯგუფა მე-5 გვარდიული სატანკო არმია გენერალ პ. ა. როტმისტროვის სარდლობით. მაგრამ მან ვერ მოახდინა გარდატეხა ჩვენს სასარგებლოდ.

იმასთან დაკავშირებით, რომ აუცილებელი იყო შემდგომი ოპერაციების უფრო კაპიტალურად მომზადება, დროებით შევაჩერეთ უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარების შეტევა ყველა მიმართულებაზე, და მე უკრაინის 1-ლ ფრონტზე დავბრუნდი, რათა მის სარდლობასთან ერთად შევდგომოდი კორსუნ-შევჩენკოვსკის ოპერაციის მომზადებას.

ოპერაციის მიზანი და ამოცანები რომ განვიხილეთ, ნ. თ. ვატუტინმა გადაწყვიტა შეექმნა დაჯგუფება შემდეგი შემადგენლობით: თ. თ. ემაჩენკოს მე-40 არმია. ს .ვ. ტროფიმენკოს 27-ე არმია და სატანკო ჯარების გენერლის ა. გ. კრავჩენკოს მე-6 სატანკო არმია, რომელმაც კიევის აღების დროს გამოიჩინა თავი.

1944 წლის 24 იანვრის გერმანული ნადავლი რუკის მონაცემებით, კორსუნ-შევჩენკოვსკის შვერილის რაიონში, რომელიც თავისი წვერით დნეპრამდე აღწევდა, თავმოყრილი იყო ცხრა ქვეითი, ერთი სატანკო და ერთი მოტორიზებული დივიზია, რომლებიც გერმანელთა ჯარების 1-ლი სატანკო არმიის შემადგენლობაში იმყოფებოდნენ.

მოწინააღმდეგის ჯარების ეს საკმაოდ ძლიერი დაჯგუფება ხელს უშლიდა უკრაინის 1-ლ და მე-2 ფრონტებს განეხორციელებინათ შემ-

დგომი ოპერაციები დასავლეთისაკენ, რადგან იგი ამ ფრონტების ფლანგებზე იყო განლაგებული.

11 იანვარს ჩვენი მოსაზრებები კორსუნ-შევჩენკოვსკის მთელი დაჯგუფების მოკვეთის, გარემოცვისა და განადგურების თაობაზე უმაღლეს მთავარსარდალს ძოვახსენე. უმაღლესმა მთავარსარდალმა დაამტკიცა ჩვენი წინადადებები და 12 იანვარს მთავარბანაკის დირექტივით დაგვიდასტურა თავისი გადაწყვეტილება.

დირექტივა ითვალისწინებდა ფრონტების შემხვდურ დარტყმებს შვერილის ფუძეში და ფრონტების შემხვდური დარტყმების შეერთებას ზვენიგოროდკის რაიონში[1]. ოპერაციის დაწყების წინ მთავარბანაკმა ჩემი თხოვნით მე-2 სატანკო არმიით გააძლიერა უკრაინის 1-ლი ფრონტი.

ი. ს. კონევმა გადაწყვიტა დაერტყა მტრისათვის ვერბოვკისა და კრასნოსილკის რაიონიდან მე-4 გვარდიული არმიის, 53-ე არმიისა და მე-5 გვარდიულ სატანკო არმიის ძალებით. დამკვრელი დაჯგუფებების შესაქმნელად ფრონტებს ძალებისა და საშუალებების მნიშვნელოვანი გადაჯგუფებები უნდა მოეხდინათ. ფრონტების დამკვრელი დაჯგუფებების მხარდაჭერა ჰაერიდან მე-2 და მე-5 საჰაერო არმიებს ევალებოდათ.

სულ გერმანელ-ფაშისტთა ჯარების კორსუნ-შევჩენკოვსკის დაჯგუფების განადგურებაში მონაწილეობა უნდა მიეღო 27 დივიზიას, 4 სატანკო და 1 მექანიზებულ კორპუსს, რომელთა შემადგენლობაშიც იყო 370 ტანკი და თვითმავალი საარტილერიო დანადგარი.

რიცპობრივად ჩვენი ჯარები ამ უბანზე სჭარბობდნენ მოწინააღმდეგეს: ქვეითებით—1,7-ჯერ, ქვემეხებითა და ნაღმსატყორცნებით — 2,4-ჯერ, ტანკებითა და თვითმავალი საარტილერიო დანადგურებით— 2,6-ჯერ.

ძალები, რა თქმა უნდა, სამყოფი იყო მტრის გარშემორტყმისა და განადგურებისათვის, მაგრამ ყოვლად უდროოდ დადგა გაზაფხულის უგზოობა ,თოელ-ჭყაპი წამოვიდა, გზები აიზილა და ატალახდა. ცუდმა ამინდმა უკიდურესად შეზღუდა ავიაციის მოქმედება. ამის შედეგად ჯარებმა ვერ შეძლეს საკმარისი მატერიალური მარაგების შექმნა. მაგრამ ლოდინი აღარ შეიძლებოდა, ოპერაცია უნდა დაგვეწყო.

კორსუნ-შევჩენკოვსკის ოპერაცია დაიწყო 24 იანვარს უკრაინის მე-2 ფრონტის დარტყმით ზვინიგოროდკის საერთო მიმართულებით. უკრაინის 1-ლმა ფრონტმა ერთი დღე-ღამით გვიან დაიწყო იერიში. მტრის ჯარები შეუპოვარ წინააღმდეგობას გეიწევდნენ, ცეცხლითა და

---

[1] ИМЛ. Документы истории Великой Отечественной войны. инв. № 9492, лл. 10—11.

შარაბინის ფრონტების შეტევის სქემა
1944 წლის ზამთარში და გაზაფხულზე



კონტრიერიშებით იცავდნენ თავს. მაგრამ მაინც ვერ შეძლეს ჩვენი ფრონტების დარტყმების მოგერიება.

27 იანვარს მტერმა, ცდილობდა რა გარღვევის ლიკვიდირებას, კონტრდარტყმა წამოიწყო უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარების წინააღმდეგ, რათა შეევსო წარმოქმნილი ბზარი, და მოეკვეთა მე-5 გვარდიული სატანკო არმიის მეწინავე, მე-20 და 29-ე სატანკო კორპუსები. და მან ნაწილობრივ მიაღწია კიდევაც ამას.

მაგრამ მე-20 სატანკო კორპუსი, რომელსაც სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტი ი. გ. ლაზარევი მეთაურობდა, ვერ შეაკრთო იმან, რომ მოწინააღმდეგემ დროებით ხელთ იგდო მისი ზურგის გზები, სატანკო კორპუსი მაინც სწრაფად მიიწევდა წინ, რის შედეგადაც იმავე ღამით ხელთ იგდო ქალაქი შპოლა.

გენერალ ი. გ. ლაზარევს ბელორუსიის სამხედრო ოლქიდან ვიცნობდი და არაერთხელ შევხვედრივარ მანევრებზე და დიდ საოლქო ვარჯიშებზე, სადაც მან შესანიშნავი საველე მომზადება მიიღო ი. პ. უბორევიჩის ხელმძღვანელობით.

ვიცნობდი რა ი. გ. ლაზარევს კარგი მხრით, დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ რთულ მომენტში მტკიცედ წაიყვანდა მინდობილ კორპუსს დასახული მიზნისაკენ. 28 იანვარს ი. გ. ლაზარევის კორპუსი ზვენიგოროდკის რაიონში გავიდა, ამ დროს კი მოწინააღმდეგე, რომლმაც ბოლო მოუღო გარღვევას, უკრაინის მე-2 ფრონტის იერიშების მოგერიებას ცდილობდა.

შეტევაზე გადასულმა უკრაინის 1-ლი ფრონტის დამკვრელმა დაჯგუფებამ გაარღვია მოწინააღმდეგის თავდაცვა, მაგრამ მისი თავდაცვის სიღრმეში შეუპოვარ წინააღმდეგობას წააწყდა.

ფრონტის სარდალმა ნ. თ. ვატუტინმა, გაითვალისწინა რა, რომ მოწინააღმდეგემ შეძლო წარმოქმნილი გარღვევის ლიკვიდირება, უკრაინის მე-2 ფრონტის მე-20 და 29-ე სატანკო კორპუსების გასაძლიერებლად ზვენიგოროდკის რაიონში გადაისროლა ფრონტის ძლიერი მეწინავე რაზმი გაბედული და ნიჭიერი გენერლის მ. ი. საველიევის სარდლობით. ამ რაზმის შემადგენლობაში იყო 233-ე სატანკო ბრიგადა, 1228-ე თვითმავალი საარტილერიო პოლკი, მოტომსროლელთა ბატალიონი და გამანადგურებელ-ტანკსაწინააღმდეგო არტილერიის ბატარეა.

მ. ი. საველიევის რაზმი უნარიანი მანევრირებით გაბედულად გაუსხლტა გერმანელთა ნაწილებს, გაიჭრა ლისიანკის რაიონში და 28 იანვარს შეუერთდა მე-20 სატანკო კორპუსს ქალაქ ზვენიგოროდკაში, რითაც მოწინააღმდეგის კორსუნ-შევჩენკოვსკის დაჯგუფებას ძირითადი ზურგის გზები გადაუჭრა.

თავდაცვაში მყოფი მტრის ჯარები უკრაინის 1-ლი ფრონტის

უბანზე შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდნენ ჩვენს ჯარებს. გენერალ თ. თ. ეუმაჩენკოს მე-40 არმიამ პირველ დღეს უმნიშვნელო წარმატებას მიაღწია. უფრო წარმატებით მოქმედებდნენ გენერალ ს. გ. ტროფიმენკოს 27-ე არმიის შენაერთები, განსაკუთრებით გენერალ გ. ო. ლიასკინის 337-ე მსროლელთა დივიზია და გენერალ ს. პ. მერკულოვის 180-ე მსროლელთა დივიზია. ჩვენ ვისარგებლეთ მათი წარმატებით და მე-6 სატანკო არმია ბოწინააღმდეგის ზურგის გზების დასალაშქრავად გადავისროლეთ, რამაც დადებითად იმოქმედა მოვლენების განვითარებაზე.

30 იანვრისათვის, მას შემდეგ, რაც ბრძოლაში შეყვანილ იქნა დამატებითი ძალები, მათ რიცხვში მე-5 სატანკო არმიის მეორე ეშელონი, მე-18 სატანკო კორპუსი და გენერალ ა. გ. სელივანოვის ცხენოსანთა კორპუსი, ი. ს. კონევის ჯარებმა შეძლეს უკუეგდოთ მოწინააღმდეგე და კვლავ შეექმნათ გარღვევა მის თავდაცვაში.

მიიწევდნენ რა წინ, ორივე ფრონტის ჯარებმა მოკვეთეს მოწინააღმდეგის კორსუნ-შევჩენკოვსკის ჯგუფი და გარემოცვის ცენტრისაკენ მისი შევიწროება დაიწყეს. ამავე დროს ორივე ფრონტმა შექმნა გარე ფრონტიც იმისათვის, რათა არ დაეშვათ გარშემორტყმული დაჯგუფების დებლოკირება უმანის მხრიდან.

მტრის ჯარების ფრონტის გარღვევისა და უკრაინის 1-ლი და მე-2 ფრონტების ჯარების შეერთების აღსანიშნავად ქალაქ ზვენიგოროდკის ცენტრში შემდგომში ტანკი T-34 დადგეს პიედესტალზე. წარწერა, რომელიც ამ პიედესტალზეა გაკეთებული, გვამცნობს:

„აქ 1944 წლის 28 იანვარს შეიკრა წრე კორსუნ-შევჩენკოვსკის რაიონში ალყაში მოქცეული ჰიტლერელი ოკუპანტების გარშემო. უკრაინის მე-2 ფრონტის ტანკისტებმა — პოდპოლკოვნიკ ივანე ივანეს ძე პროშინის 155-ე წითელდროშოვანი ზვენიგოროდკის სატანკო ბრიგადის ტანკის ეკიპაჟმა: ლეიტენანტმა ევგენი ალექსანდრეს ძე ხოხლოვმა, მძღოლმა-მექანიკოსმა ანატოლი ალექსის ძე ანდრეევმა, კოშკურის მეთაურმა იაკობ სერგეის ძე ზაიცევმა ხელი ჩაბოართვეს უკრაინის 1-ლი ფრონტის ტანკისტებს. დიდება სამშობლოს გმირებს“.

კარგია, როცა გმირების ღვაწლს არ ივიწყებენ. ოღონდ დასანანია, რომ მოხსენიებული არ არის უკრაინის 1-ლი ფრონტის ტანკისტთა სახელები. კარგი იქნება, ამ ამბავს რომ მოვუყოლიდეთ და დავადგენდეთ უკრაინის 1-ლი ფრონტის იმ გმირი ტანკისტების გვარებს, რომლებიც სწრაფად გაიჭრნენ ზვენიგოროდკის რაიონში...

გარშემორტყმული გერმანელთა ჯარები თვითეულ ზღუდესა და დასახლებულ პუნქტს ებღაუქებოდნენ, ტყეებსა და წარაფებს აფარებდნენ თავს და შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდნენ ჩვენს ჯარებს.

იმისათვის, რომ მოწინააღმდეგეს პოზიციიდან ეცვალა ფეხი, სა-

ჭარო იყო მძლავრი საარტილერიო ცეცხლი, ჩვენ კი არ შეგვეძლო მისი ორგანიზება სრული უგზოობის გამო. ჭურვების, ნაღმებისა და ტანკების საწვავის მინიმალურად აუცილებელი მარაგი მაინც რომ შეგვექმნა, იძულებული გავხდით გადმოგვეზიდა ეს საპალნიანი ხარებით, ზურგით, საკაცეებით, ტომრებით — ერთი სიტყვით, ვისაც როგორ და რითაც შეეძლო. ამ საქმეში დიდი დახმარება აღმოგვიჩინა უკრაინის სოფლების მოსახლეობამ.

გერმანელთა ჯარების სარდლობა ცდილობდა გარდუვალი დაღუპვისაგან ეხსნა თავისი ჯარები, რომლებიც ქვაბში აღმოჩნდნენ და ჩვენი გარე ფრონტის წინააღმდეგ ძალების თავმოყრა დაიწყო. 27 იანვარს ნოვო-მირგოროდის რაიონს მოადგნენ მათი მე-3, მე-11 და მე-4 სატანკო დივიზიები, ხოლო ორი დღის შემდეგ — მე-13 სატანკო დივიზიაც. შემდეგ რიზინოს რაიონში მე-16 და მე-17 სატანკო დივიზიებმაც დაიწყეს თავმოყრა.

ჩვენ ყველას, ვინც ამ ოპერაციას ვახორციელებდით, კარგად გექონდა შეგნებული, რომ გერმანელთა ჯარების სარდლობა შეეცდებოდა განეხორციელებია გარედან დარტყმა და გადაერჩინა თავისი 1-ლი და მე-8 არმიების ალყაშემორტყმული ჯარები.

გარე ფრონტისათვის, რომელსაც მოწინააღმდეგის ალყაშემორტყმული ჯარების განადგურება უნდა. უზრუნველეყო, გამოყენებულ იქნა უკრაინის 1-ლი ფრონტის მე-6 სატანკო არმია, რომელიც 47-ე მსროლელთა კორპუსით იყო გაძლიერებული, და უკრაინის მე-2 ფრონტის მე-5 გვარდიული სატანკო არმია, 49-ე მსროლელთა კორპუსითა და მე-5 საინჟინრო ბრიგადით გაძლიერებული. ამ გარე ფრონტის ფლანგებს მე-40 და 53-ე არმიები იცავდნენ.

მოწინააღმდეგის იმ ჯარების მოქმედებისაგან განსხვავებით, რომლებიც გარშემორტყმული იყვნენ სტალინგრადთან, სადაც ისინი თავდაცვაში იდგნენ და გარედან ელოდებოდნენ ხსნას, იმედოვნებდნენ რა მანშტაინის ჯგუფის მიერ კოტელნიკოვოდან ალყის გარღვევას, კორსუნ-შევჩენკოვსკის რაიონში გარშემორტყმულმა ჯარებმა გადაწყვიტეს თვითონვე გაერღვიათ ალყა და გარედან მოქმედი დამკვრელი ჯგუფის შემხვდური მიმართულებით დაიძრნენ.

1944 წლის თებერვლის პირველ რიცხვებში მტრის ჯარები შეეცადნენ სატანკო ჯარების ერთი ნაწილით გაერღვიათ გარე ფრონტი უკრაინის მე-2 ფრონტის უბანზე ნოვო-მირგოროდის რაიონში. მაგრამ ამ ცდებიდან არაფერი გამოუვიდათ. მაშინ მოწინააღმდეგემ უკრაინის 1-ლი ფრონტის უბანზე გადააჯგუფა თავისი დამკვრელი ძალები და 3 და 4 თებერვალს ორი მძლავრი დარტყმა განახორციელა რიზინოსა და ტოლმაჩ—ისკრენოეს რაიონებში. აქ მან დამატებით შეიყვანა ბრძოლაში კიდევ სამი სატანკო დივიზია.

რიზინოს რაიონში მოწინააღმდეგემ მოახერხა ჩვენი ჯარების თავდაცვაში სოლივით შემოჭრა. მოწინააღმდეგის სარდლობა დარწმუნებული იყო, რომ ამჯერად უზრუნველყოფილი ჰქონდა გარღვევის წარმატება. გენერალი ხუბე — გერმანელთა 1-ლი სატანკო არმიის სარდალი — დაპირებებს არ იშურებდა. ჩვენ დავიჭირეთ მისი რადიოდეპეშა, რომელიც იუწყებოდა: „მე გადაგარჩენთ. ხუბე".

ჰიტლერი, რომელსაც გენერალ ხუბეს მძლავრი სატანკო დაჯგუფების იმედი ჰქონდა, ალყაშემორტყმული ჯარების სარდლის გენერალ შტემერმანის სახელზე გაგზავნილ დეპეშაში წერდა: „შეგიძლიათ მომენდოთ, როგორც ქვის კედელს. თქვენ განთავისუფლებული ოქნებით ქვაბიდან. ჯერჯერობით კი გამაგრდით".

ჩვენ, ჩვენის მხრივ, გარღვევა რომ არ დაგვეშვა, სასწრაფოდ გადავისროლეთ საშიშ უბანზე ფრონტის რეზერვიდან გენერალ ს. ი. ბოგდანოვის მე-2 სატანკო არმია ორი სატანკო კორპუსის შემადგენლობით. მე-2 სატანკო არმიამ, გაშალა რა ძალები, კონტრდარტყმა განახორციელა და შეაჩერა მოწინააღმდეგე, ნაწილობრივ კი ამოსავალ რაიონებში უკუაგდო.

მაგრამ მტერმა მაინც არ აიღო ხელი თავის განზრახვაზე — გაეღვია ჩვენი ჯარების გარე ფრონტი. მან კიდევ ერთი სატანკო დივიზია. მძიმე ტანკების ბატალიონი, საიერიშე მანქანების ორი დივიზიონი გადმოისროლა ერკოვის რაიონში. აქეთკენვე გადმოაჯგუფა სატანკო დივიზიების მნიშვნელოვანი ძალები და გააფთრებული შეტევა წამოიწყო.

9 თებერვალს მე დეპეშა გავუგზავნე უმაღლეს მთავარსარდალს. ამ დეპეშაში, კერძოდ, ნათქვამი იყო:

„ტყვეთა ჩვენებით, ალყაში ყოფნისას გამართულ ბრძოლებში მოწინააღმდეგის ჯარებმა დიდი ზარალი განიცადეს. ამჟამად ჯარისკაცთა და ოფიცერთა შორის იგრძნობა დაბნეულობა, რომელიც ზოგ შემთხვევაში პანიკამდე აღწევს.

დაზვერვის მონაცემებით. გარშემორტყმულმა მოწინააღმდეგემ მთავარ ძალებს სტებლევ—კორსუნ-შევჩენკოვსკის რაიონში მოუყარა თავი. როგორც ჩანს, მოწინააღმდეგე ამზადებს უკანასკნელ ცდას — ვაარღვიოს ალყა და გაიჭრას სატანკო ჯგუფთან, რომელიც მალაია ბოიარკას უტევს. ამ მიმართულების უზრუნველსაყოფად 9 თებერვლის დილისათვის ლისიანკის რაიონში გაგვყავს ერთი სატანკო ბრიგადა როტმისტროვისგან, ხოლო კრასნოგოროდკა—მატვეევკას რაიონში — 340-ე მსროლელთა დივიზია უმაჩენკოსაგან.

კოროტეევის, რიჟოვისა და ტროფიმენკოს არმიები 9 თებერვალს განაგრძობენ შეტევას.

8 თებერვალს 15.50-ზე ჩვენმა პარლამენტიორებმა სტებლევის

საბრძოლო უბნის სარდლის პოლკოვნიკ ფუკეს მეშვეობით ულტიმატუმი ჩააბარეს ალყაშემორტყმულ მოწინააღმდეგეს.

პარლამენტიორები დაბრუნდნენ და გვაცნობეს, რომ გერმანელთა სარდლობა 9 თებერვალს 11.00-ზე მოგვცემს პასუხს.

ქუკოვი".

9 თებერვლის 12 საათზე გენერალ შტემერმანის შტაბმა გვაცნობა, რომ უარყოფდნენ ჩვენს ულტიმატუმს.

გარშემორტყმის შიდა ფრონტზე და გარე ფრონტის მხრიდანაც გერმანელებმა მაშინვე წამოიწყეს გააფთრებული იერიშები. განსაკუთრებით ცხარე ბრძოლები გაჩაღდა 11 თებერვალს. ჩვენი ჯარები განსაკუთრებული შეუპოვრობით იბრძოდნენ. გერმანელთა სატანკო დივიზიებმა დიდი ზარალის ფასად შეძლეს ლისიანკამდე წამოწევა, მაგრამ ამის იქით ძალა აღარ ეყოთ, და მოწინააღმდეგე თავდაცვაზე გადავიდა.

ღამით უკვე 12 თებერვალს გარშემორტყმული ჯარების ჯგუფი შეგროვდა ვიწრო უბანზე და სცადა სტებლევთან გაერღვია ალყა და ლისიანკაში გაპრილიყო სატანკო დივიზიებთან შესაერთებლად, მაგრამ ვერ შეძლო. მოწინააღმდეგის შემდგომი წინსვლა შეჩერებულ იქნა. გერმანელთა ჯარების ალყაშემორტყმულ და მადებლოკირებელ ჯგუფებს შორის მანძილი 12 კილომეტრამდე შემცირდა, მაგრამ იგრძნობოდა, რომ მოწინააღმდეგეს არ ეყოფოდა ძალა შეერთებისათვის.

1944 წლის 12 თებერვალს, ჯერ კიდევ ღამით, შეტყობინება გავუგზავნე მთავარბანაკს:

„კრავჩენკოსთან:

მოწინააღმდეგე 160 ტანკითა და მოტორიზებული ქვეითი ჯარით რიზინო—ჩემერისკოე—ტარასოვკას ფრონტიდან აწარმოებს შემოტევას ლისიანკის საერთო მიმართულებით. მან გაარღვია 47-ე მსროლელთა კორპუსის პირველი ხაზი და სოლივით შემოიჭრა ჩვენს თავდაცვაში 10 კმ-მდე.

მოწინააღმდეგის შემდგომი წინსვლა შეაჩერეს მდინარე გნილოი ტკიჩზე 340-ე მსროლელთა დივიზიისა და მე-5 მექანიზებული კორპუსის ნაწილებმა, რომლებიც თავდაცვის მეორე ხაზსს ქმნიან, და СУ-85 სარეზერვო პოლკებმა.

47-ე მსროლელთა კორპუსის მეთაურთან კავშირის უქონლობის მიზეზით ვაზუსტებთ მდგომარეობას არმიის მარცხენა ფლანგზე ჟაბინკა—რიზინო—დუბროვკას მიმართულებით.

კრავჩენკოს საკმარისი ძალები და საშუალებები ჰქონდა მოწინააღმდეგის იერიშების მოსაგერიებლად, მაგრამ ჩვენი თავდაცვის პირველი ხაზის გარღვევისას კრავჩენკომ დაკარგა არმიის ნაწილების მართვის სადავეები.

ვუბრძანე ნიკოლაევს[1] სასწრაფოდ გაშალოს ჯურჟენცში 27-ე არმიის მართვა და კრაეჩენკო ოპერატიული მხრით ტროფიმენკოს დაუმორჩილოს.

12 თებერვლის დილისათვის ბოგდანოვის არმიის მთავარ ძალებს თავი მოუყაროს ლისიანკა—დაშუკოვკა—ჩესნოვკას რაიონში. 202-ე მსროლელთა დივიზია გაშალოს ხიეინცი—ჯურჟენცის ზღუდეზე, იქვე გადაიყვანოს მთლიანად დაკომპლექტებული ბრიგადა კატუკოვისა.

სტეპინს[2] ვუბრძანე დილისათვის ლისიანკაში ჰყავდეს როტმისტროვისაგან ორი ბრიგადა და მდინარე გნილოი ტკიჩის გაყოლებით ლისიანკა—მურზინცის უბანზე დაიკავოს თავდაცვა, პირველ რიგში, ტანკსაწინააღმდეგო თავდაცვა.

სტეპინთან:

როტმისტროვის არმიამ დღეს მოიგერია მოწინააღმდეგის 60-მდე ტანკის იერიშები ერკოვიდან ზვენიგოროდკის მიმართულებით. დაზვერვის მიერ დადგენილია 40-მდე ტანკის მოძრაობა კაპუსტინიდან ერკისაკენ. შესაძლოა, მოწინააღმდეგეს ზვენიგოროდკის მიმართულებაზე გადმოჰყავს ტანკები ლებედინსკოეს მიმართულებიდან.

სტეპინს 12 თებერვლის დილისათვის მე-18 სატანკო კორპუსი გადაჰყავს მიხაილოვკაში (ზვენიგოროდკის აღმოსავლეთით), ხოლო 29-ე სატანკო კორპუსი — კნიაჟიე—ლოზოვატკას რაიონში.

სმირნოვის არმია მიროპოლიეს, კოშაკის, გლუშკისათვის აწარმოებდა ბრძოლებს.

იმისათვის, რომ უფრო მოხერხებული იყოს მართვა, 12 თებერვლის 12.00-დან ტროფიმენკოს 180-ე მსროლელთა დივიზია უკრაიხის მე-2 ფრონტის შემადგენლობაში იქნება გადაცემული.

სტეპინს ვუბრძანე 12.2.44-ს კოროტეევისა და სმირნოვის არმიების მთავარი ძალებით აღმოსავლეთიდან შეუტიოს სტებლევს და ზურგში დაარტყას გარშემორტყმული მოწინააღმდეგის მთავარ დაჯგუფებას, რომელიც შეტევაზე გადმოსული სატანკო ჯგუფის შეჰხვდური მიმართულებით გასაჭრელად ემზადება.

ფრონტების მთელი ღამის ავიაცია სტებლევის რაიონში მოქმედებს.

ჟუკოვი".

12 თებერვალს დილით გრიპი მომერია, დიდი სიცხე მომცა და ლოგინში ჩამაწვინეს. ჩათბუნებულს, მაგრად დამეძინა. არ ვიცი, რამდენ ხანს მეძინა, ვიგრძენი — ჩემი გენერალ-ადიუტანტი ლეონიდ თევ-

---

1 ნ. თ. ვატუტინის ფსევდონიმია (რ ე დ.)

2 ი. ს. კონევის ფსევდონიმია (რ ე დ.)

დორეს ძე მინიუკი მთელი ძალ-ღონით მეჯაჯგურება და ცდილობს გამომაფხიზლოს. ვეკითხები:

— რა ამბავია?

— ი. ბ. სტალინი რეკავს, — მიპასუხა ლ. თ. მინიუკმა.

ლოგინიდან წამოვხტი და ყურმილი ავიღე. უმაღლესმა მთავარსარდალმა მითხრა:

— ეს-ეს არის მომახსენეს, ვატუტინთან მოწინააღმდეგე ღამით შანდეროვკის რაიონიდან ხილკისა და ნოვაია ბუდაში გაიჭრაო. თქვენ იცით ეს ამბავი?

— არა, არ ვიცი.

— შეამოწმეთ და მომახსენეთ.

მაშინვე დავურეკე ნ. თ. ვატუტინს და გამოვარკვიე: მოწინააღმდეგემ, ისარგებლა რა ქარბუქით, მართლაც სცადა გარემოცვის გარღვევა და უკვე მოასწრო ორი-სამი კილომეტრით წინ წაწევა, ხილკიც დაიკავა, მაგრამ შეჩერებულ იქნა.

ნ. თ. ვატუტინს დამატებითი ღონისძიებების თაობაზე მოველაპარაკე, მერე კი უმაღლეს მთავარსარდალს დავურეკე და მოვახსენე ის, რაც ნ. თ. ვატუტინის გადმოცემით ვიცოდი.

ი. ბ. სტალინმა თქვა:

— კონევი წინადადებას იძლევა მას გადავცეთ მოწინააღმდეგის კორსუნ-შევჩენკოვსკის ჯგუფის გარემომცველი ჯარების ხელმძღვანელობა, ხოლო გარე ფრონტზე მოქმედი ჯარების ხელმძღვანელობა კი ვატუტინს დავაკისროთ.

— ქვაბში მოქცეული მოწინააღმდეგის ჯგუფის საბოლოო განადგურება, — ვუპასუხე მე, — სამი-ოთხი დღის საქმეა. უკრაინის 1-ლი ფრონტის 27-ე არმიის ჯარების მართვის გადაცემამ შეიძლება დააყოვნოს ოპერაციის მსვლელობა.

— დაე ვატუტინმა პირადად უხელმძღვანელოს მე-13 და მე-60 არმიების ოპერაციას როვნო—ლუცკი—დუბნოს რაიონში, თქვენ კი იკისრეთ პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ არ დაუშვათ მოწინააღმდეგის დამკვრელი ჯგუფის მიერ ლისიანკის რაიონის გარე ფრონტის გარღვევა. ნახვამდის.

ერთი-ორი საათის მერე შემდეგი შინაარსის დირექტივა მივიღეთ:

„უკრაინის 1-ლი ფრონტის სარდალს.

უკრაინის მე-2 ფრონტის სარდალს.

ამხ. იურიევს[1].

იმის გამო, რომ მოწინააღმდეგის კორსუნის დაჯგუფების ლიკვიდაციისათვის აუცილებელია ამ ამოცანით მოქმედი ჯარების ღონის-

---

[1] გ. ვ. ჟუკოვის ფსევდონიმია (რ ე დ.)

ძიებათა სრული გაერთიანება, და რამდენადაც ამ ჯარების მეტი წილი უკრაინის მე-2 ფრონტს ეკუთვნის, უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკი ბრძანებს:

1. მოწინააღმდეგის კორსუნის დაჯგუფების წინააღმდეგ მოქმედი ჯარების ხელმძღვანელობა დაეკისროს უკრაინის მე-2 ფრონტის სარდალს იმ ამოცანით, რომ უმოკლეს ვადაში იქნას განადგურებული გერმანელთა კორსუნის დაჯგუფება.

შესაბამისად ამისა, 27-ე არმია 180-ე, 337-ე, 202-ე მსროლელთა დივიზიების, 54-ე, 159-ე გამაგრებული რაიონებისა და მის განკარგულებაში მყოფი გაძლიერების ყველა ნაწილის შემადგენლობით 1944 წლის 12 თებერვლის 24 საათიდან ოპერატიულ დაქვემდებარებაში გადაეცეს უკრაინის მე-2 ფრონტის სარდალს. 27-ე არმიის მომარაგება მთლიანად დარჩეს უკრაინის 1-ლი ფრონტის მოვალეობაში.

უკრაინის მე-2 ფრონტის სარდალმა, სანამ პირდაპირ კავშირს დამყარებდეს, უკრაინის 1-ლი ფრონტის შტაბის მეშვეობით იქონიოს კავშირი 27-ე არმიის შტაბთან.

2. ამხ. იურიევი განთავისუფლებულ იქნას გერმანელთა კორსუნის დაჯგუფების ლიკვიდაციაზე მეთვალყურეობისაგან და დაეკისროს უკრაინის 1-ლი და მე-2 ფრონტების ჯარების მოქმედების კოორდინაცია ამოცანით — არ დაუშვან ლისიანკისა და ზვენიგოროდკის მხრიდან მოწინააღმდეგის გამოჭრა კორსუნის ალყაშემორტყმულ დაჯგუფებასთან შესაერთებლად.

შესრულება მოგვახსენეთ.

უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკი.

ი. სტალინი
ა. ანტონოვი

12 თებერვალი 1944 წ.
№ 220022".

ნ. თ. ვატუტინი ძალზე შთაბეჭდილებიანი ადამიანი იყო. დირექტივა რომ მიიღო, მაშინვე დამირეკა, რადგან ეგონა, მე ვიყავი ამ გადანაცვლების ინიციატორი, და წყენით მითხრა:

— ამხანაგო მარშალო, სხვამ კიდევ ჰო, მაგრამ თქვენ ხომ იცით, რომ ზედიზედ რამდენიმე დღე-ღამეა თვალიც არ მომიხუჭავს, მთელ ძალ-ღონეს ვაძაბავდი კორსუნ—შევჩენკოვსკის ოპერაციის განხორციელებისათვის. ჰოდა, რა ამბავია, ახლა ასე ერთბაშად რომ გადამაყენეს და საშუალებას მისპობენ ბოლომდე მივიყვანო ეს ოპერაცია? მეც ჩემი ფრონტის ჯარების პატრიოტი ვარ და მინდა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სალუტით მიესალმოს უკრაინის 1-ლი ფრონტის მებრძოლებს.

— ნიკოლოზ თეოდორეს ძევ, ეს უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებაა, მე და თქვენ კი ჯარისკაცები ვართ, მოდით, უსიტყვოდ შევასრულოთ ბრძანება.

ნ. თ. ვატუტინმა მიპასუხა:

— გისმენთ, ბრძანება შესრულებული იქნება.

12 თებერვლის მერე მოწინააღმდეგემ, რანაირად არ სცადა შანდეროვკის რაიონიდან ლისიანკაში გაჭრა, მაგრამ წარმატებას მაინც ვერ მიაღწია.

14 თებერვალს უკრაინის მე-2 ფრონტის 52-ე არმიის ჯარებმა ქალაქი კორსუნ-შევჩენკოვსკი დაიკავეს. გარშემორტყმის წრე თანდათან იკუმშებოდა. გერმანელთა ჯარების მეომრების, ოფიცრებისა და გენერლებისათვის ცხადი შეიქნა, რომ დაპირებულ დახმარებას ვერ ეღირსებოდნენ, მხოლოდ საკუთარი თავის იმედიღა უნდა ჰქონოდათ. ტყვეთა ნაამბობით, ჯარები სრულმა სასოწარკვეთამ მოიცვა, განსაკუთრებით მაშინ, როცა შეიტყვეს, რომ ზოგიერთმა გენერალმა — დივიზიათა მეთაურებმა და შტაბების ოფიცრებმა — თვითმფრინავებით უშველა თავს.

ღამით, 16 თებერვალს, თოვლის ქარბუქი ამოვარდა. ხილვადობა 10—20 მეტრამდე შემცირდა. გერმანელებს კვლავ ჩაესახათ ლისიანკაში გაღწევისა და ხუბეს ჯგუფთან შეერთების იმედი. მაგრამ ამათი ცდა მოგერიებულ იქნა ს. გ. ტროფიმენკოს 27-ე არმიისა და უკრაინის მე-2 ფრონტის მე-4 გვარდიული არმიის მიერ.

განსაკუთრებით გმირულად იბრძოდნენ გენერალ-მაიორ კ. ნ. ცვეტკოვის 41-ე გვარდიული მსროლელთა დივიზიის სასწავლო ბატალიონის კურსანტები. 17 თებერვალს მთელი დილის განმავლობაში გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა ალყის გასარღვევად დაძრულ გერმანელთა ჯარების კოლონებთან, რომლებიც ძირითადად მოსპობილ და დატყვევებულ იქნენ. მხოლოდ გენერალთა, ოფიცერთა და ესესელთა ტანკებისა და ჯავშანტრანსპორტიორების მცირე ნაწილმა შეძლო გარემოცვისგან თავის გაღწევა.

როგორც ვვარაუდობდით, 17 თებერვალს მთლიანად მოერჩით ალყაშემორტყმული დაჯგუფების განადგურებას. უკრაინის მე-2 ფრონტის მონაცემებით, ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს 18 ათასი ტყვე და ამ დაჯგუფების მთელი საომარი ტექნიკა.

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქმა 18 თებერვალს სალუტი მისცა უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებს. უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებზე სიტყვაც არ თქმულა. ვფიქრობ, ეს მთავარბანაკის შეცდომა იყო.

როგორც ცნობილია, მტრის დაჯგუფების გარშემორტყმისა და მოსპობის წარმატება დამოკიდებულია როგორც შიდა, ასევე გარე

ფრონტების მოქმედებაზე. ორივე ფრონტი, რომლებსაც ნ. თ. ვატუტინი და ი. ს. კონევი სარდლობდნენ, შესანიშნავად იბრძოდა.

უკრაინის ფრონტების ჯარების წარმატებითი მოქმედების შედეგად 1944 წლის თებერვლის ბოლოსათვის ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა მარჯვენა ნაპირის უკრაინის ტერიტორიიდან მტრის ჯარების მთლიანად განდევნისათვის. უკრაინის 1-ლი ფრონტი, დაეუფლა რა თავისი მარჯვენა ფრთით ლუცკი—შუმსკოე—შეპეტოვკას რაიონს, მოწინააღმდეგის პროსკუროვო—ვინიცის დაჯგუფების ფლანგზე გავიდა. უკრაინის მე-2 ფრონტმა დაიკავა ამოსავალი რაიონი უმანზე გავლით მოგილევ-პოდოლსკის მიმართულებით დარტყმისათვის. უკრაინის მე-3 ფრონტი კრივოი როგი—შიროკოე—კოჩკაროვკას ხაზზე გავიდა და მზად იყო ტირასპოლ-ოდესის მიმართულებით დარტყმისათვის.

18-დან 20 თებერვლამდე მე მთავარბანაკში ვიყავი, სადაც უმაღლეს მთავარსარდალს ჩემს მოსაზრებებს მოვახსენებდი შემდგომი ოპერაციების გეგმის თაობაზე. უმაღლესმა მთავარსარდალმა მიბრძანა კვლავ გაებრუნებულიყავი უკრაინის 1-ლი და მე-2 ფრონტების მოქმედებათა საკოორდინაციოდ და დროის დაუკარგავად დაგვეწყო მათი შეტევა.

21 თებერვალს უკრაინის 1-ლი ფრონტის შტაბში ჩავედი და პირველ რიგში ნ. თ. ვატუტინსა და ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრებს გავაცანი მთავარბანაკში მიღებული ახალი მითითებები.

ვითარებისა და იმ ამოცანების დაზუსტების შემდეგ, რომლებიც მთავარბანაკის მიერ იყო დამტკიცებული, ფრონტები აჩქარებით შეუდგნენ ახალი შეტევითი ოპერაციებისა და მათი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მომზადებას. იმის გამო, რომ უკრაინაში ამ დროს ნამდვილი გაზაფხულის უგზოობა დაიწყო, ეს ამბავი უდიდეს სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. განსაკუთრებით მძიმე საქმე იყო ჭურვების, ნაღმების, ბომბების, საწვავისა და სურსათის თავმოყრა უშუალოდ საჯარისო ნაწილებში.

გერმანელთა სარდლობა ფიქრობდა, რომ ასეთ პირობებში საბჭოთა ჯარები ვერ შეძლებდნენ შეტევის წარმოებას და საკმარისი დრო ექნებოდათ ძალების გადაჯგუფებისა და თავდაცვის გამაგრებისათვის. ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ სწორედ ამ უსაფუძვლო ვარაუდზე გამოგვეპირა მტერი და რიგი გამანადგურებელი დარტყმები მიგვეყენებინა მისთვის.

მოკლედ რომ ვთქვათ. ჩვენ კვლავ გადავწყვიტეთ გამოგვეყენებინა ოპერატიული უეცრობა, რომელიც ახლა მტკიცედ ჰქონდა ათვისებული საბჭოთა ოპერატიულ-სტრატეგიულ ხელოვნებას.

მთავარბანაკის გეგმების შესაბამისად, უკრაინის 1-ლი ფრონტი მთავარ დარტყმას აპზადებდა დუბნო—შეპეტოვკა—ლიუბარის რაიო-

ნიდან ჩერნოვიცის საერთო მიმართულებით, რათა პროსკუროვ—ვინიცა—კამენეც-პოდოლსკის დაჯგუფება გაენადგურებინა. კარპატების მთისწინეთში გასვლით ვვარაუდობდით მოწინააღმდეგის სტრატეგიული ფრონტის გაპობას, რათა უმოკლესი გზებით მანევრირების საშუალება მოგვეესპო მისთვის. ამ ოპერაციის წარმატების შემთხვევაში გერმანელთა ჯარების მთელი სამხრეთის ჯგუფი იძულებული შეიქნებოდა ესარგებლა მხოლოდ „ფოკშანის კარზე“ რუმინეთსა და უნგრეთზე გამავალი კომუნიკაციებით, ესენი კი ერთობ შორი გზები იყო მანევრისათვის.

უკრაინის მე-2 ფრონტს ბელეი—იასის საერთო მიმართულებით უნდა გაეშალა შეტევა. ძალების ნაწილით ნავარაუდევი იყო ხოტინზე შეტევა უკრაინის 1-ლი ფრონტის მარცხენა ფრთასთან თანამოქმედებით. უკრაინის მე-3 ფრონტი ამზადებდა ოდესა—ტირასპოლზე დარტყმას იმ ანგარიშით, რომ გაეთავისუფლებია ზღვისპირეთის რაიონები, დნესტრზე გასულიყო და იქ პლაცდარმი დაეპყრო.

28 თებერვალს, დღისით, როცა ფრონტის შტაბში ვიმყოფებოდი, ნ. თ. ვატუტინთან შევედი, რათა კიდევ ერთხელ განმეხილა ძასთან ერთად მომავალი ოპერაციის საკითხები. ორსაათიანი ერთობლივი მუშაობის შემდეგ მან მითხრა:

— მინდა მე-60 და მე-13 არმიებში ჩავიდე, ვნახო, როგორ წყვეტენ იქ ავიაციასთან თანამოქმედების საკითხებს და მომზადებული იქნება თუ არა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება ოპერაციის დაწყებისათვის.

მე ვურჩიე თავისი მოადგილეები გაეგზავნა, თვითონ კი არმიების სარდალთა გადაწყვეტილებების განსახილველად ჩამჯდარიყო, კიდევ ერთხელ შეემოწმებია ავიაციასთან თანამოქმედება და ფრონტის ზურგის ორგანიზაცია. ნიკოლოზ თეოდორეს ძემ წასვლა აიჩემა. მას მხარს უჭერდა სამხედრო საბჭოს წევრი, რომელიც იმიზეზებდა, დიდი ხანია არ ვყოფილვართ მე-60 და მე-13 არმიებშიო. ბოლოს, მეც დავთანხმდი, ოღონდ იმ პირობით, რომ ამასობაში მე თვითონ წავიმუშავებდი ფრონტის შტაბთან, ზურგის სამმართველოსა და გვარეობათა ჯარების სარდლებთან.

სამწუხაროდ, უბედურება მოხდა. 29 თებერვალს საველე აეროდრომიდან დამირეკეს და მომახსენეს — სერიოზულად დაჭრილი ფრონტის სარდალი ნ. თ. ვატუტინი მოიყვანეს ჩვენთან და თვითმფრინავს ვამზადებთ, რათა კიევის ჰოსპიტალში გადავიყვანოთო

სასწრაფოდ მივეცი სათანადო მითითებები ფრონტის სანიტარული სამსახურის უფროსს, მე თვითონ ვიკისრე ფრონტის სარდლობა და მაშინვე დავურეკე ი. ბ. სტალინს. ნ. თ. ვატუტინის დაჭრისა და ევაკუაციის ამბავი რომ მოვახსენე, უმაღლესმა მთავარსარდალმა დაამ-

ტიცა ჩემი გადაწყვეტილება — სათავეში ჩავდგომოდი ფრონტის ჯარებს მომავალი მნიშვნელოვანი და რთული ოპერაციის ჩატარების დროისათვის.

როგორც მერე გამოირკვა, ნ. თ. ვატუტინი მე-60 არმიის ჯარების შემოვლას აწარმოებდა. წინ დაცვა მიდიოდა. ნ. თ. ვატუტინი მეორე მანქანაში იჯდა სამხედრო საბჭოს წევრ კ. ვ. კრაინიუკოვთან ერთად.

ერთ-ერთ სოფელში რომ შევიდნენ, მათ ბანდერელთა ბანდიტურ-დივერსიულმა ჯგუფმა აუტეხა სროლა. ნ. თ. ვატუტინი მანქანიდან გადმოხტა და ოფიცერთა მხარდამხარ ჩაება ურთიერთსროლაში, რომლის დროს ნიკოლოზ თევდორეს ძე ბარძაყში დაიჭრა.

კიევში საუკეთესო ექიმები გამოვიძახეთ, მათ რიცხვში ცნობილი ქირურგი ნ. ნ. ბურდენკოც, მაგრამ ნ. თ. ვატუტინის გადარჩენა მაინც არ მოხერხდა. ის 15 აპრილს გარდაიცვალა. 17 აპრილს ნ. თ. ვატუტინი კიევში დაკრძალეს. მოსკოვმა ოცი საარტილერო ზალპით სცა უკანასკნელი სამხედრო პატივი სამშობლოს ერთგულ შვილსა და ნიჭიერ მხედართმთავარს.

ოპერაციის დასაწყისისათვის ჩვენ მოკლე ვადებში უნდა გაგვეხორციელებინა ჯარების დიდი გადაჯგუფებები ფრონტის მარცხენა ფრთიდან მარჯვენა ფრთის სიახლოვეს. მე-3 გვარდიული სატანკო არმია ბერდიჩევის რაიონიდან შუმსკოეს რაიონში (დაახლოებით 200 კილომეტრზე) უნდა გადაგვეყვანა, ხოლო მე-4 სატანკო არმიას 350 კილომეტრი უნდა გაევლო. დაახლოებით ასეთივე მანძილები უნდა გადაელახა გაზაფხულის უგზოობის პირობებში საარტილერიო, საინჟინრო ნაწილებსა და ზურგის ორგანოების მნიშვნელოვან რაოდენობას.

გადაჯგუფების გეგმა, ყველა სიძნელისდა მიუხედავად, დროზე იქნა შესრულებული. ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ მოწინააღმდეგის დაზვერვამ ვერ აღმოაჩინა ეს გადაჯგუფებები, რომლებიც ძირითადად ღამის სიბნელეში ხორციელდებოდა, ხოლო დღისით — ცუდ ამინდში.

1-ლ მარტს მთავარბანაკის დირექტივით უკრაინის 1-ლი ფრონტის სარდლად დავინიშნე. ამ დღიდან მე დამეკისრა სრული პასუხისმგებლობა ფრონტის ჯარების მომავალი ოპერაციის წარმატებისათვის. უკრაინის მე-2 ფრონტის მართვა მთავარბანაკმა თავის ხელში აიღო.

1944 წლის 4 მარტს უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა შეტევა დაიწყეს. შუმსკოე—ლიუბარის უბანზე გარღვეულ იქნა მოწინააღმდეგის თავდაცვის ფრონტი და წარმოქმნილ ბზარში მე-3 გვარდიული და მე-4 სატანკო არმიები შევიყვანეთ. 7 მარტისათვის ამ არმიებმა, ძლევდნენ რა მტრის წინააღმდეგობას, ტერნოპოლ—პროსკუროვის

ხაზზე გააღწიეს და გადაკვრეს მნიშვნელოვანი სარკინიგზო მაგისტრალი ლვოვი—ოდესა.

გერმანელთა ჯარების სარდლობამ, იგრძნო რა თავისი პროსკუროვ—ვინიცა—კამენეც-პოდოლსკის დაჯგუფების გარშემორტყმის საშიშროება, თხუთმეტ დივიზიას მოუყარა თავი უკრაინის 1-ლი ფრონტის წინააღმდეგ.

7 მარტს აქ გაჩაღდა უსასტიკესი ბრძოლა, ისეთი, როგორიც კურსკის რკალის შემდეგ აღარ გვესახა.

რვა დღე-ღამის განმავლობაში ცდილობდა მტერი საწყის პოზიციებისაკენ უკუეგდო ჩვენი ჯარები. მოქანცეს და სისხლისგან დაცალეს რა მოწინააღმდეგის კონტრდამრტყმელი ძალები, ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც ფრონტის რეზერვებით, ძათ რიცხვში 1-ლი სატანკო არმიით, გავაძლიერეთ, 21 მარტს გატეხეს მტრის წინააღმდეგობა მთავარი დარტყმის უბანზე და სამხრეთისაკენ სწრაფი წინსვლა დაიწყეს. განსაკუთრებით სწრაფად მიეშურებოდნენ 1-ლი სატანკო არმიის შენაერთები. ამავე დროს წარმატებით მიიწევდნენ წინ ფრონტის დანარჩენი არმიებიც, რომლებიც აღმოსავლეთიდან, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან უტევდნენ.

1-მა სატანკო არმიამ, ძლევდა რა მოწინააღმდეგის ნაწილებს, 24 მარტს ხელთ იგდო ქალაქი ჩერტკოვი, ხოლო არმიის მე-8 გვარდიული კორპუსი გენერალ ი. თ. დრემოვის მეთაურობით იმავე დღეს, დილით, დნესტრთან გავიდა. ზალეშჩიკის რაიონსა და დნესტრს მიაღწია პოლკოვნიკ ა. ხ. ბაბაჯანიანის მე-20 მოტომსროლელთა ბრიგადამაც. დნესტრთანვე გავიდნენ გენერალ ა. ლ. გეტმანის მე-11 გვარდიული სატანკო კორპუსის ნაწილებიც.

ღამით, უკვე 25 მარტს, პოლკოვნიკ ი. ნ. ბოიკოს 64-ე სატანკო ბრიგადამ ხელთ იგდო სადგური მოშა (ჩერნოვიცის მისადგომებთან), სადაც ამ დროს ტანკებისა და საომარი მასალის გადმოტვირთვა წარმოებდა გერმანელთა ეშელონიდან. ეს ეშელონი ჩვენი ტანკისტების ნადავლი გახდა. 28 მარტს ჩვენი ტანკისტები ჩერნოვიცის აეროდრომზე შეიჭრნენ, იქ კი სწორედ ამ დროს ჰაერში ასაფრენად ამზადებდნენ მოწინააღმდეგის რამდენიმე ათეულ თვითმფრინავს. მათ აღარ დასცალდათ აფრენა.

29 მარტს გენერალ ა. ლ. გეტმანის მე-11 გვარდიული სატანკო კორპუსისა და 24-ე მსროლელთა დივიზიის ნაწილებმა მთლიანად გაათავისუფლეს გერმანელი ოკუპანტებისაგან ქალაქი ჩერნოვიცი. მოსახლეობა უდიდესი სიხარულით შეეგება საბჭოთა ჯარებს.

მათი თხოვნით 1-ლი სატანკო არმიის სამხედრო საბჭომ გადაწყვიტა პიედესტალზე დაედგა ლეიტენანტ პ. თ. ნიკიტინის ტანკი. მემო-

რიალურ დაფაზე ამოკვეთილი წარწერა გვაცნობს: „გვ. ლეიტენანტ პ. თ. ნიკიტინის ეკიპაჟის ტანკი პირველი შემოიჭრა ქალაქში გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთაგან მისი განთავისუფლების დროს 1944 წლის 25 მარტს". პ. თ. ნიკიტინის სახელი ეწოდა ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას.

მარტის ბოლოსათვის მტრის დაჯგუფება 21 დივიზიის რაოდენობით, მათ რიცხვში ათი სატანკო, ერთი მოტორიზებული, ერთი საარტილერიო დივიზია, ძირითადად ალყაშემორტყმული იყო.

გარშემორტყმული დაჯგუფების მოსასპობად მე-18 და 38-ე არმიები მოემართებოდნენ აღმოსავლეთიდან; 1-ლი გვარდიული არმიის შენაერთთა ნაწილი, მე-4 და 1-ლი სატანკო არმიები (მე-8 მექანიზებული კორპუსის გამოკლებით) დნესტრის გაღმა გავიდნენ და სამხრეთის გზები გადაუკრეს მოწინააღმდეგეს. ჩვენი ჯარები, რომლებიც შიდა ფრონტზე მოქმედებდნენ, უკიდურესად შესუსტებულნი იყვნენ გადამწყვეტი ბრძოლის წინ. მათ არ ჰყოფნიდათ არტილერია და საომარი მასალა, რომლებიც სრული უგზობის მიზეზით ჩამორჩნენ ჯარებს. მე-3 გვარდიული სატანკო არმია, რომელსაც მწყობრში მცირე რაოდენობით ჰყავდა ტანკები, უმაღლესი მთავარსარდლის მითითებით რეზერვში იქნა გაყვანილი შევსებისათვის. მე-4 სატანკო არმია, რომელიც მარტის მიწურულისათვის კამენეც-პოდოლსკის რაიონში იმყოფებოდა, ასევე საგრძნობლად შესუსტებული იყო.

ეს ყოველივე, ერთად აღებული, დიდად აბრკოლებდა მოწინააღმდეგის გარშემორტყმული დაჯგუფების დანაწევრებისა და მოსპობისათვის ჯარების ენერგიულ მოქმედებას. ახლა, მთელ ამ ოპერაციას რომ ვაანალიზებ, ვფიქრობ, რომ 1-ლი სატანკო არმია ჩერტკოვ-ტოლსტოეს რაიონიდან აღმოსავლეთისაკენ უნდა შეგვებრუნებინა და დაგვერტყა გარშემორტყმული მოწინააღმდეგისათვის. მაგრამ მაშინ ჩვენ ხელთ გვქონდა სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული საფუძვლიანი მონაცემები, რომ ალყაშემორტყმულ მოწინააღმდეგეს გადაწყვეტილი ჰქონდა ზალეშჩიკის რაიონში გადაელახა დნესტრი და სამხრეთით გაეღწია გარემოცვიდან. ასეთი გადაწყვეტილება სავსებით შესაძლებელი და ლოგიკური ჩანდა.

ამ შემთხვევაში მოწინააღმდეგეს, გადალახავდა რა დნესტრს, შეეძლო მდინარის სამხრეთი ნაპირი დაეკავებია და თავდაცვა მოეწყო იქ. ამას ხელს შეუწყობდა ის გარემოებაც, რომ უკრაინის მე-2 ფრონტის მარჯვენა ფლანგზე მოქმედი მე-40 არმია 30 მარტს კიდევ არ იყო მისული ხოტინთან.

ჩვენ მიგვაჩნდა, რომ ამ პირობებში აუცილებელი იყო უფრო ღრმად შემოვწედომოდით მოწინააღმდეგეს 1-ლი სატანკო არმიით, დნესტრის გაღმა გადაგვესროლა მისი მთავარი ძალები და ხელთ

გვეგდო ზალეშჩიკ — ჩერნოვიცი — კოლომიას რაიონი. მაგრამ როცა „სამხრეთის“ არმიათა ჯგუფის სარდლობამ საბჭოთა ჯარების მიერ სამხრეთისაკენ უკანდასახევი გზების გადაჭრის ამბავი შეიტყო, ალყაშემორტყმულ ჯარებს უბრძანა სამხრეთისაკენ კი არა, არამედ დასავლეთისაკენ გაეკვლიათ გზა ბუჩაჩისა და პოდგაიცის გავლით.

როგორც შემდეგ ნადავლი დოკუმენტებიდან გამოირკვა, „სამხრეთის“ არმიათა ჯგუფის სარდლობამ ჯარების საკმაოდ დიდი ჯგუფი შეკრიბა, მათ რიცხვში სს-ის მე-9 და მე-10 სატანკო დივიზიები, და 4 აპრილს ძლიერად დაარტყა ჩვენს გარე ფრონტს პოდგაიცის რაიონიდან. გადათელა რა 1-ლი გვარდიული არმიის მე-18 კორპუსის თავდაცვა, მოწინააღმდეგის სატანკო ჯგუფმა სწრაფად მოაშურა ბუჩაჩის რაიონს, რათა ალყიდან გამომავალ თავის ნაწილებს მიშველებოდა.

რამდენმა კაცმა გაარღვია ალყა, ამის ზუსტად დადგენა ვერც მე, ვერც ფრონტის შტაბმა ვერ შეეძელით. ეტყობა, გარემოცვას მაინც დააღწია თავი არა რამდენიმე ათეულმა ტანკმა და მათმა დესანტმა, როგორც მაშინ ჯარები გვატყობინებდნენ, არამედ ბევრად უფრო მეტმა.

მძიმე ბრძოლების მსვლელობაში მოწინააღმდეგის 1-ლი სატანკო არმიის ალყაშემორტყულმა ჯარებმა დაკარგეს თავისი პირადი შემადგენლობის ნახევარზე გაცილებით მეტი, მთელი არტილერია, ტანკებისა და მოიერიშე მანქანების მეტი წილი. ზოგიერთი შენაერთისგან მხოლოდ შტაბებიღა დარჩა.

12 აპრილს დაიწყო ტერნოპოლში ალყაშემორტყმული მოწინააღმდეგის ლიკვიდაცია. აქ მტრის ჯარები ორი დღის შემდეგ იქნა მოსპობილი. 14 აპრილს მე-15, 94-ე მსროლელთა და მე-4 გვარდიულმა სატანკო კორპუსებმა ქალაქი ტერნოპოლი დაიკავეს.

ოპერაცია რომ დაასრულეს, ფრონტის ჯარები თავდაცვაში გადავიდნენ ტორჩინ—ბერესტჩეკო—კოლომია—კუტას ზღუდეზე.

კიდევ უფრო უარესად გექონდა საქმე პროსკუროვ—კამენეც-პოდოლსკის დაჯგუფების გარშემორტყმასთან. ამ ოპერაციის მსვლელობაში ჩვენ ვერ განვახორციელეთ ჯარების აუცილებელი გადაჯგუფება.

ოპერაციის განმავლობაში ფრონტის ჯარებმა სამას ორმოცდაათ კილომეტრამდე წაიწიეს წინ. მოწინააღმდეგის თავდაცვის ფრონტი ძირფესვიანად იქნა მოშლილი. ქალაქ ტერნოპოლიდან ჩერნოვიცამდე წარმოიქმნა უზარმაზარი ბზარი: ის რომ დაეხურა, გერმანელთა სარდლობას მოუხდა სასწრაფოდ გადმოესროლა აქეთ მნიშვნელოვანი ძალები სხვა ფრონტებიდან, იუგოსლავიიდან, საფრანგეთიდან, დანიიდან და გერმანიიდან. აქეთკენვე გადმოანაცვლეს უნგრეთის 1-ლი არმიაც.

ფრონტის ჯარებმა გაათავისუფლეს 57 ქალაქი, 11 სარკინიგზო კვანძი, მრავალი ასეული დასახლებული პუნქტი, საოლქო ცენტრები ვინიცა, პროსკუროვი, კამენეც-პოდოლსკი, ტერნოპოლი, ჩერნოვიცი და კარპატების მთისწინეთში გავიდნენ, რითაც ორად გახლიჩეს მოწინააღმდეგის სამხრეთის დაჯგუფების ჯარების მთელი სტრატეგიული ფრონტი. ამ დროიდან ხსენებულ დაჯგუფებას აღარ გააჩნდა სხვა კომუნიკაციები, გარდა რუმინეთზე გასასვლელი გზებისა.

საბჭოთა ჯარებმა კვლავაც მაღალი საბრძოლო ოსტატობა გვიჩვენეს და დიდი წარმატებები მოიპოვეს. ჩვენი ჯარების გამარჯვებები ძიღწეულ იქნა არა მარტო მათი ოსტატობისა და ორგანიზაციისა და ტექნიკური აღჭურვილობის უპირატესობის წყალობით, არამედ მაღალი პატრიოტული სულისკვეთების, მასობრივი გმირობის მეოხებითაც. სამშობლოს წინაშე განსაკუთრებით დიდი დამსახურებისათვის მრავალმა ათასმა ჯარისკაცმა, სერჟანტმა, ოფიცერმა და გენერალმა მთავრობის მაღალი ჯილდო დაიმსახურა. ეე გამარჯვების ორდენი № 1 მარგუნეს ჯილდოდ.

გენშტაბის მონაცემებიდან ჩემთვის ცნობილი იყო, რომ აპრილის ბოლოსა და მაისის დასაწყისში უკრაინის მე-2 და მე-3 ფრონტების ჯარები, გაანადგურეს რა პირისპირ მდგომი მოწინააღმდეგე, სუჩავა—იასი—დუბოსარი—ტირასპოლი—აკერმანი—შავი ზღვის ხაზზე გავიდნენ. უკრაინის მე-4 ფრონტის, ცალკე ზღვისპირეთის არმიისა და შავი ზღვის ფლოტის შეტევითი მოქმედება გერმანელთა ჯარების ყირიმის დაჯგუფების სრული განადგურებით დამთავრდა. 9 მაისს აღებულ იქნა გმირი ქალაქი სევასტოპოლი, ხოლო 12 მაისს მთლიანად დამთავრდა ყირიმის განთავისუფლების ოპერაცია.

22 აპრილს, მოსკოვში გამომიძახეს, უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკში, სადაც 1944 წლის ზაფხულისა და შემოდგომის კამპანია უნდა განგვეხილა.

მიუხედავად იმისა, რომ ზამთრისა და გაზაფხულის კამპანიის დროს ჩვენი ჯარების მოქმედება დიდი გამარჯვებებით გვირგვინდებოდა, მე მაინც მიმაჩნდა, რომ გერმანელთა ჯარებს თავისთავად ჯერ კიდევ გააჩნდათ ყოველივე აუცილებელი საპჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე მედგარი თავდაცვის საწარმოებლად. რაც შეეხება მათი უმაღლესი სარდლობისა და არმიათა ჯგუფების სარდლობათა სტრატეგიულ ხელოვნებას, იგი სტალინგრადის რაიონში განცდილი კატასტროფისა და განსაკუთრებით კურსკთან ბრძოლის შემდეგ მკვეთრად გაუარესდა.

ომის პირველი პერიოდისაგან განსხვავებით გერმანელთა სარდლობას როგორღაც გონება დაუმძიმდა. მოუსაზრებელი გახდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა რთულ ვითარებაში აღმოჩნდებოდა ხოლმე.

მის გადაწყვეტილებებში იგრძნობოდა, რომ სწორად ვეღარ აფასებდა საკუთარი ჯარებისა და მოწინააღმდეგის შესაძლებლობებს. მტრის სარდლობა ერთობ ხშირად აგვიანებდა ფლანგებიდან დარტყმისა და გარშემორტყმის საფრთხისაგან თავისი დაჯგუფებების გარიდებას, რითაც გამოუვალ მდგომარეობაში აყენებდა საკუთარ ჯარებს.

როცა გერმანელი გენერლებისა და ფელდმარშლების ომის შემდგომ მემუარულ ლიტერატურას კითხულობ, უბრალოდ ვერც კი გაიგებ კაცი, რას ამბობენ ისინი ჯარების ხელმძღვანელობაში ჩავარდნების, შეცდომების, დაუკვირვებლობისა და წინდაუხედაობის მიზეზებზე.

ავტორების უმრავლესობა ყველაფერში ჰიტლერს ადანაშაულებს და ამბობს, ჩადგა რა 1941 წელს გერმანიის შეიარაღებული ძალების სათავეში და იყო რა დილეტანტი ოპერატიულ-სტრატეგიულ საკითხებში. იგი დიქტატორივით ხელმძღვანელობდა საომარ მოქმედებას და ყურსაც არ ათხოვებდა თავისი გენერლებისა და ფელდმარშლების რჩევასო. უნდა ვიფიქროთ, რომ ამაში არის სიმართლის ნაწილი და, შესაძლოა, არცთუ მცირე ნაწილი. მაგრამ, რა თქმა უნდა, სუბიექტურ ფაქტორებში როდია საძებარი შეიარაღებულ ბრძოლაში გერმანელთა ხელმძღვანელობის ჩავარდნის ძირითადი მიზეზები.

სტალინგრადთან, განსაკუთრებით კი კურსკის რკალზე განადგურების შემდეგ ინიციატივის დაკარგვის გამო გერმანელთა ჯარების უმაღლეს ხელმძღვანელ კადრებს ჯარების ოპერატიულ-სტრატეგიული ხელმძღვანელობის ახალ ფაქტორებთან და მეთოდებთან მიეცათ საქმე, ისინი კი არ იყვნენ საამისოდ მომზადებული. იძულებითი უკანდახევისა და სტრატეგიული თავდაცვის წარმოებისას სიძნელეებს რომ წააწყდა, გერმანელთა ჯარების სარდლობამ ვერ შეძლო ახლებურად გადახალისება.

მან ცუდად გაითვალისწინა ისიც, რომ წითელი არმია, საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ფლოტი საერთოდ შეუდარებლად გაიზარდა როგორც რაოდენობრივი, ასევე განსაკუთრებით ხარისხობრივი თვალსაზრისით, ხოლო ჯარები და ოპერატიულ-სტრატეგიული რგოლის მეთაურთა კადრები დიდად დახელოვნდნენ და დაწინაურდნენ, გამოიწვრთნენ შეიარაღებული ბრძოლის მძიმე პირობებში.

მოსკოვისაკენ მიმავალი, თვითმფრინავში ფრონტებიდან მიღებულ უკანასკნელ მონაცემებს ვსწავლობდი და ერთხელ კიდევ მივედი იმ რწმენამდე, რომ სწორი იყო მთავარბანაკის 1944 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება, რომელიც ბელორუსიაში გერმანელთა ჯარების დაჯგუფების განადგურებას სახავდა 1944 წლის ზაფხულის კამპანიის ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად. წინასწარ კი რიგი მსხვილი დარტყმები უნდა გაგვეხორციელებინა სხვა მიმართულებებზე იმისათვის, რათა

გერმანელთა ჯარების სტრატეგიული რეზერვების მაქსიმუმი გამოგვეტყუებია ბელორუსიის რაიონიდან.

წარმატებაში შეგვეძლო ეჭვი არ შეგვპარვოდა. ჯერ ერთი, „ცენტრის" არმიათა ჯგუფის ჯარების ოპერატიული განლაგება შეერილით ჩვენი ჯარებისაკენ ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა იმისათვის, რომ ღრმა შემომწვდომი დარტყმები მიგვეყენებინა შეერილის ძირში. მეორეც, მთავარი დარტყმების მიმართულებებზე ჩვენ ახლა შესაძლებლობა გვქონდა უფრო მეტი ძალებისათვის მოგვეყარა თავი, ვიდრე მოწინააღმდეგეს.

ბელორუსიას, განსაკუთრებით იმ რაიონებს, სადაც „ცენტრის" არმიათა ჯგუფი იყო განლაგებული, კარგად ვიცნობდი ჯერ კიდევ ბელორუსიის სამხედრო ოლქის ჯარებში ჩემი წარსული მუშაობით, რაც მოკლედ აღვწერე ამ წიგნის წინა თავებში.

მოსკოვში რომ ჩავედი, უწინარეს ყოვლისა გენშტაბში შევიარე ალექსი ინოკენტის ძე ანტონოვთან. იგი სამომარი მოქმედების რუკას ამზადებდა უმაღლესი მთავარსარდლისათვის. ალექსი ინოკენტის ძემ მიამბო, როგორ მიმდინარეობდა მოწინააღმდეგის ლიკვიდაცია ყირიმში და გამაცნო მონაცემები ზაფხულის კამპანიისათვის ახალი სარეზერვო ჯარებისა და მატერიალური მარაგების შექმნის შესახებ. თანაც მთხოვა, უმაღლეს მთავარსარდალს ნუ ეტყვი, თუ შექმნილ მარაგებზე რამე გითხარიო. ი. ბ. სტალინმა აუკრძალა გენშტაბს მის გარდა სხვა ვინმესათვის, ვინც არ უნდა ყოფილიყო ის, ამ ცნობების მიცემა, რათა ჩვენ ნაადრევად არ მოგვეთხოვა ისინი მთავარბანაკისათვის.

უნდა ითქვას, რომ უმაღლესმა მთავარსარდალმა ბოლო ხანებში უფრო ეკონომიურად დაიწყო მთავარბანაკის განკარგულებაში არსებული ძალებისა და საშუალებების განაწილება. ახლა ის ამ ძალებსა და საშუალებებს პირველ რიგში მხოლოდ იმ ფრონტებს აძლევდა, რომლებიც მართლაც გადამწყვეტ ოპერაციებს ასრულებდნენ. სხვა ფრონტები კი ძალებსა და საშუალებებს გონივრულად შეზღუდული ოდენობით ღებულობდნენ.

სიტუაციაზე, ერთმა ყოფილმა ფრონტის სარდალმა, რომელიც „სამხედრო-ისტორიული ჟურნალის" ფურცლებზე გამოვიდა და მთავარბანაკის წარმომადგენელთა მუშაობაზეც გამოთქვა თავისი აზრი, შენიშნა, რომ „...ძალები და საშუალებები, სხვა ფრონტებისდა საზიანოდ, იქ იგზავნებოდა, სადაც ფრონტების მოქმედების კოორდინაციას მთავარბანაკის წარმომადგენლები ახორციელებდნენ".

მაგრამ სხვანაირად ხომ არც შეიძლებოდა. იქ, სადაც მთავარბანაკის წარმომადგენლები იგზავნებოდნენ მოქმედების საკოორდინაციოდ, სწორედ იქ, და არა სადმე სხვა რაიონში ხორციელდებოდა უმ-

თავრესი ოპერაციები და, ცხადია, პირველ რიგში მათი მატერიალური უზრუნველყოფა იყო საჭირო. ამ პრაქტიკის სისწორე მთლიანად დაადასტურა ომის მსვლელობამ.

ა. ი. ანტონოვის კაბინეტიდან უმაღლეს მთავარსარდალს დავურეკე. ა. ნ. პოსკრებიშევმა მიპასუხა. მან დასვენება შემომთავაზა.

— მე თვითონ დაგირეკავთ, როცა ამხანაგი სტალინი განთავისუფლდება, — მითხრა მან.

ეს სასარგებლო და თანაც სასიამოვნო წინადადება იყო, რადგან ძილის შესაძლებლობა იშვიათად გვეძლეოდა, დღე-ღამეში სულ 4—5 საათზე მეტი არც კი გვეძინა...

ი. ბ. სტალინმა 17 საათისათვის მიმიწვია თავისთან.

მე ა. ი. ანტონოვს დავურეკე და შევიტყვე, რომ ისიც იყო გამოძახებული უმაღლეს მთავარსარდალთან. ი. ბ. სტალინს სურდა ბოლო დღეების ვითარებასა და გენერალური შტაბის მოსაზრებებს გასცნობოდა.

უმაღლესი მთავარსარდლის კაბინეტში რომ შევედი, იქ უკვე დამხვდნენ ა. ი. ანტონოვი, ჯავშანსატანკო ჯარების სარდალი მარშალი ი. ნ. ფედორენკო და სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ა. ა. ნოვიკოვი, აგრეთვე სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ა. მალიშევი.

მოსალმების შემდეგ უმაღლესმა მთავარსარდალმა მკითხა, იყავით თუ არა ნიკოლოზ მიხეილის ძე შვერნიკთანო.

ვუპასუხე, არ ვყოფილვარ-მეთქი.

— უნდა შეიაროთ და გამარჯვების ორდენი მიიღოთ.

მე მადლობა მოვახსენე უმაღლეს მთავარსარდალს ესოდენ მაღალი ჯილდოსათვის.

— აბა, რით დავიწყოთ? — მიმართა ი. ბ. სტალინმა ა. ი. ანტონოვს.

— ნება მომეცით მოკლედ მოგახსენოთ ფრონტებზე მდგომარეობის შესახებ დღეის დღის 12.00-ისათვის.

მან მოკლედ მიმოიხილა ყველა სტრატეგიული მიმართულება, შემდეგ კი გამოთქვა გენერალური შტაბის მოსაზრებები 1944 წლის ზაფხულის კამპანიის პერიოდში გერმანელთა ჯარების შესაძლო მოქმედების თაობაზე. რაც შეეხება წინადადებებს ზაფხულის პერიოდში ჩვენი ჯარების მოქმედების ხასიათის შესახებ, ამაზე ა. ი. ანტონოვს არაფერი უთქვამს. მიეხვდი, რომ ალექსი ინოკენტის ძემ გადაწყვიტა მაშინ მოეხსენებინა ამ საკითხზე თავისი მოსაზრებები, როცა ამას თვითონ შესთავაზებდა უმაღლესი მთავარსარდალი.

ი. ბ. სტალინმა სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალს ა. ა. ნოვიკოვს მიმართა და იკითხა, რა მდგომარეობაში იყო საჰაერო ძალები,

დაინტერესდა, იკმარებდა თუ არა მრეწველობისგან მიწოდებული თვითმფრინავები იმისათვის, რომ სრულად შეგვევსო ფრონტების საჰაერო არმიები და შორმოქმედი ავიაცია. ა. ა. ნოვიკოვმა ერთობ ოპტიმისტური პასუხი გასცა ამ კითხვებზე, რის შემდეგაც უმაღლესმა მთავარსარდალმა მარშალ ი. ნ. ფედორენკოს შესთავაზა მოეხსენებია, თუ რა მდგომარეობა გექონდა ჯავშანსატანკო ჯარებში და როგორი იყო ზაფხულის კამპანიის დასაწყისისათვის მათი დაკომპლექტების შესაძლებლობები.

იგრძნობოდა, რომ ი. ბ. სტალინმა წინასწარ იცოდა ის ციფრები, რომლებსაც მოახსენებდნენ, მაგრამ, ეტყობა, სურდა რომ იმათ, ვინც უშუალოდ განაგებდა ამ საკითხებს, თვითონ გაეკეთებინათ ინფორმაცია დამსწრეთათვის მანამდე, ვიდრე ჩვენ საკუთარ მოსაზრებებს გამოვთქვამდით. უმაღლეს მთავარსარდალთან საკითხების განხილვის ამ თავისებურ ხერხს უკვე შეჩვეული ვიყავით.

შემდეგ ი. ბ. სტალინმა დინჯად გააწყო თავისი ჩიბუხი, ასანთს გაკრა და თუთუნი გააჩაღა, მერე ასევე დინჯად მოქაჩა და ერთბაშად გამოაბოლა.

— აბა ახლა ჟუკოვს მოვუსმინოთ, — თქვა მან და იმ რუკასთან მივიდა, რომლითაც ა. ი. ანტონოვი მოახსენებდა.

მაგრამ მე, ასევე აუჩქარებლად, ჩემი რუკა გავშალე, რომელიც, მართალია, ზომით გენშტაბის რუკაზე რამდენადმე პატარა იყო, მაგრამ მასზე ცუდად არ იყო დამუშავებული. უმაღლესი მთავარსარდალი ჩემს რუკასთან მოვიდა და ყურადღებით დაუწყო თვალიერება.

ჩემი მოხსენება იმით დავიწყე, რომ დავეთანხმე ა. ი. ანტონოვის ძირითად მოსაზრებებს გერმანელთა ჯარების საავარაუდო მოქმედებისა და იმ სიძნელეთა შესახებ, რომლებსაც 1944 წელს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე წააწყდებოდნენ ისინი.

აქ ი. ბ. სტალინმა შემაჩერა და თქვა:

— და განა მარტო მაგას. მოკავშირეები ახლა კი მართლა აპირებენ განახორციელონ ივნისში მსხვილი ძალების გადასხმა საფრანგეთში. გერმანელებს ახლა ორ ფრონტზე მოუხდებათ ბრძოლა. ეს კიდევ უფრო გააუარესებს მათ მდგომარეობას, რომელსაც ისინი უკვე ველარ გაართმევენ თავს.

1944 წლის ზაფხულის კამპანიის გეგმის შესახებ ჩემს მოსაზრებებს რომ მოვახსენებდი, განსაკუთრებით მივაპყრე უმაღლესი მთავარსარდლის ყურადღება მოწინააღმდეგის ჯარების ბელორუსიის დაჯგუფებაზე, რომლის განადგურებითაც ძირის-ძირობამდე მოიშლებოდა მოწინააღმდეგის თავდაცვის სიმყარე მთელ მის დასავლეთ სტრატეგიულ მიმართულებაზე.

— კეთილი, მაგრამ, გენშტაბი რას ფიქრობს? —მიმართა ი. ბ. სტალინმა ა. ი. ანტონოვს.

— მე თანახმა ვარ, — უპასუხა მან.

არ შემიმჩნევია, როდის დააჭირა ხელი უმაღლესმა მთავარსარდალმა ა. ნ. პოსკრებიშევის ზარის ღილაკს. ის კაბინეტში შემოვიდა და მომლოდინედ დადგა.

— ვასილევსკისთან შემაერთე, — უთხრა ი. ბ. სტალინმა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ა. ნ. პოსკრებიშევმა მოახსენა, ა. მ. ვასილევსკი აპარატთან არისო.

— გამარჯობათ, — დაიწყო ი. ბ. სტალინმა. — ჩემთან არიან ჟუკოვი და ანტონოვი. ხომ ვერ შეძლებდით ჩამოფრენას, რომ ზაფხულის გეგმაზე მოგვეთათბირა?.. მაინც რა ისეთი ამბები გაქვთ მანდ, სევასტოპოლთან?.. მაშ კარგი, დარჩით, ოღონდ პირადად მე გამომიგზავნეთ თქვენი წინადადებები ზაფხულის პერიოდისათვის.

უმაღლესმა მთავარსარდალმა ყურმილი დადო და თქვა:

— ვასილევსკი გვპირდება, 8—10 დღეში მოვრჩებით მოწინააღმდეგის ყირიმის დაჯგუფების ამბავსო. — მერე დაურთო: — ხომ არ აჯობებს, ჩვენი ოპერაციები უკრაინის 1-ლი ფრონტიდან დავიწყოთ, რათა კიდევ უფრო ღრმად შემოვწვდეთ ბელორუსიის დაჯგუფებას და იქეთკენ გავიტყუოთ მოწინააღმდეგის რეზერვები ცენტრალური მიმართულებიდან?

ა. ი. ანტონოვმა შენიშნა, ასეთ შემთხვევაში მოწინააღმდეგე ადვილად შეძლებს მანევრირებას მეზობელ ფრონტებს შორის, ამიტომ უმჯობესია ჩრდილოეთიდან დავიწყოთ, შემდეგ კი ჩავატაროთ ოპერაცია „ცენტრის“ არმიათა ჯგუფის წინააღმდეგ, რათა ბელორუსია გავათავისუფლოთო.

— ვნახოთ, რას შემოგვთავაზებს ვასილევსკი, — თქვა უმაღლესმა მთავარსარდალმა. — დაურეკეთ ფრონტების სარდლებს, დაე მოგვახსენონ თავიანთი მოსაზრებები უახლოეს დროში ფრონტების მოქმედების თაობაზე... — და უკვე ჩემი მისამართით განაგრძო: — შეუდექით ანტონოვთან ერთად ზაფხულის პერიოდისათვის გეგმის მოხაზვას. როცა მზად იქნებით, კიდევ ერთხელ განვიხილავთ.

ორი-სამი დღის შემდეგ უმაღლესმა მთავარსარდალმა კვლავ გამოგვიძახა მე და ა. ი. ანტონოვი. გეგმის განხილვის შემდეგ გადაწყდა: პირველი შეტევითი ოპერაცია ჩაგვეტარებინა ივნისში კარელიის ყელზე და პეტროზავოდსკის მიმართულებით, შემდეგ კი ბელორუსიის სტრატეგიულ მიმართულებაზე.

ამის შემდეგ ერთხანს კიდევ წავიმუშავე გენშტაბთან და 28 აპრილს უკრაინის 1-ლ ფრონტზე დავბრუნდი. მაისის დასაწყისში, როცა

ყირიმის განთავისუფლება დასასრულს უახლოვდებოდა, წინადადება გავუგზავნე უმაღლეს მთავარსარდალს — ი. ს. კონევისათვის გადაეცათ უკრაინის 1-ლი ფრონტის სარდლობა, რათა საშუალება მქონოდა შეუფერხებლად დავბრუნებულიყავი მთავარბანაკში და ბელორუსიის ოპერაციის მომზადებას შევდგომოდი.

უმაღლესი მთავარსარდალი დამეთანხმა, მაგრამ გამაფრთხილა, უკრაინის 1-ლი ფრონტი თქვენს მეურვეობაში დარჩება. ბელორუსიის ოპერაციის შემდეგ უკრაინის 1-ლი ფრონტის უბანზე ჩავატარებთ ოპერაციასო.

რომ არ დავყოვნებულიყავი, აღარ დავლოდებივარ ფრონტზე ი ს. კონევის ჩოსელას. ფრონტის შტაბის უფროსს ვ. დ. სოკოლოვსკის დავავალე — გადაეცა ივანე სტეფანეს ძისათვის ფრონტის ჯარების შემდგომი მოქმედების თაობაზე ჩემი სურვილები და მოსაზრებები, და მოსკოვში გავემგზავრე.

უკრაინის 1-ლი ფრონტის სარდლად ყოფნის დროს კიდევ უფრო ახლოს შევისწავლე ფრონტის ხელმძღვანელი კადრები. მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო ფრონტის შტაბის ოფიცრები და გენერლები, რომლებიც თავიანთი მაღალი ოპერატიული და საერთო კულტურით კარგად ეხმარებოდნენ სარდლობას შეტევითი ოპერაციების ორგანიზაციის საქმეში. ფრონტის ზურგს გენერალი ნ. პ. ანისიმოვი ხელმძღვანელობდა. უკრაინის 1-ლი ფრონტის ზურგი ყოველთვის, თუნდ უმძიმეს პირობებშიც კი, წარმატებით ართმევდა თავს დაკისრებულ ამოცანებს, და ჯარები მადლიერნი იყვნენ ზურგის მოუღლელი მუშაკებისა მათი მამობრივი ზრუნვისათვის.

მთავარბანაკში რომ დავბრუნდი, ა. მ. ვასილევსკის შევხვდი, რომელიც ბალტიისპირეთის 1-ლი და ბელორუსიის მე-3 ფრონტების მოქმედების კოორდინაციისათვის ემზადებოდა. ბუნებრივია, ჩვენ, როგორც იტყვიან, კვლავ ერთ სუფრას შემოვუსხედით.

თავი მეოცდმეტე

ფაშისტური ჯარების განადგურება ბელორუსიაში და მათი საბოლოო განდევნა უკრაინიდან

სამი წლის განმავლობაში იტანჯებოდა ბელორუსი ხალხი მტრის ოკუპაციის უღელქვეშ. ჰიტლერელებმა გაძარცვეს და გაანადგურეს ბელორუსი ხალხის მთელი საზოგადოებრივი დოვლათი, ააოხრეს ქალაქები, დაწვეს 1200 ათასი შენობა სოფლებში, ნანგრევებად აქციეს 7 ათასი სკოლა; ფაშისტებმა ბელორუსიაში მოსპეს 2200 ათასზე მეტი მშვიდობიანი მცხოვრები და სამხედრო ტყვე. არ დარჩენილა თითქმის არც ერთი ოჯახი, სასტიკად რომ არ დაეზარალებინოს ომს. მაგრამ, მეტად მწარე ხვედრის მიუხედავად, ბელორუსიას არ მოუხრია ქედი მტრის წინაშე, ხალხი არ დაცემულა სულით, ხელი არ აუღია ოკუპანტებთან ბრძოლაზე.

ბელორუსიის პარტიზანული ძალები, რომლებმაც იცოდნენ, რომ წითელმა არმიამ უკვე გაანადგურა გერმანელთა ჯარები უკრაინაში და უკუაგდო ისინი შორს დასავლეთით, ემზადებოდნენ გადამწყვეტი ოპერაციებისათვის.

1944 წლის ზაფხულში ბელორუსიაში მოქმედებდა დიდ რაზმებად, ნაწილებად და შენაერთებად გაერთიანებული 374 ათასი კარგად შეიარაღებული პარტიზანი. პარტიზანული ბრძოლის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებდნენ რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის იატაკქვეშა ორგანიზაციები თავისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, პირველი მდივნის პ. კ. პონომარენკოს მეთაურობით, რომელიც ამავე დროს იყო საბჭოთა კავშირის პარტიზანული მოძრაობის ცენტრალური შტაბის უფროსი 1945 წლის იანვრამდე, როცა სსრ კავშირის ოკუპირებული ტერიტორიის დიდი ნაწილის გათავისუფლების შედეგად თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებით პარტიზანული მოძრაობის ცენტრალური შტაბი გაუქმდა.

წითელი არმიის მიერ ბელორუსიის გასათავისუფლებლად მოქმედების დაწყებამდე ბელორუსიის პარტიზანულმა რაზმებმა რესპუბლი-

კისა და ოლქების პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით ჩაატარეს მთელი რიგი დიდი ოპერაციები — დაანგრიეს რკინიგზებისა და გზატკეცილების მაგისტრალები, მოსპეს ხიდები, რამაც მოადუნა მტრის ზურგი ყველაზე პასუხსაგებ მომენტში.

წინა თავში ნაწილობრივ უკვე შევეხე აპრილის ვიწრო თათბირს მთავარბანაკში, სადაც უმაღლესმა მთავარსარდლობამ მიიღო პრინციპული გადაწყვეტილება ზაფხულის პერიოდის ოპერაციათა გეგმის შესახებ. აქ მინდა უფრო დაწვრილებით გიამბოთ ბელორუსიის ოპერაციის გეგმის შემუშავებაზე.

მალე მთავარბანაკში თათბირის შემდეგ ა. მ. ვასილევსკიმ უმაღლეს მთავარსარდალს გაუგზავნა თავისი მოსაზრებანი, რომლებშიც მოცემული იყო საერთო ვითარების მოკლე შეფასება და წინადადებები 1944 წლის ზაფხულის პერიოდისათვის.

რა შედეგებით მიეედით 1944 წლის ზაფხულის კამპანიასთან?

წითელმა არმიამ, რომელიც განაგრძობდა პირისპირ ბრძოლას გერმანიისა და მისი სატელიტების მთავარ ძალებთან, 1944 წლის ზამთარში მძიმე დამარცხება აგემა გერმანელ ფაშისტთა ჯარებს. მთლიანად მოსპო 30 დივიზია და 6 ბრიგადა, 142 დივიზიამ და 1 ბრიგადამ დაკარგეს თავიანთი საბრძოლო შემადგენლობის ნახევრიდან ორ მესამედამდე თავისი ფრონტების დასახმარებლად გერმანელთა სარდლობა იძულებული იყო საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გერმანიიდან და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებიდან გადმოეყვანა 40 დივიზია და 4 ბრიგადა. წითელმა არმიამ გაათავისუფლა კოლოსალური ტერიტორია — თითქმის 330 ათასი კილომეტრი, რომელზეც ომამდე თითქმის 19 მილიონი კაცი ცხოვრობდა.

მაგრამ გერმანელ ფაშისტთა ჯარები ჯერ კიდევ დიდ ძალას წარმოადგენდნენ.

გერმანიის მრეწველობამ ომის წლებში განვითარების უმაღლეს წერტილს 1944 წლის ივლისში მიაღწია. პირველი ნახევარი წლის მანძილზე ქარხნებმა გამოუშვეს 17 ათასზე მეტი თვითმფრინავი, დაახლოებით 9 ათასი მძიმე და საშუალო ტანკი, ფოლადის წარმოება სამჯერ მეტი იყო იმაზე, რასაც იძლეოდა საბჭოთა მძიმე ინდუსტრია.

ჰიტლერული ხელმძღვანელობა უკანასკნელ ძალ-ღონეს აცლიდა თავის ქვეყანასა და ხალხს, გამალებით ესწრაფვოდა გადაეწია თავისი გარდუვალი დაღუპვის ვადა, ზედიზედ ახდენდა მობილიზაციას და უდიდეს ზიანს აყენებდა გერმანელ ერს. ფაშისტური გერმანიის არმიაში იყო 324 დივიზია და 5 ბრიგადა. ყველაზე ბრძოლისუნარიანი შენაერთების ძირითადი ნაწილი უწინდებურად საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე იმყოფებოდა.

აქ ჩვენს წინააღმდეგ იდგა გერმანელთა 179 დივიზია და 5 ბრიგა-

და, აგრეთვე სატელიტების 49 დივიზია და 18 ბრიგადა. ამ ჯარებში იყო 4 მილიონი კაცი, მათ ჰქონდათ 49 ათასი ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 5250 ტანკი და მოიერიშე ქვემეხი, დაახლოებით 2800 საბრძოლო თვითმფრინავი.

მოქმედი წითელი არმიის რიგებში იყო დაახლოებით 6,1 მილიონი ჯარისკაცი და ოფიცერი, ფრონტებს ჰქონდათ 92,5 ათასი ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 7,7 ათასი ტანკი, დაახლოებით 13,4 ათასი თვითმფრინავი.

ისტორიამ არ იცის მაგალითები, რომ ქვეყანას ეწარმოებინოს კოლოსალური განმათავისუფლებელი ბრძოლები და ამავე დროს აღედგინოს დანგრეული მეურნეობა ასეთი მაღალი ტემპებითა და მასშტაბით. 1944 წლის ზამთარში და გაზაფხულზე საბჭოთა კავშირი განუხრელად ზრდიდა თავის ეკონომიურ ძლიერებას. პირველ ნახევარ წელიწადში წარმოებულ იქნა 16 ათასი თვითმფრინავი, დაახლოებით 14 ათასი საშუალო და მძიმე ტანკი და თვითმავალი საარტილერიო დანადგარი, 90 მილიონზე მეტი ჭურვი, ავიაბომბი, ნაღმი. პარტიის მიერ დარაზმული ხალხი მთელი თავისი ძალების დაძაბვით უზრუნველყოფდა ყოველივეს, რაც საჭირო იყო მტრის გასანადგურებლად.

აპრილის ბოლოს უმაღლესმა მთავარსარდლობამ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება ზაფხულის კამპანიის, მათ შორის ბელორუსიის ოპერაციის, ჩატარების შესახებ. ა. ი. ანტონოვს მიეცა მითითება მოეწყო საფრონტო ოპერაციების გეგმების შემუშავება და დაეწყო ჯარების მატერიალური მარაგის თავმოყრა ფრონტებისათვის.

ბალტიისპირეთის 1-ლი ფრონტის განკარგულებაში გადადიოდა 1-ლი სატანკო კორპუსი, ბელორუსიის მე-3 ფრონტის განკარგულებაში — მე-11 გვარდიული არმია და მე-2 გვარდიული სატანკო კორპუსი. ბელორუსიის 1-ლი ფრონტის მარჯვენა ფრთაზე თავს იყრიდნენ 28-ე არმია, მე-9, 1-ლი გვარდიული სატანკო კორპუსები, 1-ლი მექანიზებული და მე-4 გვარდიული საკავალერიო კორპუსები; მე-5 გვარდიული სატანკო არმია (მთავარბანაკის რეზერვი) თავს იყრიდა ბელორუსიის მე-3 ფრონტის ზოლში.

მაისის შუა რიცხვებში მოსკოვში დაბრუნდა ა. მ. ვასილევსკი. ამ დროს გენერალურ შტაბში მთავრდებოდა ოპერაცია „ბაგრატიონის" (ასეთი კოდური სახელწოდება მიიღო ბელორუსიის ოპერაციამ) გეგმისა და მისი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის პროექტების მთელი დოკუმენტაციის დამუშავება.

20 მაისს უმაღლესმა მთავარსარდალმა მთავარბანაკში გამოგვიძახა ა. მ. ვასილევსკი, მე და ა. ი. ანტონოვი, რათა საბოლოოდ დაეზუსტებინა უმაღლესი მთავარსარდლობის გადაწყვეტილება ზაფხულის კამპანიის გეგმის მიხედვით. როგორც უკვე მოვიხსენიე, გათვალისწი-

ნებული იყო შეტევის გაშლა ჯერ კარელიის ყელის რაიონებში ლენინგრადის ფრონტისა და წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ჯარების მიერ, შემდეგ კი -- იენისის მეორე ნახევარში — ბელორუსიაში.

მთავარბანაკში გეგმა „ბაგრატიონის“ განხილვის შემდეგ უმაღლესმა მთავარსარდალმა ბრძანა მთავარბანაკში გამოეძახათ ფრონტის სარდლები ი. ქ. ბაგრამიანი, ი. დ. ჩერნიახოვსკი და კ. კ. როკოსოვსკი, რათა მოესმინა მათი მოსაზრებანი და უკანასკნელი მითითებები მიეცა ფრონტების გეგმების შესამუშავებლად.

22 მაისს უმაღლესმა მთავარსარდალმა ჩემი თანდასწრებით მიიღო ა. მ. ვასილევსკი, ა. ი. ანტონოვი, კ. კ. როკოსოვსკი, ხოლო 23 მაისს — ი. ქ. ბაგრამიანი და ი. დ. ჩერნიახოვსკი. ფრონტების სარდლები ინფორმირებული იყვნენ მომავალი ოპერაციის შესახებ და მთავარბანაკში მოვიდნენ მათს განკარგულებაში მყოფი ჯარების მოქმედების გეგმის პროექტებით.

ვინაიდან, როგორც ეს ხდებოდა ხოლმე დიდი ოპერაციების მომზადების დროს, გეგმების შემუშავება გენერალურ შტაბსა და ფრონტების შტაბებში პარალელურად წარმოებდა, ხოლო ფრონტების სარდლობას, გენერალურ შტაბსა და უმაღლესი მთავარსარდლის მოადგილეს მჭიდრო კონტაქტი ჰქონდათ ერთმანეთთან, ფრონტების გეგმების პროექტები სავსებით შეესაბამებოდა მთავარბანაკის მოსაზრებებს და მაშინვე დაამტკიცა უმაღლესმა მთავარსარდალმა.

შემდეგ ა. მ. ვასილევსკის და მე გვებრძანა გვეკისრა შემდეგი ფრონტების ჯარების მოქმედების კოორდინაცია: ა. მ. ვასილევსკის მიენდო ბალტიისპირეთის 1-ლი და ბელორუსიის მე-3 ფრონტები, მე— ბელორუსიის 1-ლი და მე-2 ფრონტები. ჩემს დასახმარებლად მთავარბანაკი უკრაინის მე-2 ფრონტზე გზავნიდა გენერალური შტაბის ოპერატიული სამმართველოს უფროსს გენერალ ს მ. შტემენკოს ოფიცრების ჯგუფთან ერთად.

4 იენისს ა. მ. ვასილევსკი გაემგზავრა ჯარებში, რათა ადგილზე მოემზადებინა ოპერაცია „ბაგრატიონი“, ხოლო მე ერთი დღე-ღამის შემდეგ, 5 ივნისს, 8.00 საათზე ბელორუსიის 1-ლი ფრონტის საკომანდო პუნქტში მივედი.

ზოგიერთ სამხედრო წრეში არსებული ვერსია ბელორუსიის მიმართულებით ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ძალებით „ორი მთავარი დარტყმის“ შესახებ, რასაც თითქოს დაჟინებით მოითხოვდა კ. კ. როკოსოვსკი უმაღლესი მთავარსარდლისაგან, საფუძველს მოკლებულია. ფრონტის მიერ დაპროექტებული ორივე ეს დარტყმა წინასწარ დაამტკიცა ი. ბ. სტალინმა გენერალური შტაბის პროექტის მიხედვით 20 მაისს, ესე იგი მთავარბანაკში ბელორუსიის 1-ლი ფრონტის სარდლის მისვლამდე.

აქ ზედმეტი არ იქნება აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ საბჭოთა სამხედრო თეორიაში არასოდეს არ ყოფილა გათვალისწინებული ერთ ფრონტს ორი მთავარი დარტყმა მოეხდინოს, და თუ ორივე დარტყმა თავისი ძალითა და მნიშვნელობით ტოლფასოვანი იყო, მათ, ჩვეულებრივ, „მძლავრ დარტყმებს", ანუ „დამკვრელ დაჯგუფებებს" უწოდებდნენ. ამას ხაზს ვუსვამ იმიტომ, რომ არ შევიტანოთ არეე-დარეევა ოპერატიულ-სტრატეგიულ ტერმინოლოგიაში.

ოპერაცია „ბაგრატიონის" დამტკიცებული ოპერატიულ-სტრატეგიული გეგმისა და ფრონტების სარდლების განაცხადების საფუძველზე გენერალურმა შტაბმა ა. ა. ნოვიკოვის, ნ. ნ. ვორონოვის, ნ. დ. იაკოვლევის, ა. ვ. ხრულიოვის, ი. ტ. პერესიპკინის, ი. ნ. ფედორენკოს და სხვა გამოჩენილი სპეციალისტებისა და მხედართმთავრების მონაწილეობით შეათანხმა ოპერაციაში მონაწილე ჯარების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გეგმა. 31 მაისს ფრონტების სარდლებმა მიიღეს მთავარბანაკის დირექტივა, რომლის შესრულებითაც დაიწყო ჯარების კონკრეტული მზადება მომავალი ოპერაციისათვის.

მთავარბანაკის გეგმით გათვალისწინებული იყო სამი მძლავრი დარტყმა:

ბალტიისპირეთის 1-ლი და ბელორუსიის მე-3 ფრონტებისა საერთო მიმართულებით ვილნიუსზე;

ბელორუსიის 1-ლი ფრონტისა — ბარანოვიჩიზე;

ბელორუსიის მე-2 ფრონტისა ბელორუსიის მე-3 ფრონტის მარცხენა ფლანგის დაჯგუფებასთან და ბელორუსიის 1-ლი ფრონტის მარჯვენა ფლანგის დაჯგუფებასთან ურთიერთმოქმედებით საერთო მიმართულებით მინსკზე;

ბალტიისპირეთის 1-ლი და ბელორუსიის მე-3 ფრონტების უახლოეს ამოცანად დასახული იყო ვიტებსკის დაჯგუფების განადგურება, გარღვევაში ტანკებისა და მექანიზებული ჯარების ჩაბმა და მთავარი დარტყმის განვითარება დასავლეთით, ისე რომ, თავიანთი მარცხენა ფლანგის დაჯგუფებით შემოეკლოთ გერმანელთა ჯარების ბორისოვ-მინსკის ჯგუფისათვის.

ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ამოცანად დასახული იყო ჟლობინ-ბობრუისკის დაჯგუფების განადგურება და საქმეში მოძრავი ჯარების ჩაბმით მთავარი დარტყმის განვითარება სლუცკ — ბარანოვიჩის მიმართულებით, ამასთანავე სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან რკალში მოექცია მტრის ჯარების მინსკის დაჯგუფება.

ბელორუსიის მე-2 ფრონტს უნდა დაერტყა მოგილიოვ-მინსკის მიმართულებით.

„ცენტრის" არმიების ჯგუფის თავდაცვის წინა ხაზი შეტევის დაწყებისას გადიოდა პოლოცკიდან ვიტებსკზე და შემდეგ ორშა — ჟლო-

ბინ—კაპატკევიჩი — ჟიტკოვიჩის ხაზზე და მდინარე პრიპიატზე. ქალაქები პოლოცკი, ვიტებსკი, ორშა, მოგილიოვი მტრის ხელში იყო.

ეს დიდი ქალაქები პლუს მდინარეები დნეპრი, დრუტი. ბერეზინა, სვისლოჩი და მთელი რიგი პატარა, ძლიერ დაჭაობებული მდინარეები და შენაკადები შეადგენდა მოწინააღმდეგის ღრმად ეშელონირებული დაცვის საფუძველს, რომელიც ფარავდა დასავლეთის ვარშავა-ბერლინის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ მიმართულებას. მიუხედავად იმისა, რომ „ცენტრის“ არმიათა ჯგუფის გასანადგურებლად მთავარბანაკმა თავი მოუყარა მნიშვნელოვან ძალებს, მაინც მიგვაჩნდა, რომ ოპერაციის წარმატებისათვის საჭირო იყო განსაკუთრებით გულმოდგინედ მოგვემზადებინა „ბაგრატიონის“ ოპერაციაში მონაწილე ჯარები.

ფრონტზე გამგზავრების წინ ჩვენ შევხვდით ა. მ. ვასილევსკის და დიდი ყურადღებით განვიხილეთ მოწინააღმდეგის თავდაცვის ყველა ძლიერი და სუსტი მხარე, აგრეთვე ის ღონისძიებანი, რომლებიც უნდა განგვეხორციელებინა შტაბებსა და ჯარებში. ა. ი. ანტონოვთან, რომელიც დროებით ასრულებდა გენერალური შტაბის უფროსის მოვალეობას, შევთანხმდით ჯარების თავმოყრის, მატერიალური რეზერვებისა და მთავარბანაკის რეზერვებისადმი კონტროლის შესახებ, აგრეთვე იმ საკითხებზე, რომლებიც ეხებოდა კავშირგაბმულობას და სხვა მიმართულებებზე მთავარბანაკის ღონისძიებებში ჩვენს ორიენტირებას.

ფრონტებისათვის მოკლე დროში უნდა მიგვეწოდებინა უდიდესი რაოდენობის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებანი.

გენერალური შტაბის წინასწარი გაანგარიშებით, ოპერაცია „ბაგრატიონის“ უზრუნველსაყოფად ჯარებში უნდა გაგვეგზავნა 400 ათას ტონამდე საბრძოლო მასალა, 300 ათასი ტონა საწვავ-საცხები მასალა, 500 ათას ტონამდე საკვები და ფურაჟი. საჭირო იყო დასავლეთის რაიონებში თავი მოგვეყარა 5 საერთო-საჯარისო არმიისათვის, 2 სატანკო და ერთი საჰაერო არმიისათვის, აგრეთვე პოლონეთის ჯარის 1-ლი არმიისათვის. გარდა ამისა, მთავარბანაკმა თავისი რეზერვიდან ფრონტებს გადასცა 5 ცალკე სატანკო, 2 მექანიზებული და 4 საკავალერიო კორპუსები, ყველა გვარეობის ჯარების ათობით ცალკე პოლკი და ბრიგადები, და ახალ ბაზაზე გადაიყვანა 11 საავიაციო კორპუსი.

ყველაფერი ეს უნდა გადაგვეტანა დიდი სიფრთხილით, რომ არ გაგვემძღავნებინა ფრონტების მზადება შეტევისათვის. მომავალი შეტევის წარმატებისათვის ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან, დაზვერვის მონაცემების მიხედვით, გერმანელთა ჯარების მთავარსარდლობა ჩვენი მხრიდან პირველ საზაფხულო დარტყმას უკრაინაში და არა ბელორუსიაში ელოდა. გერმანელთა მთავარსარდლობა, როგორც ჩანს, იმას ემყარებოდა, რომ ჩვენ ვერ შეეძლებდით ბელო-

რუსიაში გადაგვეყვანა და აქ ჯეროვნად გამოგვეყენებინა უკრაინაში დისლოცირებული 4 სატანკო არმია.

მაგრამ მოწინააღმდეგე მოტყუვდა.

მთავარბანაკის გეგმის თანახმად უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარები ბრძოლაში ჩაებმებოდნენ ბელორუსიის ოპერაციის მეორე ეტაპზე, უნდა გაენადგურებინათ ბობრუისკ-მინსკ-სლუცკის დაჯგუფება და გასულიყვნენ ვოლკოვისკ-პრუჟანის ხაზზე.

მთავარბანაკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ბელორუსიის 1-ლი ფრონტის მომავალ დარტყმას. სწორედ აქ გზავნიდა იგი ძირითად ძალებსა და საშუალებებს.

ვინაიდან მე მევალებოდა ბელორუსიის 1-ლი და მე-2 ფრონტების, მეორე ეტაპზე კი უკრაინის 1-ლი ფრონტის კოორდინაციაც, აქ შევეხები უმთავრესად სწორედ ამ ფრონტების მოქმედებას.

მაშ ასე, 5 ივლისს დილით ადრე უმაღლესი მთავარსარდლის დავალებით ჩავედი ბელორუსიის 1-ლი ფრონტის მართვის დროებით პუნქტში დურევიჩიში, სადაც შევხვდი კ. კ. როკოსოვსკის, სამხედრო საბჭოს წევრს ნ. ა. ბულგანინს და შტაბის უფროსს მ. ს. მალინინს.

ოპერაციის გეგმასთან დაკავშირებული საკითხების წინასწარი განხილვის შემდეგ—ჩვენ კ. კ. როკოსოვსკისთან და არმიის სარდლებთან, საჰაერო არმიის სარდალ გენერალ ს. ი. რუდენკოსთან, ფრონტის არტილერიის სარდალ ვ. ი. კაზაკოვთან, ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარების სარდალ გენერალ გ. ნ. ორლთან ერთად დაწვრილებით განვიხილეთ ვითარება ფრონტის მარჯვენა ფრთაზე და შევთანხმდით მომავალი ოპერაციის მომზადებასთან დაკავშირებული საკითხების დაგეგმვასა და პრაქტიკულ ღონისძიებებზე.

ამასთან გაწსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით მოქმედების რაიონში ადგილმდებარეობის გულმოდგინე შესწავლას, მოწინააღმდეგის თავდაცვის სისტემის დაზვერვას მთელ მის ტაქტიკურ სიღრმეში, აგრეთვე ჯარების, შტაბების მომზადებას და ზურგის უზრუნველყოფას ოპერაციის დაწყებისათვის.

შემდგომ ორ დღე-ღამეს, 6 და 7 ივნისს, მე, ფრონტის სარდალი კ. კ. როკოსოვსკი, მთავარბანაკის წარმომადგენელი ნ. დ. იაკოვლევი და გენერალი ვ. ი. კაზაკოვი გულდასმით ვსწავლობდით ვითარებას როგაჩევ—ჟლობინის რაიონში მე-3 და 48-ე არმიების რაიონში. აქ არმიის სარდალ ა. ვ. გორბატოვის სათვალთვალო პუნქტში მოვისმინეთ 35-ე მსროლელი კორპუსის მეთაურის გენერალ ვ. გ. ჟოლუდევის და 41-ე მსროლელი კორპუსის მეთაურის ვ. კ. ურბანოვიჩის მოხსენება.

7 ივნისს ასეთივე მუშაობა ჩატარდა 65-ე არმიის უბანზე. დეტალურად შევისწავლეთ ადგილმდებარეობა და მოწინააღმდეგის თავდაცვა მე-18 მსროლელი კორპუსის 69-ე და 44-ე გვარდიული მსრო-

ლელი დივიზიების უბანზე, სადაც დაგეგმილი იყო მთავარი დარტყმა.

ფრონტის სარდალმა არმიის გენერალმა კ. კ. როკოსოვსკიმ მთავარბანაკის გეგმის შესაბამისად მთელი ვითარების გულმოდგინედ აწონ-დაწონის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება მოწინააღმდეგის თავდაცვა გაერღვია ორი დაჯგუფებით: ერთი დაჯგუფებით — როგაჩევის ჩრდილოეთით, მეორით — პარიჩის სამხრეთით. ამ ორი დაჯგუფების უახლოესი ამოცანა იყო გაენადგურებინა პირისპირ მდგომი მოწინააღმდეგე, შეერთებული დარტყმებით გარშემორტყმოდა ჟლობინ-ბობრუისკის ჯგუფს და მოესპო იგი.

ქალაქ ბობრუისკის გათავისუფლების შემდეგ ფრონტის ჯარების ძირითად დაჯგუფებას უნდა შეეტია სლუცკიდან ბარანოვიჩის საერთო მიმართულებით. ძალების ნაწილს უნდა განევითარებინა შეტევა ოსიპოვიჩის, პუხოვიჩის გავლით მინსკზე. ჩვენი წინასწარი გამოანგარიშებით, ამ ამოცანების შესასრულებლად ბელორუსიის 1-ლი ფრონტის შემადგენლობაში იყო საკმაო რაოდენობის ჯარები და საშუალებანი.

როგაჩევის შემტევ დაჯგუფებაში შედიოდა მე-3 არმია გენერალ-ლეიტენანტ ა. ვ. გორბატოვის სარდლობით, 48-ე არმია გენერალ-ლეიტენანტ პ. ლ. რომანენკოს სარდლობით და მე-9 სატანკო კორპუსი სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ ბ. ს. ბახაროვის სარდლობით.

პარიჩის ჯგუფში შედიოდა 65-ე არმია გენერალ-ლეიტენანტ პ. ი. ბატოვის სარდლობით, 28-ე არმია გენერალ-ლეიტენანტ ა. ა. ლუჩინსკის სარდლობით გენერალ-ლეიტენანტ ი. ა. პლიევის საკავალერიო-მექანიზებული ჯგუფი და მ. თ. პანოვის 1-ლი გვარდიული სატანკო კორპუსი უნდა შეკრილიყვნენ სამხრეთ პარიჩის დაჯგუფებაში.

ამ დაჯგუფებათა მოქმედებას ეხმარებოდა მე-16 საჰაერო არმია, რომელსაც სარდლობდა ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკი ს. ი. რუდენკო. ფრონტის ოპერატიულ განკარგულებაში გადაიყვანეს დნეპრის საშხედრო ფლოტილია 1-ლი რანგის კაპიტნის ვ. ვ. გრიგორიევის მეთაურობით.

ბელორუსიის 1-ლი ფრონტის, განსაკუთრებით სამხრეთ პარიჩის ჯგუფის, მომავალი შეტევის მთავარი სიძნელე ის იყო, რომ მათ მოქმედება მოუხდებოდათ ძნელად გადასალახავ ტყიან და მეტად ჭაობიან ადგილებში.

ამ ადგილებს კარგად ვიცნობდი, რადგან აქ ექვს წელიწადზე მეტ ხანს ვიმსახურე და თავის დროზე სულ მოვლილი მქონდა ეს ჰხარე. პარიჩის რაიონის ჭაობებში კარგად ვნადირობდი იხვებზე, რომლებიც აქ ბლომად ბუდობდნენ, გარეული ფრინველიც ბლომად იყო...

როგორც ჩვენ ვვარაუდობდით, გერმანელთა სარდლობა ყველაზე ნაკლებად ამ რაიონში ელოდა ჩვენი ჯარების დარტყმას. ამიტომ აქ

არსებითად, მოწინააღმდეგის თავდაცვის რამდენიმე ყერა იყო, ხოლო მთლიანი თავდაცვა არ არსებობდა.

სხვანაირად იყო საქმე როგაჩევის რაიონში. იქ მოწინააღმდეგის თავდაცვა უფრო ძლიერი იყო, მის მისადგომებს კი საცეცხლე სისტემა იცავდა.

ბელორუსიის მე-2 ფრონტს, რომელსაც იმ დროს სარდლობდა გენერალ-პოლკოვნიკი გ. თ. ზახაროვი (სამხედრო საბჭოს წევრი ლ. ზ. მეხლისი, შტაბის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ა ნ. ბოგოლუბოვი), როგორც უკვე ვთქვი, დამსმარე დარტყმა უნდა განეხორციელებინა მოგილიოვ-მინსკის მიმართულებით. აქ არ გექონდა გარღვევის მძლავრი საშუალებანი, რომ შეტევა გვეწარმოებინა ერთდროულად პირველ ეშელონში მყოფი ყველა არმიით. ამასთანავე აზრიც არ ჰქონდა იმას, რომ მოწინააღმდეგე გაგვედევნა მოგილიოვის აღმოსავლეთ რაიონიდან მანამდე, ვიდრე ბელორუსიის 1-ლი მე-3 ფრონტები არ გაიჭრებოდნენ მოწინააღმდეგის „ცენტრის“ არმიათა ჯგუფის მთელი დაჯგუფების ღრმა ზურგში.

გენერალ გ. თ. ზახაროვის გადაწყვეტილებით მოგილიოვის მიმართულებით დარტყმას განახორციელებდა 49-ე გაძლიერებული არმია გენერალ ი. ტ. გრიშინის სარდლობით. დანარჩენ არმიებს (33-ე და 50-ე) უნდა ემოქმედნათ მტრის შესაბოჭად და შეტევაზე გადასულიყვნენ ცოტა მოგვიანებით, როცა სხვა მიმართულებებზე გატეხდნენ მოწინააღმდეგის თავდაცვის წინააღმდეგობას.

8 და 9 ივნისს ჩვენ, გენერლებთან ნ. დ. იაკოვლევთან, ს. მ. შტემენკოსთან და ფრონტის სარდლობასთან ერთად ჩავატარეთ ბელორუსიის მე-2 ფრონტის ოპერაციის გულდასმითი ბომბადება. ეს ფრონტი ამზადებდა დარტყმას მოგილიოვ-მინსკის მიმართულებით. გენერალი ს. მ. შტემენკო კარგად დაეხმარა გ. თ. ზახაროვს, რომელიც ის-ის იყო შეუდგა ფრონტის სარდლობას.

როცა ჩვენ გენერალ გ. თ. ზახაროვთან მივედით, მან საკუთარი დასაბუთებულად და ზუსტად გადმოსცა თავისი გადაწყვეტილება ოპერაციის ჩატარების შესახებ. ამავე დროს ჩვენ მოვისმინეთ საჰაერო არმიის სარდლის კ. ა. ვერშინინის, ფრონტის სარდლებისა და ჯარების გვარეობათა უფროსების მოსაზრებები და გადაწყვეტილებები.

როგორც მახსოვს, ოპერაციის მიზნების, ამოცანებისა და დაჯგუფებათა დაგეგმვის თაობაზე განსაკუთრებული შენიშვნები არ ყოფილა.

ჩვენ გადავწყვიტეთ 9 ივნისს დილით ფრონტის სარდალ გ. თ. ზახაროვთან, ნ. დ. იაკოვლევთან, ს. მ. შტემენკოსთან ერთად გავმგზავრებულიყავით ი. ტ. გრიშინის 49-ე არმიაში, რათა პირადად შეგვესწავლა მოწინააღმდეგის თავდაცვის წინა ხაზი და სიღრმე. პირველ რიგში ჩვენ ვიყავით 70-ე მსროლელი კორპუსის მეთაურთან გენერალ ვ. გ.

ტერენტიევთან, რომელმაც დაწვრილებით, ვითარების ცოდნით მოგვახსენა თავისი მოსაზრებანი.

დღის ბოლოს ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა საბოლოოდ ჩამოგვეყალიბებინა საცეცხლე სისტემის დაზვერვის, საარტილერიო შეტევის დაგეგმვის, საავიაციო დარტყმის და ჯარების ოპერატიულ-ტაქტიკური წყობის უახლოესი ამოცანები იერიშისა და შეტევისათვის.

მე შესაძლებლად მივიჩნიე ბელორუსიის მე-2 ფრონტის ოპერაციის მომზადებისათვის პასუხისმგებლად დანიშნულიყო გენერალური შტაბის წარმომადგენელი ს. მ. შტემენკო. თვითონ კი შევუდექი პირველ რიგში ბელორუსიის 1-ლი ფრონტის მომზადებას, რომელსაც მთავარი როლი უნდა შეესრულებინა.

გენერალ ა. ვ. გორბატოვის მე-3 არმიაში რომ დავბრუნდით, იქ დაგვხვდა ფრონტის სარდალი თავისი უახლოესი თანაშემწეებით. დაეურეკე უმაღლეს მთავარსარდალს და მოვახსენე, თუ როგორ მიმდინარეობდა მომავალი შეტევისათვის ფრონტების მომზადება. აღენიშნე, რომ ფრონტებისათვის ჯარების გადაყვანისა და ტვირთის გადატანის გეგმა დანიშნულ ვადებში არ სრულდება, მე ვთხოვე მას დაევალებინა გზათა სახალხო კომისრისა და ა. ვ. ხრულიოვისათვის ეზრუნათ ამაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვუთხარი მე, მოგვიხდება გადავწიოთ ოპერაციების დაწყების ვადები.

უმაღლესი მთავარსარდლის წინაშე აგრეთვე წამოვაყენე წინადადება ბელორუსიის მომავალ ოპერაციაში გამოგვეყენებინა მთელი შორი მოქმედების ავიაცია, გერმანიის ტერიტორიაზე განლაგებული ობიექტების დაბომბვა კი უფრო მოგვიანებით დაგვეწყო. უმაღლესი მთავარსარდალი დათანხმდა ამაზე და მაშინვე ბრძანა ჩემთან გამოეგზავნათ ავიაციის მარშალი ა. ა. ნოვიკოვი და ავიაციის მარშალი, შორი მოქმედების ავიაციის სარდალი ა. ე. გოლოვანოვი, რომელთანაც პირადად მომიხდა ბევრი მემუშავა ყველა უმნიშვნელოვანეს წინა ოპერაციაში. ესენი მცოდნე სარდლები იყვნენ და კარგად მეხმარებოდნენ საფრონტო ამოცანების გადაჭრაში.

ა. ა. ნოვიკოვთან, ა. ე. გოლოვანოვთან, ს. ი. რუდენკოსთან და კ. ა. ვერშინინთან ერთად დაწვრილებით განვიხილეთ ვითარება, მიზნები, ამოცანები და გეგმები საჰაერო არმიებისა და მათი ურთიერთმოქმედება შორი მოქმედების ავიაციასთან, რომლის დარტყმები მიმართული იყო შტაბებზე, ოპერატიულ შენაერთთა კავშირგაბმულობის კვანძებზე, რეზერვებსა და სხვა უმნიშვნელოვანეს მიზნებზე. გარდა ამისა, განხილულ იყო ფრონტების ავიაციის მანევრის საკითხი საერთო ინტერესების თვალსაზრისით. ბელორუსიის მე-3 ფრონტის მოქმედების მხარდასაჭერად ა. მ. ვასილევსკის განკარგულებაში გამოიყო დაახლოებით 350 მძიმე თვითმფრინავი.

14 და 15 ივნისს ბელორუსიის 1-ლი ფრონტის სარდალმა 65-ე და 28-ე არმიებში ჩაატარა მეცადინეობანი, რომლებსაც გავითამაშეთ მომავალი ოპერაცია. ამ მეცადინეობებს ჩვენც ვესწრებოდით მთავარბანაკის ოფიცრებთან ერთად.

გათამაშებაში მონაწილეობდნენ კორპუსების მეთაურები, დივიზიების მეთაურები, არტილერიის სარდლები და ჯარების გვარეობათა არმიების უფროსები. ამ მეცადინეობათა მსვლელობაში დეტალურად მუშავდებოდა მსროლელი და სატანკო შენაერთების, საარტილერიო შეტევისა და ავიაციასთან ურთიერთმოქმედების გეგმა. ძირითადი ყურადღება ეთმობოდა ჯარების მომავალ მოქმედებათა ზოლში ადგილმდებარეობის ხასიათის თავისებურებებს. მოწინააღმდეგის თავდაცვის ორგანიზაციას და სლუცკ—ბობრუისკის გზაზე სწრაფი გამოსვლის ხერხებს. აქედან ბობრუისკთან გასვლით და შემდეგ მისი ხელში ჩაგდებით შესაძლებელი იყო გადაგვეკეტა უკანდასასვლელი გზა ჟლობინ-ბობრუისკის დაჯგუფებისათვის.

მომდევნო სამ დღე-ღამეში ასეთივე მეცადინეობები ჩატარდა მე-3, 48-ე და 49-ე არმიებში. ჩვენ შევძელით უფრო ახლოს გაგვეცნო მეთაურები, რომლებიც უნდა გასძღოლოდნენ ჯარებს მტრის ისეთი დიდი დაჯგუფების გასანადგურებლად, როგორიც იყო უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ მიმართულებაზე მყოფი „ცენტრის“ არმიათა ჯგუფი. ამ მეთაურებს ეკისრებოდათ დიდი პასუხისმგებლობა, რადგან „ცენტრის“ არმიათა ჯგუფის განადგურებით წყდებოდა მოწინააღმდეგის სრული განდევნის ამოცანა ბელორუსიის მიწა-წყლიდან და პოლონეთის აღმოსავლეთი ნაწილიდან.

ამავე პერიოდში ტარდებოდა ორივე ფრონტის ნაწილებისა და ქვედანაყოფების დიდი სასწავლო და პოლიტიკური მზადება, სადაც მუშავდებოდა საცეცხლე ამოცანები, იერიშებისა და შეტევის ტაქტიკა და ტექნიკა მთლიანად ტანკებთან, არტილერიასა და ავიაციასთან ურთიერთმოქმედებით, წარმოებდა ნაწილების წინაშე დასახული ამოცანების ახსნა-განმარტება. ასეთი მზადება ახლა სავალდებულო გახდა თვითეული დიდი ოპერაციის წინ. და ეს საკვლევით სწორი გამოდგა. ჯარები ეფრო შეთანხმებულად, მარჯვედ მოქმედებდნენ ბრძოლებში და ახლა ნაკლებ ზარალს განიცდიდნენ.

ნაწილების, შენაერთებისა და არმიების შტაბები გულდასმით ამუშავებდნენ მართვისა და კავშირგაბმულობის საკითხებს. წინ სწევდნენ საკომანდო და სათვალთვალო პუნქტებს, მიწაში მალავდნენ, აწყობდნენ სათვალთვალო და კავშირგაბმულობის სისტემას, ზუსტდებოდა მათი გადაადგილებისა და ჯარების მართვის წესი მოწინააღმდეგის დევნის პროცესში.

ფრონტების, არმიებისა და ჯარების დაზვერვის ორგანოები დამა-

ტებით გულდასმით სწავლობდნენ თავდაცვითი ცეცხლის სისტემას, მოწინააღმდეგის ტექნიკური და ოპერატიული რეზერვების განლაგებას, ამუშავებდნენ რუკებს, რომლებითაც ამარაგებდნენ ნაწილებს.

ტიტანურ მეშაობას ეწეოდა ფრონტის ზურგიც, უზრუნველყოფდა ჯარებისათვის საბრძოლო ტექნიკის, საბრძოლო მასალის, საწვავისა და სურსათის სწრაფად და ფარულად გადაზიდვასა და მიწოდებას. მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, ყველაფერი ვადაზე გაკეთდა. თუმცა ადგილმდებარეობის პირობები მეტისმეტად რთული იყო, ორივე ფრონტის ჯარები შეტევისას დროზე იქნენ უზრუნველყოფილი ყველაფრით, რაც საჭირო იყო საბრძოლო მოქმედების საწარმოებლად.

22 ივნისს ორივე ფრონტმა ჩაატარა ბრძოლითი დაზვერვა. ამის შედეგად მოხერხდა ფაგეზუსტებინა მოწინააღმდეგის საცეცხლე სისტემის განლაგება უშუალოდ მის წინა ხაზზე და აგრეთვე იმ ბატარეებისა, რომლებიც ადრე ჩვენთვის ცნობილი არ იყო.

სულ ბელორუსიის ოპერაცია უნდა გაწარმოებულიყო ვეებერთელა ტერიტორიაზე — ათას კილომეტრზე მეტი ფრონტით, დასავლეთ დვინიდან პრიპიატამდე, და 600 კილომეტრი სიღრმით, დნეპრიდან ვისლამდე და ნარევამდე. ჭოსალოდნელი იყო გააფთრებულ ბრძოლაში შეეჯახებოდით მტრის რეაბილიტაციამდე ჯარისკაცსა და ოფიცერს, რომლებიც შეიარაღებული იყვნენ 9,5 ათასი ქვემეხითა და ნაღმსატყორცნით, 900 ტანკითა და მოიერიშე ქვემეხით, 1300 საბრძოლო თვითმფრინავით. უნდა გადაგველახა 250-270 კილომეტრის სიღრმის წინასწარ მომზადებული თავდაცვა.

საბჭოთა ჯარების შეტევა ბელორუსიაში დაემთხვა ომის მესამე წლისთავს. განვლილ სამ წელიწადში მოხდა ისტორიული მოვლენები. საბჭოთა კავშირმა მთელ რიგ გენერალურ ბრძოლებში გაანადგურა ფაშისტური ჯარები და დაამთავრა თავისი სამშობლოს განთავისუფლება უბოროტესი მტრისაგან. როცა ახალ ბრძოლას იწყებდნენ, ჩვენი მეომრები დარწმენებული იყვნენ, რომ გაანადგურებდნენ გერმანელთა „ცენტრის" არმიების ჯგუფს.

უეჭველია, მათ ისიც აუხსნეებდათ, რომ მოკავშირეები 6 ივნისს გადასხდნენ ნორმანდიაში და გახსნეს მეორე ფრონტი. თუმცა ფაშისტური გერმანიის ბედი ფაქტიურად გადაწყვეტილი იყო, საბჭოთა მეომრები სიხარულით ეგებებოდნენ მეორე ფრონტის გახსნას, რადგან იცოდნენ, რომ ეს აჩქარებდა ფაშიზმის საბოლოო განადგურებას და აახლოებდა ომის დასასრულს.

23 ივნისს გენერალური შეტევა დაიწყეს ბალტიისპირეთის 1-ლი ფრონტის ჯარებმა (სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ი. ქ. ბაგრამიანი, სამხედრო საბჭოს წევრი გენერალი დ. ს. ლეონოვი, შტაბის უფროსი გენერალი ვ. ვ. კურასოვი), ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარებმა (სარ-

დალი გენერალ-პოლკოვნიკი ი. დ. ჩერნიახოვსკი, სამხედრო საბჭოს წევრი ვ. ე. მაკაროვი, შტაბის უფროსი გენერალი ა. პ. პოკროვსკი) და ბელორუსიის მე-2 ფრონტის ჯარებმა გენერალ-პოლკოვნიკ გ. თ. ზახაროვის სარდლობით. მეორე დღეს შეტევაზე გადავიდნენ ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარები გენერალ-პოლკოვნიკ კ. კ. როკოსოვსკის სარდლობით.

მტრის ზურგში პარტიზანულმა რაზმებმა, ნაწილებმა და შენაერთებმა დაიწყეს აქტიური ოპერაციები, რომლებიც წინასწარ შეთანხმებული იყო ფრონტების მოქმედებასთან. ფრონტის შტაბებთან მოქმედებდა პარტიზანული მოძრაობის ხელმძღვანელობის განყოფილებები. მათ განახორციელეს დიდი მუშაობა კავშირგაბმულობის, პარტიზანული ნაწილების მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის და მათი მოქმედების კოორდინაციის საქმეში. უნდა ითქვას, რომ ბელორუსიის ოპერაციაში პარტიზანულმა ნაწილებმა და რაზმებმა განსაკუთრებით დიდი აქტივობა გააჩაღეს. ამას მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს ტყიანი ადგილმდებარეობა. 1941 წელს ჩვენი ჯარების უკან დახევის დროიდან ჯარისკაცები და ოფიცრები ამ ადგილებში უფრო მეტი დარჩა, ვიდრე სადმე სხვაგან.

ბელორუსიაში შეტევის პირველივე დღეებში ყველა მიმართულებით გაჩაღდა გააფთრებული ბრძოლა ხმელეთზე და ჰაერში. თუმცა მეტეოროლოგიური პირობები ზღუდავდა ორივე მხარის ავიაციის მოქმედებას. გენერალური შტაბის მეშვეობით მალე შევიტყვე, რომ ა. გ. ვასილევსკის ჯარგად ჰქონდა საქმე მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევის მხრივ. ამან ძალიან გაგვახარა.

კარგ შედეგებს მიაღწია ბელორუსიის მე-2 ფრონტმაც, სადაც გენერალ ი. ტ. გრიშინის 49-ე არმიამ წარმატებით გაარღვია თავდაცვა მოგილიოვის მიმართულებით და დაიკავა პლაცდარმი დნეპრზე.

ბელორუსიის 1-ლი ფრონტის დარტყმა პარიჩიზე გეგმის შესაბამისად ვითარდებოდა. გენერალ მ. თ. პანოვის 1-ლი სატანკო კორპუსი გარღვევაში შევიდა და იმავე დღეს 20 კილომეტრამდე გაიღრმავა იგი ბობრუისკის მხარეს. ამან შესაძლებლობა მოგვცა მეორე დილითვე ბრძოლაში ჩაგვება გენერალ ი. ა. პლიევის ცხენოსანთა მექანიზებული ჯგუფი.

25 ივნისს ი. ა. პლიევის ჯგუფმა და მ. თ. პანოვის კორპუსმა, რომლებიც დევნიდნენ უკანდახეულ მოწინააღმდეგეს, სწრაფად დაიწყეს წინ წაწევა. ბტაიცად ავითარებდნენ დარტყმას 28-ე და 65-ე არმიები. სატანკო და საარტილერიო ნაწილებმა პარიჩის მიმართულებით ტყიანი ადგილის გადალახვის დროს ისე ჩახერგეს და აზილეს ჭაობიანი ადგილები, რომ თვით საწევრებისთვისაც კი ძნელად გასაღწევი გახდა ისინი.

გარღვევის წარმატებით აღფრთოვანებული საინჟინრო ნაწილები და ყველა გვარეობის ჯარების მეომრები მთელ ძალებს ძაბავდნენ, რომ რაც შეიძლება სწრაფად გაეკეთებინათ ძელური გზა და იგი მალე გაიყვანეს კიდეც, რამაც მნიშვნელოვნად შეამსუბუქა ზურგის ორგანოების მუშაობა.

ნაშრომში „საბჭოთა კავშირის 1941-1945 წწ. დიდი სამამულო ომი. მოკლე ისტორია" ბელორუსიის ოპერაციის აღწერის დროს[1] საკვანძოთ სწორად არ არის გადმოცემული მოვლენათა მსვლელობა როგაჩევის რაიონში. როგაჩევის რაიონში მოვლენათა გარდატეხა აქ ახსნილია ფრონტის პარიჩის რაიონის დაჯგუფების წარმატებითი მოქმედებით. სინამდვილეში კი ყველაფერი რამდენადმე სხვანაირად მოხდა.

ოპერაციის მომზადების დროს სუსტად იყო დაზვერილი მტრის თავდაცვა როგაჩევ-ბობრუისკის მიმართულებით, რის შედეგადაც ჯეროვნად ვერ შეფასდა მისი წინააღმდეგობის ძალა. ამ შეცდომის გამო მე-3 და 48-ე არმიებს მიეცათ გარღვევის მეტისმეტად დიდი უბანი. ამასთან არმიებს არ ჰქონდათ გარღვევისათვის საკმარისი საშუალებანი. მე, როგორც მთავარბანაკის წარმომადგენელმა, დროზე ვერ გამოვასწორე ფრონტის სარდლობის ეს შეცდომა.

საჭიროა აღინიშნოს კიდევ ერთი გარემოება, რომელმაც გავლენა მოახდინა ამ რაიონში ჩვენი მოქმედების შენელებაზე. როცა მზადდებოდა თავდაცვის გარღვევის გადაწყვეტილება, მე-3 არმიის სარდალმა გენერალ-ლეიტენანტმა ა. ვ. გორბატოვმა წინადადება წამოაყენა ბ. ს. ბახაროვის სატანკო კორპუსს დაერტყა რამდენადმე ჩრდილოეთით — ტყიან-ჭაობიანი ადგილიდან, საიდაც, მისი მონაცემებით, მოწინააღმდეგის თავდაცვა ძალიან სუსტი იყო. ა. ვ. გორბატოვს არ დაეთანხმნენ და უბრძანეს გარღვევა მოემზადებინა ფრონტის სარდლობის მიერ მითითებული მიმართულებით. რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ჩრდილოეთით უნდა გადატანილიყო 48-ე არმიის მთავარი დარტყმაც.

დაიწყო ბრძოლა, მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევა ნელა ვითარდებოდა. ეს რომ დაინახა ა. ვ. გორბატოვმა, თხოვნით მოგვმართა, ნება დაგვერთო მისთვის — განეხორციელებინა თავისი თავდაპირველი გეგმა და სატანკო კორპუსით ეფრო ჩრდილოეთით დაერტყა. მე მხარი დავუჭირე ა. ვ. გორბატოვის წინადადებას. ოპერაცია წარმატებით დაგვირგვინდა. მტერი უკუგდებულ იქნა და ბ. ს. ბახაროვის ტანკისტები, რომლებმაც ბრძოლა მოიგეს ფლანგზე, დაუყოვნებლივ დაიძრნენ ბობრუისკისაკენ და მოწინააღმდეგეს გადაუჭრეს მდინარე ბერეზინათი უკანდასახევი ერთადერთი გზა.

---

[1] იხ. გვ. 347-348.

ჩვენი ჯარების ამ მარჯვე მანევრის შემდეგ გერმანელებმა დაიწყეს უკანდახევა ჟლობინ—როგაჩევის ზღუდიდან, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო. ერთადერთი ხიდი ბობრუისკთან უკვე ბ. ს. ბახაროვის ტანკისტებმა დაიკავეს.

მ. თ. პანოვის სატანკო კორპუსი ბობრუისკის ჩრდილო-დასავლეთ რაიონში გავიდა და თვით ქალაქში მყოფი მოწინააღმდეგეს ყველა უკანდასახევი გზა გადაუჭრა.

ამგვარად, 27 ივნისს ბობრუისკის რაიონში წარმოიქმნა ორი „ქვაბი“, რომლებშიც აღმოჩნდნენ გერმანელთა ჯარების 35-ე არმიისა და 41-ე სატანკო კორპუსის ჯარები —40 ათასამდე კაცი.

მე შესაძლებლობა არ მქონდა თვალყური მედევნებინა, თუ როგორ ხდებოდა მოწინააღმდეგის ლიკვიდაცია ბობრუისკში, მაგრამ ვნახე, როგორ ანადგურებდნენ გერმანელებს მის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ს. ი. რუდენკოს მე-16 არმიის ასობით ბომბდამშენი 48-ე არმიასთან ურთიერთმოქმედებით ზედიზედ ურტყამდა მოწინააღმდეგის ჯგუფებს. ბრძოლის ველზე ხანძრები გაჩნდა: იწვოდა მრავალი მანქანა, საწვავ-საცხები მასალები. მთელი ბრძოლის ველი განათებული იყო საზარელი ცეცხლის ალით. ამ ცეცხლით იღებდნენ გეზს, მოდიოდნენ ჩვენი ბომბდამშენების სულ ახალ-ახალი ეშელონები და ყრიდნენ სხვადასხვა კალიბრის ბომბებს. ეს შემზარავი „ქორო“ შეავსო 48-ე არმიის საარტილერიო ცეცხლმა.

გერმანელი ჯარისკაცები შეშლილებივით აწყდებოდნენ აქეთიქით და ვისაც არ სურდა ტყვედ დანებება, იქვე იღუპებოდა. იღუპებოდა ასობით და ათასობით გერმანელი ჯარისკაცი, რომლებიც მოატყუა ჰიტლერმა საბჭოთა კავშირზე ელვისებური გამარჯვების დაპირებით. ტყვედ დანებებულთა შორის აღმოჩნდა გერმანელთა 35-ე საარმიო კორპუსის სარდალი გენერალი ლუტცოვი.

მოწინააღმდეგის საბოლოო ლიკვიდაცია ბობრუისკის რაიონში დაეკისრა პ. ლ. რომანენკოს 48-ე არმიას და 65-ე არმიის 105-ე მსროლელ კორპუსს. მე-3, 65-ე არმიებს, მე-9 და 1-ლ გვარდიულ სატანკო კორპუსებს ებრძანათ, არ შეჩერებულიყვნენ ბობრუისკის რაიონში და სწრაფად შეეტიათ საერთო მიმართულებით ოსიპოვიჩიზე. ქალაქი ავიღეთ 28 ივნისს. 29 ივნისს მოწინააღმდეგისაგან საბოლოოდ გავწმინდეთ ქალაქი ბობრუისკიც.

სლუცკს სწრაფად უტევდა გენერალ ა. ა. ლუჩინსკის 28-ე არმია და გენერალ ი. ა. პლიევის ცხენოსანთა მექანიზებული ჯგუფი.

ვიტებსკისა და ბობრუისკის რაიონში მოწინააღმდეგის განადგურების შემდეგ ჩვენი ჯარების საფლანგო დაჯგუფებებმა მნიშვნელოვნად წაიწიეს წინ და გარშემორტყმის პირდაპირი საფრთხე შეუქმნეს

მოწინააღმდეგის „ცენტრის“ არმიების ბელორუსიის მთელ დაჯგუფებას.

როცა თვალყურს ვადევნებდით და ვაანალიზებდით გერმანელთა ჯარებისა და მთავარსარდლობის მოქმედებას ამ ოპერაციაში, გულახდილად რომ ვთქვა, ჩვენ ცოტა არ იყოს, გვაკვირვებდა მათი უხეშად მცდარი მანევრები, რომლებმაც კატასტროფა განუმზადეს ჯარებს. იმის ნაცვლად, რომ სწრაფად უკან დაეხიათ ზურგის ზღუდეებზე და ძლიერი დაჯგუფებანი გამოეყვანათ თავიანთ ფლანგებზე, რომლებსაც საბჭოთა დამკვრელი დაჯგუფებები ემუქრებოდნენ, გერმანელთა ჯარები ჩაებნენ ხანგრძლივ ფრონტულ ბრძოლებში მინსკის აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით.

28 ივნისს უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკმა ა. მ. ვასილევსკისთან, ჩემთან და ფრონტის სარდლებთან მოლაპარაკების შემდეგ დაადასტურა ჯარების შემდგომი ამოცანები.

ბალტიისპირეთის 1-ელ ფრონტს მიეცა ბრძანება გაეთავისუფლებინა პოლოცკი და შეეტია გლუბოკოესათვის, ბელორუსიის მე-3 და მე-2 ფრონტებს — გაეთავისუფლებინათ ბელორუსიის დედაქალაქი მინსკი, ბელორუსიის 1-ელ ფრონტს — ძირითადი ძალებით შეეტია სლუცკ-ბარანოვიჩის მიმართულებით, ძალების ნაწილით განეეითარებინა დარტყმა მინსკზე, შემოეევლო ბისთვის სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან. მთავარბანაკის ეს კონკრეტული მოსაზრება გამომდინარეობდა ოპერაციის საერთო გეგმიდან, რომელიც მიზნად ისახავდა გარშემორტყმოდა „ცენტრის“ არმიების ჯგუფს და მთლიანად გაენადგურებინა ისინი. ჩვენი ჯარების ძალები და დაჯგუფება სავსებით შეესაბამებოდა დასახულ ამოცანებს.

ოპერაციის წარმატებით განხორციელება ადასტურებდა საბჭოთა სარდლობის შორსმჭვრეტელობასა და მზარდ სიმწიფეს, იმას, რომ იგი დაეუფლა ოპერატიულ-სტრატეგიულ ხელოვნებას.

სამწუხაროდ, მე ვერ მოვახერხე იმ მომენტში პირდაპირ დავკავშირებოდი ა. მ. ვასილევკის, რათა მასთან შემეთანხმებინა გენერალ ა. ვ. გორბატოვის, ბელორუსიის მე-2 და მე-3 ფრონტების შემდგომი ურთიერთმოქმედება. ამ ჯარების მიზანი იყო მინსკის აღება და მოწინააღმდეგის დიდი დაჯგუფებისათვის უკანდასახევი გზების ბლოკირება. ბელორუსიის მე-2 ფრონტის ჯარები მაგრად წურავდნენ ამ დაჯგუფებას, არ აძლევდნენ მას შესაძლებლობას, მოსწყვეტოდა თავის საბძოლო წყობას. პარალელური დევნის დროს ეს დადებითი ფაქტორი იყო.

მწიფდებოდა გერმანელთა მთელი მე-4 არმიის გარშემორტყმა. როგორ მოიქცევა, რას იღონებს ამ გადამწყვეტ მომენტში გერმანელთა მთავარსარდლობა? ეს აფიქრებდა მაშინ მთავარბანაკს, გენერალურ

შტაბს, ამაზე ვფიქრობდით ყველანი, ვისაც უშუალოდ უნდა გაგვეხორციელებინა ასეთი პასუხსაგები ოპერაცია.

როგორც საჭირო იყო ასეთ შემთხვევებში, ძირითადი ყურადღება ყველა საკომანდო ინსტანციამ გაამახვილა დაზვერვაზე, რომლის დახმარებითაც შეიძლებოდა გაგვეგო მტრის ჩანაფიქრი და ტაქტიკური ღონისძიებანი. როგორ არ ვცდილობდით ჩვენ — აგვეხსნა და გამოგვერკვია რაიმე მნიშვნელოვანი გერმანელთა მთავარსარდლობის სტრატეგიულ ხელმძღვანელობაში, — მაინც ვერაფერი ვერ აღმოვაჩინეთ, გარდა იმისა, რომ ოდნავ გაამაგრეს მათთვის განსაკუთრებით საშიში მიმართულებები.

მინსკის რაიონში მოქმედი ბელორუსი პარტიზანების მონაცემებით შევიტყეთ, რომ გერმანელები სასწრაფოდ ნაღმავდნენ და ასაფეთქებლად ამზადებდნენ მინსკში მთავრობის სახლს, პარტიის ბელორუსიის ცენტრალური კომიტეტის შენობას და საოლქო ოფიცერთა სახლს. რათა გადაგვერჩინა ეს დიდი შენობები, გადაწყდა დაგვეჩქარებინა მინსკში სატანკო ნაწილების მოძრაობა და მათთან ერთად გაგვეგზავნა გამნაღმველთა რაზმი. ჩვენი მიზანი იყო ქალაქში ისე შევეკრილიყავით, რომ მისადგომებთან არ გაგვემართა ბრძოლა და ხელში ჩაგვეგდო მთავრობის ეს შენობები.

ამოცანა ბრწყინვალედ შესრულდა. შენობები განაღმეს და გადაარჩინეს.

3 ივლისს განთიადისას ა. ს. ბურდეინის მე-2 გვარდიული სატანკო კორპუსი მინსკში აღმოსავლეთიდან შეიჭრა. ერთდროულად სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ქალაქი დაიკავეს ბელორუსის 1-ლი ფრონტის 1-ლი გვარდიული სატანკო კორპუსის ჯარებმა გენერალ მ. თ. პანოვის სარდლობით. მინსკს ჩრდილოეთიდან უვლიდნენ მე-5 გვარდიული სატანკო არმიის ნაწილები. მ. თ. პანოვის სატანკო კორპუსს მინსკის გარეუბნებში კვალდაკვალ მოჰყვა გენერალ ა. ე. გორბატოვის მე-3 არმია. ამავე დროს ჩვენი ჯარები გავიდნენ მინსკის სამხრეთ-დასავლეთით და დასავლეთით უკუაგდეს მოწინააღმდეგის რეზერვები.

3 ივლისის ბოლოს გერმანელთა ჯარების მე-4 არმიის შენაერთებს ძირითადი ჯგუფი მოწყვეტილი აღმოჩნდა უკანდასახევი გზებიდან და მინსკის აღმოსავლეთით მოემწყვდა რკალში. გარემოცვაში მოხვდა მე-12, 27-ე, 35-ე საარმიო, 39-ე და 41-ე სატანკო კორპუსები საერთო რაოდენობით საბრძოლო შემადგენლობის 100 ათასზე მეტი კაცი.

3 ივლისის ბოლოს მინსკი სავსებით გათავისუფლებულ იქნა მტრისაგან.

ბელორუსიის დედაქალაქს ვეღარ იცნობდა კაცი. შვიდ წელიწადს ვსარდლობდი პოლკს მინსკში. კარგად ვიცოდი ყოველი ქუჩა, ყველა უმნიშვნელოვანესი ნაგებობა, ხიდები, პარკები, სტადიონი და თეატ-

რები. ახლა ყველაფერი ნანგრევებად ქცეულიყო და საცხოვრებელი კვარტალების ადგილას დამტვრეული აგურებისა და ნამსხვრევების გროვებით დაფარული მიწა დარჩენილიყო.

ყველაზე მძიმე შთაბეჭდილებას ახდენდნენ ადამიანები, მინსკის მცხოვრებნი. მათი უმრავლესობა მთლად გამოფიტული, განაწამები იყო, ბევრს ლოყებზე ცრემლი სდიოდა...

11 ივლისს, მიუხედავად წინააღმდეგობის გაწევისა, ალყაში მოქცეული გერმანელთა ჯარები გავანადგურეთ ან ტყვედ ჩავიგდეთ. 57 ათას ტყვეში აღმოჩნდა 12 გენერალი, მათ შორის 3 კორპუსის სარდალი, 9 დივიზიის მეთაური, კიდევ რამდენიმე დღეს გრძელდებოდა მოწინააღმდეგის ჯარისკაცებისა და ოფიცრების იმ ცალკეული ჯგუფების დატყვევება, რომლებიც ცდილობდნენ გაპრილიყვნენ თავიანთ ჯარებთან. მაგრამ ვინაიდან გერმანელები სწრაფად იხევდნენ უკან, მათ ვერ შეძლეს თავისიანებთან გაეღწიათ. მოწინააღმდეგისაგან ტერიტორიის გაწმენდაში დიდი დახმარება გაგვიწიეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა და პარტიზანებმა — ბელორუსიის ტყეების ნამდვილმა ბატონ-პატრონებმა.

ითვალისწინებდა რა, რომ დასავლეთის მიმართულებით გაჩნდა ბზარი, რომელიც მოწინააღმდეგეს მხოლოდ ძირითად მიმართულებებზე ეკავა, 4 ივლისს უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკმა ბრძანება გასცა განეგრძოთ შეტევა:

ბალტიისპირეთის 1-ლ ფრონტს — საერთო მიმართულებით შიაულიაიზე, ფრონტის მარჯვენა ფართით წინ წაწეულიყო დაუგავპილსინსკენ მარცხენათი — კაუნასისკენ.

ბელორუსიის მე-3 ფრონტს — ვილნიუსზე, ძალების ნაწილით — ლიდიზე.

ბელორუსიის მე-2 ფრონტს — ნოვოგრუდოკზე, გროდხოზე, ბელოსტოკზე;

ბელორუსიის 1-ლ ფრონტს — ბარანოვიჩიზე, ბრესტზე და ხელთ ეგდოთ პლაცდარმი დასავლეთ ბუგზე.

7 ივლისს. როცა დამთავრდა მოწინააღმდეგის ალყაშემორტყმული დაჯგუფების ლიკვიდაცია მინსკის აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით, ხოლო ბელორუსიის 1-ლი, ბელორუსიის მე-3 და ბალტიისპირეთის 1-ლი ფრონტების მოწინავე ეშელონებმა მინსკის მერიდიანიდან უკვე შორს წაიწიეს წინ დასავლეთით და ბრძოლას ეწეოდნენ ვილნიუს—ბარანოვიჩ—პინსკის რაიონში, მე დამირეკა ი. ბ. სტალინმა და მიბრძანა მთავარბანაკში ჩავფრენილიყავი.

დილით ადრე 8 ივლისს მოსკოვში ჩავედი, თავი წესრიგში მოვაყვანე და თავდაცვის სახალხო კომისარიატში გავწიე. ვიდრე მთავარ-

სარდლის წინაშე წარვდგებოდი, მსურდა უფრო ღრმად გავრკვეულიყავი უკანასკნელი დღეების ვითარებაში.

ა. ი. ანტონოვმა, როგორც ყოველთვის, ზუსტად მომახსენა ვითარების ანალიზი და გენერალური შტაბის აზრი უახლოესი პერიოდის მოვლენების განვითარების შესახებ. მას რომ ვუსმენდი, განვიცდიდი კმაყოფილების დიდ გრძნობას: როგორ გაიზარდა გენერალური შტაბისა და მისი ხელმძღვანელი შემადგენლობის ოპერატიულ-სტრატეგიული კვალიფიკაცია!

დაახლოებით 13 საათზე ა. ი. ანტონოვს დაურეკა უმაღლესმა მთავარსარდალმა, ჰკითხა ჩემზე, სად არისო. მთელი რიგი საკითხები რომ დააზუსტა, ა. ი. ანტონოვს და მე გვიბრძანა, ერთი საათის შემდეგ ჩემთან იყავითო. ზუსტად 14 საათზე მივედით. ი. ბ. სტალინი კარგ გუნებაზე იყო, ხუმრობდა.

ჩვენი საუბრის დროს მაღალი სიხშირის ტელეფონით დარეკა. ა. მ. ვასილევსკიმ და უმაღლეს მთავარსარდალს მოახსენა უკანასკნელი მოვლენების შესახებ ბალტიისპირეთის 1-ლი და ბელორუსიის მე-3 ფრონტების უბნებზე. ეტყობა, ა. მ. ვასილევსკიმ კარგი ამბები მოახსენა და უმაღლესი მთავარსარდალი კიდევ უფრო გამხიარულდა.

— მე ჯერ არ მისაუზმია, — გვითხრა მან, — წავიდეთ სასადილოში, იქ მოვილაპარაკებთ კიდეც.

მე და ა. ი. ანტონოვი თუმცა ნასაუზმევი ვიყავით, მაგრამ მიპატიჟებაზე უარი არ გვითქვამს. საუზმის დროს ლაპარაკი იყო იმაზე, თუ რა შესაძლებლობები გააჩნდა გერმანიას ორ ფრონტზე — საბჭოთა კავშირისა და ნორმანდიაში გადამსხდარი მოკავშირეთა საექსპედიციო ჯარების წინააღმდეგ ომის საწარმოებლად, ვისაუბრეთ აგრეთვე ომის ბოლო ეტაპზე საბჭოთა ჯარების როლისა და ამოცანების შესახებაც.

ი. ბ. სტალინი ისე მოკლედ და მკაფიოდ გამოთქვამდა თავის აზრებს, რომ ჩანდა: ყველა ეს საკითხი ღრმად ჰქონდა გააზრებული. თუმცა უმაღლესი მთავარსარდალი სამართლიანად თვლიდა, რომ ჩვენ გვეყოფოდა ძალები თვითონ მოგვეღო ბოლო ფაშისტური გერმანიისათვის, მაგრამ იგი გულწრფელად მიესალმა მეორე ფრონტის გახსნას ევროპაში. ეს ხომ აჩქარებდა ომის დამთავრებას, რაც აუცილებელი იყო საბჭოთა ხალხისათვის.

იმაში, რომ გერმანიამ ომი საბოლოოდ წააგო, ეჭვი აღარავის არ ეპარებოდა. ეს საკითხი გადაწყდა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ჯერ კიდევ 1943-1944 წლის დამდეგს. ახლა ლაპარაკი იყო იმაზე, თუ რამდენად ჩქარა და რა სამხედრო-პოლიტიკური შედეგებით დამთავრდებოდა იგი.

მოვიდნენ ვ. მ. მოლოტოვი და თავდაცვის სახალხო კომიტეტის სხვა წევრები.

გერმანიის მიერ შეიარაღებული ბრძოლის განგრძობის განხილვისას ჩვენ ყველანი იმ აზრისა ვიყავით, რომ გერმანია უკვე გამოფიტულია ადამიანთა და მატერიალური რეზერვების მხრივ, მაშინ როცა საბჭოთა კავშირი უკრაინის, ბელორუსიის, ლიტვისა და სხვა რაიონების განთავისუფლებასთან დაკავშირებით იღებს მნიშვნელოვან შევსებას პარტიზანული ნაწილების ხარჯზე, ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილი ადამიანების ხარჯზე.

მეორე ფრონტის გახსნა კი გერმანიას, ბოლოს, აიძულებს, რამდენადმე გააძლიეროს თავისი ჯარები დასავლეთში.

ისმებოდა კითხვა: რის იმედი უნდა ჰქონოდა ჰიტლერულ გერმანიას ასეთ სიტუაციაში?

ამ კითხვაზე უმაღლესი მთავარსარდალი ასე პასუხობდა:

— იმისი, რის იმედიც აქვს აზარტულ მოთამაშეს, როცა რისკზე მიდის და თამაშობს უკანასკნელი მონეტით.

— ჰიტლერი, ალბათ ეცდება, რადაც უნდა დაუჯდეს, სეპარატული შეთანხმება დადოს ამერიკისა და ინგლისის მმართველ წრეებთან, — დასძინა ვ. მ. მოლოტოვმა.

— ეს სწორია, — თქვა ი. ბ. სტალინმა, — მაგრამ რუზველტი და ჩერჩილი არ მოურიგდებიან ჰიტლერს. ისინი ეცდებიან თავიანთი პოლიტიკური ინტერესები უზრუნველყონ ისე, რომ არ დაადგნენ გარიგების გზას ჰიტლერელებთან, რომლებმაც ხალხში ყოველგვარი რწმენა დაკარგეს. არამედ დაიწყებენ გერმანიაში მათი მორჩილი მთავრობის შექმნის შესაძლებლობის ძებნას.

შემდეგ უმაღლესმა მთავარსარდალმა მე მკითხა:

— შეუძლიათ თუ არა ჩვენს ჯარებს დაიწყონ პოლონეთის გათავისუფლება და შეუჩერებლივ მივიდნენ ვისლამდე და რა უბანზე შეიძლება საქმეში ჩავაბათ პოლონეთის ჯარის 1-ლი არმია, რომელმაც ყველა საჭირო საბრძოლო თვისება შეიძინა?

— ჩვენს ჯარებს არა მარტო შეუძლიათ მივიდნენ ვისლამდე, — ვუპასუხე მე, — არამედ კარგი პლაცდარმიც უნდა დაიკავონ მასზე, რათა უზრუნველყონ შემდგომი შეტევითი ოპერაციები ბერლინის სტრატეგიული მიმართულებით. რაც შეეხება პოლონეთის ჯარის 1-ლ არმიას, იგი უნდა ჩაგვება ვარშავისათვის ბრძოლაში.

ა. ი. ანტონოვმა საკუთარი დამოკიდებულება. მან უმაღლეს მთავარსარდალს მოახსენა, რომ გერმანელთა სარდლობამ გადმოიყვანა ჯარების დიდი ჯგუფი, მათ შორის ჯავშანსატანკო შენაერთები, ინ გარღვევის დასაფარავად. რომელიც წარმოიქმნა ჩვენი დასავლეთის ფრონტების

მოქმედების შედეგად. ამიტომ მან სერიოზულად შეასუსტა თავისი დაჯგუფება უკრაინის 1-ლი ფრონტის უბანზე.

შემდეგ ალექსი ინოკენტის ძემ მოახსენა მატერიალური მარაგისა და შეესების თავმოყრის მსვლელობის შესახებ უკრაინის 1-ელ ფრონტზე და ბელორუსიის 1-ლი ფრონტის მარცხენა ფრთაზე. ეს ფრონტები ადრე მიღებული გეგმის თანახმად შეტევაზე გადასასვლელად ემზადებოდნენ.

— ახლა თქვენ მოგიხდებათ იკისროთ უკრაინის 1-ლი ფრონტის მოქმედების კოორდინაცია—მითხრა უმაღლესმა მთავარსარდალმა. — მთავარი ყურადღება მიაქციეთ ბელორუსიის 1-ლი ფრონტის მარცხენა ფრთას და უკრაინის 1-ლ ფრონტს. უკრაინის 1-ლი ფრონტის ამოცანის საერთო გეგმა თქვენთვის ცნობილია. მთავარბანაკის გეგმა არ შეცვლილა. ფრონტის გეგმას კი გენერალურ შტაბში გაეცნობით.

შემდეგ დაიწყო იმ ჯარების შესაძლებლობათა განხილვა, რომელთა კოორდინირება ა. მ. ვასილევსკის ეკისრებოდა.

უმაღლეს მთავარსარდალს ვუთხარი, რომ უფრო სწორი იქნება, თუ მნიშვნელოვნად გავაძლიერებთ ა. მ. ვასილევსკის ფრონტების ჯგუფს, ბელორუსიის მე-2 ფრონტს და ა. მ. ვასილევსკის დაუსახავთ ამოცანას — გზა გადაუჭრას გერმანელთა „ჩრდილოეთის" არმიების ჯგუფს და ხელთ იგდოს აღმოსავლეთი პრუსია.

— თქვენ რა, პირი შეჰკარით ვასილევსკისთან? — მკითხა უმაღლესმა მთავარსარდალმა.

— არა, პირი არ შეგვიკრავს. მაგრამ თუ იგი ასე ფიქრობს, სწორად უფიქრია.

— გერმანელები უკანასკნელ კაცამდე იბრძოლებენ აღმოსავლეთ პრუსიაში. ჩვენ შეიძლება იქ დიდხანს ჩავრჩეთ. პირველ რიგში უნდა გავათავისუფლოთ ლვოვის ოლქი და პოლონეთის აღმოსავლეთი ნაწილი. ხვალ ჩემთან შეხვდებით ბერუტს, ოსუბკო-მორავსკის და როლია-ჟიმერსკის. ისინი წარმოადგენენ პოლონეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტს. ოც რიცხვებში ისინი აპირებენ მანიფესტით მიმართონ პოლონელ ხალხს ჩვენს წარმომადგენლად პოლონელებთან გავგზავნით ბულგანინს, ხოლო სამხედრო საბჭოს წევრად როკოსოვსკისთან დავტოვებთ ტელეგინს.

9 ივლისს ჩემი თანადასწრებით უმაღლესმა მთავარსარდალმა ერთხელ კიდევ განიხილა ბელორუსიის 1-ლი ფრონტის კოველის შეტევითი ოპერაციის გეგმა. გეგმა ითვალისწინებდა:

— კოველ-ლიუბლინის დაჯგუფების განადგურებას.

— ფრონტის მარჯვენა ფრთის ჯარებთან ერთიერთმოქმედებით ბრესტის აღებას;

— ფართო ფრონტით ვისლაზე გასვლას და მის დასავლეთ ნაპირზე პლაცდარმის ხელში ჩაგდებას.

10 ივლისს ვსწავლობდი უკრაინის 1-ლი ფრონტის სარდლობის გეგმას და მის მზადყოფნას ოპერაციის განსახორციელებლად. უკრაინის 1-ლ ფრონტს უნდა განეხორციელებინა ორი მძლავრი დარტყმა: ერთი ლვოვის მიმართულებით, მეორე — რავა-რუსკაიას და ძალების ნაწილით — სტანისლავის მიმართულებით. ოპერაციის სიღრმე დაახლოებით 220-240 კილომეტრს უდრიდა. უბანი, სადაც ფრონტის დარტყმები უნდა განხორციელებულიყო, 100-120 კილომეტრს მოიცავდა.

აქ თავმოყრილი იყო 80 დივიზია, 10 სატანკო და მექანიზებული კორპუსი, 4 ცალკე სატანკო ბრიგადა, 13900 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 2200 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი და 3000 თვითმფრინავი. ადამიანთა საერთო რაოდენობა 1 მილიონ 200 ათას კაცს აღწევდა.

ჯარების ასეთი რაოდენობა საკმაოზე მეტი იყო ამ ოპერაციის ჩასატარებლად და მე უფრო გონივრულად მიმაჩნდა უკრაინის 1-ლი ფრონტის ხარჯზე ძალების ნაწილი გამოგვეყო აღმოსავლეთ პრუსიაზე დარტყმისათვის, მაგრამ უმაღლეს მთავარსარდალს რატომღაც არ სურდა ამის გაკეთება.

საღამოს 9 ივლისს მიმიწვიეს ი. ბ. სტალინთან აგარაკზე, სადაც უკვე იყვნენ ბერუტი, ოსუბკო-პორავსკი და როლია-ჟიმერსკი. პოლონელმა ამხანაგებმა გვიამბეს, რა მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა მათი ხალხი, რომელიც მეხუთე წელიწადია ოკუპაციაში იმყოფებოდა. პოლონეთის ეროვნული გათავისუფლების კომიტეტისა და კრაიოვა რადა ნაროდოვას წევრები ოცნებობდნენ მალე გაეთავისუფლებინათ თავიანთი მშობლიური მიწა. ერთობლივი განხილვის დროს გადაწყდა, რომ პირველი ქალაქი, რომელშიც კრაიოვა რადა ნაროდოვა გაშლიდა თავის ორგანიზატორულ საქმიანობას, იქნებოდა ქალაქი ლიუბლინი.

11 ივლისს დილით ადრე გავფრინდი უკრაინის 1-ლ ფრონტზე, სადაც იმავე დღეს ჩავედი.

ჩემი საკომანდო პუნქტი მოვაწყე სლუცკთან, რათა ამ დროს ახლო ვყოფილიყავი ბელორუსიის 1-ლი ფრონტის კოველის დაჯგუფებასთან და უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებთან.

გარშემორტყმული მოწინააღმდეგის ძალების საბოლოო ლიკვიდაციის შემდეგ მინსკის რაიონში ჩვენი ჯარების შეტევა წარმატებით ვითარდებოდა. გერმანელები ცალკეულ უბნებზე ცდილობდნენ გაეწიათ წინააღმდეგობა. მაგრამ უკუგდებულ იქნენ და უკან იხევდნენ შიაულიაის, კაუნასის, გროდნოს, ბელოსტოკის, ბრესტის მთელი ფრონტით.

უკრაინის 1-ლი ფრონტის შეტევა, რომელიც დაიწყო 13 ივლისს

რავა-რუსკაიას მიმართულებით, გეგმის მიხედვით ვითარდებოდა. საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს მე-3 გვარდიული არმიის ჯარებმა გენერალ ვ. ნ. გორდოვის სარდლობით და ნ. პ. პუხოვის მე-13 არმიამ.

ლვოვის მიმართულებით შეტევა დაიწყო 14 ივლისს, მაგრამ მთელი რიგი მიზეზების გამო მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევა მაშინვე ვერ მოხერხდა. უფრო მეტიც, მტერმა ზოლოჩევის რაიონიდან ძლიერი კონტრდარტყმა მიაყენა კ. ს. მოსკალენკოს 38-ე არმიას და შეავიწროვა იგი. საქმე გამოასწორა პ. ს. რიბალკოს მე-3 გვარდიულმა სატანკო არმიამ, რომელიც ბრძოლაში ჩაება 16 ივლისს საკმაოდ რთულ პირობებში.

17 ივლისს მე-3 გვარდიული სატანკო არმიის შემდეგ შეტევა დაიწყო დ. დ. ლელიუშენკოს მე-4 სატანკო არმიამ, რომელმაც განამტკიცა წარმატება. მე-60, 38-ე არმიების, მე-3 და მე-4 სატანკო არმიების საერთო ლონისძიებით მტრის ჯარებმა უკან დაიხიეს ლვოვის მიმართულებით. მაგრამ ჩვენი ჯარები მაინც ნელა მიიწევდნენ წინ.

18 ივლისის ბოლოს უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა გაარღვიეს გერმანელთა ჯარების თავდაცვა და წინ წაიწიეს 50, ადგილ-ადგილ კი 60 კილომეტრით, ამასთან ბროდის რაიონში გარშემოერტყნენ გერმანელთა ჯარების ჯგუფს, დაახლოებით 8 დივიზიას.

ამ ღირსსახსოვარ დღეს შეტევა დაიწყეს ბელორუსიის 1-ლი ფრონტის მარცხენა ფრთის ჯარებმა კოველისა და ლიუბლინის რაიონიდან. ამ მომენტიდან ბელორუსიის 1-ლი ფრონტი ამოქმედდა მთელი თავისი არმიებით. ჯეროვანად უნდა შეეაფასოთ ბელორუსიის 1-ლი ფრონტის სარდლობა, შტაბი და ზურგის დაწესებულებები — ოპერაციის მთელ მანძილზე ისინი მარჯვედ და ორგანიზებულად მართავდნენ ჯარებს, დროულად უზრუნველყოფდნენ ყველაფრით, რაც საჭირო იყო.

„ცენტრის" არმიების ჯგუფზე ოთხი ფრონტის მძლავრი დარტყმების შედეგად განადგურებულ იქნა გერმანელთა მე-3 სატანკო არმია, მე-4 და მე-9 საერთო საჯარისო არმიები. მტრის სტრატეგიული ფრონტი გავარღვიეთ 400 კილომეტრ სიგანეზე და სიღრმით 500 კილომეტრამდე, რის სწრაფად დაფარვა გერმანელთა სარდლობას არაფრით არ შეეძლო.

გერმანელთა უმაღლეს მთავარსარდლისათვის ივლისის მეორე ნახევარში მძიმე ვითარება შეიქმნა, რაც კიდევ უფრო გაართულა ბალტიისპირეთის მე-2 და მე-3 ფრონტების შეტევაზე გადასვლამ და მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების დაწოლამ დასავლეთში.

გერმანელი გენერალი ბუტლარი ამის თაობაზე წერდა: „ცენტრის"

არმიების განადგურებამ ბოლო მოუღო გერმანელთა ორგანიზებულ წინააღმდეგობას აღმოსავლეთში".[1]

მე მაინც უნდა ვთქვა, რომ „ცენტრის" არმიათა ჯგუფის სარდლობამ ამ უაღრესად რთულ ვითარებაში გამონახა მოქმედების სწორი საშუალება. იმასთან დაკავშირებით, რომ თავდაცვის მთლიანი ფრონტი მათ არ გააჩნდათ და მისი შექმნა საჭირო ძალების უქონლობის გამო შეუძლებელი იყო, გერმანელთა სარდლობამ გადაწყვიტა ჩვენი ჯარების შეტევა შეეჩერებინა უმთავრესად მოკლე კონტრდარტყმებით. ამ დარტყმების საფარქვეშ ზურგის ზღუდეებზე თავდაცვისათვის გაშალა გერმანიიდან და საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის სხვა უბნებიდან გადმოყვანილი ჯარები.

ბელორუსიის 1-ლი ფრონტის დამკვრელ დაჯგუფებას, რომელიც უტევდა 47-ე არმიის, მე-8 გვარდიული არმიის, 69-ე არმიის, მე-2 გვარდიული სატანკო არმიის შემადგენლობით, ეხმარებოდა საჰაერო არმია. აქეე მოქმედებდა პოლონეთის ჯარის 1-ლი არმიაც, რომელსაც მეთაურობდა გენერალ-ლეიტენანტი ზ. ბერლინგი. ბუგის გადალახვის შემდეგ ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარები შევიდნენ პოლონეთის აღმოსავლეთი ნაწილის საზღვრებში და დაიწყეს გერმანელი ოკუპანტებისაგან პოლონელი ხალხის განთავისუფლება.

23 ივლისს მე-2 სატანკო არმიამ, რომელიც მოქმედებდა საერთო საჯარისო არმიების წინ, წინსვლის შეუჩერებლად გაათავისუფლა ქალაქი ლიუბლინი, ხოლო 24 ივლისს სწრაფი იერიშით (არმიის სარდლობა გენერალ ს. ი. ბოგდანოვის დაჭრის შემდეგ მიიღო გენერალმა ა. ი. რაძიევსკიმ) მოწინავე ნაწილებით გავიდა ვისლაზე დემბლინის რაიონში.

აქ ჩვენმა ჯარებმა გაათავისუფლეს სიკვდილის ბანაკის—მაიდანეკის ტყვეები. როგორც ცნობილია, ფაშისტებმა ამ ბანაკში მოსპეს დაახლოებით მილიონ-ნახევარი კაცი. მათ შორის მოხუცები, ქალები და ბავშვები. შეუძლებელია იმის დავიწყება. რაც მიამბეს იმათ, ვინც თავის თვალით ნახა ეს საშინელება. მაიდანეკში ფაშისტების მიერ ჩადენილი ბნეცობა მოგვიანებით მთელმა მსოფლიომ შეიტყო და კვალიფიცირებულ იქნა როგორც უმძიმესი დანაშაული კაცობრიობის წინაშე.

28 ივლისს ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარებმა გაანადგურეს მოწინააღმდეგის ბრესტის დაჯგუფება, გათავისუფლეს ქალაქი ბრესტი და გმირული ბრესტის ციხე-სიმაგრე, რომლის დამცველები პირველნი გაუმკლავდნენ 1941 წელს მტრის დარტყმებს და საუკუნოდ გაითქვეს სახელი მასობრივი გმირობით.

---

[1] Мировая война 1939—1945 гг. Сборник статей. Издательства иностранной литературы, 1957, стр. 240.

გერმანელთა „ცენტრის“ არმიათა ჯგუფის განადგურება მიმდინარეობდა პარტიზანებთან მჭიდრო ურთიერთმოქმედებით. ჩვენი ჯარების შეტევის მსელელობაში ბელორუსმა პარტიზანებმა ჩაატარეს მთელი რიგი ოპერაციები რკინიგზებსა და გზატკეცილებზე, დაანგრიეს ხიდები და უმნიშვნელოვანესი სარკინიგზო ნაგებობანი. მათ ლიანდაგებიდან გადააგდეს დაახლოებით 150 ეშელონი ჯარებითა და საბრძოლო ტექნიკით. პარტიზანების აქტიურმა მოქმედებამ გერმანელთა ჯარების ზურგის გზებზე მოადუნა მომმარაგებელი ორგანოების საქმიანობა და გადაზიდვა, რამაც კიდევ უფრო შეარყია გერმანელი ჯარისკაცებისა და ოფიცრების მორალური მდგომარეობა.

მე-8 გვარდიული და 69-ე არმიები, რომლებიც წინ მიიწევდნენ მე-2 სატანკო არმიისა და სხვა მოძრავი ნაწილების კვალდაკვალ, 27 ივლისს გავიდნენ მდინარე ვისლაზე და დაიწყეს მისი ენერგიული გადალახვა მაგნუშევისა და პულავის რაიონებში, რომლებმაც შემდგომ ისტორიული როლი შეასრულეს პოლონეთის განთავისუფლებისა და ვისლა-ოდერის ოპერაციის დროს.

გერმანელთა სარდლობამ, რომელსაც შეგნებული ჰქონდა საბჭოთა ჯარების მიერ ვისლაზე დაკავებული პლაცდარმების მნიშვნელობა, მე-8 და 69-ე არმიების წინააღმდეგ გადმოისროლა მნიშვნელოვანი ძალები. მათ შორის სს-ის სატანკო დივიზია „გერმან გერინგი“. პლაცდარმებისათვის გაჩაღდა სასტიკისმღვრელი ბრძოლები, მაგრამ, მიუხედავად მოწინააღმდეგის გააფთრებული იერიშებისა, საბჭოთა ჯარებმა მოიგერიეს ისინი და გერმანელებს დიდი ზარალი მიაყენეს.

ჯეროვანად უნდა შევაფასოთ 69-ე არმიის სარდლის გენერალ ვ. ი. კოლპაჩკის და მე-8 გვარდიული არმიის სარდლის ვ. ი. ჩუიკოვის მოქმედება. ისინი დიდი ხელოვნებით და სიმტკიცით ხელმძღვანელობდნენ ბრძოლებს ვისლაზე პლაცდარმების ხელში ჩაგდებისა და შენარჩუნებისათვის.

განსაკუთრებული გმირობა გამოიჩინეს ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა, რომლებმაც პირველებმა გადალახეს ვისლა და მის დასავლეთ ნაპირზე გადასხდნენ.

მაგნუშევის პლაცდარმზე მე ველაპარაკე დაჭრილებს 79-ე გვარდიული მსროლელი დივიზიის 220-ე გვარდიული მსროლელი პოლკიდან. აი, რა მიამბო ერთ-ერთმა მათგანმა.

— ჩვენს ასეულს ებრძანა, განთიადი რომ მოატანდა. გადასულიყო ვისლის დასავლეთ ნაპირზე. ჩვენ ორმოცდაათ კაცზე ცოტა მეტნი ვიყავით. ასეულს მეთაურობდა ლეიტენანტი ვ. ტ. ბურბა. როგორც კი ნაპირზე გადავსხედით, მოწინააღმდეგემ ჩვენ მაშინათვე ცეცხლი დაგვიშინა, შემდეგ კი იერიში მოიტანა. პირველი იერიში მოვიგერიეთ, მაგრამ ამას მოჰყვა მეორე, შემდეგ მესამეც. მეორე დღეს ჩვენზე გა-

ნუწყვეტელი იერიშები მოჰქონდა მტრის ტანკებსა და ქვეით ჯარს. უკანასკნელი იერიში განსაკუთრებით გაეფთრებული იყო. თორმეტი კაცილა დავრჩით.

მოწინააღმდეგის უკანასკნელი იერიშის წინ ლეიტენანტმა ვ. ტ. ბურბამ გვითხრა: „ბიჭებო, ჩვენ ცოტანილა ვართ, საღამოს მაშველი ძალა მოვა, საღამომდე კი ვიბრძოლოთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, ნუ დავუთმობთ მტერს ჩვენს პოზიციებს".

მალე შეტევაზე გადმოვიდნენ მოწინააღმდეგის ტანკები და დაახლოებით ერთი ასეული. რამდენიმე ტანკი თითქმის ზედ მოგვადგა. მეთაურმა ისროლა გრანატების შეკვრა, ტანკი ააფეთქა, მეორის ქვეშ კი თვითონ შევარდა გრანატების შეკვრით ხელში. იერიში მოვიგერიეთ, მაგრამ ჩვენი მეთაური დაიღუპა. მთელი ასეულიდან 6 კაცი დარჩა. მალე მაშველი ძალა მოვიდა, დაკავებული ხიდუდე შევინარჩუნეთ."

მიყვებოდა ჯარისკაცი თავისი მეთაურის გმირობის ამბავს და ცრემლს ვერ იმაგრებდა. მეც არ შემეძლო აუღელვებლად მომესმინა მისთვის. ნაღველი მომერია იმის გამო, რომ იღუპებოდნენ ასეთი გამბედავი ადამიანები. მალე ლეიტენანტ ვ. ტ. ბურბას სიკვდილის შემდეგ მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

გმირული მამაცობით გამოიჩინა თავი იმავე 220-ე პოლკის მე-4 ასეულის ჯარისკაცმა კომკავშირელმა პ. ა. ხლუსტინმაც. რომელიც, ისევე როგორც ვ. ტ. ბურბა, ბრძოლის დაძაბულ მომენტში გრანატების შეკვრით შეეარდა მტრის ტანკის ქვეშ, რათა თავისი სიცოცხლის ფასად შეეჩერებინა მოწინააღმდეგის იერიში. კომკავშირელ პ. ა. ხლუსტინსაც სიკვდილის შემდეგ მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

ომის პირველ დღეებშიც, და ახლაც, მის დასასრულს, ურყევი იყო საბჭოთა ადამიანის უდიდესი მზადყოფნა თავი შეეწირა სამშობლოსათვის...

ბელორუსიის 1-ლი ფრონტის კოველის დამკვრელი ჯგუფების წარმატებითმა მოქმედებამ, მისმა სწრაფმა გასვლამ ვისლაზე დიდი გავლენა მოახდინა ლვოვ-სანდომირის ოპერაციის მსვლელობაზე. ოპერაციისა, რომელიც დასაწყისში ლვოვის ჰიმაროუულებით არ ვითარდებოდა ისე კარგად, როგორც მოელოდა ფრონტის სარდლობა და მთავარბანაკი.

როგორც უკვე ვთქვი, უკრაინის 1-ლ ფრონტზე ძალები და საშუალებანი სრულიად საკმარისი იყო, მაგრამ ოპერაციის მომზადების დროს დაშვებულ იქნა ხარვეზები.

აქ ერთხელ კიდევ ჰინდა ვილაპარაკო დაზვერვის, შეიარაღებული ბრძოლის ამ უმნიშვნელოვანეს ფაქტორის შესახებ. ომის გამოცდილე-

ბამ დაამტკიცა, რომ საადაზვერვო მონაცემები და მათი სწორი ანალიზი უნდა იყოს ვითარების შეფასების, გადაწყვეტილების მიღებისა და ოპერაციის დაგეგმვის საფუძველი. თუ დაზვერვამ ვერ შეძლო სწორი ცნობების მოცემა ან მათი ანალიზის დროს დაუშვა შეცდომები, მთელი საკომანდო-საშტაბო ინსტანციების გადაწყვეტილება აუცილებლად არასწორი მიმართულებით წავა. ამის შედეგად თვით ოპერაციის მსვლელობა განვითარდება არა ისე, როგორც თავდაპირველად იყო ჩაფიქრებული.

ლვოვის მიმართულებით ოპერაციის მომზადების დროს უკრაინის 1-ლი ფრონტის დაზვერვამ ვერ შეძლო აღმოეჩინა მოწინააღმდეგის თავდაცვის მთელი სისტემა, ვერ გამოამჟღავნა გერმანელთა სარდლობის რეზერვებისა და პირველ რიგში ჯავშანსატანკო ჯარების დისლოკაცია. ამიტომ სარდლობამ ვერ შეძლო გამოეცნო შესაძლო კონტრმანევრი, მოწინააღმდეგის მხრივ, მისი თავდაცვის გარღვევის პროცესში, იმის გამო, რომ არასაკმაოდ იყო შესწავლილი მოწინააღმდეგის საცეცხლე სისტემის განლაგება, დიდი დეფექტებით დაიგეგმა საარტილერიო და საავიაციო მომზადება.

როგორც ცნობილია, საარტილერიო სროლისა და საავიაციო დაბომბვის წარმატება უზრუნველყოფილია მხოლოდ მაშინ, როცა ცეცხლისა და ბომბების დაშენა ხდება მიზანში და არა მოედნებზე ან საავარაუდო სამიზნეებზე. მოედნებისათვის ცეცხლისა და ბომბების დაშენა ვერ მოსპობს მოწინააღმდეგის თავდაცვის სისტემას. ასევე მოხდა ლვოვის მიმართულებით: ბევრს ისროდნენ, საჭირო შედეგები კი არ იყო.

და კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც საჭიროა გავაშუქოთ, რათა გავიგოთ ამ ოპერაციის დროს დაშვებული შეცდომები. ლაპარაკია ტანკებზე, რომლებიც თან ახლავს ქვეითი ჯარების იერიშსა და შეტევას.

ცნობილია, რომ ქვეითი ჯარი შეტევითს ბრძოლებში მეტად მგრძნობიარეა მოწინააღმდეგის ცეცხლის მიმართ. ყველაფერს, რაც გადარჩება საარტილერიო მომზადების დროს — ტყვიამფრქვევს, იარაღს, მიწაში ჩადგმულ ტანკს, ხანგრძლივ საცეცხლე წერტილს თუ საცეცხლე კვანძს, შეუძლია მიწას მიაკრას შეტევაზე გადასული ქვეითი ჯარი და შეაჩეროს მისი წინსვლა. ამ შემთხვევაში დიდ როლს ასრულებენ ტანკები, რომლებიც წინ მიუძღვიან ქვეით ჯარს და თავიანთი ცეცხლით ახშობენ საარტილერიო მომზადებისაგან გადარჩენილ მტრის საცეცხლე საშუალებებს.

ყოველივე ეს აგრეთვე არ იყო გათვალისწინებული. გაუგებარია, რატომ უვლიან დუმილით გვერდს ამ შეცდომებს ისტორიკოსები ლვოვ-სანდომირის ოპერაციის აღწერის დროს.

გერმანელთა დიდი დაჯგუფების განადგურებამ ბროდის რაიონში, ბელორუსიის 1-ლი ფრონტის მარცხენა ფრთის წარმატებითმა წინსვლამ ლიუბლინის მიმართულებით და უკრაინის 1-ლი ფრონტის მარჯვენა ფრთისამ რავა-რუსკაიას მიმართულებით უკრაინის 1-ლი ფრონტის სარდლობას შესაძლებლობა მისცა ლვოვის შემოვლით ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან დაეძრა პ. ს. რიბალკოს სატანკო არმია. ამ შემოვლით მარშ-მანეერის მიზანი იყო ლვოვის დაჯგუფებისათვის უკან დასახევი გზა მოეჭრა მდინარე სანზე და ხელში ჩაეგდო პერემიშლი, ხოლო ჩრდილოეთიდან დარტყმით ხელი შეეწყო 38-ე, მე-60 და მე-4 სატანკო არმიებისათვის — აეღოთ ლვოვი. ამ დროს ფრონტის მარჯვენა ფრთის ჯარები განაგრძობდნენ შეტევას სანდომირის საერთო მიმართულებით.

22 ივლისს ვესაუბრე ი. ს. კონევს და შევთანხმდით, რომ მე-3 სატანკო არმიის მიერ მდინარე სანზე ზურგის გზების ხელში ჩაგდება მოწინააღმდეგეს აიძულებდა დაეტოვებინა ლვოვი. არსებითად, ჩვენ ორივე იმ დასკვნამდე მივედით, რომ გერმანელების მიერ ლვოვის დატოვება თითქმის გათავებული საქმე იყო, საკითხი დროსღა შეეხებოდა — როდის მოხდებოდა ეს — ერთი დღით ადრე თუ ერთი დღით გვიან.

მაგრამ 23 ივლისს განთიადზე დამირეკა ი. ს. კონევმა და მითხრა:

— ეს-ეს არის დამირეკა უმაღლესმა მთავარსარდალმა. მითხრა, ეს რა განგიზრახავთ თქვენ და ეუკოვს სანდომირის თაობაზე, ჯერ ლვოვი უნდა აიღოთ, შემდეგ კი სანდომირზე იფიქროთო.

— თქვენ რაღა უპასუხეთ, ივანე სტეფანეს ძევ?

— მოვახსენე, რომ გავგზავნეთ მე-3 სატანკო არმია ლვოვის დაჯგუფებისათვის ზურგიდან დასარტყმელად და ლვოვს მალე ავიღებთ-მეთქი.

მე და ი. ს. კონევი შევთანხმდით, რომ დღისით დავურეკავდი უმაღლეს მთავარსარდალს, ფრონტის ჯარები კი განაგრძობდნენ მოქმედებას მიცემული მიმართულებით.

როცა მივიღე მონაცემები ბელორუსიის ფრონტის მე-2 სატანკო არმიის მიერ ლიუბლინის გათავისუფლების შესახებ, დავურეკე უმაღლეს მთავარსარდალს. იგი ჯერ ისევ თავის ბინაზე იყო და უკვე იცოდა ეს ამბავი.

უმაღლესმა მთავარსარდალმა მოისმინა ჩემი მოხსენება უკრაინის 1-ლი ფრონტის შესახებ და მკითხა:

— თქვენი ვარაუდით როდის ავიღებთ ლვოვს?

— ვფიქრობ, არა უგვიანეს ორი-სამი დღისა, — ვუპასუხე მე.

ი. ბ. სტალინმა მითხრა:

— დამირეკა ხრუშჩოვმა, იგი არ ეთანხმება რიბალკოს არმიის ამოცანას. არმია ჩამოშორდა ლვოვზე შეტევის მონაწილეობას და

ამან. მისი აზრით, შეიძლება გააჭიანუროს საქმე. თქვენ და კონევი ესწრაფვით ჯერ ვისლა ჩაიგდოთ ხელში. იგი არსად წაგივათ. სწრაფად მოათავეთ ლვოვის საქმე.

ისლა დამრჩენოდა უმაღლესი მთავარსარდლისათვის მომეხსენებინა, რომ ლვოვს უფრო ადრე ავიღებთ, ვიდრე ჯარები ვისლაზე გავლენ-მეთქი. ი. ს. კონევს არ გავუფუძე გუნება ამ საუბრის დეტალებით.

არმიის გენერალი პ. ს. რიბალკოს სატანკო არმიის ბრწყინვალე 120 კილომეტრიანი შემოვლითი მარშ-მანევრისა და აღმოსავლეთიდან 38-ე და მე-60, ხოლო სამხრეთიდან მე-4 სატანკო არმიების დაწოლის შედეგად მოწინააღმდეგემ ლვოვიდან სამბორში დაიხია. 27 ივლისს ლვოვი ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს.

27 ივლისს დავიკავეთ ქალაქი ბელოსტოკი. ამავე დღეს მთავარბანაკმა თავისი დირექტივით დაადასტურა გაგვეგითარებინა უკრაინის 1-ლი ფრონტის დარტყმა ვისლაზე, რათა მას ბელორუსიის 1-ლი ფრონტის მაგალითისამებრ ხელში ჩაეგდო პლაცდარმები ვისლაზე, მისი მოქმედების მიზანი იყო შემდეგი შეტევითი ოპერაციის უზრუნველყოფა პოლონეთის სრული განთავისუფლებისათვის.

მთავარბანაკის დირექტივა რომ მიიღო, ფრონტის სარდალმა ი. ს. კონევმა 28 ივლისს მე-3 გვარდიულ არმიას ამოცანად დაუსახა დღის ბოლოსათვის სწრაფი დარტყმით გასულიყვნენ ვისლაზე, მოულოდნელად დაეკავებინათ პლაცდარმი, შემდეგ კი აეღოთ სანდომირი. ნ. პ. პუხოვის მე-13 არმიას ბრძანება მიეცა გასულიყო სანდომირი—მდინარე ვისლოკის შესართავის უბანზე და ხელთ ეგდო პლაცდარმი კონარ-პოლანეცის ფრონტზე. გენერალ მ. ე. კატუკოვის 1-ლ გვარდიულ სატანკო არმიას დაესახა ამოცანა, დაერტყა ბარანუვის მიმართულებით და გასულიყო ბოგორიას რაიონში.

სანდომირის მიმართულებით თავს იყრიდა მე-5 გვარდიული არმიაც, რომელსაც სარდლობდა გენერალ-ლეიტენანტი ა. ს. ჟადოვი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს უკრაინის 1-ლი ფრონტის ყველა გვარეობის ჯარების განსაკუთრებული გამბედაობა, ინიციატივა და კარგად შეთანხმებული მოქმედება ისეთი რთული წყალუხვი მდინარის გადალახვის დროს, როგორიც არის ვისლა. სამწუხაროდ, თვითონ მე შესაძლებლობა არ მქონია თვალყური მედევნებინა ამ ოპერაციისათვის, მაგრამ იმან, რასაც მიამბობდნენ ოფიცრები და გენერლები, ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს ორგანიზებულობითა და მამაცობით არმიებისა და ფრონტის საინჟინრო ნაწილებმა.

გერმანელთა სარდლობამ, რომელსაც რეზერვები დაეხარჯა ჯერ ბელორუსიის, ხოლო შემდეგ ლვოვ-სანდომირის ოპერაციაში, ვერ

შეძლო ვისლის გადალახვის დროს ჯეროვანი წინააღმდეგობა გაეწია უკრაინის 1-ლი ფრონტისათვის. გენერალ ი. ს. კონევის ჯარები მტკიცედ დადგნენ სანდომირის პლაცდარმზე

29 ივლისს დღისით დამირეკა უმაღლესმა მთავარსარდალმა და მომილოცა საბჭოთა კავშირის გმირის „ოქროს ვარსკვლავის" მეორე მედლით დაჯილდოება. შემდეგ დარეკა მ. ი. კალინინმა, მანაც აგრეთვე მომილოცა დაჯილდოება და ამასთანავე დასძინა:

— გუშინ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა უმაღლესი მთავარსარდლის ინიციატივით მიიღო გადაწყვეტილება დაგაჯილდოოთ ბელორუსიის ოპერაციისა და დასავლეთ უკრაინიდან მტრის განდევნის ოპერაციისათვის.

ჩემთვის იმ ღირსსახსოვარ დღეს მრავალი მოლოცვა მივიღე ტელეგრაფით და პირადად მებრძოლი მეგობრებისა და ამხანაგებისაგან. მაგრამ, რა თქმა უნდა, ყველაზე სასიხარულო ის იყო, რომ წითელი არმია გამაგრდა ვისლის დასავლეთ ნაპირებზე და მზად იყო შეესრულებინა თავისი განმათავისუფლებელი მისია პოლონეთში, სოლო შემდეგ შეეჭრილიყო ფაშისტური გერმანიის საზღვრებში, რათა დაემთავრებინა მისი განადგურება.

გერმანელთა ჯარების სარდლობამ იცოდა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა პლაცდარმების ხელში ჩაგდებას ბერლინის მიმართულებით და აკეთებდა ყველაფერს, რაც შესაძლებელი იყო, რათა მოესპო მაგნუშევის. პულავისა და სანდომირის პლაცდარმები. აქ მოწინააღმდეგემ თავი მოუყარა დიდ ძალებს, მათ შორის ტანკებისა და მექანიზებული დივიზიების მაქსიმუმს, მაგრამ უკვე გვიან იყო.

თავის მხრივ ბელორუსიის 1-ლმა და უკრაინის 1-ლმა ფრონტებმა იქ თავი მოუყარეს იმდენ ძალებსა და საშუალებებს, რომ გერმანელთა ჯარები უძლური აღმოჩნდნენ უკუეგდოთ ისინი კვლავ ვისლის გაღმა.

ორთვიანი ბრძოლების შედეგად საბჭოთა ჯარებმა გაანადგურეს გერმანელთა ჯარების ორი უდიდესი სტრატეგიული დაჯგუფება, გაათავისუფლეს ბელორუსია, დაამთავრეს უკრაინის განთავისუფლება, გაწმინდეს ლიტვის მნიშვნელოვანი ნაწილი და პოლონეთის აღმოსავლეთი ნაწილი.

ბელორუსიის 1-ლი, მე-2 და მე-3 და ბალტიისპირეთის 1-ლი ფრონტის ჯარებმა ამ ბრძოლებში საბოლოო ანგარიშით გაანადგურეს მოწინააღმდეგის 70 დივიზია, რომელთაგან 30 დივიზიას გარშემოერტყნენ. დაატყვევეს და მოსპეს. უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარების შეტევის მსვლელობაში ლვოვ-სანდომირის მიმართულებით მოსპობილ იქნა 30 დივიზიაზე მეტი.

ბელორუსიის ოპერაციაში ყველაზე სრულად გამოვლინდა ყველა წოდების საბჭოთა მეთაურების გამომუშავებული უნარი — სწრა-

ფად გარშემორტყმოდა და მოესპო მოწინააღმდეგის ჯარების დიდი დაჯგუფებები. სარდლობის ამ უნარმა, ჯარების ოსტატობამ და გამბედაობამ გამოიწვია სტრატეგიული ბერლინის მიმართულებით გერმანელთა ყველაზე ძლიერი დაჯგუფების კრახი.

მოწინააღმდეგის „ცენტრისა" და „ჩრდილო უკრაინის" ჯგუფების არმიათა განადგურებამ, მდინარე ვისლაზე სამი დიდი პლაცდარმის ხელში ჩაგდებამ და ვარშავასთან გასვლამ მიუახლოვა ჩვენი დამკვრელი ფრონტები ბერლინს — იქამდე ახლა დაახლოებით 600 კილომეტრი რჩებოდა.

უკრაინის მე-2 და მე-3 ფრონტების მიერ იასი-კიშინიოვის დაჯგუფების განადგურებამ და მოლდავეთის განთავისუფლებამ შექმნა ომიდან რუმინეთისა და უნგრეთის გამოსვლის წანამძღვრები.

ყოველივე ეს, ერთად აღებული, ქმნიდა ნიადაგს ფაშისტური ბლოკის საბოლოო რღვევისა და ფაშისტური გერმანიის განადგურებისათვის.

დასავლეთის სტრატეგიული მიმართულებით ფრონტის ხაზმა გადაინაცვლა წინ დაახლოებით 600 კილომეტრით. აგვისტოს დამლევს იგი უკვე გადიოდა ელგავის დასავლეთით, შიაულიაის, სულავკის, ოსტროლენკის, პულტუსკის, პრაღის (ვარშავის), მაგნუშევის, სანდომირის, სანკოკის, დროგობიჩის, ჩერნოვიცის დასავლეთით, სადაც უერთდებოდა უკრაინის მე-2 ფრონტის ხაზს.

ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით ბალტიისპირეთის ფრონტები ლენინგრადის ფრონტთან და ბალტიის ფლოტთან ერთად ემზადებოდნენ დაერტყათ გერმანელთა „ჩრდილოეთის" ჯგუფის არმიათა ჯარებისათვის, რათა უახლოეს ხანში გაეთავისუფლებინათ ბალტიისპირეთის ყველა რესპუბლიკა და გაენადგურებინათ გერმანელთა ჯარების კიდევ ერთი უდიდესი დაჯგუფება.

გერმანიისათვის აგრეთვე არახელსაყრელი ვითარება შეიქმნა საომარ მოქმედებათა დასავლეთის თეატრზე. გერმანელთა ჯარები მნიშვნელოვან ზარალს განიცდიდნენ ნორმანდიისათვის ბრძოლებში, მათ შესაძლებლობა არ ჰქონდათ სხვა ფრონტებიდან მოეხსნათ ნაწილები ჩრდილოეთ საფრანგეთში მყოფი ჯარების გასაძლიერებლად, ამიტომ მათ მთელი ფრონტით დაიწყეს უკანდახევა გერმანიის საზღვრებისაკენ, ეგრეთწოდებულ ზიგფრიდის ხაზისაკენ.

მოკავშირეთა ჯარები ყველა მიმართულებით დევნიდნენ მოწინააღმდეგეს. რომის აღების შემდეგ ისინი ემზადებოდნენ შეტევა განეგრძოთ ჩრდილო იტალიაში. ევროპის ყველა ქვეყანასა და ბალკანეთში მკვეთრად გაძლიერდა სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობა. გერმანელებისათვის განსაკუთრებით საგრძნობი იყო იგი იუგოსლავიაში, პოლონეთში, ალბანეთში, საბერძნეთსა და საფრანგეთში. გერმანელთა

ჯარების უმაღლესი სარდლობა იძულებული იყო მნიშვნელოვანი ძალები დაებანდებინა წინააღმდეგობის ძალებთან და ეროვნულ-განმათავისუფლებელ ჯარებთან საბრძოლველად.

ყოველივე ამას უნდა დაუმატოთ ის, რომ გერმანიაში მოკავშირე და საბჭოთა ავიაციის დარტყმებისაგან ძლიერ დაინგრა მნიშვნელოვანი სამრეწველო ობიექტები, რამაც გაართულა საერთო ეკონომიური და სამხედრო-პოლიტიკური ვითარება გერმანიაში.

ჩვენი ვარაუდით, გერმანიის შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი სარდლობა იმისათვის, რომ შეენარჩუნებინა თავისი ძალები და შედარებით ვიწრო ფრონტზე განელაგებინა ღრმად ეშელონირებული თავდაცვა აღმოსავლეთსა და დასავლეთში, სწრაფად გაიყვანდა თავისი ჩრდილოეთის არმიების ჯგუფს, რომელშიც ჯერ კიდევ ითვლებოდა დაახლოებით 60 დივიზია, 1200-ზე მეტი ტანკი და 7 ათასი ქვემეხი.

მაგრამ ჰიტლერელთა ხელმძღვანელობა ვერ ამაღლდა პოლიტიკური პრესტიჟის გაგებაზე მაღლა, და ამან მოაახლოვა მისი კატასტროფა. მთლიანად უკრაინის, ბელორუსიისა და ბალტიისპირეთისათვის ბრძოლებში ჰიტლერული და სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა უუნარო აღმოჩნდა გაეთვალისწინებინა შექმნილი ვითარება და სწორი გადაწყვეტილება მიეღო მისთვის ესოდენ მძიმე მომენტში.

1944 წლის ზაფხულის კამპანიის დამახასიათებელი თავისებურება იყო საბჭოთა შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლიერებისა და უმაღლესი სარდლობისა და შტაბების ოპერატიულ-სტრატეგიული ხელოვნების შემდგომი ზრდა.

სწრაფად ხდებოდა ჩვენი ქვეყნის მრეწველობის აღდგენა და ზრდა, ამან უზრუნველყო ჩვენი ჯარების შემდგომი ტექნიკური აღჭურვილობა და ფრონტების გაზრდილი მოთხოვნილება შეიარაღებაზე, საბრძოლო მასალებზე, აღჭურვილობასა და ტრანსპორტზე. ამიტომ იყო, რომ ზაფხულის სტრატეგიულმა ოპერაციებმა უდიდეს გაქანებასა და სიღრმეს მიაღწია. ამასთან ისინი ხორციელდებოდა შემტევ დაჯგუფებათა მაღალი ტემპით წინსვლის კვალობაზე. ამ გრანდიოზულ ოპერაციებს ხელს უწყობდა ზურგში საერთოდ კარგად უზრუნველყოფილი ჯარისკაცთა საბრძოლო მოქმედებანი.

1944 წლის ზაფხულის კამპანიისას საბჭოთა ჯარებმა ჩაატარეს გერმანელთა დაჯგუფების გარშემორტყმისა და განადგურების 7 მსხვილი ოპერაცია. ეს გაცილებით მეტი იყო, ვიდრე წინა კამპანიებისას. გადამწყვეტი მიზნის ყველაზე მსხვილი ოპერაციები იყო ბელორუსიის, იასა-კიშინიოვისა და ლვოვ-სანდომირის ოპერაციები, სადაც თითქმის მოწინააღმდეგის 127 დივიზია გაანადგურეს. ამის შემდეგ გერმანელთა ჯარების თავდაცვითი ფრონტი 2 200 კილომეტრის სიგრძეზე გაიშალა

სამხრეთ დვინიდან შავ ზღვამდე. ჩვენმა ჯარებმა ცალკეული მიმართულებით 700 კილომეტრამდე წაიწიეს წინ.

1944 წლის ზაფხულის კამპანიის შეტევითს ოპერაციებში მოხაწილეობდა ყველა 12 ფრონტი, ჩრდილოეთის, ბალტიისა და შავი ზღვის ფლოტები, ტბისა და ყველა სამდინარო ფლოტილია.

22 აგვისტოს დამირეკა გენერალური შტაბის უფროსმა ა. ი. ანტონოვმა და გადმომცა უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანება სასწრაფოდ გამოეცხადებულიყავი მთავარბანაკში. ა. ი. ანტონოვმა წინასწარ მაცნობა, რომ მე თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის განსაკუთრებული დავალების შესრულება მომიწევდა.

გამოვეთხოვე მეგობრებს, თანამებრძოლებს და 23 აგვისტოს გავფრინდი მოსკოვს. დედაქალაქში იმავე დღეს ჩავედი საღამოთი და პირდაპირ გენერალური შტაბისაკენ გავეშურე.

• • •

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის განსაკუთრებული დავალება შემდეგში მდგომარეობდა. უნდა გავფრენილიყავი უკრაინის მე-3 ფრონტის შტაბში, რათა ფრონტი მომემზადებინა ბულგარეთთან საომრად, რომლის მთავრობა კვლავ განაგრძობდა თანამშრომლობას ფაშისტურ გერმანიასთან.

უმაღლესმა მთავარსარდალმა მირჩია გაფრენის წინ აუცილებლად შევხვედროდი გიორგი მიხეილის ძე დიმიტროვს, რათა უკეთ გავცნობოდი ბულგარეთის საერთო-პოლიტიკურ ვითარებას, ბულგარეთის მუშათა პარტიის მოღვაწეობას და ბულგარელი ხალხის ანტიფაშისტურ ძალთა შეიარაღებულ გამოსვლებს.

გიორგი დიმიტროვმა ჩემზე ზედმიწევნით თავმდაბალი და გულთბილი ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა. მის ყველა აზრსა და მსჯელობაში იგრძნობოდა დიდი ნიჭიერება და პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა. ჩვენ ერთმანეთს გულთბილად შევხვდით, და მან მეტად დაწვრილებით მიამბო ყოველივე ის. რის ცოდნაც ჩემთვის სასარგებლო იქნებოდა. ცხადი იყო. რომ მას ძალიან კარგი და სწრაფმოქმედი კავშირი ჰქონდა ბულგარეთის მუშათა პარტიის კომუნისტების იატაკქვეშა ორგანიზაციებთან.

გ. მ. დიმიტროვმა მითხრა:

— თუმცა თქვენ უკრაინის მე-3 ფრონტზე იმ მიზნით მიდიხართ, რომ მოამზადოთ ჯარები ბულგარეთის წინააღმდეგ საომრად, ომი, ეჰვგარეშეა, არ იქნება. ბულგარელი ხალხი მოუთმენლად ელის წითელ არმიას. რათა მისი დახმარებით დაამხონ ბაგრიანოვის მეფის მთავრობა და დაამყარონ სახალხო-განმათავისუფლებელი ფრონტის ხელისუფ-

ლება. თქვენ. — განაგრძო გ. მ. დიმიტროვმა, — შეგხვდებიან არა არ-ტილერიისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლით, არამედ პურ-მარილით, თანახმად ჩვენი ძველი სლავური ჩვეულებისა. რაც შეეხება მთავრობის ჯარებს, საეჭვოა მათ გაბედონ წითელ არმიასთან შებრძოლება. ჩემი მონაცემების თანახმად, — მითხრა გ. მ. დიმიტროვმა, — ჩვენი ხალხი დიდ მუშაობას ეწევა არმიის თითქმის ყველა ნაწილში. მთებსა და ტყეებში პარტიზანთა მნიშვნელოვანი ძალებია. ისინი უსაქმოდ არ სხედან და მზად არიან დაეშვან მთებიდან და [illegible]ალი დაუჭირონ სახალხო აჯანყებას.

შემდეგ ერთხანს გაჩუმდა და დაუმატა:

— საბჭოთა ჯარების წარმატებებმა დიდი გავლენა მოახდინა სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერებაზე ბულგარეთში. ამ მოძრაობას ჩვენი პარტია უდგას სათავეში, მან აიღო მტკიცე კურსი შეიარაღებული აჯანყებისაკენ, რომელიც განხორციელდება წითელი არმიის მისელისთანავე.

გ. მ. დიმიტროვს მადლობა გადავუხადე საუბრისათვის და კვლავ დავბრუნდი გენერალურ შტაბში, რათა საბოლოოდ დამეზუსტებინა საკითხები ბულგარეთში მომავალი ოპერაციის მომზადებასთან დაკავშირებით. მე თითქმის ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ საქმე უბრძოლველად მოგვარდებოდა. მაგრამ ჩვენ, სამხედრო პირები, მივიღებთ რა ამოცანას ხელმძღვანელობისაგან, ვალდებული ვართ შეეასრულოთ იგი უდიდესი სიზუსტით.

ივ დროს ბულგარეთის არმია თავის რიგებში ითვლიდა 450 ათას კაცს, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ ხუთ არმიად და ორ ცალკეულ კორპუსად. საჰაერო ძალებს ჰყავდათ 410 თვითმფრინავი, ხოლო სამხედრო-საზღვაო ძალებს 80-ზე მეტი საბრძოლო და გერმანული და ბულგარული მეშველი გემი[1].

აგვისტოს ბოლო რიცხვებში ჩავფრინდი უკრაინის მე-3 ფრონტის შტაბში, რომელიც განლაგებული იყო ფეტეშტში, ჩერნოვოდსკის ხიდის მახლობლად ლუნაიზე. ომის მსვლელობაში ეს ხიდი არაერთხელ დაბომბა ჩვენმა ავიაციამ, რათა დაერღვია ტეერთბრუნვა კონსტანცის ნავსადგურსა და რუმინეთის ძირითად რაიონებს შორის.

უკრაინის მე-3 ფრონტს სარდლობდა საბჭოთა კავშირის მარშალი თ. ი. ტოლბუხინი. ამ დროისათვის ფრონტის ჯარები გავიდნენ და შეჩერდნენ რუსეს (რუშჩუკის) ხაზზე და შემდეგ დუნაიზე შავ ზღვამდე. ფრონტის შემადგენლობაში შედიოდნენ 37-ე, 46-ე და 57-ე საერთო საჯარისო არმიები და მე-17 საჰაერო არმია. ოპერატიული ურთიერთობით მარშალ თ. ი. ტოლბუხინს ექვემდებარებოდა შავი ზღვის ფლო-

---

[1] Архив МО. ф. 240. оп. 52495, д. 90. лл. 269—271; ф. 243. оп. 20371. д. 61. лл. 44—45, 59—60.

ტი და დუნაის ფლოტილია. უკრაინის მე-2 და მე-3 ფრონტების მოქმედებათა საერთო კოორდინაციას ამ დროს წარმატებით ახორციელებდა საბჭოთა კავშირის მარშალი ს. კ. ტიმოშენკო. მას იმ დღესვე შეეხვდი ფეტეშტში, რათა განგეეხილა საკითხები, თუ როგორ ემოქმედათ ფრონტების ჯარებს.

ოპერატიულ-სტრატეგიული ვითარება სამხრეთის მთელი მიმართულებით ხელსაყრელი იყო. უკრაინის მე-2 ფრონტმა წარმატებით დაამთავრა ბოწინააღმდეგის იასი-კიშინოვის დაჯგუფების განადგურება, გაანთავისუფლა რუმინეთის მნიშვნელოვანი ნაწილი და სწრაფად მიიწევდა დასავლეთისაკენ ვალახიის დაბლობის გავლით. გერმანელთა ჯარები, რომლებიც მოქმედებდნენ ტრანსილვანიასა და კარპატებში. აგრეთვე საბერძნეთში, იუგოსლავიასა და ალბანეთში, გაცალკევებულ იქნენ და ერთიმეორეს მოწყდნენ. შავ ზღვაზე სრული ბატონ-პატრონი იყო შავი ზღვის ფლოტი, ხოლო ჰაერში — საბჭოთა სამხედრო-საჰაერო ძალები.

უკრაინის მე-3 ფრონტის შემუშავებული გეგმის თანახმად მისმა 46-ე არმიამ მოამზადა შეტევა ესეკიეი — კუბრატის საერთო მიმართულებით, 57-ე არმიამ — კოჩმარ-შუმენზე, 37-ე არმიამ — დობრიჩ-პროვადიიდან; მე-7 და მე-4 გვარდიულ მექანიზებულ კორპუსებს, რომლებიც ქოქმედებდნენ კარნობატი-ბურგასის მიმართულებით, ოპერაციის მეორე დღესვე უნდა მიეღწიათ პუნქტებისათვის.

იმასთან დაკავშირებით, რომ ბულგარეთის პროფაშისტური მთავრობა, მიუხედავად საბჭოთა მთავრობის არაერთი გაფრთხილებისა ყველაფერ არღვევდა ნეიტრალიტეტის ვალდებულებებს და აქტიურად ეხმარებოდა ჰიტლერულ გერმანიას, საბჭოთა მთავრობამ ომი გამოუცხადა ბულგარეთს. 6 სექტემბერს უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკმა უბრძანა უკრაინის მე-3 ფრონტის სარდლობას, დაეწყოთ საომარი მოქმედებანი.

8 სექტემბერს დილით ყველაფერი მზად იყო, რომ გაეხსნათ ცეცხლი, მაგრამ ჩვენ სათვალთვალო პუნქტებიდან ვერ ვხედავდით სამიზნეებს, რომლებისთვისაც უნდა დაგეშინა ეს ცეცხლი...

სტერეოძილებით, ბინოკლებით და შეუიარაღებელი თვალით ჩვენ ვხედავდით ჩვეულებრივ მშვიდობიან ცხოვრებას ბულგარეთის ტერიტორიაზე: დასახლებულ პუნქტებში ბუხრებიდან კვამლი ამოდიოდა, ხალხი კი ყოველდღიური საქმიანობით იყო გართული. სამხედრო ნაწილები იქ არ შეიმჩნეოდა.

მარშალმა თ. ი. ტოლბუხინმა ჯარებს უბრძანა დაეძრათ წინ ბეწინავე რაზმები. ნახევარი საათიც არ იყო გასული, რომ 57-ე არმიის სარდალმა მოგვახსენა: ბულგარეთის არმიის ერთ-ერთი ქვეითი დივი-

ზია ჩამწკრივდა გზასთან და შეხვდა ჩვენს ნაწილებს გაშლილი წითელი დროშებითა და საზეიმო მუსიკით. რამდენიმე ხნის შემდეგ ასეთივე ამბავი მოხდა სხვა მიმართულებითაც. არმიის სარდლები მოგვახსენებდნენ, რომ მიმდინარეობდა საბჭოთა არმიისა და ბულგარელი ხალხის სტიქიური დაძმობილება.

მე მაშინვე მთავარბანაკში დავრეკე.

ი. ბ. სტალინმა მითხრა:

— მთელი იარაღი დაუტოვეთ ბულგარელთა ჯარებს, დაე მათ ხელი მოჰკიდონ თავიანთ ჩვეულებრივ საქმიანობას და დაელოდონ საკუთარი მთავრობის ბრძანებას.

უმაღლესი მთავარსარდლობის მხრივ ამ უბრალო აქტით გამოიხატა სრული ნდობა ბულგარელი ხალხისადმი და ბულგარეთის არმიისადმი, რომლებიც ძმურად შეხვდნენ წითელ არმიას, ხედავდნენ რა მასში გერმანელი ოკუპანტებისა და მეფის პროფაშისტური რეჟიმისაგან თავიანთ გამათავისუფლებელს.

მიიწევდნენ რა ქვეყნის სიღრმეში, საბჭოთა ჯარები ყველგან ხვდებოდნენ მეტად თბილ დამოკიდებულებას. მალე ჩვენ შეეხვდით პარტიზანთა რაზმებს, რომლებიც კარგად იყვნენ შეიარაღებული და უკვე დაეკავებინათ მთელი რიგი ქალაქები და სამხედრო ობიექტები.

ნიშის სამხრეთ რაიონიდან სოფიაზე გერმანელთა ჯარების დარტყმების საფრთხე შეიქმნა. ამასთან დაკავშირებით მთავარბანაკმა ბრძანება გასცა ბულგარეთის დედაქალაქში დაგეგეყენებინა გაძლიერებული მსროლელი კორპუსი.

8 სექტემბერს შევედით ვარნაში, ბურგასში და სხვა რაიონებში. ჩვენი სამხედრო-საზღვაო ძალების ბულგარეთის შავი ზღვის ნავსადგურში შესვლასა და საჰაერო დესანტის გადმოსხმასთან დაკავშირებით გერმანელებმა ჩაძირეს თავიანთი გემები, ხოლო თვითონ ისინი ჩვენმა ნეზღვაურებმა დაატყვევეს.

ბულგარელმა ხალხმა თავისი მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით 9 სექტემბერს დაამხო პროფაშისტური მთავრობა და შექმნა სამამულო ფრონტის დემოკრატიული მთავრობა, რომელმაც დაზავების წინადადებით მიმართა საბჭოთა მთავრობას.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა დაუყოვნებლივ მისცა მითითება მთავარბანაკს შეეჩერებინათ ჩვენი ჯარების წინსვლა ბულგარეთში.

უმაღლესი მთავარსარდლობის მითითების თანახმად 9 სექტემბერს 21 საათზე ჩვენ დავამთავრეთ ჯარების მოძრაობა და განვლაგდით დანიშნულ რაიონებში. სასიხარულო იყო იმის შეგნება, რომ ამ „ომში" არ ყოფილა მსხვერპლი არც ერთი მხრიდან. ყველა ეს მოვლენა ნათელი გამოხატულება გახდა ჩვენი არმიის განმათავისუფლებელი

მისიისა. მათ გვიჩვენეს მშრომელი მასების ჭეშმარიტი ძალა ანტიხალხური რეჟიმების დამბობაში.

მე მაშინ ვერ მოვახერხე ახლოს გავცნობოდი ამ ქვეყანას, რომელთანაც გვაკავშირებს საუკუნეობრივი მეგობრობა, განმტკიცებული მჩაგვრელთა წინააღმდეგ ჩვენი ხალხების ერთობლივი ბრძოლით.

1956 წელს მე და ჩემი მეუღლე გალინა ალექსანდრეს ასული ვარნაში ვისვენებდით და მთელი ბულგარეთი შემოვიარეთ. ყველგან ვხედავდით, თუ რა სათუთად და განსაკუთრებული სიყვარულით ინახავს ბულგარელი ხალხი იმ რუსი მეომრების ხსოვნას, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე შესწირეს ბულგარელი ხალხის ბედნიერებას. გულები სიხარულით გვევსებოდა, როცა შევყურებდით, თუ რა აღმავლობითა და შემოქმედებით შრომობს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ბულგარეთის მუშათა კლასი, გლეხობა და ინტელიგენცია თავიანთი ქვეყნის სოციალისტურ საწყისებზე გარდაქმნისათვის.

თავი მეთვრამეტე

ბერლინის მიმართულებით

1944 წლის სექტემბრის ბოლოს ბულგარეთიდან მთავარბანაკში დავბრუნდი. რამდენიმე დღის შემდეგ უმაღლესმა მთავარსარდალმა დამავალა, გავმგზავრებულიყავი ვარშავის რაიონში ბელორუსიის 1-ლი და მე-2 ფრონტების უბნებზე.

უპირველეს ყოვლისა მინდოდა გამეგო, როგორი ვითარება იყო თვით ვარშავაში, სადაც გერმანელთა სარდლობა განსაკუთრებული სიმკაცრით უსწორდებოდა ყველას, ვინც მოახდინა აჯანყება ქალაქში. გერმანელები მხეცურად აწამებდნენ მოსახლეობას. ქალაქი ერთთავად დანგრეული იყო. მისი ნანგრევების ქვეშ დაიღუპა ათასობით მშვიდობიანი მცხოვრები.

დადგინდა, რომ ფრონტის სარდლობა, პოლონეთის ჯარების 1-ლი არმიის სარდლობა ბურ-კომაროვსკის წინასწარ არ გაუფრთხილებია აჯანყების მზადების თაობაზე. მას თავის მხრივ არ უცდია დაეკავშირებინა ვარშაველთა გამოსვლა ბელორუსიის 1-ლი ფრონტის მოქმედებებთან. საბჭოთა ჯარების სარდლობამ აჯანყების ამბავი მას შემდეგ შეიტყო. როცა იგი მოხდა და ისიც ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან, რომლებიც ვისლაზე გადადიოდნენ. არც მთავარბანაკი გაუფრთხილებიათ წინასწარ.

უმაღლესი მთავარსარდლის დავალებით კავშირისა და ერთობლივი მოქმედების მიზნით ბურ-კომაროვსკისთან გაგზავნეს ორი პარაშუტისტი ოფიცერი, მაგრამ ბურ-კომაროვსკიმ მათი მიღება არ მოისურვა.

აჯანყებული ვარშაველებისათვის დახმარების გასაწევად ბელორუსიის 1-ლი ფრონტის სარდლობის დავალებით საბჭოთა და პოლონელმა ჯარებმა გადალახეს ვისლა და ხელთ იგდეს ვარშავის სანაპირო, მაგრამ ბურ-კომაროვსკი ახლაც არ ცდილა ჩვენთან ურთიერთმოქმედების დამყარებას. დაახლოებით ერთი დღის შემდეგ გერმანელებმა სანა-

პიროსთან თავი მოუყარეს საკმაოდ დიდ ძალებს და დაიწყეს ჩვენი ნაწილების შევიწროება. შეიქმნა მძიმე ვითარება. ჩვენ დიდ ზარალს განვიცდიდით. ფრონტის სარდლობამ განიხილა შექმნილი მდგომარეობა და, რადგან არ გააჩნდა შესაძლებლობა დაეკავებინა ვარშავა, გადაწყვიტა გადმოეყვანა ჯარები გამოღმა ნაპირზე.

მე დავადგინე, რომ ჩვენმა ჯარებმა ყველაფერი გააკეთეს აჯანყებულთა დასახმარებლად. თუმცა, ვიმეორებ. აჯანყება სრულიად არ ყოფილა შეთანხმებული საბჭოთა სარდლობასთან.

მთელი დროის მანძილზე — ვარშავიდან ჩვენი ჯარების იძულებით გადმოყვანამდე და გადმოყვანის შემდეგაც — ბელორუსიის 1-ლი ფრონტი განაგრძობდა აჯანყებულებისათვის დახმარების გაწევას — თვითმფრინავებიდან აწვდიდა სურსათს, მედიკამენტებსა და საბრძოლო მასალას. მახსოვს, დასავლეთის პრესაში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოქვეყნდა ბევრი ყალბი ცნობა, რომელთაც შეეძლოთ შეცდომაში შეეყვანათ საზოგადოებრივი აზრი.

ოქტომბრის პირველ რიცხვებში ჩავედი გენერალ თ. ი. პერხოროვიჩის 47-ე არმიაში, რომელიც შეტევითს ბრძოლებს აწარმოებდა მოდლინსა და ვარშავას შორის.

47-ე არმია, დაბლობიდან რომ უტევდა, დიდ ზარალს განიცდიდა და მეტად გადაღლილი და დასუსტებული იყო. უკეთეს მდგომარეობაში არც მეზობელი 70-ე არმია იმყოფებოდა, რომელიც სეროცკ-პულტუსკის უბანზე იბრძოდა.

მე არ მიმიღია მონაწილეობა ამ შეტევის ორგანიზაციაში, და ჩემთვის გაუგებარი იყო მისი ოპერატიული მიზანი, რამაც ძლიერ მოქანცა ჩვენი ჯარები. კ. კ. როკოსოვსკი მე დამეთანხმა, მაგრამ, მისი სიტყვების თანახმად, მთავარბანაკი მოითხოვდა 47-ე არმია გასულიყო ვისლაზე მოდლინ-ვარშავის უბანზე და გაგვეფართოებინა პლაცდარმები მდინარე ნარევზე.

უმაღლეს მთავარსარდალს დავურეკე და მოვახსენე ვითარება, ვთხოვე, შეგვეჩერებინა შეტევითი ბრძოლები ბელორუსიის 1-ლი ფრონტის უბანზე, რამდენადაც მათ არ გააჩნდათ პერსპექტივა და გაეცა ბრძანება, ბელორუსიის 1-ლი ფრონტის მარჯვენა ფრთისა და ბელორუსიის მე-2 ფრონტის მარცხენა ფრთის ჯარების თავდაცვაზე გადასვლის შესახებ მათი დასვენებისა და შევსების მიზნით.

— გამოფრინდით ხვალ როკოსოვსკისთან ერთად მთავარბანაკში და პირადად მოვილაპარაკოთ, — მიპასუხა უმაღლესმა მთავარსარდალმა.—ნახვამდის.

მეორე დღეს, შუადღით, კ. კ. როკოსოვსკი და მე მთავარბანაკში ვიყავით.

უმაღლესი მთავარსარდლის გარდა იქ იყვნენ ა. ი. ანტონოვი და ვ. მ. მოლოტოვი.

ი. ბ. სტალინი მოგვესალმა და გვითხრა:

— აბა, მომახსენეთ!

მე გავშალე რუკა და შევუდექი მოხსენებას. ვხედავ, ი. ბ. სტალინი ნერვიულობს: ხან რუკასთან მივა, ხან განზე გადგება. მერე ყვლავ მოვა, და დაჟინებით შემომაჩერდება ხან მე, ხან რუკას, ხან კ. კ. როკოსოვსკის, ჩიბუხიც კი გვერდზე გადადო. ეს კი ჩვეულებრივ მაშინ ხდებოდა, როცა იგი კარგავდა სიმშვიდეს და რაღაცათი უკმაყოფილო იყო.

— ამხანაგო ჟუკოვ, — სიტყვა გამაწყვეტინა ვ. მ. მოლოტოვმა. — თქვენი წინადადებაა შევაჩეროთ შეტევა მაშინ, როცა განადგურებულ მტერს არ ძალუძს შეაჩეროს ჩვენი ჯარების შეტევა. გონივრულია კი თქვენი წინადადება?

— მოწინააღმდეგემ უკვე მოასწრო თავდაცვის შექმნა და თავი მოუყარა საჭირო რეზერვებს, — შევეპასუხე მე. — ახლა ის წარმატებით იგერიებს ჩვენი ჯარების შეტევას. ჩვენ კი ყოველად გაუმართლებელ დანაკარგებს განვიცდით.

ი. ბ. სტალინი მიუბრუნდა კ. კ. როკოსოვსკის და ჰკითხა:

— თქვენ იზიარებთ ჟუკოვის აზრს?

— დიახ, მე მიმაჩნია, რომ უნდა მივცეთ ჯარებს შესვენების საშუალება და ხანგრძლივი დაძაბულობის შემდეგ წესრიგში მოვიყვანოთ ისინი.

— ვფიქრობ, შესვენებას მოწინააღმდეგე თქვენზე ცუდად როდი გამოიყენებს, — თქვა უმაღლესმა მთავარსარდალმა. — აი, თუ 47-ე არმიას დავეხმარებით ავიაციით და გავაძლიერებთ ტანკებითა და არტილერიით, შეიძლება, რომ გავიდეს ვდინარე ვისლაზე მოდლინსა და ვარშავას შორის?

— ძნელი სათქმელია, ამხანაგო სტალინ, — უთხრა კ. კ. როკოსოვსკიმ. — მოწინააღმდეგეს ასევე შეუძლია გააძლიეროს ეს მიმართულება.

— თქვენ როგორ ფიქრობთ? — მომიბრუნდა და მკითხა უმაღლესმა მთავარსარდალმა.

— მიმაჩნია, რომ ეს შეტევა მსხვერპლის გარდა არაფერს არ მოგვცემს, — კვლავ გავიმეორე მე. — ოპერატიული თვალსაზრისით ვარშავის ჩრდილო-დასავლეთი რაიონი ჩვენთვის მაინცდამაინც საჭირო არ არის. ვარშავას უნდა შემოვუაროთ სამხრეთ-დასავლეთიდან და ისე ავიღოთ იგი, ამასთან მძლავრი გამკვეთი დარტყმა მივაყენოთ ლოძი—პოზნანის მიმართულებით. ფრონტზე საამისო ძალები ამჟამად არ არის, მაგრამ უნდა მოვუყაროთ თავი. ამასთან ერთად საჭიროა ბერლინის მიმართულებით ერთობლივი მოქმედებისათვის საფუძვლიანად მოვამზადოთ მეზობელი ფრონტებიც.

— წადით და ერთხელ კიდევ მოიფიქრეთ, ჩვენ კი მოვითათბირებთ, — შემაჩერა ი. ბ. სტალინმა.

კ. კ. როკოსოვსკი და მე გამოვედით დასასვენებელ ოთახში და კვლავ გავშალეთ რუკა.

ოცი წუთის შემდეგ ჩვენ კვლავ შევედით უმაღლესი მთავარსარდლის კაბინეტში, რათა მოგვესმინა მისი გადაწყვეტილება.

— ჩვენ აქ მოვითათბირეთ და გადავწყვიტეთ, დავთანხმდეთ ჩვენი ჯარების თავდაცვაზე გადასვლას, — თქვა უმაღლესმა მთავარსარდალმა. — რაც შეეხება შემდგომ გეგმებს, მათ მოგვიანებით განვიხილავთ. შეგიძლიათ წახვიდეთ.

კ. კ. როკოსოვსკი და მე ერთმანეთს უსიტყვოდ დავცილდით. თვითეულს საკუთარი საფიქრალი გვქონდა. მე თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტში წავედი, კ. კ. როკოსოვსკი კი გაემზადა ფრონტის ჯარებისაკენ გასაფრენად.

მეორე დღეს უმაღლესმა მთავარსარდალმა დამირეკა.

— როგორი იქნება თქვენი შეხედულება. რომ შემდგომში ყველა ფრონტის ხელმძღვანელობა მთავარბანაკის ხელში გადავიდეს?

მე მივხვდი, რომ მას მხედველობაში ჰქონდა ფრონტების კოორდინაციისათვის მთავარბანაკის წარმომადგენელთა გაუქმება და ვგრძნობდი, რომ ეს იდეა მას მარტო ჩვენი გუშინდელი კამათის შედეგად როდი დაებადა.

— დიახ, ფრონტების რაოდენობა შემცირდა, — ვუპასუხე მე. — საერთო ფრონტის სიგრძეც ასევე შემცირდა, ფრონტებისადმი ხელმძღვანელობა გამარტივდა, და არსებობს სრული შესაძლებლობა ფრონტების მართვა უშუალოდ მთავარბანაკიდან განხორციელდეს.

— თქვენ ამას ნაწყენი ხომ არ მეუბნებით?

— რატომ უნდა ვიყო ნაწყენი? ვფიქრობ, რომ მე და ა. მ. ვასილევსკი უმუშევარი არ დავრჩებით.

იმავე საღამოს უმაღლესმა მთავარსარდალმა თავისთან გამომიძახა და მითხრა:

— ბელორუსიის 1-ლი ფრონტი ბერლინის მიმართულებითაა. ვფიქრობთ ჩაგაბაროთ ეს მიმართულება.

მე ვუპასუხე, რომ მზად ვარ ყოველ ნებისმიერ ფრონტს ვუმეთაურო.

— თქვენ კვლავ დარჩებით ჩემს მოადგილედ, — მითხრა ი. ბ. სტალინმა. — მე ახლავე მოველაპარაკები როკოსოვსკის.

ი. ბ. სტალინმა კონსტანტინე კონსტანტინეს ძეს აცნობა თავისი გადაწყვეტილება და წინადადება მისცა გადასულიყო ბელორუსიის მე-2 ფრონტზე.

1944 წლის ოქტომბრის ბოლოს მთავარბანაკში თავდაცვის სა-

ხელმწიფო კომიტეტის ზოგიერთი წევრისა და გენერალური შტაბის უფროსის მონაწილეობით განიხილეს დიდი სამამულო ომის დამამთავრებელი ოპერაციების საკითხი.

კომუნისტური პარტია, უწინდებურად რაზმავდა და აერთიანებდა რა ხალხის ძალებს მთავარი მიზნის ირგვლივ — რაც შეიძლება სწრაფად მოგვეპოვებინა გამარჯვება მტერზე, იმავდროულად სულ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა ომის შემდგომ მეურნეობის ყოველმხრივ აღდგენას და მშვიდობიან მშენებლობაზე სწრაფად გადასვლას.

წარმატებით წყდებოდა სათბობ-ენერგეტიკული პრობლემები, მნიშვნელოვანი რაოდენობით გაიზარდა თუჯის, ფოლადის, ნავთობის, ჩარხების, ტრაქტორების გამოშვება, მწყობრში დგებოდა მრავალი ათეული საბრძმედე და მარტენის ღუმელი, მძლავრი საგლინავი დგანები.

ზურგში დარჩენილი ადამიანები, ფრონტზე გამარჯვებებით აღფრთოვანებულნი, აორკეცებდნენ და ასამკეცებდნენ თავიანთ ძალებს. ისინი განსაკუთრებული ენთუზიაზმით აღადგენდნენ ნანგრევებად ქცეულ ქარხნებსა და ფაბრიკებს, ტრანსპორტსა და დატბორილ შახტებს, თესდნენ ჯარისკაცების სისხლითა და ოფლით გაჟღენთილ მიწას. რომელიც ბრძოლების ცეცხლისაგან ჯერ არ განელებულიყო.

წითელი არმია სულ უფრო მტკიცედ ეყრდნობოდა მზარდ საბალხო მეურნეობას. გაიზარდა სამხედრო მოქმედებათა მასშტაბები. ნეტევის ტემპები, მოთხოვნები სამხედრო მრეწველობისადმი — და ყველა ისინი მთლიანად იქნენ დაკმაყოფილებული.

1944 წელს ჩვენში აწარმოეს 29 ათასი ტანკი და თვითმავალი საარტილერიო ქვემეხი, 40 ათასზე მეტი თვითმფრინავი. ორჯერ-სამჯერ გაიზარდა ფრონტისათვის ИС-2 122 მილიმეტრ ზარბაზნიანი მძიმე ტანკების. Т-34 საშუალო მოდერნიზებული ტანკების, ЯК-3 ავიაგამანადგურებლების, ИЛ-10 მოიერიშე და ТУ-2 სწრაფმავალი ბომბდამშენი თვითმფრინავების მიწოდება.

ყოველივე ეს იყო ნიჭიერი კონსტრუქტორების მიერ შექმნილი ჩინებული სამხედრო ტექნიკა. რომელიც მასობრივ წარმოებაზე იყო გადაყვანილი და თავისი ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემებით ჯობდა არა მარტო გერმანულ, არამედ უცხოეთის ბევრ სხვა საბრძოლო მანქანას.

საბჭოთა ეკონომიკის წარმატებებმა საშუალება მოგვცა უზრუნველგვეყო ყოველივე აუცილებელით არა მარტო საბჭოთა შეიარაღებული ძალები, არამედ იარაღითაც მივხმარებოდით ცენტრალური და სამხრეთ-დასავლეთ ევროპის ხალხებს მათს განმათავისუფლებელ ბრძოლაში. მაგალითად, საბჭოთა კავშირმა პოლონეთის ჯარებს იმ ხანებში და ცოტა მოგვიანებით გადასცა 3,5 ათასი ქვემეხი, 1200 თვით-

ძფ რინავი, 1000 ტანკი, 700 ათასამდე შაშხანა და ავტომატი, 18 ათასი ავტომანქანა. იუგოსლავიის ჯარებმა მიიღეს 4429 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 500-მდე თვითმფრინავი, 1323 რადიოსადგური და სხვა მრავალი სამხედრო ქონება[1].

იმ დროისათვის საბჭოთა ჯარებმა დაამთავრეს გერმანელ ფაშისტთა ჯარების განდევნა საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან, აღადგინეს სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარი, გარდა კურლიანდიისა და სამხედრო მოქმედება ნაწილობრივ გადაიტანეს ფაშისტური გერმანიისა და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების ტერიტორიაზე.

ბალტიისპირეთის მე-2 და 1-ლ ფრონტებს ეკავათ ზღუდეები ტუკუმს — მემელის (განსაკუთრებით) — მდინარე ნემანის ხაზზე იურბურგამდე. ბელორუსიის მე-3 და მე-2 ფრონტებს თავდაცვა ეჭირათ იურბურგ—ავგუსტის არხის — ლომჟა-სეროცკის ხაზზე, თან ორი პლაცდარმი ჰქონდათ მდინარე ნარევზე.

ბელორუსიის 1-ლი და უკრაინის 1-ლი ფრონტები თავდაცვაზე იდგნენ ვარშავის გარეუბან პრაღის — მდინარე ვისლა—იასლოს ხაზზე.

ამ ორ ფრონტს სამი პლაცდარმი ეჭირა მაგნუშევ-პულავა-სანდომირის რაიონში.

შემდეგ საბჭოთა ჯარების ფრონტი გადიოდა ხაზზე — ლევიცე — ესტერგომი — ბალატონის ტბა — პეჩი.

მერე ფრონტი უკვე დაიკავეს ბულგარეთის არმიის ნაწილებმა. ვუკოვარ-ჩაჩაკ—სპლიტის საზღვრიდან ადრიატიკის ზღვამდე გავიდა იუგოსლავიის სახალხო განმათავისუფლებელი არმია, რომელსაც სათავეში ედგა მარშალი ი. ბროზ-ტიტო.

ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის და საფრანგეთის ჯარებმა გაანთავისუფლეს რა საფრანგეთი, ბელგია, ჰოლანდიის ნაწილი, გადალახეს ხაზი მდინარე მაასის შესართავთან ჰოლანდიაში და შემდგომ გერმანიის საზღვრების გავლით შვეიცარიამდე მისულნი, მჭიდროდ მიუახლოვდნენ ეგრეთ წოდებულ ზიგფრიდის ხაზის გამაგრებულ მიჯნას.

მძიმე დრო დაუდგა გერმანიას. 1944 წლის ბოლოს იარაღის წარმოება მკვეთრად დაეცა. ფაშისტური გერმანია მარწუხში აღმოჩნდა აღმოსავლეთიდან, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, სამხრეთიდან და დასავლეთიდან. შეიძლება ითქვას, რომ 1944 წლის ბოლოს იგი მოექცა სტრატეგიულ ალყაში, საიდანაც გამოსვლა მეტად ძნელი იყო.

ამ პერიოდში რამდენჯერაც არ მოგვიხდა გერმანელი ტყვეების დაკითხვა, არავინ შეგვხვედრია ისეთი, რომელსაც ჯერ კიდევ სჯეროდა გერმანიის შესაძლო გამარჯვება. ყველა მათგანი აცხადებდა: „გერმა-

---

[1] Поражение германского империализма во второй мировой войне. Статьи и документы, М., Воениздат, 1960, стр. 86.

ნია კაპუტ", „ჰიტლერ კაპუტ". მაგრამ ჰიტლერი ზედიზედ ატარებდა ტოტალურ ღონისძიებებს. ჰიტლერელები დაუნდობლად უსწორდებოდნენ ყველას, ვინც ოდნავი უნდობლობით ეკიდებოდა მათ აზრს. განსაკუთრებით მხეცურ ზომებს მიმართავდა გესტაპო 1944 წლის 20 ივლისს ჰიტლერზე თავდასხმის შემდეგ.

18 ოქტომბერს ძალაში შევიდა გერმანიის მთავრობის ბრძანებულება ფოლკსშტურმის (სახალხო ლაშქრის) შექმნის შესახებ, რომლითაც ჯარში გაიწვიეს 18-დან 60 წლამდე ასაკის გერმანელები. ამ სახალხო ლაშქარს ჰიმლერის უფროსობით სარეზერვო არმიაში უნდა ემსახურა.

ჩვენ კარგად ვიცოდით, რომ ფოლკსშტურმი ვერ გაუძლებდა ჩვენი გამოცდილი და კარგად შეიარაღებული კადრის არმიის დარტყმებს. ჰიტლერელებმა ქალთა დამხმარე კორპუსიც კი შექმნეს. ყველა ეს ღონისძიება სასოწარკვეთის ჟესტი იყო, და ჩვენთვის ნათელი იყო: გერმანია უკანასკნელ ძალებს ძაბავდა, ცდილობდა გაეპიანურებინა გარდუვალი კატასტროფა.

1944 წლის ბოლოსათვის გერმანიას მაინც შესწევდა ძალა ეწარმოებინა თავდაცვითი ბრძოლები და აქტიური წინააღმდეგობა გაეწია. მის შეიარაღებულ ძალებში ჯერ კიდევ ითვლებოდა დაახლოებით 7,5 მილიონი კაცი, ამასთან მოქმედ არმიაში — 5,3 მილიონი. ჰიტლერელთა სარდლობას, როგორც უწინ, ისე ახლაც, დამამთავრებელ ეტაპზე, აღმოსავლეთის ფრონტზე ჰყავდა თავისი ძალების დიდი რაოდენობა: 3,1 მილიონი კაცი, 28,5 ათასი ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 4 ათასამდე ტანკი და საიერიშო ქვემეხი, 2 ათასამდე საბრძოლო თვითმფრინავი.

ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, რომ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის ხაზი თითქმის ორჯერ შემოკლდა და ამიტომ მოწინააღმდეგის ჯარების თავდაცვის სიმჭიდროვე მაღალი იყო.

საბჭოთა ჯარები იმ დროს მტერს ყველა მაჩვენებლით აღემატებოდნენ. 1944 წლის დასასრულს ჩვენი მოქმედი არმია ითვლიდა დაახლოებით ექვს მილიონ კაცს; ჰქონდა 91,4 ათასზე მეტი ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 11 ათასამდე ტანკი და თვითმავალი საარტილერიო დანადგარი, 14,5 ათასზე მეტი თვითმფრინავი.

მხოლოდ ჩვენი სახალხო მეურნეობის სისტემის უპირატესობის, ათობით მილიონი ადამიანის თავგანწირული შრომისა და სამი წლის კოლოსალური დაძაბულობის, პარტიის შორსმჭვრეტელი პოლიტიკისა და მტკიცე ხელმძღვანელობის შედეგად შეიძლებოდა ომის დასასრულს საბჭოთა კავშირის საზღვრების დასაცავად დამდგარიყო ასეთი მძლავრი არმია. ადვილად როდი მიაღწია ჩვენმა ხალხმა თავისი შეიარაღებული ძალების ასეთ საოცარ უპირატესობას მტერზე.

ჩვენი საბრძოლო ძლიერება მტკიცდებოდა პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთისა და ბულგარეთის ჯარებით, რომლებიც წარმატებით ანადგურებდნენ ფაშისტებს. მათი საერთო რაოდენობა 1945 წლის დასაწყისში შეადგენდა 320 ათასზე მეტ კაცს.

ბელორუსიის მე-3 ფრონტის შემადგენლობაში გმირულად იბრძოდნენ საავიაციო პოლკის „ნორმანდია-ნემანის" ფრანგი მფრინავები.

დასავლეთში ამერიკის, ინგლისისა და საფრანგეთის ჯარებს ჰყავდათ 87 კარგად დაკომპლექტებული და საუცხოოდ შეიარაღებული დივიზია. 6500 ტანკი, 10 ათასზე მეტი თვითმფრინავი. გერმანელთა სარდლობამ ამ ძალებს დაუპირისპირა მხოლოდ 74 მცირერიცხოვანი დივიზია. 1600 ტანკი და საიერიშო ქვემეხი, 1750-მდე საბრძოლო თვითმფრინავი.

მაშასადამე, მოკავშირეები უკვე მალე მეორე ფრონტის გახსნის შემდეგ მოწინააღმდეგეს ადამიანთა რაოდენობით აღემატებოდნენ 2-ჯერ. ტანკებით — 4-ჯერ, თვითმფრინავებით — 6-ჯერ.

იტალიაში მოკავშირეთა ჯარების 21 დივიზიისა და 9 ბრიგადის წინააღმდეგ გერმანელებს ჰყავდათ 31 სუსტად დაკომპლექტებული დივიზია.

ვითარებისა და თითოეული მებრძოლი მხარის შესაძლებლობათა ყოველმხრივი ანალიზის შემდეგ უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკმა გადაწყვიტა მოემზადებინა და 1945 წლის დასაწყისში ყველა სტრატეგიული მიმართულებით ჩაეტარებინა ძლიერი შეტევითი ოპერაციები შემდეგი ძირითადი ამოცანებით:

— გაენადგურებინათ აღმოსავლეთ პრუსიის დაჯგუფება და დაეკავებინათ აღმოსავლეთი პრუსია;

— მოესპოთ მოწინააღმდეგე პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, ავსტრიაში;

— გასულიყვნენ მიჯნაზე: მდინარე ვისლის შესართავი — ბრომბერგი (ბიდგოშჩი) — პოზნანი — ბრესლაუ (ვროცლავი) — მორავსკა — ოსტრავა — ვენა.

გადაწყდა, დამამთავრებელი კამპანიის ძირითადი ძალებისათვის თავი მოგვეყარა ვარშავა — ბერლინის მიმართულებით, იქ, სადაც უნდა შეეტია ბელორუსიის 1-ლ ფრონტს. მოწინააღმდეგის კურლიანდიის ჯგუფის (მე-16 და მე-18 არმიები) განადგურება დაკისრებული ჰქონდა ბალტიისპირეთის მე-2 და 1-ლ ფრონტებს და ბალტიის ფლოტს, რომლებსაც არ უნდა დაეშვათ, რომ მტერს ბალტიის ზღვასთან მიმწყვდეული ძალები გადაესროლა სხვა ფრონტებზე.

ამ პერიოდში მთავარბანაკს კარგი კავშირურთიერთობა ჰქონდა დამყარებული მოკავშირეთა საექსპედიციო ჯარების მთავარ სარდლობასთან დასავლეთში. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ამერიკის და

საფრანგეთის სარდლობები ამზადებდნენ შეტევითს ოპერაციებს, რომელთა მიზანი იყო გერმანელთა განადგურება რურისა და საარის რაიონებში და მოკავშირეთა ჯარების გასვლა გერმანიის ცენტრალურ რაიონებში. სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთის სტრატეგიული მიმართულებებით ისინი გეგმავდნენ დამხმარე დარტყმებს.

აქ ერთი არსებითი დეტალი უნდა აღვნიშნოთ. ბერლინი ამ დროს საბჭოთა ფრონტისა და მოკავშირეთა ფრონტისაგან ერთნაირი მანძილით იყო დაშორებული. და შემთხვევითი როდი იყო, რომ ჩერჩილი ყველა თავის მემუარებში არაერთხელ ახსენებდა ბერლინს, როგორც სასურველ ობიექტს მოკავშირეთა ჯარებისათვის, თუმცა ბერლინის აღება, თანახმად მთავრობათა მეთაურებს შორის მოლაპარაკებისა, საბჭოთა ჯარების ფუნქციაში შედიოდა.

ამ პერიოდში მოკავშირეთა და საბჭოთა ჯარების მოქმედებათა კოორდინაცია ძირითადად ხორციელდებოდა მხარეთა უმაღლესი სარდლობების მიერ მონაცემების ურთიერთგადაცემით.

უნდა ვთქვა, რომ ამ დროს ი. ბ. სტალინი ნდობით ეკიდებოდა დ. ეიზენჰაუერის ინფორმაციას. ჩვენი ჯარების გეგმებისა და მოქმედებების შესახებ ყველა მონაცემს გენერალური შტაბი გადასცემდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის სამხედრო მისიების საშუალებით. გარდა ამისა. მთავრობათა მეთაურები პერიოდულად უგზავნიდნენ ერთმანეთს წერილებს მხარეთა მოქმედების პრინციპულ საკითხებზე.

პრეზიდენტ ფ. რუზველტთან მიმოწერიდან ჩანს, რომ ამ დროს მიღწეულ იქნა სრული სიცხადე სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის შეთანხმებათა განხორციელების საქმეში როგორც ლენდ-ლიზით მიწოდებათა მხრივ. ასევე სტრატეგიული საკითხების დარგში.

ამის თქმა უ. ჩერჩილზე არ შეიძლება. მის წერილებში არ იყო გულახდილობა, იგრძნობოდა რაღაც იდუმალება, დაჟინებული სწრაფვა გერმანიის ცენტრალური რაიონების ხელში ჩასაგდებად. ეს, რა თქმა უნდა, აიძულებდა საბჭოთა მთავრობას მეტი სიფრთხილე გამოეჩინა.

საჭიროდ არ მიმაჩნია მოვიყვანო აქ მიმოწერა უ. ჩერჩილსა, ფ. რუზველტსა და ი. სტალინს შორის, რადგან იგი გამოქვეყნებულია. თუ დღეს ყურადღებით გადავიკითხავთ მას, უფრო ცხადი გახდება, თუ რა ღრმად ჰქონდა გამჯდარი აზრი უ. ჩერჩილს იმის შესახებ, რომ გარდაექმნა ომის შემდგომ ცენტრალური ევროპის სახელმწიფოები, რომელთაც სათავეში ჩაუდგებოდნენ იმპერიალისტურ დასავლეთზე დამოკიდებული მთავრობები.

1944 წლის ოქტომბრის ბოლოსა და ნოემბრის დასაწყისში წი-

ლად მხვდა უმაღლესი მთავარსარდლის დავალებით საფუძვლიანად წამემუშავებინა ომის დამამთავრებელი კამპანიის ძირითად საკითხებზე და უპირველეს ყოვლისა ბერლინის მიმართულებით ოპერაციათა გეგმებზე.

კმაყოფილებით უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენს გენერალურ შტაბში, ამ პერიოდში, მეტად მაღლა იდგა სტრატეგიული ხასიათის მსხვილი შეტევითი ოპერაციების დაგეგმვის ხელოვნება.

გააანალიზა რა ვითარება, გენერალურმა შტაბმა სწორად მიიჩნია, რომ მტერი ყველაზე მეტ წინააღმდეგობას ჩვენს ჯარებს გაუწევდა ბერლინის მიმართულებით. ამის დამამტკიცებელი იყო ოქტომბერში ჩვენი ჯარების (ბელორუსიის მე-3, მე-2 და 1-ლი ფრონტები) შეტევითი ოპერაციების მეტად უმნიშვნელო შედეგები და მათი იძულებითი გადასვლა თავდაცვაზე ნოემბრის პირველ რიცხვებში დასავლეთის მთელი მიმართულებით.

მე მთლიანად ვეთანხმებოდი გენერალურ შტაბს, მის მთავარ ოპერატორებს ა. ი. ანტონოვს, ს. მ. შტემენკოს, ა. ა. გრიზლოვსა და გ. ა. ლომოვს, რომლებმაც ოპერატიული სამმართველოს მუშაობის ყველა უბანზე დაამტკიცეს, რომ ისინი ოპერატიულ-სტრატეგიული დაგეგმვის გამოჩენილი მცოდნენი არიან.

გენერალური შტაბის აზრით, შეტევა პირველ რიგში უნდა დაეწყო ჩვენს სამხრეთის ფრონტს ვენის მიმართულებით. ეს ყოველ მიზეზს გარეშე აიძულებდა გერმანიის სარდლობას გადმოესროლა ჩვენი დასავლეთის ფრონტის პირისპირ მდგომი მნიშვნელოვანი ძალები, რათა გაემაგრებინა სამხრეთ-დასავლეთის სტრატეგიული მიმართულება, რომელზედაც დამოკიდებული იყო გერმანიის სამხრეთისა და სამხრეთ დასავლეთის ბედ-იღბალი.

დასავლეთის მიმართულებით ფრონტების შეტევის გეგმის განხილვის დროს სერიოზულად დადგა საკითხი აღმოსავლეთ პრუსიის შესახებ, სადაც მოწინააღმდეგეს ჰყავდა მსხვილი დაჯგუფება და ძლიერ განვითარებული დაცვა, რომელიც ეყრდნობოდა მუდმივ საინჟინრო ნაგებობებს, ძნელად გასავალ ადგილმდებარეობას და დასახლებული პუნქტებისა და ქალაქების ქვის მაღალ შენობებს.

სამწუხაროდ, უნდა ვაღიარო ის შეცდომა, რომელიც დაუშვა მთავარბანაკმა, როცა არ მიიღო ჯერ კიდევ ზაფხულში წამოყენებული წინადადება აღმოსავლეთ პრუსიის მიმართულებით მოქმედი ფრონტების გაძლიერების შესახებ. ამ წინადადების საფუძველი იყო ის, რომ წარმატებით გაგვეკითარებინა ბელორუსიის ოპერაცია და შეუჩერებლად შეგვემუსრა მოწინააღმდეგის თავდაცვა. ახლა აღმოსავლეთ პრუსიაში მტრის დაჯგუფებას შეეძლო სერიოზული საფრთხე

შეექმნა ჩვენი ჯარებისათვის ბერლინის მიმართულებით შეტევის დროს.

ზუსტად არ მახსოვს, 1 თუ 2 ნოემბერს მე და ა. ი. ანტონოვი გამოგვიძახა უმაღლესმა მთავარსარდალმა ზამთრის ოპერაციების გეგმის განსახილველად. ჩემთან წინასწარ შეთანხმებული პროექტი ა. ი. ანტონოვმა მოახსენა და უმაღლესმა მთავარსარდალმა კვლავ არ მიიჩნია საჭიროდ დათანხმებოდა ჩვენს საერთო წინადადებას — კიდევ ერთი არმიით გაგვეძლიერებინა ბელორუსიის მე-2 ფრონტი აღმოსაელეთ პრუსიის დაჯგუფების გასანადგურებლად. ჩვენ წინადადება წამოვაყენეთ, ეს არმია აგვეყვანა ბალტიისპირეთის ფრონტების ხარჯზე, რომლებიც, ჩვენი აზრით, უნდა გადასულიყვნენ თავდაცვაზე და ალყაში მოექციათ მოწინააღმდეგის კურლიანდიის ჯგუფის მე-16 და მე-18 არმიები.

ოქტომბრის დღესასწაულის შემდეგ გენერალურ შტაბთან ერთად ხელი მოვკიდეთ ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარების დაწვრილებითი გეგმის შემუშავებას.

ამ დროს ბელორუსიის 1-ლი ფრონტის სარდლობამ და შტაბმა უკვე წარადგინეს გენერალურ შტაბში თავიანთი ძირითადი მოსაზრებანი ოპერაციების ჩატარების შესახებ. ეს მოსაზრებანი ძირითადად უპასუხებდნენ შექმნილ ვითარებას. მათ შესახებ არაერთხელ ვესაუბრე კ. კ. როკოსოვსკის და მ. ს. მალინინს.

როგორც უკვე აღვნიშნე, მე არ ვიყავი თანახმა მდინარე ვისლით ვარშავაზე ფრონტალური დარტყმისა, რის შესახებ მოვახსენე უმაღლეს მთავარსარდალს. უმაღლესმა მთავარსარდალმა დაამტკიცა ჩემი წინადადება.

15 ნოემბერს ლიუბლინში გავემგზავრე. მეორე დღეს გადმომცეს ბრძანება ბელორუსიის 1-ლი ფრონტის სარდლად ჩემი დანიშვნის შესახებ (ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრი იყო გენერალი კ. თ. ტელეგინი), ხოლო კ. კ. როკოსოვსკი ამავე ბრძანებით ინიშნებოდა ბელორუსიის მე-2 ფრონტის სარდლად.

ლიუბლინში ორი დღე დავყავი. აქ შევხვდი ბ. ბერუტს და პოლონეთის მუშათა პარტიისა და პოლონეთის განთავისუფლების ეროვნული კომიტეტის სხვა ხელმძღვანელებს. 18 ნოემბერს შევუდექი ფრონტის სარდლობას.

ნოემბრის ბოლომდე ფრონტის შტაბი მ. ს. მალინინის მეთაურობით ამუშავებდა შეტევის გეგმას და ამზადებდა საჭირო განაცხადებს უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკისათვის, რათა დამატებით გამოეყოთ ჯარები და მატერიალური სახსრები. ფრონტის შტაბმა, ფრონტის ზურგის შტაბმა და სხვადასხვა გვარეობის ჯარების სარდლებმა ტიტანური შრომა გასწიეს, რათა გაეანგარიშებინათ მომავალი ოპერაციე-

ბისათვის საჭირო ძალები და სახსრები. მეტად რთული სამუშაო ხვდათ წილად ნ. ა. ანტიპენკოს — სარდლის მოადგილეს ზურგის დარგში და ზურგის შტაბის უფროსს გენერალ ნ. კ. შლიახტენკოს.

ნოემბრის ბოლოს გეგმა დამტკიცებულ იქნა. უმაღლესმა მთავარსარდალმა არ დაასახელა შეტევითი ოპერაციების მტკიცე ვადები, თუმცა საორიენტაციო მზადყოფნის ვადად დაინიშნა 15-20 იანვარი.

დასახული ამოცანები და ვადები მოითხოვდნენ დიდ და რთულ მუშაობას ჯარებში, შტაბებში, ზურგის ორგანოებსა და საკომანდო ინსტანციებში.

ვისლა-ოდერის ოპერაციის მზადება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მსგავსი მასშტაბის წინა ოპერაციების მზადებისაგან, რომლებიც ჩვენს ტერიტორიაზე ჩატარდა. ადრე ჩვენ ვღებულობდით კარგ სადაზვერვო მონაცემებს მტრის ზურგში მოქმედი ჩვენი პარტიზანებისაგან. ამჟამად კი ამას მოკლებული ვიყავით.

ახლა მოწინააღმდეგის შესახებ ცნობები უნდა შეგვეგროვებინა ძირითადად აგენტურისა და საავიაციო დაზვერვისა და სახმელეთო ჯარების დაზვერვის დახმარებით. საქმის ამ მნიშვნელოვან მხარეს განსაკუთრებით ყურადღება მიაქცია ყველა სახის შტაბების სარდლობებმა.

ჩვენი ზურგის რკინიგზები და ყამირგზები ახლა გადიოდა პოლონეთის ტერიტორიაზე, სადაც ნამდვილი მეგობრებისა და ჩვენდამი კეთილად განწყობილი მცხოვრებლების გარდა იყვნენ მტრის აგენტებიც. ახალი პირობები ჩვენგან მოითხოვდა იმას, რომ განსაკუთრებით ფხიზლად ვყოფილიყავით, დაგვემალა ჩვენი თავმოყრილი ჯარების დაჯგუფებანი და მატერიალური მარაგი.

ამ დროს არმიის პარტიული ორგანიზაციები ცენტრალური კომიტეტის მითითებით დიდ ახსნა-განმარტებითს მუშაობას ეწეოდნენ იმის შესახებ, თუ როგორ მოქცეულიყვნენ ჩვენი ჯარები უცხოეთში, სადაც მივდიოდით არა როგორც დამპყრობლები, არამედ როგორც მტრის ოკუპაციისაგან მათი განმათავისუფლებელნი. ფრონტის ჯარების ყველა ნაწილში საჭირო იყო — უფრო ფართოდ გაგვეშალა აღმზრდელობითი მუშაობა, რათა პოლონეთში ყოფნისას ჩვენი ჯარებისა და ოფიცრების მხრივ იმთავითვე არ ჰქონოდა ადგილი რაიმე მოუფიქრებელ აქტს.

ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებსა და პოლონეთის საზოგადოებრიობასთან ნორმალური კავშირურთიერთობა დავამყარეთ და ისინი გვეხმარებოდნენ, რითაც შეეძლოთ. თავის მხრივ ჩვენი ჯარები, რაც კი გააჩნდათ, ყველაფერს უნაწილებდნენ პოლონელებს. ამ პირველი ნაბიჯებისას, პირველი შეხვედრებისას საფუძველი ეყრებოდა საბჭოთა და პოლონელი ხალხის ძმურ მეგობრობას, ხალხებისას,

რომლებმაც თავის საკუთარ მხრებზე გადაიტანეს მტრის ოკუპაციის ყველა სიმძიმე.

ოპერაციისათვის მზადება რომ უფრო მიზანსწრაფული ყოფილიყო, ფრონტის სამხედრო საბჭომ გადაწყვიტა ჩაეტარებინა თამაში, რომელიც ასახავდა მომავალ ოპერაციას. მოვიწვიეთ ყველა არმიის სარდლები, სამხედრო საბჭოების სარდლები, შტაბების უფროსები, ცალკე კორპუსთა მეთაურები, სარდლის მოადგილე ფრონტის ზურგის დარგში, სხვადასხვა გვარეობის ჯარებისა და სამსახურის მეთაურები და უფროსები. ფრონტის შტაბმა ჩინებულად გაართვა თავი ამ თამაშისათვის მზადებას, და მან საინტერესოდ და სასარგებლოდ ჩაიარა. აქვე ფრონტის ზურგის ხელმძღვანელობამ მოგვახსენა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებზე, რომლებიც გულდასმით განვიხილეთ.

არმიების სარდლებმა, თავიანთ მხრივ, ჩაატარეს თამაშები არმიის მასშტაბით. ყოველივე ეს, განსაკუთრებით მომავალ ოპერაციებთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, მთელ ხელმძღვანელ შემადგენლობას დაეხმარა, ღრმად გაერკვიათ თვითეული მეომრის როლი და თავიანთ მეზობლებთან, ავიაციასთან, მოძრავ ჯარებთან, საარტილერიო და საინჟინრო ჯარებთან ერთად მიეღწიათ ურთიერთმოქმედების უკეთესი გაგებისათვის.

იმასთან დაკავშირებით, რომ ოპერაცია ვითარდებოდა ორი, შედარებით პატარა პლაცდარმიდან, რომელზედაც თავი -მოიყარა დიდი რაოდენობის ჯარებმა, არმიისა და ჯარის ზურგის ორგანიზაცია მეტად რთული იყო. ამას ემატებოდა აგრეთვე ისიც, რომ ოპერაციების განვითარების კვალობაზე ჩვენ გარკვეული დროის განმავლობაში ყოველივე აუცილებელი, რაც სჭირდებოდა ჯარებს ბრძოლისა და არსებობისათვის, უნდა მიგვეწოდებინა პლაცდარმების მეშვეობით. პლაცდარმებთან გასასვლელი ყამირგზა მეტისმეტად შეზღუდული იყო.

პლაცდარმებს შორის უფრო მჭიდრო კავშირის დამყარების მიზნით 4 იანვარს გენერალ ვ. ი. კოლპაჩკის 69-ე არმიის შტაბში ჩავატარეთ თამაში არმიის ყველა შენაერთის მეთაურებთან ერთად. მასში მონაწილეობის მისაღებად მე მოვიწვიე მე-8 არმიის სარდალი ვ. ი. ჩუიკოვი, მე-5 დამრტყმელი არმიის სარდალი ნ. ე. ბერზარინი და 1-ლი და მე-2 გვარდიული სატანკო არმიების სარდლები მ. ე. კატუკოვი და ს. ი. ბოგდანოვი მაოი შტაბების უფროსებთან ერთად.

დეკემბრის ბოლოს კვლავ მომიხდა მთავარბანაკში გაფრენა, რათა უმაღლეს მთავარსარდალთან ერთად განგვეხილა მთელი რიგი საკითხები, რომლებიც დაკავშირებული იყო დამამთავრებელი ოპერაციების საერთო გეგმის საბოლოო დამტკიცებასთან.

უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკის ჩანაფიქრი დასავლეთის

სტრატეგიული მიმართულებით დამამთავრებელი ოპერაციების შესახებ საბოლოოდ ჩამოყალიბდა 1944 წლის ნოემბერში. სტრატეგიული გეგმის წინასწარმა განხილვამ შესაძლებლობა მისცა ფრონტებს, მეტისმეტად გულდასმით მოეფიქრებინათ ყველა ოპერატიულ-სტრატეგიული, პოლიტიკური და მატერიალური საკითხები.

ვიდრე უშუალოდ ბერლინს დავარტყამდით, გათვალისწინებული იყო სტრატეგიული მიმართულებით განგეხორციელებინა ორი მსხვილი შეტევითი ოპერაცია: ერთი — აღმოსავლეთ პრუსიაში ბელორუსიის მე-3 და მე-2 ფრონტების ძალებით, ხოლო მეორე — ვარშავა-ბერლინის მიმართულებით. ეს უკანასკნელი დავალებული ჰქონდა ბელორუსიის 1-ლი და უკრაინის 1-ლი ფრონტების ჯარებს.

ბელორუსიის 1-ლ ფრონტს საერთო მიმართულებით უნდა დაერტყა პოზნანისათვის. უკრაინის 1-ლი ფრონტის ამოცანა იყო გასულიყო ოდერზე (ოდრა), გლოგაუს (გლოგუვი), ბრესლაუს (ვროცლავი) და რატიბორის (რაციბუჟი) ჩრდილო-დასავლეთით. ბელორუსიის მე-2 ფრონტი მთლიანად გამიზნული იყო აღმოსავლეთ პრუსიაში მოწინააღმდეგის დაჯგუფების გასანადგურებლად. მისი ძირითადი ძალები, რომლებიც წყვეტდნენ ამოცანას — განეცალკევებინათ ეს დაჯგუფება, თებერვლის დაწყებამდე ბრძოლებს აწარმოებდნენ აღმოსავლეთ პრუსიაში. ამ ფრონტზე მარცხენა ფრთის არმიებმა ბრომბერგის (ბიდგოშჩის) ჩრდილოეთით გადალახეს ქვემო ვისლა და თავდაცვაზე გადავიდნენ.

ბელორუსიის 1-ლი ფრონტის უახლოესი ოპერატიული ამოცანა იყო ორი მიმართულებით ერთდროულად გაერღვიათ მტრის დაცვა, გაენადგურებინათ ვარშავა-რადომის დაჯგუფება და გასულიყვნენ ლოძის მერიდიანზე. შემდგომში გათვალისწინებული გქონდა საერთო მიმართულებით შეგვეტია პოზნანისათვის ბრომბერგი (ბიდგოშჩი) — პოზნანის მიჯნამდე და მის სამხრეთით, სადაც ტაქტიკურ კავშირს შევკრავდით უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებთან.

შემდგომი წინსვლა დაგეგმილი არ იყო, რადგან მთავარბანაკმა წინასწარ არ იცოდა, როგორი ვითარება შეიქმნებოდა ბრომბერგი (ბიდგოშჩი) — პოზნანის ხაზზე ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარების გასვლასთან დაკავშირებით. ბელორუსიის მე-2 ფრონტის შეტევა შესაძლოა დაყოვნებულიყო და ამ შემთხვევაში უმაღლესი მთავარსარდლობის მჯერ დასახული მიზანი — გარშემოგვეევლო აღმოსავლეთ პრუსიის დაჯგუფებისათვის და განგვეცალკევებინა იგი — შეიძლება არ განხორციელებულიყო. და მაშინ ბელორუსიის 1-ლი ფრონტი, ალბათ, იძულებული იქნებოდა თავისი ძალების მნიშვნელოვანი რაოდენობა გადაესროლა ჩრდილოეთისაკენ ბელორუსიის მე-2 ფრონტის დასახმარებლად.

რაც შეეხება ჩვენს მარცხენა მეზობელს, დარწმუნებული ვიყავით, რომ იგი არ ჩამოგვრჩებოდა. უკრაინის 1-ლი ფრონტისა და ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ძალები თითქმის თანაბარი იყო. ამასთან ორივე ფრონტი, არსებითად, თითქმის მომიჯნავე დარტყმებს აყენებდა მოწინააღმდეგეს. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვვარაუდობდით, რომ არ მოგვიწევდა ჯარების გაშლა სამხრეთის მიმართულებით. მთავარბანაკსაც არ ჰქონდა გათვალისწინებული, რომ მოებრუნებინა ბელორუსიის 1-ლი ფრონტის დაჯგუფებანი სამხრეთ-დასავლეთის და დასავლეთის მიმართულებით.

ამის გათვალისწინება შეუძლებელი იყო ისეთი პირობების დროს, როცა ოპერაცია იგეგმებოდა რამდენიმე ასეული კილომეტრის სიღრმეში, ხოლო მტრის სარდლობას თავისი რეზერვების მანევრირების სრული შესაძლებლობა გააჩნდა. მაგალითად, დასავლეთიდან გადაესროლა დამატებითი ძალები, აეყვანა ისინი ალყაშემორტყმული კურლიანდიის დაჯგუფებისაგან, დასასრულ, ფრონტზე მანევრირებით შეეგროვებინა საჭირო ძალები ერთ უბანზე და აქტიური წინააღმდეგობა გაეწია ჩვენთვის.

ამრიგად, მთავარბანაკს მიაჩნდა, რომ გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ როგორ იმოქმედებდნენ ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარები ბრომბერგი (ბიდგოშჩი) — პოზნანის ხაზზე გასვლის შემდეგ, მიღებული იქნებოდა მოგვიანებით, ვითარების შესაბამისად.

ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ოპერაციას თავდაპირველად ვარშავა-პოზნანის ოპერაცია ეწოდებოდა, ხოლო როცა იმაზე მეტი გაკეთდა, რაც გეგმით იყო დასახული და ფრონტის ჯარები კიუსტრინის რაიონში მდინარე ოდერზე გავიდნენ, მას ეწოდა ვისლა-ოდერის ოპერაცია.

ოპერაცია აგებული იყო შემდეგი გეგმის მიხედვით: მთავარი დარტყმა მანგუშევის პლაცდარმიდან უნდა მიეყენებინა მე-5 დამკვრელ, 61-ე და მე-8 გვარდიულ არმიებს, 1-ლ და მე-2 გვარდიული სატანკო არმიის ძალებს. გარდა ამისა, 61-ე არმიის მარჯვენა ფლანგიდან მდინარე პილიცის გადალახვის შემდეგ ბრძოლაში შეიყვანდნენ პოლონელი გენერლის სტანისლავ პოპლავსკის 1-ლი არმიის ჯარების შენაერთებს, არმიისა, რომელიც გამიზნული იყო სამხრეთიდან ვარშავაზე დასარტყმელად.

გენერალ პ. ა. ბელოვის 61-ე არმია, მდინარე პილიცის გადალახვის შემდეგ, ვარშავის გარშემოვლით საერთო მიმართულებით უტევდა სოხაჩევს, ამასთან მხედველობაში ჰქონდა, რომ მის ზოგიერთ ნაწილს ვარშავისათვის დაერტყა დასავლეთიდან. გენერალ ნ. ე. ბერზარინის მე-5 დამკვრელი არმია მოწინააღმდეგის დაცვის გარღვევის შემდეგ დარტყმას აყენებდა საერთო მიმართულებით ოზარკუზე და შემდეგ გნეზნოზე. გენერალ ვ. ი. ჩუიკოვის მე-8 გვარდიული არმია გარღვევის

შემდეგ უტეევდა მე-5 არმიის მარცხნივ საერთო მიმართულებით ლოძსა და შემდგომ პოზნანზე.

გენერალ ს. ი. ბოგდანოვკის მე-2 გვარდიული სატანკო არმია გაიკრა მე-5 დამკვრელი არმიის უბანზე და სწრაფად შევიდა სოხაჩევის რაიონში. მათი ამოცანა იყო უკანდასახევი გზა გადაეკრათ ვარშავის დაჯგუფებისათვის, შემდეგ შეუტევდა კუტნისა და გნეზნოს. გენერალ მ. ე. კატუკოვის 1-ლმა გვარდიულმა სატანკო არმიამ, რომელიც გარღვევაში შეიყვანეს მე-8 გვარდიული არმიის უბანზე, განაეითარა დარტყმა ლოძზე და შემდეგ პოზნანზე.

სახმელეთო ჯარების მოქმედებას მხარს უმაგრებდა გენერალ ს. ი. რუდენკოს მე-16 საავიაციო არმია. გენერალ ვ. ვ. კრიუკოვის მე-2 გვარდიული ცხენოსანი კორპუსი მიჰყვებოდა მე-2 გვარდიულ სატანკო არმიას და უნდა შეეტია მდინარე ვისლას გასწვრივ ბრომბერგზე (ბიდგოშჩი) საერთო მიმართულებით. ფრონტის მეორე ეშელონში წინ მიიწევდა მე-3 დამკვრელი არმია.

59-ე, და 33-ე არმიები, რომლებიც გაძლიერებულნი იყვნენ მე-11 და მე-9 სატანკო კორპუსებით, დამხმარე დარტყმებს აყენებდნენ რადომისა და შემდგომ ლოძის საერთო მიმართულებით პურავის პლაცდარმიდან. მას შემდეგ, რაც მარცხენა ფლანგზე 33-ე არმიის ძალების ნაწილი და მე-9 სატანკო კორპუსი გარღვეეაზე გაიჭრნენ, უნდა დაგვერტყა სკარჟისკ-კამენესთვის იმ მიზნით, რომ ალყა შემოგვერტყა და გაგვენადგურებინა მოწინააღმდეგის კელცე-რადომის დაჯგუფება. მეორე ეშელონში წინ მიიწევდა ფრონტის რეზერვი — გენერალ მ. პ. კონსტანტინოვის მე-7 ცხენოსანი კორპუსი.

ერთი დღე-ღამის მოგვიანებით გენერალ თ. ი. პესხოროვიჩის 47-ე არმიას ვარშავის ჩრდილო დასავლეთიდან უნდა დაერტყა. აქვე უტეევდა პოლონეთის ჯარების პირველი არმიის მე-2 დივიზია.

უფრო დეტალურად იგეგმებოდა ფრონტის უახლოესი ამოცანა: გაგვენადგურებინა ვარშავა-რადომი-ლოძის დაჯგუფება და ხელში ჩაგვეგდო ვარშავა. შემდგომი ამოცანა მარტო ზოგადად იგეგმებოდა. მხედველობაში გვქონდა (როგორც ეს მიღებულია საფრონტო ოპერაციების დაგეგმვის დროს) დაგვეზუსტებინა იგი უახლოესი ამოცანის შესრულების მსვლელობაში.

ჩვენი ვარაუდი ემყარებოდა იმას, რომ ბრძოლა მოგვიწევდა გამოცდილ, შეუპოვარ და ძლიერ მოწინააღმდეგესთან, რომელსაც უკვე კარგად ვიცნობდით.

თავდაცვის გარღვევას რომ ვაწყობდით, ბევრს ვფიქრობდით იმაზე, თუ როგორ მოგვეწყო უკეთ საარტილერიო და საავიაციო მომზადება, რათა მთელი ტაქტიკური სიღრმით განგვეხორციელებინა დაც-

ვის გარღვევა, სწრაფად შეგვეყვანა ამ გარღვევაში მოძრავი ჯარები, რომლებზედაც ვამყარებდით დიდ იმედებს.

ოპერაციის მზადების პროცესში განვახორციელეთ ბევრი სადეზინფორმაციო ღონისძიება, რათა მტრისათვის დაგვემალა მომავალი შეტევისა და დარტყმების მიმართულებების, განსაკუთრებით მთავარი დარტყმის მასშტაბი. ვცდილობდით, მტრისათვის ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, რომ ჯარებს თავს ვუყრიდით ვარშავის წინააღმდეგ.

მაგრამ ჩვენ სავსებით არ ვიყავით დარწმუნებული იმაში, რომ მოწინააღმდეგე შეცდომაში შევიყვანეთ და ვერ მიგვიხვდა ნამდვილ განზრახვას. ვშიშობდით, რომ როცა მტერი გაიგებდა ჩვენს მზადებას, თავის ძირითად ძალებს პირვანდელი პოზიციიდან სიღრმეში გადაიყვანდა და იძულებული გაეხდებოდით ასი ათასობით ჟურავი ცარიელი ადგილებისათვის დაგვეყარა.

სხვადასხვა გვარეობის ჯარების სარდლებსა და უფროსებთან ერთად ყოველმხრივ გავაანალიზეთ ვითარება, განვიხილეთ ყველა „მომხრე" და „წინააღმდეგი" და გადავწყვიტეთ უშუალოდ გენერალური შეტევის წინ ჩაგვეტარებინა მძლავრი საბრძოლო დაზვერვა, რომელსაც დასმარებას გაუწევდით ოცდაათწუთიანი ძლიერი საარტილერიო ცეცხლით.

მოწინავე ხაზის შეტევისათვის თვითეული დივიზიიდან გამოვყავით ერთი-ორი მსროლელი ბატალიონი ტანკებისა და თვითმავალი საარტილერიო დანადგარებით. საფაზვერვო შეტევას არტილერიის გარდა ავიაციაც ეხმარებოდა.

მზვერავი ბატალიონების შეტევას მოწინააღმდეგემ ვერ გაუძლო და წინახაზიდან სიღრმეში დაიხია. როცა მთელმა არტილერიამ უფრო მძლავრი ცეცხლი გახსნა და ავიაციის ძირითადი მასა თავდაცვის შორეულ სამიზნეებს დაატყდა თავს, არმიებმა პირველი საარმიო ეშელონების მთელი ძალებით იწყეს შეტევა. ოპერაციის პირველსავე დღეს 13 საათზე ბრძოლაში ჩაება მე-11 სატანკო კორპუსი.

ამ მომენტიდან გარღვევა ნორმალურად ვითარდებოდა. ჩვენ კი დავეზოგეთ მრავალი ათასი ტონა ჟურავი, რომლებიც შემდეგ ძალიან გამოგვადგა.

ოპერაციის მეორე დღეს ბრძოლაში ჩაებნენ 1-ლი და მე-2 გვარდიული სატანკო არმიები, მე-9 სატანკო კორპუსი, რომელთა დარტყმებმა ერთბაშად თავზარი დასცა მოწინააღმდეგის მთელ ტაქტიკურ და ოპერატიულ თავდაცვას. ჟირარდუვ—სოხაჩევის რაიონში მე-2 გვარდიული სატანკო არმიის სწრაფმა გაპრამ, 47-ე არმიის მიერ ვარშავის ჩრდილოეთით ვისლის სამხრეთ ნაპირის ხელში ჩაგდებამ აიძულა მოწინააღმდეგე სწრაფად გაეყვანა ჯარები ვარშავიდან.

ქალაქს რომ ტოვებდა, მტერმა მიწასთან გაასწორა პოლონეთის დედაქალაქი, მისი მოსახლეობა კი მასობრივად მოსპო.

ბელორუსიის 1-ლი ფრონტის მარჯვნივ მოქმედებდნენ ბელორუსიის მე-2 და მე-3 ფრონტები. მათ წინაშე დასახული იყო ამოცანა — გაენადგურებინათ გერმანელთა ჯარების დაჯგუფება. აღმოსავლეთ პრუსიაში და დაეკავებინათ იგი.

ბელორუსიის მე-2 ფრონტი საბჭოთა კავშირის მარშლის კ. კ. როკოსოვსკის სარდლობით თავისი მთავარი დაჯგუფებით უნდა გასულიყო მარიენბურგის რაიონში და აღმოსავლეთ პრუსიის დაჯგუფება მოეწყვიტა აღმოსავლეთ პომერანიისაგან, დანცინგისა და გდინიასაგან.

ფრონტის ჯარები რუჟანსკის პლაცდარმიდან მლავაზე უტევდნენ. დამხმარე დარტყმას აყენებდნენ სეროცკის პლაცდარმიდან ბელსკსა და ლიპნოზე საერთო მიმართულებით. 70-ე არმიას, რომელიც თავის მარცხენა ფრთით წინ ვიიწევდა მდინარე ვისლის ჩრდილოეთი ნაპირის გასწვრივ, ევალებოდა, არ დაეშვა მოწინააღმდეგის უკან დახევა ვისლის გაღმა ბელორუსიის 1-ლი ფრონტის შეტევის ზონიდან.

შეტევა 13 იანვარს დაიწყო. ბელორუსიის მე-2 ფრონტი (სარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი კ. კ. როკოსოვსკი, სამხედრო საბჭოს წევრი გენერალი ნ. ე. სუბოტინი, შტაბის უფროსი გენერალი ა. ნ. ბოგოლიუბოვი) ძალების ნაწილით შეტევაზე გადავიდა ბელორუსიის მე-3 ფრონტთან ერთდროულად (სარდალი გენერალი ი. დ. ჩერნიახოვსკი, სამხედრო საბჭოს წევრი გენერალი ვ. ე. მაკაროვი, შტაბის უფროსი გენერალი ა. პ. პოკროვსკი). მეორე დღეს მლავის მიმართულებით დაიძრნენ კ. კ. როკოსოვსკის ჯარების მთავარი ძალები.

მტერმა მათ აქ შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია. გარღვევა ძალზე ნელა ვითარდებოდა, და მხოლოდ 19 იანვარს, მას შემდეგ, რაც ბრძოლაში შეყვანილ იქნენ ფრონტის ყველა სატანკო და მექანიზებული ჯარები, გარღვევა დამთავრდა. ფრონტმა დაიკავა მლავა, პსაშნიში და ცეხანუვი. 47-ე არმიისა და მე-2 გვარდიული სატანკო არმიის წარმატებითი წინსვლით მტკიცედ იყო უზრუნველყოფილი ბელორუსიის მე-2 ფრონტის მარცხენა ფლანგი.

12 იანვარს ბელორუსიის 1-ლი ფრონტის მარცხნივ, სანდომირის პლაცდარმიდან, შეტევა დაიწყო უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა (სარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ს. კონევი, სამხედრო საბჭოს წევრი გენერალი კ. ვ. კრაინიუკოვი, შტაბის უფროსი გენერალი ვ. დ. სოკოლოვსკი). მთავარბანაკის დირექტივით უკრაინის 1-ლ ფრონტს დასახული ჰქონდა ამოცანა — ოპერაციის მე-10—მე-11 დღეს დაეკავებინათ მიჯნა პეტროკოვი—ჩენსტოხოვი—მეხუვი და განევითარებინათ შეტევა ბრესლავლზე.

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარების შეტევა წარმატებით ვითარდე-

ბოდა. მათ პირველსავე დღეს გაარღვიეს თავდაცვის მთავარი ზონა და ფრონტის პირველი შემტეები ეშელონის ჯარებმა 20 კილომეტრით წაიწიეს წინ. გენერალ ა. ს. რიბალკოს მე-3 გვარდიულმა სატანკო არმიამ და გენერალ დ. დ. ლელიუშენკოს მე-4 სატანკო არმიამ, რომლებიც ბრძოლაში ჩაებეს, დაამთავრეს გარღვევა. გავიდნენ ოპერატიულ სივრცეზე და ანადგურებდნენ მტრის დასახმარებლად მოსულ რეზერვებს.

აი, როგორ აღწერს თავის მოგონებებში გერმანელი გენერალი კ. ტიპელსკირხი ვისლაზე ბრძოლას:

„დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ მან მიწას გააკრა არა მარტო პირველი ეშელონის დივიზიები, არამედ საკმაოდ მსხვილი მოძრავი რეზერვებიც, რომლებსაც ჰიტლერის კატეგორიული ბრძანების თანახმად ფრონტთან სულ ახლოს მოუყარეს თავი. ეს უკანასკნელები ჯერ რუსების საარტილერიო მომზადების შედეგად დაზარალდნენ, ხოლო შემდგომ ერთთავად უკან დახევის შედეგად საერთოდ შეუძლებელი შეიქმნა მათი გამოყენება ბრძოლის შესაბამისად"[1].

კ. ტიპელსკირხის ნათქვამს შეიძლება მხოლოდ ის დავუმატოთ, რომ ამ რეზერვების გამოყენება არაფრით არ შეიძლებოდა, რადგან ისინი მთლიანად იქნენ განადგურებულნი უკრაინის 1-ლი ფრონტისა და ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარების მიერ.

17 იანვარს ა. ს. რიბალკოს მე-3 გვარდიულმა სატანკო არმიამ და ა. ს. ჟადოვის მე-5 გვარდიულმა არმიამ დაიკავეს ქალაქი ჩენსტოხოვი, ხოლო 59-ე და მე-60 არმიებმა ბრძოლა გააჩაღეს კრაკოვის ჩრდილოეთ მისადგომებთან.

შეტევის 6 დღის განმავლობაში უკრაინის 1-ლმა ფრონტმა წინ წაიწია თითქმის 150 კილომეტრით და კრაკოვი — ტარნუვის ჩრდილოეთით გავიდა მიჯნაზე რადომი — ჩენსტოხოვი. ფრონტის წინაშე ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა ოდერზე შემდგომი შეტევისათვის.

ბელორუსიის 1-ლი ფრონტი, რომელიც 14 იანვარს გადავიდა შეტევაზე, ასევე წარმატებით ანვითარებდა ოპერაციას.

იგივე კ. ტიპელსკირხი წერდა:

„16 იანვარს, საღამოსათვის (ესე იგი შეტევის მესამე დღეს — გ. ჟ.) უბანზე — მდინარე ნიდადან მდინარე პილიცამდე უკვე აღარ არსებობდა გერმანელთა ერთიანი, ორგანულად შემჭიდროვებული ფრონტი. საშინელი საფრთხე დაემუქრა მე-9 არმიის ნაწილებს, რომლებიც ჯერ კიდევ თავს იცავდნენ ვისლაზე ვარშავასთან და სამხრეთით. რეზერვები მეტი აღარ იყო".

17 იანვარს ბელორუსიის 1-ლი ფრონტი და უკრაინის 1-ლი ფრო-

---

[1] Типпельскирх. История второй мировой войны. Издательство иностранной литературы 1956, стр. 508.

ნტი ერთ ხაზზე აღმოჩნდნენ. იმ დღეს ვარშავა პოლონეთის ჯარების 1-ლმა არმიამ დაიკავა. იმავდროულად საბჭოთა ჯარების 47-ე და 61-ე არმიები ვარშავაში შეავიდნენ.

როგორც მოსკოვთან გერმანელთა ჯარების განადგურების შემდეგ, ისევე ახლაც, ვარშავის რაიონში დამარცხებისათვის ჰიტლერმა თავისი გენერალიტეტის მორიგი ეგზეკუცია მოახდინა. „ა" არმიათა ჯგუფის სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ი. ჰარპე შეცვალა გენერალ-პოლკოვნიკ ფ. შერნერით, ხოლო მე-9 არმიის სარდალი გენერალი ს. ლიუტვიცი — ქვეითი ჯარების გენერლით ტ. ბუსეთი.

ფრონტის სამხედრო საბჭომ დაათვალიერა ნანგრევებად ქცეული ქალაქი და უმაღლეს მთავარსარდალს მოახსენა:

„ფაშისტმა ბარბაროსებმა მოსპეს პოლონეთის დედაქალაქი — ვარშავა. ჰიტლერელები გაწაფულ სადისტთა მძვინვარებით ანგრევდნენ კვარტალს კვარტალზე. მსხვილი სამრეწველო საწარმოები აღგვილია მიწისაგან პირისა. საცხოვრებელი სახლები ნანგრევებადაა ქცეული ან დამწვარია. საქალაქო მეურნეობა მოშლილია. ჰიტლერელებმა ათობით ათასი მცხოვრები მოსპეს, დანარჩენები კი გახიზნეს. ქალაქი მკვდარია" [1].

ვისვენდით რა ვარშავის მცხოვრებთა ნაამბობს იმ მხეცობათა შესახებ, რასაც გერმანელი ფაშისტები სჩადიოდნენ ოკუპაციის დროს და განსაკუთრებით უკან დახევის წინ, ჩვენთვის ყოვლად წარმოუდგენელი იყო მტრის ჯარების ფსიქოლოგია და მორალური სახე.

განსაკუთრებით მძიმედ განიცდიდნენ ამას პოლონელი ჯარისკაცები და ოფიცრები. მე ვნახე, თუ როგორ ტიროდნენ ბრძოლებში გამობრძმედილი მებრძოლები და ფიცს დებდნენ სამაგიერო მიეზღოთ ადამიანობადაკარგული მტრისათვის. რაც შეეხება საბჭოთა მეომრებს, ყველა ჩვენგანი სასტიკად იყო აღშფოთებული და ალსავსე ერთი გადაწყვეტილებით: მკაცრად დაგვესაჯა ფაშისტები მათ მიერ ჩადენილი ავკაცობისათვის. ჯარები გაბედულად და სწრაფად ამსხვრევდნენ მოწინააღმდეგის ყველა წინააღმდეგობას და გამალებით მიიწევდნენ წინ.

ოპერაციის წარმატებით განვითარებასთან დაკავშირებით 17 იანვარს მთავარბანაკმა დააზუსტა ფრონტების ამოცანები ოდერის მიმართულებით:

ბელორუსიის 1-ლ ფრონტს დაუსახეს ამოცანა: არა უგვიანეს 2-4 თებერვლისა დაეკავებინათ ჰიჯნა ბიდგოშჩი—პოზნანი;

უკრაინის 1-ლ ფრონტს მთავარი ძალებით არ შეეჩერებინა შეტევა ბრესლაუზე (ვროცლავი) და არა უგვიანეს 30 იანვრისა გასულიყო ოდერზე ლეშნოს სამხრეთით. მარცხენა ფლანგის არმიებს 20-22-ში გაენთავისუფლებინა კრაკოვი.

---

[1] Архив МО СССР, ф. 233, оп. 2356, л. 4.

გერმანელთა ჯარების მთავარსარდლობამ აღმოსავლეთ პრუსიიდან ლოძის რაიონში გადაისროლა სატანკო დივიზია „დიდი გერმანია“ და კიდევ ხუთი დივიზია დასავლეთიდან, რათა შეეჩერებინა ბელორუსიის 1-ლი ფრონტის შეტევა. მაგრამ ეს ჯარები ისე გაანადგურეს, რომ მათ გაშლაც კი ვერ მოასწრეს რიგიანად. დარტყმა იმდენად მძაფრი და თავბრუდამხვევი იყო, რომ გერმანელებმა ყოველგვარი იმედი დაკარგეს, შეეჩერებინათ საბჭოთა ჯარები პოლონეთის ტერიტორიაზე.

19 იანვარს ავიღეთ ქალაქი ლოძი, ხოლო ფრონტის მარჯვენა ფრთის ჯარებმა 23 იანვარს დაიკავეს ქალაქი ბიდგოშჩი. 25 იანვარს, დილით, 1-ლი გვარდიული სატანკო არმიის ჯარებმა ბრძოლა გააჩაღეს პოზნანისათვის. მალე პოზნანს მიადგა 69-ე არმია, ხოლო შემდეგ მე-9 გვარდიული არმია. ფრონტის მარცხენა ფრთა გავიდა იაროცინის რაიონში, სადაც ტაქტიკური ურთიერთმოქმედება დაამყარა უკრაინის 1-ლი ფრონტის მარჯვენა ფრთასთან.

25 იანვარს, დღისით, უმაღლესმა მთავარსარდალმა დამირეკა. ჩემი მოხსენება რომ მოისმინა, მკითხა, რას ვაპირებდით შემდგომ.

— მოწინააღმდეგე დემორალიზებულია და ამჟამად არ ძალუძს სერიოზული წინააღმდეგობა გაგვიწიოს, — ვუპასუხე მე. — ჩვენ გადავწყვიტეთ, განვაგრძოთ შეტევა, რათა ფრონტის ჯარები ოდერზე გავიდნენ. შეტევის მთავარი მიმართულებაა კიუსტრინი (კოსტშინი), სადაც შეეეცდებით პლაცდარმის ხელში ჩაგდებას. ფრონტის მარჯვენა ფრთა იშლება ჩრდილოეთისა და ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებებით წინააღმდეგ აღმოსავლეთ პომერანიის დაჯგუფებისა, რომელიც ჯერჯერობით არ წარმოადგენს უშუალო სერიოზულ საფრთხეს.

— ოდერზე გასვლით თქვენ მოწყდებით ბელორუსიის მე-2 ფრონტის ფლანგს 150 კილომეტრზე მეტით, — თქვა ი. ბ. სტალინმა. — ახლა ამის გაკეთება შეუძლებელია უნდა დაიცადოთ, ვიდრე ბელორუსიის მე-2 ფრონტი დაამთავრებს ოპერაციას აღმოსავლეთ პრუსიაში და გადააჯგუფებს თავის ძალებს ვისლის გაღმა.

— რამდენი ხანი დასჭირდება ამას?

— დაახლოებით ათი დღე. მხედველობაში იქონიეთ, — დაუმატა ი. ბ. სტალინმა,—უკრაინის 1-ლ. ფრონტს ახლა არ შეუძლია წაიწიოს წინ უფრო შორს და მხარი დაგიჭიროთ მარცხნიდან. რადგან ერთ ხანს ის დაკავებული იქნება მტრის ლიკვიდაციით ოპელნი (ოპოლე) — კატოვიცეს რაიონში.

— მე გთხოვთ, არ შეაჩეროთ ფრონტის ჯარების შეტევა, რადგან მერე უფრო გაგვიძნელდება ჰეზერიცკის გამაგრებული მიჯნის გადალახვა. ჩვენი მარჯვენა ფლანგის დაცვის მიზნით საკმარისია გავაძლიეროთ ფრონტი კიდევ ერთი არმიით.

უმაღლესი მთავარსარდალი შემპირდა, რომ ყოველივეს მოიფიქრებდა, მაგრამ იმ დღეს პასუხი არ მიგვიღია.

26 იანვარს 1-ლი გვარდიული სატანკო არმიის დაზვერვამ მიაღწია მეზერიცკის გამაგრებულ მიჯნას და ხელში ჩაიგდო ტყვეთა დიდი ჯგუფი. მათი ჩვენებებიდან დავადგინეთ, რომ ამ გამაგრებული რაიონის ბევრი უბანი ჯერ კიდევ არ დაუკავებია გერმანელთა ჯარებს, და მათი ნაწილები მხოლოდ ახლა მიიწევენ იქეთ. ფრონტის სარდლობამ გადაწყვიტა, დაეჩქარებინა ფრონტის მთავარი ძალების ოდერისაკენ სვლა და ცდილიყო, შეუჩერებლად დაეკავებინა პლაცდარმები მის დასავლეთ ნაპირზე.

ოდერის მიმართულებით დაწინაურებული ფრონტის მთავარი ძალები აღმოსავლეთ პომერანიის მხრიდან რომ დაგვეცვა მოწინააღმდეგის შესაძლო დარტყმებისაგან, გადავწყვიტეთ ჩრდილოეთის მიმართულებით ერთ ფრონტად გაგვეშალა მე-3 დამკვრელი არმია, პოლონეთის ჯარების 1-ლი არმია, 47-ე, 61-ე, არმიები და მე-2 გვარდიული ცხენოსანი კორპუსი.

პოზნანში გარნიზონის მოსასპობად რჩებოდა მე-8 გვარდიული არმიის, 69-ე არმიისა და 1-ლი გვარდიული სატანკო არმიის ძალების ნაწილი. ქალაქ პოზნანის აღება დავალებული ჰქონდა მე-8 გვარდიული არმიის სარდლობას. მაშინ ფიქრობდნენ, რომ იქ ალყაშემორტყმული იყო არა უმეტეს 20 ათასი ჯარისკაცისა, მაგრამ სინამდვილეში მათი რაოდენობა 60 ათასს აღემატებოდა, და გამაგრებულ ქალაქში მათ წინააღმდეგ ბრძოლა 23 თებერვლამდე გაჭიანურდა.

ჩვენი ვარაუდით, ფრონტის ჯარების ოდერზე გასვლამდე მტერს არ შეეძლო მოეწყო კონტრდარტყმა პომერანიიდან, ხოლო სერიოზული საფრთხის შემთხვევაში ჯერ კიდევ მოვასწრებდით ოდერიდან ჯარების ნაწილის გადმოყვანას პომერანიის დაჯგუფების გასანადგურებლად. მართლაც ასე მოხდა.

დამატებითი მოლაპარაკების შემდეგ უმაღლესი მთავარსარდალი დაეთანხმა ფრონტის სარდლობის აზრს. მან დაგვავალა ჩვენ კარგად მოგვეფიქრებინა ჩვენი მარჯვენა ფრთის შესახებ, ხოლო დამატებითი ძალების გამოყოფაზე უარი გვითხრა. მთავარბანაკის შეშფოთება ჩვენი მარჯვენა ფრთის დაცვის გამო სავსებით სწორი იყო. როგორც შემდგომ მოვლენების მსვლელობამ გვიჩვენა, აღმოსავლეთ პომერანიის მხრიდან დარტყმის საფრთხე განუწყვეტლივ იზრდებოდა.

შეტევა სწრაფად ძლიერდებოდა. ფრონტის მთავარმა ძალებმა, გაანადგურეს რა გერმანელთა დაქსაქსული ძალები და გატეხეს მტრის წინააღმდეგობა მეზერიცკის გამაგრებულ მიჯნაზე, 1-4 თებერვალს გადალახეს ოდერი და მის დასავლეთ ნაპირზე კიუსტრინის (კოსტშინის) რაიონში ხელთ იგდეს მეტად მნიშვნელოვანი პლაცდარმი.

არ შემიძლია აქ არ ვთქვა თუნდაც რამდენიმე სიტყვა მე-5 დამკვრელი არმიის გმირული ბრძოლების შესახებ. ამ არმიას სათაოეში ედგნენ გენერალ-ლეიტენანტი ნ. ე. ბერზარინი და სამხედრო საბჭოს წევრი გენერალ-ლეიტენანტი თ. ე. ბოკოვი.

პლაცდარმის დაკავებაში უდიდესი დამსახურება მიუძღვის მე-5 დამკვრელი არმიის მეწინავე რაზმს, რომელსაც მეთაურობდნენ 89-ე გვარდიული მსროლელი დივიზიის უფროსის მოადგილე პოლკოვნიკი ხ. თ. ესიპენკო და მე-5 არმიის სამხედრო საბჭოს წარმომადგენელი, არმიის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილე პოდპოლკოვნიკი დ. დ. შაპოშნიკოვი.

რაზმის შემადგენლობაში შედიოდნენ 266-ე მსროლელი დივიზიის 1006-ე მსროლელი პოლკი, 220-ე ცალკე სატანკო ბრიგადა პოლკოვნიკ ა. ნ. პაშკოვის მეთაურობით, 89-ე ცალკე მძიმე სატანკო პოლკი, ტანკსაწინააღმდეგო გამანადგურებელი პოლკი და 489-ე ნაღმტყორცნელთა პოლკი.

31 იანვარს დილით მეწინავე რაზმმა გადალახა ოდერი და დაიკავა პლაცდარმი კინიტცი გროსი ნოიენდორფი რეფელდის რაიონში.

ბერლინიდან 70 კილომეტრზე საბჭოთა ჯარების გამოჩენა გერმანელთათვის თავზარდამცემი მოულოდნელობა იყო.

იმ დროს, როცა რაზმი კინიტცში შეიჭრა, მის ქუჩებში მშვიდად დასეირნობდნენ გერმანელი ჯარისკაცები, რესტორანი ოფიცრებით იყო სავსე. კინიტც—ბერლინის ხაზზე მატარებლები გრაფიკის მიხედვით მიმოდიოდნენ, ნორმალურად მუშაობდა კავშირგაბმულობა.

დაპყრობილ პლაცდარმზე პოლკოვნიკმა ი. ი. ტერეხინმა, ბატალიონების მეთაურებმა თ. კ. კრავცოვმა, პ. ე. პლატონოვმა და ი. ი. ჩერედნიკმა, დივიზიონების მეთაურებმა ყარკოვმა და ილიაშენკომ მტკიცე თავდაცვა მოაწყეს. მებრძოლებსა და მეთაურებს კარგად ესმოდათ, რომ გერმანელები მთელი ძალ-ღონით შეეცდებოდნენ, რათა რაზმს უკან დაეხია ოდერის გადაღმა.

2 თებერვალს დილით მოწინააღმდეგემ არტილერიისა და ნაღმსატყორცნების მძლავრი ცეცხლი დაუშინა ჩვენი რაზმის საბრძოლო მწყობრს. მალე ამის შემდეგ მტრის ავიაციაც გამოჩნდა. პლაცდარმის რაიონი ზანზარებდა ბომბების, ჭურვებისა და ნაღმების აფეთქებისაგან. ცეცხლოვანი გრიგალი თითქმის ერთ საათს მძვინვარებდა. მერე ჰიტლერელებმა ტანკების დახმარებით სამი მხრიდან შეუტიეს მეწინავე რაზმს.

მიუხედავად დიდი დანაკარგებისა, მოწინააღმდეგე ჯიუტად მოიწევდა წინ. მისი ტანკები გაიჭრნენ ჩვენი არტილერიის საცეცხლე პოზიციების რაიონში და ჩაახშეს რამდენიმე ბატარეა კრიტიკული ვითარება შეიქმნა. მტრის ტანკები რაზმის ზურგში შეჭრას ლამობდნენ.

და მაშინ კი საეჭვო გახდებოდა ხელში ჩაგდებულ მიჯნაზე ჩვენი გამაგრება. საქმე იქამდე მივიდა, რომ კაპიტან თ. კ. კრავცოვის ბატარეაში მხოლოდ ერთი ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხიღა დარჩა. მისი ჯგუფეული უფროსი სერჟანტის ნ. ა. ბელსკის მეთაურობით მოწინააღმდეგის 8 ტანკთან ჩაება ორთაბრძოლაში.

ქვემეხის მთელ საბძოლო მასალას ცამეტი ჭურვი შეადგენდა.

ნიკოლოზ ბელსკიმ ერთხელ კიდევ გადათვალა ისინი. ცამეტია, მხოლოდ ცამეტი, ტანკები კი რვაა.

— უნდა ვისროლოთ მიბრჯნით, აუცდენლად, — უთხრა მან ამხანაგებს. — მოვკედეთ, მტერი კი არ გავუშვათ.

უფროსი სერჟანტი ნ. ა. ბელსკი და მისი მებრძოლი მეგობრები კარგინი და კჩერიუსოვი გამოცდილი მეომრები იყვნენ. მათ სიმტკიცეზე და ოსტატობაზე იყო დამოკიდებული ბრძოლის ბედი.

მათ წინასწარ შეაგორეს ქვემეხი სარდაფში, გახვრიტეს კედელი და პირდაპირი დამიზნებით სროლისათვის მოამზადეს იგი. სარდაფი მათ იცავდა ცეცხლისაგან და ამავე დროს შესაძლებლობას აძლევდა ტანკების ქიმებისათვის დაერტყათ.

აჰა, გაისმის ტანკთა მუხლუხების ღრჭიალი. უფროსი სერჟანტი ნ. ა. ბელსკი თვითონ დადგა სამიზნესთან. მეწინავე ტანკამდე 150 მეტრილა დარჩა. ნათლად მოჩანს ფაშისტური ჯვარი.

ცდილობს რა სიმშვიდის შენარჩუნებას, უფროსი სერჟანტი ნ. ა. ბელსკი მიზანში იღებს ტანკს და ახლოს უშვებს მას. გაისმა გასროლა. ჭურვი საწვაეის ავზს მოხვდა. ტანკის ზემოთ მოწითალო ალმა იფეთქა. მომდევნო ჭურვიც ზუსტად მოხვდა მიზანს — მეორე ტანკიც უმწეოდ აწრიალდა დაგლეჯილ მუხლუხებზე, ერთი წუთიც და ალში გაეხვია მესამე ტანკი. ეს მართლაც ოსტატობა იყო!

ფაშისტთა ხუთი ტანკი ჩვენი სანგრების წინ იწვოდა. დანარჩენი სამი უკან გაბრუნდა.

უფროსი სერჟანტი ნიკოლოზ ბელსკი, რომელმაც ამ ბრძოლაში გმირობა და მამაცობა გამოიჩინა, დაჯილდოებულ იქნა წითელი დროშის ორდენით. ჯილდოები მიიღეს ჯგუფეულის სხვა მებრძოლებმაც.

მეწინავე რაზმის კვალდაკვალ 26-ე გვარდიულმა მსროლელმა კორპუსმა (კორპუსის მეთაური გენერალ-ლეიტენანტი პ. ა. ფირსოვი, პოლიტგანყოფილების უფროსი დ. ნ. ანდრეევი) ხელთ იგდო და გაფართოვა პლაცდარმი.

ამ კორპუსის 94-ე გვარდიულმა დივიზიამ პოდპოლკოვნიკ ნ. ი. ბარანოვისა და პოლიტგანყოფილების უფროსის ს. ვ. კუზოვკოვის მეთაურობით გადალახა ოდერი. 286-ე და 283-ე გვარდიულმა პოლკებმა ბრძოლა გააჩაღეს პლაცდარმზე და უკან დაახევინეს მოწინააღმღეგეს. აქ თავგანწირვით იბრძოდა ამ დივიზიის 199-ე გვარდიული

საარტილერიო პოლკი (პოლკის უფროსი პოდპოლკოვნიკი ი. თ. ჟერებცოვი, მოადგილე პოლიტნაწილში მაიორი ვ. ი. ორიაბინსკი).

განსაკუთრებით აქტიურად მოქმედებდა გვარდიის უფროსი ლეიტენანტის ა. ა. მირონოვის ბატარეა. შეტევის დროს ბატარეის უფროსი დაჭრეს, მისი ადგილი დაიკავა გვარდიის უფროსმა ლეიტენანტმა ი. ტ. აველიჩევმა. ბატარეამ იმ დღეს ქვეითთან ერთად გმირულად მოიგერია მოწინააღმდეგის 6 შეტევა. შეუპოვრობით თავი გამოიჩინეს ბატარეის პარტორგმა უფროსმა სერჟანტმა გ. ი. შვეცოვმა და სერჟანტმა ივანე ვოლკოვმა.

მოწინააღმდეგის სატანკო შეტევის მოგერიებაში მასობრივი გმირობა გამოიჩინეს 1050-ე მსროლელი პოლკის მე-2 ბატალიონის მებრძოლებმა (ბატალიონის მეთაური თ. კ. შაპოვალოვი, პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილე ი. თ. ოსიპოვი). ამ ბატალიონის პირადმა შემადგენლობამ მეტად მძიმე პირობებში მოიგერია მტრის ტანკებისა და ქვეითი ჯარის მრავალი შეტევა.

აქ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა მე-3 ბატალიონის მეთაურის კაპიტან ა. თ. ბოგომოლოვის წინამძღოლობით, რომელიც მძიმედ დაჭრეს, მაგრამ არ მიატოვა ბრძოლის ველი და განაგრძობდა ბატალიონის ხელმძღვანელობას. ა. თ. ბოგომოლოვს გმირობისა და მამაცობისათვის სიკვდილის შემდეგ მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

ამ ბრძოლებისათვის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა 1008-ე მსროლელი პოლკის 1-ლი ბატალიონის ყველა ჯარისკაცი, სერჟანტი და ოფიცერი. ბატალიონის მეთაურს მ. ა. ალექსეევს და ბატალიონის პარტორგს უფროს ლეიტენანტს კულინურ უსუნბეკოვს მიენიჭათ საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდებანი. მასობრივი გმირობისათვის 266-ე მსროლელი დივიზიის 1008-ე და 1010-ე მსროლელი პოლკები დაჯილდოებულ იქნენ სუვოროვის III ხარისხის ორდენებით.

რამდენ ასეთ საბრძოლო ეპიზოდს, რომლებიც ასახავენ საბჭოთა ჯარისკაცის გმირულ, ყოველისმომცველ სახეს, იცნობს დიდი სამამულო ომის ისტორია! რაოდენ გულდამწველია, რომ ბევრი რამ უცნობი დარჩა ჩვენთვის! მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, მას არ დაუკარგავს თავისი უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა.

მრავალდღიანი ბრძოლების შედეგად პლაცდარმი 44 კილომეტრამდე გავაფართოვეთ. სწორედ აქედან დაიწყო ბელორუსიის 1-ლი ფრონტის დამკვრელი დაჯგუფების შეტევა ბერლინზე.

ამ დროს ფრონტის მარცხენა ფრთაზე მტრის წინააღმდეგობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. საავიაციო და საჯარისო დაზვერვამ დაა-

დგინა, რომ პომერანიაში მოდიოდნენ და თავს იყრიდნენ მტრის დიდი ძალები.

ჩრდილოეთიდან მოსალოდნელი საფრთხის ლიკვიდაციის მიზნით საჭირო იყო სწრაფი და გადამწყვეტი მოქმედება ჯერ კიდევ 2 თებერვალს 1-ლმა გვარდიულმა სატანკო არმიამ მიიღო ფრონტის სამხედრო საბჭოს ბრძანება ოდერზე თავიანთი უბნები დაეტოვებინათ მეზობელი ჯარებისათვის და ფორსირებული მარშით გადაჯგუფებულიყვნენ ჩრდილოეთისაკენ არნსვალდის რაიონში. იქ გადადიოდნენ მე-9 სატანკო და მე-7 გვარდიული ცხენოსანი კორპუსები, საარტილერიო, საინჟინრო ნაწილებისა და მატერიალურ საშუალებათა დიდი ნაწილი.

აღმოსავლეთ პომერანიიდან გერმანელთა ჯარების კონტრშეტევის საფრთხე დღითი დღე იზრდებოდა.

31 იანვარს ფრონტის სამხედრო საბჭომ უმაღლეს მთავარსარდალს შემდეგი შინაარსის მოხსენება გაუგზავნა:

„1. იმასთან დაკავშირებით, რომ ბელორუსიის მე-2 ფრონტის მარცხენა ფრთა მკვეთრად ჩამორჩა ბელორუსიის 1-ლი ფრონტის მარჯვენა ფრთას, 31 იანვრის ბოლოს ფრონტის სიგანემ 500 კილომეტრს მიაღწია.

თუ კ. კ. როკოსოვსკის მარცხენა ფლანგი კვლავ განაგრძობს ერთ ადგილზე ყოფნას, მოწინააღმდეგე უდავოდ წამოიწყებს აქტიურ მოქმედებას ბელორუსიის 1-ლი ფრონტის გაჭიმული მარჯვენა ფრთის წინააღმდეგ.

გთხოვთ უბრძანოთ კ. კ. როკოსოვსკის დაუყოვნებლივ შეუტიოს 70-ე არმიით დასავლეთის მიმართულებით, თუნდაც ბელორუსიის 1-ლი ფრონტის მარჯვენა ფრთის გადაღმა მდებარე შვერილზე.

2. გთხოვთ დაავალოთ ამხ. ი. ს. კონევს სწრაფად გავიდეს მდ. ოდერზე.

ეუკოი ტელეგინი“ [1].

ამ მოხსენების თაობაზე ჩვენ არ მიგვიღია უმაღლესი მთავარსარდლისაგან სწრაფი პასუხი და კონკრეტული დახმარება ფრონტისადმი. მხოლოდ 8 თებერვალს ბელორუსიის მე-2 ფრონტს დაუსახა ამოცანა — 10 თებერვლისათვის გადასულიყო შეტევაზე გრაუდენცი—რატცებურის მიჯნიდან და გაენადგურებინა მტერი აღმოსავლეთ პომერანიაში, დაეკავებინა დანცინგი და გასულიყო ბალტიის ზღვის სანაპიროზე.

10 თებერვალს ბელორუსიის მე-2 ფრონტმა დაიწყო შეტევა, მაგრამ, იმის გამო, რომ თავის განკარგულებაში არ ჰყავდა საკმაო

---

[1] Архив МО, ф. 233, оп. 2307, д. 194, л. 48.

ძალები, მთლიანად ვერ შეასრულა დასახული ამოცანა. თუმცა 24 თებერვალს, როცა მთავარბანაკის რეზერვიდან ახალი მე-19 არმია მიიღო, ბელორუსიის მე-2 ფრონტმა განაახლა შეტევითი ოპერაციები.

1 მარტს შეტევაზე გადავიდნენ ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარებიც. ამ ფრონტის მთავარი დამრტყმელი ძალა იყო 1-ლი და მე-2 გვარდიული სატანკო არმიები. ჯარების ამ ჯგუფების მძლავრი დარტყმების შედეგად ბელორუსიის მე-2 ფრონტის შეტევა მკვეთრად გაძლიერდა.

5 მარტს ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარები გავიდნენ ბალტიის ზღვის სანაპიროზე და დაიკავეს კოზლინი (კოშალინი), რის შემდეგ ბელორუსიის მე-2 ფრონტის ყველა არმია უკან გაბრუნდა აღმოსავლეთისაკენ, გდინისა და დანციგისაკენ (გდანსკისაკენ). ბელორუსიის 1-ლი ფრონტის 1-ლი სატანკო არმია, რომელიც კოლბერგის (კოლობჟეგის) რაიონში გავიდა, მთავარბანაკის განკარგულებით დროებით გადაეცა ბელორუსიის მე-2 ფრონტის შემადგენლობას გდინის რაიონში მოწინააღმდეგის მოსაპირობად. ბელორუსიის 1-ლი ფრონტის მარჯვენა ფრთის ჯარები, ანადგურებდნენ რა მტრის დარჩენილ ძალებს, გავიდნენ ბალტიის ზღვის სანაპიროზე და ოდეოზეზის ქვემოწელთან.

აქ, ჩემი აზრით, დროულია უფრო დაწვრილებით შევჩერდეერთ საკითხზე, რომელსაც აყენებენ ზოგიერთი მემუარების ავტორები, კერძოდ, საბჭოთა კავშირის მარშალი ვ. ი. ჩუიკოვი: რატომ მოხდა, რომ ბელორუსიის 1-ლი ფრონტის სარდლობამ თებერვლის პირველ რიცხვებში ოდერზე გასვლის შემდეგ მთავარბანაკისაგან ვერ მიაღწია გადაწყვეტილებას — შეუჩერებლივ გაეგრძელებინა შეტევა ბერლინზე?

თავის ბოგონებებში, რომლებიც გამოქვეყნდა ჟურნალ „ოქტიაბრსა“ და —ნოვაია ი ნოვეიშაია ისტორიაში“, ვ. ი. ჩუიკოვი ამტკიცებს, რომ „ბერლინის აღება ჯერ კიდევ თებერვალში შეიძლებოდა. ეს კი, ბუნებრივია მოაახლოვებდა ომის დასასრულს“[1].

ბევრი სამხედრო სპეციალისტი გამოვიდა პრესაში ამბ. ვ. ი. ჩუიკოვის ასეთი შეხედულების წინააღმდეგ[2], მაგრამ ვ. ი. ჩუიკოვს ეჩვენა, რომ „საწინააღმდეგო აზრი მოჰდინარეობს არა ვისლა-ოდერის ოპერაციის აქტიური მონაწილეებისაგან, არამედ ჯერ ერთი იმათგან, ვინც მონაწილეობდა ი. ბ. სტალინისა და ფრონტის ბრძანებების შემუშავებაში ბერლინზე შეტევის შეჩერებისა და აღმოსავლეთ პომერანიის ოპერაციების ჩატარების შესახებ, მეორეც — ზოგიერთი ისტორიული ნაშრომის ავტორებისაგან“[3].

---

[1] «Новая и новейшая история», 1965, № 2, стр. 5.
[2] «Военно-исторический журнал», 1965, № 3, стр. 74—76, 80—81; стр. 62—64.
[3] «Новая и новейшая история», 1965, № 2, стр. 7.

უნდა ითქვას, რომ ბერლინზე შეტევის ოპერაციაში ყველაფერი ისე მარტივად როდი იყო, როგორც ეს ვ. ი. ჩუიკოვს ჰგონია.

26 იანვარს, როცა აშკარა გახდა, რომ ოდერის მისადგომების სიმაგრეებზე მოწინააღმდეგეს არ შეეძლო საბჭოთა ჯარების შეტევის შეჩერება, მთავარბანაკს წინასწარ შევატყობინეთ ჩვენი მოსაზრება, რომლის არსი შემდეგში მდგომარეობდა.

30 იანვარს ფრონტის ჯარები უნდა გასულიყვნენ ბერლინხეი (ბარლინეკი)—ლანდსბერგი (გოჟუვ-ველიკოპოლსკი)—გრეცის (გრუდზისკი) მიჯნაზე, თავი მოგვეყარა ზურგის ნაწილებისათვის, შეგვეესო მარაგი და 1-2 თებერვალს დილით კვლავ გადავსულიყავით შეტევაზე, რათა შეუჩერებლივ გადაგველახა ოდერი.

შემდეგ განზრახული გვქონდა სწრაფად გაგვეძლიერებინა შეტევა ბერლინის მიმართულებით, ბერლინისათვის გარშემოვლით მთავარი ძალებისათვის თავი მოგვეყარა ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან.

27 იანვარს უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკმა დაამტკიცა ეს წინადადება.

28 იანვარს მთავარბანაკში ანალოგიური წინადადება გაგზავნა უკრაინის 1-ლი ფრონტის სარდალმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა ი. ს. კონევმა. ამ წინადადების მიხედვით უკრაინის 1-ლ ფრონტს უნდა გაეანადგურებინა მოწინააღმდეგის ბრესლავლის დაჯგუფება და 25 28 თებერვალს გასულიყო ელბაზე, ხოლო ფრონტის მარჯვენა ფრთას ბელორუსიის 1-ლ ფრონტთან ურთიერთმოქმედებით დაეკავებინა ბერლინი.

მთავარბანაკმა ეს წინადადება დაამტკიცა 29 იანვარს.

როგორც ვ. ი. ჩუიკოვი წერს, იმ დროს ბერლინის მისადგომებთან მოწინააღმდეგეს, მართლაც. შეზღუდული ძალები და საკმაოდ სუსტი დაცვა ჰყავდა. ეს ჩვენთვის ცნობილი იყო. ამასთან დაკავშირებით ფრონტის სარდლობამ ჯარებს შემდეგი გეზი მისცა:

„ყველა არმიის სამხედრო საბჭოს, სხვადასხვა სახეობის ჯარების სარდლებსა და ფრონტის ზურგის უფროსს. გაცნობებთ საორიენტაციო გაანგარიშებას უახლოესი პერიოდისათვის და ვითარების მოკლე შეფასებას:

1. მოწინააღმდეგეს ბელორუსიის 1-ლი ფრონტის წინ ჯერჯერობით არ გააჩნია რამდენადმე მსხვილი კონტრდამრტყმელი დაჯგუფება.

მოწინააღმდეგეს არ გააჩნია ასევე თავდაცვის ერთიანი ფრონტი. ის ახლა იცავს ცალკეულ მიმართულებებს და მთელ რიგ უბნებზე ცდილობს თავდაცვის ამოცანა აქტიური მოქმედებით გადაწყვიტოს.

ჩვენ ხელთა გვაქვს წინასწარი მონაცემები იმის შესახებ, რომ მოწინააღმდეგემ დასავლეთის ფრონტიდან მოხსნა ოთხი სატანკო

დივიზია და 5-6 ქვეითი დივიზია და ეს ნაწილები გადაჰყავს აღმოსავლეთის ფრონტზე. ამავე დროს მოწინააღმდეგე კვლავ განაგრძობს ნაწილების გადმოყვანას ბალტიისპირეთიდან და აღმოსავლეთ პრუსიიდან.

როგორც ჩანს, უახლოეს 6-7 დღეში ბალტიისპირეთიდან და აღმოსავლეთ პრუსიიდან გადმოყვანილ ჯარებს მოწინააღმდეგე თავს ძოუყრის შვედტი—შტარგარდი—ნოიშტეტინის ხაზზე, რათა დაიცვას პომერანია, ჩაგვიკეტოს შტეტინის მისადგომები და არ გაგვიშვას პომერანიის ყურესაკენ.

დასავლეთიდან გადმოყვანილი ჯარების ჯგუფს, მოწინააღმდეგე, როგორც ჩანს, თავს უყრის ბერლინის რაიონში იმ მიზნით, რომ დაიცვას ბერლინის მისადგომები.

2. ფრონტის ჯარების ამოცანაა უახლოეს 6 დღეში აქტიური მოქმედებებით განამტკიცონ მიღწეული წარმატებანი, თავი მოუყარონ უკან დარჩენილ ძალებს, მარაგად იქონიონ მანქანათა 2-ჯერ გასაწყობი საწვავი, ტყვია-წამლის 2 საბრძოლო კომპლექტამდე და სწრაფი მარშით 15-16 თებერვალს აიღონ ბერლინი.

რათა განვამტკიცოთ მოპოვებული წარმატება, ესე იგი 4-დან 8 თებერვალამდე, საჭიროა:

ა) მე-5, მე-8. 69-ე და 33-ე არმიებმა მდინარე ოდერის დასავლეთ ნაპირზე დაიკავონ პლაცდარმები. ამასთან სასურველია მე-8 გვარდიულმა და 69-ე არმიებმა იქონიონ ერთი საერთო პლაცდარმი კიუსტრინსა და ფრანკფურტს შორის.

თუ მოხერხდება კარგი იქნება შეაერთონ მე-5 და მე-8 არმიების პლაცდარმები:

ბ) პოლონეთის ჯარების 1-ლმა არმიამ, 47-ე, 61-ე. მე-2 სატანკო არმიებმა და მე-2 ცხენოსანმა კორპუსმა ყოველ მიზეზს გარეშე განდევნონ მტერი ხაზიდან რატცებური — ფალკენბურგი -- შტარგარდი — ალტდამი — მდინარე ოდერი. შემდეგ ბელორუსიის მე-2 ფრონტის მოსვლამდე დატოვონ საფარი და გადაჯგუფდნენ მდინარე ოდერზე გარღვევისათვის;

გ) 7-8 თებერვალს აუცილებლად დამთავრდეს მოწინააღმდეგის პოზნანი-შნაიდემიულსკაიას დაჯგუფების ლიკვიდაცია.

დ) გარღვევის გაძლიერებისათვის საჭირო საშუალებად ძირითადად რჩება ის, რაც ახლა გააჩნია არმიებს;

ე) სატანკო ჯარებმა და თვითმავალმა არტილერიამ 10 თებერვლამდე დაამთავრონ მიმდინარე და საშუალო რემონტი და მატერიალური ნაწილი ჩააყენონ მწყობრში;

ვ) ავიაციამ დაამთაროს გაშლა, აეროდრომზე იქონიოს არანაკლებ 6 გასაწყობი საწვავი;

8) ფრონტის ზურგი, არმიისა და საჯარისო ზურგი 9-10 თებერვალს ყოველმხრივ იყონ მზად ოპერაციის გადამწყვეტი ეტაპისათვის.

ჟუკოვი ტელეგინი მალინინი"[1]

მაგრამ, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე, თებერვლის პირველ რიცხვებში აღმოსავლეთ პომერანიის მხრიდან მომწიფდა კონტრდარტყმის სერიოზული საფრთხე, რომელიც ემუქრებოდა ოდერისაკენ წინწასული ფრონტის მთავარი დაჯგუფების ფლანგსა და ზურგს.

აი, რა აღიარა ამის თაობაზე გერმანელთა ფელდმარშალმა კაიტელმა:

— 1945 წლის თებერვალ-მარტში განზრახული გვქონდა პომერანიის პლაცდარმის გამოყენებით კონტრიერიში წამოგვეწყო ბერლინზე შემტევი ჯარების წინააღმდეგ. გეგმის თანახმად, „ვისლის" არმიის ჯგუფის ჯარებს, რომლებიც გრუძონძის რაიონს აფარებდნენ თავს, უნდა გაერღვიათ რუსების ფრონტი და მდინარეების ვარტასა და ნეტცეს ხეობით გასულიყვნენ კიუსტრინის ზურგში.

ამ ჩანაფიქრს ადასტურებს აგრეთვე გენერალ-პოლკოვნიკი გუდერიანი. თავის წიგნში „ჯარისკაცის მოგონებანი" იგი წერდა: „გერმანელთა სარდლობას ნავარაუდევი ჰქონდა „ვისლის" არმიის ჯგუფის ძალებით მძლავრი ელვისებური კონტრდარტყმა მიეყენებინა რუსებისათვის, ვიდრე ისინი ფრონტთან თავს მოუყრიდნენ მსხვილ ძალებს ან სანამ არ გამოიცნობდნენ ჩვენს ჩანაფიქრს".

ფაშისტური გერმანიის სამხედრო ხელმძღვანელთა მოყვანილი დამოწმებანი ეჭვს აღარ იწვევენ, რომ აღმოსავლეთ პომერანიის მხრიდან რეალური საფრთხე გვემუქრებოდა. მაგრამ ბელორუსიის 1-ლი ფრონტის სარდლობამ დროულად მიიღო საჭირო ზომები, რათა აქტიური წინააღმდეგობა გაეწია მტრისათვის.

თებერვლის დასაწყისში ოდერისა და ვისლის შუა წელში მოქმედებდნენ გერმანელთა მე-2 და მე-11 არმიები, რომელთაც ჰყავდათ 16 ქვეითი, 2-4 სატანკო, 3 მოტორიზებული დივიზია, 4 ბრიგადა და 8 საბრძოლო ჯგუფი. ჩვენი დაზვერვის მონაცემების თანახმად, ძალთა თავმოყრა იქ კვლავ გრძელდებოდა.

ამას გარდა, შტეტინის (შჩეცინის) რაიონში განლაგდა მე-3 სატანკო არმია, რომელიც გერმანელ-ფაშისტთა სარდლობას შეეძლო გამოეყენებინა როგორც ბერლინის მიმართულებით, ასევე აღმოსავლეთ პომერანიის დაჯგუფების გასაძლიერებლად (რაც ფაქტიურად კიდეც მოხდა).

საბჭოთა სარდლობას შეეძლო თუ არა წასულიყო რისკზე — ფრონტის მთავარი ძალებით გაეგრძელებინა შეტევა ბერლინზე იმ

---

[1] Архив МО. ф. 233. оп. 2307. д. 194. лл. 111—113.

დროს, როცა ჩრდილოეთიდან ასეთი სერიოზული საფრთხე გეემუქ-
რებოდა?

ვ. ი. ჩუიკოვი წერს: „... რაც შეეხება რისკს, ომში ხომ ხშირად
მიდიან მასზე. მაგრამ ამ შემთხვევაში რისკი სავსებით გამართლებუ-
ლი იყო. ვისლა-ოდერის ოპერაციის განხორციელებისას ჩვენმა ჯა-
რებმა 500 კილომეტრზე მეტი გაიარეს, ხოლო ოდერიდან ბერლინა-
მდე სულ რაღაც 60-80 კილომეტრი რჩებოდა" [1].

რა თქმა უნდა, შეგვეძლო არაფრად მიგვეჩნია ეს საფრთხე, ორი-
ვე ეს სატანკო არმია და 3-4 საერთო საჯარისო არმია გაგვეშვა პირ-
დაპირ ბერლინის მიმართულებით და მივახლოებოდით მას, მაგრამ მა-
შინ მოწინააღმდეგე ჩრდილოეთიდან დაგვარტყამდა და ადვილად
გაარღვევდა ჩვენს თავდაცვას, მოვიდოდა ოდერის გადასასვლელა-
მდე და ფრონტის ჯარებს მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებდა
ბერლინის რაიონში.

ომის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რისკი შეიძლება გასწიო,
მაგრამ არ შეიძლება მეტისმეტად შორს შესტოპო. ამ მხრივ ფრიად
დამახასიათებელი მაგალითია წითელი არმიის შეტევა ვარშავაზე 1920
წელს, როცა წითელი არმიის ჯარების სათანადოდ მოუმზადებელმა და
წინდაუხედავმა წინსვლამ წარმატების ნაცვლად მძიმე დამარცხება
აგემა ჩვენს დასავლეთის ფრონტს.

„თუ ჩვენ ობიექტურად შეეაფასებთ ჰიტლერელთა პომერანიის
დაჯგუფების ჯარების ძალებს, — წერდა ვ. ი. ჩუიკოვი, — დავრწმუნ-
დებით, რომ ნებისმიერი საფრთხე, რომელიც მათ შეიძლებოდა, შეექმ-
ნათ ჩვენი დამრტყმელი დაჯგუფებისათვის ბერლინის მიმართულებით,
სავსებით ლოკალიზებული იქნებოდა ბელორუსიის მე-2 ფრონტის ჯარე-
ბის მიერ".

სინამდვილე უარყოფს ამ მტკიცებას.

თავდაპირველად აღმოსავლეთ პომერანიაში მტრის განადგურე-
ბის ამოცანა უნდა გადაეწყვიტა ბელორუსიის მე-2 ფრონტის ძალებს,
მაგრამ ისინი სრულიადაც არ იყო საკმარისი. ბელორუსიის მე-2
ფრონტის შეტევა, რომელიც 10 თებერვალს დაიწყო. მეტად ნელა
ვითარდებოდა. 10 დღეში მისმა ჯარებმა მხოლოდ 50-70 კილომეტრით
წაიწიეს წინ.

ამავე დროს მტერმა შტარგარდის სამხრეთ რაიონში კონტრშე-
ტევა წამოიწყო, შეავიწროვა ჩვენი ჯარები და 12 კილომეტრით წაი-
წია წინ სამხრეთის მიმართულებით.

შეაფასა რა შექმნილი ვითარება, უმაღლესი მთავარსარდლობის
ბანაკმა გადაწყვიტა აღმოსავლეთ პომერანიაში ჰიტლერელთა ლიკვიდა-
ციის მიზნით, რომელთა ძალები ამ დროისათვის 40 დივიზიით გაიზა-

---

[1] «Новая и новейшая история», 1965, № 2, стр. 2.

რდა, გადმოეყვანა ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ოთხი საერთო საჯარისო და ორი სატანკო არმია.

როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ პომერანიის დაჯგუფების გასანადგურებლად ორი ფრონტის საბრძოლო მოქმედება მხოლოდ მარტის ბოლოს დამთავრდა. აი როგორი კირკიტა კაკალი იყო იგი!

ვ. ი. ჩუიკოვს მიაჩნია, რომ 1945 წლის თებერვალში ბერლინზე შეტევის მიზნით ბელორუსიის 1-ლ ფრონტს და უკრაინის 1-ლ ფრონტს შეეძლოთ გამოეყოთ 8-10 არმია, მათ შორის 3-4 სატანკო არმია [1].

არც ამას შეიძლება დავეთანხმოთ.

თებერვლის დასაწყისში ბელორუსიის 1-ლი ფრონტის რვა საჯარისო და ორი სატანკო არმიიდან ბერლინის მიმართულებით დარჩა მხოლოდ ოთხი არასრული არმია (მე-5 დამკვრელი, ნახევარი მე-8 გვარდიულისა, 69-ე და 33-ე არმიები) [2]. ფრონტის დანარჩენი ძალები აღმოსავლეთ პომერანიისაკენ მოვაბრუნეთ, რათა გაგვენადგურებინა მტრის პომერანიის დაჯგუფება.

რაც შეეხება უკრაინის 1-ლ ფრონტს, იგი 8-დან 24 თებერვლამდე შეტევითს ოპერაციას ატარებდა ბრესლაუს (ვროცლავის) ჩრდილო-დასავლეთით. ამ ოპერაციაში მონაწილეობდნენ ფრონტის მთავარი ძალები (ოთხი საერთო საჯარისო, ორი სატანკო არმია და მე-2 საჰაერო არმია). მტერმა თავი მოუყარა რა მნიშვნელოვან ძალებს, შეუპოვარი წინააღმდეგობა გაგვიწია იქ.

შეტევის 17 დღის მანძილზე უკრაინის 1-ლი ფრონტის შენაერთებმა 100 კილომეტრით წაიწიეს წინ და გავიდნენ მდინარე ნოისეზე. სცადეს გადაელახათ მდინარე და გაეგრძელებინათ შეტევა დასავლეთის მიმართულებით. მაგრამ ამას წარმატება არ მოჰყოლია და ფრონტის ჯარები მდინარის აღმოსავლეთ ნაპირთან თავდაცვაზე გადავიდნენ.

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ვისლა-ოდერის ოპერაციის მსვლელობაში ჩვენმა ნაწილებმა სერიოზული ზარალი ნახეს.

1-ლ თებერვლისათვის მსროლელ დივიზიებში მებრძოლთა რაოდენობა საშუალოდ დაახლოებით 5 500 კაცი იყო, მე-8 გვარდიულში კი — 3 800-დან — 4 800-მდე. ორი სატანკო არმია 740 ტანკს ითვლიდა (სატანკო ბრიგადებში საშუალოდ დაახლოებით 40, ხოლო ბევრ მათგანში 15-20 ტანკი იყო). ასეთივე მდგომარეობა იყო უკრაინის 1-ლ ფრონტზე.

გარდა ამისა, ციხე-სიმაგრე და ქალაქი პოზნანი, რომლებიც

---

[1] «Новая и новейшая история», 1965, № 2, стр. 7.

[2] მე-8 გვარდიული და 69-ე არმიის თითო-თითო კორპუსი ბრძოლებს აწარმოებდნენ პოზნანისათვის.

შორს ფრონტის ზურგში იმყოფებოდნენ, ჯერ კიდევ მტერს ეპყრა ხელთ, და 23 თებერვალამდე ვერ აიღეს ჯარებმა, რომელთაც პირადად ვ. ი. ჩუიკოვი ხელმძღვანელობდა.

დაბოლოს, არ უნდა დავივიწყოთ მატერიალური უზრუნველყოფა ჯარებისა, რომლებმაც შეტევის 20 დღის განმავლობაში 500 კილომეტრზე მეტით წაიწიეს წინ. ბუნებრივია, რომ ასეთი სწრაფი წინსვლის დროს ზურგი ჩამორჩა, და ჯარებს შემოაკლდათ მატერიალური საშუალებანი, განსაკუთრებით საწვავი.

ავიაციამაც ვერ შეძლო სხვა ბაზაზე გადანაცვლება, რადგან ამ დროს მთელი საველე აეროდრომები წვიმებისაგან ატალახდა.

ვ. ი. ჩუიკოვი, არ იძლევა რა ზურგის მთელი რთული ვითარების ანალიზს, წერს:

„მთავარბანაკსა და ფრონტების შტაბებს სათანადოდ რომ მოეგვარებინათ მომარაგების საქმე და დროულად მიეტანათ ოდერზე საჭირო რაოდენობის საბრძოლო მასალა, საწვავი და სურსათი, ავიაციას რომ მოესწრო ოდერისპირა აეროდრომების ბაზებზე გადანაცვლება, ბოლო პონტონის ხიდების მშენებელ ნაწილებს უზრუნველეყოთ ოდერზე ჯარების გადაყვანა, მაშინ ჩვენი ოთხი არმია — მე-5 დამკვრელი, მე-8 გვარდიული, 1-ლი და მე-2 სატანკო არმია — გააძლიერებდნენ შემდგომ შეტევას ბერლინზე, გაიელიდნენ კიდევ ოთხმოც-ას კილომეტრს და ამ გიგანტურ ოპერაციას გერმანიის დედაქალაქის პირდაპირი აღებით დაამთავრებდნენ“ [1].

იმსჯელო ესოდენ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე და მოიშველიო ამდენი „რომ“, მემუარისტსაც კი არ ეპატიება. მაგრამ თვით ვ. ი. ჩუიკოვის მიერ იმის აღიარება, რომ მომარაგება შეფერხდა, ავიაცია და პონტონის ხიდების მშენებელი ნაწილები ჩამორჩნენ, მეტყველებს იმაზე, რომ ასეთ პირობებში ბერლინზე გადამწყვეტი იერიშის წამოწყება აშკარა ავანტიურა იქნებოდა.

ამრიგად, 1945 წლის თებერვალში არც უკრაინის 1-ლ ფრონტს და არც ბელორუსიის 1-ლ ფრონტს არ შეეძლოთ ჩაეტარებინათ ბერლინის ოპერაცია.

ვ. ი. ჩუიკოვი წერს: „4 თებერვალს ბელორუსიის 1-ლი ფრონტის სარდალმა 69-ე არმიის შტაბში, სადაც თვითონ ჩავიდა, თათბირზე შეკრიბა არმიათა სარდლები: ბერზარინი, კოლპაჩკი, კატუკოვი, ბოგდანოვი და მე. ჩვენ უკვე მაგიდებთან ვისხედით და განვიხილავდით ბერლინზე შეტევის გეგმას, რომ მაღალი სიხშირის ტელეფონის აპარატში ზარმა დარეკა. მე ვიჯექი თითქმის გვერდით და ტელეფონით ლაპარაკი კარგად მესმოდა. რეკავდა სტალინი. მან ჰკითხა ჟუკოვს, სად იმყოფებით და რას აკეთებთო. მარშალმა უპასუხა, რომ კოლპა-

[1] «Октябрь», 1964, № 4, стр. 128—129.

ჩკის შტაბში არმიების სარდლები შეკრიბე და მათთან ერთად ბერლინზე შეტევას ვგეგმავთო.

მოისმინა, რა მოხსენება, სტალინმა უცბად, როგორც მე გავიგე, ფრონტის სარდლისათვის სრულიად მოულოდნელად მოითხოვა შეგვეწყვიტა ეს დაგეგმვა და შეგვემუშავებინა „ვისლის" არმიების ჯგუფის ჰიტლერელთა ჯარების განადგურების გეგმა, რომლებიც პომერანიაში იმყოფებოდნენ" [1].

ასეთი თათბირი 4 თებერვალს 69-ე არმიის შტაბში არ ყოფილა! ამიტომ ი. ბ. სტალინთან ტელეფონით ასეთი საუბარი, რაზედაც ვ. ი. ჩუიკოვი წერს, არ შემდგარა.

4-5 თებერვალს მე 61-ე არმიის შტაბში ვიმყოფებოდი. ეს არმია ფრონტის მარჯვენა ფრთაზე იწყებდა გაშლას პომერანიაში, რათა მოესპო იქ არსებული მოწინააღმდეგის დაჯგუფება. ამ მითიურ თათბირზე არ შეიძლებოდა ყოფილიყო 1-ლი სატანკო არმიის სარდალი მ. ე. კატუკოვი, რადგან თანახმად ფრონტის 1945 წლის 3 თებერვლის № 00244 დირექტივისა იგი 2 თებერვალს დილიდან აწარმოებდა არმიათა ჯარების გადაჯგუფებას ოდერიდან ფრიდბერგი — ბერლინხენი — ბანდსბერგის რაიონში[2].

მე-2 სატანკო არმიის სარდალიც ასევე არ შეიძლებოდა ყოფილიყო თათბირზე ავადმყოფობის გამო (ამ დროს არმიის სარდლის მოვალეობას ა. ი. რაძიეესკი ასრულებდა). თვითონ ვ. ი. ჩუიკოვიც ხომ 3 თებერვალს პოზნანში იმყოფებოდა, საიდანაც მაცნობა თუ როგორ მიდიოდა ბრძოლა სიმაგრისა და ქალაქისათვის[3].

როგორც ჩანს, ვ. ი. ჩუიკოვს მეხსიერებამ უღალატა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ოდერზე ვ. ი. ჩუიკოვის მე-8 გვარდიული არმია თავის შენაერთთა მხოლოდ 50%-ის შემადგენლობით გავიდა. დანარჩენი ძალები 23 თებერვლამდე პოზნანისათვის იბრძოდნენ.

პომერანიაში ფრონტის ჯარების ოდერზე გადაჯგუფების შემდეგ სამნახევარი არმია რჩებოდა, ბერლინის მიმართულებით კი თებერვლის პირველი რიცხვებიდან ვითარება სულ უფრო რთულდებოდა. 2 და 3 თებერვალს გერმანელთა ავიაცია ფლინარე ოდერთან დაკავებულ პლაცდარმზე განუწყვეტლივ ბომბავდა ნ. ე. ბერზარინის მე-5 დამკვრელი არმიის საბრძოლო რიგებს. ამ დღეებში მოწინააღმდეგის ავიაციამ 5 008 თვითმფრინავ-გაფრენა მოახდინა და სერიოზული ზარალი მიაყენა მე-5 არმიას.

მოწინააღმდეგე ცდილობდა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, მოეს-

---

[1] «Новая и новейшая история», 1965, № 2, стр. 6—7.
[2] Архив МО, ф. 233, оп. 2307, д. 194, л. 92.
[3] Там же, лл. 95—96.

პო პლაცდარმი კიუსტრინის რაიონში. აქ პლაცდარმის წინააღმდეგ თანდათან გამოჩნდნენ სხვა ფრონტებიდან გადმოყვანილი მისი ახალი ძალები. მე-5 არმიის სარდალმა ნ. ე. ბერზარინმა მოითხოვა, ჩვენს ავიაციას გაეძლიერებინა მოქმედება. მაგრამ უამინდობის გამო ვერ შესძლო აქტიური დარტყმა მიეყენებინა მტრისათვის.

აი მე-5 არმიის სამხედრო საბჭოსადმი გაგზავნილი ერთი იმ მრავალთაგანი დეპეშა, საიდანაც ადვილად შეიძლება წარმოიდგინოთ შექმნილი ვითარება.

„მე-5 დამკვრელი არმიის სამხედრო საბჭოს, მე-5 დამკვრელი არმიის კორპუსების მეთაურებსა და დივიზიების მეთაურებს.

მე-5 დამკვრელ არმიას აკისრია განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ამოცანა — შეინარჩუნოს დაკავებული პლაცდარმი მდინარე ოდერის დასავლეთ ნაპირზე და გააფართოვოს იგი 20 კილომეტრამდე ფრონტით და 10-12 კილომეტრით სიღრმეში.

გთხოვთ ყველას, შეიგნოთ, თუ ისტორიულად რაოდენ საპასუხისმგებლოა იმ ამოცანის შესრულება, რომელიც თქვენ გაკისრიათ და, უამბობთ რა ამის შესახებ თქვენს მებრძოლებს, მოსთხოვეთ მათ — გამოიჩინონ განსაკუთრებული შეუპოვრობა და მამაცობა.

სამწუხაროდ, ჩვენ ჯერჯერობით არ შეგვიძლია დაგეხმაროთ ავიაციით, რადგან ყველა აეროდრომი ატალახებულია და თვითმფრინავებს არ შეუძლიათ ჰაერში აფრენა. მოწინააღმდეგე ბერლინის ბეტონზოლიანი აეროდრომებიდან მოფრინავს. გირჩევთ:

1) ღრმად ჩაიმალოთ მიწაში;

2) მოაწყოთ მასირებული საზენიტო ცეცხლი;

3) გადახვიდეთ ღამით მოქმედებებზე, ყოველთვის შეუტიოთ მხოლოდ განსაზღვრული მიზნით;

4) დღისით მოიგერიოთ მტრის იერიშები.

გავა 2 — 3 დღე და მტერს ქანცი გაუწყდება.

გისურვებთ თქვენ და თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს ისტორიულად მნიშვნელოვან წარმატებას, რაც არა მარტო შეგიძლიათ, არამედ ვალდებულიც ხართ მოიპოვოთ.

გ. ჟუკოვი“ [1]

ვ. ი. ჩუიკოვი ამტკიცებს, თითქოს მას ბერლინის აღების შესაძლებლობის საკითხი პირველად ჯერ კიდევ 1945 წლის თებერვალში დაე-

---

[1] Архив МО, ф. 233, оп. 2307, лл. 100-101.

ყენებინოს სამხედრო-სამეცნიერო კონფერენციაზე ბერლინში 1945 წელს, მაგრამ მაშინ ამან ვერ ჰპოვა ფართო მხარდაჭერა[1].

ეს საკითხი, მართლაც, დაისვა კონფერენციაზე, მაგრამ არა ვ. ი. ჩუიკოვის მიერ, არამედ გენერალური შტაბის წარმომადგენლის გენერალ-ძაიორ ს. მ. ენიუკოვის მიერ. მოგონებათა ავტორს კი, როგორც მე მახსოვს და როგორც ეს ჩანს მისი გამოსვლის სტენოგრამიდან,[2] ამ საკითხზე ერთი სიტყვაც არ უთქვამს.

მაგრამ დავუბრუნდეთ 1945 წლის მარტში მიმდინარე მოვლენებს.

ბელორუსიის მე-2 და 1-ლმა ფრონტებმა დაამთავრეს აღმოსავლეთ პომერანიის ოპერაცია, რომლის მსვლელობაში მტრის დაჯგუფება იქ მთლიანად გავანადგურეთ და აღმოსავლეთ პომერანია უკლებლივ ჩვენს ხელში აღმოჩნდა. უკრაინის 1-ლმა ფრონტმა თებერვალ-მარტში ორი ოპერაცია განახორციელა სილეზიაში და მარტის ბოლოსათვის გავიდა მდინარე ნოისეზე, მდინარე ოდერზე ადრე გასული ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარების გასწვრივ.

ამრიგად, ვისლა-ოდერის ოპერაციის შედეგად გავანთავისუფლეთ პოლონეთის დიდი ნაწილი და საბრძოლო მოქმედება გადავიტანეთ გერმანიის ტერიტორიაზე. განადგურებულ იქნა გერმანელთა ჯარების თითქმის 60 დივიზია. ბერლინის მიმართულებით თავდაცვის ახალი ფრონტის შესაქმნელად გერმანელთა სარდლობა იძულებული გახდა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის სხვა უბნებიდან, დასავლეთის და იტალიის ფრონტებიდან აქ გადმოეყვანა 40-ე მეტი დივიზია.

ვისლიდან ოდერამდე საბჭოთა ჯარების შეტევა საუცხოო ნიმუშია უდიდესი სტრატეგიული შეტევითი ოპერაციისა, რომელიც საშუალოდ დღე-ღამეში ყოველგვარი შესვენების გარეშე 25 — 30 კილომეტრით ვითარდებოდა, სატანკო არმიების მიერ საშუალოდ 45 კილომეტრამდე, ცალკეულ დღე-ღამეში კი 70 კილომეტრამდე. ასეთი სწრაფი ტემპები პირველად იქნა მიღწეული დიდი სამამულო ომის მსვლელობაში.

სტრატეგიულ ოპერაციათა დიდი გაქანება, მისი სისწრაფე განაპირობა, უპირველეს ყოვლისა, ფრონტზე ვითარების გაუმჯობესებამ, საბჭოთა ჯარების მაღალმა საბრძოლო სულისკვეთებამ, ძალთა თანაფარდობის ჩვენს სასარგებლოდ შემდგომმა შეცვლამ და საბრძოლო და ოპერატიულ-სტრატეგიული ხელოვნების განუხრელმა ზრდამ.

მოწინააღმდეგის დაცვის გარღვევის შემდეგ ძირითადი როლი

---

[1] «Новая и новейшая история», 1965, № 3, стр. 7.
[2] Архив МО, оп. 11603, д. 162, лл. 73—95.

ფრონტებზე შეტევის განვითარებაში შეასრულეს სატანკო არმიებმა, ცალკეულმა სატანკო და მექანიზებულმა კორპუსებმა, რომლებიც ავიაციასთან ერთიერთმოქმედებით უდიდესი ძალის თავისებურ ტარანს წარმოადგენდნენ საერთო საჯარისო არმიებისათვის გზის გასაწმენდად.

შევიდოდნენ რა გარღვევის ადგილას, სატანკო არმიები და მექანიზებული კორპუსები შეტევას მთელი ძალების დაძაბვით ავითარებდნენ, არც დღისით და არც ღამით არ აძლევდნენ მტერს სულის მოთქმის საშუალებას. ძლიერი მეწინავე რაზმები ღრმად ურტყამდნენ მტერს და ამავე დროს არ ებმებოდნენ გაჭიანურებულ ბრძოლებში მოწინააღმდეგის ცალკეულ დაჯგუფებებთან.

სატანკო არმიები და ცალკეული სატანკო კორპუსები ავიაციასთან მჭიდრო ურთიერთმოქმედებით მძაფრი დარტყმებით ამსხვრევდნენ მტრის ფრონტს, გადიოდნენ მათი ჯარების კომუნიკაციებზე, ხელთ იგდებდნენ მდინარის მისასვლელებსა და საკვანძო გზებს, თესდნენ პანიკას და დეზორგანიზაცია შეჰქონდათ მოწინააღმდეგის ზურგში.

ჯავშანსატანკო ჯარების ღრმა შეჭრამ მოწინააღმდეგის ზურგში საშუალება არ მისცა გერმანელ ფაშისტთა ჯარებს თავდაცვისათვის გამოეყენებინათ წინასწარ მომზადებული მიჯნები. მას შემდეგ, რაც გავარღვიეთ ვისლისწინა გამაგრებული მიჯნა პოზნანის მერიდიანზე გასვლამდე, მოწინააღმდეგემ პრაქტიკულად ვერ შესძლო რომელიმე წინასწარ მომზადებულ მიჯნაზე მოეწყო მტკიცე თავდაცვა.

ვისლა-ოდერის ოპერაციაში საბჭოთა სარდლობის მიერ შემუშავებული მტრის დეზორიენტაციის გეგმა სრულიად განუპირობელი, რის შედეგად ოპერატიულ-სტრატეგიულ უეცრობას მივაღწიეთ. არსებობს მრავალი ჩვენება სამხედრო ტყვე ოფიცრებისა და ჯარისკაცებისა, რომლებიც მოწმობენ, რომ ჩვენი შეტევის წინ გერმანელთა სარდლობამ არ იცოდა, თუ ნამდვილად რის აპირებდნენ საბჭოთა ჯარები.

აი, ზოგიერთი მათგანი.

კაპიტანმა პეტცოლდმა აჩვენა:

— დარწმუნებული ვარ, რომ გერმანელთა სარდლობამ 1945 წლის 14 იანვარსაც კი არ იცოდა რუსების მთავარი დარტყმის მიმართულება. ასევე არ იყო ცნობილი, როგორი ძალებით შეუტევდნენ რუსები.

ობერ-ლეიტენანტმა ვისენგერმა აჩვენა:

— წინა წლების გამოცდილების თანახმად ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ რუსები ამ წელსაც შეტევას ზამთარში წამოიწყებდნენ. ამ აზრს გერმანელთა სარდლობაც იზიარებდა. მაგრამ რუსების შეტევამ თავიდანვე გვიჩვენა, რომ ჩვენს სარდლობას, ყოველ შემ-

თხეევაში, წარმოდგენაც კი არ ჰქონდა ამ შეტევის როგორც გაქანებაზე, ის მის ძირითად მიმართულებაზე.

ობერ-ლეიტენანტმა კოსფელდმა აჩვენა:

— გერმანელთა სარდლობა რუსების შეტევას ელოდებოდა 1944 წლის დეკემბრის ბოლოს. ამის შესახებ ოფიცრები ბევრჯერ ეუბნებოდნენ ერთმანეთს, რომ შეტევა 1945 წლის 15 იანვრამდე დაიწყებაო. მაგრამ ზუსტი ვადა მაინც ვერ გავიგეთ.

მოწინააღმდეგე, რა თქმა უნდა, ნერვიულად რეაგირებდა ყოველ ჩვენს გასროლაზე. იგი ელოდა ჩვენს დარტყმას, თუმცა წარმოდგენაც კი არ ჰქონდა იმ შეტევითს ძალაზე, რომელსაც ჩვენ ვამზადებდით, და, უდავოდ ვარაუდობდა, რომ იგი პლაცდარმებიდან დაიწყებოდა. ალბათ ძნელად მოინახებოდა იმის მოსურნე, რომ დიდი ძალებით შეეტია, გადაელახა ისეთი მძლავრი და ფართო მდინარე, როგორიც ვისლაა და ოპერაციის პირველი ეტაპი გაეხანგრძლივებინა. თუმცა, ჩვენთანაც იყო ანალოგიური წინადადებანი, რომლებიც ფრონტის ზოგიერთი ოპერატორისაგან მომდინარეობდა. მათ მიაჩნდათ, რომ პლაცდარმების წინ ღრმა ეშელონებად განლაგებულიყო თავდაცვა, ხოლო პლაცდარმებს იქით, მდინარე ვისლაზე, არსებითად იმყოფებოდნენ მხოლოდ მოწინააღმდეგის მფარავი რაზმები.

მაგრამ ასეთი ვარიანტის მიღება ნიშნავდა იმას, რომ სრულიად არახელსაყრელ პირობებში გადაგველახა კილომეტრიანი მდინარე და ამასთან არც იყო შესაძლებლობა მაშინვე ჩაგვება ბრძოლაში ტანკები, როგორც გარღვევის მეტად მნიშვნელოვანი საშუალება. მოძრავ ჯარებს და არტილერიის ძირითად ნაწილს ამ შემთხვევაში ვერ გადაიყვანდნენ სწრაფად მდინარეზე, რათა უზრუნველეყოთ შეტევის სწრაფი განვითარება.

თქმა არ უნდა, პლაცდარმებიდან შეტევა დიდ სიძნელეს წარმოადგენდა: მტერს შეეძლო თავისი არტილერიითა და ავიაციით დიდი ზარალი მოეყენებინა, მაგრამ ჩვენ წინასწარ მოვამზადეთ მძლავრი კონტრსაარტილერიო ცეცხლი და ავიაციის დარტყმები.

ვისლა-ოდერის ოპერაცია მატერიალურად კარგად იქნა მომზადებული, ფრონტისა და არმიის ზურგის ორგანიზაციებმა თავიანთ ამოცანებს ჩინებულად გაართვეს თავი.

მაგრამ, როდესაც ჩვენი ჯარები მეზერიცკის გამაგრებულ მიჯნაზე და ეგრეთ წოდებულ პომერანიის მიწაყრილზე გავიდნენ, არმიაში უკვე შეიმჩნეოდა საწვავ-საცხები და ყველაზე მნიშვნელოვანი საჭალი საბრძოლო მასალების ნაკლებობა. ეს მოხდა მთელი რიგი მიზეზების გამო და უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ჩვენ ორჯერ უფრო სწრაფად ვუტევედით, ვიდრე ეს გათვალისწინებული გვქონდა. ზურგის კომუნი-

კაციები ასობით კილომეტრზე გაიშიმა, ხოლო რკინიგზის მაგისტრალები ამ დროს ჯერ კიდევ არ მოქმედებდნენ დიდი ნგრევისა და მდინარე ვისლაზე რკინიგზის ხიდების არ არსებობის გამო.

უმაღლესი მთავარსარდლისა და გენერალური შტაბის ინფორმაციიდან მე ვიცოდი, რომ იანვრის, თებერვლისა და მარტის განმავლობაში უკრაინის მე-4 ფრონტის ჯარები კარპატებში უტევდნენ მოწინააღმდეგეს და ეხმარებოდნენ უკრაინის 1-ლ ფრონტს დასახული ამოცანების შესრულებაში.

უკრაინის მე-2 და მე-3 ფრონტების ჯარები 1945 წლის იანვრის, თებერვლისა და მარტის მანძილზე თავდაცვით ბრძოლებს აწარმოებდნენ და იგერიებდნენ გერმანელ ფაშისტთა ჯარებს, რომლებიც ისწრაფვოდნენ დუნაის იქით უკუეგდოთ ისინი, გაენთავისუფლებინათ ბუდაპეშტში ალყაშემორტყმული თავიანთი ჯგუფი და ამით გაემაგრებინათ ფრონტის უბანი უნგრეთში.

დაძაბული ბრძოლების მსვლელობაში უკრაინის მე-3 და მე-2 ფრონტების ჯარებმა სერიოზული დამარცხება აგემეს მოწინააღმდეგის დამრტყმელ დაჯგუფებას, მოიგერიეს მათი ყველა ცდა—გასულიყვნენ დუნაიზე და მარტის შუა რიცხვებში შექმნეს პირობები ვენის მიმართულებით შეტევაზე გადასასვლელად.

16 მარტიდან 15 აპრილამდე უკრაინის მე-2 და მე-3 ფრონტების ჯარებმა ჩაატარეს ვენის შეტევითი ოპერაცია, რომლის მსვლელობაში განადგურებულ იქნა „სამხრეთის“ არმიათა ჯგუფის 30-ზე მეტი დივიზია.

ჩვენმა ჯარებმა აპრილის შუა რიცხვებში უნგრეთი და ჩეხოსლოვაკიის მნიშვნელოვანი ნაწილი მთლიანად გაწმინდეს გერმანელ ფაშისტთა ჯარებისაგან, შევიდნენ ავსტრიაში, გაანთავისუფლეს ვენა და გახსნეს გზა ჩეხოსლოვაკიის ცენტრალურ რაიონებში. გერმანიამ საბოლოოდ დაკარგა უნგრეთისა და ავსტრიის ნავთობის წყაროები, იარაღისა და საბრძოლო ტექნიკის მწარმოებელი ბევრი საწარმო.

უკრაინის მე-2 და მე-3 ფრონტების ოპერაციების შედეგად 1945 წლის იანვარ-აპრილში საბჭოთა ჯარების სტრატეგიული ფრონტის მარჯვენა ფრთამ თავი მოიყარა იმ ფრონტების დონეზე, რომლებიც ბერლინის მიმართულებით მოქმედებდნენ. გავიდნენ რა ოდერისა და ნოიესეს მარჯვენა ნაპირზე ბალტიის ზღვიდან გიორლიცამდე და უბრუნველყვეს ფლანგები, საბჭოთა ჯარებმა დაიკავეს ხელსაყრელი საწყისი მიჯნები, რათა საბოლოოდ გაენადგურებინათ მოწინააღმდეგის ბერლინის დაჯგუფება და იერიში მიეტანათ ბერლინზე.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის მარცხენა ფრთაზე ჩვენმა ჯარებმა, შევიდნენ რა ვენის რაიონში და მის სამხრეთით, ხელსაყრე-

ლი პოზიციები დაიკავეს ავსტრიის სიღრმეში და გერმანიის სამხრეთ რაიონებში საიერიშოდ.

დასავლეთის ფრონტზე ჩვენი მოკავშირეების შეიარაღებულმა ძალებმა, თებერვალ-მარტში გადალახეს რა რაინი, ალყაში მოაქციეს გერმანელ ფაშისტთა ჯარების დიდი დაჯგუფება რურში. 17 აპრილს გერმანელ ფაშისტთა ჯარების ალყაშემორტყმულმა დაჯგუფებამ იარაღი დაჰყარა.

იმის შედეგად, რომ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე განადგურებულ იქნენ გერმანელთა ჯარების მთავარი ძალები, ხოლო მოკავშირეები რაინზე გავიდნენ, ფაშისტურ გერმანიის დაღუპვის გარდუვალი საფრთხე დაემუქრა. გერმანიას უკვე აღარ გააჩნდა ძალა შეიარაღებული ბრძოლის გაგრძელებისა. ომის დასასრული მოახლოვდა და მოკავშირეებთან ჩვენს ურთიერთობაში მწვავედ დადგა მთელი რიგი პოლიტიკური საკითხები. და ეს მოულოდნელი როდი იყო.

ინგლის-ამერიკის სარდლობა თუ წინათ ზოზინით მოქმედებდა, ახლა მეტისმეტად ჩქარობდა. ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობები აჩქარებდნენ საექსპედიციო ძალების სარდლობას ევროპაში, მოითხოვდნენ მისგან, სწრაფად წასულიყვნენ გერმანიის ცენტრალურ რაიონებში, რათა იქ რუსების შესვლამდე დაეკავებინათ ასინი.

1945 წლის 1-ლ აპრილს. უ. ჩერჩილი სწერდა თ. დ. რუზველტს:

„რუსების არმიები, ეჭვგარეშეა, დაიკავებენ მთელ ავსტრიას და შევლენ ვენაში. თუ ისინი დაიკავებენ ასევე ბერლინს, მაშინ ხომ არ შეექმნებათ მათ გადაჭარბებული წარმოდგენა იმაზე, თითქოს ჩვენს საერთო გამარჯვებაში მათ შეიტანეს უპირატესი წვლილი, და ხომ არ წარმოშობს ეს რუსებში ისეთ აზრთ-განწყობას, რომელიც მომავალში სერიოზულ და მეტად მნიშვნელოვან სიძნელეებს გამოიწვევს? ამიტომ მე მიმაჩნია, რომ პოლიტიკური თვალსაზრისით გერმანიაში ჩვენ უნდა წავიწიოთ რაც შეიძლება შორს აღმოსავლეთისაკენ და იმ შემთხვევაში, თუ ბერლინს მივწვდებით, ჩვენ, უეჭველია, უნდა ავიღოთ იგი“ [1].

როგორც შემდგომში შევიტყვე, ინგლისის ჯარების სარდლობა და აგრეთვე მთელი რიგი ამერიკელი გენერლებისა ყოველ ღონეს ხმარობდნენ ბერლინისა და მისი ჩრდილო და სამხრეთ ტერიტორიების დასაპყრობად.

აღმოსავლეთ პომერანიის ოპერაციის მსვლელობის დროს, მგონი, 7 თუ 8 მარტს, უმაღლესმა მთავარსარდალმა გამომიძახა და მე მთავარბანაკში სასწრაფოდ გაფრენა მომიხდა.

აეროდრომიდან პირდაპირ ი. ბ. სტალინის ავარაკისაკენ გავემართე, სადაც იგი იმყოფებოდა და ცოტა შეუძლოდაც იყო.

---

[1] W. Churchill. The World War, vol. VI, p. 407.

როცა პომერანიაში და ოდერზე მდგომარეობის შესახებ რამდენიმე შეკითხვა მომცა და ჩემი მოხსენება მოისმინა, უმაღლესმა მთავარსარდალმა მითხრა:

— წამოდით, ცოტა გავიაროთ, თორემ თავს რაღაც უხალისოდ ვგრძნობ.

მთელ მის გამომეტყველებაში, მოძრაობასა და ლაპარაკში იგრძნობოდა დიდი ფიზიკური გადაღლილობა. ომის ოთხი წლის მანძილზე ი. ბ. სტალინი შესამჩნევად გადაიღალა. იგი მთელი ომის განმავლობაში დაძაბული მუშაობდა, სისტემატურად ტეხდა ღამეებს, მტკივნეულად განიცდიდა წარუმატებლობებს, განსაკუთრებით 1941 — 1942 წლებში. ყოველივე ამას არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა მის ნერვიულ სისტემასა და ჯანმრთელობაზე.

სეირნობის დროს ი. ბ. სტალინმა მოულოდნელად გაიხსენა თავისი ბავშვობისდროინდელი ამბები.

ლაპარაკში ერთ საათამდე დრო გავიდა. შემდეგ მითხრა:

— წამოდით, ჩაი დავლიოთ, ჩვენ ზოგი რამ მოსალაპარაკებელი გვაქვს.

უკან დაბრუნებისას ვკითხე:

— ამხანაგო სტალინ, დიდი ხანია მინდოდა გამეგო თქვენი ვაჟიშვილის იაკობის ამბავი, არის თუ არა რაიმე ცნობა მის შესახებ, თუ რა ბედი ეწია მას?

ამ კითხვაზე მას უცბად არ უპასუხნია. ასიოდე ნაბიჯის გავლის შემდეგ, მან როგორღაც ყრუ ხმით თქვა:

— თავს ვერ დააღწევს იაკობი ტყვეობიდან. დახვრეტენ მტარვალები. არსებული ცნობების თანახმად, იგი სხვა სამხედრო ტყვეებისაგან იზოლირებული ჰყავთ და აგიტაციას უწევენ სამშობლოს უღალატოს.

ერთი წუთის დუმილის შემდეგ მტკიცედ დაუმატა:

— არა, იაკობი ყოველნაირ სიკვდილს არჩევს სამშობლოს ღალატს.

იგრძნობოდა, რომ იგი ღრმად განიცდიდა შვილის ბედს. მაგიდასთან მჯდომი სტალინი დიდხანს ჩუმად იყო და პირს არაფერს არ აკარებდა.

შემდეგ, თითქოს თავის ფიქრებს განაგრძობსო, მწუხარედ წარმოთქვა:

— რა მძიმე ომია. რამდენი ჩვენი ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს. ალბათ ჩვენში ცოტა ოჯახი თუ იქნება, მახლობლები რომ არ დაჰკარგვოდეთ!..

ი. ბ. სტალინმა მიამბო იალტის კონფერენციის შესახებ. მე ვიგრძენი, რომ იგი კმაყოფილი იყო მისი შედეგებით, იგი ძალზე კარგად

იხსენიებდა ფ. დ. რუზველტს. ი. ბ. სტალინმა თქვა, რომ კვლავინდებურად ცდილობდა მიეღწია იმისათვის, რათა მოკავშირეებს შეტევაზე გადაეყვანათ თავიანთი ჯარები ფაშისტური გერმანიის რაც შეიძლება სწრაფად განადგურებისათვის. ყირიმის კონფერენციის პერიოდში ჩვენი ჯარები იმყოფებოდნენ ოდერზე, დაძაბულ ბრძოლებს აწარმოებდნენ აღმოსავლეთ პრუსიაში, ბალტიისპირეთში, უნგრეთში და სხვა რაიონებში. უმაღლესი მთავარსარდალი მოითხოვდა მოკავშირეთა ჯარების შეტევაზე გადასვლას, რომლებიც ბერლინიდან 500 კილომეტრის დაშორებით იმყოფებოდნენ. შეთანხმება მიღწეულ იქნა, და ამ დროიდან მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მხარეთა მოქმედებების კოორდინაცია.

უმაღლესმა მთავარსარდალმა დაწვრილებით მიამბო მოკავშირეებთან მიღწეული შეთანხმებების შესახებ, რომლებიც შეეხებოდა გერმანიის მართვას მისი კაპიტულაციის შემდეგ, „საკონტროლო მექანიზმს გერმანიაში“, იმას, თუ რამდენ საოკუპაციო ზონებად უნდა დაყოფილიყო გერმანია, და აგრეთვე, რომელ ხაზამდე უნდა წაეწიათ წინ მოკავშირეთა და საბჭოთა ჯარებს.

„გერმანიაში საკონტროლო მექანიზმის“ ორგანიზაციისა და გერმანიაში უმაღლესი ხელისუფლების დეტალებს იგი არ შეხებია. ამის შესახებ მე შედარებით მოგვიანებით მივიღე ინსტრუქცია.

პოლონეთის მომავალი სახელმწიფო საზღვრების შესახებ დასავლეთში მიღწეულ იქნა სრული შეთანხმება — ეს საზღვრები უნდა გასულიყო ოდერზე და (დასავლეთ) ნოისეზე. მაგრამ დიდი უთანხმოებანი წარმოიშვა პოლონეთის მომავალი მთავრობის შემადგენლობის შესახებ.

— ჩერჩილს უნდა, რომ საბჭოთა კავშირს ესაზღვრებოდეს ჩვენთვის უცხო ბურჟუაზიული პოლონეთი, ჩვენ კი ამას ვერ დავუშვებთ, — თქვა ი. ბ. სტალინმა, — ჩვენ გვინდა, რომ ერთხელ და სამუდამოდ გვყავდეს მეგობარი პოლონეთი, იგივე სურს პოლონელ ხალხსაც.

ცოტა მოგვიანებით მან შენიშნა:

— ჩერჩილი ყოველნაირად უბიძგებს მიკოლაიჩიკს, რომელიც ოთხ წელზე მეტ ხანს ლონდონში იჯდა. პოლონელები არ მიიღებენ მიკოლაიჩიკს, მათ უკვე გააკეთეს თავისი არჩევანი...

შემოვიდა ა. ნ. პოსკრებიშევი და ი. ბ. სტალინს გადასცა რაღაც დოკუმენტები. უმაღლესმა მთავარსარდალმა სწრაფად გადაავლო მათ თვალი და მითხრა:

— გაემგზავრეთ გენშტაბში და ანტონოვთან ერთად ნახეთ ბერლინის ოპერაციის გაანგარიშებანი, ხვალ 13 საათზე კი აქვე შევხვდებით.

მთელი დანარჩენი დღე და ღამის საკმაო ნაწილი მე და ანტონოვი ჩემს კაბინეტში ვისხედით. მანაც ბევრი საინტერესო რამ მიამბო იალტის კონფერენციის შესახებ.

ჩვენ ერთხელ კიდევ განვიხილეთ ბერლინის სტრატეგიული ოპერაციის გეგმის ძირითადი მონახაზები და გაანგარიშებანი. ამ გეგმის განხორციელებაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ სამ ფრონტს. რამდენადაც ამის შესახებ მთავარბანაკში და გენშტაბში არაერთხელ ყოფილა ლაპარაკი, ამჟამად ხდებოდა მხოლოდ დაზუსტებანი აღმოსავლეთ პრუსიაში, დანციგის რაიონში და ბალტიისპირეთში ოპერაციის გაჭიანურებასთან დაკავშირებით.

მეორე დილით უმაღლესმა მთავარსარდალმა დაურეკა ა. ი. ანტონოვს და გადასცა, რომ მივსულიყავით არა 13, არამედ 20 საათზე.

საღამოთი ბერლინის ოპერაციის საკითხის განხილვას ესწრებოდა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის რიგი წევრებისა.

უმაღლესმა მთავარსარდალმა დაამტკიცა ყველა წინადადება და ბრძანა გაეცათ საჭირო მითითებანი ბერლინის სტრატეგიულ მიმართულებაზე გადამწყვეტი ოპერაციის ყოველმხრივი მომზადების შესახებ.

თავი მეცხრამეტე

ბერლინის ოპერაცია

როგორც ევროპაში მეორე მსოფლიო ომის დასკვნითს ოპერაციას, ბერლინის ოპერაციას განსაკუთრებული ადგილი უკავია. სწორედ ბერლინის აღებისას გადაწყდა საბოლოოდ უმნიშვნელოვანესი სამხედრო-პოლიტიკური საკითხები, რომლებზედაც ბევრად იყო დამოკიდებული გერმანიის ომისშემდგომი წყობა და მისი ადგილი ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

საბჭოთა შეიარაღებული ძალები, რომლებიც ემზადებოდნენ ფაშიზმთან უკანასკნელი ბრძოლისათვის, მკაცრად იცავდნენ მოკავშირეებთან შეთანხმებულ როგორც სამხედრო, ეკონომიურ, ასევე პოლიტიკურ სფეროში გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის პოლიტიკას. ჩვენს მთავარ მიზანს ომის ამ ეტაპზე წარმოადგენდა ფაშიზმის სრული ლიკვიდაცია გერმანიის საზოგადოებრივ და სახელმწიფო წყობაში და ყველა უმთავრეს ნაცისტ დამნაშავეთა უმკაცრეს პასუხისგებაში მიცემა მათ მიერ ჩადენილი იმ მხეცობის, მასობრივი მკვლელობების, ნგრევისა და შეურაცხყოფის გამო, რომლებიც მათ ჩაიდინეს ოკუპირებული ქვეყნების ხალხების მიმართ, განსაკუთრებით ჩვენს მრავალტანჯულ მიწა-წყალზე.

ბერლინის ოპერაციის ჩანაფიქრი მთავარბანაკში ძირითადად ჩამოყალიბდა 1944 წლის ნოემბერს. მისი დაზუსტება წარმოებდა ვისლა-ოდერის, აღმოსავლეთ პრუსიისა და პომერანიის ოპერაციების მსვლელობის პროცესში.

ბერლინის ოპერაციის გეგმის დამუშავებისას მხედველობაში იქნა მიღებული მოკავშირეთა საექსპედიციო ჯარების მოქმედებანიც, რომლებიც 1945 წლის მარტის ბოლოს და აპრილის დასაწყისში ფართო ფრონტით გავიდნენ რაინზე და დაიწყეს მისი გადალახვა იმ მიზნით, რათა საერთო შეტევა გაეშალათ გერმანიის ცენტრალურ რაიონებში.

მოკავშირეთა ჯარების უმაღლესი სარდლობა თავისი მოქმედების

უახლოეს მიზნად სთვლიდა მოწინააღმდეგის დაჯგუფების ლიკვიდაციასა და რურის სამრეწველო რაიონის ხელში ჩაგდებას. შემდეგ იგი ვარაუდობდა ამერიკელთა და ინგლისელთა ჯარების გაყვანას ელბაზე ბერლინის მიმართულებით. სწორედ ამ დროს გაიშალა ამერიკელებისა და ფრანგების ჯარების ოპერაციებიც სამხრეთის მიმართულებით შტუტგარტის და მიუნჰენის რაიონების აღებისა და ავსტრიისა და ჩეხოსლოვაკიის ცენტრალურ რაიონებში გასვლის მიზნით.

როგორც ჩვენ უკვე ვამბობდით, მიუხედავად იმისა, რომ იალტის კონფერენციის გადაწყვეტილებებით ოკუპაციის საბჭოთა ზონა განსაზღვრული იყო ბერლინის დასავლეთიდან საკმაოდ მოშორებით და საბჭოთა ჯარები უკვე ოდერზე და ნოისეზე (ბერლინიდან 60-100 კილომეტრით) იმყოფებოდნენ და მზად იყვნენ დაეწყოთ ბერლინის ოპერაცია, ინგლისელები მაინც ოცნებობდნენ ბერლინის ხელში ჩაგდებას მანამდე, ვიდრე იქ წითელი არმია შეიჭრებოდა.

თუმცა ამერიკელ და ინგლისელ პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეებს არ ჰქონდათ ერთნაირი სტრატეგიული მიზნები ომის დამამთავრებელ ეტაპზე, თვით მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობა უარს არ ამბობდა იმ აზრზე, რომ ხელსაყრელ პირობებში დაეპყრო ბერლინი.

ასე მაგალითად, 1945 წლის 7 აპრილს, როცა ინფორმაცია გაუკეთა მოკავშირეთა გაერთიანებულ შტაბს თავისი გადაწყვეტილების შესახებ დამამთავრებელ ოპერაციათა გამო, გენერალმა დუაიტ ეიზენჰაუერმა განაცხადა:

— თუ ლაიპციგის აღების შემდეგ აღმოჩნდება, რომ დიდი დანაკარგების გარეშე შეიძლება ბერლინზე წასვლა, მე ვისურვებ ამის გაკეთებას. — და შემდეგ: — მე პირველი ვეთანხმები იმას, რომ ომი სწარმოებს პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, და თუ გაერთიანებული შტაბი გადაწყვეტს, რომ მოკავშირეთა ღონისძიებანი ბერლინის დაპყრობის შესახებ გადასწონიან ამ თეატრზე წმინდა სამხედრო მოსაზრებებს, მე სიხარულით შევასწორებ ჩემს გეგმებსა და აზრებს ისე, რომ განვახორციელო ასეთი ოპერაცია[1].

მარტის ბოლო დღეებში ი. ბ. სტალინმა ამერიკული მისიის საშუალებით მიიღო ეიზენჰაუერის ინფორმაცია ბერლინის მიმართულების შეთანხმებულ ხაზზე გასვლის მისი გეგმის შესახებ. ამ ცნობიდან ჩანდა, რომ ინგლისისა და ამერიკის ჯარები ვარაუდობდნენ შემდგომი შეტევა გაეშალათ ჩრდილო-აღმოსავლეთით, რათა გასულიყვნენ ლიუბეკის რაიონში, და სამხრეთ-აღმოსავლეთით შემდეგი მიზნით — გაეტეხათ მტერი სამხრეთ გერმანიაში.

---

[1] Ф. С. Погью. Верховное командование. Воениздат, М., 1959, стр. 458.

ი. ბ. სტალინმა იცოდა, რომ ჰიტლერულმა ხელმძღვანელობამ უკანასკნელ ხანს აქტიური საქმიანობა გააჩაღა ინგლისელ და ამერიკელ სახელმწიფოებთან სეპარატიულ შეთანხმებათა მოსაძებნად. თუ მხედველობაში მივიღებდით გერმანელთა ჯარების უიმედო მდგომარეობას, მოსალოდნელი იყო, რომ ჰიტლერელები შეწყვეტდნენ წინააღმდეგობას დასავლეთში და ამერიკელთა და ინგლისელთა ჯარებს გაუხსნიდნენ გზას ბერლინისაკენ, რათა იგი წითელი არმიისათვის არ დაენებებინათ.

როგორ მიმდინარეობდა ინგლის-ამერიკელთა ჯარების შეტევა რაინის რაიონში?

ცნობილია, რომ გერმანელებს აქ საკმაოდ სუსტი საფარი ჰქონდათ. თავის დროზე, რაინს გაღმა გასვლით, გერმანელებს შეეძლოთ ბოლოწყოთ სერიოზული წინააღმდეგობა მაგრამ მათ ეს არ გაუკეთებიათ, და უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ მათ ძირითადი ძალები გადმოისროლეს აღმოსავლეთში საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ. რურის დაჯგუფებისათვის კრიტიკულ დღეებშიც კი გერმანიის უმაღლესი სარდლობა თავისი დასავლეთის დაჯგუფების ხარჯზე აძლიერებდა ფრონტს აღმოსავლეთში საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ.

ინგლის-ამერიკის კამპანიის დაწყებისათვის გერმანელებს დასავლეთში ჰყავდათ უაღრესად დასუსტებული სამოცი დივიზია, რომელთა საერთო ბრძოლისუნარიანობაც უდრიდა ოცდაექვსი საშტატო დივიზიის ბრძოლისუნარიანობას. მოკავშირეებს ჰყავდათ 80 სისხლსავსე დივიზია, მათ შორის 23 სატანკო დივიზია.

განსაკუთრებული უპირატესობა მოკავშირეებს ავიაციაში ჰქონდათ. თავიანთი საავიაციო დარტყმებით მათ პრაქტიკულად შეეძლოთ ყოველ რაიონში გაეტეხათ ყოველგვარი წინააღმდეგობა როგორც ხმელეთზე, ისე ჰაერში.

ამგვარად, რაინის გადალახვა ამერიკელთა და ინგლისელთა ჯარებისათვის წარმოებდა შედარებით მსუბუქ პირობებში, და არსებითად, რაინი მათ ხელთ იგდეს გერმანელთა წინააღმდეგობის გარეშე.

რაკი არ მოელოდა გერმანელთა ჯარების რურის დაჯგუფების ლიკვიდაციას, მოკავშირეთა ჯარების უმაღლესმა სარდლობამ საჩქაროდ გადაისროლა ძირითადი ძალები ბერლინის მიმართულებით ელბაზე გასვლის მიზნით.

ამერიკელ და ინგლისელ გენერლებთან, მათ შორის ეიზენჰაუერთან, მონტგომერისთან, დელატრ დე ტასინისთან, კლეისთან, რობერტსონთან, სმიტთან და მრავალ სხვასთან ომისშემდგომ არაერთ საუბრიდან გამოირკვა, რომ მოკავშირეთა ჯარების მიერ ბერლინის ხელში ჩაგდების საკითხი საბოლოოდ მოიხსნა მხოლოდ მაშინ, როცა ოდერზე და ნოისეზე საბჭოთა ჯარების მძლავრმა საარტილერიო, სანაღმტყორცი-

ნო და საავიაციო დარტყმამ და ტანკებისა და ქვეითის ერთსულოვანმა იერიშმა ძირფესვიანად შეარყია გერმანელთა ჯარების თავდაცვა.

როცა მთავარბანაკში მიღებულ იქნა გენერალ ეიზენჰაუერის ცნობა მისი გადაწყვეტილების შესახებ, რომ მოეხდინა ორი დარტყმა — ჩრდილო-აღმოსავლეთით და გერმანიის სამხრეთით და იმის შესახებ, რომ ამერიკელთა ჯარები შეჩერდებოდნენ შეთანხმებულ ხაზზე ბერლინის მიმართულებით, ი. ბ. სტალინმა აზრი გამოთქვა ეიზენჰაუერზე როგორც ნაკისრი ვალდებულებების ერთგულ ადამიანზე. ეს შეხედულება ნაადრევი გამოდგა.

29 მარტს, იმის გამო რომ მთავარბანაკში გამომიძახეს, კვლავ ჩავედი მოსკოვში. მე თან მქონდა ბელორუსიის ფრონტის გეგმა ბერლინის ოპერაციის ხაზით. ეს გეგმა მარტის განმავლობაში მუშავდებოდა ფრონტის შტაბისა და სარდლობის მიერ, ყველა პრინციპული საკითხი ძირითადად უთანხმდებოდა გენერალურ შტაბსა და მთავარბანაკს. ამან ჩვენ შესაძლებლობა მოგვცა უმაღლესი მთავარსარდლობისათვის განსახილველად წარგვედგინა დეტალურად დამუშავებული გეგმა.

იმავე დღის გვიან საღამოს ი. ბ. სტალინმა გამომიძახა თავისთან კრემლის კაბინეტში. იგი მარტო იყო, ის-ის იყო დამთავრდა თათბირი თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრებთან.

მან ხმაამოუღებლივ გამომიწოდა ხელი და როგორც ყოველთვის, თითქოს ეს-ეს არის შეწყვეტილ საუბარს განაგრძობსო, თქვა:

— გერმანელთა ფრონტი დასავლეთში საბოლოოდ გაცამტვერდა და, როგორც ჩანს, ჰიტლერელებს არც სურთ მიიღონ ზომები მოკავშირეთა ჯარების წინსვლის შესაკავებლად, მაშინ როცა ისინი ჩვენს წინააღმდეგ ყველა უმნიშვნელოვანეს მიმართულებაზე აძლიერებენ თავიანთ დაჯგუფებებს. აი რუკა, ნახეთ უკანასკნელი მონაცემები გერმანელთა ჯარების შესახებ.

უმაღლესმა მთავარსარდალმა ჩიბუხი მოსწია და განაგრძო:

— ვფიქრობ, რომ დიდი დაკა-დაკა იქნება...

შემდეგ მკითხა, როგორ ვაფასებ მე მოწინააღმდეგეს ბერლინის მიმართულებაზე.

მე ფრონტის საკუთარი სადაზვერვო რუკა ამოვიღე და უმაღლეს მთავარსარდალს დავუდე წინ. ი. ბ. სტალინი ყურადღებით შეუდგა ბერლინის სტრატეგიულ მიმართულებაზე გერმანელთა ჯარების მთელი ოპერატიულ-სტრატეგიული დაჯგუფების შესწავლას.

ჩვენი მონაცემებით გერმანელებს აქ ჰყავდათ ოთხი არმია, რომელთა შემადგენლობაშიც იყო არა ნაკლებ 90 დივიზიისა, მათ შორის 14 სატანკო და მოტორიზებული დივიზიისა, 37 ცალკეული პოლკისა და 98 ცალკეული ბატალიონისა.

შემდგომში დადგენილ იქნა, რომ ბერლინის მიმართულებაზე იმ-ყოფებოდა ერთ მილიონზე არანაკლები კაცი, 10 ათასი ქვეშები და ნაღმსატყორცნი, 1500 ტანკი და მოიერიშე ქვეშები, 3300 საბრძოლო თვითმფრინავი, ხოლო თვით ბერლინში ყალიბდებოდა ორასათასიანი გარნიზონი.

— როდის შესძლებენ ჩვენი ჯარები შეტევის დაწყებას? — მკითხა ი. ბ. სტალინმა.

მე მოვახსენე:

— ბელორუსიის 1-ლ ფრონტს შეტევა შეუძლია დაიწყოს არა უგვიანეს ორი კვირისა. უკრაინის 1-ლი ფრონტი, ალბათ, ასევე მზად იქნება ამ ვადისათვის. უკრაინის მე-2 ფრონტი, ყველა მონაცემების მიხედვით, დანციგისა და გდინის რაიონში მოწინააღმდეგის საბოლოო ლიკვიდაციის გამო შეფერხდება აპრილის შუა რიცხვებამდე და ბელორუსიის 1-ლი და უკრაინის 1-ლი ფრონტების ერთდროულად ვერ შესძლებს ოდერიდან შეტევის დაწყებას.

— რა ვუყოთ, — თქვა ი. ბ. სტალინმა, — ოპერაციის დაწყება როკოსოვსკის გარეშე მოგვიწევს, მან რომ რამდენიმე დღით დაიგვიანოს კიდეც — დიდი უბედურება არ იქნება.

შემდეგ იგი საწერ მაგიდასთან მივიდა, რაღაც ქაღალდები გადაფურცლა და წერილი ამოიღო.

— აი, წაიკითხეთ.

წერილი ერთ-ერთ უცხოელ კეთილმოსურნესაგან იყო. მასში ლაპარაკი იყო მოკავშირეთა ოფიციალურ წარმომადგენლებთან ჰიტლერელთა აგენტების კულისებსიქითა მოლაპარაკებათა შესახებ, საიდანაც ცხადი ხდებოდა, რომ გერმანელები მოკავშირეებს სთავაზობდნენ შეეწყვიტათ ბრძოლა მათ წინააღმდეგ, თუკი ისინი სეპარატიულ ზავზე დათანხმდებოდნენ.

ამ ცნობაში აგრეთვე ნათქვამი იყო, რომ მოკავშირეებმა თითქოსდა უარყვეს ჰიტლერელთა წინადადება. და მაინც გამორიცხული არ იყო, რომ ჰიტლერელებს მოკავშირეთა ჯარებისათვის გზები გაეხსნათ ბერლინისაკენ.

— აბა, რას იტყვით ამის შესახებ? — მკითხა ი. ბ. სტალინმა, და ისე რომ პასუხისათვის არ დაუცდია, იქვე შენიშნა: — ვფიქრობ, რუზველტი არ დაარღვევს იალტის შეთანხმებას, მაგრამ აი ჩერჩილი კი, იგი შეიძლება ყველაფერზე წავიდეს.

იგი კვლავ საწერ მაგიდასთან მივიდა, ა. ი. ანტონოვს დაურეკა და უბრძანა იმავ წამს მოსულიყო.

15 წუთის შემდეგ, ა. ი. ანტონოვი უმაღლესი მთავარსარდლის კაბინეტში იყო.

— როგორ მიდის როკოსოვსკის საქმეები?

ა. ი. ანტონოვმა მოახსენა დანციგისა და გდინის რაიონში ვითარებისა და საბრძოლო მოქმედებათა მსვლელობის შესახებ, რის შემდეგაც უმაღლესმა მთავარსარდალმა ჰკითხა, როგორ მიდიოდა ვასილევსკის საქმეები კენიგსბერგის რაიონში.

ალექსეი ინოკენტის ძემ მოახსენა ბელორუსიის მე-3 ფრონტზე არსებული ვითარება.

ი. ბ. სტალინმა ხმაამოუღებლივ მისცა მას წასაკითხად წერილი, რომელიც ის-ის იყო მე მიჩვენა.

ა. ა. ანტონოვმა თქვა:

— ეს კიდევ ერთი დადასტურებაა კულისებსიქითა იმ მაქინაციებისა, რომლებიც წარმოებს ჰიტლერელებსა და ინგლისის მმართველ წრეებს შორის.

უმაღლესმა მთავარსარდალმა ა. ი. ანტონოვს მიმართა:

— დაურეკეთ კონევს და უბრძანეთ, რომ 1 აპრილს მოვიდეს მთავარბანაკში უკრაინის პირველი ფრონტის ოპერაციის გეგმით, ხოლო ეს ორი დღე ჟუკოვთან ერთად იმუშავეთ.

მეორე დღეს ა. ი. ანტონოვმა გამაცნო ბერლინის ოპერაციის სტრატეგიული გეგმის პროექტი, რომელშიაც მთლიანად იყო შეტანილი ბელორუსიის 1-ლი ფრონტის შეტევის გეგმა. მთავარბანაკის მიერ დაპროექტებული ბერლინის ოპერაციის გეგმის ყურადღებით შესწავლის შემდეგ, იმ დასკვნამდე მივედი, რომ იგი მომზადებული იყო კარგად და მთლიანად პასუხობდა დროის იმ პერიოდში შექმნილ ოპერატიულ-სტრატეგიულ ვითარებას.

31 მარტს გენერალურ შტაბში მოვიდა უკრაინის 1-ლი ფრონტის სარდალი მარშალი ი. ს. კონევი, რომელიც მაშინვე ჩაება ბერლინის ოპერაციის საერთო გეგმის განხილვაში, ხოლო შემდეგ მოგვაახსენა უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარების შეტევის გეგმის პროექტიც.

რამდენადაც მეხსიერება არ მღალატობს, ჩვენ ყველანი ერთსულოვანი ვიყავით ყველა პრინციპულ საკითხში.

1945 წლის 1 აპრილს უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკში მოსმენილ იქნა ა. ი. ანტონოვის მოხსენება ბერლინის ოპერაციის საერთო გეგმის შესახებ, შემდეგ კი — ჩემი მოხსენება ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარების შეტევის გეგმის შესახებ და ი. ს. კონევის მოხსენება უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარების შეტევის გეგმის შესახებ.

უმაღლესი მთავარსარდალი არ დაეთანხმა მთელ გამმიჯნავ ხაზს ბელორუსიის 1-ლ და უკრაინის 1-ლ ფრონტებს შორის, რომელიც აღნიშნული იყო გენშტაბის რუკაზე. მან შტრიხით აღნიშნა საზღვარი ნოისედან პოტსდამამდე და მთლიანი ხაზი მხოლოდ ლიუბენამდე (60 კილომეტრი ბერლინის სამხრეთ-აღმოსავლეთით) გაავლო.

მან იქვე მითითება მისცა მარშალ ი. ს. კონევს:

— ბერლინის აღმოსავლეთ მისადგომებზე გერმანელთა შეუპოვარი წინააღმდეგობისა და ბელორუსიის 1-ლი ფრონტის შესაძლო შეფერხების შემთხვევაში უკრაინის 1-ლი ფრონტი მზად იყოს სამხრეთიდან დაარტყას ბერლინს სატანკო არმიებით.

არსებობს მცდარი წარმოდგენა იმის შესახებ, რომ მე-3 და მე-4 სატანკო არმიები ბერლინისათვის ბრძოლაში ჩაბმულ იქნენ თითქოსდა არა მთავარბანაკის გადაწყვეტილებით, არამედ უკრაინის 1-ლი ფრონტის სარდლის ინიციატივით. ჭეშმარიტების აღდგენის მიზნით მოვიყვან მარშალ ი. ს. კონევის სიტყვებს ამ საკითხზე, რომლებიც მან თქვა ჯარების ცენტრალური ჯგუფის უმაღლესი მთავარსარდლობის შემადგენლობის შეკრებაზე 1946 წლის 18 თებერვალს, როცა ეს ყოველივე ჯერ კიდევ ასე ცოცხალი იყო მეხსიერებაში.

„როცა 16 აპრილს დაახლოებით 24 საათზე მე მოვახსენე, რომ შტეევის საქმე წარმატებით მიდიოდა, ამხანაგმა სტალინმა მომცა შემდეგი მითითება: „ამხანაგი ჟუკოვის საქმე ცუდათაა, შეაბრუნეთ რიბალკო და ლელიუშენკო ცელენდორფისაკენ, გახსოვდეთ, რაზე შევთანხმდით მთავარბანაკში"[1].

ბერლინზე შტეევა გადაწყდა დაწყებულიყო 16 აპრილს, ისე რომ არ მოგვეცადა ბელორუსიის მე-2 ფრონტის მოქმედებებისათვის, როშელსაც ყველა დაზუსტებულ გაანგარიშებათა მიხედვით, ოდერიდან შტეევის დაწყება 20 აპრილზე ადრე არ შეეძლო.

1 აპრილს საღამოთი მთავარბანაკში ჩემი თანდასწრებით უმაღლესმა მთავარსარდალმა ხელი მოაწერა დირექტივას ბელორუსიის 1-ლი ფრონტისადმი, რომ მოემზადებინა და ჩაეტარებინა ოპერაცია ბერლინის აღების მიზნით, და მითითებას, რომ 12-15 დღის განმავლობაში გასულიყო ელბაზე.

გადაწყდა მთავარი დარტყმა დაწყებულიყო კიუსტრინის პლაცდარმიდან ოთხი საერთო საჯარისო და ორი სატანკო არმიის ძალებით. უკანასკნელთა ბრძოლაში ჩაბმა ნავარაუდევი იყო მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევის შემდეგ ბერლინის შემოვლით ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. ფრონტის მე-2 ეშელონის (გენერალ-პოლკოვნიკ ა. ვ. გორბატოვის მე-3 არმიის) ბრძოლაში ჩაბმაც ნავარაუდევი იყო აგრეთვე მთავარი მიმართულებით.

უკრაინის 1-ლი ფრონტისადმი დირექტივის პროექტს გამმიჯნავი ხაზის შეცვლასთან დაკავშირებით და იმ მითითების გამო, რომ ფრონტი მზად ყოფილიყო სამხრეთიდან ბერლინისაკენ შეებრუნებინა სატანკო არმიები, უმაღლესმა მთავარსარდალმა ხელი მოაწერა დღისით მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც მასში საჭირო შესწორებები შეიტანა.

---

[1] Архив МО. ф. ЦГВ. оп. 70500. д. 2. лл. 145—149.

ამ დირექტივით უკრაინის 1-ლ ფრონტს ბრძანება ეძლეოდა:

— გაენადგურებინა ძოწინააღმდეგე კოტბუსის რაიონში და ბერლინის სამხრეთით;

— ბერლინის დაჯგუფებისაგან განეცალკევებინა არმია „ცენტრის" ჯგუფის მთავარი ძალები და ამით უზრუნველეყო სამხრეთიდან ბელორუსიის 1-ლი ფრონტის დარტყმა;

— არა უგვიანეს 10-12 დღისა გასულიყო ბელიტც — ვიტენბერგის ზღუდეზე და შემდგომ მდინარე ელბაზე დრეზდენამდე;

— ფრონტის მთავარი დარტყმა ეწარმოებინა შპრემბერგის მიმართულებით;

— მე-3 და მე-4 სატანკო არმიები ბრძოლაში ჩაება გარღვევის შემდეგ მთავარი დარტყმის მიმართულებით.

იმასთან დაკავშირებით, რომ ბელორუსიის მე-2 ფრონტი ჯერ კიდევ დაძაბულ საომარ მოქმედებებს აწარმოებდა გერმანელთა ჯარების წინააღმდეგ დანციგის სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებში და გდინის ჩრდილოეთით, უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკმა გადაწყვეტილება მიიღო დაეწყო ამ ფრონტის ძირითადი ძალების გადაჯგუფება ოდერზე, და არა უგვიანეს 15 აპრილისა კოლბერგ — შვედტის უბანზე შეეცვალა ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარები. დანციგისა და გდინის რაიონებში მტრის დაჯგუფების საბოლოო ლიკვიდაციისათვის ნაბრძანები იყო დატოვებული ყოფილიყო კ. კ. როკოსოვსკის ფრონტის ძალების ნაწილი.

მთავარბანაკში ბერლინის მიმართულებით მოსალოდნელი მოქმედებების საერთო გეგმის განხილვისას ძირითადში გაირკვა ბელორუსიის მე-2 ფრონტის მიზნები და ამოცანები.

რადგან ბელორუსიის მე-2 ფრონტი ოპერაციას იწყებდა 6 საათის მოგვიანებით, მარშალი კ. კ. როკოსოვსკი არ გამოუძახებიათ მთავარბანაკში ბერლინის ოპერაციის განსახილველად.

გამოდიოდა, რომ ბელორუსიის 1-ლ ფრონტს პირველ, ყველაზე დაძაბულ დღეებში შეტევა უნდა ეწარმოებინა ღია მარჯვენა ფლანგით, ბელორუსიის მე-2 ფრონტის ჯარებთან ოპერატიულ-ტაქტიკურ ურთიერთმოქმედებათა გარეშე.

ჩვენ სერიოზულად ვითვალისწინებდით არა მარტო იმას, რომ ბელორუსიის მე-2 ფრონტი იძულებული იყო დაეგვიანებინა შეტევის დაწყება, არამედ იმ სიძნელეებსაც, რომლებსაც ისინი აუცილებლად შეხვდებოდნენ ოდერის გადალახვის პროცესში მის ქვედა დინებაზე. იქ მდინარეს აქვს ორი მნიშვნელოვანი კალაპოტი — ოსტ და ვესტ-ოდერი სიგანით 150-250 მეტრი და სიღრმით 10 მეტრი. ჩვენი გაანგარიშებით ბელორუსიის მე-2 ფრონტი შეძლებდა საკმაოდ სწრაფად გადაელახა მდინარის ორივე კალაპოტი და შეექმნა საჭირო პლაცდარ-

მი. მაგრამ ორ-სამ დღეზე ადრე ეს ვერ მოხერხდებოდა. მაშასადამე, მისი რეალური ზემოქმედება მოწინააღმდეგეზე ბერლინის ჩრდილოეთით თავს იჩენდა სადღაც 23-24 აპრილს, ესე იგი მაშინ, როცა ბელორუსიის 1-ლ ფრონტს უკვე უნდა დაეწყო ბერლინის იერიში.

რა თქმა უნდა, უკეთესი იქნებოდა ხუთი-ექვსი დღე-ღამის მოცდა და ბერლინის ოპერაციის ერთდროულად სამივე ფრონტით დაწყება, მაგრამ როგორც მე უკვე ვთქვი ზემოთ, რაკი მხედველობაში მიიღო შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ვითარება, მთავარბანაკს აღარ შეეძლო ოპერაციის გადადება უფრო მოგვიანებით.

16 აპრილამდე ჩვენ დრო ცოტაღა გვრჩებოდა, ხოლო ღონისძიებანი, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა გაგვეტარებინა, — ძალიან ბევრი იყო. საჭირო იყო მოგვეწყო ჯარების გადაჯგუფება ბელორუსიის მე-2 ფრონტით მათი შეცვლის შემდეგ, ჯარებისათვის მატერიალურ საშუალებათა უზარმაზარი მარაგის მიზიდვა, ფრონტის დიდი და ყოველმხრივი ოპერატიულ-ტაქტიკური და სპეციალური მომზადება ისეთი ყოვლად მნიშვნელოვანი და უჩვეულო ოპერაციის განხორციელებისათვის, როგორიც იყო ბერლინის აღება.

მთელი ომის განმავლობაში მე მომიხდა ვყოფილიყავი უშუალო მონაწილე მრავალი დიდი და მნიშვნელოვანი შეტევითი ოპერაციისა, მაგრამ ბერლინისათვის მომავალი ბრძოლა იყო განსაკუთრებული, ყველასაგან განსხვავებული ოპერაცია. ფრონტის ჯარებს უნდა გაერღვიათ მძლავრი თავდაცვითი ზღუდეების ერთიანი ეშელონირებული ზონა, ოდერით დაწყებული და ძლიერ გამაგრებული ბერლინით დამთავრებული. საჭირო იყო ბერლინის მისადგომებზე გერმანელ-ფაშისტთა ჯარების უმსხვილესი დაჯგუფების განადგურება და ფაშისტური გერმანიის დედაქალაქის აღება, რომლისთვისაც მტერი ალბათ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებდა.

მომავალ ოპერაციაზე ფიქრში მე არა ერთხელ დავბრუნებივარ იმ დიად ბრძოლას მოსკოვთან 1941 წლის ოქტომბერ-სექტემბერში, როცა მოსკოვის მისადგომებზე თავმოყრილი მტრის მძლავრი ურდოები ძლიერ დარტყმებს აყენებდნენ თავდაცვაზე გადასულ საბჭოთა ჯარებს. კიდევ და კიდევ მეხსიერებაში აღვიდგენდი ხოლმე ცალკეულ ეპიზოდებს, ვაანალიზებდი მებრძოლ მხარეთა შეცდომებს, მინდოდა დეტალურად გამეთვალისწინებინა ამ რთული ბრძოლის გამოცდილება, რათა იგი უფრო უკეთესად გამომეყენებინა მომავალი ოპერაციისათვის და ვცდილიყავი არ დამეშვა შეცდომები.

ბერლინის ოპერაციით ამთავრებდნენ თავისი გამარჯვებების დიდებით მოსილ გზას გმირი საბჭოთა ჯარები. რომელთაც ბრძოლებით განვლეს ათასობით კილომეტრი მანძილი. შეიძინეს უდიდესი საბრძოლო გამოცდილება და გამოიბრძმედნენ გააფთრებულ ბრძოლებში.

ისინი პირდაპირ იწეოდნენ სურვილით, რაც შეიძლება სწრაფად გაენადგურებინათ მტერი და დაემთავრებინათ ომი.

1 აპრილს საღამოთი მოსკოვიდან ფრონტის შტაბის უფროსს გენერალ-პოლკოვნიკ მ. ს. მალინინს დავურეკე და ვუთხარი:

— ყველაფერი დამტკიცებულია განსაკუთრებულ ცვლილებათა გარეშე. დრო ჩვენ ძალიან ცოტა გვაქვს. ხვალ მოვფრინავ.

მიხეილ სერგის ძისათვის ეს ლაკონური მითითებებიც საკმარისი იყო, რომ დაუყოვნებლივ შესდგომოდა ოპერაციის მომზადებისათვის დაგეგმილ ღონისძიებათა გატარებას.

ომის მანძილზე ჩვენ საერთოდ არ აგვიღია ისეთი დიდი, ძლიერ გამაგრებული ქალაქები, როგორიც იყო ბერლინი. მისი საერთო ფართობი თითქმის 900 კვადრატულ კილომეტრს უდრიდა. განვითარებული მიწისქვეშა ნაგებობანი მტრის ჯარებს შესაძლებლობას აძლევდა განეხორციელებინათ ფართო მანევრი.

ჩვენმა მზვერავმა ავიაციამ ექვსჯერ აწარმოვა ბერლინის, ყველა მისი მისადგომებისა და თავდაცვითი ზოლების გადაღება. გადაღებათა, ნადავლი დოკუმენტებისა და ტყვეთა დაკითხვის შედეგად დგებოდა დაწვრილებითი სქემები, გეგმები, რუკები, რომლებითაც მარაგდებოდა ყველა ჯარი და სამეთაურო-საშტაბო ინსტანციები ასეულების ჩათვლით.

საინჟინრო ნაწილებმა დაამზადეს ქალაქისა და მისი გარეუბნების ზუსტი მაკეტი, რომელიც გამოყენებულ იქნა ისეთი საკითხების შესწავლისას, რომლებიც დაკავშირებული იყო შეტევის ორგანიზაციასთან, ბერლინის საერთო იერიშთან და ქალაქის ცენტრში ბრძოლებთან.

5-დან 7 აპრილამდე მეტად აქტიურად, შემოქმედებითად ჩაიარა თათბირმა და ბერლინის რუკებსა და მაკეტზე საკომანდო თამაშმა. ამ თამაშის მონაწილენი იყვნენ არმიის მეთაურები, არმიათა შტაბების უფროსები, არმიათა სამხედრო საბჭოების წევრები, ფრონტის პოლიტგანყოფილების უფროსი, არმიისა და ფრონტის არტილერიის მეთაურები, ყველა ცალკეულ კორპუსთა მეთაურები და ფრონტის ჯარების გვარეობათა უფროსები. აქვე ესწრებოდა ფრონტის ზურგის უფროსიც, რომელიც გულდასმით სწავლობდა ოპერაციის მატერიალური უზრუნველყოფის საკითხებს. 8-დან 14 აპრილამდე არმიებში, კორპუსებში, დივიზიებსა და ჯარების ყველა გვარეობის ნაწილებში გაცილებით უფრო დეტალური მეცადინეობები და თამაშობანი ტარდებოდა.

ფრონტის ზურგში განლაგებული კომუნიკაციების უაღრესად დიდი სიგრძისა და აგრეთვე აღმოსავლეთ პომერანიის ოპერაციაზე მნიშვნელოვანი მატერიალური მარაგის დახარჯვის გამო ბერლინის ოპერაციის დაწყებისათვის ჯერ არ იყო შექმნილი საკმარო მარაგი. უნ-

და გატარებულიყო ზურგის, ფრონტისა და არმიის მუშაკთა ნამდვილად გმირული ღონისძიებანი. და ისინი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ.

ოპერაციის მომზადებისას ჩვენ ყველანი ვფიქრობდით იმაზე, კიდევ რა გვეღონა, რომ უფრო მეტად დაგვეცა თავზარი მტრისთვის და დაგვეჯაბნა იგი. ასე დაიბადა პროექტორების გამოყენებით ღამით შეტევის იდეა.

გადაწყდა, მტრისათვის ეათენებამდე ორი საათით ადრე დაგვერტყა. ასორმოც საზენიტო პროჟექტორს უეცრად უნდა გაენათებინა მოწინააღმდეგის პოზიციები და მეტევის ობიექტები.

ოპერაციის მომზადების დროს მის მონაწილეებს ეუჩვენეთ პროჟექტორების მოქმედების ეფექტურობა. ყველამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი მათს გამოყენებას.

თამაშის დროს, ოდერზე მოწინააღმდეგის ტაქტიკური თავდაცვის გარღვევის წაგების პროცესში სერიოზული განხილვის საგანი გახდა სატანკო არმიების გამოყენების საკითხი. მხედველობაში იქნა რა მიღებული ძლიერი ტაქტიკური თავდაცვის არსებობა ზეელეს მაღლობებზე, გადაწყდა სატანკო არმიები ბრძოლაში ჩაბმულიყვნენ მხოლოდ ამ მაღლობების აღების შემდეგ.

ჩვენ, ბუნებრივია, არ ვაგებდით ჩვენს ვარაუდებს იმაზე, რომ ტაქტიკური თავდაცვის გარღვევით ჩვენი სატანკო არმიები გავიდოდნენ ოპერატიულ სივრცეზე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა, მაგალითად, ვისლა-ოდერის, აღმოსავლეთ პომერანიის და სხვა წინა ოპერაციებში. ამ ოპერაციებში სატანკო არმიები საკმაო მანძილით წინ მიდიოდნენ და თავისი მოქმედებებით ყველა პირობას უქმნიდნენ საერთო საჯარისო არმიებს სწრაფი წინსვლისათვის.

ვისლა-ოდერის ოპერაციის მსვლელობის დროს, მაგალითად, იყო მომენტები, როცა მე-2 სატანკო არმია საერთო საჯარისო არმიებს სწყდებოდა 70 კილომეტრამდე მანძილით. აქ კი ასეთი რამ მოსალოდნელი არ იყო, რადგან ბერლინამდე პირდაპირი მანძილი საერთოდ არ აღემატებოდა 60-80 კილომეტრს.

ამიტომ მხედველობაში გვქონდა შემდეგი. თუ ფრონტის 1-ლი ეშელონის დარტყმის ძალა არასაკმარისი აღმოჩნდებოდა მოწინააღმდეგის ტაქტიკური თავდაცვის სწრაფად დაძლევისათვის და წარმოიქმნებოდა საშიშროება, რომ შეტევა შეფერხდებოდა, მაშინ ორივე სატანკო არმია უნდა ჩაგვება ბრძოლაში თავდაცვის გასატეხად. ეს გააძლიერებდა საერთო საჯარისო არმიების დარტყმას და ხელს შეუწყობდა მოწინააღმდეგის ტაქტიკური თავდაცვის გარღვევის დამთავრებას მდინარე ოდერისა და ზეელეს მაღლობების რაიონში.

მთავარბანაკის დირექტივა ითვალისწინებდა როგორც 1-ლი, ისე მე-2 სატანკო არმიების ბრძოლაში ჩაბმას ბერლინზე ჩრდილო-აღმო-

საველეთიდან დარტყმისა და ჩრდილოეთიდან მისი შემოვლის მიზნით, მაგრამ ოპერაციის წაგებისას მე და ფრონტის შტაბის ხელმძღვანელ შემადგენლობას დაგვებადა სერიოზული შიში ფრონტის მთავარ მიმართულებაზე მოწინააღმდეგის მიერ თავდაცვის წარმატებით გარღვევის გამო, განსაკუთრებით ძლიერ გამაგრებულ ზეელეს მაღლობების რაიონში, რომელიც იმყოფებოდა 12 კილომეტრის დაშორებით გერმანელთა თავდაცვის წინა ხაზიდან.

ხოლო რადგანაც მარჯვენა მეზობელი, ბელორუსიის მე-2 ფრონტი, შეტევას იწყებდა ჩვენზე მოგვიანებით, მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევის ყოველგვარ შეფერხებას ფრონტისათვის შეეძლო შეექმნა მეტად არახელსაყრელი ოპერატიული ვითარება. რათა უზრუნველგვეყო ფრონტი ყოველგვარი შემთხვევითობისაგან, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება მ. ე. კატუკოვის 1-ლი სატანკო არმია დაგვეყენებინა საწყის მდგომარეობაში ვ. ი. ჩუიკოვის მე-8 გვარდიული არმიის უკან იმ მიზნით, რათა საჭიროების შემთხვევაში დაუყოვნებლივ ჩაგვება იგი ბრძოლაში მე-8 გვარდიულ არმიასთან ერთად.

რაკი ჩემს თავზე აეიღე მთავარბანაკის დირექტივაში გადმოცემული ამოცანის შეცვლა, მე მაინც ჩემს მოვალეობად ჩავთვალე ამის შესახებ მომეხსენებინა უმაღლესი მთავარსარდლობისათვის.

როცა ჩემი მოსაზრებანი მოისმინა, ი. ბ. სტალინმა თქვა:

— იმოქმედეთ, როგორც საჭიროდ მიგაჩნიათ, თქვენთვის ადგილზე ეს უფრო ნათელი უნდა იყოს.

რა ხდებოდა ამ დროს მოწინააღმდეგის ბანაკში?

ბერლინისათვის ბრძოლას გერმანიის უმაღლესი მთავარსარდლობა ეგეგმავდა როგორც გადამწყვეტ ბრძოლას აღმოსავლეთის ფრონტზე. შეეცადა რა გაემხნევებინა თავისი ჯარები, ჰიტლერი 14 აპრილის მოწოდებაში წერდა:

„ჩვენ ვითვალისწინებდით ამ დარტყმას და ამიტომ დავუპირისპირეთ მას ძლიერი ფრონტი. მოწინააღმდეგეს წინ ეღობება არტილერიის კოლოსალური ძალა. ქვეით ჯარში ჩვენი დანაკარგები ივსება ახალი შენაერთების, ახლადშედგენილი ნაკრები ნაწილებისა და ფოლკსშტურმის ნაწილების ურიცხვი რაოდენობით, რომლებიც ამაგრებენ ფრონტს. ბერლინი გერმანელ ქალაქად დარჩება“.

ძირითად სტრატეგიულ მიმართულებათა თავდაცვა აღმოსავლეთის ფრონტზე ხორციელდებოდა ჰიტლერელთა არმიის სამი ჯგუფის მიერ. არმია „ვისლის“ ჯგუფი, რომელიც თავდაცვაში იყო ოდერის გასწვრივ, ბერლინის მისადგომებს იფარავდა ჩრდილო-აღმოსავლეთიდან და აღმოსავლეთიდან. უფრო სამხრეთით მოქმედებდა არმიის ცენტრალური ჯგუფი, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთიდან იცავდა საქსონიას და ჩეხოსლოვაკიის სამრეწველო რაიონების მისადგომებს.

არმიის სამხრეთის ჯგუფი უზრუნველყოფდა ავსტრიისა და ჩეხოსლოვაკიის სამხრეთ-აღმოსავლეთ მისადგომების დაცვას.

არმია „ვისლის“ ჯგუფი თავდაპირველად თვითონვე ემზადებოდა ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარებზე კონტრდარტყმისათვის. მაგრამ მისი განადგურებისა და პომერანიის პლაცდარმის დაკარგვის შემდეგ დარჩენილი ჯარები ოდერს იქით გაიდნენ და შეუდგნენ ბერლინის მიმართულების თავდაცვის გაძლიერებულ მზადებას. არმია „ვისლის“ ჯგუფის გასაძლიერებლად გერმანელების სარდლობა განაგრძობდა ახალი ნაწილებისა და შენაერთების, უპირატესად ესესელთა, საჩქაროდ ჩამოყალიბებას. ასე მაგალითად, მარტო ერთ სასწავლო ბანაკში დებერიცის რაიონში არმიის ამ ჯგუფისათვის მოკლე ხანში ჩამოყალიბდა სამი დივიზია.

ბერლინის უშუალო მისადგომების თავდაცვას პირველხანად მეთაურობდა ჰიმლერი, და ყველა სახელმძღვანელო პოსტები აქ გადაეცათ ესესელ გენერლებს. ამით ჰიტლერული სარდლობა ხაზს უსვამდა იმას, რომ მომენტი განსაკუთრებით საპასუხისმგებლო იყო. 1945 წლის მარტისა და აპრილის განმავლობაში ბერლინის მიმართულებაზე სხვადასხვა მიმართულებებიდან გადმოსროლილ იქნა ცხრა დივიზია.

— იმისათვის, რომ უზრუნველგვეყო აღმოსავლეთის ფრონტის ნაწილების საჭირო შევსება რუსეთის მოსალოდნელი გადამწყვეტი შეტევის დაწყების წინ, — უჩვენა დაკითხვაზე გერმანიის უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის ოპერატიული შტაბის ყოფილმა უფროსმა გენერალ-პოლკოვნიკმა იოდლმა, — ჩვენ მოგვიხდა მთელი სარეზერვო არმიის, ესე იგი, ყველა ქვეითი, სატანკო, საartილერიო და სპეციალური სათადარიგო ნაწილის, სამხედრო სასწავლებლებისა და სამხედროსასწავლო დაწესებულებების დაშლა და მათი პირადი შემადგენლობის გადასროლა ჯარების შესავსებად[1].

გერმანელთა სარდლობამ შეიმუშავა ბერლინის მიმართულების თავდაცვის დეტალური გეგმა. მას ჰქონდა თავდაცვითი ბრძოლის წარმატების იმედი მდინარე ოდერზე, რომელიც თავის მხრივ ბერლინის სტრატეგიულ მისადგომს წარმოადგენდა. ამ მიზნით განხორციელებულ იქნა შემდეგი.

გენერალ ბუსეს მე-9 არმია, რომელიც იფარავდა ქალაქს, ძლიერდებოდა ადამიანთა შემადგენლობითა და ტექნიკით. მის ზურგში ყალიბდებოდა ახალი დივიზიები და ბრიგადები. პირველი ხაზის შენაერთები დაკომპლექტებული იყო თითქმის საშტატო როდენობით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა თავდაცვაში ტანკებისა და მოიერიშე არტილერიის თავმოყრასა და გამოყენებას.

---

[1] ნიურნბერგის პროცესის მასალები.

ოდერიდან ბერლინამდე იქმნებოდა თავდაცვითი ნაგებობების ერთიანი სისტემა, რომელიც შედგებოდა რამდენიმე რიგი უწყვეტი ზღუდეებისაგან და რამდენიმე წყება სანგრებისაგან. მთავარ თავდაცვითს ზოლს ჰქონდა ხუთამდე ერთიანი ტრანშეა. მოწინააღმდეგემ გამოიყენა რიგი ბუნებრივი ზღუდეებისა: ტბები, მდინარეები, არხები, ხევები. ყველა დასახლებული პუნქტი გამოყენებული იყო წრიული თავდაცვისათვის.

ბერლინის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონში ყალიბდებოდა საარმიო ჯგუფი „შტაინერი", რომელსაც უნდა დაერტყა ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარების ფლანგისათვის. აქვე გადმოჰყავდათ საზღვაო ქვეითის რჩეული ნაწილები.

ამას გარდა, ტარდებოდა ბერლინის თავდაცვის „სპეციალური ღონისძიებანი". ბერლინის მიდამო დაპყვეს თავდაცვის რვა სექტორად. მათ გარდა, არსებობდა კიდევ განსაკუთრებული, მეცხრე სექტორი, რომელიც მოიცავდა ბერლინის ცენტრს, სადაც განლაგებული იყო მთავრობის შენობები, საიმპერიო კანცელარია, გესტაპო და რაიხსტაგი.

ქალაქის უშუალო მისადგომებზე იქმნებოდა თავდაცვის სამი ზღუდე: გარეთა გადამღობი ზონა, გარეთა თავდაცვითი რკალი და შიდა თავდაცვითი რკალი. თავად ქალაქის ქუჩებში შენდებოდა მძიმე ბარიკადები, ტანკსაწინააღმდეგო ღობეები, ხერგები, დაბეტონებული ნაგებობანი. სახლების ფანჯრებს ამაგრებდნენ და სათოფურებად აქცევდნენ მათ.

შეიქმნა ბერლინის თავდაცვის შტაბი, რომელმაც წინადადება მისცა მოსახლეობას, რომ საჭირო იყო მზადება გააფთრებული ქუჩის ბრძოლებისათვის, სახლებში ბრძოლებისათვის, რომ ბრძოლა იწარმოებდა მიწაზე და მიწისქვეშ. რეკომენდაციას იძლეოდნენ გამოეყენებინათ მეტრო, მიწისქვეშა საკანალიზაციო ქსელი, კავშირგაბმულობის საშუალებანი. თავდაცვის შტაბის სპეციალურ ბრძანებაში მითითებული იყო სიმაგრეებად გადაექციათ საცხოვრებელი კვარტალები. თითოეული ქუჩა, მოედანი, შესახვევი, სახლი, არხი, ხიდი ხდებოდა ქალაქის საერთო თავდაცვის შემადგენელი ელემენტი. ქუჩის ბრძოლების საწარმოებლად შექმნილი ფოლკსშტურმის ორასი ბატალიონი სპეციალურ სწავლებას გადიოდა.

ბერლინის მისადგომებისა და თვითონ ქალაქის საარტილერიო თავდაცვის გასაძლიერებლად ეზიდებოდნენ საზენიტო არტილერიის მთელ ძალებს. ექვსასზე მეტი მსხვილი და საშუალო კალიბრის საზენიტო ქვემეხი იქნა დადგმული ქალაქის ტანკსაწინააღმდეგო და ქვეითსაწინააღმდეგო თავდაცვისათვის. ამას გარდა, საცეცხლე წერტილად იყენებდნენ რემონტში მყოფ ტანკებსაც კი, რომელთაც წესრიგში ჰქონდათ საარტილერიო აღჭურვილობა. მათ მარხავდნენ ქუჩის

გზაჯვარედინებზე, რკინიგზის ხიდებთან. ფაშისტური ახალგაზრდობის კავშირის „ჰიტლერიუგენდის“ წევრთაგან ჩამოყალიბდა ტანკგამანადგურებელი რაზმები. მათ აიარაღებდნენ პანცერფაუსტპატრონებით.

თავდაცვის სამუშაოებში ბერლინში ჩაბმულ იქნა ოთხას ათასზე მეტი კაცი. ქალაქში თავი მოიყარეს პოლიციელთა და ესესელთა შერჩეულმა ნაწილებმა. განსაკუთრებული სექტორის თავდაცვისათვის გამოყოფილ იქნა ესესელთა მრავალი პოლკი და ცალკეული ბატალიონი, რომლებიც განლაგებულნი იყვნენ მახლობელ რაიონებში. ესესელთა ამ ჯარებს სათავეში ჩაუდგა ჰიტლერის პირადი დაცვის უფროსი მონკე.

გერმანელ-ფაშისტთა სარდლობა იმედოვნებდა, რომ იგი შესძლებდა იძულებულნი გავეხადეთ თანმიმდევრულად, ერთიმეორეზე მიყოლებით გველრღნა ზღუდეები. უკიდურესობამდე გაეშიანურებინა ბრძოლა, ქანცი გაეწყვიტა ჩვენი ჯარებისათვის და შეეჩერებინა ისინი უახლოეს მისადგომებზე. ვარაუდობდნენ ისევე მოპყრობოდნენ ჩვენს ჯარებს, როგორც საბჭოთა ჯარები მოექცნენ გერმანელთა ჯარებს მოსკოვის მისადგომებთან. მაგრამ ამ ვარაუდებს აღსრულება არ ეწერათ.

მოვლენები, რომლებიც წინ უძღოდა ბერლინის ოპერაციას, ისე ვითარდებოდა, რომ მტრისგან ჩვენი განზრახვის დამალვა ძალიან ძნელი იყო. ყველასათვის, იმისთვისაც კი, ვინც ვერ ერკვეოდა სამხედრო ხელოვნებაში, ცხადი იყო, რომ ბერლინის გასაღები იყო ოდერზე და ამ მდინარის გარღვევას დაუყოვნებლივ მოჰყვებოდა ბერლინზე უშუალო დარტყმა. გერმანელები მოელოდნენ ამას.

— გენერალური შტაბისათვის გასაგები იყო, რომ ბერლინისათვის ბრძოლა უნდა გადაწყვეტილიყო ოდერზე, — უჩვენა შემდგომში დაკითხვაზე გენერალმა იოდლმა, — ამიტომ მე-9 არმიის ჯარების ძირითადი მასა, რომელიც ბერლინს იცავდა, გაყვანილ იქნა წინა მხარეზე. გათვალისწინებული გვქონდა სახელდახელოდ ჩამოყალიბებული ნაწილებისათვის თავი მოგვეყარა ბერლინის ჩრდილოეთით, რათა შემდგომში კონტრდარტყმა მიგვეყენებინა მარშალ ჟუკოვის ჯარების ფლანგისათვის.

როცა შეტევას ვამზადებდით, ჩვენ სავსებით ვითვალისწინებდით იმას, რომ გერმანელები მოელოდნენ ბერლინზე ჩვენს დარტყმას. ამიტომ ფრონტის სარდლობამ დეტალურად გაიაზრა, როგორ მოეწყო ეს დარტყმა ისე, რომ იგი ასე თუ ისე უეცარი ყოფილიყო მოწინააღმდეგისათვის.

გადავწყვიტეთ ისეთი ძალით დავტეხოდით თავს მოწინააღმდეგის თავდაცვაში მყოფ ჯარებს, რომ ერთბაშად თავზარი დაგვეცა მათთვის და ძირფესვიანად შეგვერყია ისინი, რისთვისაც გამოგვეყენებინა უამრავი ავიაცია, ტანკები, არტილერია და მატერიალური მარაგი. მაგრამ იმისათვის, რომ მოკლე ვადაში ფარულად მოგვეყარა თავი საბრ-

ძოლო მოქმედებათა რაიონში მთელი ამ ურიცხვი ტექნიკისა და საშუალებებისათვის, — საჭირო იყო ტიტანური მუშაობა.

თითქმის მთელი პოლონეთის გავლით მოდიოდა უამრავი ეშელონი საარტილერიო, ნაღმსატყორცნი და სატანკო ნაწილებით. შესახედავად ეს სრულიადაც არ იყო სამხედრო ეშელონი, პლატფორმებზე გადაჰქონდათ ტყე და თივა... მაგრამ როგორც კი ეშელონი მივიდოდა განმტვირთავ სადგურზე, შენიღბვას ხელად აცილებდნენ, პლატფორმიდან გადმოდიოდნენ ტანკები, ქვემეხები. საწვავები და იქვე იგზავნებოდნენ საფრებში. ცარიელი ეშელონები ბრუნდებოდნენ აღმოსავლეთისაკენ, მათ ნაცვლად კი მოდიოდნენ სულ ახალი და ახალი ეშელონები სამხედრო ტექნიკით. მაშასადამე, ფრონტის შესავსებად მოვიდა დიდი რაოდენობის მძიმე ქვემეხები, ნაღმსატყორცნები და არტილერიის საწვავრები.

29 მარტს, როცა პომერანიაში უკანასკნელად გაისმა სროლის ხმა, არტილერია და ტანკები, რომლებიც უმკაცრესი შენიღბვის წესებს იცავდნენ. სამხრეთისაკენ დაიძრნენ. ოდერის მარცხენა ნაპირის გასწვრივ მდებარე ყველა ტყე და ჭალები ჯარებით იყო გავსებული. ბერლინის მიმართულებაზე თავმოყრილი იყო 22 ათასამდე სხვადასხვა კალიბრის ქვემეხი და ნაღმსატყორცნი. ყოველი ქვემეხისათვის სათითაოდ საჭირო იყო საცეცხლე პოზიციის მოწყობა გაანგარიშებისათვის, მიწურის და ჭურვებისათვის თხრილების ამოთხრა.

დღისით პლაცდარმზე ჩვეულებრივად სრული სიცარიელე იყო, ღამით კი ტევა აღარ იყო. ათასობით ადამიანი ნიჩბებით, ძალაყინებითა და წერაქვებით უხმაუროდ თხრიდა მიწას. მუშაობას ართულებდა წიაღისეული საგაზაფხულო წყლების სიახლოვე და უგზოობა. მილიონ რვაასი ათას კუბომეტრზე მეტი მიწა იქნა ამოღებული ამ ღამეებში. დილით კი ამ კოლოსალური მუშაობის კვალიც კი არსად ჩანდა. ყველაფერი ზედმიწევნით იყო შენიღბული.

უამრავ გზებზე და უგზოდაც მოდიოდნენ და მოდიოდნენ ღამით ტანკების, არტილერიითა და საბრძოლო მასალებით, საწვავით, სურსათით დატვირთული მანქანების უზარმაზარი კოლონები. ოპერაციის დაწყებისთვის საჭირო იყო მარტო 7 147 000 საარტილერიო გასროლის ერთად თავმოყრა. რათა უზრუნველგვეყო ჩვენი ჯარების შეტევითი მოქმედების წარმატება. არ შეიძლებოდა მომარაგებაში რაიმე შეფერხების დაშვება. ოპერაციის ხასიათი მოითხოვდა, რომ ჯარებს საბრძოლო მასალა შეუჩერებლივ მიეღოთ ფრონტის საწყობებიდან — შუალედურ რგოლებში: არმიებისა და დივიზიების საწყობებში შეუტანლად.

რკინიგზის ლიანდაგი გადაკეთებულ იქნა რუსულ ლიანდაგად და საბრძოლო მასალების მიწოდება თითქმის ზედ ოდერამდე ხერხდებოდა. იმისათვის რომ წარმოვიდგინოთ მთელი ამ გადაზიდვების მასშტა-

ბი, საკმარისია ითქვას, რომ ერთ მწკრივად რომ დაგვეწყო ამ ოპერაციისათვის გაგზავნილი ტვირთით სავსე მატარებლები, მათი სიგრძე 1200 კილომეტრზე მეტი იქნებოდა.

ჩვენ სრულიად დარწმუნებულნი ვიყავით იმაში, რომ ჯარები არ იგრძნობდნენ საბრძოლო მასალების, საწვავისა და სურსათის ნაკლებობას. და მართლაც, მომარაგება ისე იყო ორგანიზებული, რომ როცა ჩვენ ბერლინის იერიშს ვიწყებდით, საბრძოლო მასალა იმდენივე აღმოჩნდა, რამდენიც პლაცდარმიდან ოდერზე გასვლისას იყო. ოდერიდან ბერლინამდე შეტევის მთელი ხნის განმავლობაში მათი შევსება განუწყვეტლივ თანაზომიერად ხდებოდა.

საერთოდ ბერლინის ოპერაციის მოსამზადებლად ჩატარებული მთელი სამუშაო არნახული იყო თავისი გაქანებითა და დაძაბულობით. ფრონტის შედარებით ვიწრო უბანზე მოკლე დროის მანძილზე თავმოყრილ იქნა 68 მსროლელი დივიზია, 3155 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი და, როგორც უკვე ვთქვით, არტილერიისა და ნაღმსატყორცნის 22 ათასამდე ლულა. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით იმაში, რომ ამ საშუალებებითა და ძალებით ჩვენი ჯარები უმოკლეს ვადაში გაანადგურებდნენ მოწინააღმდეგეს.

საბრძოლო ტექნიკის, ადამიანთა და მატერიალურ საშუალებათა მთელი ეს მასა იგზავნებოდა ოდერზე. საჭირო გახდა დიდი რაოდენობის ხიდებისა და გადასასვლელების აგება, რომლებიც უზრუნველყოფდნენ არა მარტო ჯარების გადასროლას, არამედ მათს შემდგომ კვებასაც. ოდერის სიგანე ალაგ-ალაგ 380-მდე მეტრს აღწევდა. დაიწყო საგაზაფხულო ყინულთსვლა, საინჟინრო-სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობდა ფრონტის ხაზიდან უშუალო სიახლოვეს მოწინააღმდეგის არტილერიისა და ნაღმსატყორცნების სისტემატური ცეცხლისა და ავიაციის თავდასხმების ქვეშ. მაგრამ მაინც შენაერთების საწყის რაიონებში ოდერზე გასვლის დასაწყისისათვის გადებულ იქნა 23 ხიდი და 25 საბორნე გადასასვლელი. გადასასვლელების რაიონს იფარავდა საზენიტო ქვემეხების ჭრავალფენოვანი ცეცხლი და ჭრავალი ათეული გამანადგურებლების პატრულები.

თებერვლის პირველი რიცხვებიდან მოწინააღმდეგე ოდერზე სულ მუდამ აქტიურად მოქმედებდა. მარტისა და აპრილის პირველი ნახევრის განმავლობაში ერთი დღითაც არ შეწყვეტილა ჩვენი პლაცდარმების ხელში ჩაგდებისათვის დაძაბული ბრძოლა კიუსტრინის რაიონში. ბომბდამშენი ავიაციის მასირებული დარტყმების გარდა, ხიდებისა და საბორნე გადასასვლელების გასანადგურებლად მტრის ჯარები იყენებდნენ თვითმფრინავ-ჟურავებს და მცურავ ნაღმებს. მაგრამ ხიდები არსებობას განაგრძობდნენ. დანგრეულს უმალვე აღადგენდნენ. ათასობით კილომეტრი სატელეფონო ხაზი, ჩაფლული მიწაში და ლატანებზე ჩამოკიდებული, მზად იყო სამუშაოდ.

ფრონტის ჯარების მთავარი დარტყმის უბანზე გარღვევის ფრონტის ერთ კილომეტრზე არტილერიის სიმჭიდროვე შეადგენდა 76 მილიმეტრიან და მეტი კალიბრის 270-მდე ლულას.

ოპერაციის ოპერატიულ-ტაქტიკური და მატერიალური მომზადების ერთდროულად სამხედრო საბჭოები, პოლიტორგანოები და პარტიული ორგანიზაციები დიდ პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას ატარებდნენ დამამთავრებელი ბერლინის ოპერაციის მოსამზადებლად.

ამ დღეებში ჩვენ აღვნიშნავდით ვ. ი. ლენინის დაბადების 75 წლისთავს. ჯარებთან ჩატარებული მთელი აღმზრდელობითი მუშაობა გასხივოსნებული იყო რევოლუციის ბელადის სახელით. მებრძოლთა და ოფიცერთა პარტიული შეგნებულობა ომის დამთავრების ამ ისტორიულ დღეებში უაღრესად მაღალი იყო. გაიზარდა კომუნისტური პარტიის რიგებში შემსვლელთა რიცხვი. აპრილის შუა რიცხვებში მე მომიხდა მე-5 დამკვრელი არმიის 416-ე დივიზიის ერთ-ერთ პარტიულ კრებაზე დასწრება.

ყველამ, ვინც კი სიტყვა აიღო, თქვა, რომ მომავალ ოპერაციაში, განსაკუთრებით ბერლინის იერიშის დროს თითოეულმა კომუნისტმა პირადი მაგალითით უნდა გაიყოლიოს მებრძოლნი, გასაჭირში არ მიატოვოს ამხანაგი. დიდი აღფრთოვანებით გამოდიოდნენ არა მხოლოდ კომუნისტები, არამედ უპარტიო ჯარისკაცებიც. რომლებიც პარტიას ფიცს აძლევდნენ, რომ მზად იყვნენ, რაც შეიძლება მალე ბოესპოთ ფაშიზმი.

მინდა კეთილად მოვიგონო ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრი გენერალ-ლეიტენანტი კონსტანტინე თევდორეს ძე ტელეგინი, რომელიც დიდი შემოქმედებითი ენერგიით წარმართავდა ფრონტის პოლიტსამმართველოს მეშვეობით მთელ პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას ჯარებში. მან შეძლო პირადად მისულიყო მრავალ ნაწილსა და ქვეგანაყოფში და მოეწოდებინა საბრძოლო გმირობისაკენ ჩვენი სამშობლოს სასახელოდ.

ამავე დროს დიდი ახსნა-განმარტებითი მუშაობა წარმოებდა იმის შესახებ, რომ ლოიალური დამოკიდებულება გამოგვეჩინა გერმანიის მშვიდობიანი მოსახლეობისადმი, რომელიც მკაცრად იქნა მოტყუებული ჰიტლერელების მიერ და ახლა თავის ზურგზე განიცდიდა ომის მთელ სიმძიმეს. უნდა ითქვას, რომ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დროული მითითებებისა და ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობის წყალობით ჩვენ შევძელით თავიდან აგვეცდინა არასასურველი მოვლენები, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონოდა მებრძოლთა მხრიდან, რომელთა ოჯახებმაც ასეთი ვნება განიცადეს ჰიტლერთა მხეცობისა და ძალადობისაგან.

როგორც მე უკვე ვთქვი, ბერლინის დაჯგუფების განაღგურება

და ბერლინის აღება უნდა განეხორციელებინა ბელორუსიის 1-ლ ფრონტს უკრაინის 1-ლი ფრონტის ნაწილის ძალების მხარდაჭერით.

ბელორუსიის 1-ლ ფრონტსა და უკრაინის 1-ლ ფრონტს შორის გათვალისწინებული იყო მუდმივი ოპერატიულ-სტრატეგიული და ტაქტიკური ურთიერთმოქმედება, რომლის კოორდინაციასა და კორექციასაც ანდენდა მთავარბანაკი.

ასე მაგალითად, ოპერაციის მსვლელობის დროს მთავარბანაკმა დააზუსტა ბელორუსიის 1-ლი ფრონტის მარჯვენა ფრთის ჯგუფის ჯარების ურთიერთმოქმედება უკრაინის 1-ლი ფრონტის მე-4 სატანკო არმიასთან, რომელიც პოტსდამ—რატენოვ—ბრანდენბურგის რაიონიდან უნდა დაჭრულიყო იმ მიზნით, რათა ჩაეკეტა მოწინააღმდეგის ბერლინის დაჯგუფების მთელი ოპერატიული გარემოცვა.

რათა ბელორუსიის 1-ლი და უკრაინის 1-ლი ფრონტების ოდერსა და ნოისეზე გაპრის შემდეგ არ დაგვეშვა მოწინააღმდეგის მე-9 არმიის ბერლინში უკან დახევა, ოპერაციის დაგეგმვისას გადავწყვიტეთ 69-ე და 33-ე არმიების ძალებით დამხმარე დარტყმა მოგვეხდინა ოდერის ფრანკფურტის რაიონიდან (ფრანკფურტ-ბერლინის რკინიგზის სამხრეთით) ბონსდორფის საერთო მიმართულებით.

მთავარბანაკმა უბრძანა უკრაინის 1-ლი ფრონტის სარდალს ფრონტის მარჯვენა ფრთის ძალების ნაწილით კოტბუსის რაიონიდან დაერტყა ვენდიშ—ბუხჰოლცზე იმ მიზნით, რათა ბერლინისაგან მოეკვეთა მე-9 არმიის ჯარები და ბელორუსიის 1-ლი ფრონტის მარცხენა ფრთის ჯარებთან ურთიერთმოქმედებით გაენადგურებინა ისინი.

ბელორუსიის 1-ლი ფრონტის 69-ე, 33-ე და მე-3 არმიების, უკრაინის 1-ლი ფრონტის მე-3 გვარდიული, მე-13, მე-3 გვარდიული სატანკო და 28-ე არმიის ძალების ნაწილის დარტყმით გენერალ ბუსეს მე-9 არმიის გერმანელთა ჯარების მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთის ორასათასიანი დაჯგუფება ბერლინისაგან მოკვეთილი და მალე უკვე მთლად განადგურებულ იქნა.

აქ უნდა ხაზი გაესვას ბელორუსიის 1-ლი ფრონტის 1-ლი გვარდიული სატანკო არმიის მნიშვნელოვან როლს, რომელმაც ბერლინის სამხრეთ-აღმოსავლეთ გარეუბანში გასვლით ბერლინში უკანდასახევი გზები მოუჭრა მე-9 არმიას. ამან შეამსუბუქა შემდგომი ბრძოლა თვითონ ქალაქში.

ახლა მე მსურს ასე თუ ისე თანმიმდევრულად გავიხსენო, როგორ მიმდინარეობდა ბერლინის ისტორიული ოპერაცია.

ჩვენი შეტევის დაწყებიდან ორი დღით ადრე ჩატარებული იქნა დაზვერვა მთელი ფრონტის გაყოლებით. მსროლელი ბატალიონ-ს ძალის მქონე 32 მზვერავი რაზმი ორი დღე-ღამის განმავლობაში 14 და 15 აპრილს ბრძოლით აზუსტებდა მტრის თავდაცვის საცეცხლე სის-

ტემას, მის დაჯგუფებებს, არკვევდა თავდაცვითი ზოლის ცოტად თუ ბევრად სუსტ ადგილებს.

ამ ძალისმიერ დაზვერვას სხვა მიზანიც ჰქონდა. ჩვენთვის ხელსაყრელი იყო იძულებული გაგვეხადა გერმანელები წინა ხაზზე მოეყარათ თავი რაც შეიძლება მეტი ცოცხალი ძალისა და ტექნიკისათვის იმ მიზნით, რომ 16 აპრილს შეტევის საარტილერიო მომზადებისას მათთვის ფრონტის მთელი არტილერიის ცეცხლი დაგვეშინა. 14 და 15 აპრილს დაზვერვას თან ახლდა მძლავრი საარტილერიო ცეცხლი, რომელშიაც მონაწილეობდნენ მსხვილი კალიბრები

მოწინააღმდეგემ ეს ძლიერი დაზვერვა ჩვენი შეტევის დასაწყისად მიიღო. საკმარისია ითქვას, რომ ჩვენი სადაზვერვო რაზმების მოქმედების შედეგად გერმანელთა ზოგიერთი ნაწილი განდევნილ იქნა მათ მიერ დაკავებული პირველი პოზიციებიდან, ხოლო სადაზვერვო რაზმების შეტევის მოსაგერიებლად მონაწილეობას ღებულობდა გერმანელთა თითქმის მთელი არტილერია.

მოხდა ის, რასაც ჩვენ ვესწრაფოდით. მოწინააღმდეგემ საჩქაროდ იწყო თავისი რეზერვების თავმოყრა მეორე პოზიციაზე. მაგრამ ჩვენმა ჯარებმა შეწყვიტეს წინსვლა და გამაგრდნენ მოპოვებულ ზღუდეებზე. ამან საგონებელში ჩააგდო მოწინააღმდეგის სარდლობა. როგორც შემდეგ გამოირკვა, ზოგიერთმა გერმანელმა სარდალმა ჩვენი შეტევა წარუმატებლად ჩათვალა.

ომის წლებში მტერი მიეჩვია იმას, რომ ჩვენ საარტილერიო მომზადებას გარღვევის წინ ჩვეულებრივ დილიდან ვიწყებდით, რადგან ქვეითებისა და ტანკების შეტევა ლიმიტირებულია დღის სინათლით. ამიტომ ისინი არ მოელოდნენ ღამის იერიშს. გადავწყვიტეთ სწორედ ამით გვესარგებლა.

შუაღამისას, საარტილერიო და საავიაციო მომზადების დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე, მე გავემართე მე-8 გვარდიული არმიის სარდლის გენერალ ვ. ი. ჩუიკოვის სათვალთვალო პუნქტისაკენ.

გზად მე შევძელი მენახა საერთო საჯარისო და სატანკო შენაერთთა მრავალი მეთაური, 1-ლი გვარდიული სატანკო არმიის გენერალი მიხეილ ეკვთიმეს ძე კატუკოვი და მისი შტაბის უფროსი გენერალი მ. ა. შალინი. ყველა ისინი ფხიზლობდნენ და ერთხელ კიდევ ამოწმებდნენ მათდამი რწმუნებული ჯარების საბრძოლო მზადყოფნის დეტალებს.

მე გამახარა გენერლების ბ. ე. კატუკოვისა და მ. ა. შალინის წინდახედულობამ, თურმე მათ ჯერ კიდევ წინა დღით გაეგზავნათ სატანკო არმიის პირველ ეშელონში სამოქმედოდ დანიშნული თავთავიანთ შენაერთთა მეთაურები მე-8 გვარდიული არმიის კორპუსთა მეთაურების სათვალთვალო პუნქტებზე, რათა შეეთანხმებინათ ურთი-

ერთმოქმედების წვრილმანები და გარღვევაში ჩაბმის პირობები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მოწინააღმდეგის თავდაცვის საბოლოო გარღვევაში ჩაბმისაც.

1-ლი გვარდიული სატანკო არმიის სარდლიდან დავრეკე მე-2 გვარდიული სატანკო არმიის შტაბში ს. ი. ბოგდანოვთან. იგი შტაბში არ აღმოჩნდა, არმიის სარდალ ვ. ი. კუზნეცოვთან წასულიყო. ტელეფონთან მოვიდა მე-2 გვარდიული სატანკო არმიის შტაბის უფროსი გენერალი ა. ი. რადზიევსკი. ჩემს კითხვაზე თუ სად იმყოფებოდნენ ნეწინავე ეშელონებში სამოქმედოდ დანიშნულ შენაერთთა მეთაურები, ა. ი. რადზიევსკიმ მიპასუხა:

— ისინი წინ, ვასილ ივანეს ძე კუზნეცოვის მეურნეობაში იყოფებიან მომავალ მუშაობასთან დაკავშირებით.

მხოლოდ სიხარული შეიძლებოდა გეგრძნო ჩვენი ტანკისტი მეთაურების მიმართ, რომლებიც ასე გაიზარდნენ ომის წლების მანძილზე ოპერატიულ-ტაქტიკური თვალსაზრისით.

ასეთი განწყობილებით მივედი სამხედრო საბჭოს წევრ კ. თ. ტელეგინთან ერთად მე-8 გვარდიული არმიის სარდლის ვ. ი. ჩუიკოვის სათვალთვალო პუნქტში. აქ უკვე თავი მოეყარათ არმიის სამხედრო საბჭოს წევრს, არმიის შტაბის უფროსს, არტილერიის სარდალს და არმიის სხვა გენერლებსა და უმაღლეს ოფიცრებს.

ღამის 3 საათი იყო. ყველა რგოლში მიმდინარეობდა საბრძოლო მომზადების უკანასკნელი შემოწმება მოქმედების დაწყებისათვის. ყველაფერი საქმიანად ხდებოდა, მშვიდად და ამავე დროს თავის თავში გადაუჭარბებელი დაჯერებისა და მოწინააღმდეგის შეუფასებლობის გარეშე. იგრძნობოდა, რომ არმია ემზადებოდა ნამდვილი ბრძოლისათვის, როგორც საჭიროა ბრძოლა ძლიერი, გამოცდილი და შეუპოვარი მტრის წინააღმდეგ.

ნახევარი საათის შემდეგ ჩვენ საესებით მოვრჩით შემოწმებას. საარტილერიო მომზადება დანიშნულ იქნა დილის ხუთი საათისათვის. საათის ისრები როგორც არასდროს ისე ნელა მოძრაობდნენ. რათა როგორმე შეგვეევსო დარჩენილი 15 წუთი, გადავწყვიტეთ დაგველია თითო ჭიქა მაგარი ჩაი, რომელიც იქვე მიწურში მოგვიმზადა ქალიშვილმა. მახსოვს, მას რატომღაც არა რუსულ სახელს მარგოს ეძახდნენ. ჩაის ხმაამოუღებლივ ვსვამდით, ყველა თავის ფიქრებში იყო გართული.

საარტილერიო მომზადებიდან ზუსტად სამი წუთით ადრე ჩვენ ყველანი მიწურიდან ამოვედით და დავიკავეთ ჩვენი ადგილები სათვალთვალო პუნქტზე, რომელიც განსაკუთრებული მონდომებით იყო მომზადებული არმიის საინჟინრო ჯარების უფროსის მიერ.

აქედან დღისით შეიძლებოდა მთელი ოდერგასწვრივი ადგილმდე-

ბარეობის დათვალიერება. ახლა აქ დილის ნისლი იდგა. მე საათს დავხედე: ზუსტად დილის ხუთი საათი იყო

და იმავ წამს მრავალ ათასობით ქვემეხის, ნაღმსატყორცნის და ჩვენი ლეგენდარული „კატიუშების“ გასროლისაგან თვალისმომჭრელად გაცისკროვნდა მთელი არემარე, ხოლო ამის შემდეგ გაისმა გასროლათა და ჭურვების, ნაღმების და საავიაციო ბომბების აფეთქებათა ხმა. ჰაერში სულ უფრო მატულობდა ბომბდამშენთა განუწყვეტელი გუგუნი.

მოწინააღმდეგის მხრიდან პირველ წუთებში დაიკაკანა ტყვიამფრქვევთა რამდენიმე ჯერმა, შემდეგ კი ყოველივე მიყუჩდა. ისე ჩანდა, რომ მოწინააღმდეგის მხარეზე აღარავინ დარჩა ძე ხორციელი. 30 წუთიანი მძლავრი საარტილერიო სროლის შემდეგ, როცა მოწინააღმდეგეს ერთხელაც არ გაუსროლია, რაც მოწმობდა მის სრულ გაოგნებასა და თავდაცვის სისტემის მოშლას, გადაწყდა დაწყებულიყო საერთო იერიში.

ჰაერში დაიკლაკნა ათასობით ფერადი რაკეტა. ამ სიგნალზე აინთო 140 პროჟექტორი, რომლებიც განლაგებული იყვნენ ყოველ 200 მეტრზე. 100 მილიარდზე მეტი სანათური ანათებდა ბრძოლის ველს, თვალს სჭრიდა მოწინააღმდეგეს და ჩვენს ტანკებსა და ქვეით ჯარს სიბნელეში იერიშის ობიექტებს უნათებდა. ეს უდიდესი ძალის შთამბეჭდავი სურათი იყო. და, უნდა ითქვას, რომ მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე მე არ განმიცდია მსგავსი რამ.

არტილერიამ კიდევ უფრო გააძლიერა ცეცხლი, ქვეითებმა და ტანკებმა ერთსულოვნად გასწიეს წინ, მათ იერიშს თან ახლდა ორფეროვანი მძლავრი ცეცხლის ტალღა. გათენებისას ჩვენმა ჯარებმა გადალახეს პირველი პოზიცია და დაიწყეს მეორე პოზიციის იერიში.

მოწინააღმდეგემ, რომელსაც ბერლინის რაიონში დიდძალი თვითმფრინავები ჰყავდა, ვერ შეძლო ღამით ეფექტიანად გამოეყენებინა თავისი ავიაცია, დილით კი შეტევაზე გადასული ჩვენი ეშელონები უკვე ისე ახლოს იმყოფებოდნენ მოწინააღმდეგის ჯარებისაგან, რომ მათ მფრინავებს უკვე აღარ შეეძლოთ ისე დაებომბათ ჩვენი მეწინავე რაზმები, რომ არ წასულიყვნენ თავისიანებისათვის დარტყმის რისკზე.

ჰიტლერელთა ჯარები პირდაპირ ჩაიძირნენ ცეცხლისა და ლითონის ერთიან ზღვაში. ჰაერში აღიმართა მტვრისა და კვამლის შეუვალი კედელი და ალაგ-ალაგ საზენიტო პროჟექტორების მძლავრ სხივებსაც კი არ შეეძლოთ მასში გატანება.

ჩვენი ავიაცია ბრძოლის ველის თავზე ტალღისებურად მიდიოდა. ღამით რამდენიმე ასმა ბომბდამშენმა დასცხო შორეულ სამიზნეებს, სადაც ვერ აღწევდა არტილერია. სხვა ბომბდამშენები ჯარებთან ურთიერთმოქმედებდნენ დღისით და ღამით. ბრძოლის პირველ დღე-ღა-

მეთა განმავლობაში ჩატარებულ იქნა 6 500-ზე მეტი თვითმფრინავგაფრენა.

პირველ დღეს მარტო არტილერიისათვის დაგეგმილი იყო მილიონ 197 ათასი გასროლა, ფაქტიურად მოხდა მილიონ 236 ათასი გასროლა. 2450 ვაგონი ჭურვი, ანუ თითქმის 98 ათასი ტონა ლითონი, დაატყდა მტერს თავზე. მოწინააღმდეგის თავდაცვა ნადგურდებოდა და ისპობოდა 8 კილომეტრამდე სიღრმით, წინააღმდეგობის ზოგიერთი კვანძები კი 10—12 კილომეტრის სიღრმით.

აი რა თქვა ამის შესახებ შემდგომში 56-ე სატანკო კორპუსის მეთაურმა გერმანელთა არტილერიის გენერალმა ვეიტლინგმა დაკითხვაზე ფრონტის შტაბში.

— 16 აპრილს შეტევის პირველსავე საათებში რუსებმა გაარღვიეს 101-ე საარმიო კორპუსის მარჯვენა ფლანგი დივიზია „ბერლინის" უბანზე, რითაც საფრთხე შეუქმნეს 56-ე სატანკო კორპუსის მარცხენა ფლანგს. დღის მეორე ნახევარში რუსების ტანკები შემოიჭრნენ 303-ე ქვეითი დივიზიის უბანზე, რომელიც შედიოდა სს-ის მე-11 სატანკო კორპუსის შემადგენლობაში, და შექმნეს დივიზია „მიუნჰებერგის" ნაწილებისათვის ფლანგიდან დარტყმების საშიშროება. ამასთან ერთად რუსები ახდენდნენ ფრონტიდან ძლიერ დაწოლას ჩემი კორპუსის უბანზე. 17 აპრილის წინა ღამეს ჩემი კორპუსის ნაწილები, რომლებიც დიდ დანაკარგებს განიცდიდნენ, იძულებულნი გახდნენ დაეხიათ სიმაღლეებზე ზეელეს სამხრეთით.

16 აპრილს დილით ჯარები წარმატებით მიიწევდნენ წინ ფრონტის ყველა უბანზე, მაგრამ გონსმოსულმა მოწინააღმდეგემ ზეელეს მაღლობების მხრიდან წინააღმდეგობის გაწევა დაიწყო თავისი არტილერიით და ნამსატყორცნებით, ხოლო ბურლინის მხრიდან გამოჩნდა ბომბდამშენთა ჯგუფები. და რაც უფრო წინ მიიწევდნენ ჩვენი ჯარები ზეელეს მაღლობებისაკენ, მით უფრო მატულობდა მტრის წინააღმდეგობა.

ეს ხუნებრივი ზღუდე ბატონობდა მთელს გარემო მიდამოზე, ჰქონდა ციცაბო ფერდობები. და ყოველმხრივ სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენდა ბერლინისაკენ მიმავალ გზაზე. ერთიან კედლად აღმართულიყო იგი ჩვენი ჯარების წინ და ფარავდა პლატოს, რომელზედაც უნდა გამართულიყო გენერალური ბრძოლა ბერლინის ახლო მისადგომებზე.

სწორედ აქ, მის ძირას, ეარაუდობდნენ გერმანელები ჩვენი ჯარების შეჩერებას, რისთვისაც აქ თავი მოუყარეს ყველაზე მეტ ძალებსა და საშუალებებს.

ზეელეს მაღლობები ზღუდავდნენ არა მარტო ჩვენი ტანკების მოქმედებას, არამედ სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენდნენ არტი-

ბერლინის ოპერაციის საერთო გეგმა



ლერიისთვისაც. ისინი ფარავდნენ მოწინააღმდეგის თავდაცვის სიღრმეს, შეუძლებელს ხდიდნენ თვალი გვედევნებინა მისთვის მიწიდან ჩვენი მხრიდან. არტილერისტებს ამ სიძნელეთა გადალახვა უხდებოდათ ცეცხლის გაძლიერებით და ხშირად მოედნებზე სროლით.

მოწინააღმდეგისათვის ამ უმნიშვნელოვანესი ზღუდის შენარჩუნებას მორალური მნიშვნელობაც ჰქონდა. მის უკან ხომ ბერლინი იყო! ჰიტლერული პროპაგანდა ყოველნაირად უსვამდა ხაზს ზეელეს მაღლობების გადამწყვეტ მნიშვნელობასა და დაუძლეველობას, და ჰათ ხან „ბერლინის კლიტეს" უწოდებდა, ხან „აუღებელ ციხე-სიმაგრეს".

დღის 13 საათისათვის მე აშკარად მივხვდი, რომ მოწინააღმდეგის თავდაცვა აქ ძირითადში უვნებლად გადარჩა, და იმ საბრძოლო წყობით, რომლითაც იერიში დავიწყეთ და შეტევას ვაწარმოებდით, ზეელეს მაღლობებს ვერ ავიღებდით.

იმისათვის, რომ გაგვეძლიერებინა შეტევაზე გადასული ჯარების დარტყმა და აუცილებლად გაგვერღვია თავდაცვა, გადავწყვიტეთ ბრძოლაში დამატებით ჩაგვება გენერალ მ. ე. კატუკოვისა და ს. ი. ბოგდანოვის ორივე სატანკო არმია. 14 საათსა და 30 წუთზე ჩემი სათვალთვალო პუნქტიდან მე უკვე ვხედავდი 1-ლი სატანკო არმიის პირველი ეშელონების მოძრაობას.

15 საათზე მთავარბანაკში დავრეკე და მოვახსენე, რომ მოწინააღმდეგის თავდაცვის პირველი და მეორე პოზიციები ჩვენს მიერ გარღვეული იყო, რომ ფრონტის ჯარებმა 6 კილომეტრამდე წაიწიეს წინ, მაგრამ სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდნენ ზეელეს მაღლობების ზღუდესთან, სადაც როგორც ჩანს, მოწინააღმდეგის თავდაცვა ძირითადად უვნებლად გადარჩა, რომ საერთო საჯარისო არმიების დარტყმის გასაძლიერებლად ბრძოლაში ჩავაბი ორივე სატანკო არმია, და ვფიქრობ, რომ ხვალ დღის დამლევისათვის გავარღვევთ მოწინააღმდეგის თავდაცვას.

ი. ბ. სტალინმა ყურადღებით მომისმინა და დინჯად თქვა:

— კონევთან მოწინააღმდეგის თავდაცვა გაცილებით სუსტი აღმოჩნდა, მან შედარებით ადვილად გადალახა მდინარე ნოისე და ისე მიიწევს წინ, რომ მტერი ჰაინც და მაინც დიდ წინააღმდეგობას არ უწევს. თქვენი სატანკო არმიების დარტყმა გააძლიერეთ ბომბდამშენი ავიაციით. საღამოთი დამირეკეთ, როგორ გექნებათ საქმე.

საღამოს მე კვლავ მოვახსენე უმაღლეს მთავარსარდალს ზეელეს მაღლობების მისადგომებთან არსებულ სიძნელეთა შესახებ და ვუთხარი, რომ ხვალ საღამომდე ამ ზღუდის აღება ვერ მოხერხდებოდა.

ამჯერად ი. ბ. სტალინი ისე დინჯად ადარ ლაპარაკობდა ჩემთან, როგორც დღისით.

— თქვეს ტყუილუბრალოდ დაამატეთ 1-ლი სატანკო არმია მე-8 გვარდიული არმიის უბანზე, და არა იქ, სადაც მთავარბანაკი მოითხოვდა. — შემდეგ დაუმატა:

— დარწმუნებული ხართ, რომ ხვალ აიღებთ ზეელეს ზღუდეს?

ვცდილობდი სიმშვიდე არ დამეკარგა და ვუპასუხე:

— ხვალ, 17 აპრილს, დღის დამლევისათვის თავდაცვა ზეელეს ზღუდეზე გარღვეული იქნება. მე მიმაჩნია, რომ რაც უფრო მეტ ჯარებს გადმოისვრის მოწინააღმდეგე ჩვენი ჯარების შესახვედრად აქ, მით უფრო მალე ავიღებთ შემდეგ ბერლინს, რადგან მოწინააღმდეგის ჯარების დამარცხება გაშლილ ველზე უფრო ადვილია, ვიდრე ქალაქში.

— ჩვენ ვფიქრობთ ვუბრძანოთ კონევს სამხრეთიდან დასძრას ბერლინისაკენ რიბალკოს და ლელიუშენკოს სატანკო არმიები, როკოსოვსკის კი — დააჩქაროს მდინარის გადალახვა და აგრეთვე დაარტყას ბერლინს ჩრდილოეთიდან შემოვლით, — თქვა ი. ბ. სტალინმა.

მე ვუპასუხე:

— კონევის სატანკო არმიებს სწრაფად წინსვლის სრული შესაძლებლობა აქვთ, და ისინი უნდა გამოიგზავნონ კიდეც ბერლინზე, როკოსოვსკი კი 23 აპრილზე ადრე ვერ შეძლებს შეტევის დაწყებას, ვინაიდან დაყოვნდება ოდერის გადალახვაზე.

— ნახვამდის, — საკმაოდ მშრალად თქვა ი. ბ. სტალინმა პასუხის ნაცვლად და ყურმილი დადო.

ერთი დღის შემდეგ, 18 აპრილს, მთავარბანაკმა გასცა დირექტივა უკრაინის 1-ლი და ბელორუსიის მე-2 ფრონტების წინაშე დასახულ ამოცანათა შეცვლის შესახებ: ი. ს. კონევს მე-3 გვარდიული სატანკო არმიით ცოსენზე გავლით სამხრეთიდან უნდა შეეტია ბერლინისათვის, მე-4 გვარდიული სატანკო არმიით გასულიყო პოტსდამის რაიონში, ხოლო კ. კ. როკოსოვსკის დაეჩქარებინა ოდერის გადალახვა და ძალების ნაწილით შეეტია ბერლინისათვის ჩრდილოეთიდან შემოვლით.

დილაადრიან 17 აპრილს ფრონტის ყველა უბანზე გაჩაღდა ცხარე ბრძოლები. მტერი სასოწარკვეთილი გვიწევდა წინააღმდეგობას. მაგრამ საღამოსათვის, ვერ გაუძლო რა ბრძოლაში წინადღით ჩაბმულ სატანკო არმიების დარტყმას, რომლებმაც საერთო საჯარისო არმიებთან ურთიერთმოქმედებით მთელ რიგ უბნებზე გაარღვიეს ზეელეს მაღლობების თავდაცვა, მოწინააღმდეგემ უკანდახევა იწყო. 18 აპრილს დილისათვის ზეელეს მაღლობები აღებული იყო.

რაკი ზეელეს ზღუდის თავდაცვა გავარღვიეთ, ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა უკვე ფართო ფრონტით ჩაგვება ბრძოლაში ყველა სატანკო შენაერთი.

მაგრამ მოწინააღმდეგე 18 აპრილსაც ჯერ კიდევ ცდილობდა შეეჩერებინა ჩვენი ჯარების წინსვლა, რისთვისაც მათ წინ უხვედრებდა

ყველა თავის არსებულ რეზერვს და ბერლინის თავდაცვიდან მოხსნილ ნაწილებსაც კი. მხოლოდ 19 აპრილს. დიდი დანაკარგების შემდეგ, გერმანელებმა ვეღარ გაუძლეს ჩვენი სატანკო და საერთო საჯარისო არმიების მძლავრ დაწოლას და უკანდახევა იწყეს ბერლინის თავდაცვის რაიონის გარე რკალზე.

რამდენიმე დღით გვიან მ. ს. მალინინმა მომახსენა, რომ მიღებული იყო მთავარბანაკის მითითება კ. კ. როკოსოვსკისადმი დირექტივის გაუქმების შესახებ, რომლის მიხედვითაც ბელორუსიის მე-2 ფრონტს ნაბრძანები ჰქონდა ჩრდილოეთიდან შემოვლით შეეტია ბერლინისათვის. ცხადი იყო, რომ ბელორუსიის მე-2 ფრონტის ჯარები, რომლებიც გადადიოდნენ ურთულეს საწყლო სისტემას ოდერზე და სძლევდნენ იქ გერმანელების თავდაცვას, 23 აპრილზე ადრე ვერ შეძლებდნენ შეტევაზე გადასვლას.

როგორც მოვლენათა ნამდვილმა მსვლელობამ გვიჩვენა, ბელორუსიის მე-2 ფრონტს მთავარი ძალებით შეტევის განვითარება 24 აპრილზე ადრე არ შეეძლო, მაშინ, როცა ბერლინში უკვე სწარმოებდა ქუჩის ბრძოლები, ხოლო ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარების მარჯვენა ფლანგის დაჯგუფებამ ამ დროისათვის უკვე შემოუარა ქალაქს ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან.

ბრძოლების მსვლელობისას 16 და 17 აპრილს და შემდეგაც არაერთხელ დავბრუნებივარ ფრონტის ჯარების ოპერაციის აგების ანალიზს იმ მიზნით, რათა დავრწმუნებულიყავი, ხომ არ იყო ჩვენს გადაწყვეტილებებში შეცდომები, რომელთაც შეეძლოთ ჩაეფუშათ ოპერაცია.

შეცდომები არ ყოფილა, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ერთხელ მაინც მოვტყუვდით, რამაც ტაქტიკური ზონის გარღვევისას ბრძოლა გააჭიანურა ერთი-ორი დღით.

ოპერაციის მომზადებისას ჩვენ რამდენადმე ვერ შევაფასეთ ადგილმდებარეობის ხასიათის სირთულე ზეელეს მაღლობების რაიონში, სადაც მოწინააღმდეგეს შეეძლო ძნელადგადასალახავი თავდაცვის მოწყობა. მოწინააღმდეგე ჩვენი საწყისი ზღუდეებიდან 10—12 კილომეტრის დაშორებით ღრმად ჩასანგრდა მიწაში, მეტადრე მაღლობებს გადაღმა ფერდობებზე, და შეძლო თავისი ძალებისა და ტექნიკის გადარჩენა ჩვენი არტილერიის და ბომბდამშენი ავიაციის ცეცხლისაგან. მართალია, ბერლინის ოპერაციის მომზადებისათვის ჩვენ მეტად შეზღუდული დრო გვქონდა, მაგრამ არც ეს შეიძლება გამოდგეს გამამართლებელ საბუთად.

საკითხის ბოლომდე დაუმუშავებლობის დანაშაული პირველ ყოვლისა უნდა ავიღო საკუთარ თავზე.

ვფიქრობ, საქვეყნოდ თუ არა, საკუთარი თავის წინაშე მაინც,

ზეელეს მაღლობების დაკავების არასაკმარისი მომზადებისათვის პასუხისმგებლობას მთელი არმიის მასშტაბით თავისთავზე აიღებენ არმიათა შესაბამისი სარდლებიც. საარტილერიო შეტევის დაგეგმვისას საჭირო იყო ამ რაიონში მოწინააღმდეგის თავდაცვის განაღგურების სიძნელეთა გათვალისწინება.

ახლა, დიდი ხნის შემდეგ, როცა ბერლინის ოპერაციის გეგმაზე ვფიქრობ, იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ მოწინააღმდეგის ბერლინის დაჯგუფების განადგურება და თვით ბერლინის აღება შეიძლებოდა განხორციელებულიყო ცოტა სხვანაირად.

თქმა არ უნდა, ახლა, როცა ყველაფერი ამომწურავი სისავსითაა ნათელი, უფრო ადვილია სტრატეგიული გეგმის აგება, ვიდრე მაშინ, როცა პრაქტიკულად იყო საჭირო მრავალეცნობიან განტოლებათა ამოხსნა. და მაინც მინდა გაგიზიაროთ ჩემი მოსაზრებანი ამ საკითხის ირგვლივ.

ბერლინის აღება საჭირო იყო ერთბამად, და ეს აუცილებლად უნდა დავალებოდა ორ ფრონტს: ბელორუსიის 1-ლ და უკრაინის 1-ლ ფრონტებს, ხოლო გამმიჯნავი ხაზი მათ შორის გავლებულიყო ამგვარად: ოდერის ფრანკფურტი — ფიურსტენვალდე — ბერლინის ცენტრი. ამ ვარიანტის შემთხვევაში ბელორუსიის 1-ლი ფრონტის მთავარ დაჯგუფებას შეეძლო დაერტყა შედარებით ვიწრო უბანზე და ჩრდილო-აღმოსავლეთის, ჩრდილოეთის და ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან ბერლინის შემოვლით. უკრაინის 1-ლი ფრონტი თავისი მთავარი დაჯგუფებით დაარტყამდა ბერლინს უმოკლესი მიმართულებით, შემოერტყმოდა რა მას სამხრეთის, სამხრეთ-დასავლეთისა და დასავლეთის მხრიდან.

შეიძლებოდა, რა თქმა უნდა, სხვა ვარიანტიც: ბერლინის აღება დავალებოდა მხოლოდ ბელორუსიის 1-ლ ფრონტს ისე, რომ გაგვეძლიერებინა მისი მარცხენა ფრთა ორზე არანაკლები საერთო საჯარისო და ორი სატანკო არმიებით, ერთი საავიაციო არმიით და შესაბამისი საარტილერიო და საინჟინრო ნაწილებით.

ამ ვარიანტის შემთხვევაში რამდენადმე გართულდებოდა ოპერაციის მომზადება და მისი მართვა, მაგრამ მნიშვნელოვნად გამარტივდებოდა ძალებისა და საშუალებათა ურთიერთმოქმედება მოწინააღმდეგის ბერლინის დაჯგუფების მოსასპობად, განსაკუთრებით თვით ქალაქის აღების დროს. ადგილი არ ექნებოდა არც ამდენ შეხლა-შემოხლასა და ბუნდოვანებას.

რაც შეეხება ბელორუსიის მე-2 ფრონტის შეტევას, იგი შეიძლებოდა მოწყობილიყო რამდენადმე მარტივად.

შტეტინ — შვედტის უბანზე შეიძლებოდა დაგვეტოვებინა მცირე საფარი, ფრონტის მთავარი ძალებისათვის თავი მოგვეყარა შვედტის

სამხრეთით და შეგვეერთებინა ისინი ბელორუსიის 1-ლი ფრონტის მარცხენა ფრთისათვის, ანდა შეიძლებოდა მოქმედება დაგვეწყო მისი ფლანგის უკანა მხრიდან (რომელიც ოდერზე გადადიოდა) და ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით დარტყმით მოგვეჭრა მტრის შტეტინ — შვედტის ჯგუფი.

მთელი რიგი მიზეზების გამო მთავარბანაკში გეგმის განხილვისა და დამტკიცებისას ეს ვარიანტები არ წამოყენებულა. უმაღლესი მთავარსარდლობა ცხოვრებაში ატარებდა ფართო ფრონტით დარტყმის ვარიანტს.

მაგრამ დავუბრუნდეთ იმ დღეთა მოვლენებს.

ბრძოლების პირველ დღეებში ბელორუსიის 1-ლი ფრონტის სატანკო არმიებს წინ წაწევის არავითარი შესაძლებლობა არ ჰქონდათ. მათ მოუხდათ ბრძოლა საერთო საჯარისო არმიებთან მჭიდრო ურთიერთმოქმედებით. რამდენადმე წარმატებით მოქმედებდა გენერალ ს. ი. ბოგდანოვის მე-2 სატანკო არმია მე-3 და მე-5 დამკვრელ არმიებთან ერთად. ამასთან მის მიმართულებაზე 18 აპრილის შემდეგ მტრის წინააღმდეგობა რამდენადმე სუსტი იყო.

უკრაინის 1-ლი ფრონტის შტეკვა (სარდალი მარშალი ი. ს. კონევი, სამხედრო საბჭოს წევრი გენერალი კ. ვ. კრაინიუკოვი, შტაბის უფროსი გენერალი ი. ე. პეტროვი) პირველსავე დღიდანვე გაცილებით სწრაფი ტემპებით ვითარდებოდა. როგორც მოსალოდნელიც იყო, მისი დარტყმის მიმართულებაზე მოწინააღმდეგის თავდაცვა სუსტი აღმოჩნდა, რამაც შესაძლებელი გახადა 17 აპრილის დილიდან ბრძოლაში ჩაგვება ორი სატანკო არმია, რომელთაც 20—25 კილომეტრით წაიწიეს წინ, გადალახეს მდინარე შპრეე და 19 აპრილის დილიდან დაიწყეს წინსვლა ცოსენისა და ლუკენვალდესაკენ.

მაგრამ ცოსენის რაიონთან ი. ს. კონევის ჯარების მისვლისას წინააღმდეგობამ გერმანელთა მხრივ იმატა, ხოლო უკრაინის 1-ლი ფრონტის ნაწილების წინსვლის ტემპმა იკლო. ამასთან ადგილმდებარეობის ხასიათიც უძნელებდა გენერალ პ. ს. რიბალკოს სატანკო არმიას ემოქმედა გაშლილი საბრძოლო წყობით. ამის გამო ფრონტის სარდალმა ი. ს. კონევმა პ. ს. რიბალკოს გადასცა შემდეგი რადიოგრამა:

„ამხ. რიბალკო. კვლავ შლანგისებურად მოძრაობთ. ერთი ბრიგადა იბრძვის, მთელი არმია კი გაჩერებულია: გიბრძანებ: ბარუტ — ლუკენვალდეს ზღუდეზე ჭაობის გავლით გადახვიდეთ რამდენიმე მარშრუტით გაშლილი საბრძოლო წყობით... შესრულება მომახსენეთ, კონევი. 20. 4. 45 წ.“[1].

20 აპრილს, ოპერაციის მეხუთე დღეს, მე-3 დამკვრელი არმიის 79-ე მსროლელი კორპუსის შორსმსროლმა არტილერიამ, რომელსაც

[1] Архив МО, ф. 236, оп. 2712, д. 359, л. 35.

სარდლობდა გენერალ-პოლკოვნიკი ვ. ი. კუზნეცოვი, ცეცხლი დაუშინა ბერლინს. დაიწყო ფაშისტური გერმანიის დედაქალაქის ისტორიული იერიში. ამავე დროს 47-ე არმიის 30-ე გვარდიული საზარბაზნე ბრიგადის 1-ლმა დივიზიონმა, რომელსაც მეთაურობდა მაიორი ა. ი. ზიუკინი, აგრეთვე დაუშინა ზალპები ფაშისტურ დედაქალაქს.

21 აპრილს მე-3 დამკვრელი, მე-2 გვარდიული სატანკო, 47-ე და მე-5 დამკვრელი არმიის ნაწილები შეიჭრნენ ბერლინის გარეუბნებში და თვით ქალაქში გააჩაღეს ბრძოლა. პოლონეთის ჯარის 61-ე არმია და 1-ლი არმია და ფრონტის სხვა შენაერთები სწრაფად მიიწევდნენ ელბისაკენ, სადაც ნავარაუდევი იყო ჩვენს მოკავშირე ჯარებთან შეხვედრა.

მეომრების მაღალი შემტევი სულის განსამტკიცებლად დიდი პატრიოტული პოლიტიკური მუშაობა გაწიეს 47-ე არმიის (პოლიტგანყოფილების უფროსი პოლკოვნიკი მ. ხ. კალაშნიკი), 61-ე არმიის (პოლიტგანყოფილების უფროსი გენერალ-მაიორი ა. გ. კოტიკოვი), მე-2 გვარდიული სატანკო არმიის (პოლიტგანყოფილების უფროსი პოლკოვნიკი მ. მ. ლიტვიაკი), მე-3 დამკვრელი არმიის (პოლიტგანყოფილების უფროსი პოლკოვნიკი თ. ი. ლისიცინი), მე-5 დამკვრელი არმიის (პოლიტგანყოფილების უფროსი გენერალ-მაიორი ე. ე. კოშჩეევი) შემტევი ჯარების პოლიტგანყოფილებებმა.

რათა ყოველნაირად დაგვეჩქარებინა მოწინააღმდეგის თავდაცვის განადგურება თვითონ ბერლინში, გადაწყდა 1-ლი და მე-2 გვარდიული სატანკო არმიები მე-8 გვარდიულ, მე-5 დამკვრელ, მე-3 დამკვრელ და 47-ე არმიებთან ერთად ჩაგვება ქალაქისათვის ბრძოლაში. არტილერიის მძლავრი ცეცხლით, ავიაციის დარტყმებითა და ტანკების ზვავით მათ სწრაფად უნდა დაეჯაბნათ მტრის თავდაცვა ბერლინში.

23—24 აპრილს ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარები სპობდნენ ჰიტლერელებს ბერლინის ცენტრის მისადგომებზე. ქალაქის სამხრეთ ნაწილში ბრძოლა გამართეს უკრაინის 1-ლი ფრონტის მე-3 სატანკო არმიის ნაწილებმა.

25 აპრილს ბელორუსიის 1-ლი ფრონტის 47-ე არმიის 328-ე მსროლელი დივიზია და მე-2 გვარდიული სატანკო არმიის 65-ე სატანკო ბრიგადა, რომლებიც უტევდნენ ბერლინის დასავლეთით, კეტცინის რაიონში, შეუერთდნენ უკრაინის 1-ლი ფრონტის მე-4 გვარდიული სატანკო არმიის მე-6 გვარდიულ მექანიზებულ კორპუსს.

ამრიგად, მტრის ბერლინის დაჯგუფება 400-ათასზე მეტი კაცის რაოდენობით გათიშული აღმოჩნდა ორ იზოლირებულ ჯგუფად: ბერლინისა და ფრანკფურტ-გუბენის ჯგუფად.

ფრონტის რეზერვიდან ბრძოლაში ჩაბმული გენერალ ა. ვ. გორ-

ბატოვის მე-3 არმია, რომელიც შეტევას ანვითარებდა ოდერ — შპრეეს არხის გასწვრივ და რომელმაც ისარგებლა 1-ლი გვარდიული სატანკო არმიის წარმატებით, სწრაფად გავიდა კენიგსვუსტერჰაუზენის რაიონში.

აქედან იგი მკვეთრად შეტრიალდა სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, დაარტყა ტოიპტიცს და 25 აპრილს შეუერთდა უკრაინის 1-ლი ფრონტის მარჯვენა ფრთის ნაწილებს, რომლებიც უტევდნენ ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით. ბერლინის სამხრეთ-აღმოსავლეთით ვენდიშ — ბუხჰოლცის რაიონში მჭიდროდ შეიკრა მტრის დაჯგუფებათა გარემოცვის რკალი.

წარმატებით ვითარდებოდა ბრძოლები თვით ბერლინშიაც. როცა ფრონტის ჯარები გერმანიის დედაქალაქში შეიჭრნენ, ქალაქის თავდაცვა ზოგიერთ რაიონში უკვე დასუსტებული იყო, რადგან ბერლინის გარნიზონის ჯარების ნაწილი გერმანიის სარდლობის მიერ მოხსნილ იქნა ზეელეს მაღლობების თავდაცვის გაძლიერების მიზნით. ჩვენი ნაწილები სწრაფად პოულობდნენ ასეთ რაიონებს და მანევრირებით გვერდს უვლიდნენ წინააღმდეგობის მთავარ კერებს.

მაგრამ ქალაქის ცენტრალურ ნაწილთან მიახლოებისას წინააღმდეგობა მკვეთრად გაძლიერდა. გააფთრება ორიეე მხრიდან მატულობდა. მოწინააღმდეგის თავდაცვა ერთიანი იყო. გერმანელები იყენებდნენ ყველა იმ უპირატესობას, რომელთაც აძლევდათ მათ შემტევი მხარის წინაშე ქალაქში გამართული ბრძოლები. მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს აგრეთვე მრავალსართულიანმა შენობებმა, სქელმა კედლებმა და განსაკუთრებით ბომბსაფრებმა, მიწისქვეშა გასასვლელებით ერთმანეთთან დაკავშირებულმა კაზამეტებმა. ამ გზებით გერმანელებს შეეძლოთ ერთი კვარტალიდან გასულიყვნენ მეორეში და ჩვენი ჯარების ზურგშიაც კი ამოეყოთ თავი.

მდინარე შპრეე თვით ქალაქში მისი მაღალი დაცემენტებული ნაპირებით. რომელიც ბერლინს ორ ნაწილად კვეთდა, გარსერტყმოდა სამინისტროთა შენობებს ქალაქის ცენტრში. ყოველ სახლს აქ იცავდა ხშირად ბატალიონის ძალის მქონე გარნიზონი.

ჩვენი შეტევა არ წყდებოდა არც დღისით და არც ღამით. ყველა ღონისძიება მიმართული იყო იქითკენ, რათა მოწინააღმდეგეს საშუალება არ მისცემოდა თავდაცვა მოეწყო ახალ საყრდნობ პუნქტებზე. არმიის საბრძოლო რიგები ეშელონირებული იყო სიღრმეში. დღისით უტევდა პირველი ეშელონი, ღამით — მეორე.

ბერლინისა და მისი სექტორების, რაიონებისა და უბნების წინასწარ მომზადებულ თავდაცვას დაუპირისპირდა შეტევის დეტალურად დამუშავებული გეგმა.

ბერლინის იერიშის მონაწილე ყოველ არმიას წინასწარ ჰქონდა განსაზღვრული თავისი ზოლები. ნაწილებსა და ქვედანაყოფებს ეძ-

ლეოდათ კონკრეტული ქუჩები, მოედნები, ობიექტები. ქალაქის ბრძოლების მოჩვენებითს ქაოსს იქით იდგა მწყობრი, საგულდაგულოდ მოფიქრებული სისტემა. ჯარების ყველა გვარეობა იღებდა აქტიურ მონაწილეობას ამ რთულ ბრძოლაში. ქალაქი მოკლებული იყო ელექტროენერგიასა და წყალმომარაგებას. გამანადგურებელი ცეცხლის ქვეშ იქნა აღებული მისი უმთავრესი ობიექტები.

ბრძოლების მთავარი სიმძიმე თავის ზურგზე გადაიტანეს მოიერიშე ჯგუფებმა და მოიერიშე რაზმებმა, რომლებიც შესდგებოდნენ ჯარის ყველა გვარეობისაგან.

ბერლინში ქუჩების ბრძოლის ცენტრალური ამოცანის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ მოწინააღმდეგისათვის საშუალება მოგვესპო თავი მოეყარა თავისი ძალებისათვის, ცალკეულ კერებად გაგვეთიშა გარნიზონი და სწრაფ ტემპში მოგვესპო ისინი.

ამის გადასაწყვეტად ოპერაციის დასაწყისისათვის შექმნილ იქნა საჭირო წანამძღვრები. ჯერ ერთი, ჩვენმა ჯარებმა ქალაქის მისადგომებზე გააკამტვერეს მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალისა და ტექნიკის ნაწილი. მეორეც, ბერლინისათვის სწრაფი ალყის შემორტყმით გერმანელებს წავართვით რეზერვებით მანევრირების საშუალება. მესამეც, თვით რეზერვებიც, რომლებიც ბერლინისაკენ დასძრეს, განადგურებულ იქნა.

ყოველივე ამან შესაძლებლობა მოგვცა, მიუხედავად უამრავი დაბრკოლებისა, მინიმუმამდე შეგვემცირებინა ქუჩის ბრძოლები და ჯარებისათვის გაგვეადვილებინა მტრის თავდაცვის განადგურების პირობები ქალაქის შიგნით.

ქვეითებისა და ტანკების ყოველ იერიშს თან ახლდა არტილერიისა და ავიაციის მასირებული დარტყმები, რომლებიც წარმოებდა ფრონტის ყველა უბანზე. სხვადასხვა კალიბრის 11 ათასი ქვემეხი დროის გარკვეულ შუალედებში ერთდროულად უშენდა ცეცხლს. 21 აპრილიდან 3 მაისამდე ბერლინზე მოხდა თითქმის მილიონ 800 ათასი საარტილერიო გასროლა. საერთოდ კი მტრის თავდაცვას ქალაქში თავს დაატყდა 36 ათას ტონაზე მეტი ლითონი.

ბერლინში ბრძოლის მესამე დღეს სპეციალურად გაფართოებული ლიანდაგით სილეზიის ვაგზლიდან მოზიდულ იქნა ციხე-სიმაგრის ქვემეხები, რომელთაც ცეცხლი დაუშინეს ქალაქის ცენტრს. მათი თითოეული ჭურვის წონა ნახევარ ტონას შეადგენდა.

ბერლინის თავდაცვა გაკამტვერებულ იქნა.

— 22 აპრილისათვის, — უჩვენა შემდეგ კაიტელმა დაკითხვაზე. — ცხადი შეიქმნა, რომ ბერლინი დაეცემოდა, თუ ელბიდან არ მოვხსნიდით ყველა ჯარებს და არ გადმოვისროდით შეტევაზე გადმოსული რუსების წინააღმდეგ. ჩემთან და იოდლთან ჰიტლერისა და ჰებელსის

საერთო თათბირის შემდეგ გადაწყდა: მე-12 არმიას ამერიკელების წინააღმდეგ დაეტოვებინა სუსტი არიერგარდები და შეტევაზე გადასულიყო რუსთა ჯარების წინააღმდეგ, რომლებმაც ალყაში მოაქციეს ბერლინი.

იოდლმა უჩვენა:

— 22 აპრილს ჰებელსმა მკითხა: შეიძლებოდა თუ არა სამხედრო გზით თავიდან აგვეცილებინა ბერლინის დაცემა. მე ვუპასუხე, რომ ეს შესაძლებელი იყო, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ ელბიდან მოვხსნიდით ყველა ჯარებს და მათ ბერლინის დასაცავად გადავისროდით. ჰებელსის რჩევით ჩემი მოსაზრებანი მოვახსენე ფიურერს, იგი დათანხმდა და კაიტელსა და მე მითითება მოგვცა შტაბთან ერთად ვყოფილიყავით ბერლინის გარეთ და პირადად გვეხელმძღვანელა კონტრშეტევისათვის.

ბერლინის გარნიზონის სარდალმა გენერალმა ვაიდლინგმა დაკითხვაზე უჩვენა:

— 25 აპრილს ჰიტლერმა განმიცხადა: „მდგომარეობა უნდა გაუმჯობესდეს(!). მე-9 არმია ბერლინთან მივა და მე-12 არმიასთან ერთად დაარტყამს მოწინააღმდეგეს. ეს დარტყმა განხორციელდება რუსების სამხრეთის ფრონტზე. ჩრდილოეთიდან მოვლენ შტაინერის ჯარები და დაარტყამენ ჩრდილოეთის ფრთას“.

ყველა ეს გეგმა ჰიტლერისა და მისი წრის ფანტაზია იყო, რომელთაც უკვე დაკარგეს რეალურად აზროვნების უნარი. 23 აპრილის წინა ღამეს კაიტელი გაემგზავრა მე-12 არმიის შტაბში. მისი ამოცანა იყო შეერთებინა იგი მე-9 არმიისათვის. მეორე დღეს მან უბრალოდ ვერ შეძლო ქალაქში დაბრუნება. საბჭოთა ჯარები სპობდნენ ორივე ამ არმიას.

ყოველდღიურად ჰიტლერის ხელმოწერით გადაიცემოდა ასეთი შინაარსის რადიოდეპეშები: „სად არის მე-12 არმია?“; „რატომ არ უტევს ვენკი?“; „სად არის შერნერი?“; „დაუყოვნებლივ შეუტიეთ!“; „როდის გადახვალთ შეტევაზე?“.

იმასთან დაკავშირებით, რომ მე-5 დამკვრელი არმიის ჯარების მოქმედება გენერალ-პოლკოვნიკ ნ. ე. ბერზარინის სარდლობით თითქმის არაა გაშუქებული ჩვენს პრესაში, მე მინდა გიამბოთ ზოგიერთ მის გმირულ მოქმედებათა შესახებ. ერთ-ერთის მოწმე პირადად მე გახლდით, სხვების შესახებ ინფორმირებული ვიყავი არმიის სარდლობისა და შენაერთთა მეთაურების მიერ.

რაკი გავითვალისწინეთ ამ არმიის საბრძოლო დავალების განსაკუთრებული მნიშვნელობა — ქალაქის ცენტრში განლაგებული მთავრობის კვარტალების რაიონის აღება, მათ შორის საიმპერიო კანცელარიისა, სადაც იმყოფებოდა ჰიტლერის მთავარბანაკი, გარდა წინათ

ბერლინის ცენტრალური ნაწილის გეგმა

(ხადაც 1945 წლის 2 მაისს დამთავრდა ქალაქის შტურმი)



მიცემული საშუალებებისა, მე-5 დამკვრელი არმია გავაძლიერეთ გენერალ ი .ი. იუშჩუკის მე-11 სატანკო კორპუსით.

ყველაზე რთული ამოცანა პირველ ეტაპზე იყო ძლიერ გამაგრებული სილეზიის ვაგზლის იერიში და მაღალი დაბეტონებული ნაპირების მქონე მდინარე შპრეეს გადალახვა.

ბერლინში აღმოსავლეთიდან პირველები შეიჭრნენ გენერალ პ. ა. ფირსოვის 26-ე გვარდიული კორპუსსა და გენერალ დ. ს. ჟერებინის 32-ე კორპუსში შემავალი შემდეგი ჯარები:

94-ე გვარდიული დივიზია (მეთაური გენერალი ი. გ. გასპარიანი, პოლიტგანყოფილების უფროსი პოლკოვნიკი ს. ე. კუზოვკოვი);

89-ე გვარდიული დივიზია (მეთაური გენერალი მ. ჰ. სერიუგიხი, პოლიტგანყოფილების უფროსი პოლკოვნიკი ჰ. ხ. გორდიენკო);

266-ე დივიზია (მეთაური პოლკოვნიკი ს. მ. ფომიჩენკო, პოლიტგანყოფილების უფროსი პოლკოვნიკი ვ. ი. ლოგინოვი);

მე-60 გვარდიული დივიზია (მეთაური გენერალი ვ. პ. სოკოლოვი, პოლიტგანყოფილების უფროსი პოლკოვნიკი ი. ნ. არტამონოვი);

416-ე დივიზია (მეთაური გენერალი დ. მ. სირზანოვი, პოლიტგანყოფილების უფროსი პოლკოვნიკი რ .ა. მეჯიდოვი);

295-ე დივიზია (მეთაური გენერალი ა. პ. დოროფეევი, პოლიტგანყოფილების უფროსი პოლკოვნიკი გ. ტ. ლუკონინი).

თითქმის ოთხ წელიწადს უცდიდნენ ამ ისტორიულ მომენტს ჩვენი გმირი მებრძოლები, რომლებიც კონტრშეტევაზე გადავიდნენ მოსკოვიდან, სტალინგრადიდან, ლენინგრადიდან, ჩრდილოეთ კავკასიიდან, კურსკის რკალიდან, უკრაინიდან, ბელორუსიიდან, ბალტიისპირეთიდან და ქვეყნის სხვა რაიონებიდან. და აი საათი, ფაშიზმთან საბოლოო ანგარიშსწორების საათი დადგა.

ძნელია სიტყვებით გადმოცემა იმ მღელვარებისა, რომელმაც მოიცვა ყველა საბჭოთა მებრძოლი.

აი, რას მოგვითხრობს 266-ე მსროლელთა დივიზიის 832-ე საარტილერიო პოლკის მე-6 ბატარეის ქვემეხის მეთაური, უფროსი სერჟანტი ნიკოლაი ვასილევი:

— ჩვენი ბატარეა უკვე საღამო ხანს გავიდა მაღლობებზე და ჩვენ დავინახეთ უზარმაზარი ქალაქი. სიხარულისა და ზეიმის გრძნობამ შეგვიპყრო ყველა: ეს იყო მტრის უკანასკნელი ზღუდე, და დადგა შურისძიების ჟამი!.. ჩვენ ვერც კი შევამჩნიეთ, როგორ მოვიდა მანქანა და იქიდან გადმოვიდა ჩვენი სარდალი გენერალი ბერზარინი. როცა სალამი მოგვცა, მან ჩვენს მეთაურს უბრძანა: „ფაშისტებს ბერლინში — ცეცხლი!“ ალბათ, ჩვენ ასეთი გამალებით და შეთანხმებულად არასოდეს არ გვიმოქმედნია ცეცხლის დაშენის დროს.

ბატარეის ჭურვებზე სანინსტრუქტორ შალანია იურჩენკოს წაე-

წერა: „სტალინგრადისათვის, დონბასისათვის, უკრაინისათვის, ქვრივობლებისათვის. დედების ცრემლებისათვის!"

ბერლინის აღმოსავლეთი ნაწილის იერიშის დროს ბრძოლებში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი 94-ე გვარდიული დივიზიის 286-ე გვარდიულმა მსროლელმა პოლკმა (მეთაური პოდპოლკოვნიკი ა. ნ. კრავჩენკო, და იმავე დივიზიის 283-ე გვარდიულმა მსროლელმა პოლკმა პოდპოლკოვნიკ ა. ა. იგნატიევის მეთაურობით.

მებრძოლები წინ მიისწრაფოდნენ და მასობრივ გმირობას ავლენდნენ. რაკი დარწმუნდა რომ პირდაპირი იერიშით ძნელი იყო ძლიერ გამაგრებული კუთხის სახლის ხელში ჩაგდება, რომელიც ხელს უშლიდა პოლკის წინსვლას, 283-ე გვარდიული პოლკის ასეულის პარტორგმა ალექსეი კუზნეცოვმა მებრძოლთა ჯგუფით ფარული გზებით შემოუარა სახლს და ფაშისტებს ზურგიდან დაარტყა. მტრის საყრდნობი პუნქტი აღებულ იქნა

უმაგალითო გმირობა გამოიჩინა უფროსმა ლეიტენანტმა ი .პ. უკრაინცევმა 283-ე გვარდიული პოლკიდან. ერთ-ერთი სახლის იერიშის დროს საქმე ხელჩართულ ბრძოლამდე მივიდა. იგი მტერს ეძგერა. ცხრა ფაშისტი განგმირა მამაცმა ოფიცერმა. მიჰბაძა რა მის მაგალითს, გვარდიის სერჟანტმა სტეფანე გრობაზაიმ თავისი ათეულით მოსპო ათეულობით ჰიტლერელი.

ამ ბრძოლებში გმირული სიკვდილით დაეცა 94-ე გვარდიული დივიზიის კომკავშირელთა შესანიშნავი ხელმძღვანელი, დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილე კომკავშირული მუშაობის დარგში, კაპიტანი ნიკოლოზ გორშელევი. იგი პირადი საბრძოლო მაგალითით აღაფრთოვანებდა ჯარისკაცებს და ყოველთვის იქ იყო, სადაც წყდებოდა ბრძოლაში წარმატების ბედი. მას პატივისცემითა და სიყვარულით ეპყრობოდნენ დივიზიის მებრძოლები სიმამაცისა და ჯარისკაცებსა და ოფიცრებზე გულითადი მზრუნველობისათვის.

22 აპრილს ბერლინის იერიშში ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია მე-9 მსროლელმა კორპუსმა საბჭოთა კავშირის გმირის გენერალ-მაიორ ი. პ. როსლის სარდლობით. ამ კორპუსის მებრძოლებმა გადამწყვეტი იერიშით აიღეს კარლსჰორსტი, კოპენიკის ნაწილი, გავიდნენ შპრეესთან და შეუჩერებლივ გადალახეს იგი.

აქ, როგორც მე მიამბეს, ბრძოლებში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი მოიერიშე რაზმმა დივიზიის უფროსის მოადგილის პოდპოლკოვნიკ თ. უ. გალკინის მეთაურობით. კარლსჰორსტის ხელში ჩაგდების შემდეგ რაზმმა ტრეპტოე-პარკზე შეტევისას შეუჩერებლივ იგდო ხელთ ბერლინის უმსხვილესი ელექტროსადგური რუმელსბურგი, რომელიც გერმანელებს ასაფეთქებლად ჰქონდათ გამზადებული. როცა თ. უ. გალკინის რაზმი ელექტროსადგურში შეიჭრა. იგი ჯერ კიდევ

სრული დატვირთვით მუშაობდა. სადგური დაუყოვნებლივ განნაღმეს. დარჩენილ მუშებთან დამყარდა სრული კონტაქტი. მათ თავის თავზე აიღეს ელექტროსადგურის ტექნიკური მომსახურების ვალდებულება.

ორგანიზებულობის, ვაჟკაცობისა და გმირობისათვის, რომელიც გამოავლინეს ელექტროსადგურ რუმელსბურგის აღებისას, მდინარე შპრეეს სწრაფი გადალახვისა და მრავალი ობიექტის ხელში ჩაგდებისათვის პოლკოვნიკ თ. უ. გალკინსა და მის ხელქვეითებს პოდპოლკოვნიკ ა. მ. ოკოგინსა და ა. ნ. ლევინს მიენიჭათ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

შპრეეს გადალახვისას გაბედულად მოქმედებდა დნეპრის სამხედრო ფლოტილიის სამდინარო ხომალდების 1-ლი ბრიგადა, განსაკუთრებით ამ ბრიგადის ნახევრადგლისერების რაზმი ლეიტანანტ მ. მ. კალინინის მეთაურობით. მიუხედავად მოწინააღმდეგის ძლიერი ცეცხლისა, 1-ლი თანრიგის ზემდეგმა გიორგი დუდნიკმა თავისი კატერით მტრის ნაპირზე გადაიყვანა 301-ე მსროლელი დივიზიის რამდენიმე მსროლელი ასეული.

ნაპირზე გადასვლისას მტრის ნაღმის პირდაპირი მოხვედრისაგან კატერზე ხანძარი გაჩნდა. ზემდეგი გიორგი დუდნიკი მძიმედ იყო დაჭრილი. მიუხედავად ჭრილობისა და დამწვრობისა, მან ნაპირამდე მიიყვანა კატერი, გადასხა დესანტი, ჩააქრო კატერზე ხანძარი და თავისი ნაპირისაკენ გამობრუნდა. მაგრამ მან ვერ მიაღწია ნაპირს და დაიღუპა ნაღმსატყორცნის ცეცხლისაგან...

მეორე კატერის მოტორისტმა ა. ე. სამოხვალოვმა ჩვენი ნაწილების დესანტის გადასხმის დროს გამოიჩინა არაჩვეულებრივი სიმამაცე და საზრიანობა. მოწინააღმდეგის ცეცხლქვეშ მან შეაკეთა კატერში არსებული დაზიანება, ხოლო, როცა მოწინააღმდეგის ცეცხლისაგან დაიღუპა მისი მეთაური, თავის თავზე აიღო მეთაურობა და განაგრძო ჩვენი ჯარების გადაყვანა.

დნეპრის ფლოტილიის ბობრუისკის 1-ლი ბრიგადის მეზღვაურების მიერ გამოვლინებული მამაცობისა და გმირობისათვის საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 31 მაისის ბრძანებულებით საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ ლეიტენანტ მ. მ. კალინინს, ზემდეგებს გ. გ. დუდნიკს, გ. პ. კაზაკოვს და ა. პ. პაშკოვს, მატროსებს ნ. ა. ბარანოვს, ა. ე. სამოხვალოვს, მ. ტ. სოტნიკოვს, ნ. ა. ფილიპოვსა და ვ. ვ. ჩერინოვს. დნეპრის წითელდროშოვანი ფლოტილია დაჯილდოებულ იქნა უშაკოვის 1-ლი ხარისხის ორდენით.

24 აპრილს მე-5 დამკვრელი არმია, რომელიც აწარმოებდა გაალფთრებულ ბრძოლებს, წარმატებით განაგრძობდა წინსვლას ბერლინის ცენტრისაკენ, ალექსანდრპლაცის მოედნისაკენ, კაიზერ ვილჰელმის სასახლისაკენ, ბერლინის რატუშისა და საიმპერიო კანცელარიისაკენ.

გათვალისწინებულ იქნა მე-5 დამკვრელი არმიის ყველაზე უფრო წარმატებითი წინსვლა, აგრეთვე მისი სარდლის საბჭოთა კავშირის გმირის გენერალ-პოლკოვნიკ ნ. ე. ბერზარინის განსაკუთრებული თვალსაჩინო პირადი თვისებანი და 24 აპრილს იგი დაინიშნა პირველ საბჭოთა კომენდანტად და ბერლინის საბჭოთა გარნიზონის უფროსად.

იმ დღეებში მწერალმა ვსევოლოდ ვიშნევსკიმ თავის დღიურში გააკეთა ასეთი ჩანაწერი: „ქალაქის კომენდანტად დანიშნულია N დამკვრელი არმიის სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ბერზარინი. ეს ერთ-ერთი მეტად კულტურული გენერალია წითელ არმიაში. მას აქვს მასშტაბი“[1].

ნიკოლოზ ერასტის ძე ბერზარინი იყო კომუნისტური პარტიის ერთგული შვილი, სამშობლოს პატრიოტი, გამოცდილი, მტკიცე ნებისყოფის, დისციპლინირებული მეთაური. სარდლობდა რა სამამულო ომში არმიებს, ნ. ე. ბერზარინმა კიშინიოვის, ვისლა-ოდერის, ბერლინის და სხვა ოპერაციებში თავი გამოიჩინა როგორც ნიჭიერმა მბედართუფროსმა. იგი გულისყურით ეკიდებოდა ოპერაციის დამუშავებისა და ჯარების ბელმძღვანელობის საქმეს, შემოქმედებითად ასრულებდა უმაღლესი მთავარსარდლობის ბრძანებებს. თავის მუშაობაში იგი ყოველთვის ეყრდნობოდა კომუნისტებს.

საარმიო საქმეებში მას ჯარგ დახმარებას უწევდა სამხედრო საბჭოს წევრი გენერალ-ლეიტენანტი თეოდორე ექეთიმეს ძე ბოკოვი, რომელმაც ადრე გენერალურ შტაბში მუშაობის დროს მნიშვნელოვანი გამოცდილება მიიღო ოპერატიულ-სტრატეგიულ საკითხებში და ოპერაციის ორგანიზაციის საქმეში.

25 აპრილს სულ უფრო მეტი გააფთრებით წარმოებდა ბრძოლები ბერლინის ცენტრში. მოწინააღმდეგე, რომელიც ეყრდნობოდა თავდაცვის მძლავრ კვანძებს, შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევდა.

ჩვენი ჯარები დიდ დანაკლისს განიცდიდნენ, მაგრამ წარმატებებით აღფრთოვანებულნი მიისწრაფოდნენ წინ — ბერლინის ცენტრისაკენ, სადაც ჯერ კიდევ იმყოფებოდა მოწინააღმდეგის უმაღლესი მთავარსარდლობა ჰიტლერის მეთაურობით. ამის შესახებ ჩვენ კარგად ვიცოდით გერმანული რადიოგადაცემებიდან. ჰიტლერი ისტერიულად მოუწოდებდა თავის არმიებს ეხსნათ ბერლინი, და არც კი იცოდა, რომ ისინი უკვე განადგურებულნი იყვნენ ბელორუსიის 1-ლი და უკრაინის 1-ლი ფრონტების ჯარების მიერ.

29 აპრილს ქალაქის ცენტრში გაიმართა ყველაზე გააფთრებული ბრძოლები.

რატუშას უტევდნენ 1008-ე მსროლელი პოლკი (მეთაური პოლკოვნიკი ვ. ნ. ბორისოვი) და 266-ე მსროლელი დივიზიის 1010-ე

---

[1] Вс. Вишневский. Сочинения, т. 4, гр. 853.

პოლკი (მეთაური პოლკოვნიკი მ. თ. ზაგოროდსკი). მრავალი ამაღელვებელი გმირობა ჩაიდინეს ამ დივიზიის მებრძოლებმა. რომელთა შესახებაც იმ დღეებში მიამბეს იერიშის უშუალო მონაწილეებმა.

კაპიტან ნ. ვ. ბობილევის ბატალიონმა მიიღო ამოცანა გაეღწია რატუშისაკენ და მაიორ ვ. ა. ალექსეევის ბატალიონთან ერთად აიღო იგი. ჩვენს მებრძოლებს, რომლებიც უტევდნენ ტანკების და თვითმავალი არტილერიის მხარდაჭერით, წინ ცეცხლის ისეთი გრიგალი გადეღობათ, რომ ქუჩაზე წინ წაწევა თითქმის შეუძლებელი გახდა.

მაშინ გადაწყდა რატუშისაკენ გაეღწიათ შენობების კედლებიდან, რისთვისაც გასასვლელები გაეკეთებინათ ასაფეთქებელი ნივთიერებით. მესანგრეები მოწინააღმდეგის ცეცხლქვეშ აწყობდნენ ტოლს და ერთი მეორეზე მიყოლებით აფეთქებდნენ სახლების კედლებს. აფეთქებათა კვამლი გაფანტვას ვერ ასწრებდა, რომ გასასვლელებში ცვივოდნენ მოიერიშე ჯგუფები და ხელჩართული ბრძოლის შემდეგ მტრისაგან სწმენდნენ რატუშის მომიჯნავე შენობებს.

ბრძოლაში ჩაბმულ იქნენ ტანკები და მძიმე თვითმავალი ქვემეხები. მათ რამდენიმე გასროლით შეანგრიეს რატუშის რკინის ჭიშკარი, კედლებში გააკეთეს ნახვრეტები და იმავე დროს დააყენეს კვამლის ფარდა. მთელი შენობა სქელმა კვამლმა მოიცვა.

პირველი იქ ლეიტენანტ კ. მადენოვის ოცეული შეიჭრა. მამაც ლეიტენანტთან ერთად გაბედულად მოქმედებდნენ მებრძოლები ნ. ჰ. კონდრაშევი, კ. ე. კრიუტჩენკო, ი. ფ. კაშპუროვსკი. და სხვები. ისინი ხელყუმბარებს ისროდნენ ვესტიბიულში და კორიდორებში. ყოველი ოთახის აღება ბრძოლით ხდებოდა.

1108-ე მსროლელი პოლკის 1-ლი ბატალიონის კომორგი უმცროსი ლეიტენანტი კ. გ. გრომოვი რატუშის სახურავზე აძვრა. კონსტანტინე გრომოვმა ფაშისტური ალამი ქვაფენილზე გადმოისროლა და რატუშაზე ჩვენი წითელი დროშა ააფრიალა. ამ ბრძოლებში გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისათვის კონსტანტინე გრიგორის ძე გრომოვს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

მე-5 დამკვრელი არმია, რომელიც წარმატებით უტევდა ბერლინის ცენტრში, კარგად ურთიერთმოქმედებდა მე-3 დამკვრელ და მე-2 გვარდიულ სატანკო არმიებთან, მე-16 საჰაერო არმიასთან და სხვა ნაწილებთან. სწრაფი წარმატება, რომელიც მიღწეულ იქნა ქალაქის ცენტრისათვის წარმოებულ ბრძოლებში, ყველა შემტევ არმიებს შორის ურთიერთმოქმედების მარჯვე ორგანიზაციის შედეგი იყო.

აქ მე უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშნო მე-5 არმიის შტაბის უფროსის გენერალ ა. მ. კუშჩევის, მისი მოადგილის გენერალ ს. ჰ. პეტროვის, სადაზვერვო განყოფილების უფროსის ა. დ. სინიაევის,

შტაბის პარტორგის ე. კ. პოპოვის, კავშირგაბმულობის უფროსის ვ. თ. ფალინის და შტაბის სხვა ოფიცერთა ბრწყინვალე მუშაობა.

მაშ ასე, დასასრული შორს აღარ იყო.

მაინც რისი იმედი ჰქონდა ჰიტლერულ ხელმძღვანელობას გერმანიისათვის ამ კრიტიკულ მომენტში?

კაიტელმა დაკითხვაზე უჩვენა: „ჯერ კიდევ 1944 წლის ზაფხულიდან გერმანია ომს აწარმოებდა დროის მოგების მიზნით, რაკი იმედი ჰქონდა რომ ომში, რომელშიაც ორსავე მხრიდან მონაწილეობდნენ სხვადასხვა სახელმწიფოები, სხვადასხვა სარდლები, სხვადასხვა არმიები და სხვადასხვა ფლოტები, ყოველ წუთს შეიძლებოდა მომხდარიყო ვითარების სრულიად მოულოდნელი ცვლილება სხვადასხვა ძალების კომბინაციის შედეგად. ამრიგად, ჩვენ ომს ვაწარმოებდით იმ მოვლენათა მოლოდინის იმედით, რომლებიც უნდა მომხდარიყო, მაგრამ არ მოხდა“.

ბერლინის დაცემის მომენტში ჰიტლერს უკვე აღარ შეეძლო ამ მოვლენების იმედი ჰქონოდა და გადმოისროლა ლოზუნგი: „უმჯობესია ბერლინი ჩავაბაროთ ამერიკელებს და ინგლისელებს, ვიდრე იქ რუსები შეუშვათ“.

ტყვე გერმანელი ჯარისკაცები ბერლინში თავიანთ ჩვენებებში ამბობდნენ: „ოფიცრები ირწმუნებოდნენ, რომ ყოველი ღონე იქნებოდა მიღებული იმისათვის, რათა არ დაეშვათ რუსების მიერ ბერლინის დაპყრობა. თუ ქალაქის ჩაბარებაზე მიდგებოდა საქმე, მაშინ იგი მხოლოდ ამერიკელებს ჩაბარდებოდა“.

ბრძოლამ ბერლინში თავის კულმინაციურ წერტილს მიაღწია. ჩვენ ყველას გვინდოდა 1-ლი მაისისათვის დაგვემთავრებინა ბერლინის დაჯგუფების მოსპობა. მაგრამ მტერი, მართალია აგონიაში იყო, მაგრამ მაინც განაგრძნობდა ბრძოლას, ეჭიდებოდა ყოველ სახლს, ყოველ სარდაფს, ყოველ სართულსა და სახურავს.

მიუხედავად ამ ფანატიკური წინააღმდეგობისა, საბჭოთა შეომრები კვარტალს კვარტალზე იპყრობდნენ. გენერალ ვ. ი. კუზნეცოვის, ნ. ე. ბერზარინის, ს. ი. ბოგდანოვის, მ. ე. კატუკოვისა და ვ. ი. ჩუიკოვის ჯარები სულ უფრო წინ მიიწევდნენ ბერლინის ცენტრისაკენ.

1945 წლის 30 აპრილი სამუდამოდ დარჩება საბჭოთა ხალხის ხსოვნაში და ფაშისტურ გერმანიასთან მისი ბრძოლის ისტორიაში.

ამ დღეს, 14 საათსა და 25 წუთზე. მე-3 დამკვრელი არმიის ჯარებმა (სარდალი გენერალი ვ. ი. კუზნეცოვი, სამხედრო საბჭოს წევრი გენერალი ა. ი. ლიტვინოვი), აიღეს რაიხსტაგის შენობის ძირითადი ნაწილი.

რაიხსტაგისათვის სისხლისმღვრელი ბრძოლა გაჩაღდა. მის მისადგომებს ფარავდა მაგარი შენობები, რომლებიც ბერლინის დაცვის

მეცხრე ცენტრალური სექტორის სისტემაში შედიოდა. რაიხსტაგის რაიონს იცავდნენ დაახლოებით ექვსი ათასი კაცის რაოდენობით შერჩეული ესესელთა ნაწილები, აღჭურვილნი ტანკებით, საიერიშო ქვემეხებით და მრავალრიცხოვანი არტილერიით.

რაიხსტაგის შენობის უშუალო იერიშს ახორციელებდა გაძლიერებული 150-ე მსროლელთა იდრიცკის დივიზია (მე-3 დამკვრელი არმიისა), რომლის სათავეში იდგა გამოცდილი გენერალი საბჭოთა კავშირის გმირი ვ. მ. შატილოვი. 150-ე დივიზიას ეხმარებოდნენ 23-ე სატანკო ბრიგადა და არმიის სხვა ნაწილები. ამ ისტორიულად მნიშვნელოვან ბრძოლას პირადად ადევნებდა თვალყურს არმიის სარდალი ვ. ი. კუზნეცოვი, რომელსაც ჩემთან განუწყვეტელი კავშირი ჰქონდა.

30 აპრილს დაახლოებით 15 საათზე მან საკომანდო პუნქტზე დამირეკა და სიხარულით შემატყობინა:

— რაიხსტაგზე — წითელი დროშაა! ვაშა, ამხანაგო მარშალო!

— ძვირფასო ვასილ ივანეს ძევ, — ვუპასუხე მე, — გულითადად გილოცავ შენ და ვულოცავ ყველა შენს ჯარისკაცს შესანიშნავ გამარჯვებას. ჯარების ამ ისტორიულ გმირობას არასოდეს არ დაივიწყებს საბჭოთა ხალხი. თვით რაიხსტაგის მდგომარეობა როგორია?

— შენობის ზედა სართულების ზოგიერთ ნაკვეთურსა და აგრეთვე სარდაფში ჯერ კიდევ მიმდინარეობს ბრძოლა, — მომახსენა ვ. ი. კუზნეცოვმა.

1-ლი მაისის დღის ბოლოსათვის ჰიტლერელთა ნაწილები დაახლოებით 1,500 კაცის საერთო რაოდენობით, ვეღარ გაუძლეს რა ბრძოლას, დაგვნებდნენ. რაიხსტაგი მთლიანად გაიწმინდა მოწინააღმდეგისაგან.

რაიხსტაგის კომენდანტად დაინიშნა 150-ე დივიზიის პოლკის ძეთაური პოლკოვნიკი თედორე მათეს ძე ზინჩენკო.

ბრძოლა ბერლინისათვის სამკვდრო-საციცოცხლო იყო, დედა-რუსეთის სიღრმიდან, მოსკოვიდან, გმირი-ქალაქებიდან — სტალინგრადიდან და ლენინგრადიდან, უკრაინიდან, ბელორუსიიდან, ბალტიისპირეთის, ამიერკავკასიისა და სხვა რესპუბლიკებიდან მოვიდნენ აქ ჩვენი ადამიანები, რათა დაემთავრებინათ სამართლიანი ომი მათ წინააღმდეგ, ვინც მათი სამშობლოს თავისუფლების ხელყოფას შეეცადა. ბევრს ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოშუშებული გასულ ბრძოლებში მიღებული ჭრილობები. დაჭრილები არ ტოვებდნენ მწყობრს. ყველა წინ მიისწრაფოდა, თითქოს მძიმე ომის ოთხი წელი არც ყოფილაო, ყველა ერთი სულისკვეთებით განიმსჭვალა, რათა დიადი საქმე შეესრულებინათ — ბერლინში გამარჯვების დროშა აღემართათ.

ბევრი აღმაფრენა და გამბედაობა გამოიჩინეს ყველაფერში ჩვენმა მეომრებმა. ჩვენი არმიის მოწიფულობა, მისი ზრდა ომის წლებ-

ში მთლიანად გამომჟღავნდა ბერლინის ბრძოლაში. ჯარისკაცებმა, სერჟანტებმა, ოფიცრებმა და გენერლებმა ბერლინის ოპერაციაში თავი გამოიჩინეს როგორც შემოქმედებითად მოწიფულმა, მტკიცე და შეუპოვარმა, გაბედულმა ადამიანებმა. ჩვენმა კომუნისტურმა პარტიამ დიდ სამამულო ომში ისინი აქცია განსაკუთრებულად გამოცდილ მეომრებად, თავისი საქმის ნამდვილ ოსტატებად, ხოლო გამოცდილება და ცოდნა კი ყველაზე ხელსაყრელი ნიადაგია სამხედრო ხელოვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის.

რამდენი ფიქრი გაუელვებდა ადამიანს იმ სასიხარულო წუთებში! უმძიმესი ბრძოლა ბოლკოვთან, სადაც ჩვენი ჯარები სამკედრო-სასიცოცხლოდ იდგნენ, არ შეუშვეს რა მტერი დედაქალაქში, ნანგრევებად ქცეული სტალინგრადი, დაუმორჩილებელი და სახელოვანი ლენინგრადი, რომელმაც უმძიმესი ბლოკადა გადაიტანა, სევასტოპოლი, რომელიც ესოდენ გმირულად იბრძოდა რჩეული ჰიტლერული ჯარების წინააღმდეგ, კურსკის რკალზე გამარჯვების ზეიმი და ათასობით განადგურებული სოფლები და ქალაქები, მრავალმილიონიანი მსხვერპლი საბჭოთა ხალხისა, რომელმაც გმირულად გადაიტანა მკაცრი წლები.

და აი, ბოლოს, ყველაზე მთავარი, რისთვისაც ჩვენმა ხალხმა უდიდესი ტანჯვა გადაიტანა, — ფაშისტური გერმანიის სრული განადგურება, ჩვენი სამართლიანი საქმის ზეიმი!

1-ლ მაისს გერმანელების ხელში დარჩა მხოლოდ ტირგარტენი და მთავრობის კვარტალი. აქ მოთავსებული იყო საიმპერიო კანცელარია, რომლის ეზოშიც ჰიტლერის ბანაკის ბუნკერი იდგა.

ამ დღეს მარტინ ბორმანმა თავის დღიურში ჩაწერა: „ჩვენი საიმპერიო კანცელარია ნანგრევებადაა ქცეული“.

თავი მეოცე

ფაშისტური გერმანიის უსიტყვო კაპიტულაცია

1-ლ მაისს 3 საათსა და 50 წუთზე მე-8 გვარდიის არმიის საკომანდო პუნქტზე მოიყვანეს გერმანიის სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის უფროსი ქვეითი ჯარის გენერალი კრებსი. მან განაცხადა, რომ იგი უფლებამოსილია უშუალო კონტაქტი დაამყაროს წითელი არმიის უმაღლეს სარდლობასთან დროებითი ზავის შესახებ მოლაპარაკების ჩასატარებლად.

4 საათზე გენერალმა ვ. ი. ჩუიკოვმა ტელეფონით მომახსენა, რომ გენერალმა ,კრებსმა მას აცნობა ჰიტლერის თვითმკვლელობა. კრებსის გადმოცემით, ეს მოხდა 30 აპრილს 15 საათსა და 50 წუთზე. ვასილ ივანეს ძემ იქვე წამიკითხა საბჭოთა უმაღლესი სარდლობისადმი გებელსის წერილის შინაარსი. მასში ნათქვამი იყო;

„თანახმად ჩვენგან წასული ფიურერის ანდერძისა, გენერალ კრებსს ვაძლევთ შემდეგ რწმუნებულებას. ჩვენ ვაცნობებთ საბჭოთა ხალხის ბელადს, რომ დღეს 15 საათსა და 50 წუთზე ფიურერი თავისი ნებით გამოესალმა სიცოცხლეს. მისი კანონიერი უფლების საფუძველზე ფიურერმა მთელი ძალაუფლება მის მიერ დატოვებულ ანდერძში გადასცა დენიცს, მე და ბორმანს. მე ბორმანი აღვჭურვე უფლებით კავშირი დაამყაროს საბჭოთა ხალხის ბელადთან. ეს კავშირი საჭიროა მშვიდობიანი მოლაპარაკებისათვის იმ ორ სახელმწიფოს შორის, რომლებმაც ყველაზე მეტი ზარალი ნახეს. გებელსი“.

გებელსის წერილს თანდართული ჰქონდა ჰიტლერის ანდერძი ახალი საიმპერიო მთავრობის სიით. ანდერძს ხელს აწერდა ჰიტლერი და ადასტურებდნენ მოწმეები(იგი დათარიღებული იყო 1945 წლის 29 აპრილის 4 საათით).

ამ ცნობის დიდი მნიშვნელობის გამო მე ჩემი მოადგილე არმიის გენერალი ვ. დ. სოკოლოვსკი დაუყოვნებლივ გავგზავნე ვ. ი. ჩუიკოვის საკომანდო პუნქტზე გერმანელ გენერალთან მოსალაპარაკებლად.

სოკოლოვსკის კრებსისაგან უნდა მოეთხოვა ფაშისტური გერმანიის უსიტყვო კაპიტულაცია.

აქვე დავუკავშირდი მოსკოვს და დავურეკე ი. ბ. სტალინს. იგი აგარაკზე იყო. ტელეფონთან მოვიდა მორიგე გენერალი, რომელმაც მითხრა:

— სტალინმა ეს-ეს არის დაიძინა.

— გთხოვთ გააღვიძოთ. საქმე სასწრაფოა და მისი დილამდე გადადება არ შეიძლება.

ი. ბ. სტალინი ძალიან ჩქარა მოვიდა ტელეფონთან. მე მოვახსენე მიღებული ცნობა ჰიტლერის თვითმკვლელობისა და კრებსის გამოჩენის შესახებ. ასევე გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ კრებსთან მოლაპარაკება დაევალოს გენერალ ვ. დ. სოკოლოვსკის. ვთხოვე მოეცა მითითებანი:

ი. ბ. სტალინმა მიპასუხა:

— დაასრულა თამაში, არამზადა. სამწუხაროა, რომ არ მოხერხდა მისი ცოცხლად ხელში ჩაგდება. სადაა ჰიტლერის გვამი?

— გენერალ კრებსის ცნობით, ჰიტლერის გვამი კოცონზეა დამწვარი.

— გადაეცით სოკოლოვსკის, — მითხრა უმაღლესმა სარდალმა, — არავითარი მოლაპარაკება, გარდა უსიტყვო კაპიტულაციისა, არც კრებსთან, არც სხვა ჰიტლერელებთან არ აწარმოოთ.

თუ საგანგებო რაიმე არ მოხდება. — დილამდე არ დამირეკოთ, მინდა ცოტა მოვისვენო. ხვალ ჩვენ საპირველმაისო პარადი გვაქვს.

საპირველმაისო პარადი... საპირველმაისო დემონსტრაციები... ყოველივე ეს რა ახლო და ძვირფასია საბჭოთა ადამიანისათვის, განსაკუთრებით სამშობლოს ფარგლებს გარეთ მყოფისათვის! მე ნათლად წარმოვიდგინე, თუ როგორ მიემართებიან ახლა მოსკოვის გარნიზონის ჯარები წითელი მოედნისაკენ. დილაზე ისინი დაიკავებენ თავიანთ ადგილებს და პარადის მიმღების სიტყვის შემდეგ საზეიმო მარშით გაივლიან ვ. ი. ლენინის მავზოლეუმის წინ, მთავრობისა და პარტიის ხელმძღვანელობის წინ, გაივლიან ჭაღარა კრემლის კედლების გასწვრივ, გაივლიან მტკიცე ნაბიჯით, სიამაყით წარმოგვიდგენენ რა საბჭოთა შეიარაღებული ძალების გამარჯვების სიძლიერეს, რომლებმაც იხსნეს ევროპა ფაშიზმის საფრთხისაგან.

დაახლოებით დილის 5 საათისათვის დამირეკა ვ. დ. სოკოლოვსკიმ და მომახსენა გენერალ კრებსთან პირველი მოლაპარაკების შესახებ.

— რაღაცას ეშმაკობენ ისინი, — მითხრა ვ. დ. სოკოლოვსკიმ. — კრებსი აცხადებს, რომ იგი არაა უფლებამოსილი გადაწყვიტოს უსიტყვო კაპიტულაციის საკითხები. მისი სიტყვებით, მისი გადაწყვე-

ტა შეუძლია მხოლოდ გერმანიის ახალ მთავრობას დენიცის მეთაურობით.

კრებსი დროებითი ზავის მიღწევას თითქოს იმისათვის ცდილობს, რომ ბერლინში შეკრიბოს დენიცის მთავრობა. ვფიქრობ, ჩვენ მოგვიხდება მათი ჯანდაბაში გაგზავნა, თუ ახლავე არ დათანხმდებიან უსიტყვო კაპილუტაციაზე.

— სწორია, ვასილ დანიელის ძეო, — ვუპასუხე მე. — გადაეცი, რომ თუ 10 საათამდე უსიტყვო კაპიტულაციაზე გებელსისა და ბორმანის თანხმობა არ იქნება მოცემული, ჩვენ ისეთი ძალით დავარტყამთ, რომ სამუდამოდ დაკარგავენ წინააღმდეგობის გაწევის ხალისს. დაე, ჰიტლერელები ჩაუფიქრდნენ გერმანელი ხალხის უაზრო მსხვერპლს და უგუნურებისათვის თავიანთ პირად პასუხისმგებლობას.

დანიშნული დროისათვის გებელსსა და ბორმანს პასუხი არ მოუციათ.

10 საათსა და 40 წუთზე ჩვენმა ჯარებმა გრიგალისებური ცეცხლი დაუშინეს ქალაქის ცენტრის თავდაცვის საგანგებო სექტორის ნარჩენებს. 18 საათზე ვ. დ. სოკოლოვსკიმ მომახსენა, რომ გერმანელთა ხელმძღვანელობამ პარლამენტიორი გამოგზავნა. მან მაცნობა, რომ გებელსმა და ბორმანმა უარი განაცხადეს უსიტყვო კაპიტულაციაზე.

ამის საპასუხოდ 18 საათსა და 30 წუთზე წარმოუდგენელი სიძლიერით დაიწყო უკანასკნელი იერიში ქალაქის ცენტრის იმ ნაწილისა, სადაც საიმპერიო კანცელარია იმყოფებოდა და ჰიტლერთა ნარჩენები იყვნენ ჩასაფრებულნი.

ზუსტად არ მახსოვს დრო, მაგრამ როგორც კი დაბინდდა, დამირეკა მე-3 დამკვრელი არმიის სარდალმა გენერალ ვ. ი. კუზნეცოვმა და აღელვებული ხმით მომახსენა:

— ეს-ეს არის 52-ე გვარდიული დივიზიის უბანზე გაიჭრა გერმანელთა ტანკების ჯგუფი, დაახლოებით 20 მანქანა, რომელმაც დიდი სიჩქარით გაიარა ქალაქის ჩრდილო-დასავლეთის განაპირა მხარე.

ცხადი იყო, რომ ვაღაც მიიპარებოდა ბერლინიდან.

წარმოიშვა ყველაზე არასასიამოვნო ვარაუდები. ვიღაცამ თქვა კიდეც, შესაძლოა, სატანკო ჯგუფს, რომელმაც გარემოცვას თავი დაალწია, ჰიტლერი, გებელსი და ბორმანი მიჰყავსო.

იმ წამსვე საბრძოლო განგაშით ფეხზე დადგნენ ჯარები, რათა ბერლინის რაიონიდან არც ერთი ცოცხალი ადამიანი არ ყოფილიყო გაშვებული. დაუყოვნებლივ მიეცათ მითითება 47-ე არმიის სარდალს თ. ი. პერხოროვიჩს, 61-ე არმიის სარდალს პ. ა. ბელოვს, პოლონეთის ჯარის 1-ლი არმიის სარდალს ს. გ. პოპლავსკის მჭიდროდ გადაეკეტათ ყველა გზა და გასასვლელი დასავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით. მე-2 გვარდიული სატანკო არმიის სარდალს გენერალ

ს. ი. ბოგდანოვს და არმიის სარდალ გენერალ ვ. ი. კუზნეცოვს ებრძანათ დაუყოვნებლივ მოეწყოთ დევნა ყველა მიმართულებით, ეოენახათ და მოესპოთ გაქცეული ტანკები.

2 მაისს გათენებისას ბერლინიდან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით 15 კილომეტრზე ტანკების ჯგუფი აღმოჩენილ და სწრაფად განადგურებულ იქნა ჩვენი ტანკების მიერ. ტანკების ნაწილი დაიწვა, ნაწილი დაიმტერა. დაღუპულ ეკიპაჟთა შორის ჰიტლერელ მეთაურთაგან არავინ იყო აღმოჩენილი. იმის გამოცნობა კი, რაც დამწვარ ტანკებში დარჩა, შეუძლებელი გახდა.

2 მაისს ღამით, 1-ლ საათსა და 50 წუთზე, ბერლინის თავდაცვის შტაბის რადიოსადგურმა გადასცა და რამდენჯერმე გაიმეორა გერმანულ და რუსულ ენებზე:

„ვგზავნით ჩვენს პარლამენტიორებს ბისმარკშტრასეს ხიდზე. ვწყვეტთ საომარ მოქმედებას".

2 მაისს დილის 6 საათსა და 30 წუთზე მოხსენებულ იქნა: 47-ე გვარდიული დივიზიის უბანზე ტყვედ დაგვნებდა 56-ე სატანკო კორპუსის მეთაური გენერალი ვეიდლინგი. ვეიდლინგთან ერთად დაგვნებდნენ მისი შტაბის ოფიცრები. წინასწარ დაკითხვაზე გენერალმა ვეიდლინგმა გვაცნობა, რომ რამდენიმე დღის წინ პირადად ჰიტლერის მიერ იგი დანიშნული იყო ბერლინის თავდაცვის სარდლად.

გენერალი ვეიდლინგი მაშინვე დათანხმდა გაეცა ბრძანება თავისი ჯარებისათვის წინააღმდეგობის შეწყვეტის შესახებ. აი ის ტექსტი, რომელსაც მან 2 მაისს დილით მოაწერა ხელი და რადიოთი გამოაცხადა:

„30 აპრილს ფიურერმა თავი მოიკლა და, ამრიგად, მიგვატოვა ჩვენ, რომლებმაც მას ერთგულების ფიცი მივეცით. ფიურერის ბრძანებით ჩვენ, გერმანიის ჯარებს, კიდევ უნდა გვებრძოლა ბერლინისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ამოიწურა საომარი მასალა, და მიუხედავად საერთო ვითარებისა, რომელიც უაზროდ ხდის ჩვენს შემდგომ წინააღმდეგობას.

ვბრძანებ: დაუყოვნებლივ შეწყდეს წინააღმდეგობა. ხელმოწერა: ვეიდლინგი (არტილერიის გენერალი, ბერლინის თავდაცვის ზონის ყოფილი სარდალი)".

იმავე დღეს დაახლოებით 14 საათზე შემატყობინეს, რომ ტყვედ დანებებულმა პროპაგანდის მინისტრის მოადგილემ დოქტორ ფრიჩემ შემოგვთავაზა ნება მიგვეცა გამოსულიყო რადიოთი გერმანელთა ჯარებისადმი მიმართვით ყოველგვარი წინააღმდეგობის შეწყვეტის შესახებ. რათა ყოველი ღონისძიებით ბრძოლის დამთავრება დაგვეჩქარებინა, ჩვენ დავთანხმდით დაგვეთმო მისთვის რადიოსადგური.

რადიოთი გამოსვლის შემდეგ ფრიჩე ჩემთან მოიყვანეს. დაკითხ-

ვაზე მან გაიმეორა ის, რაც უკვე ძირითადად ცნობილი იყო კრებსთან ვამართული მოლაპარაკებიდან. როგორც ცნობილია, ფრიჩე ჰიტლერის, გებელსისა და ბორმანის ერთ-ერთი ყველაზე ახლობელი ადამიანი იყო.

მან გადმომცა, რომ 29 აპრილს ჰიტლერმა მოიწვია თავის მახლობელ პირთა თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ ბორმანი, გებელსი, აკსმანი, კრებსი და ფაშისტური ხელმძღვანელობის სხვა პასუხისმგებელი პირები. თვითონ იგი, ფრიჩე, თითქოს ამ თათბირს არ დასწრებია, მაგრამ მოგვიანებით მას ყველაფერი დაწერილებით აცნობა გებელსმა.

ფრიჩეს გადმოცემით, უკანასკნელ დღეებში, განსაკუთრებით 20 აპრილის შემდეგ, როცა საბჭოთა არმიამ ბერლინს დაუშინა ცეცხლი, ჰიტლერი მეტწილად გაოგნებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, დროდადრო კი მას ისტერიული შეტევები ემართებოდა. ზოგჯერ იგი იწყებდა არეულ მსჯელობას მოახლოებული გამარჯვების შესახებ.

ჩემს შეკითხვაზე ჰიტლერის უკანასკნელი გეგმების შესახებ ფრიჩემ მიპასუხა, რომ ზუსტად არ იცის, მაგრამ გაგონილი აქვს, რომ, ოდერზე რუსების შეტევის დაწყებისას, ზოგი ვინმე ხელმძღვანელობიდან ბერხტესგადენსა და სამხრეთ ტიროლში გაემგზავრა. მათთან ერთად რაღაც ტვირთი იგზავნებოდა. იქვე უნდა გაფრენილიყო მთავარი სარდლობა ჰიტლერის მეთაურობით. სულ უკანასკნელ მომენტში, როდესაც საბჭოთა ჯარები ბერლინს მიუახლოვდნენ, ლაპარაკი იყო შლეზვიგ-გოშტეინში ევაკუაციის შესახებ. თვითმფრინავები საიმპერიო კანცელარიის რაიონში სრულ მზადყოფნაში იყვნენ, მაგრამ ისინი სულ მალე საბჭოთა ავიაციამ გაანადგურა.

ფრიჩემ მეტი ვერაფერი ვერ გვითხრა.

მეორე დღეს იგი გაიგზავნა მოსკოვში უფრო დეტალური დაკითხვის ჩასატარებლად.

რამდენიმე სიტყვა უკანასკნელ, დამამთავრებელ ბრძოლაზე ბერლინში.

ნ. ე. ბერზარინის არმიის 248-ე (დივიზიის მეთაური გენერალი ნ. ზ. გალაი) და 230-ე (დივიზიის მეთაური პოლკოვნიკი დ. კ. შიშკოვი) დივიზიებმა 1-ლ მაისს იერიშით აიღეს სახელმწიფო ფოსტამტი და ბრძოლა გააჩაღეს ფინანსთა სამინისტროს სახლისათვის, რომელიც საიმპერიო კანცელარიის პირდაპირ მდებარეობდა. 1-ლ მაისს 301-ე დივიზიამ (დივიზიის მეთაური პოლკოვნიკი ვ. ს. ანტონოვი) 248-ე მსროლელთა დივიზიასთან თანამოქმედებით იერიშით აიღო გესტაპოს შენობა და ავიაციის სამინისტრო.

1-ლი მაისის საღამოს მე-5 დამკვრელი არმიის 301-ე და 248-ე მსროლელთა დივიზიები უკანასკნელ ბრძოლას აწარმოებდნენ საიმ-

პერიო კანცელარიის დაპყრობისათვის. შეტაკება ამ შენობის მისადგომებზე და შიგნით მეტად გააფთრებულ ხასიათს ატარებდა. 1050-ე მსროლელთა პოლკის ერთ-ერთ მოიერიშე ჯგუფის შემადგენლობაში მთელი გაბედულობით მოქმედებდა მე-9 მსროლელთა კორპუსის პოლიტგანყოფილების ინსტრუქტორი მაიორი ანა ვლადიმერის ასული ნიკულინა. ოფიცრებთან ი. დავიდოვთან და თ. შაპოვალოვთან ერთად მან წითელი დროშა აღმართა საიმპერიო კანცელარიაზე.

საიმპერიო კანცელარიის დაპყრობის შემდეგ მის კომენდატად დაინიშნა 301-ე მსროლელთა დივიზიის მეთაურის მოადგილე პოლკოვნიკი ვ. ე. შევცოვი.

2 მაისის 15 საათისათვის მტერი მთლიანად განადგურებულ იქნა. ბერლინის გარნიზონის ნარჩენები ტყვედ დაგვნებდა; მათი რაოდენობა 70 ათას კაცზე მეტი იყო, დაჭრილების ჩაუთვლელად. ბევრნი იმათგან, ვინც იარაღით ხელში იბრძოდა, როგორც ჩანს, უკანასკნელ დღეებში გაიქცნენ და მიიმალნენ.

1945 წლის 2 მაისი საბჭოთა ხალხის, მისი შეიარაღებული ძალების, ამ ომში ჩვენი მოკავშირეებისა და მთელი მსოფლიოს ხალხთა დიადი ზეიმის დღე იყო.

იმ დღეს უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებაში ნათქვამი იყო: „ბელორუსიის 1-ლი, უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარების დახმარებით ქუჩებში შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ დაამთავრეს გერმანელთა ჯარების ბერლინის ჯგუფის განადგურება და დღეს, 1-ლ მაისს, მთლიანად დაიპყრეს გერმანიის დედაქალაქი ბერლინი — გერმანული იმპერიალიზმის ცენტრი და გერმანული აგრესიის კერა“.

საიმპერიო კანცელარიის დაპყრობის შემდეგ ჩვენ წავედით იქ გენერალ-პოლკოვნიკ ნ. ე. ბერზარინთან, არმიის სამხედრო საბჭოს წევრ გენერალ-ლეიტენანტ თ. ე. ბოკოვთან და იერიშის სხვა მონაწილეებთან ერთად, რათა დავრწმუნებულიყავით ჰიტლერის, გებელსისა და სხვა ხელმძღვანელ ჰიტლერელთა თვითმკვლელობაში.

ადგილზე მისვლისას მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდით. ჩვენ მოგვახსენეს, რომ მოკლულთა გვამები გერმანელებმა ვითომდა დასაფლავების ადგილებზე ჩამარხეს, მაგრამ თუ სად და ვინ ჩამარხა — წესიერად არავინ იცოდა. გამოთქვამდნენ სხვადასხვა ვერსიებს.

ტყვედ შეპყრობილებმა, უმთავრესად დაჭრილებიდან, ჰიტლერისა და მის ირგვლივ მყოფი პირების შესახებ ვერაფერი ვერ თქვეს, იმიზეზებდნენ იმას, რომ ხელმძღვანელ ჰიტლერელთაგან ვერავის ვერ ხედავდნენ და არავის არ იცნობდნენ, გარდა თავისი ასეულის მეთაურისა. საიმპერიო კანცელარიაში ტყვეები ცოტა რაოდენობით იყო შეპყრობილი, სულ რამდენიმე ათეული კაცი. როგორც ჩანს, უკა-

ნასკნელ მომენტში ესესელები. ოფიცერთა შემადგენლობა და ხელმძღვანელობის ნარჩენები ქალაქში მიიმალნენ, ისარგებლეს ამისათვის საიდუმლო გასასვლელებით.

ჩვენ ვეძებდით კოცონებს. სადაც ვითომდა. ჰიტლერისა და გებელსის გვამები. დაწვეს. მართალია, კოცონთა კვალს ვხედავდით, მაგრამ ისინი მცირე მოცულობის იყო. იქ, ალბათ, გერმანელი ჯარისკაცები წყალს ადუღებდნენ.

ჩვენ ვამთავრებდით საიმპერიო კანცელარიის დათვალიერებას, როდესაც მოგვახსენეს, რომ მიწისქვეშეთში ნახეს გებელსის ექვსი შვილის გვამი. ვაღიარებ, გამბედაობა არ მეყო ჩავსულიყავი იქ და დამეხედნა დედ-მამისაგან დახოცილი ბავშვებისათვის. მალე ბუნკერის ახლოს აღმოჩნდა გებელსისა და მისი მეუღლის გვამები. გვამების გამოსაცნობად მოწვეულ იქნა დოქტორი ფრიჩე, რომელმაც დაადასტურა, რომ ნამდვილად ეს გებელსისა და მისი ცოლის გვამები იყო.

ვითარებამ დასაწყისში მაიძულა დავეჭვებულიყავი ჰიტლერის თვითმკვლელობის ვერსიის სიმართლეში, მით უმეტეს, რომ ჩვენ ბორმანსაც ვერ მივაგენით. მაშინ გავიფიქრე: იქნებ გაიპარა ჰიტლერი უკანასკნელ მომენტში, როდესაც გარედან ბერლინისადმი დახმარების აღმოჩენის იმედი უკვე აღარ იყო?

ასეთი ვარაუდი გამოვთქვი საბჭოთა და უცხოელ კორესპონდენტთა პრეს-კონფერენციაზე ბერლინში.

ცოტა უფრო მოგვიანებით გამოძიებათა და ჰიტლერის პირადი სამედიცინო პერსონალის დაკითხვებისა და სხვა ზომების შედეგად ჩვენ ვღებულობდით დამატებით, უფრო გარკვეულ ცნობებს, რომლებიც ადასტურებდნენ ჰიტლერის თვითმკვლელობას. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჰიტლერის თვითმკვლელობაში დაეჭვებისათვის არავითარი საფუძველი არა გვაქვს.

ფაშისტ მეთაურთა უმრავლესობა, მათ რიცხვში გერინგი. ჰიმლერი, კაიტელი და იოდლი წინასწარ გაიქცა ბერლინიდან სხვადასხვა მიმართულებით.

უკანასკნელ წუთამდე ისინი ჰიტლერთან ერთად, როგორც აზარტული მოთამაშენი, არ კარგავდნენ „ბედნიერ კარტის" იმედს, რომელსაც შეეძლო გადაერჩინა ფაშისტური გერმანია და თვით ისინიც. 30 აპრილს და 1-ლ მაისსაც კი ჰიტლერელთა მესვეურები ჯერ კიდევ ცდილობდნენ საბოლოო კრახის დადგომის გაჭიანურებას, დაიწყეს რა მოლაპარაკება ახალმოვლენილი დენიცის მთავრობის ბერლინში გამოძახების შესახებ ვითომდა გერმანიის კაპიტულაციის საკითხის გადასაწყვეტად.

გენერალი კრებსი, გამოცდილი სამხედრო დიპლომატი, ყოველნაირად ცდილობდა ხანგრძლივ მოლაპარაკებაში ჩაეთრია გენერალი

ვ. ი. ჩუიკოვი, მაგრამ ეს ეშმაკობა მას არ გაუვიდა. მე უკვე ვთქვი, რომ ვ. დ. სოკოლოვსკიმ. რომელიც აღჭურვილი იყო მოლაპარაკების წარმოების უფლებით, კატეგორიულად განუცხადა კრებსს: სამომარ ᲗᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲗᲐ შეწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ ყველა მოკავშირის წინაშე გერმანელ-ფაშისტთა ჯარების სრული და უსიტყვო კაპიტულაციის პირობებში. ამით შეწყდა ლაპარაკი. და რადგან მაშინ ჰიტლერელებმა არ მიიღეს უსიტყვო კაპიტულაციის მოთხოვნა, ჩვენ ჯარებს მიეცათ ბრძანება დაუყოვნებლივ მტრის საბოლოოდ განადგურების შესახებ.

3 მაისს დილით ბერლინის კომენდანტ ნ. ე. ბერზარინთან, მე-5 არმიის სამხედრო საბჭოს წევრ თ. ე. ბოკოვთან. ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრ კ. თ. ტელეგინთან და სხვებთან ერთად ჩვენ დავათვალიერეთ რაიხსტაგი და ბრძოლის ადგილები ამ რაიონში. ჩვენ თან გვახლდა და ახსნა-განმარტებას გვაძლევდა ვილჰელმ პიკის ვაჟიშვილი არტურ პიკი, რომელიც ომის დროს საბჭოთა არმიის რიგებში იბრძოდა. ის კარგად იცნობდა ბერლინს და ამან გაადვილა იმ პირობების შესწავლა, რომლებშიც ჩვენ ჯარებს ბრძოლა მოუხდათ.

ყოველი ნაბიჯი, მიწის ყოველი ნაკერი. ყოველი ქვა აქ ყველაზე ნათლად მეტყველებდნენ, რომ საიმპერიო კანცელარიისა და რაიხსტაგის მისადგომებთან, თვით ამ შენობებში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა წარმოებდა.

რაიხსტაგი — ეს უზარმაზარი შენობაა, რომლის კედლებს საშუალო კალიბრის არტილერიით ვერ გახვრეტ. აქ საჭირო იყო მძიმე კალიბრი. რაიხსტაგის გუმბათი და სხვადასხვა დიდი ზედა დანაშენები მტერს შესაძლებლობას აძლევდა მრავალფეროვანი ცეცხლი ზუსტად მიემართათ ყველა მისადგომზე.

თვით რაიხსტაგში ბრძოლის პირობები მეტად მძიმე და რთული იყო. იგი მებრძოლებისაგან მოითხოვდა არა მარტო მამაცობას, არამედ აგრეთვე სწრაფ ორიენტირებასაც, თვალმახვილ სიფრთხილეს, სწრაფ გადაადგილებას ერთი საფარიდან მეორისაკენ და მტერთან ბრძოლაში აუცდენლად სროლას. ყველა ამ ამოცანას ჩვენმა მებრძოლებმა კარგად გაართვეს თავი, მაგრამ ბევრი მათგანი გმირულად დაიღუპა.

სვეტები რაიხსტაგის შესასვლელში და კედლები აპრელებული იყო ჩვენი მებრძოლების ხელმოწერებით. ლაკონურ ფრაზებში, ჯარისკაცების, ოფიცრებისა და გენერლების უბრალო წარწერებში იგრძნობოდა, რომ ისინი ამაყობდნენ საბჭოთა ადამიანებით, საბჭოთა შეიარაღებული ძალებით, სამშობლოთი და ლენინური პარტიით.

ჩვენც მივუმატეთ ჩვენი ხელმოწერები, რითაც იქ დამსწრე ჯარისკაცებმა გვიცნეს და მჭიდრო რკალად შემოგვერტყნენ. მოგვიხდა

ერთი საათით შეჩერება და გულახდილი საუბარი. ბევრი შეკითხვა მოგვეცეს. ჯარისკაცები გვეკითხებოდნენ, როდის შეიძლება სახლში დაბრუნებაო, დარჩებიან თუ არა ჯარები გერმანიის ოკუპაციისათვის, ვიომებთ თუ არა იაპონიასთანო და ა. შ.

7 მაისს მე ბერლინში დამირეკა უმაღლესმა მთავარსარდალმა და შემატყობინა:

— დღეს ქალაქ რეიმსში გერმანელებმა ხელი მოაწერეს უსიტყვო კაპიტულაციის აქტს. ომის მთავარი სიმძიმე, — განაგრძობდა იგი, — თავის მხრებზე გადაიტანა საბჭოთა ხალხმა და არა მოკავშირეებმა, ამიტომ კაპიტულაცია ხელმოწერილ უნდა იქნეს ანტიჰიტლერული კოალიციის ყველა ქვეყნის უმაღლესი სარდლობის წინაშე და არა მხოლოდ მოკავშირეთა ჯარების უმაღლესი სარდლობის წინაშე.

მე არ დავეთანხმე იმასაც, — განაგრძობდა ი. ბ. სტალინი, — რომ კაპიტულაციის აქტი ხელმოწერილია გერმანიის პროვინციაში და არა ბერლინში, ფაშისტური აგრესიის ცენტრში. ჩვენ შევუთანხმდით მოკავშირეებს, რომ რეიმსში აქტის ხელმოწერა ჩაითვალოს კაპიტულაციის წინასწარ ოქმად. ხვალ ბერლინში ჩამოვლენ გერმანელთა მთავარი სარდლობის წარმომადგენლები და მოკავშირეთა ჯარების უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლები.

საბჭოთა ჯარების უმაღლესი მთავარსარდლობის წარმომადგენლად ინიშნებით თქვენ. ხვალვე თქვენთან ჩამოვა ვიშინსკი. აქტის ხელმოწერის შემდეგ იგი დარჩება ბერლინში როგორც მთავარუფროსის თანაშემწე პოლიტიკურ ნაწილში. მთავარუფროსად გერმანიის ოკუპაციის საბჭოთა ზონაში ინიშნებით თქვენ; იმავდროულად თქვენ იქნებით აგრეთვე გერმანიაში საბჭოთა საოკუპაციო ჯარების მთავარსარდალიც.

დილით ადრე 8 მაისს ბერლინში ჩამოფრინდა ა. ი. ვიშინსკი. მან ჩამოიტანა ყველა საჭირო დოკუმენტაცია გერმანიის კაპიტულაციის თაობაზე და შემატყობინა მოკავშირეთა უმაღლესი სარდლობის წარმომადგენელთა შემადგენლობა.

8 მაისს დილით ადრე დაიწყო მსოფლიოს ყველა უდიდესი გაზეთისა და ჟურნალის კორესპონდენტთა და ჟურნალისტთა, ფოტოჟურნალისტთა ბერლინში ჩამოსვლა, რათა აღებეჭდათ ისტორიული მომენტი ფაშისტური გერმანიის განადგურების იურიდიული გაფორმებისა, მის მიერ ყველა ფაშისტური გეგმის, მთელი მისი პატივმოყვარული და კაცთმოძულე მიზნების საბოლოო ჩაფუშვის აღიარებისა.

შუადღისას ტემპელჰოფის აეროდრომზე ჩამოვიდნენ მოკავშირეთა ჯარების უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლები.

მოკავშირეთა ჯარების უმაღლესი სარდლობის წარმომადგენელნი იყვნენ ავიაციის ინგლისელი მარშალი არტურ ვ. ტედერი, ამერიკის

შეერთებული შტატების სტრატეგიული საჰაერო ძალების სარდალი გენერალი სპაატსი და საფრანგეთის არმიის მთავარსარდალი გენერალი დელატრ დე ტასინი.

აეროდრომზე მათ შეხვდნენ ჩემი მოადგილე არმიის გენერალი ვ. დ. სოკოლოვსკი, ბერლინის პირველი კომენდანტი გენერალ-პოლკოვნიკი ნ. ე. ბერზარინი, არმიის სამხედრო საბჭოს წევრი გენერალ-ლეიტენანტი თ. ე. ბოკოვი და საბჭოთა არმიის სხვა წარმომადგენლები. აეროდრომიდან მოკავშირენი გაემართნენ კარლსჰორსტში, სადაც გადაწყვეტილი იყო გერმანელთა სარდლობისაგან უსიტყვო კაპიტულაციის მიღება.

იმავე აეროდრომზე ქალაქ ფლენსბურგიდან ინგლისელ ოფიცერთა ბადრაგით ჩამოვიდნენ გენერალ-ფელდმარშალი კაიტელი, ფლოტის ადმირალი ფრიდებურგი და ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკი შტუმპფი, რომლებსაც დენიცისაგან მიღებული ჰქონდათ რწმუნებულება ხელი მოეწერათ გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის აქტზე.

აქ, კარლსჰორსტში, ბერლინის აღმოსავლეთ ნაწილში, გერმანელთა სამხედრო-საინჟინრო სასწავლებლის ყოფილი სასადილოს ორსართულიან შენობაში მოამზადეს დარბაზი, სადაც უნდა ჩატარებულიყო აქტის ხელმოწერის ცერემონია.

მგზავრობიდან ცოტა შესვენების შემდეგ მოკავშირეთა ჯარების სარდლობის ყველა წარმომადგენელი მოვიდა ჩემთან, რათა შეეთანხმებულიყავით ესოდენ ამაღელვებელი ამბის საპროცედურო საკითხებზე.

ვერ მოვასწარით ჩვენთვის სასაუბროდ გამოყოფილ სადგომში შესვლა, რომ პირდაპირ მოგვაწყდა ამერიკელ და ინგლისელ ჟურნალისტ-ოა ნაკადი და ერთბაშად მომაყარეს კითხვები. მოკავშირეთა ჯარების სახელით მომართვეს მეგობრობის დროშა, რომელზეც ოქროს ასოებით ამოქარგული იყო წითელი არმიისადმი ამერიკელთა ჯარების მისალმების სიტყვები.

მას შემდეგ, რაც ჟურნალისტებმა დატოვეს სხდომის დარბაზი, ჩვენ შევუდექით მთელი რიგი იმ საკითხების განხილვას, რომლებიც ჰიტლერელების კაპიტულაციას შეხებოდა.

გენერალ-ფელდმარშალი კაიტელი და მისი თანამგზავრები ამ დროს სხვა შენობაში იმყოფებოდნენ.

ჩვენი ოფიცრების გადმოცემით, კაიტელი და გერმანელთა დელეგაციის სხვა წევრები ძალიან ნერვიულობდნენ. მიუბრუნდა რა მის გარშემო მყოფთ, კაიტელმა თქვა:

— ბერლინის ქუჩებზე გავლისას მე უაღრესად შემაძრწუნა ქალაქის ესოდენ დანგრევამ.

ამაზე ჩვენებმა უპასუხეს:

— ბატონო ფელდმარშალო, კი მაგრამ, იყავით თქვენ შეძრწუნებული, როდესაც თქვენი ბრძანებით მიწასთან ასწორებდნენ ათასობით საბჭოთა ქალაქებსა და სოფლებს, რომელთა ნანგრევებში მილიონობით ჩვენი ადამიანი დასამარდა და მათ რიცხვში მრავალი ათასი ბავშვი?

კაიტელი გაფითრდა, ნერვულად მხრები აიჩეჩა და არაფერი არ უპასუხა.

როგორც წინასწარ შეთანხმდით, 23 საათსა და 45 წუთზე ტედერი, სპაატსი და დელატრ დე ტასინი, მოკავშირეთა სარდლობის წარმომადგენელნი, ა. ი. ვიშინსკი, კ. ო. ტელეგინი, ვ. დ. სოკოლოვსკი და სხვები შეიკრიბნენ ჩემთან კაბინეტში, რომელიც იმ დარბაზის გვერდით იყო, სადაც უნდა მომხდარიყო გერმანელების მიერ უსიტყვო კაპიტულაციის აქტზე ხელის მოწერა.

ზუსტად 24 საათზე ჩვენ შევედით დარბაზში.

ყველანი შემოუსხდნენ მაგიდას. იგი იმ კედელთან იდგა, რომელზეც მიმაგრებული იყო საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის სახელმწიფო ალმები.

დარბაზში გრძელ მწვანე მაუდგადაფარებულ მაგიდებთან დასხდნენ წითელი არმიის გენერლები, რომელთა ჯარებმა სულ მოკლე დროში გაანადგურეს ბერლინის თავდაცვა და დააჩოქეს ქედმაღალი ფაშისტი ფელდმარშლები, ფაშისტთა მეთაურები და მთლიანად ფაშისტური გერმანია. აქვე ესწრებოდა მრავალი საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტი და ფოტორეპორტიორი.

ჩვენ, საბჭოთა შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლობის და მოკავშირეთა ჯარების უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლები, — განვაცხადე მე სხდომის გახსნისას, — ანტიჰიტლერული კოალიციის მთავრობათა მიერ უფლებამოსილნი ვართ გერმანელთა სამხედრო სარდლობისაგან მივიღოთ გერმანიის უსიტყვო კაპიტულაცია. სთხოვეთ გერმანელთა მთავარი სარდლობის წარმომადგენლებს შემოვიდნენ დარბაზში.

ყველა იქ დამსწრემ თავი კარებისაკენ მიაბრუნა, საიდანაც უნდა შემოსულიყვნენ ისინი, ვინც ტრაბახით აცხადებდა მთელი მსოფლიოს გასაგონად, რომ გერმანიას შესწევდა ძალა ელვისებურად გაენადგურებია საფრანგეთი, ინგლისი და არა უგვიანეს თვენახევარ — ორი თვისა გაესრისა საბჭოთა კავშირი.

პირველი, რომელმაც აუჩქარებლად გადმოაბიჯა ზღურბლზე, ეს იყო გენერალ-ფელდმარშალი კაიტელი, ჰიტლერის მარჯვენა ხელი. საშუალოზე უფრო მაღალი ტანის, საპარადო ფორმით, წელში გამართული. მან თავისი ფელდმარშლის კვერთხი ასწია მაღლა, მიესალმა

რა საბჭოთა და მოკავშირეთა ჯარების უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლებს.

კაიტელს შემოჰყვა გენერალ-პოლკოვნიკი შტუმპფი. საუშალოზე დაბალი ტანის, ბრაზისა და უძლურების გამომხატველი თვალებით. მათთან ერთად შემოვიდა ფლოტის ადმირალი ფონ ფრიდებურგი, რომელიც ნაადრევად დაბერებულივით გამოიყურებოდა.

გერმანელებს შესთავაზეს შემოსხდომოდნენ ცალკე მაგიდას, რომელიც სპეციალურად მათთვის იყო გამზადებული შემოსასვლელის ახლოს.

გენერალ-ფელდმარშალი აუჩქარებლად დაჯდა, ასწია თავი და მოგვაპყრო თვალები ჩვენ, რომლებიც პრეზიდიუმის მაგიდასთან ვისხედით. კაიტელის გვერდით დასხდნენ შტუმპფი და ფრიდებურგი. თანმხლები ოფიცრები მათი სკამების უკან დადგნენ.

მე მივმართე გერმანელთა დელეგაციას:

— გაქვთ თუ არა ხელთ უსიტყვო კაპიტულაციის აქტი, შეისწავლეთ თუ არა იგი და უფლებამოსილი ხართ თუ არა მოაწეროთ ამ აქტს ხელი?

ჩემი შეკითხვა ინგლისურ ენაზე გაიმეორა ავიაციის მთავარმა მარშალმა ტედერმა.

— დიახ, შევისწავლეთ და მზად ვართ მას ხელი მოვაწეროთ, — მოგუდული ხმით გვიპასუხა გენერალ-ფელდმარშალმა კაიტელმა და გადმოგვცა გროს-ადმირალ დენიცის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი. დოკუმენტში აღნიშნული იყო, რომ კაიტელი, ფონ ფრიდებურგი და შტუმპფი უფლებამოსილნი არიან ხელი მოაწერონ უსიტყვო კაპიტულაციის აქტს.

ეს სრულიადაც აღარ იყო ის ქედმაღალი კაიტელი, რომელიც დაპყრობილი საფრანგეთისაგან კაპიტულაციას ღებულობდა. ახლა იგი დამარცხებული გამოიყურებოდა, თუმცა მაინც ცდილობდა რაღაც პოზა შეენარჩუნებინა.

ფეხზე წამოვდექი და ვთქვი:

— მოვუწოდებ გერმანელთა დელეგაციას მოვიდეს აქ, მაგიდასთან. აქ მოაწერთ თქვენ ხელს გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის აქტს.

კაიტელი სწრაფად წამოდგა, შემოგვხედა ბოროტად, შემდეგ დახარა თვალები და აიღო რა ნელა პატარა მაგიდიდან ფელდმარშლის კვერთხი, გაუბედავი ნაბიჯით გამოემართა ჩვენი მაგიდისაკენ. მონოკლი ჩამოუვარდა და ზონარზე დაეკიდა. სახე დაეფარა წითელი ლაქებით.

მასთან ერთად მაგიდასთან მოვიდნენ გენერალ-პოლკოვნიკი შტუმპფი, ფლოტის ადმირალი ფონ ფრიდებურგი და მათი თანმხ-

ლები გერმანელი ოფიცრები. კაიტელმა გაისწორა მონოკლი, ჩამოჯდა სკამის პირზე და აუჩქარებლად მოაწერა ხელი აქტის ხუთ ეგზემპლარს. აქვე მოაწერეს ხელი შტუმპფმა და ფრიდებურგმა.

აქტზე ხელის მოწერის შემდეგ კაიტელი მაგიდიდან წამოდგა, წამოიცვა მარჯვენა ხელთათმანი და კვლავ შეეცადა ეჩვენებინა თავისი მხედრული გამართულობა, მაგრამ ეს მას არ გამოუვიდა და წყნარად დაუბრუნდა თავის მაგიდას.

9 მაისს 0 საათსა და 43 წუთზე უსიტყვო კაპიტულაციაზე ხელის მოწერა დამთავრდა. მე გერმანელთა დელეგაციას წინადადება მივეცი დაეტოვებინა დარბაზი.

კაიტელი, ფრიდებურგი, შტუმპფი წამოდგნენ სკამებიდან, დახარეს თავები და დარბაზიდან გავიდნენ. მათ მიჰყვნენ მათი შტაბის ოფიცრები...

საბჭოთა უმაღლესი მთავარსარდლობის სახელით მე ყველა იქ დამსწრეს გულითადად მივულოცე დიდი ხნის ნანატრი გამარჯვება. დარბაზში წარმოუდგენელი ხმაური ატყდა. ყველანი ერთმანეთს ულოცავდნენ, ხელს ართმევდნენ. ბევრს თვალებზე სიხარულის ცრემლები მოადგა. მე გარსშემომერტყნენ მებრძოლი მეგობრები — ვ. დ. სოკოლოვსკი, მ. ს. მალინინი, კ. თ. ტელეგინი, ნ. ა. ანტიპენკო, ვ. ი. კოლპაკჩი, ვ. ი. კუზნეცოვი, ს. ი. ბოგდანოვი, ნ. ე. ბერზარინი, თ. ე. ბოკოვი, პ. ა. ბელოვი, ა. ვ. გორბატოვი და სხვები.

— ძვირფასო მეგობრებო, — მივმართე მე თანამებრძოლებს, — ჩვენ თქვენთან ერთად დიდი პატივი გვხვდა წილად. დასკვნითს ბრძოლაში ხალხმა, პარტიამ და მთავრობამ მოგვანდეს საბჭოთა გმირული ჯარების წაყვანა ბერლინზე იერიშის მისატანად. ეს ნდობა საბჭოთა ჯარებმა და მათ რიცხვში თქვენც, ბერლინისათვის ბრძოლაში ამ ჯარების მეთაურებმა, სახელოვნად გაამართლეთ. სამწუხაროა, რომ ბევრი მათგანი ჩვენს შორის აღარ არის. როგორ გაიხარებდნენ ისინი ამ დიდი ხნის ნანატრი გამარჯვებით, რომელსაც მათ, შეუდრკომლად, თავიანთი სიცოცხლე შესწირეს!

ახლო მეგობრებისა და მებრძოლი ამხანაგების გახსენებისას, რომლებიც ვერ მოესწრნენ ამ სასიხარულო დღეს, ამ ადამიანებმა, თვითონ რომ მიჩვეულნი იყვნენ სიკვდილისათვის უშიშრად თვალი გაესწორებინათ, მიუხედავად თავდაპერის დიდი ცდისა, ცრემლები ვერ შეიკავეს.

1945 წლის 9 მაისს 0 საათსა და 50 წუთზე სხდომა, რომელზეც მიღებულ იქნა გერმანელთა შეიარაღებული ძალების უსიტყვო კაპიტულაცია, დაიხურა.

შემდეგ შედგა მიღება, რომელიც დიდი აღმავლობით ჩატარდა.

გავხსენი ბანკეტი და პირველად ფაშისტურ გერმანიაზე ანტიჰიტ-ლერული კოალიციის გამარჯვების სადღეგრძელო წარმოვთქვი. შემ-დეგ გამოვიდა მარშალი ტედერი, მის შემდეგ ქ. დელატრ დე ტასინი, ამერიკის სამხედრო საჰაერო ძალების გენერალი სპაატსი. მათ შემდეგ გამოვიდნენ საბჭოთა გენერლები. ყოველი მათგანი ლაპარაკობდა იმაზე, რაც მას სევდად აწვა გულზე მთელი ამ მძიმე წლების განმავ-ლობაში. მახსოვს, ბევრი რამ ითქვა გულითადად და გამოითქვა დიდი სურვილი მეგობრული ურთიერთობის სამუდამოდ განმტკიცებისა ანტიფაშისტური კოალიციის ქვეყნებს შორის. ამაზე ლაპარაკობდნენ საბჭოთა გენერლები, ლაპარაკობდნენ ამერიკელები, ფრანგები, ინგ-ლისელები, და ჩვენ ყველას გვინდოდა იმის დაჯერება, რომ ეს ასე იქნებოდა.

სადღესასწაულო ვახშამი დამთავრდა დილით სიმღერებითა და ცეკვა-თამაშით. ცეკვავდნენ საბჭოთა გენერლები. მეც ვეღარ შევიკა-ვე თავი, გავიხსენე ჩემი სიჭაბუკე და ვიცეკვე „რუსული“. დავიშა-ლენით სახლებისა და აეროდრომების მიმართულებით გამარჯვების აღსანიშნავი ყველა სახეობის იარაღის კანონადის გრიალში. სრო-ლა მიმდინარეობდა ბერლინის ყველა რაიონსა და მის გარეუბ-ნებში. ისროდნენ მაღლა, მაგრამ ნაღმისა და ჭურვის ნამსხვრევები, ტყვიები მიწაზე ცვივოდა და 9 მაისის დილით სიარული არცთუ ისე უსაშიშრო იყო. მაგრამ როგორ განსხვავდებოდა ეს საშიშროება იმი-საგან, რომელსაც ჩვენ ომის ხანგრძლივ წლებში შევეჩვიეთ!

უსიტყვო კაპიტულაციის ხელმოწერილი აქტი იმავე დღის დი-ლით გაიგზავნა უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკში.

აქტის პირველი პუნქტი იუწყებოდა:

„1. ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, ვმოქმედებთ რა გერმანიის უმაღლესი სარდლობის სახელით, თანახმა ვართ მთელი ჩვენი შეიარა-ღებული ძალების ხმელეთზე, ზღვასა და ჰაერში, ასევე ამჟამად გერ-მანელთა სარდლობაში მყოფი მთელი ძალების უსიტყვო კაპიტულა-ციაზე წითელი არმიის უმაღლესი მთავარსარდლობისა და იმავდროუ-ლად მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის წინაშე“.

დღისით მოსკოვიდან დამირეკეს და შემატყობინეს, რომ ფაშის-ტური გერმანიის კაპიტულაციის მთელი დოკუმენტაცია მიღებულია და უმაღლეს მთავარსარდალს გადაეცაო.

ამრიგად, დამთავრდა სისხლისმღვრელი ომი. ფაშისტური გერმა-ნია და მისი მოკავშირეები საბოლოოდ იქნენ განადგურებულნი.

გამარჯვებისაკენ მიმავალი გზა საბჭოთა ხალხისათვის მძიმე იყო. მას იგი მილიონობით სიცოცხლე დაუჯდა. და დღეს მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანი, გადახედავს რა მეორე მსოფლიო ომის წარსულის

საშინელ დღეებს. ვალდებულია ღრმა პატივისცემითა და თანაგრძნობით მოიგონოს ისინი, ვინც ფაშიზმს ებრძოდა და სიცოცხლე შესწირა ფაშისტური მონობისაგან მთელი კაცობრიობის განთავისუფლებას.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ, გამომდინარე თავისი ინტერნაციონალური მოვალეობიდან და ჰუმანური შეხედულებებიდან, ყველა ზომა მიიღეს იმისათვის, რათა საბჭოთა მებრძოლებისათვის თავის დროზე განემარტათ, თუ ვინ იყო ომისა და ჩადენილ ბოროტმოქმედებათა ნამდვილი დამნაშავე. აზრადაც არავის მოსვლია ის, რომ მშრომელი გერმანელი ხალხი დაესაჯათ იმ ბოროტმოქმედებისათვის, რასაც ფაშისტები ჩვენს მიწა-წყალზე სჩადიოდნენ. გერმანელი მშრომელების მიმართ საბჭოთა ადამიანებს ნათელი პოზიცია ეკავათ: აუცილებლად საჭიროა დავეხმაროთ მათ შეიგნონ თავიანთი შეცდომები, სწრაფად ამოძირკვონ ნაციზმის ნარჩენები და შეუერთდნენ თავისუფლებისმოყვარე იმ ხალხთა საერთო ოჯახს, რომელთა უმაღლესი დევიზი მომავალში უნდა გახდეს მშვიდობა და დემოკრატია.

ბერლინსა და მის მიდამოებში ჯერ კიდევ მიმდინარეობდა ბრძოლები, საბჭოთა სარდლობა კი პარტიის ცკ-ისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე უკვე შეუდგა ბერლინის მოსახლეობისათვის ნორმალური ცხოვრების პირობების ორგანიზებას.

სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლების ორგანოების შექმნისა და მოქმედების საფუძველს წარმოადგენდა ბელორუსიის 1-ლი ფრონტის სამხედრო საბჭოს 1945 წლის 23 აპრილის № 5 ბრძანება. ბრძანება იუწყებოდა:

„მმართველობის მთელ ძალაუფლებას წითელი არმიის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე ახორციელებს სამხედრო სარდლობა ქალაქებისა და რაიონების სამხედრო კომენდანტების მეშვეობით.

სამხედრო კომენდანტები ინიშნებიან ყოველ ქალაქში. აღმასრულებელი ხელისუფლება იქმნება ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან: ქალაქებში — ბურგომისტრები, უფრო პატარა ქალაქებსა და სოფლებში — მამასახლისები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სამხედრო სარდლობის წინაშე მოსახლეობის მიერ ყველა ბრძანებისა და განკარგულების შესრულებისათვის...“

ამ ბრძანების შესაბამისად 1945 წლის 28 აპრილს გამოქვეყნდა ბერლინის საბჭოთა სამხედრო კომენდანტის საბჭოთა კავშირის გმირის გენერალ-პოლკოვნიკ ნ. ე. ბერზარინის ბრძანება № 1 ბერლინში მთელი ძალაუფლების საბჭოთა სამხედრო კომენდატურის ხელში გადასვლის შესახებ.

ამ ბრძანებით მან ქალაქის მოსახლეობას გამოუცხადა, რომ გერ-

მანიის ფაშისტური პარტია და მისი ორგანიზაციები იშლება და მათი საქმიანობა იკრძალება.

ბრძანება აწესებდა მოსახლეობის ქცევის წესებს და განსაზღვრავდა ბერლინში ცხოვრების ნორმალიზაციისათვის აუცილებელ ძირითად დებულებებს.

ცენტრალურმა სამხედრო კომენდატურამ ბერლინის ყველა ოცი რაიონში შექმნა რაიონული სამხედრო კომენდატურები, რომლებიც დაკომპლექტებული იყო ჩვენი ოფიცრებით, და პირველ რიგში სამეურნეო დარგის სპეციალისტებით და საინჟინრო-ტექნიკური პერსონალით.

ზოგიერთ ქვერაიონში შექმნილი იყო საუბნო კომენდატურები.

თავიანთი მუშაობის პირველივე ნაბიჯებიდან საბჭოთა სამხედრო კომენდატურებს მეტად რთულ ვითარებაში მოუხდათ მრავალი მძიმე ამოცანის გადაწყვეტა.

ბერლინში გაჩაღებული ბრძოლების შედეგად ქალაქის 250 ათასი შენობიდან დაახლოებით 30 ათასი მთლიანად დაინგრა. 20 ათასზე მეტი ნახევრად დანგრეულ მდგომარეობაში იყო, 150 ათასზე მეტი კი საშუალოდ დაზიანდა.

საქალაქო ტრანსპორტი არ მუშაობდა. მეტროსადგურთა მესამედზე მეტი დატბორილი იყო, ხოლო 225 ხიდი — აფეთქებული გერმანელ-ფაშისტთა ჯარების მიერ. სავაგონო პარკი და ქალაქის ტრამვაის ელექტროქსელი თითქმის მთლიანად იყო მწყობრიდან გამოსული. ქუჩები, განსაკუთრებით ცენტრში, ნახერგილი იყო ნამსხვრევებით. კომუნალური მეურნეობის მთელმა სისტემამ შეწყვიტა თავისი მუშაობა (ელექტროსადგურები, წყალსაქაჩები, გაზის ქარხნები, კანალიზაცია).

პირველ ყოვლისა, ბერლინში განლაგებულმა საბჭოთა ჯარებმა დაიწყეს ხანძრების ჩაქრობა, მოაწყვეს გვამების აკრეფა და დამარხვა, აწარმოებდნენ განნაღმვას. აუცილებელი იყო ბერლინის მოსახლეობის შიმშილით სიკვდილისაგან გადარჩენა, სასურსათო მომარაგების ორგანიზება, რაც შეწყვეტილი იყო საბჭოთა ჯარების ბერლინში შესვლამდე. დადგინდა მრავალი ფაქტი იმის შესახებ, რომ მოსახლეობის მთელი ჯგუფები რამდენიმე კვირის განმავლობაში არავითარ სურსათს არ ღებულობდნენ.

მაგრამ საბჭოთა სარდლობას არ შეეძლო ყველა ამ ამოცანის გადაწყვეტა უმისოდ, თუ ადგილობრივი მოსახლეობა მასობრივად არ ჩაებმებოდა აქტიურ მუშაობაში.

სამხედრო საბჭოები, სამხედრო კომენდანტები, პოლიტიკური ორგანოების მუშაკები საარაონო მაგისტრატებში სამუშაოდ უწინარეს ყოვლისა იწვევდნენ საკონცენტრაციო ბანაკებიდან განთავისუფ-

ლებულ გერმანელ კომუნისტებს, ანტიფაშისტებს და სხვა გერმანელ დემოკრატებს, რომლებთანაც ჩვენ ერთბაშად მეგობრული ურთიერთგაგება დავამყარეთ.

ასე დაიწყო თვითმმართველობის გერმანული ორგანოების შექმნა — ანტიფაშისტურ-დემოკრატიულ კოალიციის ორგანოებისა. მათში ჩაბმული იყო დაახლოებით ერთი მესამედი კომუნისტებისა, რომლებიც სოციალ-დემოკრატებთან და ლოიალურად განწყობილ სპეციალისტებთან ამხანაგურად და შეწყობილად მოქმედებდნენ.

დიდ მუშაობას ატარებდა ბერლინში პოლიტიკური განყოფილება პოლკოვნიკ ა. ი. ელიზაროვის მეთაურობით.

1945 წლის მაისში ფრონტის სამხედრო საბჭომ ბერლინში ცხოვრების ნორმალიზაციის მიზნით მიიღო მთელი რიგი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი, კერძოდ:

11 მაისს — დადგენილება № 063 ბერლინის გერმანელი მოსახლეობის სურსათ-სანოვაგით მომარაგების შესახებ. მასში დადგენილი იყო სურსათის გაცემის წესი და ნორმები.

12 მაისს — დადგენილება № 064 ბერლინის კომუნალური მეურნეობის ნორმალური მუშაობის აღდგენისა და უზრუნველყოფის შესახებ.

31 მაისს — დადგენილება № 080 ბერლინში გერმანელი ბავშვების რძით მომარაგების შესახებ.

მიღებული იყო აგრეთვე სხვა გადაწყვეტილებებიც მოსახლეობის, პირველ რიგში აღდგენითი სამუშაოებით დასაქმებული მშრომელი ხალხის, კვებისა და ყოფა-ცხოვრების ნორმალიზაციის შესახებ.

პირველი დახმარების სახით საბჭოთა მთავრობისაგან ბერლინმა მიიღო 96 ათასი ტონა ხორბალი, 60 ათასი ტონა კარტოფილი, დაახლოებით 50 ათასი სული დასაკლავი პირუტყვი, შაქარი, ცხიმეული და სხვა პროდუქტები.

ამ სასწრაფო ღონისძიებათა შედეგად ლიკვიდირებულ იქნა გერმანელი მოსახლეობის შიმშილობის საშიშროება.

გერმანელი მოსახლეობის ცხოვრების მოწესრიგების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საბჭოთა კომენდანტურებმა. ფრონტის, გარნიზონისა და კომენდანტურათა პოლიტორგანოებმა, რომელთა გარშემო სწრაფად იზრდებოდა დემოკრატიულად განწყობილი მოსახლეობის აქტიურობა. თანდათანობით ქრებოდა დაურწმუნებლობა და შიში რეპრესიებისა, რითაც ნაცისტები ყველას აშინებდნენ.

ერთხელ, ბერლინის მიდამოებში გავლისას, ყურადღება მივაქციე უჩვეულოდ ჭრელი ხალხის გროვას, რომელშიც ჩვენი ჯარისკაცები ერივნენ. მათ შორის ბევრი ბავშვი და ქალი იყო. მანქანა გავაჩერე და

ახლოს მივედით, ვიფიქრე რა, რომ სამოქალაქო პირები — ეს ფაშისტური ბანაკებიდან განთავისუფლებული ჩვენი საბჭოთა ადამიანები იყვნენ. ვდგავარ, ვაკვირდები და მესმის, რომ ერთ-ერთი ჯარისკაცი, რომელსაც ხელში აყვანილი ოთხი წლის ქერა ბიჭუნა უპირავს, ამბობს:

— მე დავკარგე ცოლი, პატარა გოგონა და ბიჭუნა, როდესაც ოჯახი კონოტოპიდან ევაკუირებულ იქნა. ისინი მატარებელში დაიღუპნენ გერმანელების მიერ დაბომბვის დროს. ომი მთავრდება, და მე ბოგანოდ უნდა ვიცხოვრო. მომეცით ეს ბიჭუნა, მას ესესელებმა დედ-მამა დაუხვრიტეს.

ვიღაცამ გაიხუმრა:

— და ბიჭუნა კი გგავს შენ...

გვერდზე მდგომმა ქალმა გერმანულად თქვა:

— არა, ვერ მოგცემთ, ეს ჩემი ძმისწულია, მე თვითონ გავზრდი.

ქალის ნათქვამი ვიღაცამ თარგმნა. ჯარისკაცი დანაღვლიანდა.

მე ჩავერიე:

— მისმინე, მეგობარო, დაბრუნდები სამშობლოში, იქ მოძებნი ვაჟიშვილს — ბევრი დარჩა ჩვენში ობლად! კიდევ უკეთესი — აიყვან ბავშვს დედასთან ერთად!

ჯარისკაცებმა გადაიხარხარეს, გაეღიმა გერმანელ ბიჭუნასაც. ჩვენმა მებრძოლებმა გახსნეს თავიანთი ჩანთები და იქვე ბავშვებსა და ქალებს დაურიგეს პური, შაქარი. კონსერვები, ორცხობილა, ბიჭუნამ კი, რომელიც ჯარისკაცს ჰყავდა ხელში აყვანილი, დამატებით კამფეტები მიიღო. ჯარისკაცმა დაკოცნა ბიჭუნა და მძიმედ ამოიხვნეშა.

რამდენად კეთილი გულისაა საბჭოთა ჯარისკაცი, — გავიფიქრე, შემდეგ მივედი ჯარისკაცთან და მაგრად ჩამოვართვი ხელი.

სამხრეულები არ მეკეთა, მეცვა ტყავის ქურთუკი, მაგრამ მაინც მალე მიცნეს, მომიხდა კიდევ ნახევარი საათით შეჩერება და ჩემს გარშემო შემოკრებილთა ბევრ შეკითხვაზე პასუხის გაცემა. ვნანობ, რომ არ ჩავიწერე იმ ჯარისკაცთა გვარები. მახსოვს მხოლოდ, რომ ეს ჯგუფი გენერალ ნ. ე. ბერზარინის მე-5 დამკვრელი არმიიდან იყო.

9 მაისს ჩვენთან ბერლინში თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დავალებით ჩამოფრინდა ანასტას ივანეს ძე მიქოიანი; მან მაშინვე მოინდომა ენახა, თუ რა დარჩა ქალაქიდან და როგორ ეწყობა მისი ცხოვრება.

ა. ი. მიქოიანი ერთ-ერთ სასურსათო მაღაზიასთან, სადაც უკვე საბჭოთა ბარათებით გერმანელ მცხოვრებლებს პურს აძლევდნენ. გადმოვიდა მანქანიდან და მიმართა რიგში მდგომ ქალებს. მათ მეტად დაუძლურებული შესახედაობა ჰქონდათ.

— როგორ გრძნობთ თავს საბჭოთა ჯარების მიერ ბერლინის და-

ყავების შემდეგ? — ჰკითხა ანასტას ივანეს ძემ. — ილაპარაკეთ უფრო გაბედულად, აი მარშალი ჟუკოვი, იგი მხედველობაში მიიღებს თქვენს მოოხოვნილებებს და ყველაფერს გააკეთებს, რისი შესაძლებლობაც კი გვექნება.

— ეს ანასტას ივანეს ძე მიკოიანია, — ვუთხარი მე, — სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. იგი ჩამოვიდა საბჭოთა მთავრობის დავალებით იმის სანახავად, თუ როგორ ცხოვრობთ თქვენ, რა გესაჭიროებათ, რათა ბერლინელებს აღმოვუჩინოთ შესაძლო დახმარება — მთარგმნელმა ნათქვამი გადათარგმნა.

ჩვენ აქვე გარსშემოგვერტყნენ და ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ:

— ვერასოდეს ვერ დავიჯერებდით, რომ ასეთი დიდი რუსი უფროსი რიგებში დაიწყებდა სიარულს და დაინტერესდებოდა იმით, თუ რა ესაჭიროებათ უბრალო გერმანელებს. ჩვენ კი მუდამ რუსებით გვაშინებდნენ...

ერთი ხანდაზმული ქალი მივიდა ა. ი. მიკოიანთან და შესამჩნევად აღელვებულმა უთხრა:

— დიდი მადლობა ჩვენგან, გერმანელი ქალებისაგან იმისათვის, რომ შიმშილით სიკვდილს გადაგვარჩინეთ.

და იქვე მიმართა გვერდზე მდგომ ბიჭუნას:

— თავი დაუკარ საბჭოთა უფროსებს პურისათვის და კარგი მოპყრობისათვის.

ბიჭუნამ უხმოდ დაგვუკრა თავი.

ა. ი. მიკოიანთან, ა. ვ. ხრულიოვთან და ნ. ა. ანტიპენკოსთან ერთად ჩვენ გულდასმით შევისწავლეთ მოსახლეობისათვის სასურსათო და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ჩვენი შესაძლებლობანი. მიუხედავად ჩვენი საკუთარი დიდი სიძნელეებისა, გამოიძებნა საშუალებები და მოსახლეობას დახმარება აღმოვუჩინეთ. უნდა გენახათ ბერლინის მცხოვრებთა სახეები, როდესაც ჩვენ მათ ვაძლევდით პურს, ბურღულს, ყავას, შაქარს, და ზოგჯერ ცოტა ცხიმეულსა და ხორცსაც...

ვხელმძღვანელობდით რა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მითითებებით, ჩვენ გერმანელ ხალხს ვეხმარებოდით ყველაფრით, რითაც კი შეგვეძლო, რათა უფრო სწრაფად მოგვეხდინა მისი შრომითი ცხოვრების ორგანიზება. ნადავლი ქონებიდან გამოვყოფდით სატვირთო მანქანებს, თესლეულს, ხოლო ცხენებსა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს, რაც გერმანელი ბარონების ადგილ-მამულიდან იყო წამოღებული, ვაძლევდით სოფლის მეურნეობის მუშებს, რომლებიც შრომის არტელებს ქმნიდნენ.

ბერლინში ჩამოვიდა ვალტერ ულბრიხტი. მანამდე მე ის არასოდეს არ მენახა, მაგრამ ბევრი რამ მქონდა გაგონილი მასზე, როგორც

გერმანელი კომუნისტების მტკიცე და პრინციპულ ხელმძღვანელობ. ს ვ. ულბრიხტთან ერთად ჩამოვიდა გერმანელი კომუნისტების დიდი ჯგუფი. მათი პირველი საზრუნავი იყო არ მომხდარიყო რაიმე ექსცესები გერმანელ მოსახლეობასა და ჩვენს მებრძოლთა შორის ურთიერთდამოკიდებულებაში. გერმანელი ამხანაგები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ გერმანიის მუშები, უბრალო ადამიანები, უკვე ხედავენ წითელ არმიაში არა დამსჯელს, არამედ ფაშიზმისაგან გერმანელი ხალხის განმათავისუფლებელს.

ჩვენ წინადადება მივეცით ვალტერ ულბრიხტს წასულიყო წითელი არმიის ნაწილებში და თავისი ამხანაგები გაეგზავნა საბჭოთა მებრძოლებთან სასაუბროდ. ეს წინადადება მიღებულ იქნა. დაბრუნებისას მათ დიდი სითბოთი მოიხსენიეს ჩვენი მებრძოლები, მათი ფართო პოლიტიკური თვალთახედვა და ადამიანურობა.

ბერლინის დაპყრობის შემდეგ ჩვენ ხშირად გვიხდებოდა შეხვედრა ვ. პიკთან, ვ. ულბრიხტთან და სხვა გერმანელ კომუნისტებთან, რომლებიც შეუსვენებლივ მუშაობდნენ ომითა და ფაშიზმის ბატონობით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციისათვის.

მე გავიცანი ოტო გროტეოლიც, რომელიც იმ დროს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ზემარცხენე დაჯგუფების აღიარებული ხელმძღვანელი იყო; იგი აშკარად იხრებოდა კომუნისტებისაკენ. მალე ვილჰელმ პიკსა, ვალტერ ულბრიხტსა და ოტო გროტეოლს შორის დაიწყო აქტიური მოლაპარაკება კომუნისტებისა და მემარცხენე სოციალ-დემოკრატების რიგებიდან გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის შექმნის შესახებ; ეს მოლაპარაკება ერთი წლის შემდეგ, 1946 წლის 21 აპრილს, გერმანიის სოციალისტური ერთიანი პარტიის შექმნით დამთავრდა. არჩეული იქნა პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები, დიდი მუშაობა გაიშალა მუშებსა, გლეხებსა და მშრომელ ინტელიგენციას შორის.

1945 წლის მაისის შუა რიცხვებში ფრონტის სამხედრო საბჭომ მოიწვია თათბირი გერმანელი საზოგადოებრიობის, მრეწველობის, ტრანსპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, კომუნალური მეურნეობის, კულტურის დაწესებულებათა მუშაკებისა და სამხედრო კომენდატურათა ოფიცრების მონაწილეობით.

ამ თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ა. ი. მიკოიანმა, გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვალტერ ულბრიხტმა და სხვა გერმანელმა პარტიულმა და საზოგადოებრივმა მოღვაწეებმა.

განხილულ იქნა ქალაქში ცხოვრების შემდგომი ნორმალიზაციის, მოსახლეობის მომარაგების საკითხები და ტრანსპორტის, კომუნალურ

საწარმოთა აღდგენის, ბერლინში კულტურული ცხოვრების ორგანიზაციის ღონისძიებანი.

უკვე 14 მაისს ბერლინის სამხედრო კომენდანტმა გენერალ-პოლკოვნიკმა ნ. ე. ბერზარინმა მეტროს ახალ დირექციასთან ერთად გახსნა მოძრაობა მეტროპოლიტენის პირველ ხაზზე, მაისის ბოლოსათვის კი საექსპლოატაციოდ გადაეცა მეტროპოლიტენის ხუთი ხაზი, რომელთა საერთო სიგრძე 61 კილომეტრი იყო.

19 მაისს შედგა ბერლინის მაგისტრატის საზეიმო დამფუძნებელი კრება, სადაც ნ. ე. ბერზარინი გამოვიდა მოხსენებით ბერლინში საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის შესახებ, ხოლო ობერბურგომისტმა — დოქტორ ვერნერმა წარმოგვიდგინა საზოგადოებრიობის მაგისტრატი. მასში შედიოდნენ ის გერმანელები, რომლებიც ცნობილი იყვნენ თავიანთი უწინდელი ანტიფაშისტური დემოკრატიული მოღვაწეობით.

მთელს ქალაქში ტარდებოდა დიდი აღდგენითი სამუშაოები, ხერგების გაწმენდა, რაშიაც გერმანელ სპეციალისტებთან და მოსახლეობასთან ერთად მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა საინჟინრო და სპეციალურმა ჯარებმა. მაისის ბოლოსათვის ქალაქის ფარგლებში ნაწილობრივ მწყობრში ჩადგა ძირითადი რკინიგზის სადგურები და სამდინარო პორტები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ სათბობითა და სურსათით ბერლინის ნორმალურ მომარაგებას.

ამავე დროისათვის ამოქმედდა ქალაქის წყალსადენის 21 ტუმბოს სადგური. აღდგენილი 7 გაზის ქარხანა ქალაქის საჭიროებისათვის 340 ათას კუბურ მეტრ გაზს იძლეოდა დღეღამეში. ბერლინის ძირითადი რაიონების საწარმოებები და მოსახლეობა თითქმის მთლიანად იყვნენ უზრუნველყოფილნი გაზითა და წყლით.

ივნისში ქალაქის ტრამვაის უკვე გადაჰყავდა მგზავრები და გადაჰქონდა ტვირთი 51 ხაზით, რომელთა საერთო სიგრძე 498 კილომეტრს შეადგენდა.

25 მაისს ნ. ე. ბერზარინის ბრძანებით ნებადართული იყო ქალაქის პოლიციის, სასამართლოსა და პროკურატურის ორგანიზაცია. საპოლიციო აპარატის მეთაურობა ბერლინში დაუკისრა „თავისუფალი გერმანიის" მოძრაობის აქტიურ მონაწილეს პაულიო მარკგრაფს.

ბერლინის სამხედრო კომენდატურებმა გერმანელი კომუნისტებისა და დემოკრატების დახმარებით მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარეს ქალაქში დემოკრატიული წყობის ორგანიზაციისა და განვითარების საქმეში.

ბერლინის რადიომ თავისი გადაცემები დაიწყო 13 მაისს. მეორე დღეს სამხედრო კომენდატურის ხელმძღვანელობამ თეატრის დირექტორებთან გუსტავ გრიუნდგენთან, ერნსტ ლეგალთან და პაულ ვეგ-

ნერთან ერთად განიხილა მოსამზადებელი ღონისძიებები ბერლინის თეატრების გასახსნელად.

შუა ივნისისათვის ბერლინში მუშაობდა 120 კინოთეატრი, სადაც აჩვენებდნენ საბჭოთა მხატვრულ და დოკუმენტურ კინოფილმებს. მათ ინტერესით ნახულობდა ათეული ათასობით ბერლინელი.

საბჭოთა ხელისუფლების მეტად მნიშვნელოვანი პოლიტიკური და კულტურული ღონისძიება იყო მოსახლეობისათვის გერმანულ ენაზე საბჭოთა საოკუპაციო ჯარების გაზეთის „ტეგლიხე რუნდშაუს" („ყოველდღიური მიმოხილვა") გამოცემა. ამ გაზეთის პირველი ნომერი 15 მაისს გამოვიდა და მან სწრაფად მოიპოვა პოპულარობა.

გაზეთის ამოცანა იყო: განემარტა გერმანელი ხალხისათვის ჩვენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკა, მოეთხრო სიმართლე საბჭოთა კავშირის შესახებ, წითელი არმიის ინტერნაციონალური მისიის შესახებ. გაზეთი დაწერილებით აშუქებდა ბერლინში კომუნალური მეურნეობის აღდგენისა და კულტურის აღმავლობის ღონისძიებებს, ამხელდა ფაშიზმის არსს. გერმანელებს მოუწოდებდა ყოველი ღონე ეხმარათ ბერლინში ნორმალური ცხოვრების აღდგენის დასაჩქარებლად.

რამდენიმე დღის შემდეგ გამოვიდა მეორე გაზეთი „ბერლინერ ცაიტუნგ" — ბერლინის მაგისტრატის ორგანო.

ივნისში მოხდა ბერლინის დემოკრატიული კულტურული ძალების გაერთიანება. შეიქმნა „კულტურბუნდ" — გერმანიის დემოკრატიული განახლების კულტურული კავშირი.

მაისის შუა რიცხვებში საბჭოთა კომენდატურისა და მაგისტრატის ჰითითებით უმრავლეს რაიონებში განახლდა სასკოლო მეცადინეობა. ივნისის ბოლოსათვის უკვე გაკვეთილები ტარდებოდა 580 სკოლაში, სადაც 233 ათასი ბავშვი სწავლობდა. მოეწყო 88 საბავშვო სახლი.

საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის მთავარუფროსის №2 ბრძანებით ნებადართულ იქნა ოკუპაციის საბჭოთა ზონის ტერიტორიაზე ანტიფაშისტური პარტიების საქმიანობა. მშრომელი მოსახლეობისათვის გარანტირებული იყო იმის უფლება, რომ გაერთიანებულიყვნენ თავისუფალ პროფკავშირებსა და ორგანიზაციებში თავიანთი ინტერესებისა და უფლებების უზრუნველყოფის მიზნით.

„სოციალისტურ სამხედრო ხელისუფალთა ეს ნაბიჯი მოულოდნელი და გასაოცარი აღმოჩნდა გერმანელი მოსახლეობის დიდი უმრავლესობისათვის. იგი იყო გამოხატულება საბჭოთა კავშირის ხელისუფალთა ნდობისა გერმანელი ხალხის დემოკრატიული ძალებისადმი და ფაშიზმის აღმოფხვრის მათი თანმიმდევრული პროგრამისა და გერმანიის დემოკრატიული გარდაქმნისა", — წერს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიკოსი ჰორსტ შიუკლერი.

როგორც შემდეგში ოტო გროტეოლი აღნიშნავდა, გერმანიაში საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის მთავარუფროსის №2 ბრძანებამ „მძლავრი იმპულსი მისცა პოლიტიკურ ცხოვრებას ოკუპაციის საბჭოთა ზონაში“.

„სად შეიძლება ისტორიაში მოინახოს ისეთი საოკუპაციო არმია, — წერდა იგი, — რომელიც ომის დამთავრებიდან ხუთი კვირის შემდეგ ოკუპირებული სახელმწიფოს მოსახლეობას პარტიების შექმნის, გაზეთების გამოცემის შესაძლებლობას მისცემდა, კრებებისა და გამოსვლების თავისუფლებას მიანიჭებდა?“

11 ივნისს გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გერმანელ ხალხს პროგრამული მოწოდებით მიმართა. ეს იყო განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი, იგი იძლეოდა ანტიფაშისტურ-დემოკრატიული გერმანიის აშენების პროგრამას.

გერმანელმა ხალხმა მიიღო დემოკრატიულ საფუძველზე თავისი ცხოვრების აშენების უფლება.

ომის დამთავრების შემდეგ პირველსავე თვეებში თვითმმართველობის დემოკრატიულმა ორგანოებმა ბერლინში, როგორც ოკუპაციის მთელს საბჭოთა ზონაშიც, გერმანიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და საბჭოთა სარდლობის მონაწილეობით მთელი რიგი სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნები განახორციელეს. ჩატარდა დემოკრატიული მიწის რეფორმა, რომელმაც მიწა მისცა თითქმის მილიონ გერმანელ მშრომელს და ბოლო მოუღო პრუსიის იუნკრების კლასის, გერმანული მილიტარიზმისა და ფაშიზმის ერთ-ერთი მთავარი ბურჯის, არსებობას. ლიკვიდირებულ იქნა მსხვილი კაპიტალისტური მონოპოლიები, დაიშალა მეწარმეთა კავშირები, ყოფილი ნაცისტები გაძევებულ იქნენ ქალაქის ეკონომიური, საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების სხვადასხვა დარგებში ხელმძღვანელი პოსტებიდან. ქარხნებში წესდებოდა 8 საათიანი სამუშაო დღე და ხორციელდებოდა მშრომელებისათვის შვებულებათა ერთიანი სისტემა.

კარგად მახსოვს, თუ როგორი დიდი უურადღებით და გერმანელ მშრომელთა ცხოვრების პირობების როგორი კონკრეტული ცოდნით ადევნებდნენ თვალყურს ამ უმნიშვნელოვანეს პროცესებს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და მისი პოლიტიკური ბიურო. ამ სამუშაოს მთავარი მიმართულებების შესახებ ბევრ რჩევა-დარიგებას იძლეოდა პირადად ი. ბ. სტალინი, რომელიც ამ საკითხებს განიხილავდა საერთაშორისო მუშათა კლასის ინტერესებისა და ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის ბრძოლის თვალსაზრისით.

ბერლინის დასავლეთ სექტორებში ამერიკის შეერთებული შტა-

ტების, ინგლისისა და საფრანგეთის ჯარების მოსვლის დროისათვის ქალაქში მოსახლეობის ცხოვრება ძირითადად უკვე ნორმალიზებული იყო და შექმნილი ყველა პირობა მისი შემდგომი განვითარებისათვის.

1945 წლის 16 ივნისს საბჭოთა კომენდატურას და მე-5 დამკვრელ არმიას დიდი უბედურება დაატყდა თავს. არმიის სარდალი, ბერლინის პირველი საბჭოთა კომენდანტი, საბჭოთა კავშირის გმირი გენერალ-პოლკოვნიკი ნიკოლოზ ერასტის ძე ბერზარინი, რომელმაც ესოდენ ბევრი გააკეთა ბერლინის აღდგენისათვის, დაიღუპა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს.

სამხედრო კომენდანტისა და მე-5 დამკვრელი არმიის სარდლის პოსტზე, იგი შეცვალა საბჭოთა კავშირის გმირმა გენერალ-პოლკოვნიკმა ა. ვ. გორბატოვმა. ბერლინის ოპერაციაში მე-3 არმიის ჯარებს სარდლობისას მან ბრწყინვალედ გაართვა თავი ბერლინის სამხრეთ-აღმოსავლეთით გარშემორტყმული გერმანელთა ჯარების განადგურების ამოცანას. ბერლინის კომენდანტად ყოფნისას ალექსანდრე ვასილის ძემ თავი ისახელა როგორც გამოჩენილმა ორგანიზატორმა და ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რათა აქტიურად გაგრძელებულიყო მუშაობა მშრომელი გერმანელი ხალხის ნორმალური ცხოვრების აღსადგენად.

მინდა კეთილი სიტყვით აღვნიშნო მე-5 არმიის სამხედრო საბჭოს წევრის გენერალ-ლეიტენანტ თ. ე. ბოკოვისა და პოლკოვნიკ ს. ი. ტიულპანოვის ნაყოფიერი მოღვაწეობა; ისინი დიდ დახმარებას უწევდნენ გერმანელ ამხანაგებს ბერლინის მაგისტრატისა და თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების ორგანიზაციის საქმეში, ეხმარებოდნენ აგრეთვე ბერლინში საბჭოთა სამხედრო კომენდატურებს მათს მუშაობაში.

საბჭოთა ჯარების დასკვნითს ოპერაციას დიდ სამამულო ომში წარმოადგენდა პრაღის ოპერაცია. საბჭოთა ჯარებს უნდა დაემთავრებინათ გერმანელთა ჯარების ნარჩენთა განადგურება ჩეხოსლოვაკიაში და გაენთავისუფლებინათ იგი გერმანელთა ოკუპაციისაგან.

ჯერ კიდევ 5 მაისს მთავარბანაკისთვის ცნობილი გახდა პრაღაში ჩეხების აჯანყება და აჯანყებულთა ბრძოლა გერმანელთა ჯარებთან. მთავარბანაკმა უბრძანა უკრაინის 1-ლ, მე-2 და მე-4 ფრონტებს დაეჩქარებინათ პრაღის რაიონში ჩვენი ჯარების წინსვლა, რათა მიშველებოდნენ აჯანყებულებს და არ მიეცათ ჰიტლერელთათვის აჯანყების ჩახშობის საშუალება.

მთავარბანაკის ბრძანების შესასრულებლად აღნიშნულმა ფრონტებმა დაძრეს იქითკენ თავიანთი ჯარები. 9 მაისს ღამით გავიდნენ ისინი პრაღის რაიონში, დილით კი შევიდნენ ქალაქში, სადაც მათ მოსახლეობა მხურვალედ მიესალმა.

ამ დროიდან გერმანელთა ჯარების ორგანიზაციული წინააღმდეგობა ჩეხოსლოვაკიაში, ავსტრიასა და გერმანიის სამხრეთით შეწყდა. გერმანელთა ჯარები აჩქარებით იხევდნენ დასავლეთისაკენ, ესწრაფოდნენ რა ტყვედ ჩავარდნოდნენ ამერიკის ჯარებს. იქ, სადაც მათ საბჭოთა ჯარები გზას უღობავდნენ, ისინი ცდილობდნენ იარაღით წინ გაჭრას, თუმცა ნახულობდნენ დიდ ზარალს. ამერიკელთა ჯარების სარდლობამ, დაარღვია რა თავისი მოკავშირული ვალდებულებანი, გერმანელ-ფაშისტთა ჯარებს მათს ზონაში უკანდასახევი გზა კი არ გადაუჭრა, არამედ დაეხმარა კიდეც უკან დახევაში.

იმავეს ვხედავდით ინგლისის ჯარების უბნებზეც. საბჭოთა სარდლობამ პროტესტი განუცხადა მოკავშირეებს, მაგრამ ეს პროტესტი უშედეგოდ დარჩა.

ამერიკის ჯარების განლაგებაში გადასვლას ჩქარობდა აგრეთვე ვლასოველების, სამშობლოს მოღალატეთა, დივიზია. მაგრამ მისი გადასვლა გადაჭრით აღკვეთა 25-ე სატანკო კორპუსმა, რომელსაც გენერალ-მაიორი ე. ი. ფომინიხი სარდლობდა. დივიზიაში თვითონ ვლასოვი იმყოფებოდა. გადაწყვეტილი იყო მისი ცოცხლად დატყვევება, რათა მთლიანად მიეზღოთ მისთვის სამაგიერო სამშობლოს ღალატისათვის. ამ ამოცანის შესრულება დავალებული ჰქონდა 162-ე სატანკო ბრიგადის მეთაურს პოლკოვნიკ ი. პ. მიშჩენკოს, ხოლო თვითონ ვლასოვის უშუალო შეპყრობა დაეკისრა რაზმს, რომელსაც კაპიტანი მ. ი. იაკუშევი მეთაურობდა.

ვლასოვი შეიპყრეს უკანდახეული კოლონის მსუბუქ მანქანაში. ნივთების გროვის ქვეშ დამალული და საბანწაფარებული, იგი თავს იკატუნებდა ავადმყოფ ჯარისკაცად. მაგრამ იგი იქვე ამხილეს მისმა გარემომცველმა პირებმა. ვლასოვი და მისი თანამზრახველები სამხედრო ტრიბუნალმა გაასამართლა მოსკოვში და სიკვდილით დასაჯა.

* * *

ამრიგად, საბოლოოდ დაიმსხვრა საზარელი ფაშისტური სახელმწიფო. საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა და მოკავშირეთა ჯარებმა საფრანგეთის, იუგოსლავიის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვა ქვეყნების სახალხო განმათავისუფლებელი ძალების დახმარებით დაამთავრეს ფაშიზმის განადგურება ევროპაში. ეს იყო დიდი ხნის ნანატრი და სასიხარულო დაბოლოება ჰიტლერთა შემოსევისა, რომელიც თითქმის ექვს წელს გაგრძელდა. ფაშისტურ გერმანიასთან ომის დამთავრებასთან იყო დაკავშირებული მთელი პროგრესული კაცობრიობის საუკეთესო იმედები.

მეძნელება, და არც საჭიროება მოითხოვს, განსაკუთრებით ვინმე გამოვყო ბერლინის ოპერაციის — მეორე მსოფლიო ომის დასასრულის ამ უდიდესი ფინალური ბრძოლის მონაწილეთაგან. ყოველი მეომარი იბრძოდა და დაკისრებულ ამოცანას ასრულებდა თავისი ძალისა და შესაძლებლობის მაქსიმალური დაძაბულობით. საერთოდ მოწინააღმდეგის განადგურება ოპერაციაში, შეტაკებასა თუ ბრძოლაში, საერთო საქმე იყო ყველასათვის, ვინც კი ამაში მონაწილეობდა.

ფრონტის ჯარების მართვაში მე კარგად მომეხმარა ბელორუსიის 1-ლი ფრონტის შტაბის გამოცდილი კოლექტივი გენერალ მ. ს. მალინინის მეთაურობით.

უნდა ვთქვა, რომ, როდესაც ჩვენ ომის შედეგებს ვაჯამებთ, საჭიროა ჯეროვნად შეეაფასოთ შტაბის კოლექტივების მუშაკები.

მინდა ყურადღება მივაქციო იმ გარემოებას, რომ გერმანელთა ჯარების ბერლინის დაჯგუფების განადგურება და გერმანიის დედაქალაქის დაპყრობა სულ მხოლოდ 16 დღეღამეში განხორციელდა. ეს საროეკორდო მოკლე ვადაა ასეთი რთული სტრატეგიული ოპერაციისათვის.

ამჟამად დასავლეთში ვიღაც ცდილობს შეამციროს ის სიძნელეები, რომელთაც საბჭოთა ჯარები წააწყდნენ 1945 წლის დამამთავრებელ ოპერაციებში და ბერლინის აღების დროს.

როგორც ბერლინის ოპერაციის მონაწილემ, უნდა ვთქვა, რომ ეს იყო მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი ყველაზე ძნელი ოპერაცია. მოწინააღმდეგის დაჯგუფება, საერთო რიცხვით დაახლოებით ერთ მილიონ კაცამდე, რომელიც ბერლინის სტრატეგიული მიმართულებით თავს იცავდა, გააფთრებით იბრძოდა განსაკუთრებით ზეელეს მაღლობებზე, ქალაქის მიდამოებსა და თვითონ ბერლინში. საბჭოთა ჯარებმა ამ დამამთავრებელ ოპერაციაში დიდი დანაკარგი განიცადეს — დაახლოებით სამასი ათასი კაცი მოკლულთა და დაჭრილთა სახით.

ეიზენჰაუერთან, მონტგომერთან, მოკავშირეთა ჯარების ოფიცრებთან და გენერლებთან ლაპარაკიდან მე მაშინ ვიცოდი, რომ რაინის გადალახვის შემდეგ მოკავშირეთა ჯარებს გერმანელებთან სერიოზული ბრძოლები არ ჰქონდათ. გერმანულ-ფაშისტთა ჯარის ნაწილები სწრაფად იხევდნენ უკან და რაიმე საგრძნობი წინააღმდეგობის გარეშე ტყვედ უვარდებოდნენ ამერიკელებსა და ინგლისელებს. ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ მოკავშირეთა ჯარებს დამამთავრებელ ოპერაციებში მეტად უმნიშვნელო ზარალი ჰქონდათ.

ასე, მაგალითად, ფ. ს. პოგიუს მონაცემებით, რაც მოთხრობილია მის წიგნში „უმაღლესი სარდლობა", პატონიხ 1-მა ამერიკელთა არმიამ 1945 წლის 23 აპრილს დაკარგა სულ მხოლოდ სამი კაცი, მაშინ

როდესაც ამავე დღეს ტყვედ წაიყვანა 9 ათასი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

რა ზარალი ნახა ამერიკის სამმილიონიანმა არმიამ, როცა იგი რაინიდან დაძრული აღმოსავლეთისაკენ, სამხრეთ-დასავლეთისაკენ და ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მიიწევდა? თურმე, მხოლოდ 8351 კაცი, მაშინ როდესაც გერმანელი ტყვეების — ჯარისკაცების, ოფიცრებისა და გენერლების რიცხვი ასი ათასობით ითვლებოდა.

დასავლეთის ბევრი ხელმძღვანელი სამხედრო მოღვაწე, მათ შორის ყოფილი საექსპედიციო მოკავშირეთა ჯარების უმაღლესი სარდლობა ევროპაში, განაგრძობენ არასწორი დასკვნების გამოტანას იმის შესახებ, თითქოს არდენის ბრძოლისა და მოკავშირეთა ჯარების რაინზე გასვლის შემდეგ გერმანიის სამხედრო მანქანა დაიმსხვრა და 1945 წლის რაიმე საგაზაფხულო კამპანიის ჩატარება საჭიროებას აღარ წარმოადგენდა. ყოფილმა პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმაც კი, 1965 წელს ჩიკაგოში ვაშინგტონელ კორესპონდენტს ედვარდ ფოლიანცს ინტერვიუს რომ აძლევდა, განაცხადა: „გერმანიამ სრული დამარცხება განიცადა არდენთან ბრძოლის შემდეგ...

16 იანვრისათვის ყველაფერი დამთავრებული იყო, და ყოველი გონიერი ადამიანი გაიგებდა, რომ ეს იყო დასასრული... საჭირო იყო ყოველგვარ საგაზაფხულო კამპანიაზე უარის თქმა. ომი დამთავრდებოდა 60 ან 90 დღით ადრე“.

ამას ვერ დავეთანხმები.

წითელმა არმიამ, როგორც ცნობილია, 1945 წლის შუა იანვარში ის იყო დაიწყო შეტევა ტილზიტ — ვარშავა—სანდომირის საზღვრიდან, მიზნად ჰქონდა რა მოწინააღმდეგის განადგურება აღმოსავლეთ პრუსიასა და პოლონეთში. შემდგომისათვის გეგმით გათვალისწინებული იყო შეტევის განვითარება გერმანიის ცენტრში ბერლინის დასაპყრობად და ელბაზე გადასასვლელად, ხოლო სამხრეთ ფრთაზე მზადდებოდა ჩეხოსლოვაკიისა და ავსტრიის საბოლოო განთავისუფლება.

ეიზენჰაუერის ახალი მსჯელობის თანახმად გამოდიოდა, რომ 1945 წლის იანვარში საბჭოთა ჯარებსაც უარი უნდა ეთქვათ საგაზაფხულო კამპანიაზე. ეს ნიშნავდა ომის დამთავრებას ისე, რომ არ ყოფილიყო მიღწეული არც ძირითადი სამხედრო-პოლიტიკური მიზანი, არც ფაშისტური გერმანიის საზღვრებიც კი, ბერლინის აღებაზე რომ აღარა ვთქვათ რა. მოკლედ, გაკეთებულიყო ის, რაზეც ასე ოცნებობდნენ ჰიტლერი და მისი წრე. მიწისქვეშა საიმპერიო კანცელარიაში რომ ისხდნენ. გაკეთებულიყო ის, რაზეც დღეს ასე წუხს ყველა ის, ვისაც არ მოსწონს ჩვენი დროის დიადი პროგრესული ცვლილებანი.

ევროპაში ფაშიზმის განადგურებამ ანტიჰიტლერული ქვეყნების კოალიციისაგან მოითხოვა უდიდესი შეარაღებული ძალებისა და მა-

ტერიალური სახსრების მობილიზაცია. ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაწყვეტაში ხაზგასმით იქნა ნაჩვენები ურთიერთგაგება და სურვილი იმისა, რომ ბრძოლა ფაშიზმთან მიყვანილი ყოფილიყო მის უსიტყვო კაპიტულაციამდე.

არავის არ შეუძლია უარყოს ის გარემოება, რომ ფაშისტთა შეიარაღებულ ძალებთან ბრძოლის მთავარი სიმძიმე წილად ხვდა საბჭოთა კავშირს .ეს იყო ყველაზე უფრო მკაცრი, სისხლისმღვრელი და მძიმე ყველა იმ ომთაგან, რომელიც კი ოდესმე ჩვენს ხალხს თავს გადახდენია.

გააფთრებული და ყველაფრის გამანადგურებელი ომი დაახლოებით სამი წლის განმავლობაში უშუალოდ საბჭოთა ტერიტორიაზე წარმოებდა. 20 მილიონზე მეტი საბჭოთა ადამიანი დაიღუპა ბრძოლის ველზე, ქალაქებისა და სოფლების ნანგრევებში, დახვრეტილნი ფაშისტების მიერ, წამებულნი ჰიტლერელთა „სიკვდილის ფაბრიკებში". აღგვილ იქნა პირისაგან მიწისა 70 ათასი ქალაქი, დაბა და სოფელი. ქვეყანამ დაკარგა ეროვნული სიმდიდრის დაახლოებით 30 პროცენტი. ვის შეუძლია უარყოს, რომ ისტორია არ იცნობდა ისეთ მასობრივ ბარბაროსობასა და არაადამიანურობას, როგორსაც ფაშისტი ოკუპანტები ჩვენს მიწაწყალზე სჩადიოდნენ!

ანტიჰიტლერული კოალიციის არც ერთ ქვეყანას, არც ერთ ხალხს არ გაუღია ისეთი მძიმე მსხვერპლი, როგორიც საბჭოთა კავშირმა გაიღო, და არავის არ დაუსარჯავს იმდენი ძალ-ღონე, რათა გაენადგურებია მტერი, რომელიც მთელ კაცობრიობას ემუქრებოდა.

ამერიკის ტერიტორიას არ დასცემია არც ერთი ყუმბარა. ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქებს არ მოხვედრიათ არც ერთი ჭურვი .ინგლისის ზარალი მოკლულთა სახით ომის მთელი წლების განმავლობაში შეადგენდა 264443 კაცს[1].

მაგრამ საბჭოთა ადამიანები ღირსეულად აფასებენ ამერიკისა და ინგლისის ხალხებს, მათს ჯარისკაცებს, მეზღვაურებს, ოფიცრებსა და სარდლებს, რომლებიც ყველაფერს აკეთებდნენ, რაც კი შესაძლებელი იყო, რათა მოეახლოვებინათ ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების საათი. ჩვენ გულწრფელად ვცემთ პატივს დაღუპულ ინგლისელ და ამერიკელ მეზღვაურებს, რომლებიც, მიუხედავად რთული საზღვაო ვითარებისა. მიუხადავად იმისა, რომ ყოველ მილზე მათ სასიკვდილო საფრთხე ელოდებოდათ, გვაწოდებდნენ ლენდ-ლიზის ხელშეკრულებით გაპირობებულ ტვირთს. ჩვენ დიდად ვაფასებთ ევროპის ბევრ ქვეყანაში წინააღმდეგობის მონაწილეთა თავგანწირვას.

რაც შეეხება ევროპაში მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების ყველა გვარეობის ჯარის მეომართა საბრძოლო მამაცობას, უნდა ობიექ-

---

[1] ომის სტატისტიკური ცნობარი. ლონდონი, 1945, გვ. 13.

ტერად ვაღიარო მათი ის მაღალი საბრძოლო თვისებები და საომარი სულისკვეთება, რომლითაც ისინი იბრძოდნენ ჩვენი საერთო მტრის წინააღმდეგ.

შემთხვევითი როდი იყო, რომ როცა ჩვენი ჯარები ელბაზე და სხვა რაიონებში მოკავშირეებს შეხვდნენ, ისინი გულწრფელად ულოცავდნენ ერთმანეთს ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებას და ომის შემდგომი მეგობრობის განმტკიცების იმედს გამოთქვამდნენ.

ომმა მკაცრი გამოცდა და ყოველმხრივი შემოწმება მოუწყო საბჭოთა საზოგადოებრივ და სახელმწიფო წყობილებას. ამ შემოწმებამ დაადასტურა მისი სრული უპირატესობა და სოციალისტურარიანი ძალა. ომის მსვლელობამ და დასასრულმა დაგვანახვა მასში ხალხთა მასების გადამწყვეტი როლი. ყოველ საბჭოთა ადამიანს, რომელიც ჯარის რიგებში, პარტიზანულ რაზმებში, ქარხნებში, საკონსტრუქტორო ბიუროებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში იმყოფებოდა, ძალ-ღონის დაუზოგავად შექონდათ თავისი წვლილი მტრის განადგურების საქმეში.

მძიმე პირობებში, ნახევრად მშიერი და უძილო, შრომობდნენ მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია. ქალები და მოზარდნი ცვლიდნენ მათ, ვინც ფრონტზე მიდიოდა. ახალ ეკონომიურ ბაზაზე აშენებულმა მთელმა სახალხო მეურნეობამ დაამტკიცა თავისი პროგრესულობა. ჩვენმა მრეწველობამ ძლიერ მტერთან შეიარაღებული ბრძოლის უმძიმეს პირობებში, მტერთან, რომელმაც ესოდენ დიდი მატერიალური ზარალი მოგვაყენა, შეძლო ომის წლებში თანამედროვე საბრძოლო ტექნიკა თითქმის ორჯერ მეტი ეწარმოებინა, ვიდრე ეს ჰიტლერულმა გერმანიამ აწარმოვა, რომელიც ევროპის საომარ პოტენციალს ეყრდნობოდა.

ყველაზე უმძიმეს მომენტებშიც კი, როცა გეგონებოდათ მტერი იმარჯვებსო, საბჭოთა ხალხმა ხელები არ ჩამოუშვა, არ მოიდრიკა მოწინააღმდეგის დარტყმების გამო, არამედ, კომუნისტური პარტიის გარშემო შემჭიდროებულმა, საჯელოვნად გადალახა ყველა სიძნელე და მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებას მიაღწია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მართლაც ჩვენი ნამდვილი სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო. მკაცრი საომარი განსაცდელის მძიმე წლებში იგი მებრძოლი ხალხის სათავეში იდგა, ჰისი საუკეთესო შვილები შეიარაღებული ბრძოლის პირველ ხაზზე იდგნენ. ომის დასასრულისათვის ფრონტზე 3 მილიონზე მეტი კომუნისტი იმყოფებოდა — პარტიის ყველა წევრთა ნახევარზე მეტი (ყოველი მეოთხე მებრძოლი კომუნისტი იყო!). ყველაზე დიდი ნაკადი კი პარტიაში შემსვლელი მებრძოლებისა 1941 და 1942 წლების ყველაზე მძიმე თვეებში იყო. კომუნისტები და კომკავშირელები ფრონტზე და

ზურგში მაგალითის მიმცემნი იყვნენ სამშობლოსათვის გმირულ ბრძოლაში. ხალხი და მისი არმია კომუნისტებსა და ლენინურ პარტიაში ხედავდნენ მაღალი საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმისადმი ერთგულების ნიმუშს.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო უდიდესი მნიშვნელობის ის პატრიოტული და პროპაგანდისტული როლი, რომელიც საბჭოთა ბეჭდვითმა სიტყვამ შეასრულა დიდი სამამულო ომის წლებში. პირველ რიგებში, ყველაზე საშიშ და რთულ საფრონტო პირობებში გმირულად მოქმედებდნენ ცენტრალური და საფრონტო გაზეთების სპეცკორები, კორესპონდენტები, უშიშარი და ყველგანმყოფი ფოტოკორესპონდენტები, სრულიად საკავშირო რადიოს მუშაკები.

უდიდესი და დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა მთელს მსოფლიოში საბჭოთა ინფორმბიურო როგორც წყარო ყველაზე უტყუარი ინფორმაციისა დიდი სამამულო ომის ფრონტებიდან.

ვაჯამებთ რა ზოგიერთ შედეგებს, ჩვენ ერთხელ კიდევ ღირსეულად უნდა შევაფასოთ ის უდიდესი ძალ-ღონე და სიმამაცე, რაც ჩვენმა ხალხმა და არმიამ გამოიჩინეს მოსკოვთან ბრძოლის დროს ძნელ და მძიმე 1941 წელს.

გერმანიის იმპერიალიზმი მიზნად ისახავდა — მოესპო მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო, დაემონებინა მრავალი ქვეყნის ხალხები. დღეს უკვე გაუვითლებულია ის დოკუმენტები, დირექტივები და რუკები, რომლებზეც ჰიტლერელმა მეთაურებმა მოხატეს ევროპის, აზიის, აფრიკისა და ამერიკის ბედი მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირს გაანადგურებდნენ. მაგრამ მათი გახსენება ღირს მაინც ყოველთვის, როცა ფიქრობ საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომზე, ფიქრობ იმაზე, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს მსოფლიო ბატონობის დაჩემებას.

კლასობრივმა შეურიგებლობამ და უკომპრომისობამ ფაშიზმთან და მის შეიარაღებულ ძალებთან ბრძოლაში განმსაზღვრელი გავლენა მოახდინეს საბჭოთა ჯარების სტრატეგიაზე, ოპერატიულ ხელოვნებასა და ტაქტიკაზე, ჯარებისა, რომლებსაც წარმართავდნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტი და უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკი.

საბჭოთა სამხედრო ხელოვნებამ, გადალახა რა ომის პირველი პერიოდის სიძნელენი და დაეყრდნო რა მთელი ხალხის მხარდაჭერას, შეძლო მეორე ეტაპზე საბოლოოდ გამოეგლიჯა მტრისათვის ინიციატივა და მოეწყო მთელი რიგი დიდი სტრატეგიული შეტევითი ოპერაციები.

სრულყოფდნენ რა ომის წარმოების ფორმებსა და წესებს, უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკი, გენერალური შტაბი, ფრონტებისა და არმიათა სარდლობა და მათი შტაბები ომის მსვლელობაში უდიდეს

მუშაობას ეწეოდნენ შეიარაღებული ბრძოლის მოწინავე გამოცდილების განზოგადებისა და ჯარებში მისი დანერგვის საქმეში.

1943-1945 წლების შეტევითი ოპერაციების წარმატების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენდა საარტილერიო-საავიაციო შეტევის ახალი მეთოდი; მსხვილი მექანიზირებული, სატანკო და საავიაციო გაერთიანებების მასირებული გამოყენება და სტრატეგიული მასშტაბის ოპერაციებში მათი უნარიანი თანამოქმედება საერთო საჯარისო არმიებთან; ოპერაციების მომზადებისა და ჯარების მართვის მეთოდების ძირეული გაუმჯობესება.

ომის მსვლელობაში სახმელეთო ძალებთან ერთად სწრაფად ეითარდებოდნენ ჩვენი სამხედრო-საჰაერო ძალებიც, მათი საბრძოლო და ოპერატიული ხელოვნება. ეს უზრუნველყოფდა დამამთავრებელ პერიოდში სრულ ბატონობას ჰაერში. ჩვენი მფრინავების საბრძოლო მოქმედება ომის დროს მასობრივი გმირობით გამოირჩეოდა. სახმელეთო ჯარებთან თანამოქმედებით ავიაცია ახორციელებდა მძლავრ და მოუგერიებელ დარტყმებს მთელს ტაქტიკურ, ოპერატიულ და სტრატეგიულ სიღრმეზე. ომის დასასრულისათვის ჩვენს სამხედრო-საჰაერო ძალებს აღჭურვილობის საუკეთესო მატერიალური ნაწილი ჰქონდათ.

პირველხარისხოვანი სამხედრო ტექნიკის შექმნაში თვალსაჩინო შემოქმედებითი გამარჯვება მოიპოვეს იმ კოლექტივებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ ა. ნ. ტუპოლევი, ა. ი. მიკოიანი, ა. ა. ბლაგონრავოვი, ა. ა. არხანგელსკი, ნ. ნ. პოლიკარპოვი, ა. ს. იაკოვლევი, ს. ვ. ილიუშინი, ს. ა. ლავოჩკინი, ვ. მ. პეტლიაკოვი, ს. პ. კოროლიოვი, პ. ო. სუხოი, ე. ი. კოტინი, ა. ნ.კრილოვი, ვ. ი. კლიმოვი, მ. ი. კოშკინი, ვ. გ. გრაბინი, ს. გ. გორიუნოვი, შ. ი. გურევიჩი, ვ. ა. დეგტიარევი, ა. ა. მიკულინი, ბ. ი. შავირინი, გ.ს. შპაგინი.

სახმელეთო და სამხედრო-საჰაერო ძალებთან ერთად წარმატებით ახორციელებდა ოპერაციებს ჩვენი სამხედრო-საზღვაო ფლოტიც. საზღვაო-ქვეითი ჯარის მრავალი ათეული შენაერთი და ასეული რაზმი ხმელეთზე მოქმედებდნენ და ყველგან მამაცობის სასწაულებს იჩენდნენ, რითაც ხალხის დიდი მადლობა დაიმსახურეს.

1944 წლიდან მოკიდებული საბჭოთა სამხედრო სტრატეგია, ეყრდნობოდა რა ქვეყნის უდიდეს სამხედრო და ეკონომიურ პოტენციალს და გააჩნდა რა ჭარბი ძალები და საშუალებანი, ახორციელებდა ისეთ შეტევითს ოპერაციებს, რომლებშიც ერთდროულად მონაწილეობდა ორი, სამი, ოთხი და კიდევ მეტი ფრონტი, ათეული ათასი ქვემეხი, ათასობით ტანკი, რეაქტიული ნაღმსატყორცნი და საბრძოლო თვითმფრინავი. ეს მძლავრი ძალები და საშუალებანი შესაძლებლობას აძლევდა საბჭოთა სარდლობას გაერღვია მოწინააღმდეგის

ყოველგვარი დაცვა, მიეყენებინა მისთვის ღრმა დარტყმები, გარსშემორტყმოდა დიდ დაჯგუფებებს, სწრაფად გაეთიშა ისინი ნაწილებად და მოკლე ვადებში გაენადგურებინა.

თუ სტალინგრადის რაიონში სამხრეთ-დასავლეთის, დონისა და სტალინგრადის ფრონტებს თითქმის ორნახევარი თვე დასჭირდათ პაულიუსის არმიის სრული განადგურებისათვის, დამამთავრებელ, ბერლინის ოპერაციაში, როგორც უკვე ნათქვამი იყო, გერმანელთა ჯარების 400 ათასიანზე მეტი სტრატეგიული დაჯგუფება განადგურებულ და დატყვევებულ იქნა 16 დღეღამის განმავლობაში.

საბჭოთა ჯარების ყველა შეტევითი ოპერაციის მომზადებაში დიდი ყურადღება ჰქონდა დათმობილი უეცრობის ორგანიზაციას, რაც ხორციელდებოდა გულდასმითი ოპერატიული და ტაქტიკური შენიღბვით, ოპერატიული დოკუმენტაციის დიდი საიდუმლოებით დამუშავების სისტემით და ასევე ყველა ინსტანციის — დაწყებული მთავარბანაკიდან ჯარებამდე — მკაცრად შეზღუდულ ინფორმაციას. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მთავარი დარტყმების მიმართულებებზე ძალებისა და საშუალებათა ფარულ თავმოყრას და ცრუ გადაჯგუფებათა დემონსტრაციას იმ უბნებზე, სადაც შეტევა არ იყო ნავარაუდევი.

ფაშისტურ გერმანიასთან ომის დროის განმავლობაში საბჭოთა ჯარებმა დიდი რაოდენობით განახორციელეს მსხვილი ოპერაციები; ბევრი მათგანი უმაგალითოა ომის ისტორიაში, როგორც თავიანთი მასშტაბებით, ისე მათი კლასიკური განხორციელებით. ასეთ ოპერაციას უნდა მიეკუთვნოს ბრძოლები სტალინგრადთან და კურსკის რკალზე, ბრძოლები მოსკოვთან. იასკო-კიშინიოვის ოპერაცია. გერმანელთა ჯარების განადგურება ბელორუსიაში, ვისლა-ოდერის ოპერაცია და დამაგვირგვინებელი, ბერლინის ოპერაცია. თავდაცვითი ოპერაციებიდან სიმედგრით და მასობრივი გმირობით დაუვიწყარია ბრძოლები ლენინგრადთან, სევასტოპოლთან და ოდესასთან.

საბჭოთა ჯარების ყველა შეტევითი და კონტრშეტევითი ოპერაცია. დაწყებული 1942 წლის შემოდგომიდან, გამოირჩეოდა ორიგინალობით. სიმტკიცით, სისწრაფითა და სრული დაგვირგვინებით. ბრძოლები და ოპერაციები თითქმის უწყვეტად წარმოებდა წლის ყველა დროის განმავლობაში. ვერც ყინვიანი და თოვლიანი ზამთარი, ვერც კოკისპირული წვიმა და გაზაფხულ-შემოდგომის გაუვალი უგზოობა ვერ აჩერებდა ოპერაციების მსვლელობას, თუმცა ეს ჯარების მეტისმეტ ფიზიკურ და სულიერ დაძაბულობას მოითხოვდა.

საბჭოთა სტრატეგიის უმნიშვნელოვანეს განმასხვავებელ თვისებას 1944 — 1945 წლებში წარმოადგენდა მისი განსაკუთრებული აქტიურობა, მთელს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე შეტევითი

ოპერაციების გაშლა გარკვეული მტკიცე მიზნებით. თუ ომის პირველ და ნაწილობრივ მეორე პერიოდში საბჭოთა ჯარები შეტევაზე მხოლოდ მას შემდეგ გადადიოდნენ, რაც გერმანელთა ჯარების შეტევითი შესაძლებლობანი ამოიწურებოდა (გადასვლა კონტრშეტევაზე), ომის დამამთავრებელ პერიოდში კამპანიები ერთბაშად იწყებოდა მოწინააღმდეგის მიერ მომზადებულ თავდაცვაზე ჩვენი ჯარების მძლავრი შეტევებით.

მთელ რიგ მიმართულებებზე მსხვილი შეტევითი ოპერაციების გაშლის ერთდროულობა და განხორციელების უწყვეტობა 1944—1945 წლების მსვლელობაში შესაძლებელი გახდა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის სიგრძის შემცირებისა და საბჭოთა ჯარების სასარგებლოდ ძალთა თანაფარდობის შემდგომი შეცვლის მეოხებით. სტრატეგიული შეტევის წარმოების ასეთი წესი განსაკუთრებით ეფექტური იყო, რადგან მოწინააღმდეგეს მანევრის თავისუფლებას უსპობდა და ყველგან გზას უჭრიდა.

თავისი ფორმით სტრატეგიული შეტევითი ოპერაციები მეტად განსხვავდებოდნენ. მათგან ყველაზე დამახასიათებელი იყო: პირისპირ მდგომი მოწინააღმდეგის დაჯგუფების გარშემორტყმა და განადგურება შემხვედრი მიმართულებებიდან დარტყმებით ანდა ზღვასთან მიმწყვდევი გზით; დამაქუცმაცებელი დარტყმების მიყენება მოწინააღმდეგის დაჯგუფების დანაწევრებისა და ნაწილ-ნაწილ მისი განადგურების მიზნით. გარშემორტყმის ოპერაცია სტრატეგიული შეტევითი ოპერაციის ყველაზე ეფექტური ფორმა იყო. ასეთი ოპერაციის დაწყებისათვის ხელსაყრელ პირობას წარმოადგენდა მოწინააღმდეგის დაჯგუფების მიმართ ჩვენი ჯარების გარშემორტყმითი მდგომარეობა.

საბჭოთა ჯარები მთელი ომის მანძილზე განსაკუთრებული უნარითა და შემართებით მოქმედებდნენ ღამით. საბრძოლო მოქმედებათა ეს წესი, რომელიც ომამდე „განსაკუთრებულ პირობებში მოქმედებად" ითვლებოდა, ომის მსვლელობაში ჩვეულებრივი გახდა. ღამის ოპერაციებმა განსაკუთრებით დიდი გაქანება მიიღო 1943 — 1945 წლებში, როდესაც ჩვენი ჯარები უმსხვილეს სტრატეგიულ კამპანიებს ატარებდნენ. მოწინააღმდეგის ჯარები, როგორც წესი, ერიდებოდნენ ღამით მოქმედებას, ხოლო როცა ეს მათთვის აუცილებელი იყო, ისინი მოკლებული იყვნენ ინიციატივას და გაურბოდნენ მანევრირებას.

1943 წლიდან მოკიდებული დიდი მნიშვნელობა მიეცა შემსვედრ ბრძოლებს. ომის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ შემხვედრ მოქმედებაში იმარჯვებს ის, ვინც წინასწარ კარგად არის მომზადებული ამ რთული სახის ბრძოლისათვის. აქ მთავარია გვახსოვდეს, რომ ყოველთვის და ყველაფერში პირველსავე შეტაკების დროს უნდა დაასწრო მოწინააღმდეგეს: ხელსაყრელი საზღვრების დაპყრობაში, გაშ-

ლაში, ცეცხლის გაჩაღებაში, ფლანგების შემოვლაში, მტერზე სწრაფი იერიშის მიტანაში.

შემხვედრი მოქმედებანი თავისი ბუნებით სარდლებისაგან მოითხოვდა ფართო და გაბედულ ინიციატივას, მუდმივ მზადყოფნას — თავისთავზე აიღო გონივრული საბრძოლო აქტივობის პასუხისმგებლობა.

ჩვენი შეტევითი ოპერაციების წარმატებითს მსვლელობას დიდად უწყობდა ხელს გმირული მოქმედება საბჭოთა კავშირის პარტიზანული ძალებისა, რომლებიც სამ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მტერს სულის მოთქმის საშუალებას არ აძლევდნენ, ანგრევდნენ მტრის კომუნიკაციებს და ტერორქვეშ აყენებდნენ მის ზურგს. როცა საბჭოთა ჯარები პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, ბულგარეთის, იუგოსლავიისა და უნგრეთის ტერიტორიაზე გავიდნენ, მათ დიდ დახმარებას უწევდნენ ამ ქვეყნების პატრიოტები, რომლებიც თავიანთი კომუნისტური და სოციალისტური პარტიების ხელმძღვანელობით იბრძოდნენ.

რსფსრ-ის ოკუპირებულ ოლქებში, მეტად არასრული მონაცემების თანახმად, პარტიზანთა ორგანიზებულ რაზმებში იმყოფებოდა 260 ათასი სახალხო შურისმგებელი, უკრაინაში — 220 ათასი, ბელორუსიაში — 374 ათასი. მტრის ჯარების სარდლობას თავისავე ზურგში მოუხდა პრაქტიკულად მეორე ფრონტის შექმნა პარტიზანებთან საბრძოლველად, რითაც დაკავებული იყო ჯარების დიდი ნაწილი. ამან სერიოზული გავლენა მოახდინა გერმანიის ფრონტის საერთო მდგომარეობაზე და საბოლოო ანგარიშით ომის დასასრულზე.

მინდა გავიხსენო არალეგალური პარტიული ორგანიზაციების გამოჩენილი ხელმძღვანელები და პარტიზანული რაზმების და შენაერთების მეთაურები, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს, რაც კი შეეძლოთ მტრის ძალებთან საბრძოლველად, უნარიანად თანამოქმედებდნენ რა ჩვენს რეგულარულ ჯარებთან: ვ. ა. ბეგმა, პ. პ. ვერშიგორა, ს. ი. ვერშინინი, პ. კ. პონომარენკო, ტ. ა. სტროკაჩი, ა. თ. ფედოროვი, ს. ს. ბელჩენკო, მ. ჰუსეინ-ზადე, თ. ა. ბარანოვი, ს. ა. კოვპაკი, ი. ა. კოზლოვი, ვ. ი. კოზლოვი, ს. ვ. რუდნევი, კ. ს. ზასლონოვი, ა. ნ. საბუროვი, მ. შუმაუსკასი, დ. ნ. მედვედევი, მ. ი. ნაუმოვი, პ. ზ. კალინინი.

საშობლოს წინაშე დიდი დამსახურება მიუძღვით მესაზღვრეებს. მათ პირველებმა მიიღეს გერმანელთა ჯარების დარტყმები და ყველაფერი გააკეთეს, რაც კი შეეძლოთ, რათა ჩაეფუშათ ელვისებური ომის ჰიტლერული გეგმა, რომლის თანახმადაც სასაზღვრო რაზმები მოსპობილი უნდა ყოფილიყვნენ მტრის შემოპრის შემდეგ ერთი-ორი საათის განმავლობაში.

სასაზღვრო ჯარები მედგრად იბრძოდნენ საზღვარზე მტრის ჭარბი ძალების წინააღმდეგ. შემდეგ კი წითელ არმიასთან ერთად ისინი თავგანწირვით იბრძოდნენ საბჭოთა მიწაწყლის ყოველი მტკაველისათვის.

მოსკოვისათვის ბრძოლაში მთელი რიგი სასაზღვრო პოლკები (ყოფილი სასაზღვრო რაზმები) წითელი არმიის ნაწილებთან ერთად სამკვდრო-სასიცოცხლოდ იბრძოდნენ ვოლოკოლამსკის, მოჟაისკის, ნარო-ფომინის, მალოიაროსლავეცის მიმართულებებით. კურსკის რკალთან ბრძოლაში ბრწყინვალე წარმატებებს მიაღწია 70-ე არმიამ, რომელიც დაკომპლექტებული იყო შორეული აღმოსავლეთის, შუა აზიისა და იმიერბაიკალის მესაზღვრეებით.

მესაზღვრეები მნიშვნელოვან ამოცანებს ასრულებდნენ მოწინააღმდეგის ზურგშიც, სპობდნენ მის ადმინისტრაციას და ანგრევდნენ კომუნიკაციებს. ომის მსვლელობაში სასაზღვრო ჯარები იცავდნენ წითელი არმიის ზურგს, წარმატებით ებრძოდნენ ყოველგვარი ფაშისტური აგენტურისა და დივერსანტების შემოპარვას.

თანამედროვე ომებში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჯარების სწორად მართვას. იგი მოიცავს სამხედრო-პოლიტიკური, მორალური, მატერიალური და ფსიქოლოგიური ფაქტორების ფართო წრეს და სამხედრო მეცნიერებისა და სამხედრო ხელოვნების უმნიშვნელოვანეს ნაწილს შეადგენს. ომისწინა წლებში საბჭოთა სამხედრო მეცნიერებამ არასაკმარისი სიღრმით გამოიკვლია ეს უმნიშვნელოვანესი პრობლემა. ჩვენ ყველას უკვე ომის მსვლელობაში მოგვიხდა ბევრ რამეში ჯარების მართვის მეცნიერებისა და პრაქტიკის ათვისება. ამ საკითხში საბჭოთა სარდლობა უფრო ნაკლებ ხელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ვიდრე გერმანელთა ჯარების სარდლობა, რომელსაც საბჭოთა კავშირზე თავდასხმის მომენტისათვის ომის წარმოების საკმაო პრაქტიკა ჰქონდა.

გერმანელ-ფაშისტთა ჯარებთან შედარებით ჩვენი შეიარაღებული ძალების საერთო უპირატესობის ზრდასთან ერთად იზრდებოდა ადამიანთა მართვისა და სამხედრო ტექნიკის ხელოვნება. მაღალ საფეხურზე ავიდა აგრეთვე თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტისა და უმაღლესი მთავარსარდლობის მიერ ომის ხელმძღვანელობაც.

როგორც წესი, გენერალური შტაბი ყოველდღიურად ორჯერ-სამჯერ მოახსენებდა უმაღლეს მთავარსარდალს ფრონტებზე არსებულ მდგომარეობას. ჩვეულებრივ ამ მოვალეობას ასრულებდა გენერალური შტაბის უფროსი ან მისი პირველი მოადგილე. მოხსენებების გარდა, ოპერატიული სამმართველო უმაღლესი მთავარსარდლისათვის ადგენდა სპეციალურ რუკას, რომელზეც აღინიშნებოდა ყველა ცვლი-

ლება, რაც კი მოცემული მომენტისათვის არსებულ ვითარებაში ხდებოდა.

უმაღლესი მთავარსარდალი კარგად იცნობდა და დიდად აფასებდა გენერალური შტაბის უფროსებს ა. მ. ვასილევსკის, ა. ი. ანტონოვს. ის ხშირად იწვევდა თავისთან გენერალური შტაბის ოპერატიული სამმართველოს გენერლებს ვ. დ. ივანოვს, ნ. ა. ლომოვს, ს. მ. შტემენკოს, ა. ა. გრიზლოვს, რომლებთანაც ერთად დეტალურად ეცნობოდა ოპერაციის გეგმას ან მსვლელობას. და როცა რაიმე ნათელი არ იყო, პირადად რეკავდა სარდლებთან ან ფრონტების შტაბებში.

ბრძოლების მსვლელობაში უმაღლესი მთავარსარდალი ზოგჯერ ტელეფონით ელაპარაკებოდა არმიის სარდლებს, ხოლო განსაკუთრებულად სასწრაფო შემთხვევებში — დივიზიის სარდლებს. შენაერთთა სარდლებს ასეთი მოლაპარაკება საველე ტელეფონებით უნდა ეწარმოებინათ.

1942 წლის შემოდგომიდან სამი მიმართულების მთავარი სარდლობის დაშლის შემდეგ უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკი გადავიდა მართვის ახალ ფორმაზე — თავისი წარმომადგენლების მეშვეობით მართვის ფორმაზე. ეს სისტემა მოქმედებდა თითქმის ომის დამთავრებამდე და მან გაამართლა კიდეც. მთავარბანაკის წარმომადგენლები იგზავნებოდნენ უმნიშვნელოვანეს უბნებზე ფრონტების ღონისძიებათა კოორდინაციისათვის და მათ დასახმარებლად ოპერაციების ორგანიზებისა და წარმართვის საქმეში. ცალკეულ შემთხვევებში მათ ეკისრებოდათ ფრონტების ჯგუფის ოპერაციების უშუალო ხელმძღვანელობის ამოცანები.

თუმცა სიმართლე უნდა ითქვას, რომ მთავარბანაკის წარმომადგენელთა მეშვეობით მსხვილ საბრძოლო მოქმედებათა უშუალოდ ფრონტზე მართვის სისტემას დადებითთან ერთად ზოგიერთი უარყოფითი მხარეც ჰქონდა. მთავარბანაკში არაიშვიათად მარტო უმაღლესი მთავარსარდალი რჩებოდა, გენერალური შტაბი კი — თავისი უფროსის გარეშე.

მთავარბანაკის მიერ შეიარაღებული ბრძოლის დაგეგმვის არსს უწინარეს ყოვლისა წარმოადგენდა კამპანიებისა და ოპერაციების მიზნების დასახვა და მათი განაზრახის ფორმულირება, მთავარი დარტყმების მიმართულებათა განსაზღვრა, ამ მიმართულებებზე ძალებისა და საშუალებათა განაწილება, ფრონტების ამოცანათა ფორმულირება და აგრეთვე ოპერაციების მატერიალური და ტექნიკური უზრუნველყოფა.

ომის მეორე პერიოდიდან დაწყებული (სტალინგრადთან გამართული ბრძოლიდან — 1942 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში) კამპანიები იგეგმებოდა 2-3 თვით ადრე მათ დაწყებამდე და ისინი გამოირჩეოდნენ ღრმა განკვრეტით. ახალი კამპანიის მომზადებისას უმაღლესი

მთავარსარდლობის ბანაკი აუცილებლად აცნობდა ფრონტის სარდლებს იმ ამოცანებს, რომლებიც კამპანიის საერთო ჩანაფიქრიდან გამომდინარეობდნენ. ფრონტების ჯარების სარდლები, თავის მხრივ, მიღებულ ძირითად მითითებათა შესაბამისად, თავიანთ მოსაზრებებს ფრონტის ოპერაციის გეგმის შესახებ წარუდგენდნენ გენერალურ შტაბს, სადაც ხდებოდა ამ მოსაზრებათა განხილვა, კორექტირება, შემდეგ კი უკვე მოხსენდებოდა მთავარბანაკს.

მთლიანად აღებული საბჭოთა სტრატეგიული ხელმძღვანელობის სისტემა საკმაოდ მოქნილი იყო. იგი უზრუნველყოფდა მსხვილ გადაჯგუფებათა სწრაფ განხორციელებას, ზუსტ დაგეგმვას და სტრატეგიულ ოპერაციათა წარმატებით ჩატარებას. ამ ხელმძღვანელობის თავისებურება იყო მისი მკაცრი ცენტრალიზაცია, რომელიც, უნდა ითქვას, არათუ არ გამორიცხავდა, არამედ პირიქით გულისხმობდა ფრონტების სარდალთა შემოქმედებითი ინიციატივის გამოვლენას, რომელთა შორის ბევრი გამოჩენილი, ნამდვილად ნიჭიერი მხედართმთავარი იყო.

თუ ვილაპარაკებთ გერმანელთა სარდლობაზე და საერთოდ მეორე მსოფლიო ომში ჩვენს მოწინააღმდეგეზე, მე არ შემიძლია ჩემი ხმა შევუერთო მათ, ვისაც გერმანელთა შეიარაღებული ძალების ოპერატიულ-სტრატეგიული და ტაქტიკური ხელოვნება არასრულფასოვნად მიაჩნია. ომის დასაწყისში იგი მაღალ დონეზე იდგა და ემყარებოდა გერმანიის სარდლობის განკარგულებაში მყოფ რეალურ ძალასა და საშუალებებს.

ომის მეორე ეტაპზე დაპირისპირებულ მხარეთა სამხედრო ხელოვნების დონის თანაფარდობამ გათანაბრება დაიწყო, ხოლო როცა ჩვენმა ჯარებმა ომის წარმოების გამოცდილების შეძენა დაიწყეს და როცა საბჭოთა სარდლობამ თავის განკარგულებაში საკმაო რაოდენობით ძალები და საშუალებანი მიიღო, მან ბევრად გადააჭარბა სამხედრო ხელოვნებაში გერმანელთა სარდლობას, განსაკუთრებით სტრატეგიულ ამოცანათა გადაწყვეტაში.

ომის მესამე პერიოდში (1944 წლიდან 1945 წლამდე), როცა ძალებისა და საშუალებათა თანაფარდობა მკვეთრად შეიცვალა საბჭოთა ჯარების სასარგებლოდ, საბჭოთა სამხედრო ხელოვნებამ სრულყოფის უმაღლეს ხარისხს მიაღწია. გერმანელთა სარდლობის სტრატეგიული ხელოვნება სტალინგრადთან საბჭოთა ჯარების კონტრშეტევიდან დაწყებული, დაქვეითების გზით წავიდა და 1945 წლისათვის სულ დაეცა.

რაც შეეხება ფაშისტური გერმანიის უმაღლეს სამხედრო-პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, ჰიტლერს და მის უახლოეს წრეს, უნდა ითქვას, რომ იგი თავიდანვე აშკარად ავანტიურისტული იყო. თავისი აგრესიული პოლიტიკური და სამხედრო მოქმედებით მას გერმანია უფსკრულისაკენ, სახელმწიფოებრივი კატასტროფისაკენ მიჰყავდა, განსა-

კუთრებით როცა რისკი გასწია და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომი წამოიწყო. ეს აშკარად ფაშისტური ბლოკის ძალ-ღონეს აღემატებოდა.

ჰიტლერმა და მისმა წრემ ვერ შეძლეს სწორად შეეფასებინათ საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობა და ის ძალები, რომლებიც არსებობდა საბჭოთა საზოგადოებრიობისა და სახელმწიფო წყობილების წიაღში, საბჭოთა ეკონომიკაში და საბჭოთა ადამიანების მაღალ პატრიოტიზმში.

1945 წლის შუა მაისში უმაღლესმა მთავარსარდალმა მიბრძანა მოსკოვში ჩასვლა. გამოძახების მიზანი არ ვიცოდი, ხოლო შეკითხვა უხერხული იყო და არც არის ეს სამხედროებში მიღებული.

მოსკოვში ჩასვლისთანავე გავემართე გენერალურ შტაბში ა. ი. ანტონოვთან, რომლისგანაც შევიტყვე, რომ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი ამჟამად იხილავდა იმ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებული იყო იაპონიასთან ომში საბჭოთა კავშირის ჩაბმის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წინაშე ჩვენი ახალი ვალდებულებების შესრულებასთან.

გენერალური შტაბი იმ დროს მთლიანად დაკავებული იყო საბმელეთო ჯარების, სამხედრო-საჰაერო ძალებისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მომავალი საბრძოლო მოქმედებათა დაგეგმვით.

გენერალური შტაბიდან მე დავურეკე ი. ბ. სტალინს და მოვახსენე ჩემი მოსკოვში ჩასვლა. მაშინვე მივიღე მითითება გამოვცხადებულიყავი საღამოს რვა საათზე კრემლში. დრო საკმარისი მქონდა ჩემს განკარგულებაში და წავედი მიხეილ ივანეს ძე კალინინთან, რომელმაც ბერლინში დამირეკა და მთხოვა მოსკოვში ჩასვლისას აუცილებლად მენახა იგი და მეამბნა ბერლინის ოპერაციის შესახებ.

მე გულწრფელად მიყვარდა მიხეილ ივანეს ძე კალინინი მისი თავმდაბლობისათვის, ცხოვრებისეული საბრძნისათვის, იმისათვის, რომ მას ჩვეულებრივი სიტყვებით შეეძლო ცხოვრების ყველაზე რთული მოვლენების განმარტება.

მიხეილ ივანეს ძე დიდი სიხარულით შემეგება. ამ წლების განმავლობაში იგი ძალიან მოტეხილიყო და დაქანცულად გამოიყურებოდა. მიუხედავად თავისი ასაკისა, იგი არაერთხელ წასულა მოქმედი არმიის ჯარებში, სადაც ხვდებოდა მებრძოლებს, მეთაურებს და ყოველთვის გამოძებნიდა ხოლმე მათთვის გონივრულ, გულთბილ სიტყვას.

მიხეილ ივანეს ძე მეკითხებოდა, თუ როგორ მოხდა ბერლინის აღება, როგორ ეწყობა გერმანელი ხალხის ცხოვრება, როგორ ხდება გერმანიის კომუნისტური პარტიის საქმიანობის ორგანიზება, პარტიისა, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი ჰიტლერელებმა ასე მხეცურად მოსპეს.

მიხეილ ივანეს ძესთან საუბრის შემდეგ წავედი უმაღლეს მთავარ-

სარდალთან. კაბინეტში, გარდა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრებისა, იყვნენ სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახკომი ნ. გ. კუზნეცოვი, ა. ი. ანტონოვი, წითელი არმიის ზურგის უფროსი ა. ვ. ხრულიოვი და რამდენიმე გენერალი, რომლებიც გენერალურ შტაბში ორგანიზაციულ საკითხებს განაგებდნენ.

ალექსი ინოკენტის ძე მოხსენებას აკეთებდა გენერალური შტაბის გაანგარიშებაზე შორეულ აღმოსავლეთში ჯარების გადაყვანის, მატერიალურ საშუალებათა გადაზიდვისა და მომავალ ფრონტებზე მათი თავმოყრის შესახებ. გენერალური შტაბის ვარაუდით ირკვეოდა, რომ იაპონიასთან საბრძოლო მოქმედებათა მთელ სამზადისს დაახლოებით სამი თვე დასჭირდებოდა.

ამის შემდეგ ი. ბ. სტალინმა იკითხა:

— ხომ არ გვმართებს ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების აღსანიშნავად ჩავატაროთ მოსკოვში გამარჯვების პარადი და მოვიწვიოთ ყველაზე გამოჩენილი გმირები — ჯარისკაცები, სერჟანტები, ზემდეგები, ოფიცრები და გენერლები?

ეს იდეა ყველამ მხურვალედ მოიწონა და იქვე შეჰქონდათ ძთელი რიგი პრაქტიკული წინადადებანი. საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ მიიღებდა გამარჯვების პარადს და ვინ გასწევდა პარადის სარდლობას, მაშინ არ განხილულა. მაგრამ ყოველ ჩვენგანს მიაჩნდა, რომ გამარჯვების პარადი უნდა მიეღო უმაღლეს მთავარსარდალს.

აქვე ა. ი. ანტონოვს მიეცა დავალება მოემზადებინა ყველა საჭირო გაანგარიშება პარადისათვის და დირექტივის პროექტი. მეორე ღღეს ყველა დოკუმენტი მოხსენდა ი. ბ. სტალინს და დამტკიცდა მის მიერ.

პარადზე განზრახული იყო მოეწვიათ თითო ნაკრები პოლკი კარელიის, ლენინგრადის, ბალტიისპირეთის 1-ლი, ბელორუსიის 1, 2, მე-3, უკრაინის 1, 2, მე-3 და მე-4 ფრონტებიდან, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ნაკრები პოლკი და სამხედრო-საჰაერო ძალები.

პოლკების შემადგენლობაში შედიოდნენ საბჭოთა კავშირის გმირები, დიდების ორდენის კავალრები, სახელგანთქმული სნაიპერები და ორდენოსანი ჯარისკაცები, სერჟანტები, ზემდეგები და ოფიცრები, რომელთაც ყველაზე უფრო გამოიჩინეს თავი.

ნაკრები საფრონტო პოლკების მეთაურებად ფრონტების სარდლები უნდა ყოფილიყვნენ.

გადაწყვეტილი იყო ბერლინიდან რაიხსტაგზე აღმართული წითელი დროშისა და აგრეთვე გერმანელ-ფაშისტთა ჯარების იმ საბრძოლო დროშების ჩამოტანა, რომლებიც საბჭოთა ჯარებმა ხელთ იგდეს ბრძოლებში.

მაისის დამლევსა და ივნისის დასაწყისში პარადისათვის გაძლიერებული მზადება მიმდინარეობდა. ივნისის ათი რიცხვისათვის მონაწილეთა მთელი შემადგენლობა უკვე ახალ საპარადო ფორმაში იყო გამოწყობილი და წინასადღესასწაულო წვრთნას შეუდგა.

12 ივნისს მიხეილ ივანეს ძე კალინინმა საბჭოთა კავშირის გმირის მესამე ორდენი გადმომცა.

ზუსტად არ მახსოვს, მგონი 18-19 ივნისს გამომიძახა თავის აგარაკზე უმაღლესმა მთავარსარდალმა.

მან მკითხა, ცხენზე ჯდომას ხომ არ გადაეჩვეიო. მე ვუპასუხე:

— არა, არ გადავჩვეივარ.

—აი რა, თქვენ მოგიხდებათ გამარჯვების პარადის მიღება. პარადის სარდლობას გასწევს როკოსოვსკი.

მე ვუპასუხე:

— მადლობელი ვარ ასეთი პატივისათვის, მაგრამ განა უკეთესი არ იქნებოდა პარადი თქვენ მიიღოთ? თქვენ უმაღლესი მთავარსარდალი ხართ, სამართლიანად და ვალდებულებითაც თქვენ გეკუთვნით პარადის მიღება.

ი. ბ. სტალინმა თქვა:

— მე უკვე მოხუცი ვარ პარადების მისაღებად. მიიღეთ თქვენ, უფრო ახალგაზრდა ხართ.

პარადის დაწყობა განსაზღვრული იყო მოქმედი ფრონტების საერთო ხაზის წესით, მარჯვნიდან მარცხნივ. მარჯვენა ფლანგზე დაწყობილი იყო კარელიის პოლკი, შემდეგ ლენინგრადის, ბალტიისპირეთის 1-ლი ფრონტების და ასე შემდეგ. მარცხენა ფლანგზე ფრონტს ხურავდნენ უკრაინის მე-4, სამხედრო საზღვაო ფლოტის ნაკრები პოლკი და მოსკოვის სამხედრო ოლქის გარნიზონის ნაწილები.

ყოველი ნაკრები პოლკისათვის სპეციალურად იყო შერჩეული მისთვის განსაკუთრებით საყვარელი სამხედრო მარში. პარადის უკანასკნელისწინა რეპეტიცია შედგა ცენტრალურ აეროდრომზე, ხოლო უკანასკნელი, გენერალური — წითელ მოედანზე. მოკლე ვადაში ყველა ნაკრები პოლკი ბრწყინვალედ მოემზადა და ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა.

22 ივნისს გაზეთში გამოქვეყნდა უმაღლესი მთავარსარდლის შემდეგი ბრძანება:

„დიდ სამამულო ომში გერმანიაზე გამარჯვების აღსანიშნავად 1945 წლის 24 ივნისს მოსკოვში წითელ მოედანზე ვნიშნავ მოქმედი არმიის ჯარების, სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და მოსკოვის გარნიზონის პარადს — გამარჯვების პარადს...

გამარჯვების პარადი მიიღოს ჩემმა მოადგილემ საბჭოთა კავშირის

მარშალმა გ. კ. ჟუკოვმა. პარადის სარდლობა გასწიოს საბჭოთა კავშირის მარშალმა კ. კ. როკოსოვსკიმ.

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი
სტალინი

მოსკოვი, 1945 წლის 22 ივნისი".

აი, ისიც, დიდიხნის ნანატრი და დაუვიწყარი დღეები! საბჭოთა ხალხი ოთხი წელი ელოდებოდა ამ წუთებს. ლენინის პარტიით შთაგონებულმა გმირულმა მეომრებმა თავიანთი სახელმოხვეჭილი მეთაურების სარდლობით მძიმე ოთხწლიანი საბრძოლო გზა გაიარეს და იგი ბრწყინვალე გამარჯვებებით ბერლინში დაამთავრეს.

1945 წლის 24 ივნისს მე ჩვეულებრივზე უფრო ადრე ავდექი. ერთბაშად გავიხედე ფანჯარაში, რათა დავრწმუნებულიყავი ჩვენი სინოპტიკოსების ცნობის სიმართლეში, რომლებმაც წინადღით გვიწინასწარმეტყველეს, დილით ღრუბლიანი ამინდი და ჟინჟღლიანი წვიმა იქნებაო. როგორ მინდოდა, რომ ამჯერად ისინი შემცდარიყვნენ!

მაგრამ, ვაი რომ ამჯერად ამინდი სწორად გვიწინასწარმეტყველეს. მოსკოვის ცა იყო მოღრუბლული, წვიმა ჟინჟღლავდა. დავურეკე სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალს, რომელმაც მითხრა, რომ აეროდრომის ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე ფრენისათვის არახელსაყრელი ამინდი იყო. გეგონებოდა, გამარჯვების პარადი ისეთი ზეიმით არ ჩაივლიდა, როგორც გვინდოდა.

მაგრამ არა! მოსკოველები ხალისიანად მიდიოდნენ ორკესტრით წითელი მოედნის რაიონისაკენ, რათა მონაწილეობა მიეღოთ დემონსტრაციაში ამ ისტორიულ დღეს. მათი მხიარული სახეები, უამრავი ლოზუნგები, ტრანსპარანტები, სიმღერები — ყოველივე ეს საზეიმო განწყობილებას ქმნიდა.

ხოლო მათ, ვინც მონაწილეობას არ იღებდა წითელ მოედანზე გამართულ დემონსტრაციაში, ყველა ტროტუარი გაავსეს. სიხარულია შღელვარებამ და ფაშიზმზე გამარჯვების სადიდებლად „ვაშა"-ს შეძახილებმა გააერთიანა ისინი დემონსტრანტებთან და ჯართან. ამ ერთიანობაში იგრძნობოდა დაუძლეველი ძალა.

10 საათს რომ სამი წუთი უკლდა მე უკვე ცხენზე მჯდომარე სპასკის ჭიშკართან ვიყავი.

მკაფიოდ მესმის ბრძანება: „პარადი, სმენა"! ბრძანებასთან ერთად იგრიალა ტაშმა.

საათი უკრავს 10.00. ვგრძნობ როგორ ამიჩქარდა გულისცემა. დავძარი ცხენი და გავემართე წითელი მოედნისაკენ. დაიგუგუნა ყოველი

რუსისათვის ძვირფასმა გლინკას მელოდიის — „იდიდე!" — მძლავრმა და საზეიმო ხმებმა. შემდეგ ერთბაშად ჩამოვარდა აბსოლუტური სიჩუმე. გაისმა მკაფიო სიტყვები პარადის სარდლის საბჭოთა კავშირის მარშლის კ. კ. როკოსოვსკისა, რომელიც, რასაკვირველია, ჩემზე ნაკლებად არა ღელავდა. მისმა პატაკმა შთანთქა ჩემი ყურადღება, და მეც დავმშვიდდი.

ჯარების საბრძოლო დროშები, რომლებითაც დამთავრდა მტრის განადგურება, ომით შერუჯული მეომართა ვაჟკაცური სახეები, მათი აღფრთოვანებული მბრწყინავი თვალები, ახალი მუნდირები, რომლებზეც საბრძოლო ორდენები და წარჩინების ნიშნები ბრწყინავდნენ, — ყოველივე ეს ამაღელვებელ და დაუვიწყარ სურათს ქმნიდა.

რა სამწუხაროა, რომ საშშობლოს ბევრ ერთგულ შვილს, რომლებიც პირისისხლიან მტერთან ბრძოლაში დაეცნენ, არ ხედათ წილად მოსწრებოდნენ ამ დღეს, ჩვენი ზეიმის დღეს!

შემოვლისა და ჯარებისადმი მისალმების, დროს მე ვხედავდი, თუ როგორი წკრიალით ჩამოსდიოდათ ქუდების წინაფრიდან წვიმა, მაგრამ სულიერი აღტყინება იმდენად დიდი იყო, რომ ამას ვერავინ ვერ ამჩნევდა.

განსაკუთრებულმა აღფრთოვანებამ მოიცვა ყველა, როცა საზეიმო მარშით დაიძრნენ გმირთა პოლკები ვ. ი. ლენინის მავზოლეუმის ახლოს. მათ წინ მიუძღოდათ გერმანელთა ჯარებთან ბრძოლაში სახელმოხვეჭილი გენერლები, სხვადასხვა გვარეობის ჯარების მარშლები და საბჭოთა კავშირის მარშლები.

შეუდარებელი იყო ის მომენტი, როცა ორასმა მებრძოლმა — ომის ვეტერანებმა დაფდაფების ხმაზე ვ. ი. ლენინის მავზოლეუმის კვარცხლბეკთან დაყარეს გერმანელ-ფაშისტთა არმიის ორასი დროშა.

დაე, ახსოვდეთ ეს ისტორიული აქტი რევანშისტებს, ომის ავანტიურათა მოყვარულებს!

გამარჯვების პარადის შემდეგ პარადის მონაწილეთა პატივსაცემად შედგა მათი მიღება მთავრობის მიერ. მიღებას ეესწრებოდნენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, პარტიის ცკ-ის წევრები, სახკომები, წითელი არმიისა და ფლოტის, მეცნიერების, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, ხელოვნებისა და ლიტერატურის გამოჩენილი მოღვაწეები.

ბევრი თბილი სიტყვა ითქვა პარტიის პატივსაცემად, რომელმაც საბჭოთა ხალხი შეამზადოვა მტერთან საბრძოლველად და მოახდინა შეიარაღებული ძალების ორგანიზება მტრის განადგურებლად; საბჭოთა შეიარაღებული ძალების პატივსაცემად, რომლებმაც განახორციელეს ფაშისტური გერმანიის სრული განადგურება; მეცნიერების,

ტექნიკის. მრეწველობის. სოფლის მეურნეობისა და ხელოვნების მოღვაწეთა პატივსაცემად, რომლებმაც უზრუნველყვეს ჩვენი შეიარაღებული ძალების მატერიალური და სულიერი ძლიერება ძლიერ, გამოცდილ და ულმობელ მტერთან ბრძოლაში; დიდი საბჭოთა ხალხის პატივსაცემად.

გამარჯვების პარადის მონაწილენი თავიანთი სამსახურის ადგილებზე დაბრუნების შემდეგ დიდხანს იმყოფებოდნენ საზეიმო პარადისა და კრემლში გულთბილად მიღების შთაბეჭდილების ქვეშ...

ბერლინში დაბრუნებისას ჩვენ წინადადება მივეცით ამერიკელებს, ინგლისელებსა და ფრანგებს ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების პატივსაცემად თვით ბერლინში ჩატარებულიყო ჯარების პარადი. რამდენიმე ხნის შემდეგ მივიღეთ მათი დადებითი პასუხი. საბჭოთა ჯარებისა და მოკავშირეთა ჯარების პარადის ჩატარება გადაწყვეტილი იყო სექტემბერში რაიხსტაგისა და ბრანდენბურგის ჭიშკრის რაიონში, სადაც დამამთავრებელი ბრძოლები წარმოებდა საბჭოთა ჯარების მიერ ბერლინის აღების დროს 1945 წლის 1-2 მაისს.

შეთანხმების თანახმად ჯარების პარადი უნდა მიეღოთ საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის ჯარების მთავარსარდლებს.

ბერლინის პარადში მონაწილეობას მიიღებდნენ ყველა გვარეობის სახმელეთო ჯარები. გადაწყვეტილი იყო პარადზე არ მოეწვიათ სამხედრო-საჰაერო ძალები და სამხედრო-საზღვაო ძალები, რადგან ისინი ბერლინიდან ძალიან დაშორებული იყვნენ.

ახლოვდებოდა პარადის დრო. საბჭოთა ჯარები გულდასმით მოემზადნენ. ვცდილობდით პარადზე მოგვეწვია უწინარეს ყოვლისა ყველა ის ჯარისკაცი, სერჟანტი, ზემდეგი. ოფიცერი და გენერალი, რომლებმაც განსაკუთრებულად გამოიჩინეს თავი ბერლინისა და წინააღმდეგობის ყველა მისი კერის — რაიხსტაგისა და საიმპერიო კანცელარიის იერიშის დროს. ყველაფერი ისე მიდიოდა, როგორც მოკავშირეებთან იყო შეთანხმებული.

მაგრამ პარადის წინადღით ჩვენ მოულოდნელად გაგვაფრთხილეს, რომ მთელი რიგი მიზეზების გამო მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდლები ვერ ჩამოვიდნენ ბერლინში გამარჯვების პარადზე, და პარადში მონაწილეობის მიღების უფლებით მათ თავიანთი გენერლები აღჭურვეს.

მე იმ წამსვე დავურეკე ი. ბ. სტალინს.

მოისმინა რა ჩემი მოხსენება, მითხრა:

— მათ უნდათ ბერლინში გამარჯვების პარადის მნიშვნელობის შემცირება. მოიცადეთ, ეგენი მარტო მაგისთანა ოინებს როდი გააკე-

თებენ. ნუ მიაქცევთ ყურადღებას მთავარსარდლების უარს და პარადი თქვენ მიიღეთ, მით უმეტეს რომ ჩვენ ამის უფრო მეტი უფლება გვაქვს, ვიდრე მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდლებს.

ანტიჰიტლერული კოალიციის ჯარების პარადი დაიწყო ზუსტად დანიშნულ დროზე. მასში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა ჯარებმა, რომლებსაც ბერლინზე იერიში მიჰქონდათ, ამერიკელების, ინგლისელებისა და ფრანგების ჯარებმა, რომლებიც აქ ჩამოვიდნენ საოკუპაციო სამსახურის გასაწევად მათთვის გამოყოფილ ქალაქის დასავლეთი ნაწილის სექტორში.

ჯარების შემოვლისას, რომლებიც დაწყობილი იყვნენ საზეიმო მარშით გასავლელად, ჩვენ წარმოვთქვით სიტყვები, სადაც აღვნიშნეთ საბჭოთა ჯარებისა და მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების ისტორიული დამსახურება.

საბჭოთა ქვეითმა ჯარმა, საბჭოთა ტანკისტებმა და არტილერისტებმა უზადო მწყობრით გაიარეს. განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩვენმა ტანკებმა და თვითმავალმა არტილერიამ. მოკავშირეთა ჯარებიდან დამამახსოვრდა ინგლისის ჯარები.

რაიონში, სადაც პარადი ტარდებოდა, დაახლოებით ოცი ათასამდე ბერლინელი შეგროვდა; ისინი კეთილგანწყობილად შეხვდნენ ზეიმს, რომლითაც სიმბოლურად გამოიხატებოდა ანტიჰიტლერული კოალიციის მეგობრობა და ისტორიული მნიშვნელობა საბჭოთა იარაღის გამარჯვებისა, იქ, საიდანაც მთელს ევროპაზე პირსისხლიანი ფაშისტური აგრესია გავრცელდა.

თავი ოცდამეერთე

გერმანიის მართვის საკონტროლო საბჭოს პირველი ნაბიჯები. პოტსდამის კონფერენცია

1945 წლის მაისის ოციან რიცხვებში გვიან ღამით ა. ნ. პოსკრებიშევმა დამირეკა და გადმომცა, რომ კრემლში მივსულიყავი.

უმაღლესი მთავარსარდლის კაბინეტში, მის გარდა, იყვნენ ვ. მ. მოლოტოვი და კ. ე. ვოროშილოვი.

ურთიერთმისალმების შემდეგ ი. ბ. სტალინმა თქვა:

— მაშინ, როცა ჩვენ განვაიარაღეთ და სამხედრო ტუვეთა ბანაკებში გავგზავნეთ გერმანიის არმიის ყველა ჯარისკაცი და ოფიცერი, ინგლისელები გერმანელთა ჯარებს სრულ საბრძოლო მზადყოფნაში ინახავენ და მათთან თანამშრომლობას ამყარებენ. გერმანელთა ჯარების შტაბები თავიანთი ყოფილი სარდლების მეთაურობით აქამდე სრული თავისუფლებით სარგებლობენ, მონტგომერის მითითებით ისინი აგროვებენ და წესრიგში მოჰყავთ გერმანიის ჯარების იარაღი და საბრძოლო ტექნიკა.

— მე ვფიქრობ, — განაგრძო უმაღლესმა მთავარსარდალმა, — ინგლისელები ისწრაფვიან შეინარჩუნონ გერმანელთა ჯარები, რათა შეიძლებოდეს მათი უფრო გვიან გამოყენება. ეს კი პირდაპირი დარღვევაა იმ შეთანხმებისა, რომელიც არსებობს მთავრობათა მეთაურებს შორის გერმანიის ჯარების დაუყოვნებლივი დაშლის თაობაზე.

ი. ბ. სტალინმა შემდეგ ვ .მ. მოლოტოვს მიმართა და უთხრა:

— საჭიროა დავაჩქაროთ ჩვენი დელეგაციის გაგზავნა საკონტროლო კომისიაში, რომელმაც გადაჭრით უნდა მოსთხოვოს მოკავშირეებს დენიცის მთავრობის ყველა წევრის, ყველა გერმანელი გენერლისა და ოფიცრის დაპატიმრება.

— საბჭოთა დელეგაცია ხვალ მიემგზავრება ფლენსბურგში, — უპასუხა ვ. მ. მოლოტოვმა.

— ახლა, პრეზიდენტ რუზველტის სიკვდილის შემდეგ, ჩერჩილი სწრაფად შეუთანხმდება ტრუმენს, — შენიშნა ი. ბ. სტალინმა.

— ამერიკის ჯარები აქამდე ტიურინგიაში იმყოფებიან და, როგორც ჩანს, ჯერ არც აპირებენ ოკუპაციის თავიანთ ზონაში წასვლას,— ვთქვი მე.

— ჩვენს ხელთ არსებული ცნობებით, ამერიკელები უახლეს პატენტებზე ნადირობენ, ძებნიან დიდ გერმანელ მეცნიერებს და თავიანთ მხარეზე იბირებენ, ამერიკაში წასვლაზე ითანხმებენ. ამის თაობაზე მე უკვე მივწერე ეიზენჰაუერს და ვთხოვე დაეჩქარებინა ამერიკელთა ჯარების გაყვანა ტიურინგიიდან. მან მიპასუხა, რომ უახლოეს დღეებში აპირებს ბერლინში ჩამოსვლას, რათა პირადი კონტაქტი დაამყაროს ჩემთან.

— ვფიქრობ, საჭიროა მოვთხოვოთ ეიზენჰაუერს ოკუპაციის წინასწარდასახულ ზონებში ჯარების განლაგების შესახებ არსებული შეთანხმების დაუყოვნებლივ შესრულება. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ თავი უნდა შევიკავოთ დიდი ბერლინის ზონაში მოკავშირეთა პერსონალის შემოშვებისაგან.

— სწორია, — მომიწონა ი .ბ. სტალინმა. — ახლა მომისმინეთ, რატომ გამოგიძახეთ თქვენ.

მოკავშირეთა სამხედრო მისიებმა გვაცნობეს, რომ ივნისის დასაწყისში ბერლინში ჩამოვლენ ეიზენჰაუერი, მონტგომერი და დელატრ დე ტასინი, რათა ხელი მოაწერონ დეკლარაციას საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მიერ უმაღლესი ძალაუფლების ხელში აღების შესახებ გერმანიის მართვისათვის მისი ოკუპაციის პერიოდში. აი ტექსტი, წაიკითხეთ, — მითხრა მან და ქაღალდის დაკეცილი ფურცელი გადმომცა.

იქ ნათქვამი იყო:

„საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები თავიანთ ხელში იღებენ უმაღლეს ძალაუფლებას გერმანიაში, მთელი იმ ძალაუფლების ჩათვლით, რომელიც აქვთ გერმანიის მთავრობას, უმაღლეს სარდლობას და ყოველ საოლქო, მუნიციპალურ თუ ადგილობრივ მთავრობას ან ხელისუფლებას“.

დეკლარაცია ითვალისწინებდა:

—გერმანიის მთელი შეიარაღებული ძალების სრულ განიარაღებას, მათ შორის სახმელეთო, საჰაერო, საჰაერო თავდაცვის და სამხედრო-საზღვაო ძალებისა, სს-ის, სა-ს, გესტაპოსი და ყველა სხვა ძალებისა და დამხმარე ორგანიზაციებისა, რომლებსაც კი იარაღი ჰქონდათ, იარაღის მოკავშირეებისათვის გადაცემით;

—ყველა მთავარი ფაშისტი ლიდერისა და სამხედრო დანაშაულობებში ეჭვმიტანილი პირის დაპატიმრებას;

— მოკავშირეთა მიერ გერმანიის განიარაღებისა და დემილიტარიზაციის მიზნით ისეთი ზომების მიღებას, რომლებსაც საჭიროდ ჩათვლიან ისინი მომავალი მშვიდობისა და უშიშროებისათვის.

უმაღლეს მთავარსარდალს დოკუმენტი დავუბრუნე.

— ამასთან დაკავშირებით, — განაგრძო ი. ბ. სტალინმა, — დგება საკითხი გერმანიის მართვის საკონტროლო საბჭოს დაარსების შესახებ, რომელშიც ოთხივე ქვეყნის წარმომადგენლები შევლენ. გადავწყვიტეთ, რომ ამ საბჭოში მთავარუფროსის თანამდებობა საბჭოთა კავშირიდან თქვენ დაგაკისროთ. გარდა მთავარსარდლის შტაბისა, საჭიროა შეიქმნას საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაცია. საჭიროა თქვენ გყავდეთ მოადგილე სამხედრო ადმინისტრაციის დარგში. ვინ გინდათ თქვენს მოადგილედ?

მე გენერალი ვ. დ. სოკოლოვსკი დავასახელე. ი. ბ. სტალინი დამეთანხმა.

შემდეგ მან გამაცნო გერმანიაში საკონტროლო საბჭოს ორგანიზაციის ძირითადი საკითხები.

საკონტროლო საბჭოში, თქვენს გარდა, ინიშნებიან: ამერიკის შეერთებული შტატებიდან—არმიის გენერალი დ. ეიზენჰაუერი, ინგლისიდან — ფელდმარშალი მ. მონტგომერი, საფრანგეთიდან — გენერალი ჟ. დელატრ დე ტასინი. ყოველ თქვენგანს პოლიტიკური მრჩეველი ეყოლება. თქვენ გეყოლებათ ვიშინსკი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის პირველი მოადგილე, ეიზენჰაუერს — რობერტ მერფი, მონტგომერის — სტრონგი. თუ ვინ იქნება საფრანგეთიდან, ჯერ არ არის ცნობილი.

საკონტროლო საბჭოს ყველა დადგენილება ძალაში შედის საკითხის ერთხმად გადაწყვეტისას. ალბათ, რიგ საკითხებში თქვენ ერთს სამის წინააღმდეგ მოქმედება მოგიწევთ.

მან ჩიბუხი მოქაჩა, გაიღიმა და დაუმატა:

— ჰო, თუმცა მარტოდ ბრძოლა ჩვენთვის უცხო რამ როდია...

საკონტროლო საბჭოს უმთავრესი ამოცანა, — განაგრძო ი. ბ. სტალინმა, — უნდა იყოს გერმანელი ხალხის მშვიდობიანი ცხოვრების სწრაფი მოწესრიგება, ფაშიზმის სრული მოსპობა და ადგილობრივ ხელისუფლებათა მუშაობის ორგანიზაცია, ხელისუფლებებისა, რომლებიც უნდა შევარჩიოთ მშრომელებიდან, იმათგან, ვისაც სძულს ფაშიზმი.

ფაშისტებმა გააჩანაგეს და გაძარცვეს ჩვენი ქვეყანა, ამიტომ თქვენ და თქვენმა თანაშემწეებმა სერიოზულად უნდა წაიმუშაოთ, რათა რაც შეიძლება სწრაფად განახორციელოთ ხელშეკრულება მო-

კავშირეებთან რეპარაციების ანგარიშში ზოგიერთი სამხედრო-სამრეწველო საწარმოს დემონტაჟის შესახებ.

მივიღე ეს მითითებები და მალე ბერლინში გავემგზავრე. ჩასვლის მეორე დღესვე ვიზიტად მეწვია არმიის გენერალი დ. ეიზენჰაუერი თავისი მრავალრიცხოვანი ამალით, რომელშიც იყო ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული ავიაციის სარდალი გენერალი სპაატსი.

გენერალი დ. ეიზენჰაუერი ჩვენ ფრონტის შტაბში მივიღეთ, ვენდენშლოსეში. ჩემთან ერთად იყო ა. ი. ვიშინსკი.

ერთმანეთს ჯარისკაცურად, შეიძლება ითქვას, მეგობრულად შევხვდით. დ. ეიზენჰაუერმა ხელები ჩამჭიდა, დიდხანს, დიდხანს მიცქირა და შემდეგ მითხრა:

— აი, თურმე როგორი ყოფილხართ!

ორივე ხელი მაგრად ჩამოვართვი, მისი სახით მადლობა გადავუხადე მოკავშირეთა ჯარებს და კმაყოფილებით აღვნიშნე ის ნაყოფიერი თანამეგობრობა, რომელიც ჩვენ არმიებსა და ხალხებს შორის დამყარდა ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომის წლებში.

საუბარში ჯერ წარსულ ამბებს შევეხეთ. დ. ეიზენჰაუერმა მიამბო ლამანშის გადალახვისა და ნორმანდიაში სადესანტო ოპერაციის განხორციელებისას წამოჭრილ დიდ სიძნელეებზე, კომუნიკაციების მოწყობასთან, ჯარების მართვასთან და განსაკუთრებით არდენებში გერმანელების მოულოდნელ კონტრშეტევასთან დაკავშირებულ სირთულეებზე.

შემდეგ საქმეზე გადავიდა და მითხრა:

— ჩვენ მოგვიხდება შეთანხმება საკონტროლო საბჭოს ჩამოყალიბებასთან, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის პერსონალისათვის საბჭოთა ზონის გავლით მიწისზედა კომუნიკაციების ბერლინამდე უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებზე.

—ეტყობა, შეთანხმება საჭირო იქნება არა მარტო მიწისზედა კომუნიკაციების თაობაზე, — ვუპასუხე ეიზენჰაუერს. — ჩვენ, ალბათ, საბჭოთა ზონის გავლით ამერიკისა და ინგლისის ავიაციის ბერლინში ფრენის წესის შესახებაც მოგვიხდება საკითხის გადაჭრა.

ამაზე გენერალმა სპაატსმა, რომელიც ნებიერად გადასწოლოდა სკამის ზურგს, დაუდევრად წამოისროლა:

— ამერიკის ავიაცია ყველგან ფრენდა და ფრენს სრულიად შეუზღუდავად.

— საბჭოთა ზონაში თქვენი ავიაცია შეუზღუდავად ვერ იფრენს, — ვუპასუხე სპაატსს. — იფრენთ მხოლოდ დაწესებულ საჰაერო კორიდორებში.

აქ სწრაფად ჩაერია დ. ეიზენჰაუერი და უცერემონიოდ უთხრა სპაატსს:

— თქვენთვის მე არ დამივალებია ავიაციის ფრენის შესახებ საკითხის ასე დასმა.

შემდეგ მომიბრუნდა და თქვა:

— ახლა თქვენთან მხოლოდ იმისათვის მოვედი, ბატონო გენერალო, რომ პირადად გაგცნობოდით, საქმიანი საკითხები კი მაშინ გადავწყვიტოთ, როცა საკონტროლო საბჭოს შევქმნით.

— ვფიქრობ, ჩვენ, როგორც ძველი ჯარისკაცები, საერთო ენას გამოვნახავთ და მეგობრულად ვიმუშავებთ, — ვუპასუხე მე. — ახლა მხოლოდ ერთი რამ მინდოდა მეთხოვა თქვენთვის: რაც შეიძლება სწრაფად გაიყვანეთ ამერიკის ჯარები ტიურინგიიდან, რომელიც მოკავშირე ქვეყნების მთავრობათა მეთაურებს შორის ყირიმის კონფერენციაზე მიღწეული შეთანხმების თანახმად, მარტოოდენ საბჭოთა ჯარების მიერ უნდა იყოს ოკუპირებული.

— სავსებით გეთანხმებით და დაბეჯითებით ვეცდები, რომ მივიღო ამის თანხმობა, — მიპასუხა დ. ეიზენჰაუერმა.

მე არ მინდოდა მეკითხა, ვისი თანხმობის მიღებას ეცდებოდა იგი დაბეჯითებით. ჩემთვის ცხადი იყო, რომ ამ საკითხს დიდ პოლიტიკაში ჰქონდა ფესვები, უფრო სწორად — ჩერჩილთან და ტრუმენთან.

აქვე, ჩვს კაბინეტში, დ. ეიზენჰაუერსა და მის თანამგზავრებს საუზმით გავუმასპინძლდით, რის შემდეგაც ისინი თავიანთ ბანაკში მაინის ფრანკფურტში გაფრინდნენ.

გარეგნულად დ. ეიზენჰაუერმა ჩემზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

5 ივნისს ბერლინში ჩამოვიდნენ დ. ეიზენჰაუერი, მ. მონტგომერი და ჟ. დელატრ დე ტასინი, რათა ხელი მოეწერათ დეკლარაციისათვის გერმანიის დამარცხებისა და სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის და საფრანგეთის მთავრობათა მიერ გერმანიაში უმაღლესი ძალაუფლების ხელში აღების შესახებ.

სხდომის წინ დ. ეიზენჰაუერი მოვიდა ჩემთან შტაბში, რათა გადმოეცა ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სამხედრო ორდენი — „საპატიო ლეგიონი“ მთავარსარდლის ხარისხისა.

მივიღე თუ არა ორდენი, მე მაშინვე უმაღლეს მთავარსარდალს დავურეკე და მოვახსენე ამის შესახებ.

ი. ბ. სტალინმა მითხრა:

— საჭიროა ჩვენი მხრივ დაჯილდოოთ ეიზენჰაუერი და მონტგომერი გამარჯვების ორდენებით, ხოლო დელატრ დე ტასინი — სუვოროვის I ხარისხის ორდენით.

— შემიძლია განეუცხადო მათ ამის შესახებ?

— დიახ, რა თქმა უნდა.

დეკლარაციის ხელმოწერის დროს პირველად გავიცანი პირადად ფელდმარშალი მონტგომერი.

ომის განმავლობაში ყურადღებით ვადევნებდი თვალს მისი სარდლობით ინგლისის ჯარების მოქმედებას. 1940 წელს ინგლისელთა საექსპედიციო კორპუსმა კატასტროფული მარცხი განიცადა დიუნკერკის რაიონში. შემდეგ ინგლისის ჯარებმა, რომლებსაც მონტგომერი სარდლობდა, ელ-ალამეინის რაიონში გაანადგურეს გერმანელთა გენერლის რომელის კორპუსი. ლამანშის გადალახვისა და ნორმანდიაში სადესანტო ოპერაციის განხორციელებისას მონტგომერი უნარიანად ხელმძღვანელობდა მოკავშირეთა ჯარებს და მათ შეტევას მდინარე სენამდე.

მონტგომერი საშუალოზე მაღალი ტანისა იყო, ძლიერ მოძრავი, ჯარისკაცურად წელში გამართული. იგი მკვირცხლი და საზრიანი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მან საუბარი გამიბა ელ-ალამეინის რაიონში და სტალინგრადის რაიონში განხორციელებულ ოპერაციებზე. მისი წარმოდგენით ორივე ეს ოპერაცია ტოლფასოვანი იყო.

სრულიადაც არ მინდოდა დამემცირებინა ინგლისის ჯარების დამსახურება, და მაინც იძულებული ვიყავი ამეხსნა მისთვის, რომ ელ-ალამეინის რაიონში ჩატარებული ოპერაცია არმიის მასშტაბის ოპერაციას წარმოადგენდა. სტალინგრადში კი ფრონტების ჯგუფი მოქმედებდა; იგი ახორციელებდა დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის ოპერაციას, რომლის შედეგადაც განადგურებულ იქნა გერმანელთა და მათი მოკავშირე ჯარების უმსხვილესი დაჯგუფება ვოლგისა და დონის, შემდეგ კი ჩრდილო კავკასიის რაიონში. ამ ოპერაციამ, როგორც ცნობილია, დასაბამი მისცა ძირეულ გარდატეხას ომში და გერმანელთა ჯარების განდევნას ჩვენი ქვეყნიდან.

დეკლარაციის ხელმოწერის შემდეგ მონტგომერი მომიბრუნდა და მითხრა:

— ბატონო მარშალო, გადავწყვიტეთ, უახლოეს დღეებში დავიკავოთ ბერლინში კუთვნილი ზონა, და, ალბათ, ჩვენთან ერთად ჩვენი მეგობრებიც — ამერიკელები და ფრანგები ასევე მოისურვებენ თავიანთი ზონების დაკავებას. ამასთან დაკავშირებით მინდოდა ახლა შევთანხმებულიყავით იმ კომუნიკაციების თაობაზე, რომლებითაც წამოვა ჩვენი პერსონალი ბერლინში.

— ვიდრე გადავწყვეტდეთ საკითხს კომუნიკაციების შესახებ, რომლებითაც ინგლისისა და ამერიკის ჯარები ბერლინში წამოვლენ, საჭიროა მოკავშირეთა ყველა ჯარი გერმანიის ტერიტორიაზე განვალა-

გოთ ყირიმის კონფერენციის გადაწყვეტილებებით გათვალისწინებულ რაიონებში. მხოლოდ ამის შემდეგ განვიხილავთ ჩვენ მოკავშირეთა ჯარების ბერლინისაკენ გატარებასა და მოკავშირეთა პერსონალის თვით ბერლინში განლაგებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ საკითხებს. მანამდე, სანამ ამერიკის ჯარები არ წავლენ ტიურინგიიდან, ხოლო ინგლისისა — ეიტენბერგის რაიონიდან, არ შეიძლება დავთანხმდეთ ბერლინში მოკავშირეთა სამხედრო პერსონალის შეშვებაზე.

ის იყო მონტგომერი უნდა შემპასუხებოდა, რომ სწრაფად ჩაერია დ. ეიზენჰაუერი, რომელმაც თქვა:

— მონტი, ნუ კამათობ. მარშალი ჟუკოვი მართალია. შენ რაც შეიძლება მალე უნდა აიბარგო ეიტენბერგიდან, ჩვენ კი — ტიურინგიიდან.

— ჰო, კარგი, — დაეთანხმა მონტგომერი, — ახლა ნუ ვიკამათებთ. მოდით, ჩვენი პირველი შეხვედრის სამახსოვროდ სურათი გადავიღოთ. ამ შემთხვევისათვის შესანიშნავი ფოტოგრაფი მყავს თან წამოყვანილი...

როცა ფოტოგრაფმა ბოლოს და ბოლოს როგორც იყო „დასცალა" ფირების ჭარაგი, მოკავშირეთა ჯარების სამივე მთავარსარდალს გამოეუცხადე საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილების შესახებ — დაეჯილდოვოს ისინი უმაღლესი საბჭოთა სამხედრო ორდენებით. ჩემს შეკითხვაზე, სად და როდის შეიძლება გადმოგცეთ ორდენები-მეთქი, ეიზენჰაუერმა და მონტგომერიმ მიპასუხეს, გთხოვთ ჩამობრძანდეთ ჩვენთან მაინის ფრანკფურტში 10 ივნისსო.

საკონტროლო საბჭოში ჩემი მომავალი კოლეგები რომ გავაცილე, ი. ბ. სტალინს დავურეკე და ეუამბე მონტგომერის პრეტენზიისა და ეიზენჰაუერის მიერ დაკავებული პოზიციის შესახებ.

ბ. სტალინმა გაიცინა და მითხრა:

— ეიზენჰაუერი როგორმე მოსკოვში უნდა მოვიწვიოთ. მინდა პირადად გავეცნო მას.

პირობის თანახმად 10 ივნისს დ. ეიზენჰაუერის შტაბში გავფრინდით. მაინის ფრანკფურტში. აქ შეგვხვდა ამერიკის ჯარების მრავალრიცხოვანი საპატიო ყარაული, რომელმაც თავისი მხედრული გამართულობით ჩემზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

გაიმართა ეიზენჰაუერისა და მონტგომერის დაჯილდოების ცერემონია, რის შემდეგაც საბჭოთა ორდენები გადაეცა ამერიკელი და ინგლისელი გენერლებისა და ოფიცრების დიდ ჯგუფს. ორდენების გადაცემის შემდეგ ჩატარდა ამერიკისა და ინგლისის ავიაციის საჰაერო პარადი, რომელშიც რამდენიმე ასეული თვითმფრინავი მონაწილეობდა.

ფრანკფურტიდან იმ იმედით მოვდიოდით, რომ გერმანიის ოთხ-

მხრივი მართვისას ჩვენს შორის მეგობრული ურთიერთობა დამყარდებოდა და ჩვენს მუშაობასაც შეთანხმებული ძოქმედება დაედებოდა საფუძვლად.

ეიზენჰაუერის შტაბს ეკავა უზარმაზარი შენობები „ი. გ. ფარბენინდუსტრის“ ქიმიური კონცერნისა, რომელიც ფრანკფურტის გააფთრებული დაბომბვის დროს გადარჩა, თუმცა თვით ქალაქის მოკავშირეთა ავიაციას ნანგრევებად ექცია.

საჭიროა აღინიშნოს, რომ გერმანიის სხვა რაიონებშიც „ი. გ. ფარბენინდუსტრის“ ქიმიური კონცერნის ობიექტები ასევე ხელუხლებელი დარჩა, თუმცა დაბომბვისათვის ისინი შესანიშნავ სამიზნეებს წარმოადგენდნენ. ცხადია, ამის თაობაზე მოკავშირეთა სარდლობას განსაკუთრებული მითითებები ჰქონდა მიცემული ვაშინგტონიდან და ლონდონიდან.

უნდა ითქვას, რომ დასავლეთ გერმანიის რაიონში ბევრი სხვა სამხედრო ქარხანაც დარჩა უვნებელი. როგორც შემდეგ გამოირკვა, ფინანსური ძაფები ამ უდიდესი სამხედრო ქარხნებიდან ამერიკისა და ინგლისის მონოპოლიებისაკენ მიიმართებოდა.

მალე ამერიკელებმა და ინგლისელებმა გაიყვანეს თავიანთი ჯარები იმ რაიონებიდან, რომლებიც ყირიმის კონფერენციაზე მიღებულ შეთანხმებათა საწინააღმდეგოდ ჰქონდათ დაკავებული. ამის შემდეგ ბერლინში ჩამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის ჯარების საოკუპაციო ნაწილები და საკონტროლო საბჭოს ადმინისტრაციული ორგანოების პერსონალი.

ივნისის მეორე ნახევარში ვიზიტად მეწვია ფელდმარშალი მონტგომერი. ურთიერთმისალმების შემდეგ მან მაცნობა ინგლისის მთავრობის მიერ დიდი ბრიტანეთის სამხედრო ორდენებით ჩემი, მარშალ კ. კ. როკოსოვსკის გენერლების ვ. დ. სოკოლოვსკისა და მ. ს. მალინინის დაჯილდოების შესახებ.

მონტგომერიმ მთხოვა დამენიშნა ჩვენთვის ორდენების გადმოცემის დღე და ცერემონიის ადგილი. მე ვთხოვე, რომ დროც და ადგილიც თვითონვე დაენიშნა.

ფელდმარშალმა მონტგომერიმ დიდი ტაქტით თქვა:

— საბჭოთა ჯარებმა დამამთავრებელი დარტყმა ბრანდენბურგის ჭიშკრის რაიონში განახორციელეს, სადაც რაიხსტაგზე აღმართეს წითელი დროშა. ვფიქრობ, რომ სწორედ ამ ადგილას უნდა გადმოგცეთ დიდი ბრიტანეთის ორდენები, რომლებითაც აღინიშნება თქვენი ხელმძღვანელობით მოქმედი საბჭოთა ჯარების დამსახურება.

დანიშნულ დღესა და საათს კონსტანტინე კონსტანტინეს ძე როკოსოვსკი, ვასილ დანიელის ძე სოკოლოვსკი, მიხეილ სერგის ძე მა-

ლინინი და მე მივედით ბრანდენბურგის ჭიშკართან. აქ საზეიმოდ შეგვხვდნენ ინგლისის გვარდიული ჯარების საპატიო ყარაული და გენერლებისა და ოფიცრების დიდი ჯგუფი.

დაჯილდოების ცერემონია რაიხსტაგთან გაიმართა. მე დამაჯილდოეს „აბანოს" I ხარისხის ორდენით, კ. კ. როკოსოვსკი — „აბანოს" II ხარისხის ორდენით, ვ. დ. სოკოლოვსკი და მ. ს. მალინინი — ორდენით „დამსახურებისათვის".

დაჯილდოების შემდეგ წინადადება მოგვცეს ჩამოგვეევლო საპატიო ყარაული, რაც დიდი კმაყოფილებით შევასრულეთ.

საღამოს ფელდმარშალმა მონტგომერიმ თავის რეზიდენციაში დარბაზობა გამართა, რომელსაც ბევრი ჩვენი გენერალი და ოფიცერი ესწრებოდა.

დაჯილდოების ცერემონიას აქ მე იმიტომ შევეხე, რომ თავის დროზე ზოგიერთმა გაზეთმა ამ ამბების შესახებ არცთუ სავსებით სწორი ინფორმაცია მოათავსა თავის ფურცლებზე.

პირველ ხანებში საკონტროლო საბჭოსა და მისი ყველა ორგანოს მუშაობაში. რაიმე განსაკუთრებულ უთანხმოებებს ადგილი არ ჰქონია. საბჭოს სხდომები ტარდებოდა საჭიროების მიხედვით, მაგრამ არა უმეტეს ერთხელ კვირაში. სხდომებს შორის საკითხები, ჩვეულებრივ, წინასწარ განიხილებოდა ხოლმე კოორდინაციის კომიტეტსა და დირექტორატებში.

ერთი საინტერესო დეტალი. საკონტროლო საბჭოს მუშაობის პროცესში სხდომების მონაწილეთა კვებას მორიგეობით ვახორციელებდით. ერთი თვე კვებავდნენ ამერიკელები, შემდეგ ინგლისელები, ფრანგები და, ბოლოს, საბჭოთა სარდლობა. როცა ჩვენი რიგი დგებოდა, სხდომების მონაწილეთა რიცხვი ორჯერ იზრდებოდა ხოლმე. ეს აიხსნებოდა რუსული სტუმართმოყვარეობით. რომელმაც დიდად ჯაითქვა სახელი რუსული სამზარეულოთი, და რა თქმა უნდა, საუცხოო რუსული ჩიზილალითა და არაყით...

ჩვენი მუშაობის პირველი ნაბიჯებიდანვე იგრძნობოდა, რომ საკონტროლო საბჭოს ყველა კომიტეტში ხდებოდა საბჭოთა წარმომადგენლების, საბჭოთა მხარის პოლიტიკისა და ტაქტიკის, მისი ძლიერი და სუსტი პოზიციების ბეჯითი, გულმოდგინე შესწავლა. ჩვენც ასევე ვაკვირდებოდით ჩვენს დასავლეთელ პარტნიორებს და მათ მოქმედებას.

უნდა ითქვას, რომ ამერიკისა და ინგლისის პერსონალი წინასწარ ყოველმხრივ მომზადებული იყო საკონტროლო საბჭოში მუშაობისათვის. მათ კარგად ჰქონდათ დამუშავებული მთელი საცნობარო დოკუმენტაცია გერმანიის, მისი სამეურნეო და სამხედრო პოტენციაზ12

ლის შესახებ, წინასწარ იყვნენ ინსტრუქტირებული მომავალი გერმანიის მიმართ განსახორციელებელი ეკონომიური პოლიტიკის საკითხებში.

ასეთი იყო ვითარება, რომელშიც მუშაობა დაიწყო საკონტროლო საბჭომ.

საბჭოთა ქვეყნის მოკავშირე სახელმწიფოთა ხალხები და მათი არმიები მადლიერების გრძნობით იყვნენ გამსჭვალული ჩვენი შეიარაღებული ძალებისადმი გერმანიის განადგურებისა და იმ საფრთხის ძირფესვიანად აღმოფხვრის გამო, რასაც ჰიტლერიზმი წარმოადგენდა მსოფლიოს ყველა ხალხისთვის. დიდი იყო მადლიერების ეს გრძნობა ამერიკელთა არმიაშიც. ფაშისტების მიმართ უაღრესად მტრული დამოკიდებულება სუფევდა. ასეთ პირობებში ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებს ნაადრევად და საშიშად ეჩაჩნდათ თავიანთი ნამდვილი გეგმებისა და ზრახვების გამომჟღავნება, ერჩივნათ განეგრძოთ თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან.

ამავე დროს, ისევე როგორც ინგლისის მმართველი წრეები. ისინი დაინტერესებული იყვნენ სსრ კავშირის ომნაწილეობით იაპონიის წინააღმდეგ ომში და მოუთმენლად ელოდნენ ამ ომში მის ჩაბმას. ბუნებრივია, მათ არ სურდათ ისეთი რამ ჩაედინათ, რასაც სსრ კავშირთან ურთიერთობის გაუარესება შეეძლო გამოეწვია.

აი რატომ იყო, რომ საკონტროლო საბჭოს მუშაობა პირველ ხანებში შედარებით დაუბრკოლებლად მიმდინარეობდა.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენელთა მოქმედება არ იყო გულწრფელი. ყირიმის კონფერენციისა და საკონტროლო საბჭოს გადაწყვეტილებებს ოკუპაციის თავიანთ ზონებში ისინი ცალმხრივად, მხოლოდ ფორმალურად ახორციელებდნენ, რიგ შემთხვევებში კი უბრალოდ საბოტაჟს უწევდნენ. ეს შეეხება გერმანიის დემილიტარიზაციის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებასაც. არც ეკონომიურ, არც პოლიტიკურ, არც უშუალოდ სამხედრო დარგში ეს გადაწყვეტილება მთლიანად განხორციელებული არ ყოფილა.

საკონტროლო საბჭოს მუშაობის დასაწყისში ჩვენ შეეთანხმდით დ. ეიზენჰაუერთან იმაზე, რომ გაგვეგზავნა ფრონტის შტაბის სადაზვერვო განყოფილების საბჭოთა ოფიცრების ჯგუფი ამერიკის ზონაში და დაგვეკითხა მთავარი სამხედრო დამნაშავეები, რომლებიც ამ ზონაში უფრო მეტი აღმოჩნდნენ თავმოყრილი, ვიდრე რომელიმე სხვა ზონაში.

იქ იყვნენ გერინგი, რიბენტროპი, კალტენბრუნერი, ფელდმარშალი კაიტელი, გენერალ-პოლკოვნიკი იოდლი და მესამე რაიხის სხვა

არანაკლებად მნიშვნელოვანი პერსონები. მაგრამ ამერიკელებმა, ჰქონდათ რა სათანადო მითითებები, არ მისცეს ჩვენს ოფიცრებს ყველა დამნაშავის დაკითხვის საშუალება. მხოლოდ ზოგიერთის დაკითხვა თუ მოხერხდა. ისინი მიკიბულ-მოკიბულ ჩვენებებს იძლეოდნენ, ცდილობდნენ კაცობრიობის წინაშე ჩადენილ ყველა დანაშაულში მხოლოდ და მხოლოდ ჰიტლერისათვის დაედოთ ბრალი, არასგზით არ სურდათ საკუთარი, პირადი დანაშაულის აღიარება.

დაკითხვის მასალები ამტკიცებდა, რომ ჰიტლერელებს ფარული მოლაპარაკება ჰქონდათ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის სადაზვერვო ორგანოებთან სეპარატული ზავის შესაძლებლობის თაობაზე.

საკონტროლო საბჭოს შემდგომი მუშაობის პროცესში სულ უფრო გვიჭირდა ამერიკელებთან და ინგლისელებთან შეთანხმების მიღწევა. ისინი ყოველნაირად ეწინააღმდეგებოდნენ ჩვენს წინადადებებს, მიმართულს იქითკენ, რომ განხორციელებულიყო გერმანიის დამარცხების შესახებ ყველას მიერ ხელმოწერილი დეკლარაცია და მთავრობათა მეთაურების კონფერენციებზე შეთანხმებული პუნქტები.

მალე ჩვენ უტყუარი ცნობები მივიღეთ, რომ ჯერ კიდევ ომის დამამთავრებელი კამპანიის მსვლელობისას ჩერჩილმა საიდუმლო დეპეშა გაუგზავნა მონტგომერის, რომელშიც მითითებული იყო: „გულმოდგინედ შეაგროვეთ გერმანული იარაღი და საომარი ტექნიკა, ერთად მოუყარეთ თავი, რათა ადვილი იყოს ამ აღჭურვილობის კვლავ დარიგება გერმანული ნაწილებისათვის, რომლებთანაც, შესაძლოა მოგვიხდეს თანამშრომლობა, თუ კი გაგრძელდება საბჭოთა შეტევა".

მორიგ საკონტროლო საბჭოზე იძულებული ვიყავით ამის გამო მკაცრი განცხადება გაგვეკეთებინა, ხაზი გაგვესვა, რომ ისტორიამ ასეთი ვერაგობის და სამოკავშირეო ვალდებულებებისადმი, მოვალეობისადმი მსგავსი ღალატის მხოლოდ ცოტა მაგალითი თუ იცოდა.

— საბჭოთა კავშირი ზუსტად ასრულებს თავის სამოკავშირეო ვალდებულებებს, — მივუთითეთ ჩვენ. — მიგვაჩნია, რომ ინგლისის სარდლობა და მისი მთავრობა სერიოზულ გაკიცხვას იმსახურებენ.

მონტგომერი ცდილობდა საბჭოთა ბრალდების თავიდან აცილებას. მისი კოლეგა— ამერიკელი გენერალი კლეი დუმდა. როგორც ჩანს, ნან იცოდა ინგლისის პრემიერ-მინისტრის ამ დირექტივის შესახებ.

შემდგომში, ვუოლდფორდის ოლქის ამომრჩეველთა წინაშე როცა გამოდიოდა, ჩერჩილმა აშკარად განაცხადა: როცა გერმანელები ასეულ ათასობით გენებდებოდნენ ტყვედ. მე მართლა ვავუგზავნე მსგავსი საიდუმლო ბრძანება ფელდმარშალ მონტგომერისო. რამდენიმე ხნის

შემდეგ თვით მონტგომერიმაც დაადასტურა ჩერჩილისაგან ამ დეპეშის მიღება.

ომის წლებში, როგორც ცნობილია, ჰიტლერელებმა მრავალი მილიონი საბჭოთა ადამიანი გარეკეს გერმანიაში იძულებით სამუშაოებზე და საკონცენტრაციო ბანაკებში.

ჩვენ ვცდილობდით გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილში განთავისუფლებული ეს ადამიანები რაც შეიძლება მალე დაგვებრუნებინა სამშობლოში, რომლის მიმართ დარდიც უმძიმეს ლოდად აწვათ გულზე მონობაში მყოფთ ამ ძნელბედობის წლებში. მაგრამ საქმე ის არის, რომ საბჭოთა მოქალაქეების და გერმანიის ტყვეობაში ნამყოფი ჩვენი ჯარისკაცებისა და ოფიცრების დიდი ნაწილი ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის ზონებში აღმოჩნდა.

ბუნებრივია, თავიდანვე დაჟინებით მოვითხოვეთ მათი გადმოცემა საბჭოთა მხარისათვის სამშობლოში გასამგზავრებლად. ამ საკითხზე მე პირველ ყოვლისა დ. ეიზენჰაუერს მივმართე, რომელიც, როგორც მეჩვენა, გაგებით შეხვდა ჩვენს თხოვნას. და ჩვენ შევძელით საბჭოთა ადამიანების მნიშვნელოვანი ნაწილის გამოყვანა ამერიკელთა, შემდეგ კი — ინგლისელთა ზონიდან.

მაგრამ მალე მივიღეთ უტყუარი მონაცემები იმის თაობაზე, რომ ამერიკელები და ინგლისელები გაძლიერებით უწევდნენ სამხედრო ტყვეთა ბანაკებში მყოფ საბჭოთა მოქალაქეებს, ჯარისკაცებსა და ოფიცრებს სამშობლოში დაბრუნების საწინააღმდეგო აგიტაციას. მათ ურჩევდნენ დასავლეთში დარჩენას, პპირდებოდნენ მაღალხელფასიან სამუშაოს და ყოველგვარ სიკეთეს. ამ მიზნით მიმართავდნენ სიცრუეს, ცილისწამებას საბჭოთა კავშირისადმი, ათასგვარ მუქარასა და დაშინებას. განსაკუთრებით იმათ მიმართ, ვინც მოღალატე ვლასოვის ჯარებში იმყოფებოდა.

ანტისაბჭოთა აგიტაციის გაკლენით იმ ადამიანთა გარკვეულმა ნაწილმა, რომელთაც დანაშაული მიუძღოდათ სამშობლოს წინაშე, მართლაც უარი თქვა დაბრუნებაზე და თავისი ბედი ამერიკისა და ინგლისის დაზვერვებს დაუკავშირა. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც დახარბდნენ დაპირებულ „იოლ, უდარდელ ცხოვრებას“ და ყოყმანობდნენ, ვერ გადაეწყვიტათ საბჭოთა კავშირში დაბრუნება.

ეიზენჰაუერთან და მის მოადგილესთან გენერალ კლეისთან შეხვედრების დროს სასტიკ პროტესტს ვაცხადებდით ამ ანტისაბჭოთა პროპაგანდის წინააღმდეგ. ეიზენჰაუერი და კლეი ჯერ ცდილობდნენ „ჰუმანური მიზნებით“ შეენიღბათ ეს უხამსი, ბილწი საქმიანობა. მაგრამ შემდეგ დართეს ჩვენს ოფიცრებს ამერიკელთა ბანაკებში დაკავებულ საბჭოთა ადამიანებთან შეხვედრისა და საუბრის ნება.

მას შემდეგ, რაც საბჭოთა ოფიცრები გულახდილად ესაუბრნენ ამ ადამიანებს, ბევრმა მათგანმა შეიგნო თავისი შეცდომა, დარწმუნდა ამერიკელ მზვერავთა პროპაგანდის სიყალბეში. მათ თანხმობა განაცხადეს საბჭოთა კავშირში დაბრუნებაზე და ჩამოვიდნენ საბჭოთა ზონაში, რათა სამშობლოში გამგზავრებულიყვნენ. არ დაბრუნდნენ ისინი, ვინც მთელი რიგი სერიოზული დანაშაულებანი ჩაიდინეს სამშობლოს წინაშე და მისი ნამდვილი მტრები გახდნენ. მართალი რომ ვთქვათ, არც დაგვწყვეტია მათზე გული.

თუმცა შემდგომში ამ ადამიანთა შორისაც აღმოჩნდნენ ისეთები, რომლებმაც, იწვნიეს რა უცხო მხარეში მძიმე სინამდვილის უმკაცრესი სუსხი, მოინანიეს შეცდომები და სამშობლოში დაბრუნების ნება ითხოვეს.

ჯერ კიდევ 1945 წლის მაისის დამლევს ი. ბ. სტალინმა გამაფრთხილა, ბერლინში გზად შეჩერდება თვითმფრინავით მომავალი ჰარი ჰოპკინსი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის საგანგებო რწმუნებული, რომელსაც თქვენთან გაცნობა და საუბარი სურსო.

ჰ. ჰოპკინსს მე არ ვიცნობდი, მაგრამ, ი. ბ. სტალინის სიტყვებით, იგი გამოჩენილი პიროვნება იყო. მან ბევრი გააკეთა საბჭოთა კავშირთან ამერიკის შეერთებული შტატების საქმიანი ურთიერთობის განსამტკიცებლად.

აეროდრომიდან ჩემთან იგი მოვიდა მეუღლესთან, მეტად ლამაზ ქალთან ერთად, რომელსაც ოცდაათ წელს ძლივს მისცემდით. თვით ჰ. ჰოპკინსი იყო საშუალო ტანისა, ძლიერ გამხდარი, უკიდურესად დაღლილი და ავადმყოფური შესახედაობა ჰქონდა.

საუბარში ა. ი. ვიშინსკი მონაწილეობდა.

ცოლ-ქმარ ჰოპკინსებს ყავა შევთავაზეთ. საუზმეზე ჰოპკინსმა თქვა, რომ იყო ი. ბ. სტალინთან მოსკოვში, სადაც განიხილა მთავრობათა მეთაურების მომავალი კონფერენციის საკითხები.

— ჩერჩილი დაჟინებით მოითხოვს, ბერლინში 15 ივნისს შეეიკრიბოთო, — თქვა ჰოპკინსმა, — მაგრამ ამ ვადისათვის ჩვენ მზად არ ვიქნებით ასეთ საპასუხისმგებლო თათბირში მონაწილეობის მისაღებად. ჩვენმა პრეზიდენტმა წამოაყენა წინადადება, რომ კონფერენცია 15 ივლისისათვის დაინიშნოს. ძალზე მოხარული ვართ. ბატონი სტალინი ჩვენს წინადადებას რომ დაეთანხმა. მეტად რთული საუბარი გველის გერმანიისა და ევროპის სხვა ქვეყნების მომავალზე, ახლა ხომ უკვე ბევრი საწვავი მასალა დაგროვდა.

— თუ ჩვენი ქვეყნები ომის რთულ პირობებში ნახულობდნენ საერთო ენას ფაშისტური გერმანიის განადგურების უზრუნველსაყოფად, — უპასუხა მას ა. ი. ვიშინსკიმ, — უნდა ვიფიქროთ, რომ ახლა

მთავრობათა მეთაურები შეძლებენ შეთანხმდნენ ფაშიზმის საბოლოო ლიკვიდაციისა და დემოკრატიულ საფუძველზე გერმანიის ცხოვრების მოწყობის ღონისძიებათა თაობაზე.

ჰ. ჰოპკინსს ამაზე არაფერი უპასუხნია. ყავა მოსვა, ღრმად ამოიოხრა და თქვა:

— სამწუხაროა, რომ პრეზიდენტი რუზველტი ვერ მოესწრო ამ დღეებს, მასთან უფრო ადვილად სუნთქავდა კაცი.

ჰ. ჰოპკინსმა ჩემთან თითქმის ორი საათი დაჰყო. დამშვიდობებისას მითხრა, ახლა ლონდონში მივფრინავ, სადაც უ. ჩერჩილს უნდა შევხვდე მოსალაპარაკებლადო.

—ჩერჩილს მე პატივს ვცემ, — თქვა მან, — მაგრამ ის მძიმე ხასიათის კაცია. მასთან თავისუფლად მხოლოდ ფრანკლინ რუზველტს შეეძლო საუბარი...

მომავალი კონფერენციის მოსამზადებლად მალე ჩვენთან ჩამოვიდა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის გენერლების ჯგუფი.

ვე ავუხსენი მათ, რომ ბერლინში არ არის სათანადო პირობები მთავრობათა მეთაურების კონფერენციის ჩასატარებლად. წინადადება მივეცი გასცნობოდნენ პოტსდამისა და ბაბელსბერგის რაიონს.

პოტსდამიც ძლიერ იყო დანგრეული, ძნელი იქნებოდა იქ დელეგაციების მოთავსება. ყუმბარებს მხოლოდ ერთადერთი დიდი შენობა გადარჩენოდა უვნებელი — გერმანიის კრონპრინცის სასახლე სანსუსის პარკში. აქ საკმარისად იყო ოთახები მრავალრიცხოვან ექსპერტთა და მრჩეველთა სხდომებისა და მუშაობისათვის.

დელეგაციათა მეთაურების, საგარეო საქმეთა მინისტრების, მთავარი მრჩევლებისა და ექსპერტების დასაბინავებლად კარგ, შესაფერ ადგილს წარმოადგენდა ბერლინის გარეუბანი — ბაბელსბერგი, რომელიც თითქმის არ დაზარალებულა ომის დროს. ომამდე ბაბელსბერგში ცხოვრობდნენ მთავრობის უდიდესი მოხელენი, გენერლები და სხვა ცნობილი ფაშისტი მოღვაწენი. გარეუბანი შედგებოდა მწვანესა და ყვავილნარში ჩაფლული მრავალრიცხოვანი ორსართულიანი ვილებისაგან.

მოსკოვმა დაამტკიცა ჩვენი წინადადება პოტსდამის რაიონში კონფერენციის მომზადების შესახებ. პოტსდამის რაიონში კონფერენციის ჩატარებაზე თანხმობა განაცხადეს ინგლისელებმა და ამერიკელებმა.

დაიწყო ჩვეული საქმიანი ფუსფუსი ტერიტორიების, შენობების, საავალი გზების სათანადო წესრიგში მოსაყვანად. საჭირო გახდა საინჟინრო შენაერთთა მრავალრიცხოვანი რაზმების გამოყოფა. მუშაობა

დღე-ღამეში თითქმის მთელი 24 საათი მიმდინარეობდა 10 ივლისისათვის ყველაფერი დამთავრდა, დასასრულს უახლოვდებოდა შენობების მოწყობაც.

ჯეროვანად უნდა შევაფასოთ ფრონტის ზურგის მუშაკთა ენერგიული საქმიანობა. მოკლე დროში მათ კოლოსალური სამუშაო შეასრულეს. განსაკუთრებით დიდი ჯაფა დაადგა ფრონტის საბინაო-საექსპლუატაციო განყოფილების უფროსს ჰოლკოვნიკ გ. დ. კოსოგლიადს.

კონფერენციისათვის განკუთვნილი სასახლის შენობაში კაპიტალურად შეკეთდა 36 ოთახი და კონფერენც-დარბაზი, რომელსაც სამი ცალ-ცალკე შესასვლელი ჰქონდა. ამერიკელებმა პრეზიდენტისა და მისი უახლოესი წრის აპარტამენტებისათვის ცისფერი აირჩიეს, ინგლისელებმა უ. ჩერჩილისათვის — ვარდისფერი. საბჭოთა დელეგაციისათვის დარბაზი თეთრად იყო მოპირკეთებული. სან-სუსის პარკში მრავალი ყვავილნარი გააშენეს, ათი ათასამდე სხვადასხვა ყვავილი, ასობით დეკორატიული ხე დარგეს.

13 და 14 ივლისს ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის დელეგაციის მრჩეველთა და ექსპერტთა ჯგუფი.

მათ შორის — გენერალური შტაბის უფროსი არმიის გენერალი ა. ი. ანტონოვი, სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარი ადმირალი ნ. გ. კუზნეცოვი, მთავარი სამხედრო საზღვაო შტაბის უფროსი ს. გ. კუჩეროვი. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს წარმოადგენდნენ ა. ი. ვიშინსკი, ა. ა. გრომიკო, ს. ი. ქავთარაძე, ი. მ. მაისკი, თ. ტ. გუსევი, კ. ვ. ნოვიკოვი, ს. კ. ცარაპკინი, ს. პ. კოზირევი. იმავდროულად ჩამოვიდა მრავალრიცხოვანი დიპლომატიური აპარატი.

16 ივლისს სპეციალური მატარებლით უნდა ჩამოსულიყვნენ ი. ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოტოვი და მათი თანმხლები პირები.

წინადღით ი. ბ. სტალინმა დამირეკა და მითხრა:

— არ გაბედოთ ჩემს შესახვედრად არავითარი საპატიო ყარაულებისა და ორკესტრების გამოყვანა. თვითონ ჰოდით ვაგზალზე და თან წამოიყვანეთ, ვისაც საჭიროდ ჩათვლით.

ვაგზალზე ჩვენ ყველანი მატარებლის ჩოსვლამდე დაახლოებით ნახევარი საათით ადრე მივედით. აქ იყვნენ ა. ი. ვიშინსკი, ა. ი. ანტონოვი, ნ. გ. კუზნეცოვი, კ. თ. ტელეგინი, ვ. დ. სოკოლოვსკი, ვ. ს. ვალინინი და სხვა სამხედრო პირები.

ი. ბ. სტალინს ვაგონთან შევხვდი. იგი კარგ ხასიათზე იყო, მიუახლოვდა შემხვედრ პირთა ჯგუფს და ხელის ოდნავი, ხანმოკლე აწევით მიესალმა. მერე თვალი მოაელო ირგვლივ ვაგზლის მოედანს და დინჯად ჩაჯდა მანქანაში, მაგრამ მაშინვე კვლავ გააღო კარი და მთხოვა,

მის გეერდით დავმჯდარიყავი. გზაში ინტერესით მეკითხებოდა, ყველაფერი იყო თუ არა მზად კონფერენციის გახსნისათვის.

ი. ბ. სტალინმა შემოიარა მისთვის განკუთვნილი ვილა და იკითხა, ვის ეკუთვნოდა იგი ადრე. უპასუხეს, რომ ეს გენერალ ლიუდენდორფის ვილა იყო. ი. ბ. სტალინი ვერ იტანდა ვერაფითარ ზედმეტობას ბინაში და ოთახების შემოვლის შემდეგ გვთხოვა, გაგვეტანა იქიდან ზედმეტი ავეჯი. მერე იგი დაინტერესდა, სად ვიქნებოდით ბინად მე, გენერალური შტაბის უფროსი ა. ი. ანტონოვი და მოსკოვიდან ჩამოსული სხვა სამხედრო პირები

—აქეე, ბაბელსბერგში, — ვუპასუხე მე.

საუზმის შემდეგ ი. ბ. სტალინს შოვახსენე ძირითადი საკითხები გერმანიაში საბჭოთა საოკუპაციო ჯარების ჯგუფის საქმიანობის ირგვლივ და ვუამბე საკონტროლო საბჭოს მორიგი სხდომის შესახებ, საბჭოსი, სადაც პრობლემების შეთანხმებისას წინანდებურად უდიდეს სიძნელეებს ეხვდებოდით ინგლისელების მხრივ.

იმავე ღღეს ჩამოვიდნენ ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა დელეგაციები პრემიერ-მინისტრ უ. ჩერჩილისა და პრეზიდენტ ჰ. ტრუმენის მეთაურობით. მაშინვე შედგა საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრები, ხოლო პრემიერ-მინისტრი უ. ჩერჩილი და პრეზიდენტი ჰ. ტრუმენი ვიზიტად ეწვივნენ ი. ბ. სტალინს. მეორე ღღეს დილით ი .ბ. სტალინმა საპასუხო ვიზიტი გაუკეთა მათ.

პოტსდამის კონფერენცია სამი დიდი სახელმწიფოს ხელმძღვანელთა მორიგი შეხვედრა როდი იყო მხოლოდ, იგი იყო აგრეთვე ფაშისტური გერმანიის სრული განადგურებითა და უსიტყვო კაპიტულაციით დაგვირგვინებული პოლიტიკის ზეიმი.

საბჭოთა დელეგაცია პოტსდამში ჩამოვიდა იმ მტკიცე განზრახვით, რომ ომისშემდგომ პრობლემათა მოწესრიგების დარგში მიეღწია ურთიერთშეთანხმებული პოლიტიკისათვის ხალხთა შორის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველსაყოფად და შეექმნა პირობები, რომელთა დროსაც გამორიცხული იქნებოდა გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება, მისი აგრესიის განმეორება.

ამ უმნიშვნელოვანეს ამოცანათა განხილვისას კონფერენციის მონაწილენი ხელებშეკრული იყვნენ სამი დიდი სახელმწიფოს ყირიმის კონფერენციაზე ადრე მიღებული გადაწყვეტილებებით. საბჭოთა დელეგაციამ კვლავ შეძლო უკუეგდო რეაქციულ ძალთა ვარაუდები და მიეღწია გერმანიის დემოკრატიზაციისა და დემილიტარიზაციის გეგმების შემდგომი კონკრეტიზაციისათვის, როგორც მშვიდობის უმნიშვნელოვანესი პირობისათვის. ამასთან ერთად, პოტსდამში გაცილებით უფრო ძლიერ, ვიდრე წინა კონფერენციებზე, გამოვლინდა ამერიკის შეერთე-

ბული შტატებისა და ინგლისის მთავარობათა მისწრაფება იქითკენ, რომ გამოეყენებინათ გერმანიის დამარცხება თავიანთი პოზიციების განსამტკიცებლად მსოფლიო ბატონობისათვის ბრძოლაში.

პოტსდამის კონფერენცია გაიხსნა 17 ივლისს დღის მეორე ნახევარში. მისი სხდომა მიმდინარეობდა სასახლის ყველაზე დიდ ოთახში, რომლის შუაშიც იდგა მრგვალი, კარგად გაპრიალებული მაგიდა. თავისებური დეტალი: საკმარისად დიდი მრგვალი მაგიდა ბერლინში ვერ ვიშოვნეთ. იძულებული გავხდით სასწრაფოდ გაგვეკეთებინა იგი მოსკოვში, ფაბრიკა „ლუქსში" და პოტსდამში ჩამოგვეტანა.

პირველ ოფიციალურ სხდომას ესწრებოდნენ მთავრობათა მეთაურები, საგარეო საქმეთა ყველა მინისტრი, მათი პირველი მოადგილეები, სამხედრო და სამოქალაქო მრჩეველები და ექსპერტები. მომდევნო სხდომებს შორის სამხედრო და სამოქალაქო ექსპერტები და მრჩეველები ცალკე ხედებოდნენ ერთმანეთს და მოლაპარაკებას აწარმოებდნენ მათთვის მინდობილ საკითხებზე.

კონფერენციის მუშაობის პროცესში ძირითადი სიმძიმე საგარეო საქმეთა მინისტრებსა და დიპლომატიურ მუშაკებს დააწვათ მხრებზე. მათ უნდა შეესწავლათ, გაეანალიზებინათ და შეეფასებინათ მხარეთა ყველა დოკუმენტაცია, შეემუშავებინათ თავიანთი წინადადებანი, დაეცვათ ისინი წინასწარ მოლაპარაკებათა დროს და მხოლოდ ამის შემდეგ შეედგინათ დოკუმენტები მთავრობათა მეთაურებისათვის.

სამხედრო მრჩეველები განიხილავდნენ ძირითად წინადადებებს ფაშისტური გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის საბრძოლო გემებისა და სამოქალაქო ფლოტის დიდი ხომალდების გაყოფის თაობაზე. ამ საკითხებზე წინასწარ მოლაპარაკებას ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების ზღვაოსნებთან აწარმოებდნენ ჩვენი ადმირალები ფლოტის ადმირალის ნ. გ. კუზნეცოვის მეთაურობით.

ამერიკისა და ინგლისის მხარეები ყოველნაირად აჭიანურებდნენ ამ მოლაპარაკებებს. ი. ბ. სტალინი იძულებული გახდა ჰ. ტრუმენთან და უ. ჩერჩილთან მრგვალი მაგიდის ირგვლივ საუბრების დროს მთელი რიგი საკმაოდ მძაფრი შენიშვნები გამოეთქვა იმის თაობაზე, რომ ქვეყნების მიერ ომში განცდილი დანაკლისის დონე ერთნაირი არ იყო და რომ ჩვენს მხარეს უფლება ჰქონდა მოეთხოვა სათანადო კომპენსაცია.

პირველ ხანებში კონფერენცია მეტად დაძაბულად მიმდინარეობდა. საბჭოთა მხარეს შეჯახება მოუხდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ერთიან ფრონტთან და წინასწარ შეთანხმებულ პოზიციასთან.

კონფერენციის ძირითადი საკითხი იყო ევროპის ქვეყნების ომის-

შემდგომი მოწყობა, უმთავრესად კი გერმანიის გარდაქმნა დემოკრატიულ საფუძველზე.

გერმანიის საკითხს პოტსდამის კონფერენციის წინ ამზადებდა ევროპის საკონსულტაციო კომისია, საერთაშორისო სარეპარაციო კომისია და იგი დეტალურად იქნა განხილული ყირიმის კონფერენციაზე.

დისკუსიები გერმანიის საკითხზე, როგორც ცნობილია, წარმოებდა თეირანის კონფერენციიდან მოყოლებული. როგორც ამას მოკავშირეთა მიერ ადრე საქვეყნოდ გამოცხადებული ფაშისტური გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის პოლიტიკა ითვალისწინებდა, მთავრობათა მეთაურები ერთსულოვანნი იყვნენ გერმანიის დემილიტარიზაციისა და დენაციფიკაციის, ვერმახტის სრული განიარაღებისა და დაშლის, ნაცისტური პარტიისა და მისი ყველა ფილიალის მოსპობის, მთავარ სამხედრო დამნაშავეთა დაპატიმრებისა და საერთაშორისო ტრიბუნალის სასამართლოსათვის გადაცემის, აგრეთვე ყველა სამხედრო დამნაშავის მკაცრად დასჯის საკითხებში.

პოტსდამის კონფერენციაზე მიღწეულ იქნა შეთანხმება იმის შესახებ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო პოლიტიკური და ეკონომიური პრინციპები მოკავშირეთა კოორდინირებული პოლიტიკისა გერმანიის მიმართ მასზე კონტროლის პერიოდში. კონფერენციის შემდეგ ჩვენ მივიღეთ ამონაწერი გადაწყვეტილებებიდან, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამი იყო:

„გერმანიის მილიტარიზმი და ნაციზმი აღმოფხვრილ იქნება, და მოკავშირენი, ერთმანეთთან თანხმობით, ამჟამად და მომავალში, მიიღებენ სხვა ზომებსაც, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ გერმანია ვერასოდეს ვეღარ დაემუქროს თავის მეზობლებს ან მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებას“.

შეთანხმების ტექსტში, რომლითაც ხელმძღვანელობდა საბჭოთა მხარე გერმანიის მართვის საკონტროლო საბჭოში, ნათქვამი იყო[1]:

„ა. პოლიტიკური პრინციპები

1. გერმანიაში საკონტროლო მექანიზმის შესახებ შეთანხმების შესაბამისად, გერმანიაში უმაღლეს ძალაუფლებას განახორციელებენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, შეერთებული სამეფოს და საფრანგეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლები, თვითეული ოკუპაციის თავის ზონაში, თავიანთი შესაბამისი მთავრობების ინსტრუქ-

---

1. მოგვყავს შემოკლებით.

ციების მიხედვით, აგრეთვე როგორც საკონტროლო საბჭოს წევრები, ერთობლივად იმოქმედებენ იმ საკითხებზე, რომლებიც მთლიანად გერმანიას შეეხება.

2. რამდენადაც ამის პრაქტიკულად განხორციელება შესაძლოა, გერმანელი მოსახლეობისადმი მოპყრობა ერთნაირი უნდა იყოს მთელ გერმანიაში.

3. გერმანიის ოკუპაციის მიზნები რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს საკონტროლო საბჭომ, კერძოდ, შემდეგია:

გერმანიის სრული განიარაღება და დემილიტარიზაცია, ლიკვიდაცია გერმანიის მთელი მრეწველობისა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სამხედრო წარმოებისათვის, ან კონტროლი ამ მრეწველობისადმი;

ნაციონალ-სოციალისტური პარტიისა და მისი ფილიალების და მის კონტროლში მყოფი ორგანიზაციების მოსპობა, ყველა ნაცისტური დაწესებულების დაშლა, იმის უზრუნველყოფა, რომ ისინი ვერ აღორძინდნენ ვერავითარი ფორმით, ყოველგვარი ნაცისტური და მილიტარისტული საქმიანობის ან პროპაგანდის თავიდან აცილება;

მომზადება გერმანიის პოლიტიკური ცხოვრების საბოლოო რეკონსტრუქციისათვის დემოკრატიულ საფუძველზე და გერმანიის ეკონომიკური მშვიდობიანი თანამშრომლობისათვის საერთაშორისო ცხოვრებაში;

სამხედრო დამნაშავენი და ისინი, ვინც მონაწილეობდა იმ ნაცისტურ ღონისძიებათა დაგეგმვასა და განხორციელებაში, რომლებიც იწვევდნენ ან რომლებსაც შედეგად მოჰყვებოდა მხეცობა ან სამხედრო დანაშაულობანი, დაპატიმრებული და სამართალში მიცემული უნდა იქნენ. ნაცისტთა ლიდერები, ნაცისტების გავლენიანი მომხრეები და ნაცისტურ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელი შემადგენლობა და ყოველი სხვა პირნი, რომლებიც საშიშნი არიან ოკუპაციისა და მისი მიზნებისათვის, დაპატიმრებული და ინტერნირებულ უნდა იქნენ;

ნაცისტური პარტიის ყველა წევრი, რომლებიც უფრო მეტი იყვნენ, ვიდრე ამ პარტიის საქმიანობის ნომინალური მონაწილენი, და მოკავშირეთა მიზნებისადმი მტრული ყველა სხვა პირი დათხოვნილი უნდა იქნან საზოგადოებრივი და ნახევრადსაზოგადოებრივი თანამდებობებიდან და დიდმნიშვნელოვანი კერძო საწარმოების პასუხსაგები პოსტებიდან. ასეთი პირები უნდა შეიცვალონ იმ პირებით, რომლებიც თავიანთი პოლიტიკური და მორალური თვისებების მიხედვით იმის უნარის მქონენ ითვლებიან, რომ ხელი შეუწყონ ნამდვილად დემოკრატიულ დაწესებულებათა განვითარებას გერმანიაში;

განათლებას გერმანიაში ისე უნდა გაეწიოს კონტროლი, რომ საესებით იქნას აღმოფხვრილი ნაცისტური და მილიტარისტული დოქტრინები და შესაძლებელი გახდეს დემოკრატიულ იდეათა წარმატებით განვითარება.

8. ეკონომიური პრინციპები

გერმანიის სამხედრო პოტენციალის მოსპობის მიზნით შეიარაღების, საომარი საჭურველისა და სამხედრო იარაღის წარმოება, აგრეთვე ყველა ტიპის თვითმფრინავებისა და საზღვაო გემების წარმოება უნდა აიკრძალოს და თავიდან იქნას აცილებული. ლითონების, ქიმიური პროდუქტების წარმოებას, მანქანათმშენებლობასა და უშუალოდ სამხედრო ეკონომიკისათვის საჭირო სხვა საგანთა წარმოებას სასტიკი კონტროლი უნდა გაეწიოს და შეიზღუდოს გერმანიის ომისშემდგომ ᲫᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜ საჭიროებათა მოწონებული დონის შესაბამისად...

პრაქტიკულად უმოკლეს ვადაში გერმანიის ეკონომიკა დეცენტრალიზებული უნდა იქნეს იმ მიზნით, რომ მოისპოს ეკონომიური ძალის არსებული მეტისმეტი კონცენტრაცია, რაც წარმოდგენილია განსაკუთრებით კარტელების, სინდიკატების, ტრესტებისა და სხვა მონოპოლისტურ შეთანხმებათა ფორმით.

ოკუპაციის პერიოდში გერმანია განხილული უნდა იქნეს როგორც ერთიანი ეკონომიური მთელი. ამ მიზნით უნდა დაწესდეს საერთო პოლიტიკა:

ა) სამთო და დამმუშავებელი მრეწველობის პროდუქციის წარმოებისა და განაწილების;

ბ) სოფლის მეურნეობის, მეტყეველობისა და თევზჭერის;

გ) ხელფასის, ფასებისა და რაციონირების;

დ) მთლიანად გერმანიისათვის იმპორტისა და ექსპორტის პროგრამის;

ე) ფულისა და საბანკო სისტემის. ცენტრალიზებული გადასახადებისა და ბაჟების;

ვ) რეპარაციების და საომარ-სამრეწველო პოტენციალის მოსპობის;

ზ) ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მიმართ.

ამ პოლიტიკის გატარებისას საჭიროების მიხედვით გათვალისწინებული უნდა იქნეს სხვადასხვა ადგილობრივი პირობები".

პირდაპირ გაოცებას იწვევს. როგორ ქარაფშუტულად გადაუსვეს ხელ მალე ხაზი ამერიკის შეერთებული შტატების და ინგლისის მთავრობათა ხელმძღვანელებმა პოტსდამში დიდი საბელმწიფოების შიერ

ერთხმად მიღებულ ამ პრინციპულ გადაწყვეტილებებს. ამის შედეგად გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში კვლავ აღორძინდა მილიტარიზმი, რომელიც, ეყრდნობა რა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის იმპერიალისტური წრეების მხარდაჭერას, ხელახლა ამზადებს დასავლეთ გერმანიას აგრესიული მოქმედებისათვის. რევანშისტული მიზნების განსახორციელებლად გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში შექმნილია მრავალრიცხოვანი ბუნდესვერი, რომელსაც ყოფილი ჰიტლერელი გენერლები უდგანან სათავეში.

როგორ არ გავისხენოთ აქ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ფრანკლინ რუზველტის შესანიშნავი სიტყვები, რომლებიც მან 1943 წელს თქვა:

„ათას ცხრაას თერამეტი წლის დაზავების შემდეგ ვფიქრობდით და ვიმედოვნებდით, რომ გერმანული მილიტარიზმის სული აღმოფხვრილია. „აზრთა ღვთისმოშიში წყობის" გავლენით მომდევნო თხუთმეტი წელი ჩვენ იმას მოვანდომეთ, რომ განვიარაღებულიყავით, მაშინ როდესაც გერმანელებმა ისეთი გულგამგმირავი ყვირილი ატეხეს, რომ სხვა ხალხებმა არა მარტო შეიარაღების ნება დართეს მათ, არამედ გაუადვილეს კიდეც ეს ამოცანა. წინა წლების კეთილმოსურნე, მაგრამ მარცხიანი ცდები უვარგისი აღმოჩნდა. ვიმედოვნებ, რომ ჩვენ მათ აღარ გავიმეორებთ.

არა, განაგრძობდა რუზველტი, მე მინდა უფრო მძაფრად გამოვთქვა. როგორც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს და მისი შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდალს, განზრახული მაქვს გავაკეთო ყველაფერი, რაც კი ადამიანის შესაძლებლობათა ფარგლებშია, რათა თავიდან ავიცილოთ ამ ტრაგიკული შეცდომის განმეორება".

მაგრამ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დაშვებული ტრაგიკული შეცდომა, რომელზეც ფრანკლინ რუზველტი ლაპარაკობდა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კვლავ მეორდება...

ხოლო თვით ამერიკის შეერთებული შტატები რაღას აკეთებენ? ამაოდ ფიქრობენ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ხელმძღვანელები და მთავარი სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწენი, რომ ხალხები დაივიწყებენ სამხრეთ ვიეტნამში ჩადენილ დანაშაულობებს.

მაგრამ დავუბრუნდეთ პოტსდამის კონფერენციას. ყველაზე აგრესიული უ. ჩერჩილი იყო, თუმცა ი. ბ. სტალინი საკმაოდ მშვიდი ტონით ახერხებდა მის სწრაფად დარწმუნებას განსახილველი საკითხებისადმი მცდარ მიდგომაში. ჰ. ტრუმენი, ეტყობა, მაშინ ჯერ კიდევ შეზღუდული დიპლომატიური გამოცდილების გამო, უფრო იშვიათად

ებმებოდა მწვავე პოლიტიკურ დისკუსიებში და პრიორიტეტს უ. ჩერჩილს უთმობდა.

სერიოზული განხილვის საგანი გახდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის დელეგაციების მიერ განმეორებით დასმული საკითხი გერმანიის დანაწევრების შესახებ სამ სახელმწიფოდ: 1) სამხრეთგერმანულ, 2) ჩრდილოეთგერმანულ და 3) დასავლეთგერმანულ სახელმწიფოებად. პირველად ეს საკითხი მათ იალტის კონფერენციაზე წამოაყენეს, სადაც იგი უარყო საბჭოთა დელეგაციამ. პოტსდამში საბჭოთა მთავრობის მეთაურმა კვლავ უარი თქვა საკითხის დასმაზე გერმანიის დანაწევრების შესახებ.

ი. ბ. სტალინი ამბობდა:

— ამ წინადადებას ჩვენ უარვყოფთ, იგი ბუნების საწინააღმდეგოა: გერმანია კი არ უნდა დავანაწევროთ, არამედ უნდა გავხადოთ დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო.

საბჭოთა დელეგაციის დაჟინებითი მოთხოვნით მოკავშირე სახელმწიფოთა პოტსდამის გადაწყვეტილებებში შეტანილ იქნა დებულება გერმანიის ცენტრალური ადმინისტრაციული დეპარტამენტების შექმნის შესახებ. მაგრამ დასავლეთის ხელისუფლებათა წარმომადგენლების მხრივ წინააღმდეგობის გამო ასეთი დეპარტამენტები არ შექმნილა, და თვით გერმანიის გაერთიანებაც მშვიდობისმოყვარულ და დემოკრატიულ საფუძველზე, როგორც ეს პოტსდამის კონფერენციაზე იყო გათვალისწინებული, ასევე არ განხორციელებულა.

რაც შეეხება გერმანიის ეკონომიკის აღდგენას, გადაწყდა, რომ მთავარი ყურადღება უნდა მიქცეოდა მშვიდობიანი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას. კონფერენციამ განსაზღვრა გერმანიის სამხედრო პოტენციალის ზოსპობის ღონისძიებანი.

დიდი დავა გაიმართა საბჭოთა კავშირისა და პოლონეთისათვის გადასახდელი რეპარაციების თაობაზე. ჰ. ტრუმენსა და განსაკუთრებით უ. ჩერჩილს არ სურდათ, რომ რეპარაციების ანგარიშში მომხდარიყო გერმანიის დასავლეთი ნაწილის მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა დემონტაჟი. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ისინი დათანხმდნენ, მართალია, ათასგვარი შენიშვნებისა და პირობების დართვით, რომ გამოეყოთ დასავლეთის ზონებიდან სამხედრო ქარხნების მოწყობილობათა ნაწილი. სამწუხაროდ, ეს გადაწყვეტილება მხოლოდ ქაღალდზე დარჩა, საქმით კი, ისე როგორც პოტსდამის კონფერენციის ბევრი სხვა დადგენილება, მოკავშირეთა მიერ იგი რეალიზებული არ ყოფილა.

გერმანიის საკითხის გადასაწყვეტად ახალი ორგანიზაციული ფორმების გამოძებნის მიზნით კონფერენციამ მიიღო დადგენილება საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს შექმნის შესახებ. ამ საბჭოში

შეუვანილ იქნენ სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის და ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრები. საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს ევალებოდა საზავო ხელშეკრულების პროექტის შედგენა იტალიის, ბულგარეთის. უნგრეთისა და ფინეთისათვის, აგრეთვე გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადება.

საკმაოდ მწვავედ მიმდინარეობდა დავა პოლონეთისა და მისი დასავლეთი საზღვრების საკითხზე. და, მიუხედავად იმისა, რომ ეს პრობლემები ძირითადად უკვე წინასწარ იყო გადაწყვეტილი ყირიმის კონფერენციაზე, უ. ჩერჩილი ცდილობდა სხვადასხვა აშკარად უსუსური საბაბით უარეყო საბჭოთა წინადადება, რომლის თანახმადაც დასავლეთი საზღვარი უნდა გაჰყოლოდა მდინარეებს ოდერსა და დასავლეთ ნოისეს — სვინემუნდესა და შტეტინის ჩათვლით. პოლონეთის დელეგაციის (რომელიც ამასთან დაკავშირებით სპეციალურად იყო გამოძახებული პოტსდამში და რომელსაც ბ. ბერუტი მეთაურობდა) დაწვრილებითი და არგუმენტირებული, საფუძვლიანი განცხადების შემდეგ საკითხი დასავლეთი საზღვრების შესახებ ასე გადაწყდა:

„საზავო ხელშეკრულებით საზღვრების საბოლოო დადგენამდე, — ნათქვამი იყო მიღებულ გადაწყვეტილებაში, — პოლონეთს გადაეცეს იმ ხაზის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიები, რომელიც გადის ბალტიის ზღვიდან, სვინემუნდეს ოდნავ დასავლეთით, და შემდეგ ოდერსა და დასავლეთ ნოისეზე ჩეხოსლოვაკიის საზღვრამდე“.

ინგლისის მხარე დაჟინებით მოითხოვდა, რომ პოლონეთის სახალხო მთავრობას ეკისრა ყველა იმ სესხის ანაზღაურება, რომლებიც მისცა ინგლისმა 1939 წელს პოლონეთიდან ინგლისში გაქცეული ტ. არციშევსკის ემიგრანტულ მთავრობას. საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის დელეგაციებმა გადაჭრით უარყვეს დიდი ბრიტანეთის ამგვარი პრეტენზიები.

ამავე დროს მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი დიპლომატიურ ურთიერთობას გაწყვეტდნენ ლონდონში ემიგრირებულ პოლონეთის ყოფილ (ემიგრანტულ) მთავრობასთან.

კონფერენციამ განიხილა და გადაწყვიტა მთელი რიგი სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხები და 2 აგვისტოს დაამთავრა მუშაობა.

კონფერენციის მიმდინარეობისას ამერიკის დელეგაციის მეთაურმა — ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჰ. ტრუმენმა, ცხადია, პოლიტიკური შანტაჟის მიზნით, ერთხელ სცადა ფსიქოლოგიური იერიში მიეტანა ი .ბ. სტალინზე.

ზუსტად არ მახსოვს, რომე ლრიცხვში იყო ეს, მთავრობათა მეთა-

ურების სხდომის შემდეგ ჰ. ტრუმენმა აცნობა ი. ბ. სტალინს, ამერიკის შეერთებულ შტატებს არაჩვეულებრივად დიდი ძალის ბომბი აქვსო, თუმცა მისთვის ატომური იარაღი არ უწოდებია.

ამ ინფორმაციის მომენტში როგორც შემდეგ საზღვარგარეთ წერდნენ, უ. ჩერჩილი დაინებით შესცქეროდა სახეში ი. ბ. სტალინს, აკვირდებოდა, როგორი იქნებოდა რეაქცია. მაგრამ სტალინს ოდნავადაც არ გამოუმჟღავნებია თავისი გრძნობები, ისეთი სახე მიიღო, თითქოს განსაკუთრებული არაფერი შეუნიშნავს ჰ. ტრუმენის სიტყვებში. შემდგომში როგორც ჩერჩილს, ისე ბევრ სხვა ინგლისელ და ამერიკელ ავტორს მიაჩნდათ, თითქოს ი. ბ. სტალინმა ნამდვილად ვერ გაიგო მისთვის გაკეთებული ინფორმაციის მნიშვნელობა.

სინამდვილეში, დაბრუნდა თუ არა სხდომიდან, ი. ბ. სტალინმა ჩემი თანდასწრებით უამბო ვ. მ. მოლოტოვს ჰ. ტრუმენთან შემდგარ საუბარზე. „ფასს უწევენ საკუთარ თავს", — თქვა ვ. მ. მოლოტოვმა. ი. ბ. სტალინმა გაიცინა: „დაე. აუწიონ. საჭირო იქნება მოველაპარაკოთ კურჩატოვს ჩვენი მუშაობის დაჩქარების თაობაზე".

მე მივხვდი, რომ საქმე ატომურ ბომბს ეხებოდა.

მაშინ უკვე ცხადი იყო, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული ჰქონდა ატომური იარაღის გამოყენება „ცივ ომში" ძალის პოზიციიდან თავისი იმპერიალისტური მიზნების მისაღწევად. 6 და 8 აგვისტოს ეს დადასტურდა. ამერიკელებმა, ყოველგვარი სამხედრო აუცილებლობის გარეშე, ორი ატომური ბომბი ჩამოაგდეს იაპონიის მჭიდროდ დასახლებულ მშვიდობიან ქალაქებში — ნაგასაკსა და ხიროსიმაში.

ისევე როგორც ამერიკისა და ინგლისის ჯარების მთავარსარდლები, არც მე ვიყავი დელეგაციის ოფიციალური წევრი, მაგრამ არაერთხელ დავსწრებივარ კონფერენციის დღის წესრიგში მდგარი საკითხების განხილვას.

უნდა ვთქვა, რომ ი. ბ. სტალინი მეტისმეტად განიცდიდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის დელეგაციების სულ მცირე ცდასაც კი გადაეწყვიტათ საკითხები პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთისა და გერმანელი ხალხის საზიანოდ. განსაკუთრებით მწვავე უთანხმოებანი ჰქონდა მას უ. ჩერჩილთან როგორც სხდომების მსელელობისას, ისე პირად საუბრებში ერთმანეთან სტუმრად ყოფნის დროს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ უ. ჩერჩილი დიდი პატივისცემით ეპყრობოდა ი. ბ. სტალინს და, როგორც მე მეჩვენა. ერიდებოდა მასთან ცხარე კამათს. ი. ბ. სტალინი უ. ჩერჩილთან პაექრობისას ყოველთვის უაღრესად კონკრეტული და ლოგიკური იყო.

პოტსდამიდან გამგზავრების წინ უ. ჩერჩილმა დარბაზობა გამარ-

თა თავის ვილაში. საბჭოთა კავშირიდან მიწვეული იყვნენ ი. ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოტოვი, გენერალური შტაბის უფროსი ა. ი. ანტონოვი და მე. ამერიკის შეერთებული შტატებიდან — პრეზიდენტი ჰ. ტრუმენი, საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანი ჯემს ბირნსი, გენერალური შტაბის უფროსი არმიის გენერალი მარშალი. ინგლისელებიდან იყვნენ ფელდმარშალი ალექსანდერი, გენერალური შტაბის უფროსი ფელდმარშალი ალენ ბრუკი და სხვები.

პოტსდამის კონფერენციამდე უ. ჩერჩილს მხოლოდ ერთხელ შევხვდი მოსკოვში და ისიც წუთიერად, მასთან არასოდეს მისაუბრია. დარბაზობაზე მან საკმაოდ დიდი ყურადღება დამითმო, მეკითხებოდა ცალკეული ბრძოლების შესახებ.

მას აინტერესებდა, როგორ ვაფასებდი მე ინგლისის ჯარების მთავარსარდლობას და რა აზრისა ვიყავი მოკავშირეთა საექსპედიციო ჯარების მიერ დასავლეთ გერმანიაში ჩატარებულ ოპერაციებზე. მისდა სასიამოვნოდ, მე მაღალი შეფასება მივეცი ლა-მანშზე განხორციელებულ სადესანტო ოპერაციას.

— მაგრამ მაინც უნდა გული გატკინოთ, მისტერ ჩერჩილ, — ვუთხარი მე იქვე.

— სახელდობრ რით? — მკითხა და ყურადღებით მომაჩერდა.

—მე მიმაჩნია, რომ მოკავშირეთა ჯარების ნორმანდიაში გადასხდომის შემდეგ დაშვებულ იქნა მთელი რიგი სერიოზული შეცდომები. და რომ გერმანიის მთავარსადლობას მცდარად არ შეეფასებინა არსებული ვითარება, მოკავშირეთა ჯარების წინსვლა გადასხდომის შემდეგ შეიძლება მნიშვნელოვნად შეფერხებულიყო.

ჩერჩილს ამაზე არაფერი უპასუხნია.

სადილის დროს პირველი სიტყვა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჰ. ტრუმენმა აიღო.

მან აღნიშნა საბჭოთა კავშირის თვალსაჩინო წვლილი ფაშისტური გერმანიის განადგურებაში და პირველი სასმისით საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ი. ბ. სტალინის სადღეგრძელო შემოგვთავაზა.

თავის მხრივ ი. ბ. სტალინმა ადღეგრძელა უ. ჩერჩილი, რომელმაც ინგლისისათვის მძიმე დღეებში საკუთარი მხრებით ზიდა ჰიტლერულ გერმანიასთან ბრძოლის ხელმძღვანელობა და წარმატებით გაართვა თავი მის წინაშე მდგომ დიდ ამოცანებს.

სრულიად მოულოდნელად უ. ჩერჩილმა ჩემი სადღეგრძელო წარმოთქვა. სხვა აღარაფერი დამრჩენოდა გარდა იმისა, რომ საპასუხო სადღეგრძელო შემესვა. როცა უ. ჩერჩილს მადლობას ვუხდიდი ჩემდამი გამოჩენილი თავაზიანობისათვის, მას უნებლიედ „ამხანაგი“ ვუ-

წოდე. და უცბად შევამჩნიე ვ. მ. მოლოტოვის გაოცებული გამოხედვა. შევცბუნდი. რა უნდა მექნა, იმპროვიზაცია მოვიშველიე და ვადღეგრძელე თანამებრძოლი ამხანაგები, ჩვენი მოკავშირენი ამ ომში — ანტიფაშისტური კოალიციის არმიათა ჯარისკაცები, ოფიცრები და გენერლები, რომლებმაც ასე ბრწყინვალედ დააგვირგვინეს ფაშისტური გერმანიის განადგურება. აქ კი უკვე ადარ შევმცდარვარ.

მეორე დღეს, როცა ი. ბ. სტალინთან ვიყავი, მან და ყველა იქ მყოფმა ბევრი იცინეს იმაზე, თუ რა სწრაფად შევიძინე მე „ამხანაგი" უ. ჩერჩილის სახით.

28 ივლისიდან ინგლისის დელეგაციის მეთაური გახდა ლეიბორისტული პარტიის ლიდერი კ. ეტლი, რომელიც ინგლისის პრემიერ-მინისტრად იქნა არჩეული უ. ჩერჩილის ნაცვლად.

უ. ჩერჩილისაგან განსხვავებით კ. ეტლი უფრო თავდაჭერილად იქცეოდა, მაგრამ ატარებდა იმავე პოლიტიკურ ხაზს, რასაც უ. ჩერჩილი. მას არავითარი კორექტივი არ შეუტანია ძველი, კონსერვატიული მთავრობის პოლიტიკაში.

კონფერენციის დროს ი. ბ. სტალინმა განიხილა და გადაწყვიტა გერმანიის შესახებ ჩემს მიერ მოხსენებული მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხები.

კერძოდ, დამტკიცებულ იქნა ფრონტის სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილება „ბალტიის ზღვის სანაპიროზე თევზის ჭერის ორგანიზაციის შესახებ". ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარებს 1945 წლის მეორე ნახევარში უნდა დაეჭირათ ოცდაერთი ათასი ტონა თევზი.

უნდა ითქვას, რომ ეს მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო, რადგან გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილში საბჭოთა ჯარების მიერ მისი დაკავების მომენტისათვის ძლიერ შემცირდა პირუტყვის სულადობა. ამიტომ თევზის მიწოდებას დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა ჰქონდა გერმანელი მოსახლეობისათვის.

მოსკოვში გამგზავრების წინადღეს ი. ბ. სტალინი დაწვრილებით გაეცნო საბჭოთა კავშირში ჯარების გაგზავნის გეგმას და გერმანიიდან საბჭოთა მოქალაქეების რეპატრიაციის მიმდინარეობას. ი. ბ. სტალინი მოითხოვდა ყოველი ღონე გვეხმარა, რათა მალე დაგვებრუნებინა საბჭოთა ადამიანები სამშობლოში.

მთავრობათა მეთაურების პოტსდამის მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ ი. ბ. სტალინმა მოგვცა მითითებები გერმანიის საკონტროლო საბჭოში კონფერენციის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის თაობაზე და დაუყოვნებლივ გაფრინდა მოსკოვში.

ფაშისტური გერმანიის ფლოტის განაწილების შესახებ გადაწყვეტილების შესამუშავებლად შეიქმნა სამთა კომისია, რომელშიც

საბჭოთა კავშირის წარმომადგენლად დაინიშნა ჩვენი ადმირალი გ. ი. ლევჩენკო. ინგლისელებმა ასეთივე უფლებამოსილებით აღჭურვეს ჯ. მაილსი და ადმირალი ბაროუ, ამერიკელებმა — ადმირალი კინგი.

ადმირალ გ. ი. ლევჩენკოს დიდი მუშაობა დასჭირდა იმისათვის, რომ მოკავშირეებს შეესრულებინათ პოტსდამის კონფერენციის გადაწყვეტილებანი და რეკომენდაციები. იგი იძულებული იყო მრავალჯერ და დაჟინებით ესაუბრა ფელდმარშალ მონტგომერისთან, ადმირალ ბაროუსთან და ეიზენჰაუერთან ამ საკითხზე, შემდეგ კი მოეთხოვა მისი განხილვა საკონტროლო საბჭოში. ბოლოს და ბოლოს საკითხი გადაწყდა, და საბჭოთა კავშირმა საერთო ანგარიშით მიიღო გერმანიისაგან 656 სამხედრო გემი და სხვადასხვა სატრანსპორტო ხომალდი.

გარდუვალ დისკუსიათა და უთანხმოებათა მიუხედავად, საერთოდ პოტსდამის კონფერენციაზე გამოითქვა სურვილი, რომ საფუძველი ჩაყროდა დიდი სახელმწიფოების თანამშრომლობას, რომელთა პოლიტიკაზეც ასე ბევრი იყო დამოკიდებული.

ამან საკონტროლო საბჭოს წევრთა ურთიერთობაზეც იქონია გავლენა კონფერენციის დროს და უშუალოდ მისი დახურვის შემდეგ. საბჭოთა წარმომადგენლები საკონტროლო საბჭოში ცდილობდნენ შეესრულებინათ კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილებანი. ჩვენი კოლეგები — ამერიკელები და ინგლისელები — კონფერენციის შემდეგ პირველ ხანებში ასევე მხარს უჭერდნენ კონფერენციის გადაწყვეტილებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

სამწუხაროდ, ასეთი პოლიტიკური ატმოსფერო მალე შეიცვალა. კურსის შეცვლას სერიოზული ბიძგი მისცა უთანხმოებამ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს კონფერენციაზე ლონდონში. განსაკუთრებით შეუწყო ამას ხელი უ. ჩერჩილის მიერ ფულტონში წარმოთქმულმა ანტისაბჭოთა სიტყვამ. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ადმინისტრაცია საკონტროლო საბჭოში, თითქოს ბრძანებას ასრულებდაო, ყოველ საკითხში ნაკლებად დამყოლი გახდა და უცერემონიოდ შლიდა ყველა პრინციპულ პრობლემაზე პოტსდამში მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

საკონტროლო საბჭოს დაარსების პირველი დღეებიდანვე ჩემსა, ეიზენჰაუერსა, მონტგომერისა და კენიგს შორის, აგრეთვე საბჭოთა ადმინისტრაციაში ჩემს მოადგილეს ვ. დ. სოკოლოვსკისა, კლეისა და რობერტსონს შორის დამყარებულ კარგ ურთიერთობას სულ უფრო ხშირად ადგებოდა ჩრდილი. სულ უფრო ძნელი ხდებოდა რაიმე საშუალების გამოძებნა სადავო საკითხების მოსაწესრიგებლად, განსაკუთრებით მაშინ, როცა მთავარი პრობლემები განიხილებოდა. მათ მიეკუთვნებოდა: გერმანული მილიტარიზმის სამხედრო-ეკონომიური

პოტენციალის მოსპობა, სამხედრო ნაწილების განიარაღება, ფაშიზმისა და ყოველგვარი ნაცისტური ორგანიზაციების გადაჭრით აღმოფხვრა ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების ზონებში. იგრძნობოდა, რომ ჩვენმა დასავლეთელმა სამხედრო კოლეგებმა მიიღეს ახალი ინსტრუქციები, რომლებიც საბჭოთა კავშირისადმი ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის იმპერიალისტური წრეების მტრული პოლიტიკიდან გამომდინარეობდნენ.

განმეორებით შემოწმებათა საფუძველზე შეეძელით უცილობლად დაგვედგინა, რომ ინგლისელები თავიანთ ზონაში, მიუხედავად ჩვენი პროტესტისა, ჯერ კიდევ განაგრძობდნენ გერმანელთა ჯარების შენარჩუნებას. მაშინ იძულებული გავხდი გადამეცა საკონტროლო საბჭოსათვის მემორანდუმი ინგლისის ზონაში ყოფილი ჰიტლერული არმიის ორგანიზებული ნაწილების არსებობის შესახებ. აი, მისი შინაარსი:

„გერმანიის დამარცხების შესახებ 1945 წლის 5 ივნისს ხელმოწერილი დეკლარაციის შესაბამისად, აგრეთვე გერმანიის შესახებ, პოტსდამის კონფერენციის გადაწყვეტილებით:

გერმანიის მთელი შეიარაღებული ძალები ან ძალები, რომლებიც გერმანიის კონტროლის ქვეშ იმყოფებიან, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი, განლაგებული, მათ შორის სახმელეთო, საჰაერო, საჰაერო დაცვისა და სამხედრო-საზღვაო ძალები, სს, სა და გესტაპო, აგრეთვე ყველა სხვა ძალები ან დამხმარე ორგანიზაციები, რომლებსაც კი იარაღი აქვთ, სავსებით უნდა იქნენ განიარაღებული...

გერმანიის მთელი სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო შეიარაღებული ძალები, სს, სა, სდ და გესტაპო მთელი ორგანიზაციებით, შტაბებითა და დაწესებულებებით, მათ შორის გენერალური შტაბი, ოფიცერთა კორპუსი, რეზერვისტთა კორპუსი, საჰხედრო სასწავლებლები, ომის ვეტერანთა ორგანიზაციები და ყველა სხვა სამხედრო და ნახევრადსამხედრო ორგანიზაციები, აგრეთვე მათი კლუბები და ასოციაციები, რომლებიც ემსახურებიან გერმანიაში სამხედრო ტრადიციების შენარჩუნების ინტერესებს. სავსებით და საბოლოოდ მოისპობიან, რათა სამუდამოდ იქნას თავიდან აცილებული გერმანიის მილიტარიზმისა და ნაციზმის აღორძინება და რეორგანიზაცია...

მიუხედავად ამისა, საბჭოთა სარდლობის ცნობებით და უცხოეთის პრესის მონაცემებით, გერმანიის ოკუპაციის ინგლისის ზონაში კვლავ განაგრძობენ არსებობას გერმანიის შეიარაღებული ძალები და გერმანიის სამხედრო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალები. დღემდე არსებობს გერმანელთა ჰიტლერის საარმიო ჯგუფი, რომელსაც სახელი შეეცვალა და ახლა ნორდის ჯგუფი ეწოდება. მას აქვს საველე სამმართველო და შტაბი. მისი შტაბის შემადგენლობაშია ოპე-

რატიული განყოფილება, ობერ-კვარტირმეისტერის განყოფილება, საინტენდანტო განყოფილება, ოფიცერთა შემადგენლობის განყოფილება, ავტოტრანსპორტის განყოფილება, სანიტარული სამსახური.

ნორდის საარმიო ჯგუფში არის სახმელეთო, საჰაერო, საჰაერო დაცვის შენაერთები და ნაწილები. მასში შედის შტოკჰაუზენისა და ვიტჰოფის საკორპუსო ჯგუფები, რომელთაგანაც თვითეულის პირად შემადგენლობაში ასი ათასზე მეტი კაცია.

გერმანიის ოკუპაციის ინგლისის ზონაში შექმნილია გერმანელთა ხუთი სამხედრო საკორპუსო ოლქი, რომლებსაც აქვთ თავიანთი სამმართველოები და სამსახურები. გერმანელთა სამხედრო საკორპუსო ოლქების სამმართველოები დისლოცირებულია ქალაქებში: ჰამორში, იტცეჰოში, ნეიმინსტერ-რენდსბურგში, ფლენსბურგში, ჰამბურგში.

გერმანელთა სამხედრო ოლქების გარდა, გერმანიის ოკუპაციის ინგლისის ზონაში დამატებით შექმნილია გერმანელთა 25 საოლქო და ადგილობრივი სამხედრო კომენდატურა შემდეგ ქალაქებსა და პუნქტებში: პინებერგში. ზეგებერგში, ლიუბეკში, ლაუენბერგში, იტერზენში, ხერკერკირხენში, ბერინგშტედტში, იტცეხოში, შლეზვიგში, ეკერფიორდეში, ხუზუმში, ვესტერლანდში, ვენსბურგში, ხაიბეში, მარნეში, ვესელიურენში, ხანშტედტში, მელდორფში, ალბერსდორფში.

გერმანელთა სამხედრო-საჰაერო ძალები ინგლისის ზონაში იმყოფებიან II საჰაერო ოლქის სახით, რომელშიც შედის საჰაერო დაცვის შენაერთები (მე18 საზენიტო დივიზიის ნაწილები), ბომბდამშენი ესკადრები, გამანადგურებელი ესკადრები, მოიერიშე ესკადრები და ახლოდამზვერი ჯგუფები. II საჰაერო ოლქს აქვს შტაბი, რომელიც ბრაფრით განსხვავდება ომის პერიოდის საჰაერო არმიის შტაბისაგან.

გერმანიის შეიარაღებულ ძალებს გერმანიის ოკუპაციის ინგლისის ზონაში ჰყავს კავშირგაბმულობის ხუთ პოლკზე მეტი და სატანკო ნაწილები, აქვს აგრეთვე სამხედრო ჰოსპიტლების გაშლილი ქსელი. გერმანიის სამხედრო-საზღვაო ძალებს ამჟამად ნალმკრეფის გერმანიის სამსახური ეწოდება. მას აქვს შტაბი და თავის განკარგულებაში ჰყავს საგუშაგო დივიზიები და ფლოტილიები.

გარდა აღნიშნული გერმანული შენაერთებისა, ნაწილებისა და სამსახურებისა, შლეზვიგ-გოლშტეინის პროვინციაში იმყოფება მილიონამდე გერმანელი ოფიცერი და ჯარიკაცი, რომლებიც სამხედრო ტყვეთა მდგომარეობაში კი არ არიან გადაყვანილი, არამედ საბრძოლო მომზადებას გადიან.

ზემოჩამოთვლილ სამხედრო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ნაწილებს, შენაერთებსა და სამსახურებს აქვთ საარმიო ნორმებით გათვალისწინებული ყველა სახის მომარაგება. ჩამოთვლილი

შენაერთე ის, ნაწილებისა და სამმართველოების პირადი შემადგენლობა ატარებს წოდების ნიშნებს და სამხედრო ორდენებს. მთელ პირად შემადგენლობას ეძლევა შვებულება ფულადი ანაზღაურებით.

როგორც ზემონათქვამიდან ჩანს, გერმანიის სამხედრო, სამხედრო-საზღვაო, სამხედრო-საჰაერო ხელისუფალთა, აგრეთვე სახმელეთო, საჰაერო, საჰაერო დაცვისა და სამხედრო-საზღვაო შენაერთების, ნაწილებ და სამსახურების არსებობა გერმანიის ოკუპაციის ინგლისის ზონა არ შეიძლება აიხსნას გერმანიის ოკუპაციის ინგლისის ზონის რ ე თავისებურებებით.

არს ობა ოკუპაციის ინგლისის ზონაში:

— გერმანელთა ნორდის საარმიო ჯგუფისა,

— შტოკჰაუზენის საკორპუსო ჯგუფისა,

— ვიტპოფის საკორპუსო ჯგუფისა,

— II საჰაერო ოლქისა,

— სამხედრო ოლქების სამმართველოსი ხამორში, იტცეჰოში, ნეიმინსტერ-რენდსბურგში, ფლენსბურგში, ჰამბურგში.

— გერმანელთა 25 საოლქო და ადგილობრივი სამხედრო კომენდატურისა,

— კავშირგაბმულობის ჯარებისა,

— სატანკო ქვეგანაყოფებისა

ეწინააღმდეგება პოტსდამის კონფერენციის გადაწყვეტილებებსა და დეკლარაციას გერმანიის დამარცხების შესახებ.

საბჭოთა სარდლობას საჭიროდ მიაჩნია დააყენოს საკითხი ოკუპაციის ინგლისის ზონაში საკონტროლო საბჭოს კომისიის გაგზავნის შესახებ, რომელიც ადგილზე გაეცნობა გერმანიის შეიარაღებული ჯარების უანიარაღებისა და ლიკვიდაციის საქმის მდგომარეობას".

საკონტროლო საბჭოში ამ მემორანდუმის განხილვისას მონტგომერი მოყვანილი ფაქტების ზეგავლენით იძულებული გახდა ეღიარებინა ოკუპაციის ინგლისის ზონაში გერმანელთა ორგანიზებული ჯარების არსებობა, რომლებიც თითქოსდა „დაშლას ელოდნენ ან მუშაობდნენ" მისი სარდლობით.

იგი ცდილობდა ყველაფერი ეს აეხსნა ვითომცდა გერმანელ ჯარისკაცთა დათხოვნასთან დაკავშირებული „ტექნიკური სიძნელეებით".

აქვე, საკონტროლო საბჭოზე, ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ ყოველივე ამის შესახებ მშვენიერად იცოდა მოკავშირეთა უმაღლესმა სარდლმა ეიზენჰაუერმაც.

უფრო გვიან, 1945 წლის ნოემბერში, საკონტროლო საბჭოს სხდომაზე, მონტგომერიმ ამის შესახებ თქვა:

— გამიკვირდებოდა, თუ ვინმე მეტყოდა, რომ ამ საკითხში ჩვენი

მოქმედების გეზი განსხვავდება ჩემი ამერიკელი კოლეგის მოქმედების გეზისაგან, რადგან მოქმედების გეზი, რომელსაც ჩვენ ვადგავართ, თავიდანვე იყო განსაზღვრული გაერთიანებული სარდლობის დროს გენერალ ეიზენჰაუერის ხელმძღვანელობით.

ყველაფერი დღესავით ნათელი გახდა. უ. ჩერჩილი, როცა თავისი ქვეყნის სახელით ხელს აწერდა ვალდებულებებს ფაშისტური მილიტარიზმის დაუყოვნებლივ და ერთხელ და სამუდამოდ აღმოფხვრის, გერმანიის ვერმახტის დაშლის შესახებ, იქვე საიდუმლო ბრძანებებს აძლევდა სამხედრო სარდლობას იმის თაობაზე, რომ შეენარჩუნებინათ ყოფილი ჰიტლერული არმიის შეიარაღება და სამხედრო ნაწილები როგორც დასავლეთ გერმანიის არმიის აღდგენის ბაზა, არმიისა, რომელსაც შორს გამიზნული ანტისაბჭოთა მიზნები ექნებოდა. და ყოველივე ეს, თურმე, ცნობილი ყოფილა მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობისათვის და პირადად ეიზენჰაუერისათვის! ვერ დაგიმალავთ, მაშინ ამ ამბავმა ძალიან მატკინა გული და შემიცვალა პირვანდელი აზრი დ. ეიზენჰაუერზე. მაგრამ სხვაგვარად, ეტყობა, არც შეიძლებოდა ყოფილიყო...

პოტსდამის კონფერენციის დროს ი. ბ. სტალინმა ლაპარაკი ჩამოიგდო საბჭოთა კავშირში დ. ეიზენჰაუერის მოწვევის თაობაზე. მე შევთავაზე მისი მოწვევა მოსკოვში ფიზკულტურელთა პარადზე, რომელიც 12 აგვისტოს იყო დანიშნული.

წინადადება მიღებულ იქნა. ი. ბ. სტალინმა ბრძანა ვაშინგტონში ოფიციალური მოწვევის გაგზავნა. მოწვევაში ნათქვამი იყო, რომ მოსკოვში ყოფნის პერიოდში ეიზენჰაუერი მარშალ ჟუკოვის სტუმარი იქნებოდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ დუაიტ ეიზენჰაუერს საბჭოთა კავშირში ეპატიჟებოდნენ არა როგორც სახელმწიფო პოლიტიკურ მოღვაწეს, არამედ როგორც მეორე მსოფლიო ომის დიდ სამხედრო მოღვაწეს.

რამდენადაც ეიზენჰაუერი ჩემი ოფიციალური სტუმარი იყო, მე მასთან ერთად მომიხდა მოსკოვში ჩამოსვლა, შემდეგ კი თან ვახლდი ლენინგრადში მგზავრობის დროს და უკან, ბერლინში, გაფრენისას.

დ. ეიზენჰაუერთან ერთად იყვნენ მისი მოადგილე გენერალი კლეი, გენერალი დევისი, დ. ეიზენჰაუერის ვაჟი ლეიტენანტი ჯონ ეიზენჰაუერი და სერჟანტი ლ. დრაი.

მოსკოვში, ლენინგრადში და უკან, ბერლინში, გაფრენისას ჩვენ ბევრ რამეზე ვისაუბრეთ, და მე მეგონა, რომ მაშინ თავის მსჯელობებში ეიზენჰაუერი გულწრფელი იყო.

მე მაინტერესებდა საექსპედიციო ჯარების უმაღლესი სარდლობის პრაქტიკული საქმიანობა ევროპაში.

— 1941 წლის ზაფხულში, — მიამბობდა ეიზენჰაუერი, — როდესაც ფაშისტური გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს, ხოლო იაპონია აგრესიულ ზრახვებს ავლენდა წყნარი ოკეანის ზონაში. ამერიკის შეიარაღებული ძალები აყვანილ იქნა მილიონნახევარ კაცამდე.

იაპონიის სამხედრო თავდასხმა პირლ-ჰარბორზე 1941 წლის დეკემბერში სამხედრო უწყების თანამშრომელთა უმრავლესობისა და მთავრობის წრეებისათვის მოულოდნელი იყო.

თვალს ვადევნებდით რა საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის გაჩაღებულ ბრძოლას, ჩვენ მაშინ გვიჭირდა იმის განსაზღვრა, თუ რამდენ ხანს გაძლებდა რუსეთი და შეძლებდა თუ არა იგი საერთოდ გერმანიის არმიისათვის წინააღმდეგობის გაწევას. ამერიკის შეერთებული შტატების საქმიანი წრეები ინგლისელებთან ერთად იმ დროს სერიოზულად იყვნენ შეშფოთებული ინდოეთის ნედლეული რესურსების. შუა აღმოსავლეთის ნავთობის, სპარსეთის სრუტისა და, საერთოდ, ახლო და შუა აღმოსავლეთის გამო.

დ. ეიზენჰაუერის ნათქვამიდან ჩანდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავარი საზრუნავი 1942 წელს იყო თავისი სამხედრო-ეკონომიური პოზიციების უზრუნველყოფა და არა ევროპაში მეორე ფრონტის გახსნა. ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის გეგმების მომზადებას ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა თეორიულად 1941 წლის მიწურულიდან მოჰკიდეს ხელი, მაგრამ პრაქტიკული გადაწყვეტილებები 1944 წლის ბოლომდე არ მიუღიათ.

— ჩვენ, — ამბობდა დ. ეიზენჰაუერი, — უარვყავით ინგლისის მოთხოვნა გერმანიაში ხმელთაშუა ზღვიდან შეჭრის შესახებ წმინდა სამხედრო მოსაზრებებისა და არა სხვა რაიმე მიზეზების გამო.

ცხადი იყო, რომ ამერიკელებს ძლიერ აშინებდათ გერმანელთა წინააღმდეგობა ლა-მანშზე, განსაკუთრებით საფრანგეთის სანაპიროზე, მოსვენებას არ აძლევდათ ფართოდ რეკლამირებული „ატლანტიკის ტალღა“.

ლა-მანშიდან თავდასხმის გეგმა საბოლოოდ შეთანხმებულ იქნა ინგლისელებთან 1942 წლის აპრილში, მაგრამ ამის შემდეგაც უ. ჩერჩილი სერიოზულად, მთელი მონდომებით ცდილობდა დაეთანხმებინა ფ. რუზველტი გერმანიაში ხმელთაშუა ზღვიდან შეჭრაზე. ფრონტის გახსნა 1942—1943 წლებში მათ, დ. ეიზენჰაუერის აზრით, თითქოს არ შეეძლოთ, რადგან მზად არ იყვნენ ეპოდენ დიდი კომბინირებული სტრატეგიული ოპერაციისათვის. ეს. რასაკვირველია, შორს იყო ჭეშმარიტებისაგან. მათ 1943 წელს შეეძლოთ გაეხსნათ მეორე ფრონტი, მაგრამ შეგნებულად არ ჩქარობდნენ, ელოდებოდნენ გერმანიისა და მისი შეიარაღებული ძალების უფრო მნიშვნელოვან განადგურებას.

— 1944 წლის ივნისში ლა-მანშიდან ნორმანდიაში შეჭრა დაიწყო იოლ პირობებში და მიმდინარეობდა სანაპიროზე გერმანელთა ჯარების განსაკუთრებული წინააღმდეგობის გარეშე, რასაც ჩვენ, — ამბობდა დ ეიზენჰაუერი, — უბრალოდ არ ველოდით. გერმანელებს არ ჰქონდათ აქ ის თავდაცვა, რაზედაც საქვეყნოდ გაჰყვიროდნენ.

— რას წარმოადგენდა ფაქტიურად „ატლანტიკის ტალღა"?

— ამ „ტალღის" მთელ სიგრძეზე განლაგებული იყო სხუადასხვა ყალიბის არა უმეტეს სამი ათასი ქვემეხი. საშუალოდ ერთ კილომეტრზე მოდიოდა ერთ ქვემეხზე ცოტა მეტი. იარაღით აღჭურვილი რკინაბეტონის ნაგებობები ერთეულები იყო და ისინი ვერ შეუქმნიდნენ დაბრკოლებას ჩვენს ჯარებს.

სხვათაშორის, „ტალღის" სისუსტე გულახდილად აღიარა გერმანიის ჯარების გენერალური შტაბის უოფილმა უფროსმა გენერალ-პოლკოვნიკმა ფ. ჰალდერმაც. თავის მოგონებებში 1949 წელს იგი წერდა: „გერმანიას არ გააჩნდა არავითარი თავდაცვითი საშუალებანი, რომ წინააღმდეგობა გაეწია სადესანტო ფლოტისათვის, რომელიც მოკავშირეთა განკარგულებაში იყო და რომელიც ძოქმედებდა ჰაერში მთლიანად და განუყოფლად გაბატონებული ავიაციის საფარქვეშ[1].

მთავარ სიძხელეს ნორმანდიაში შეჭრისას, დ. ეიზენჰაუერის აზრით, წარმოადგენდა არა გერმანელთა ჯარების წინააღმდეგობა, არამედ ჯარების გადასროლა და მათი მომარაგება ლა-მანშიდან.

გულახდილად რომ ვთქვა, მე რამდენადმე გაოცებული დავრჩი, როცა 1965 წელს ვნახე ამერიკული კინოსურათი „უველაზე გრძელი დღე". ამ სურათში ნაჩვენებია თვისობრივად სულ სხვა მოწინააღიდეგე, ვიდრე ის იყო, როგორც ეიზენჰაუერის სიტყვებიდან ჩანს, 1944 წლის ივნისში, მოკავშირეთა ჯარების ლა-მანშიდან შეჭრისას. რასაკვირველია, უველასათვის გასაგებია ამ ტექნიკურად კარგად შესრულებული კინოსურათის პოლიტიკური მიზან-მიმართულება, მაგრამ უველაფერს ხომ თავისი საზღვარი უნდა ჰქონდეს...

თავისი მასშტაბებით გრანდიოზული საზღვაო სადესანტო ოპერაცია ნორმანდიაში ყალბ შელამაზებას არ საჭიროებს. ობიექტურად უნდა ითქვას, რომ იგი უნარიანად იყო მომზადებული და ჩატარებული.

ძირითადი საექსპედიციო ძალების გადასხმის წარმატებით დაგვირგვინების შემდეგ გერმანიის ჯარებმა უველაზე დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს მათ 1944 წლის ივლისში, როცა სადესანტო ჯარების წინააღმდეგ გადმოიყვანეს თავიანთი ძალები საფრანგეთის ჩრდილოეთი ნაწილის სანაპიროდან. მაგრამ ისინი მაშინაც დამარცხდნენ, ვერ გაუძლეს რა მოკავშირეთა სახმელეთო და საჰაერო ძალების მრავალ-

---

[1] ფ. ჰალდერი. „ჰიტლერი როგორც ბელადი". მიუნხენი, 1949, გვ. 58.

გზის უპირატესობას. შეტევითი ოპერაცია, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ოპერაცია, რომელიც დაკავშირებული იქნებოდა ღრმად ეშელონირებული თავდაცვის გარღვევასთან, ოპერატიული რეზერვების წინააღმდეგ ბრძოლასთან და კონტრდარტყმებთან, როგორც ამას ადგილი ჰქონდა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე, იქ არ ყოფილა.

ამერიკისა და ინგლისის ჯარების შეტევითი ოპერაციები, ცალკეული ბრძოლების გამოკლებით, მიმდინარეობდა მტრის მოძრავი თავდაცვის გადალახვის სახით. მოკავშირეთა ჯარების წინსვლას, დ. ეიზენჰაუერის აზრით, მთავარ სიძნელეებს უქმნიდა ის, რომ რთული იყო მატერიალური მომარაგება და ზურგის გზების მოწყობა, რაც ადგილმდებარეობის გადალახვასთან იყო დაკავშირებული.

მე ძალიან მაინტერესებდა გერმანელთა ჯარების კონტრშეტევა არდენებში 1944 წლის ბოლოს და მოკავშირეთა ჯარების თავდაცვითი ღონისძიებანი ამ რაიონში. უნდა ითქვას, რომ დ. ეიზენჰაუერი და მისი თანამგზავრები ამ თემაზე საუბრის დიდ სურვილს როდი ამჟღავნებდნენ. მათი ძუნწი ნაამბობიდან მაინც ჩანდა, რომ არდენებში გერმანელთა ჯარების დარტყმა უმაღლესი სარდლობის შტატისათვის და არმიათა მე-12 ჯგუფის სარდლის გენერალ ბრედლისათვის მოულოდნელი იყო.

მოკავშირეთა უმაღლესი სარდლობა დიდ შიშსა და შეშფოთებას განიცდიდა არდენებში მოწინააღმდეგის შემდგომი მოქმედების გამო. ამ შიშს სავსებით იზიარებდა უ. ჩერჩილი, რომელმაც 1945 წლის 6 იანვარს პირადი წერილით მიმართა ი. ბ. სტალინს. იგი იტყობინებოდა, რომ დასავლეთში მიმდინარეობდა ძალზე მძიმე ბრძოლები და რომ ინიციატივის დაკარგვასთან დაკავშირებით მოკავშირეებს საგანგაშო მდგომარეობა შეექმნათ.

ჩერჩილმა და ეიზენჰაუერმა, რომლებიც დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ საბჭოთა კავშირის სწრაფ რეაგირებას ამ შეტყობინებაზე, წერილი მოსკოვში ავიაციის მთავარი მარშლის ტედერის ხელით გამოგზავნეს. იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა მთავრობა დათანხმდებოდა საბჭოთა ჯარების შეტევის უმალ დაწყებაზე, როგორც ამას უ. ჩერჩილი და დ. ეიზენჰაუერი იმედოვნებდნენ, ჰიტლერი იძულებული გახდებოდა მოეხსნა თავისი დამკვრელი ჯარები დასავლეთის ფრონტიდან და აღმოსავლეთში გადაესროლა.

როგორც ცნობილია, თავისი სამოკავშირეო ვალდებულებებისადმი ერთგულმა საბჭოთა მთავრობამ ზუსტად ერთი კვირის შემდეგ მთელ ფრონტზე გაშალა უდიდესი შეტევა, რომელმაც ძირფესვიანად შეარყია გერმანელთა ჯარების თავდაცვა ყველა სტრატეგიული მიმართულებით და აიძულა ისინი კოლოსალური დანაკარგებით დაეხიათ

უკან ოდერამდე, ნოისემდე, მორავსკო-ოსტრავამდე, დაეტოვებინათ ვენა და ავსტრიის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი.

იგონებდა რა ამ შეტევას, დ. ეიზენჰაუერმა თქვა:

— ჩვენთვის ეს იყო დიდი ხნის ნანატრი შეტევა. ყველა ჩვენთაგანს გულზე მოგვეშვა, განსაკუთრებით მაშინ, როცა მივიღეთ ცნობა იმის შესახებ, რომ შეტევა დიდი წარმატებით ვითარდებოდა. დარწმუნებული ვიყავით, რომ გერმანელები ახლა ვეღარ შეძლებდნენ დასავლეთის ფრონტის გაძლიერებას.

სამწუხაროდ, დაიწყო თუ არა „ცივი ომი", და განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გადარჩენილმა ჰიტლერელმა გენერლებმა თავიანთი მოგონებებით აავსეს წიგნის ბაზარი, მსგავს ობიექტურ შეფასებათა აშკარა დამახინჯება ჩვეულებრივი ამბავი გახდა. ანტისაბჭოთა ბანაკის ზომაზე მეტად თავგამოდებული პროპაგანდისტები იმასაც კი ამბობენ, თითქოს საბჭოთა არმია კი არ დახმარებია ამერიკელებს არდენების რაიონში ბრძოლების დროს, არამედ ამერიკელებმა ძლივს იხსნეს საბჭოთა არმიაო.

ჩვენ შევეხეთ აგრეთვე საქონლის მიწოდებას ლენდ-ლიზით. მაშინ ამ მხრივაც ყველაფერი ნათელი იყო. მაგრამ ომისშემდგომი მრავალი წლის მანძილზე ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია ამტკიცებს, თითქოს გადამწყვეტი როლი მტერზე გამარჯვებაში მოკავშირეთა მიერ შეიარაღების, მასალების, სურსათის მიწოდებას შეესრულებინოს.

უდავოა, საბჭოთა კავშირმა ნამდვილად მიიღო ომის დროს სახალხო მეურნეობისათვის მნიშვნელოვანი მანქანები, მოწყობილობა, მასალები. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატებიდან და ინგლისიდან შემოტანილ იქნა 400 ათასზე მეტი ავტომანქანა, გვაწვდიდნენ ორთქლმავლებს, საწვავს, კავშირგაბმულობის საშუალებებს. მაგრამ განა ყოველივე ამას შეეძლო გადამწყვეტი გაელენა მოეხდინა ომის მსვლელობაზე? მე უკვე ვილაპარაკე იმ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტზე, თუ რა გაქანებას მიაღწია ომის წლებში საბჭოთა მრეწველობამ, რომელმაც უზრუნველყო ყოველივე აუცილებელით ფრონტიცა და ზურგიც. განმეორებას აზრი აღარა აქვს.

შეიარაღების შესახებ შემიძლია შემდეგი ვთქვა. ჩვენ ლენდ-ლიზით ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისისაგან მივიღეთ 18,7 ათასი თვითმფრინავი, 10,8 ათასი ტანკი, 9,6 ათასი ქვემეხი. იმ შეიარაღების საერთო რიცხვის მიმართ, რომლითაც საბჭოთა ხალხმა აღჭურვა თავისი არმია ომის წლებში, ლენდ-ლიზით მოწოდებამ შეადგინა შესაბამისად 12; 10, 4; 2 პროცენტი გარკვეული მნიშვნელობა უდავოა, მაგრამ გადამწყვეტ როლზე ლაპარაკი ზედმეტია.

ეიზენჰაუერმა დიდი ინტერესი გამოიჩინა ლენინგრადის, მოს-

კოვის, სტალინგრადისა და ბერლინის ბრძოლებისადმი. მან მკითხა, რამდენად მძიმე იყო ფიზიკურად ვითარება პირადად ჩემთვის, როგორც ფრონტის სარდლისათვის, მოსკოვის ბრძოლების დროს.

— მოსკოვისათვის ბრძოლა, — ვუპასუხე მე, — ერთნაირად მძიმე იყო როგორც ჯარისკაცისათვის, ისე სარდლისათვის. განსაკუთრებით გააფთრებული ბრძოლების პერიოდში, 16 ნოემბრიდან 8 დეკემბრამდე, დღე-ღამეში მხოლოდ ორი საათი ძილი თუ მხვდებოდა წილად, ისიც ხანდახან. ფიზიკური ძალისა და შრომის უნარის შესანარჩუნებლად ხშირად ვასრულებდი ხანმოკლე ფიზიკურ ვარჯიშს ყინვაში, ვსვამდი მაგარ ყავას, ზოგჯერ კი თხილამურებით ოცწუთიან გადარბენას მივმართავდი ხოლმე.

როდესაც მოსკოვისათვის ბრძოლის კრიზისმა განელო, ისე მაგრად ჩამეძინა, რომ დიდხანს ვერ შეძლეს ჩემი გაღვიძება. მაშინ ორჯერ დამირეკა ი. ბ. სტალინმა. უპასუხეს: ჟუკოვს სძინავს და ვერაფრით ვერ ვაღვიძებთო. „არ გააღვიძოთ, სანამ თავისით არ გაიღვიძებს", — თქვა უმაღლესმა მთავარსარდალმა. ამ ღრმა ძილის პერიოდში ჩვენი ჯარების დასავლეთის ფრონტმა არანაკლებ 10—15 კილომეტრით წაიწია წინ. გაღვიძება სასიამოვნო იყო...

როცა ეიზენჰაუერი მოსკოვში ჩამოვიდა, ი. ბ. სტალინმა გენერალური შტაბის უფროსს ა. ი. ანტონოვს უბრძანა გაეცნო მისთვის ჩვენი ჯარების ყველა გეგმა და მოქმედება შორეულ აღმოსავლეთში

დ. ეიზენჰაუერის მოსკოვში ყოფნის დროს ი. ბ. სტალინი ბევრს ესაუბრებოდა მას ფაშისტური გერმანიის და იაპონიის წინააღმდეგ საბჭოთა ჯარებისა და მოკავშირეთა ჯარების საომარ მოქმედებაზე, ხაზს უსვამდა, რომ მეორე მსოფლიო ომი იყო დასავლეთის იმპერიალისტური სახელმწიფოების პოლიტიკურ მესვეურთა უკიდურესი შეზღუდულობის შედეგი, მესვეურებისა, რომელთაც ნებაზე მიუშვეს და დროზე არ აღკვეთეს ჰიტლერელთა თავაშვებული სამხედრო აგრესია. ომი ძვირად დაუჯდათ ყველა მეომარი ქვეყნის ხალხებს და განსაკუთრებით საბჭოთა ადამიანებს, — ამბობდა ი. ბ. სტალინი. ჩვენ მოვალენი ვართ ყველაფერი ვიღონოთ, რომ ეს აღარასოდეს განმეორდეს.

ეიზენჰაუერი ერთხელ კიდევ ვნახე ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის მთავრობათა მეთაურების ჟენევის კონფერენციაზე 1955 წელს. იგი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი იყო. ჩვენ ვხვდებოდით ერთმანეთს და არა მარტო საკონტროლო საბჭოში მუშაობის გარდასულ დღეებს ვიგონებდით, არამედ ვსაუბრობდით აგრეთვე ჩვენს სახელმწიფოთა თანაარსებობისა და ხალხთა შორის ჰშვიდობის განმტკიცების უმწვავეს პრობლემურ საკითხებზეც. ეიზენჰაუერი მტკიცედ გამოხატავდა და

იცავდა ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტურ წრეთა პოლიტიკას.

როგორც ადამიანი და სარდალი, არმიის გენერალი დუაიტ ეიზენჰაუერი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მოკავშირეთა ჯარებში, რომლებსაც წარმატებით ხელმძღვანელობდა მეორე მსოფლიო ომში.

შემდეგ მას ბევრჯს გაკეთება შეეძლო საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, და პირველ ყოვლისა, ვიეტნამში სისხლისმღვრელი ომის შეწყვეტისათვის. სამწუხაროდ, იგი არა თუ არაფერს აკეთებს ამ მიმართულებით, არამედ ამ ომის მომხრე იყო.

ომის შემდეგ პროგრესული ადამიანები იმედოვნებდნენ, რომ მომავალში მსოფლიოს უმთავრესი სახელმწიფოები გაითვალისწინებდნენ წარსულის გაკვეთილებს, რომ მოხდებოდა გერმანიის გარდაქმნა დემოკრატიულ საფუძველზე, ხოლო გერმანიის მილიტარიზმი და ფაშიზმი ძირფესვიანად აღმოიფხვრებოდა. მაგრამ ეს განხორციელდა გერმანიის მხოლოდ ერთ ნაწილში — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

როდესაც საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა ფაშისტური ოკუპაციისაგან გაათავისუფლეს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, ამ სახელმწიფოთა ხალხებმა გადაჭრით აიღეს თავიანთ ხელში სახელმწიფოს მართვა და შეუდგნენ ცხოვრების გარდაქმნას დემოკრატიულ საფუძველზე. აღმოსავლეთ ევროპის დემოკრატიული ქვეყნები საბჭოთა კავშირის სახით ხედავდნენ არა მარტო ფაშიზმისაგან თავიანთ მხსნელს, არამედ იმის საიმედო გარანტიასაც, რომ მომავალში მათს ბედს ვერანაირად ვერ ხელყოფდა ვერც ერთი აგრესიული სახელმწიფო.

ომის დასასრულს შექმნილი ვითარება იყო დასავლეთის სახელმწიფოთა ხელისუფლების სათავეში მდგომი პოლიტიკური პარტიების, მათი ხელმძღვანელების სერიოზული გამოცდა, მათი პოლიტიკური შორსმჭვრეტელობის გამოცდა. საკითხი ასე იდგა: შეძლებენ ისინი სწორი გზით ატარონ თავიანთი ქვეყნები ხალხთა შორის მეგობრობის ფარვატერში, თუ სხვა ქვეყნებთან მტრობის გზით წაიყვანენ მათ.

საბჭოთა მთავრობა, ჩვენი პარტია, ხელმძღვანელობდნენ რა ვ. ი. ლენინის ანდერძით, მტკიცედ დაადგნენ ყველა სახელმწიფოსთან მშვიდობიანი თანაარსებობის კურსს და ყველაფერს აკეთებდნენ მშვიდობისა და თანამშრომლობის განსამტკიცებლად.

ბერლინში რომ დავბრუნდი, კვლავ მთელი არსებით ჩავები საკონტროლო საბჭოს მუშაობაში.

საბჭოთა ზონაში დემოკრატიულ გარდაქმნებთან დაკავშირებული

საკითხების გადაწყვეტაში დიდად მეხმარებოდა გერმანიაში საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის უფროსის პოლიტიკური მრჩეველი ვლადიმერ სემიონის ძე სემიონოვი, ამჟამად სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე. საკონტროლო საბჭოში ჩვენ ერთად ვმუშაობდით პოტსდამის იმ შეთანხმებათა რეალიზაციის პრობლემებზე, რომლებიც მთელ გერმანიას ეხებოდა.

ბევრს შრომობდნენ საკონტროლო საბჭოში ჩვენი ოფიცრები, გენერლები და მთავრობის მიერ საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციაში, (რომელსაც გენერალი ვ. დ. სოკოლოვსკი მეთაურობდა) სამუშაოდ მოვლინებული ამხანაგები. მათ დაეკისრათ მოვალეობები, რომლებიც დაკავშირებული იყო არა მარტო საკონტროლო საბჭოს მუშაობასთან, არამედ აგრეთვე გერმანელი ხალხის მთელი საზოგადოებრივი, საწარმოო და სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოწესრიგებასთან გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილში.

ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს გერმანიის კომუნისტურმა ორგანიზაციებმა, რომელთა გარშემო მალე დაირაზმნენ აღმოსავლეთ გერმანიის მუშები და პროგრესული ადამიანები.

საბჭოთა მთავრობა, რომელიც ჰუმანური მიზნებით ხელმძღვანელობდა, გერმანელი ხალხისათვის ამ ძნელბედობის ჟამს დიდ მზრუნველობას იჩენდა მოსახლეობისადმი, პირველ რიგში ბერლინის მცხოვრებთადმი, რომლებიც უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

როდესაც ჩვენმა ჯარებმა ბერლინი აიღეს, იქ მოსახლეობა ერთ მილიონს არ აღემატებოდა, ერთი კვირის შემდეგ იგი ორ მილიონზე მეტი გახდა, ხოლო მაისის მეორე ნახევარში უკვე სამ მილიონს მიაღწია. მოსახლეობა იზრდებოდა გერმანიის სხვა რაიონებიდან ჩამოსულთა ხარჯზე.

ბერლინში ომის შედეგების ლიკვიდაციის საქმეში დიდი აქტივობა გამოიჩინეს გერმანელმა მუშებმა და ტექნიკურმა ინტელიგენციამ. დღითა და ღამით ისინი მინდობილ უბნებზე იმყოფებოდნენ და კეთილსინდისიერად ასრულებდნენ ყველა დავალებას.

მნიშვნელოვან დახმარებას უწევდნენ საბჭოთა კომენდატურებს გერმანელ ანტიფაშისტთაგან შემდგარი ხელშემწყობი ჯგუფები. ისინი მონაწილეობას იღებენ ყველა ღონისძიებაში, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში, მოსახლეობისათვის სასურსათო ბარათების განაწილებაში, სურსათის გაცემაზე კონტროლის განხორციელებაში, ფაბრიკების, ქარხნების, ქალაქის უმნიშვნელოვანესი ობიექტებისა და ქონების დაცვაში.

საბჭოთა ხალხს არ დავიწყნია გერმანიის მუშათა კლასის, გერმანელი პროგრესული ინტელიგენციის რევოლუციური დამსახურება, უდი-

დესი დამსახურება გერმანიის კომუნისტური პარტიისა და მისი ბელადის ერნსტ ტელმანისა, რომელიც ომის დასასრულს დაიღუპა ფაშისტურ ჯურღმულებში. ჩვენს პარტიას და მთავრობას თავის მოვალეობად მიაჩნდა ძმური დახმარების ხელი გაეწოდებინა გერმანელი ხალხისათვის.

უკან დახევის დროს გერმანიის სარდლობამ ყველა ქალაქსა და დასახლებულ პუნქტში დატოვა მრავალი ათასი დაჭრილი ჯარისკაცი და ოფიცერი. მარტო ბერლინსა და მის გარეუბნებში გერმანიის არმიის 200 ათასზე მეტი დაჭრილი ჯარისკაცი აღმოჩნდა. ამ დაჭრილებისადმი — ყოფილი მტრებისადმი — ჩვენმა სამედიცინო მუშაკებმა, საბჭოთა სარდლობამ უდიდესი ჰუმანურობა გამოიჩინეს, მკურნალობის ისეთივე პირობები შეუქმნეს მათ, როგორც საბჭოთა მებრძოლებს ჰქონდათ.

ერთხელ უნტერ-დენ-ლინდენთან გავლის დროს ჩემმა თანმხლებმა ბერლინის კომენდატურის ოფიცერმა მიმითითა სახლზე, რომელიც შედარებით გადარჩენოდა დანგრევას, და მითხრა, აქ დაჭრილი გერმანელები არიანო. გადავწყვიტეთ შევსულიყავით.

პირველ ყოვლისა იმან მიიქცია ჩემი ყურადღება, რომ დაჭრილთა უმრავლესობა ყმაწვილები, თითქმის 15—17 წლის ბავშვები იყვნენ. გამოირკვა, რომ ისინი ბერლინში აპრილის დასაწყისში ჩამოყალიბებულ ფოლკსშტურმელთა სხვადასხვა რაზმში შედიოდნენ. მე შევეკითხე, რამ გაიძულათ ფოლკსშტურმის რაზმებში შესვლა მაშინ, როცა გერმანია უკვე უიმედო მდგომარეობაში იყო-მეთქი.

ბიჭებმა თვალები დახარეს და გაჩუმდნენ, მხოლოდ ერთმა მათგანმა თქვა:

— ჩვენ სხვა გამოსავალი არ გვქონდა, გარდა იმისა, რომ ხელში იარაღი აგვეღო და დაგვეცვა ბერლინი. ვინც მოხალისედ არ მიდიოდა, გესტაპოში მიჰყავდათ, იქიდან დაბრუნებული კი არავინ გვინახავს...

შემდგომი საუბრის დროს გამოირკვა, რომ აქ იყო რამდენიმე კაცი იმათგან, ვინც 1941 წლის ნოემბერში მოსკოვთან იბრძოდა. მეც სწორედ მოსკოვთან ვიბრძოდი, ვუთხარი მათ. ერთმა დაჭრილმა ჯარისკაცმა თქვა:

— გახსენებაც კი არ მინდა იმ ტრაგედიისა, რაც მაშინ გერმანიის ჯარმა განიცადა. ჩვენი 1500-ჯარისკაციანი პოლკიდან მხოლოდ 120 კაცი გადარჩა და ისინიც ზურგში გაიგზავნენ.

— სად იბრძოდა თქვენი პოლკი?

— ვოლოკოლამსკთან, — მიპასუხა დაჭრილმა.

— მაშასადამე, ძველი ნაცნობები ვყოფილვართ, — შევნიშნე მე.

იმავე დაჭრილმა მკითხა:

— ხომ ვერ გვეტყვით, ბატონო გენერალო, სად და რომელ უბანზე იბრძოდით?

მე ვუთხარი, რომ ვსარდლობდი დასავლეთის ფრონტის ჯარებს მოსკოვთან.

შემდეგ ვკითხეთ დაჭრილებს, როგორი იყო კვება, როგორ მკურნალობდნენ მათ რუსი ექიმები. ყველამ მეტისმეტად შეაქო საბჭოთა სამედიცინო პერსონალის ყურადღება, კვება. ერთ-ერთმა ჩვენმა ექიმმა შენიშნა:

— გერმანელები ჩვენს დაჭრილებს ხოცავდნენ, ჩვენ კი, აი, ღამეები არ გვძინავს, რათა ჯანმრთელობა დაგიბრუნოთ თქვენ.

— არა, უბრალო გერმანელები როდი იქცეოდნენ ასე, — უპასუხა მას დაჭრილმა მოხუცმა, — ამას მხოლოდ გერმანელი ფაშისტები სჩადიოდნენ.

— თქვენს შორის ხომ არ არიან ფაშისტები? — ვიკითხე მე.

სიჩუმე... მე კვლავ ვიკითხე. ისევ სიჩუმე. მაშინ ერთი ორმოცდათხუთმეტიოდე წლის ჯარისკაცი წამოდგა. მეორე ჯარისკაცის საწოლთან მივიდა, ზურგიდან შეანჯღრია და უთხრა:

— გადმობრუნდი!

იგი უხალისოდ გადმობრუნდა.

— ადექი და მოახსენე, რომ ფაშისტი ხარ!

შემდგომი საუბრით გამოირკვა, რომ დაჭრილთა შორის იყო ერთი ფაშისტი.

ჰოსპიტლიდან რომ მოვდიოდით, დაჭრილებმა გვთხოვეს კვლავაც დაგვეტოვებინა ისინი საბჭოთა ექიმებისა და სამედიცინო დების მზრუნველობის ქვეშ.

ომისშემდგომი პირველი დღეებისა და თვეების განმავლობაში ხშირად ეხვდებოდით გერმანელ კომუნისტთა ხელმძღვანელებს ვილჰელმ პიკს, ვალტერ ულბრიხტს და მათს უახლოეს თანამებრძოლებს. ისინი ღრმა გულისტკივილს გამოთქვამდნენ იმ დიდი დანაკლისის გამო, რომელიც განიცადა კომუნისტურმა პარტიამ, მუშათა კლასის საუკეთესო ნაწილმა და პროგრესულად განწყობილმა ინტელიგენციამ. ძალზე აწუხებდათ მათ გერმანელ მშრომელთა მძიმე მდგომარეობა.

ვერმანიის კომუნისტური პარტიის და პირადად ვ. პიკისა და ვ. ულბრიხტის თხოვნით საბჭოთა მთავრობამ ბერლინელებისათვის დააწესა სურსათის დღიური ნორმა.

ასე იქცეოდნენ საბჭოთა ადამიანები ფაშისტური გერმანიის დამარცხების შემდეგ.

ჰიტლერს კი რა ჰქონდა განზრახული საბჭოთა ხალხის მიმართ?

მოსკოვის დასაპყრობად რომ ემზადებოდა, ჰიტლერმა გამოსცა დირექტივა, რომელიც მინდა ერთხელ კიდევ მოგაგონოთ.

„ქალაქი ისეთ გარემოცვაში უნდა მოვაქციოთ, რომ იქიდან ვერ გააღწიოს ვერც ერთმა რუსმა ჯარისკაცმა, ვერც ერთმა მცხოვრებმა— ქალი იქნება ის, კაცი თუ ბავშვი. ქალაქიდან გასვლის ყოველგვარი ცდა ძალის მეშვეობით უნდა აღვკვეთოთ. საჭიროა განვახორციელოთ აუცილებელი ღონისძიებანი იმისათვის, რომ უდიდეს ნაგებობათა გამოყენებით მთლიანად დავფაროთ წყლით მოსკოვი და მისი შუმოგარენი.

იქ, სადაც ახლა მოსკოვია, შეიქმნება ზღვა, რომელიც სამუდამოდ დაფარავს ცივილიზებული მსოფლიოს თვალთაგან რუსი ხალხის დედაქალაქს"[1].

უკეთეს ხვედრს არც ლენინგრადს უმზადებდნენ ჰიტლერელები.

„დანარჩენი ქალაქების მიმართ, — ამბობდა ჰიტლერი, — საჭიროა ვიმოქმედოთ შემდეგი წესით: აღების წინ ნანგრევებად ვაქციოთ ისინი საარტილერიო ცეცხლითა და საჰაერო თავდასხმებით".[2]

ეს ბარბაროსული ნაბოდვარი ძნელი გასაგებია ნორმალური ადამიანისათვის.

სიმართლე რომ ითქვას, ომის მსვლელობის დროს მზად ვიყავით ჯეროვანი მიგვეზღო ყველა ფაშისტისათვის მათი სისასტიკის სანაცვლოდ. მაგრამ, როცა მტერი გავანადგურეთ და საბჭოთა ჯარები გერმანიის ფარგლებში შეიჭრნენ, ჩვენ შევძელით დაგვეოკებინა ჩვენი მრისხანება. ჩვენი იდეოლოგიური მრწამსი და ინტერნაციონალური სულისკვეთება გვიკარნახებდა არ ავყოლოდით შურისძიების ბრმა გრძნობას.

1946 წლის აპრილში გერმანიიდან მოსკოვს გავემგზავრე სახმელეთო ჯარების მთავარსარდლად ჩემს დანიშვნასთან დაკავშირებით. საბჭოთა საოკუპაციო ჯარების მთავრსარდლისა და ოკუპაციის საბჭოთა ზონის უფროსის პოსტი არმიის გენერალს ვ. დ. სოკოლოვსკის გადავეცი.

უკანასკნელად გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1957 წელს ვიყავი და ერთხელ კიდევ პირადად დავრწმუნდი, რომ ყველაფერი, რაც გააკეთეს საბჭოთა ხალხმა, პარტიამ და მთავრობამ, გააკეთეს სწორად და მან კეთილი ნაყოფი გამოიღო როგორც გერმანელი მშრომელებისათვის, ისე ჩვენი ხალხების მეგობრობის და სოციალიზმის ქვეყნების თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმისათვის.

---

[1] Нюрнбергский процесс. 1957, том. I, გვ. 495.
[2] იქვე.

იმის შესახებ, რის გარეშეც ვერ შევძლებდით გამარჯვებას

დიდი სამამულო ომი სოციალიზმისა და ფაშიზმის უდიდესი სამხედრო შეჯახება იყო. ეს იყო საერთო-სახალხო ბრძოლა ვერაგი კლასობრივი მტრის წინააღმდეგ, რომელმაც საფრთხე შეუქმნა საბჭოთა ადამიანების ყველაზე ძვირფას შენაძენს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვრებს, საბჭოთა ხელისუფლებას.

კომუნისტური პარტია წინ წარუძღვა მთელ ჩვენს ქვეყანას, მრავალეროვან საბჭოთა ხალხს ფაშიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლაში. ომის პირველი დღიდან უკანასკნელ დღემდე ვმუშაობდი უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკში და ვხედავდი, რა გიგანტურ ორგანიზატორულ მუშაობას ეწეოდნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა, რომლებიც მტკიცედ რაზმავდნენ მშობლიურ ხალხსა და მის შეიარაღებულ ძალებს, სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნიდნენ სახალხო მეურნეობას, ყველაფერს აკეთებდნენ გერმანელი ფაშისტი ურდოების გასანადგურებლად.

პირდაპირ ვიტყვი, ჩვენ ვერ შევძლებდით მტრის დამარცხებას, რომ არ გვყოლოდა გამოცდილი და ავტორიტეტული პარტია, რომ არ გვქონოდა საბჭოთა სოციალისტური საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილება, რომლის უძლეველმა მატერიალურმა და სულიერმა ძალებმა საშუალება მოგვცეს მოკლე დროში გარდაგვექმნა ქვეყნის მთელი ცხოვრება, შეგვექმნა პირობები გერმანიის იმპერიალიზმის შეიარაღებული ძალების გასანადგურებლად.

ჩვენს ძალებს აათკეცებდა სოციალისტური ერებისა და ხალხების მტკიცე ერთიანობა, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი, ყველა მშრომელის, ახალგაზრდობისა და ინტელიგენციის მტკიცე დარაზმულობა პარტიის ლოზუნგის, პარტიის დროშის გარშემო: „ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი გამარჯვებისათვის!“

საბჭოთა ცხოვრების წესის გავლენით, პარტიის უდიდესი ალმზრ-

დელობითი მუშაობის შედეგად ჩვენს ქვეყანაში ჩამოყალიბდა ადამიანი, იდეურად დარწმუნებული თავისი საქმის სიმართლეში, გამსჭვალული სოციალისტური სამშობლოს ბედისათვის პირადი პასუხისმგებლობის ღრმა შეგნებით.

სადაც არ უნდა ყოფილიყო ეს ადამიანი — ფრონტზე, ქვეყნის ზურგში, მტრის ზურგში, ფაშისტურ ბანაკებში თუ იძულებით სამუშაოზე გერმანიაში, — იგი ყველგან და ყოველთვის ყველაფერს აკეთებდა, რაც მასზე იყო დამოკიდებული, რომ მოეახლოებინა ფაშიზმზე გამარჯვების საათი.

„ვერაფერი ვერ აანაზღაურებს მსხვერპლსა და ნგრევას, — თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა თავის მოხსენებაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის შესახებ, — რომელიც ომმა მოგვიტანა. მან ხალხს არგუნა მწუხარება, რომლის გამო დღესაც არ შეშრობია ცრემლი მილიონობით დედას, ქვრივსა და ობოლს. რა უნდა იყოს კაცისათვის უფრო დიდი სატკივარი, ვიდრე ახლობლების, ამხანაგებისა და მეგობრების დაღუპვა. რა უნდა იყოს უფრო საზარელი სანახავი, ვიდრე შენი შრომის განადგურებული ნაყოფი, რომელსაც მთელი ძალ-ღონე, ნიჭი, მშობლიური მხარის სიყვარული შეალიე. რა უნდა იყოს იმაზე უფრო მწარე, ვიდრე გადაბუგული ნასახლარებიდან ავარდნილი კვამლი. ცეცხლითა და მახვილით ნაწამები, ნანგრევებად ქცეული დახვდათ შინ დაბრუნებულ საბჭოთა ჯარისკაცებს ფაშისტ ბარბაროსთაგან განთავისუფლებული ძვირფასი მიწა-წყალი.

მაგრამ რა გატეხავდა საბჭოთა ადამიანის ნებისყოფას, რა შეაჩერებდა სოციალიზმის ძლევამოსილ წინსვლას. მსხვერპლმა გული დაგვწყვიტა. მაგრამ აპასთან ერთად თვითეულ საბჭოთა ადამიანს ვამარჯვების სიხარულით უცემდა გული. დაღუპულთა გმირობა ძალას მატებდა ცოცხალთ“.

და არავის არა აქვს უფლება დაამციროს საბჭოთა ხალხის უდიდესი საბრძოლო და შრომითი გმირობა დიდ სამამულო ომში!

მე ჩემი წიგნი ვუძღვენი საბჭოთა ჯარისკაცს. მისი სისხლით და ოფლითაა მოპოვებული გამარჯვება ძლიერ მტერზე. მან შეძლო პირდაპირ ჩაეხედა თვალებში სიკვდილისათვის, გამოიჩინა უმაღლესი მხედრული სიმამაცე და გმირობა. გან ესაზღვრელია სამშობლოსათვის ჩადენილი მისი გმირობის სიდიადე. საბჭოთა ჯარისკაცმა უკვდავი ძეგლი დაიმსახურა მადლიერი კაცობრიობისაგან.

ყველა რანგის ოფიცრებმა — უმცროსი ლეიტენანტებიდან დაწყებული მარშლებამდე — ბრწყინვალედ გამოიჩინეს თავი როგორც თავიანთი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტებმა, მრავალმილიონიანი ჯარების საომარ მოქმედებათა ნაცადმა და უშიშარმა ორგანიზატორებ-

მა. ღრმად ცდება ის, ვინც ერთმანეთისაგან ყოფს საბჭოთა ჯარისკაცსა და ოფიცერს. თავიანთი წარმოშობით, აზრებით, შეხედულებებითა და მოქმედებით ისინი ერთნაირად ერთგული და საიმედო შვილები არიან საბჭოთა სამშობლოსი.

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა კავშირის ისტორიული გამარჯვების სიდიადე ის არის, რომ საბჭოთა ხალხმა დაიცვა არა მარტო თავისი სოციალისტური სახელმწიფო. იგი თავგანწირვით იბრძოდა პროლეტარული ინტერნაციონალური მიზნისათვის — ფაშიზმისაგან ევროპის ხალხების ხსნისათვის.

საბჭოთა ადამიანებს არ დავიწყნიათ სხვა ქვეყნების ხალხთა წვლილი საერთო მტერზე გამარჯვებაში. ჩვენს არმიას, ჩვენს ხალხს ახსოვთ და დიდად აფასებენ წინააღმდეგობის მებრძოლთა გმირობას და სიმამაცეს.

საბჭოთა კავშირი მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოა. და ხალხის ყოველი სწრაფვა, დიდი თუ მცირე, ემსახურება ერთ მიზანს — ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებას. ამისათვის ჩვენ ომი როდი გვჭირდება. მაგრამ, ყოველმხრივ რომ დავიცვათ საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შრომა, ჩვენ უნდა შევისწავლოთ სოციალისტური სამშობლოს დაცვის საბრძოლო გამოცდილება, ავიღოთ მისგან ყველაფერი, რაც დაგვეხმარება ქვეყნის თავდაცვის, ჯარების სწავლებისა და აღზრდის უფრო ეფექტურად უზრუნველყოფაში.

ომის არ ეშინია მას, ვინც წინასწარ კარგადაა მისთვის მომზადებული და იცის თავისი ადგილი ქვეყნის თავდაცვაში. დაბნეულობასა და პანიკურ მდგომარეობას ჩვეულებრივ იქა აქვს ადგილი, სადაც ქვეყანა, ჯარები და ხალხთა მასები ჯეროვნად არ არიან მზად ომისათვის, სადაც არაა სათანადო ორგანიზებულობა და მტკიცე ხელმძღვანელობა მკაცრი გამოცდის მომენტში.

სამხედრო საქმეში მომხდარ ტექნიკურ რევოლუციასთან და არმიისა და ფლოტის დიდ ორგანიზაციულ გარდაქმნასთან დაკავშირებით, იმასთან დაკავშირებით, რომ ახლა მთავარი დამრტყმელი საცეცხლე ძალა სარაკეტო შეიარაღება გახდა. ხშირად ამბობენ დადგა „ღილაკის ომის“ ერა, ადამიანიკი მასში ჰხოლოდ დამხმარის როლს შეასრულებსო. ეს შეხედულება არ არის სწორი.

მიუხედავად რაკეტული და ატომური ირაღის მთელი მნიშვნელობისა, მიუხედავად იმისა, თუ როგორი იქნება ომის მასშტაბი, ხასიათი და წარმოების წესი, ადამიანი მასში ასრულებდა, ასრულებს და კვლავაც შეასრულებს მთავარ როლს. უახლესი იარაღი, მათ შორის მასობრივი მოსპობის საშუალებანიც, ვერ ამცირებს ხალხთა მასების როლს ომში. სულ ერთია, ომში მუდამ საჭირო იქნება დიდი მასების მონაწი-

ლეობა, ერთი მხრივ, უშუალოდ შეიარაღებულ ბრძოლაში, ხოლო, მეორე მხრივ, სამხედრო წარმოებაში, შეიარაღებული ბრძოლის ყოველმხრივ უზრუნველყოფაში.

დიდხანს ვფიქრობდი, რით დამემთავრებინა ეს ჩემი მოგონებები, ვისთვის და რისთვის მიმეძღვნა წიგნის უკანასკნელი სტრიქონები.

მინდოდა ერთგვარად შემეჯამებინა (ბუნებრივია, წიგნში მოყვანილი დასკვნები ავტორის პირადი მოსაზრებებია), გამეანალიზებინა ყოველივე, რის მოწმეც ვიყავი, რაშიც პირადად ვმონაწილეობდი, მაგრამ ამის გაკეთებას ხომ მთელი წიგნის მანძილზეც ვცდილობდი. და ახლა აქ ამის ხელახლა განმეორება ზედმეტად მიმაჩნია. მაგრამ ერთი რამ კი მინდა კიდევ და კიდევ ვთქვა. და ვთქვა არა ჩემი, არამედ ლენინის სიტყვებით, მართალი და მშვენიერი სიტყვებით:

„ვერასდროს ვერ დაამარცხებენ იმ ხალხს, რომლის მუშათა და გლეხთა უმრავლესობამ გაიგო, იგრძნო და დაინახა, რომ ასინი იცავენ... იმ საქმეს, რომლის გამარჯვება მათი და მათი შვილებისათვის უზრუნველყოფს კულტურის მთელი სიკეთით, ადამიანის შრომის ყველა ქმნილებით სარგებლობის შესაძლებლობას“.

შინაარსი

წინასიტყვაობის მაგიერ 5

თავი პირველი. ბავშვობა და სიჭაბუკე 7

თავი მეორე. ჯარისკაცის სამსახური 34

თავი მესამე. მონაწილეობა სამოქალაქო ომში 51

თავი მეოთხე. პოლკისა და ბრიგადის მეთაურად 85

თავი მეხუთე. მეშურ-გლეხური წითელი არმიის ინსპექციაში, მე-4 საკავალერიო დივიზიის სარდლად 122

თავი მეექვსე. მე-3 საკავალერიო და მე-6 კაზაკთა კორპუსების სარდლად 163

თავი მეშვიდე. გამოუცხადებელი ომი ხალხინ-გოლზე 175

თავი მერვე. კიევის განსაკუთრებული სამხედრო ოლქის სარდლად 206

თავი მეცხრე. დიდი სამამულო ომის წინადღეს 227

თავი მეათე. ომის დასაწყისი 283

თავი მეთერთმეტე. ელნიადან ლენინგრადამდე 350

თავი მეთორმეტე. ბრძოლა მოსკოვისათვის 386

თავი მეცამეტე. მძიმე განსაცდელი გრძელდება 439

თავი მეთოთხმეტე. ფაშისტთა ჯარების განადგურება სტალინგრადის რაიონში 482

თავი მეთხუთმეტე. ფაშისტთა ჯარების განადგურება კურსკის, ორიოლის, ხარკოვის რაიონში 521

თავი მეთექვსმეტე. უკრაინისათვის ბრძოლაში 586

თავი მეჩვიდმეტე. ფაშისტური ჯარების განადგურება ბელორუსიაში და მათი საბოლოო განდევნა უკრაინიდან 638

თავი მეთვრამეტე. ბერლინის მიმართულებით 675

თავი მეცხრამეტე. ბერლინის ოპერაცია 718

თავი მეოცე. ფაშისტური გერმანიის უსიტყვო კაპიტულაცია 760

თავი ოცდამეერთე. გერმანიის მართვის საკონტროლო საბჭოს პირველი ნაბიჯები. პოტსდამის კონფერენცია . . 804

დასკვნა. ომის შესახებ, რის გარეშეც ვერ შეეძლებდით განარჯვებას 845

ბ. კ. ეუკოვის წიგნი „მოგონებები და ფიქრები“ გამოდის საზღვარგარეთის რიგ გამომცემლობებში ახალი ამბების სააგენტოს გამომცემლობასთან შეთანხმებით.

წიგნში გამოყენებულია საბჭოთა კავშირის მარშლის ბ. კ. ეუკოვის პირადი არქივის, კინოფოტოფოტოდოკუმენტების ცენტრალური სახელმწიფო არქივის, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ცენტრალური მუზეუმის, ჟურნალ „სოვეტსკი ვოინის“ ფოტოარქივის, ახალი ამბების სააგენტოს ფოტოთეკის, საქმესის ფოტოქრონიკის ფოტოდოკუმენტები, აგრეთვე საბჭოთა სამხედრო ფოტოკორესპონდენტების ფოტოსურათები.

რედაქტორი დავით ჭელიშვილი
გამომცემლობის რედაქტორი რევაზ ორჯონიკიძე
მხატვრული რედაქტორი ნიკოლოზ ოქრუაშვილი
ტექრედაქტორი ვალერიან ჭიჭინაძე
კორექტორები: თამარ მაჩაბელი, ლეილა არეშიძე
გამომშვებები: გიული ბენიძე, ნოე მაჭარაშვილი
გადაეცა წარმოებას 18/II-70 წ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/XI-70 წ.
ქაღალდის ზომა 60×90 1/16
ნაბეჭდი თაბახი 53,25+8 ნაბეჭ. ილუსტრ. და
4 ფერადი რუკა
სააღრ.-საგამომც. თაბახი 62,8.
ტირაჟი 90.000. შეკვ. № 230.
ფასი 3 მან. 20 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო".
თბილისი, მარჯანიშვილის, 5.

ამწყობ და დამატრიცდა
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბაში, თბილისი,
ლენინის ქ. № 14.

Набрано и матрицировано
в тип. Из-ва ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

დაიბეჭდა და აკინძა ბეჭდვითი სიტყვის
კომბინატში, თბილისი, მარჯანიშვილი, 5

Отпечатано и сброшюровано в Комбинате печати,
Тбилиси, Марджанишвили, 5